

ՀԱՅԿԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ
ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԵՎ
ՊՐԻՆՏԻՆԻ ԵՎ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ
ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՊՐԻՆՏԻՆԻ

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ
ԵՎ ՊՐԻՆՏԻՆԻ ԵՎ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ
ԵՎ ՊՐԻՆՏԻՆԻ ԵՎ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ

ვიქტორ ჰიუგო და მისი რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტაა მწერალი, რომელსაც იმდენი სიტბო და სიყვარული დაემსახურებინოს ხალხში, როგორც ვიქტორ ჰიუგოს. მკითხველი საზოგადოება იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა ვიქტორ ჰიუგოს პიროვნების, ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. დროთა ვითარებაში ვიქტორ ჰიუგოს სახელი დიდად გაიზარდა, იგი საფიციარი გახდა, შემდეგ კი დრომად გადაიქცა, რომელსაც გაბედულად მიჰყვებოდა და მიჰყვება ხალხი უკეთესი მერმისის დასამკვიდრებლად.

ვიქტორ ჰიუგო დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში 1802 წლის 26 თებერვალს, სამხედრო პიროვნების ოჯახში. პატარა ვიქტორი ინტერესით სწავლობდა უცხო ენებს, განსაკუთრებით ლათინურს. ის ბენის კითხულობდა, ჯერ კიდევ ჰაბუკს წაკითხული ჰქონდა ვოლტერის, რუსოს, დიდროს ნაწარმოებები, დიდ ფრანგ პოეტთა ლექსები და თვითონაც წერდა ოდებს, ბალადებს, სატირებს, ელეგიებს. მამასთან ერთად ის იყო იტალიაში, ესპანეთში. თნუთმეტი წლის ვ. ჰიუგომ საფრანგეთის აკადემიას საკონკურსოდ წარუდგინა ლექსი: „სწავლის სარგებლიანობის შესახებ“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1820 წელს ვ. ჰიუგო რედაქტორობს ჟურნალ „ლიტერატურულ კონსერვატორს“, რომელშიც ბეჭდავს თავის პირველ მოთხრობას „ბიუგ ჟარვალს“; იგი შემდეგ დიდ რომანად გადაიქცა. ამავე დროს იფართოებს ნაცნობ-მეგობართა წრეს, დადის და ახლო მეგობრობა აქვს რეაქციულ-კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლებთან: ფრანსუა-რენე დე შატობრიანთან, ალფრედ დე ვინისთან, ალფონს დე ლამარტინთან, ალექსანდრე სუმესთან, ემილ დეშანთან, აბატ ლამენესთან. - 1822 წელს ვ. ჰიუგო აქვეყნებს თავისი „ოდების“ პირველ ტომს, რომელმაც პოეტს დიდი სახელი გაუთქვა, და აქედან მოყოლებული მისი ხანგრძლივი ცხოვრება ტიტანური შემოქმედებითი შრომისა და გმირული საზოგადოებრივი ბრძოლის დიდებულ ეპოპეად იქცა.

ვიქტორ ჰიუგომ განვლო გრძელი, ძნელი და რბული გზა ცხოვრებისა. ის ბევრ რამეს მოესწრო. მის თვალწინ მოხდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები, როგორც 1830 წლის ივლისის რევოლუცია, 1848 წლის რევოლუცია, საფრანგეთ-პრუსიის ომი, პარიზის კომუნა. ჰუმანიტი რომანტიკოსი ვიქტორ ჰიუგო გულგრილი მეოვალყურე, ან უბრალო დამკვირვებელი კი არ იყო ამ სოციალ-პოლიტიკური ძვრებისა, არამედ ყოველივე გულთან მიჰქონდა დიდ მწერალს. იგი გამსჭვალული იყო მშრომელი ხალხისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით, ენერგიულად

ენმაურებოდა თავისი დროის მოვლენებს, აქტიურად და დაუღალავად მონაწილეობდა საზოგადოებრივი პროგრესისათვის დიდსა და საპატიო ბრძოლაში.

ვიქტორ ჰიუგო აქტიურად გამოეხმაურა 1848 წლის რევოლუციას, გამოაქვეყნა ბრწყინვალე ლექსთა კრებული „სასჯელნი“. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს წვერალი თავგამოდებით იცავდა ფრანგ ხალხს, აღვივებდა მათში პატრიოტულ სულისკვეთებას. ვიქტორ ჰიუგო აღფრთოვანებული შეხვდა პარიზის კომუნის გამარჯვებას. კომუნარები მასზე ამბობდნენ „ჩვენი ვიქტორ ჰიუგო“.

მწერლის ცხოვრებაში ხშირად ყოფილა ისეთი მომენტი, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ სახელოვანი პოეტი მუდამ პოულობდა თავის თავში ძალასა და ენერგიას, რომ გადაეღებინა დაბრკოლება, რათა ეცოცხლა თავისი სამშობლოსათვის, ფრანგი ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ვიქტორ ჰიუგო თავიდანვე იმ აზრს ავითარებდა, რომ მომავალში კლასობრივ ბრძოლას, ხალხებს შორის შუღლსა და სიძულვილს შეეცლიდა ხალხთა მეგობრობა და მშვიდობიანი ცხოვრება, რომ მოისპობოდა აღამიანთა ხოცვა-ჟლეტის ყოველგვარი იარაღი და ქვეყნად ჰარმონია დამკვიდრდებოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივ მოქმედი ფაქტორები იქნებოდა სიყვარული და ძმობა, თავისუფლება და ერთობა.

იგი ამბობდა, ერთი ხელით ვწერ, ორივეთი კი ვიბრძვი, მწერალი რომ არ ვყოფილიყავი, ჯარისკაცი ვიქნებოდიო. და მართლაც, მუდამ ბრძოლის გუნებაზე მყოფი ეს დიდი პოეტი თავისი ანთებული სულით დაუცხრომლად იბრძოდა დრომოჭმული, უვარგისი ტრადიციების წინააღმდეგ, რომ ამით გზა გაეკაფა ახლისა და უკეთესისათვის, სადაც აღამიანს თავისუფლად და ბედნიერად შეეძლებოდა ცხოვრება.

ვიქტორ ჰიუგო წარმოადგენდა როგორც დიდი პატრიოტი და მოქალაქე, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი. ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მშვიდობის საქმე მთელი კაცობრიობის მიზანია, რომ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება შეფერხდეს ან დაჩქარდეს, მაგრამ მისი უარყოფა ან აცილება შეუძლებელია. იცავდა რა საყოველთაო მშვიდობის იდეას, მწერალი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ დადგება დრო, როცა „ყველა ერთ საერთო იდეალებით დაუკავშირდება ერთმანეთს და ომს შუამავლობით შეეცვლის“.

თავისი ჰუმანისტური, დემოკრატიული მრწამსი ვ. ჰიუგომ 1877 წლის 25 მარტს ლიონის მუშების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ასე გამოთქვა: „მშვიდობა მომავლის სიტყვაა, იგი მეოცე საუკუნის სახელია“. ჯერ კიდევ მაშინ მწერალი ნათლად ხედავდა მშრომელ ხალხში ნამდვილ მებრძოლს მშვიდობისათვის. ის ამბობდა: „მობილიზებული არმიების მრისხანე აჩრდილი, მთელი ეს პირქუში საომარი ბაქანალია მშვიდობისაკენ მძაფრ მისწრაფებას ბადებს. ვიმეორებ დაბეჯითებით, ვის სურს ომი? — მეფეებს. ვის სურს მშვიდობა? — ხალხებს“.

ვიქტორ ჰიუგოს გაბედული, ჰუმანისტური ლოზუნგები სწრაფად იკავადნენ გზას მშრომელი მასების გულისაკენ. 1848 წელს მან დააარსა გაზეთი „ლევანემან“, რომელსაც ასეთი სიტყვები წარუძმდვარა: „ზიზღი მონარქიას, ღრმა და სათნო სიყვარული ხალხს“. ყოველივე ეს მმართველ რეაქციულ წრეებს შეუმჩნეველი არ დარჩა და დიდ მწერალს დევნა დაუწყეს. ლუი ბონაპარტის მუხანათური რეჟიმის დროს ვიქტორ ჰიუგო განდევნილი იყო საფრანგეთიდან. სამშობლოდან დაშორების, სამშობლოზე ფიქრით გაატარა ვიქტორ ჰიუგომ თითქმის ცხრამეტი წელი, მაგრამ არ შემდრკალა, არ დაძაბუნებულა, ფარ-ხმალი არ დაუყრია; პირიქით, ამ მძიმე წლებში მთელი სიმაღლით აღიმართა კაცობრიობის წინაშე, უფრო მრისხანედ და სხამალლა გამოვიდა თავისი პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს შექმნა მან თავისი უდიდესი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა სტრიქო-

ნებიდან მუდამ ანათებს ვიქტორ ჰიუგოს დიდი სახელი და რომლებიც არასოდეს არ მიეცემიან დაიწყებას.

როდესაც ჰიუგოს გესლიანი პამფლეტის „პატარა ნაპოლეონის“ ერთი ეგზემპლარი ლუი ბონაპარტს ჩაუვარდა ხელში, მან ირონიული ღიმილით აიღო წიგნი, მედიდურად გადაფურცლა, შემდეგ თავის ირგვლივ მყოფთ მიუბრუნდა და უთხრა: „აი, პატონებო, „პატარა ნაპოლეონი“, რომელიც დიდ ჰიუგოს შეუქმნია“. ლუი ბონაპარტმა იტალიაზე გამარჯვების აღსანიშნავად პოლიტიკური ამნისტია რომ გამოაცხადა, ვ. ჰიუგომ ყურადღება არ მიაქცია და სამშობლოში არ დაბრუნდა. გაიძვერა იმპერატორის იმის შიში ჰქონდა, რომ ნწერალი, რომელსაც მთელი კაცობრიობა სცნობდა, სადაღაც შორს დევნილივით ცხოვრობდა. ვ. ჰიუგოს სთხოვეს საფრანგეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამაოდ, მან კვლავ უარი განაცხადა. იგი ამბობდა: ისეთი იმპერატორისაგან, როგორც ლუი ბონაპარტია, ამნისტის არ მივიღებო. მწერალი იმპერატორისადმი გაგზავნილ პასუხში პირდაპირ სწერს: „ნუ გგონიათ, რომ საფრანგეთში არ დავბრუნდები. მე დავბრუნდები, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ მანდ აღარ იქნებით, როდესაც თავისუფლება აღსდგება“.

ვიქტორ ჰიუგოს წინასწარმეტყველება ახდა. 1870 წელს, როგორც კი გაიგო ლუი ბონაპარტის სამხედრო დამარცხება და მისი ტახტიდან ჩამოგდება, მამინევი გაემგზავრა კუნძულ გერსილიდან ბრიუსელში, საიდანაც ღრმად მოხუცებული, მაგრამ სულით გაუტყეხელი დაუბრუნდა თავის პარიზს. მწერალს დიდძალი ხალხი შეხვდა სადღურზე. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა ფრანგი ხალხისა თავის ერთ-ერთ უდიდეს და უსაყვარლეს მწერალთან.

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი პირველი დღეებიდანვე ჩაღვა საფრანგეთისა და მისი დედაქალაქის — პარიზის დამცველ პატრიოტთა მღწიანე რიგებში. ის თავისი ახალი ნაწარმოებებით, მგზნებარე მოწოდებებით, სიტყვითა და საქმით აღაგზნებდა ფრანგ ხალხს მედგრად დაეცვა თავისი სამშობლო და დიდებული ქალაქი პრუსიელების შემოტევისაგან. ვ. ჰიუგო ნაციონალური კრების წევრად აირჩიეს. მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კალამი ხელიდან არ გაუვლია.

ვიქტორ ჰიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 22 მაისს. მასზე ამბობდნენ, სიცოცხლეშივე ეზიარა უკვადეებსააო, და მართლაც, ჰიუგომ სიცოცხლეშივე აიგო ხალხის გულში მარადიული ძეგლი, რომელსაც ეპოქათა მღელვარე ცვლაში ვერც დრო ვნებს, ვერც წვიმა და ვერც ქარიშხალი.

ახალგაზრდა ვ. ჰიუგო შატობრიანის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ამბობდა, „მინდა ან შატობრიანი ვიყო, ან არაფერი“. იგი აგრეთვე ფრანგული კლასიციზმის გავლენას განიცდიდა, მაგრამ 30-იანი წლებიდან აქტიურად და გაბედულად ეთიშება, როგორც ერთს, ისე მეორეს და დამოუკიდებელ ლიტერატურულ სარბიელზე გამოდის. ის ხდება მთელი ფრანგული ლიტერატურის პროგრესულ-დემოკრატიული რომანტიზმის ლიდერი. ვ. ჰიუგოს ასეთი დიდი მობრუნების მაჩვენებელია: პოეზიის დარგში — ლექსთა კრებული „აღმოსავლური ჰანგები“, პროზაში — რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ხოლო დრამატურგიაში ტრაგედია — „ურნანი“.

ვიქტორ ჰიუგოს მთავარი პრინციპი იყო: სინამდვილის თანაბარი ხელოვნებისათვის ბრძოლა, ლიტერატურის საზოგადოებრივი, შემეცნებითი ღირებულება. მისი აზრით, მწერლის მხატვრული შემოქმედება უნდა ემსახურებოდეს ხალხის საარსებო ინტერესებს, კაცობრიობას სარგებლობას უნდა სძენდეს; მხატვრული ნაწარმოები

არა მარტო უნდა ატკობდეს და ანუგეშებდეს ადამიანს, არამედ ბრძოლის გუნება-ზეც უნდა აყენებდეს და მას უკეთესი პოლიტიკური წყობილების დასამყარებლად მოუხმობდეს. ვ. ჰიუგოს საყვარელი გამოთქმა იყო: „ნწერალი შუქურასავით წინ უნდა მიუძღოდეს ხალხებს და მათ გზას უჩვენებდეს“.



„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ წერა ვიქტორ ჰიუგომ დაიწყო 1830 წლის 25 ივლისს, მაგრამ ვინაიდან 27 ივლისს საფრანგეთში რევოლუციამ იფეთქა, მწერალმა მასზე მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ ამავე წლის პირველ სექტემბერს განაახლა.

გადმოცემის თანახმად, ვიქტორ ჰიუგოს ჯერ კიდევ 1828 წელს შეუდგენია გეგმა-მონახაზი ნაწარმოებისა, რომელშიც გამოყვანილი იყო ლამაზი ბომა ქალი-შვილი. ესმერალდა. იგი შეყვარებია ორ პიროვნებას: პოეტ პიერ გრენგუარს და ხუცეს კლოდ ფროლოს. მეფის ბრძანების თანახმად ესმერალდა უნდა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ პიერ გრენგუარმა გააპარა და მის მაგიერ თვითონ წავიდა სახრჩობელაზე. მღვდელმა კლოდ ფროლომ კი, პირიქით, გაქცეულ ესმერალდას მიაგნო და ჯალათებს ჩაუგდო ხელში. 1830 წლის დასაწყისში ამ გეგმა-მონახაზის გვერდებზე პირველად გამოჩნდა კაპიტან ფებუს ღე შატოპერის სახელი.

რომანი ძალიან მოკლე დროში დაიწერა; ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ვ. ჰიუგოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული მეტისმეტად მომთხოვნ გამოცემულ შარდ გოსლენთან.

ამ სიჩქარეს ის მოჰყვა, რომ ნაწარმოების პირველ გამოცემას აკლია მეოთხე ნაწილის მეექვსე თავი და მეხუთე ნაწილის ორივე თავი. როგორც ვ. ჰიუგო აღნიშნავს წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, ეს თავები დაიკარგა, მაგრამ შემდეგ, როცა ისინი აღმოჩნდა, რომანის 1832 წლის გამოცემას დაურთო.

1831 წლის 16 მარტს გამოქვეყნდა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გამოცემულ გოსლენის მეუღლეს, რომელიც განსწავლულ ქალად ითვლებოდა, ვ. ჰიუგოს რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ არ მოეწონა, საშინლად მოსაწყენ ნაწარმოებად მიიჩნია, ქმარს არწმუნებდა, ამ რომანს არავითარი წარმატება არ ექნებოდა. უფრო საოცარია ის, რომ ფრანგ ლიტერატორ-კრიტიკოსთა დიდმა ნაწილმა ასეთივე აზრი გამოთქვა ამ უკვდავი ნაწარმოების შესახებ. მაგრამ ასეთი მცდარი აზრი არ გაამართლა ცხოვრებამ. პირიქით, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარმა“ გამოქვეყნებისთანავე ანდამატივით მიიზიდა მკითხველი საზოგადოება, იგი ხელი-ხელ საგომანებელი წიგნი გახდა, რომელსაც არასოდეს დაედება საუკუნეთა მტვერი.



ვიდრე წერას შეუდგებოდა, ვიქტორ ჰიუგომ გულმოდგინედ შეისწავლა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. მისმა მახვილმა თვალმა ტაძრის ერთ-ერთი კოშკის ბნელ კუნძულსაც მიაღწია, სადაც შეამჩნია, კედელზე ხელით ამოკვეთილი სიტყვა ბერძნულ ენაზე: ანანკე (ქართულად — ბედისწერა). „ამ სიტყვის სვედიანმა და საბედისწერო აზრმა ძალიან განაცვიფრა ავტორი“ და შეაქმნევინა ძვირფასი წიგნი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.

უბადლო ოსტატობით მხატვრულ სახეებში გადმოცემულია ბედისწერასთან ზეკრინების, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის იდეა, სათნოების, მშვენიერებისა

და სიყვარულის გარდამქმნელი, გამაჟეთილშობილებელი და ყოვლისშემძლე ძალა. სიკეთისა და წმინდა სიყვარულის გრძნობა, თვალისმომკრელი სილამაზისა და სიცოცხლით სავე ქალწულის ზილვა თვით მზეცისმაგვარ, ველურ და მახინჯ არსებას გარდაქმნის, ადამიანობის, სულიერი სისპეტაკისა და მშვენიერების სიმალღემდე აიყვანს, ყრუსა და თითქმის დამუნჯებულ ადამიანს სიყვარულისა და მშვენიერების საღიღებელ სიძვერასაც კი ათქმუენებს, მაშინ, როდესაც ავი გული, ანგარეზიანი და ვნებიანი სიყვარული, დემონური ძალა, ციებცხელებიანი წარმოსახვა, ავხორცი გრძნობები, ეგოიზმი და ექვიანობა მაღალი ინტელექტით დაჯილდოებულ, ფიცხი ბუნების ადამიანს ბოროტებას ჩაადენინებს და მცეცად აქცევს.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ იშვიათი ნიმუშია რომანტიზმისა და რეალიზმის შერწყმისა, „ისტორიის სიმართლისა“ და „წერლის სიმართლის“ ოსტატურად შეხამებისა.

ფრიად საყურადღებოა და საგულისხმო „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ განვითარებული ზოსაზრება ხელოვნებასა და კერძოდ კი ხუროთმოძღვრებაზე. როგორც რევოლუციური ეპოქის შვილი, ვიქტორ ჰიუგო ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებას განიხილავს ისტორიული განვითარების პროცესში. ხელოვნების ერთი ფორმა ცვლის მეორე ფორმას, ხდება განვითარება უდაბლესიდან უმაღლესისაკენ. ყოველი თაობის საკაცობრიო აზრი, მთავარი იდეა გამოსატყვის ახალ, ეპოქის შესაფერ წესსა და საშუალებას ეძებს და იძენს. ყოველ თაობას მთავარი იდეის გამოხატვის თავისი წესი და მასალა გააჩნია. დროთა მსვლელობაში ერთი ხელოვნება მეორეს ცვლის. ავტორის სიტყვით, „ქვეყნიერების ექვსი ათასეული წლის მანძილზე, ჰინდუსტანის ყველაზე უსსოვარი პავოდიდან კოლნის კათედრალამდე ხუროთმოძღვრება ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიადი დაწერლობა იყო“. „ნივთთა შექმნის დღიდან ქრისტიანული ერის მეთხუთმეტე საუკუნემდე ჩათვლით ხუროთმოძღვრება კაცობრიობის უდიდესი წიგნი, მთავარი მატანე იყო“. მეტადრე შუა საუკუნეებში საზოგადოების ყველა მატერიალური და ინტელექტუალური ძალა ხუროთმოძღვრებაში იყრიდა თავს. ღვთის ტაძართა აგების საბაბით ხელოვნებამ ბრწყინვალე განვითარებას მიადწია. „მაშინ ვინც კი პოეტად იბადებოდა, ხუროთმოძღვარი ხდებოდა“. ფეოდალიზმის მიერ ყოველმხრივ მშვიწროებული ხალხის გენია გზას ამ ხელოვნების საშუალებით იკაფავდა და თავის „ილიადებს“ კათედრალების ფორმით აქმნდა. ყველა დანარჩენი ხელოვნება ხუროთმოძღვრების კანონებსა და მოთხოვნებს ემორჩილებოდა და გვეუბოდა. ხუროთმოძღვარი, პოეტი, ოსტატი თავის პიროვნებაში აერთიანებდა ქანდაკებასაც, ფერწერასაც და მუსიკასაც.

პიუგოს აზრით, გუტენბერგამდე ხუროთმოძღვრება მთავარი და საყოველთაო დამწერლობა იყო. ეს გრანიტის წიგნი აღმოსავლეთმა დაიწყო, ბერძნულმა და რომაულმა ანტიკურობამ გააგრძელა და შუა საუკუნეებმა უკანასკნელი ფურცელი ჩაწერა.

მეთხუთმეტე საუკუნეში ადამიანის აზრმა გამარადისების უფრო ხანგრძლივი, უფრო გამძლე, უფრო მარტივი, ადვილი და უსასრულო შესაძლებლობის მქონე საშუალება, წიგნის ბეჭდვა აღმოაჩინა. წიგნის ბეჭდვის გამოგონება უდიდესი ისტორიული მოვლენა, რევოლუციათა შობელი დედა, კაცობრიობის აზრის გამოსახვეს სრულიად ახალი წესია. ადამიანის აზრი განიძარცვავს ძველ ფორმას და ახალი ფორმით აღიჭურვება. ნაბეჭდი სიტყვის სახით აზრი უფრო მარადი, წარუხიციელი გახდა, ვიდრე ოდესმე. მკვიდრი იყო და სიცოცხლის უნარიანი გახდა. „კაპუთა მოდგმას ორი წიგნი, ორი ნუსხა, ორი ანდერძი, ორი აღთქმა გააჩნია. ქვეთ ხუროთმოძღვრება და წიგნის ბეჭდვა, ბიბლია ქვისა და ბიბლია ქაღალდისა“.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნიდან ხუროთმოძღვრება თანდათან სუსტდება.

იგი აღარ არის საზოგადოების უმთავრეს იდეათა გამომხატველი. ძველი გოტიკის გენია მაინცის გიგანტური საბუქდი დაზგის მიღმა ჩაესვენა. „აი ამ ჩამავალ მუხს, — ამბობს ჰიუგო, — ჩვენ ალიონად მივიჩნევთ“. სუროთმოდღერების ბატონობისაგან თავისუფლდებიან სხვა ხელოვნებანი — ქანდაკება, ფერწერა, მუსიკა. „აი რამ წარმოშვა რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ჟან გუენი, პალესტრინა — ეს ბრწყინვალე მნათობები თვალისმომჭრელი მეთუქესმეტე საუკუნისა“.

ხელოვნებასთან ერთად გრანიტის გარისისაგან ყოველმხრივ თავისუფლდება ადამიანის აზრი.

როდესაც შუა საუკუნეების მზე ჩაესვენა და გოტიკის გენია სამუდამოდ გაქრა ხელოვნების ტანობზე, სუროთმოდღერებაც სულ უფრო და უფრო გამჭრქალდა, გახუნდა, დატკნა, წაიშალა. იგი შესავით ტიტვლდება, ფოთლები სცივია, ზეზუურად ტკნება და მკლევდება, აღარაფერს გამოხატავს, თვით მოგონებასაც კი სულ სხვა დროთა ხელოვნებაზე. ადამიანის აზრსაც მიატოვა იგი, შავ მუშებსა და ხელოსნებს, ქვის მთელეებს მოუხმობს საშველად ხელოვნათა ნაკლებობის გამო. სუროთმოდღერული ფორმა სულ უფრო და უფრო იშლება, ქრება და წინ წამოიჭრება გეომეტრიული ფორმა, როგორც ავადმყოფის დამკლევებულ სხეულზე ჩონჩხის ძვლები. ხელოვნების ლამაზი სახეები ადგილს უთმობენ გეომეტრიის ცივსა და უღმობელ ხაზებს. შენობა შენობას აღარ ჰგავს, იგი უფრო მრავალწახანგა სხეულია. ამავე დროს სუროთმოდღერება ამაოდ წვალობს და ფაროს ეს სიტიტველ. ვიქტორ ჰიუგომ გენიალურად განჭვრიტა თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლეთის სუროთმოდღერების გამიშვლებული გეომეტრიული ფორმები, გიგანტური კუბებივით ერთმანეთზე აჩხორილი ტიტველი კედლები.

„სუროთმოდღერება მოკვდა, მოკვდა და აღარ დაბრუნდება“, — დაასკვნის გულგატეხილი მწერალი. — ჩვენი მამა-პაპანი ქვის სასახლეებში ცხოვრობდნენ, ჩვენის შვილიშვილები ალბათ თაბაშირის სახლებში იცხოვრებნო.

„ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სუროთმოდღერება ხან აქ, ხან იქ აღარ შექმნის მშვენიერ ძეგლებს, ხელოვნების თბოლ მარგალიტებს. დროდადრო, თვით წიგნის ბეჭდვის ბატონობის ხანაშიც შეიძლება აღმართონ სვეტები გადამდნარი ზარბაზნებისაგან მთელი არმიის გამოყენებით“, — შენიშნავს ირონიულად ვ. ჰიუგო.

„დიად შემთხვევას მეოცე საუკუნეშიც შეუძლია მოულოდნელად წარმოშვას გენიალური სუროთმოდღერარი, ისე როგორც მეცამეტე საუკუნეში დანტე“. მაგრამ სუროთმოდღერება ვეღარ იქნება საზოგადოებრივი, ერთობლივი, გაბატონებული ხელოვნება. დიადი პოემა, დიადი აზრი, დიადი შენობა, კაცობრიობის დიადი ქმნილება აღარ აიგება, იგი დაიბეჭდება. მაგრამ მწერალი ამასთან დაუმატებს, ნეტავ მომავალმა სულ გააქარწყლოს ჩემი შიში, ჩემი აზრი სუროთმოდღერების სიკვდილზეო. ყოველ შემთხვევაში, მოუხმობს იგი, ახალი ძეგლების მოლოდინში დავიცვათ ძველი ძეგლები, შეძლებისდაგვარად ხალხს შთაავაგონოთ ეროვნული სუროთმოდღერების სიყვარული, ვამხილოთ უამრავი შებღალჯანი, ნგრევა. სწორედ ეს არისო. აცხადებს მწერალი, ამ წიგნისა და თვით. მისი ავტორის ცხოვრების მთავარი მიზანი.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მოქმედ პირთა შორის პირველად უნდა დანასახელით ბოშა ქალი — ესმერალდა. ესმერალდა სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე გოგონაა, მკვირცხლი, მოუსვენარი, ხალისიანი. იგი ცხოვრების პოეზიაა. ის მუდამ ხალხთან არის, მასთან ცხოვრობს. ესმერალდა პარიზის ქუჩების მშვენება და დიდებაა. ის თავისი „ნასწავლი“ თხით სახალხო მხიარულებისა და გართობის წყაროა. მისი გამოჩენისთანავე ადამიანთა ჟივილ-ხივილი ავსებს პარიზის ქუჩებს. ესმე-

რალდას თავისი საკუთარი წარმოდგენა აქვს ცხოვრებაზე, უყვარს თავისუფალი, უდარდელი სიცოცხლე, გართობა. ის თავისი მდიდარი ბუნებით უპირისპირდება ქრისტიანულ-კათოლიკურ მორალს, ზიზღით უცქერის ასკეტურ ცხოვრებას. ესმერალდა სილამაზისა და კეთილშობილების განსახიერებაა.

ესმერალდა მოსწონს ორ ადამიანს: პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის არქიდიაკონს, ასკეტსა და პირქუშ ეგონისტს კლოდ ფროლოს და ამავე ტაძრის ზარების მრეკველს, ფიზიკურად მახინჯს, მაგრამ ალაღმართალსა და სულიერად ფაქიზ კვაზიმოდოს.

კლოდ ფროლოს უყვარს ესმერალდა, მაგრამ ეს სიყვარული საბედისწერო, ეგოისტურია, მდაბალი, ქვენა ინსტიქტებს, ველურ ენის დაქვემდებარებული. ეს არის ყველგან და ყველაფერში რწმენადაკარგული ადამიანის სიყვარული, რომელიც იმდენად საშინელია, რომ ბოროტად აქცევს მას, დანაშაულს აღენიებებს, მიჰყავს იგი გამცემლობამდე და მკვლელობამდე.

კვაზიმოდო ვიქტორ ჰიუგოს სტილისათვის დამახასიათებელი რომანტიკულ-რეალისტური სახეა.

კვაზიმოდოს, ამ ფიზიკურად მახინჯს, გარეგნულად მხეცისმაგვარ არსებას, გემზარიტი ადამიანური გრძნობით უყვარს ესმერალდა. მისთვის მთავარი არის არა პირადი ვნებები, არა საკუთარი თავის დატკობა, არამედ იმისი სიამოვნება, იმისი სიხარული და ბედნიერება, ვინც მას უყვარს. კვაზიმოდო ყველაფერს ჩადის ესმერალდას სიყვარულისათვის, თავსაც კი სწირავს საყვარელ არსებას. როცა საბრალო კვაზიმოდო ესმერალდას შეხვდა, კიდევ უფრო ძლიერ იგრძნო თავისი სიმახინჯე. სწორედ ამის გამო ეუბნება სენაკში შეფარებულ ესმერალდას: „თქვენ, თქვენ მზის სხივი ხართ, ნამი ვარდისა, სიმღერა ჩიტისა, მე კი, მე რაღაც საზარელი, არც ადამიანი, არც ცხოველი, მე არც კი ვიცი რა ვარ, მე უფრო ტლანქი, მძიმე, გათელილი, ფეხით გასრესილი, მახინჯი და უსახური ვარ, ვიდრე რიყის ქვა!.. მე შიშს გგვრით? ძალიან უშნო ვარ, არა? ნუ შეხუდავთ. მხოლოდ მისმინეთ, დღისით აქ დარჩით. ღამთაღამოთ მთელს ეკლესიაში შეგიძლიათ ისეირნოთ. მაგრამ, არც დღისით, არც ღამით ეკლესიიდან არ გახვიდეთ, მაშინ დალუქული ხართ. თქვენ მოგვლავენ, მეც მოგვკვდები“.

ანდა, როცა დილით გაღვიძებულმა ესმერალდამ კვაზიმოდოს შემზარავი სახე დაინახა და შეშინებულმა თვალები დახუჭა, კვაზიმოდომ უთხრა: „ნუ გეშინიათ, მე თქვენი მეგობარი ვარ, მოვედი მენახა, როგორ გძინავთ. მართლაც, თქვენ ხომ არაფერს გახვებთ, რომ მოვიდე, გნახოთ როგორა გძინავთ, განა ასე არ არის? თქვენ რა, თუ მე აქ ვიქნები მაშინ, როდესაც თქვენ თვალები დახუჭული გაქვთ? ახლა წავალ. აი, შეხედეთ, კედელს ამოვფარე. შეგიძლიათ თვალები გაახილოთ“. ბუნებით მორჩილი, კლოდ ფროლოს ძალღივით ერთგული მსახური და ლაქია კვაზიმოდო ესმერალდას სილამაზე ადამიანად აქცია, ამიერიდან ის მონა კი აღარ არის, არამედ მორალური სისპეტაკისა და სამართლიანობის განსახიერებაა.

ესმერალდამ გაუგო კვაზიმოდოს და ებრალებოდა, მაგრამ მისი ალაღმართალი გული წრფელი სიყვარულით შესტრფის გარეგნულად ლამაზ, უდარდელ კაპიტან ფებუსს. შეყვარებული გული ხომ ყშირად ბრმაა, ესმერალდასაც სჯერა ფებუსის სიყვარული. სწორედ ამიტომ წერს ვიქტორ ჰიუგო: „სიყვარული ჰგავს ხეს, იგი თავისუფლად იზრდება ჩვენს არსებაში და ხშირად განადგურებულ გულშიაც კი განაგრძობს მწვანედ ხასხასს“.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ დაანახვოს მკითხველს კვაზიმოდოს კეთილშობილება, ვიქტორ ჰიუგო არ იბრალებს თავის საყვარელ გმირს და საცოდავ ესმერალდას საშინლად აწამებს. კონტრასტებში ყველაზე ნათლად შეიძლება დაინახოს ადა-

მიანმა გმირის ბუნება. ამიტომ არის კონტრასტების ეს ვირტუოზი მწერალი ასეთი სიძლიერით რომ აღწევს უდიდეს ემოციებს. ამავე კონტრასტების წყალობით ასე ჭარბად და წარუშლელად არის დახატული კლოდ ფროლოსა და კაპიტან ფებუსის სახეები.

განა მკითხველს ეს ამქვეყნად მოვლენილი ზღაპრული ურჩხული კვაზიმოდო იმიტომ არ უყვარს, რომ არააღამიანურ ტანჯვას ატანინებს ავტორი?

ვიქტორ ჰიუგომ დაგვანახვა, რომ „ყველაზე კეთილშობილი გრძნობის გამომხატველი არიან არა საზოგადოების ზედა ფენების წარმომადგენლები, როგორც მაგალითად, კარდინალი ბურბონელი, ფებუს დე შატოპერი, დე გონდლორიეს ოჯახი, არამედ ხალხიდან გამოსული ადამიანები: ესმერალდა, კვაზიმოდო.

თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხი ნწერალს პასიურ მკვრეტელად, უქნარად კი არ ჰყავს გამოყვანილი, არამედ მებრძოლ ძალად, რომელსაც შესწევს ღონე და უნარი ბოლომდე იბრძოლოს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

შუა საუკუნეებზე სხვა რომანტიკოსებიც ბევრს წერდნენ, მაგრამ ამ ეპოქისადმი ვიქტორ ჰიუგოს დამოკიდებულება პრინციპულად განსხვავდება რეაქციულ-კონსერვატული რომანტიკოსების დამოკიდებულებისაგან.


რომანი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ სცილდება ისტორიული რომანის ფარგლებს, თანამედროვე სინამდვილესთან ის მკიდროდ არის დაკავშირებული, გამსჭვალულია ანტიფეოდალური და ანტიკლერიკალური განწყობილებებით და ნიანწრაფებებით. რომანი აღსავსეა დემოკრატიული, ჰუმანური ტენდენციებით, მასში ძლიერ იხმის სიყვარული ამ ცხოვრებისადმი, მისწრაფება უკეთესი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ.

შეიძლება ითქვას, რომ ძნელია მოიძებნოს მსოფლიო ლიტერატურაში მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც ესოდენი ღრმა ცოდნით და სიყვარულით, ესოდენი შთაგონებითა, ნათელილივით და ცოცხლად წარმოედგინოს მშობლიური ქალაქის და იმ ტაძრის სურათი, სადაც მოქმედება იშლება.

გროტესკის თეორიის შემქმნელის, კონტრასტების უბადლო ოსტატის ვიქტორ ჰიუგოს აზრით ცხოვრება არის სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის, სამართლიანობისა და უსამართლობის, სიყვარულისა და სიძულვილის ბრძოლის ზრენა. ამ ბრძოლის პროცესს ნწერალი იხილავს ისტორიულ ასპექტში და გამოთქვამს რწმენას, რომ ცხოვრება თანდათან მიემართება წინ და მალა: ბოროტებიდან სიკეთისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ, უსამართლობიდან სამართლიანობისაკენ, სიძულვილიდან სიყვარულისაკენ, სიმახინჯიდან მშვენიერებისაკენ.

როგორც ბევრი სხვა დიდი ნწერლის შემოქმედებაში, ისევე ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებაშიც ძნელია კაცმა ამოიჩინოს ერთი რომელიმე საუკეთესო და ყველაზე დახვეწილი მხატვრული კმნილება. თითქმის ყველა მისი ნაწარმოები გენიალურია და ჰუმანიტეტ შედევრს წარმოადგენს, თითქმის ერთნაირად ძლიერი და შესანიშნავია, მაგრამ პირობითად მაინც, შეიძლებაოდა ვ. ჰიუგოს რომანებიდან თავისი სპეციფიკით, თავისებურებით, დახვეწილობით, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ წინ დაგვეყენებინა. ამ რომანმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიქტორ ჰიუგო მიაკუთვნა იმ დიდ ადამიანთა სახელოვან პლეადას, რომელთაც არა მარტო თავიანთი დროის იდეების მწვერვალზე ასვლა შესძლეს, არამედ ნაციონალური საზღვრები გადალახეს და მსოფლიოს გულში შეიჭრნენ, ყველა დროისა და ხალხის უსაყვარლეს მწერლებად იტნენ.

დოც. დ. შანჩულიძე



ამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც ამ წიგნის ავტორმა ინახულა. ანუ. უკეთ რომ ვთქვათ, გამოიკვლია პარიზის ლუთისმშობლის ტაძარი და ერთ-ერთი კოშკის ბნელ კუნჭულში შეამჩნია კედელზე ხელით ამოკვეთილი სიტყვა:

'ΑΝΑΓΚΗ *.

ამ ბერძნულმა ასომთავრულმა წარწერამ, რომელიც საკმაოდ ღრმად იყო ამოჭრილი ქვაზე და ხანდაზმულობისაგან გაშავებულიყო, გოტიკური კალიგრაფიისათვის დამახასიათებელმა რაღაც თავისებურმა ნიშნებმა, რაც მათ ფორმასა და განლაგებაში აღბეჭდილიყო და თითქოს ააშკარავებდა, რომ ისინი შუა საუკუნეებში უნდა დაეწერა ვილაცის ხელს, მეტადრე ამ სიტყვის შავბნელმა და საბედისწერო აზრმა, ძალიან განაცვიფრა ავტორი.

იგი თავის თავს ეკითხებოდა, ცდილობდა გამოეცნო. ვისმა ტანჯულმა სულმა არ მოისურვა დაეტოვებინა ეს ქვეყანა ისე, რომ დანაშაულისა თუ უბედურების დაღი არ აღებეჭდა ამ უძველესი ტაძრის შუბლზე.

მას შემდეგ ეს კედელი (ალარც კი მახსოვს, რომელი) შეღებეს თუ ჩამოფხიკეს, და წარწერაც გაქრა. აგერ თითქმის ორასი წელიწადია, რაც ასე ეპყრობიან შუა საუკუნეების შესანიშნავ ეკლესიებს. მას ასახიჩრებენ ყოველმხრივ, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. მღვდელთ

* ანაკე (ბერძნ.) — ბედისწერა.

ღებავს, ხუროთმოძღვარი ფხეკს. მერმე, მოულოდნელად გამოჩნდება ხალხი და დაანგრევს კიდეც.

და აი, გარდა ნაზი მოგონებისა, რომელსაც ამ წიგნის ავტორი მიუძღვნის მას, დღეს აღარაფერი დარჩენილა, არც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის პირქუშ კოშკზე ამოკვეთილი იდუმალი სიტყვისაგან და არც იმ უცნობი ბედისწერისაგან, რასაც იგი ესოდენ სევდიანად გამოხატავდა. ადამიანი, რომელმაც ეს სიტყვა კედელზე დაწერა, რამდენიმე საუკუნეა თაობათა რიცხვიდან ამოიშალა, სიტყვაც გაქრა ეკლესიის კედლიდან და თვით ტაძარიც შეიძლება სულ მალე აღიგავოს პირისაგან მიწისა.

სწორედ ამ სიტყვამ შექმნა ეს წიგნი.

თებერვალი 1831.

შენიშვნა

დანართი 1832 წლის გამოცემისა

შეცდომით გამოაცხადეს, ამ გამოცემას რამდენიმე ახალი თავი დამატებული; უნდა თქმულიყო კი — გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ი თავი. მართლაც, თუ ახალ თავებზედ ესმით ხ ე ლ ა ხ ლ ა დაწერილი, მაშინ ამ გამოცემისათვის დამატებული თავები არ შეიძლება ახლებზედ ჩაითვალოს. ისინი მთელ დანარჩენ თხზულებასთან ერთად ერთსადაიმთხვე დროს დაიწერა, იმავე ეპოქით თარიღდება, იმავე აზრიდან გამომდინარეობს და მუდამ „პ ა რ ი ზ ი ს ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ტ ა ძ რ ი ს“ . ხელნაწერის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა. უფრო მეტიც, ავტორს ვერც კი წარმოუდგენია, ვერ გაუგია, როგორ შეიძლება ამგვარ თხზულებას შემდეგ დაწერილი ახალი თავები ჩაემატოს. ეს ვინმეს ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული. რომანი, ავტორის აზრით, გარკვეული აუცილებლობის ძალით ერთბაშად ჩნდება მთელი თავისი თავებით, დრამა ერთბაშად იბადება მთელი თავისი სცენებით. არ იფიქროთ, თვითნებურად შეიძლება შეცვალოთ შემადგენელ ნაწილთა რაოდენობა ამ ერთი მთლიანი რაღაცისა, ამ საიდუმლო მიკროკოსმოსისა, რომელსაც თქვენ დრამას ან რომანს უწოდებთ. ამგვარ ნაწარმოებებზე დამყნობა ან დარჩილვა-შედულება ცუდად ხდება. ისინი ერთბაშად უნდა ჩამოიქნას, ჩამოყალიბდეს ერთი გარკვეული ფორმით და შეინარჩუნოს იგი. რაკი ერთი და ერთი შეიქმნა ნაწარმოები, ნუ იფიქრებთ მის შეცვლას, ნუ შეასწორებთ. რაკი წიგნი გამოქვეყნდა, რაკი სქესი ამ თხზულებისა, მამრობითი თუ მდედრობითი, უკვე აღიარებულია და საქვეყნოდ გამოცხადებული, რაკი ბავშუს თავისი პირველი კვილი აღმოსდა, ის უკვე დაბადებულია, ის უკვე არსებობს, ის შექმნილია ისე, როგორც არის, და ვერც მამა და ვერც დედა მას ვეღარ შეცვლის, ის უკვე ჰაერსა და მზეს ეკუთვნის, დაე იცოცხლოს ან მოკვდეს ისე, როგორც არის. თქვენი წიგნი უხეიროა? მით უარესი. ნუ მიუმატებთ უხეირო წიგნს თავებს. იგი სრული არ არის? სრული უნდა ყოფილიყო ჩასახვისთანავე. თქვენი სე მრუდეა? ვეღარ გაასწორებთ. თქვენი რომანი მკლეა, ჭლექიანია? არ არის სიცოცხლისუნარიანი? თქვენ ვერ შთაბერავთ იმ სულს, რომელიც არ გააჩნია? თქვენი დრამა კოჭლი დაიბადა? დამიჯერეთ, ნუ შეუყენებთ ხის ფეხს.

ამრიგად, ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ საზოგადოებამ არ იფიქროს, თითქოს აქ დამატებული თავები სწორედ ამ ახალი გამოცემისათვის ყოფილიყოს დაწერილი. თუ ისინი ამ წიგნის წინა გამოცემებში ვერ გამოქვეყნდა, სრულიად უბრალო მიზეზით. იმ ხანებში. როდესაც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ პირველად იბეჭდებოდა, რვეული, რომელიც ამ სამ თავს შეი-

ცავდა, დაიკარგა. საჭირო იყო მათი ან ხელახლა დაწერა, ან გამოტოვება. ავტორმა ასე იმსჯელა: ორი თავი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ თავიანთი მოცულობით, ხელოვნებასა და ისტორიაზე დაწერილი თავებია და ამიტომ სულ არ ესება დრამისა და რომანის დედაარსს; საზოგადოება ვერ შეამჩნევს მათ გაქრობას და მხოლოდ ავტორს ეცოდინება ამ ხარვეზის საიდუმლოება, ამიტომ მან გადწყვიტა ისე გამოშვება. გარდა ამისა, უნდა გამოტყდეს, რომ სიზარმაცემ ხელი ააღებინა ამ სამი დაკარგული თავის ხელახლა დაწერის ცდაზე. უმაღლესად ახალ რომანს დაწერდა.

ამჟამად სამივე თავი ნაპოვნია და ავტორი სარგებლობს პირველივე შემთხვევით თავის ადგილას ჩაურთოს ისინი.

ამრიგად, ახლა ჩვენს წინაშეა მთელი თხზულება იმ სახით, როგორც იგი განზრახული, მოსაზრებული და შექმნილი იყო, ავი თუ კარგი, დღევრძელი თუ დღემოკლე, მაგრამ სწორედ ისეთი, როგორც მას სურდა.

უეჭველია, ნაპოვნ თავებს მცირე ღირებულება ექნება იმ ადამიანთა თვალში, რომლებიც, თუმცა შეიძლება ძალიან განმსჯელი და გონიერნიც არიან, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ მხოლოდ დრამას, მხოლოდ რომანს ეძებენ. მაგრამ შესაძლებელია გამოჩნდნენ ისეთი მკითხველებიც, რომლებიც უსარგებლოდ არ მიიჩნევენ ჩასწვდენ ამ წიგნში დღევრძელ ესთეტიკურ და ფილოსოფიურ აზრს, რომლებიც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ კითხვის დროს სიამოვნებით მოისურვებენ, ამ რომანში გარდა რომანისა სხვა რამ დაინახონ და მიაკვირონ, — დაე მოგვიტეონ ცოტა არ იყოს მედიდური გამოთქმა, — ისტორიკოსის სისტემა და ხელოვანის მიზანი, გატარებული პოეტის ავსა თუ კარგ ქმნილებაში.

უმთავრესად სწორედ ასეთი მკითხველებისათვის შეაესებს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ ამ გამოცემაში ჩამატებული თავები, თუკი მივიჩნევთ, რომ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ საერთოდ ღირდა იმ შრომად, რომ შეესებულებოდა.

ერთ-ერთ თავში ავტორი გამოთქვამს და ავითარებს, სამწუხაროდ, მასში ღრმად ჩანერგილ და მრავალჯერ მოფიქრებულ აზრს თანამედროვე ხუროთმოძღვრების დაცვაზე და, მისი შეხედულებით, ამ მეფური ხელოვნების დღეს თითქმის გარდუვალ სიკვდილზე. მაგრამ ის გრძნობს საჭიროებას აქვე განაცხადოს თავისი მსურველ სურვილი, ნეტავ, მომავალმა სულ გააქარწყლოს მისი აზრი და ცხადპყოს მისი მცდარობა. მან იცის, რომ ხელოვნებას, ყოველი მისი ფორმით, შეუძლია ყველაფრის იმედი ჰქონდეს მომავალი თაობების მხრივ, რომელთა გენია ჯერ კიდევ ჩანასახის სახით იჩენს თავს ჩვენს სახელოსნოებში. მარცვალი უკვე ჩაგდებულია ხნულში და მოსავალიც უეჭველად კარგი იქნება. ის მხოლოდ შიშობს, — და რატომ შიშობს, ეს შეიძლება ნახოთ ამ გამოცემის მეორე ტომში, — ვაითუ ცხოველმყოფელი წვენი გამოიფიტოს ხუროთმოძღვრების ამ ძველი ნიადაგიდან, რომელიც ამდენი საუკუნეების მანძილზე ხელოვნებისათვის საუკეთესო საფუძველს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, დღეს ახალგაზრდა ხელოვანთა თაობაში მაინც იმდენი სიცოცხლე, ძალა და, ასე ვთქვათ, წინასწარდასახულობაა, რომ, კერძოდ ჩვენს ხუროთმოძღვრების სკოლებში, მეტადრე ამჟამად, საძულველი პროფესორები, არათუ თავიანთდა უცოდნელად, არამედ საკუთარი ნება-სურვილის მიუხედავადაც, შესანიშნავ მოწაფეებს ზრდიან, იმ მეთუნის მსგავსად, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო აზრით, რომელზეც პორაციუსი* ლაპარაკობს. ამ მეთუნეს აზრად ამფორები ჰქონდა და პატარა ქოთნები კი გამოსლირდაო — *curril rota, urceus exit* *.

* დაზგა ტრიალებს, სურა გამოდის (ლათ.).

მგერამ ყოველ შემთხვევაში, როგორც უნდა იყოს სურთომოდღერების მომავალი, როგორც უნდა გადაწყვიტონ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ახალგაზრდა არქიტექტორებმა თავიანთი სელოვნების საკითხი, ახალი ძეგლების მოლოდინში, და ვიცეთ ძველი ძეგლები. შეძლებისდაგვარად ხალხს შთაუვატონოთ ფროენული სურთომოდღერების სიყვარული. სწორედ ამისა ავტორის გასცხადებით ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, სწორედ ამისა მისი ცსოვრების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ შესაძლებელია დასახულია რამდენიმე სწორი შეხედულება: შუასაუკუნეების სელოვნებაზე, ამ საკვირველ სელოვნებაზე, რომელიც დღემდე ჯერ კიდევ უცნობია ზოგისთვის, და რომელსაც, რაც კიდევ უფრო უარება, არ ცნობენ მეორენი. მგერამ ავტორი მეტად დაშორებულა იმ აზრს, რომ თავის წინაშე სებაყოფლობით დასმული ამოცანა დამთავრებულად ჩათვალოს. მას უკვე არაერთხელ ჰქონია შემთხვევა დაეცვა ჩვენი ძველი ხელოვნების საკუთრივ სმამაღლა ემზილებინა უამრავი შეზღაღვანი, ნგრევა, მგრესელობა და უღეთობა. იქ არ მოიღლება, მან კისრად იღო ხშირად დაუბრუნდეს ამ საგანს, და დაუბრუნდებ კიდევ. ჩვენი ისტორიული შენობების დაცვაში იმდენადვე დაუღელი იქნება, რამდენადვე ჩვენი სეოლებისა და აკადემიების ხატებრძოლნი გაშმაგებით ესხმიან მათ თავს. რადგან ფრად სამწუნაროა, როცა ხედავთ, ვის ჩაუვარდა ხელში შუასაუკუნეების სურთომოდღერება და როგორ დაუღევრად ეპყრობიან თანამედროვე თხუნიზ მებათქაშენი დიადი სელოვნების ნაშთებს. ეს ხომ ჩვენთვის, შეგნებული ადამიანებისთვის სირცხვილია, როდესაც შევეურებთ, რას შერებიან ისინი და მარტო გაეცხება ვეჯრდებით. აღარათერს ვამბობთ, რა სდება პრიონიციაში, შესეღეთ, რა ხდება თვით პარიზში, ჩვენი კარ-ფანჯარის წინ, დიდ დედაქალაქში, კულტურის, სიტყვა-კაზმული მწერლობის ქალაქში, პრესის, სიტყვის, აზრის სამკვიდრებულში. ამ შენიშვნის დამთავრებისას არ შეუვიძლია წინაღუღევთ სურვლის და არ აღენიშნოთ ვანდალიზმის ის ზოგიერთი გამოვლენა, რომელსაც ყოველდღე გეგმავენ, განიხილვენ, იწყებენ, აგრძელებენ და დამშვიდებით ნიპყავთ ბოლომდე ჩვენ თვალწინ, პარიზის სელოვნების მოყვარული საზოგადოების თვალწინ, ამგვარი თავხედობის წინაშე გაწინილებული კრიტიკის პირისპირ. ახლასან დაანგრეთ საარქიუპისკოპოსო სასაღე, უბადრუკი, მდარე გემოვნების შენობა, — ეს კიდევ არ არის დიდი ბორტება, — მგერამ ამ საარქიუპისკოპოსო სასახლესთან ერთად ანგრევენ მეთოთხმეტე საუკუნის იშვიათ ნაშთს, ეპარქიის შენობას, რომელიც არქიტექტორ-დამანგრეველ სთვებისაგან ვერ გაურჩევი. მან ღვარდთან ერთად პურის თავთავიც ამოღოკა. ვთქვათ, ეს სულ ერთია. ახლა ლაპარაკობენ ვენისის¹ საუცხოო საშლოცველის აღებაზე, რათა მისი ქუბითა აავონ რადე სიმაგრე. რომელიც დომენილსაც² კი არ დასჭირვებია. იმ დროს, როდესაც დიდ ხარჯების ფასად შეაკეთებენ და აღადგენენ ხურბონთა სასახლეს, ამ უწიო ქონხმას, ბუნიობის ქარებს ამსხვრევინებენ სენ-შაპელის³ დიდებულ ვიტრაჟებს. უკვე რამდენიმე დღეა სენ-ჟაკ-დელ-ლა-ბუშრის⁴ კოშკი სარაჩივებშია ჩასმული. ერთ დილას იქ წერაქვი ამუშავდება. გამოჩნდა ვიღაც კალატოზი, რომელმაც მართლმსაჯულების სასახლის ღირსპატივისცემი კოშკებს შორის თეთრი სახლუკა ააშენა. გამოჩნდა მეორეც, რათა დაეკოღა, დაესაჭურისებინა სენ-ჟერმენ-დუ-პრე, სამ სამრეკლოანი ფეოდალური სააბატო⁵. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, რომ ახლა გამოჩნდება სხვა, რომელიც სულაც მოსპობს სენ-ჟერმენ-ლ'ოქსერუას⁶. ყველა ამ კალატოზს, არქიტექტორების სახელს რომ ჩემულობენ და აკადემიკოსთა მწვანე ფრაკები აცვიათ, საოლქო ან საუბნო სამმართულოები ჯამაგირს უხდიან.

ჩსინი სჩადიან ყოველგვარ ბოროტებას, რაც კი შეუძლია სიყალბემ ჭეშმარიტ გემოვნებას მიაყენოს. აი ამ საათს, როდესაც ჩვენ ამას ვწერთ, უფრო სატირალი და საწუნხარო სანახაობა იმლება თვალწინ: ერთ-ერთი იმ კალატოზთაგანი ტიურილი-ში! ჩამჯდარა და ფილიბერ დელორმის² კმნილებას მშვენიერ სახეს უსერავს. ცხადია, ჩვენი დროისთვის არა ნაკლებ სამარცხვინოა, როცა ვუყურებთ, როგორ ურცხვად იტყლარჭება ამ ვაჟბატონის ტლანქი არქიტექტურა ალორძინების ეპოქის ერთ-ერთი უფაქიზესი შენობის მთელ ფასადზე.

პარიზი, 20 ოქტომბერი 1832,

..

ნ ი ო ნ ი

წი რ ე ე ლ ი

. 1

დიდი ღარბაზი



წორედ დღეს შესრულდა სამასორმოცდარვა წელი, ექვსი თვე და ცხრამეტი დღე მას შემდეგ, რაც პარიზელები გააღვიძა ზარების რეკვამ, რომელიც გუგუნით ეფინებოდა სამივე უბნის — სიტეს, უნივერსიტეტისა და ქალაქის! ზღუდეებს.

მაგრამ ამასთან ეს დღე, 1482 წლის 6 იანვარი, სრულიადაც არ იყო ისეთი თარიღი, რომლის შესახებ ისტორიას რაიმე მოგონება შემოენახოს. ღირსშესანიშნავი არაფერი იყო არც იმ ამბავში, რამაც დილიდანვე ასე აამოძრავა ზარები და პარიზის მოქალაქენი. ამ დღეს არ ყოფილა არც პიკარდიელთა ან ბურგუნდიელთა იერიში², არც პროცესია წმინდანთა ნაწილებით, არც მოსწავლეთა ამბოხება ლაასის ქალაქში, არც „ჩვენი მრისხანე მბრძანებლის ბატონ მეფის“ მობრძანება, არც ქურდ კაცთა და ქალთა სასეირო ჩამოხრჩობა პა-

რიზის მართლმსაჯულების მიერ, არც ფერად-ფერად ტანსაცმელში მოპრანკული, სირმებით, ფრთებითა და ჯიღებით მორთულ-მოკაზმული რომელიმე საელჩოს მოულოდნელი გამოჩენა, რაც ასე ხშირი იყო მეთხუთმეტე საუკუნეში. სულ რაღაც ორი დღის წინ პარიზში ჩამოვიდა ამგვარ მხედართა უკანასკნელი ჯგუფი: ესენი იყვნენ ფლამანდიელი ელჩები; მათ დავალებული ჰქონდათ დაექორწინებინათ ტახტის მემკვიდრე და მარგარიტა ფლანდრიელი¹, რაც ფრიად აღონებდა კარდინალ ბურბონელს, რომელიც მეფის საამებლად იძულებული იყო ფარული გულისტკივილით თავაზიანად მიედო გაუთლელი ფლამანდიელი ბურგომისტრების ეს ხროვა და თავის ბურბონის სასახლეში — „ფრიად მშვენიერი მორალიტეს, სახუმარო სატირისა და ფარსის“ წარმოდგენით გამასპინძლებოდა, მაშინ როდესაც სასახლის შესასვლელში დაფენილ მის საუცხოო ნოხებს შხაპუნა წვიმა ასველებდა.

6 იანვარი, რომელმაც „პარიზის მთელი მდაბიო ხალხი აადგელვა“, როგორც შენ დე ტრუა² ამბობს, — იყო უხსოვარ დროიდან დაწესებული ორმაგი დღესასწაული — ნათლისღების დღე და ქილიკების ზეიმი.

ამ დღეს გრევის მოედანზე სადღესასწაულო ცეცხლი უნდა აენთოთ, ბრაკის სამლოცველოსთან მაისის ხე დაერგოთ და მართლმსაჯულების სასახლეში მისტერია წარმოედგინათ. ეს ამბავი ჯერ კიდევ წინა დღით ყველა გზაჯვარედინზე საჯაროდ აუწყეს ბუკითა და ნაღობით ბატონ პრევოს³ გზირებმა, რომლებიც იისფერი კამლოტების ლამაზ ქურთუკებში იყვნენ გამოწყობილნი და რომელთაც მკერდზე დიდი თეთრი ჯვრები ეკიდათ.

მოქალაქეებმა, ქალმაც და კაცმაც, სახლები და ღუქნები მიკეტეს და დილიდანვე ყოველი მხრიდან გუნდ-გუნდად გაუდგნენ გზას სამი ზემოხსენებული ადგილისაკენ. ვინ ილუმინაციის საყურებლად გაეშურა, ვინ მაისის ხისაკენ წავიდა, და ვინ მისტერია არჩია. თუმცა პარიზელი მცონარა დოყლაპიების ძველთაგან ქებული საღი აზრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბრბოს უდიდესი ნაწილი გაეშურა ილუმინაციისაკენ, რომელიც სავსებით შეეფერებოდა წელიწადის ამ დროს, ან მისტერიისაკენ, რაც კარგად დაცული და დახურული სასახლის დიდ დარბაზში უნდა წარმოედგინათ. ცნობისმოყვარეებმა ყველამ ერთად მიატოვა გასათოშად იანვრის ცის ქვეშ ბრაკის სამლოცველოს სასაფლაოზე ჯერ კიდევ შეუფოთლავი საცოდავი ხე მაისისა.

მეტადრე ბევრი ხალხი მიაწყდა მართლმსაჯულების სასახლისაკენ მიმავალ ხეივნებს, რადგან იცოდნენ, რომ ორი დღის წინ ჩა-

მოსულ ფლამანდიელ ელჩებს განზრახული ჰქონდათ, დასწრებოდნენ მისტერიის წარმოდგენას და ქილიკების პაპის არჩევას, რაც, აგრეთვე, დიდ დარბაზში უნდა მომხდარიყო.

ადვილი საქმე არ იყო იმ დღეს დიდ დარბაზში შეღწევა, თუმცა მაშინ იგი ყველაზე დიდ დახურულ ნაგებობად ითვლებოდა დედამიწის ზურგზე (მართალია, მაშინ სოვალს¹ ჯერ კიდევ არ გაეზომა მონტარჯის ციხე-კოშკის დიდი დარბაზი).

ფანჯრებიდან მაყურებლებს მართლმსაჯულების სასახლის წინ ხალხით გაქედილი მოედანი წარმოუდგებოდა მღელვარე ზღვად, რომლისაკენაც ხუთი თუ ექვსი ქუჩა — მდინარეთა შესართავეების მსგავსად — ყოველ წუთს ადამიანთა თაეების ახალ-ახალ ტალღას ერეკებოდა. ხალხის ეს ტალღა შეუჩერებლივ იზრდებოდა და ეხეთქებოდა სახლების კუთხეებს, რომლებიც მაღალი კონცხებივით აქა-იქ წინ წამოწეულიყო მოედნის უსწორმასწორო აუზში. მართლმსაჯულების სასახლის მაღალი გოტიკური* ფსაღის ცენტრში დიდ კიბეზე შეუწყვეტლივ ადიოდა და ჩადიოდა ორ ნაკადად ხალხის ბრბო, რომელიც შემდეგ შუა ბაქანს ქვემოთ იყოფოდა, ვრცელ ტალღებად იშლებოდა ორ გვერდით ჩასასვლელზე და ამ უზარმაზარ კიბეზე ისე შეუფერხებლად ეშვებოდა მოედნისაკენ, როგორც ჩანჩქერი ტბისაკენ. ყვირილ-სიცილი და ათასობით ფეხების ბრაგაბრუვა საშინელ ხმაურსა და ღრინაცელს ქმნიდა. დროდადრო ეს ხმაური და ღრინაცელი ერთიორად ძლიერდებოდა. ხალხის მდინარება, რომელიც მთელ ამ ბრბოს დიდი კიბისაკენ ერეკებოდა, უცბად უკან შებრუნდებოდა, შეტბორდებოდა, აირდაირეოდა და მორევივით ტრიალებდა. ამის მიზეზი ან მშვილდოსანი იყო, როცა ვინმეს მჯიღს ჰკრავდა, ან ქალაქის სამხედრო პოლიციის სერჟანტი, რომელიც წესრიგის დასამყარებლად ხალხში ცხენით იკვლევდა გზას; ეს საუცხოო ტრადიცია ქალაქის უფროსებმა უანდერძეს კონეტაბლებს, კონეტაბლებმა — ცხენოსან პოლიციელ გუშაგებს, ხოლო პოლიციის ცხენოსანმა გუშაგებმა — პარიზის ახლანდელ ჟანდარმერიას.

კარებში, ფანჯრებზე, სამერცხულეებში, სახურავებზე — ყველ-

*სიტყვა „გოტიკური“ იმ აზრით, როგორც მას საერთოდ ხმარობენ, თუმცა სრულიად შეუფერხებელია, მაგრამ მაინც ჩვეულების გამო საესეებით აღიარებულია. ჩვენც ისევე, როგორც ყველა, ამ სიტყვას ვიღებთ და ვითვისებთ იმისათვის, რომ ამით დაეახასიათოთ შუასაუკუნეების მეორე ნახევრის არქიტექტურული სტილი, რომელსაც საფუძვლად უდევს ისრული კამარა და მოსდევს პირველი პერიოდის არქიტექტურულ სტილს, სადაც ნახევრად მრგვალი თალი გამოსავალ პრინციპს წარმოადგენს (ავტორის შენიშვნა).

გან ირეოდა ათასობით მოქალაქეთა მშვიდი, უშფოთველ-უზრუნველი და პატიოსანი სახეები, რომლებიც გაჰყურებდნენ სასახლეს. აჩოჩქოლებულ ბრბოს, და მეტი არა უნდოდათ რა, რადგან პარიზში ხალხის დიდი ნაწილი მაყურებელთა ცქერით კმაყოფილდება; მათი ცნობისმოყვარეობის საგანი შეიძლება გახდეს თვით კედელიც კი, რომლის უკან რაღაც ხდება.

ჩვენ, 1830 წელს მცხოვრებ ადამიანებს, აზრით მაინც რომ შეგვეძლოს გავერიოთ მეთხუთმეტე საუკუნის პარიზელებში და მათთან ერთად, წეწვა-გლეჯით, მუჯღუგუნებით, კისრის ტეხვით შევიდეთ სასახლის ამ უზარმაზარ დარბაზში, რომელიც ეგზომ ვიწრო ჩანდა 1482 წლის 6 იანვარს, თვალწინ გადაგვეშლებოდა ისეთი სანახაობა, რომელიც არ იქნებოდა მოკლებული არც ინტერესსა და არც მომხიბვლელობას, ჩვენ აღმოვჩნდებოდით ისეთი ძველთაძველი ნივთების გარემოში, რომ ახალთახლად მოგვეჩვენებოდა.

თუ მკითხველი თანახმაა, შევეცდებით აზრით მაინც აღვადგინოთ მის წინაშე ის შთაბეჭდილება, რომელსაც იგი განიცდიდა, ჩვენთან ერთად ამ დიდი დარბაზის ზღურბლზე რომ გადაეხიჯებინა და თავი ამოეყო აჩოჩქოლებულ ხალხში, რომელთაც ქლამინდები, ძველებური ხიფთანები და უსახელო ქურთუკები ეცვათ.

უწინარეს ყოვლისა, ყურს გამოგიჭედავდათ საშინელი გუგუნის და თვალს ბრწყინვალეობა მოგპრიდათ. ჩვენ თავს მაღლა დაინახავდით ხით მოჩუქურთმებულ, ლაქვარდისფრად მოხატულ და ოქროს შროშანებით მორთულ ორმაგ ისრულ თაღს, ფერხტქკაშ — მარმარილოს თეთრი და შავი ფილებით დაგებულ იატაკს. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით აღმართულიყო უზარმაზარი სვეტი, მას მიჰყვებოდა მეორე, მესამე... მთელი დარბაზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სულ შვიდი ასეთი დედაბოძი, რომელთაც ორმაგი კამარის ქუსლები დაბრჯენოდა. პირველ ოთხ სვეტს ირგვლივ ეკვროდა ვაჭართა დუქნები, რომლებშიც შუშები და ზიზილ-პიპილები ბრჭყვიალებდნენ; სამი დანარჩენი სვეტის ირგვლივ კი დადგმული იყო მუხის მერხები, რომლებიც მომჩივანთა მოკლე შარვლებსა და მსაჯულთა წამოსასხამებს გაეხეხათ და გაეკრიალებინათ. დარბაზის ირგვლივ, მაღალი კედლების გასწვრივ, კარებსა, სარკმელებსა და სვეტებს შორის მოჩანდა საფრანგეთის მეფეთა ქანდაკებების დაუსრულებელი მწკრივი, დაწყებული ფარამონდით¹; ზარმაც და უთაურ მეფეებს მკლავები ჩამოეყარათ და თვალები დაეხარათ; მამაც და მეომარ მეფეებს კი თამამად აღემართათ ცისკენ თავი და ხელები. მაღალ ისრულ ფანჯრებში ჩადგმული იყო ათასფერი შუშა, დარბაზის ფართო გასასვლელებში

კი — მდიდრული, ნატიფი ჩუქურთმებით მორთული კარები; ყველაფერი — კამარა, სვეტები, კედლები, ფანჯრების თამასები, მოფიცრულობანი, კარები, ქანდაკებანი — მაღლიდან ძირამდე დაეფარა ცისა და ოქროს საუცხოო ფერს, რომელიც იმ დროს უკვე რამდენადმე გაუფერულბულიყო და მტვრისა და აბლაბუდისაგან თითქმის სრულიად გამქრალიყო, როდესაც ჯერ კიდევ 1549 წელს დიუ-ბრელი¹, გადმოცემის თანახმად, მისი მშვენიერებით მაინც აღტაცებული იყო.

ახლა წარმოიდგინეთ იანვრის დღის მკრთალი შუქით განათებული ეს უზარმაზარი მოგრძო დარბაზი, სავესე ჭრელი და ახმაურებული ბრბოთი, რომელიც კედლებს გასწვრივ მდინარებას მისდევდა და შვიდი სვეტის ირგვლივ ბრუნავდა, და თვალწინ დაგიდგებათ მთელი ის სურათი, რომლის საყურადღებო წვრილმანების ზუსტად გადმოცემას ჩვენ შევეცდებით.

რავაიაკს² რომ ჰენრიხ IV არ მოეკლა, უდავოა, არც ის დოკუმენტები იარსებებდა რავაიაკის დავის თაობაზე, რომლებიც მართლმსაჯულების სასახლის კანცელარიაში ინახებოდა; ასევე არ იარსებებდნენ რავაიაკის თანამოზიარენი, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებოდნენ ამ დოკუმენტების გაქრობით; მაშასადამე, არც ის ცეცხლის გამჩალებელნი იქნებოდნენ, რომლებიც, რაკი უკეთესი საშუალება არ გააჩნდათ, იძულებული გახდნენ, ცეცხლი წაეკიდებინათ მართლმსაჯულების სასახლისა და კანცელარიისათვის, რათა დოკუმენტები მოესპოთ; ასე რომ, 1618 წლის ხანძარიც არ გაჩნდებოდა. ძველი სასახლე ახლაც ისევ აღმართული იქნებოდა ძველთაძველი დარბაზით; და მეც შევძლებდი მეთქვა მკითხველისათვის: მიდი და იხილეთ იგი; ამრიგად, ჩვენ ორივენი განვთავისუფლდებოდით: მე — შრომა-გარჯისაგან, მკითხველი კი — ამ საშუალო ღირსების აღწერის კითხვისაგან. ყოველივე ეს იმ ახალ კეშმარიტებას ამტკიცებს, რომ დიად მოვლენებს ყოველთვის აურაცხელი შედეგი სდევს თან.

მართალია, საესებით შესაძლებელია, რავაიაკს იმთავითვე არც ჰყავდა თანამოზიარენი, ხოლო შემდეგ თუ შემთხვევით გამოუჩნდნენ, შეიძლება სრულიადაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ 1618 წლის ხანძრის გაჩენაში. არსებობს კიდევ ორი სხვა, ერთობ სარწმუნო ახსნა-განმარტება. ჯერ-ერთი, როგორც ყველასთვის ცნობილია, 7 მარტს, ნაშუალამევეს მართლმსაჯულების სასახლეს დაეცა ციდან ჩამოვარდნილი ვეებერთელა ანთებული ვარსკვლავი, სიგანით ერთი ფუტი, ხოლო სიმაღლით ერთი წყრთა; მეორეც, არსებობს თეოფილეს³ შემდეგი ოთხტაქიანი ლექსი:

ჩა ხველად ოინი მოხდა,
როცა სამართლის თვითონ ქალღმერთმა,
თაფლაკვერით და ქრთამით რომ გაძლა,
პარიზში თავის სასახლე დაწვა*.

მაგრამ, რაც უნდა ეიფიქროთ ამ სამგვარ, პოლიტიკურ. ფიზიკურ და პოეტურ ახსნაზე, სავალალო ფაქტი, მართლმსაჯულების სასახლის ხანძარი 1618 წელს, უდავოა. ამ კატასტროფის გამო, განსაკუთრებით კი იმ ყოველნაირ თანმომდევნო რესტავრაციათა წყალობით, რომელთაც ბოლო მოუღეს იმასაც, რაც ცეცხლს გადაურჩა, ამჟამად ძალიან ცოტა რამ დარჩა საფრანგეთის მეფეთა ამ პირველი სასახლიდან; იგი უფრო ძველი იყო, ვიდრე ლუვრი. იმდენად ძველი, რომ ჯერ კიდევ ფილაპე ლამაზის¹ დროს ეძებდნენ მასში იმ დიდებულ ნაგებობათა კვალს, რომლებიც აღმართა მეფე რობერმა, და აღწერა ჰელგალდუსმა².

თითქმის ყველაფერი გაქრა. რა მოუვიდა კანცელარიის იმ ოთახს, სადაც წმინდა ლუიმ „დაამთავრა თავისი ქორწინება“?³ სადღა არის ის ბაღი, სადაც „კამლოტის ხიფთანიანი, ნოზზე წამოწოლილი, ხამი მაუდის მოკლესახელოებიან სამოსელსა და გრძელ ლაბადაში გამოწყობილი, — სამართალს ჰქმნიდა ჟუანვილთან“⁴ ერთად? სად არის ოთახი იმპერატორ სიგიზმუნდისა? კარლ მეოთხისა? იოანე უმიწაწყლოსი? სად არის კიბე, საიდანაც კარლ მეექვსემ თავისი მოწყალების ედიქტი გამოაცხადა? სად არის ფილა, რომელზეც მარსელმა⁵ ტახტის მემკვიდრის თანდასწრებით ყელი გამოსჭრა რობერ დე კლერმონელს და მარშალ შამპანელს? რა იქნა ჰიშკარი, სადაც ანტიპაპ ბენედიქტის⁶ სიგელები ნათლეთებად აქციეს, და საიდანაც გამოვიდნენ სასაცილო მანტიებსა და მიტრებში გამოწყობილი ისინი, ვინც ეს სიგელები მოიტანეს და ვინც იძულებულნი გახდნენ პარიზის ყველა გზაჯვარედინზე საქვეყნოდ მოენანიებინათ? სად არის იგი, დიდი დარბაზი, თავისი ოქროს ვარაყით, თავისი ლავვარდოვანი ფერებით, ისრული კამარებით. ქანდაკებებით, სვეტებით, მთლიანად მოჩუქურთმებული უზარმაზარი თალი? სად არის ოქროთი შემკული ოთახი? მის კარებთან მდგომი ქვის ლომი, მუზღმოდრეკილი, თავდახრილი და კუდამოძუებული, ვითარცა ლომნი სოლომონისა ტახტისანი, მორჩილების პოზით, როგორც შექვერის ტლანქ ძალას მართლმსაჯულების წინაშე? სადღაა ის დიდებული კარები, საუცხოო მაღალი ფანჯრები ფერა-

* სიტყვათა თამაში, ზნობა: epice — ფრანგულად „თაფლაკვერსაც“ ნიშნავს და „ქრთამსაც“, ხოლო palais — „სასახლე“ და „სასახლესაც“.

დი შუშებით? მოქედლობანი, რომელთაც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა ბისკორნეტი? სად გაქრა დიუ პანსის¹ დახვეწილი და ფაქიზი სადურგლო ხელოვნება?.. რა უყო დრომ, რა უქნეს ადამიანებმა ამ საკვირველებათ? და რა მივიღეთ ყოველივე ამის სანაცვლოდ, ვალთა მთელი ამ ისტორიის, მთელი ამ გოტიკური ხელოვნების მაგიერ? ბატონ დე ბროსის, სენ-ჟერვეს მთავარკარის ამ მოუქნელი, ხელმარცხიანი აშშენებლის, მძიმე, ნაბევრად მრგვალი დაბალი თადები, — აი რა მივიღეთ ნაცულად ხელოვნებისა, ხოლო ისტორიის მაგიერ ჩვენ დაგვრჩენია მთავარი სვეტის გამო სიტყვა-მრავალი მოგონებანი, რომლებიც აბლაც გაისმის პატრიუების² ქორების სახით.

მაგრამ ყოველივე ეს არცთუ ისე დიდი საქმეა, არცთუ ისე საყურადღებო. — დაუფბრუნდეთ ისევ ნამდვილი ძველი სასახლის ნამდვილ დიდ დარბაზს.

ამ გიგანტური პარალელოგრამის ერთი კიდე ეჭირა ცნობილ მარმარილოს მაგიდას; იგი ისეთი გრძელი, ისეთი ფართო და ჯერ არნახული სისქისა იყო, რომ, როგორც უძველესი ხელნაწერები მოგვითხრობენ, შეეძლო მადა აღეძრა გარგანტუასათვის, რადგან „მარმარილოს ამოდენა ნაქერი დედამიწის ზურგზე არსად მოიძებნებოდა“; ზოლო მეორე ბოლო ეკავა სამლოცველოს, სადაც ლუი XI-მ³ დაადგმევინა თავისი ქანდაკება, მუხლმოდრეკილი ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის წინაშე; მიუხედავად იმისა, რომ შეფეთა ქანდაკების რიგში ორი ნიში ცარიელი რჩებოდა, აქ გადმოატანინა კარლოს დიდისა⁴ და წმინდა ლუის ძეგლები, იმ ორი წმინდანისა, რომლებსაც, როგორც საფრანგეთის მეფეებს, ყველაზე მეტი გავლენა ჰქონდათ ზეცაში. ეს სამლოცველო, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალი იყო, ააგეს სულ რაღაც ექვსიოდე წლის წინ. იგი ფაქიზი, მშვენიერი ხუროთმოძღვრული გემოვნებით იყო აგებული და მორთული იმ საუცხოო სკულპტურული სამკაულებით, დახვეწილი ჩუქურთმებით, რომლებიც ამთავრებენ გოტიკურ ერას და გრძელდებიან მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებამდე აღორძინების ეპოქის ზღაპრულ ფანტაზიებში. ფაქიზი ხელოვნებით შესრულებული, სინატიფითა და სინარნარით თავისებურ შედევრს წარმოადგენდა მთავარი შესასვლელის ზემოთ გაჭრილი პატარა მრგვალი სარკმელი; იგი მაქმანებიან ვარსკვლავსა ჰკავდა.

დარბაზის შუაგულს, დიდი შესასვლელის პირდაპირ, კედელს მიყრდნობილი იყო ოქროქსოვილი სტაკრით გადაკრული ესტრადა; ამ კედელში თავისებურ შესასვლელად გამოეყენებინათ მოოქროვილი ოთახის დერეფნის ფანჯარა. ესტრადა აღმართული იყო

ფლამანდიელი ელჩებისა და სხვა წარჩინებული პირებისათვის, რომლებიც მისტერიის წარმოდგენაზე მოეწვიათ.

ამ მარმარილოს მაგიდაზე, ჩვეულების თანახმად, უნდა წარმოედგინათ მისტერია. მაგიდა დილიდანვე უკვე მოემზადებინათ საამისოდ. მარმარილოს მდიდრულ დაფაზე, რომელიც სასამართლოს სამდივნოს გადამწერთა ფენსაცმლის ქუსლებს მთლად დაეკაწრათ, აღმართული იყო ხის საკმაოდ მაღალი გალია. მისი ზემო ზედაპირი, რომელიც დარბაზში მყოფ ყველა მაყურებლისათვის კარგად მოჩანდა, სცენად იყო განკუთვნილი, ხოლო ნოხებით შენიღბული შიგნითა ნაწილი მსახიობთა ტანსაცმლის გასახდელ ოთახს ეკირა. გალიაზე გარედან უბრალოდ მიდგმულ კიბეს უნდა დაემყარებინა კავშირი სცენასა და ამ ტანსაცმლის გასახდელ ოთახს შორის, და მისი შვეულად დაქანებული საფეხურებით უნდა ასულიყვნენ და ჩასულიყვნენ მსახიობები. რაც უნდა უეცრივ გამოჩენილიყო რომელიმე მოქმედი პირი, მას მაინც ამ კიბეზე უხდებოდა ასვლა, რაც უნდა მოულოდნელად ყოფილიყო ნავარაუდევი ესა თუ ის სცენური ეფექტი, ამ საფეხურებზე ცოცვას მაინც ვერ ასცდებოდა მსახიობი. ჰოი, უმანკო და ღირსპატივსაცემო ყრმობავ ხელოვნებისა და მექანიკისა!

მარმარილოს მაგიდის ოთხივე კუთხეში იდგა სასახლის უფროსი მოსამართლის ოთხი სერჟანტი, რომლებიც ვალდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ ყველა სახალხო გართობისათვის როგორც დღესასწაულებში, ისე სიკვდილით დასჯის დღეებში.

წარმოდგენა მხოლოდ შუადღისას უნდა დაწყებულიყო, სწორედ მაშინ, როდესაც სასახლის კოშკზე დიდი საათი თორმეტჯერ დარეკავდა. რასაკვირველია, თეატრალური სანახაობისათვის საკმაოდ დაგვიანებული დრო იყო, მაგრამ ეს უფრო მოხერხებული საათი გახლდათ ელჩებისათვის.

დარბაზში თავმოყრილი უამრავი ხალხი დილიდანვე იცდიდა. ამ პატიოსან ცნობისმოყვარეთა კარგა დიდი რიცხვი განთიადიდან კანკალებდა სიცივისაგან სასახლის კიბეების წინ; ზოგი იმასაც კი ამტკიცებდა, მთელი ღამე მთავარ შესასვლელ კარებთან გავათივ; გარდიგარდმო დაწოლილმა, რათა უსათუოდ პირველი შევსულიყავიო. ბრბო სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ყოველ წუთს, და, როგორც წყალი, რომელსაც თავის დონეზე მაღლა აუწევია, თანდათან იწყებდა კედლების გასწვრივ აზვირთებას, სვეტების ირგვლივ ამობოქრებას, სამერხულებზე, კოშმიდებზე, ლავგარდანებზე, ფანჯრის რაფებზე, არქიტექტურულ შევირილებსა და ყველა ამობურცულ სკულპტურულ მორთულობაზე მოფენას. ამიტომ

ბუნებრივია, რომ ამ დღეს, როცა თავისუფალი გასაქანი ეძლეოდა თავხედობას, ურცხვობასა და სიგიჟეს, — სიეწროვის, მოუთმენლობის, მოწყენილობის, ჩხუბისა და ძიძგილაობის გამო, რომელიც ყოველ წვრილმანზე და ყოველგვარი საბაბით ატყდებოდა ხოლმე, — იქნებოდა ეს მეტად გამოშვერილი წვეტიანი იდაყვისა თუ ნალებდაქედელი ფეხსაცმლის გამო, — ამ ხანგრძლივი ლოდინით დაღლილ-დაქანცულ, მომწყვდეულ, სულშეხუთულ და ჩაქედილ ხალხში ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე მანამდე, სანამ ელჩები მოვიდოდნენ, დაიწყო ყურთასმენის წამლები ყვირილი და მოთქმა. ყოველი მხრიდან მარტო ჩივილი და წყევლა-კრულვადა გაისმოდა ფლამანდიელების, ვაქართა უხუცესის, კარდინალ ბურბონელის, სასახლის მოსამართლის, ქალბატონ მარგარიტა ავსტრიელის, წეპლებიანი სერეანტების, სიცივის, სიციხის, ავდრის, პარიზის ეპისკოპოსის, ქილიკთა პაპის, სვეტების, ძეგლების, ამ დაკეტილი კარების, იმ ღია ფანჯრის მისამართით; ყოველივე ეს მეტად ართობდა მასაში გაბნეულ მოსწავლეთა და მსახურთა ბრბოებს, რომლებიც მთელ უკმაყოფილებას თავიანთი გესლიანი ნაკვესებითა და დაცივნებით აღვივებდნენ და, თითქოს ნემსებით ჩხელეტდნენო. კიდევ უფრო აძლიერებდნენ საერთო ავგუნებიან განწყობილებას.

მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ჯგუფი მხიარული ონავრებისა, რომელთაც ფანჯრის მინები ჩაემტვრიათ, სამერხულზე, კოზმიდსა და ლავგარდანზე თამამად ჩამომხდარიყვნენ, იქიდან ძირს დასცქეროდნენ, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ და დასცინოდნენ შიგნით თუ გარეთ, დარბაზში თუ მოედანზე მყოფ ხალხს. მათი სასაცილო პრანქვა-გრეხვა, დამცინავი წაბაძვანი, გამაყრუებელი ხარხარი, გამქირდავი გადაძახილ-გადმოძახილი ამხანაგთა შორის დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში, მოწმობდა, რომ ეს ახალგაზრდა მოსწავლეები სულაც არ იზიარებდნენ დანარჩენ დამსწრეთა მოწყენილობასა და დაღლილობას; თვალწინ გადაშლილი სანახაობა მეტად სიამოვნებდათ და მოთმინებით ელოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას.

— სულსა ვფრცავ, ეს თქვენა ხართ, მანდ, ყო ან ეს ფროლო დე მოლენ დინო! — უყვირა ერთმა მათგანმა მეორეს, ქერათმიან, ლამაზი და ცბიერი სახის ჭინკა ბიქს, რომელიც სვეტისთავის აკანთოზე ჩამოკიდებულიყო. — ტყუილად ხომ არ შეგარქვეს ეჟან დიუ მულენ*, რადგან თქვენი ხელ-ფეხი პირდაპირ ქარის წისკვილის ოთხ ფრთას ჰგავს. რამდენი ხანია, რაც აქა ხართ?

* Moulin — წისკვილი.

— ეშმაკის წყალობით, აგერ უკვე ოთხ საათზე მეტია, — უპასუხა ჟოანეს ფროლომ, — იმედი მაქვს, ამას საღიზიანებელში ჩამოთვლიან. მე მოვისმინე, როგორ დაიწყო სიცილიელი მეფის რვა მგალობელმა დილის დიდი წირვის პირველი გალობა შვიდ საათზე სენტ-შაპელში.

— მშვენიერი მგალობლები კი არიან. — უპასუხა მეორემ. — მათი ხმა გაცილებით უფრო წკრილია, ვიდრე მათი ჩაჩის წვეტი. მაგრამ ვიდრე ბატონ წმინდა იოანეს წირვას შეასრულებდნენ. მეფეს უნდა შეეტყო, ეამება თუ არა ბატონ წმინდა იოანეს უსმინოს, როგორ მღერიან ერთ კილოზე ლათინურ ფსალმუნებს პროვანსული კილოთი.

— წირვა იმისათვის მოიგონა, გასამრჯელოს შოვნის საშუალება მიეცა სიცილიელი მეფის ამ შეჩვენებული მგალობლებისათვის! — გაკაპანებით წამოიყვირა ვიღაც ბებერმა დედაკაცმა ფანჯრებს ქვეშ თავმოყრილ ხალხში; — მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ასეთი რამ სად გაგონილა! ათასი პარიზული ლივრი ერთ წირვაში! ისიც საიჯარო გადასახადიდან იმისათვის, რომ პარიზის დახურულ ბაზრებზე ზღვის თევზის გაყიდვის უფლება მიიღო.

— გაჩუმდი, ბებერო — ჩაერია ლაპარაკში ვიღაც დარბაისელი სქელი კაცი, რომელიც ცხვირზე სულერთაეად ხელს იჭერდა. აქოდა თევზით მოვაჭრე ქალის გვერდით ვდგავარო. — წირვის შესრულება საჭირო იყო. რაო, თქვენ ხომ არ გნებავთ, მეფე ისევ აეად გახდეს?

— მარჯვედ არის ნათქვამი, ბატონო ეილ ლეკორნიუ*, მეფის კარის ჭონო! — უყვირა პატარა მოსწავლემ, რომელიც სვეტისთავს ჩაბლაუქებოდა.

გამაყრუებელი ხარხარით შეხვდა ყველა მოსწავლე სამეფო კარის საწყალი ჭონის ავბედითი სახელის ხსენებას.

— ლეკორნიუ! ეილ ლეკორნიუ! — გაიძახოდნენ ერთნი.

— *Cornitus et hirsutus!* ** — ბანს აძლევდნენ მეორენი.

— ეი! — განაგრძო სვეტისთავზე ჩამომჯდარმა პატარა ჭინკა ბიჭმა. — რას ხარხარებენ? უეჭველად ეს პატივცემული კაცი, ეილ ლეკორნიუ. ძმა ბატონ ეჟან ლეკორნიუსი, მეფის სასახლის მოსამართლისა, ძე მეტრ მაიე ლეკორნიუსი, ვენსენის ტყის მთავარი მცველისა; ყველა ისინი პარიზის მოქალაქენი არიან და ყველა უკლებლივ ცოლიანია.

მხიარულებამ ერთიორად იმატა. სქელი ჭონი ცდილობდა

* *Le cornu* (ფრანგ.) — რქიანი, რქებდაღმძული.

** რქებიანი და ბანჯგელიანი (ლათ.).

უსიტყვოდ, ხმაამოუღებლივ დამალვოდა ყოველი მხრიდან მისკენ მიმართულ ჩაშტერებულ სკერას. მაგრამ ამაოდ ხენემოდა და სიმწრის ოფლში იწურებოდა; ხეში ჩარკობილი სოლივით გაქედილიყო და რაც უფრო მეტად ცდილობდა თავი დაეღწია ხალხისათვის, ამ ტრიალით მით უფრო მეტად იქედებოდა და თავის ფართო, აპოკლექსურ, ჯაგერისა და გულისწყრომისაგან წამოქარხლებულ სახეს მეზობელთა მხარ-ბექს ძლივს აფარებდა.

ბოლოს ერთი მათგანი — ასეთივე სქელი, დაბალ-დაბალი, ჩასკენილი და დარბაისელი კაცი წამოეშველა.

— რა სისაძაგლეა! როგორ ბედავენ სკოლის მოსწავლენი, ასე აბუჩად აიგდონ პატივეცემული მოქალაქე! ჩემს დროს ამისათვის გაწყებადნენ და შემდეგ ამავე წიკალებისაგან დანთებულ კოცონზე დასწავდნენ.

მოსწავლეთა მთელმა ბრბომ გადაიხარხარა.

— პოლა ჰე! ეს ვინ როშავს მანდ? ეს რომელი აყყია კოტია?

— მოიცა, მე ვიცნობ. — თქვა ერთმა, — ეს მეტრ ანდრი მიუნია.

— რადგან იგი უნივერსიტეტის ოთხ ნაფიც წიგნით მოვაჭრეთაგან ერთ-ერთი გახლათ! — თქვა მეორემ.

— ამ დუქანში ყველაფერი ოთხ-ოთხია!¹ — იყვირა მესამემ. — ოთხი ერი, ოთხი ფაკულტეტი, ოთხი დღესასწაული, ოთხი ეკონომი, ოთხი მზრუნველი-ამომჩრეველი და ოთხი წიგნით მოვაჭრე.

— საუცხოოა! — წამოიძახა ეყან ფროლომ, — მით უფრო საჭიროა თავს დავატეხოთ ოთხმაგი ხმაური.

— მიუნე, წიგნებს დაგიწავთ!

— მიუნე, ლაქიასაც მიგიტყუებთ!

— მიუნე, გვერდებს დაეუზელავთ შენს ცოლს!

— რა მშვენიერი, ჩასუქებული დედაკაცია ქალბატონი უდარდა!

— მერე, რა ქორფა და მხიარულია, თითქოს უკვე დაქვრივებულიყოს!

— ეშმაკსაც წაუღიხართ! — დაიბღავლა მეტრ ანდრი მიუნეიმ.

— გაჩუმდი, მეტრ ანდრი, — უყვირა ეყანმა, რომელიც ისევ სვეტისთავზე ეკიდა, — თორემ თავზე დაგეცემი!

მეტრ ანდრიმ მაღლა აიხედა, თითქოს ერთხანს ზომავდა სვეტის სიმაღლესა და ავარას წონას; აზრით ეს სიმძიმე სიჩქარის კვადრატზე გაამრავლა და გაჩუმდა.

ეყანმა, რომელიც ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა, ნიშნის მოგებითა და ზეიმით წარმოთქვა:

— სწორედ ასეც მოვიქცეოდი, თუმცა არქიდიაკონის ძმა გახლავართ!

— კარგი რამ კია ჩვენი უნივერსიტეტის უფროსობა! თვით ისეთ დღესაც კი, როგორც დღევანდელია, არაფრით აღნიშნა ჩვენი პრივილეგიები! დაბოლოს, ქალაქში ხომ მაისის ხე და შუშხუნებია; აქ, სიტეში — მისტერია, ქილიკების პაპის არჩევა და ფლამანდიელი ელჩები; ჩვენთან, უნივერსიტეტში კი — არაფერი!

— ამავე დროს მობერის მოედანი საკმაოდ დიდია! — თქვა ერთ-ერთმა იმ მოსწავლეთაგანმა, რომლებიც ფანჯრის რაფაზე მოკალათებულიყვნენ.

— ძირს რექტორი, მზრუნველ-ამომრჩეველები და ეკონომები! — იყვირა ქვანმა.

— ამ საღამოს ილუმინაცია უნდა მოგვეწყო მეტრ ანდრის წიგნებით შანგაიარში, — განაგრძო მეორემ.

აგრეთვე გადამწერთა საწიგნეებით! — თქვა მისმა მეზობელმა.

— ზედამხედველების ხელჯოხებით!

— დეკანების საფურთხებლებით!

• — ეკონომების კარადებით!

— მზრუნველ-ამომრჩეველთა კილობნებით!

— და რექტორის სკამებით!

— ძირს! — არაბუნებრივი ბოხი ხმით დაიქუხა ქვანმა; — ძირს მეტრ ანდრი, პედელები, ზედამხედველები, გადამწერები, ღვთის-მეტყველები, მედიკები, მეკანონენი, ეკონომები, მზრუნველები, ამომრჩეველები და რექტორი!

— სწორედ მეორედ მოსვლაა, ქვეყნის აღსასრული დადგა, — ბურტყუნებდა მეტრ ანდრი და თან ყურებში თითებს იცობდა.

— აი, ხსენებაზე რექტორიც გამოჩნდა! ავერ ის, მოედანზე რომ გადადის, — იყვირა ერთ-ერთმა იმათგანმა, რომლებიც ფანჯრის რაფაზე ისხდნენ.

ვისაც შეეძლო, ყველამ ფანჯრისაკენ იბრუნა პირი.

— ნუთუ ეს მართლაც ჩვენი ღირსპატივცემული რექტორი მეტრ ტიბოა? — იკითხა ქვან ფროლო დე მულენმა, რომელიც ერთ-ერთ შიგნითა სვეტზე იყო ჩამოკიდებული და ამიტომ არ შეეძლო დაენახა, რა ხდებოდა გარეთ.

— დიახ, დიახ, — უპასუხეს დანარჩენებმა, — სწორედ ის არის, მეტრ ტიბო, რექტორი!

მართლაც, რექტორი და უნივერსიტეტის ყველა დიდმოხელენი საზეიმო პროცესიით მიემართებოდნენ ელჩების შესახვედრად და ამჟამად სასახლის მოედანზე გადადიოდნენ. მოსწავლეები, რომლე-

ზიც მკიდროდ მიპკროდნენ ფანჯრებს, პროცესიას გესლიანი დაცინვით და ირონიული ტაშის ცემით ეგებებოდნენ. დაცივნათა პირველი გრიგალი და საკმაოდ მძაფრი გრიგალიც თავს დაატყდა რექტორს, რომელიც ამ კომპანიას წინ მიუძღოდა.

— გამარჯობათ, ბატონო რექტორო! პოლა ჰე, გამარჯობა-შეთქი!

— როგორ მოხვდა აქ, ეს ძველი ყომარბაზი? როგორ დასთმო თავისი კამათლები?

— ერთი შეხედეთ, როგორ მიძუნძულებს თავისი ჯორით! ერთი შეხედეთ, რექტორს უფრო გრძელი ყურები აქვს, ვიდრე ჯორს!

— პოლა ჰე! გამარჯობათ, ბატონო რექტორო ტიბო! Tybalde aleator!* ბებერო ჩერჩეტო! ძველო ყომარბაზო!

— ღმერთი გფარავდეთ! წუხელ ხომ ხშირად მოგდიოდათ ღუშაში!

— ერთი შეხედეთ, რა მიხრწნილი, რა ტყვიისფერი, ჩამომპკნარი და მოთენთილი სიფათი აქვს. ეს სულ აზარტის ბრალია.

— საით მიცუნცულებთ, ტიბო, Tybalde ad dados? ** — ზურგი რომ შეგიქცევია უნივერსიტეტისათვის და პირი ქალაქისკენ გიქნია?

— ის უთუოდ თავშესაფარის საძებნელად მიდის ტიბოტოდეს ** ქუჩაზე, — იყვირა ეჟან დე მულენმა.

მოსწავლეთა მთელმა ბრბომ სიცილ-ხარხარი კეჟა-ქუხილივით დააყარა და გააფთრებული ტაშის გრიალით გაიმეორა ეს ხუმრობა.

— თქვენ, ალბათ, ბინის საძებნელად მიბრძანდებით ტიბოტოდეს ქუჩაზე, განა არა, ბატონო რექტორო, ეშმაკის მოზიარევ? შემდეგ ჯერი მიდგა უნივერსიტეტის სხვა მოხელეებზე.

— ძირს პედლეები! ძირს ხელჯოხიანები!

— ერთი მითხარი, რობენ პუსპენ, ის ვინდა არის?

— ეგ ჟილბერ სიუია, Gilbertus de Soliaco, ოტენის კოლეჯის ზაზინადარი.

— მოიცა, აი ჩემი ფეხსაცმელი. შენ მანდ უფრო მარჯვედ ხარ, აპა, მოადე სიფათში.

Saturnalitiis mittimus ecce nuces***.

— ძირს ექვსი ღვთისმეტყველი თავიანთი თეთრი კვარტებით!..

— განა ესენი ღვთისმეტყველნი არიან? მე კი მეგონა, ის ექვსი

* ტიბალდ — ყომარბაზო! (ლათ.).

** Tibaut aux clés — სიჭყუათა ოპაჟა, ზმობა, რაც ნიშნავს აგრეთვე Tybalde ad dados. ვ. ი., ტიბო კამათლებით.

*** აი ესეც შენ საზეიმო ხოშკაქალა (ლათ.).

ლეთრი ზატი იყო, წმინდა ენევეიემა ქალაქს რომ შესწირა როონის მამულეებისათვის.

— ძირს მედიკები!

— ძირს დისპუტები ძირითად და ნებაყოფლობით არჩეულ თე-
მებზე!

— თავში მოგახლიდი ჩემს ქულს, წმინდა ენევეიევის ხაზინადა-
რო! შენ მე გამაცურე! — ეს სრული სიმართლეა! მან ჩემი ადგილი
ნორმანდიის სათვისტომოში მისცა პატარა ასკანიო ფალცასპადის,
ბურჟის პროვინციიდან რომ არის, აქაოდა იტალიელიო!

— ეს უსამართლობაა! — თქვა ყველა მოსწავლემ. — ძირს
წმინდა ენევეიევის ხაზინადარი!

— ჰეი! იოახიმ დე ლადეორ! თპო! ლუი დაიუილ! ეპიი, ლამ-
ბერ ოქტემან!

— ეშმაკსაც წაუხრჩვია გერმანული კორპორაციის მზრუნველი

— და სენტ-შაპელის კაპელანებიც თავიანთი რუხი ბეწვის-
შესამოსელით! Cum tunicis grisis!^{*}

-- Seu de pellibus grisis fourratis!^{**}

— პოლა ჰე! ხელოვნებათა მაგისტრები! აგერ ისინი, შავი ლა-
მაზი მანტიები! აი, ისინი წითელ ლამაზი მანტიები!

— რექტორს უკან კარგა დიდი კუდი მოსთრევს!

— თითქოს ვენეციელი დოჯი მიდიოდეს ზღვასთან საქორწი-
ნოდ!

— შეხედე, ეჰან, იქ წმინდა ენევეიევის კანონიკები არიან!

— ეშმაკსაც წაუღია კანონიკებიცა და ყოველგვარი ბერებიც!

— აბატო კლოდ შოარ! დოქტორ კლოდ შოარ! --- ვის ეძებთს
მარია ეიფარდს ხომ არ ეძებთ?

— ის გლატინის ქუჩაზე ცხოვრობს.

— ის ლოგინს უთბობს გარყვნილების მეფეს.

— იგი იხდის თავის ოთხ დინარს — quatuor denarios!^{***}

— Aut unum boum!^{****}

— თქვენ გნებავთ, რომ ყოველ კაცზე გადაიხადოს?

* რუხი წამოსასხამები.

** ანუ რუხი ცხერის ტყაპუკებით.

*** ოთხ დინარს.

**** ანუ ერთ ცემა-ტყეპას.

— ამხანაგებო, აგერ მეტრ სიმონ სანენი, პიკარდიის მეურვე-
ამომრჩეველი, უკან თავისი ცოლი მოსჯდომია.

— *Post equitem sedet atra cura**.

— უფრო გაბედულად, მეტრ სიმონ!

— გამარჯობათ, ბატონო მეურვე!

— დამე მშვიდობისა, ქალბატონო მეურვის ცოლო!

— რა ბედნიერი ხალხია, ისინი ყველაფერს ხედავენ! —
ოხვრით წაილაპარაკა ქოანეს დე მოლენდინომ, რომელიც თავის
სვეტისთავზე ისევ ფოთლისებურ ჩუქურთმებს ებლაუქებოდა.

ამასობაში უნივერსიტეტის ნაფიცი წიგნით მოვაპრე მეტრ ან-
დრი მიუნეი დაიხარა და ყურში წასჩურჩულა მეფის სასახლის
ქონს, მეტრ ჟილ ლეკორნიუს:

— გარწმუნებთ, ბატონო, რომ ქვეყნის აღსასრული დადგა!
არასოდეს არავის უნახავს მოსწავლეთა ასეთი თავაშვებულობა.
ამაში კი ბრალი მიუძღვის ჩვენი საუკუნის წყველ გამოგონებებს,
რომელთაც ყოველივე წარწყმიდეს. ზარბაზნებო, შაშხანებო, სია-
თებო და, ახლა რაც მთავარია, წიგნის ბეჭდვა, ეს რაღაც ახალი გერ-
მანული შავი ქირი. აღარც ხელნაწერი თხზულებები, აღარც წიგნები.
წიგნის ბეჭდვა ახშობს წიგნით ვაქრობას. ~~დგება აღსასრულის დღე.~~

— მართალია! ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხავერდით ვაქრობა გაი-
ფურჩქნა, — თქვა ბეწვეულობით მოვაპრე ქონმა.

ამ დროს თორმეტმაც დარეკა.

— ჰა-ა-ა!.. ერთხმად წამოიძახა მთელმა ბრბომ.

მოსწავლეები მიჩუმდნენ. შემდეგ ერთი უშველებელი ალია-
ქოთი და ღრიანცელი ატყდა, ამომძრავეს ფეხები და თავები; მოპ-
ყვნენ ხველებასა და ცხვირის ხოცვას; ყველა მოეწყო, ყველა ად-
გილზე მოთავსდა, ყველამ მალლა აიწია, ყველა შეჯგუფდა; შემდეგ
სრული სიჩუმე ჩამოვარდა; ყველამ კისერი წაიგრძელა, პირი დაა-
ლო და თვალები მარმარილოს მაგიდას მიაპყრო... მაგრამ საიმისო
არაფერი გამოჩენილა, იქ ისევ იდგა სასამართლოს ოთხი სერ-
ჟანტი, რომლებიც შეღებილი ლუსკუმებივით ერთ ადგილს უძრა-
ვად მიჰყინვოდნენ. ყველამ თვალი მიაპყრო ფლამანდიელი დესპა-
ნებისათვის განკუთვნილ ესტრადას. კარები დაკეტილი იყო, ესტ-
რადა კი ცარიელი. ეს ხალხი დილიდან სამ რამეს უცდიდა: შუად-
ღეს, ფლანდრიის დესპანებსა და მისტერიას. თავის დროზე მხო-
ლოდ შუადღე მოვიდა.

* მხედარს თან სდევს პირქუში ზრუნვა (ლათ.).

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო.

უცადეს კიდევ ერთ წუთს, ორ, სამ, ხუთ წუთს, თხუთმეტ წუთს. არავინ გამოჩნდა. ესტრადა ისევ ცარიელი იყო, სცენა ისევ დამუნჯებული. ამასობაში მოუთმენლობას ხალხის რისხვა მოჰყვა. ირგვლივ აღშფოთების სიტყვები გაისმოდა, თუმცა დაბალი ხმით. „მისტერია! მისტერია!“ ისმოდა ყრუ ღრტვინვა. მღელვარება იზრდებოდა. გრიგალი, რომელიც ჯერ კიდევ ჰეჰა-ჰეხილით არ ამოვარდნილიყო. უკვე მიმოჰქროდა ბრბოს თავზე. პირველი ნაპერწკალი ხალხში შეან დიუ მულენმა გადაისროლა.

— მისტერია! ეშმაკსაც წაუღია ფლამანდიელები! — იყვირა მან, რაც კი ფილტვებში ძალ-ღონე გააჩნდა, და თან თავის სვეტის-თავს გველივით ეხვეოდა.

ბრბო ტაშისცემით შეეგება.

— მისტერია! — გაიმეორა ხალხმა, — ეშმაკებსაც წაუღია ფლანდრია!

— ჩვენ გვინდა მისტერია, ახლავე, დაუყოვნებლივ! — გააგრძელა მოსწავლემ, — თორემ, ვფიქრობ, მოგვიხდება სასამართლო ხელისუფლების მოხელის ჩამოხრჩობა გასართობად და ჰკუის სასწავლებლად.

— კარგად თქვა, — იყვირა ხალხმა, — ჯერ მისი სერჟანტების ჩამოხრჩობით დავიწყეთ.

ამას საშინელი ყოინა მოჰყვა. ოთხი საბრალო სერჟანტი გაფითრდა. ერთმანეთს გადახედეს. ხალხის მასა მათკენ დაიძრა; ისინი უკვე ხედავდნენ როგორ იღუნებოდა ხალხის მოწოლისაგან ხის სუსტი მოაჯირი, რომელიც მათ მაყურებლისაგან ჰყოფდა.

კრიტიკული მომენტი იყო.

— ჩამოვახრჩოთ, ჩამოვახრჩოთ. — ყვიროდნენ ყოველი მხრიდან.

ამ დროს ვილაცამ გადასწია ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ტანსაცმლის გასახდელი ოთახის სარაფარდა და შემოვიდა კაცი, რომლის მარტო გამოჩენამ ხალხი წამსვე დაამოშმინა, და თითქოს რაღაც გრძნეულებით, მათი მრისხანება ცნობისმოყვარეობით შეცვალა.

— სიჩუმე! სიჩუმე! — ყვიროდნენ ყოველი მხრიდან.

ეს კაცი, რომელიც მთელი სხეულით თრთოდა, გაუბედავად, სალამ-ქალამითა და რევერანსებით გაემართა მარმარილოს მაგიდის კილისაყენ. რაც უფრო უახლოვდებოდა, ყოველი ნაბიჯის გადაღმაზე რევერანსები სულ უფრო ემსგავსებოდა მუხლთმოდრეკას.

ამასობაში თანდათან სიჩუმეც ჩამოეარდა, ისმოდა მხოლოდ ის ძლივს გასაგონი გუგუნის, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ხალხის ღუმელს.

— ბატონო და ქალბატონო მოქალაქენო, — თქვა მან, — დღეს ჩვენ პატრეი გვექნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ბატონ კარდინალის წინაშე წარმოეთქვათ და წარმოვადგინოთ ფრიად მშვენიერი მორალიტე, რომლის სახელია: „ყოვლადბრძნული სამსჯავრო ყოვლადწმინდისა ქალწულისა მარიამისა“. მე შევასრულებ იუპიტერის როლს. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ამჟამად თან ახლავს ავსტრიის ბატონ ჰერცოგის დიდად პატრეცემულ ელჩებს, რომლებიც ოდნავ შეფერხდნენ, რადგან ამ წუთს ისინი ბოდეს ჰიშკართან ისმენენ უნივერსიტეტის ბატონ რექტორის მისასალმებელ სიტყვას. როგორც კი მისი ყოვლად უწმინდესობა ბატონი კარდინალი მოვა, ჩვენც მაშინვე დავიწყებთ.

უდავოა, რომ სხვა ვერაფერი იხსნიდა სასახლის სასამართლოს ამ ოთხ უბედურ სერჟანტს, თუ თვით იუპიტერი არ ჩაერეოდა. ჩვენ რომ ბედნიერება გვექონოდა და თვითონ გამოგვეგონა ეს ჰეშმარიტი ისტორია, მაშასადამე, პასუხისმგებელი ცოფილიყავით მისი შინაარსისათვის ჩვენი ყოვლად ღირსი ღვთისმშობლის-კრიტიკის სამსჯავროს წინაშე, მაშინ ჩვენს წინააღმდეგ ამჟამად ვერ წამოაყენებდნენ კლასიკურ წესს: *Nec deus intersit!** გარდა ამისა, სენიორ იუპიტერის ტანსაცმელი ძალიან ლამაზი იყო, და ამანაც ნაკლებ არ შეუწყო ხელი ბრბოს დაშოშმინებას, რადგან ყველას ყურადღება მიიპყრო. იუპიტერს ტანთ ოქროქარგული შავხვედრგადაკრული აბჯარი ეცვა თავზე ოქროცურვილი ვერცხლის დიღებით მორთული ორწვეტა ქუდი ეხურა. წითელი ფერითა და ხშირი წვერით რომ არ ყოფილიყო დაფარული მისი სახის თვითეული ნახევარი, ხელში რომ არ სჭეროდა მოოქროვილი მუყაის გრაგნილი, რომელიც მოფენილი იყო ბრჭყვიალა ზიზილპიპილებით, კილიტებით, და მოსირმული ოქრომკედით, რაშიც გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევდა ელვის გამოსახულებას; მის ფეხებზე რომ მოკიშული არ ყოფილიყო ხორცისფერი ქსოვილი და ბერძნულ ყაიდაზე ბაბთები არ ჰქონოდა დახვეული, — ეს იუპიტერი თავისი მკაცრი შესახედაობით ადვილად გაუძღებდა ჰერცოგ ბერის რაზმის რომელიმე ბრეტონელ მშვილდოსანთან შედარებას.

* დაე ღმერთიც ნუ ჩაერევა (ლათ.)

პიერ ბრენგუარი I

მაგრამ სანამ იგი საზეიმო სიტყვას ამბობდა, მისი ტანსაცმლით გამოწვეული ერთსულოვანი კმაყოფილება და აღტაცება, მისივე ნათქვამმა გააქარწყლა; ხოლო როდესაც მან ავბედით დასასრულს მიაღწია: „როგორც კი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა კარდინალი მობრძანდება, ჩვენ დავიწყებთ“, მისი ხმა სტვენამ და ყიჟინამ დაფარა.

— ახლავე დაიწყეთ! მისტერია! მისტერია დაუყოვნებლივ! — ყვიროდა ხალხი და ყველას ხმაში მკვეთრად გაისმოდა ეოანეს დე მოლენდინოს ხმა, რომელიც საერთო გუგუნს ისე ჰკვეთდა, როგორც სტერი ნიმის ღრიანცელს.

— დაიწყეთ ახლავე! — ჰყიოდა მოსწავლე.

— ძირს იუპიტერი და კარდინალი ბურბონელი! — ღრიალებდნენ რობენ პუსპენი და ფანჯრის რაფაზე მოკალათებული სხვა მოსწავლენი.

— ახლავე მორალიტე! — იმეორებდა ბრბო. — ამ წუთს, დაუყოვნებლივ! თორემ მზად არის ტომარა და თოკი კომედიანტებისა და კარდინალისათვის!

საბრალო იუპიტერს, თავზარდაცემულს, შეშინებულსა და ფერმარხილის ქვეშ გაფითრებულს, ჰეჰა-ჰუხილის ემბლემა გაუვარდა, ქედზე ხელი იტაცა: შემდეგ თავი დაუკრა და შიშისაგან აკანკალებული რაღაცას ბუტბუტებდა: — მისი ყოვლად უსამღვდელოესობა... ელჩები... ქალბატონი მარგარიტა ფლანდრიელი... — არ იცოდა. რა ეთქვა. გულის სიღრმეში მართლაც ეშინოდა, ვაი თუ ჩამოახრჩონო.

ბრბო ჩამოახრჩობდა ლოდინის გამო, კარდინალიც ჩამოახრჩობდა, თუ არ დაუტევიდა. ორივე მხრიდან უფსკრულს, ესე იგი, სახრჩობელას ხედავდა.

საბედნიეროდ, ვიღაცამ იხსნა იგი გასაჭირიდან და თვითონ იკისრა პასუხისმგებლობა.

ეს უცნობი პიროვნება მოაჯირს იქით იღგა, სადაც თავისუფალი ადგილი დარჩენილიყო მარმარილოს მაგიდის ირგვლივ: აქამდე ის არავის შეუშინებია; ეს აწოწილი, გამხდარი და ვალეული პიროვნება არ შეიძლებოდა ვინმეს თვალში მოხვედროდა, რადგან მთლიანად ჰფარავდა ვეებერთელა ქვის სვეტი, რომელსაც იგი მიყრდნობოდა; ეს პიროვნება, როგორც მოგახსენებთ, მაღალი,

გამხდარი. ფერმკრთალი, ქერა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, თუმცა ლოყები და შუბლი უკვე ნაოქებით დადაროდა. ტანზე შავი, ხანდაზმულობისაგან გაცვეთილი და გაპრიალებული სარჯის კამზოლი ეცვა; თვალბეგაბრწყინებული, ღიმილით მიუახლოვდა მარმარილოს მაგიდას და საბრალო მსხვერპლს ნიშანი მისცა. მაგრამ საგონებელში ჩაეარღნილი და გაცბუნებული მსახიობი ვერაფერს ხედავდა.

ახალმოსულმა ნაბიჯი წინ გადადგა:

— იუპიტერო! — თქვა მან, — ჩემო ძვირფასო იუპიტერო!

მაგრამ მას სრულიად არა ესმოდა რა.

ბოლოს მოთმინებადაკარგულმა მაღალმა ქერა კაცმა თითქმის ყურში ჩასძახა:

— მიშელ ჟიბორნ!

— ვინ მეძახის? — იკითხა იუპიტერმა, თითქოს უეცრად გველვიძებინოთ.

— მე, — უპასუხა შავით მოსილმა პიროვნებამ.

— ჰა! — თქვა იუპიტერმა.

— დაიწყეთ ახლავე, — მიმართა მეორემ. — დააკმაყოფილეთ ხალხი. მე ვეკისრულობ ბატონ მოსამართლის დამშვიდებას, ხოლო თავის მხრივ ის ბატონ კარდინალს დააშოშმინებს.

იუპიტერმა შვებით ამოისუნთქა.

— ყოვლად მოწყალე ბატონო მოქალაქენო! — მთელი ძალდონით უყვირა მან ხალხს, რომელიც სტვენასა და ყიყინას განაგრძობდა, — ჩვენ ახლავე დავიწყებთ.

— Evox, Jupiter! Plaudite, cives! * — იყვირეს მოსწავლეებმა,

— დიდება! დიდება! — შესძახა ხალხმა.

გაისმა გამაყრუებელი ტაშისცემა, და თვით მას შემდეგაც კი, რაც იუპიტერი ფარდას ამოეფარა, დარბაზი მაინც ზანზარებდა მისასალმებელი ყიყინისაგან.

ამასობაში იმ უცნობმა პიროვნებამ, რომელმაც ეგზომ ჯადოსნური ძალით „ქარიშხალი სიწყნარით“ შეცვალა, როგორც ამბობს ჩვენი ძვირფასი მოხუცი კორნელი¹, მოკრძალებით დაიხია სვეტის უკან. უდავოა, ის კვლავ შეუშინებელი, უძრავი და დადუმებული დარჩებოდა, ორი ახალგაზრდა ქალი რომ არ გამომხმაურობდა. ისინი მაყურებელთა პირველ რიგში ისხდნენ და შეამჩნიეს მისი საუბარი მიშელ ჟიბორნ-იუპიტერთან.

* ევოე, იხვიმე, იუპიტერო! ტაში დაუკარით, მოქალაქენო (ევოე — ბახუსის ქერუმ ქალთა შეძახილი).

— მეტრ, — უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა, და თან ანიშნა ახლოს მისულოცო.

— ჩემად, ძვირფასო ლიენარდ, — უთხრა მეზობელმა, ლამაზმა ყმაწვილმა ქალმა, რომელიც სადღესასწაულოდ გამოპრანჭულიყო. — იგი სასულიერო პირი როდია, საერო პირია, „მეტრ“ კი არა, „მესირ“ უნდა უწოდო.

— მესირ, — უთხრა ლიენარდმა.

უცნობი მოაჯირს მიუახლოვდა.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — ჰკითხა მან თავაზიანად.

— ოჰ! არაფერი! — უპასუხა მთლად დაბნეულმა ლიენარდმა, — ჩემს მეზობელს, ესიკეტ ლა ეანსიენს სურს რაღაც გითხრათ.

— არაფერიც, — უპასუხა გაწითლებულმა ესიკეტმა, — ლიენარდმა თქვენ „მეტრ“ გიწოდათ; მე კი ვუთხარი, „მესირ“ გიწოდოთ.

ორივე ყმაწვილმა ქალმა თვალები დახარა. უცნობი, რომელიც მზად იყო საუბარი გაება, ღიმილით უცქერდა მათ.

— მაშ თქვენ არაფერი გაქვთ ჩემთან სათქმელი, ქალბატონებო?

— ოჰ! სრულიად არაფერი, — უპასუხა ესიკეტმა.

— არაფერი, — გაიმეორა ლიენარდმა.

მალაღმა, ახალგაზრდა ქერა კაცმა ის იყო წასვლა დააპირა, მაგრამ ამ ორ ცნობისმოყვარე ქალს როდი სურდა ასე ადვილად გაეშვათ ხელიდან ნადავლი.

— მესირ, — მიმართა მკვირცხლად ესიკეტმა ისეთი სიმძაფრით, როგორც კაშხალგახსნილი წყალი გამოიჭრება ხოლმე საგუბარიდან, ანდა როგორც ქალმა, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია რაღაც, — მაშ. თქვენ იცნობთ იმ ჯარისკაცს, რომელიც ითამაშებს ყოვლად უბრალო ქალწულის როლს მისტერიაში?

— თქვენ გსურთ თქვათ, იუპიტერის როლს? — ჰკითხა უცნობმა.

— დიახ! — დაეთანხმა ლიენარდი, — ეს სულელია! მაშ. თქვენ იცნობთ იუპიტერს?

— მიშელ ჟიბორნს? — უპასუხა უცნობმა, — დიახ, ქალბატონო.

— რა მშვენიერი წვერი აქვს! — თქვა ლიენარდმა.

— კარგი იქნება ის, რასაც ისინი ახლა გვეტყვიან? — მორცხვად ჰკითხა ესიკეტმა.

— ძალიან კარგი, მადამუაზელ. — უპასუხა უცნობმა სრულიად უყოყმანოდ.

— რა იქნება ასეთი? — ჰკითხა ლიენარდმა.

— „მართალი სამსჯავრო ყოვლად უბიწო ქალწულისა მარიამისა“. მორალიტე, მადმუაზელ.

— აჰ! ეს სულ სხვა რამეა, — თქვა ლიენარდმა.

ხანმოკლე დუმილი ჩამოვარდა. იგი უცნობმა დაარღვია.

— ეს მორალიტე სრულიად ახალია და ჯერ კიდევ არ დადგმულა.

— მაშ ეს ის არ არის, — თქვა ჟისკეტმა, — ორი წლის წინ რომ წარმოადგინეს ბატონ ლეგატის მობრძანების დღეს, — როდესაც სამმა ლამაზმა ასულმა განასახიერა...

— სირენები, — სიტყვა მიაშველა ლიენარდმა.

— და სრულიად შიშვლები, — დაუროთ ყმაწვილმა კაცმა.

ლიენარდმა მორცხვად დახარა თვალები. ჟისკეტმა მას შეხედა და ისიც ისევე მოიქცა. უცნობმა ღიმილით განაგრძო:

— ფრიად საინტერესო სანახაობა იყო. დღეს კი მორალიტეს წარმოადგენენ, საგანგებოდ დაწერილს ფლანდრიელი პრინცესას პატივსაცემად.

— პასტორალებს იმღერებენ? — ჰკითხა ჟისკეტმა.

— ფუ! — თქვა უცნობმა. — მორალიტეში საჭირო არ არის სხვადასხვა ჟანრის ერთმანეთში არევა. ეს რომ სახუმარო პიესა იყოს, მაშინ რამდენიც გნებავთ.

— სამწუხაროა, — ჩაილაპარაკა ჟისკეტმა. — იმ დღეს მამაკაცები და ქალები პონსოს შადრევანის ირგვლივ განასახიერებდნენ ველურებს, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ და სხვადასხვანაირად იცვლიდნენ მდგომარეობას, თან პატარა მოტეტებსა და პასტორალებს მღეროდნენ.

— ის, რაც ლეგატისათვის გამოდგება, არ შეეფერება პრინცესას. — თქვა საკმაოდ ცივად უცნობმა.

— ხოლო მათ ახლოს, — განაგრძო ლიენარდმა, — მრავალ სასულე ინსტრუმენტზე შეჯიბრება მოეწყო და დიდებულ მელოდიებს ასრულებდნენ.

— და გამვლელებს რომ შესაძლებლობა ჰქონოდათ გაგრილებულიყვნენ, — განაგრძო ჟისკეტმა, — შადრევანის სამი მილიდან გადმოსჩქეფდა ღვინო, რძე და ტკბილი სასმელი. სვამდა ყველა, ვისაც კი სურდა.

— ხოლო პონსოს შადრევანის ცოტა ქვემოთ, წმინდა სამების ეკლესიის ახლოს, — განაგრძო ლიენარდმა, — უჩვენებდნენ პანტომიმას — „ვენებანი უფლისანი“.

— მშვენივრად მახსოვს! — შესძახა ჟისკეტმა: უფალი ღმერთი, ჯვარზე გაკრული, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ ორი ავაზაკი იდგა.

აქ ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ ახალგაზრდა ენატარტა-
რა ქალები. გატაცებით იგონებდნენ ბატონ ლეგატის მობრძანებას.

— ცოტა მოშორებით, მხატვართა კიშკრის ახლოს, იყვნენ კი-
დევე სხვა მეტად მდიდრულად ჩაცმული პირები.

— გახსოვს, როგორ მისდევდა მონადირე წმინდა ინოკენტის
შადრევნის მახლობლად ფურჩოვს ძაღლების ყუჩითა და ბუქით?

— ხოლო პარიზის სასაკლავოსთან მოწყობილი იყო ფიცარნაგი,
რომელიც დიების ციხე-სიმაგრეს გამოხატავდა.

— ხომ გახსოვს, ქისკეტ, როცა ლეგატმა გაიარა, როგორ
აიღეს იერიშით ეს ციხე-სიმაგრე და ყველა ინგლისელს ყელი
გამოსჭრეს.

— შატლეს კიშკართანაც მშვენიერი მსახიობები იყვნენ.

— ზარაფების ხიდზეც, რომელიც მთლად ნოხებით იყო მოფე-
ნილი.

— და როდესაც ლეგატმა გაიარა, ხიდზე ორას ათეულზე მეტი
ყველანაირი ფრინველი ააფრინეს; რა მშვენიერი რამ იყო, ლიე-
ნარდ.

— დღეს კიდევე უფრო უკეთესი რამ იქნება! — ბოლოს ისევ
ჩაერია ლაპარაკში მათი თანამოსაუბრე, რომელიც მოთმინებადა-
კარგული უგდებდა ყურს.

— თქვენ გვპირდებით, რომ ეს მისტერია კარგი იქნება? —
იკითხა ქისკეტმა.

— უქველად, — უპასუხა მან; შემდეგ კი ერთგვარი მედიდუ-
რებით დასძინა: — მე ავტორი გახლავართ, ქალბატონებო, ამ მის-
ტერიისა.

— მართლა? — ჰკითხეს გაკვირვებულმა ახალგაზრდა ქალებმა.

— მართლა! — უპასუხა ოდნავ თავმომწონედ პოეტმა. — ესე
იგი, ჩვენ ორნი ვართ; ყენა მარშანი, რომელმაც ფიცრები დახერხა,
სათეატრო ხარაჩოები აღმართა და მთელი სადურგლო სამუშაო
ჩაატარა, და მე, რომელმაც ეს პიესა დაეწერე. — მე მქვია პიერ
გრენგუარი.

თვით „სიდის“ ავტორიც კი ვერ იტყოდა ასე ამაყად: „პიერ
კორნელი! ვარო“.

ჩვენი მკითხველები შენიშნავენ, რომ უკვე საკმაო დრო გავი-
და მას შემდეგ, რაც იუპიტერი ფარდას იქით მიიშალა, იმ წუთე-
ბამდე, როდესაც ახალი მორალიტეს ავტორმა ასე მოულოდნელად
ამხილა თავისი თავი, რამაც ქისკეტისა და ლიენარდის გულუბრ-
ყვილო აღტაცება გამოიწვია. საყურადღებო ფაქტია; მთელი ეს
ბრბო, რომელიც ეგზომ შფოთავდა სულ რამდენიმე წუთის წინ,

ახლა, კომედიანტის სიტყვას მინდობილი, გულდამშვიდებით ელოდებოდა წარმოდგენის დაწყებას; ეს ამტკიცებს სამარადისო ჭეშმარიტებას: ხალხმა რომ მოთმინებით იცადოს — საუკეთესო საშუალებაა უმტკიცო, ახლავე დავიწყებთო. ეს ახლავ დახტურდება ყოველდღე ჩვენს თეატრებში.

მაგრამ მოსწავლე უენი არ თვლემდა.

— ჰეი! — მისმა ყვირილმა უცბად დაარღვია სიმშვიდე, რომელიც მღელვარების შემდეგ დამყარდა, — იუპიტერო! ქალბატონო ღვთისმშობელო! ეშმაკის პამპულეზო! დაგვიცინით თუ? პიესა! პიესა-მეთქი! დაიწყეთ, თორემ ისევ ჩვენ დაგასწრებთ!

მეტიც აღარ დასჭირვებია.

ხის ნაგებობის სიღრმიდან გაისმა მუსიკალური ინსტრუმენტების მაღალი და დაბალი ბგერები. სარაფარდა გადასწიეს. იქიდან კრელ ტანსაცმელში გამოწყობილი და სახეშეთხუნილი ოთხი მსახიობი გამოვიდა. ისინი თეატრის დაქანებული კიბით ზედა სტენაზე აფოფხდნენ, მაყურებელთა წინ ერთ ხაზზე გამწკრივდნენ და მდაბლად თავი დაუქრეს. სიმფონია დადუმდა. მისტერია დაიწყო.

ამ ოთხმა პიროვნებამ, მას შემდეგ, რაც მაყურებელმა რევერანსებისათვის უხვად დააჯილდოვა ტაშისცემით, მოკრძალებული დუმილის დროს დაიწყო პროლოგის კითხვა, რისგანაც სიამოვნებით ვათავისუფლებთ მკითხველებს. თუმცა, როგორც ჩვენს დროშიც ხდება, ხალხის ყურადღება უფრო ტანსაცმელმა მიიპყრო და არა როლმა, რომელსაც ისინი ასრულებდნენ. ჭეშმარიტად, ეს მართებულიც იყო. ოთხივეს ეცვა სანახევროდ ყვითელი და სანახევროდ თეთრი ტანსაცმელი, რომლებიც ერთმანეთისაგან ქსოვილის თვისებით გაირჩეოდა. პირველს ოქრო-ვერცხლის სტავრა ემოსა, მეორეს — აბრეშუმი, მესამეს — შალი, მეოთხეს — ტილო. პირველ მსახიობს მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა, მეორეს — ორი ოქროს გასაღები, მესამეს — სასწორი, მეოთხეს — ბარა. თუმცა ეს დამახასიათებელი ნიშნები სრულიად ცხადი იყო, ზანტი გონების ადამიანებისათვის მათი მნიშვნელობის გაგება რომ გაეადვილებინათ, სტავრის კაბის კალთაზე შავი დიდი ასოებით ამოეჭარათ: „მე მქვია აზნაურობა“, აბრეშუმის კაბის კალთაზე ეწერა: „მე მქვია სამღვდელოება“, შალის კაბის კალთაზე — „მე მქვია ვაჭრობა“, ხოლო ტილოს კაბის კალთაზე — „მე მქვია მხვნელმთესველი“. ყოველი ყურადღებიანი მაყურებელი ნათლად დაინახავდა, რომ პირველი ორი ალეგორიული ფიგურა, რომლებიც უფრო მოკლე კაბებითა და წვეტიანი ქულებით იყვნენ მორთული,

მამრობით სქესს აღნიშნავდა, მაშინ როდესაც ორი ალეგორიული ფიგურა მდებარეობით სქესზე მიუთითებდა, მათ უფრო გრძელი ტანისამოსი ეცვათ და თავზე ჩაჩი ეხურათ.

მხოლოდ მეტიმეტად ბოროტი ნების ადამიანი თუ ვერ მიხვდებოდა პროლოგის პოეტურ ენაში იმას, რომ მხენელ-მთესველი გლახობა შეუღლებული იყო ვაჭრობასთან და სამღვდლოება — აზნაურობასთან, და რომ ორივე ბედნიერი წყვილი ერთად ფლობდა დიდებულ ოქროს დოფინს*, რომელიც განიზრახეს მიუძღვნან ულამაზეს ქალს.

ამრიგად, ისინი გაემართნენ მთელ ქვეყანაზე ამ მშვენიერი ქალის საძებნელად და მას შემდეგ, რაც ერთმანეთზე მიყოლებით დაიწყუნეს დედოფალი გოლკონდა, ტრაპიზუნდის პრინცესა, თათართა დიდი ხანის ასული და სხვ. და სხვ., მიწის მუშაკნი და სამღვდლონი, თავადაზნაურნი და ვაჭარნი მოვიდნენ დასასვენებლად მართლმსაჯულების სასახლის მარმარილოს მაგიდასთან, და პატივცემული აუდიტორიის წინაშე იმდენი სენტენციები, ნაკვესები, აფორიზმები, დებულებანი, სოფიზმები, განსაზღვრებანი, საბუთები და პოეტური ფიგურები წარმოთქვეს, რამდენიც მაშინ საჭირო იყო სიტყვიერების მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოცდებზე ლიცენციატის წოდების მისაღებად.

ყოველივე ეს მართლაც საუცხოო რამ იყო.

მაგრამ მთელ ამ ბრბოში, რომელსაც ოთხი ალეგორიული ფიგურა ზედიზედ აფრქვევდა მეტაფორების ნაკადს, არავინ უსმენდა ისეთი ყურადღებით, გულათრთოლებული, თვალაგზნებული, კისერწაწეული, როგორც ავტორი, პოეტი, სახელოვანი პიერ გრენგუარი, რომელმაც ამ რამდენიმე წუთის წინ ვერ მოითმინა და თავისი სახელი გაანდო ორ ლამაზ ასულს. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, სვეტს ამოეფარა და იქიდან უსმენდა, უცქერდა და ტკებოდა. მოწონების ტაშისცემა, რომლითაც შეხვდნენ მისი პროლოგის დასაწყისს, კვლავ ჟღერდა მის გულში. მთლად ჰკრეტად და სმენად იყო ქცეული. გატაცებით უსმენდა იგი, ისე როგორც ავტორი უკლებს ზოლმე ყურს, როდესაც მსახიობის ბაგეთაგან იფრქვევა მისი აზრები უზარმაზარ მღუმარე აუდიტორიაში. ო, ღირსეულო პიერ გრენგუარ!

თუმცა გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ეს პირველი აღტაცება ძალიან მალე დაირღვა. ძლივს მიიტანა პიერ გრენგუარმა ბაგეებთან

* სიტყვათა თამაში, ზომა: ფრანგულად dauphin — დელფინს, ზღვის ღორსი ნიშნავს და დოფინსაც, უფლისწულს, ტახტის მემკვიდრეს.

სიხარულისა და ზეიმის დამატობელი ფიალა, რომ მას უცბად სიმწრის წვეთი შეერია.

ვილაც კონკიჯლარუნა მათხოვარმა, რომელიც იმდენად ჩაქარგულიყო ამ მრავალრიცხოვან ბრბოში, რომ საშუალება არ ჰქონდა მოწყალება ეთხოვა, და რომელმაც, უთუოდ თავისი ზარალის საკმაო ანაზღაურება ვერ ჰპოვა მეზობელთა ჯიბეებში, განიზრახა უფრო თვალსაჩინო ადგილზე წამოსკუბებულყო, რათა ყველას თვალში მოხედროდა, ხალხის ყურადღება მიექცია და მოწყალება მიეღო. ამრიგად, როგორც კი გაისმა პროლოგის პირველი ლექსები, ელჩებისათვის მომზადებულ ესტრადის სვეტების საშუალებით აცოცდა მოაჯირის ქვედა ნაწილის ირგვლივ შემოვლებულ ლავარდანამდე და იქ ჩამოჯდა; თითქოს უნდოდა უამრავი ხალხის ყურადღება და სიბრალული მიეპყრო თავისი ძონძებითა და საზიზღარი ქრილობით, რომლითაც დაფარული ჰქონდა მარჯვენა მკლავი. თუმცა ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს.

სანამ ის გაჩუმებული იყო, პროლოგი დაუბრკოლებლად ვითარდებოდა და არავითარი საგრძნობი უწესრიგობა არ მოხდებოდა, რომ საუბედუროდ მოსწავლე ეიანს თავისი მაღალი სვეტიდან არ შეემჩნია მათხოვარი და მისი თვალთმაქცური პრანჭვა-გრეხა-გიჟურმა სიცილმა შეიპყრო ჩვენი ახალგაზრდა ავარა, რომელიც სულაც არ დარდობდა, თუ წარმოდგენა შეწყდებოდა და საერთო ყურადღებას დაარღვევდა. მან მკვირცხლად იყვირა:

— ჰეი! ერთი შეხედეთ იმ ჩაჩანაკს, მოწყალებას რომ თხოულობს!

ვისაც ბაყაყებით სავსე გუბეში ქვა გადაუგდია, ან ფრთხელთა გუნდისათვის თოფი უსროლია, არ გაუძნელდება წარმოიდგინოს, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს უადგილო სიტყვები იმ გარემოში, სადაც მთელი ხალხი სმენად იყო ქცეული. გრენჯუარი შეკრთა, თითქოს ელდენმა დაარტყაბ. პროლოგი უცბად შეწყდა, ხმა ჩაუვარდა, ატყდა ჩოჩქოლი, ყველამ თავი იბრუნა მათხოვრისაკენ, რომელიც სულაც არ შეშფოთებულა ამის გამო, პირიქით, ამ შემთხვევაში მან მხოლოდ მარჯვე საბაბი ნახა იმისათვის, რომ მოსავალი მოემკო. თვალეები ნახევრად დახუჭა და საცოდავი სახით გააბა:

— მოწყალება მოიღეთ, ღვთის გულისათვის!

— ერთი ამას დამიხედეთ! — განაგრძო ეოანესმა, — სულსა ვფიცავ, ეს კლოპენ ტრუილფუა. ეჰეი! მეგობარო, გეტყობა, ფეხზე ძალიან გაწუხებდა ქრილობა, მკლავზე რომ გადაგიტანია?

თქვა და მაიმუნის სიმარჯვით ესროლა წერილი ვერცხლის ფული პირდაპირ ნაბდის გაქონილ ქუდში, რომელიც მათხოვარს მტკა-

ვან ხელში ეჭირა. მათხოვარმა წარბშეუხზრელად მიიღო მოწყალეობაც და დაცინვაც და საბრალო ხმით განაგრძო: — გთხოვთ, გაიღოთ მოწყალეობა!

ამ ამბავმა ძალიან გაართო აუდიტორია. მაყურებელთა საკმაო რიცხვი რობენ პუსპენისა და ყველა მოსწავლის მეთაურობით მხიარულად უკრავდა ტაშს ამ უცნაურ დუეტს, რომელიც შუა პრ.ოლოგის დროს შეასრულეს მოსწავლემ თავისი ყურთასმენის წამლები ხმით და მათხოვარმა გაბმული ღიჯინით.

გრენგუარი ძალიან უკმაყოფილო იყო. როგორც კი პირველი განცვიფრების შემდეგ გონს მოვიდა, სცენაზე მყოფ ოთხივე მსახიობს დაუყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— განაგრძეთ! ეშმაკმა დალახვროს! განაგრძეთ!

ამასთან ის ორი ხელისშემშლელი იმის ღირსადაც კი არ ჩათვალა, ზიზლით მანინც გადაეხედა.

ამ დროს მან იგრძნო, რომ ვიღაცამ სერთუჟის კალთაზე მოსწია. გრენგუარი გაბრაზებული მიბრუნდა. თუმცა გუნებაზე არ იყო, უნებურად გაეღიმა. ჟისკეტ ლა ჟანსიენს თავისი ლამაზი ხელი მოაჯირში გამოეყო და ამრიგად ცდილობდა მისი ყურადღება მიეპყრო.

— ბატონო, — მიმართა ყმაწვილმა ქალმა, — ნუთუ განაგრძობენ?

— უსათუოდ, — უპასუხა ასეთი შეკითხვით ცოტა არ იყოს განაწყენებულმა გრენგუარმა.

— თუ ასეა, მესირ, იქნებ კეთილ ინებოთ და ამიხსნათ...

— რასაც ილაპარაკებენ? — შეაწყვეტინა გრენგუარმა. — კეთილი! მისმინეთ!

— არა, — თქვა ჟისკეტმა, — ამიხსენით ის, რაც აქამდე თქვეს...

გრენგუარი შეკრთა, თითქოს ღია ქრილობაზე ხელი შეახესო.

— „შავ ჰირსაც წაუღია ეს ჩერჩეტი და გონებადასშული ქალი“. — წაიბურტყუნა მან.

ამ წუთიდან ჟისკეტი დაეცა მის თვალში.

ამასობაში მსახიობები დაემორჩილნენ მის ბრძანებას და საზოგადოებასაც, რაკი დაინახა, დეკლამირება კვლავ განაგრძესო, ისევ დაუგდო ყური. თუმცა მომხდარი სავალალო ამბის გამო, რომელმაც ასე მოულოდნელად გაწყვიტა პროლოგი ორ ნაწილად, მრავალი მშვენიერი ადგილი გამოჩნა. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა ნალელიანად გრენგუარი. მაგრამ სიწყნარე თანდათანობით გამეფდა, მოსწავლე გაჩუმდა, მათხოვარი ფულებს ითვლიდა თავის ქულში, და პიესის წარმოდგენაც კვლავ განახლდა.

მართლაც მშვენიერი ნაწარმოები იყო. ჩვენ გვგონია, დღესაც შეიძლებოდა მისი გამოყენება ზოგიერთი შესწორების შემდეგ. მართალია, გადმოცემა, მაშინდელი წესის მიხედვით, ცოტა გაჭიანურებული და უშინაარსო ჩანდა; სამაგიეროდ უბრალოებით გამოირჩეოდა და გრენგუარი სულის სიღრმეში გულწრფელად აღტაცებული იყო მისი ნათელი თხრობით. ის ოთხი ალეგორიული პიროვნება უთუოდ ცოტა დაიღალა, რადგან ქვეყნიერების სამი ნაწილი შემოიარეს და შესაძლებლობა არ მიეცათ ზრდილობიანად თავი დაეღწიათ თავიანთი ოქროს დელფინისათვის. ამის შემდეგ მოსდევდა ხოტბა საკვირველი თევზისა და შეიცავდა ათას ლამაზ გადაჯრულ სიტყვას მარგარიტა ფლანდრიელის ახალგაზრდა საქმროზე, რომელიც იმ დროს ფრიად დანადგლიანებული განდევნილიყო ცხოვრობდა თავის ამბუჯაზის ციხე-კოშკში, და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ მისი გულისთვის მიწის მუშაკებმა და სამღვდლოებამ, თავადაზნაურებმა და ვაქრებმა მთელი მსოფლიო შემოიარეს. ამრიგად, ზემოხსენებული დოფინი ახალგაზრდა, ლამაზი, ძლიერი, და რაც მთავარია, ძე იყო საფრანგეთის ლომისა (აი სასწაულებრივი და დიდებული წყარო მეფეთა ყოველი სათნოებისა!). შე ვაცხადებ, რომ ეს თამამი მეტაფორა საუცხოოა, და რომ თეატრის ბუნებრივ ისტორიას, ალეგორიებისა და მეფეთა ქორწინების სიმღერისადმი მიძღვნილ დღეს შეუსაბამობად როდი მიაჩნია, ლომმა დელფინი შვას. ეს მართლაც იშვიათი და პინდარისებური მაღალფარდოვანი აღრევა სწორედ რომ პოეტურ აღფრთოვანებას მოწმობს, თუმცა კრიტიკის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ორასი ლექსის გამოყენება პოეტის მიერ ამ მშვენიერი აზრის გასაშლელად, ცოტა არ იყოს, მეტისმეტია. მართალია, ბატონ მთავარმოსამართლის განკარგულების თანახმად მისტერია შუადღიდან ოთხ საათამდე უნდა გაგრძელებულიყო, და მსახიობებსაც ხომ რაღაც უნდა ეთქვათ. თუმცა ხალხი მოთმინებით უსმენდა.

უცხად, ქალიშვილ ვაქარსა და ქალბატონ აზნაურობას შორის გაჩაღებულ შუა ჩხუბში, იმ დროს, როდესაც ძია გლახობა საკვირველ ლექსს წარმოთქვამდა:

არასოდეს არ უნახავთ ტყეში
მასზე უფრო უძლეველი მზეცი!

საპატიო ესტრადის აქამდე ასე უდროოდ დაკეტილი კარი კიდევ უფრო უდროოდ გაიღო და კარისკაცმა ხმამაღლა გამოაცხადა:

— მისი უსამღვდელოესობა, მონსენიორ კარდინალ ბურბონელი !.

ბატონი კარდინალი !

საბრალო გრენგუარი! ივანობის დღეს უშველებელი ორმაგი პეტარდების ჭექა-ქუხილი, ოცი არკებუზის ბათქი, კოშკ ბილიდან განთქმული ზარბაზნის გრგვინვა, რომელმაც 1465 წლის 29 სექტემბერს, კვირა დღეს, პარიზის გარემოცვის დროს ერთი გასროლით შვიდი ბურგუნდიელი მოკლა, თოფის წამლის საწყობის აფეთქება ტამპლის ჭიშკართან — ყოველივე ეს ისე ძლიერ ვერ გააბრუებდა ამ საზეიმო და დრამატულ წუთებში, როგორც კარისკაცის მიერ წარმოთქმულმა რამდენიმე სიტყვამ: „მისი უსამღვდელოესობა, მონსენიორ კარდინალ ბურბონელი“.

იმიტომ კი არა, რომ პიერ გრენგუარს ეშინოდა ან სძულდა ბატონი კარდინალი. ის არც ასეთი სულმდაბალი იყო და არც ასეთი ქედმაღალი. ნამდვილი ეკლექტიკოსი, როგორც დღეს იტყოდნენ, გრენგუარი ეკუთვნოდა იმ სულით მტკიცე და ამალეებულ, თავდაპირველ და მშვიდ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც ყოველთვის კარგად იციან ყველაფერში საშუალო ადგილის შერჩევა *stare in dimidio rerum*, მუდამ საღად მსჯელობენ, ლიბერალურ ფილოსოფიას ემხრობიან და ამავე დროს კარდინალებსაც ჯეროვან პატივს მიაგებენ. ფილოსოფოსთა ამ ძვირფას მოდგმას, რომელიც არასოდეს გადაშენდება, თითქოს სიბრძნისაგან, ამ მეორე არიადნასაგან მიეღოს ძაფის გორგალი; შლის ეს მოდგმა ამ გორგალს, მისდევს ძაფს ქვეყნის დასაბამიდან და მიიკვლევს გზას ადამიანთა საქმეების ლაბირინთში. მათ ნახავთ ყველა დროში, მუდამ უცვლელსა და ერთნაირს, ასე ვთქვათ, დრო და ყამის შესაფერისად. ანგარიშში რომ არ ჩავაგდოთ ჩვენი პიერ გრენგუარი, რომელიც, თუკი შევძლებდით მისი ჭეშმარიტი სახის აღდგენას, მეთხუთმეტე საუკუნეში მათი წარმომადგენელი იქნებოდა, უნდა ვალიართ, რომ უთუოდ მათმა სულმა შთააგონა მამა დიუ ბრელს, როცა მეთექვსმეტე საუკუნეში ასეთ დიდებულ, ყოველი საუკუნის ღირს სიტყვებს გულუბრყვილოდ წერდა: „მე დაბადებით პარიზელი ვარ და საუბარში გულახდილი გახლავართ, რამეთუ „პარეზია“ ბერძნულად ნიშნავს „სიტყვის თავისუფლებას“, რითაც თავი მოვაბეზრე მათ მაღალ ღირსებას ბატონ კარდინალებს, ბიძასა და მონსენიორის ძმას პრანც დე კონტის. მაგრამ ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული მათი უდიდებულესობისადმი და არც შეურაცხყოფა

მიმიყენებია მისი ამაღლის არც ერთი წევრისათვის, ეს კი მცირე დამსახურება როდია“.

ამრიგად, ამ უსიამოვნო შთაბეჭდილებაში, რომელიც მოახდინა პიერ გრენგუარზე კარდინალის გამოჩენამ, არ იყო არც პირადი სიძულვილი და არც უგულუბელყოფა მისი მობრძანებისა. პირიქით, ჩვესი პოეტი, რომელსაც ფრიად საღი გონება ჰქონდა და მეტისმეტად გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმას ანიჭებდა, მის მრავალ გადაკრულ სიტყვებს პროლოგში, მეტადრე ტახტის მემკვიდრის, საფრანგეთის ლომის ძის ხოტბას, მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ყურამდე მიედწია. მაგრამ ანგარება როდი ფლობს პოეტთა კეთილშობილ ბუნებას. ვფიქრობ, თუ პოეტის არსება შეიძლება გამოეხატოთ ათი ოციჯვით, მაშინ ქიმიკოსი ანალიზითა და ფარმაკოპოლიზით, როგორც რაბლე! ამბობს, ალბათ, ცხრა მეთედ თავმოყვარეობის საპირისპიროდ ერთ მეთედ ანგარებას აღმოაჩენდა. იმ წუთს, როცა კარი გაიღო და კარდინალი შემოვიდა, გრენგუარის თავმოყვარეობის ეს ცხრა მეთედი სახალხო ალტაცების ზეგავლენით კიდევ უფრო გაიზარდა, გადიდდა, გაფართოვდა და ისეთ საოცარ ფარგლებს შიაღწია, რომ სრულიად ჩაახშო ანგარების ის უჩინარი მოლეკულა, რომელიც ახლახან აღმოვაჩინეთ პოეტთა ბუნებაში. თუმცა ეს მოლეკულა ძვირფასი შემადგენელი ნაწილია, რადგან იგი წარმოდგენს სინამდვილისა და ადამიანის ბუნების იმ ბალასტს, ურომლისოდაც ისინი დედამიწას ვეღარ შეეხებოდნენ. გრენგუარი უყურებდა, ასე ვთქვათ, ხელით ეხებოდა მთელ ამ შეკრებულობას და დიდ სიამოვნებას განიცდიდა. მართალია, ეს ბრბო არამზადებისაგან შედგებოდა, მაგრამ მაინც განცვიფრებული და გაშტერებული იყო, თითქოს სული ეხუთებოდა იმ უზომო ტირადებისაგან, ყოველ წუთს რომ იფრქვეოდა საქორწინო სიმღერის ყოველი ნაწილიდან. მე ვამტკიცებ, რომ გრენგუარი საყოველთაო ნეტარებას იზიარებდა და ისე როდი მოიქცა როგორც ლაფონტენი², რომელმაც თავისი კომედიის „ფლორენტიუნელის“ წარმოდგენისას იკითხა: „რომელმა უმეცარმა შეთხზა ეს უხეირო რაპსოდიო?“ გრენგუარი კი სიამოვნებით შეეკითხებოდა თავის მეზობელს: „ვინ დაწერა ეს შედევრო?“ ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა გავლენას მოახდენდა მასზე კარდინალის უეცარი და უდროო გამოჩენა.

გრენგუარის შიში სავსებით გამართლდა. მისი უსამღვდელოესობის შემოსვლამ ააფორიაქა მსმენელები. ყველამ პირი ესტრადისაკენ იბრუნა. ყურთასმენა აღარ იყო. „კარდინალი! კარდინა-

ლა!“ — იმეორებდა ყველა. მეორედ შეაწყვეტინეს ბედუქუღმართი პროლოგი.

კარდინალი წუთით შეჩერდა ესტრადის ზღურბლზე. სანამ იგა გულგრილად მიმოავლებდა თვალს აუდიტორიას, ჩოჩქოლმა ერთი-ორად იმატა. ყველას უნდოდა კარგად დაენახა კარდინალი. თვითუ-ული იმას ცდილობდა თავი მეზობლის მხრებზე უფრო მაღლა აეწია.

მართლაც კარდინალი იმდენად დიდი პიროვნება იყო, რომ მისი შეხედვა სჯობდა ყოველ სხვა სანახაობას. შარლ, კარდინალ ბურბონელი, არქიეპისკოპოსი და გრაფი ლიონისა, პრიმასი გალე-თისა, ერთსა და იმავე დროს ენათესავებოდა ლუი XI-საც¹, თავისა ძმის პიერის, სენიორ ბოჟიოს მხრივ, რომელიც ჯვარდაწერილი იყო მეფის უფროს ქალიშვილზე, და შარლ გულადსაც², თავისა დედის აგნესა ბურგუნდიელის მხრივ. ამასთან გალეთის პრიმასის განმასხვავებელ, ძირითად თვისებას წარმოადგენდა კარისკაცის პირმოთნეობა და ძლიერთა მიმართ მოკრძალება. ადვილი წარმოსადგენია, რა უამრავ სიძნელეებს უქმნიდა ეს ორმხრივი ნათესაობა და ყველა ის, დროებითი ბრაგა, ყველა ის უხილავი წყაღქვეშა კლდე წუთისოფლისა, რომელთა მიხვეუღ-მოხვეუღებში მის ფიქრთა ნავს უნდა გაეეღო, რათა არ წასწყდომოდა არც ლუის, არც შარლს, — ამ ქარიბდასა და სცილას³, რომელთაც უკვე შთანთქმეს ჰერცოგი დე ნემურ და კონეტაბლი დე სენ-პოლი⁴. ზეცის წყალობით კარდინალმა შესძლო ამ მოგზაურობის კეთილად დამთავრება, დაუბრკოლებლად რომში ჩასვლა; ესე იგი კარდინალის მანტიის მიღება. და თუმცა უკვე ნავსაყუდელში იმყოფებოდა, ან სწორედ ამის გამო, მას არასოდეს არ შეეძლო გულდამშვიდებით გაეხსენებინა თავისი ხანგრძლივი, შფოთიანი და შრომით საესე პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ბედუქუღმართობანი. ის ჩვეულებრივ ხშირად იმეორებდა, რომ 1476 წელი მისთვის „შავიც იყო და თეთრიც“; სწორედ ამ წელიწადს დაკარგა დედა, ბურბონელი ჰერცოგის მეუღლე, და ბიძაშვილი, ბურგუნდიის ჰერცოგი; მისი პირველი მწუხარება მეორეში ჰპოვებდა ნუგეშს.

კარდინალი კეთილი კაცი იყო; მხიარულ ცხოვრებას ეწეოდა, სიამოვნებით მიირთმევდა შალიოს სამეფო ზვრების ღვინოს, რი-შარლ ლა გარმუაზსა და თომას ლა სალიარდსაც მოწყალე თვალთ უყურებდა, ლამაზ ქალებს უფრო გაიკითხავდა, ვიდრე ბებრებს; ყოველივე ამის გამო პარიზელ ხალხში კარგი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მარტო გამოსულს ვერ ნახავდით, ჩვეულებრივ თან ახლდა თავაზიანი, მხიარული და ქეიფის მოყვარული, მაღალი შთა-

მომავლობის ეპისკოპოსებისა და აბატების მთელი ამაღა. არაერთხელ აღშფოთებულან სენ-ჟერმენ დ'ოზერის მრევლის ღვთისმოსავი ქალები, როცა ბურბონთა სასახლის განათებული ფანჯრების წინ საღამოობით ჩაუელიათ და გაუგიათ, როგორ მღეროდნენ ჰიქების წკრიალში *Bibamus papaliter** — პაპის ბენედიქტე XII ბაქქურ სიმღერას იგივე ხმები, რომელთაც ეს-ეს არის მწუხრის ლოცვა შეასრულეს; ამ პაპმა ტიარას მესამე გვირგვინი მიუმატა!

უთუოდ ამ დამსახურებული პოპულარობის წყალობით აიცილა კარდინალმა ბრბოს მტრული შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ესოდენ უკმაყოფილო იყო ამ რამდენიმე წუთის წინ და თან ნაკლებ განწყობილი, პატივი ეცა კარდინალისათვის სწორედ იმ დღეს, როცა თავად უნდა აერჩია პაპი. მაგრამ პარიზელები გულღრმად არიან. რაკი აიძულეს დაეწყოთ წარმოდგენა, მოქალაქეებს ეგონათ კარდინალზე გავიმარჯვეთო და ამ გამარჯვებითაც კმაყოფილი იყვნენ. გარდა ამისა, კარდინალ ბურბონელი ლამაზი კაცი იყო, თანაც საუცხოო წითელი მანტია ემოსა, რომელიც მეტისმეტად უხდებოდა, ასე რომ ყველა ქალი, მაშასადამე აუდიტორიის საუკეთესო ნაწილი მის მხარეზე იყო. მართლაც, რა უსამართლობა და უზრდელობა იქნებოდა ყიჟინა აეტეხათ კარდინალისათვის იმის გამო, რომ ხალხს აცდევინა წარმოდგენის დაწყების ეამს, მაშინ როდესაც ასეთი ლამაზი იყო და ასე მოხდენილად ატარებდა თავის წითელ მანტიას!

ამრიგად, იგი შემოვიდა, დამსწრეთ მიესალმა იმ მემკვიდრეობით თანდაყოლილი ღიმილით, რომლითაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ესალმებიან ხოლმე ხალხს, და დინჯად გაემართა ალისფერ ხავერდგადაკრული სავარძლისაკენ, თან ისეთი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. ეპისკოპოსთა და აბატთა ამაღა, ანუ როგორც დღეს ვიტყოდით, მისი გენერალური შტაბი, ესტრადაზე შემოიჭრა, რამაც ერთიორად გააძლიერა ცნობისმოყვარეობა და ჩოჩქოლი პარტერში. თვითეული იმას ცდილობდა, მეორისათვის ეჩვენებინა, დაესახელებინა და გაეგებინებინა, რომ ამ სასულიერო პირთა შორის ერთ ვინმეს მაინც იცნობდა: ვინ მარსელელი ეპისკოპოსი, ბატონი ალოდე იცნო, თუკი მესხიერება არ ღალატობდა, ვინ — სენ-დენის წინამძღვარი, ვინ — რობერ დე ლესპინასი, სენ-ჟერმენ-დე-პრეს აბატი, ლუი XI ხასის ეს გარყვნილი ძმა, ვინ მართალს ამბობდა, ვინ ტყუილს, კაცი ვერ გაიგებდა. იყო ერთი მითქმა-მოთქმა და აყალმაყალი. რაც შეეხება მოსწავლეებს,

* დავლით პაპივით.

ისინი საშინლად იგინებოდნენ. ეს დღე მათ ეკუთვნოდა, ქილიკების დღესასწაული იყო, მათი სატურნალიები, გადამწერებისა და მოსწავლეების ყოველწლიური ორგანიზაციები. ყოველგვარი უხამსობა ამ დღეს ნებადართული იყო, ყოველგვარი თავხედობა — მისატყვებელი. გარდა ამისა, ბრბოში ერივნ ისეთი გიჟმაყი და ენაქარტალა გოგონები, როგორც სიმონა ოთხგირვანქიანი, აგნესა ვირთევა, რომინა თხისფება. ამა როგორ შეეძლოთ არ ეხმარათ უწმაწური სიტყვები გულის საოხებლად, როგორ შეეძლოთ არ ჩაედინათ მკრეხელობა, არ ეგმოთ ღვთის სახელი ასეთ მშვენიერ დღეს, საეკლესიო პირებისა და მხიარული ქალების ესოდენ კარგ საზოგადოებაში. ისინიც ამ სიამოვნებას არ იკლებდნენ; ამ ყაყანში, ამ საშინელ ჟივილ-ხივილში გაისმოდა ღვთის გმობა და წრეგადასული უკადრისი სიტყვები ენაწაგდებულ გადამწერთა და მოსწავლეთა, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში წმინდა ლუის გაეარვარებული შანთის შიშით ენა მუცელში ჰქონდათ ჩავარდნილი. საბრალო წმინდა ლუი! როგორ აბუჩად იგდებდნენ მას საკუთარ მართლმსაჯულების ტაძარში! თვითელმა მათგანმა ესტრადაზე ახლად გამოჩენილთა შორის ამოიჩინა თავისი მსხვერპლი — შავი ან რუხი, თეთრი ან იისფერი ანაფორა. რაც შეეხება ჟოანეს ფროლო დე მოლენდინოს, მან, როგორც არქიდიაკონის ძმამ, ნიშანში ამოიღო წითელი მანტია და თამამად შეუტია, ურცხვი თვალები კარდინალს გაუშტერა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაძახა:

— *Cappa repleta mero!* *

ყველა ეს დეტალი, რომლებიც შეულამაზებლად აქ მოგვყავს მკითხველის ჰკუის სასწავლებლად, იმღუნა ჩანშული იყო საყოველთაო ხმაურსა და გუგუნში, რომ მანამდე იკარგებოდა, სანამ საგანგებოდ გამოყოფილ ესტრადას მიაღწევდა. თუმცა კარდინალს ეს ნაკლებ აღელვებდა, იმდენად ჩვეულებად იყო ქცეული ამ დღეს ყოველგვარი თავისუფალი და მოურიდებელი საქციელი. მაგრამ ამასთან შეფიქრიანებულ სახეზე ეტყობოდა, რომ სულ სხვა საზრუნავი გასჩენოდა და ეს საზრუნავი არ სტოვებდა, და თითქმის ერთდროულად თან შემოჰყვა ესტრადაზე: ეს იყო ფიქრი ფლამანდიელ ელჩებზე.

კარდინალი არ გახლდათ ღრმა პოლიტიკოსი; ძალიანაც არ ენადვლებოდა თავისი დეიდაშვილის, მარგარიტა ბურგუნდიელისა და ბიძაშვილის შარლის, ვიენელი უფლისწულის ქორწინების შესაძლო შედეგები; ასევე ნაკლებ აწუხებდა ის ამბავი, თუ რამდენ ხანს გას-

* ღვინით გაკლენთილო ანაფორავი

ტანდა ფარისევლური „კეთილი თანხმობა“ ავსტრიელ ჰერცოგსა და საფრანგეთის მეფეს შორის, როგორ მიიღებდა ინგლისის მეფე ჟაივისი ქალიშვილის უგულვებელყოფას; ყოველ საღამოს მიიერთმეგ- და შალიოს სამეფო ზერების ღვინოს და ექვიც არ ეპარებოდა, რომ ამ ღვინოს რამდენიმე ბოთლი (მართალია, დოქტორ კუაკტიეს მიერ ოდნავ შეზავებულ), რომლებიც ლუი მეთერთმეტემ გულითადად შესთავაზა ედუარდ მეოთხეს¹. ერთ მშვენიერ დილას თავიდან მო- აშორებდა ლუი მეთერთმეტეს ედუარდ მეოთხეს. „ბატონ ჰერ- ცოგ ავსტრიელის ფრიად საპატიო ელჩობას“ არც ერთი ამ საზრუ- ნავთაგანი არ გაუჩინია კარდინალისათვის, მაგრამ იგი სხვა მხრივ აწუხებდა მას. მართლაც, ძნელი სწორედ ის იყო, როგორც უკვე ვთქვით ერთი სიტყვით ამ წიგნის მეორე გვერდზე, რომ შარლ ბურბონელი იძულებული იყო გულთბილად და ზემოთ მიეღო ვო- ლაც მეშჩანები, რომ იგი, კარდინალი, ვალდებული იყო თავაზიანო- ბა გამოეჩინა ვილაც ქალაქისთაებთან; ის, ფრანგი, მხიარული თა- ნამესუფრე უნდა გამასპინძლებოდა ფლამანდიელ ლუდიყლაპიებს, და ყოველივე ეს საჯაროდ ეკეთებინა! ოლონდაც, ასეთი მოსაწყე- ნი როლი მას არასოდეს უთამაშია მეფის საამებლად.

მაგრამ როცა კარისკაცმა ხმამაღლა გამოაცხადა: „ავსტრიის ჰერ- ცოგის ბატონნი ელჩები მობრძანდნენო, მან უაღრესად თავაზიანი ღიმილით (იმდენად კარგად შეესწავლა ეს ხელოვნება) კარისაკენ იბრუნა პირი. ზედმეტია ლაპარაკი, რომ მთელმა დარბაზმა მას მიბაძა.

მაშინ დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით წყვილ-წყვილად შემოვი- და მაქსიმილიან ავსტრიელის² ორმოცდარვა დესპანი, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდნენ შარლ ბურბონელის მკვირცხლი ამა- ლისაგან. ელჩებს წინ მოუძლოდა სენ-ბერტენელი აბატი, „ოქროს საწმისის“ ორდენის კანცლერი ღირსი მამა იოანე, და იაკობ დე გუა, ბატონი დობი, ქალაქ გენტის უმაღლესი მსაჯული. დარბაზში სრუ- ლი სიჩუმე ჩამოვარდა; შიგადაშიგ ამ სიჩუმეს შეკავებული სიცი- ლი არღვევდა, როდესაც თვითელი ახალმოსული ფლამანდიელი მელიდურად და აღუშფოთებლად წარმოსთქვამდა უცნაურ სახელ- სა და სამოქალაქო წოდებას, კარისკაცი კი დამახინჯებითა და არე- ულ-დარეულად წამოიძახებდა ხოლმე; ესენი იყვნენ: მეტრ ლოის როელოფ. ლუვენის ქალაქისთავი, მესირ კლასის დე ეტუიელდ, ბრიუ- სელის ქალაქისთავი, მესირ პაულ დე ბაიოსტ, სიორ დე ვუარმი- ზელ, ფლანდრიის პრეზიდენტი, მეტრ ჟეან კოლეგენს, ანტვერპენის ბურგომისტრი, მეტრ გეორგ დე ლა მერ, გენტის პირველი ქალაქისთა- ვი, მეტრ გელდოლფ ვან დერ ჰაგე, იმავე ქალაქის კეთილშობილთა

პირველი მეთაური; სიორ ბირბეკი, ყეან პინოკი, ყეან დიმერხელ და სხვ. და სხვ. — მოსამართლეები, მამასახლისები, ბურგომისტრები; ყველა. ბურგომისტრებიც, მამასახლისებიცა და მოსამართლენიც მოუხეშავი, ტლანქი, გაბღენძილი, ზვიადი და ქედმაღალი ჩანდა, ხავერდითა და დაჩითული აბრეშუმის ქსოვილებით საზეიმოდ მოპრანკულიყვნენ, თავზე კიპრის ოქროს სირმიანი ფოჩებით მორთული შავი ზავერდის ქუდეები ეხურათ. მაგრამ ყველას მაინც კეთილი ფლამანდური სახე ჰქონდა; ამ სახეებზე აღბეჭდილიყო ღირსებაცა და სიმკაცრეც და მოგაგონებდათ რემბრანდტის „ლამის დაზვერვის“ შავ ფონზე გამოსახულ მკვეთრსა და სერიოზულ სახეებს. შეხედვისთანავე დარწმუნდებოდით, რომ ესენი ისეთი ადამიანები გახლდნენ, რომლებსაც თითქოს შუბლზე ეწერათ, რომ მაქსიმილიან ავსტრიელი მართალი იყო, როცა თავის მანიფესტში ამბობდა, „მთლიანად“ ვენდობი „მათ საღ აზრს, სიმამაცეს, გამოცდილებას, პატიოსნებასა და წინდახედულებას“.

მართო ერთი ადამიანი შეადგენდა გამონაკლისს. მას ჰქონდა თხელი, ჰკვიანი და ცბიერი სახე, რომელიც ერთსა და იმავე დროს მაიმუნის დრუნჩისაც წააგავდა და დიპლომატის გამომეტყველებასაც წარმოგიდგენდათ. კარდინალმა სპი ნაბიჯი გადადგა მისკენ და მოწიწებით თავი დაუკრა, თუმცა ის მხოლოდ და მხოლოდ „გილიომ რიმი იყო, ქალაქ გენტის მრჩეველი და პენსიონარი“ — სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი პიროვნება.

მაშინ ბევრმა არ იცოდა, ვინ იყო გილიომ რიმი, ეს იშვიათი ჰკუთხის კაცი, რევოლუციის დროს შესაძლოა მოვლენათა ზედაპირზეც ამოტივტივებულიყო და თავი გამოეჩინა, მაგრამ მეთხუთმეტე საუკუნეში იძულებული იყო ფარული ინტრიგების ქსელი გაება და, როგორც ჰერცოგი სენ-სიმონი¹ ამბობდა, „სანგრებში ეცხოვრა“, თუმცა იგი სათანადოდ დააფასა ევროპის საიდუმლო ჯურღმულებისა და ძირგამომთხრელ საქმეთა პირველმა ოსტატმა; მან ლეი მეთერთმეტესთან ერთად დაურადებლად გამოჰქედა საიდუმლო გეგმები და ხშირად ერია მისი ხელი მეფის იდუმალ საქმეებში. მაგრამ ბრბომ ამის შესახებ არა იცოდა რა და გაცობილი იყო, რატომ ეპყრობოდა ასე თავაზიანად კარდინალი ვილაც საცოდავ ფლამანდიელ მრჩეველს.

მეტრ შაკ კოპენოლი

იმ დროს, როდესაც ქალაქ გენტის პენსიონარი* და მისი უსამღვდელოესობა ერთმანეთს მდაბლად თავს უკრავდნენ და დაბალი ხმით თავაზიან სიტყვებს ეუბნებოდნენ, წინ წამოდგა ვილაც მაღალ ტანის, ფართო სახის მხარბეჭიანი კაცი, რათა გილიომ რიმთან ერთად შემოსულიყო. იგი მოგაგონებდათ ბულდოგს, რომელიც მელიას დასდევნებია. მისი ნაბდის ქული და ტყავის ქურთუკი ამდენ აბრეშუმსა და ხვეერდს შორის შავ ლაქასავით მოჩანდა. კარისკაცმა იფიქრა, ვილაც გზააბნეული მეჯინიბეაო და გზა გადაუქრა.

— ჰეი, მეგობარო! შესვლა არ შეიძლება!

ტყავისქურთუკიანმა მხარი გაჰკრა და გზიდან ჩამოიშორა.

— რა უნდა ჩემგან ამ ბრძიყს? — თქვა მან ისეთი მგრგვინავი ხმით, რომ მთელმა დარბაზმა ამ უცნაურ ლაპარაკს ყურადღება მიაქცია.

— ვერა ხედავ, ვინა ვარ?

— თქვენი სახელი? — ჰკითხა კარისკაცმა.

— ჟაკ კოპენოლი.

— წოდება?

— გენტის მეწინდე, ღუქან „სამი ძეწკვი“-ს მფლობელი.

კარისკაცმა უკან დაიხია. ქალაქისთავეებისა და ბურგომისტრების მობრძანება რომ მოახსენო. კიდევ ჰო, მაგრამ მეწინდე მოვიდაო რომ გამოაცხადო — ეს უკვე მეტისმეტია! კარდინალი თითქოს ეკლებზე იჯდა. ხალხი მთლად სმენად და ცქერად იქცა. აგერ უკვე ორი დღეა მისი უსამღვდელოესობა ცდილობდა რაც შეეძლო როგორმე გაეწვართნა ეს ფლამანდიელი დათვები, რათა შესახედად მაინც ცოტა რიგიანი გამოჩენილიყვნენ, და უცებ ეს ტლანქი გამოსვლა რა გუნებაზე დააყენებდა! ამასობაში გილიომ რიმი მიუახლოვდა კარისკაცს და ცბიერი ღიმილით ხმადაბლა წასჩურჩულა:

— აუწყეთ: მეტრ ჟაკ კოპენოლი, ქალაქ გენტის უხუცესთა საბჭოს მდივანი.

— კარისკაცო, — გაიმეორა კარდინალმა მაღალი ხმით, — მოახსენეთ: მეტრ ჟაკ კოპენოლი, სახელოვან ქალაქ გენტის უხუცესთა საბჭოს მდივანი.

* პენსიონარი — პირველი სახელმწიფო მინისტრის ტიტული იმდროინდელ პოლანდაში.

ეს წინდაუხედაობა იყო. გილიომ რიმი ფრთხილი, მოხერხებული ქცევით ალბათ მარტო მოაგვარებდა ამ საქმეს, ახლა კი კოპენოლმა გაიგონა კარდინალის სიტყვები.

— არა, ღმერთო ჩემო! ჯვარო უფლისაო! — იყვირა მან მჭექარე ხმით. — მოახსენე: უაკ კოპენოლი, მეწინდე. გესმის, კარისკაცო? არც მეტი და არც ნაკლები. ჯვარო უფლისაო! მეწინდე, ეს საკმაოდ ლამაზად უდერს. რითი ვარ სხვაზე ნაკლები? თვით ბატონ ერცჰერცოგს არაერთხელ უძებნია თავისი ხელთათმანი ჩემს შარვალში.

ატყდა სიცილ-ხარხარი და ტაშისცემა. პარიზელებმა იციან ხუმრობის წამსვე გაგება და მისი ღირსეულად დაფასება.

ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ კოპენოლი ხალხიდან გამოსული მდაბიოთავანი იყო, ისე როგორც მაყურებელთა საზოგადოება. ამიტომ სწრაფად, ელვის სისწრაფით დამყარდა მათ შორის ურთიერთობა; როგორც, ასე ვთქვათ, ერთ დონეზე მყოფ ადამიანთა შორის. ფლამანდიელი მეწინდის მედრდურმა საქციელმა, რითაც ეგზომ დაამცირა სასახლის დიდებულნი, ამ მდაბიო ხალხის გულში საკუთარი ღირსების გრძნობა გააღვიძა, რაც ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო მე-15 საუკუნეში. ის, მეწინდე, რომელიც ასე მედგრად დაუხვდა ბატონ კარდინალს, ხომ მათი ტოლი და სწორი იყო. ეს აზრი ტკბილ ნუგეშს აძლევდა საწყალ ხალხს, რომელიც მიჩვეული იყო მოწინებით პატივი ეცა და დამორჩილებოდა წმინდა ენევეიევის სააბატოს სასამართლოს ბოქაულის — კარდინალის კაბის კალთის ხელმომკიდის — მსახურსაც კი.

კოპენოლი ამაყად მიესალმა მის ყოვლად უსამღვდელოესობას, მანაც ზრდილობიანი საღამო უძღვნა ყოვლის შემძლე მოქალაქეს, რომელიც თვით ლუი XI-საც შიშს ჰგვრიდა. გილიომ რიმი, ეს „გამჭრახი და ცბიერი ადამიანი“, როგორც ფილიპ დე კომინი! ამბობდა, დამცინავი ღიმილით და თან უპირატესობის გრძნობით ადევნებდა თვალს, როდესაც ისინი თავიანთი ადგილებისაკენ გაემართნენ, — კარდინალი შემკრთალი და შეწუხებული, კოპენოლი კი — მშვიდი და მედიდური. იგი უექველად იმაზე ფიქრობდა, რომ მეწინდის წოდება არაფრით არ არის სხვა წოდებაზე უარესი და მარია ბურგუნდელს. დედას სწორედ იმ მარგარიტასი, რომელსაც დღეს კოპენოლი აქორწინებდა, ნაკლები შიში ექნებოდა მისი, კარდინალი რომ ყოფილიყო და არა მეწინდე. კარდინალმა როდი აამხედრა გენტის მოსახლეობა კარლოს გულადის ქალიშვილის ფავორიტების წინააღმდეგ; კარდინალმა როდი წააქეზა რამდენიმე სიტყვით ბრბო აღესრულებინა თავისი განაჩენი, მიუხედავად ფლანდრიელი პრინცისის ცრემლებისა და ვედრებისა, როცა ეს

ქალბატონი ეშაფოტის კვარცხლბეკთან ხალხს ემუდარებოდა დაენ-
ლო მისი ფავორიტები, მაშინ როდესაც საკმარისი იყო მეწინდეს
ტყავის სამკლავურიანი ხელი მალა აეწია, რომ ძირს გაგორებუ-
ლიყო ბრწყინვალე სენიორების გიჟი დემბერკურისა და კანცლერ
გილიომ ჰუგონეს თავები.

მაგრამ ყოველივე ამით არ დამთავრებულა საბრალო კარდინა-
ლის უსიამოვნება; მას ძირამდე უნდა გამოეცალა სიმწრის ფიალა,
რაკი ასეთ ცუდ საზოგადოებაში მოხვდა.

მკითხველს შეიძლება არ დაეწყებია ის ურცხვი მათხოვარი,
რომელიც პროლოგის დასაწყისშივე კარდინალის ესტრადის ლავ-
გარდანზე აცოცდა. სახელოვანი სტუმრების მოსვლამაც ვერ აიძულა
დაეთმო ეს ადგილი. მაშინ, როდესაც პრელატები და ელჩები ფლა-
მანდური ქაშაყებივით გაიქედნენ მათთვის მიჩენილ ადგილას ტრიბუ-
ნაზე, ის საგულდაგულოდ მოწყობილიყო და ფეხი ფეხზე მოური-
დებლად გადაედო სამერხულზე. ეს არანახული თავხედობა პირველ-
ხანებში ვერაფერს შენიშნა, რადგან ყველა გართული იყო სხვა ამბე-
ბით. თავის მხრივ თითქოს ვერც მათხოვარი ამჩნევდა, რა ხდებოდა
დარბაზში. იგი ნეაპოლიტანური უღარდულობით თავს აკანტურებ-
და და დროდადრო ამ საერთო ხმაურში იმეორებდა თავის ჩვე-
ულ: „გაიღეთ მოწყალებას“. ცხადია, დამსწრეთა შორის მხოლოდ
მან არ იხება ყურადღება მიექცია კოპენოლისა და კარისკაცის შელა-
პარაკებისათვის. გენტელი მეწინდე, რომელმაც ასე სწრაფად მოი-
ბოვა ხალხის თანაგრძნობა და რომელსაც ყველამ მიაპყრო თვალი,
შემთხვევით ესტრადის პირველ რიგში დაჯდა, სწორედ იმ ადგილს
ზემოთ, სადაც მათხოვარს მოეკალათნა. რაოდენ განცვიფრდა ყვე-
ლა, როცა დაინახეს, რომ ფლამანდიელი ელჩი მის წინ მოკალათე-
ბულ ავარას დააშტერდა და ძონძებით დაფარულ მხარზე მეგობ-
რულად დაჰკრა ხელი. მათხოვარი მისკენ მიბრუნდა, ორივე გან-
ცვიფრდა. მათ იცნეს ერთმანეთი. ორივეს სახე გაებადრა. შემდეგ
ხელიხელჩაკიდებულმა მეწინდემ და გლახამ ნელი ხმით გააბეს ბა-
სი. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ მაყურებლებს, რომლებიც
გაშტერებული მისჩერებოდნენ მათ. ამასთან კლოპენ ტრუილფუს
ძონძები ესტრადის ოქროს ფარჩაზე ისე გამოიყურებოდა, როგორც
ფორთოხალზე აცოცებული მუხლუხი.

ამ უჩვეულო სცენამ ისეთი აღტაცება და ყიჟინა გამოიწვია
დარბაზში, რომ კარდინალმა ყურადღება მიაქცია, იგი ოდნავ გადა-
იხარა, რაკი თავისი ადგილიდან ტრუილფუს ჩამოკონკილი ტანსაც-
მელი ძლივს გააჩნია, ეგონა, გლახა მოწყალებას თხოულობსო და ამ-
გვარი თავხედობის გამო აღშფოთებულმა იყვირა:

— ბატონო უფროსო მოსამართლევ, ამ არამზადას მდინარეში გადაუძახეთ!

— ღმერთო ჩემო, ჯვარო უფლისაო! თქვენო მაღალუწმინდესობაე ბატონო კარდინალო, — უთხრა კოპენოლმა, თან კლოპენს ხელს არ უშვებდა, — ეს ხომ ჩემი მეგობარია!

— დიდება! დიდება! — ილრიალა ბრბომ. ამ წუთიდან მეტრ კოპენოლმა პარიზშიც, ისე როგორც გენტში, „ხალხის დიდი ნდობა მოიხვეჭა, რადგან ამ ჯურის ადამიანები, — ამბობს ფილიპ დე კომინი, — ხალხის ნდობას იმსახურებენ, როცა ესოდენ მოურიდებლად იქცევიან“.

კარდინალმა ტუჩზე იკბინა, თავისი მეზობლის, წმინდა ენევიევის საბატოს მოძღვრისაკენ გადაიხარა და დაბალი ხმით წასჩურჩულა:

— ერთობ სასაცილო დესპანებს კი გვიგზავნის ბატონი ერცკერცოგი, რათა გვაუწყოს პრინცესა მარგარიტას ჩამობრძანება.

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობაე, — უთხრა საბატოს მოძღვარმა, — ძალიან ზრდილობიანი ბრძანდებით ამ ფლამანდიელი ღორის დინგების მიმართ. *Margaritas ante porcos**.

— უკეთესი იქნებოდა, — უპასუხა კარდინალმა ღიმილით, — თუ ვიტყვი: *Porcos ante Margaritam***.

ანაფორიანთა მცირერიცხოვანი ამაღა აღტაცებაში მოიყვანა ამ სიტყვათა თამაშმა. კარდინალმა ცოტა რამ შეება იგრძნო; მან სამაგიერო გადაუხადა კოპენოლს — მისმა ხუმრობამაც მოწონება დაიმსახურა.

ახლა თავს ნებას მიეცემთ მიემართოთ ჩვენს მკითხველებს, რომელთაც, როგორც დღეს იტყვიან, უნარი აქვთ განაზოგადონ სახე და იღეა: მთლად ნათლად წარმოუდგენიათ კი ის სანახაობა, რომელსაც ამჟამად ვთავაზობთ, რათა ყურადღება მიაპყრონ მას: მართლმსაჯულების სასახლის დიდი, ფართო პარალელოგრამისებური დარბაზი. შუა დარბაზში, დასავლეთის კედელთან ოქროს ფარჩით მორთული, განიერი და დიდებული ესტრადა მოჩანდა, სადაც ისრული პატარა კარით საზეიმო პროცესიით შემოდოდნენ ერთმანეთის მიყოლებით დიდებულნი, რომელთა სახელებსაც კარისკაცი მყვირალა ხმით აცხადებდა. პირველ მერხებზე უკვე მოთავსდნენ უამრავი პატივსაცემი პირები, რომლებსაც ყარყუმის,

* მარგალიტებს ღორებს არ უყრიან (ლათ.).

** ღორები მარგალიტის წინაშე. სიტყვათა თამაში: *Margarita* ლათინურად ნიშნავს მარგალიტს; *Marguerite* — კი ფრანგულად მარგარიტასაც აღნიშნავს და მარგალიტსაც.

ხვერდის მეწამული მანტიები ემოსათ. ესტრადის ირგვლივ, სადაც სიჩუმე და თავაზიანობა სუფევდა, დაბლა თუ წინ. ყველგან ურიცხვი ბრბო და საშინელი ღრინაღრინი იდგა. ათასი თვალი მისჩერებოდა ესტრადაზე მყოფთა სახეებს, ათასი ბაგე ჩურჩულით იმეორებდა ყოველი მათგანის სახელს. მართლაც საინტერესო სანახაობა იყო და მაყურებელთა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. მაგრამ იქ, დარბაზის ბოლოს, რას ნიშნავს ეს ფიცარნაგის მაგვარი რალაც, რომელზეც იმანჭება ოთხი ჯამბაზი ზემოთ და ოთხი ქვემოთ? ეს ვინდა არის, შავ ტოლოსხალათიანი ფერმკრთალი სახის კაცი, ფიცარნაგის გვერდით რომ დგას? აფსუს, ეს გახლავთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, პიერ გრენგუარი და მისი პროლოგი.

ჩვენ სრულიად დავივიწყეთ იგი.

მას კი სწორედ ამისი ეშინოდა.

იმ წუთიდან, რაც კარდინალი შემოვიდა, გრენგუარს არ შეუწყვეტია ცდა როგორმე გადაერჩინა თავისი პროლოგი. ჯერ, საგონებელში ჩავარდნილ, შეყოყმანებულ მსახიობებს უბრძანა განეგრძოთ და უფრო ხმამაღლა ელაპარაკათ; შემდეგ, რაკი დაინახა არავინ უსმენდა, შეაჩერა და მეოთხედი საათის განმავლობაში, ვიდრე შესვენება გრძელდებოდა, სულ ფეხებს აბაკუნებდა, ბორგავდა, შფოთავდა, ყისკეტსა და ლიენარდს ეხვეწებოდა მეზობლად მდგომნი წააქეზეთ, პროლოგის გაგრძელება მოითხოვეთო. მაგრამ ყველაფერი ამო გამოდგა. თვალს არავინ აშორებდა კარდინალს, ელჩებსა და ესტრადას, სადაც, როგორც ფოკუსში, რკალად შემორტყმულ მაყურებელთა მზერა ერთმანეთს ხვდებოდა. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ, — და ჩვენ ამას სინანულით ვამბობთ, რომ პროლოგმა რამდენადმე თავი მოაბეზრა აუდიტორიას, ხოლო მისმა ყოველად უსამღვდელოესობამ თავისი მობრძანებით ულმობლად ჩაშალა იგი. ამასთან, როგორც ესტრადაზე, ისე მარმარილოს მაგიდაზე, ერთიდაიგივე სანახაობა იყო: კონფლიქტი გლახებსა და სამღვდელოებას შორის, კეთილშობილთა და ვაჰართა შორის. ხალხის უმრავლესობას ის ერჩია მათი სახით, ფლამანდიელი ელჩებისა და ეპისკოპოსთა ამაღლის, მანტიანამოსხმული კარდინალისა და ქურთუკიანი კოპენოლის სახით ეცქირათ უბრალოდ ნამდვილი ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანებისათვის, რომლებიც სუნთქავენ, მოქმედებენ, ერთმანეთს ეხებიან და ეჯახებიან, ვიდრე ეყურათ ფერუმარილით შეთხუპნილი, დიაბლიკით მორთულ-მოკაზმული მსახიობებისათვის, თეთრ-ყვითელი კვართებით სასაცილოდ რომ მოუპრანჭია გრენგუარს, ლექსებზე ლაპარაკობენ და ჩალით დატყენილ ფიტულებს ჰგვანან.

მაგრამ როცა ჩვენმა პოეტმა დაინახა, რომ რამდენადმე სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი ხერხი მოიფიქრა, რომელსაც შეეძლო ეხსნა ყველაფერი.

— ბატონო, — მიუბრუნდა ის თავის მეზობელს, დარბაისელ, მშვიდი სახის მსუქან კაცს, — ხელახლა ხომ არ დავიწყეთ?

— რა? — ჰკითხა მეზობელმა.

— რა და, მისტერია, — უთხრა გრენგუარმა.

— როგორც გენებოთ, — უპასუხა მეზობელმა.

ეს ცალყბად ნათქვამი თანხმობა საკმარისი გახდა გრენგუარი-სათვის, რომ თვითონვე ეკისრა საქმის მოგვარება, ხალხში გაერია და მთელი ძალით იწყო ყვირილი:

— ხელახლა დაიწყეთ მისტერია, თავიდან დაიწყეთ!

— ეშმაკმა დალაზეროს! — თქვა ჟოანეს დე მოლენდინომ, — რას გალობენ იქ, დარბაზის ბოლოს? (რადგან გრენგუარი ოთხი კაცის ხმით ღრიალებდა), მითხარით, მეგობრებო! ნუთუ არ დამთავრებულა მისტერია? ხელახლა დაწყება სურთ! ეს უსამართლობაა!

— არა! არა! — აყვირდნენ მოსწავლეები. — ძირს მისტერია! ძირს!

მაგრამ გრენგუარმა კიდევ უფრო უმატა ძახილს, ყვიროდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

— ხელახლა დაიწყეთ! ხელახლა!

ამ ყვირილმა კარდინალის ყურადღება მიიბურო.

— ბატონო უფროსო მოსამართლე, — მიმართა მან შორიახლო მდგომ მაღალ კაცს, რომელსაც შავი ტანისამოსი ეცვა, — რას ღრიალებენ ეს არამზადები, თითქოს საიაზმეში ეშმაკები ჩაეყაროთ ცისკრის ლოცვის წინო?

სასახლის უფროსი მსაჯული წააგავდა ერთგვარ მოხელე-ამფიბიას, ღამურას ჯიშის არსებას მოსამართლეთა შორის; ვერთაგვასაც მოგაგონებდათ და ფრინველსაც ერთსა და იმავე დროს, მსაჯულსაც და ჯარისკაცსაც.

იგი მის ყოვლად უსამღვდელოესობას მიუახლოვდა, თან იმისიც ეშინოდა, ვაი თუ გამიწყრესო, და ლუღლუღით ძლივს განუმარტა ხალხის უკადრისი საქციელი; მის ყოვლად უსამღვდელოესობაზე აღრე შუადღე მობრძანდა, ხალხი ღელავდა, ამიტომ მსახიობები იძულებული გახდნენ არ დაეცადათ მისი ყოვლად უწმინდესობისათვის და დაიწყეს წარმოდგენა.

კარდინალს სიცილი წასკდა.

— ვფიცავ პატიოსნებას, ბატონი უნივერსიტეტის რექტორიც სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო! რას იტყვით, მეტრ გილიომ რიმ?

— მონსენიორ. — მიუგო გილიომ რიმმა, — ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ თავიდან აგვაცილებთ კომედიის ნახევარი მაინც. ყოველ შემთხვევაში, მოგებული ვართ.

— ნებას დართავთ, თქვენო უწმინდესობავ, ამ ფლიდებს განაგრძონ თავიანთი ფარსი? — ჰკითხა მოსამართლემ.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — უთხრა კარდინალმა, — ჩემთვის სულერთია. ამასობაში მე ჩემს ლოცვანს წავიკითხავ.

მოსამართლე ესტრადის ნაპირთან მივიდა, ხელი ასწია, რომ სიჩუმე დაემყარებინა და გამოაცხადა:

— მოქალაქენო, სოფლელებო და პარეზის მცხოვრებნო! იმი-სათვის, რომ დააკმაყოფილოს ისინი, ვისაც სურთ თავიდან დაიწყონ, და აგრეთვე ისინი, ვისაც უნდა, შეწყდეს წარმოდგენა, მისი ყოვლად უსამღვედლოესობა ბრძანებს განაგრძონ.

ორივე მხარე იძულებული იყო დამორჩილებოდა ბრძანებას, მაგრამ ავტორიცა და საზოგადოებაც დიდხანს იოკებდა გულისწყრომას კარდინალისადმი.

ამრიგად, სცენაზე მყოფმა მოქმედმა პირებმა განაახლეს თავიანთი დეკლამაცია, და გრენგუარს იმედი მიეცა, რომ მისი ნაწარმოების დარჩენილ ნაწილს მაინც მოუსმენდნენ. ეს იმედიც, ისევე როგორც სხვა ილუზიები, მალე გაუტრუედა. აუდიტორიაში მართლაც ასე თუ ისე სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ გრენგუარმა ვერ შენიშნა, რომ იმ დროს, როდესაც კარდინალმა ბრძანება გასცა, გაეგრძელებინათ წარმოდგენა, ესტრადა სულაც არ იყო მთლიანად დაკავებული. ფლამანდიელი სტუმრების მოსვლის შემდეგ გამოჩნდნენ საზეიმო პროცესიის ახალი მონაწილენი. მათ სახელებსა და წოდებებს კარისკაცი დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე, რაც დიალოგში არეგდარევეს იწვევდა. მართლაც, აბა წარმოიდგინეთ, რა მოსასმენი იქნებოდა ისეთი პიესა, რომლის წარმოდგენის დროს კარისკაცი ლექსსა და ლექსს შორის, ხშირად კი შუა ტაეპში გამკვივანი ხმით ჩაურთავდა ასეთ წინადადებებს:

— მეტრ ჟაკ შარმოლიუ, მეფის საეკლესიო სასამართლოს პროკურორი.

— ჟეან დე პარლე, მესაკუთრე, ქალაქ პარიზის ღამის გუშაგთა უფროსის თანამდებობის შემსრულებელი!

— მესირ გალიო დე ენუალაკ, რაინდი, სენიორი დე ბრიუსაკი, სამეფო არტილერიის უფროსი!

— მეტრ დრე-რაგიე, ჩვენი ბატონი მეფის წყლებისა და ტყეების, საფრანგეთის მიწების, შამპანისა და ბრის ინსპექტორი!

— მესირ ლუი დე გრავილ, რაინდი, მეფის მრჩეველი და კამერპერი, საფრანგეთის აღმირალი, ვენსენის ტყის მცველი!

— მეტრ დენი დე მერსიე, პარიზის უსინათლოთა სახლის ზედა-
მხედველი!

და ა. შ. და ა. შ.

ეს თანდათან აუტანელი ხდებოდა.

ეს უცნაური აკომპანამენტი პიესის მოსმენას აძნელებდა და ძალიან აღაშფოთებდა გრენგუარს, რადგან მისი აზრით ინტერესი წარმოდგენისადმი სულ უფრო და უფრო უნდა გაზრდილიყო; მას ეგონა. ჩემს ნაწარმოებს სხვა აღარა აკლია რა, გარდა იმისა, რომ მოისმინონო.

მართლაც ძნელი იყო უფრო მახვილგონივრული და დრამატული კვანძის მოგონება. იმ დროს, როდესაც პროლოგის ოთხი გმირი საშინელ სიძნელეზე გოდებდა, თვით ვენერა გამოეცხადათ, *vera incessu patuit dea* *. მას ეცვა ლამაზი ტუნიკა, რომელზეც ქალაქ პარიზის ღერბი — გემი ჰქონდა ამოქარგული. მან მოითხოვა უმშვენიერესი ქალისთვის აღთქმული უფლისწული. ქალღმერთის მოთხოვნას მხარს უჭერდა იუპიტერი, რომლის ჰეჰა-ქუხილი ტანსაცმლის გასახდელი ოთახიდან მოისმოდა. ქალღმერთი უკვე მზად იყო წაეყვანა უფლისწული, ესე იგი, უბრალოდ, ცოლად გაჰყოლოდა მას, ამ დროს გამოჩნდა აბრეშუმის თეთრკაბიანი ყმაწვილი ქალი. ხელში გვირილა ეჭირა (აშკარა ნიშანი იმისა, რომ ფლანდრიელი მარგარიტა იგულისხმებოდა). იგი იმისთვის მრვიდა, ვენერას შებრძოლებოდა და მისთვის გამარჯვება არ დაეთმო. ეს იყო მოულოდნელი ცვლილება და გართულება. დიდი ცილობის შემდეგ ვენერა, მარგარიტა და კულისებში მყოფნი შეთანხმდნენ მიემართათ წმინდა ქალწულის, მარიამ ღვთისმშობლის სამსჯავროსათვის. პიესაში კიდევ ერთი კარგი როლი იყო, დონ პედროსი, მესოპოტამიის მეფისა; მაგრამ იმის გამო, რომ მოქმედება წარამარა წყდებოდა, ვერ გააკრევედით, რის მაქნისი იყო იგი. ყველა ეს მოქმედი პირი სცენაზე მისადგმელი კიბით აღიოდა.

მაგრამ ყოველივე ამო აღმოჩნდა, ვერავინ გაიგო და ვერ დააფასა პიესის ეს მშვენიერი მხარეები. კარდინალის შემოსვლის წუთიდან თითქოს უჩინარმა ჯადოსნურმა ძაფმა მიიზიდა ყველას შხერა მარმარილოს მაგიდიდან ესტრადისაკენ, დარბაზის სამხრეთის ბოლოდან დასავლეთისაკენ. არაფერს შეეძლო აუდიტორიისათვის ეს ჯადო მოეხსნა. ყველას თვალი ესტრადას მიშტერებოდა, ახალ-მოსულები, მათი წყეული სახელები, სახეები და ჩაცმულობა მაყურებელთა ყურადღებას იტაცებდა. ეს აუტანელი იყო. გარდა

* სიარულში აშკარად ეტყობოდა, რომ ქალღმერთი იყო (ვ ე რ გ ი ლ ი უ ს ი).

უიკეტისა და ლიენარდისა. რომლებიც დრო და დრო მობრუნდებოდნენ ხოლმე, როცა გრენგუარი მათ სახელოს მოსწევდა, გარდა სქელი, მომთმენი მეზობლისა, არავენ უსმენდა, არავენ უტქერდა მივიწყებულ საცოდავ მორალიტეს. გრენგუარი მხოლოდ გვერდიდან ხედავდა სახეებს.

რა სიმწარით უყურებდა იგი, თუ როგორ იფუშებოდა თანდათან მისი ღიღებისა და პოეზიის შენობა! აბა წარმოიდგინეთ, სულ ცოტა ხნის წინ ეს ხალხი მზად იყო აჯანყებულყო თვით ბატონი მოსამართლის წინააღმდეგ, ისე მოუთმენლად ელოდა მისი ნაწარმოების მოსმენას! ახლა კი, როცა სურვილი აუსრულდა, ზედაც არ უყურებს პიესას, რომლის დაწყებას ასე ერთსულოვნად მიესალმა. ზღვის მარადიულ მიმოქცევას ჰგავს ხალხის კეთილგანწყობილებას! მოიგონა, რომ ამ ცოტა ხნის წინ კინაღამ სახრჩობელაზე აიყვანეს სასამართლოს გუშაგები! ოჰ, რას არ მისცემდა, ოღონდ ერთხელ კიდევ განეცადა ის ტკბილი წუთები!

ბოლოს კარისკაცის აუტანელი წამოძახილები დამთავრდა. ყველამ უკვე თავი მოიყარა, და გრენგუარმაც ამოისუნთქა. მსახიობებიც გამხნევდნენ და თამამად განაგრძეს. მაგრამ აქ უეცრად მეწინდე მეტრ კოპენოლი წამოდგა და ხალხს მიმართა სწორედ მაშინ, როდესაც ყურადღებით უსმენდა. გრენგუარმა გაიგონა მისი საზარელი სიტყვები:

— ბატონებო! პარიზის მოქალაქენო და აზნაურებო! არ ვიცი, ღმერთმანი, ამას რას ვაკეთებთ. მე ვხედავ იქ, კუთხეში, ფიცარნაგზე ვილაც ადამიანებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ჩხუბს აძირებენ. არ ვიცი, იქნებ ეგ არის ის, რასაც თქვენ „მისტერიას“ ეძახით. მაგრამ თავშესაქცევს ვერაფერს ვხედავ; ისინი მხოლოდ ენას ატარტარებენ და მეტი არაფერი. აი უკვე მეოთხედი საათია, რაც ველოდები დარტყმას, მაგრამ არაფერი მაგის მსგავსი არ ხდება. ეგენი ლაჩრები არიან, ლანძღვა-გინებით გულს იფხანენ. მებრძოლები ღონღონიდან ან როტერდამიდან უნდა ჩამოგვეყვანათ; აი მაშინ იქნებოდა ნამდვილი სანახაობა! ისეთ მუშტის ტრიალს ნახავდით, რომ ბაგა-ბუგს მოედანზე გაიგონებდით. ესენი კი უბადრუკები არიან. მავრიტანული ცეკვა მაინც ეჩვენებინათ ან სხვა სასაცილო რამე; ეს სულაც არ არის ის, რასაც მეუბნებოდნენ. მე შემპირდნენ ქილიკების დღესასწაულს და ქილიკების პაპის არჩევას. ჩვენცა გვყავს გენტში ქილიკების პაპი, და, ღმერთმანი, ამაში არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვას! მაგრამ აი როგორ ვაკეთებთ ამას. შეიკრიბება ბრბო, როგორც აქ, შემდეგ თვითელი რიგრიგობით თავს გაჰყოფს რომელიმე ნახვრეტში და სახეს დამანჯავს. ვინც ყველაზე უარესად დაიმანჯება

და საყოველთაო მოწონებას დაიმსახურებს. პაპადაც იმას აირჩევენ. მორჩა და გათავდა. ეს ძალიან თავშესაქცევი რამ არის. არ გნებავთ ჩემი ქვეყნის ყაიდაზე თქვენც აირჩიოთ თქვენი პაპი? ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო ნაკლებ მოსაწყენია, ვიდრე ამ მოლაყბეთა მოსმენა. თუ ისინიც მოისურვებენ მანჭვა-გრეხვას და სამერცხულში თავის გაყოფას, მათაც მივაღებინებთ თამაშში მონაწილეობას. რას იტყვი, ბატონო მოქალაქენო? აქ საკმაოდ არიან ორივე სქესის სასაცილო ნიმუშები, რომ ფლამანდურად გავიცინოთ. ბლომად არიან ულაზათო სახეები იმისათვის, რომ ჩინებული მანჭვა-გრეხვის იმედი ვიქონიოთ.

გრენგუარმა პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ განცვიფრებისა, ბრაზისა და აღშფოთებისაგან ენა წაერთვა. ამასთან, უკვე სახელმწიფოებრივი მეწინდის წინადადებას ისეთი ენთუზიაზმით შეხვდა ხალხი, რომელიც მოხიბლული იყო იმით, რომ „აზნაურები“ უწოდეს, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა უსარგებლო იქნებოდა. მას აღარა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბედს დამორჩილებოდა და საერთო მდინარებას მიჰყოლოდა. გრენგუარმა ორივე ხელი სახეზე მიიფარა; იგი ისეთი ბედნიერი არ იყო, რომ წამოსასხამი ჰქონოდა, რომელსაც ტიმანტეს აგამემნონივით¹ თავზე მოიხურავდა.

V

კვაზიმოდო

თვალის დახამხამების უმაღლესი ყველაფერი მზად იყო კოპენოლის ბღვის განსახორციელებლად. მოქალაქენი, მოსწავლეები და მწერლები საქმეს შეუდგნენ. პატარა აკანო, საეპნო ეკვდერი, რომელიც მარმარილოს მაგიდის პირდაპირ იმყოფებოდა. მანჭვა-გრეხის საჩვენებელ ადგილად ამოირჩიეს. კარის მაღლა ლამაზი მრგვალი სარკმლის მინა გამოამტვრიეს და შეთანხმდნენ, რომ მეტოქეები ამ ქვის რგოლში გაყოფდნენ თავს. იმისათვის, რომ მანამდე მიეღწიათ, საკმარისი იყო აცოცებულებიყვნენ ორ კასრზე, რომლებიც არ ვიცი საიდან მოეტანათ და როგორღაც ერთმანეთზე შეედგათ. დააწყეს, რომ თვითელი კანდიდატი, კაცი იქნებოდა თუ ქალი (რადგან შეეძლოთ პაპესაც აერჩიათ), რათა მათ მანჭვა-გრეხას სრული და ცოცხალი შთაბეჭდილება მოეხდინა, აკანოში საიღუმლოდ ჰყოლოდათ სახეაფარებული მანამდე, სანამ გამოჩენის მომენტი დადგებო-

და. ერთ წუთში სამლოცველო კონკურენტებით გაივსო და კარი მიხურეს.

კოპენოლი თავისი ადგილიდან განკარგულებას იძლეოდა, ყველას და ყველაფერს ხელმძღვანელობდა, ყოველივეს აწესრიგებდა. ამ ღრიანცელში, გრენგუარზე არანაკლებ შეძრწუნებულმა კარდინალმა გადაუღებელი საქმეები და მწუხრის ლოცვა მოიმიზეზა და იქაურობას გამოირადა მთელი თავისი ამალით. ბრბოს, რომელსაც ასე აღელვებდა მისი მობრძანება, სულ არაფრად ჩაუგდია მისი წასვლა. მხოლოდ გილიომ რიმმა შენიშნა მისი ყოვლად უსამღვდელოების გაპარვა. ხალხის ყურადღება მზესავით თავის გზას განაგრძობდა დარბაზის ერთ მხარეს ამოსული, ერთ ხანს შუაგულში შეჩერდა, ახლა მეორე მხარეს გადაინაცვლა. მარმარილოს მაგიდამაც და ოქროს ფარჩით მორთულმა ესტრადამაც უკვე განიცადა თავისი ბედნიერი წამი, ჯერი მიდგა ლუი XI ეკვდერზე. გასაქანი მიეცა ყოველგვარ სიგიჟეს. დარბაზში მხოლოდ ფლამანდიელები და ნაყარ-ნუყარი ბრბო დარჩა.

მანჭვა-გრეხვა დაიწყო. პირველმა სახემ, რომელიც სარკმელში გამოჩნდა, გადმობრუნებული წითელი ქუთუთოებით, მხეცის ნახასავით დაღებულ პირით, იმპერიის დროინდელი ჰუსარის ჩეჰმასავით ნაოკებად ჩაკეცილი შუბლით, ისეთი თავშეუყავებელი ხორხოცი გამოიწვია, რომ ჰომეროსი! მთელ ამ ხეპრე ბრბოს ღმერთებად მიიჩნევდა. მაგრამ დიდი დარბაზი სულაც არ წარმოადგენდა ოლიმპს, და გრენგუარის საბრალო იუპიტერმა ეს ყველაზე უკეთესად იცოდა. პირველ მანჭვა-გრეხვას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე შემდეგ. სიცილ-ხარხარმა. ფეხების ბაკუნმა და მხიარულობამ იმატა. ამ სანახაობაში იყო რაღაც განსაკუთრებით თავბრუდამხვევი, რაღაც დამათრობელი და მომაჯადოებელი ძალა, რაზეც ძნელია თუნდაც ზოგადი წარმოდგენა მიეცეთ დღეს სალონებისა და საერთოდ ჩვენი დროის მკითხველს. წარმოდგინეთ სახეთა მთელი მწკრივი, რომლებიც ერთმანეთზე მიყოლებით გამოხატავდნენ ყველა გეომეტრიულ ფიგურას: დაწყებული სამკუთხედითა და გათავებული ტრაპეციით, კონუსიდან მრავალწახნაგამდე; წარმოადგენდნენ ადამიანის ყოველგვარ გეომეტრულ ყველებას, დაწყებული რისხვითა და გათავებული ავზორცობით; ყველა ასაკს, დაწყებული ახალდაბადებულის ნაოკებითა და გათავებული მომაკვდავი დედაბერის დაღმეჭილი ზახით; ყველა რელიგიურ ფანტასმაგორიას, დაწყებული ფაენითა და გათავებული ბელზებელით; ცხოველთა ყოველ პროფილს, დაწყებული მხეცთა დაღრენილი ხახითა და გათავებული ნისკარტით, დინგითა და დრუნჩით. წარმო-

იღვინეთ, რომ ახალი ხილის ქვის ყველა ნიღაბი, ყერმენ პილონის¹ ხელით ქვაში ამოძერწილი ყველა ეს მაჯლაჯუნა, გაცოცხლდა, სული ჩაედგა და რიგრიგობით მოვიდნენ, რათა ანთებული თვალებით სახეში ჩაგხედონ, — ანდა ვენეციური კარნავალის ყველა ნიღაბმა ერთმანეთზე მიყოლებით ჩაიარა თქვენს წინაშე; ერთი სიტყვით, წარმოიდგინეთ ადამიანთა სახეების უწყვეტი კალეიდოსკოპი. *

ორგია სულ უფრო და უფრო ფლამანდურ ხასიათს იღებდა. თვით ტენიერსიცი² ვერ მოგცემდათ იმის სრულ სურათს, რაც აქ ხდებოდა. წარმოიდგინეთ ბაქანალიაში გადასული ბრძოლა სალვატორ როზას³ ბატალურ სურათზე. აქ უკვე აღარ იყვნენ არც მოსწავლეები, არც ელჩები, არც მოქალაქენი, არც კაცები, არც ქალები; არც კლოპენ ტრუილფუ, არც ჟილ ლეკორნიუ, არც მარია ოთხგირვანქიანი, არც რობენ პუსპენი. ყველაფერი აირდაირია საყოველთაო თავაშვებულობაში. ვრცელი დარბაზი თითქოს ურცხვობისა და აღვირახსნილი მხიარულების ღუმელად იქცა, სადაც ყოველი ბაგე ღრიალებდა, ყოველი სახე იმანკებოდა, ყოველი სხეული იხლანკებოდა, იპრანკებოდა და იგრიხებოდა. ყველა ერთად ღმუოდა და ღრიალებდა. უცნაური სახეები, რომლებიც რიგრიგობით გამოჩნდებოდნენ ხოლმე სარკმელში კბილების ღრქენით, აგიზგიზებულ კოცონში გადატყორცნილ მუგუზლებს მოგაგონებდათ. მთელ ამ აბობოქრებულ ბრბოს ღუმელიდან ამოვარდნილი ორთქლივით აღმოხდებოდა გაურკვეველი გუგუნე, მკვეთრი, ყურისწამლები, გამგმირავი და მოზუზუნე ხმა.

— ოი, დასწყევლოს ღმერთმა!

— ერთი ამ სიფათს შეხედეთ!

— ეგ მაგდენი არაფერია!

— აგერ მეორეც!

— გილიომეტა მოყერპიუი, ერთი შეხედე ამ ხარის ღრუნჩს, რქებილა აკლია. მაშ, ეს შენი ქმარი არ არის.

— აგერ კიდევ სხვა!

— ვფიცავ პაპის ღიბს! ეს რა სიფათია?

— ჰეი, თაღლითობა არ იქნება. მარტო სახე გვიჩვენე!

— ეს, ალბათ, წყეული პერეტა კალბოტია! ამისთანა რამეები მას ეხერხება.

— დიდება! დიდება!

— ვიხრჩობი სიცილისაგან!

— ერთი იმას შეხედე, ყურები ვერ გაუყვია ნახვრეტში! და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თავის ბულაურზე შემომგზადარი ჩვენი მეგობარი ქვანი ამ აღვირახსნილ ღრეობაში ისე გამოირჩეოდა, როგორც შეგირდი ბიჭი გემის დიდ ანძაზე. იგი წარმოდგენილად შმაგობდა და მძვინვარებდა. პირი ფართოდ დაელოდა ისე ღრიალებდა, მისი ყურადღება შეუძლებელი იყო, იმიტომ კი არა, რომ მის ღრიალს საერთო ღრიალცელი ფარავდა; ისეთი სიძლიერის იყო მისი ხმა, რომ სცილდებოდა ადამიანის სმენის უნარის ფარგლებს, როგორც ეს ხდება, სოჭერის¹ თანახმად. წამში თორმეტი ათასი რხევის დროს, ხოლო ბიოს² მიხედვით, წამში რვა ათასი რხევის დროს.

რაც შეეხება გრენგუარს, პირველად სასო წარეკვეთა, მაგრამ მალე გონს მოვიდა. გამხნევდა და გადაწყვიტა მედგრად დახედროდა ამ ბედუქულმართობას.

— განაგრძეთ! — მესამედ უთხრა მან თავის მოლაპარაკე მანქანებს -- მსახიობებს — და მარმარილოს მაგიდის წინ ბოლთის ცემა დაიწყო. უეცრად სურვილი დაებადა, აკანოს სარკმელში თვითონაც გაეყო თავი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ დამანჭოდა ამ უმადურ ხალხს, „მაგრამ არა, ეს ჩვენ არ შეგვფერის, არავითარი შურისძიება, ვიბრძოლოთ ბოლომდე — იმეორებდა იგი. — პოეზიას დიდი ძალა და გავლენა აქვს ხალხზე. მე მათ გონს მოვიყვან. ვნახოთ, რა უფრო გაიტაცებს, რომელი გაიმარჯვებს — მანქვან-გრეხვა თუ კაზმული სიტყვიერება“.

მაგრამ, ვაი, რომ მარტო თვითონ დარჩა თავისი პიესის ერთადერთი მაყურებელი. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე ამ ერთი წუთის წინ იყო. იგი ვერაფერს ხედავდა, გარდა ადამიანთა ზურგებისა.

თუმცა არა, მე ვცდები, ის სქელი მომთმენი კაცი, რომელსაც ერთხელ უკვე ეთათბირა კრიტიკულ მომენტში, თეატრისაკენ პირმიბრუნებული დარჩენილიყო. რაც შეეხება ქისკეტსა და ლიენარდს, ისინი დიდი ხანია გაპარულიყვნენ.

გრენგუარს გული აუჩქროლა თავისი ერთადერთი მაყურებლის ერთგულებამ. მიუახლოვდა, სიტყვით მიმართა და ხელი ოდნავ შეახო, რადგან კეთილი კაცი მოაჯირს დაყრდნობოდა და თვლემდა.

— ბატონო, — უთხრა გრენგუარმა, — მადლობელი ვარ.

— რისთვის მიხდით მადლობას, ბატონო? — მიუგო მთქნარეობით მსუქანმა კაცმა.

— ვხედავ, თავი მოგაბეზრათ ამ საშინელმა ხმაურმა, რომელიც ხელს გიშლით მოუხსინოთ თქვენთვის სასიამოვნო პიესას, — უთხრა პოეტმა, — მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: თქვენი

სახელი მომავალ თაობებს გადაეცემა. ნება მიბოძეთ გავიგო თქვენი სახელი, ბატონო ჩემო!

— რენო შატო, პარიზის სასამართლოს ბექდის მცველი, მზად ვარ გემსახუროთ.

— ბატონო, აქ მხოლოდ თქვენ ბრძანდებით მუშების დამფასებელი, — უთხრა გრენგუარმა.

— თქვენ მეტისმეტად თავაზიანი ბრძანდებით, ბატონო, — უპასუხა სასამართლოს ბექდის მცველმა.

— მხოლოდ თქვენ უსმენდით პიესას როგორც ჯერ არს. — განაგრძო გრენგუარმა, — როგორ მოგწონთ?

— კმ! კმ! — უპასუხა ნახევრად გამოფხიზლებულმა სასამართლოს ჩასუქებულმა მოხელემ — მართლაც თავშესაქცევია.

გრენგუარი ამ ხოტბით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან ტაშის გრიალმა და უჩვეულო ყოჩინამ უეცრად შეწყვიტა მათი საუბარი. ქილიკების პაპი არჩეული იყო.

— დიდება! დიდება! დიდება! — ღრიალებდა ხალხი ყოველი მხრიდან.

მართლაც გასაოცარი იყო ის დამანქული სახე, რომელიც იმ წუთს სარკმელში გამოჩნდა. ყველა იმ ხუთკუთხოვანი, ექვსკუთხოვანი, უცნაური სახეების შემდეგ, რომლებიც ერთიმეორეს ცვლიდა სარკმელში და ვერ კი ახორციელებდა სიმახინჯის იდეალს, აღვირახსნილ ხალხს თავის აღგზნებულ წარმოსახვაში რომ შეექმნა, მხოლოდ ასეთ მახინჯ სახეს შეეძლო ამ დუნდგოს მოწონება და აღტაცება გამოეწვია. თვით მეტრ კოპენოლიც კი ტაშს უკრავდა. და კლოპენ ტრუილფუმ, რომელიც ამ შეჯიბრში მონაწილეობდა, თავი დამარცხებულად სცნო, თუმცა ღმერთმა იცის, რაოდენი სიმახინჯე და უსახურობა შეეძლო გამოეხატა მის სახეს. ჩვენც მისებრ მოვიქცეთ. როგორც არ უნდა ვეცადოთ მიეცეთ მკითხველს წარმოდგენა, ვერ შევძლებთ აღწეროთ ეს ოთხწახნაგა ცხვირი, ცხენის ნაღისებური პირი. პაწაწინა მარცხენა თვალს ჯაგრისებური მწითური წარბი ჩამოფარებოდა, მარჯვენა თვალი კი სრულიად გამქრალიყო ვეება მეჰეკს ქვეშ. უსწორმასწორო, ჩამტვრეული და მეჩხერი კბილები კოშკის ქონგურებს უგავდა, გახეთქილ და დაკოყრებულ ტუჩზე სპილოს ეშვისებური ღოჯი მოუჩანდა, ნიკაპი ორად ჰქონდა გაყოფილი. კიდევ უფრო ძნელია ამ საშინელი სახის გამომეტყველების გადმოცემა, რომელშიც გაბოროტება, გაცემა და სევდა იხატებოდა ერთდროულად ახლა ეცადეთ, თუ ძალგიძთ, თქვენ თვითონ წარმოიდგინოთ ყოველივე ეს ერთად.

მოწონება ერთსულოვანი იყო, ყველა აღტაცებული კიყინით მიესალმა. ბრბო სამლოცველოს მიაწყდა და იქიდან ზეიმით გამოიყვანეს ქილიკების ნეტარი პაპი. აქ კი ხალხის განცვიფრებამ და აღტაცებამ მწვერვალს მიაღწია. ის დამანჭული სახე მისი ნამდვილი სახე იყო.

ანუ, უფრო სწორად, მთელი მისი პიროვნება სიმახინჯეს წარმოადგენდა. ვეება თავს აბურძღვნილი, ჯაგარისებრი მწითური თმა უფარავდა, ზურგზე ბეჭებს შორის ამოზრდოდა უშველებელი კუზი, რომელიც გაწონასწორებული იყო, მეორე, მოპირდაპირე კუზით მკერდზე. თეძოები ისე უცნაურად ამოვარდნოდა, რომ მის ფეხებს მხოლოდ მუხლებში შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა, და თუ წინიდან შეხედავდით, სახელურებით შეერთებულ ორ ნამგალს მოგაგონებდათ; ფართო ტერფები და ურჩხულის საზარელი ხელები ჰქონდა. მიუხედავად მთელი ამ სიმახინჯისა, ის მინც წარმოადგენდა რაღაც საზარელი ძალ-ღონის, სიმარჯვისა და სიმაყვის გამოხატულებას, უცნაურ გამონაკლისს იმ სამარადისო და საყოველთაო წესიდან, რომელიც მოითხოვს, რომ ძალა, ისე როგორც სილამაზე, პარმონიიდან წარმოსდგებოდეს. ასეთი იყო ქილიკების მიერ არჩეული პაპი.

ჯერ დამსხვრეული და შემდეგ ხელახლა უშნოდ შეკოწიწებული ბუმბერაზი გეგონებოდათ.

როდესაც აჯანოს კარიბჭეზე უეცრად გამოჩნდა ეს ციკლოპის მაგვარი არსება, უძრავი, ჯმუხი, ჩასკენილი, თითქმის ერთი და იმავე სიგანისა და სიმაღლის, ოთხკუთხა, „კვადრატული თვით საფუძველშივე“, როგორც თქვა ერთმა დიდმა კაცმა, ბრბომ მაშინვე იცნო იგი მისი ნახევრად წითელ, ნახევრად იისფერ განიერ წამოსასხამზე, რომელიც მოკედილი იყო ვერცხლის ზანზალაკებით, უფრო კი მისი უაღრესი სიმახინჯის გამო.

ყველამ ერთხმად იყვირა:

— ეგ კვაზიმოდოა, ზარების მრეკველი! კვაზიმოდო, კუზიანი, პარიზის ღვთისმშობლის მნათე! კვაზიმოდო ცალთვალა! ბრუციანი! კვაზიმოდო ფეხებდაბრეცილი, ფეხბრუდი, აჯაბაჯა! დიდება! დიდება!

ჩანს საბრალოს უხვად ჰქონდა შერქმეული მეტსახელები.

— ერიდეთ, ორსულო ქალებო! — გაჰკიოდნენ მოსწავლეები.

— ისინიც, ვინც დაორსულებას აპირებენ! — დაუმატა ჟოანესმა. ქალები მართლაც ხელებს იფარებდნენ სახეზე.

— ოჰ! რა საძაგელი მაიმუნია! — თქვა ერთმა.

— ისეთივე ავია, როგორც მახინჯი, — განაგრძო მეორემ.

— ეშმაა ხორცმეხმული, — ჩაუბნო მესამემ.

— მე, საუბედუროდ, ღვთისმშობლის ტაძრის ახლოს ვცხოვრობ და მთელ ღამეს მესმის, როგორ დაძრწის სახურავის ღარღანაზე.

— კატებთან ერთად.

— იგი მუდამ ჩვენს ბანზეა.

— ის ჯადოს გვიკრავს საკვამურიდან.

— ერთ საღამოს ჩემს სამერცხულში თავი შემოყო. კაცი მეგონა. საშინლად დავფეთდი.

— დარწმუნებული ვარ, ღამღამობით კუდიანების თავყრილობაზე მიფრინავს. ერთხელ თავისი ცოცხი ჩემს სახურავზე ღარღანაში დარჩენოდა.

— ოი, კუზიანის საზიზღარო სიფათო!

— ოი, ბილწო, ავეია სულო!

— ფუ!

მამაკაცები, პირიქით, აღტაცებული იყვნენ და ტაშს უკრავდნენ.

კვაზიმოდო კი, მთელი ამ აურზაურისა და ალიაქოთის მიზეზი, იდგა ეკვდერის ზღურბლზე, პირქუში და სერიოზული, და ნებას აძლევდა მისი ცქერით დამტკბარიყვნენ.

ერთი მოსწავლე, მგონი, რობენ პუსპენი, ძალიან მიუახლოვდა და პირდაპირ მის ცხვირწინ გადაიხარხარა. კვაზიმოდოს კრინტი არ დაუძრავს; ისე სწვდა ქაშარში; ასწია და ათ ნაბიჯზე ხალხში გადაისროლა.

განცვიფრებული და აღტაცებული კოპენოლი მიუახლოვდა.

— ჯვარო უფლისაო! მამაო წმინდაე! შენისთანა დიდებული სიმახინჯე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. შენ ღირსი ხარ პაპის წოდება მოგენიქოს არა მარტო პარიზში, არამედ რომშიც.

უთხრა და მხიარულად ხელი დაარტყა მხარზე: კვაზიმოდო არც განძრეულა. კოპენოლმა განაგრძო:

— შენ სწორედ ისეთი ჯეელი ხარ, რომელთანაც გულით მწაღია ქეიფი, თუნდაც ტურის თორმეტ ახალთახალ ლივრად დამიჯდეს. რას იტყვი?

კვაზიმოდომ არ უპასუხა.

— ჯვარო უფლისაო! — თქვა მეწინდემ, — ყრუ ხომ არა ხარ? დიახ, კვაზიმოდო მართლაც ყრუ იყო.

მაგრამ კოპენოლის ჩაცვივებამ კვაზიმოდოს მოთმინება დაუკარგა, უეცრად მისკენ მობრუნდა და ისე საზარლად გააღრქიალა კბილები,

რომ ფლამანდიელმა გოლიათმა უკან დაიხია. როგორც ბულდოგმა კატის წინაშე.

მაშინ ამ უცნაური პიროვნების ირგვლივ, შიშისა და პატივისცემის გამო, შეიქმნა წრე, რომლის რადიუსი სულ ცოტა თხუთმეტი ნაბოჯი მაინც იქნებოდა.

ვილაც დედაბერმა მეტრ კოპენოლს განუმარტა, კვაზიმოდო ყრუ არისო.

— ყრუ არის? — თქვა მეწინდემ და ხმამაღლა, ფლამანდურად გადაიხარხარა. — ჯვარო უფლისაო! ეს სრულქმნილი პაპია!

— პეი, მე ვიცნობ მაგას! — იყვირა შეანმა, რომელიც ბოლოს სამერხულიდან ჩამოვიდა, რომ უფრო ახლოს ენახა კვაზიმოდო. — ეს ჩემი ძმის, არქიდიაკონის, ზარების მრეკველია. — გამარჯობა, კვაზიმოდო!

— კაცი კი არა, ტარტაროზია, ეშმა! — თქვა რობენ პუსპენმა, რომელიც ჯერ კიდევ გაბრუებული იყო დაცემისაგან. — შეხედავ — კუზიანია; გაივლის — კოჭლია და აჯაბაჯა; გიყურებს — ბრუციანია; დაელაპარაკები — ყრუა. აქვს კი ენა ამ პოლიფემს?

— ლაპარაკობს, თუ მოისურვა, — თქვა დედაბერმა. — იგი ზარების რეკვამ გამოაყრუა. მუნჯი როდი გახლავთ.

— ეგლა აკლია, — შენიშნა შეანმა.

— ერთი თვალიც ზედმეტი აქვს, — ჩაურთო რობენ პუსპენმა.

— არა, — თქვა კვეიანურად შეანმა, — ბრუციანისთვის ბევრად უარესია, ვიდრე ბრმისთვის: იცის, რაც აკლია.

ამ დროს მათხოვრებმა, მსახურებმა და ჯიბგირებმა მოსწავლეებთან ერთად ზეიმით გადმოიღეს მოსამართლეთა კარადიდან მუყაოს ტიარა და ქილიკების პაპის სასაცილო მანტია. კვაზიმოდომ წარბშეუხრელად და ერთგვარი ზვიადი მორჩილებით ნება დართო შეემოსათ იგი. შემდეგ კრულ ჯალამბერზე დასვეს. ქილიკების ძმობის თორმეტმა წევრმა თავიანთ მხრებზე ასწია. ერთგვარი მწარე და დამცინავი სიხარულით გაუბრწყინდა ციკლოპს პირქუში სახე. როცა მან თავის დაგრეხილ ფეხებთან ყველა ამ ლამაზი, ტანწერწეტი და წარმოსადეგი ვაჟკაცების თავები დაინახა. მერე, ადათის თანახმად კონკიაქლარუნების პროცესია ღრიალითა და ყაყანიით, ვიდრე ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე სასეირნოდ გავიდოდა, სასახლის შიგნით გრძელი ტალანების შემოსავლელად გაემართა.

ენმერალდა*

მოხარული ვართ, მკითხველს ვაუწყოთ, რომ მთელი ამ სცენის დროს გრენგუარიცა და მისი პიესაც მოწოდების სიმალლეზე იდგნენ. გრენგუარის ჩიჩინითა და ძალდატანებით მსახიობები შეუწყვეტლივ წარმოთქვამდნენ მის ლექსებს და ისიც გულმოდგინედ უსმენდა. იგი შეურიგდა თავის ხვედრს, მაგრამ მაინც არ ებუებოდა ამ გამაყრუებელ ხმაურს და ცდილობდა საქმე ბოლომდე მიეყვანა, იმედს არ ჰკარგავდა, რომ საზოგადოების ყურადღებას კვლავ მიიპყრობდა. ეს იმედის სხივი კიდევ უფრო გაუცხოველდა, როცა დაინახა, რომ კვაზიმოდო, კობენოლი და ქილიკების პაპის დამთხვეული ამაღლა ხმაურითა და ღრიალით დარბაზიდან გავიდა. გახელებული ბრბო მათ გაეკიდა.

„ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა თავისთვის გრენგუარმა, — ყველა აყვია წავიდა“. მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ ყველა ეს აყვია, მყვირალა ხალხი შეადგენდა საზოგადოებას. დიდი დარბაზი თვალის დახამხამებაში დაცარიელდა.

მართალი მოგახსენოთ, დარბაზში კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე მაყურებელი. თითო-თითო აქა-იქ მიმოფანტულიყო, ზოგნი სვეტებს ირგვლივ შეჯგუფებულიყვნენ; ესენი უმთავრესად ქალები, მოხუცები ან ბავშვები იყვნენ, რომელთაც ეს ღრიანცელი და აურზაური მოებზრებოდათ. რამდენიმე მოსწავლე კიდევ იჯდა ლავგარდანზე, ფანჯრების რაფებზე და იქიდან გასცქეროდნენ მოედანს.

„რა გაეწყობა! — იფიქრა გრენგუარმა, — ესენიც საკმარისია, რომ ჩემი მისტერიის დასასრული მოისმინონ. ცოტანი კი არიან, სამაგიეროდ რჩეული და განათლებული საზოგადოებაა“.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ სიმფონია, რომელსაც მეტად დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ყოველადუბიწო ქალწულის გამოსვლისას; ვერ შესრულდებოდა. გრენგუარმა შენიშნა, რომ ყველა მუსიკოსი ქილიკების პაპის პროცესიას თან გაჰყლოდა.

— უმაგისოდაც იოლად წავალთ, — სტოიკურად თქვა გრენგუარმა.

იგი მიუახლოვდა მოქალაქეთა ერთ ჯგუფს, რომელიც, რო-

* In Esmeralda (ესპ.)—ზერმუბტი.

გორც ეგონა, მის პიესაზე მსჯელობდა. აი საუბრის ნაწყვეტი, რასაც ყური მოჰკრა:

— თქვენ იცით, ბატონო შენეტო, ნავარის სასახლე, რომელიც ბატონ დე ნემურს ეკუთვნოდა?

— დიახ, ბრაკის სამლოცველოს პირდაპირ რომ არის.

— ჰოდა, აი ეგ სახლი ამასწინათ სახელმწიფო ხაზინამ ქირით გადასცა გილიომ ალიქსანდრს, აი ისტორიებს რომ ხატავს, წელიწადში ექვს პარიზულ ლივრად და რვა სულ.

— როგორ გაძვირდა ქირა!

„მართლაც! — წაილულულა გრენგუარმა და ამოიხრა. — სამაგიეროდ, ალბათ, სხვები უსმენენ ჩემს პიესას.“

— მეგობრებო! — იყვირა უცებ ერთ-ერთმა ახალგაზრდა ყალთაბანდმა, რომელსაც ფანჯრის რაფაზე მოეკალათნა: — ესმერალდა, ესმერალდაა მოედანზე!

ამ სიტყვამ მაგიური შთაბეჭდილება მოახდინა, ყველა, ვინც კი დარბაზში დარჩენილიყო, ფანჯრებს მიაწყდა, კედლებზე ებღოტებოდა, რომ დაენახა და თან იმეორებდა: „ესმერალდა! ესმერალდა!“

ამავე დროს გარედან ტაშის ძლიერი გრიალი მოისმა.

„ეს რადა არის, რას ნიშნავს „ესმერალდა“? — თქვა გრენგუარმა და სიმწარისაგან ხელები დამუჭა. — აჰ, ღმერთო ჩემო! ახლა, როგორც ჩანს, ფანჯრებში ცქერის ჯერი დადგა!“

მარმარილოს მაგიდისაკენ მიბრუნდა, დაინახა, რომ წარმოდგენა შეწყვეტილიყო. სწორედ ამ წუთს იუპიტერი უნდა გამოსულიყო თავისი ელვით, იუპიტერი კი ამ დროს უძრავად იდგა თეატრის დაბლა.

— მიშელ ჟიბორნი! — უყვირა გაბრაზებულმა პოეტმა, — რას აკეთებ მანდ? ახლა შენი როლია! ადი მაღლა!

— სამწუხაროდ! — თქვა იუპიტერმა, — ვიდაც მოსწავლემ კიბე წაიღო.

გრენგუარმა შეხედა: კიბე მართლაც აღარ იყო. ყოველივე კავშირი მისი პიესის კვანძსა და დასასრულს შორის გაწყვეტილიყო.

— არამზადა! — წაიბუტბუტა მან. — რატომ წაიღო კიბე?

— ესმერალდა რომ დაინახოს, — უპასუხა საცოდავად იუპიტერმა. — „აგერ კიბე, რომელიც არავის სპირდებოა!“ — თქვა და გააქანა.

ეს უკანასკნელი ლახვარი იყო. გრენგუარი უდრტვინველად შეხვდა ამ ლახვარს.

— ეშმაკსაც წაუღიხარო! — უთხრა მან კომედიანტებს. — თუ გადამიხადეს რამე, თქვენც ავინაზღაურებთ.

და უკან დაიხია თავდახრილმა, მაგრამ დაიხია ყველაზე ბოლოს, როგორც ომგადახდილმა მამაცმა გენერალმა.

სასახლის მიხვეულ-მოხვეულ კიბეებზე რომ ჩადიოდა, ჩუმად ბუზღუნებდა: „ეს პარიზელები ვირებისა და ხეპრეების ნამდვილი დუნდგოა! მოვიდნენ, რომ მისტერია მოესმინათ და არ კი უსმენენ. მათ ქვეყანაზე ყველაფერი ართობთ. კლოპენ ტრუილფუცა და კარდინალიც, კოპენოლიცა და კვაზიმოდოც, თვით ეშმაკიც, მაგრამ არა ყოვლადუბიწო ქალწული მარიაში! მცოდნოდა ესა, მე თქვენ გაჩვენებდით ყოვლადუბიწო მარიაშს, დოყლაპიებო! მერე და მე თვითონ! მოვედი იმისათვის, რომ სახეები მენახა და ზურგების მეტი ვერა ვნახე რა. პოეტი იყო და მეთათაქის წარმატება გხვდეს წილად! თუმცა ისიც მართალია, ჰომეროსი მოწყალებას თხოულობდა ბერძენთა მოსახლეობაში, ხოლო ნაზონი¹ გადასახლებაში ჩაკვდა მოსკოვიტებთან. მაგრამ ეშმაკმა დამლახვროს, თუ მესმოდეს, რა სურთ თქვან ამ „ესმერალდათი“. ეს რა სიტყვაა? ალბათ, ბოშურია!“

ნ ო ო ნ ო

ქე ო რე

I

ქარიზმიდან სცილავი



ანვარში აღრე ღამდება. ქუჩები უკვე სიბნელით იყო მოცული, როდესაც გრენგუარი სასახლიდან გამოვიდა. ღამის სიბნელე სიამოვნებას ჰგვრიდა; ერთი სული ჰქონდა, რომელიმე ბნელ და მიყრუებულ ვიწრო ქუჩამდე მიეღწია, რათა იქ თავის ნებაზე ყველაფერი კარგად მოეფიქრა და ფილოსოფოსს პირველი მალამო დაედო პოეტის კრილობაზე. თუმცა ფილოსოფია ახლა მისი ერთადერთი თავშესაფარი იყო, რადგან არ იცოდა ღამე სად გაეთია. თავისი თეატრალური ცდის ესოდენ ბრწყინვალე მარცხის შემდეგ ვერ ბედავდა დაბრუნებულიყო ბინაზე, რომელიც მდინარის პირას ბელის ქუჩაზე ეჭირა, თივის ნავმისადგომის პირდაპირ; იმედი აღარ ჰქონდა, რომ ბატონი უფროსი მოსამართლე საქორწინო თხზულებისათვის გასამრჯელოს მისცემდა, საიდანაც იგი მეტრ გილიომ დუ-სირს,

პარტუცვის გადასახადთა მოიჯარეს, გადაუხდიდა ექვსი თვის დავალიანებულ ბინის ქირას, რაც შეადგენდა თორმეტ პარიზულ სუსს, ესე იგი თორმეტჯერ მეტს იმაზე, რაც ამქვეყნად გააჩნდა, თუ ვიანგარიშებთ აგრეთვე მის პერანგს, პერანგის ამხანაგსა და ქულს. დროებით თავი შეაფარა ხაზინადარის საპატიმროს პატარა კიშკარს სენ-შაპელთან, ერთ წუთს ჩაფიქრდა, ღამის გასათევი ბინა სად შეერჩია, — მას კი შეეძლო პარიზის ყველა ქვაფენილი ამოერჩია. უცბად გაახსენდა: წინა კვირას მეჯღანეების ქუჩაზე პარლამენტის მრჩეველის სახლის კარებს რომ ჩაუარა, ერთი ქვის საფეხური შენიშნა. რომელსაც მხედრები ჯორზე შესაჯღამად იყენებდნენ. მაშინ იფიქრა, თუ გაჭირდა, ეს ქვის საფეხური საუკეთესო ყურთბალიშად გამოადგება მათხოვარს ან პოეტსო. გრენგუარმა განგებას მადლობა უძღვნა, რომ ესოდენ ბედნიერი აზრი ჩააგონა; მაგრამ, როგორც კი დააპირა სასახლის მოედნის გადასერვა, რათა სიტეს მიწვეულ-მოხვეული ლაბირინთისათვის მიედღწია, იქ, სადაც ძველთაძველი დაკლაკნილი ქუჩებია, დებივით რომ ერთმანეთს მისდევენ, — მეკასრეების, ძველი მაულის, მეჯღანეების, ვზრავლების ქუჩები და სხვ., რომლებიც დღესაც არსებობენ თავიანთი ცხრასართულიანი სახლებით, — დაინახა ქილიკების პაპის პროცესია; ეს პროცესიაც მართლმსაჯულების სასახლიდან გამოვიდა, ეზო გაიარა და საშინელი ღრიანცელით, ანთებული ჩირალდნებით და მუსიკით, პირდაპირ გრენგუარისაკენ გამოემართა. ამ სანახაობამ შელახული თავმოყვარეობა კვლავ გაუღიზიანა. სწრაფად განშორდა იქაურობას. მისმა დრამატულმა მარცხმა ისე გაამწარა, რომ ყველაფერი, რაც კი დღევანდელ ზეიმს აგონებდა, აგულისებდა. აღიზიანებდა, კრილობას უხსნიდა.

მას უნდოდა გეზი სენ-მიშელის ხიდისაკენ აედო, მაგრამ იქ ბავშვები ანთებული ჩირალდნებითა და შუშხუნებით აქეთ-იქით დარბოდნენ.

— ქირსაც წაუღია საზეიმო ჩირალდნები! — თქვა გრენგუარმა და ზარაფთა ხიდისაკენ გადაუხვია. ხიდის თავში სახლებზე გამოკიდებული იყო სამი ბაირადი, რომლებზეც გამოსახული იყვნენ მეფე, ტახტის მემკვიდრე და მარგარიტა ფლანდრიელი, და ექვსი პატარა ალაში, რომლებზეც დათითხნილი იყო ჰერცოგი ავსტრიელი, კარდინალი ბურბონელი. ბატონი დე ბოჟიო. მადამ ენა დე ფრანს, ჰერცოგ ბურბონელის უკანონო შვილი, და არ ვიცი კიდევ ვინ; ყოველივე ეს განათებული იყო ჩირალდნებით. ბრბო ალტაცებული იყო.

— რა ბედნიერია ეს მხატვარი ექან ფურბო! — თქვა გრენგუარმა, ღრმად ამოიოხრა და ზურგი შეაქცია ბაიარალებსა და ალმებს. მის წინ ქუჩა გაქიმულიყო; ისეთი ბნელი და მიყრუებული ეჩვენა იგი, რომ იმედი აღედგა იქ მაინც დაეაღწევ თავს დღესასწაულის ხმაურსა და ბრწყინვალეობასო. ამ ქუჩას დაადგა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხი რალაცას წამოჰკრა, წაიბორძიკა და დაეცა. მაისის ხის ტოტების კონა იყო, რომელიც სასამართლოს გადამწერებმა დილით დადეს სასამართლო პალატის თავმჯდომარის კარებთან საზეიმო დღის სადიდებლად. გრენგუარმა ამ ახალ უსიამოვნო შემთხვევასაც გმირულად გაუძლო. წამოდგა და მდინარის ნაპირთან მივიდა. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპყრობილე უკან მოიტოვა. სამეფო ბაღების დიდი კედლების გასწვრივ ქვიშიანი, მოუყირწყლავი ნაპირი გაიარა, სადაც ტალახი კოჭებამდე სწვდებოდა, სიტეს დასავლეთ ნაწილს მიაღწია და რამდენიმე ხანს უტკირა პატარა კუნძულ „ძროხის ბორანს“, რომელიც შემდეგში ახალი ხიდის ბრინჯაოს ტაიქმა დაფარა. ეს პაწია კუნძული, რომელსაც მისგან მდინარის თეთრად მოციმციმე ზოლი აშორებდა, სიბნელეში რალაც შავ მასად ეჩვენა, მკრთალი სინათლის შუქზე იქ კაცს შეეძლო გაერჩია რალაც, სკის მაგვარი ქოხი, სადაც ღამ-ღამობით თავს აფარებდა ძროხების გადამყვანი მებორნე.

„ბედნიერო მებორნე! — გაიფიქრა გრენგუარმა, — შენ არ ოცნებობ დიდებაზე და საქორწინო თხზულებებს არ წერ! რაში გენალელება მეფეები და მათი ქორწინებანი, ბურგუნდიელი პერცოვის ასულები? შენ არა გაგეგება რა, გარდა იმ გვირილებისა, რომელთაც შენს ძროხებს აპრილში მდელოზე აძოვებ! მე კი, მე დაწუნებული პოეტი ვარ! მისტვინეს, მიკიეინეს! სიცივისაგან ვკანკალებ, თორმეტი სუ ვალად მადევს და ფეხსაცმლის ლანჩაც ისეთი სიფრიფანა გამიხდა, რომ შეუძლია შენი ლიფლიფას შუშის მაგიერობა გასწიოს. გმადლობთ, მებორნე. შენა ქოხს რომ ვუცქერი, სული მშვიდდება და პარიზი მავიწყდება“.

ამ თითქმის ლირიკული ექსტაზიდან პოეტი გამოათხიზლა სენ-ჟენის დიდი ორმაგი პეტარდის ჭექამ, რომელიც ნეტარი ქოხის მხრიდან უეცრად მოისმა. როგორც ჩანს, არც მებორნეს სურდა სხვებს ჩამორჩენოდა, და აი ისიც თავს ირთობდა საზეიმო შუშხუნების აშვებით.

პეტარდის გრგვინვა რომ გაიგონა, გრენგუარი შეკრთა, ტანში ერუანტელმა დაუარა.

— ღმერთმა დასწყევლოს ეს დღესასწაული! — წამოიძახა

მან. — ნუთუ ყველგან უნდა მდიოს, ოპ, ღმერთო ჩემო! თვით მე-
ბორნის ქოხთანაც კი არ მეშვება!

მერმე თავის ფერხით მდინარე სენას დახედა და საშინელმა
ცთუნებამ შეიპყრო.

— ოპ, — თქვა მან, — სიამოვნებით დაეიხრჩობდი თავს, წყა-
ლი რომ ესოდენ ცივი არ იყოს!

მაშინ სასოწარკვეთილმა ასე გადაწყვიტა: რაკი თავი ვედარ და-
ვალწიე ქილიკების პაპს, უეან ფურბოს ალმებს, მაისის ხის ტოტებს,
ჩირალდნებსა და პეტარდებს, უკეთესი იქნება გაბედულად შევერიო
ზეიმის ორომტრიალს და გრევის მოედნისაკენ გავწიო.

— „ცეცხლთან მაინც გავთბები, — გაიფიქრა მან, — ერთი მუ-
გუზალი როგორ არ შემხვდება სადღესასწაულო ჭიკოკონიდან.
იქნებ ორიოდღე ლუკმასაც გამოვრჩე იმ სამი უზარმაზარი შაქრის
კვერიდან, სამეფო ღერბის ფორმისა რომ გამოუცხვიათ და ხალხის
თვალის მოსაქრელად ქალაქის სასაუზმეში გამოუდგამთ“.

II

გრევის მოედანი

მაშინდელი გრევის მოედნიდან დღეს მცირე კვალი თუ დარ-
ჩენილა. ეს გახლავთ მშვენიერი კოშკი, რომელსაც ფოლორცის
ჩრდილოეთ კუთხე უჭირავს. იგი უკვე დაფარულია საძაგელი წე-
ბოვანი საღებავით, რითაც შეუთითხნიათ მისი ხუროთმოძღვრუ-
ლი სამკაულების მახვილი წახნაგები; შეიძლება იგი სულაც გაქრეს
და დაფაროს ახალი სახლების დიდროამ, რომელიც მეტისმეტად
სწრაფად შთანთქავს პარიზის ძველ ფასადებს.

ისეთი აღამიანები, რომლებიც ჩვენსავით ვერასოდეს ვერ ჩაი-
ვლიან გრევის მოედანზე ისე, რომ სიბრალულისა და თანაგრძნობის
თვალი არ გააყოლონ ლუი XV დროინდელ ორ, ქოხივით უბადრუე
სახლს შორის ჩაქვდილ ამ საბრალო კოშკს, ადვილად აღადგენენ
თავიანთ გონებაში შენობების იმ ანსამბლს, რომელსაც ის ეკუთვ-
ნოდა, და სრულად წარმოიდგენენ მეთხუთმეტე საუკუნის ძველ
გოტიკურ მოედანს.

იგი, ისე როგორც დღეს, არასწორი ტრაპეციის ფორმისა იყო,
რომელსაც ერთი მხრივ ქობასავით შემოვლებული ჰქონდა წყლის
ნაპირი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან — მაღალი, ვიწრო და პირ-
ქუში სახლების მწკრივი. დღისით შეიძლებოდა დამტკბარიყავით
ამ შენობების ნაირფეროვნებით, ქვისა თუ ხის ქანდაკებით, რომ-
ლებიც ჯერ კიდევ მაშინ წარმოადგენდნენ შუა საუკუნეებისთვის

(მეთერთმეტედან-მეთხუთმეტემდე) დამახასიათებელი სხვადასხვა ხუროთმოძღვრული სტილის სრულქმნილ ნიმუშებს; აქ ნახავდით ჯვარედინ სარკმლებს, რომელიც უკვე იწყებდა ისრული კამარის განდევნას, რომანულ ნახევრად მრგვალ. თაღს, რაც თავის მხრივ გააძევა ისრულმა და უკანასკნელთან ერთად ჯერ კიდევ შერჩენოდა როლანდის ციხე-კოშკის, ამ ძველთაძველი სახლის პირველ სართულს, მოედნის კუთხეში სენის ნაპირსა და მეღაბაღეთა ქუჩის მხარეს რომ მდებარეობდა. ღამით შენობების მთელ ამ მასაში არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. გარდა სახურავების შავი დაკბილული კიდეებისა, რომლებიც მოედანს მახვილი კუთხეების ჯაჭვივით შემოვლებოდა. რადგან ძირითადი განსხვავება მაშინდელ ქალაქებსა და აწინდელს შორის ის არის, რომ დღეს ფასადი მოედნებსა და ქუჩებს გადაჰყურებს, მაშინ კი გვერდითი კედლის წვეტურა დაჰყურებდა. მას შემდეგ ორი საუკუნეა, რაც სახლები პირით ქუჩისკენ შებრუნდნენ.

მოედნის აღმოსავლეთის მხარეს, შუაში, აღმართული იყო სამი ერთმანეთზე მიჯრილი სახლისაგან შემდგარი ტლანქი და ნარევი სტილის ნაგებობა. მას სამი სახელი ერქვა, რაც მის ისტორიას, დანიშნულებასა და არქიტექტურას განმარტავდა: „ლოფინის სახლი“, რადგან მასში ცხოვრობდა ტახტის მემკვიდრე შარლ V; „სავაჭრო პალატა“, რადგან აქ მოთავსებული იყო ქალაქის თვითმმართველობა; „სვეტებიანი სახლი“ (domus ad piloria) იმის გამო, რომ მისი სამი სართული დამყარებული იყო სქელი სვეტების მწყკრივზე.

აქ ნახავდით ყველაფერს, რაც კი დასჭირდებოდა ისეთ სახელოვან ქალაქს, როგორც იყო პარიზი: სამლოცველოს, რათა ღვთისადმი ვედრება აღველინათ; სასამართლო სხდომების დარბაზს, რათა სამართალი და სასჯელი გაეჩინათ მეფის ქვეშევრდომთა მიმართ; დასასრულ. ცეცხლსასროლი იარაღით სავსე არსენალს. რადგან პარიზის მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ ლოცვა-ვედრება და სასამართლო ძიება ყველა ვითარებაში როდია საკმარისი ქალაქის პრივილეგიების დასაცავად, ამიტომ ქალაქის თვითმმართველობის შენობის სხვენზე სათადარიგოდ შემონახული ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის ეანგიანი არკებულები.

გრევის მოედანს მას შემდეგ ისეთი საშინელი შესახედაობა ჰქონდა, რომ დღესაც კი საზარელ მოგონებებსა და ფიქრებს აღძრავს, ასევე საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ღომინიკ ბოკალორის ქალაქის თვითმმართველობის პირქუში შენობა. რომელმაც „სვეტებიანი სახლი“ შეცვალა. უნდა ითქვას, რომ სახარჩობელა და სამარცხვინო ბოძი, — „მართლმსაჯულება და კბე“, როგორც მაშინ ამბობდნენ, — გვერდიგვერდ რომ იყო ამართული ქვაფენილის

შუა ადგილას, გამვლელს აიძულებდა თვალი აერიდებინა ამ ავბედითი მოედნისათვის, სადაც იმდენმა ჯანღონითა და სიცოცხლით საესე ადამიანმა სიკვდილის კლანკებში უქანასკნელად გაიბრძოლა; სადაც ორმოცდაათი წლის, შემდეგ გაჩნდა „სენ-ვალისე ციებ-ციხელება“¹, ეს ემაფოტის შიშით გამოწვეული სენი, უსაზარლესი და უსაზიზღრესი სენი ყველა სენტა შორის, რადგან მას მოგვივლენს არა ღმერთი, არამედ ადამიანი.

გაკვრით აღენიშნათ: ნუგეშის მომცემია ის აზრი, რომ ახლა თითქმის გაქრა ჩვენი კანონებიდან და ქალაქებიდან, განიდევნა კანონთა კრებულებიდან, დებულებიდან დებულებამდე, ადგილიდან ადგილამდე სიკვდილით დასჯა, რომელსაც ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ თავისი რკინის თვლებით, ქვის სახრჩობელებით, ყოველგვარი საწამებელი იარაღებით გაევსო და ჩაეხერგა ქვაფენილი, გრევის მოედანი, დახურული ბაზრის მოედანი, უფლისწულის მოედანი, ტრაუარას გზაჯვარედინი, ღორების ბაზარი, ბილწი მონფოკონი, ათისთავების სადარაჯო, კატის ბაზარი, სენ-დენის ქიშკარი, შამპო, ბოდეს ქიშკარი, სენ-უაკის ქიშკარი, თუ არ ვიანგარიშებთ უამრავ სახრჩობელებს, აღმართულს პრევეების, ეპისკოპოსების, კაპიტულებს, აბატებისა და წინამძღვრების მიერ, ვისაც კი გასამართლების უფლება ჰქონდა; თუ არ ვიანგარიშებთ დამნაშავეთა დახრჩობას მდინარე სენაში სასამართლო განაჩენით; მანუგეშებელია ფიქრი იმაზე, რომ ფეოდალური საზოგადოების ამ ძველთაძველ მეტატონეს, — მას შემდეგ, რაც თანდათანობით დაკარგა თავისი აბჯარსაქურველი, სასჯელთა სიუხვენი, თავისი სისტემა დასჯისა, როგორც კი შეუძლია წარმოისახოს და მოიგონოს ადამიანის ფანტაზიამ, წამება, რისთვისაც ყოველ ხუთ წელიწადში გადააკეთებდნენ ხოლმე ტყავის სარეცელს გრან-შატლეში, — ჩვენს უსაზღვრო პარაზში გრევის მოედნის მხოლოდ ერთი სამარცხვინო კუთხელა დარჩენია, ერთი უბადრუკი, იღუმალი, მიმალული, მოუსვენარი, დარცხვენილი გილიოტინა, რომელსაც ჯერ დანაშაული ჩაუდენია, ხოლო შემდეგ სწრაფად ქრება, მიიპარება, თითქოს ეშინია დანაშაულზე არ წამასწრონო.

III

BESOS PARA GOLPES *

პირა გრენგუარმა გრევის მოედანს რომ მიადწია, მთლად გათოშილი იყო. გეზი მეწინსპვილეების ხიდისაკენ აიღო, რათა თავი აერიდებინა ზარაფების ხიდზე ღრიანცელისა და ევან ფურბოს აღ-

* კონა დარტყმისა წილ (ესპ.).

მებისათვის; მაგრამ გზად ეპისკოპოსის წისქვილების თვლებმა გაწუწეს, ტილოს ხალათი სველი ჰქონდა; გარდა ამისა ეგონა, რომ პიესის მარცხმა კიდევ უფრო მცივანა გახადა. ამიტომ საჩქაროდ მიუახლოვდა სადღესასწაულო კიაკოკონას, რომელიც მოედნის შუაგულს საუცხოოდ გიზგიზებდა. მაგრამ ბრბო მჭიდროდ შემოხვეოდა გარს.

— შეჩვენებული პარიზელები! — ჩაილაპარაკა თავისთვის, რადგან გრენგუარს, როგორც ჰემმარიტ პოეტ დრამატურგს მიდრეკილება ჰქონდა მონოლოგებისადმი, — ახლა ცეცხლს ჩამომეფარნენ, მე კი ასე მჭირდება ცეცხლაპირას მცირე რამ კუნჭულა გასათბობად. ფეხსაცმელი წყლით გამჟღენთვია და ამ წყეულმა წისქვილებმაც ხომ სიბრალულის ცრემლები გადმომათრქვიეს. ეშმაკსაც წაუღია პარიზის ეპისკოპოსი თავისი წისქვილებით! ნეტავ ვიციოდე, რად უნდა ეპისკოპოსს წისქვილი? ხომ არ აპირებს ეპისკოპოსობა მეწისქვილეობაზე გაცვალოს? თუ ამისთვის მხოლოდ ჩემი წყევლა-კრულვა აკლია, ვუგზავნი ამ წყევლა-კრულვას მასაც, მის ტაძარსაცა და მის წისქვილებსაც! ენახოთ ერთი, თავს თუ შეიწუხებენ ეს დოცლაპიები და მიიწ-მოიწევიან! ნეტავ რას აკეთებენ იქ? თბებიან; საუცხოო სიამოვნებაა! უყურებენ, როგორ გიზგიზებს ასეულობით გუდურა; მშვენიერი სანახაობაა.

მაგრამ უფრო ახლოს რომ მივიდა, შენიშნა, რომ წრე უფრო დიდი იყო, ვიდრე საჭიროა იმისათვის, რომ გამთბარიყვნენ სამეფო (ხარჯით გაჩაღებულ) კიაკოკონასთან და, რომ ამდენ მაყურებელს მარტო ასეულობით აგიზგიზებელი გუდურების სილამაზის საცქერლად არ მოეყარა თავი.

ბრბოსა და კოცონს შორის თავისუფლად გაშლილ არეზე ცეკვავდა ყმაწვილი ქალი.

ეს ახალგაზრდა ქალი ადამიანური არსება იყო, ფერია თუ ანგელოზი; გრენგუარმა, ამ სეკეტუკოსმა ფილოსოფოსმა და ირონიულმა პოეტმა, უცებ ვერ განსაზღვრა, იმდენად მოიხიბლა ამ თვალისმომპკრელი სანახაობით.

გოგონა მაღალი არ იყო, მაგრამ იმდენად მოხდენილი და ტანწერწეტი, რომ მაღალი მოჩანდა. შავგვრემანი იყო, მაგრამ ადვილად მიხვდებოდით, რომ დღისით მის კანს მშვენიერი ოქროსფერი შუქი დაჰკრავდა ანდალუზიელი და რომაელი ქალების მსგავსად. მისი პაწია ფეხიც — ანდალუზიელი ქალის ფეხი — საამოდ ეხამებოდა მის ვიწრო და კოხტა მაშისას. იგი ცეკვავდა, ტრიალებდა, დაფარფატებდა ფეხქვეშ დაუდევრად გაშლილ სპარსულ ხალიჩაზე, — და ყოველ-

თვოს, როცა მისი სხივმფრქვევი სახე თქვენსკენ შემობრუნდებოდა და თქვენს წინ ჩაიქროლებდა, დიდრონ შავ თვალებს ელვასავით შემოგანათებდათ.

ირგვლივ ყველა მას მისჩერებოდა, პირდაღებული უყურებდა. ლა მართლაც, როცა იგი ამრიგად ცეკვავდა, დაირას უკრავდა, აუღარუნებდა, თავს მალა აპქონდა თავისი ორი სუფთა ქალწულებრივი მრგვალი მკლავებით, ტანწერწეტა, ნახი, მკვირცხლი, კრახანასავით სწრაფი, ზედატანზე მკიდროდ შემოკრული ოქროსფერი სამოსით, კრელი, მოფრიალე კაბით, შიშველი მხრებით, კობტა ნაქანდაკები ფეხებით, რომლებიც ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე მოფრიალე კაბის ქვეშ, შავთმიანი, მგზნებართვალეა, — ზებუნებრივ, არააქვეყნიურ ქმნილებას ჰგავდა.

„ქეშმარიტად, — ფიქრობდა გრენგუარი, — სალამანდრაა, ნიმფა, ფერია, ქალღმერთი, ბახუსის ქურუმი ქალი მენადების მთიდან“.

იმ წუთს „სალამანდრას“ თმიდან ერთ-ერთი ნაწნავი ჩამოიშალა და მასზე დამაგრებული ყვითელი სპილენძის ფული მიწაზე გაგორდა.

— ოჰ, არა, — თქვა მან, — ბოშა ქალია.

ყოველგვარი ილუზია გაქრა.

გოგონამ ისევ დაიწყო ცეკვა. მიწიდან ორი ხმალი აიღო, წვერით შუბლზე მიიბრჯინა და ერთი მხრივ იწყო მათი ბრუნვა, თვითონ კი მეორე მხარეს დატრიალდა. მართლაც იგი ერთი უბრალო ბოშა ქალი იყო. მაგრამ როგორც არ უნდა დიდი ყოფილიყო გრენგუარის იმედგაცრუება, მთელ ამ სურათს არ შეიძლებოდა არ მოეხდინა მასზე შთაბეჭდილება, არ მოეჯადოებინა. სადღესასწაულო ჭიაკოკონის კამკაშა წითელი შუქი მხიარულად კრთოდა ირგვლივ მყოფი ხალხის სახეებზე, ახალგაზრდა ქალიშვილის შავგვრემან შუბლზე, და მათ მოციმციმე ჩრდილებში არეულ მკრთალ ანარეკლს ტყორცნიდა მოედნის სიღრმეში, ერთი მხრივ სვეტებიანი სახლის ძველ, ბზარებით დაღმეკილ, პირქუშ ფასადზე, მეორე მხრივ კი სახარხობელის ქვის ძელებზე.

კოცონის შუქზე ალისფრად განათებულ ათასობით სახეთა შორის მოჩანდა ერთი, რომელიც, სხვებზე უფრო მეტად შთანთქმული, გატაცებით მისჩერებოდა მოცეკვავე გოგონას. იგი ჰამაკაცის მკაცრი, მშვიდი და მოღუშული სახე გახლდათ. ეს კაცი, რომლის ტანსაცმელს მოჯარებელი ბრბო ფარავდა, ოცდათხუთმეტ წელზე მეტი ხნის არ ჩანდა, მაგრამ უკვე მელოტი იყო; საფეთქლებზე ძლივს კიდევ შერჩენოდა იშვიათი და უკვე ჰალარაშერეული თმის რამდე-

ნიმე ბლუჯა; ფართო და მაღალ შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა, მაგრამ ღრმად ჩაყარდნილ თვალებში უელვარებდა არაჩვეულებრივი ახალგაზრდული ცეცხლი, სიფიცხე, ცხოვრების წყურვილი, გულის სიღრმეში ჩამარხული ვნება. ის თვალმოუშორებლად უყურებდა ბოშა ქალს, და იმ დროს, როცა თექვსმეტი წლის გოგონა ცეკვავდა და დაფარფატებდა, ყველას ალტაცებას იწვევდა, ამ კაცს მოღუშული და ჩაფიქრებული სახე უფრო ელრუბლებოდა. დროდადრო მის ტუჩზე ღიმილი და ოხვრა ერთმანეთს სცვლიდა, მაგრამ ღიმილი უფრო მწარე და ნაღვლიანი იყო, ვიდრე ოხვრა.

ბოლოს აქოშინებული გოგონა შეჩერდა, ხალხი სიყვარულით უკრავდა ტაშს.

— ჯალი! — დაიძახა ბოშა ქალმა.

გრენგუარმა მხოლოდ ახლა დაინახა ლამაზი, ცქვიტი, კისკასი, ბეწვმოვლვარე, პატარა თეთრი თხა, რომელმაც გოგონასთან მიიბრბინა. რქები, ჩლიქები და საყელური ოქროფერილი ჰქონდა. გრენგუარმა იგი ადრე ვერ შენიშნა, რადგან აქამდე ნოხის ერთ კუთხეში იწვა და პატრონის ცეკვას უყურებდა.

— ჯალი, — უთხრა მოცეკვავე ქალმა, — ახლა შენი ჯერია.

ქალი დაჯდა და კეკლუცად გაუწოდა თავისი დაირა თხას.

— ჯალი, — ჰკითხა გოგონამ, — წლის რა თვეა ახლა?

თიანმა წინა ფეხი ასწია და ერთხელ დაარტყა დაფს.

მართლაც პირველი თვე იყო. ბრბომ ტაში დაუკრა.

— ჯალი, — ხელახლა ჰკითხა გოგონამ და დაირა გადააბრუნა, — თვის რომელი რიცხვია დღეს?

ჯალიმ ასწია თავისი პაწია მოოქროვილი ჩლიქი და ექვსჯერ დაარტყა დაფს.

— ჯალი, — განაგრძო ბოშა ქალმა და კვლავ გაუწოდა დაირა რალაც ახალი ფანდით, — ახლა რომელი საათია?

ჯალიმ შვიდჯერ დაარტყა დაფს. იმ წუთსვე „სვეტებიანი სახლის“ კოშკის საათმა შვიდჯერ დარეკა.

ხალხი გაცეხებული იყო.

— აქ რალაც ჯადოქრობაა! — წარმოთქვა ავბედითმა ხმამ ბრბოში. ეს იმ მელოტი კაცის ხმა იყო, რომელიც თვალს არ აშორებდა ბოშა ქალს.

გოგონა შეკრთა და მოტრიალდა. მაგრამ უეცრად ტაშმა იგრი-
ალა და დაფარა ავყია შეძახილი.

ამან სრულიად გააქარწყლა მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც საშინელმა სიტყვებმა მოახდინა გოგონაზე.

ასე რომ ქალიშვილმა კვლავ მიმართა თავის თხას:

— ჯალი, როგორ დადის მეტრ გიშარ გრან-რემი, ქალაქის მსროლელთა კაპიტანი უფლის მიჩქმის ლიტანიისზე?

ჯალი უკანა ფეხებზე აიშართა და მოჰყვა კიკინს, თანაც ისეთი სასაცილო მედიდურობით გაიარა. რომ ირგვლივ მყოფ მაყურებლებს სიცილი წასკდათ მსროლელთა კაპიტანის ფარისევლური ღვთისმო-საობის დამცინავ მიზანქაზე.

— ჯალი, — განაგრძო წარმატებით წაქეზებულმა გოგონამ, — როგორ წარმოთქვამს ქადაგებას მეტრ ჟაკ შარმოლიუ, მეფის პრო-კურორი, საეკლესიო სასამართლოში.

თხა უკანა ფეხებზე დაჯდა და აკიკინდა, თანაც ისე უცნაურად აქნევდა წინა ფეხებს, რომ მის მოძრაობასა და ქცევაზე ყველას თვალწინ ჟაკ შარმოლიუ წარმოუდგა, ოღონდ უხეირო ფრანგული და ასეთივე უხეირო ლათინურიღა აკლდა.

ბრბო აღტაცებული უკრავდა ტაშს.

— ეს მკრეხელობაა, წმიდათა შებღალვაა! — კვლავ გაისმა მე-ლოტი კაცის ხმა.

ბოშა ქალი ერთხელ კიდევ მიბრუნდა მისკენ.

— აჰ! ისევ ის საზიზღარი კაცია! — წაიჩურჩულა მან და ქვე-და ტუჩი აიბზუა, სახე აიშირზა, ჩანს, ასეთი ჩვევა ჰქონდა, მერმე ქუსლებზე შემოტრიალდა და დაირით ხელში ხალხის საჩუქრის შე-გროვებას შეუდგა.

უხვად წამოვიდა მსხვილი თუ წერილი ვერცხლის ფული — ძველი ბრეტონული ფარიანი და სპილენძის არწივიანი ლიარდები. როცა გოგონამ გრენგუარის წინ გაიარა, გრენგუარმა მოუფიქრებ-ლად ხელი ჯიბისკენ წაიღო, გოგონა შეჩერდა.

— ფუ ეშმაკს! — წაიბუტბუტა პოეტმა, როდესაც თავისი ჯი-ბის სიღრმეში იპოვა ის, რაც იქ ნამდვილად იყო, ესე იგი სიცარი-ელე. ლამაზი ქალიშვილი კი იდგა და ელოდებოდა დაირაგაწვდი-ლი, თავისი დიდრონი შავი თვალებით შეჰყურებდა. გრენგუარს სიმწრის მსხვილმა ოფლმა დაასხა.

მთელი პერუს ოქრო და ვერცხლი რომ ჯიბეში ჰქონოდა, იგი არც კი დაფიქრებოდა, ისე მისცემდა მოცეკვავე გოგონას; მაგრამ გრენგუარს პერუს ოქრო და ვერცხლი არ გააჩნდა, თუმცა მაშინ ამერიკა ჯერ კიდევ აღმოჩენილიც არ იყო.

საბედნიეროდ იგი მოულოდნელმა შემთხვევამ იხსნა.

— წაეთრევი თუ არა აქედან, შე მეგვიპტელო კალიავ? — იყვი-რა ვილაცამ გამყივანი ხმით მოედნის ყველაზე უფრო ჩაბნელებუ-ლი კუთხიდან.

ყმაწვილი ქალი შეშინებული შემობრუნდა. ეს უკვე იმ მელოტი კაცის ხმა აღარ იყო. ქალის ხმა იყო, — ავი, გაშმაგებული.

თუმცა ამ ხმამ, რომელმაც ასე შეაშინა ბოშა ქალი, დიდი სიხარული და ალტყინება გამოიწვია იქ გუნდ-გუნდად მოყიალე ბავშვებში.

— ეგ როლანდის კოშკში ჩამწყვდეული განდგეგლია! — იყვირეს მათ სიცილ-ხარხარით, — ეგ ძაძიანია, რომ ბუზლუნებს! ალბათ არ უვანშშია. ქალაქის სასაუზმოდან ნასუფრალი მანც მოვეუტანო!

და ბავშვებმა „სვეტებიან სახლს“ მიაშურეს.

ამასობაში გრენგუარმა ისარგებლა მოცეკვავე ქალის შესწოთებით და გაუჩინარდა. ბავშვების ყვირილმა მოაგონა, რომ მასაც არ ევანშმა და თვითონაც სასაუზმოსაკენ გასწია. მაგრამ პატარა ავარები მასზე უფრო ფეხმარდნი გამოდგნენ. როდესაც მივიდა, ტაბლა უკვე მოწმენდილი დახვდა. უბადრუკი კვერიც კი არ დაეტოვებინათ, გირვანქა ხუთი სუ რომ ღირს. მხოლოდ კედლებზე მოჩანდა ვარდებს შორის მიმოფანტული შროშანას ტანწერწეტი ყვავილები, რომლებიც 1434 წელს მათე ბიტერნმა¹ დახატა. მაგრამ ასეთი სამარხეო ევანშში, რა თქმა უნდა, კუქს ვერ დაუშოშმინებდა ჩვენს პოეტს.

აუტანელია უვანშმებლად დაწოლა; მაგრამ კიდევ უფრო უარესია და ვერაფერი სასიამოვნო. როცა უვანშმობასთაი ერთად კაცმა არ იცის, სად გაათიოს ღამე. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლდათ გრენგუარი, — ულუკმაპურო და უსახლკარო; იგი გაჭირვებას ყოველი ფენის გადადგმაზე გრძნობდა, და ფიქრობდა, რომ ეს გაჭირვება მეტისმეტად მკაცრი იყო. მან დიდი ხანია აღმოაჩინა ის ქეშმარიტება, რომ იუპიტერმა ადამიანები კაცთმოძულეობის ქამს შექმნა, და რომ ბრძენს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უხდება ბრძოლა ბედის წინააღმდეგ. რომელსაც თითქოს ალყაში ჰყავს მომწყვდეული მისი ფილოსოფია. მაგრამ ასეთ სრულ გარემოცვაში იგი არასოდეს მოხვედრილა; მისი კუქი განგაშს სტეხდა, და დიდ უსამართლობად მიაჩნდა. რომ ავი ბედი მის ფილოსოფიას შიმშილით აღებას უპირებდა.

ამ ნაღვლიანი ფიქრებით შეპყრობილი გრენგუარი უეცრად უცნაურმა, თუმცა ერთობ ტკბილმა სიმღერამ გამოათხიზლა. მღეროდა ახალგაზრდა ბოშა ქალი.

ხმა ისეთივე მიმზიდველი ჰქონდა, როგორც მშვენიერი ცეკვა და სილამაზე; რაღაც გამოუთქმელად მშვენიერი, წმინდა, წკრალა, ჰაეროვანი და, ასე ვთქვათ, აღმაფრთოვანებელი. დაუსრულებლად

იფრქვეოდა ბგერები, მელოდიები, მოულოდნელი კადანსები; მარტო მუსიკალურ ფრაზებს მკვეთრი და ნარნარა ბგერები სცვლიდა, მისი ჩანჩქერივით მორაკაკე და მაინც ჰარმონიულობით სავსე ხმები თავგზას აუბნევდა თვით ბულბულსაც კი; ოქტავეების რბილი ხავერდოვანი რხევა-ბიბინი ახალგაზრდა მომღერალი ქალის მკერდით, აღი-ჩაღიოდა. მშვენიერი სახე იშვიათი მოძრაობით გამოხატავდა მისი სიმღერის მთელ ჟინიანობას, თავშეუკავებელ აღმაფრენასა და ღირსეულ უმანკობას. იგი ხან გიჟი გეგონებოდათ, ხან დედოფალი.

სიმღერის სიტყვები გრენგუარს არ ესმოდა. გოგონა მისთვის უცნობ ენაზე მღეროდა. როგორც ჩანს, იგი გაუგებარი იყო თვით მომღერლისათვისაც, რადგან გრძნობები, რომელსაც იგი გამოხატავდა ამ სიმღერაში, არ შეესაბამებოდა მისი სიტყვების აზრს. აი ის ლექსები, რომელიც მის ბაგეთაგან იფრქვეოდა გიჟმაჟი, კისკასი მხიარულებით.

Un cofre de gran riqueza
Hallaron dentro un pilar.
Dentro del, nuevas banderas
Con figuras de espantar..*.

ხოლო ერთი წამის შემდეგ იმ გამოთქმის გამო, რომელსაც ის ამ ლექსს ანიჭებდა:

Alarabes de cavallo
Sin poderse menear,
Con espadas, y los cuellos,
Ballestas de buen echar...**.

გრენგუარმა იგრძნო, რომ თვალებიდან ცრემლები სდიოდა. მაგრამ გოგონას სიმღერა უმთაერესად მაინც სიხარულით სუნთქავდა; იგი ჩიტივით გალობდა, მშვიდად და უზრუნველად.

ბოშა გოგონას სიმღერამ გრენგუარის ფიქრები შეაშფოთა, ისე როგორც გედი შეაშფოთებს წყლის ზედაპირს. იგი ისეთი აღტაცებით უსმენდა, რომ ქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდა. პირველად მხოლოდ ახლა ამოისუნთქა გრენგუარმა თავისუფლად, მხოლოდ ახლა გაღაჟიწყდა და ველარ გრძნობდა იმ ტანჯვას, რომელსაც ეს რამდენიმე საათია განიცდიდა.

* სვეტოზინო ნახეს ზანდუკი, დიდი, მღერდულად მორთული. შიგნით დროშები ახალი, სახეებამოქარგული (ესპ.).

** ცხენებზე სხედან არაბნი სვეტებივით ამართული; მახვილი და მშველდ-ისარი კობტადა აქეთ გამართული. (ესპ.)

მაგრამ ეს წამიც მოკლე გამოდგა.

იმავე ქალის ხმამ, რომელმაც შეწყვიტა ბოშა ქალის ცეკვა, შეწყვიტა მისი სიმღერაც.

— ჩაიწყვიტე ხმა, ჯოჯოხეთის კრიკინავ! — იყვირა მან მოედნის ისევ იმ ბნელი კუთხიდან.

საბრალო კრიკინამაც ხმა გაიკმინდა. გრენგუარმა კი ყურები დაიკო.

— აჰ, შე წყეულო ჩლუნგო ხერხო, ქნარის დამამსხვრეველო! — წამოიძახა მან.

მაყურებლებიც აბუზლუნდნენ.

— ეშმაქსაც წაუღია ძაძიანი! — გაიძახოდა არა ერთი და ორა. და უჩინარ ბებერ საფრთხობელას შესაძლოა სანანებლად გახდომოდა თავისი თავდასხმები ბოშა ქალზე, რომ ამ დროს მსმენელთა ყურადღება არ მიეპყრო ქილიკების პაპის პროცესიას, რომელსაც უკვე შემოევლო მრავალი ქუჩა და გზაჯვარედინი და ახლა გრევის მოედანზე შემოიჭრა ჩირალდნებითა და ხმაურით.

ამ პროცესიამ, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა ნახეს, როცა იგი სასახლიდან გამოვიდა, გზადაგზა თვითონ დაამყარა წესრიგი და შემოიკრიბა რაც კი პარიზში ქურდბაცაცა, უსაქმური და მაწანწალა ხალხი იყო. ასე რომ, როდესაც გრევის მოედანს მოაღწია, იგი უკვე მნიშვნელოვან სანახაობას წარმოადგენდა.

წინ მოდიოდნენ ბოშები. მათ მეთაურობდა ცხენზე ამხედრებული ბოშათა პერცოგი, რომელსაც ქვეითად გრაფები მოჰყვებოდნენ. მათ სადავე და ავეჯანდა ეჭირათ, უკან ჯოგურად მოსდევდნენ ბოშები, კაცები და ქალები, რომელთაც მხრებზე აღრიალებული ბავშვები შეესვათ. ყველა — პერცოგიც, გრაფებიცა და მდაბიო ხალხიც ძონძებითა და ზიზილ-პიპილებით იყო მორთული. შემდეგ იყვნენ „არგოს“ სამეფოს ქვეშევრდომნი, ესე იგი საფრანგეთის ყველა ქურდი, რაზმებად დაწყობილი წოდებისა და ხარისხის მიხედვით; პირველად მოდიოდა ყველაზე დაბალი წოდების ბრბო. ამრიგად, ოთხ-ოთხ მწკრივად მოემართებოდნენ ამ უცნაური ფაქულტეტის სამეცნიერო ხარისხის სხვადასხვა ნიშნით შეკრდამშვენებული უამრავი ხეიბარი. კოკლები, ცალხელები, ჯუჯა ჯიბგირები, ღვთისმლოცველნი, ავზნიანები, ვითომ ბნელიანები, არახჩინიანი ბერები, ღვთის გლახები, ნაქურდალის დამმალავნი, გოლდარები, კუროები, მაწანწალები, ცუდლუტები, თაღლითები, ქურდები, დავრომონი, გაპარტახებულნი, სახლკარდამწვარი, გაკოტრებული მეწვრილმანები. ანგლები, ხუმარები, თითილბაზები. ქურდების მოზიარენი, მატყუარები, გაიძვერები, იშვილბაზები, ყალ-

თაბანდები, ბაცაცები, რომელთა ჩამოთვლა ჰომეროსსაც კი მოქანცავდა. მუზმუზელების, ყალთაბანდებისა და ქურდბაცაცების კონკლავის¹ შუაგულს ძლივს გაარჩევდით „არგოს“ მეფეს, დიდ კეისარს; იგი პატარა ფორანზე დაცუტკებულებო, რომელშიც ორი დიდი ძალი ება. არგოელთა სამეფოს შემდეგ მოდიოდნენ გალიელელთა სახელმწიფოს მათხოვარნი. უკან მედიდურად მოაბიჯებდა ღვინით დასვრილ მეწაშულ ტანსაცმელში გამოწყობილი გილიომბრუსო, გალიელეას ხელმწიფე. მას წინ უსწრებდნენ ლაზლანდარები და ოხუნჯები, რომლებიც ერთმანეთს ეძიძვილავებოდნენ და პირიკულ ცეკვას² ასრულებდნენ. ხოლო ირგვლივ ეხვივნენ თავისი კვერთხმტვირთველნი, დამქაშები და საანგარიშო პალატის მოსამსახურენი. ბოლოს ქაჯთა ღამის თავყრილობის შესაფერი მუსიკით მოდიოდა შავწამოსასხამიან სასამართლო მწერალთა წოდება, რომელთაც ხელში ყვავილების გვირგვინებით შემკული „მაისის ტოტები“ და ცვილის სქელი ყვითელი სანთლები ეკირათ. ამ ბრბოს შუაგულს ქილიკების ძმობის დიდ-დიდი თანამდებობის პირებს მხრებით მოქონდათ ჯალამბერი, რომელზეც უფრო მეტი წმინდა სანთელი იყო დანთებული, ვიდრე წმინდა ენევიევის ტაგრაუცზე შავი ჭირის დროს. ხოლო ამ ჯალამბერზე სახეგაბრწყინებული იჯდა ხელკვერთხიანი, მანტიაში გამოწყობილი და მიტრადარქმული ქილიკების ახლად არჩეული პაპი, — ღვთისმშობლის ტაძრის ზარების მრეკველი, კვაზიმოდო-კუზიანი.

ამ უცნაური პროცესიის ყოველ რაზმს თავისებური მუსიკა ჰქონდა. ბოშები აბრაახუნებდნენ თავიანთ ბალაფობებსა³ და აფრიკულ დაარებს. არგოელებს, ამ მეტისმეტად ნაკლებ მუსიკალური მოდგმის ხალხს, ეკირათ ვიოლი, მწყემსის ნალარა და მეთორმეტე საუკუნის გოტიკური რიუბები⁴. გალიელელთა ანუ მათხოვართა სამეფო ბევრით არაფრით უსწრებდა წინ. მათ მუსიკაში ძლივს გაარჩევდით რამდენიმე საცოდავ, ხელოვნების ბავშვობის ხანის, სამსიმიან ჰიანურს. რომელიც ისევ სამ ტონს — რე-ლა-მის შეიცავდა. სამაგიეროდ ქილიკების პაპის ირგვლივ გაისმოდა დიდებული კაკოფონია, ეპოქის მთელი მუსიკალური სიმდიდრე. ყოველივე ეს შედგებოდა მაინც ზედა, საშუალო და ქვედა რეგისტრების სამსიმიანი ჰიანურებისაგან. თუ არ ვიანგარიშებთ ფლეიტებსა და თითბერის საკრავებს. ვაგლახ! ეს გახლდათ გრენჯუარის ორკესტრი, როგორც ჩვენს მკითხველებს ემანსოვრებათ.

ძნელი წარმოსადგენია ის ამაყი და ნეტარი სიხარულის მჩენი გამომეტყველება, რომელნიც ასახლოყო კვაზიმოდოს ნაღვლიან და მახინჯ სახეზე მთელ იმ მანძილზე, რაც პროცესიამ მართლმსაჯუ-

ლების სასახლიდან გრევის მოედნამდე გაიარა. პირველად განიცადა მან თავმოყვარეობის სიტყბო. დღემდე იცოდა მხოლოდ დამცი-რება, ზიზღი თავისი მდგომარეობისა და წოდებისადმი, სიძულვილი საკუთარი პიროვნებისა. აგრეთვე, თუმცა ყრუ იყო, თითქოს ნამდვილი პაპი ყოფილიყო, ამ ხალხის მხიარული მისალმებით ტბებოდა, ხალხისა, რომელიც სძულდა იმიტომ, რომ თითონაც გრძნობდა ხალხის სიძულვილს. მართალია, მისი ხალხი გიყვებინ, ხე-იბრებისა, ქურდებისა და მათხოვრების ბრბოს წარმოადგენდა, მაგრამ განა სულ ერთი არ იყო? მაინც ხალხი იყო და ის მისი მბრძანებელი. იგი სერიოზულად იღებდა მთელ ამ ირონიულ ტაშისკვრას, მთელ ამ სასაცილო პატივისცემას, თუმცა უნდა ითქვას, ამ პატივისცემაში ნამდვილად ერთგვარი შიშის გრძნობაც ერია, რადგან კუზიანი ღონიერი იყო, ფეხებდაბრეცილი მარჯვე იყო, ყრუ ავი და მრისხანე იყო, — აი ის სამი თვისება, რაც აშოშმინებს დამცინავს.

მაგრამ ქილიკების ახალი პაპი კარგად ვერ ერკვეოდა იმ გრძნობებში, რომელსაც თვითონ განიცდიდა, ანდა სხვას შთააგონებდა. გონება უთუოდ ისეთივე უბადრუკი, არასრული და გამოყრუებული ჰქონდა, როგორც მანკიერი სხეული, რომელშიც სული მისი ბინადრობდა. ამიტომ ყველაფერი, რასაც იგი ამ წუთს გრძნობდა, სრულად გაურკვეველი, ბუნდოვანი და არეულ-დარეული იყო. მხოლოდ სიხარულსა და სიამაყეს განემსჭვალა მთელი მისი არსება. მის მოლუშულ, უბადრუკ სახეს თითქოს ნათელი დასდგომოდა.

იმ წუთს, როდესაც თავისი „დიდებით“ სანახევროდ დამთვრალი კვაზიმოდო ტრიუმფით გაატარეს „სვეტებიანი სახლის“ წინ, უეცრად ბრბოდან გამოვარდა ვიღაც კაცი, ეცა განრისხებული სახით და ხელიდან გამოგლიჯა მოქროვილი ხის კვერთხი — ნიშანი ქილიკების პაპის ღირსებისა.

ეს გულადი კაცი გახლდათ ის მელოტი, რომელმაც ერთი წუთის წინ ხალხში გარეულმა თავისი მუქარიანი და სიძულვილით სავსე სიტყვებით საწყალი ბოშა გოგონა შეაშინა. მას სასულეირო პირის ტანისამოსი ეცვა. იმ წუთს, როცა ის ბრბოს გამოეყო, გრენგუარმა, რომელსაც მანამდე სულ არ შეუმჩნევია ეს კაცი, მაშინვე იცნო იგი: — ჰეი, შესდექ! — შესძახა გაკვირვებით, — ეგ ხომ ჩემი ჰერმეტიკის! მასწავლებელია, მამა კლოდ ფროლო, არქიდიაკონი! რა ეშმაკი უნდა ამ საზიზღარ ცალთვალასაგან? მას ხომ ერთ ლუკმადაც არ ეყოფა?

მართლაც შიშისაგან შექრწუნებულ ხალხში კივილი გაისმა. საზარელი კვაზიმოდო ჯალამბერიდან სწრაფად გადმოხტა; ქალებმა

პირი იბრუნეს. რომ არ შეეხედათ, როგორ გაგლეჯდა იგი შუაზე არქიდიაკონს.

ერთი ნახტომით მიიქრა კვაზიმოდო ხუცესთან, თვალებში შეხედა და მუხლებზე დაემხო.

ხუცესმა ტიარა ააგლიჯა, კვერთხი გადაუმსხვრია და ზიზილ-პიპილებიანი მანტია დაუფხრიწა.

კვაზიმოდო მუხლებზე დამხობილი დარჩა, თავი დაღუნა და ხელები ერთმანეთს გადააქლო.

შემდეგ მათ შორის უცნაური საუბარი გაიბა ნიშნებითა და ხელებით, რადგან არც ერთს სიტყვა არ წარმოუთქვამს. გაბრაზებული ხუცესი შედიდურად იდგა გაჭიმული და რაღაცას ემუქრებოდა. კვაზიმოდოს კი მორჩილად მუხლი მოეყარა და ევედრებოდა. თუმცა, უქვევლია, კვაზიმოდოს შეეძლო ცერის ერთი დაქერით გაეჭყლიტა ხუცესი.

ბოლოს არქიდიაკონმა მაგრად შეანჯღრია კვაზიმოდოს მძლავრი მხარი, ანიშნა წამომდგარიყო და თან გაჰყოლოდა.

კვაზიმოდო ადგა.

მაშინ ქილიკთა ძმობამ, პირველმა განცვიფრებამ და გაბრუებამ რომ გაიარა, მოინდომა დაეცვა ასე უეცრად ტახტიდან ჩამოგდებული თავისი პაპი. ბოშები, არგოელები და მოსამართლეთა მთელი წოდება წკაფწკაფით და ყივილ-ხივილით გარს შემოერტყა ხუცესს.

კვაზიმოდო ხუცესს წინ ჩამოეფარა, თავისი ათლეტური მუშტები შემართა და თავდამსხმელთ გააფთრებული ვეფხვივით შეუბღვირა კბილების კრაქუნით.

ხუცესი კვლავ აღიქურვა პირქუში მედიდურობით, ნიშანი მისცა კვაზიმოდოს და უსიტყვოდ განშორდა იქაურობას.

კვაზიმოდო წინ მიდიოდა და გზას უკაფავდა ბრბოში.

როდესაც ხალხის გროვა გაარღვიეს და მოედანი გადაჭრეს, ცნობისმოყვარეთა და უსაქმურთა გუნდს სურდა ასდევნებოდა. მაშინ კვაზიმოდო ზურგში ამოუდგა და უკუსვლით გაჰყვა არქიდიაკონს. ჯმუხი, პირქუში, ავი, საზარელი, აბურძგნული, მთლად დაძაბული და ძალ-ღონე მოკრეფილი კვაზიმოდო თავის ტახისებურ ეშვებს ილოკავდა, მტაცებელი ნადირივით ღმუროდა, ბღღვინავდა და ერთი შეხედვით თუ ტანის მოძრაობით უკუაგდებდა ბრბოს.

ორივე აიძულეს ერთ ვიწრო და ბნელ ქუჩაზე გადაეხვიათ, სადაც უკვე ვედარავენ გაბედა მათი გამოდევნება, — მარტო კვაზიმოდოს კბილთა ღრქენის წარმოდგენა გზას უღობავდა მათ.

— აი საკვირველება! — თქვა გრენგუარმა, — მაგრამ სად ეშმაკებში ვივახშმო?

შსიამოვნებანი, რომელთაც გადაეპყრები, როცა
ძუჩაში საღამოს ლაგაჲ ჟალს აეღვენები

გრენგუარმა არ იცოდა საით წასულიყო და ალაღბედზე ბოშა-ქალს აედევნა. მან დაინახა, რომ გოგონა თავისი თხით მედანეების ქუჩისაკენ გაემართა. და თვითონაც მედანეების ქუჩისაკენ გადაუხვია.

„რატომაც არა!“ — უთხრა მან თავის თავს.

გრენგუარმა, პარიზის ქუჩების ამ გამოცდილმა ფილოსოფოსმა, შეამჩნია, რომ ოცნება ყველაზე უფრო ხელსაყრელია, როცა ლამაზ ქალს მისდევ ისე, რომ არც კი იცი, საით მიდის იგი. ნებაყოფლობით თავისუფალ ნებაზე ხელის აღება, სხვისი ჟინისადმი საკუთარი ჟინის დამორჩილება, როცა ამ სხვას ამის გუშანიც არა აქვს, რაღაც ნარევი უცნაური დამოუკიდებლობისა და ბრმა მორჩილებისა, შუალედური რაღაც მონობასა და თავისუფლებას შორის, ყოველივე ეს მოსწონდა და ართობდა გრენგუარს. არსებითად იგი მერყევი სულისკვეთების, გაუბედავი და რთული ბუნების ადამიანი იყო, რომელიც ყველა უკიდურესობას აერთიანებდა, განუწყვეტლივ მერყეობდა ყველა ადამიანურ მიდრეკილებათა შორის და ერთს მეორეთი ახშობდა. ის სიამოვნებით ადარებდა თავის თავს მაჰმადის აკლდამას, რომელსაც ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს იზიდავს ორი მაგნიტი და რომელიც მარად მერყეობს მწვერვალსა და უფსკრულს შორის, ცის კამარასა და ქვაფენილს შორის, დაცემასა და აღზევებას შორის, ზესკნელსა და ქვესკნელს შორის.

გრენგუარს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, რა მშვენიერ ადგილს დაიჭერდა კლასიკოსებსა და რომანტიკოსებს შორის!

მაგრამ ის არც ისეთი პირველყოფილი ადამიანი გახლდათ, რომ სამას წელიწადს ეცოცხლა, და ეს მეტად სამწუხაროა! უმისობა სიცარიელეს ჰქმნის, რაც ნამეტნავად დღეს იგრძნობა.

როდესაც კაცმა არ იცის, სად გაათიოს ღამე, სურვილი ებადება ქუჩაში გამვლელებს აედევნოს (მეტადრე ქალებს). სწორედ ასეთ გუნებაზე იყო გრენგუარი.

ამრიგად, იგი ჩაფიქრებული მისდევდა უკან ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ფეხი აეჩქარებინა და თავის ლამაზ თხასაც მიარბენინებდა, რაკი დაენახა, რომ მოქალაქეები უკვე შინ ბრუნდებოდნენ და სამიკიტნოებიც იკეტებოდა. ამ დღეს მხოლოდ სახამროები იყო ღია.

„ალბათ აქვს თავშესაფარი, თუნდაც ხუხულა, — გაიფიქრა მან. — ბოშა ქალებს კეთილი გული აქვთ. ვინ იცის?..“

მრავალწერტილი, რომელიც მან თავის გონებაში დასვა ამ სიტყვების შემდეგ. საკმაოდ მიზიდველი აზრის შემცველი იყო.

ღროდადრო, როცა შინ დაბრუნებულ მოქალაქეებს ჩაუვლიდა, რომლებიც კარებს ხურავდნენ, მის ყურამდე აღწევდა მათი საუბარი და წყვეტდა მისი საამო ფიქრების ჯაქვს.

აი ორი მოხუცი შეხვდა ერთმანეთს.

— მეტრ ტიბო ფერნიკლ, ხედავთ როგორ ცივა?

(გრენგუარმა ეს ზამთრის დამდეგიდანვე უწყოდა).

— დიახ, ძალიან ცივა, მეტრ ბონიფაცი დიზომ! — მიუგო მეორემ. — ალბათ ისეთივე ზამთარი მოგველის, როგორიც ამ სამი წლის წინ იყო, 1480 წელს, როცა შეშის ერთი გულურა რვა სუღირდა.

— ეს კიდეც არაფერია, მეტრ ტიბო, 1407 წლის ზამთართან შედარებით, როცა წმინდა მარტინობიდან მიჩქმის დღემდე ისე საშინლად ყინავდა, რომ სასამართლო პალატის მდივანს ყოველი სამი სიტყვის დაწერის შემდეგ მელანი კალამზე ეყინებოდა! ამის გამო შეწყდა სასამართლო ოქმების წარმოება.

აი კიდეც ცოტა მოშორებით, ფანჯრებთან მეზობლები დგანან, ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ, რომლებიც ნისლის გამო ტკაცუნობენ.

— თქვენმა მეუღლემ გაიმბოთ უბედური შემთხვევა, ქალბატონო ლაბუდრაკ?

— არა. რა მოხდა, ქალბატონო ტურკან?

— ბატონ ყილ გოდენის, შატლეს ნოტარიუსის ცხენი დამფრთხალა ფლამანდიელებისა და მათი პროცესიის დანახვაზე და გადაუთელია მეტრ ფილიპო ავილო, ცელესტინების მონასტერში შეხიზნული ხეიბარი.

— მართლა?

— სრულ ქეშმარიტებას მოგახსენებთ.

— მოქალაქის ცხენი! სად გაგონილა? ეს მეტისმეტია! კავალერიის ცხენი რომ ყოფილიყო, კიდეც მესმის!

და ფანჯრები მიიხურა. მაგრამ გრენგუარს ფიქრთა ძაფი გაუწყდა. საბედნიეროდ, ისევ მალე იპოვა და ადვილად გადააბა ბოშა ქალისა და ჯალის წყალობით, რომლებიც ისევ მის წინ მიდიოდნენ; იგი აღტაცებული უცქერდა ორ ნაზ, მოხდენილ და მომხიბლავ ქმნილებას, მათ პაწია ფეხებს, ლამაზ ფორმებს, კეკლუც მოძრაობას, თითქმის ერთად შეერთებულსა და არეულს მის მკვრეტელობაში;

ქუჩითა და კეთილი მეგობრობით ორ ყმაწვილ ქალს აგონებდა; ხოლო მკვირცხლი, მარდი სიარულით — ორ ბეკეკას.

ამასობაში ქუჩები სულ უფრო ბნელი და უკაცრიელი ხდებოდა. მწუხრის ზარმა დიდი ხანია დარეკა, ქუჩებში ფეხის ხმა შეწყდა, იშვიათად ხვდებოდნენ გამვლელს და აქა-იქ თუ ბეუტავდა ფანჯრებში სინათლე. ბოშა ქალს აღევნებულნი გრენგუარი იმ ვიწრო ქუჩების, შესახვევების, გზაჯვარედინებისა და ჩიხების დახლართულ ლაბირინთში მოხვდა, რომლებიც უმანკოთა ძველ სასაფლაოს გარშემო უვლიან და ციციას მიერ დახლართულ ძაფის შულოსა კგვანან.

„აი ქუჩები, რომლებსაც ლოგია აკლიათ!“ — ფიქრობდა გრენგუარი, რომელიც ვერ ერკვეოდა ამ მიხვეულ-მოხვეულ წრიულ ქუჩებში და ეგონა ერთსა და იმავე ადგილს ეტრიალებო. მაგრამ ახალგაზრდა ქალი გაბედულად მისდევდა გზას, ეტყობოდა, კარგად იცნობდა მას, და უფრო და უფრო უჩქარებდა ნაბიჯს. რაც შეეხება გრენგუარს, მას სულ არ ეცოდინებოდა, სად იმყოფებოდა, რომ გავლით არ შეემჩნია, ერთი ქუჩის მოსახვევში, დახურულ ბაზართან, ვეებერთელა რვაკუთხიანი სამარცხვინო ბოძი, რომლის ფარალალა წვერი მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი შავი თარგით ვერდელის ქუჩის ერთ-ერთი, ჯერ ისევ განათებული ფანჯრის შუქზე.

კარგა ხანია მან უკვე მიიქცია ახალგაზრდა ქალის ყურადღება; შეშფოთებულმა გოგონამ რამდენჯერმე მიიხედა უკან; ერთი წუთით შეჩერდა კიდევ, რათა საფუნთუშეს ოდნავ გაღებულ კარიდან გამომავალი სინათლის სხივით ესარგებლა და დაკვირვებით დაეთვალიერებინა იგი თავით-ფეხამდე. მერმე, გრენგუარმა დაინახა, რომ ამ დათვალიერების შემდეგ გოგონამ სახე შეიკუმხნა, ტუჩი აიბზუა, რაც მან ადრეც შენიშნა, და გზა განაგრძო.

ამ მცირეოდენმა ამრეზამ გრენგუარი ჩააფიქრა. ეს კეკლუცი გაპრანკვა უეჭველად ზიზღსა და დაცინვას გამოხატავდა. გრენგუარმა თავი დაღუნა, ქვაფენილს თვლა დაუწყო და ისევ გაჰყვა ქალს შორიახლო. ქუჩის ერთ მოსახვევში იგი თვალიდან გაუქრა და იმ წამსვე მისი კვილი შემოესმა.

გრენგუარმა ფეხს აუჩქარა.

ქუჩა წყვილიდით იყო მოცული, მაგრამ კუთხეში, უბიწო ქალწულის ძეგლის ფეხებთან, რკინის გალიაკში ზეთით ვაჟღენთილი ძენძი ენთო. ამან გრენგუარს საშუალება მისცა გაერჩია ბოშა ქალი, რომელიც ორი მამაკაცის მკლავებში ფართხალებდა. ისინი ცდილობდნენ ხმა გაეკმენდინებინათ: დამფრთხალ საბრალო თხას რქები დაეხარა და კიკინებდა.

— გუშაგებო. აქეთ! ჩვენსკენ! - იყვირა გრენგუარმა და გაბედულად გაეშურა იქით.

ერთ-ერთი მამაკაცი, რომელსაც ასალგაზრდა ქალი ეჭირა, მისკენ მობრუნდა. გრენგუარმა კვაზიმოდოს საზარელი სახე დაინახა.

გრენგუარი არ გაქცეულა, მაგრამ ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. კვაზიმოდო მასთან მიიჭრა. ერთი ხელუკუღმა დარტყმით ოთხ ნაბიჯზე გადაადგო და ქვაფენილზე დასცა. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა. აბრეშუმის რიდესავით გადაიგდო მკლავზე ასალგაზრდა ქალი და სიბნელეში სწრაფად გაუჩინარდა. მისი თანამგზავრიც მიჰყვა. საბრალო თხა კი საცოდავი კიკინით გამოედევნა მათ.

— მიშველეთ, მკლავენ! — ყვიროდა უბედური ბოშა გოგონა.

— შეჩერდით, თქვე არამზადებო, გაუშვით ეგ გოგო! — ანაზღად დაიგრგვინა ვილაცამ და მოსახვევიდან უცბად მხედარი გამოჩნდა.

ეს იყო მეფის მსროლელთა კაპიტანი, თავით ფეხამდე შეიარაღებული: ხელში მახვილი ეჭირა.

მან ხელიდან გამოგლიჯა ბოშა ქალი გაოცებულ კვაზიმოდოს, უნაგირზე გარდიგარდმო დაიდო, და, სწორედ იმ წუთს, როცა განცვიფრებისაგან გონს მოსული საშინელი კუზიანი ეძგერა მას, რომ თავისი ნადავლი ისევ დაებრუნებინა, გამოჩნდა ძველებური მახვილებით შეიარაღებული თხუთმეტ-თექვსმეტი მსროლელი, რომლებიც თავიანთ კაპიტანს მოსდევდნენ. ეს იყო მეფის მსროლელთა პატარა რაზმი, რომელიც ამოწმებდა ღამის მზიკებს პარიზის პრევეოს, მესირ რობერ დ'ესტუტვილის განკარგულებით.

კვაზიმოდოს გარს შემოერთყუნენ, შეიპყრეს და ხელ-ფეხი შეუყრეს. იგი ბრდღვინავდა, ცოფებს ჰყრიდა, იკბინებოდა. ეს რომ დღისით ყოფილიყო, უთუოდ გააქცევდა მთელ ამ რაზმს მარტო მისი სახის შეხედვა, რომელიც კიდევ უფრო საზარელი გამხდარიყო მრისხანებისაგან. მაგრამ ღამემ აპყარა მას ყველაზე საშინელი იარაღი — სიმახინჯე.

მისი თანამგზავრი გაქრა ბრძოლის დროს.

ბოშა ქალი კეკლუტად გასწორდა ოფიცრის უნაგირზე, ორივე ხელი ყმაწვილი კაცის მხრებს დააყრდნო, რამდენიმე წამს ჩაშტერებით უტყირა, თითქოს მოხიბლა მისმა ღამაზმა სახემ და დროულმა დახმარებამ, რომელიც ეს-ეს არის აღმოუჩინა. პირველად გოგონამ დაარღვია სიჩუმე და თავის ნარნარ ხმას კიდევ უფრო მეტი სინარნარე მისცა:

— რა გქვიათ, ბატონო ოფიცერო?

— კაპიტან ფებუს დე შატოპერ. მზად ვარ გემსახუროთ, ჩემო მშვენიერო! — უპასუხა ოფიცერმა და წელში გაიმართა.

— გმადლობთ, — უთხრა ქალმა.

სანამ კაპიტანი ფებუსი კმაყოფილებით იგრეხდა ბურგუნდულად შეკრეპილ უღვაშებს, ვოგონა ისარივით ჩამოსრაალდა ცხენიდან და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა.

— პაპის ქიპო! — წამოიძახა კაპიტანმა და უბრძანა კიდევ უფრო მაგრად მოეპირათ კვაზიმოდოსათვის ღვედები, — მერჩია ის გოგო შემრჩენოდა ხელთ.

— რა გაეწყობა, კაპიტანო! — უთხრა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა; — ჩიტუნია გაფრინდა, ღამურა კი დარჩა.

V

უსიამოვნებანი ბრძელდება

დაცემისაგან დარეტიანებული გრენგუარი ქუჩის კუთხეში ქვაფენილზე ეგდო უბიწო ქალწულის ქანდაკების წინ. ნელ-ნელა გონს მოდიოდა; ჯერ, რამდენიმე წუთს ნახევრად მთვლემარე რაღაც გაურკვეველ ოცნებებში ცურავდა, რასაც არ აკლდა ერთგვარი სიტკბოებაც კი, თან ბოშა ქალისა და თხის პაეროვანი სახეები მის გონებაში კვაზიმოდოს მძიმეწონიან მუშტს ერთვოდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სიცივის საკმაოდ ძლიერმა შეგრძნებამ სხეულის იმ ნაწილში, რომლითაც ქვაფენილს ეხებოდა, უცბად გამოაფხიზლა, და სული მისი ამქვეყნიურ სინამდვილეს დაუბრუნა.

— ეს სიგრილე საიდანაა მეწვია? — უცბად იკითხა გონს მოსულმა და მხოლოდ ახლად შეამჩნია, რომ თითქმის შიგ წყალსადენ არხში იწვა.

— ეშმაკსაც წაულია ეს კუზიანი ციკლოპი! — წაიბურტყუნა მან და ადგომა მოიწადინა. მაგრამ ესოდენ დიდად იყო გაბრუებული და დარეტიანებული დაცემისაგან, ესოდენ ძალიან იყო დამტერეული, რომ უნებურად ადგილზევე დარჩა. თუმცა ხელს საკმაოდ თავისუფლად ამოძრავებდა. ცხვირზე ხელი მფიჭირა და ბედს დაემორჩილა.

„პარიზის წუმპე“, — ფიქრობდა ის (რადგან სჯეროდა, რომ ამ ქუჩის არხში მოუხდებოდა უთუოდ ღამის გათევა, —

„სარეცელზე თუ არ გძინავს, სხვა რა უნდა გააკეთო, რომ არ იოცნებო“?)—

„პარიზის წუმპე განსაკუთრებით მყარალია. ის უთუოდ ბლომად

შეიცავს აქროლებად და აზოტიან მარილს. ყოველ შემთხვევაში. ამ აზრის არიან მეტრ ნიკოლა ფლამელი¹ და პერმეტიკოსები“...

სიტყვა „პერმეტიკოსებმა“ უცბად არქიდიაკონი კლოდ ფროლო გაახსენა. მან მოიგონა მის თვალწინ მომხდარი ძალმომრეობის სცენა. გაიხსენა, როგორ ებრძოდა ბოშა ქალი ორ მამაკაცს, რომ კვაზომოდოს თანამზრახველი ჰყავდა, — და მის მეხსიერებაში ბუნდოვნად გაიელვა არქიდიაკონის მოღუშულმა, მედიდურმა სახემ.

„უცნაური რამ კი იქნებოდა!“ — გაიფიქრა მან და ამ ცნობისა და მოცემულობის საფუძველზე შეუდგა ახირებული ჰიპოთეზების კოშკის, ფილოსოფოსთა ამ სათამაშო ხუხულის, აგებას.

მერმე უცბად გამოერკვა და კვლავ სინამდვილეს დაუბრუნდა: „აჰ, ვიყინები!“ — წამოიძახა მან.

და მართლაც გრენგუარის მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. წყლის ყოველი მოლეკული გრენგუარის თირკმელებს სითბოს თითო მოლეკულს ართმევდა, და მისი სხეულის ტემპერატურა თანდათან არასასიამოვნოდ უთანაბრდებოდა წყაროს ტემპერატურას. ანაზღად ახლა სულ სხვა უსიამოვნება დაატყდა თავს.

ბავშვების ერთი ჯგუფი, იმ პატარა ფეხშიშველი ველურებისა, მუდამ ეამს პარიზის ქვაფენილებზე რომ დაატყაპუნებენ და უკვდავი მეტასხელი „ონაერები“ თუ „აბეზრები“ ჰქვიათ, რომლებიც ჩვენი ბავშვობისას საღამოობით სკოლიდან მომავალთ ქვებს გვესროდნენ იმის გამო, რომ ჩამოხეული შარავლები არ გვეცვა, — აი სწორედ ამ პატარა ავარების გუნდი სიცილ-ხარხართა და ყიყინით მობრბოდა იმ გზაჯვარედინისაკენ, სადაც გრენგუარი იწვა, და სულ არ დაგიდევდნენ იმას, რომ მეზობლად ყველას ეძინა. რაღაც უფორმო ტომარას მოათრევდნენ; მართო მათი ხის ქოშების ბაკაბუკი მკვდარსაც კი გააღვიძებდა. გრენგუარმა, რომელსაც ჯერ კიდევ მთლად არ გაეზიჯებინა ამქვეყნიდან, ნახევარზე წამოიწია.

— ჰეი, ჰენეკენ დანდემ! ჰეი, ეჟან პენსბურდ! — ეძახოდნენ ერთმანეთს რაც კი ძალა შესწევდათ. — ბებერი ესტამ მუბონი, რკინეულობით რომ ვაჰრობდა კუთხეში, მოკვდა! მისი თივის ლეიბი ხელში ჩაგვივარდა. ეხლავე ჰიაკოკონას გავაჩალებთ. დღეს ზეიმი ა ფლამანდიელების პატივსაცემად!

თხრილთან მიიბრინეს და თივის ლეიბი სწორედ გრენგუარს მიაცდეს ზედ ისე. რომ იგი არ დაუნახავთ. იმავე წუთს ერთმა მათგანმა ჩალის ერთი ბლუჯა აიღო და იქვე წმინდა ქალწულის ძეგლის წინ ანთებულ ჰრაქზე ცეცხლი მოუკიდა.

— შე. ქრისტე მკვდარო! — წაიბუტბუტა გრენგუარმა, — ახლა კი, ჩანს, ნამეტანი დამცხება!

კრიტიკული მომენტი იყო. გრენგუარი ცეცხლსა და წყალს შუა აღმოჩნდებოდა. ზებუნებრივად დაძაბა ძალ-ღონე, როგორც ყალბი ფულის მჭრელმა, რომელსაც მღვდლარე წყალში უპირებენ ჩაგდებას და რომელიც ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს. იგი ფეხზე წამოდგა, თივის ლეიბი ონავრებს ზედ მიაგდო და მოჰკურცხლა.

— წმინდაო ქალწულო! — იყვირეს ბავშვებმა, — რკინეულობით მოვაქრე მკვდრეთით აღსდგა!

და ისინიც აქეთ-იქით გაითანტნენ.

ბრძოლის ველი დარჩა თივის ლეიბს! ბელფორე, მამა ლე ვიუჟ და კოროზე ირწმუნებნიან, რომ მეორე დღეს ეს ლეიბი დიდი ზემით აიღო მახლობელი სამრევლოს სამღვდლოებამ და მიიტანა სენტ-ოპორტიუნეს ეკლესიის სამოსსაცავში, სადაც მოლარე თვით 1789 წლამდეც კი საკმაოდ კარგ შემოსაყალს იღებდა იმ დიადი სასწაულიდან, რომელიც მოახდინა უბიწო ქალწულის ძეგლმა მოკონსეის ქუჩის კუთხეში. 1482 წლის 6 იანვრის იმ ღირსსახსოვარ ღამეს უბიწო ქალწულის ლუსკუმამ თავისი უბრალო სიახლოვითაც კი განაძევა ეშმაკი მიცვალებულ ესტაშ მუბონისაგან, რომელმაც, როცა კვდებოდა, ეშმაკის მოსატყუებლად და დასაციინად, თავისი სული თივის ლეიბში დამალა.

VI

დამსხვრეული სურა

გრენგუარი ერთ ხანს თავადებით გარბოდა, თვითონაც არ იცოდა საით; არაერთგზის დაეჯახა თავით ქუჩის კუთხეს, მრავალჯერ გადახტა თხრილზე, გადაჭრა უამრავი ვიწრო ქუჩა, მრავალი ჩიხი და გზაჯვარედინი, ცდილობდა თავი დაეღწია ძველი დახურული ბაზრის მოედნის ყველა მოსახვევისათვის; შიშისაგან თავზარდაცემულმა გამოსცადა ის, რასაც მშვენიერი ლათინური უწოდებს „tota via. cheminum et viaria“¹. უცბად ჩვენი პოეტი შეჩერდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სული მოეთქვა, მერმე იმიტომაც, რომ მის გონებაში წამოაჭრა დილემა, რომელიც თითქოს საყელოში სწვდა მას.

— მე მგონია, ბატონო პიერ გრენგუარ, — უთხრა თავის თავს და შუბლზე თითი მიიღო, — თქვენ დამთხვეულივით გარბიხართ, სულ დაკარგეთ გონება. პაწია ონავრები თქვენ არა ნაკლებ შეაში-

¹ „მთელი გზა, ქუჩა და მისი ასავალ-დასავალი“.

ნეთ. მგონია. კარგად გაიგონეთ მათი ქოშების რაკა-რუკი, როცა ისინი სამხრეთისაკენ გაიქცნენ, თქვენ კი ჩრდილოეთისაკენ მოჰკურცხლეთ. მაშასადამე, ორში ერთი: ან ისინი გაიქცნენ, და მაშინ თივის ლეიბი, რომელიც შიშისაგან დაფეთებულთ იქ უნდა დავიწყებოდით, წარმოადგენს სწორედ იმ სტუმართმოყვარე სარეცელს, თქვენ რომ დილიდან დაძებთ და ქალბატონი ღვთისმშობელი სასწაულებრივად გიგზავნით ჯილდოდ თქვენს მიერ მის სადიდებლად შეთხზული მორალიტეს გამო, რასაც თან ახლდა ზეიმი და უცნაური თვალთმაქცობანი; ანდა ბავშვები არ გაქეუულან, ცეცხლი წაუქიდეს თივის ლეიბს და თქვენ საშუალება გექნებათ დიდ ცეცხლთან გაშრეთ, გათბეთ და გამხნედეთ. ორივე შემთხვევაში — კარგი ცეცხლი იქნება თუ კარგი ლოგინი — თივის ლეიბი თქვენთვის ზეციური საჩუქარია. შესაძლებელია ნეტარმა ქალწულმა მარიამმა. მოკონსეის ქუჩის კუთხეში რომ დგას, ამ მიზნით წარმოუგზავნა სიკვდილი ესტაშ მუბონს; ეს სიგიჟეა, რომ ასე თავქუდგადაგლეჯილი გარბიხართ როგორც პიკარდიელი ფრანგის წინაშე და უკან სტოვებთ იმას, რასაც თქვენვე ეძებთ. თქვენ ჩერჩეტი ბრძანდებით, პიერ!

მაშინ გრენგუარი უკანვე დაბრუნდა, მიიხედ-მოიხედა, შეეცადა სწორი გეზი აეღო, ქექვა დაიწყო, ცხვირით ქარი იუნოსა, ყურები ცქვიტა და ნეტარი ლეიბის ძებნას შეუდგა. მაგრამ ამოდ. მის წინ იყო სახლების, ჩიხების, გზაჯვარედინების, ურთიერთგადამკვეთი შუკების რთული ქსელი; გაუთავებელი ყოყმანითა და ეჭვით შეპყრობილი, კიდევ უფრო დაიბნა და დაიკარგა ამ ბნელ და დახლართულ ვიწრო ქუჩებში, სადაც თავი უფრო უმწეოდ იგრძნო, ვიდრე თვით ტურნელის ციხე-კოშკის ლაბირინთში. ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა ერთის ამბით შესძახა:

— წყეულიმც იყოს ყოველი გზაჯვარედინი! ალბათ, ეშმაკმა შექმნა ისინი მსგავსად და ხატად თავისი ორკაპისა.

ამ შეძახილზე ცოტა გულს მოეშვა, ხოლო მოწითალო გამონაშუქმა, რომელიც იმ წუთს გრძელი და ვიწრო ქუჩის ბოლოს შეამჩნია, მხნეობა დაუბრუნა.

— დიდება შენდა ღმერთო! — თქვა მან. — ეს იქ არის, იქ! ეს ჩემი თივის ლეიბი იწვის. — და თავი შეადარა იმ გემის მესაჭეს, რომელიც ღამე ზღვაში იძირება. — Salve, — დაუმატა მან მოწიწებით, — Salve, maris stella!*

* სალამი, სალამი, ზღვის ვარსკვლავო! (კათოლიკური საეკლესიო ჰიმნი ღვთისმშობლის სადიდებლად: „განიხარე ვარსკვლავო ზღვისა“).

ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩა უბიწო ქალწულის მიმართ იყო ნათქვამი ლითანიის ეს ნაწყვეტი თუ თივის ლეიბის მიმართ.

ძლივს მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა გრძელი, დამრეცი ქუჩისაკენ, რომელიც მოკირწყლული არ იყო, და უფრო და უფრო ტალახიანი და დაქანებული ხდებოდა, რომ საკმაოდ უცნაური რამ შენიშნა. ქუჩა სულაც არ იყო უდაბური და უჟაცური. აქა თუ იქ, მის გასწვრივ მიხოხავდნენ რაღაც გაუტყვეველი და უფორმო მასები, რომლებიც მიემართებოდნენ ქუჩის ბოლოში მოციმციმე სუსტი სინათლისაკენ, უხეში მწერებივით, ბალახიდან ბალახზე რომ გადადიან და მწყემსის კოცონისაკენ მიიწევენ დამდამობით.

ჯიბეცარიელი ადამიანი გამბედავია. გრენგუარი წინ მიდიოდა და მალე კიდევ დაეწია ერთ-ერთ იმ მუხლუხა მატლს, რომელიც ზანტად მიხოხავდა სხვების კუდში. როცა მიუახლოვდა, დაინახა, რომ იგი ერთი საცოდავი ხეიბარი, კუტი იყო, რომელიც თავის ორ ხელზე მიხტოდა როგორც მხოლოდ ორ ფეხ-შერჩენილი დაქრილი მთიბავი ბაბაქუა. სწორედ იმ წუთს, როდესაც ახლოს ჩაუარა ამ ადამიანის სახის ობობასებრ არსებას, მან გრენგუარის მისამართით შესაბრალი ხმით წამოიწყო: — *La sua mancia, signor! La buona mancia!**

— ეშმაკსაც წაუღიხარ შენცა და შენთან ერთად ჩემი თავიც, თუ მესმოდეს რამე, რასაც შენ მანდ ბურტყუნებ! — თქვა გრენგუარმა და გაშორდა.

ახლა მეორე ისეთსავე უფორმო მოძრავ მასას დაეწია და დააკვირდა. ისიც ხეიბარი იყო, დასახიჩრებული, კოჭლი, და თანაც ცალხელა. ისე იყო დასახიჩრებული ეს ცალხელა და კოჭლი, რომ ყავარჯნებისა და ომბოხების რთული სისტემა, რომელსაც იგი ეყრდნობოდა, ხარაჩოებით მოძრავი კალატოზის იერს აძლევდა. გრენგუარმა, რომელსაც კეთილშობილი, კლასიკური შედარებები უყვარდა, ეულკანის¹ ცოცხალ სამფეხა ზედადგარს შეადარა.

ეს ცოცხალი სამფეხა ზედადგარი გვერდზე ჩავლისას მიესალმა, მაგრამ ქუდი ისე ახლოს მიუტანა გრენგუარს ნიკაბთან, როგორც სადალაქო ლანგარი, და ყურებში ჩასძახა:

— *Señor caballero, para comprar un pedazo de pan!***

„მგონია, ესეც ლაპარაკობს, — თქვა გრენგუარმა, — მაგრამ

* გაიღეთ მოწყალეობა, სენიორ! გაიღეთ მოწყალეობა (იტალ.).

** სენიორ კაბალერო, გაიღეთ მიწყალეობა ერთი ლუკმაპურის საყიდელი (ესპ.).

რალაც ძნელ ენაზე. ჩემზე უფრო ბედნიერია. თუკი ესმის რავე მაგ სიტყვებისა“.

მერმე შეზღბულზე ხელი იტყია, მისმა აზრმა ანაზღად გეზი იცვალა:

— მართლა, რა ეშმაკი და ქაჯი უნდოდათ ეთქვათ ამ დილას სიტყვა „ეს მე რა ლათი“?

უნდოდა ფეხი აეჩქარებინა, მაგრამ რალაცამ მესამედ გადაულობა გზა. ეს რალაც, ან უფრო სწორად, ვილაც იყო ებრაული სისხის ბრმა, პატარა ტანის წვეროსანი, რომელიც თავის ჯოხს ნიჩაბივით ირგვლივ უსვამდა და რომელსაც ბაგირით დიდი ძალდი მიათრევდა. მან უნგრული კილოთი წაიდუღდუნა:

— *Facitote caritatem!* *

— ღმერთსა მადლია! — თქვა გრენგუარმა, — ბოლოს ერთი მაინც ლაპარაკობს ქრისტიანული ენით. ალბათ, კეთილი კაცის გამომეტყველება მაქვს, რომ ანე მთხოვენ მოწყალებას, თუმცა ქისა ჩემი უკიდურესად გაღუულია. ჩემო მეგობარო, — მიუბრუნდა იგი უსინათლოს, — გასულ კვირას უქანასკნელი პერანგი გავყიდე, ესე იგო, ციცერონის ენით რომ ვთქვათ, რაკი სხვა არ გესმის: *vendidi hebdomade nuper transita meam ultimam chemisam***.

უთხრა ეს, ზურგი შეაქცია უსინათლოს და თავისი გზა განაგრძო. მაგრამ უსინათლომაც უმატა ნაბიჯს. მაშინ დამბლადაცემულიცა და კუტიც მისკენ გაეშურნენ დიდი სიჩქარით, ქვაფენილზე ყავარჯნებისა და ომბოხების ბაკა-ბუკით. კვალდაკვალ მისდევდნენ საწყალ გრენგუარს, ერთმანეთს ზედ აწყდებოდნენ. შემდეგ სამივემ თავისი სიმღერა წამოიწყო:

— *Caritatem!* — წაუმღერა უსინათლომ.

— *La buona mancia!* — ჩამოართვა კუტიმა.

— *Un pedazo de pan!**** — დაამთავრა მუსიკალური ფრაზა კოქლიმა.

გრენგუარმა ყურები დაიკო.

— ჰოი, ეს რა ბაბილონის გოდოლია! — შეჰყვირა მან და გაიქცა. გაიქცა და უსინათლოც გამოეკიდა. გარბოდა უსინათლოც, კოქლიცა და კუტიც.

რაც უფრო ღრმად შედიოდა ამ ქუჩაზე, მით უფრო სწრაფად

* გაიღეთ მოწყალება (ლათ.).

** წინა კვირას გავყიდე ჩემი უქანასკნელი პერანგი (ლათ.).

*** მოწყალება (ლათ.) — განიკიოხეთ, გაიღეთ მოწყალება (იტალ.) — ლუკმა პერი (ესპ.).

მრავლებოდნენ მის ირგვლივ კუტები, უსინათლონი, კოჭლები, ცალხელები, ცალთვალეები, ბრუტიანები, კეთროვანთა იარებით დაფარულნი; ვინ სახლებიდან მოძვრებოდა, ვინ მოსაზღვრე პატარა შუკებიდან, ვინ სარდაფების სასულე სარკმელებიდან; ყველა სინათლისაკენ მიეშურებოდა ღმუილ-ბღაველით, ღრიალით, წკმუტუნით, წკაეწკაეით, ბაჯბაჯით, ძლავსძლივობით, ბორძიკით; მიხობადნენ ტალახში ამოსვრალნი როგორც ლოკოკინები წვიმის შემდეგ.

გრენგუარი, რომელსაც ისევ მისდევდა ის სამი მადევარი; და რომელმაც არ იცოდა, რითი დამთავრებოდა ყოველივე ეს, შემფოთებული მიდიოდა შუაში სხვებთან ერთად. გვერდს უვლიდა კოჭლებს, ზედ აბოჯებდა კუტებს. დასახიჩრებულთა და ხეიბართა ამ გროვაში ფეხი ისე ეფლობოდა, როგორც ჭიანჭველების ბუდეში, ვითარცა ვინმე ინგლისელ კაპიტანს კიბოების გროვაში.

აზრად მოუვიდა უკან დაბრუნება, სცადა კიდევ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. მთელ ამ ლეგიონს მისთვის უკან დასახევი გზა შეეკრა, ის სამი მათხოვარი ფეხდაფეხ მისდევდა. გრენგუარი განაგრძობდა გზას, მას წინ უბიძგებდა ეს უძლეველი ტალღა და შიში, თავბრუ ეხვეოდა, — ყოველივე ეს რაღაც საშინელ სიზმრად ეჩვენებოდა.

ქუჩის ბოლოს მიაღწია. ქუჩა უზარმაზარ მოედანს უერთდებოდა, სადაც ღამის ბუნდ ნისლში ათასობით მოციმციმე ლამპარი მიმოფანტულიყო. გრენგუარი იქით გაექანა, იმედი მოეცა, რომ მარდი ფეხები უშველიდა და გაქცევით თავს დააღწევდა იმ სამ ხეიბარ მოჩვენებას, რომლებიც მას ჩაბლაუჭებოდნენ.

— Onde vas, hombre? — შეუძახა დამბლადაცემულმა, გადაყარა ყავარჯნები და გამოუდგა: მას საუკეთესო წყვილი ფეხი აღმოაჩნდა, როგორსაც კი ოდესმე პარიზის ქვაფენილზე გაუფლია.

ამ დროს კუტიც ფეხზე წამოიმართა, გრენგუარს თავზე ჩამოაცვა თავისი რკინის მძიმე ბალია, ბრმამ კი ანთებული თვალებით შეხედა სახეში.

— სადა ვარ? — თქვა შეშინებულმა პოეტმა.

— სასწაულებათა ეზოში, — უპასუხა მეოთხე მოჩვენებამ, რომელიც თავს წამოადგა.

— სულსა ვფიცავ, მართლაც ასეა, — მიუგო გრენგუარმა, — რამეთუ კარგად ვხედავ, ბრმანი აღიხილვენ, მკელობენი ვლენან... მაგრამ სად არს მაცხოვარი?

პასუხად ავბედითი ხარხარი გაისმა.

* საით გარბიხარ, აღამიანო (ესპ.).

საწყალმა პოეტმა თვალი მოავლო ირგვლივ. მართლაც სასწაულებათა საზარელ ეზოში იმყოფებოდა. სადაც ასე გვიან არასდროს შეუხედავს წესიერ კაცს; ჯადოსნურ წრეში, სადაც პირწმინდად ქობოდნენ შატლეს ოფიცრები და ქალაქის პოლიციის სერჟანტები. ვინც კი იქ შესვლას გაბედავდა; ქურდების უბანში — ამ ბილწ მეჰეკში პარიზის სახეზე, სიბინძურის ადგილას, უწმინდურების არხში, საიდანაც ყოველ დილა აღმოსდინდებოდა და ყოველ ღამე უუიქცეოდა შმორი, წყარო წუნისა, ბიწიერებისა და მანკიერებისა, მათხოვრობისა და მაწანწალობისა, რითაც მუდამ გადავსებულია დედაქალაქების ქუჩები; საზარელ სკაში, სადაც საღამოობით ბრუნდებოდნენ თავიანთი ნადავლით საზოგადოებრივი წყობის კრაზანები; იმ ცრუ სასნეულოში, სადაც ბოშა მაწანწალა, გაკრეპილი ბერი, ხელიდან წასული მოსწავლე, ყველა ეროვნების არამზადები — ესპანელი, იტალიელი, გერმანელი, ყველა რჯულითა თუ სარწმუნოებისა, — ებრაულისა; ქრისტიანულისა, მაჰმადიანურისა, წარმართულისა, თუ კერპთაყვანისმცემლობისა, დაფარულნი საღებავის ცრუ იარებით, დღისით მათხოვარნი, ღამე ყაჩაღებად იქცეოდნენ; ერთი სიტყვით, იგი აღმოჩნდა უზარმაზარ გასახდელ ოთახში, სადაც იცმევდნენ და იხდიდნენ იმ ღროს მსახიობნი იმ მარადიული კომედიისა, რომელსაც თამაშობენ პარიზის ქვაფენილზე ძარცვა-გლეჯა. მეძაობა და მკვლელობა.

იგი წარმოადგენდა უსწორო ფორმის, ცუდად მოკირწყულულ ერთ ფართო ადგილს, ისეთს, როგორიც იყო პარიზის ყველა მაშინდელი მოედანი. აქა-იქ გიზგიზებდა კოცონები, რომელთა ირგვლივ უცნაური ჯგუფები ფუთფუთებდნენ. ყველა ისინი მიდიოდნენ, მოდიოდნენ, ყვიროდნენ. ისმოდა მკვეთრი სიცილ-ხარხარი, ბავშვების ჩხავილი, ქალების ხმა. ამ ბრბოს ხელები და თავები ცეცხლის შუქზე ათას უცნაურ შავ ლანდებად ისახებოდა. ხანდახან მწწაზე, იქ, სადაც თრთოდა ცეცხლის გამონაკრთომი და ვეებერთელა გაურკვეველი ჩრდილები ერთმანეთში ირეოდა, შეიძლებოდა შეგემჩნიათ გავლილი ძაღლი, რომელიც ჰგავდა ადამიანს, და ადამიანი, რომელიც ჰგავდა ძაღლს. გეგონებოდათ, ქალაქის ამ უბანში ყოველი მიჯნა და საზღვარი წაშლილიყო გვარობათა და სახეობათა შორის როგორც დემონთა საკრებულოში¹. მამაკაცები, დედაკაცები, ცხოველები, ასაკი, სქესი, ჯანმრთელობა და სნეულება, ყველაფერი ამ ხალხში საერთო ჩანდა, ყველაფერი ერთობლივ ხდებოდა. ერთმანეთში ირეოდა, ერთიმეორეს ზედ შრებდად ედებოდა; თვითუღს საერთო დაღი აჩნდა.

ცეცხლების მოციმციმე, მკრთალ შუქზე გრენგუარმა დაბნეუ-

ლობისა და მღვდვარების მიუხედავად, მაინც გააჩნია მთელი ამ უშველებელი მოედნის ირგვლივ მოჯარებული ძველი სახლები, ქიანაქამი, გამრუდებული, დაბრეცილი, დაგვაჯული, დაგვალული ფასადებით; თვითელს დატანებული ჰქონდა ერთი ან ორი განათებული სამერცხული; სიბნელეში ისინი წრიულად ჩამწყრივებული დედაბრების უშველებელ, საზარელ, პირქუშ და დაღრეჯილ თავებად ეჩვენებოდა, რომლებიც თითქოს თვალებს ახამხამებდნენ და ქაჯთა ღრეობას შეჰყურებდნენ.

გრენგუარის წინ რალაც სულ ახალი, უცნობი, გაუგონარი, მახინჯი, ქვემძრომი, ქვეწარმავალი, მატლებივით მოფუთფუთე, არნახული, დაუჯერებელი და ფანტასტიკური სამყარო იყო.

თავზარდაცემული გრენგუარი, რომელიც იმ სამ მათხოვარს მარწუხებში მოემწყვდია, ირგვლივ მყოფ ბრბოს ბღაილისა და ყფფისაგან მთლად გაბრუებულიყო; უბედური ცდილობდა გონება მოეკრიფა და გაეხსენებინა. კვირაძალი ხომ არ იყო დღეს. მაგრამ მისი ცდა ამო აღმოჩნდა, — მეხსიერებისა და ფიქრთა ძაფი გაწყვეტილდა. ყველაფერში ეჭვი ეპარებოდა, ყოყმანობდა და მერყეობდა ნახულსა და განცდილს შორის, და ასეთი გადაუჭრელი კითხვა ებადებოდა: „თუ მე ვარსებობ, — მაშინ არსებობს თუ არა ყოველივე ის, რაც ჩემს ირგვლივ არის? და თუ არსებობს ყოველივე ის, რაც ჩემს ირგვლივ არის, მაშინ ვარსებობ თუ არა მე?“

ამ დროს გარშემოხვეულ აჩოჩოლებულ ბრბოს საერთო ღრინცელში გარკვევით გაისმა შეძახილი:

— მეფესთან მივიყვანოთ! მეფესთან მივიყვანოთ!

— წმინდაო ქალწულო! — წაიბუტბუტა გრენგუარმა, — აქაური მეფე უთუოდ ვაცია.

— მეფესთან! მეფესთან! — იმეორებდა ყველა.

გრენგუარი წათრეის. ყველა მას ებღაუჭებოდა. მაგრამ სამი მათხოვარი ნადავლს არ უშვებდა, და „ჩვენისა“ ძახილით ხელიდან გლეჯდნენ სხვებს.

პოეტის კამზოლს, რომელიც ისედაც ძველი იყო, ამ ბრძოლაში სული აღმოხდა.

საშინელ მოქდანანზე რომ მიდიოდა, თავბრუსხვევამ გაუარა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მალე რეალობის გრძნობაც დაუბრუნდა. თანდათან გარემოსაც მიეჩვია. პირველ წამს მისმა პოეტურმა თავმა, შესაძლებელია, სრულიად უბრალო და სრულიად პროზაულმა მიზეზმა: — მისმა ცარიელმა სტომაქმა წარმოშვა კვამლის, ორთქლის მაგვარი რამ, რომელიც, ასე ვთქვათ, აღიმართა მასა და საგნებს შორის, რაც საშუალებას აძლევდა მხოლოდ ბუნდოვნად გაერჩია

ყველაფერი მაჯლაჯუნას არეულ-დარეულ, უთავბოლო ნისლში, ზმანების წყვილიადში, ყოველ კონტურს რომ არხევს. ათრთოლებს, ყოველ ფორმას რომ მანჭავს და გრეხავს, საგნებს უსაზღვრო გროვად აზვინებს, ნივთებს — ქიმერებად და ადამიანებს — ფანტომებად აქცევს. ნელ-ნელა ამ პალუცინაციებს მოჰყვა ნაკლებ ცთომილი და ნაკლებ გაზვიადებული შთაბეჭდილებანი. სინამდვილე ირგვლივ დღესავით ნათელი გახდა, თვალში ეცა, ზედ წააწყდა და მან თანდათანობით სულ დაუნგრია მთელი საზარელი პოეზია, რომელიც, როგორც მას ეგონა, გარს ერტყა თავიდან. იგი კარგად მიხვდა, რომ ფეხი ტალახში შედგა და არა სტიქსში¹, გარს ქურდები ეხვივნენ და არა დემონები, რომ საქმე სულ უბრალოდ მის სიცოცხლეს ეხებოდა და არა სულს, (რადგან მას არ გააჩნდა ის ძვირფასი შუამავალი, რომელიც ასე წარმატებით ჩადგება ხოლმე ავაზაკსა და პატროსან ადამიანს შუა — ფულით სავსე ქისა). ბოლოს უფრო ახლოს და ძეტი გულგრილობით დაუკვირდა ამ აღვირახსნილ ღრეობას და დაინახა, რომ ქაჯთა ღამის ყრილობიდან დუქანში ამოეყო თავი.

სასწაულებათა ეზო მართლაც დუქანს წარმოადგენდა, მაგრამ ყაჩაღთა დუქანს, რომელიც მთლად წითლად იყო შეღებილი არა მარტო ღვინით, არამედ სისხლითაც.

როცა კონციაჟდარუნა ჩამოძვინდებდა ბადრაგმა ბოლოს იგი მიიყვანა იქ, სადაც გზა თავდებოდა, გრენგუარის თვალწინ გადაიშალა ისეთი სანახაობა, რაც სრულიად არ გამოდგებოდა იმისათვის, რომ კვლავ დაებრუნებინა პოეზია, თვით ჯოჯოხეთის პოეზიაც კი. იგი სამიკიტნოს ყველაზე უფრო პროზაული და უხეში სინამდვილე იყო. ეს ამბავი მეთხუთმეტე საუკუნეში რომ არ მომხდარიყო, მაშინ ვიტყოდით, გრენგუარი მიქელ-ანჯელოდან² კალომდე³ დაეშეოა.

დიდი კოცონის ირგვლივ, რომელიც ფართო მრგვალ ფილაზე გზგინებდა და მისი ალი გარს უვლიდა იმ წუთს ცარიელ, უქმად მდგარი ზედადგარის წითლად გავარვარებულ ფეხებს, ანდეზე აქეთ-იქით მიედგათ რამდენიმე ჭიანჭამი მაგიდა, ისე მოუფიქრებლად, რომ ცხადია მათ დადგმაში სულ მცირე მონაწილეობაც კი არ მიუღია გამოცდილ ლაქიას, თორემ იგი იზარუნებდა, რომ პარალელურად დაელაგებინათ, ანდა ასე უჩვეულოდ მაინც არ იქნებოდა ერთმანეთზე მიბჯენილი მეტისმეტად მახვილი კუთხით. მაკადებზე ბზინავდა ღვინითა და ლუდით ამოზუნწლული ხელადები, ხოლო ამ ხელადების ირგვლივ შემოკრებილიყო ცეცხლისა და ღვინისაგან წითლად დაყინედილებული უამრავი მთვრალი სახეები. აქ ვილაც ღიპიანი, მხიარული სახის კაცი ღოშნიდა ერთ დაჯირჯ-

ვებულის სახის ჩათქვირებულ მეძავე დედაკაცს; იქ ვილაყ თვითმარქვია თაღლითი ჯარისკაცი, ერთი ანგალი შაყირო ვინმე, როგორც არგოს (ქურდების) ენაზე იტყვიან, უსტკენდა და თან არტახებს იხსნიდა ცრუ ჭრილობებიდან, იზელდა ჯანმრთელ და ღონიერ მუხლს, რომელიც დილას აქეთ შეხვეული ჰქონდა ათასი ბანდებით. ვილაყ მკლე კაცი კი, პირიქით, ქრისტესისხლას მცენარისა და ხარის სისხლისაგან ხვალისათვის იმზადებდა „ქრისტე ღმერთის იარებს“ ფეხზე. ორი მაგიდის იქით, მწირის ტანსაცმლით შემოსილი მათხოვარი, მუზმუზელა ფარისეველი, ჩათვლით კითხულობდა და ერთკილოზე ბუტბუტებდა ღვთისმშობლის გოდებას. სხვაგან ახალბედა ხამი ჭაბუკი ბნედის გაკვეთილებს იღებდა ბებერი მათხოვარისგან, რომელიც ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გამოეწვია ღუჯი პირზე საპნის ღეპვით: იქვე, გვერდით წყალმანკით დაავადებული ცრუ ჯირჯევებს იცილებდა, რის გამოც ცხვირზე ხელს იჭერდა იმავე მაგიდასთან მჯდომი ოთხი თუ ხუთი ქურდი ქალი, რომლებსაც ჩხუბი და შეცილება ჰქონდათ იმ საღამოს მოტაცებული ბავშვის გამო.

როგორც სოვალი ამბობს, ყველა ეს გარემოება ორი საუკუნით გვიან „იმდენად სასაცილოდ მიაჩნდათ მეფის კარზე, რომ იგი მეფის გასართობად და ღროს გასატარებლად გამოიყენეს სამეფო ბალეტის „დამის“ შესაჯალში; ეს ბალეტი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა და პტი-ბურბონის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს“. „არასოდეს, — დაურთავს 1653 წელს თავისი თვალთ მნახველი მოწმე: — სასწაულებათა ეზოს უეცარი მეტამორფოზები არ ყოფილა ასე მარჯვედ წარმოდგენილი. ბენსერადმა! თავისი საკმაოდ შნოიანი და ლამაზი ლექსებით მოგვამზადა ამ წარმოდგენისათვის“.

ყველგან ისმოდა ბრიყვეული სიცილ-ხარხარი და უხამსი სიმღერები. თვითთული თავისას გაიძახოდა, თავისკენ ეწეოდა, თან კიცხავდა, კილაედა, იგინებოდა, მეზობელს ყურს არ უგდებდა. ერთმანეთს ხელადებს უჯახუნებდნენ. ამ ხელადების ჯახა-ჯუხში ჩხუბი იფეთქებდა ხოლმე. დამსწრეული სურებით ერთმანეთს ძონძებს აფხრეწდნენ. იქვე კუდამოძუებული დიდი ძაღლი ჩაცუტქულიყო და ცეცხლს უყურებდა. რამდენიმე ბავშვიც ერია ამ აღვირახსნილ ღრეობაში. მოტაცებული ბავშვი ტიროდა და ღრიალებდა. მეორე, ოთხი წლის ბუთხუზა ბიჭი, რომელსაც მაგიდა ნიკაპამდე სწვდებოდა, მაღალ სკამზე იჯდა ფეხებჩამოკიდებული და ხმას არ იღებდა. მესამე გულმოდგინედ აგლესდა თითით მაგიდაზე სანთლიდან ჩამოღვენთილ გამდნარ ქონს. დაბოლოს, უკანასკნელი პაწია ბავშვი ტალახში ჩაცუტქულიყო, თითქმის ქვაბში ჩამძვრალიყო,

რომელსაც კრამიტის ნატეხით ფხეკდა და ისეთ ბგერებს გამოაღებინებდა, რომ სტრადივარიუსს¹ გული შეუწუხდებოდა.

ცეცხლის ახლოს კასრი იდგა. კასრზე ერთი მათხოვარი წამომჯდარიყო. სწორედ ეს გახლდათ თავის ტახტზე გამოკიშული მეფე.

სამმა მათხოვარმა, რომელთაც გრენგუარი ეპირათ, იგი კასრთან მიათრიეს, ერთი წუთით ღრეობა მიწყნარდა, მხოლოდ ის ბავშვი არ ეშვებოდა ქეაბს.

გრენგუარი სუნთქვას ვერ ბედავდა, კრინტს ვერ ძრავდა, თავი მალლა ვერ აეწია.

— *Hombre, quita tu sombrero!** — უთხრა ერთ-ერთმა იმ სამ ავართავანმა, რომელთაც ის ეპირათ; და სანამ გრენგუარი მოასწრებდა გაეგო, თუ რას ნიშნავდა მისი ნათქვამი, ვილაცამ ქუდი მოხადა. ეს ქუდი, მართალია, ერთი საცოდავი რამ იყო, მაგრამ ჯერ კიდევ გამოადგებოდა მზიანსა თუ ავდრიან ღღეს. გრენგუარმა ამოიოხრა.

ამასობაში მეფემ თავისი კასრის „მედიდური სიმადლიდან“ სიტყვით მიმართა:

— ეს გაიძვერა ვინლა არის?

გრენგუარი შეკრთა. მეფის ხმამ, თუმცა მუქარით იყო წარმოთქმული, მოაგონა მეორე ხმა, რომელმაც ამ დილას პირველი ლახვარი ჩასცა მის მისტერიას, როცა მსმენელთა შორის დუდღუნით წამოიწყო: *La charité, s'il vous plaît!* (გაიღეთ მოწყალება, ღვთის გულისათვის). პოეტმა თავი ასწია. მის წინ ნამდვილად კლოპენ ტრუილფუ იყო.

თუმცა კლოპენ ტრუილფუ მეფური წარჩინების ნიშნებით იყო აღკურვილი, მას მაინც ისევ ის კონკეები ფარავდა. იარა მკლავზე უკვე გამქრალიყო. ხელში ხამი ტყავის ღვედებისაგან დაწნული მათრახი ეპირა, რომელსაც მაშინ პოლიციის სერჟანტები იყენებდნენ წესრიგის დასამყარებლად და რომელსაც საგველს ეძახდნენ. თავზე რაღაც უცნაური მრგვალი, ზოლებიანი და მალლა შეკრული საბურავი ეხურა. ვერ გაარჩევდით, ბავშვის ქუდი იყო, თუ მეფის გვირგვინი, იმდენად ჰგავდა ეს ორი რამ ერთიმეორეს.

გრენგუარს, თვითონაც არ იცოდა რატომ, იმედი მიეცა, როდესაც სასწაულებათა კარის მეფეში ის წყეული მათხოვარი შეიცნო, დიდ დარბაზში რომ ნახა.

— მეტრ — წაილულულა მან, — მონსენიორ... თქვენო დიდებულებავ... სირ!.. მიბრძანეთ, როგორ მოგმართოთ? — თქვა მან

* კაცო, ქუდი მოხადე! (ესპ.).

ბოლოს, რადგან საპატიო წოდებათა უმაღლეს ხარისხს მიაღწია და აღარ იცოდა არც ის, თუ როგორ ასულიყო კიდევ უფრო ზევით, და არც ის, როგორ დაშვებულყო ქვევით.

— როგორც გენებოს, ისე მომმართე: მონსენიორ, თქვენო დიდებულებავ, გინდა ამხანაგო. ოღონდ ნუ ლულულებ, მოკლედ მოსკერი. რა გაქვს სათქმელი თავდასაცავად?

„თავდასაცავად! — გაიფიქრა გრენგუარმა. — მაშ ცუდად არის ჩემი საქმე!“ — და ენის ბორძიკით, გასცა პასუხი: — მე ის გახლავართ, დილას რომ...

— ვფიცავ ეშმაკის ბრჭყალებს! — გააწყვეტინა კლოპენმა, — თქვი შენი სახელი, არამზადავ, მეტი არაფერი! ყური მიგდე. შენ იმყოფები სამი ძლიერი ხელმწიფის წინაშე: ჩემს წინაშე, კლოპენ ტრუილფუსს, თუნის * მეფის, დიდი კეისრის მემკვიდრის, არგოს სამეფოს უზენაესი მბრძანებლის წინაშე; მათიას ჰუნიადი სპიკალის, მეგვიტელთა და ბოშათა პერცოგის წინაშე, — აი იმ პირყვითელა ბებრისა, ხედავ, თავი რომ ჩვრით წაუკრავს; გილიომ რუსოს, გალილეას იმპერატორის წინაშე. — იმ სქელუასი, ყურს რომ არ გვიგდებს და ვილაყ კახპას ეალერსება. ჩვენ შენი მსაჯულები ვართ. შენ ფეხი შემოდგი არგოს სამეფოში, მაშინ როცა არა ხარ არგოელი. შენ შელახე საგანგებო უფლებანი ჩვენი ქალაქისა. შენ დაისჯები, თუ არა ხარ თაღლითი, ნაჭურდალის დამმალავი ან სახლკარდამწვარი, ესე იგი ამ პატიოსანი ხალხის კილოზე რომ ვთქვათ, თუ არა ხარ ქურდი, მათხოვარი ან მაწანწალა. მაშ, ვინ ხარ ან რა ხარ? იმართლე თავი! დაგვისახელე წოდება შენი.

— ვაი, რომ არა მაქვს ეგ პატავი! — თქვა გრენგუარმა. — მე აეტორი ვარ..

— კმარა, — მოუქრა ტრუილფუმ, თქმა აღარ აცალა, — შენ ჩამოგახრჩობთ. ეს სულ უბრალო რამ არის, ბატონო პატიოსანო მოქალაქენო! როგორც თქვენ ეპყრობით ჩვენებს, როცა ხელში ჩაგივარდებათ, ჩვენც ისე ვეპყრობით თქვენებს, როცა ჩვენთან ამოპყოფენ თავს. კანონს, რომელსაც თქვენ იყენებთ მაწანწალების მიმართ, მაწანწალები იყენებენ თქვენს მიმართ. თქვენი ბრალია, თუ ის ასე მკაცრია. ხანდახან ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს საშუალება შევხედოთ, როგორ იმანქება პატიოსანი კაცი, როცა თავს კანაფის ფარღულში აყოფინებენ. ამით სახრჩობელას დარბაისლური იერი ეძლევა. აბა, მეგობარო, გაინძერი, მკვირცხლად დაურიგე ეგ ძონძები ამ ქალიშვილებს. მე ვუბრძანებ ჩამოგვიღონ

* Thuno (tu — no) (არგო) — ვერცხლის ფული, ზუფრანკიანი.

მაწანწალებს გასართობად, შენ კი შენი ქისა შესწირე, რომ ბიჭებმა შენი შესანდობარი დალიონ. თუ გინდა იფარისეველო, იქ. ქვევით. ხარახურაში გდია შესანიშნავი ქვის მამა-ღმერთი, რომელიც სენ-პიერ-ო ბეფიდან მოვიპარეთ. ოთხი წუთი გეძლევა იმისათვის, რომ შენი სული მას მიუგდო.

საზარელი იყო ეს ტუქსვა.

— კარგად თქვა, სულსა ვფიცავ! კლოპენ ტრუილფუ წმინდა პაპივით ქადაგებს! — იყვითა გალილუას ხელმწიფემ და თავისი ხელადა გატეხა. რომ მაგიდის ფეხისთვის ნატეხი შეედგა.

— ყოვლადმოწყალეო ხელმწიფენო და მეფენო, — თქვა გრენგუარმა გულგრილად (რადგან, არ ვიცო, როგორ დაუბრუნდა სიმტკიცე. რომ ასე გაბედულად ლაპარაკობდა), — გონს მოდიო, რატომ არ ფიქრობთ, ვინა ვარ მე? მე პიერ გრენგუარი მქვია, პოეტი ვარ, ავტორი იმ მორალ-ტესი, დღეს დღით რომ წარმოადგინეს სასახლის დიდ დარბაზში.

— აჰ, მაშ ეს შენა ხარ, მეტრ! — თქვა კლოპენმა. — მეც იქ გახლდით. ღმერთმანი! ჰოდა, მერე რაო, ამხანაგო, აქაო და დღით თავი მოგვაბეზრე. განა ეს საბუთს გვაძლევს, საღამოს სახარხობელაზე არ ჩამოგვიდოთ?

„ძალიან გამიძნელებდა აქედან თავის დაღწევა“, — გაიფიქრა გრენგუარმა. მაინც ერთხელ კიდევ სცადა.

— ვერ გამიგია, — თქვა მან, — რატომ არ არიან შეყვანილი პოეტები მაწანწალების რიცხვში. ეზოპი¹ მაწანწალა იყო, პომპროსი — მათხოვარი, მერკურიუსი² — ქურდი...

კლოპენმა შეაწყვეტინა:

— მე მგონია, შენ აქ თვალებს გვიხვევ შენი აბდაუბლით! ეშმაკმა დაგლახვროს! მოიტა, ჩამოგვახარხობინე თავი, ნუ იპრანჭები, გეყოფა თავპატივი.

— მაპატიეთ, ყოვლად მოწყალეო მეფეე თუნისა, — შეეპასუხა გრენგუარი. იგი მედგრად იცავდა თვითეულ გოჯს. — ერთი წუთით... გმართებთ... მომისმინოთ... ისე ხომ ვერ დამდებთ მსჯავრს, რომ არ მომისმინოთ?..

მაგრამ მისი საცოდავი ხმა დაფარა ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა. პატარა ბიჭმა კიდევ უფრო მეტი გატაცებით დაიწყო თავისი ქვების ფხეკა; ამას ისიც დაერთო, რომ ვილაც დედაბერმა გავარვარებულ ზედადგარზე ქონით სავსე ტათა შედგა. ეს ქონი ისე შიშხინებდა და ტკაცუნობდა ცეცხლზე, თითქოს ბავშვთა გუნდი დასდევსო ჟივილ-ხევილით საკარნავალო ნიღაბს.

ამასობაში კლოპენ ტრუილფუმ, ასე ჩანდა, თითქოს ერთ წაშს

მოითათბირა მეგვიპტელთა ჰერცოგთან და გალილეას მთლად გაღმეილ ხელმწიფესთან. მერმე მქექარე ხმით იყვირა:

— სიჩუმე!

რადგან არც ქვაბი და არც ტაფა ყურს არ უგდებდა მას და მაინც განაგრძობდნენ თავიანთ ღუეტს, იგი თავისი კასრიდან ჩამობტა, ერთი წიხლი ქვაბს უთავაზა და ბავშვიანად ათ ნაბიჯზე გააგორა, მეორე ტაფას ამოჰკრა და მოაპირქვეავა, ასე რომ მთელი ქონი ცეცხლში ჩაიქცა; თვითონ კი შედიდურად ისევ თავის ტანტზე აბრძანდა და აინუნშიაც არ ჩაუგდია არც ბავშვის ყრუ ქეითინი, არც ბუზღუნნი ღედაბრისა, რომლის ვახშამი მშვენიერ თეთრ ალში გიზგიზებდა.

ტრუილფუმ ნიშანი მისცა; ჰერცოგი, იმპერატორი, თაღლითები და ქურდბაცაცები რკალისებურად გარს შემოერტყნენ და შუაში მოიმწყვდიეს გრენგუარი, რომელიც მუღმივად შეპყრობილი ჰყავდათ. ეს ნახევარწრე შედგებოდა ძონძების, ზიზილ-პიპილა ჯღანების, ორკაპების, ცულების, მოზარბაცე ფეხების, მსხვილი ღონიერი მკლავებისა და ბილწი, ტურტლიანი, გაოგნებული და გამოყუყუჩებული სახეებისაგან. ღატაკთა და მათხოვართა ამ მრგვალი მაგიდის შუაში სენატის დოჯივით, ჰერობის მეფესავით, კონკლავის პაპივით, ალზევებულყო კლოპენ ტრუილფუ. ჯერ ერთი, თავისი კასრის სიმაღლის წყალობით, მერმე რაღაც შედიდური, მძინეარე და საზარელი იერის გამო, რაც ელვარებას აძლევდა მის თვალსა და მის ველურ გამოხედვაში მაწანწალების მოდგმის მხეცურ თვისებებს არბილებდა. როგორც იტყვიან, იგი ტახის თავი იყო ღორის ღინგთა შორის.

— ყური მიგდე, — უთხრა მან გრენგუარს და დაყოყრებული ხელი მახინჯ ნიკაპზე მოისევა; — მე ვერ ვხედავ იმის საბუთს. თუ რატომ არ უნდა ჩამოგკიდოთ სახრჩობელაზე. მართალია, ეს შენ, როგორც ჩანს, ზიზლსა გგვრის, თავისთავად ცხადია, თქვენ, მოქალაქენი, ამას მიჩვეული არა ხართ დავინ იცის, რა არა გგონიათ იგი. თუმცა, ჩვენ შენთვის ავი როდი გვინდა. ამ წუთს საშუალება გეძლევა თავი დაიძვინო განსაცდელისაგან. გინდა ჩვენს მხარეზე გადმოხვიდე, ჩვენი გახდე?

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა გავლენას მოახდენდა ეს წინადადება გრენგუარზე, რომელმაც უკვე იმედი დაკარგა, რომ სიცოცხლეს შეინარჩუნებდა და იარალის დაყრასაც კი აპირებდა. იგი ენერგიულად ჩაებლაუჰა ამ წინადადებას.

— ცხადია, მინდა, დიდი სიამოვნებით! — შესძახა მან.

— თანახმა ხარ გაერიო მოკლე ორღესულების მარაქაში? — ჰკითხა კლოპენმა.

— სწორედ მოკლე ორლესულების მარაქაში. — უპასუხა გრენგუარმა.

— აღიარებ თავს თავისუფალ მოქალაქეთა თემის წევრად? — განაგრძო თუნის მეფემ.

— დიახ, თავს ვცნობ თავისუფალ მოქალაქეთა თემის წევრად.

— არგოს სამეფოს ქვეშევრდომად?

— დიახ, არგოს სამეფოს ქვეშევრდომად.

— მაწანწალად?

— მაწანწალად.

— სულითა და გულით?

— სულითა და გულით.

— მაგრამ გაფრთხილებ, — შენიშნა მეფემ. — ბოლოს მაინც ჩამოგახრჩობენ.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა პოეტმა.

— ოღონდ, — განაგრძო კლოპენმა აღუშფოთველად, — ჩამოგახრჩობენ უფრო გვიან, დიდი ზეიმით, სახელოვან ქალაქ პარიზის ხარჯზე, ქვის მშვენიერ სახრჩობელაზე, და ჩამოგახრჩობენ პატიოსანი აღამიანები. კარგი ნუგეშია.

— როგორც თქვენ გვიბრძანებთ, — უპასუხა გრენგუარმა.

— შენ სხვა ხეირიც გექნება. როგორც თავისუფალი მოქალაქე, არ გადაიხდი არც ნაგვისა და არც სინათლის გადასახადს, არც ღარიბ-ღატაკთა საქველმოქმედოს, რაც პარიზის ყოველ მოქალაქეს ევალება.

— დაე აგრე იყოს! — უთხრა პოეტმა, — თანახმა ვარ. მე

მაწანწალა ვარ, არგოელი, თავისუფალი მოქალაქე, პატარა ორლესული ხანჯალი, ყველაფერი, რასაც კი თქვენ ინებებთ. უწინაც ეს ვიყავი, ყველაფერი, რაც აქ ითქვა, თქვენო დიდებულებაჲ, მეფეჲ თუნისა, რამეთუ მე ვარ ფილოსოფოსი; *et omnia in philosophia, omnes in philosopho continentur**, როგორც უწყით.

თუნის მეფემ წარბი შეიკრა.

— ვინა გგონივარ, მეგობარო, უნგრეთის ურიების არგოთი რომ გვექიკვიკები? მე ებრაული არ ვიცი. იმისათვის რომ ავაზაკი გახდე, საჭირო არ არის, ურია იყო. მე აღარც კი ვიპარავ, მე ამაზე მადლა ვდგევარ, — მე ვკლავ. ყელის გამოჭრა — ჰო, ეს მესმის, ქისის მოჭრა — არა.

გრენგუარი ცდილობდა რამდენიმე საბოლიშო სიტყვა ჩაერთო

* ყველაფერი ფილოსოფიაშია, და ყოველი, ვინც ფილოსოფოსობს, ყველაფერს მოიცავს (ლათ.).

ამ მოკლედ ნათქვამი სიტყვების ნიაღვარში. რაც უფრო ბრაზდებოდა კლოპენ ტრუილფუ. მით უფრო სწრაფად და მკვეთრად წარმოთქვამდა იგი ამ სიტყვებს.

— პატიებას გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევი! ეს ებრაული კი არა, ლათინურია.

— გუებნები, ურია არა ვარ-მეთქი! — გაცხარებით უთხრა კლოპენმა, — ვუბრძანებ ჩამოგახრჩონ, შე სინაგოგის ნაშიერო! ისევე როგორც აი ის პატარა ურია ვაპრუკანა. შენს გვერდით რომ დგას, რომელსაც, იმედია; მალე ენახავ ერთ დღეს ყალბი ფულივით დახლზე მილურსმულს.

ამას რომ ამბობდა, თითს აშეერდა პატარა წვეროსანი უნგრელი ებრაელისაკენ, რომელმაც გრენგუარს თავი მოაბეზრა თავისი „faciote caritatem“-ით*, და რომელსაც არც ერთი სხვა ენა არ ესმოდა; იგი განცვიფრებით უცქერდა თუნის მეფის ავგუნებიანობას, ვერ გაეგო, რითი გამოიწვია მისი რისხვა.

ბოლოს, მისი დიდებულება კლოპენი დამშვიდდა.

— გაიძვერავე, — მიმართა მან ჩვენს პოეტს, — მაშ შენ გინდა მაწანწალა იყო?

— უეჭველად, — უპასუხა პოეტმა.

— სურვილი ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, — უთხრა ბუზლუნით კლოპენმა, — კარგი სურვილებით შექამადს ვერ შეაზავებ, კეთილი სურვილებით სამოთხეში თუ ამოკოფ თავს. მაგრამ სამოთხე სხვაა, არგო სხვა. არგოელი რომ გახდე, უნდა დაამტკიცო, რომ რალაცაში ვარგინარ, აბა, ერთი ამჯერად ეგ ფიტული მოჩხრიკე.

— გავჩხრეკავ ყველას. ვისაც თქვენ ინებებთ, — უთხრა გრენგუარმა.

კლოპენმა ნიშანი მისცა. რამდენიმე არგოელი წრეს გამოეყო და ერთი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. მათ მოათრიეს ორი ბოძი, რომელთა ქვემოთ ბოლოები დამაგრებული იყო ბრტყელი ბოძკინტებით, რათა უფრო მტკიცედ მდგარიყო მიწაზე. ამ ორი ბოძის ზემო ბოლოებზე გადებული იყო განივი ძელი. მთლიანად იგი აღვილად გადასატან-გადმოსატან მშვენიერ სახრჩობელას წარმოადგენდა. გრენგუარს წილად ხვდა ბედნიერება ენახა. როგორ აღიმართა იგი მის წინაშე თვალის დახამხამებაში. არაფერი აკლდა მას, თვით თოკიც კი, ასე კოხტად რომ ქანაობდა გარდიგარდმო გადებულ ძელს ქვეშ.

„ნეტავი, რა აქვთ განზრახული? რას აპირებენ?“ — ეკითხებო-

* გაილეთ მოწყალეობა, სიკეთე სქემით (ლათ.).

და თავის თავს გრენგუარი ერთგვარი შემოფოთებით. იმ წეთს გასმა ეყვანებას ქლარუნი და მის შემოფოთებას ბოლო მოელო. ქლარუნებდა ფიტული, რომელიც მაწანწალებს კისრით ჩამოეკიდათ თოკზე და ჩიტების საფრთხობელას ჰგავდა, წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი; იმდენი ქლარუნა ეყვანი და ზანზალაკი ეკიდა ამ ფიტულს, რომ კასტილიის ოცდაათ ჯორს მოსართავად ეყოფოდა. ერთ ხანს ეს ათასი ზანზალაკი ქლარუნებდა, სანამ თოკი ირხეოდა, შემდეგ ნელ-ნელა იწყეს დაღუმება, ბოლოს სულ ჩაჩუმდნენ, როდესაც ფიტული უძრავ მდგომარეობას დაუბრუნდა თანახმად ქანქარას კანონისა, ქანქარისა, რომელმაც განდევნა წყლისა და ქვიშის საათი.

მაშინ კლოპენმა გრენგუარს მიუთითა ძველ, დანჯღრეულ სკამზე, რომელიც ფიტულს ქვეშ იდგა.

— შედექი მაგაზე!

— ეშმაკსაც წაუღია, — მიუგო გრენგუარმა, — მე აქ კისერს მოვიტეხ. თქვენი სკამი მარციალის¹ ორტაეპიანი ლექსივით კოკლდა, ერთი ფეხის ზომა ჰეგზამეტრია, მეორესი — პენტამეტრი.

— აღი-მეთქი! — გაუმეორა კლოპენმა.

გრენგუარი სკამზე ავიდა, თავსა და ხელებს იქით-აქეთ იქნევდა, როგორც იქნა მიადწია წონასწორობას და იპოვა თავისი სიმძიმის ცენტრი.

— ახლა, — განაგრძო თუნის მეფემ, — მარჯვენა ფეხი გადააჭდე შენს მარცხენა ფეხს და აიძარტე მარცხენა ფეხის ცერზე.

— თქვენო დიდებულებავ, — უთხრა გრენგუარმა, — თქვენ უთუოდ გწადიათ, რამე დავიშავო?

კლოპენმა თავი გააქნია.

— მისმინე, მეგობარო, შენ ძალიან ბევრს ლაპარაკობ. ორი სიტყვიტ გეტყვი, რას ეხება საქმე. უნდა აღიძარტო ფეხის ცერზე, როგორც გითხარი, ამ სახით მისწვდე ფიტულის ჯიბეს, მოჩხრიკო და ამოიღო ქისა, შიგ რომ დევს. თუ ყოველივე ამას ისე გააკეთებ, რომ ერთი ზანზალაკის ქლერასაც ვერაფერს გაიგებს, ხომ კარგი; შენ მაწანწალა გახდები. მაშინ ისლა დაგვრჩენია რვა ღღეს ლაზათიანად გცემოთ.

— ღმერთო შემინწყალე! ფრთხილად უნდა ვიყო, — თქვა გრენგუარმა; — მაგრამ თუ ავამღერე ეს ზანზალაკები?

— ჩამოგახრჩობთ. გაიგე?

— ვერაფერიც ვერ გავიგე, — უპასუხა გრენგუარმა.

— მაშ, ერთხელ კიდევ დამიგდე ყური. შენ გაჩხრეკავ ამ ფი-

ტულს და ქისას ამოაცლი. ამ დროს ერთი ზანზალაკიც რომ შეტოკედეს, სახრჩობელაზე ჩამოგვიდებთ. ახლა გაიგე?

— კეთილი, — უთხრა გრენგუარმა, — ახლა გავიგე. მერე?

— თუ მოახერხებ ისე ამოაცალო ქისა, რომ ერთი ევენის ჟღარუნსაც კი ვერაფერს გაიგებს, მაშინ-მაშინწალა ხარ და რვა დღეს ზედზედ გცემთ. ახლა უთუოდ გაიგე?

— ვერა, თქვენო დიდებულებავ: ისევე ვერაფერი გავიგე, ჩემთვის რა ხეირია, თუ ერა შემოხვევაში ჩამომახრჩობთ, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმტყეპავთ?

— ის ხეირია, რომ მაწანწალა გახდები, — უპასუხა კლოპენმა, — მაწანწალა, შენი აზრით, არაფერია? ცემითაც შენს სასარგებლოდ გცემთ, რათა ცემაში გამოგაწროთ.

— დიდ მადლობას მოგასხენებთ, — მიუგო პოეტმა.

— აბა, ჩქარა, დაიწყეთ! — შეუძახა მეფემ და ფეხი დაარტყა თავის კასრს, რომელიც უშველებელი დოლივით აგუგუნდა.

— მოჩხრიკე ფიტული და გაათავე. უკანასკნელად გაფრთხილებ; ერთი ეღარუნიც რომ გავიგონო, ფიტულის მაგიერ შენ ჩამოგვიდებენ.

არგოელთა ბანდამ ტაში დაჰკრა კლოპენის სიტყვებზე და სახრჩობელას გარს შემოერტყა, თან ისე შეუბრალებლად ხარხარებდა, რომ გრენგუარი მიხვდა, ის მათთვის მხოლოდ თავშესაქცევ საგანს წარმოადგენდა და მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ასე რომ ყოველგვარი სასო წარეკეთა, თუ არად ჩავაგდებთ მცირე იმედს, რომელიც მის გულში კიდევ დამლამებდა, ვინ იცის, იქნებ როგორმე გაემარჯვა ამ საშინელ და თავს ძალით მოხვეულ ოპერაციაში. გადაწყვიტა ბედი ეცადა, მაგრამ თავდაპირველად გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით მიმართა გასაძარცვ ფიტულს. რადგან მას უფრო ადვილად მოუღებოდა კაცი გულს, ვიდრე მაწანწალებს. ეს მირიადი ზანზალაკები თავიანთი სპილენძის პაწია ენებით ხანადაღებულ ასპიდებად ეჩვენა, რომლებიც დაკბენასა და სისინს ეღირებოდნენ.

— ოჰ ღმერთო ჩემო! — თქვა დაბალი ხმით, — ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩემი სიცოცხლე ამ პაწია ზანზალაკების სულ მცირე შერხვევაზე იყოს დამოკიდებული? ოჰ! — ვედრებით გადააჰდო ხელი ხელს და დაუმატა: — ევენებო, ნუ აეღარუნდებით, ზანზალაკებო, ნუ აწყრილდებით!“

ერთხელ კიდევ სცადა გავლენა მოეხდინა ტრუილფუზე:

— მოულოდნელად ქარმა რომ წამოუბეროს? — ჰკითხა მან.

— მაინც ჩამოგახრჩობთ, — უპასუხა კლოპენმა უყოყმანოდ.

როცა დაინახა, რომ აღარც სულის მოთქმის, აღარც ვადის გადადების და არც თავის დაძვრენის საშუალება არ ჰქონდა, გრენგუარი ვაჟკაცურად დაემორჩილა თავის ხვედრს. მარჯვენა ფეხი მარცხენას გადააქდო, მარცხენა ფეხის წვერზე აღიმართა და მკლავი გაშალა. მაგრამ როგორც კი ფიტულს შეეხო, ცალ ფეხზე შემდგარი სხეული სამფეხა სკამზე შეტორტმანდა; თავშესაჯავებლად უნებურად მოინდომა ფიტულისათვის ჩაეელო ხელი, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფიტულზე დაკიდებულ ათასი ზანზალაკის საბედისწერო ძღერით გაყრუებული მიწაზე მძიმედ დაეცა. ხელისკერის გამო ფიტული ჯერ ყირამალა დატრიალდა, შემდეგ კი ორ ბოძს შორის მედიდურად დაიწყო ქანაობა.

— წყეულიმც იყავ! — წამოიყვირა გრენგუარმა, როცა ვარდებოდა, და მკვდარივით იმავე ადგილზე დარჩა, მიწაზე პირქვე დამხობილი.

ამ დროს კი მის თავზე გაისმოდა ზანზალაკების საზარელი წყარუნი, მაწანწალების ჯოჯოხეთური ხარხარი და ტრუილფუს ხმა:

— წამოაყენეთ ეგ ავარა და ფიცხლავ ჩამოჰკიდეთ!

გრენგუარი წამოდგა. ფიტული უკვე ჩამოეხსნათ, რათა მისთვის ადგილი დაეთმოთ.

არგოლებმა იგი სკამზე აიყენანს. კლოპენი მასთან მივიდა, კისერზე თოკი გადააცვა და მხარზე ხელი დაარტყა:

— მშვიდობით, მეგობარო! ახლა კი ველარ დაიძვრენ თავს, თუნდაც შენი კუქ-ნაწლავი თვით პაპის ნაწლავებივით ინელებდეს. სიტყვა „შემინდეთ“ გრენგუარს ბაგეებზე შეეყინა. ირგვლივ თვალი მოავლო. მაგრამ არავითარი იმედი, — ყველა ხარხარებდა.

— ბელვინ დე ლეტუალ, — უთხრა თუნის მეფემ ერთ უზარმაზარ მაწანწალას, რომელიც მწკრივს გამოეყო და წინ წამოდგა, — აუოცდი ძელზე!

ბელვინ დე ლეტუალი განივ გადებულ ძელზე მკვირცხლად ავიდა; გრენგუარმა მყისვე თვალები მალლა აღაპყრო და შეშინებულმა გარდიგარდმო გადებულ ძელზე, ზედ მის თავზე ჩაუცქეპებული დაინახა.

— ახლა, — განაგრძო კლოპენ ტრუილფუმ, — შენ, ანდრიწითურავ, როგორც კი ტაშს შემოვკრავ, მუხლს ჰკრავ და ფეხქვეშ სკამს გამოაცლი; ფრანსუა შანტ-პრიუნ, შენ ფეხებზე ჩამოეკიდები ამ არამზადას; შენ კი, ბელვინ, მხრებზე შეახტები; სამივე ერთად, უცბად. გაიგეთ?

გრენგუარს შეაყრუოლა. .

— მიხვდით? — ჰკითხა კლოპენ ტრუილფუმ სამ არგოელს, რომლებიც მზად იყვნენ სძვერებოდნენ გრენგუარს როგორც სამი ობობა ბუზს. საბრალო მსხვერპლმა საშინელი მოლოდინის წუთი განიცადა, კლოპენი კი ფეხის წვერით მშვიდად უბიძგებდა ცეცხლში ვაზის რამდენიმე წალამს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოსდებოდა ალი. — გაიგეთ? — გაიმეორა მან და ხელები გაშალა ტაშის შემოსაკვრელად. წამიცი-და ყველაფერი გათავდებოდა.

მაგრამ უეტრად კლოპენი შეჩერდა, თითქოს რაღაც მოულოდნელმა აზრმა გაუელვა თავში.

— ერთ წამს! — თქვა მან, — ცინლამ დამავიწყდა! ჩვენში ასეთი ადამიანი, კაცს არ ჩამოეახრჩობთ, თუ არ ვიკითხეთ, იქნებ გამოჩნდეს ქალი, რომელიც ქმრად წაყვანას მოისურვებს. აბა, ამხანაგო, ეს შენი უკანასკნელი საშუალებაა. აირჩიე, ან მაწანწალა ქალი უნდა შეირთო ან თოკი.

ბოშათა ეს კანონი, რაც უნდა უცნაური ეგონოს მკითხველს, დღესაც ვრცლად წერია ძველ ინგლისურ კანონმდებლობაში. იხილეთ ბერინგტონის „შენიშვნები“.

გრენგუარმა ამოისუნთქა. ამ ნახევარ საათში მეორედ დაუბრუნდა ცხოვრებას, თუმცა ძალიანაც ვერ ენდობოდა ამ ხვედრს.

— თქვენ, ჰეი! — იყვირა კლოპენმა და ისევ თავის კასრზე აბობლდა, — თქვენ, ჰეი, დიაცებო, თუ არის თქვენს შორის ვინმე, გინდ კუდიანი იყოს, გინდ მისი კატა, მაწანწალა ქალი, ამ არამზადას რომ ინდომებდეს? შენ ჰეი, კოლეტ ლა შარონ! ელიზაბეტ ტრუვენ! სიმონა ყოდუინ! მარი ფეხკოტიტა! ტონი აყლაყუდა! ბერარდ ფანუელ! მიშელა ენაილ! კლოდ ყურიმღრღნელო! მათურინ ყირორუ! ჰეი, ისაბო ლა ტიერი! მოდით და შეხედეთ! კაცი მუქთად! ვის უნდა?

ამ უბადრუკ მდგომარეობაში გრენგუარი, უეჭველად, ვერაფერი მადის აღმძვრელი იყო. მაწანწალა ქალები გულგრილად შეხვდნენ წინადადებას. უბედურმა გაიგონა, როგორ უპასუხეს მათ: „არა! არა! ჩამოახრჩეთ, მაშინ ყველა ვისიამოვნებთ“.

სამი ქალი მაინც გამოეყო ბრბოს და მასთან მივიდა კბილის გასასინჯად. პირველი ზორზოხა, ერთი სქელუა დედაკაცი იყო; ოთხკუთხა სახე ჰქონდა. მან ყურადღებით დაათვალიერა ფილოსოფოსის საცოდავი ქურთუკი. ტილოს ხალათი გაცვეთილი იყო და უფრო მეტი ნახვრეტები ჰქონდა, ვიდრე წაბლის მოსახალ ტაფას. ქალი დაიმანჭა.

— ძველი ძონძია! — ჩაიბუზღუნა მან და გრენგუარს მიმართა: — მაჩვენე შენი ლაბადა.

— დავკარგე. — უთხრა გრენგუარმა.

— შენი ქუდი?

— მომტაცეს.

— შენი ფეხსაცმელი?

— ლანჩა ვარდება.

— ქისა?

— ვაი რომ ერთი პარიზული დინარიც არ მბადლია, — წაილულ-ლულა გრენგუარმა.

— მაშ, სთხოვე ჩამოგახჩონ და მადლობაც უთხარი! — მიახალა მიწანწალამ და ზურგი შეუბრუნა.

მეორემ, ბებერმა, შავმა, სახენაოჭიანმა, საზიზღარმა და იმდენად უშნომ, რომ თვით სასწაულებათა ეზოშიაც კი ლაქასავით გამოირჩეოდა, ერთხანს გარს უტრიალა გრენგუარს. საბრალოს კინაღამ გააუჩქოლა, ვაითუ ამან ამიყვანოსო. მაგრამ დედაბერმა წაიღუდღუნა:

— ნამეტანი მქლეაო! — და გაშორდა.

მესამე ახალგაზრდა ქალი იყო, საკმაოდ ქორფა და არც ეგრე უღაზათო. „მიშველეთ, გადამარჩინეთ!“, — წასჩურჩულა საბრალომ. ქალმა ერთი წამით თანაგრძნობით შეხედა, შემდეგ თვალები დახარა, კაბაზე ნაოკი გაისწორა და ერთხანს იდგა ასე გაუჩქვეველ მდგომარეობაში. გრენგუარი თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას: ეს მისი უკანასკნელი იმედი იყო. „არა, — თქვა ბოლოს ახალგაზრდა ქალმა, — არა, გილიომ ლოყადაშეებული მიმბერტყავს“. და ისიც ხალხს შეერია.

— ბედი არა გქონია, ამხანაგო. — უთხრა კლოპენმა.

მერმე თავის კასრზე მთელი ტანით აიშარათა.

— მაშ, არავის უნდა? — დაიძახა და ხმით ისე წაბაძა აუქციონის შემფასებელს, რომ ყველამ დიდად გაიხარა. — მაშ, არავის სურს? ერთი, ორი, სამი! — საჩრხობელისაკენ მიბრუნდა და თავის დაქნევით დაუმატა: — თქვენ დაგრჩათ!

ბელვინ დე ლეტუალი, ანდრი-წითურა და ფრანსუა შანტპრიუნი გრენგუარს მიუახლოვდნენ.

ამ დროს არგოელთა შორის გაისმა ყვირილი:

— ლა ესმერალდა! ლა ესმერალდა!

გრენგუარი შეკრთა და იქით მიბრუნდა, საიდანაც ყვირილის ხმა მოდიოდა. ხალხი გაიპო და გზა მისცა წმინდა, თვალისმომჭრელ არსებებს.

ეს იყო ბოშა გოგონა.

— ლა ესმერალდა! — ეს ჯადოსნური სიტყვა განცვიფრებულ-

მა გრენგუარმა აღლევების მიუხედავად ისევე უეცრად წარმო-
თქვა, რა უეცრებითაც იგი ამ დღის მთელ მოგონებებს უკავშირ-
დებოდა.

გეგონებოდათ, ამ იშვიათი ქმნილების მომხიბლობისა და სილა-
მაზის მეუფება სასწაულებათა ეზოზეც ვრცელდებოდა. არგოელი
ქალიც და კაციც წყნარად უთმობდნენ გზას, უკუდგებოდნენ, მისი
ერთი შეხედვით მხეტური სახეები ყვავილივით ეფურჩქნებოდათ.

ესმერალდა მსუბუქი, მკვირცხლი ნაბიჯით მიუახლოვდა განწო-
რულს. ლამაზი ჯალი უკან მისდევდა. გრენგუარი არც მკვდრებში
ერია და არც ცოცხლებში. გოგონა ერთხანს მდუმარედ უყურებდა.

— თქვენ ვინდით ეს კაცი ჩამოახრჩოთ? — სერიოზულად ჰკი-
თხა მან კლოპენს.

— დიახ, დაო, — უპასუხა თუნის მეფემ, — თუ შენ ქმრად არ
წაიყვან.

გოგონამ ქვედა ტუჩი მომხიბლავად აიბზუა.

— მე მიმყავს იგი, — თქვა მან.

გრენგუარი მტკიცედ დარწმუნდა, რომ ყველაფერი. რაც ამ
დილიდან თავს გადახდა, სიზმარი იყო და ეს მისი გაგრძელებაა.

ეს მოულოდნელი ცვლილება, თუმცა ნამდვილად სასიამოვნო,
მაგრამ მეტისმეტად მძაფრი იყო.

პოეტს ყელიდან ყულფი მოხსნეს და უბრძანეს სკამიდან ჩამო-
სულიყო. იძულებული გახდა დამჯდარიყო, იმდენად იყო აღლვე-
ბული.

ბოშათა ჰერცოგმა უსიტყვოდ მოიტანა თიხის სურა. ბოშა ქალ-
მა იგი გრენგუარს გაუწოდა.

— მიწას დაანარცხე! — უთხრა მან.

სურა ოთხ ნაწილად დაიმსხვრა.

— ძმაო, — თქვა მაშინ ბოშათა ჰერცოგმა და ორივეს თავზე
ხელი დაადო, — ის შენი ცოლია; დაო, იგი შენი ქმარია. ოთხი
წლით. გასწით!

VII

ჰორწინების ღამე

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი პოეტი აღმოჩნდა ერთ მყუდ-
რო, თბილ, თაღიან პატარა ოთახში; ის იჯდა მაგიდასთან, რომე-
ლიც გეგონებოდათ უკვე გამზადებული იყო იმისათვის. რომ იქვე
ახლოს დაკიდებული პატარა კარადიდან საქმელი გადმოეღოთ და

სულრა გაეწყოთ. გრენგუარს თვალწინ ესახებოდა თბილი სარეცელი და ლამაზ ასულთან პირისპირ ყოფნა. მისი თავგადასავალი ჯადოქრობას ჰკავდა. მან კინალამ სერიოზულად მიიჩნია თავი ჯადოსნური ზღაპრის მოქმედ პირად, დროდადრო ირგვლივ თვალს აცეცებდა. თითქოს ეძებდა იმ ცეცხლოვან ეტლს, რომელშიაც შებმული იყო წყვილი ფრთოსანი ქიშერა და რომელსაც ერთს შეეძლო ესოდენ სწრაფად ქვესკნელიდან აქ, სამოთხეში მისი გადმოყვანა. ხანდახან ჩაშტერებით უყურებდა თავისი კამზოლის ნახევებს, რათა სინამდვილეს მაგრად ჩაბლაუჭებოდა და სრულიად არ მოსწყვეტოდა დედამიწას. მისი გონება, რომელიც წარმოსახვის სივრცეებში დაჰქროდა, მხოლოდ ამ ძაფზედა ეკიდა.

ყმაწვილი ქალი არავითარ ყურადღებას არ იჩენდა მის მიმართ. იგი მიდიოდა, მოდიოდა, რამდენიმე სკამი გადადგ-გადმოდგა, თავის თბა გამოელაპარაკა, დროდადრო აინრიზებოდა. ბოლოს მაგიდის ახლოს დაჯდა და გრენგუარსაც შეეძლო მისი ცქერით გული ეჯეკრებინა.

თქვენ ოდესღაც ბავშვი იყავით. ჩემო მკითხველო, ანდა შესაძლებელია ისეთი ბედნიერი ხართ, რომ ახლაც ბავშვი ხართ. უთუოდ არა ერთხელ მჯდარხართ მზიან დღეს სწრაფი ნაკადულის პირას (რაც შემეხება მე, მთელი დღეები, ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო დღეები, გამიტარებია ასეთ ყოფაში) და თვალი გიღვინებიათ რომელიმე კეკლუცი, მწვანე ან ცისფერი ჭიაფასთვის, რომელიც სწრაფი ალმაცერი ფრენით ბუჩქიდან ბუჩქზე დაფართატებს და ტოტების კენწეროებს კოცნის. გაიხსენეთ, რა სიყვარულითა და ცნობისმოყვარეობით ყოფილა მიპყრობილი თქვენი ფიქრი და მზერა მეწამული და ლაყვარლისფერი ფრთებისგან წარმოშობილ სტვენია, ზუზუნა და პაწია გრიგალზე, რომლის შუაში ფართატებდა რაღაც თვალშეუვლები სახე, თავისივე მოძრაობის სისწრაფით შებურვილი და გაუჩინარებული. ეს ჰაეროვანი არსება, რომელიც ბუნდოვნად ისახებოდა ფრთების ამ თრთოლაში, თქვენ ქიშერული, წარმოსახვითი, მოჩვენებითი, ხელშეუხებელი და უხილავი რამ გეგონათ. ბოლოს, როცა ეს ჭიაფა ერთ-ერთი ლერწმის კენწეროზე დაეშვა და თქვენ შესაძლებლობა მოგეცათ სულგანაბულს დაგეთვალეობინათ მისი გრძელი, გამკვირვალე ფრთები, მინანქრის მოგრძო სამოსელი, ბროლის ორი თვალის მარცვალი, — როგორ გაკვირვებულხართ და როგორ შეგმინებიათ, რომ ეს სახე კვლავ აჩრდილად არ იქცეს და არსება აუსრულლებელ ოცნებად არ გარდაიქმნეს! მოიგონეთ ეს შთაბეჭდილებანი, და თქვენთვის ადვილი გასაგები გახდება გრენგუარის გრძნობა, როდესაც ამ ხილული და

ხელშესახები ფორმის სახით ჰკერტდა იმ ესმერალდას, რომელსაც აქამდე თვალი ძლივს მოჰკრა ცეკვა-სიმღერის ორომტრიალსა და ალიაქოთში.

გაოგნებული თვალს ადევნებდა იგი ყმაწვილ ქალს და სულ უფრო და უფრო იძირებოდა თავის ფიქრსა და ოცნებაში: „აი თურმე რა ყოფილა ლა ესმერალდა! — თქვა მან თავისთვის. — ციური ქმნილება და ქუჩის მოცეკვავე! რაოდენ დიღია და რაოდენ მცირე! მან საბოლოოდ ღახვარი ჩასცა ამ დილას ჩემს მისტერიას, მანვე მაჩუქა სიცოცხლე, გადამარჩინა ამ საღამოს. ჩემი ბოროტი გენია! ჩემი მფარველი ანგელოზი! მშვენიერი ქალოა, სინდისსა ვფიცავ! გაგიყვებით უნდა ვუყვარდე, რაკი გადაუწყვეტია ჩემი ამგვარად დატყვევება: — თუმცა, სწორედ ღროზე გამახსენდა“, — თქვა და უცბად წამოდგა, გამსქვალული სინამდვილის იმ გრძნობით, რომელიც მისი ხასიათისა და ფილოსოფიის საფუძველს შეადგენდა, „კარგად არ ვიცი, როგორ მოხდა ეს; მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მე ხომ მისი ქმარი ვარ“.

ეს აზრი მის თვალებშიც გამოკრთა. ისე თავაზიანად და მხედრული წესით მიუახლოვდა ყმაწვილ ქალს, რომ ქალმა უკან დაიხია.

— რა გინდათ ჩემგან? — უთხრა მან.

— განა ამას კითხვა უნდა, სათაყვანებლო ესმერალდა? — უბასუხა გრენგუარმა. მის ხმაში ისეთი ვნება იგრძნობოდა, რომ თვითონვე გაუკვირდა, ეს როგორ ვთქვიო.

ბომა ქალმა გაფართოებული თვალებით შეხედა.

— არ ვიცი, რა გნებავთ მითხრათ!

— როგორ! — განაგრძო გრენგუარმა თანდათან უფრო მეტი გიტაცებითა და გზნებით. წარმოიდგინა, რომ ბოლოს საქმე ჰქონდა მხოლოდ სასწაულებათა ეზოს სათნოებასთან, — განა მე შენი არა ვარ, ჩემო ტკბილო, ნაზო მეგობარო? განა შენ ჩემი არა ხარ? — და სრულიად გულუბრყვილოდ მოჰხვია ხელი წელზე.

ბომა ქალი გველთევზასავეთ გაუსხლტა ხელიდან, სენაკის მეორე კუთხეში გადახტა, ჯერ დაიხარა, მერე ისევ წელში გასწორდა და ხელში პატარა ხანჯალმა გაუელვა. გრენგუარმა ვერც კი მოასწრო დაენახა, საიდან გაჩნდა ეს ხანჯალი. ქალი იდგა მის წინ მრისხანე, ფიცხი, ამაყი; ტუჩებმოკუმულს ნესტოები ებერებოდა, ლაწვები წამოსწითლებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. იმავე ღროს თეთრი თიკანი პატრონის წინ წამოდგა და გრენგუარს მიუშვირა საბრძოლოდ გამზადებული თავისი შუბლი, შეიარაღე-

ბული ორი ლამაზი. მოოქროვილი და მეტად წვეტიანი რქით. ყოველივე ეს ერთ თვალის დახამსამებამი მოხდა.

გოგონა კრახანად იქცა და მზად იყო ნესტარი ეჩხვლიტა.

ჩვენი ფილოსოფოსი გაცბუნებული დარჩა. გაოგნებული ხან თხას უქებდა, ხან ახალგაზრდა ქალს.

— წმინდაო ქალწულო! — თქვა მან ბოლოს, როდესაც განცვიფრებისაგან გონს მოეგო და ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა, — ერთი ამ ორ გულადს დამიხედეთ.

ბოშა გოგონამ დუმილი დაარღვია:

— შენ კი ძალიან თავხედი და გაიძვერა ყოფილხარ!

— მაპატიეთ, ქალბატონო — თქვა გრენგუარმა ღიმილით, — მაშ რად წამომიყვანეთ ქმრად?

— განა კარგი იქნებოდა ჩამოეხრჩეთ?

— მაშასადამე, თქვენ იმ აზრით გამომყევით ცოლად, რომ სახრჩობელას გადაგერჩინეთ? — ჰკითხა ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმა პოეტმა.

— განა სხვა რა აზრი გნებავდა რომ მქონოდა?

გრენგუარმა ტუჩზე იკბინა. „კარგი, კმარა, — თქვა მან, — ჩანს. კუპიდონი არც ისე მოწყალეა ჩემდამი, როგორც მეგონა. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რა საჭირო იყო იმ საცოდავი სურის გატეხვა?“

ამ დროს ესმერალდას ხანჯალი და თხის რქები მაინც ისევ თავდაცვით მდგომარეობაში იმყოფებოდა.

— ქალბატონო ესმერალდა, — უთხრა პოეტმა, — ზავი დაედოთ. მე არ ვახლავართ შატლეს სასამართლოს მდივანი და არც გამოგედევებით იმაზე, რომ პარიზში ხანჯალს ატარებთ წინააღმდეგ ბატონ პრევეს ბრძანებისა და აკრძალვისა. თუმცა არ შეიძლება არ იცოდეთ. ეს რვა დღეა ნოელ ლეკრივენს მიუსაჯეს ათი პარიზული სუს გადახდა იმის გამო, რომ ხმალი ეკიდა. მაგრამ ეს მე არ მეხება, საქმეზე გადავიღიარ. ვფიცავ სამარადისო ცხონებას, რომ ახლოს არ ვაგვეკარებთ თქვენს დაუკითხავად და უნებართვოდ, ოღონდ მაქამეთ რამე.

არსებითად გრენგუარი, როგორც ბატონი დეპერო¹, „ძალიან ნაკლებად იყო ავხორცი“. ის არ ეკუთვნოდა იმგვარ რაინდთა და ტლანქ მამაკაცთა რიცხვს. რომლებიც ქალიშვილებს იერიშით იღებენ. სიყვარულის საკითხში. ისე როგორც ყველა სხვა საქმეში იგი არჩევდა ლოდინის პოლიტიკას და მშვიდობიან მორიგებას. კარგი ვახშამი და თავაზიანი საუბარი. მეტადრე როცა კაცი მშვიერია. საუკეთესო შესვენებად მიაჩნდა სამიჯნურო თავგადასავალის შესაველსა და კვანძის გახსნას შორის.

ბოშა ქალმა არაფერი უპასუხა, ზიზლით აიბზუა პაწია ტუჩი, ჩატივით. თავი ასწია და ხმამალა გადაიკისკისა; კონტა ხანჯალი კი ისევ გაქრა, როგორც ვაჩნდა, გრენგუარმა ვერ მოასწრო დანახვა, სად გადამალა ფუტკარმა თავისი ნესტარი.

ერთი წუთის შემდეგ მაგიდაზე გაჩნდა ქვევის პური, ერთი ნაჭერი ღორის ქონი, რამდენიმე დამქვანარი ვაშლი და ერთი ღოქი ლუდი. გრენგუარი გაშმაგებით შეუღვა ქამას. მისი რკინის ჩანგლისა და ქაშანური თეფშის წკარუნის გაგონებაზე იტყოდით, მთელი მისი სიყვარული ქამის მადად გადაქცეულაო.

პირისპირ მჯდომარე ყმაწვილი ქალი მდუმარედ ადევნებდა გრენგუარს თვალს, აშკარად ჩანდა, რომ იგი სულ სხვა ფიქრებით იყო შეპყრობილი. დროდადრო იღიმებოდა და თავის ტურფა ხელს ალერსით უსვამდა თხის ქვეიან თავს, რომელიც გოგონას მუხლებს ნაზად მიჰკვროდა.

ყვითელი ცვილის სანთელი ანათებდა ღორმუცელობისა და ოცნების ამ სურათს.

როდესაც თავისი სტომაქის პირველი სიყმილი ჩაიკლა, გრენგუარს შერცხვა, რაკი დაინახა მაგიდაზე ერთი ვაშლის მეტი აღარა დარჩენილიყო რა.

— თქვენ არ მიირთმევთ, ქალბატონო ესმერალდა?

მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ჩაფიქრებული მზერა სენაჯის თაღს მიაპყრო.

„რა ეშმაკმა და ქაჯმა მიიქცია მისი ყურადღება? — გაიფიქრა გრენგუარმა და ჰერს ახედა, — შეუძლებელია მის ყურადღებას ასე იპყრობდეს თაღის. შუაგულს საჭექში გამოქანდაკებული ქვის ჯუჯის დაღმეპილი სიფათი. ეშმაკმა წაიღოს! მაგ ჯუჯას მაინც შემიძლია გავუწიო მეტოქეობა!“

მან ხმას აუმაღლა:

— ქალბატონო!

ეგონა ვერ გაიგო, კიდევ უფრო ხმამალა დაუძახა:

— ქალბატონო ესმერალდა!

მაგრამ ამოდ, ტყუილად ირჯებოდა. ყმაწვილი ქალის გონება სხვაგან იყო და გრენგუარის ხმას არ ძალუძდა მისი ყურადღების მიქცევა. საბედნიეროდ საქმეში თხა ჩაერია. მან ნელა მოსწია თავისი ქალბატონის სახელო.

— რა გინდა, ჯალი? — მკვირცხლად ჰკითხა ბოშა ქალმა, თითქოს უეცრად გამოაღვიძესო.

— მშიერია, — უთხრა გრენგუარმა, გახარებულმა იმით, რომ შესძლო საუბარი გაება.

ესმერალდამ პური დაუფშენა და ჯალიც კეკლუცად შეუდგა ნამცეცების ქამას მის ხელისგულზე.

გრენგუარმა აღარ აცალა გოგონას კვლავ ფიქრსა და ოცნებას მისცემოდა და ასეთი საჩოთირო კითხვის დასმა შეებდა:

— მაშ, არ გნებავთ, რომ თქვენი ქმარი გაეხდებ?

ყმაწვილმა ქალმა დამტერებით შეხედა და უთხრა:

— არა.

— საყვარელი? — განაგრძო გრენგუარმა.

გოგონამ სახე დამანჭა და ამრეზით მიუგო:

— არა.

— მეგობარი? — ჩააცვიდა გრენგუარი.

ბოშა ქალმა კიდევ ჩაშტერებით შეხედა, ერთი წუთით ჩაფიქრდა და უპასუხა:

— შეიძლება.

ამ „შეიძლება“ ფილოსოფოსთათვის ესოდენ ძვირფასმა სიტყვამ, გრენგუარი გაამხნევა.

— იცით კი, რა არის მეგობრობა? — ჰკითხა მან.

— დიახ, — უპასუხა ბოშა ქალმა. — ეს ნიშნავს დაძმობას, როცა ორი სული ერთმანეთს ეხება, მაგრამ ერთ არსებად არ იქცევა, ეს ერთი ხელის ორი თითია.

— სიყვარული? — არ ეშვებოდა გრენგუარი.

— ოჰ, სიყვარული! — თქვა მან და ხმა აუკანკალდა, თვალები გაუბრწყინდა. — სიყვარულია, როცა ორი ერთ არსებად შეერთდება, მამაკაცი და ქალი ანგელოზად იქცევა. სიყვარული ზეცაა.

მშვენიერი იყო ქუჩის მოცეკვავე ქალი, როცა ამას ამბობდა, მისმა სილამაზემ არაჩვეულებრივად განაცვიფრა გრენგუარი და ეგონა, რომ ეს სილამაზე სავსებით შეესაბამებოდა მისი სიტყვების თითქმის აღმოსავლურ აღტყინებას. მისი უბიწო, ვარდისფერი ბაგენი ილიმებოდნენ, წრფელსა და ნათელ შუბლს ხანდახან ფიქრთა ნისლი გადაუვლიდა, ვითარცა სარკეს მსუბუქი რამ სუნთქვა, ხოლო დახრილი გრძელი შავი წამწამებიდან გამოსჭვიოდა ენით უთქმელი ნათელი, სახის ნაკვთებს რომ აძლევდა იმ იდეალურ სინაზეს და მომხიბვლელობას, რომელიც შემდეგში რაფაელმა¹ გამოსახა ქალწულობის, დედობისა და ღვთაებრიობის მისტიკური შეერთებით.

— როგორი უნდა იყოს კაცი, რომ თქვენ მოგეწონოთ? — არ ცხრებოდა გრენგუარი.

— ვაჟკაცი უნდა იყოს.

— განა შე ვაჟკაცი არა ვარ? — უთხრა მან.

— ვაჟაკი, რომელსაც თავზე მუზარადი ეხურება, ხელთ ხმალი ექნება და ქუსლებზე — ოქროს დეზები.

— კეთილი, — თქვა გრენგუარმა, — მაშ, უოქროსდეზებოდ და უცხენოდ ვაჟაკი აღარ არსებულა. გიყვართ ვინმე?

— სიყვარულით?

გოგონა წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ კი რაღაც განსაკუთრებული გამომეტყველებით თქვა:

— მაგასაც მალე გავიგებ.

— რატომ ამ საღამოს არა? — ჰკითხა მაშინ ნაზად პოეტმა, — რატომ მე არა?

ბოშა ქალმა მედიდურად მიაპყრო მრავლისმეტყველი თვალები.

— მე შევიყვარებ მხოლოდ ისეთ მამაკაცს, რომელიც შესძლებს ჩემს დაცვას.

გრენგუარი გაწითლდა. ეს სიტყვები ცნობად მიიღო. ყმაწვილმა ქალმა, ცხადია, სიტყვა გადაუკრა იმ მცირე დახმარებაზე. რომელიც მან აღმოუჩინა ორი საათის წინ კრიტიკულ ვითარებაში. მოაგონდა ეს შემთხვევა, რომელიც დავიწყებოდა ამ საღამოს სხვა თავგადასავალთა შორის, და შუბლში ხელი იტყिया:

— მართლა, ქალბატონო, სწორედ ამით უნდა დამეწყო. მაპატიეთ ჩემი სულელური დაბნეულობა. როგორ მოახერხებთ კვაზიმოდოს ბრჭყალებიდან თავის დაღწევას?

ამ კითხვამ ბოშა ქალი შეაკრთო.

— ოჰ, საზარელი კუზიანი! — თქვა მან და სახე ხელებში ჩამოლა, ისე კანკალებდა, როგორც დიდი სიცივის დროს.

— მართლაც საზარელია. მაგრამ მაინც როგორ შესძელით თავის დაღწევა? — არ ეშვებოდა გრენგუარი ამ კითხვას.

ესმერალდამ გაიღიმა, ამოიოხრა და დადუმდა.

— იცით კი, რატომ აგედევნათ ის კუზიანი? — გრენგუარმა სცადა შემოვლილი გზით დაბრუნებოდა თავის კითხვას.

— არ ვიცი, — თქვა ყმაწვილმა ქალმა და შემდეგ სწრაფად დაუმატა: — თქვენც ხომ მომდევდით, თქვენ რაღად ამედევნეთ?

— გულწრფელად მოგახსენებთ, მეც არ ვიცი, — უპასუხა გრენგუარმა. სიჩუმე ჩამოვარდა. გრენგუარი მაგიდაზე თავისი დანით რაღაცას კაწრავდა, ახალგაზრდა ქალი კი იღიმებოდა. კედლისთვის ისე მიეპყრო მზერა, თითქოს იქ რამეს ხედავსო. უცბად სიმღერა წამოიწყო ძლივს გასავიწყონი ხმით:

Quando las pintadas aves
Mudas están, y la tierra...*

* როცა ციციანი ბუმბულს იცვლიან და მიწაც... (ესპ.)

მერე ასევე უეცრად შეწყვიტა სიმღერა და ჯალის დაუწყო ალერსი.

— ეს რა ლამაზი ცხოველი გყავთ, — უთხრა გრენგუარმა.

— ეს ჩემი დაიკოა, — უპასუხა გოგონამ.

— რატომ გეძახიან თქვენ ლა ეს მ'ერა ლდას? — ჰკითხა პოეტმა.

— არაფერი ვიცი.

— მაინც?

ქალმა უბიდან ამოიღო დაფნის მძივებიანი, ძეწკვით ყელზე ჩამოკიდებული პატარა, მოგარძო ავგაროზი, რომელიც ქაფურის ძლიერ სურნელებას აქმევდა. ავგაროზს ირგვლივ მწვანე აბრეშუმი ჰქონდა შემოკრული და შუაგულში ზურმუხტის მაგვარი დიდი, მწვანე შუშის თვალი იყო ჩასმული.

— ალბათ ამის გამო, — თქვა მან.

გრენგუარმა ავგაროზს ხელი წაატანა. გოგონამ უკან დაიხია.

— არ შეეხო! ეს თილისმაა. ან შენ მიაყენებ რამე ზიანს, ან ის შეგამთხვევს ბოროტებას.

პოეტს ცნობისმოყვარეობა უფრო და უფრო უცხოველდებოდა.

— ვინ მოგვით?

ქალმა თითი ტუჩზე მიიღო და ავგაროზი ისევ უბეში ჩამალა-გრენგუარმა სცადა კიდევ რამდენიმე შეკითხვა მიეცა, მაგრამ ქალი-შვილი უხალისოდ უპასუხებდა.

— რას ნიშნავს სიტყვა „ლა ესმერალდა“? *

— არ ვიცი, — თქვა მან.

— რომელ ენას ეკუთვნის?

— მე მგონია, ბოშურს.

— მეც ასე მგონია, — თქვა გრენგუარმა. — თქვენ საფრანგეთში არა ხართ დაბადებული?

— არაფერი ვიცი.

— გყავთ მშობლები, ვინ არიან ისინი?

პასუხად გოგონამ სიმღერა წამოიწყო ძველ ჰანგზე:

ჩიტი არის მამაჩემი,

ჩიტი — დედაჩემი.

წყალს გაედივარ მე უნაეოდ,

არ მკირდება წყალზე გემი,

ჩიტი არის დედაჩემი,

ჩიტი — მამაჩემი.

* La Esmeralda — ესპანურად ზურმუხტს ნიშნავს.

— კეთილი, — თქვა გრენგუარმა. — რა ხნისა ჩამოხვედით საფრანგეთში?

— სულ პატარა.

— პარიზს?

— შარშან. იმეამად, როცა პაპის კიშკარში შემოვდიოდით, ჰაერში თვალი მოვკარი ლერწმის კიოტას. ეს იყო აგვისტოს დამლევს. მე ვთქვი: ზამთარი სუსხიანი იქნება-მეთქი.

— ასეც იყო, — თქვა გრენგუარმა, გახარებულმა იმით, რომ საუბარი მაინც გაიბა. — გასათბობად თითებზე გაუთავებლად სულს ვიბერავდი. მაშ, თქვენ წინასწარმეტყველების ნიჭიც გქონიათ?

— არა. — ისევ მოკლედ მიუგო ბოშა ქალმა.

— ის კაცი, თქვენ რომ ბოშათა ჰერცოგს ეძახით, თქვენი ტომის მეთაურია?

— დიახ.

— ჩვენ ხომ სწორედ მან შეგვაუღლა, — მოკრძალებით შენიშნა პოეტმა.

გოგონამ ჩვეულებთსამებრ მოხდენილად აიბზუა ტუჩი.

— მე შენი სახელიც არ ვიცი.

— ჩემი სახელი? თუკი თქვენ ინებებთ, ჩემი სახელია პიერ გრენგუარ.

— მე უფრო ლამაზი სახელი ვიცი, — თქვა ქალმა.

— ავო! — მიუგო პოეტმა. — დე ასე იყოს, ვერ გამაბრაზებთ. მომისმინეთ, იქნებ შემეყვაროთ, უკეთ რომ გამიცნობთ. მას შემდეგ, რაც ასეთი ნდობით მიამბეთ თქვენი თავგადასავალი, ვალდებულნი ვიქნებით ვარ ცოტა რამ ჩემიც გითხრათ. მაშ ასე, თქვენ უკვე იცით, რომ მე მქვია პიერ გრენგუარ, და გახლავართ ძე გონესის ფერმერის ნოტარიუსისა. მამაჩემი ბურგუნდიელებმა ჩამოაბრჩეს, დედაჩემს კი პიკარდიელებმა მუცელი გამოფატრეს პარიზის გარე-მოცვის ღროს; ეს იყო ოცი წლის წინ: ასე რომ ექვსი წლისა დავობლდი. ფეხსაცმლის ლანჩის მაგიერობას პარიზის ქვაფენილი მიწვედა. მე თვითონ არ ვიცი, ექვსიდან თექვსმეტ წლამდე როგორ მივალწიე. აქ ხილ-ბოსტნეულით მოვაპკრე ქალი მომაწვდიდა ერთ ქლიავს, იქ ხაბაზი გადმომიგდებდა პურის ქერქს; საღამოობით ვცდილობდი გუშაგებს წავეყვანე, რომ ციხეში დავემწყვდიე, იქ კი ერთ კონა ჩალას ეშოულობდი ქვეშ დასაგებად. ყოველივე ეს, როგორც ხედავთ, ხელს არ მიშლიდა გავზრდილიყავი და გავმხდარიყავი. ზამთრობით სანსის სასახლის კარიბჭესთან ვთბებოდი მზეზე და მეტად სასაცილოდ მიმაჩნდა, რომ წმინდა ივანობის კოცონს

ზაფხულის პაპანაქებისათვის იხსავდნენ. თექვსმეტი წლისა რომ გავხდი, პროფესიის არჩევა მოვიწადინე. ერთმანეთზე მიყოლებით ყველაფერი ვსინჯე. ჯარისკაცად გავემწეე. მაგრამ საკმაოდ გულადი ვერ გამოვდექი; ბერად აღვიკვეცი, მაგრამ საკმაოდ ღვთისმოსავი არ ვიყავი, გარდა ამისა, სმითაც ცუდად ვესვამდი. სასოწარკვეთილი შეგირდად დავდექი დიდებულიან ხურობებთან. მაგრამ საკმაოდ ღონე არ მომდედა. გული უფრო სკოლის მასწავლებლობისაკენ მიმიწევდა. მართალია, კითხვა არ ვიცოდი, მაგრამ ეს არ მადარდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მივხვდი, რომ მუდამ რაღაცა მაკლდა და არაფრისათვის არ ვიყავი გამოსადეგი. როცა ამაში დავრწმუნდი, პოეტურ გულისთვის ავეყვი და ლექსების თხზვასა და რითმვას მოვიკიდე ხელი. ეს ხელობა სწორედ ზედ გამოკრილია მაწანწალისათვის და რაც უნდა იყოს, მაინც სჯობია ქურდობას. რასაც მირჩევდნენ თავზეხელადებული ბიჭები ჩემს ამხანაგთა შორის. საბედნიეროდ ერთ მშვენიერ დღეს შევხვდი წმინდა მამას კლოდ ფროლოს, ღვთისმშობლის ტაძრის ღირსეულ არქიდიაკონს. მან გამიწვია თანაგრძნობა და მისგან მმართვებს, რომ დღეს განათლებული კაცი ვარ, ვიცი ლათინური, მოყოლებული ციცერონის წიგნიდან „ვალდებულებათათვის“ ვიდრე ცელესტინელ მამათა „წმიდათა ცხოვრებამდე“, უმეცარი არა ვარ და რაღაცა გამეგება სქოლასტიკისა, პოეტიკისა, ლექსათხზვისა, თვით ალქიმიისაც კი, ამ ყოვლადსიბრძნისა სიბრძნეთა შორის. სწორედ მე გახლავართ ავტორი იმ მისტერიისა, რომელიც დღეს დიდი ზარზხემით წარმოადგინეს ხალხით გაქედილ სასახლის დიდ დარბაზში, სადაც დიდძალი ბრბო მოაწყდა. მე დავწერე აგრეთვე ექვსას გვერდიანი წიგნი 1465 წლის საოცარ კომეტაზე, რომელმაც ერთი კაცი ჰკუთხე შეშალა. მე წილად მხვდა აგრეთვე სხვა წარმატებანიც. ცოტა რამ საარტილერიო ხელობისაც მესმოდა და ჟეან მოგის დიდი ზარბაზნის გაკეთებაზე ვმუშაობდი. როგორც თქვენ იცით, იგი გასკდა შარანტონის ხიდზე იმ დღეს, როცა მისი გამოცდა უნდოდათ, და ოცდაოთხი ცნობისმოყვარე მოკლა. როგორც ხედავთ, ცუდი საქმრო როდი გახლავართ. მე ვიცი უამრავი სასეირო და გასართობი რამეები, შემძლია ვასწავლო თქვენს თხას. მაგალითად, პარიზის ეპისკოპოსის გამოჯავრება, იმ შეჩვენებული ფარისევლისა, რომლის წისკვილები წუწავენ გამვლელებს მეწისქვილეთა ხიდის მთელ სიგრძეზე. მერმე, ჩემი მისტერია მომცემს დიდძალ ვერცხლის ფულს, თუ გადამიხადეს. ერთი სიტყვით. მთლად თქვენს განკარგულებაში ვარ: მეც. ჩემი ჰკუთ-გონებაც; ჩემი ცოდნაც და მეცნიერებაც, ჩემი განსწავლულობაც; მე მზად ვარ თქვენთან ვიცხოვრო, ქალი-

შვილო, როგორც თქვენ ინებებთ, უმანკოდ თუ მხიარულად, როგორც ცოლ-ქმარი, თუკი თქვენ მოგეწონებათ, ან როგორც დამა, თუ ამას ამჯობინებთ.

გრენგუარი დადუმდა, ელოდა. ენახოთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ლაპარაკმა ახალგაზრდა ქალზეო. ქალს კი თვალები დაეხარა. მიწისთვის ჩაეშტერებინა.

— ფებუს! — წარმოთქვა მან ხმადაბლა. შემდეგ პოეტისკენ მიბრუნდა: — ფებუს, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

თუმცა გრენგუარს კარგად ვერ გაეგო, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ კითხვას მის ნათქვამთან, მაინც თანახმა იყო თავისი განსწავლულობა ეჩვენებინა:

— ეს ლათინური სიტყვაა და მზეს ნიშნავს, — თქვა მან თავმომწონედ.

— მზეს! — გაიმეორა გოგონამ.

— ასე ეძახდნენ ლამაზ მშვილდოსანს. რომელიც ღმერთი იყო, — დაუმატა გრენგუარმა.

— ღმერთი! — კვლავ გაიმეორა ბოშა ქალმა ჩაფიქრებით, მის ხმაში ვნება იგრძნობოდა.

ამ დროს ერთ-ერთი სამაჯური შეეხსნა და დაუვარდა. გრენგუარი ფიცხლავ დაიხარა ასაღებად. როცა წამოიწია, ახალგაზრდა ქალი და თხა უკვე გამჭრალიყვნენ. გაიგონა ურდულის ჩხაკუნი. პატარა კარი. რომელიც უთუოდ მეზობელ საკანში გადიოდა. გარედან ჩაიკეტა.

„ლოგინი მაინც თუ დამიტოვა?“ — თქვა ჩვენმა ფილოსოფოსმა.

საკანს შემოუარა. დასაძინებლად გამოსადეგი ერთადერთი ავეჯი ხის საკმაოდ გრძელი სკივრი იყო, მაგრამ სახურავი ჩუქურთმებით ჰქონდა დაფარული. ამის გამო, როდესაც გრენგუარი მასზე დაწვა და გაიკიმა, თითქმის იგივე იგრძნო, რაც მიკრომეგასმა განიცადა, როცა მთელი თავისი სიგრძით ალპებზე გაწვა.

„რას იზამ, — თქვა მან და უფრო მოხერხებულად მოეწყო სკივრზე, — ბედს უნდა დავემორჩილო. მაგრამ რა უცნაური ქორწინების ღამეა! აფსუს! რა სამწუხაროა! ამ ქორწინებასა და დამსხვრეულ სურაში იყო რაღაც გულუბრყვილო და წარღვნამული რამ, რაც მე მომეწონა.“



ქესეშე

I

ღვთისმშობლის ტაძარი



არიზის ღვთისმშობლის ტაძარი დღესაც უთუოდ ერთი დიდებული და უმშვენიერესი შენობაა. თუმცა ძველდება და ბერდება, სილამაზეს მაინც ინარჩუნებს. მაგრამ როგორც უნდა ინარჩუნებდეს იგი ამ თავის სილამაზეს, ძნელია ოხვრა არ აღმოგზდეთ და არ აღშფოთდეთ, როცა იხილავთ იმ უამრავ დაზიანებასა და დასახიჩრებას, რაც ქამთაბრუნვასა და ადამიანებს მიუყენებიათ ამ ღირსშესანიშნავი ძეგლისათვის. აღარავითარ პატივს არ მიაგებენ არც კარლოს დიდს, რომელმაც აქ პირველი ქვა დასდო, არც ფილიპ-ავგუსტს, რომელმაც უკანასკნელი ქვა მიიტანა.

ჩვენს ტაძართა შორის ამ უძველესი დედაუფლის სახეზე ყოველთვის ნახავთ ნაპრილობებს რომელიმე ნაოქის გვერდით.

Tempus edax, homo edacior*. ამას სიამოვნებით გადაეთარგმნი-
დი ასე: „ქამი ბრმაა, კაცი კი უგუნური“.

ღრო და მოცალეობა რომ გვექონღეს ჩვენს მკითხველთან ერთად
შეგვემოწმებინა ერთმანეთზე მოყოლებით ნგრევისა და განადგურე-
ბის ყოველი კვალი, აღბეჭდილი ამ უძველეს საყდარზე, ქამთა-
ბრუნვის წილი უმცირესი აღმოჩნდებოდა, ხოლო ადამიანისა, მე-
ტადრე, „ხელოვნების კაცთა“ უდიდესი და უარესი. იძულებული
ვარ „ხელოვნების კაცნი“ ვახსენო, რადგან ეს ორი უკანასკნელი
საუკუნეა, მათ შორის იყვნენ პიროვნებები, რომელთაც ხუროთ-
მოძღვართა სახელწოდება მიიტაცეს.

იმისათვის, რომ მხოლოდ რამდენიმე უმთავრესი მაგალითი
მოვიყვანოთ, თავიდანვე დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ ცო-
ტაა ისეთი ხუროთმოძღვრული ფურცელი, რომელიც ამ ტაძრის
წინახედზე უფრო ლამაზი იყოს, სადაც თანმიმდევრობითა და ერ-
თობლივ წარმოსდგება ჩვენს წინაშე სამი შიგნით შეღრმავებულ
ისრული მთავარკარი, ზემოთ—ოცდარვა სამეფო წალოს მოქარგული
და დაკბილული აშია, შუაში უზარმაზარი მრგვალი სარკმელი,
გვერდით ორი სარკმლით, ვითარცა მღვდელი დიაკონსა და ჰიპო-
დიაკონს შორის, მაღალი და ნარნარი, სამყურას ფორმის ჩუქურთ-
მებით შორთული კამაროვანი ტალანი, რომლის წვრილ სვეტებზე
დამყარებულია მძიმე ბაქანი, ბოლოს ორი პირქუში და მასიური
კოშკი ფიქალის ფარდულებით. ამ დიადი მთლიანობის ყველა
ნაწილი, ერთმანეთზე აღმართული ხუთ ბუმბერაზულ სართულად,
უდრტვიწველად და უხვად გადაგვიშლის თვალწინ ურიცხვ ნაქან-
დაკებ. ნაძერწ, ნაქედ, ნაჩუქურთმებ დეტალს, ძალუმაღ და მშვი-
დად შეერთებულს დიდებულ ანსამბლად. ის, ასე რომ ვთქვათ,
უზარმაზარი ქვის სიმფონიაა. უშველებელი ქმნილება ადამიანისა
და ხალხისა, რთული და ერთიანია, ვითარცა „ილიადა“, და „რო-
მანსერო“, რომელთა ღვიძლი და არის იგი, საოცარი ნაყოფი მთე-
ლი ეპოქის ყველა ძალთა შეერთებისა, სადაც ყოველი ქვიდან ასე-
ული ფორმით გამოსჭვივის ხელოვნის გენიით წარმართული მუ-
შის ფანტაზია; ერთი სიტყვით. იგი არის ადამიანის ხელით აღმარ-
თული ქმნილება, მძლავრი და უხვი. ვითარცა ღვთაებრივი ქმნი-
ლება. რომელსაც მან თითქოს იღუმალ მოსტაცა ორმაგი ხასიათი:
მრავალფეროვნება და მარადისობა.

და რასაც აქ წინახედზე ვამბობთ. მთელ ტაძარზე უნდა ითქვას:
ხოლო რასაც ვამბობთ პარიზის კათედრალურ ტაძარზე, იგივე

* ქამი ხარბია, კაცი უხარბესი (ლათ.).

უნდა ითქვას შუა საუკუნეების უველა ქრისტიანულ ეკლესიაზე. ამ ხელოვნებაში, რომელიც თვითონ წარმოიშვა. ყველაფერი ლოგიკურია და უაღრესად პროპორციული. ფეხის თითი რომ გაზომო, ამით გაზომილია მთელი გიგანტი.

დაგუბრუნდეთ ლეთისმშობლის ტაძრის წინახედს იმ სახით, როგორც იგი წარმოგვიდგება ამჟამად, როცა მოწიწებითა და თაყვანისცემით ვკვრეტთ ამ მძიმე და მძლავრ კათედრალს, რომელიც, მის მემბტიანეთა თქმით შიშს აღძრავს: *quae mole sua terrorem iniecit spectantibus**.

სამი მნიშვნელოვანი რამ აკლია ამჟამად ამ წინახედს: უპირველეს. თერთმეტსაფეხურიანი კიბე, რომელიც მას ოდესღაც ამაღლებდა მიწიდან; შემდეგ, ლუსკუმების ქვემო მწკრივი, რომელთაც ეჭირათ სამი მთავარკარის წალოები, და ქანდაკებათა ზედა მწკრივი საფრანგეთის ძველი ოცდარვა მეფისა, რომლებიც ამკობდნენ პირველი სართულის ტალანს, დაწყებული ჰილდებერტით და გათავებული ფილიპ-ავგუსტით, რომელსაც ხელთ ეპყრა „ვაშლი ხელმწიფებისა“.

კიბე გააქრო დრომ და ჟამმა, რადგან სიტეს ნიადაგის დონე დროთა განმავლობაში ნელა და შეუჩერებლივ მადლა იწვედა. მაგრამ თუ დრომ საშუალება მისცა პარიზის ქვაფენილის მოზღვავენებას ერთიმეორეზე მიყოლებით შთაენთქა ეს თერთმეტი საფეხური, რომელიც აძლიერებდა შენობის დიდებულ სიმაღლეს, სამაგიეროდ იმავე დრომ ტაძარს, შესაძლებელია, დაუბრუნა იმაზე მეტი, ვიდრე წაართვა, რადგან დრომ და ჟამმა მიანიჭა მის ხედს ის მუქი ფერი საუკუნეთა, რომელიც ძეგლის სიძველეს მისი სილამაზის გაფურჩქვნის ასაკად აქცევს.

მაგრამ ვინ დაამხო ქანდაკებათა ის ორი მწკრივი? ვინ დააცარიელა წალოები? ვინ ამოკვეთა ცენტრალური მთავარკარის შუაში ეს ახალი და უკანონო ისრული კამარა? ვინ გაბედა ჩაესვა აქ, ბისკორნეტის არაბესკების გვერდით, ეს უგემური და ტლანქი ხის კარი, ნაძერწი ლუი XV-ის ყაიდაზე? — ადამიანებმა, არქიტექტორებმა, ჩვენმა დღევანდელმა ხელოვანებმა.

ახლა თუ შეველთ შენობის შიგნით, ვინ დაამხო წმინდა ქრისტოფის კოლოსალური ქანდაკება, რომელიც ისევია სახელგანთქმული ქანდაკებათა შორის, როგორც მართლმსაჯულების სასახლის დიდი დარბაზი სხვა დარბაზთა შორის, როგორც სტრასბურგის

* რომელიც მნახველებს შიშს უნერგავს თავისი უშველებელი შესახედაობით (ლათ.).

გუმბათის წვერო სამრეკლოთ: შორის? ვინ განდევნა, ვინ გაწმინდა ასე უდიერად მირიადი ქანდაკებანი, რომლებითაც დასახლებული იყო ნავსა და პატრონიკეს სვეტებს შორის შუალედები, ქანდაკებანი — მუხლმოდრეკილნი, ფეხზე მდგომნი, ცხენოსანნი; ქანდაკებანი—მამაკაცთა, დედაკაცთა, ბავშვთა, მეფეთა, ეპისკოპოსთა, მეომართა; ქანდაკებანი — ქვისა, მარმარილოსი, ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძისა, თვით ცვილისაც კი? ვინ განდევნა ყოველივე ეს? — არასგზით არა დრომა და ჟამმა.

ვინ შეცვალა ძველი გოტიკური საკურთხეველი. ბრწყინვალედ და უხვად გაწყობილი ტაგრუცებითა და კიდობნებით, ვინ დადგამის მაგიერ ეს მძიმე მარმარილოს სარკოფაგი ანგელოზების თავებითა და ღრუბლებით, თითქოს ვალ-დე-გრასის ეკლესიის ან ინვალიდების სახლის არქიტექტურული ნიმუში მოხვედრილიყოს აქ? ვინ ჩასვა ასე სულელურად ჰერკანდუსის ნამუშევარ კარლოვინგების იატაკის ფილებში ეს ქვის მძიმე ანაქრონიზმი? ლუი XIV ხომ არა, რათა აღესრულებინა ლუი XIII-ის სურვილი?

ვინ ჩასვა ეს თეთრი და ცივი შუშები იმ ფერადი მინების ადგილას, რომლებიც ჩვენს მამა-პაპათა თვალს ხიბლავდა და მათ მოჯადობებულ მზერას მიიპყრობდა ხან დიდი მთავარკარის მრგვალი სარკმლისაყენ, ხან აბსიდის ისრული სარკმლისაყენ? და რას იტყოდა მეთექვსმეტე საუკუნის რომელიმე მედავიტნე, როცა შეხედავდა ამ „მშვენიერ“ ყვითელ წებოვან საღებავს, რომლითაც ჩვენმა ვანდალმა არქიებისკოპოსებმა შეთხუპნეს მათი კათედრალი? მას მოაგონდებოდა, რომ სწორედ ამ ფერს წასცებდა ხოლმე ჯალათი მსჯავრდარებულთა შენობებს; გაახსენდებოდა ჰოტელ პტი-ბურბონი¹, მთლიანად ასევე ამ ყვითელი წებოვანი საღებავით შეგლეხილი, კონეტაბლის ღალატის აღსანიშნავად; „მერე, ეს ყვითელი საღებავი, — ამბობს სოვალი, — ისეთი კარგი და მტკიცე თვისებისაა, რომ ერთ საუკუნეზე მეტია და ჯერაც არ დაუქარგავს თავისი ფერი“. რომელიმე მედავიტნე იფიქრებდა. ადგილი ესე წმინდა შებლალული არს, და შეძრწუნებული განელტვოდა მას.

ახლა თუ ავაღთ ტაძარზე, არ შევჩერდებით ყოველგვარი ბარბაროსობის ათასობით ნაკვალევზე და ვიკითხავთ, რა დაემართა პატარა წარმტაც სამრეკლოს, რომელიც დამყარებული იყო კამაროვანი ჯვარედის გადაკვეთის წერტილზე. და რომელიც ისეთივე მყიფე იყო და ისევე თამამად მიიწევდა ზევით, როგორც მისი მეზობელი, სენტ-შაპელის გუმბათის წვეტი (ისიც დანგრეული); ცაში აპრილი. ბევრად უსწრებდა იგი კოშკებს, ტანწერწეტა, ახოვანი, წვერწამახული, მოგუგუენე, ფაქიზი და შექნარნარა. ერთმა

„კარგი“ გემოვნების არქიტექტორმა (1787) იგი მოკვეთა და კრილობის დასაფარავად საკმარისად მიიჩნია ზედ დაედო ეს ტყვიის ფართო სალბუნი, რომელიც ქვაბის ხუფსა ჰგავს.

ასე ეპყრობოდნენ შუა საუკუნეების ხელოვნების საკვირველ ძეგლებს თითქმის ყველა ქვეყანაში, ნამეტნავად საფრანგეთში. მის ნანგრევებზე შეიძლება გავარჩიოთ სამი სახის მეტნაკლებად ღრმა დაზიანებანი: უპირველეს, დროს შეუშინველად აქა-იქ დაუტყვილავს და ყველგან ჟანგით დაუფარავს მისი ზედაპირი; შემდეგ, ჩოჩქოლითა და ალიაქოთით მას თავს დაატყდნენ, თავისი ბუნებით ბრმა და მრისხანე, პოლიტიკური და რელიგიური რევოლუციები, რომელთაც დაგლიჯეს მისი მდიდარი ხუროთმოძღვრული და ქედური სამოსელი, ჩაამსხვრიეს მისი მრგვალი სარკმლები, ჩამოგლიჯეს ფარღულები არაბესკებიდან და ლუსკუმებიდან, დაამსხვრიეს ქანდაკებანი — ერთნი იმის გამო, რომ თავზე მითრა ეხურათ, მეორენი კი იმის გამო, რომ გვირგვინი ედგათ თავზე; ბოლოს, თავიანთი ხელი დაატყვეს მოღებმა, სულ უფრო სასაცილო და სულელურმა მოღებმა, რომლებიც, აღორძინების ხანის ანარქიულ და მაინც ბრწყინვალე გადახვევათა შემდეგ, ერთმანეთს ცვლიდნენ ხუროთმოძღვრების აუცილებელი დაცემა-დაქვეითების დროს. მოღებმა უფრო მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე რევოლუციებმა, ისინი იკრებოდნენ ხელოვნების სისხლსა და ხორცში, მათ იერიში მიჰქონდათ ხელოვნების თვით დედაბურჯზე, თვით ჩონჩხზე, ისინი ჩეხდნენ, სკრიდნენ, აქუცმატებდნენ, არივ-დარიეს, ჩაკლეს შენობაში როგორც ფორმა ისე სიმბოლო, როგორც აზრი ისე სილამაზე. მერმე კიდევ, მოღებმა მოისურვეს მათი გადაკეთება, რასაც არ ჩემულობდნენ არც დროჟამი და არც რევოლუციები. „კარგი გემოვნების“ საბაბით მათ ურცხვად მოურთავთ გოტიკური ხუროთმოძღვრების კრილობები თავიანთი უბადრუკი, დღემოკლე და უსარგებლო წვრილმანებით, თავიანთი მარმარილოს ბაფთებით, ლითონის ბურთისებური სამკაულებით, კვერცხისებური ჩუქურთმებით, ხეიბით, ფერსოებით, მოფარდაგულებით, ყვავილწნულებით, ფოჩებით, ქვის ალისებური ენებით, ბრინჯაოს ღრუბლებით, ჩასუქებული ზორზოხა ამურებითა და გაბერილ-გასიებული ქერუბიმებით, რომლებიც ნამდვილი კეთრივით იწყებენ ხელოვნების ნათელი სახის შთანთქმას ჯერ კიდევ ეკატერინე მედიჩის სამლოცველოში, ხოლო ორი საუკუნის შემდეგ სულაც სულს ამოხდიან ამ ნატანჯნაცოდვილარ და პრანქია ხელოვნებას დიუბარის ბუღუარში¹.

ამრიგად. მოკლედ ვიტყვით იმას, რაც ახლა აღვნიშნეთ: სამი სახის ზიანი ამანჩნჯებს დღეს გოტიკურ ხუროთმოძღვრებას. ნაო-

კები და მეკეკები ზედაკანზე — ეს ღროის ნამუშევარია. უხეში ძალმომრეობის კვალი, დაეყილობა, მოტეხილობა, გამონგრევა — ეს რევოლუციების ნახელავია ლუთერიდან¹ დაწყებული მირაბომდე². დამახინჯება, დასახინჩრება, მოკვეთა, ნაწილების დაშლა და ცვლილება თვით აგებულებაში, თვით ჩონჩხედში, ეგრეთწოდებული „რესტავრაციები“ — ეს ბერძნებისა და რომაელების მიმბაძველების, ვიტრუვისა და ვინიოლის³ უბადრუკი მიმბაძველი სწავლულების ბარბაროსული ნაცოდვილარია. ვანდალების შექმნილი დიდებული სელოვნება აკადემიკოსებმა ჩაკლეს. საუკუნეებს, რევოლუციებს, რომლებიც მიუყვარდობლად და მედიდურად მაინც ანგრევდნენ, შეუერთდნენ უამრავი სკოლური არქიტექტორები, პატენტეიანები, ნაფიცნი, აღიარებულნი, ცუდი, წუნია გემოვნების კარნახით შეგნებულად რომ დაანგრის და ლუი XV-ის ვარდკაპუკებით შეცვალეს გოტიკის მაქმანები პარტენონის დიდ სასახელოდ. ასე წიხლავს ვირი მომაკვდავ ლომს. ასე ღრღნიან, აფულუროვებენ, კრიან და სერეტენ მუხლუხა კიები გამხმარ მუხას.

ჩაოდენ შორს არის ის ღრო, როდესაც რობერ სენალისი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს აღარებდა ეფესის დიანას სახელოვან ტაძარს, „ესოდენ სახელოვანქმულს ძველ წარმართთა მიერ“, რომელმაც უკვდავყო პეროსტრატე. და მიაჩნდა, რომ გალთა კათედრალი „უფრო ჩინებულაა სიგრძით, სიგანით, სიმაღლითა და აღნაგობით“ *.

თუმცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არ შეიძლება სრული, დამთავრებული, გარკვეული ხასიათის ძველი ეწოდოს. იგი უკვე აღარ არის რომანული სტილის ეკლესია, მაგრამ ჯერ არც მთლად გოტიკურია. ეს შენობა არ არის ერთი გარკვეული ტიპისა. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს სულაც არა აქვს, ტურნიუსის საბატოს მონასტერივით, ისეთი მძიმე და მასიური განიერი მხარბეკი, მრგვალი და ფართო თაღი, გამყინავი სიტიტვლე, შენობის დიდებული უბრალოება, რომელთა მსახველი არის მრგვალი კამარა, სრული რკალი. იგი არ არის, როგორც ბურჟის კათედრალი, არც გოტიკის ბრწყინვალე ნაწარმოები, მსუბუქი. მრავალსახოვანი, წვრილმანებით უხვად დატვირთული, ისრების წვეტებით აქოჩრილი. ასევე შეუძლებელია მივაკუთვნოთ იგი პირქუში, იღუმალი, დაბალი. თითქოს სრულ კამაროვანი თაღებისაგან გასრესილი ეკლესიების ძველ ოჯახს, თითქმის ეგვიპტურ ტაძრებს რომ მოგვაგონებენ, გარდა მათი კერისა, მთლიანად იეროგლიფურს, სრულიად ქურუმი-

* Histoire gallicane. Liv. II, période III, f°130, p. 1 (ავტორის შენიშვნა).

სეულს. სიმბოლიურს, რომელთა ორნამენტები უფრო დატვირთულია რომბებითა და კლაკნილებით, ვიდრე ყვავილებით, უფრო ყვავილებით, ვიდრე ცხოველებით, უფრო ცხოველებით, ვიდრე ადამიანებით; და ეპისკოპოსთა ქმნილებებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე არქიტექტორებისას. ისინი გამოხატავენ იმ ხელოვნების პირველ გარდაქმნას, რომელიც მთლიანად ასახავდა თეოკრატიულ და სამხედრო სულისკვეთებას, სათავეს იღებდა რომის აღმოსავლეთ იმპერიაში და მიიღწია ვილჰელმ დამპყრობელამდე¹. შეუძლებელია ასევე ჩვენი კათედრალი მოვითავსოთ მაღალი, ჰაეროვანი, მინიანი სარკმლებითა და ქანდაკებებით მდიდარ ეკლესიათა მეორე ოჯახში, რომლებიც ფორმით წერწეტია, წვერწამახული და პოზით თამამი, საზოგადოა და სამოქალაქო როგორც პოლიტიკის სიმბოლო, თავისუფალი, ახირებული და თავდაუშქერელია როგორც ხელოვნების ქმნილებანი; ისინი ასახავენ მეორე გარდაქმნას ხუროთმოძღვრებისა, რომელიც უკვე აღარ არის იეროგლიფური, უცვლელი, ურყევი და სასულიერო, საქურუმო, არამედ უკვე არტისტიულია, მხატვრულია, პროგრესულია და ხალხური, ჯვაროსანთა დაბრუნებიდან დაწყებული და ლუი XI-ის მეფობისას დამთავრებული. ასე რომ პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი არც წმინდა რომანული გვარისაა, როგორც ის პირველი ძეგლები, და არც წმინდა არაბული გვარისა, როგორც მეორენი.

იგი გარდამავალი ხანის შენობაა. ის იყო საქსონელმა ხუროთმოძღვარმა დაამთავრა ნეფის პირველი სვეტების აყვანა, როდესაც ჯვაროსანთა ლაშქრობიდან ჩამოტანილი ისრული კამარა გამარჯვებით დაედგა ფართო რომანულ სვეტისთავეებს, რომლებსაც მხოლოდ სრული მრგვალი თალი უნდა დაყრდნობოდა. მას შემდეგ ისრული კამარა გაბატონდა და ეკლესიის მთელ ფორმას აყალიბებს. თავიდან ჯერ უცადი და მოკრძალებული, იგი ფართოვდება. ვრცელდება, განიერდება, მაგრამ მაინც თავშეკავებულია, და ჯერ კიდევ ვერ ბედავს თავისი ისრების წვეროებით, მაღალი კამარებით, ტანწერწეტი და წვერწამახული გუმბათებით ცას მიაშუროს, როგორც ეს ჰქმნა მან უფრო მოგვიანებით ესოდენ საკვირველ ტაძრებში. კაცს ეგონება მძიმე რომანული სვეტების მეზობლობა ავიწროებსო.

თუმცა უნდა ითქვას, რომანულიდან გოტიკურზე გარდამავალი ხანის ეს შენობები არა ნაკლებ ძვირფასია შესასწავლად. ვიდრე წმინდა ტიპის ძეგლები. ისინი გამოხატავენ ხელოვნების იმ ელფერტს, რომლებიც უამათოდ დაიკარგებოდა. ამით ისრული კამარა დაემყნო სრულ მრგვალ თაღს.

სწორედ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ასეთი ნაირგვარობის ღირსშესანიშნავი ნიმუშია. თვითეული მხარე, თვითეული ქვა ამ ღირსსაპატიო ძეგლისა არის არა მარტო ქვეყნის ისტორია, იგი არის აგრეთვე მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორია. აქ აღენიშნავთ მხოლოდ მთავარ თავისებურებებს. მაშინ როდესაც პატარა წითელი კარი აღწევს მეთხუთმეტე საუკუნის გოტიკური ხუროთმოძღვრების სიფაქიზის თითქმის საზღვარს, ნაგის სვეტები თავიანთი მოცულობითა და სიმძიმით მოგვაგონებენ კაროლინგების¹ დროის სენ-ჟერმენ-დე პრეს სააბატო მონასტერს. ასე გეგონებათ ექვს საუკუნეს გაუვლია ამ კარებსა და სვეტებს შორისო. ყველა, თვით პერმეტიკებიც კი დიდი² მთავარკარის სიმბოლიურ მორთულობაში ნახულობდნენ თავიანთი მეცნიერების საკმაოდ შემოკლებულ მიმოხილვას. რომლის სრულ გამოხატულებას წარმოადგენდა სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის ეკლესია. ამრიგად, რომანული სააბატო. ფილოსოფიური ეკლესია, გოტიკური ხელოვნება, საქონური ხელოვნება, მძიმე მრგვალი სვეტები, რომლებიც მოგვაგონებენ გრეგორ VII-ს², პერმეტიკების სიმბოლიკა, რითაც ნიკოლა ფლამელი წინ უძღოდა ლუთერს. პაპის ერთმბრძანებლობა, ეკლესიათა განყოფა, სენ-ჟერმენ-დე პრე. სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრი, — ყველაფერი ეს გადნა და შეერთდა, ერთმანეთს შეერია, გადაეხლართა, შეერწყო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. ეს მთავარი და წინაპარი ტაძარი პარიზის ძველ ეკლესიებს შორის ქიმერის მაგვარი რამ არის; მას თავი ერთი ეკლესიისა აქვს, ნაწილები, კიდურები — მეორისა, ტანი, ზურგი — მესამისა და მაინც რაღაც საერთო აქვს ყველასთან.

ვიმეორებთ, ეს შეჯვარებული ნაგებობანი ნაკლებ საინტერესო როდია ხელოვანისათვის. სიძველეთა მოყვარულისათვის, ისტორიკოსისათვის. ისინი გვაგრძნობენ, თუ რამდენად პირვანდელია ხუროთმოძღვრული ხელოვნება. თვალაჩინოდ გვიმტკიცებენ, ისე როგორც ამას გვიჩვენებს და გვიდასტურებს აგრეთვე ციკლოპურ ნაგებობათა ნიშანკვალი, ეგვიპტური პირამიდები და პინდუს გიგანტური ტაძრები — პაგოდები. — რო მ ხ უ რ თ მ ო ძ ჳ რ ე ბ ი ს დ ი დ ი ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ნ ი ი მ დ ე ნ ა დ ც ა ლ კ ე პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი რ ო დ ი ა , რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც მ თ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ნ ა მ ო ღ ვ ა წ ა რ ი ; ი ს ი ნ ი უ ფ რ ო მ ე - ტ ა დ ხ ა ლ ხ ი ს შ რ ო მ ი თ ა და ო ფ ლ ი თ ა რ ი ს შ ე ქ მ ნ ი - ლ ი , ვ ი ნ ე მ გ ე ნ ი ო ს ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ზ ე შ თ ა გ ო ნ ე ბ ი თ . ეს ერის მიერ კულტურის საგანძურში დატოვებული ანაბარია, დაგროვებული, დახვინებული საუკუნეობით, ნაშთი, ნალექი ადამიანთა

საზოგადოების თანმიმდევრული აორთქლებისა; ერთი სიტყვით, იგი ერთგვარი ფორმაციაა. ეპითაბრუნვის ყოველ ზვირთს ზედ თავისი ნალექი და ნარიყი დაუტოვებია, ყოველ თაობას ძეგლზე თავისი ფენა დაუდგია. ყოველ ადამიანს თავისი ქვა მიუტანია. ასე იქცევიან წავები, ასე იქცევიან ფუტკრები, ასე იქცევიან ადამიანები. ხუროთმოძღვრების დიდი სიმბოლო, ბაბილონი, სკა არის.

დიდი შენობები, ისე როგორც დიდი მთები, საუკუნეების ქმნილებებია. ხშირად ხელოვნება ფორმას იცვლის, ისინი კი ჯერაც არ დამთავრებულა, *pendent opera interrupta**. მაშინ ისინი მშვიდად აგრძელებენ ფორმაშეცვლილი ხელოვნების მიმართულებას, ახალი ხელოვნება ხელს ჰკიდებს ძეგლს იმ სახით, როგორც ნახულობს, ჩაქედობა შიგ ვითარცა მოოქვილი რამ, დაიმსგავსებს მას, გაშლის, განავითარებს თავისი ფანტაზიის თანახმად, და, თუ შესძლო, დამთავრებს. ეს სამუშაო სრულდება აუღელვებლად, ძალღონის დაუძაბავად, წინააღმდეგობის გაუწევლად, მისდევს ბუნებრივ და მშვიდ, მიუყერძოებელ კანონს. იგი სამყაროში რქაა, რომელმაც იგვარა, იგი წვენია, რომელიც მიმოიქცევა, იგი მცენარეა, რომელმაც იხარა. ცხადია, ის მშვენიერი მასალაა დიადი წიგნისა, ხშირად კი კაცობრიობის საყოველთაო ისტორიისა, ასახული სხვადასხვა ხელოვნების ამ თანმიმდევრულ შედუღება-შეერთებაში ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა სიმაღლეზე. ადამიანი, ხელოვანი, ინდივიდუმი წაშლილია ამ უშველებელი მასის ზედაპირზე და შემოქმედის გვარი და სახელიც კი არ დარჩენილა. მასში ზოგადად აისახა და შეჯამდა ადამიანის გონება. აქ დროა ხუროთმოძღვარი, ხალხი კი — კალატოზი.

როდესაც ვაკვირდებით მხოლოდ ევროპულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას, აღმოხავლეთის დიად ქვითნაგებობათა ამ უმცროს დას. ჩვენს თვალთა წინაშე წარმოსდგება განუზომელი ფორმაცია; გაყოფილი სამ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ზონად, რომლებიც ერთმანეთზეა დაწყობილი: რომანული ზონა**, გოტი-

* შეწყვეტილა სამუშაო (ლათ.) ვერგილიუსი.

** ეს ის ხელოვნებაა, რომელსაც ადგილის, კლიმატისა და ადამიანთა მოდგმის მიხედვით უწოდებენ ასევე ლომბარდულს, საქსონურსა და ბიზანტურს. ეს ოთხი ხუროთმოძღვრება დებივით არიან და პარალელურად არსებობენ, თვითუღს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მაგრამ ერთი და იმავე პრინციპთან, მრგვალი კამარადან წარმოსდგებიან.

„Facies non omnibus una,
Non diversa tamen, qualem“, etc.

„სახე თუმც ერთი არა აქვთ,
მაგრამ ერთმანეთს ძალიან ჰგვანან“ და ა. შ. (ლათ.).
(აეტორის შენიშვნა).

კური ზონა, ალორძინების ზონა, რომელსაც სიამოვნებით, დავარქმევდით ბერძნულ-რომაულს. რომანული ფენა, ყველაზე უფრო ძველი და ღრმა, წარმოდგენილია მრგვალი თაღით, რომელიც ბერძნულ სვეტზე დამყარებული კვლავ გამოჩნდება ალორძინების ხანის ახალ ზემო ფენაში. ამ ორ ფენას შორის არის ისრული კამარა. ის შენობები, რომლებიც ამ სამი ფენიდან ერთ რომელიმე ფენას ეკუთვნიან, სრულიად განსხვავდებიან სხვებისაგან, ერთიანი და დამთავრებული არიან. ასეთია, მაგალითად, საბატო მონასტერი უიუმიეჟ, რეიმსის ტაძარი, ორლენის წმინდა ჯერის მონასტერი. მაგრამ ეს სამი ზონა კიდევებით ერთმანეთს შეერევა, შეუერთდება, შეერწყმება როგორც ფერები მზის სპექტრში. აქედან არის რთული, შერეული სტილის ტაძრები, გარდამავალი ხანის სხვადასხვა ელფერის შენობები. მათ შორის შეგხვდებით რომანული ძეგლი თავისი საფუძვლით, გოტიკური—შუაწელით, ბერძნულ-რომაული—გუმბათით. ეს იმის ბრალია, რომ ექვსასი წელი შენდებოდა. თუმცა ასეთი ნაირგვარობა რწვიათია. ამის ნიმუში ეტამპის სასახლის კოშკია. მაგრამ ორი ფორმაციის ძეგლი უფრო ხშირია. ასეთია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ისრულ კამარიანი შენობა, რომელიც თავისი პირველი სვეტებით ინერგება ამ რომანულ ზონაში, სადაც ჩაძირულია სენ-დენის მთავარკარი და სენ-ჟერმენ-დე-პრეს ნეფი. ასეთია ბოშერვილის კაპიტულის ნახევრად გოტიკური მომხიბლავი დარბაზი, ნახევრად რომანული ფენით დაფარული. ასეთია რუანის კათედრალი, რომელიც მთლიანად გოტიკური იქნებოდა, მისი სამრეკლოს ცენტრალური გუმბათის წვეტი ალორძინების ხანის ზონაში რომ არ იჭრებოდეს*.

თუმცა, ყველა ეს ელფერი, ყველა ეს განსხვავება შენობას მარტო ზედაპირს ეტყობა. აქ ხელოვნებამ მხოლოდ გარსი იცვალა. თვით ქრისტიანული ტაძრის აღნაგობა ხელუხლებელია. შინაგანი ჩონჩხი ყოველთვის იგივეა, იგივეა ნაწილთა ლოგიკური განლაგება. რა ქანდაკებებითა თუ ჩუქურთმებით, ნაძერწი თუ ნაქარგი მორთულობითაც უნდა იყოს შემკული ტაძრის გარსი, მის ქვეშ, მის შიგნით ყოველთვის ნახავთ, თუნდაც ჩანასახის ან საწყისი ფორმით რომაულ ბაზილიკას. იგი მიწაზე მუდამ ერთი და იმავე კანონით განლაგდება. ის უდავოდ წარმოადგენს ორი ერთი და იმავე ნეფის, ნავის ჯვარისებურ გადაკვეთას, რომლის ზემო ბოლო, აბ-

* გუმბათის წვეტის ეს ნაწილი, რომელიც ხის ძელისაგან იყო გამოთლილი, სწორედ ის არის, 1823 წელს მეხი რომ დაეცა და ცეცხლმა შთანთქა. (აეტორის შენიშვნა).

სიღით დამრგვალებული, ჰქმნის მხარს, პატრონიკეს. მუდამ იგივე გვერდითი ეკვდრები შინაგანი პროცესებისათვის, სამლოცველოებისთვის, გვერდითი გასასვლელების მაგვარი რამ, რომელსაც ცენტრალური ნეფი უერთდება სვეტებს შორის შუალედებით. ამ მკვიდრ საფუძველზე უსაზღვროდ იცვლება რიცხვი სამლოცველოებისა, მთავარკარებისა, სამრეკლოებისა, გუმბათების ისრებისა, საუკუნის, ხალხისა და ხელოვნების ფანტაზიის მიხედვით. ღეთის-მსახურების ყველა წესი გათვალისწინებული და უზრუნველყოფილია, დანარჩენში ხელოვნება იქცევა ისე. როგორც მოესურვება. ქანდაკებებს, მინიან თუ მრგვალ სარკმლებს, არაბესკებს, ჩუქურთმებს, ლავგარდანებს, სვეტისთავეებს, ბარელიეფებს იგი ახამებს თავისი წარმოსახვითა და გემოვნებით როგორც ჯერ არს სათანადო წესების თანახმად. აქედან წარმოსდგება საოცარი გარეგანი მრავალფეროვნება ამგვარი შენობებისა, რომელთაც საფუძველად უდევს ესოდენი წესი და ერთიანობა. ხის ღერო უცვლელია, ფოთლები — ჟინიანი, ცვალებადი და ახირებული.

II

პარიზი ჩიტიის საფრენი სიმაღლიდან

ჩვენ ეს-ეს არის შევეცადეთ აღვედგინა მკითხველის წინაშე პარიზის ღეთისმშობლის თვალწარმტაცი ტაძარი. მოკლედ აღვნიშნეთ დიდი ნაწილი იმ სილამაზეთა, რომელიც მას ჰქონდა მეთხუთმეტე საუკუნეში და დღეს კი აკლია; მაგრამ გამოგვჩა მთავარი, პარიზის ხედი, რომელიც მაშინ თვალწინ იშლებოდა მისი კოშკების სიმაღლიდან.

მართლაც, როდესაც სამრეკლოების სქელ კედელში შეეუღლად შეჭრილ ბნელ, სპირალივით ხვეულ კიბვს ხელისცეცებით აუყვებოდით და ბოლოს უეცრად ერთ-ერთ მაღალ, ჰაერიან და დღის სინათლით გაშუქებულ ბაქანზე გახვიდოდით, ერთ და იმავე დროს ყოველი მხრიდან თვალწინ გადაგეშლებოდათ დიდებული სურათი, თავისებური (*sui generis*) სანახაობა, რაზეც შეუძლიათ ადვილად შეიღებინონ აზრი ჩვენი მკითხველებიდან მხოლოდ იმათ, ვისაც ბედნიერება ჰქონია ენახა რომელიმე ძველი გოტიკური ქალაქი, სრული, მთლიანი, ერთგვაროვანი სახით შენახული, როგორც, მაგალითად, ნიურნბერგი ბავარიისში, ვიტორია ესპანეთში ან თუნდაც სულ მცირე ნიმუშები ისეთი ქალაქებისა, ოღონდ დიდი ზრუნ-

ვით დაცული და შენახული, როგორც არის ვიტრე ბრეტანში, ნორდპაუზენი პრუსიაში.

პარიზი სამასორმოცდაათი წლის წინ, მეთხუთმეტე საუკუნის პარიზი უკვე გიგანტური ქალაქი იყო. ჩვენ, პარიზელები საერთოდ ვცდებით, როდესაც ვფიქრობთ, თითქოს პარიზის ტერიტორიამ მას მერე იმატა. პარიზი ლუი XI-ის შემდეგ ერთ მესამედზე ცოტა მეტით თუ გაიზარდა. და უთუოდ უფრო მეტი წააგო სილამაზეში, ვიდრე მოიგო სიდიდეში.

პარიზი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა სიტეს ძველ კუნძულზე, რომელსაც აკენის ფორმა აქვს. ამ კუნძულის ქვიშიანი ნაპირი მისი პირველი საზღვარი იყო, ხოლო სენა მისი პირველი თხრილი. პარიზი რამდენიმე საუკუნეს არსებობდა როგორც კუნძული და ჰქონდა ორი ხიდი, ერთი — ჩრდილოეთით, მეორე — სამხრეთით; ხიდი მთავრდებოდა ორი კოშკით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდნენ კიშკრებსაც და ციხე-სიმაგრესაც: გრან-შატლე — მარჯვენა ნაპირზე, პტი-შატლე — მარცხენა ნაპირზე.

მერმე, პირველი სამეფო დინასტიიდან დაწყებული, მეტისმეტად შევიწროებულ პარიზს აღარ შეეძლო თავის კუნძულზე გაშლილიყო და ამიტომ წყალგალმა გადავიდა. მაშინ როგორც გრან-შატლეს, ისე პტი-შატლეს იქით, სენის ორივე მხარეს დაიწყო ციხე-სიმაგრეთა პირველი სქელკედლებიანი და კოშკებიანი გალავანის შექრა მიხდვრებში. ამ უძველესი გალავნიდან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რაღაც კვალი შენახულიყო; დღეს აღარაფერი დარჩენილა, გარდა მოგონებისა და აქა-იქ შემორჩენილი გადმოცემისა, ბოდეს ან ბოდუაის კიშკრისა. porta Bagauda-სი. ქალაქის გულიდან ყოველდღიურად გამოდევნილმა სახლების ნაკადმა თანდათან წალეკა, გამოთხარა, გალია, ალგავა და გააქრო ეს ზღუდე. ფილიპ-ავგუსტმა მას ახალი კაშხალი დაახვედრა. მთელი პარიზი სქელი, მაღალი და მკვიდრი ციხე-კოშკების წრისებურ ჯაჭვში მოამწყვდია. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში სახლები ერთმანეთს ეკვროდნენ, ერთად ქუჩდებოდნენ და მათი დონე მაღლა იწევდა ამ აუზში, როგორც წყლის დონე წყალსაცავში. მათ სიღრმეში იწყეს შექრა. სართული სართულს მოედგა, ერთი მეორეზე აბობლდა, დაწნეხილ-შეკუმშულ სიბუნძავით ზევით გაეშურა, თვითეული მათგანი თავს მეზობლებზე მაღლა სწევდა, რათა ცოტა მეტი ჰაერი მიეღო. ქუჩები უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ვიწროვდებოდა. ყველა მოედანი დაიფარა ნაგებობითა და გაქრა. ბოლოს სახლები ფილიპ-ავგუსტის ზღუდის კედლებსაც გადაეწო თავსა და გაქცეული პატიმრებივით ვაკეზე მხიარულად, უწესრიგოდ, წალმა-უკულ-

მა გაიფანტნენ. მინდორში ბალები შემოიღობეს, მოეწყნენ, გაიქიმნენ. 1367 წლიდან ქალაქი ისე გაიშალა და გავრცელდა გარეუბნებში, რომ საჭირო გახდა ახალი ზღუდე-გალავანი, მეტადრე მარჯვენა ნაპირზე. იგი შარლ V-მ ააგო. მაგრამ ისეთი ქალაქი, როგორც პარიზია მუდმივად ხარობს და იზრდება. სწორედ ასეთი ქალაქები იქცევა სატახტო ქალაქებად. ისინი ის ძაბრებია, საითაც მიედინება ქვეყნის ყველა სადინარო: გეოგრაფიული, პოლიტიკური, მორალური, ინტელექტუალური; საითაც მიმართულია ხალხის ყველა ბუნებრივი მიდრეკილება; ისინი, ასე რომ ვთქვათ, ცივილიზაციის ქვებია, არხები, საითაც გაყონავს და სადაც გროვდება შეუწყვეტლივ, წვეთ-წვეთობით, საუკუნეობით: ვაჭრობა, მრეწველობა, ქუთა-გონება განათლება, მოსახლეობა, ყველაფერი, რაც კი ძალ-ღონის მქონეა, ნაყოფის მომცემია, მაცოცხლებელია, ყველაფერი, რაც კი ერის სული და გულია. შარლ მეხუთის ზღუდეს იგივე ბედი ეწია, რაც ფილიპ-ავგუსტის ზღუდე-გალავანს. მეთხუთმეტე საუკუნის დამლევდიან მასაც გადააღაგეს, გადააცილეს და გარეუბანმა კიდევ შორს გაიწია. მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ზღუდეც თითქოს სულ უფრო და უფრო უკან იხევს ძველი ქალაქ-საკენ, იმდენად განზე გაიწია უკვე ახალმა ქალაქმა. ამრიგად, მეთხუთმეტე საუკუნეში, რომელზეც ჩვენ აქ შევჩერდით, პარიზმა უკვე აღგავა იმ კედელთა სამი კონცენტრიული წრე, რომელთა ჩანასახი, ასე რომ ვთქვათ, იულიან განდგომილის დროს იყო გრან-შატლესა და პტი-შატლეში. მძლავრმა ქალაქმა ერთმანეთზე მიყოლებით ზედიზედ გაწყვიტა ოთხი ქამარი, ოთხი სარტყელი, ისე როგორც გაზრდილი ბავშვი ვეღარ ეტევა თავის შარშანდელ ტანსაცმელში და არღვევს. ლუი XI-ის დროს სახლების ამ ზღვაში ალაგ-ალაგ კიდევ მოჩანდა ძველთა-ძველი ზღუდე-გალავნის ნანგრევებად ქცეული კოშკების რამდენიმე ჯგუფი, როგორც ბორცვების წვეროები წყალდიდობისას, როგორც ძველი პარიზის კუნძულები, ახალი ქალაქის ზეირთებისგან დაფარული.

მას შემდეგ, პარიზი კიდევ გარდაიქმნა, ჩვენდა საუბედუროდ. მაგრამ მან მხოლოდ ერთი ზღუდეღა გადალახა, ლუი XV-ის გალავანი, ეს ტალახისა და ფურთხისაგან შეკოწიწებული უბადრუკი კედელი, ღირსი და დამამშვენებელი მისი ამშენებელი მეფისა, ღირსი და დამამშვენებელი პოეტისა, რომელმაც მას უმღერა:

პარიზის კედლებში ჩამწყვდეული პარიზი დრტყინავს.

მეთხუთმეტე საუკუნეში პარიზი ჯერ კიდევ იყო გაყოფილ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, დამოუკიდებელ სამ ქა-

ლაქად და თვითეულს თავისი ფიზიონომია, თავისი სპეციალობა, თავისი ადათი, ზნე-ჩვეულება, თავისი პრივილეგია, თავისი ისტორია ჰქონდა; ესენი იყო: სიტე, უნივერსიტეტი. ქალაქი. სიტეს კუნძული ეჭირა: იგი ყველაზე ძველი და ყველაზე მცირე, იმ ორი დანარჩენის დედა იყო და მათ შუა ისე ჩაქედლიყო, როგორც, მოგვიტევეთ ასეთი შედარება. პატარა ბებრუხუნა ორ ლამაზ და ახოვან ასულს შორის. უნივერსიტეტს ეჭირა სენის მარცხენა ნაპირი, ტურნელიდან ნელის კოშკამდე. დღევანდელ პარიზში პირველს შეესაბამება ლვინის დახურული ბაზარი, მეორეს — ზარაფხანა. მისი გალავანი საკმაოდ ფართო ნახევარწრივ იჭრებოდა მინდორში, სადაც იულიანმა ააგო თავის თერმები¹. მასში შედიოდა სენ-ჟენევიევის მთა. ამ ქვიტკირის რკალის უმაღლესი წერტილი იყო პაპის ტიშკარი, თითქმის იმ ადგილას, სადაც დღეს პანთეონია. პარიზის იმ სამი ნაწილიდან ყველაზე უფრო დიდს, ქალაქს, მარჯვენა ნაპირი ეჭირა. მისი სანაპირო რომელიც რამდენიმე ალაგას ტყდებოდა. ანუ უფრო სწორად. წყდებოდა, სენის გასწვრივ მიდიოდა, ბილის კოშკიდან ბუას კოშკამდე, ესე იგი იმ ადგილიდან, სადაც დღეს ხორბლის ბელეგია, იმ ადგილამდე, სადაც დღეს ტიუილირია. ამ ოთხ წერტილს, სადაც სენა დედაქალაქის გალავანს სჭრიდა, მარცხნივ ტურნელსა და ნელის კოშკს, მარჯვნივ ბილის კოშკსა და ბუას კოშკს, უმთავრესად, „პარიზის ოთხ კოშკს“ უწოდებდნენ. ქალაქი კიდევ უფრო ღრმად იჭრებოდა მინდვრებში, ვიდრე უნივერსიტეტი. ქალაქის ზღუდის უმაღლესი წერტილი (შარლ V-ის მიერ აგებული) იყო სენ-დენისა და სენ-მარტენის ტიშკრები, რომელთა ადგილმდებარეობა დღემდე არ შეცვლილა.

როგორც ეს-ეს იყო უკვე ვთქვით, პარიზის ეს თვითეული დიდი განაყოფი თავად ქალაქი იყო. მაგრამ ძალიან ვიწრო დანიშნულებისა იმისთვის, რომ სრული და დამთავრებული ყოფილიყო და ორი დანარჩენის გარეშე იოლად წასულიყო. ამიტომაც სამივეს ცალ-ცალკე სრულიად თავისებური სახე ჰქონდა. სიტეში სქარბობდა ეკლესიები, ქალაქში სასახლეები, უნივერსიტეტში — სასწავლებლები. თუ აქ ძველი პარიზის მეორეხარისხოვან თავისებურებებს არ შევეხებით, საგზაო უწყების ახირებულ კანონებსა და ქალაქის სასამართლო წარმოების ამ ქაოსში ერთობლიობისა და ერთგვარობის საფუძველზე ზოგადი თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ვიტყვი. რომ კუნძულზე იურადიული ხელისუფლება ეკუთვნოდა ეპისკოპოსს, მარჯვენა ნაპირზე — ვაქართ უხუცესს, მარცხენა ნაპირზე — რექტორს. ხოლო უმაღლესი ხელისუფლება ყველას მიმართ — პარიზის პრეკოსს, სამეფო თანამდებობის პირს და არა

მუნიციპალურ მოხელეს. სიტეში იყო ღვთისმშობლის ტაძარი, ქალაქში — ლუერი და ქალაქის თვითმმართველობის სახლი, უნივერსიტეტში — სორბონი. ქალაქს ჰქონდა დიდი დახურული ბაზარი, სიტეს — საავადმყოფო, ოტელ-დიე. უნივერსიტეტს — პრე-ო-კლე-რი. მოსწავლეთა მიერ მარცხენა ნაპირზე ჩადენილი დანაშაული ირჩეოდა მართლმსაჯულების სასახლეში კუნძულზე და ისჯებოდა მარჯვენა ნაპირზე. მონფოკონში, თუ საქმეში არ ჩაერეოდა რექტორი, რომელიც გრძნობდა, რომ უნივერსიტეტი ძლიერი იყო, მეფე კი სუსტი; რადგან მოსწავლეებს ამით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ თავიანთ მხარეში ჩამოახრჩობდნენ.

(გაკვირვებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პრივილეგიების უმეტესი ნაწილი, მათ შორის კი იყო უფრო მნიშვნელოვანი პრივილეგიებიც. მეფეს შფოთითა და აჯანყებებით გამოგლიჯეს. თუმცა ეს ამბავი უხსოვარ დროიდან მოდის: მეფე ხელიდან მხოლოდ მაშინ უშვებს, როცა ხალხი ძალით გამოგლეჯს. არსებობს ერთი ძველი სიგელი, სადაც ქვეშევრდომთა ერთგულებაზე გულუბრყვილოდ ნათქვამია: *Civibus fidelitas in reges, quae tamen aliquoties seditionibus interrupta, multa peperit privilegia*)*.

მეთხოვეტე საუკუნეში სენა გარს უვლიდა ხუთ კუნძულს პარიზის გალავნის ფარგლებში: მგლის კუნძულს, სადაც მაშინ ხეები იზრდებოდა და დღეს შეშას ჰყიდიან; ძროხის კუნძულსა და ღვთისმშობლის კუნძულს, ორივე უდაბური იყო, თუ არად ჩავადდებთ ქოხს, ორივე ეპისკოპოსის სალენო სამფლობელო მამულს წარმოადგენდა (მეჩვიდმეტე საუკუნეში ეს ორი კუნძული გააერთიანეს, გააშენეს და წმინდა ლუის კუნძული უწოდეს); ბოლოს სიტეს და მის მომიჯნავე პატარა კუნძულს — ძროხის ბორანს, რომელიც შემდეგ ახალი ხიდის მიწაყრილს ქვეშ მოჰყვა. სიტეს მაშინ ხუთი ხიდი ჰქონდა: სამი მარჯვენა მხრიდან, ღვთისმშობლისა და ზარაფების ქვის ხიდები, მეწისქვილეების ხის ხიდი; ორი ხიდიც მარცხენა მხრიდან: ქვის მცირე ხიდი და სენ-მიშელის ხის ხიდი. ყველა ხიდზე აგებული იყო სახლები. უნივერსიტეტს ჰქონდა ექვსი მთავარკარი, აშენებული ფილიპ-ავეუსტის მიერ; ესენი იყო, ტურნელის კოშკიდან დაწყებული, სენ-ვიქტორის ალაყაფის კარები, ზორდელის კიშკარი, პაპის მთავარკარი, სენ-ჟაკის, სენ-მიშელისა და სენ-ჟერმენის კიშკრები. ქალაქსაც შარლ V-ის მიერ აგებული ექვსი კარი ჰქონდა; ესენი იყო, ბილის კოშკიდან დაწყებული, სენტ-

* მმართველთა მიმართ მოქალაქეთა ერთგულებამ, რასაც ზოგჯერ მაინც არ-
ღვედა შფოთი და აჯანყება, გაზარდა მოქალაქეთა პრივილეგიები (ლათ.).

ანტუანის მთავარკარი, ტამბლის კიშკარი, სენ-მარტენის, სენ-დენის, მონმარტრისა და სენტ-ონორეს კიშკრები. ყველა ეს კიშკარი მაგარი და აგრეთვე ლამაზიც იყო, რაც ხელს არ უშლიდა მათ სიმტკიცეს. სენიდან წყალი შედიოდა განიერსა და ღრმა თხრილში, სადაც ზამთრის წყალდიდობის დროს ძლიერი და ჩქარი მდინარეება იქმნებოდა, და გარს უვლიდა გალავნის კედლის ძირებს მთელი პარიზის ირგვლივ. ღამლამობით კიშკრებს ჰკეტავდნენ, ქალაქის თავსა და ბოლოს მდინარეს გადალობავდნენ სქელი რკინის ჯაჭვებითა და პარიზი განისვენებდა მშვიდი ძილით.

ჩიტის საფრენი სიმალიდან თუ შეხედავდით, ეს სამი დაბაქალაქი — სიტე, უნივერსიტეტი და ქალაქი, თვითული ცალკე აღებული, თვალს წარმოუდგებოდა უცნაურად და აჩხა-ბაჩხად დახლართულ ქუჩათა ხშირ ბადედ. მიუხედავად ამისა, მაინც პირველი შეხედვისთანავე შეამჩნევდით, რომ ქალაქის ეს სამი ნაწილი მხოლოდ ერთ მთლიან სხეულს შეადგენდა. მაშინვე გაარჩევდით ორ გრძელ, პარალელურ ქუჩას, რომლებიც უწყვეტლივ მიუხვევ-მოუხვევლად, გაუმრუდებლად, თითქმის სწორხაზობრივად გაქიმულიყვნენ, სამივე ქალაქს ჰკვეთდნენ თავიდან ბოლომდე. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სენის პერპენდიკულარულად: ერთმანეთთან აკავშირებდნენ, აერთებდნენ მათ, ერთი მეორეში ურევდნენ, შეუჩერებლივ გადაჰყავდათ ხალხი ერთი ქალაქის კედლებიდან მეორის ფარგლებში და სამი ქალაქისაგან ერთ ქალაქს ჰქმნიდნენ. ამ ორთაგან პირველი ქუჩა სენ-ჟაკის კიშკრიდან სენ-მარტენის კიშკრისაკენ მიემართებოდა. უნივერსიტეტში მას სენ-ჟაკის ქუჩა ერქვა, სიტეში — ებრაელთა ქუჩა, ქალაქში — სენ-მარტენის ქუჩა. იგი ორჯერ გადადიოდა წყალზე ერთი მცირე ხიდათ, მეორე — ღვთისმშობლის ხილით. მეორე, რომელსაც მარცხენა ნაპირზე ასაწევი ხიდის ქუჩა ერქვა, კუნძულზე — მეკასრეების ქუჩა, მარჯვენა ნაპირზე — სენ-დენის ქუჩა. სენის ერთ ტოტზე — სენ-ჰიშელის ხიდი, მეორეზე — ზარაფების ხიდი, სენ-ჰიშელის კიშკრიდან მიემართებოდა უნივერსიტეტზე გავლით სენ-დენის კიშკრამდე ქალაქში. მაგრამ ყველა ამ სხვადასხვა სახელში ყოველთვის იგულისხმებოდა ეს ორი ქუჩა, ორი ღედაქუჩა, ორი წინაპარი ქუჩა, პარიზის ორი არტერია. ყველა დანარჩენი ძარღვი ამ სამმაგი ქალაქისა ან მათგან იღებდა სათავეს ან მათ უერთდებოდა.

ამ ორი მთავარი ქუჩისგან დამოუკიდებლად, რომლებიც პარიზს გარდიგარდმო ჰკვეთდნენ მთელ სივანეზე კიდიდან კიდემდე და საერთო იყო მთელი ღედაქალაქისათვის, ქალაქსა და უნივერსიტეტს თვითეულს ცალ-ცალკე ჰქონდა თავისი საკუთარი დიდი, ქუჩა, რომელიც სენას პარალელურად მისდევდა და სწორი კუ-

თხით ჰკვეთდა ამ ორ „არტერიულ“ ქუჩას. ამგვარად, ქალაქში სენტ-ანტუანის კიშკრიდან შეიძლებოდა პირდაპირ სწორი ხაზით ჩასულიყავით სენტ-ონორეს კიშკრამდე, ხოლო უნივერსიტეტში სენ-ვიქტორის კიშკრიდან სენ-ეერმენის ალაყაფის კარებამდე. ეს ორადიდი გზა, რომლებიც ჯვარედინად სჭრიდნენ პირველ ორ ქუჩას, ჰქმნიდნენ თარგს, რომელზედ დამყარებული იყო ყოველმხრივ ერთნაირად დაკვანძილ-დახვლანჯული, მკვიდროდ მიჯრილი, ხშირი. ლაბირინთისებურად დახლართული პარიზის ქუჩების ქსელი. გარდა ამისა, თუ ყურადღებით დავაკვირდებოდით ამ ქსელის გაუგებარ ნახატს, შეიძლებოდა გაგვეჩია ორი ძნასავით შეკრული კონა, რომელთაგან ერთი ფართოვდებოდა უნივერსიტეტისაკენ, მეორე ქალაქისაკენ, დიდი ქუჩების ორი განშტოება, ხიდებიდან კიშკრებისაკენ მიმავალი.

ამ გომეტრიული გეგმიდან რალაცა დღესაც არსებობს.

რა სახით წარმოსდგებოდა ყოველივე ეს ერთად პარიზის ღვთისმშობლის კოშკების სიმაღლიდან 1482 წელს? აქ შევეცდებით ახლა სწორედ ამაზე ვიამბოთ.

ტაძრის თავბანდზე ასულ აქოშინებულ მაყურებელს უპირველეს ყოვლისა თვალს მოსჭრიდა სახურავების, საკვამურების, ქუჩების, ხიდების, მოედნების, წამახული გუმბათებისა და სამრეკლოების სანახაობა. მის თვალთა წინაშე ერთდროულად წარმოსდგებოდა კედლის ჩუქურთმიანი წვეტურა, წოპწოპა სახურავი, პატარა კოშკი, დაკიდებული კედელთა კუთხეში, მეთერთმეტე საუკუნის ქვის პირამიდა, მეთხუთმეტე საუკუნის ფიქალის ობელისკი, ციხე-დარბაზის მრგვალი და შიშველი კოშკი, ეკლესიის ოთხკუთხოვანი ქარგული სამრეკლო, დიდი და პატარა, მასიური და ჰაეროვანი. მისი მზერა დიდხანს დაინთქმებოდა ამ ლაბირინთის სიღრმეებში, სადაც არაფერი იყო ისეთი, რასაც არ ჰქონდა თავისებურება, ორიგინალობა, თავისი აზრი, გენია, სილამაზე; ყველაფერი ხელოვნების ქმნილებას წარმოადგენდა, დაწყებული პატარა სახლით, ხატული და ძერწილი წინახედით, გარეგანი ძელური სამაგრებით, დაბალი კამაროვანი კარით, მასზე გადმოკიდებული სართულებით, და გათავებული თვით მეფურად დიადი ლუვრით, რომელიც მაშინ შემოგარული იყო კოშკთა კოლონადით. მაგრამ დავასახელოთ შენობათა ის მთავარი მასა, რომელთაც იქ თვალი გაარჩევდა, როგორც კი შეეჩვეოდა ნაგებობათა ამ ქაოსს.

პირველ ყოვლისა სიტე. „სიტეს კუნძული, — როგორც ამბობს სოვალი, რომელსაც აბდაუბდა სიტყვების რახარუხში ხანდახან მარჯვე გამოთქმებიც გამოერევა ხოლმე, — ჰგავს დიდ ხომალდს,

შლამში ჩაფლულსა და წყლის მიერ მეჩეჩზე გარიყულს სენის შუაგულისაკენ“. ჩვენ ახლახან განვმარტეთ, რომ ეს ხომალდი მეთხუთმეტე საუკუნეში მდინარის ორივე ნაპირს მიმაგრებული იყო ხუთი ხილით. გემის ამ ფორმამ პერალდიკური გადამწერებიც განაცვიფრა; ფავენისა და პასკიეს¹ სიტყვით, სწორედ ამის გამო არის გამოხატული ხომალდი პარიზის ძველი ღერბის ფარზე და არა ნორმანდიელთა გარემოცვის გამო. იმისთვის, ვინც იცის მისი გარჩევა, ღერბი აღგებრაა, ღერბი ენაა. შუასაუკუნეების მეორე ნახევრის მთელი ისტორია აღბეჭდილია ღერბში, ისე როგორც პირველი ნახევრის ისტორია რომანული ეკლესიის სიმბოლიკაში. ესენი ფეოდალიზმის იეროგლიფებია თეოკრატიის იეროგლიფების შემდეგ.

ამრიგად, პირველად თვალში მოგვხვდებოდათ სიტე, კიჩოთი აღმოსავლეთისაკენ მიქცეული, ხოლო ქიმით—დასავლეთისაკენ. თუ პირით გემის ქიმისკენ შებრუნდებოდით, თქვენ წინ გადაიშლებოდა ძველი სახურავების ურიცხვი გროვა; მათ ზემოთ ფართოდ დამრგვალებულიყო სენ-შაპელის ტყვიის ბურული, რომელიც ტახტრევანით დამძიმებულ სპილოს ზურგს ჰგავდა. ოღონდ აქ ამ ტახტრევანს წარმოადგენდა გუმბათის ერთობ თამამი, ერთობ დამუშავებული, ერთობ სახეებიანი და ერთობ გამქვირვალე წვეტი, რომლის მაქმანებიან კონუსში ოდესღაც ცის დანახვა შეიძლებოდა. ღვთისმშობლის ტაძრის წინ, სულ ახლოს, კარიბჭის მხრიდან საპიქუნა უერთდებოდა ძველი სახლებით შემოგარულ მშვენიერ მოედანს. სამხრეთის მხრიდან ამ მოედანს თავს გადმოსდგომოდა ოტელ-დიეს დანაოჭებული, პირქვეში ფასადი, და მისი თითქოს მუწუცებითა და მექეცებით დაფარული სახურავი. შემდეგ, მარჯვნივ, მარცხნივ, აღმოსავლეთით, დასავლეთით, სიტეს ესოდენ ვიწრო ფარგლებში აღმართული იყო ყოველი ეპოქის, ყოველი ფორმისა და ყოველი სიდიდის ოცდაერთი ეკლესიის სამრეკლოები, დაწყებული სენ-დენი-დიუ-პას დაბალი და ჭიანჭამი, პატარა რომანული სამრეკლოთი, *carcer Glaucini*. და გათავებული სენ-პიერ-ო-ბეფისა და სენ-ლანდრის ნემსივით წვრილი გუმბათებით. ღვთისმშობლის ტაძრის უკან, ჩრდილოეთით, იშლებოდა მონასტერი გოტიკური ვალერეებით; სამხრეთით — ნახევრად რომანული საეპისკოპოსო სასახლე; აღმოსავლეთით—ტერენის უდაბური კონცხი. სახლების ამ გროვაში თვალი გააჩნევდა სასახლეს თავისი ქვის მალაღლი შუქნარანარა საჩიხებით, რაც მაშინ გვირგვინივით თავს ედგა სასახლეების საკმლებს. თვით სამერცხულეზსაც კი; ეს სასახლე ქალაქმა მიართვა საჩუქრად იუვენალ დეზიურსენს შარლ VI-ის

დროს. ცოტა მოწიკებით იყო პალიუსის ბაზრის გაფისული ფარ-
დულები; სხვაგან კიდეც—ძველი სენ-ჟერმენის ახალი აბსიდი, გაგრ-
ძელებული 1458 წელს ფებვის ქუჩის დასასრულის ხარჯზე; შემ-
დეგ კი ჯერ-ჯერით გამოჩნდებოდა ხან ხალხით გაქედილი გზა-
ჯვარედინი, ხან ქუჩის კუთხეში აღმართული სამარცხვინო ბოძი,
ხან ფილიპ-ავგუსტის ლამაზი ქვაფენილის ნაფლეთი, გზის შუაში
მხედრებისათვის ჩინებულად დაგებული ფილაქანის ზოლი, რომე-
ლიც მეთექვსმეტე საუკუნეში ასე უხეიროდ შეცვალეს უფარგისი
რიყის ქვით და რომელსაც „ლივის ქვაფენილი“ უწოდეს, ხან უდა-
ბური უკანა ეზო ერთ-ერთი გამქოლი, ფარდალა კიბის კომპუ-
რით, როგორსაც აკეთებდნენ მეთხუთმეტე საუკუნეში და როგო-
რიც ახლაც კიდეც შეიძლება ვნახოთ ბურდონეს ქუჩაზე. ბოლოს,
სენტ-შაპელის მარჯვნივ, დასავლეთისაკენ, წყლის ნაპირას იდგა
მართლმსაჯულების სასახლე თავისი კომპების ჯგუფით. სამეფო
ბაღების ხეები, რომლებიც სიტეს დასავლეთ განაპირას გაეშენები-
ნათ, ფარავდნენ მებორნის კუნძულს. რაც შეეხება წყალს, ღვთის-
მშობლის მაღალი კომპებიდან არც კი მოჩანდა სიტეს ორივე
მხრით. სენა ხიდებს დაეფარა, ხიდები — სახლებს.

და თუ მზერა თქვენი, წყლის აორთქლების გამო უდროოდ დაო-
ბებული მწვანე სახურავიანი სახლებით გაშენებულ ამ ხიდებს ასც-
დებოდა და მარცხნივ, უნივერსიტეტისაკენ გაიხედავდით, პირველი
შენობა, რომელიც თქვენ მოგაჯადოებდათ, იქნებოდა კომპების
დიდი და დაბალი კონა, პტი-შატლე, რომლის გაშლილი ფარული
კარი შთანთქავდა მცირე ხიდის ბოლოს; შემდეგ, თუ თვალს სანა-
პიროს გააყოლებდით აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ, ტურნელი-
დან ნელის კომპისაკენ, თქვენ თვალწინ ჩაივლიდა სახლების გრძე-
ლი მწკრივი ჩუქურთმებიანი კოჭებით, ფერადმინიანი სარკე-
ლებით; სართული სართულს დასწოლოდა, ქვაფენილზე გადმოკი-
ლებულიყო, წვეტიან სახურავებზე თავხეების დაუსრულებელი ტე-
ხილი ხაზი გადაკლაკნილიყო, რომელსაც ხშირად გადაკვეთდა
ქუჩის ხახა ანდა ხანდახან შეწყვეტდა ქვის რომელიმე დიდი სასახ-
ლის ფასადი თუ კუთხე. ეს განცალკევებული სასახლეები უზრუნ-
ველად და დიდი სიამაყით გაჭიმულიყვნენ თავიანთი ეზოებითა და
ბაღებით, ფრთებითა და მთავარი კორპუსებით, ისე ჩამდგარიყვნენ
ამ ერთმანეთზე მიჯრილი და მიჭუჭკული სახლების გროვაში, რო-
გორც დიდი ბატონი ხეპრეების ბრბოში. ასეთი განცალკევებული
სახლი სანაპიროზე ხუთი თუ ექვსი იყო, დაწყებული დე ლორენის
სახლითა, რომელსაც ბერნარდინელებისაგან ჰყოფდა დიდი შემო-
ღობილი მიწა ტურნელის მეზობლად, და გათავებულა ნელის სასახ-

ლოთ, რომლის მთავარი კომკა პარიზის მიჯნას წარმოადგენდა; მისი თავწვეტიანი სახურავები თავიანთი შავი სამკუთხედებით წელიწადში სამ თვეს ჰკვეთდნენ ჩამავალი მზის მეწამულ ღისკოს.

მაგრამ სენის ამ მხარეს უფრო ნაკლები სავაჭროები იყო, ვიდრე მეორე მხარეს. აქ მოსწავლეები უფრო გროვდებოდნენ და ხმაურობდნენ, ვიდრე ხელოსნები. მართალი რომ ვთქვათ, სანაპირო სინამდვილეში იყო მანძილი სენ-მიშელის ხილიდან ნელის კომკამდე. სენის ნაპირის დანარჩენი ნაწილი ან ტიტველ ქვიშიან ნაპირს წარმოადგენდა, როგორც ბერნარდინელთა სამფლობელოს იქით, ანდა სახლების გროვას, რომლებსაც ცალი ფეხი პირდაპირ წყალში ედგათ ორივე ხილს შორის. იქ მუდამ მრეცხავ ქალთა დიდი ჟივილ-ხივილი ისმოდა. ისინი დილიდან საღამომდე მთელი ნაპირის გაყოლებით ყვიროდნენ, ლაპარაკობდნენ, მღეროდნენ და ღონივრად უტყაპუნებდნენ სარეცხს, როგორც ღღეს. იგი პარიზის უმხიარულესი ადგილი იყო.

უნივერსიტეტის მხარე თვალს ერთიან ლოდან წარმოუდგებოდა. იგი თავიდან ბოლომდე ერთგვაროვანი და მკვრივი მასა იყო. ათასობით მკვიდროდ მიჯრილი, კუთხოვანი, ურთიერთ შეზრდილი, რთული, თითქმის ყველა ერთი და იმავე გეომეტრიული ფორმის სახურავები მაღლიდან ერთი და იმავე ნივთიერების კრისტალებად მოჩანდნენ. ქუჩების ახირებული ხრამი სახლების ამ უშველებელ ღეზელს როდი ჰყოფდა არაპროპორციულ ნაწილებად. ორმოცდაორი კოლეჯი საკმაოდ თანაბრად იყო გაშლილი და ყველგან შენიშნავდით. ამ მშვენიერ შენობათა მრავალნაირი და სასერიო თავბანდები იმავე ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ, რასაც ის სადა სახურავები, რომლებსაც ისინი ზევიდან გადმოჰყურებდნენ. არსებითად ისინი იმავე გეომეტრიული ფიგურის ევადრატული ან კუბური ნამრავლი იყო. ამრიგად, ისინი მხოლოდ ართულებდნენ მთლიანობას და არ კი არღვევდნენ, აესებდნენ და არ კი ტვირთავდნენ. გეომეტრია პარმონიაა. რამდენიმე მშვენიერი სასახლე აქა-იქ დიდებულად აწეულიყო მარცხენა ნაპირის თვალწარმტაც ერდოებს ზევით; აწ გამქრალი ნევერის სახლი, რომის სახლი, რეიმსის სახლი, კლიუნის სასახლე, რომელიც ხელოვანთა სანუგეშოდ ახლაც არსებობს და რომელსაც ეს რამდენიმე წელია სულელურად მოხადეს კომკი. კლიუნის ახლოს იყო რომანული სტილის სასახლე მშვენიერი კამაროვანი თაღით — იულიანეს თერნები. აქ იყო აგრეთვე უფრო ღვთისმოსავი სილამაზის მრავალი საბატო, უფრო ზვიადი და მედიდური, ვიდრე სასახლეები, მაგრამ არა ნაკლებ ლამაზი, არა ნაკლებ დიადი. მათგან უპირველეს ყოვ-

ლისა ყურადღებას იბყრობდა ბერნარდინელთა სააბატო მონასტერი თავისი სამი სამრეკლოთი; წმინდა ენევიევის მონასტერი, რომლის დღემდე გადარჩენილი ოთხკუთხოვანი კოშკი ესოდენ სინანულს იწვევს იმის გამო, რომ დანარჩენი ნაწილები გამქრალა; სარბონი, ნახევრად კოლეჯი, ნახევრად მონასტერი, რომლისგანაც შემორჩენილია საუცხოო ნეფი; მათიურინთა ლაშაზი კვადრატული ფორმის მონასტერი; მისი მეზობელი, სენ-ბენუას მონასტერი, რომლის გალავანში მოასწრეს სახელდახელოდ წამოეჭიმათ თეატრი, სანამ ამ წიგნის მეშვიდე და მერვე გამოცემა გამოვიდოდა; კორდელიერთა სააბატო, თავისი სამი ერთმანეთზე მიჯრილი უშველებელი თავბანდით. ავგუსტინთა სააბატო, რომლის კოხტა ისარო, ნელის კოშკის შემდეგ, ჰქმნიდა მეორე ქონგურებიან ფრიზს პარიზის ამ მხარეს, დასავლეთის მიმართულებით. კოლეჯებს, რომლებიც მართლაც შუალედ რგოლს წარმოადგენდნენ მონასტერსა და ქვეყანას შორის, ამ მონუმენტალურ ნაგებობათა მწკრივში შუა ადგილი ექირათ სასახლეებსა და სააბატოს შორის, თავიანთი მკაცრი და სრული მოხდენილობით, უფრო ნაკლებ ჰაეროვანი ქანდაკებით, ვიდრე სასახლეებს, უფრო ნაკლებ სერიოზული ხუროთმოძღვრებით, ვიდრე მონასტრებს. სამწუხაროდ ახლა თითქმის აღარაფერი დარჩენილა ამ მონუმენტთაგან, სადაც გოტიკური ხელოვნება ასე ზუსტად დაუდებდა მიჯნას ფუფუნებასა და მოშპირნობას. ყველაფერს სკარბობდა ეკლესიები (ისინი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე იყვნენ უნივერსიტეტში, გარკვეული წესრიგით წარმოადგენდნენ ხუროთმოძღვრების ყოველ ხანას, დაწყებული სენ-ჟიულიენის სრული მრგვალი თაღებითა და გათავებული სენსევერინის ისრული კამარებით), და როგორც კიდევ ერთი ჰარმონიული აკორდი მთელ ამ ჰარმონიაში, ისინი ყოველ წუთს ჰკვეთდნენ თავბანდების რთულ ნაყშს ნაქდევი წვეტებით, ნარნარი გამქოლი სამრეკლოებით, ნემსივით წვრილი გუმბათებით, რომელთა ხაზები მახვილკუთხიან ბურთულების ბრწყინვალე გაზვიადებას წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის მხარე მთაგორიანი იყო. წმინდა ენევიევის მთა სამხრეთ აღმოსავლეთით უშველებელი ბუშტივით ამოზურცულიყო; ღეთისმშობლის ტაძრის სიმაღლიდან საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ეს უმარავი ვიწრო, დაკლანკილი და ოკრობოკრო ქუჩები (დღეს ლათინური უბანი), სახლების ეს მტევანი, ყოველმხრივ გაშლილ-გაფანტული ამ ბორცვის თხემზე; ისინი უწესრიგოდ და თითქმის შვეულად ეშვებოდნენ მის კალთებზე წყლის პირამდე. გეგონებოდათ, ერთნი ძირს ეცემოდნენ, მეორენი ისევ ზევით მი-

ცოცავდნენ, ყველა ერთად კი --- ერთმანეთს ებლაუჭებოდა. ქვაფენილზე ათასობით აქეთ-იქით მოძრავი შავი წერტილების უწყვეტი ნაკადი თვალეში ირვოდა; ამ სიმაღლიდან და ამ სიშორეზე ხალხი კიანჭველებივით მოჩანდა.

ბოლოს, ამ აურაცხელი შენობების სახურავებსა, წვეტიან გუმბათებსა და შვერილებს შორის შუალედებში, ასე უცნაურად რომ ღუნავდნენ, გრეხდნენ და კბილავდნენ უნივერსიტეტის უკიდურეს ხაზს, ალაგ-ალაგ თვალს მოჰკრავდით ხავსმოკიდებული ქვიტყირის სქელ ნაწილს, მძიმე მრგვალ კოშკს, ქალაქის ქონგურებიან კიშკარს, რომელიც ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა: ეს იყო ფილოპ-ავგუსტის ზღუდე-გალავანი. მის გადაღმა მწვანედ მოჩანდა ველები, მის იქით გაკომპლიყო გზები, რომელთა გასწვრივ კიდევ ჩამწკრივებულიყო გარეუბნის რამდენიმე სახლი, მით უფრო მეჩხერად, რაც უფრო შორდებოდა ქალაქს. ზოგიერთ გარეუბანს საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი იყო, უპირველეს ყოვლისა, თუ ტურნელიდან დაგოწყებთ, დაბა სენ-ვიქტორი ბიევრზე გადებული თავისი ერთთაღიანი ხილით, თავისი სამრეკლო მონასტრით. სადაც შეიძლება წაიკითხოთ ლუი სქელის ეპიტაფია — *epitaphium Ludovici Grossi*, თავისი ეკლესიით, რომელსაც ამკობდა რვაწახნაგა გუმბათის წვეტი და მეთერთმეტე საუკუნის ოთხი სამრეკლო (ამის მსგავსი რამ შეგიძლიათ ნახოთ ეტამპში, იგი ჯერ კიდევ არ დაუნგრევიათ); შემდეგ კიდევ დაბა სენ-მარსო, რომელსაც მაშინ უკვე სამი ეკლესია და ერთი მონასტერი ჰქონდა; კიდევ უფრო შორს, თუ მარცხნივ დაეტოვებთ გობელენების წისქვილსა და მის ოთხ თეთრ კედელს, არის გარეუბანი სენ-ჟაკი, სადაც გზაჯვარედინზე აღმართულია მშვენივრად ნაქანდაკები ჯვარცმა, შემდეგ, სენ-ჟაკ-დიუ-პო-პას ეკლესია, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ გოტიკური იყო, მახვილწვერიანი და მომხიბლავი; სენ-მაგლუარი, მეთოთხმეტე საუკუნის მშვენიერი ნეფი, რომელიც ნაპოლტონმა თივის საწყობად აქცია; ნოტრ-დამდე-შან, სადაც ბიზანტიური მოზაიკაა. ბოლოს, თუ განზე დატოვებთ ტრიალ მინდორზე აღმართულ კარტეზიანელთა მონასტერს, მდიდრულად შემკულსა და მართლმსაჯულების სასახლის თანამედროვე შენობას თავისი პატარა შემოღობილი ბალებით, და ვოვერის ცუდი სახელის მქონე ნანგრევებს. თვალში მოგხვდებათ დასავლეთისაკენ სენ-ჟერმენ-დე-პრეს სამი რომანული ისარი. მის უკან დაბა სენ-ჟერმენი მაშინ უკვე მსხვილი თემი იყო და თხუთმეტი თუ ოცი ქუჩისაგან შედგებოდა. დაბის ერთ-ერთი კუთხე აღნიშნული იყო სენ-სიულპის წვეტიანი სამრეკლოთი. იქვე გვერდით შეგვიძლოთ გავეჩინათ სენ-ჟერმენის ოთხი კედლით შემოზღუდული მოედანი.

სადაც დღეს ბაზრობა იმართება; შემდეგ სააბატოს სამარცხვინო ბოძი, პატარა და ლამაზი მრგვალი კოშკი, ტყვიის კონუსისებური ბურთულით დახურული. კიდეც უფრო შორს კრამიტის ქარხანა და ფურნის ქუჩა იყო, რომელიც სათემო სახაბაზომდე მიდიოდა: შეამჩნევდით აგრეთვე წისკვილს ბორცვზე და განმარტობულ პატარა სახლს — კეთროვანთა სასნეულოს, რომელიც საზარელი სანახავი იყო. მაგრამ თვალს მეტადრე იზიდავდა და დიდხანს ატყუებდა თვით სენ-ჟერმენის სააბატო. ეს მონასტერი, რომელსაც დიადი შესახედობა ჰქონდა, როგორც საყდარსა და საბატონო მამულს, ეს სააბატო სასახლე, სადაც პარიზელ ეპისკოპოსებს დიდ პატივად და ბედნიერებად მიაჩნდათ თუნდაც ერთი ღამე გაეთათ, ეს სატრაპეზო, რომლისთვისაც არქიტექტორს კათედრალის იერი და სილამაზე მიუცია და ბრწყინვალე მრგვალი საკმელი გაუკეთებია, ლეთისმშობლის ეს კოხტა სამლოცველო, ეს დიდებული საერთო საწოლი ოთახი, ვეებერთელა ბაღები, ეს დასაშვები გისოსი, ეს ასაწევი ხიდი, ამწვანებულ ველ-მინდორში შეკრილი ქონგურებიანი გალავანი, ეს ეზოები, სადაც ეპისკოპოსთა ოქროს შესამოსელს შორის ბრწყინავდა მეომართა საკუთრევი — ყოველივე ეს შეჯგუფული და შემოკრებილ-შემოჯარული სამი მაღალი მრგვალკამაროვანი, წვეტიანი გუმბათის ირგვლივ, რომლებიც მკვიდრად იყო დამყარებული გოტიკურ აბსიდზე, ცის ტატნობზე დიდებულ სურათს ჰქმნიდა.

მას შემდეგ რაც დიდხანს ათვლიერეთ უნივერსიტეტი, ბოლოს როდესაც მიბრუნდით მარჯვენა ნაპირისაკენ, ქალაქისაკენ, სანახაობამ უცბად იცვალა ხასიათი. მართალია, ქალაქი ბევრად უფრო დიდი იყო. ვიდრე უნივერსიტეტი, მაგრამ იგი ვერ იყო ისეთი ერთიანი. პირველი შეხედვისთანავე გარკვევით შეამჩნევდით, რომ იგი რამდენიმე განცალკევებულ ნაწილად იყოფოდა. უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთით ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც დღესაც ქაობს ეძახიან, სადაც კამიულოფენმა¹ კეისარი შეიტყუა, სასახლეების გროვას წარმოადგენდა. მთელი ეს უბანი მდინარის ნაპირამდე სწვდებოდა. თითქმის მომიჯნავე ოთხი სასახლე — უფი, სანსი, ბარბო და დედოფლის საცხოვრებელი — სენის წყალში არეკლილიყო თავიანთი ფიქალის სახურავებით, ცაში აკრილი ტანწერწეტი კოშკებოთ. ეს ოთხი შენობა ავსებდა მთელ სივრცეს ნონენდიერების ქუჩიდან ცელესტინელთა სააბატომდე, რომლის ისარი მოხდენილად სახავდა მათი თავხეებისა და ქონგურების, ხაზს. წყლისკენ, გადმოხრილი რამდენიმე ხავსმოკიდებული მომწვანო ქოხი ამ მშვენიერი სასახლეების წინ ხელს ვერ უშლიდა დაგვენახა მათი წინ-

ხედის მშვენიერი კუთხეები, მათი ქვის ჩარჩოებიანი ობიექტთა ფართო სარკმლები, მათი ლუსკუმებჩადგმული ისრული კარები, მათი მთლად თლილი ქვით ნაგები კედლების მკაფიო წახნაგები და ყველა ის მომხიბლავი და გაბედული არქიტექტურული მრავალფეროვნება, რის გამოც შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს გოტიკური ხელოვნება ყოველ წუთს, ყოველ ძეგლში მიმართავს ახალ და ახალ შეხამებას. ამ სასახლეების უკან, ყველა მიმართულებით, ხან გრძივი ნაწიბურის სახით, ხან მესერიის სახითა და ქონგურებით როგორც ციხე-სიმაგრე, ხან დიდი ხეებით დაფარული როგორც საგარეუბნო აგარაკი, გაკიშულყო სენ-პოლის იმ საკვირველი სასახლის უზარმაზარი და მრავალსახოვანი გალავანი, სადაც თავისუფლად და დიდებულად დაბინადებოდა ოცდაორი უფლისწული იმავე ღირსებისა, რაც დოფინი და ბურგუნდიელი ჰერცოგია, თავიანთი მსახურებითა და ამალით, თუ აღარ ჩავთვლით დიდ ბატონებსა და იმპერატორს, როდესაც პარიზის სანახავად ჩავიდა, აგრეთვე ლომებს, რომელთაც საგანგებო პალატები დაუთმეს ამ სამეფო სასახლეში. აქ უნდა ვთქვათ. რომ სამეფო ბინა მაშინ შედგებოდა არა ნაკლებ თერთმეტი დარბაზისაგან, დაწყებული სადარბაზო ოთახითა და გათავებული სამლოცველოთი, აღარაფერს ვამბობთ გალერეებზე, ტალანებზე. აბანოებზე, აბაზანებზე და სხვა ზედმეტ რამეებზე, რითაც კი მოწყობილია ყოველი ბინა; აღარაფერს ვიტყვით მეფის ყოველი სტუმრისთვის არსებულ ცალკე ბაღებზე, არაფერს ვამბობთ, სამზარეულოებსა და სარდაფებზე. მარნებსა და საჯალაბოებზე, სახლის საერთო სასადილო ოთახებზე. უკანა ეზოებზე, სადაც იყო ოცდაორი მთავარი სამომსახურებო ნაგებობა, დაწყებული პურისსაცხობი ფურნითა და გათავებული მარნებით, ღვინის სარდაფებით; აღარაფერს ვამბობთ ათასგვარ სათამაშოებზე, ბურთზე, ჩოგბურთზე, სალტობანაზე, საფრინველეებზე, პალაურებზე, თევზსატევებზე, სამხეცეებზე. თავლებზე, ბოსლებზე, ფარეხებზე, ბიბლიოთეკებზე, იარაღის საწყობებზე. აი როგორი იყო მაშინ მეფის სასახლე, ლუვრი იყო ის თუ სენ-პოლი. იგი იყო ქალაქი ქალაქში.

იმ კოშკიდან, სადაც ჩვენ ვდგევართ, სენ-პოლის სასახლე, თითქმის ნახევრად დაფარული იმ ოთხი დიდი შენობის მიერ, რომელზეც ეს-ეს იყო ვლამპარაკობდით, ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვან და საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა. ძალიან კარგად შეიძლებოდა გაგერჩიათ მასში სამი განცალკევებული შენობა. რომლებიც შარლ V-მ მიადგა თავის სასახლეს, თუმცა ისინი ოსტატურად იყო დაკავშირებული მთავარ შენობასთან გრძელი, ფერადმი-

ნიანი და სვეტებიანი გალერეებით. ეს შენობები იყო შემდეგი: ოტელ დიუ პტი მიუს, მაქმანებიანი მოაჯირით, რომელიც ქობასავით კოხტად შემოვლებოდა მის სახურავს; სენ-მორის სააბატო სახლი, რომელსაც ფეოდალური ციხე-დარბაზის შესახედობა ჰქონდა. სქელი და გამძლე კოშკით, სათოფურებით, რკინის მცირე ბასტიონებით, და სააბატოს ღერბის ფართო განიერ საქსონურ ჰიშკარზე ასაწევი ხიდის ორ ღრმულს შორის; გრაფ დ'ეტამპის სახლი. რომლის ციხე-დარბაზის მრგვალი კოშკი მონგრეული წვერით მამლის ბიბილოსავით დაკბილულიყო; აქა-იქ სამი-ოთხი ბებერი მუხა ჰქმნიდა ერთიან ჯგუფს როგორც უზარმაზარ, ფერად კომპოსტოს თავს; მთლად ჩრდილსა და შუქში მოლივლივე პალაურების გამჟვირვალე წყლებში გედები ლაღად დაცურავდნენ. შორს მოჩანდა უამრავი ეზოები, სადაც შეგეძლოთ შეგემჩნიათ მათი თვალწარმატაცი ნაპირები; ლომთა სასახლე, რომელსაც ჰქონდა საქსონურ ჯუჯა სვეტებზე დამყარებული დაბალი ობრული თალი და რკინის გისოსები. საიდანაც მუდამ ბრდღვინვა და ღმუილი ისმოდა. მთელ ამ ანსამბლზე ზევით აღმართულიყო ხარებობის ეკლესიის გუმბათის ქერცლოვანი წვერი; მარცხნივ პარიზის პრევის საცხოვრებელი, გარშემორტყმული ოთხი, ფაქიზი ჩუქურთმებით დაკრეთილი პატარა კოშკით; შუაზე, სიღრმეში იდგა მთელი თავისი უამრავი ფასადებით თვით სენ-პოლის სასახლე, რომელსაც შარლ V-იდან მოყოლებული თანდათანობით ემატებოდა შეჯვარებული სტილის წანაზარდები, რითაც მას ორი საუკუნის მანძილზე არქიტექტორთა ფანტაზია ტვირთავდა. ნათლად გააჩვენებდა მისი სამლოცველოების აბსიდებს, მისი გალერეების თავხეებს, ათას ფლუგერებს ოთხივე მხრივ. და ორ მაღალ მომიჯნავე კოშკს, რომელთა, ძირში ქონგურებშემოვლებულ, წოწოლა ბურულს, ფარფლებაწეული წოპწოპა ქუდის იერი ჰქონდა.

თუ მიწაზე გაშლილი სასახლეების შორეულ ამფითეატრზე სართულიდან სართულზე ასვლას განაგრძობდით, შემდეგ გადალახავდით ღრმა ხევს, რომელიც თითქოს ქალაქის სახურავებში ამოუთხრიათო და რომელიც სენტ-ანტუანის ქუჩის გასასვლელს აღნიშნავდა, თქვენი თვალი მიაღწევდა ანგულემის საცხოვრისს, რამდენიმე ეპოქის ფართო ნაგებობას, სადაც ახალი და მეტისმეტად თეთრი ნაწილები ისევე ნაკლებ ეხამებოდა მთლიანს, როგორც წითელი ნაქერი ლურჯ წამოსასხამს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ახალი სასახლის უცნაურად წვეტიანი და ამალღებული ბურული, აბურძგნილი კედილი ღარღანებით, დაბურული რყვიის თხელი ფირფიტებით, რომელზედაც ათასი ფანტასტიკური არაბესკებით

ჩახვეულიყო მოოქროვილი სპილენძის ელვარე შორთულობანი, — ეს უცნაურად შემკული სახურავი კეკლუცად ამართულიყო ძველ-თაძველი შენობის ჩამუქებულ ნანგრევთა შორის, რომლის ძველი და სქელი კოშკები ხანდაზმულობის გამო გამობურცულიყვნენ როგორც კასრები, ძირს დაწეულიყვნენ იმავე სიძველის გამო. გარღვეულიყვნენ თავიდან ბოლომდე და დილებშესწილ სქელ ღიპიანებს დამსგავსებოდნენ. მის უკან აღმართულიყო ტურნელის სასახლის ისრების ტყე. მთელ ქვეყანაზე ვერც შამბორი, ვერც ალ-ჰამბრა¹ ვერ მოაჯაღოვებდა ადამიანის თვალს უფრო მეტი ჯადოს-ნური, უფრო ჰაეროვანი, უფრო მომხიბლავი სანახაობით, როგორც მაღალი ისრების, პატარა სამრეკლოების, საკვამურების, ფლუგერების, სპირალური და თითქოს სახერტელით დაცხრილული ხრახნი-ლა კიბეების, ტალავრების, თითისტარისებური პატარა კოშკების ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, სულ სხვადასხვა ფორმის, სიმად-ლისა და მდგომარეობის კოშკურების ეს ტყე. იტყოდით, ქვის უშველებელი ჭადრაკის დაფააო.

ტურნელის მარჯვნივ აზიდულიყო შავი, მელნისფერი უზარმა-ზარი კოშკების კონა; კოშკები ერთი მეორეში ჩასმული და ირგვლივ თხრილით ზონარშემოვლებული გეგონებოდათ. ეს ციხე-კოშკი, რომელსაც სარკმლებზე ბევრად უფრო მეტი სათოფურები ჰქონდა დატანებული, ეს მუდამ აშვერილი ასაწევი ხიდი, ეს მუდამ დაშვებ-ბული გისოსი, — ბასტილია იყო. ქონგურებს შორის გადმოშვერი-ლი შავი ნისკარტები, შორიდან წვიმის ღარღანებს რომ ჰგავდნენ, ზარბაზნები გახლდათ. მათ ლულებს ქვეშ, ამ საზარელი შენობის ფერხთით, ორ კოშკს შორის მიმალულიყო სენტ-ანტუანის კიშ-კარი.

ტურნელის იქით, თვით შარლ V-ის გალავნამდე, თვალწინ იშ-ლებოდა მწვანე მცენარეულობისა და ყვავილების მდიდარი უჯ-რაუჯრა უბნები, სამეფო კულტურებისა და პარკების ხავერდოვა-ნი ხალიჩა, რომლის შუაში გამოიცილობდით დედალუსის ცნობილ ბაღს, მცენარეებისა და ხეივნების ლაბირინთს. ლუი XI-მ იგი კუაქ-ტიეს უძღვნა. ამ დოქტორის ობსერვატორია აღმართული იყო ლაბირინთს მაღლა როგორც რამ დიდი და განმარტოებული სვეტი, რომელსაც ლავგარდანის მაგიერ თავს პატარა სახლი ჰქონდა დად-გმული. ამ ლაბორატორიაში იქმნებოდა საშინელი ასტროლოგიები. დღეს იქ სამეფო მოედანია.

როგორც ეს-ეს იყო ვთქვით, სასახლის უბანი, რომელზეც შევე-ცადეთ ერთგვარი წარმოდგენა მიგვეცა მკითხველისათვის. თუმცა მხოლოდ ღირსშესანიშნავი ნაგებობანი აღვნიშნეთ, ავსებდა შარლ

V-ის გალავანსა და სენას შორის მდებარე კუთხეს აღმოსავლეთით. ქალაქის ცენტრი ეჭირა მოქალაქეთა სახლების გროვას. მართლაც სწორედ ამ ადგილს გამოდიოდა მარჯვენა მხრის ქალაქის სამივე ხიდი, ხოლო ხიდების მახლობლად საცხოვრებელი სახლები უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე სასახლეები. ამ ფუტკრის სკის უჯრედებივით ერთმანეთზე მიჭუჭკული საცხოვრებელი სახლების გროვას თავისებური სილამაზე ჰქონდა. დიდი დედაქალაქის სახურავები ზღვის ტალღებსა ჰგვანან, მათშიაც არის რალაც სიდიადე. უპირველეს ყოვლისა ურთიერთ გადამკვეთი და დახლართული ქუჩები ერთიანად ჰქმნიდნენ ასობით თავშესაქცევ ფიგურებს. დახურული ბაზრების ირგვლივი ისინი ათასსხივგაშლილ ვარსკვლავსა ჰგავდნენ. სენ-დენისა და სენ-მარტენის ქუჩები მათი უამრავი განშტოებებით ერთიმეორის გვერდით მიიწვევდნენ ზევითა და ზევით როგორც ორი დიდი ხე, ერთმანეთში რომ ჩაუხლართავთ თავიანთი ტოტები. შემდეგ გველივით მიიკლაკნებოდა მრუდი ხაზებით მეფარდახტეების, მეწუშეების, ფეიქრების და სხვა ქუჩები. სახურავთა თავხეების ამ ზღვაში გაქვავებულ ზვირთთა ფრთონას ალაგ-ალაგ არღვევდა მშვენიერი შენობები. ერთი ამგვართავანი ზარათების ხიდის თავში, რომლის უკან, მეწისქვილეთა ხიდის თვლებს ქვეშ, ქაფს იგდებდა მდინარე სენა, იყო შატლეს ციხე-კოშკი, რომელიც უკვე იულიანე განდგომილის დროის რომანული კოშკი კი არ იყო, არამედ მეცამეტე საუკუნის ფეოდალური ციხე-კოშკი. იგი ისეთი მაგარი ქვით იყო ნაგები, რომ კალატოზის ჩაქუჩი სამი საათის განმავლობაში ხელის გულისოდენაზე მეტს ვერ მოფხენიდა. მათ შორის ამართულა სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის მდიდრულად მორთული ოთხკუთხა სამრეკლო, თავისი ქანდაკებიანი კუთხეებით. იგი უკვე მეოთხმეტე საუკუნეში ხიბლავდა მაყურებელს, თუმცა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. კერძოდ მას აკლდა ის ოთხი ურჩხული, შემდეგში მისი სახურავის კუთხეებში რომ მოუთავსებიათ და დღესაც იმ ოთხი სფინქსის იერი აქვთ, რომელთაც ახალ პარიზს გამოსაცნობად მისცეს ძველი პარიზის გამოცანა. მოქანდაკე რომ ისინი მხოლოდ 1526 წელს დადგა და თავის შრომაში ოცი ფრანკი მიიღო. ასეთი იყო აგრეთვე „სვეტებიანი სახლი“, რომლის წინახედი გრევის მოედანზე გადიოდა; ამ მოედანზე ერთგვარი წარმოდგენა უკვე მივეციტ მკითხველს. ასეთი იყო სენ-ჟერვეს საყდარი, რომლის მთავარკარი მასაქეთ გაფუჭებულია „ქარგი გემოვნების“ წყალობით; სენ-მერი, რომლის ძველი ისრული თაღები თითქმის ჯერ კიდევ შრგვალი კამარისებური იყო; სენ-ჟან, რომლის გუმბათის დიდებული ისარი საანდაზოდ გამხდარიყო; ასეთი იყო კიდევ ოცი

სხვა ძეგლი. რომელთაც არ უთაკილიათ დაემალათ თავიანთი საკვირველებანი ამ ჩაშავებულ, ვიწრო და ღრმა ქუჩების ქაოსში. ამას დაუმატეთ ქვისაგან ნაქანდაკარი ჯვარცმანი, რომლებითაც უფრო მეტად, ვიდრე სახრჩობელებით, მოფენილი იყო ქუჩათა გზაჯვარედინები; უმანკოთა სასაფლაო, რომლის ხუროთმოძღვრული გალავანი შორიდან მოჩანდა სახურავებს გადაღმა; პარიზის დიდი დახურული ბაზრის სახურავზე უფრო მაღლა ამართული სამარცხვინო ბოძი, რომლის წვერი მოჩანდა მევენახეთა ქუჩის ორ საკვამურს შორის; კრუა-დიუ-ტრაუარის ჯვარცმის აღსავლის კიბე; მისი სახელობისვე გზაჯვარედინზე მუდამ სალხი ირეოდა; ხორბლის ბაზრის ქოხების რკალი; აქა-იქ გაარჩევდით ფილიპ-აეგუსტის ძველი ზღუდის ნანგრევებს, სახლებში დანთქმულს, თითქოს ფათალოსაგან დაღრღნილ და შექმულ კოშკებს, დანგრეულ ჭიშკრებს, ჩამოწოლილი და ფორმამერყვნილი კედლების ნაწილებს; სანაპიროს თავის ათასი დუქნით და სისხლით მორწყული ტყავსახდლებით; ნავებით დაფარულ სენას თივის ნავსადგურიდან ეპისკოპოსის ციხემდე; წარმოიდგინეთ ყოველივე ეს და თქვენ გექნებათ ბუნდოვანი სურათი იმაზე, თუ როგორი იყო 1482 წელს ტრაპეციის ფორმის მქონე ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

გარდა ამ ორი უბნისა, რომელთაგან ერთი გაშენებული იყო სასახლეებით, მეორე—სახლებით, სანახაობის მესამე ნაწილი — სააბატოების გრძელი ზოლი ქალაქს თითქმის გარს ჰქონდა შემოვლებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პარიზის ჩამკეტ ციხე-სიმაგრეთა ზღუდის უკან მონასტრებისა და სამლოცველოებისაგან მეორე შინაგან გალავანსა ჰქმნიდა. ამგვარად, უშუალოდ ტურნელის პარკის გვერდით, სენტ-ანტუანის ქუჩასა და ტამპლის ძველ ქუჩას შორის იყო წმინდა ეკატერინეს მონასტერი თავისი თვალუწვდენელი მეურნეობით, რომლის სამანის ბოძები პარიზის კედლებთან იყო ჩაყრილი. ტამპლის ძველ და ახალ ქუჩებს შორის იყო ტამპლის სააბატო — კოშკების ავბედიით, მაღალი, ყალყზე შემდგარი და განმარტოებული გროვა ვრცელი, ქონგურებიანი ზღუდე-გალავანის შუაში. ტამპლის ახალ ქუჩასა და სენ-მარტენის ქუჩის შორის იყო სენ-მარტენის სააბატო. საგანგებოდ გამაგრებული და ბაღებში ჩაფლული ეკლესია. მისი კოშკების გალავანი, სამარეკლოების გვირგვინი ძალითა და ბრწყინვალეობით სენ-ჟერმენ-დე-პრეს თუ ჩაშოუვარდებოდა. სენ-მარტენისა და სენ-დენის ორ ქუჩას შორის გაჭიმულიყო წმინდა სამების გალავანი. ბოლოს, სენ-დენისა და მონტორგუელის ქუჩებს შორის იყო ქრისტე ღმერთის სასძლოთა სააბატო. გვერდით გაარჩევდით სასწაულებათა ეზოს

დამბალ სახურავებსა და დარღვეულ ღობეს: ეს იყო ერთადერთი საერო რგოლი, რომელიც მონასტერთა ამ ღვთისმოსავ ჯაჭვში ჩართულიყო.

ბოლოს მეოთხე ნაწილი, რომელიც მკაფიოდ ისახებოდა მარჯვენა ნაპირის სახურავთა გროვაში და ეჭირა ქალაქის გალავნის დასავლეთი კუთხე და წყლის ნაპირი მდინარის გაყოლებით, იყო ლუერის ძირს მიჭუჭკული სასახლეებისა და ოტელების ახალი კვანძი. ფილაბ-ავგუსტის ძველი ლუერი—ეს უზარმაზარი შენობა, რომლის მთავარი, დიდი კოშკი ირგვლივ თავს უყრიდა ოცდასამ მნიშვნელოვან კოშკს, თუ არად ჩავაგდებთ კოშკურებს, შორიდან ოტელ ალანსონისა და მცირე ბურბონის სასახლის გოტიკურ სახურავებში ჩასმულივით მოჩანდა. ციხე-კოშკების ეს ჰიდრა, პარიზის ბუმბერაზი დარაჯი, თავისი მუდამ ფხიზლად აღმართული ოცდაოთხი თავით, საზარელი, ურჩხულისებური ტყვიის ან ქერცლოვანი ქვადაფის გავებით, რომლებიც მთლად ლითონისფრად ბზინავდნენ და გამოკრთოდნენ, საოცარი მანერით ამთავრებდა ქალაქის მოხაზულობას დასავლეთის მხრიდან.

ამრიგად, იგი მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების უზარმაზარი უბანი იყო, სწორედ ისეთი. რომელსაც რომაელები insula, კუნძულს უხმობენ. ორივე მხარეს, მარჯვნივ და მარცხნივ გამაგრებული იყო სასახლეების ორი ჯგუფი, დაგვირგვინებული ერთი ლუერით, მეორე — ტურნელით, და შემოქობილი ჩრდილოეთიდან სააბატოების გრძელი ზღუდე-გალავნითა და ბოსტნების ღობეებით; ყოველივე ეს თვალს ერთმანეთში შერეულად და გაერთიანებულად წარმოუდგებოდა. ამ ათასობით შენობების კრამიტისა და ფიქალის სახურავები ერთიმეორის ფონზე უცნაურ ჯაჭვის რგოლებად მოჩანდა, მათ მალა აღმართულიყო მარჯვენა ნაპირის ორმოცდაოთხი ეკლესიის სვირანგიანი, ნაოქიანი და ნაყშიანი-ჩუქურთმიანი სამრეკლოები. მირიადი ქუჩები ჰკვეთდნენ ამ უბანს. ერთი მხრივ მის საზღვრებს შეადგენდა მალაკედლებიანი გალავანი ოთხკუთხა კოშკებით (უნივერსიტეტის გალავნის კოშკები მრგვალი იყო), მეორე მხრივ სენა, რომელსაც ხიდები ჰკვეთდა და რომელზეც უამრავი გემები დაცურავდა; აი როგორი იყო ქალაქი მეთხუთმეტე საუკუნეში.

ქალაქის კედლებს გადაღმა, ქიშკარს ზედ ეკვროდა რამდენიმე გარეუბანი, მაგრამ არც ისე მრავალრიცხოვანი და უფრო გაფანტული, ვიდრე უნივერსიტეტის მხარეს. ბასტილის იქით კრუაფობენის უცნაურ ქანდაკებებსაცა და სენტ-ანტუან-დე-შანის სააბატოს გოდლედს ირგვლივ შემოხვეოდა ოციოდე ქოხი. შემდეგ, პუ-

რის ყანებში ჩაკარგულიყო ჰოპენკური, მას მოსდევდა ლა-კურტი-ლი, მხიარული სოფელი დუქნებით; დაბა სენ-ლორანი ეკლესიით, რომლის სამრეკლო შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს სენ-მარტენის ქიშკრის მახვილწვერიან კოშკებს უერთდებოდა. გარეუბანი სენ-დენი, სენ-ლადრის მონასტრის ვრცელი გალავნით; მონმარტრის ქიშკრის გარეთ გრანე-ბატელიერს გარს შემორტყმოდა თეთრი ქვიტკირის კედლები. მის იქით, მონმარტრის ცარკოს ფერდობები, სადაც მაშინ თითქმის იმდენივე ეკლესია იყო, რამდენიც წისქვილი, და სადაც ახლა მარტო წისქვილებიდა შენახულა, რადგან საზოგადოება დღეს მოითხოვს მხოლოდ სხეულის საზრდოს. ბოლოს, ლუვრს იქით მოჩანდა ველ-მინდორში შექრილი გარეუბანი სენტ-ონორე, რომელიც მაშინაც უკვე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. მწვანედ მოჩანდა მცირე ბრეტანი, შემდეგ იშლებოდა ღორის ბაზარი, რომლის შუაგულს მრგვალად მოჩანდა საშინელი ღუმელი, სადაც ცოცხლად მღურავდნენ ყალბი ფულის მკრელებს. ლა-კურტილსა და სენ-ლორანს შორის თქვენმა თვალმა ალბათ უკვე შეამჩნია ბორცვის თავზე უდაბურ ვაკე ადგილს რაღაც ნაგებობა, რომელიც შორიდან ჰგავდა აჩოჩხილ დანგრეულ კოლონადას გაშიშვლებული ზეძირკვლით. იგი არ იყო არც პართენონი, არც ოლიმპიელი იუპიტერის ტაძარი. იგი მონფოკონი იყო.

ახლა, თუ ამდენი შენობების ჩამოთვლამ, როგორც უნდა ვცდილიყავით მის შემოკლებას, არ დააქუცმაცა მკითხველის გონებაში ძველი პარიზის საერთო სურათი, როცა ჩვენ მას ვაგებდით, — რამდენიმე სიტყვით შევაჯამებთ მთავარსა და არსებითს.

ცენტრში იყო კუნძული სიტე, რომელიც თავისი ფორმით უშველებელ კუს ჰგავდა და ხიდეები თათებივით გამოეყო სახურავთა კრამიტის რუხი ბაკანიდან. მარცხნივ უნივერსიტეტის მონოლითური ტრაპეცია, მკერივი, ხშირი, მჭიდრო, მიჯრილი, აბურძგნილი; მარჯვნივ — ქალაქის ფართო ნახევარწრე, შიგადაშიგ მრავალი ბაღებითა და ძეგლებით შერეული. პარიზის სამივე ნაწილი, სიტე, უნივერსიტეტი და ქალაქი დასერილი იყო ურიცხვი ქუჩებით. შუაში დის მდინარე სენა, „მარჩენალი სენა“, როგორც ამბობს მამა დიუბრელი, ჩახერგული კუნძულებით, ხიდეებითა და გემებით. ირგვლივ მთლიანად უსაზღვრო ვაკე საკერებლებივით, ათასგვარი კულტურებით აკრელებული და მიმოფანტული ლამაზი სოფლებით; მარცხნივ — ისი, ვანვრე, ვოჟირარ, მონრუჟე, ქანტილი თავისი მრგვალი და ოთხკუთხა კოშკებით და ა. შ. მარჯვნივ — ოცი სხვა სოფელი, დაწყებული კონფლანიდან და გათავებული ვილ-ლევეკით. ჰორი-

ზონტზე წრიულად შემოვლებული ბორცვების ქობა როგორც წყალსატევი აუზის კიდეები, ბოლოს, შორს, აღმოსავლეთით — ვენსენი და მისი შვიდი ოთხკუთხოვანი კოშკები; სამხრეთით — ბისერტი და მისი მახვილწვერიანი კოშკურები; ჩრდილოეთით — სენდენი და მისი წერწეტა ისარი; დასავლეთით — სენ-კლუ და მისი ციხე-კოშკი. აი პარიზი, რომელსაც ღვთისმშობლის ტაძრის კოშკების სიმაღლიდან გაჰყურებდნენ ყვაეები 1482 წელს.

მაგრამ სწორედ ამ ქალაქზე თქვა ვოლტერმა, რომ „ლუი XIV-მდე მას მხოლოდ ოთხი ლამაზი ძველი ჰქონდა“: სორბონის გუმბათი, ვალ-დე-გრასი, ახალი ლუერი და აღარ ვიცი მეოთხე რომელია, შესაძლებელია, ლუქსემბურგი. საბედნიეროდ ვოლტერმა შექმნა „კანდიდი“, და ყველა ადამიანთა შორის, კაცობრიობის თაობათა გრძელ შწკრივში, ერთიმეორეს რომ თანმიმდევრობით სცვლიდნენ, იგი ჯოჯოხეთური სიცილის უბადლო ოსტატი იყო. თუმცა ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ადამიანი შეიძლება დიდი გენიოსი იყოს, მაგრამ არა გაეგებოდეს რა მისთვის უცხო ხელოვნებისა. მოლიერსაც ეგონა, რომ რაფაელსა და მიქელ-ანჯელოს დიდი პატივი მიაგო, როცა მათ „თავიანთი დროის მინიარები“ უწოდა.

დაეუბრუნდეთ პარიზსა და მეთხუთმეტე საუკუნეს.

იმ დროს იგი არა მარტო ლამაზი ქალაქი იყო, ის ერთგვაროვანი ქალაქიც იყო, ნაყოფი ხუროთმოძღვრებისა და შუა საუკუნეების ისტორიისა, ქვის მათიანე. ის იყო ძველი ქალაქი, რომლის ხუროთმოძღვრული სახე შემდგარა მხოლოდ ორი ფენისაგან, რომანული და გოტიკური ფენებისაგან, რადგან რომაული ფენა დიდი ხანია გაქრა, თუ გამოვაკლებთ იულიანეს თერმებს, სადაც ეს უკანასკნელი ფენა კიდევ გამოსჭვიოდა შუა საუკუნეების სქელი გარსიდან. რაც შეეხება კელტურ ფენას, მის ნიმუშებს ვეღარ პოულობდნენ თვით ქების გათხრის დროსაც კი.

ორმოცდაათი წლით უფრო გვიან, როდესაც რენესანსმა ესოდენ მკაცრ და მაინც ესოდენ ნაირფეროვან ერთიანობას შეუტრია თავისი ფანტაზიისა და თავისი სისტემების თვალისმომკრელი ფუფუნება, რომაული მრგვალო კამარის, ბერძნული კოლონების და გოტიკური თაღების დამრეცობის თავშეუკავებლობა, ეგზომ მოხდენილი და იდეალური სკულპტურა, თავისი ნამეტანი მიღრეკილება არაბესკებისა და აკანთებისადმი, ლუთერის თანამედროვე არქიტექტურული წარმართობა, — პარიზი შეიძლება უფრო ლამაზი იყო, თუმცა ნაკლებ პარმონიული თვალისა და გონებისათვის. მაგრამ ეს ბრწყინვალე მომენტი ცოტა ხანს გაგრძელდა. რენესანსი არ იყო მიუდგომელი; იგი არ სჯერდებოდა შენებას, მას დამხობაც ეწადა. მართა-

ლია, მას ადგილი, სივრცე სჭირდებოდა. ამიტომ პარიზი სულ ერთი წუთით იყო მთლად გოტიკური. ძლივს დაამთავრეს სენ-ჟაკ დე-ლა-ბუშრი და მაშინვე ძველი ლუვრის დანგრევას მიჰყვეს ხელი.

მას შემდეგ ეს დიადი ქალაქი დღითი დღე ჰკარგავდა თავის სახეს. გოტიკური პარიზიც, რომლის ქვეშ წაიშალა რომანული პარიზი, თავის მხრივ გაქრა. მაგრამ შეიძლება ითქვას, როგორმა პარიზმა შეცვალა იგი?

არსებობს პარიზი ეკატერინე მედიჩისა ტიუილრიში *, პარიზი ანრი II-სა ქალაქის თვითმმართველობის სახლში; ორივე შენობა ჯერ კიდევ აგებულია დიდი გემოვნებით; პარიზი ანრი IV-სა — მეფის მოედანზე: აგურის ფასადებით, ქვაკუთხედებით, ფიქალის სახურავებით, სამფეროვანი სახლებით, პარიზი ლუი XIII-სა — ვალდე-გრანსში: გაბრტყელებული და ჯმუხი, ჩადგმული არქიტექტურით, კალათის სახელურის მსგავსი თაღებით, რაღაც ლიპიანი სვეტებით, კუზიანი გუმბათებით; პარიზი ლუი XIV-ისა — ინვალიდების დიდ, მდიდრულ, მოოქროვილ და ცივ სასახლეში; პარიზი ლუი XV-ისა — სენ-სიულპისში: ხეებით, ბაფთიანი ნასკევებით, კვანძებით, ღრუბლებით, ქიაყელებით, ვარდკაჭაჭებით — ყოველივე ეს ქეაში გამოძერწილი; პარიზი ლუი XVI-ისა პანთეონში, რომის წმინდა პეტრეს ტაძრის¹ უხეირო ასლში (მასთან შენობამ რაღაც უშნოდ დაიწია, რამაც სრულიადაც ვერ შეასწორა ხაზები); პარიზი რესპუბლიკის ხანისა — სამედიცინო სკოლაში: იგი უბადრუკი მიბაძევა ბერძნული და რომაული გემოვნებისა და ისევე ჰგავს კოლიზუმს ან პართენონს² როგორც III წლის კონსტიტუცია³ — მინოსას კანონებს⁴, ხუროთ-

* ჩვენ გულისტკივილითა და აღშფოთებით ვიხილეთ ის, თუ როგორ ზრუნავდნენ და ირჯებოდნენ იმისთვის, რათა გაეფართოებინათ, გადაეკეთებინათ, გადაეშავებინათ, გადაესხაფურებინათ, ესე იგი, დაეწკრიათ, შეემუსრათ, ეს საუცხოო სასახლე. ჩვენი თანამედროვე ხეროთმოდღარნი ფრიად ტლანქი ხელის ბრძანდებიან იმისათვის, რომ რენესანსის ამ სათუთ ქმნილებებს შეეხონ. ჩვენ ნიადავ ვიმედოვნებთ, რომ ისინი ამას არც გაბედავენ. გარდა ამისა, ტიუილრის ეს დანგრევა ახლა იქნებოდა არა მარტო ველური საქციელი, რის გამო მთვრალ ვანდალიც კი გაწითლდებოდა, არამედ ეს იქნებოდა ლალატი, გამცემლური მოქმედება. ტიუილრი მარტო შეთუქსმეტე საუკუნის ხელოვნების უბრალო შედეგრი როდია, ის ამავე დროს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ერთი ფურცელია. ეს სასახლე უკვე მეფისა კი არა, ხალხისა არის. დაეტოვოთ ისე, როგორც არის, ხელს ნუ ვახლებთ, ნუ შევბლაღავთ. ჩვენმა რევიოლუციამ ორჯერ დააჩნია დალი მის შუბლს. მისი ერთი ფასადი გაარღვია 10 აგვისტოს ყუმბარამ. მეორე — 29 ივლისის ყუმბარამ. იგი წმადათა წმიდაა.

პარიზი, 7 აპრილი (მეხუთე გამოცემის შენიშვნა ავტორისა).

მოძღვრებაში მას უწოდებენ „მესიდორის სტილს“¹; პარიზი ნაპო-
ლეონისა — ვანდომის მოედანზე; მართლაც დიდებულია ზარბაზნე-
ბისაგან ჩამოსხმული ბრინჯაოს ეს სვეტი; პარიზი რესტავრაციის
ხანისა — ბირჟაში: ის წარმოადგენს ძალიან თეთრი სვეტების
მწკრივს, რომლებსაც ემყარება მეტად გლუვი ფრიზი; მთლიანად
იგი კვადრატულია და ღირს ოცი მილიონი.

თვითეულ ამ დამახასიათებელ ძეგლთან კვლავ დაკავშირებუ-
ლია სტილის, ფორმისა და მდგომარეობის მსგავსებით სახლების
გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა კვარ-
ტალშია გაბნეული; მცოდნის თვალი მაშინვე გაარჩევს მათ და ად-
ვილად განსაზღვრავს თარიღს. ვინც იცის დანახვა, მას შეუძლია
კარის უროთიც კი ამოიცნოს საუკუნის სული და მეფის ფიზი-
ონომია.

ამრიგად, დღევანდელ პარიზს არავითარი საერთო სახე არ გააჩ-
ნია. იგი რამდენიმე საუკუნის ხუროთმოძღვრული ნიმუშების კო-
ლექციაა, მასთან უკეთესნი გაქრნენ. დედაქალაქი იზრდება სახლე-
ბის ხარჯზე და მერე რა სახლების! თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ პა-
რიზი ყოველ ორმოცდაათ წელიწადში განახლდება. ამიტომაც მისი
ხუროთმოძღვრების ისტორიული მნიშვნელობა ყოველ დღე ქრება.
ძეგლები იშვიათი ხდება. გეგონებათ, საცხოვრებელი სახლები თან-
დათანობით შთანთქავენ და წალეკავენ შათ. ჩვენი ჰამა-პაპანი ქვის
პარიზში ცხოვრობდნენ, ჩვენი შვილები თაბაშირის პარიზში იც-
ხოვრებენ.

რაც შეეხება ახალი პარიზის თანამედროვე ძეგლებს, ჩვენ სია-
მოვნებით გავითავისუფლებთ თავს მათზე ლაპარაკისაგან. ეს იმას
არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ არ მივაგებთ სათანადო პატივს, როგორც
შეეფერებათ და როგორც ჯერ არს. ბატონ სუფლოს² მიერ შექ-
მნილი წმ. ენევიევის ეკლესია უეჭველად ფრიად კარგი სავო-
იური ნამუშევარია, როგორც კი ოდესმე გამოუცხვიათ ქვისაგან. სა-
პატიო ლეგიონის სასახლეც ასევე ფრიად რჩეული შაქარლამის ნა-
ქერია. ხორბლის დახურული ბაზრის გუმბათი მეტისმეტად ჰგავს
ინგლისელი ჟოკის დიდი ზომის ჩიხაქუდს, გრძელ კიბეზე ჩამოც-
მულს. სენ-სიულპისის კოშკები ორი დიდი კლარნეტივით აშვერილა
და ეს ფორმა სხვაზე ნაკლები როდია. ტელეგრაფის დაკლაკნილი და
დაპრანჭული კოშკურა მათ კერზე ჰქმნის საამო მრავალფეროვნე-
ბას. სენ-როხის მთავარკარი სიდიადით წმინდა თომას აკინელის
ეკლესიის მთავარკარს თუ შეედრება. მასაც აქვს გოლგოთას
მრგვლად ამობურცული გამოსახულება ერთ ჩაღრმავებულ ადგი-
ლას და მოოქროვილი ხისგან გაკეთებული მზე. ერთიცა და მეო-

რაც საკვირველი რამ არის. ბოტანიკური ბაღის ლაბირინთის სანათური ლიფლიფაც ძალიან თავსატეხია. რაც შეეხება ბირჟის სასახლეს, რომელიც ჩამწყკრივებული სვეტების მიხედვით ბერძნულია, კარებისა და ფანჯრების მრგვალი კამარით — რომაული, დიდი დაბალი თალით — აღორძინების ხანისა, უდავოდ ძალიან სწორი და მეტად სუფთა ძეგლია; საამისო საბუთს იძლევა ატიკური გვირგვინი, როგორც აფენშიაც კი არავის უნახავს და რომლის ლამაზ და სწორ სახს აქა-იქ კეკლუცად გადაჰკვეთენ ღუმელის საკვამლე მილები. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ, თუ წესისამებრ შენობის არქიტექტურა მის დანიშნულებას იმგვარად უნდა შეესაბამებოდეს, რომ ეს დანიშნულება შენობის ერთი შეხედვით მეღავნდებოდეს, მაშინ არავინ იცის ამაზე უფრო მომხიბლავი ძეგლი, რომელიც ერთნაირად შეიძლება იყოს მეფის სასახლეცა და თემთა პალატაც, ქალაქის თვითმმართველობის სახლიცა და სასწავლებელიც, მანეჟიცა და აკადემიაც, საწყობიცა და სასამართლოც, მუზეუმიცა და ყაზარმაც, აკლამაც, ტაძარიცა და თეატრიც. ჯერჯერობით კი იგი ბირჟია. გარდა ამისა, ყოველი ძეგლი უნდა შეეხამოს ჰავას. ბირჟის შენობა, ცხადია. განგებ აგებულია ჩვენი ცივი და წვიმიანი ცისთვის. მისი სახურავი თითქმის ბრტყელია როგორც აღმოსავლეთში, ამიტომაც ზამთრობით, როცა თოვს, მის ბანს ხვეტავენ. და ეჭვი არ არის, ბანი იმიტომაც კეთდება, რომ გადაიწმინდოს. რაც შეეხება იმ დანიშნულებას, რომელზეც ახლახან ვლაპარაკობდით, იგი საოცრად ასრულებს მას; საფრანგეთში ის ბირჟაა, საბერძნეთში კი ტაძარიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მართალია, არქიტექტორს საკმაო შრომა და გარჯა დასჭირდა, რათა დაემალა კოშკის საათის ციფერბლატი, რომელიც დაარღვევდა წინხედის ლამაზი ხაზების სიწმინდეს, მაგრამ სამაგიეროდ დარჩა სვეტების მწყკრივი, რომელიც გარს უვლის ძეგლს და რომლის ქვეშაც რელიგიური დღესასწაულის საზეიმო დღეებში შეეძლო მწყობრად ჩაეარა ზარათებისა და ჩარხკაპრების დეპუტაციას.

ყველა ესენი უეჭველად მეტად დიდებული ძეგლებია. მათ შეიძლება კიდევ დაეუმატოთ უამრავი ლამაზი, სასეირო, თავშესაქცევი და სხვადასხვანაირი ქუჩები, ისეთი, როგორც რივოლის ქუჩაა, და მე იმედს არ ვკარგავ, რომ საპაერო ბურთის საფრენი სიმაღლიდან პარიზის ხედი ერთ დღეს თვალწინ გადაგვიშლის ხაზების ისეთ სიმდიდრეს, დეტალების ისეთ სიუხვეს, ისეთ სხვადასხვანაირ სახეებს, იმ რაღაც გრანდიოზულს მარტივში და მოულოდნელს მშვენიერში, რაც შაშის დაფას ახასიათებს.

მაგრამ მაინც რაც უნდა წარმტაცი და მომხიბლავი გეგონოთ

თანამედროვე პარიზი. აღიდგინეთ თქვენს გონებაში მეოხუთმეტე საუკუნის პარიზი. შეხედეთ მზის შუქს, ისრების, კოშკებისა და სამრეკლოების საოცარ ტევრში ჩაშვებულს, დააფრქვიეთ დღის სინათლე უსახლგრო ქალაქს, გაარღვიეთ კუნძულთა წვეროებით, აკეცეთ ხიდების თალებით განიერი, მწვანედ და ლურჯად მოლივლივე სენა, რომელიც გველის პერანგზე უფრო მეტად იცვლება; მკაფიოდ გამოსჭერით ლაქვარდ ჰორიზონტზე ძველი პარიზის გოტიკური პროფილი; ააციმიციმეთ მისი კონტურები ზამთრის ნისლში, რომელიც მის უამრავ საკვამურებს დაჰკიდებია; ჩაძირეთ ქალაქი ღამის წყვილაღში და უცქირეთ სინათლისა და სიბნელის უცნაურ თამაშს შენობათა ამ პირქუშ ლაბირინთში; სტუორცნეთ მთვარის სხივი, რომელიც ბუნდოვნად გამოსახავს და ნისლიდან გამოიყვანს კოშკების დიდ თავებს; ან ხელს ნუ ახლებთ ამ შავ სილუეტს, ნუ გაანათებთ მას სხივით. ჩაამუქეთ გუმბათების, სამრეკლოების წვეტებისა და თავებების ათას მახვილ კუთხეთა ჩრდილები, უეცრივ წინ წამოსწიეთ და დასავლეთის სპილენძისფერ ცაზე იგი ზვიგენის ხახზე უფრო დაკბილული გამოჩნდება, — და შემდეგ შეადარეთ.

თუ გნებავთ მიიღოთ ძველი ქალაქის შთაბეჭდილება, რასაც თანამედროვე პარიზი ველარ მოგცემთ, აღით დიდი დღესასწაულის დილას, მზის ამოსვლის ეამს აღდგომის ან სამების დღეს, რომელიც მაღალ წერტილზე. საიდანაც მთელი დედაქალაქი თვალწინ გადაგვშლება, და დაესწარიტ ზარების გამოლიტებას. შეხედეთ, ციდან მოცემულ ნიშანზე. დიახ ციდან, რადგან მზე იძლევა ამ ნიშანს, უტბად შეირხევიან, ათროლოდებიან, ათასობით ეკლესიები. ჯერ გაისმის ზარების გაფანტული რეკვა, ერთი ეკლესიიდან მეორეზე გადაძხილი, თითქოს მემუსიკენი ერთმანეთს ამცნობენ დასაწყისსო. შემდეგ, ანაზდად, უყურეთ, რადგან ხანდახან არის წუთები, როცა გგონიათ, რომ ყურებიც ხედავენ, შეხედეთ, იმავე წუთს ყოველი სამრეკლოდან როგორ აღიმართება ბგერების სვეტი, პარმონიის ღრუბელი. ჯერ ყოველი ზარის ქღერა დილის კრიალა ცაში ზევით მიიწევს სწორად, სუფთა და ანკარა და თითქოს სხვებისგან განცალკევებით უბნობს. შემდეგ, თანდათან ძლიერდება, მსხვილდება, ბოხდება, ბგერები ერთმანეთს ერევა, უერთდება, ერთიმეორეში იშლება, შეერწყმება და დიად კონცერტს ჰქმნის. ახლა ის უკვე წკრიალა, მთრთოლვარე ბგერების ხშირი ნაკადია, რომელიც განუწყვეტლივ იღვრება უამრავი სამრეკლოებიდან და ფრიალებს, მიცურავს, ღელავს, ბიბინებს, ეხვევა, ხტის, ბრუნავს, თავს დასტრიალებს ქალაქს და შორს ჰორიზონტს იქით ავრცელებს თავისი გამაბრუებელი ტალღების არეს. ამასთან პარმონიის ეს ზღვა

სულაც არ არის ქაოსი. მიუხედავად მთელი სიფართისა და სიღრმისა, იგი ერთი წუთითაც არ ჰკარგავს გამჭვირვალებას; თქვენ იქ ხედავთ, როგორ გველივით იკლაკნება ზარებიდან მოწყვეტილი ბგერების ყოველი ჯგუფი; თქვენ შეგიძლიათ ყური მიუხდლოთ რაგრიგობით დინჯი დიდი ზარისა და წკრიალა ზარის დიალოგს. თქვენ იქ ხედავთ, როგორ მიფრინავენ ოქტავეები ერთი სამრეკლოდან მეორისაკენ; თქვენ ხედავთ მათ აღმაფრენას, ვერცხლის ზარის ფრთიან, მსუბუქ და წკრიალით. სტვენით სწრაფვას; ხედავთ როგორ დუნედ ეშვება ხის ზარის დაბეგვილი, გაბზარული და კოჭლი ოქტავეები; თქვენ იხილვებით წმინდა ესტატეს შეიდი ზარის ხან დაღმავალი და ხან აღმავალი მდიდარი გამმით; თქვენ ხედავთ ამ პარმონიაში უეცრად ქეშად როგორ შემოიჭრება რამდენიმე ნათელი და სწრაფი ნოტა, სამი თუ ოთხი კლაკნილით ელვასავით გაანათებს და ჩაქრება. იქ მძაფრი და გაბზარული ხმით მღერის სენ-მარტენის სააბატო; იქვე ავბედითი, ბუზღუნა და მუქარა ხმა ბასტილიისაა. მეორე ბოლოდან მოისმის ლუერის დიდი კოშკის დაბალი ბოხი ხმა. მართლმსაჯულების სასახლის ზარების დიადი, მეფურა რეკვა ყოველ მხარეს ფანტავს ბრწყინვალე მორაკრაკე ხმებს, ხოლო პარიზის ლეთისმშობლის ტაძრის სამრეკლო კოშკის ნივნივიდან თანაბარი შუალედებით მათ ზედ ატყდება საგანგაშო ზარის გუგუნე. და ეს მორაკრაკე ხმები ისე ელვარებენ, როგორც ნაპერწყლები გრდემლზე უროს დარტყმის ეამს. დროგამოშვებით თქვენამდე აღწევს სენ-ეერმენ-დე-პრეს ეკლესიის სამმაგი რეკვის ყოველნაირი ბგერები. შემდეგ კი, დროდადრო დიადი ბგერების ეს მასა გაიხსნება და გზას მისცემს ხარებობის ეკლესიის სამრეკლოდან მოვარდნილ სტრეტოს, ფინალის აჩქარებულ ტემპოს, რომელიც ტყდება, იმსხვრევა და ელვარე ნაპერწყლებს აფრქევს ვითარცა ვარსკვლავებიანი ჯილა. ქვემოთ. კონცერტის სიღრმეში, ეკლესიის შიგნით, თქვენ ბუნდოვნად გააჩრევთ სიმღერას, რომელიც თითქოს მთრთოლვარე თაღების ნასვრეტებიდან ორთქლივით იპარება.

მართლაც, აი ოპერა, რომელიც ღირს მოისმინოთ. ერთობლივი გუგუნე, რომელიც დღისით ჩვეულებრივ პარიზს თავს დასტრიალებს, იმას ნიშნავს, რომ ქალაქი ლაპარაკობს, დამდამობით იგი სუნთქვავა ქალაქისა, ამეამად კი ქალაქი მღერის. მაშ. ყური მიუხდეთ ზარების ამ გუნდურ სიმღერას. მიუმატეთ მას ნახევარმილიონიანი მოსახლეობის ჩურჩული, მდინარის მარადი დრტვინვა და ოპერაჩივილი, ქარის გაურკვეველი, უსაზღვრო ქროლვა და სულთქმა, კორიზონტის ბორცვებზე ორგანის უზარმაზარი კორპუსებივით შეფენილი ოთხი ტყის შორეული სახეიშო კვარტეტი; ჩააყუჩეთ ა-


გვარად ამ ნახევარ ხმაში ის, რაც მთავარ ზართარეკვაში ნამეტანი ხრინწიანი და ნამეტანი მკვეთრია, და თქვით, თუ იცით ქვეყნად რამე უფრო მდიდარი, უფრო მხიარული, უფრო ძვირფასი, უფრო მშვენიერი, უფრო მომხიბლავი, თვალისმომპყრელი. ვიდრე ზარების რეკვის ეს ალიაქოთი, ვიდრე მუსიკის ეს ბრძმედი, ვიდრე ეს ათი ათასი სპილენძის ხმა, ერთდროულად ამღერებული სამასფუტიანი სიმალლის ქვის ფლეიტებით, ვიდრე ეს ორკესტრადქცეული ქალაქი, ვიდრე ეს გრიგალივით აგუგუნებულ სიმფონია.

ნ ა ო ნ ა

კეთხე

I

კეთილი სულაზი



ექვსმეტი წლის წინათ, მანამდე, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა. კვირაცხოვლობის ერთ მშვენიერ დილას, წირვის შემდეგ, ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭეში დატანებულ ხის ბაგაზე დადებული იყო ცოცხალი ქმნილება, ხელმარცხნივ. წმინდა კრისტოფის დიდი გამოსახულების პირდაპირ, რომელსაც 1413 წლიდან მუხლმოდრეკილი შესცქეროდა რაინდ მესირ ანტუან დეზესარის ქვის ქანდაკება, ვიდრე არ მოიფიქრეს წმინდანისა და მორწმუნის დამხობა. ამ ხის სარეცელზე ძველთაგან დადგენილი ადათის მიხედვით აწვედნენ ნაპოვნ ბავშვებს და საზოგადოებას ქველმოქმედებისაკენ მოუხმობდნენ. ვისაც სურდა. აიყვანდა. ხის სარეცელის წინ იყო სპილენძის თასი მოწყალეებისათვის.

ცოცხალი არსების მსგავსი რაღაც, რომელიც ამ ფიცარზე იწვა კვირაცხოვლობის დღეს ქრისტეს დაბადებიდან 1467 წელს, ეტყობოდა. უაღრეს ცნობისმოყვარეობას აღძრავდა ხის სარეცელს ირგვლივ მოგროვილ საკმაოდ მნიშვნელოვან მაყურებელთა შორის. ჯგუფი უმეტეს წილად მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთაგან შედგებოდა. ესენი თითქმის მხოლოდ მოხუცი ქალები იყვნენ.

პირველ მწკრივში შენიშნავდით ოთხ ქალს. ისინი ყველაზე უფრო მეტად დახრილიყვნენ სარეცელზე. ანაფორის მაგვარ მონაზვნურ რუხ ტანსაცმელზე ეტყობოდათ, რომ ღვთისმოსაეთა რომელიღაც საძმოს ეკუთვნოდნენ. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა გადასცეს ისტორიამ შთამომავლობას ამ ოთხი მოკრძალებული და პატივსაცემი ქალის სახელი. ესენი იყვნენ: აგნეს ლა პერმ, ევანა დე ლა ტარმ, ჰენრიეტ ლა გოტიერ, გოშერ ლა ვიოლეტ. ოთხივენი ქვრივები იყვნენ, ოთხივენი კეთილი ქალები ეტიენ-ოდრის ეკვდერიდან. რომლებიც სახლიდან გამოსულან თავიანთი დედათმომძღვრის ნებართვითა და პიერ დ'ელის წესდების შესაბამად, რათა მოესმინათ ქადაგება.

თუმცა ამ წუთს პატიოსანი მონაზონნი — მოწყალების დები იცავდნენ პიერ დ'ელის წესდებას, მაგრამ ისინი უთუოდ სულითა და გულით არღვევდნენ მიშელ დე ბრაშისა და კარდინალ პიზანელის წესდებას, რომელიც ესოდენ არაადამიანურად მოითხოვდა მათგან დუმილს.

— რა არის ეს, დაო ჩემო? — ჰკითხა აგნესამ გოშერის და თან ათვალეერებდა მწოლარე პატარა ქმნილებას, რომელიც ხის საწოლზე წკაპწკაპებდა და იგრინებოდა, მთლად შეშინებული ამდენ მაყურებელთაგან.

— ვინ იცის, რა დაგვემართოს, თუ ახლა ამგვარი ბავშვების გაჩენა იწყებს ქვეყნად? — თქვა ევანამ.

— მე ბავშვებისა არა გამეგება რა, — უპასუხა აგნესამ, — მაგრამ მაგის ცქერაც კი ცოდვა უნდა იყოს.

— ეს სულაც არ არის ბავშვი, აგნეს.

— მარმუნია უსახური, — შენიშნა გოშერმა.

— სასწაულია, ცუდის მომასწავებელი, — ჩაურთო ჰენრიეტ ლა გოტიერმა.

— მაშინ, — აღნიშნა აგნესამ, — ეს მესამეა ჯვართყვანისცემის კვირის აქეთ. რადგან რვა დღეც არ გასულა მას მერე, რაც სასწაულის მომსწრე გავხდით, როდესაც ესოდენ ღვთაებრივად დასაჯა ღვთისმშობელმა ობერვილიე მლოცველ მწირთა დაცინვის გამო. ის კი მეორე სასწაული იყო ამ თვეს.

— მართლაც საზიზღარი ურჩხულია ეს ეგრეთწოდებული ნაპოვნი ბავშვი, — თქვა ისევ ჟენამ.

... ისე ღრიალებს, მგალობელს გამოაყრუებს, — განაგრძო გოშერმა.

— გაჩუმდი, შე მყვირალავ, შენა!

— შენ ის თქვი, რომ მონსენიორი არქიეპისკოპოსი რეიმსელი ამხელა სისაძაგლეს მონსენიორ არქიეპისკოპოს პარიზელს უგზავნის! — დასძინა ლა გოტიერმა და გულხელი დაიკრია.

— მე მგონია, — თქვა აგნეს ლა ჰერმე, — იგი მხეცია, პირუტყვია... ურიისა და ნეზვის ნაშობი.., ერთი სიტყვით, ოღაც ურჯულო, არაქრისტიანი, რომელიც ან წყალში უნდა გადააგდო ან ცეცხლში დაწვა.

— იმედია, — დაიწყო ისევ ლა გოტიერმა, — მაგისტრის თავს არავინ გამოიდებს.

— აჰ, ღმერთო ჩემო, — წამოიძახა აგნესამ, — როგორ მეცოდებიან საბრალო ძიძები ნაპოვნი ბავშვთა სახლში, იქ, იმ ქუჩის ბოლოს, მდინარეს რომ ჩასდევს ქვევით, მონსენიორ ეპისკოპოსის საცხოვრებლის გვერდით, თუ მათ მოუხდათ ამ პატარა ურჩხულის ძუძუს წოვება! მე უფრო მერჩია ძუძუ ვამპირისათვის მიმეცა საწოვად.

— რა გულუბრყვილოა, ეს საწყალი ლა ჰერმი! — შეეპასუხა ჟენამ. — ნუთუ ვერ ხედავთ, დაო ჩემო, რომ ეს პატარა ურჩხული სულ ცოტა ოთხი წლისა მაინც არის და თქვენი ძუძუ უფრო ნაკლებ ეგემრიელება, ვიდრე შამფურზე აცმული მწვადი.

მართლაც, ახალდაბადებული როდი გახლდათ „ეს პატარა ურჩხული“ (ჩვენ თვითონ ძალიან გვეძნელება სხვანაირად მოვიხსენიოთ იგი). ის მეტად კუთხოვანი და მეტად მოუსვენარი პატარა მასა გახლდათ, ჩამწყვდეული ტილოს ტომარაში, რომელზეც აღბეჭდილი იყო მესირ გილიომ შარტიეს, პაროზს მაშინდელი ეპისკოპოსის ინიციალები. ამ მასას ტომრიდან თავი გამოეყო. თავი საკმაოდ მახინჯი და უსახური მოუჩანდა. ნამეტნავად შეიმჩნეოდა წითური თმების ტევრი, ცალი თვალი, პირი და კბილები. თვალიდან ცრემლი სდიოდა, პირი ღრიალებდა, კბილები კი, როგორც ჩანდა, საკბენად მიიწვედნენ. მთელი ტანი ტომარაში ფართხალებდა, რაც ფრიალ აოცებდა ირგვლივ შემოხვეულ ბრბოს, რომელსაც სულ ახალ-ახალი ხალხი ემატებოდა.

ქალბატონი ალიოზე დე გონდლორიე, მდიდარი და წარჩინებული ქალი, რომელსაც ხელი მოეკიდა ექვსიოდე წლის მშვენიერი გოგონასათვის და თავსაბურის ოქროს რქაზე გრძელი რიდე მოსთ-

რევდა. გავლით ბაგას წინ გაჩერდა და ერთხანს უბედურ ქმნილებას დააკვირდა. ამ დროს მისი მომხიბლავი პაწია ასული ფლორდელის დე გონდლორიე, მთლად აბრეშუმსა და ხავერდში გამოწყობილი. თავის პაწია და მოხდენილ თითს აყოლებდა წარწერას ბაგასმიკრულ დაფაზე და ჩამარცვლით კითხულობდა: ნ ა პ ო ვ ნ ი ბ ა ვ შ ვ ე ბ ი .

— ჰემმარტად. — ჩაილაპარაკა ქალბატონმა და თან ზოზლით შებრუნდა. — მე ვფიქრობდი, აქ მხოლოდ ბავშვებს სდებდნენ.

მან ზურგი შეაქცია და თან თასში ჩააგდო ვერცხლის ფლორინი, რომელმაც სპილენძის წვრილ-წვრილ ფულზე ჩხარუნი მოაღინა. ამის გამო ეტენ ოდრის ეკვდერის ლატაკმა მოწყალების დებმა თვალები ჰყიტეს.

ერთი წუთის შემდეგ გამოიარა მედიდურმა და განსწავლულმა რობერ მისტრიკოლმა, მეფის პროტონოტარიუსმა. ცალ ილიაში უშველებელი კურთხევანი ამოეჩარა, მეორე ხელი კი მკლავში გაეყარა თავისი ცოლისთვის (წარმოშობით გილიომეტ ლა მერესთვის), ასე რომ ორივე მხრიდან მას თავისი ორი მომწესრიგებელი ახლდა: სასულიერო და საერო.

— ნაპოვნი ბავშვი! — თქვა მან მას შემდეგ, რაც საგანს დააკვირდა. — ნაპოვნი, ალბათ, მდინარე ფლეგეტოს მიწაყრილზე.

— მას მხოლოდ ერთი თვალი უჩანს, — შენიშნა ქალბატონმა გილიომეტამ, — მეორე კი მეჭექვს დაუფარავს.

— ეგ მეჭექვი როდია, — შეეპასუხა მეტრ რობერ მისტრიკოლი, — ეგ კვერცხია და შიგ დამწყვედებულია მეორე, ასეთივე დემონი, რომელიც ატარებს კვლავ მეორე პატარა კვერცხს, მეორე ეშმაკის შემცველს და ასე შემდეგ...

— როგორ, საიდან იცით თქვენ ეგ? — ჰკითხა გილიომეტა ლა მერესმა.

— დარწმუნებით ვიცი, — მიუგო პროტონოტარიუსმა.

— ბატონო პროტონოტარიუსო, — ჰკითხა გოშერმა, — რას გვიწინასწარმეტყველებს ეს ვითომდა ნაპოვნი ბავშვი?

— უდიდეს უბედურებას, — უპასუხა მისტრიკოლმა.

— აჰ! ღმერთო ჩემო! — თქვა ვილაც დედაბერმა მსმენელთაგან, — ისედაც შარშან შავი ჰირი მძინევარებდა, ახლა კიდევ ლაპარაკობენ არფლეში ინგლისის ჯარი აპირებს გადმოსხდომასო.

— ამან შეიძლება სექტემბრის თვეში ხელი შეუშალოს დედოფლას ჩამოსვლას პარიზს, — მხარი აუბა მეორე დედაბერმა, — ვაქრობა ხომ მთლად ხელიდან მიდის!

— მე იმ აზრისა ვარ, — წამოიძახა ეიანა დე ლა ტარმმა, —

პარიზის მდაბიო ხალხისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ამ პატარა ჯადოსანს ფიჩხის კონაზე დააწვენდნენ და არა ბაგაზე.

— მშვენიერ აგიზგიზებულ ფიჩხის კონაზე! — დაუმატა დედაბერმა.

— ეს უფრო კეთილგონივრული იქნებოდა, — თქვა მისტრიკოლმა.

უკვე რამდენიმე წუთს ერთი ახალგაზრდა მღვდელი ყურს უგდებდა მონაზონთა მსჯელობას და პროტონოტარიუსის ბრძნულ წარმონათქვამებს. ამ ახალგაზრდას მკაცრი სახე ჰქონდა, ფართო შუბლი, ღრმააზროვანი გამოხედვა. მან მღუმარედ მისწი-მოსწია ხალხი, „პატარა ჯადოსანს“ დახედა და ზედ ხელი დაადო. სწორედ დროზე მოუხწრო, თორემ ყველა ის ბებერი ფარისევლები უკვე ტუჩებს ილოკავდნენ და წინასწარ ტკებოდნენ „მშვენიერი აგიზგიზებული კოცონის“ წარმოდგენით.

— მე ვიშვილებ ამ ბავშვს, — თქვა მღვდელმა.

თავის ანაფორაში გაახვია და წაიყვანა. იქ მყოფთ დაფეთებულ თვალელები გააყოლეს. ერთი წუთის შემდეგ იგი მიეფარა წითელ კარს, რომელიც მაშინ ეკლესიიდან მონასტერში გადიოდა.

როცა პირველმა განცვიფრებამ გაიარა, შეანა დე ლა ტარში დაიხარა და გოტიერს ყურში წასჩურჩულა:

— მე ხომ დიდი ხანია გეუბნებოდით, ჩემო დაო, ეს ახალგაზრდა მღვდელი, ბატონი კლოდ ფროლო, ჯადოქარია-მეთქი.

II

კლოდ ფროლო

მართლაც, კლოდ ფროლო არ გახლდათ ჩვეულებრივი პიროვნება.

იგი ეკუთვნოდა ერთ-ერთ იმ საშუალო შეძლების ოჯახთაგანს, რომელთაც გასული საუკუნის უხეშ ენაზე განურჩევლად ან წარჩინებულ მოქალაქეებს უწოდებდნენ ანდა წვრილფეხა აზნაურობას. ამ ოჯახმა ძმების პაკლევებისაგან მემკვიდრეობით მიიღო ტირშაპის მამული, პარიზის ეპისკოპოსის საუწყებო. ამ მამულის ოცდაერთი სახლი მეცამეტე საუკუნეში გაუთავებელი საჩივრების საგანი იყო სასულიერო სასამართლოში. როგორც ამ მამულის მფლობელი, კლოდ ფროლო იყო ერთ-ერთი ასორმოდ მებატონეთაგანი. ხარკის მაძიებელი პარიზსა და მის გარეუბნებში; ამიტომ მისი გვარი ამ

წოდებით დიდხანს იყო აღნიშნული მეტრ ფრანსუა ლე რეცის კუთვნილ ტანკარვილის სასახლესა და ტურის კოლეჯს შორის მდებარე სენ-მარტენ-დე-შანის მონასტერში დაცულ სიგელ-გუჯრების კრებულში.

კლოდ ფროლო ბავშვობიდანვე მშობლებმა სასულიერო წოდებისათვის განაწესეს. ასწავლეს ლათინური კითხვა, აღუზარდეს ჩვევა თვალების ძირს დახრისა და დაბალი ხმით უბნობისა. ჯერ კიდევ მთლად ბავშვი მამამ უნივერსიტეტის უბანში ტორშის კოლეჯში ჩაკეტა: იქ იზრდებოდა კურთხევანსა და სიტყვათა კონაზე თავჩარგული.

თუმცა ისედაც ბუნებით სევდიანი, დინჯი, ჩაფიქრებული, სერიოზული ბავშვი იყო, გულმოდგინედ სწავლობდა და სწრაფად ითვისებდა. ის არ ანცობდა და არ ყვიროდა შესვენების უამს, ნაკლებ ერეოდა ფუარის ქუჩის ღრეობებში, არ იცოდა, რა იყო *dare alapas et capillus laniare**. არავეითარი მონაწილეობა არ მიუღია 1463 წლის ამბოხებაში, რომელიც მემარტინეებს დიდი ამბით აღუწესხავთ სათაურით: „უნივერსიტეტის მეექვსე არეულობა“, იშვიათად თუ დასცინოდა იგი კოლეჯ მონტეგიუს მოსწავლეებს „არახჩინების“ გამო, საიდანაც წარმოდგება მათი შერქმეული სახელი, ანდა კოლეჯ ღორმანის სტიპენდიანტებს იმის გამო, რომ კინკრისხოები გაპარსული ჰქონდათ და მუქი ლურჯი, ცისფერი და იისფერი მაუდის სამზოლიან განიერ წამოსასხმას ატარებდნენ, *azurini coloris et brunii*** , როგორც ნათქვამია ოთხი-გვირგვინის კარდინალის ქარტიაში.

სამაგიეროდ იგი ბეჯითად მეცადინეობდა სენ-ჟან-დე-ბოვეს ქუჩის ყველა დიდსა თუ პატარა სასწავლებელში. პირველი მოწაფე, რომელიც სენ-ვანდრეევილის სკოლის ერთ-ერთ სვეტთან ატუზული შეამჩნია აბატჰა სენ-პიერ დე ვალმა თავისი კათედრის პირისპირ, როცა დაიწყო თავისი ლექცია კანონიკურ სამართალზე. იყო კლოდ ფროლო, რქის საწერ-ჯალმით შეიარაღებული, ყალამს კვენტდა, გაკვეთილ მუხლებზე რვეული დაედო და რაღაცას იწერდა, ზამთარში ხელები რომ გაეთბო, თითებს იორთქლებდა. პირველი მსმენელი, რომელსაც ყოველ ორშაბათ დილას ხედავდა მესირ მილ დ'ილიე, საეკლესიო დებულებათა ისტორიის დოქტორი, როგორ მოიბრუნდა ხოლმე აქოშინებული შეფ-სენ-დენის სკოლის კარების გახსნის წინ, იყო იგივე კლოდ ფროლო. ასე რომ უკვე თექვსმეტი

* სილის გაწვნა და თმების გლეჯა (ლათ.).

** ლეჟარდნისა და წაბლისფერი.

წლის ახალგაზრდა სწავლულს შეეძლო გასტოლებოდა მისტიკურ თეოლოგიაში ეკლესიის რომელიც გნებავთ მამას, კანონიკურ თეოლოგიაში — საკრებულოს რომელიც გნებავთ წევრს, ხოლო სქოლასტიკურ თეოლოგიაში — თვით სწორბონის დოქტორს.

თეოლოგია რომ მოათავა, კათოლიკური ეკლესიის განაწესთა შესწავლას მიჰყო ხელი.

„სენტენციების კრებულიდან“ იგი „კარლოს დიდის კაპიტულარიებზე“ გადავიდა. ცოდნას მოწყურებული ერთმანეთზე მიყოლებით შთანთქავდა დეკრეტალებს დეკრეტალებზე, ასე მაგალითად, თეოდორის — ჰისპალის ეპისკოპოსის, ბუშარის — ვორმის ეპისკოპოსის, ივის — შარტრის ეპისკოპოსის დეკრეტალებს; შემდეგ ხელი მიჰყო გრაციანის დეკრეტა კრებულს, რომელმაც გააგრძელა კარლოს დიდის კაპიტულარიები; მერმე გრეგორ IX-ის კრებულსა და ჰონორიუს III-ის ეპისტოლეს „სუპერ სპეკულას“. იგი გაერკვა და ახლო გაეცნო შუა საუკუნეებში წარმოებული სამოქალაქო და კანონიკური სამართლის ბრძოლისა და მოქმედების ამ ერცელსა და არეულ-დარეულ პერიოდს, რომელიც იწყება ეპისკოპოს თეოდორით 618 წელს და მთავრდება პაპ გრეგორით 1227 წელს.

დეკრეტალები რომ მოინელა, მედიცინასა და თავისუფალ ხელოვნებათ ეკვეთა. შეისწავლა სამეურნალო ბალახთა მეცნიერება, მალამოების მეცნიერება, გამოიცადა ციებ-ცხელების, დაშავებულობათა, კრილობა-იარების, მუწუყებისა და ჩირქიანი სიმსივნეების მკურნალობაში. უკ დეპარ სიამოვნებით მიანიჭებდა ექიმ მკურნალის წოდებას, ხოლო რიშარ ჰელე — ექიმ დოსტაქარის ხარისხს. ასევე ერთნაირი წარმატებით გაიარა თავისუფალ ხელოვნებათა ყველა სამეცნიერო ხარისხი — ლიცენციატის, მაგისტრისა და დოქტორისა. მან შეისწავლა ლათინური, ბერძნული, ებრაული — ეს სამმაგი წმინდათაწმინდა სიბრძნე, იმ დროს ნაკლებად ცნობილი. იგი მეცნიერული ცოდნის შეძენისა და დაგროვების ნამდვილი ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. თვრამეტი წლისამ დაამთავრა ოთხივე ფაკულტეტი. ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს ასე ეგონა, ცხოვრებას ერთადერთი მიზანი აქვს: ცოდნა.

ამ დროს, დაახლოებით, 1466 წლის მეტიამეტად ცხელ ზაფხულს შავმა ჰირმა იფეთქა, რომელმაც მარტო პარიზის ვიკონტის სამბრძანებლოში ორმოც ათას კაცზე მეტი შეიწირა, სხვათა შორის, ამბობს ჟენ დე ტრუა, „მეტრ არნუ, მეფის ასტროლოგი, ვარსკვლავთმრიცხველი, რომელიც ფრიად კეთილი, ჰკვიანი და სასიამოვნო კაცი“ ყოფილა. უნივერსიტეტში ხმა გავრცელდა, სენმა განსაკუთ-

რებთ ტირპაშის ქუჩის მცხოვრებლებს გაავლო მუსრიო. ამ ქუჩაზე თავიანთ ლენურ მამულში ცხოვრობდნენ კლოდის მშობლები. ფრიად შეშფოთებული ახალგაზრდა მოსწავლე მამისეულ სახლისაკენ გაეშურა. ფეხი რომ შედგა ზღურბლზე, დედა და მამა უკვე მკვდარი დაუხვდა. მისი პაწია ძმა, ზუქუთა ბავშვი, არტახებით შეკრული, ჯერ ისევ ცოცხალი იყო და ბედის ანაბარად მიტოვებული, თავის აკვანში ჩხაოდა. ესლა დარჩენოდა კლოდს თავისი ოჯახიდან. ყმაწვილმა კაცმა ხელში აიყვანა ბავშვი და ჩაფიქრებული გამოვიდა სახლიდან. აქამდე მეცნიერების სფეროში იმყოფებოდა, ამიერიდან ნამდვილ მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ამ კატასტროფამ კლოდის ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა. დაობლებულმა, ცხრამეტი წლის ასაკში ოჯახის უფროსად დარჩენილმა, იგრძნო რა მკაცრი იყო მოსწავლის ოცნებიდან ამქვეყნიურ სინამდვილეში დაბრუნება. მაშინ, სიბრალულის გრძნობით გამსქვალული, იგი ბავშვის, თავის ძმის მგზნებარე სიყვარულმა და ერთგულბამ შეიპყრო. უცნაური და ტკბილი რამ იყო ეს ადამიანური გრძნობა სიყვარულისა მისთვის, ვისაც დღემდე მხოლოდ წიგნები უყვარდა.

ეს გრძნობა სიყვარულისა და ერთგულებისა იშვიათი ძალით გაიფურჩქნა მის არსებაში. მისი ჯერ კიდევ შეურყვენელი სულისათვის იგი პირველ სიყვარულს ჰგავდა. საბრალო მოსწავლეს, ბავშვობიდანვე მშობლებს განშორებულს, რომელთაც ძლივს იცნობდა, მონასტერში ჩამწყვდეულსა და თავის წიგნებში ჩაფლულს, მთლად სწავლასა და ცოდნის შეძენას დახარბებულ ყმაწვილს, ვისი გულისყურიც მანამდე მხოლოდ და მხოლოდ იქით იყო მიპყრობილი თავისი გონება მეცნიერებით გაემდიდრებინა და თავისი წარმოსახვის არე წიგნებით გაეფართოებინა, დრო არ ჰქონდა თავის გულზეც ეფიქრა, გრძნობა მიეპყრო, ყური დაეგდო. უმცროსმა ძმამ, უდედმამოდ დარჩენილმა ამ პაწია ბავშვმა, ასე მოულოდნელად ციდან ხელებში რომ ჩაუვარდა, სრულიად გარდაქმნა იგი, ახალ კაცად აქცია. ის მიხვდა, რომ ქვეყნად არსებობს კიდევ რაღაც, სორბონის სპეკულაციური თეორიებისა და ჰომეროსის ლექსების გარდა; მან გაიგო, რომ ადამიანს სჭირდება სიყვარული; სინაზესა და სიყვარულს მოკლებული სიცოცხლე უსულგულო, წრიპინა და კრიალა კბილანა ბორბალია. მაგრამ რადგანაც ის ისეთ ასაკში იყო, როცა ერთ ილუზიას მეორე სცვლის, ამიტომ წარმოიდგინა, რომ მხოლოდ სისხლითი და ოჯახური სიყვარული არის აუცილებლად საჭირო და პატარა ძმის სიყვარული საკმარისია მთელი არსებობის შესავსებად.

ისედაც ღრმა ბუნების, ფიცხი ხასიათისა და შთაბეჭდილებიანი

ახალგაზრდა თავისი პატარა ქეანის მხურვალე სიყვარულმა გაიტაცა. ეს საბრალო ნაზი ქმნილება, ლამაზი, ქერა, ხუჭუჭთმიანი და ვარდისფერლოყებიანი ობოლი, რომელსაც სხვა იმედი და შემწე არ ჰყავდა, გარდა მეორე ობლისა, სულის სიღრმემდე აღელვებდა მას. ღრმა აზროვნებას მიჩვეულმა უსაზღვრო სიბრაღის გრძობით იწყო მისთვის ძვირფას და სათუთ არსებაზე ფიქრი და მზრუნველობა. ბავშვისთვის იგი ძმაზე უფრო მეტი იყო, ის დედა გახდა მისთვის.

პატარა ქეანი ჯერ კიდევ ძუძუმწოვარი ბავშვი იყო, დედა რომ დაკარგა. კლოდმა ძიძა აუყვანა. გარდა ტირაპაშის მამულისა, მამის სიკვდილის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო მულენის სამფლობელო, რომელიც ოთხკუთხა კოშკის ქანტილიის უწყებაში შედიოდა. იგი წარმოადგენდა ერთ ბორცვზე მდგომ წისქვილს ვინჩესტრის (ბისეტრის) სასახლის ახლოს. მეწისქვილის ცოლი იმ ხანად თავის ქორთა ბავშვს ძუძუს აწოვებდა. თანაც უნივერსიტეტიდან შორს არ იყო. კლოდმა სწორედ იმას მიჰგვარა თავის პაწია ქეანი.

მას შემდეგ, მძიმე ტვირთი რომ იგრძნო, ცხოვრებას უფრო სერიოზულად შეხედა. თავის პატარა ძმაზე ფიქრი მისთვის არა მარტო შესვენება, მთელი მისი სწავლის მიზანი იყო. გადაწყვიტა თავი შეეწირა ბავშვის მომავლის უზრუნველყოფისათვის, რაზეც მას პასუხი უნდა ეგო ღვთის წინაშე; სამუდამოდ უარი თქვა მეუღლესა და შვილზე, და სხვა საზრუნავი აღარა ჰქონდა რა, გარდა თავისი ძმის ბედნიერებისა და ბედისა. ამრიგად, კიდევ უფრო მეტად დაუკავშირა თავისი ცხოვრება სასულაერო წოდებას. ღირსება, ცოდნა, პარიზის ეპისკოპოსის უახლოესი ვასალის მდგომარეობა ფართოდ უღებდა მას ეკლესიის კარებს.

ოცი წლისა იყო, როცა პაპის ხელისუფლების საგანგებო ნებართვით მღვდლად დაინიშნა და როგორც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ყველაზე ახალგაზრდა კაპელანი ღვთისმსახურებას ასრულებდა იმ საკურთხეველში, რომელსაც *altare pigrorum**-ს უხმობდნენ, იმის გამო, რომ იქ წირვა დაგვიანებით ხდებოდა.

ახლა კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო თავის საყვარელ წიგნებში და მათ მხოლოდ იმისთვის სტოვებდა, რომ ერთი საათით წისქვილში შეებრინა. ცოდნისა და სიმკაცრის წყალობით, რაც ესოდენ იშვიათია მის ასაკში, მალე მთელი მონასტრის პატივისცემა და აღტა-

* „ზარმაცთა საკურთხეველი“ (ლათ.).

ცება დაიშახურა. მონასტრიდან მისი, როგორც სწავლულის სახელი ხალხში გადავიდა, სადაც იგი ჯადოქრის სახელით შეიცვალა, რაც მაშინ, ხშირი მოვლენა იყო.

სწორედ ამ დროს, კვირაცხოვლობის დღეს, ის იყო წირვა გაათავა ზემოხსენებულ „წარმაცთა“ სჯურთხეველში, რომელიც საგუნდოს კარის გვერდით, ღვთისმშობლის გამოსახულების ახლოს, ნეფს მარჯვნიდან ეკვროდა, და შინ ბრუნდებოდა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო ნაპოვნ ბავშვთა ბაგის ირგვლივ შეგროვილმა მოწივეწივე მოხუც ქალთა ჯგუფმა.

სწორედ მაშინ იყო, რომ მიუთახლოვდა უბედურ ქმნილებას, რომელსაც ესოდენი სიძულვილი და მუქარა გამოეწვია. ამ უბედურების, სიმანხიჯისა და ბედის ანაზრად მიგდებული არსების შეხედვამ. პატარა ძმაზე ფიქრმა, მის გონებაში ანაზრად გაელეებულმა: იმ საზარელმა აზრმა, ის რომ მოკვდეს, მის პაწია ყვანსაც ალბათ აიევე ვავლახად მიავდებენ ნაპოვნი ბავშვების ბაგაზე, — ყოველივე ამან უეტრად შეიპყრო გული მისი, დიდი სიბრალულის გრძნობამ ააღლევა; ბავშვს ხელი დასტაცა და სახლისაკენ გააქანა.

როდესაც ბავშვი ტომრიდან ამოიყვანა, დაინახა, რომ მართლაც მეტად მახინჯი იყო. საწყალ ბაღს მარცხენა თვალზე მეკეკი ჰქონდა; თავი მხრებში ჩავარდნოდა, ხერხემალი რკალივით გაღუნებოდა; გულმკერდის ძვალი ამოხნეკილი ჰქონდა, ფეხები კი — მრუდი; მაგრამ იგი სიცოცხლისუნარიანი და გამძლე ჩანდა, და თუმცა შეუძლებელი იყო იმის გაგება, რომელ ენაზე ბურტყუნებდა, მისი ყვირილი მოწმობდა, თუ რაოდენ ღონიერი და ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. ამ სიგონჯის დანახვაზე კლოდს უფრო მეტი თანაგრძნობა აღეძრა და გუნებაში აღტქმა დადო, ძმის სიყვარულის გამო აღეზარდა ეს ბავშვი, იმ მიზნით, რომ როგორც უნდა ყოფილიყო მომავალში პატარა ყვანის შეცდომები, წინასწარ მიტევებული იქნებოდა ისინი მის გამო ჩადენილი ქველმოქმედებით. ეს კეთილ საქმეთა ერთგვარი საიმედო მოთავსება იყო, უმცროსი ძმის სახელით აღსრულებული; იგი წარმოადგენდა წინასწარ დაგროვებულ კეთილ მოქმედებათა რაღაც ოდენობას იმ შემთხვევისათვის, როცა პატარა ნებრუცა ამ მონეტის, სამოთხეში შესასვლელი ამ ერთადერთი ბაჟის საჭიროებას იგრძნობდა.

მან მონათლა თავისი შვილობილი და სახელად „კვაზიმოდო“ დაარქვა — ამით ან იმ დღის აღნიშვნა უნდოდა, რა დღესაც ის

* „კვაზიმოდო“ — კათოლიკეებში პირველი კვირა აღდგომის შემდეგ. მართლმადიდებლებში კვირაცხოველს უწოდებენ: „კვაზი“ ლათინურად ნიშნავს „თითქოს, თითქმის, ვითომ“. (მთარგმნ. შენიშვნა).

იპოვა. ანდა ამ სახელით სურდა დაეხასიათებინა, რამდენად არასრული, ნაკლოვანი და ეპივავლახით იყო შეკოწიწებული საცოდავი პატარა ქმნილება. მართლაც, კვაზიმოდო ცალთვალა; ფეხებდაბრეცილი, კუზიანი, თითქმის „ერთომ კაციც“ კი ვერ იყო.

III

IMMANIS PECORIS CUSTOS, IMMANIOR IPSE*

მაშინ, ე. ი. 1482 წელს, კვაზიმოდო უკვე დიდი იყო. რამდენიმე წლის წინ იგი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზარების მრეკველი გახდა წყალობითა თავისი მამობილისა კლოდ ფროლოსი, რომელიც ჟოზასის არქიდიაკონად დანიშნეს თავისი სიუზერენის ლუი დე ბომონის მეოხებით, ხოლო ეს უკანასკნელი 1472 წელს პარიზის ეპისკოპოსად ეკურთხა გილიომ შარტიეს სიკვდილის შემდეგ თავისი მფარველის ოლივიე ლე დენის ხელშეწყობით; ეს უკანასკნელი ღვთის წყალობით ლუი XI-ის დალაქი ბრძანდებოდა.

ამრიგად, კვაზიმოდო პარიზის ღვთისმშობლის ზართა მრეკველი იყო.

დროთა განმავლობაში რალაც გულითადი კავშირი დამყარდა ზარების მრეკველსა და ეკლესიას შორის. ამ ქვეყანას სამუდამოდ განშორებული ორმაგი უბედურების — თავისი უცნობი წარმოშობისა და სიმახინჯის გამო, სიურმიდანვე ამ ორმაგ გამოუვალ წრეში ჩამწყვდეული, საბრალო უბედური მიჩვეული იყო არაფერი დაენახა ამ წმინდა კედლების მიღმა, რომელთაც იგი შეიფარეს თავიანთ ჩრდილ ქვეშ. თავისი ზრდისა და განვითარების კვალობაზე ღვთისმშობლის ტაძარი ხან კვერცხი იყო მისთვის, ხან ბუდე, ხან სახლი, ხან საშობლო, ხან მთელი სამყარო.

ამ ქმნილებასა და შენობას შორის, მართლაც, ერთგვარი იდუმალი და წინასწარ დადგენილი პარმონია სუფევდა. როდესაც, ჯერ კიდევ სულ პატარა, ფეხაკაუჭებული, ხტუნვა-ხტუნვითა და კლაკნით დაბობლავდა ამ პირქუშ თაღებს ქვეშ, ადამიანის სახისა და მხეცის ტანიანი ქვეწარმავალი გეგონებოდათ, ბუნებრივად წარმოშობილი ნესტიანსა და მოღუშულ ფილებს შორის, რომლებზეც რომანული ლავგარდანები, სვეტითაეები უცნაური ფორმის ჩრდილებს აფენდა.

* მწყემსი საზარელი პროწესი სამწყსოზე უფრო საზარელია (ლათ.).

უფრო მოგვიანებით, როცა პირველად უნებლიედ ხელი მოჰკიდა სამრეკლოს თოქს, ზედ ჩამოეკიდა, გააქან-გამოაქანა და ზარი ააგუგუნა, კლოტს. მის მამობილს, მოეჩვენა, თითქოს ბავშვს ენა ამოედგას და ალაპარაკებულყოფს.

ამრიგად. ნელ-ნელა ვითარდებოდა მუდამ ტაძრის გარემოცვა-ში. იქ ცხოვრობდა, იქ ეძინა, თითქმის არასდროს არ გამოდიოდა იქიდან. ყოველთვის მის იღუმალ ზემოქმედებას განიცდიდა, და ბოლოს სულაც დაემსგავსა მას, ასე ვთქვათ, თითქოს შეეზარდა, მის შემადგენელ ნაწილად იქცა. მისი სხეულის გამოშვერილი კუთხოვანი ნაკვთები თითქოს იმისთვის იყვნენ შექმნილი, რომ შენობის შეწეულ კუთხეებში ჩალაგებულყოფ, — დაე გვაპატიონ ასეთი შედარება! ის მარტო ტაძრის მობინადრე კი არა, მისი ბუნებრივი შინაარსი გეგონებოდათ. თითქმის შეიძლებოდა გეთქვათ, მან ტაძრის ფორმა მიიღო ისე, როგორც ლოკოკინა იღებს თავისი ნიჟარის ფორმას. იგი მისი საცხოვრისი, მისი სორო, მისი გარსი იყო. მასა და ძველ ეკლესიას შორის ისეთი ღრმად ინსტინქტური თანაგრძნობა, მაგნეტური მიზიდულობა. იმდენი მატერიალური თვისობა არსებობდა, იმგვარად იყო იგი ტაძართან შეზრდილ-შეხორცებულნი, როგორც კუ თავის ბაკანთან. ტაძრის მქისე, ხორკლიანი კედლები მისი ჯავშანი იყო.

ზედმეტია გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ სიტყვა-სიტყვით ნუ მიიღებს ამ შედარებებს, რომელთაც ჩვენ აქ იძულების გამო ვხმარობთ, რათა გამოვხატოთ ადამიანისა და შენობის ეს თავისებური და იშვიათი, სიმეტრიული, უშუალო და თითქმის ერთ არსებულად შეერთება. ასევე უსარგებლოა ვილაპარაკოთ, თუ რამდენად შეეთვისა იგი მოელ ტაძარს ასეთი ხანგრძლივი და ასეთი ინტიმური თანაცხოვრების მანძილზე. ეს სავანე მისთვის იყო ზედგამოჭრილი, თითქოს მისთვის იყო შექმნილი. იქ არ იყო სიღრმე, სადაც კვაზიმოდოს ვერ ჩაელწიოს, არ იყო სიმაღლე, სადაც იგი ვერ ამძვრალიყოფს. არაერთხელ მოუხდა მხოლოდ ქანდაკებათა შვერილებზე ხელჩაქიდებულს, ტაძრის წინა ხედზე აბლოტება. არც თავბრუს ჰხვევდა, არც შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა ორი ეგზომ მაღალი, მრისხანე და საზარელი კოშკი, ტყუპი დეკემპირი, რომელთა გარე ზედაპირზე ხშირად უნახავთ იგი აცოცებული, როგორც ხვლიკი შეეულ კედელზე მოსრიალე. როცა უყურებდნენ, თუ როგორი მორჩილი იყვნენ ისინი მის ხელქვეშ, როგორ ადვილად სძლეოდა მათ ხოხვის დროს, კაცს ეგონებოდა, მოუთვინიერებიათ. ამ მუდმივ ხტუნვასა და ცოცვაში, გიგანტური ტაძრის უფსკრულების თავზე ნავარდში, იგი ერთგვარად მაიმუნად თუ ქურციკად იქ-

ცა, ვითარცა კალაბრიელი ბავშვი, რომელიც ცურვას სიარულზე ადრე იწყებს და სულ პატარა ბალღი ზღვას ეთამაშება.

მაგრამ, როგორც ჩანდა, მარტო მისი სხეული კი არა, სულიც ამ ტაძრის მიხედვით ყალიბდებოდა: რა მდგომარეობაში იყო ეს სული? რა ჩვევები შეიძინა, რა ფორმა მიიღო ამ უხეშ გარსში დამწყვედულმა, ამ ველური არსების ცხოვრებაში? ამის განსაზღვრა ძნელია. კვაზიმოდო დაიბადა ცალთვალა, კუზიანი, კოჭლი. დიდი შრომა-გარჯა და მოთმინება დასჭირდა კლოდ ფროლოს, რომ მისთვის ლაპარაკი ესწავლებინა, მაგრამ რაღაც ბედისწერა სდევნიდა საბრალო ნაპოვნ ბავშვს. ლეთისმშობლის ტაძრის ზარების მრეკველს თოთხმეტი წლის ასაკში ახალი უბედურება დაატყდა თავს; ზარებმა დაფის აკი გაუხეთქეს და დაყრუედა. ის ერთადერთი კარიც, რომელიც ბუნებამ დაუტოვა ამქვეყნად, სამუდამოდ დაეხშო. დაეხშო და ამით გზა გადაეკრა სიხარულისა და სინათლის ერთადერთ სტივს, რომელიც ჯერ კიდევ იჭრებოდა კვაზიმოდოს სულში. წყვილად დამეში ჩაინთქა ეს სული. ბედკრული ადამიანის სევდა ისეთივე სრული და განუკურნებელი იყო, როგორც მისი სიმახინჯე. ამასთან სიყრუემ ერთგვარად დაამუნჯა კიდევ. სხვებისთვის რომ დაცინვის საბაბი არ მიეცა, იმ წუთიდან, რაც დაყრუედა, საბოლოოდ გადაწყვიტა სრული დუმილი დაეცვა და არასოდეს არ დაერღვია სიჩუმე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მარტო დარჩებოდა. მან ნებაყოფლობით დაიმუნჯა ენა, რომლის ახსნას ამდენი შრომა და გარჯა მოანდომა კლოდ ფროლომ. აი რატომ ზღებოდა, რომ როცა საჭიროება აიძულებდა ელაპარაკა, ენა ებმებოდა და ჟანგიან კოჭაჯზე ჩამოკიდებული კარივით მოუხეშავად, მძიმედ უტრიალდებოდა.

ახლა რომ მოვახერხებდეთ კვაზიმოდოს სულის განკურვტას ამ ტლანქსა და მაგარ ქერქს შიგნით; რომ შევძლებდეთ მოგვესინჯა ამ მახინჯი ქმნილების სულის შინაგანი სიღრმეები; საშუალება რომ გვქონდეს ჩირალდნით გაგვეშუქებინა და დაგვენახა, რა არის ამ გაუმკვირვალი გარსის უკან, გამოგვეცლია ამ განუკურვტელი არსების ბნელი შინაგანი სამყარო, გაგვერკვია მისი გონების ბუნდოვანი კუნჭულები, უზრო ჩიხები და ცინცხალი შუქით უეცრად გაგვენათებინა ამ მღვიმის ფსკერზე მიჯაჭვული მისი სული,— ამ უბედურს უეჭველად რაღაც საცოდავ მდგომარეობაში, მიკრუნჩხულსა და დაჩიავებულს ვნახავდით იმ ვენეციური ციხეების პატიმრებივით, რომლებიც მეტად დაბალ და მოკლე ქვის ყუთებში ორად მოკაკულნი სიბერემდე სძლებდნენ.

უთუოდ ძაბუნდება სული მახინჯ სხეულში. კვაზიმოდო მხო-

ლოდ ძლივს თუ გრძნობდა თავის მსგავსად და ხატად შექმნილი სულის შინაგან გაურკვეველ მოძრაობას. საგანთა შთაბეჭდილებანი მნიშვნელოვან გარდატეხას განიცდიდნენ, სანამ მის შეგნებას მიღწევდნენ. მისი ტვინი თავისებურ არეს წარმოადგენდა. იდეები, რომლებაც მასში გაივლიდნენ, იქიდან სრულიად მრუდი და ოკრობოკრო გამოდიოდნენ. ამგვარი გარდატეხიდან წარმომდგარი მისი ასახვანი აუცილებლად შეუთანხმებელი, დამახინჯებული და დაბნეული იყო.

აქედან წარმოიშობოდა ათასობით ოპტიკური ილუზია, ათასობით მცდარი მსჯელობა, ათასობით გადახვევანი, რომელთა შორისაც გახლართულიყო მისი ფიქრი და, იგი ხან გიჟივით ბოდავდა, ხან კი გონებასუსტივით რომავდა.

ამგვარი საბედისწერო სულიერი წყობის პირველი შედეგი ის იყო, რომ იგი საგნებს ამღვრეული თვალით უყურებდა. მათი უშუალო აღქმის უნარი თითქმის არც კი გააჩნდა, გარესამყარო მას ბევრად უფრო დაშორებული ეგონა, ვიდრე ჩვენ.

მისი უბედურების მეორე შედეგი იყო გაბოროტება.

ის მართლაც გაბოროტებული ჩანდა, რადგან ველურს წააგავდა. გველურებულს კი იმიტომ წააგავდა, რომ გონჯი იყო. მის ბუნებაში არსებობდა ერთგვარი ლოგიკა, ისე როგორც ჩვენს ბუნებაშია.

მისი ესოდენ არაჩვეულებრივად განვითარებული ღონეც ამ გაბოროტების მიზეზს წარმოადგენდა. „Malus puer robustus“*, ამბობს პოპსი¹.

თუმცა სამართლიანობა უნდა მივაგოთ და ვთქვათ, რომ ეს გაბოროტება, შეიძლება, არც იყო თანდაყოლილი. თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე ადამიანთა შორის მან იგრძნო, — ხოლო შემდეგ ნათლად დაინახა, რომ ის დამცირებული, შეგინებული, დადალული, განკიცხული და განდევნილი ქმნილება იყო. ადამიანური სიტყვა მისთვის მუდამ დაცინვას ან წყევლა-კრულვას წარმოადგენდა. ისე გაიზარდა, რომ თავის ირგვლივ მხოლოდ სიძულვილს ხედავდა. ეს სიძულვილი მასაც გადაედო. საერთო ბოროტება ჯაფით მოიპოვა. თვითონაც იმ იარაღით აღიქურვა, რომლითაც დაჭრილი იყო.

ბოლოს, უხალისოდ თუ მიაბრუნებდა სახეს ადამიანებისაკენ. მისთვის ტაძარიც კმაროდა. ეკლესია დასახლებული იყო მეფეთა, წმინდანთა და ეპისკოპოსთა მარმარილოს ძეგლებით, რომლებიც

* ღონიერი ყმაწვილი ბოროტა (ლათ.).

პირში მაინც არ დასცინოდნენ და მშვიდად, კეთილმოსურნედ უყურებდნენ. არც სხვა ძეგლები, ურჩხულებისა და ღემონების ძეგლები, იყვნენ კვაზიმოდოს მიმართ სიძულელით გამსჭვალული, რადგან მეტისმეტად ჰგავდა იგი მათ. მათი დაცინვა უფრო სხვა ადამიანებს ეხებოდა. წმინდანები მისი მეგობრები იყვნენ და ლოცავდნენ მას; ურჩხულებიც მისი ამხანაგები იყვნენ და მფარველობდნენ. ასევე დიდხანს უზიარებდა მათ თავის გულისნაღებს. ხანდახან მთელ საათებს ატარებდა რომელიმე ძეგლის წინაშე ჩაცუქული და განმარტოებით საუბრობდა მასთან. თუ ამ დროს მოულოდნელად ვინმე გამოჩნდებოდა, წამსვე გაიქცეოდა როგორც მიჯნური, რომელსაც სერენადაზე წაასწრეს.

ტაძარი მას უწევდა არა მარტო საზოგადოების, არამედ მთელი სამყაროს, მთელი ბუნების მაგიერობას. მას ვერ წარმოედგინა აყვავებული ხეხილის სხვა მწკრივი, გარდა სარკმელთა მუდამ ფერად-ფერად აციმიციმებული მინებისა, სხვა გრილო ჩრდილებისა, რომელსაც აფენდა საქსონური სვეტისთავეების ირგვლივ შემოგრაგნილი ქვის ფოთლების გვირგვინი, ფრინველთა გამოსახულებებით დახუნძლული; სხვა მთები, გარდა ეკლესიის ბუმბერაზული კოშკებისა, სხვა ოკეანე, გარდა პარიზისა, რომელიც მათ ფერხთით ხმაურობდა.

მაგრამ ის, რაც ყველაზე მეტად უყვარდა ამ მშობლიურ შენობაში, რაც აღვიძებდა მის სულსა და საშუალებას აძლევდა მღვიმეში ესოდენ უმწეოდ დაკეცილი თავისი საცოდავი ფრთები გაეშალა, რაც ხანდახან ბედნიერს ხდიდა, — ეს ზარები იყო. მას უყვარდა ისინი, ეალერსებოდა, ესაუბრებოდა, ესმოდა მათი. ყველას ნაზად ეპყრობოდა, დაწყებული საშუალო ისრული კოშკის წვრილი ზარებით და გათავებული მთავარკარის დიდი ზარით. შუა სამრეკლო და ორი კოშკი მისთვის სამი დიდი გალია იყო, რომლებშიც მის მიერ გამოზრდილი ფრინველები მხოლოდ მას უმღერდნენ. ესენი კი სწორედ ის ზარები გახლდათ, რომლებმაც ის დააყრუეს; მაგრამ დედასაც ხომ ხშირად ის შვილი უყვარს ყველაზე მეტად, რომელმაც ყველაზე მეტი ტანჯვა განაცდევინა.

ღიახ, მათი რეკვა ერთადერთი ხმა იყო, რომელიც კიდევ შეეძლო მოესმინა. ამიტომაც ყველაზე მეტად დიდი ზარი უყვარდა; მას ამჯობინებდა ყველას ამ ხმაურა ქალიშვილების ოჯახში, მის ირგვლივ რომ ირხეოდნენ დღესასწაულებში. ამ დიდ ზარს „მარია“ ერქვა. იგი მარტო ეკიდა სამხრეთის კოშკის სამრეკლოში უფრო ნაკლები ზომის ზართან თავისი დის „ეკლინას“ გვერდით, რომელიც უფრო მომცრო გალიაში იყო მოთავსებული. „ეკლინამ“ ეს

სახელი ჟეან მონტეგეუს მეუღლის პატივსაცემად მიიღო. მონტეგეუმ ზარი ტაძარს შესწორა, რამაც ხელი ვერ შეუშალა მას, თავწაკეთილს მონფოკონი დაემშვენებინა. მეორე კოშკში ექვსი სხვა ზარი ეკიდა, და, ბოლოს, ექვსი მეტად პატარა ზარი შუა კოშკის სამრეკლოში იყო მოთავსებული ხის ზართან ერთად, რომელსაც ვნების კვირას მხოლოდ დიდ ხუთშაბათს რეკავდნენ ნაშუადღევებიდან აღდგომის ცისკრის ლოცვამდე. ასე რომ კვაზიმოდოს თავის ჰარამხანაში თხუთმეტი ზარი ჰყავდა, მაგრამ მისი საყვარელი მაინც სქელი „მარია“ იყო.

შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს, რა სიხარულს განიცდიდა იგი დიდი ზარის რეკვის დღეებში. იმ წუთსვე, როგორც კი არქიდიაკონი ნებას დართავდა და ეტყოდა: „მიდიო“, სამრეკლოს დახვეულ კიბეზე ისე სწრაფად ავარდებოდა, სხვა ჩამოსვლას ვერ მოასწრებდა. აქოშინებული დიდი ზარის ჰაეროვან ოთახში შევიდოდა. ერთ წამს ყურადღებითა და სიყვარულით უქვერტლდა, მერმე ტკბილი სიტყვით ჩუმად მიმართავდა. ხელს გადაუსვამდა, მიუალურსებდა, როგორც ჯიშთან ცხენს, რომელსაც გრძელი გზა აქვს გასავლელი. თითქოს ებრალებოდა იმ ტანჯვის გამო, რომელიც მას მოელოდა. ამ პირველი ალერსის შემდეგ კოშკის ქვემო სართულზე მყოფ თავის დამხმარეებს ჩასძახებდა, დაიწყეთო. ისინიც ბაგირს ჩამოეკიდებოდნენ. ოწინარი აჭრიალდებოდა და ლითონის უმველებელი კაფსული ნელ-ნელა გაქანდ-გამოქანდებოდა. კვაზიმოდო ათრთოლებული ადევნებდა თვალს:

ზარის ენის პირველი შემოკვრა სპილენძის შიდა გვერდზე აზანზარებდა იმ ძელურს, რომელზეც ის იყო ასული. კვაზიმოდო ზართან ერთად თრთოდა და ირხეოდა. „მოდი!“—იყვირებდა და თან გიჟური ხარხარი აუტყდებოდა. ამასობაში დიდი ზარის მოძრაობა ძღვერდებოდა და რაც უფრო იზრდებოდა მისი გაქანების კუთხე, კვაზიმოდოს თვალი თანდათან უფართოვდებოდა, ენთებოდა და ფოსფორი უგიზგიზებდა.

ბოლოს, დიდი ზარის რეკვაც იწყებოდა, მთელი კოშკი ზანზარებდა. ყველაფერი ერთად გუგუნებდა: ძელურები, ტყვიის ბურთული, ღარღანები, ქვის ფილები, დაწყებული საძირკვლის ხიშინჯებითა და გათავებული კოშკის სამყურა გვირგვინით. კვაზიმოდო დელავდა, დუოდა, ბობოქრობდა, ქაფს იგდებდა; მიდიოდა და მოდიოდა; კოშკთან ერთად თავით ფეხსამდე თრთოდა და ძიგძიგებდა. თავაწყვეტილი, გაშმაგებული და გამძვინვარებული ზარი კოშკის ხან ერთ ღიობში გამოჩნდებოდა და ხან მეორეში. თავისი ბრინჯაოს დაღებულ ზახით, საიდანაც მოჰქროდა ბგერათა გრიგალის სულთქმა და ოთხ

ლიეზე გაისმოდა. კვაზიმოდო ამ დაღებული ხახის წინ დადგებოდა; ხან ჩაცუტკდებოდა, ხან ისევ აღიმართებოდა, ზარის იქით-აქეთ ქანაობას ასდევდა და ჩასდევდა. თავზარდამცემ ქარიშხალს ისუნთქავდა, ხან დაბლა მოედანს ჩასცქეროდა, სადაც ორასი ფუტის სიღრმეში ხალხი ფუსფუსებდა, ხან სპილენძის უშველებელ ენას შეჰყურებდა, რომელიც წამით წამამდე ყურებში ჩალმუოდა. ეს ერთადერთი ენა იყო, რომელიც მას ესმოდა, ერთადერთი ბგერა, რომელიც სამყაროს დუმილს ურღვევდა. ის ნებივრობდა როგორც ჩიტი მზეზე. უცბად ზარის მძვინვარება და სიშმაგე მასაც გადაედებოდა, მზერა არაბუნებრივი უხდებოდა; დიდ ზარს ისე უთვალთვალეობდა, როგორც ობობა ბუზს. მოემზადებოდა და როცა მოუანლოვდებოდა, თავდავიწყებით ზედ მოახტებოდა. მაშინ, უფსკრულზე დაკიდებული, თითბერის ურჩხულს ყურებზე ხელებს ჩასქიდებდა და იქით-აქეთ საზარელი ქანაობის ეამს ასდევდა და ჩასდევდა, მუხლებს მაგრად უქერდა, ორივე ქუსლს ჰკრავდა და თავისი სხეულის მთელი სიმძიმით დარტყმის ძალას აორმაგებდა, ზარის გაშმაგებულ რეკვას აძლიერებდა. ამ დროს კოშკი ირყეოდა; ის კი ყვიროდა, კბილებს აკრაქუნებდა; მწითური, ქერა თმა ებურძგნებოდა, ყალყზე უდგებოდა, მკერდი საბერველივით უქშინავდა, თვალი ცეცხლს აფრქვევდა; საზარელი ზარი კი ჭიხვინებდა და ქაქანებდა მის ქვეშ. და მაშინ ეს აღარც ღვთისმშობლის ტაძრის დიდი ზარი იყო და აღარც კვაზიმოდო, იყო მხოლოდ სიზმარი, ბოდვა თუ ზმანება, გრიგალი თუ ქარიშხალი; უგუნურება ბგერაზე ამხედრებული, სული გაფრენილი მერანის ზურგს ჩაჭიდებული, უცნაური ცხენკაცი, ნახევრად კაცი, ნახევრად ზარი; რაღაც საშინელი ასტოლფი¹, გატაცებული გაცოცხლებული ბრინჯაოს საკვირველი ფრთოსანი მერანის მიერ.

ამ არაჩვეულებრივი არსების იქ ყოფნა მთელ ტაძარს აცოცხლებდა, სიცოცხლის სუნთქვას შთაბერავდა. ყოველ შემთხვევაში ცრუმორწმუნე ხალხს, როგორც მაშინ გადაქარებულად ამბობდნენ, ეჩვენებოდა, თითქოს მისგან გამოსქვიოდა რაღაც იღუმალი ძალა, რაც სულს უდგამდა ღვთისმშობლის ტაძრის ქვებსა და ამ ძველთაძველი ეკლესიის უღრმეს წიაღს ათრთოლებდა. მათთვის საკმარისი იყო გაეგოთ მისი იქ ყოფნა, რათა დაეჯერებინათ, რომ ხედავდნენ, თუ როგორ ცოცხლდებოდა და მოძრაობას იწყებდა ტალანებსა და მთავარ კარებში ათასობით ძეგლი. მართლაც, ტაძარი მის ხელში მორჩილი და გამგონი ქმნილება ჩანდა. იგი ელოდა კვაზიმოდოს ბრძანებას, რათა თავისი ძლიერი ხმა აღემალლებინა; იგი შეჰყრობილი, აღვსებული იყო მის მიერ, ვითარცა მფარველი სულისაგან. კაცს ეგონებოდა, კვაზიმოდოს სული ჩაუდ-

გამს ამ უზარმაზარი შენობისათვის. ის მართლაც ყველგან იყო, თითქოს გამრავლებულიყოს, ერთსა და იმავე ღროს ძეგლის ყველა წერტილში იმყოფებოდა. რა წამს შიშით შეეყრობილი ადამიანები შენიშნავდნენ. თუ როგორ მიცოცავდა ველური ჯუჯა კოშკის სულ ზემო წვეროზე, როგორ იკლავებოდა გველივით, როგორ მიხობხავდა ოთხზე, ეშვებოდა უფსკრულებზე, ხტებოდა შვერილიდან შვერილზე, ქექავდა რომელიმე გამოქანდაკებული გორგონის შინამოს. მიხვდებოდნენ, რომ ეს კვაზიმოდო იყო, რომელიც ბუდეებს უნგრევდა ყვავებს. როცა ეკლესიის ჩაბნელებულ კუთხეში გაცოცხლებული ქიშკრის მაგვარ რაღაცას წააწყდებოდნენ. ჩატუტქულსა და შუბლშეკრულს, — ეს კვაზიმოდო იყო ჩაფიქრებული. როცა სამრეკლოს ქვეშ დაინახავდნენ ვეებერთელა თავს და თოკის წვერზე გაშმაგებით მოქანავე უსწორმასწორო კიდურებიან ტომარას, — ეს კვაზიმოდო იყო, რომელიც მწუხრის ზარს ან წმინდა მარიაშ ღვთისმშობლის ლოცვის ქამს რეკდა. ხშირად უნახავთ ღამღამობით. თუ როგორ დაყილობდა საზიზღარი ფორმის არსება ჩუქურთმიან და მაქმანებივით დაკბილულ მყიფე მოაჯირზე, რომელიც კოშკს აგვირგვინებს და აბსიდის სიმრგვლეს გარს უვლის, — ეს კვლავ ღვთისმშობლის ტაძრის კუზიანი არსება გახლდათ. მაშინ, როგორც ლაპარაკობდნენ მეზობლად მცხოვრები მოცილილი ქალები, ეკლესია იღებდა რაღაც ფანტასტიკურ, ზებუნებრივ, საშინელ სახეს; აქა-იქ თვალები აღიხილებოდნენ, ხახანი აღიშკმებოდნენ, ისმობდა ქვის ძაღლების ყეფა, ქვის გველებისა და ფრთოსანი გველეშაპების სისინი, რომლებიც კისერგაწვდილი და პირდაღებული დღე და ღამე უშველებელ კათედრალს დარაჯობდნენ. ხოლო შობის ღამეს, როდესაც დიდი ზარი, თითქოს დაღლილად, ხრინწიანი ხმით მართლმორწმუნეებს შუადამის წირვაზე მოუწოდებდა, შენობის მოღუშული ფასადი ისეთ იერს იღებდა, კაცს ეგონებოდა მთავარკარი დაღებულ ხახასავით ხალხს შთანქავს. მრგვალი სარკმელი კი ზედ დაკუყრებდა, ყოველივე ეს კვაზიმოდოს გამო ხდებოდა. ეგვიპტეში მას ამ ტაძრის ღმერთად მიიჩნევდნენ; შუა საუკუნეებში მას ღმერთად სთვლიდნენ; ნამდვილად ტაძრის სული და გული იყო.

ღიახ, ყველა იმათთვის, ვინც იცოდა კვაზიმოდოს არსებობა, ღვთისმშობლის ტაძარი დღეს უდაბურია, უსულო, მკვდარი. იგრძნობა, რომ იქ რაღაც გაქრა, ეს უზარმაზარი სხეული დაცარიელდა; ის ჩონჩხია მხოლოდ: სულმა მიატოვა იგი, იქ მის დაცარიელებულ ადგილსა ნახავთ. მეტს ვერაფერს. თუმცა კვლავ მოჩანს თვალთა ფოსონი თავის ქალაში, მაგრამ სინათლე სამუდამოდ ჩამქრალა თვალში.

ქალღმერთი და მისი პატრონი

მაგრამ ქვეყნად მაინც იყო ადამიანი, ვისაც კვაზიმოდო გამო-
არჩევდა, სხვებისთვის განკუთვნილ ბრახსა და სიძულვილს მასზე
არ ავრცელებდა, და ვინც ისევე უყვარდა, როგორც ტაძარი, შესაძ-
ლებელია, უფრო მეტადაც; ეს იყო კლოდ ფროლო.

მიზეზი მარტივი იყო. კლოდ ფროლომ თავშესაფარი მისცა,
იშვილა, გამოჰკვება, გამოზარდა. სრულიად პატარას ძაღლები და
ბავშვები რომ გამოეკიდებოდნენ ყუფითა და ქრიაშულით, ჩვეუ-
ლებად ჰქონდა კლოდ ფროლოს ფეხებთან მიმალულიყო. კლოდ
ფროლომ ასწავლა ლაპარაკი და წერა-კითხვა. ბოლოს, კლოდ
ფროლომ გახადა იგი ზარების მრეკველი. დიდ ზართან კვაზი-
მოდოს ქორწინება იგივე იყო, რაც რომეოსთვის ჯუღიუტას ჩაბა-
რება.

ამასთან კვაზიმოდოს მადლიერების გრძნობა ღრმა, მგზნებარე
და უსაზღვრო იყო. თუმცა მის მამობილს სახე ხშირად ეღრუბ-
ლებოდა და სუსხიანი უხდებოდა. ხოლო სიტყვები ჩვეულებრივად
მოკლე, მკაცრი და მბრძანებლური, ეს მადლიერების გრძნობა მას
არასოდეს ერთი წამითაც არ შესცვლია. კვაზიმოდოს სახით არქი-
დიაკონს ყველაზე მორჩილი მონა, ყველაზე ერთგული მსახური,
ყველაზე ფხიზელი ქოფაკი ჰყავდა. როდესაც ზარების საბრალო
მრეკველი დაყრუვდა, მასა და კლოდ ფროლოს შორის ნიშნების
ენა გაიბა, იღუმალი და მხოლოდ ამ ორისათვის გასაგები. ამრიგად
არქიდიაკონი ერთადერთი ადამიანური არსება იყო, რომელთანაც
კვაზიმოდოს შეეძლო ურთიერთობა ჰქონოდა. ამ ქვეყნად იგი
მხოლოდ ორ რამესთან თუ ვინმესთან იყო დაკავშირებული, პარი-
ზის ღვთისმშობლის ტაძართან და კლოდ ფროლოსთან.

არაფერი არ შეედრებოდა არქიდიაკონის მეუფებას ზარის
მრეკველზე და მრეკველის გულითად მიჩვევას არქიდიაკონზე.
საკმარისი იყო კლოდის ერთი ნიშანი. თუნდაც მხოლოდ აზრი
მისი სიამოვნებისა. კვაზიმოდო ღვთისმშობლის ტაძრის კოშკები-
დან თავდაყირა გადმოვარდებოდა. შესანიშნავი ის იყო, რომ კვა-
ზიმოდოს მთელი ეს ფიზიკური ძალ-ღონე, რომელსაც ასეთი არა-
ჩვეულებრივი განვითარებისათვის მიეღწია, ბრმად ემორჩილებო-
და სხვის განკარგულებას. აქ მუდამდებოდა უქველად შვილური
გულითადობა და მსახურის ერთგულება. აგრეთვე ერთი გონების
მოხიბლვა და მოჯადოება მეორე გონების მიერ. საცოდავ, მარცხიან
და უხეშ ქმნილებას თავი ძირს დაეხარა და თვალი ვედრებით

მიეპყრო ამადლებული, ღრმააზროვანი, ძლიერი და განმგებელი გონების წინაშე. ყოველივე ამაზე მაღლა მაინც მაღლიერების გრძნობა იდგა. ეს მაღლიერების გრძნობა ისეთ უქიღურეს საზღვრამდე იყო მისული, რომ ჩვენ არც კი ვიციტ, რას შევადაროთ ის. ასეთი სათნოების მაგალითები ადამიანთა შორის მეტისმეტად იშვიათია. ამიტომ ვიტყვოდით, კვაზიმოდოს ისე უყვარდა არქიდიაკონი, როგორც არც ერთ ძალს, არც ერთ ცხენს, არც ერთ სპილოს არასოდეს არ ჰყვარებია თავისი პატრონი.

გაგრძელება კლოდ ფროლოს ამბავისა

1482 წელს კვაზიმოდო ოციოდე წლის იყო, კლოდ ფროლო კი — დაახლოებით ოცდათექვსმეტისა. ერთი დავაჟკაცდა, მეორე კი დაბერებას იწყებდა.

კლოდ ფროლო აღარ გახლდათ ტორშის კოლეჯის გულმბრყვილო მოწაფე, პატარა ბავშვის ნაზი მფარველი, ახალგაზრდა და მეოცნებე. ფილოსოფოსი, რომელმაც ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ბევრი რამისა არა უწყოდა რა. ახლა ის იყო მკაცრი, მედიდური და მოღუშული ხუცესი, სულთა ზედამხედველი, ბატონი არქიდიაკონი ჟოხასელი, ეპისკოპოსის მეორე ქორეპისკოპოსი, მეურვე მონღერისა და შატოფორის ორი სადეკანოსისა, და ასსამოცდათოთხმეტი სასოფლო მრევლისა. ის ზვიადი და პირქუში პიროვნება იყო, რომლის წინაშეც კანკალებდნენ გრძელ კვართებსა და ქურთუკებში ჩაცმული პატარა მომღერლები, ეკლესიის დიდი მგალობელნიც, წმინდა ავგუსტინეს ძმანიცა და ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნენიც. დილის წირვაზე, როდესაც იგი, დიდებული და ჩაფიქრებული დინჯად გაივლიდა მკერდზე ხელუბგადაჯვარედინებული, პატრონიკეს ისრულ თაღს ქვეშ; თავი იმდენად დაბლა ჰქონდა მკერდისკენ დახრილი, რომ სახე არც კი უჩანდა, გარდა დიდი, მელიოტი შუბლისა.

თუმცა მამა კლოდ ფროლომ არ მიატოვა არც მეცნიერება და არც თავისი ახალგაზრდა ძმის აღზრდა, თავისი ცხოვრების ეს ორი საქმიანობა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ამ ესოდენ ტკბილსა და საამო საქმეს სიმწარე რამ ერეოდა. ბოლოს, როგორც დიაკვანი პოლი ამბობს, საუკეთესო ქონიც დამძალდება. პატარა ყვან ფროლო, მეტსახელად მეწისქვილედ შერქმეული იმ ადგილის გამო, სადაც მას ძუძუს აწოვებდნენ, სულაც არ გაიზარდა იმ

მიმართულებით, რაც კლოდს ჰქონდა დასახული. უფროსი ძმა ფიქრობდა, ევანი ღვთისნიერი, მორჩილი, სწავლის მოყვარული და პატივისცემის ღირსი მოწაფე იქნებოდა. მაშინ, როდესაც, ნორჩ ხეობივით, რომლებიც მებალის ცდის მიუხედავად ჯიუტად იქით მიბრუნდებიან, სადაც ჰაერი და მზეა, უმცროსი ძმა იზრდებოდა, ვითარდებოდა, იფურჩქნებოდა, ლამაზ, ხშირსა და ღონიერ ტოტებს იყრიდა სიზარმაცის, უვიცობისა და ლოთობა-გარყვნილების მიმართულებით. ნამდვილი ქაჯი იყო, მეტად თავხედი და ურჩი, რის გამოც მამა კლოდი წარბს იკმუნხნიდა, მაგრამ იმავე დროს მეტად სასაცილო, მოხერხებული და ძალიან გონებაბამხვილი, რაც დიდი ძმის ღიმილს იწვევდა.

უმცროსი ძმა კლოდმა. მიიბარა იმავე ტორშის კოლეჯში, სადაც თვითონ გაატარა თავისი პირველი ჰაბუკური წლები სწავლასა და ღრმა ფიქრებში; მისთვის დიდად სავალალო იყო, რომ ფროლოს გვარი, რომელიც ოდესღაც ამ მეცნიერების ტაძარს პატივს სდებდა, დღეს სამარცხვინო გამხდარიყო. ამის გამო ის ხანდახან ევანს ძალიან სასტიკ და მეტად გრძელ ქადაგებასა და დარიგებას უკითხავდა, რომელთაც ისიც ვაჟკაცური მოთმინებით ისმენდა. თუმცა გიჟმაუ ახალგაზრდას კეთილი გული ჰქონდა, როგორც ამას ყველა კომედიაში ვამჩნევთ ხოლმე. მაგრამ მოისმენდა თუ არა დარიგებას, თითქოს არაფერი მომხდარაო; სრულიად დამშვიდებული კვლავ განაახლებდა თავის ჯანყსა და უსაქციელობას. ხან წაეძიძგილაებოდა და ცემა-ტყეპას გაუმართავდა კეთილმობრ-დანების აღსანიშნავად „ცხვირმოუხოცელს“ (ასე უწოდებდნენ უნივერსიტეტში ახალმოსულებს), რითაც იცავდა ძვირფას ტრადიციას, რომელიც გულმოდგინედ და შეუწყვეტლივ გრძელდება დღემდე. ხან მოსწავლეთა გუნდს აშლიდა, ისინიც, quasi classico excitati* ყველა წესის დაცვით ეძგერებოდნენ რომელიმე დუქანს, „საიერიშო ჯოხებით“ მიკიტანს სცემდნენ, მზიარული სიცილ-ხარხარით სამიკიტნოს აიკლებდნენ, სანამ მარანში ღვინის კასრებს ძირებს არ გამოამტკრევდნენ. ამის შემდეგ მამა კლოდთან გამოცხადდებოდა ტორშის კოლეჯის უმცროსი დამრიგებელი და საბრალო სახით წარუდგენდა მშვენიერი ლათინურით დაწერილ ანგარიშს არეებზე შემდეგი სამწუხარო შენიშვნით: Rixa; prima causa vinum optimum potatum**.

დასასრულს, თექვსმეტწლის ყმაწვილისთვის შეუფერებელ და საზარელ რამესაც კი ამ-

* თითქოს საიერიშს ხმაზე წამოკარესო (ლათ.).

** ჩხუბი; თავიდათავი მიზეზი — საუკეთესო ღვინონასვამობა (ლათ.).

ბობდნენ. რომ გარყვნილებას იგი ხშირად გლათინის ქუჩამდე მიუყვანიაო.

ყოველივე ამის გამო, ადამიანურ სიყვარულში იმედგაცრუებული და დანაღვლიანებული კლოდი კიდევ უფრო მეტი გულმხურვალეობით ჩაეკონა მეცნიერებას, ამ დას, რომელიც არ დაგცინებთ, აბუჩად მაინც არ აგიგდებთ და ზრუნვისა და ყურადღებისათვის მუდამ სამაგიერო ჯილდოს მოგიზღავთ, თუმცა ხანდახან ცოტა რამ გაცვეთილი ფულით. ის უფრო და უფრო მეტად განსწავლული მეცნიერი ხდებოდა, და ამავე დროს, რაც სრულიად ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა, უფრო და უფრო მკაცრი როგორც ხუცესი, უფრო და უფრო სევდიანი როგორც ადამიანი. თვითელი ჩვენგანის არსებაში არსებობს რაღაც პარალელიზმი ჩვენს გონებასა, ჩვევებსა და ხასიათს შორის, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და რომელსაც ცხოვრების მხოლოდ დიდი რყევანი დაარღვევენ.

რადგან კლოდ ფროლომ სიყმაწვილეშივე გაიარა ადამიანის დადებით, გარეშე და კანონით ნებადართულ ცოდნათა თითქმის მთელი წრე, ამიტომ იძულებული იყო ან შეჩერებულიყო იქ, *ubi defuit orbis**, ან კიდევ უფრო შორს წასულიყო და თავისი მუდამ ცოდნას მოწყურებული, დაუდგრომელი გონებისათვის სხვა სულიერი საზრდო მოენახა. ანტიკური სიმბოლო გველისა, რომელიც საკუთარ კუდს კბენს, ყველაზე უკეთ მეცნიერებაზე გამოდგება. როგორც ჩანს, კლოდ ფროლომ ეს თავის თავზე გამოსცადა. ბევრი სერიოზული პიროვნება ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც ამოწურა ადამიანის ცოდნის ყოველი *fas****, მან გაბედა შეჭრილიყო *ne-fas****-ში. ამბობდნენ, რომ მან თანმიმდევრობით იგემა ყოველი ნაყოფი ცნობის ხისაგან და, მოწყურებულმა თუ მოყირკებულმა, იმით დაამთავრა, რომ აკრძალულ ხილს მისწვდა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა დაინახეს, იგი რიგრიგობით მონაწილეობას იღებდა სორბონის თეოლოგთა თაობირებში, ფილოსოფოსთა კრებებზე სენტ-ილერში, კანონიკური სამართლის დოქტორთა დისკუტებზე სენმარტენში, მედიკთა კონგრეგაციებში ღვთისმშობლის სააიაზმესთან — *ad cupam Nostrae Dominae*. მან შთანთქა ყველა ნებადართული და მოწონებული საკმელი, რომელიც კი გონების საზრდოდ შეეძლო დაემზადებინა და მიერთებია იმ ოთხ უშველებელ სამზარეულოს, ოთხი ფაკულტეტი რომ ეწოდებოდა, და მოყირ-

* „სადაც იკრება წრე“ (ლათ.), (ე. ი. მაჟინდელი ცოდნის წრე).

** ნებადართული (ლათ.).

*** ნებადაურთველში (ლათ.).

ქდა ისინი მანამდე. სანამ შიმშილის ჩაკვლას მოასწრებდა. მაშინ ის კიდევ უფრო წინ წავიდა, კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა ამ დამთავრებულში, შეზღუდული მატერიალური მეცნიერების ქვესკნელში. შესაძლებელია, მან თავისი სული საფრთხეშიც კი ჩააგდო, და მიუხედავად მღვიმეში აღქიმიკოსთა, ასტროლოგთა და პერმეტიკოსთა იმ იდუმალ ტრაპეზს, რომლის ზემო კიდური შუა საუკუნეებში ეპირათ ავეროესს¹, გილიომ პარიზელსა და ნიკოლა ფლამელს, ხოლო აღმოსავლეთში გაგრძელებული და შეიდსანთლიანი შანდლით განათებული მისი ბოლო აღწევდა სოლომონამდე, პითაგორამდე და ზოროასტრამდე².

სამართლიანი იყო თუ უსამართლო, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა ხალხი.

უდავოა, რომ არქიდიაკონი ხშირად ეწვეოდა ხოლმე წმინდა უმანკოთა სასაფლაოს, სადაც დამარხული იყვნენ მისი დედ-მამა 1466 წლის შავი ჭირის სხვა მსხვერპლთან ერთად; მაგრამ, როგორც ჩანდა, იქ იმდენად მათი საფლავის ჯვარს როდი ემთხვეოდა, რამდენადაც უცნაურ ფიგურებს, რომლებითაც დაფარული იყო იქვე ვვერდით აშენებული აკლდამები ნიკოლა ფლამელისა და კლოდ პერნელისა...

ისიც უეჭველია, რომ იგი ხშირად უნახავთ ლომბარდის ქუჩის გასწვრივ მიმავალი და ფარულად შესული ერთ პატარა სახლში, რომელიც მწერლების ქუჩისა და მარივოს ქუჩის კუთხეში იდგა. ეს სახლი ნიკოლა ფლამელს აუგია, სადაც დაახლოებით 1417 წელს გარდაცვლილა. მას შემდეგ ეს ნაგებობა მუდამ უკაცრიელი ყოფილა და უკვე ნგრევაც კი დაუწყია, იმდენად გაუხეხიათ მისი კედლები და ზედ თავიანთი სახელები ამოუჭრიათ პერმეტიკოსებსა და ყველა ქვეყნის აღქიმიკოსებს. ზოგიერთი მეზობელი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ერთხელ სასულედან დაინახეს, თუ არქიდიაკონი კლოდი როგორ თხრიდა, ქექდა და ჰყრიდა მიწას ამ ორ სარდაფში, რომელთა ქვის საყრდენები დაჯღაბნილი იყო თვით ნიკოლა ფლამელის უამრავი ლექსებითა და ჰიეროგლიფებით. ვარაუდობდნენ, რომ ნიკოლა ფლამელმა ამ სარდაფში ჩაფლო ფილოსოფიური ქვა. და აი ორი საუკუნის განმავლობაში აღქიმიკოსებმა, მაეისტრიდან დაწყებული მამა მშვიდობისმყოფელამდე, არ შეწყვიტეს ნიადაგის ჩიჩქნა მანამ, სანამ ესოდენ უღმობლად გადაჩხრეკილ-გადაქოთებული და გადაბრუნებული სახლი მათ ფეხქვეშ მტვრად არ იქცა.

ასევე უდავოა ისიც. რომ არქიდიაკონს იშვიათი გახელებით იტაცებდა ღვთისმშობლის ტაძრის სიმბოლიკური მთავარკარი, გრძნეული წიგნის ეს კაბადონი, რომელიც გაურკვეველად დაუწერია

ქვაზე ეპისკოპოს გილიომ პარიზელს, ვინც უმკველად შეჩვენებული იყო, რადგან ეგზომ ჯოჯოხეთური თავფურცელი მიაკრა ამ წმინდა ღვთაებრივ პოემას, დანარჩენი შენობის ამ სამარადისო ხოტბას. იმასაც ამბობდნენ, რომ არქიდიაკონმა კლოდმა ღრმად შეისწავლა წმინდა ქრისტოფის ბუმბერაზული ძეგლი და ის გრძელი იღუმალი ქანდაკება, რომელიც მაშინ კარიბჭის შესასვლელში იყო აყუდებული და რომელსაც ხალხი დაცინვით „ბატონ ლეგრის“* უწოდებდა. მაგრამ მთელ ქვეყანას შეეძლო შეენიშნა, თუ ხშირად როგორ დაუსრულებლად კვრეტდა იგი, ტაძრის კარიბჭის მოაჯირზე ჩამოძვარდა, მთავარკარის ნაქანდაკებ მორთულობას და გულდასმით სინჯავდა ხან უგუნურ ქალწულთა ფიგურებს გადმოყირავებული ჩირაღდნებით, ხან კი ბრძენ უბიწოთა სახეებს სწორად აღმართული ჩირაღდნებით, ანდა ზოგჯერ როგორ ანგარაშობდა კუთხეს, რომლის მიმართულებითაც მარცხენა მთავარკარზე გამოძერწილი ყორანი იმზირება ეკლესიაში იღუმალი წერტილისაკენ, სადაც უმკველად დამალული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიური ქვა, თუ იგი ნიკოლა ფლამელის სარდაფში არ იმყოფებოდა. გაკვრით აღენიშნავთ, რომ უცნაური ბედი ეწია იმ ხანად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, ის, რომ იგი ესოდენი მოწიწებით უყვარდა, მაგრამ სულ სხვადასხვანაირად, ორ ეგზომ განსხვავებულ, არამგვან არაქებას — კლოდსა და კვაზიმოდოს. ერთ მათგანს, რაღაც ნახევრად ადამიანის მაგვარს, ინსტინქტს დამორჩილებულსა და ველურს, იგი უყვარდა მისი სილამაზის, აღნაგობის, იმ პარმონიის გამო, რომელიც მის დიდებულ ანსამბლში მქლავდებოდა. მეორეს, რომელიც დაჯილდოებული იყო მგზნებარე, ცოდნით გამდიდრებული წარმოსახვით, იგი უყვარდა მისი მნიშვნელობის, მისი მითის, მასში ჩამარხული აზრის, მისი ფასადის სკულპტურაში გაბნეული სიმბოლოს გამო, ვითარცა პირველი ტექსტი მეორის ქვეშ რომელიმე პალიმფსესტზე, ერთი სიტყვით, იმ გამოცანის გამო, რომელსაც მარად სთავაზობს გონებას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

ბოლოს, უტყუარია ისიც, რომ იმ კოშკში, რომელიც გრევის მოედანს დაჰყურებს, არქიდიაკონი მიეჩეია ზართა ვალიაკის გვერდით მდებარე ერთ პაწია საიდუმლო სენაკს, სადაც, როგორც ამბობდნენ, მის უნებართვოდ ვერავინ, თვით ეპისკოპოსიც კი ვერ შევიდოდა. ეს სენაკი კოშკის თითქმის სულ ზემო წვეროზე, ყვავთა ბუდეებს შორის ოდესღაც გაუკეთებია ეპისკოპოს ჰუგო ბეზანსო-

* სიტყვა Legris ფრანგულად შეიძლება გამოითქვას აგრეთვე როგორც le gris (ნასვამი).

ნელს*. რომელიც თავის დროზე იქ ჯადოსნობდა. რა მალეობდა ამ სენაკში, არავინ იცოდა. მაგრამ ხშირად დაუნახავთ მდინარის მეორე ნაპირიდან ღამლამობით, როგორ ჩნდებოდა, ქრებოდა და ხელახლა კვლავ ჩნდებოდა მოკლე და თანაბარი შუალედებით კომის უკანა მხარეზე წითელი, ცვალებადი და რაღაც უცნაური შუქი, რომელიც გეგონებოდათ მქედლის საბერველის ქშენით ენთებოდა და უფრო ბუხრის ალისგან წარმოსდგებოდა, ვიდრე ღამპარისაგან. სიბნელეში, ამ სიმაღლეზე ეს შუქი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა; მაშინ მოცლილი დედაკაცები ამბობდნენ: შეხედეთ, არქიდიაკონი საბერველს ბერავს! იქ, ზევით ჯოჯოხეთი გიზგაზებსო.

თუმცა ყოველივე ამაში დიდი ვერაფერი საბუთი იყო ჯადოქრობისა, მაგრამ, როგორც იტყვიან, უცეცხლოდ კვამლი როდი იქმნების, მით უმეტეს, რომ არქიდიაკონს საკმაოდ საზარელი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეგვიპტის მეცნიერებებს, ნეკრომანტიას, ჯადოსნობას, თვით ყველაზე უმანკო თეთრ მაგიასაც კი არ ჰყავდა იმაზე უფრო მძვინვარე მტერა, უფრო დაუნდობელი მამხილებელი ღვთისმშობლის ტაძრის სასულიერო სასამართლოს მსაჯულთა წინაშე, ვიდრე კლოდ ფროლო იყო. იქნებ ეს გულწრფელი ზიზღიც იყო, ან ქურდის ფანდი, რომ ყვირის ხოლმე: „ქურდი, ქურდი დაიქირეთო!“ ეს მაინც ხელს არ უშლიდა კაბატულის სწავლულ კაცებს არქიდიაკონი მიეჩნიათ ისეთ არსებად, რომელმაც გაბედა ჯოჯოხეთის წინკარში ფეხის შედგმა, რომელიც კაბალისტიკის ულრან ტევრში გაება და საიდუმლო მეცნიერებათა წყვილადში ხელს აცეცებდა. არც ხალხი ცდებოდა ამ მხრივ. ვისაც კი ცოტაოდენი გამჭირახობა მაინც გააჩნდა, კვაზიმოდო დემონად მიაჩნდა. კლოდ ფროლო კი—ჯადოქრად. ცხადი იყო, რომ ზარების მრეკველი ვალდებული იყო გარკვეულ დრომდე არქიდიაკონთან ემსახურა, რის შემდეგაც მის სულს სასყიდლის სახით თან წაიღებდა. აი რატომ იყო, რომ არქიდიაკონს, მიუხედავად თავისი ცხოვრების გადაქარბებული სიმკაცრისა, კეთილ სულთა შორის ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, და არ არსებობდა ისეთი გამოუცდელი ღვთისმოსავი, რომლის ცხვირსაც აქ ჯადოსანი არ ეყნოსა.

და თუ მის ცოდნაში, რაც უფრო ხანში შედიოდა, ნაპრალი ჩნდებოდა, ასევე მის გულშიც უფსკრული ითხრებოდა. ყოველ შემთხვევაში, საბუთიც ჰქონდათ ასე ეფიქრათ, თუ დაუკვირდებოდ-

* ზუგო II ბიზუნსიოდან, 1326-1332 (აეტორის შენიშვნა).

ნენ მის სახეს, რომელშიც სული ისე გამოკრთოდა, როგორც შვე
ლრუბელში. რატომ გაუმელოტდა ფართო შუბლი, რატომ ჰქონდა
თავი მუდამ ძირს დახრილი, რატომ აღმოხდებოდა მკერდიდან მუ-
დამყვამს ოხვრა და გმინვა? რა საიდუმლო აზრი უღრეჯავდა ბაგეს
ნიწარე ღიმილით, მაშინ როდესაც მისი შეკუმხვნილი წარბები საბრ-
ძოლველად გამზადებული ორი ხარივით ერთმანეთს უახლოვდე-
ბოდა? რატომ გაუქალარავდა ასე უღროოდ ის შერჩენილი თმე-
ბიც? რა შინაგანი ცეცხლი იფეთქებდა ხოლმე ხანდახან მის გამო-
ხედვაში, მის თვალებს რომ აშკარად ამსგავსებდა გეარვარებული
ლუმელის ძვიდენში გაქრილ ორ ღრუს?

ძლიერი სულიერი თუ ზნეობრივი შეშფოთების ამ ნიშნებმა
სიმძაფრის უმაღლეს საფეხურს მეტადრე იმ დროს მიაღწია, როცა
ჩვენს მიერ აღწერილი მოვლენები ხდებოდა. არაერთხელ ყოფილა,
რომელიმე მგალობელი ბავშვი, ეკლესიაში მარტო რომ შემოჰხვე-
დრია, შეშინებული გაქცეულა, ესოდენ უცნაური და ელვარე მზე-
რა ჰქონდა არქიდაკონს. გუნდში, ღვთისმსახურების ქაშს, სკამზე
მეზობლად მჯდომს არაერთხელ მოუხმენია, როგორ ურევდა საე-
კლესიო საგალობელში: „ad omnem tonum“ * რაღაც გაუგებარ
ჩართულ სიტყვებსა თუ წინადადებებს. ტერენელ მრეცხავ ქალს,
რომელსაც „კაპიტულის განზანვა“ ევალებოდა, შიშით შეუნიშნავს
ბატონ არქიდაკონ ეროსაელის კვართზე ფრჩხილებისა და კრუნ-
ჩხვით შეპყრობილი თითების კვალი.

მაგრამ მით უფრო სანიშნოდ ეჭირა თავი, ვიდრე ოდესმე, და
სიმკაცრე კიდევ უფრო გაიორმაგა. როგორც თავისი მდგომარეო-
ბით, ისე თავისი ხასიათით ქალებს მუდამ გაურბოდა, ერიდებოდა.
ჩანდა, ახლა კიდევ უფრო მეტად შეიძულა ისინი, ვიდრე ოდესმე.
როგორც კი ახლომახლო ქალის აბრეშუმის კაბის შარიშურს გაი-
გონებდა, თვალებზე ბარტყულს სწრაფად წამოიხურავდა. ამ მხრივ
დადგენილი წესების ისეთი ერთგული და მკაცრი დამცველი იყო,
რომ როდესაც ქალბატონმა დე ბოჟიომ, მეფის ასულმა, 1481 წლის
დეკემბრის თვეს ღვთისმშობლის მონასტრის ნახვა მოისურვა, იგი
სერიოზულად შეეწინააღმდეგა მის ეკლესიაში შესვლას, ეპისკოპოსს
მოაგონა შავი წიგნის, წმინდა ბართლომეს წინდლით 1334 წელს
დათარიღებული წესდება, რომელიც მონასტერში მისვლას უკრძა-
ლავს ყოველ ქალს „ვინც უნდა იყოს, მოხუცი თუ ახალგაზრდა,
ქალბატონი თუ მოახლე“. ამის საპასუხოდ ეპისკოპოსი იძულებული
იყო დაემოწმებინა ლეგატ ოდოს განაწესი, რომელიც ზოგიერთი

* საერთო ჰანგში (ლათ.).

დიდი ქალბატონისათვის დაუშვებდა გამონაკლისს, „*aliquae magnates mulieres quae sine scandalo evitari non possunt*“*. ამაზე არქიდიაკონმა განუცხადა, რომ ლეგატის ბრძანება, რომელიც 1207 წელს გამოიცა, ასოცდაშვიდი წლით წინუსწრებს შავ წიგნს, მამასადამე. გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. და, ამრიგად, უარი თქვა მეფის ასულის წინაშე წარდგომაზე.

გარდა ამისა, ეს ერთი ხანია შეამჩნიეს, რომ არქიდიაკონის ზიზღი მეგვიპტელი და ბოშა ქალების მიმართ გაიზარდა. მან იშუამდგომლა ეპისკოპოსის წინაშე და გამოაცემინა საგანგებო ბრძანებულება. რომელიც გარკვევით უკრძალავდა ბოშა-მანწანწალეებს კარიბჭის ფორზე მოსვლას, ცეკვას და დირის დაკვრას. ამავე დროს სასულიერო სასამართლოს ობმოკიდებულ საბუთებში ქექდა და აგროვებდა ისეთ საქმეებს, რომელთა მიხედვითაც ჯადოსნებსა და კუდიანებს სასჯელად ედებოდათ ცეცხლზე დაწვა ან თოკით ჩამოხრჩობა იმის გამო, რომ ადამიანებს ჯადოს უკრავდნენ, თვალს ჰკრავდნენ ვაცების, ღორებისა თუ თხების საშუალებით.

VI

ხალხისგან ათვალწუნებულნი

როგორც უკვე ვთქვით, არქიდიაკონი და ზართა მრეკველი ნაკლებ უყვარდა კათედრალის მიდამოებში დიდსა და პატარა ხალხს. ბევრჯერ. როცა კლოდი და კვაზიმოდო. ეს თავის პატრონს ადევნებულნი ლაქია, ღეთისმშობლის ტაძრის უბნის გრილ, ვიწრო და ბნელ ქუჩებში გამოსული უნახავთ, ჩაელის ჟამს გასაღიზიანებლად ცუდი სიტყვა, ირონიული სიმღერა. უხეში და შეურაცხმყოფელი ხუმრობა დაუდევნებიათ. მაგრამ ასეც ხდებოდა, თუმცა იშვიათად: როცა კლოდ ფროლო პირდაპირ თავაწუელი მიაბიჯებდა, მისი მკაცრი შუბლისა და თითქმის დიდებული სახის დანახვაზე, მჭირდავნი გაწბილებულან.

ორივე თავის უბანში იმ ორ პოეტს ჰგავდა, რომლებზეც რენიე¹ ამბობს:

ყოველგვარი ჯურის ხალხი უკან დასდევს პოეტებს,
როგორც სტვენით კოტები დასდევნ ბუკიოტებს.

* ზოგერთი დიდებული მანდილოსნისათვის, რომელთა წევებს ვერ აიცილებ უსმაროდ (ლათ).


ზოგჯერ ვინმე თავხედი ბიჭი გაბედავდა. საკუთარ ტყუესა და ძვლებს ხიფათში ჩაიგდებდა, ენით გამოუთქმელი სიამოვნებისათვის. კვაზიმოდოს კუზში ქინძისთავს ატაკებდა; ხან რომელიმე თამაში და მეტად კადნიერი ლამაზი ქალიშვილი გავლის უამს განზრახ შეეხებოდა მღვდლის შავ ანაფორას და თან ცხვირწინ გესლიან დამკინავ სიმღერას მიუმღერებდა:

„ეშმა, ეშმა, ხელში მყავხარ,
დაბული ხარ. ვერ წამიხვალ“.

- ხანდახან კარის საფეხურებზე ჩრდილში მწყრივად ჩაცუკქებული ტურტლიანი ბებერი დედაკაცების ჯგუფი ხმამალა წაიბუზღუნებდა, როცა არქიდიაკონი და ზართა მრეკველი გაივლიდნენ, და ლანძღვით ამგვარ წამაქეზებელ „კეთილ გამობრძანებას“ უგზავნიდა: „ჰმ! ერთს სწორედ სული აქვს ისეთი, როგორც მეორეს სხეული“. ასკინკილით უჯრებში კენჭობანას მოთამაშე მოსწავლეებისა და ყაჩაღანების გუნდი ერთიანად წამოიშლებოდა და სტვენაციეინით, რომელიმე ლათინური შეძახილით შეეგებებოდა: Eia! Eia! Claudius cum claudio*.

მაგრამ უფრო ხშირად შეურაცხყოფასა თუ ლანძღვა-გინებას შეუმჩნევლად ჩაუვლია მღვდლისა და ზართა მრეკველისათვის. კვაზიმოდო ძალიან ყრუ იყო, ხოლო კლოდი მეტად გატაცებული ფიქრებით, რომ ყველა ეს თავაზიანი სიტყვები მოესმინათ.

* „ჰეი. ჰეი. კლოდი კოკლთან ერთად!“—სიტყვათა თამაშია, ლათინურად claudus — კოკლი, ბარბაცა.



მეხსიე

I

ABBAS BEATI MARTINI*



ამა კლოდის სახელი შორს იყო გავარდნილი. მეტად-რე სახელი გაუთქვა მას იმ წვეულებამ. რომელიც მოხდა დაახლოებით იმ დროს, როცა ნახვაზე უარი უთხრა ქალბატონ დე ბოეიოს, და რომელიც დიდხანს

დარჩა მის მეხსიერებაში.

ეს მოხდა სადამოს, ღვთისმსახურების შესრულების შემდეგ, როგორც კი განმარტოვდა ღვთისმშობლის მონასტრის თავის სამღვდელ სენაკში. იქ არა იყო რა უცხო და იღუმალი, გარდა კუთხეში მიწყობილი და რაღაც საეჭვო ფხვნილით გავსებული რამდენიმე შუშისა. იგი ძალიან ჰგავდა ალქიმიკოსების ჯადოსნურ ფხვნილს. აქა-იქ კედელზე მოჩანდა წარწერები, წმინდა მეცნიერუ-

* ნეტარი მარტინის მოძღვარი (ლათ.).

ლი ხასიათის მსჯელობანი ან კეთილსაიმედო ავტორთა ღვთისმოსავი ამონაწერები. არქიდიაკონი სპილენძის სამსანათიანის შუქზე ხელნაწერებით დაზინულ ზანდუქს მიუჯდა. იგი იდაყვებით დაეყრდნო ჰონორიუს ოტენის გაშლილ დიდ წიგნს: „De praedestinatione et libero arbitrio* და ღრმად ჩაფიქრებული ფურცლავდა in folio, თაბახებად დაკაბადონებულ ნაბეჭდ თხზულებას, რომელიც ეს-ეს არის მოიტანა, და რომელიც ამ სენაკში ერთადერთი ნაბეჭდი ნაწარმოები ჩანდა. ამ ფიქრებში იყო გართული, რომ კარზე მიუკაჯუნეს.

— ეინ არის მანდ? — გასძახა სწავლულმა დამშეული ქოფაკის თავაზიანობით, თითქოს ძელის გამობხრაში ხელი შეეშალესო.

გარედან ხმამ პასუხი გასცა:

— თქვენი მეგობარი, ჟაკ კუაქტიე.

იგი კარის გასაღებად გაემართა.

მართლაც მეფის მკურნალი იყო, ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომლის მკაცრ გამომეტყველებას ცბიერი გამობხედვა არბილებდა. მას მეორე მამაკაცი ახლდა. ორივეს ეცვა ფიქალისფერი, ციყვისბეწვშემოვლებული, ქამარშემოჭერილი და მჭიდროდ შეკრული გრძელი სამოსელი, თავზე იმავე ქსოვილისა და ფერის ქუდები ეხურათ. ხელები გრძელ სახელოებში ჩაემალათ, ფეხებს გრძელი კალთები უფარავდათ, თვალებზე კი ჩაჩები ჩამოეფხატათ.

— დმერთო, შენ შემეწიე, ბატონებო! — თქვა არქიდიაკონმა და შინ შეუძღვა, — ესოდენ გვიან აღარ მოველოდი ასეთ პატივცემულ სტუმრებს. — მაგრამ ასე თავაზიანად რომ ლაპარაკობდა, თან მოუსვენარი და გამომცდელი თვალით ახედ-დახედა მკურნალსა და მის თანამგზავს.

— არასდროს არ არის გვიან ინახულო ესოდენ სახელგანთქმული მეცნიერი, როგორც არის მამა კლოდ ფროლო ტირშაპელი, — უბასუხა ექიმმა კუაქტიემ, რომელიც ყოველ წინადადებას ფრანშკონტის¹ კილოზე ისეთი დიადი და ზეიმური სიღარბაისლით აჭიანურებდა და სჭიმავდა, თითქოს საღარბაზო კაბის გრძელი კუდი ყოფილიყოს.

მკურნალსა და არქიდიაკონს შორის დაიწყო თავაზიანი მისალმებანი, რაც ამ ეპოქაში ჩვეულებრივად წინ უსწრებდა ყოველგვარ საუბარს სწავლულთა შორის, მაგრამ რაც ხელს არ უშლიდა ერთმანეთი გულით სძულებოდათ ამ ქვეყანაზე. თუმცა დღესაც ყოველი მეცნიერის ბაგენი, რომელნიც ქათინაურებს უხვად აფრქვევენ,

* „განგებისა და ნების თავისუფლებისათვის“.

მეორე სწავლულის მიმართ თაფლგარეული ნაღვლით სავსე ლარ-
ნაკია.

კლოდ ფროლოს თავაზიანი მილოცვანი ყაყ კუაქტიეს მიმართ
უმთავრესად ენებოდა უამრავ ამქვეყნიურ სახეირო საქმეებს, რო-
მელთა გამოყენება მან, ღირსეულმა მკურნალმა მარჯვედ იცოდა
მეფის ყოველი ავადმყოფობის ქამს უფრო უკეთესი და უფრო
უტყუარი ალქიმიის წყალობით, ვიდრე გარჯა და ზრუნვა ფილო-
სოფიური ქვის მოსაპოვებლად. ამიტომაც არის, რომ იგი შერს ბა-
ღება სხვებში თავისი წარმატებით ცხოვრების სარბიელზეო.

— ქეშმარიტად, ბატონო ექიმო კუაქტიე, ძალიან გამიხარდა,
როდესაც შევიტყე თქვენი ძმისწულის, ღირსი სენიორის პიერ
ვერსეს ეპისკოპოსად დანიშვნა. ის ზომ ახლა ამიენის ეპისკოპოსია?

— დიახ, ბატონო არქიდიაკონო, ღვთის მადლითა და წყალობითა.

— იცით, თქვენ ერთობ დიდებული საბე გქონდათ შობის დღეს,
საანგარიშო პალატის საზოგადოებას რომ მეთაურობდით, ბატონო
პრეზიდენტი!

— მე მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ, მამაო კლოდ,
ვთუ რომ მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი და მეტი არაფერი!

— სადამდეა ასული თქვენი საუცხოო სახლი სენტ-ანდრე დე-
ზარკის ქუჩაზე? ნამდვილი ლუვრია. ძალიან მომწონს კარზე გამო-
ქანდაკებული გარგარის ხე, რომელზეც წარწერილია ზმა: „წყლის-
პირა თავშესაფარი“*.

— სამწუხაროდ, მეტრ კლოდ, ეს მშენებლობა ძალიან ძვირი
მიჯდება. რაც უფრო ზევით მიიწევს შენობა, იმდენად მე ვპარტახ-
ლები.

— ოჰო, ნუთუ შემოსავალი არა გაქვთ საპატიმროდან, მართლ-
მსაჯულების სასახლის ოლქიდან, რენტა ყველა სახლიდან,
დუქნიდან, ფარდულიდან, სახელოსნოდან. რომლებიც მის გალავანს
შიგნით მდებარეობს? ეს კარგი საწველი ფური უნდა იყოს თქვენ-
თვის.

— ჩემს პუასის საკასტელიანოს¹ წელს არავითარი შემოსავალი
არ მოუტია.

— მაგრამ სამაგიეროდ თქვენი ბაეები ტრიელის, სენ-ჯემსის,
სენ-ეერმენ-ან-ლეს საგზაო სადარაჯოებზე მუდამ სარფიანია.

— სულ ასოცი ლივრი, ისიც არა პარიზული.

* ზმა: l'abricotier — გარგარის ხე; l'abri cötier — წყლისპირა თავშესაფარი.

— თქვენ ხომ მეფის მრჩევლის თანამდებობა გიპირავთ. ეს კი ურყევ. საიმედო შემოსავალს იძლევა.

— დიახ, ძმაო კლოდ. მაგრამ ეს დაწყევლილი პოლინიის მამული, რის გამოც ამდენი ხმაურია ატეხილი, კარგსა და ცუდ წელიწადს თუ ვიანგარიშებთ, საშუალოდ სამოც ოქროს ეკიუსაც ვერ მიძლევს.

ქათინაურებში, რომელთაც მამა კლოდი ჟაკ კუაკტიეს მისამართით აფრქვევდა, იგრძნობოდა მქირდავი, გესლიანი, მკვეთრი და ფარული დაცინვა, ნიპიერი, მაგრამ უბედური ადამიანის ნაღვლიანი და მკაცრი ღიმილი. ერთ წამს ღროს გასატარებლად იგი მასხრად იგდებდა მდაბიო ადამიანის ტლანქ ბედნიერებას. მაგრამ ის კაცი ამას ვერ ამჩნევდა.

— სულსა ვფიცავ, — თქვა ბოლოს კლოდმა და ხელი მაგრად ჩამოართვა, — მოხარული ვარ, რომ ასე ჯანსაღს გიყურებთ.

— გმადლობთ, მეტრ კლოდ.

— მართლა, — წამოიძახა მამა კლოდმა, — როგორ ბრძანდება თქვენი ავადმყოფი მეფე?

— საკმაოდ ვერ აჯილდოებს თავის მკურნალს, — მიუგო ექიმმა და თან აღმაცერად გადახედა თავის თანამგზავრს.

— ასე გგონიათ, ნათლია კუაკტიე? — ჰკითხა თანამგზავრმა.

ამ სიტყვებმა, რომლებშიც განცვიფრებისა და საყვედურის კილო გაისმოდა, არქიდიაკონის ყურადღება უცნობი პიროვნებისაკენ მიმართა, თუმცა, სიმატლე ითქვას, კლოდს ერთი წუთითაც არ დაეიწყებია მისი იქ ყოფნა მას შემდეგ, რაც ამ უცხო პიროვნებამ მისი სენაკის ზღურბლი გადმოლახა. მას ათასი მიზეზი და საბუთი ჰქონდა ფრთხილად მოპყრობოდა ექიმ ჟაკ კუაკტიეს, მეფე ლუი XI-ის ყოვლისშემძლე მკურნალს, როდესაც ასეთ თანმზლებთან ერთად მიიღო. მის სახეზე სულ მცირე კმაყოფილებაც კი არ ასახულა, როცა ჟაკ კუაკტიემ უთხრა:

— ჰო, სწორედ დროა მოგახსენოთ, მამაო კლოდ, მე მოგიყვანეთ ერთ-ერთი თანამომძმე, რომელმაც თქვენი ნახვა ინება თქვენი დიდების გაგონებაზე.

— ეგ ბატონიც მეცნიერების კაცია? — ჰკითხა არქიდიაკონმა და კუაკტიეს თანამგზავრს თავისი გამჭრიახი თვალი დაადგა. მაგრამ უცნობმა წარბქვეშიდან არა ნაკლებ გამჭრიახი და არა ნაკლებ უნდო მზერა შეაგება.

რამდენადაც ლამპრის სუსტ შუქზე შეიძლებოდა გარჩევა, ის იქნებოდა დაახლოებით სამოცი წლის მოხუცი, საშუალო სიმაღლის; საკმაოდ ავადმყოფი და გატეხილი ჩანდა. თუმცა მეტისმეტად უბრა-

ლო სახის ნაკეთები ჰქონდა, მისი პროფილი რაღაც ძალასა და სიმკაცრეს გამოხატავდა. წარბზედა რკალებს ქვეშიდან მეტად ღრმად ჩამჯდარ თვალთა გუგები მღვიმის სიღრმიდან გამოტყორცნილი შუქივით ელვარებდნენ; ხოლო ცხვირამდე ჩამოფხატულ გაცრეცილ ჩაჩს ქვეშ გამოისახებოდა ფართო შუბლის ნაკეთები — დიდი ნიჭის მაუწყებელი.

უცნობმა თვითონ იღვა თავს არქიდიაკონის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— ღირსეულო მასწავლებლო, — თქვა მან დარბაისლური კილოთი, — თქვენმან დიდებამან და სახელმან ჩემამდე მოაღწია და მსურს რჩევა გკითხოთ. მე გახლავართ ერთი საცოდავი პროვინციელი აზნაური და მორჩილად წარვიძრობ ხამლთა ჩემთა წინაშე შესავალსა სახლსა მეცნიერთასა. თქვენ არ უწყით ჯერეთ სახელი ჩემი. მე მიხმობენ ნათლია ტურანეოს.

„უცნაური სახელია აზნაურისათვის!“ — გაიფიქრა არქიდიაკონმა. მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ მის წინაშე იღვა ძლიერი და სერიოზული პიროვნება. მისი მაღალი გონება ალლოთი ხედებოდა, რომ ნათლია ტურანეოს ბეწვის ქუდს ქვეშ არა ნაკლებ მაღალი კეუა იმალებოდა; და რაც უფრო აკვირდებოდა ამ დარბაისელი შესახედლობის კაცს, უაკ კუაკტიეს იქ ყოფნით გამოწვეული ირონიული ღიმილი დაღვრემილი სახიდან თანდათან უქრებოდა როგორც ბინდი ღამით ცის ტატნობზე. იგი ხელახლა ჩაჯდა თავის დიდ სავარძელში, მოღუშული და მღუშარე, ჩვეულებისამებრ იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ხელი შუბლზე მიიბრჯინა. რამდენიმე წამი ფიქრის შემდეგ ორივე შემოსწრებულს ანიშნა დამსხდარიყვენ და ნათლია ტურანეოს სიტყვით მიმართა:

— მაშ, თქვენ რჩევისათვის მობრძანდით, მეტრ, მაგრამ რომელ მეცნიერებაში?

— ღირსეულო მასწავლებლო, — მიუგო ნათლია ტურანეომ, — მე ავად ვარ, ძალიან ავად. თქვენზე უბნობენ, დიდი მკურნალი ესკულაპი არისო და აწ გეახელით, რათა რჩევა გთხოვოთ მედიცინაში.

— მედიცინაში! — თქვა არქიდიაკონმა და თავი გააქნია. ის, როგორც ჩანდა, ერთ წამს ფიქრებმა გაიტაცა, შემდეგ უპასუხა: — ნათლია ტურანეო, თუკი მართლაც ეს სახელი გქვიათ, მიმოიხედეთ, თავი მიაბრუნეთ. ჩემს პასუხს კედელზე ნახავთ დაწერილს.

ნათლია ტურანეო დაემორჩილა და სწორედ თავს მაღლა წაიკითხა კედელზე ამოკვეთილი წარწერა: „მედიცინა სიზმრის ასულია. — იამბლიხი“².

ექიმმა ვაკ კუაკტიემ თავისი თანამგზავრის კითხვა ერთგვარი წყენით მოისმინა, რაც მამა კლოდის პასუხმა კიდევ უფრო გააძლიერა. ნათლია ტურანჯოსაყენ გადაიხარა და საკმაოდ დაბალი ხმით უკრში ჩასჩურჩულა, რათა არქიდიაკონს არ გაეგონა:

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, გიყია-მეთქი. თქვენ კი მისი ნახვა ისურვეთ.

— ფრიად შესაძლოა, ეს გიყი მართალიც იყოს, ექიმო კუაკტიე! — მიუგო ნათლია ტურანჯომ იმავე დაბალი ხმითა და მწარე ღიმილით.

— როგორც გნებავთ, — ცივად უპასუხა კუაკტიემ. შემდეგ არქიდიაკონს მიმართა: — ძალიან ჩქარობთ მსჯელობის დროს, მამაო კლოდ, თქვენ, როგორც ჩანს, ისევე ადვილად გაუსწორდებით პიპოკრატეს¹, როგორც მიიმუნი თხილს. „მედიცინა სიზმარიაო!“ ვექვობ, თავს ვერ შეიკავებდნენ და ჩაგაქვავებდნენ, აქ რომ ახლა მეფთთაქენი. ფარმაცევტები და აქიშები ყოფილიყვენ. მაშ თქვენ უარყოფთ სიყვარულის სასმელის გავლენას სისხლზე, მალამოს, სამკურნალო საცხის მოქმედებას კანსა თუ რბილზე? თქვენ უარყოფთ ბალახთა და ლითონთა ამ სამარადისო აფთიაქს, რომელსაც ქვეყანას უხმობენ და განზრახ შექმნილია იმ მარადი ავადმყოფისათვის, ადამიანს რომ უწოდებენ!

— მე არ უარყოფ, — ცივად უპასუხა მამა კლოდმა, — არც აფთიაქს, არც ავადმყოფს, მე უარყოფ ექიმს.

— მაშ, თქვენი აზრით, — განაგრძო გაცხარებით კუაკტიემ, — სიმართლე არ არის ის, რომ ნიკრისი სხეულს შიგნით შესული სირსველა, რომ ნატყვიარი ქრილობა იკურნება მოხრაკული თავგის დადებით, ახალგაზრდა სისხლის ჯეროვნად გადასხმა რომ მოხუცის ძარღვებს ახალგაზრდობას უბრუნებს; ნუთუ მართალი არ არის ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, და სხეულის ტეტანურ წინკრუნჩხვას მოსდევს სხეულის კრუნჩხვა უკან?

არქიდიაკონმა აუღელვებლად უპასუხა:

— ზოგიერთ საგანზე მე ჩემებურად ვფიქრობ.

კუაკტიე სიბრაზისაგან გაწითლდა.

— აი რა, ჩემო ძვირფასო კუაკტიე, ნუ ვიჯავრებთ, ნუ ვიცხარებთ, — თქვა ნათლია ტურანჯომ, — ბატონი არქიდიაკონი ხომ ჩვენი მეგობარია.

კუაკტიე დამშვიდდა, თან დაბალი ხმით წაიბურტყუნა:

— ბოლოს ეგეც მართალია. გიყს რა მოეთხოვება!

— ღმერთმანი. მეტრ კლოდ, — ხელახლა ალაპარაკდა ნათლია ტურანეო ერთხანს ღუმულის შემდეგ: — ძალიან დამაღონეთ, საგონებელში ჩამაგდეთ. მე მინდოდა მეთხოვა თქვენთვის ორი რჩევა: ერთი — ჩემი ჯანმრთელობისა და მეორე — ჩემი ვარსკვლავის შესახებ.

— ბატონო ჩემო, — მიუგო არქიდიაკონმა, — თუ ეს არის აზრი და განზრახვა თქვენი, მაშინ ამაოდ ვარჯილხართ და ჩემი კიბის საფეხურებზე ამოსვლით ამაოდ დაგილლიათ გული. მე არა მჯერა მედიცინა, არა მჯერა ასტროლოგია.

— ნამდვილად? — განცვიფრებით წარმოთქვა ნათლიამ.

კუაკტიემ ნაძალადევად გაიცინა.

— თქვენ ახლა კარგად ხედავთ, რომ ეგ გიყია, — უთხრა სრულიად დაბალი ხმით ნათლია ტურანეოს. — მაგას ასტროლოგიაც კი არა სჯერა!

— განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, — განაგრძო მამა კლოდმა, — თითქოს ვარსკვლავის ყოველი სხივი ადამიანის თავამდე გაბმული ძაფი იყოს?

— მაშ რა გწამთ? — წამოიძახა ნათლია ტურანეომ.

ერთ წამს არქიდიაკონი შეეყოყმანდა, შემდეგ პირქუშად გაიღიმა, რაც მის პასუხს არ ეხამებოდა:

— Credo in Deum *.

— Dominum nostrum ** — დაუმატა ნათლია ტურანეომ და პირჯვარი გადაისახა.

— Amen!*** — თქვა კუაკტიემ.

— ღირსეულო მასწავლებელო, — განაგრძო ნათლიამ, — მე აღტაცებული ვარ და სულითა და გულით მიხარია, როცა ვხედავ, თუ რაოდენ ურყევი ხართ სარწმუნოებაში. ასეთი დიდი მეცნიერი ბრძანდებით და ნუთუ იქამდე მიხვედით, რომ მეცნიერებისა აღარა გჯერათ?

— არა, — მიუგო არქიდიაკონმა და მკლავზე ხელი მოჰკიდა ნათლია ტურანეოს. მის მიმქრალ თვალებში აღფრთოვანების შუქმა იელვა, — არა, მეცნიერებას მე არ უარყუოფ. ტყუილად როდი მივხობხავდი, ფრჩხილებს მიწაში ვასობდი ასე ღიდხანს ამ მღვიმის

* მწამს ღმერთი (ლათ.).

** უფალო ჩვენი.

*** ამინ!

ურიცხვ განშტოებებში მანამდე, სანამ ჩემს წინ, შორს, ბნელი ტალანის ბოლოს არ შევნიშნე რაღაც შუქი, რაღაც ცეცხლის ალი; იგი უეჭველად ანარეკლია, თვალისმომკრელი ცენტრალური ლაბორატორიისა, სადაც მომთმენნი და ბრძენნი ღმერთს ეზიარებიან.

-- და ბოლოს, — შეაწყვეტინა ტურანჯომ, — რომელი მეცნიერება მიგაჩნიათ ჭეშმარიტად და უტყუარად?

— ალქიმია.

კუაკტიემ წამოიძახა.

— ღმერთმანი, რა ბრძანებაა ეს, მამაო კლოდ, ალქიმია უეჭველად მართალია თავის მხრივ, მაგრამ რატომ უნდა დაგმოთ ამის გამო მედიცინა და ასტროლოგია?

— არარაი არს თქვენი მეცნიერება ადამიანზე! არარაი არს თქვენი ცის მეცნიერება! — მტკიცედ თქვა არქიდიაკონმა.

— ეს ხომ იმას ნიშნავს ანგარიში გაუსწორო ეპიდავრსა! და ქალღეას², — დაცინვით შენიშნა მკურნალმა.

— მომისმინეთ. ბატონო ჟაკ. გულწრფელად მოგახსენეთ. მე არ გახლავართ მეფის მკურნალი და მის უდიდებულესობას არ მოუცია ჩემთვის დედალოსის ბაღი, რათა თანავარსკვლავედს დავკვირვებოდი. ნუ ჯავრობთ და მივდეთ ყური. რა ჭეშმარიტება გამოგიტანიათ? მე არ ვლაპარაკობ მედიცინაზე, რომელიც მეტისმეტად უაზროა, არამედ ასტროლოგიაზე. დამისახელეთ შვეული ბუსტროფედონის³ სათნოებანი თუ თვისებანი, რიცხვ ზირუფისა და რიცხვ ზეფიროდის საშუალებით ნაპოვნი აღმოჩენანი.

— ნუთუ თქვენ უარპყოფთ კლავიკულის⁴ სიმპათიკურ ძალას და იმას, რომ კაბალისტიკა იქიდან წარმოდგება? — თქვა კუაკტიემ.

— სცდებით, ბატონო ჟაკ! არც ერთ თქვენს ფორმულას ნამდვილი შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ როდესაც ალქიმიას თავისი აღმოჩენები აქვს. განა საცილოდ მიგაჩნიათ მისი შედეგები, როგორც, მაგალითად, ის რომ ათას წელს მიწის ქვეშ მდებარე ყინული მთის ბროლად იქცევა; რომ ტყვია ყველა ლითონის წინაპარია. რადგან ოქრო არ არის ლითონი, ოქრო შუქია; რომ ტყვიას სჭირდება ოთხი ორასწლიანი პერიოდი, რათა თანმიმდევრობით გარდაიქმნას ჯერ წითელ დარიშხანად, შემდეგ წითელი დარიშხანი — კალად, კალა — ვერცხლად. — განა ესენი ფაქტები არ არის? მაგრამ დაიჯერო კლავიკულა, ბედისწერის ხაზები და ვარსკვლავთა გველენა, ისევე სასაცილოა, როგორც სასაცილო იქნებოდა დიდი კატაის მცხოვრებლებთან ერთად გვერწმუნა, ვითომც მოლაღური

თსუნელად იქცეოდეს და ხორბლის მარცვლები—ჭანარისგვარ თევზებად.

— მე შემისწავლია ჰერმეტიკა, — წამოიძახა კუაკტიემ, — და გამტკიცებ...

გაცხარებულმა არქიდიაკონმა არ დაამთავრებინა.

— მე კი შევისწავლე მედიცინაც, ასტროლოგიაცა და ჰერმეტიკაც. ჰეშმარიტება მხოლოდ ეს არის, — (ამას რომ ამბობდა, ხელში აიღო სკივრზე დადგმული შუშა, სავეს იმ ფხვნილით, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ), — მხოლოდ აქ არის სინათლე! ჰიპოკრატე სიზმარია, ურანია — ზმანება, ჰერმესი — ფიქრი. ოქრო მზეა. ოქრო შეჰქმნა, ეს იგივეა, ღმერთი იყო. აი ერთადერთი მეცნიერება. მე მოვსინჯე მედიცინისა და ასტროლოგიის სიღრმეები და გეუბნებით: არარაობა, არარაობა სუფევს იქ! ადამიანის სხეული წყვილია დიოთ არის მოცული, მნათობებსაც სიბნელე ჰფარავს!

მძლავრი და შთაგონებული სახით გადაწვა იგი თავის სავარძელში. ნათლია ტურანყო ღუმლით ადევნებდა თვალს, კუაკტიე ცდილობდა გამქირდავი ღიმილით დაეცინა, შეუმჩნევლად მხრებს იჩეჩდა და დაბალი ხმით თავისთვის იმეორებდა:

— გიჟია, გიჟი!

— მიაღწიეთ კი მაგ თქვენ სასწაულებრივ მიზანს? — ჰკითხა უცხად ტურანყომ, — გააქეთე ოქრო?

— მე რომ ეგ გამეკეთებინა, — დინჯად წარმოთქვა ფიქრებში წასულმა არქიდიაკონმა თავისი სიტყვები, — მაშინ საფრანგეთის მეფეს კლოდი ერჰემოდა სახელად და არა ლუი.

ნათლიამ წარბი შეიკრა.

— თუმცა რას ვამბობ? — განაგრძო აბუჩად ამგდები ღიმილით კლოდმა. — რას ვაქნევ საფრანგეთის ტახტს, როცა აღმოსავლეთის იმპერიის აღდგენასაც კი შევძლებდი!

— ხელი მოგემართოს! — თქვა ნათლიამ.

— ოი, საბრალო გიჟო! — ჩაიბუტბუტა კუაკტიემ.

არქიდიაკონმა განაგრძო, ჩანდა, მხოლოდ თავის ფიქრებში იყო გართული:

— მაგრამ არა, მე ჯერ ისევ მივცოცავ; სახე დამეკაწრა, ქვევზე მუხლები დამეყვლიფა მიწისქვეშა გზაზე. ჯერ მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდი მაქვს, ჯერ კიდევ ვერ ვპერეტ. ვერ ვკითხულობ, მხოლოდ ვმარცვლაფ!

— და როცა შესძლებთ წაკითხვას, — ჰკითხა ნათლიამ, — ოქროს გააქეთებთ?

— ვის შეიძლება ექვი შეეპაროს? — თქვა არქიდიაკონმა.

— მაშინ, ყოველად უბიწო ღვთისმშობელმა უწყის, თუ რაოდენ მიჭირს ფული, სიამოვნებით შევისწავლიდი თქვენი წიგნების კითხვას. მითხარით, ღირსეულო მასწავლებლო, თქვენი მეცნიერება ხომ არ მტრობს ან არ წყენს ღვთისმშობელს?

ნათლის ამ კითხვაზე მამა კლოდმა ამპარტავანი სიმშვიდით გასცა პასუხი:

— მაშ რის არქიდიაკონი ვარ?

— ეს მართალია, ჩემო ბატონო. ხომ არ ინებებდით ჩემთვისაც გაგნდოთ თქვენი მეცნიერება? ნება მიბოძეთ თქვენთან ერთად ვისწავლო ეგ დამარცვლით კითხვა.

კლოდმა დიადი სახე მიიღო, ვითარცა მღვდელთმთავარმა სამუელმა.

— მოხუცო, იმისათვის, რომ შეუდგეთ ამ ილუმალეებით მოცულ საგანთა სამყაროში მოგზაურობას, ხანგრძლივი წლებია საჭირო, რაც თქვენ აღარ დავრჩენიათ. თქვენ თავს უკვე ჰაღარა თმა ფარავს. მართალია, თეთრი თმით გამოდიან ამ მღვიმედან, მაგრამ იქ შავი თმით შედიან. მეცნიერებამ ისედაც იცის ადამიანის სახის დაღარვა, დაქცობა და გამოფიტვა, რაღად უნდა მას, მოხუცებულობამ უკვე დანაოკებული სახე შესთავაზოს? მაგრამ თუ მაინც სურვილს შეუპყრიხართ ჩაუჯდეთ ამ დისციპლინის შესწავლას თქვენს ასაკში და გაარჩიოთ ბრძენთა საშინელი ანბანი, კეთილი, ასე იყოს, მობრძანდით, შევეცდები. მე არ გეტყვით, საბრალო მოხუცს, წადით და ინახულეთ პირამიდათა აკლდამები, რომელთა შესახებ ლაპარაკობს ძველი ჰეროდოტი, ან აგურის კოშკი ბაბილონისა, ან ეკლინგის ინდური ტაძრის უზარმაზარი თეთრი მარმარილოს საკურთხეველი. მე თვითონაც არ მინახავს არც ქალღვევლთა ქვის ნაგებობანი, რომლებშიც მოცემულია სიკრას² წმინდა ფორმა, არც სოლომონის დანგრეული ტაძარი, არც ისრაელ მეფეთა აკლდამის ჩამომსხვრეული ქვის კარები. ჩვენ დავჯერდებით ჰერმესის წიგნის ფრაგმენტებსაც, რომელიც აქ გვაქვს. მე აგიხსნით წმინდა ქრისტოფის ქანდაკებას, მთესველის სიმბოლოს და იმ ორი ანგელოსის სიმბოლოს, რომლებიც გამოხატული არიან სენტ-შაპელის მთავარკარზე, ერთს რომ თავისი ხელი ლარნაკში ჩაუყვია, მეორეს — ღრუბელში დაუმალა...

აქ, არქიდიაკონის აღგზნებული პასუხით შეცბუნებული ჟაკ კუაკტიე წელში გასწორდა და მეცნიერის მოზეიმე კილოთი შეაწყვეტინა, რათა გაესწორებინა მეორის შეცდომა:

— Erras, amice Claudi *. სიმბოლო რიცხვი არ არის. თქვენ ორფეუსი ჰერმესი გგონიათ.

— თქვენ სცდებით, — მედიდურად უპასუხა არქიდიაკონმა. — დედალოსი ზეძირკველია, ორფეუსი კედლებია, ჰერმესი მთელი შენობაა. — თქვენ მობრძანდებით, როცა ინებებთ, — განაგრძო მან და ტურანეოსაყენ შებრუნდა, — მე გაჩვენებთ ოქროს მარცვლებს, ნიკოლას ფლამელის ბრძმედის ფსკერზე დარჩენილს, და მათ გილიომ პარიზელის ოქროს შეადარებთ. გაგაგებინებთ ბერძნული სიტყვის peristera-ს ** იღუმალ თვისებებს, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, გასწავლით ანბანის მარმარილოს ასოების ერთიმეორეზე მიყოლებით წაკითხვას, დიადი წიგნის გრანიტის კაბადონების გარჩევას. ეპისკოპოს გილიომისა და სენ-ჟან ლე რონის მთავარკარიდან ჩვენ გავემართებით სენ-შაპელისაყენ, შემდეგ ნიკოლას ფლამელის სახლისაყენ, მარივოს ქუჩაზე, მისი საფლავისაყენ, რომელიც უმანკოთა სასაფლაოზეა, მისი ორი საავადმყოფოსაყენ მონმორანსის ქუჩაზე. გასწავლით იმ იეროგლიფების კითხვას, რომლებითაც დაფარულია სენ-ჟერვეს სასნეულოს მთავარკარის ოთხი სქელი რკინის გისოსი და რკინეულობის ქუჩა. ჩვენ ერთად გავარჩევთ აგრეთვე სენ-კომის, სენტ-ჟენევიევე-დუზ-არდანის, სენ-მარტენის, სენ-ჟაკ-დელა-ბუშრის ფასადებს...

მიუხედავად მთელი იმ გონიერებისა, რომელიც ნათლია ტურანეოს თვალეზში გამოსჭვიოდა, უკვე დიდი ხანია აღარა გაეგებოდა რა მამა კლოდისა. მან შეაწყვეტინა.

— უფლის აღდგომის მადლმა! ეგ რა წიგნია?

— აი ერთ-ერთი მათგანი, — თქვა არქიდიაკონმა.

და სენაქის საჩემელი გამოაღო, თითოთ ღვთისმშობლის უზარმაზარი ეკლესია აჩვენა; ვარსკვლავიან ცაზე გამოკვეთილი მისი ორი კომის, ქვის გვერდებისა და საზარელი ზურგის შავი სილუეტი შუაგულ ქალაქში დაბრძანებულ უშველებელ სფინქსსა ჰგავდა.

ერთხანს მღუმარედ უპერტდა არქიდიაკონი ბუმბერაზ შენობას, შემდეგ ამოიოხრა, მარჯვენა ხელი მაგიდაზე გაშლილ ნაბეჭდ წიგნზე გაშალა, მარცხენა კი ღვთისმშობლის ტაძრისაყენ გაიშვირა, ნაღვლიანი მზერა წიგნიდან ეკლესიაზე გადაიტანა:

— ვაი რომ ეს მოჰკლავს იმას.

კუაკტიე დაუზარებლად მიუახლოვდა წიგნს; მან ვერ შესძლო თავი შეეკავებინა და წამოიძახა:

* სცდები, მეგობარო კლოდ.

** Περისტερα — მტრედი.

— მაკრამ, მომ-ტევეთ, განა რა არის აქ ასეთი საშინელი?
„Glossa in epistolas D. Pauli“. Norimbergae, Autouius Koburger,
1474*. ეს ხომ ახალი ამბავი არ არის. იგი სენტენციების
ოსტატის პიერ ლომბარის წიგნია. იქნებ იმიტომ არის საშინელი,
რაკი ნაბეჭდია.

— თქვენ სწორედ ბრძანეთ, — უპასუხა კლოდმა, რომელიც
ღრმა ფიქრებში შთანთქმულსა ჰგავდა, ფეხზე იდგა, მოკეცილი
საჩვენებელი თითით ნიურნბერგის სახელგანთქმული სტამბების
მიერ გამოშვებულ ფოლიანტს დაყრდნობოდა. შემდეგ კი ასეთი
იღუმალებით მოცული სიტყვები დაურთო:

— ვაი! ვაი! მცირე ბოლოს უღებს დიადს, მარტოოდენი კბილი
იმარჯვებს მასაზე, სძლევს მთელ გროვას. ნილოსის თავი ჰკლავს
ნიანგს, შიმშილი ჰკლავს ვეშაპს, წიგნი მოჰკლავს შენობას!

მონასტერში ცეცხლის ჩაქრობის ზარმა სწორედ იმ წუთს და-
რეკა. როცა მკურნალმა ეაკმა თავის თანამგზავრს დაბალი ხმით
გაუმეორა თავისი სამარადისო მისამღერი: „იგი გიყია“. ამჯერად
თანამგზავრმაც უპასუხა:

— მგონი, ასეა.

დადგა ეამი, როცა არც ერთ უცხო პირს აღარ შეეძლო მონას-
ტერში დარჩენა. ორივე მნახველი განშორდა.

— მეტრ, — უთხრა ნათლია ტურანყომ არქიდიაკონს გამოთხო-
ვებისას, — მე მიყვარს მეცნიერები და დიდი გონების ადამიანები,
თქვენს მიმართ კი იშვიათ პატივისცემას ვგრძნობ. ხეალ მობრძან-
დ-თ ტურნელის სასახლეში და იკითხეთ „აბატი სენ-მარტენ დე
ტურ“.

არქიდიაკონი განცვიფრებული დაბრუნდა შინ. მხოლოდ ახლა-
ღა მიხვდა, როგორც იქნა, იმას, თუ ვინ იყო ეს ნათლია ტურანყო
და გაახსენდა სენ-მარტენ დე ტურის სამონასტრო სიგელ-გუჯრე-
ბის კრებულისაგან შემდეგი ნაწყვეტი: „Abbas beati Martini, scilicet
rex Eranciæ, est canonicus de consuetudine et habet parvam
præhendam, quam habet sanctus Venantius et debet sedere in
sede thesaurarii“**.

* განმარტება წმ. პავლეს ეპისტოლესი. ნიურნბერგი, ანტონიუს კობურგერა,
1474.

** ნეტარი მარტინის მოძღვარი, ესე იგი საფრანგეთის მეფე, ტრადიციით კანონიკი და ჰყავს მცირეოდენი მრევლი, რომელიც ეკუთვნის წმინდა
ვენანციის ეკლესიას და კაპიტულში იგი უნდა იჯდეს ხაზინადარის ადგილას
(ლათ.).

ამტიციებენ, რომ ამ ხნიდან არქიდიაკონი ხშირად საუბრობდა ლუი XI-თან, როცა კი მისი უდიდებულესობა პარიზს ჩამობრძანდებოდა, და მამა კლოდის ნდობა და გავლენა ჩრდილავდა და შეაფოთებდა ოლივიე ლე დენსა და ჟაკ კუაკტიეს, რომელიც თავისებურად უხეშად ეპყრობოდა მეფეს ამის გამო.

II

ეს მოჰკლავს იმას

ჩვენმა მკითხველმა ქალებმა გვაპატიონ, თუ ერთი წუთით შევიჩერდებით, რათა შევეცადოთ გამოვარკვიოთ, რა აზრი იმდებოდა არქიდიაკონის იღუმალ სიტყვებში: „ეს მოჰკლავს იმას. წიგნი მოჰკლავს შენობას“.

ჩვენი გავებით, ამ აზრს ორი მხარე ჰქონდა. ჯერ ერთა, ის მღვდლის აზრი იყო, სასულიერო პირის შიში ახალი მოქმედი ძალის—ბეჭდვის წინაშე; საკურთხეველის, ტაძრის მსახურის ძრწოლა და დაბრძანება გუტენბერგის¹ საბეჭდი დაზგის თვალისმომკრელი შუქის გამო. საეკლესიო კათედრამა და ხელნაწერმა, ზეპირმა სიტყვამ და ხელნაწერმა სიტყვამ განგაში ატეხეს ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ; ასე აფორიაქდებოდა და დაფრთხებოდა მხოლოდ ბელურა ჩიტი, თუ დაინახავდა ექვსმილიონ ფრთებგაშლილ ლეგიონის ანგელოზს. ეს იყო ძახილი წინასწარმეტყველისა, რომელსაც უკვე ესმოდა განთავისუფლებული კაცობრიობის გუგუნი და ფუთფუთი; რომელიც უკვე ჰვრეტდა, რომ მომავალში გონება ძირს გამოუთხრიდა რწმენას, აზრი ტახტიდან ჩამოაგდებდა სარწმუნოებას, ქვეყანა გადაიგდებდა რომის უღელს; იგი იყო წინასწარმეტყველება ფილოსოფოსისა, რომელიც ხედავდა, რომ ბეჭდვის მიერ აქროლებად ქცეული აზრი კაცობრიობისა ორთქლდებოდა თეოკრატიის ჰურქლიდან; ჯარისკაცის შიში, რომელაც თვალს ადევნებდა ბრინჯაოს ურნალსა და ყვიროდა: „კოშკი ინგრევაო“. ეს ნიშნავდა, რომ ახალი ძალა სცვლიდა ძველ ძალას. მას ამით იმის თქმა უნდოდა, რომ საბეჭდი დაზგა მოჰკლავს ეკლესიას.

მგვრამ ამ პირველ, უეჭველად უფრო მარტივ აზრში, ჩვენი შეხედულებით, იფარებოდა სხვა, უფრო ახალი აზრი, როგორც დასკვნა პირველისა, არც თუ ეგრე ადვილად მისახვედრი, საცილო და საკამათო, ისიც ფილოსოფიური და მასთან არა მარტო სასულიერო პირისა, არამედ მეცნიერისა და ხელოვანის მოსაზრება. ეს იყო წინათგრძნობა იმისა, რომ ფორმის შეცვლით ადამიანის აზრი თანდა-

ლან შეცვლის აგრეთვე გამოხატვის წესსაც: ყოველი თაობის მთავარი იდეა უკვე დაიწერება სხვა წესით, სხვა მასალით; ესოდენ მკვირი და გამძლე ქვის წიგნი ადგილს დაუთმობს კიდევ უფრო მკვირვისა და უფრო გამძლე ქაღალდის წიგნს. არქიდაიკონის გაურკვეველ ბუნდოვან გამოთქმაში ასეთი მეორე აზრი იგულისხმებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი ხელოვნება დაამხოდა მეორე ხელოვნებას. ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ წიგნის ბეჭდვა ხუროთმოძღვრებას მოჰკლავსო.

მართლაც, ნივთთა შექმნის დღიდან ქრისტიანული ერის მეთხუთმეტე საუკუნემდე ჩათვლით ხუროთმოძღვრება კაცობრიობის უღრდესი წიგნი იყო, ადამიანის როგორც ფიზიკური და სულიერი არსების გამოსახვის მთავარი და ძირითადი საშუალება მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

როდესაც პირველ თაობათა მესხიერებამ თავი მეტისმეტად დატვირთულად იგრძნო, როდესაც ადამიანის მოდგმის მოგონებათა ტვრთი იმდენად დამძიმდა და გაბუნდოვანდა, რომ შიშველი და ადვილმქროლავი სიტყვა გზად დაკარგვის საფრთხეში აგდებდა, მაშინ ეს მოგონებანი გადაიტანეს, დაწერეს ნიადაგზე მეტად ცხადი, მეტად მკვიდრი და ამავე დროს მეტად ბუნებრივი წესით. ყოველი გადმოცემა თუ ადათ-წესი ძეგლზე აღბეჭდეს.

პირველი ძეგლები კლდის ლოდები იყო, „რომელთაც არ შეხებია რკინა“, როგორც ამბობს მოსე. ხუროთმოძღვრებაც ისევე დაიწყო, როგორც ყოველგვარი დამწერლობა. თავიდან იგი ანბანი იყო. ფეხზე დააყენებდნენ ქვას და იგი უკვე ასოს წარმოადგენდა, ყოველი ასეთი ასო კი ჰიეროგლიფი იყო, ხოლო თვითნებულ ჰიეროგლიფზე დამყარებული იყო ჯგუფი იდეებისა, როგორც სამერხული, ბულაური სვეტზე. ასე იქცეოდა ყველა თავდაპირველი თაობა ყველგან, ერთსა და იმავე დროს მთელ დედამიწის ზურგზე. კელტების „ფეხზე მდგომ ქვებს“ პოულობენ აზიის ციმბირშიაცა და ამერიკის ტრამალეშიაც.

უფრო გვიან შეადგინეს სიტყვები. ქვა ქვაზე დადეს, გრანიტის ეს მარცვლები შეაერთეს და ამ მარცვლებიდან სიტყვების შედგენას შეეცადნენ. კელტური დოლმენები¹ და კრომლესები², ეტრუსკული ყორღანები, ებრაელთა სამაროვანი ბორცვები — ყველა ესენი სიტყვებია. ზოგიერთი, მეტადრე ყორღანები, საკუთარი სახელეობია. ზოგჯერ კი, როცა ბლომად ჰქონდათ ქვა და ვრცელი ადგილები. მთელ წინადადებებს წერდნენ. კარნაკის³ უზარმაზარი გროვა უკვე მთელი ფორმულაა.

ბოლოს, წიგნების შედგენაც დაიწყო. გადმოცემებმა წარმოშვა

სიმბოლოები, რომელთა ქვეშ ისინი გაქრა, როგორც ხის ღერო ფოთლებს ქვეშ; ყველა ეს სიმბოლო, რომელიც ადამიანს სწამდა, თანდათან გაიხარდა, გამრავლდა, ერთმანეთს გადაეხლართა, სულ უფრო და უფრო გართულდა; თავდაპირველი ძეგლები მათ ველარ იტედა. ისინი ყოველი მხრიდან მოზღვავდა; ძეგლები ძლივსლა გამოხატავდნენ თავდაპირველ გადმოცემას, ისეთივე მარტივს, შიშველს და ნიადაგთან გასწორებულს. სიმბოლოს გასაშლელად შენობა დასქარდა. მაშინ ადამიანის აზრის განვითარებასთან ერთად ხუროთმოძღვრებაც განვითარდა. იგი ათასთავიან და ათასხელიან ბუმბერაზად იქცა და მერყევი სიმბოლო სამარადისო ხილვად, ხელშესახებ ფორმაში დამკვიდრდა. იმ დროს, როდესაც დედლოსი¹ — ძლიერების სიმბოლო ზომავდა, როდესაც ორფეოსი² — გონების სიმბოლო — მღეროდა, მაშინ სვეტმა — სიმბოლომ ასოსი, თაღმა — სიმბოლომ მარცვლისა, პირამიდამ — სიმბოლომ სიტყვისა, უცბად გეომეტრიისა და პოეზიის კანონებით ამოძრავებულმა, იწყო შეჯგუფება, შეუღლება, შერევა, შედუღება, დაწევა, ამალღება, ნიადაგთან გასწორება, ცამდე აღზევება მანამდე, სანამ ეპოქის მთავარი იდეების კარნახით მოახერხეს დაეწერათ ის საკვირველი წიგნები, რომლებიც იმავე დროს საკვირველი შენობებია: ეკლინგის პავოლი, კერპის ტაძარი, რამზესის მეგზოლემში ეგვიპტეში, სოლომონის ტაძარი.

დედააზრი, სიტყვა, ჩამარხული იყო არა მარტო ყველა ამ შენობის არსებაში, ფუძეარსში, არამედ მათ ფორმაშიც. მაგალითად, სოლომონის ტაძარი, სამღვთო წიგნის მარტო ყდა როდი გახლდათ, ის თვით სამღვთო წიგნი იყო. მათ ყოველ გარშემოვლებულ წრიულ გალავნებზე ღვთისმსახურებს შეეძლოთ ამოკითხათ სიტყვა, განმარტებული და თვალნათლივ გამოჩენილ-გამოცხადებული, და, ამრიგად, თვალი ეღვენებინათ მათი გარდაქმნებისათვის საკურთხეველიდან საკურთხეველამდე. ტაძრიდან ტაძრამდე, ვიდრე მისწვდებოდნენ მის უკანასკნელ თავშესაფარში, მის უაღრესად ხორცშესხმულ მკვრივ ნივთიერ ფორმაში, რაც ისევ ხუროთმოძღვრული იყო, — ძველი აღთქმის კიდობანში. ამრიგად, სიტყვა დამარხული იყო წიაღსა შენობისასა, მაგრამ სახე ხატი ამ სიტყვისა შენობის გარსზე აღიბეჭდა, ვითარცა სახე ადამიანისა სარკოფაგის სახურავზე.

არა მარტო შენობათა ფორმა, არამედ თვით მათთვის შერჩეული ადგილიც ამქლავებდა მათში წარმოდგენილ აზრს. იმის თანახმად გამოსასახავი სიმბოლო კოხტა და კეკლუცი იყო თუ მოლუმული, საბერძნეთი თავის მთებს აგვირგვინებდა თვალისთვის

ჰარმონიული ტაძრებით. ანდოეთი მთებს ფატრავდა იმისათვის, რომ იქ გამოეკვეთა თავისი მიწისქვეშა, გრანიტის ბუმბერაზ სპილოების მწკრივზე დაყრდნობილი, მახინჯი პავოლები.

ამრიგად, ქვეყნიერების ექვსი ათასეული წლის მანძილზე, ჰინდუსტანის ყველაზე უხსოვარი პავოლიდან კოლნის კათედრალამდე, ხუროთმოძღვრება ადამიანთა მოღვმის ყველაზე დიადი დამწერლობა იყო. ეს იმდენად ქვეშარიტია, რომ არა მარტო ყველა რელიგიურ სიმბოლოს, არამედ ყოველგვარ ადამიანურ აზრსაც კი თავისი ფურცელი და თავისი ძეგლი გააჩნია ამ უსაზღვრო წიგნში.

ყოველი ცივილიზაცია იწყება თეოკრატიითა და მთავრდება დემოკრატიით. ერთხელისუფლებიანობის შემდეგ თავისუფლების მექვიდრობითი თანმიმდევრობის კანონი ხუროთმოძღვრებაშიც აღიბეჭდა. რადგან, და ჩვენც სწორედ ამ თვალსაზრისს ვაღვავართ, დაუჯერებელია, თითქოს საამშენებლო ხელოვნებას მხოლოდ ტაძრების აგება, მითებისა და სამღვთო სიმბოლიზმის გამოსახვა შეეძლოს, ქვის ფურცლებზე ჰიეროგლიფებით მხოლოდ სჯულის საიდუმლო ფიცრების გადატანა ძალუძდეს. ეს რომ ასე იყოს, რაკი ადამიანთა ყოველ საზოგადოებაში დგება ისეთი მომენტი, როცა წმინდა სიმბოლო ცვდება და იშლება თავისუფალი აზრის გავლენით, როცა ადამიანი მღვდელს ხელიდან დაუსხლტება, როცა ფილოსოფიური და სოციალური სისტემების სიმსივნე გამოღრღნის რელიგიის სახეს, — მაშინ ხუროთმოძღვრება ვერ შესძლებდა ადამიანის სულის ამ ახალი მდგომარეობის გარდმოსახვას, მის ერთ მხარეს დაწერილი ფურცლები მეორე მხარეს ცარიელი იქნებოდა, მისი ქმნილება დამახინჯდებოდა, მისი წიგნი არასრული იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის.

მაგალითისათვის მივმართოთ შუა საუკუნეებს, რომელიც უფრო ცხადია ჩვენთვის, რადგან უფრო ახლოა ჩვენთან. როდესაც თეოკრატიამ თავისი არსებობის პირველი პერიოდის მანძილზე თავისი წესრიგი დაამყარა ევროპაში, როდესაც ვატიკანმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა და ხელახლა გადააჯგუფა ელემენტები იმ რომისა, რომელიც დაიბადა კაპიტოლის ირგვლივ ნანგრევებად ქცეული ძველი რომიდან, როდესაც ქრისტიანობაში შეუდგა წინანდელი ცივილიზაციის ნანგრევებში საზოგადოების ყველა ფენის გამოძენას და ამ ნანგრევებით ხელახლა ააგო ახალი ჰიერარქიული ქვეყანა, რომლის ქვაკუთხედს სამღვდლოება წარმოადგენდა, — მაშინ ამ ქაოსში ჯერ იშვა, შემდეგ კი ქრისტიანობის სულის შებერვით, ბარბაროსთა მოწოლით მკვდარი ბერძნული და რომაული ხუროთმოძღვრების ნამუსრევეს გაწმენდის შემდეგ ნელნელა გამოჩნდა

იდუმალი რომანული ხეროთმოძღვრება, ეგვიპტისა და ინდოეთის თეოკრატიული საამშენებლო ხელოვნებისა და, წმინდა კათოლიციზმის უცვლელი ემბლემა, პაპის ერთობის ურყევი ჰიეროგლიფი. მართლაც, მთელი მაშინდელი აზრი ჩაწერილია ამ პირქუშ რომანულ სტილში. მასში ყველგან გრძნობთ ძალაუფლებას, ავტორიტეტს, ერთხელისუფლებიანობას, ერთიანობას, შეუღწევადობას, აბსოლუტიზმს, პაპ გრიგორ VII; ყველგან — მღვდელს, არასდროს — ადამიანს, ყველგან — კასტას, არასდროს — ხალხს. მაგრამ დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობა. იგი დიდი სახალხო მოძრაობა იყო, და ყოველი დიდი სახალხო მოძრაობა, როგორც უნდა იყოს მისი მიზეზი და მიზანი, ყოველთვის გამოსცემს თავისუფლების სულის თავის უკანასკნელ ნაწილს, დანალექს. რაღაც სიახლე იჩენს თავს, დღის სინათლეზე იწყებს გამოსვლას. იწყება „ჟაკერის“, „პრავერიისა“ და „ლიგის“¹ ქარიშხლიანი პერიოდი. ძალაუფლება, ავტორიტეტი ირყევა, ერთხელისუფლებიანობა ორად იყოფა. ფეოდალიზმი მოითხოვს ხელისუფლების განაწილებას თეოკრატიასთან, ხალხის აუცილებელი გამოსვლის მოლოდინში, ხალხისა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ლომის წილს წაიღებს. Quia nominor leo*. თავდაზნაურობა თავს აღწევს სამღვდლოებას, ქალაქის თემი — თავდაზნაურობას. ევროპის სახე იცვლება. მერე რა? იცვლება აგრეთვე ხეროთმოძღვრების სახეც. როგორც ცივილიზაციამ, მანაც გადააბრუნა ფურცელი, და ეპოქის ახალ სულს მიაჩნია, რომ იგი მზად არის მისი კარნახით წეროს. ჯვაროსანთა ლაშქრობიდან მან მიიღო ისრული კამარა, ისე როგორც ერებმა — თავისუფლება. და მაშინ, როცა ნელნელა დაიშალა რომი, რომანული ხეროთმოძღვრებაც მოკვდა. ჰიეროგლიფმა მიატოვა კათედრალი და ციხე-კოშკების ღერბზე გადადის, რათა ფეოდალების პრესტიჟი აღედგინა. თვით კათედრალიც, ოდესღაც დოგმატიკის ერთგული შენობა, ამიერიდან დაიპყრო ბურჟუაზიამ, ქალაქის თემმა, თავისუფლებამ, მღვდელს ხელიდან ეცლება და ხელოვანის ძალაუფლებაში ვარდება. ხელოვანი თავისებურად აგებს. მშვიდობით, გამოეთხოვთ იდუმალებას, მითსა და კანონს! გზა მიეცით ფანტაზიასა და ახირებას! ოღონდ დაუტოვეთ მღვდელს თავისი საყდარი და საკურთხეველი, სხვა არა უნდა რა მას. ოთხივე კედელი კი ხელოვანისაა. ამიერიდან ხეროთმოძღვრული წიგნი აღარ ეკუთვნის არც სამღვდლოებას, არც რელიგიას, არც რომს. იგი წარმოსახვის, პოეზიისა და ხალხის განკარგულებაშია. აქედან წარმოსდგება ამ სამ საუკუნოვანი ხანდაზმუ-

* რაჰეთე ლომი მქეია.

ლობის ხუროთმოძღვრების სწრაფი და უამრავი გარდაქმნები, ასე რომ გვანცვიფრებს ექვს თუ შვიდსაუკუნოვანი რომანული ხუროთმოძღვრების მდგრადი უძრავობის შემდეგ. ამასობაში ხელოვნება გოლიათური ნაბიჯებით მიდის წინ. ხალხის გენია და ორიგინალობა ილწვის იმაზე, რასაც ადრე ეპისკოპოსები ასრულებდნენ. ყოველი თაობა გავლით წერს თავის სტრიქონს ამ წიგნში. იგი ჩამოფხეკს კათედრალების ფასადებიდან ძველ რომანულ ჰიეროგლიფებს, და მხოლოდ დიდი ჯაფითლა ხერხდება ახლადშეტანილი სიმბოლოების ქვეშ გარჩევა დოგმისა, რომელიც აქა-იქლა გამოსჰვივის. ხალხური შემოქმედების საფარველს ქვეშ ძლივს გამოიცინობთ რელიგიურ ჩონჩხს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა თავგასულობას იჩენდნენ მამინ ხუროთმოძღვრები თვით ეკლესიის მიმართაც კი. აი გრეხილი სვეტისთავეები ერთმანეთთან ურცხვად ჩახვეული ბერებისა და მოლოზნების სახით, როგორც, მაგალითად, პარიზის მართლმსაჯულების სასახლის ბუხრიან დარბაზში. აი მთლიანად გამოქანდაკებული ნოეს თავგადასავალი, როგორც, მაგალითად, ბურჟის ტაძრის დიდ მთავარკარზე. აი ვირისყურებიანი მთერალი ბერი, რომელსაც ხელში ჭიქა უჭირავს და მთელი ძმათა თემის თვალწინ ხარხარებს, როგორც ბოშერვილის საბატოს პირსაბანზე. იმ ეპოქაში ქვაზე აღბეჭდილი აზრი ჩვენი თანამედროვე ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესადარი პრივილეგიით სარგებლობდა. იგი იყო დრო ხუროთმოძღვრების თავისუფლებისა.

ეს თავისუფლება ძალიან შორს მიდიოდა. ხანდახან რომელიმე მთავარკარზე, ფასადზე, მთელ ეკლესიაზე გამოხატული სიმბოლიური მნიშვნელობა კულტისათვის არათუ სრულიად უცხო, მტრულიც კი იყო ეკლესიის მიმართ. გილიომ პარიზელმა მეცამეტე საუკუნეში, ნიკოლა ფლამელმა მეთხუთმეტე საუკუნეში ამგვარი მემამბოხური ფურცლები ჩაწერეს. სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის ტაძარი მთლიანად ოპოზიციური ეკლესია იყო.

მამინ აზრი მხოლოდ ამ სახით იყო თავისუფალი, და მთლიანად იწერებოდა მხოლოდ ისეთ წიგნებში, რომელთაც შენობებს უხმობენ. შენობის ამ ფორმით შეეძლო მას ეხილა თავის თავი კოცონზე, საქვეყნოდ დამწვარი, ჯალათის ხელით, თუკი დაუფიქრებლობის გამო გაბედავდა და ხელნაწერის ფორმას მიიღებდა; ეკლესიის მთავარკარზე აღბეჭდილი აზრი წიგნში დაწერილი აზრის სიკვდილით დასჯის დამსწრე შეიქმნებოდა. ასე რომ, სხვა გზა თავის გამოსაჩენად, გარდა ქვითხუროთმოძღვრებისა. არ გააჩნდა, ამიტომაც ყველგან მას ესწრაფოდა. აქედან წარმოიღვება უსაზღვრო რაოდენობა კათედრალთა, რომელთაც მთელი ევროპა დაჟუფრავთ, მათი რიცხვი

იმდენად საოცარია, ძლივს წარმოიდგენთ, კიდევაც რომ შეამოწმოთ. საზოგადოების ყველა მატერიალური ძალა, ყველა ინტელექტუალური ძალა ერთ წერტილში, ხუროთმოძღვრებაში იყრიდა თავს. ამრიგად, ღვთის ტაძართა აგების საბაბით ხელოვნებამ ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია.

მაშინ ვინც კი პოეტად იბადებოდა, ხუროთმოძღვარი ხდებოდა. მასში გაბნეული გენია, ფეოდალიზმის მიერ ყოველმხრივ შევიწროებული, როგორც ბრინჯაოს ფარებისაგან შემდგარი testudo-ს ქვეშ, ხუროთმოძღვრების გარდა სხვა გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, გზას ამ ხელოვნების საშუალებით იკაფავდა და მისი „ილიადები“ კათედრალების ფორმას იღებდნენ. ყველა დანარჩენი ხელოვნება ემორჩილებოდა და ეგუებოდა ხუროთმოძღვრების მოთხოვნებს. ისინი დიადი ქმნილების მუშები იყვნენ. ხუროთმოძღვარი, პოეტი, ოსტატი თავის პიროვნებაში აერთიანებდა ქანდაკებასაც, რომლითაც იგი თავის ფასადებს აჩუქებდებოდა, ფერწერასაც, რომლითაც აფერადებდა სარკმელთა მინებს, მუსიკასაც, რომელსაც რხევაში მოჰყავდა ზარები და რომელიც ორღანებს აგუგუნებდა. მართალი რომ ვთქვათ, თვით მწიბრი პოეზიაც კი, რომელიც კერპივით გაყინულიყო ხელნაწერებში, იმისათვის, რომ რაიმე არსებობა და მნიშვნელობა შეეძინა, იძულებული გახდა თავისი თავი შენობის ჩარჩოებში ჩაესვა ჰიმნის ან საეკლესიო პაროზის (ქორალის) სახით; ესე იგი შეესრულებინა იგივე როლი, რასაც ასრულებდა ესქილეს ტრაგედიები საბერძნეთის წმინდა დღესასწაულებში, ან „წიგნი შესაქმეთა“ სოლომონის ტაძარში.

ამგვარად. გუტენბერგამდე, ხუროთმოძღვრება მთავარი და საყოველთაო დამწერლობაა. ეს გრანიტის წიგნი აღმოსავლეთმა დაიწყო. ბერძნულმა და რომაულმა ანტიკურობამ გააგრძელა და შუასაუკუნეებმა უკანასკნელი ფურცელი ჩაწერა. თუმცა ეს მოვლენა, კასტურ ხუროთმოძღვრებას რომ ხალხური ხუროთმოძღვრება მოჰყავდა, რასაც ჩვენ შუა საუკუნეებში ვხედავთ, მეორდებოდა ისტორიის სხვა დიად ეპოქებშიც აღამიანთა გონების ყოველი ამგვარი მოძრაობის დროს. მაშ იმისათვის, რომ მოკლედ გადმოვცეთ ეს კანონი, რომლის დაწვრილებით გაშლას ტომები დასჭირდებოდა, ვიტყვი, რომ შორეულ აღმოსავლეთში, სადაც დაირწა პირველყოფილი საზოგადოების აკვანი, პინდურ ხუროთმოძღვრებას მოჰყავდა ფინიკური, ეს გულუხვი დედა არაბული ხუროთმოძღვრებისა; ანტიკურ ეპოქაში, ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებას. რომლის ნაირსხვაობას წარმოადგენდა ეტრუსკული სტილი და ციკლოპური ძეგლები, — ბერძნული ხუროთმოძღვრება, რის გაგრძელებაც იყო რომა-

უნდა სტილი. კართაგენული გუმბათით დამძიმებული. ახალ დროში რომანული ხუროთმოძღვრების შემდეგ გაჩნდა გოტიკური. ახლა თუ ირად გავყოფთ ამ სამ წყებას, მაშინ დავინახავთ, რომ სამი უფროსი და — ჰინდური, ეგვიპტური და რომანული ხუროთმოძღვრება განასახიერებს ერთსა და იმავე სიმბოლოს, ესე იგი თეოკრატიას, კასტას, ერთფელებიანობას, დოგმას, შიოს, ღმერთს, ხოლო სამ უმცროს დას — ფინიკურ, ბერძნულ და გოტიკურ ხუროთმოძღვრებას, მიუხედავად მათი ბუნების თანაარსი ფორმების სხვადასხვაობისა, ასევე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ: თავისუფლება, ხალხი. ადამიანი.

რაც უნდა ერქვას, ბრამინი, მოგვი თუ პაპი, ჰინდურ, ეგვიპტურ ან რომანულ ქვითხუროთმოძღვრებაში მუდამ იგრძნობა ქურუმის თუ მღვდლის, სასულიერო პირის ზეგაეღენა. ასე როდია ხალხურ ხუროთმოძღვრებაში. მასში მეტია ფუფუნება, ნაკლებია წმინდანობა. ფინიკურ ხუროთმოძღვრებაში იგრძნობა ვაჟარი, ბერძნულში — რესპუბლიკელი, გოტიკურში — მოქალაქე.

ყოველგვარი თეოკრატიული ხუროთმოძღვრების მთავარი დამახასიათებელი თვისებებია უცვლელობა, შიში პროგრესის წინაშე, ტრადიციული ხაზების დაცვა-შენახვა, თავდაპირველი ნიმუშების სამარადისო კურთხევა, ყოველი ადამიანური და ბუნებრივი ფორმის მუღმივი შეგუება სიმბოლოს მიუწვდომელი ახირებისადმი. ესენი ბუნდოვანი წიგნებია, რომელთა გარჩევა ძალუძთ მხოლოდ ხელდასხმულთ. თუმცა, ყოველ ფორმას, თვით მახინჯსაც კი, აქვს რაღაც აზრი, რაც მას ხელშეუხებელს ხდის. ნუ მოსთხოვთ ჰინდურ, ეგვიპტურ, რომანულ ქვითხუროთმოძღვრებას, თავისი ნახატი გარდაქმნას ან ქანდაკება გააუმჯობესოს. ყოველი სრულქმნა მათთვის უღმერთობაა, მკრეხელობაა. გეგონებათ, ამ არქიტექტურაში ქვაზე გაყინულ დოგმათა სიმკაცრემ მეორედ განიცადა გაქვავებაო, პირიქით, ხალხური ქვითხუროთმოძღვრების მთავარი დამახასიათებელი თვისებანია მრავალფეროვანება, სხვადასხვანაირობა, წინსვლა-განვითარება. თავისებურება, თვითმყოფობა, სიუხვე-ფუფუნება, მუდმივი მოძრაობა. ისინი, ხალხური ძეგლები უკვე საკმაოდ გამოპყოფიან რელიგიას იმისათვის, რომ იზრუნონ თავიანთ სილამაზეზე, მოუარონ მას, მოკაზმონ, შეუწყვეტილვ აუმიჯობესონ მორთულობანი ქანდაკებებითა და არაბესკებით. ისინი ამქვეყნიური არიან, წუთისოფელზე, თავიანთ საუკუნეზე მოგვიტხოვრებენ. მათში არის რაღაც ადამიანური, განუწყვეტლივ რომ შეუერთებენ ღვთაებრივ სიმბოლოს. რომლის სახელითაც კვლავ აღიმართებიან. ამიტომაც ეს შენობები მასწავლობია ყოველი სულისათვის, ყოველი გონებისა-

თვის, ყოველი წარმოსახვისათვის; თუმცა ჯერ კიდევ სიმბოლიური არიან, მაგრამ ადვილ გასაგები, ვითარცა თვით ბუნება. თეოკრატულ ხუროთმოძღვრებასა და ხალხურ ხუროთმოძღვრებას შორის იგივე განსხვავებაა, რაც საღვთო ენასა და სასაუბრო ენას შორის, ჰიეროგლიფსა და ხელოვნებას შორის, სოლომონსა და ფილიასს შორის.

თუ შევაჯამებთ იმას, რაც აქამდე ძალიან მოკლედ აღვნიშნეთ და ამასთან ათას საბუთს, ათას წვრილმან მოსაზრებას ანგარიშს არ გავუწევთ, მაშინ ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ხუროთმოძღვრება მეთხუთმეტე საუკუნემდე კაცობრიობის მთავარი მატინე იყო. ამ ხნის მანძილზე მთელს დედამიწის ზურგზე არ გამოჩენილა გინდ ოდნავად რთული აზრიც კი, რომელიც შენობით არ გამოხატულიყოს. ყოველ ხალხურ იდეას, ისე როგორც ყოველ რელიგიურ კანონს თავისი ძეგლი გააჩნდა. ბოლოს, ადამიანთა მოდგმას არა ჰქონია რა ისეთი მნიშვნელოვანი საფიქრალი, რაც ქვაზე არ აღებუქდოს. და რატომ? იმიტომ რომ ყოველი აზრი, იქნება იგი რელიგიური თუ ფილოსოფიური, მარადისობას ესწრაფვის, ესე იგი იდეას ერთი თაობა აუზომძრავებია და სხვა თაობათა აღლევებაც სწადია, კვალის დატოვება მოუნდომებია. მაგრამ რაოდენ არასანდოა ხელნაწერს მინდობილი უკვდავება! სულ სხვაა შენობა, სულ სხვა მკვიდრი, ხანგრძლივი, ამტანი და გამძლე წიგნია იგი! იმისათვის, რომ შემუსრო დაწერილი სიტყვა, საკმარისია ჩირაღდანი ან თურქი. იმისათვის რომ დაანგრიო ქვაზე ამოკვეთილ-ამოქანდაკებული სიტყვა, საჭიროა სოციალური რევოლუცია, დედამიწის გადატრიალება. ბარბაროსთა ურდოებმა გადაუარეს კოლიზეუმს, შესაძლოა, წარღვენამაც უწია პირამიდებს.

მეთხუთმეტე საუკუნეში ყველაფერი შეიცვალა.

ადამიანის აზრი აღმოაჩინეს თავისი გამარადისების არა მარტო უფრო ხანგრძლივ და უფრო გამძლე საშუალებას, ვიდრე ხუროთმოძღვრებაა, არამედ კიდევ უფრო მარტივსა და ადვილს. ხუროთმოძღვრება ტახტიდან ჩამოაგდეს: ორფეოსის, ქვის ასოები შეცვალა გუტენბერგის ტყეიის ასოებმა.

წიგნი მოკლავს შენობას.

წიგნის ბეჭდვის გამოგონება უდიდესი ისტორიული მოვლენაა. იგი რევოლუციითა მშობელი დედაა. იგი კაცობრიობის აზრის გამოსახვის სრულიად ახალი წესია. ადამიანის აზრი განიძარცვავს ძველ ფორმას და ახალი ფორმით აღიჭურვება. სრულიად და საბოლოოდ იცვალა კანი იმ სიმბოლიურმა გველმა, რომელიც ადამის ღრვიდან გონებას გამოსახავდა.

ნაპქელი სიტყვის სახით აზრი უფრო მარადი გახდა. ეიდრე ოდესმე: იგი აქროლებადია. ფრთიანი, მოუხელთებელი. ურღვევი, მოუწყველელი. ის ჰაერს უერთდება. ხუროთმოძღვრების დროს აზრი ქვის ბუმბერაზ მთასავით დაეყუდებოდა და ძალუმად ეუფლებოდა ამა თუ იმ საუკუნესა და ამ თუ იმ ადგილს. ახლა იგი ფრინველთა გუნდად იქცა, იბნევა ოთხივე მხარეს და უეცრივ იპყრობს ყველა წერტილს ჰაერსა და სივრცეში.

ვიმეორებთ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ სახით აზრი კიდევ უფრო წარუხოციელი ხდება. მკვიდრი იყო და სიცოცხლის-უნარიანიც გახდა. მისი ხანგრძლიობა უკვდავებაში გადავიდა. ყოველგვარი მასის განადგურება შეიძლება, მაგრამ როგორ უნდა აღმოფხვრა ის, რაც ყველგან არსებულია? მოვა წარღვნა, მთები დიდ ხანს იქნება გამჭრალი ზვირთებს ქვეშ, ფრინველები კი მაინც იფრენენ: და ერთადერთი კიდობანიც რომ გადაჩნეს, რომელიც ამ სტიქიური უბედურების ზედაპირზე იტივტივებს, ეს ჩიტები მასზე დაეშვებიან, მასთან ერთად განსაცდელს გადაურჩებიან, მასთან ერთად შეესწრებიან წყლის კლებას, და ახალი ქვეყანა, რომელიც ამ ქაოსიდან ამოვა, გაღვიძებული იხილავს, როგორ ლივლივებს ცაში მის თავს ზევით წარღვნილი ქვეყნის ფრთიანი და ცოცხალი აზრი.

და როცა უკვირდები, ხედავ, რომ აზრის გამოხატვის ეს წესი არა მარტო ყველაზე გამძლე და საიმედოა, არამედ ყველაზე მარტივიც, მარჯვე და ხელსაყრელიც არის, ყველასთვის უფრო ხელმისაწვდომი; როდესაც ფიქრობ, რომ მას არ სჭირდება დიდი ბარგის თრევა და ტლანჭი მოწყობილობის გადატან-გადმოტანა; როდესაც ადარებ აზრს, რომელიც შენობაში თავის გამოსახატავად იძულებული იყო აემოძრაებინა ოთხი თუ ხუთი სხვა ხელოვნება, ოქრო ტონობით, ქვის მთები, ხარაჩოების მთელი ტყე, მუშების მთელი ჯარი, როდესაც ადარებ ამ აზრს იმ აზრთან, რომელიც წიგნით გამოიხატება და სჯერდება სულ მცირე ქალაქს, სულ ცოტა მელანსა და კალამს, რაღა გასაკვირია, თუ ადამიანის გონებამ ხუროთმოძღვრებას წიგნის ბეჭდვა არჩია? აბა უცბად გადასქერით მდინარის თავდაპირველი კალაპოტი მის დონეზე უფრო დაბლა გათხრილი არხით, მდინარე მიატოვებს თავის კალაპოტს.

იმასაც ხედავთ, როგორ იფიტება თანდათან ბეჭდვის გამოგონების დღიდან ხუროთმოძღვრება, როგორ დუნდება, ჭკნება და ტიტვდება. გრძნობთ, რომ კალაპოტში წყალი კლებულობს, სასიცოცხლო ძალები იღვევა, ეპოქებისა და ხალხების აზრი გაურბის მას! ეს გულგრილობა თუ გაციება ხუროთმოძღვრების მიმართ მეთხუთმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობა, რადგან

ბექდური სიტყვა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია და დიდი-დიდი, რის შემძლებელიც იგია, ეს ის არის, რომ როგორმე მეტი სასიცოცხლო ძალა დასცინცლოს სისხლმომჭარბებულ ბარაქიან ხუროთმოძღვრებას. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან ხუროთმოძღვრების ავადმყოფობა უკვე ცხადია, იგი აღარ არის საზოგადოების უმთავრეს იდეათა გამომხატველი. იგი საბრალოდ ეგუება კლასიკურ ხელოვნებას; გალური, ევროპული, ადგილობრივი და თვითმყოფი—ბერძნული და რომაული ხდება, ხოლო ჰემმარიტი და თანამედროვე — ფსევდო-ანტიკური. სწორედ ამ დაცემა-დაქვეითებას აღორძინებას უწოდებენ, დეკადანსს რენესანსად ნათლავენ. თუმცა ეს დაცემა ბრწყინვალე იყო, რადგან ძველი გოტური გენია მაინცის გიგანტური საბექდი დაზგის მიღმა ჩასვენებული მზეა, რომელიც ჯერ კიდევ ერთხანს ანათებს თავისი უკანასკნელი სხივებით მთელ ამ ლათინური კამარებისა და კორინთული სვეტების მწკრივთა შეჯვარებულ და დაზვიანებულ გროვას.

და აი ამ ჩამავალ მზეს ჩვენ ალიონად მივიჩნევთ.

მაგრამ იმ წუთიდან, რაც ხუროთმოძღვრება ისეთივე გახდა, როგორც სხვა ხელოვნებანი, მათ გაუთანაბრდა და აღარ წარმოადგენდა ყველაფრის მომცველ, უმაღლეს, მბრძანებელ და მტარვალ ხელოვნებას, მას აღარ ძალუძს შეაჯავოს სხვა ხელოვნებათა ძლიერი წინსწრაფვა. ისინი თავისუფლდებიან კიდევ, ხუროთმოძღვრის უღელს ამსხვრევენ და ყველა თავ-თავის მხარეს მიაშურებს. თვითეული მათგანი ამ განდგომით მოიგებს. განცალკევებულად ყველამ იმატა, ყველა გაიზარდა. ძერწვა ქანდაკებად იქცა, მოხატვა—ფერწერად, ლიტურგიული ლოცვა—მუსიკად. იგი ალექსანდრეს იმპერია-სავით მისი სიკვდილის შემდეგ დანაწევრდა და თვითეული პროვინცია ცალკე სამეფოდ იქცა.

აი რამ წარმოშვა რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ეან გუეონი, პალესტრინა¹, — ეს ბრწყინვალე მნათობები თვალისმომჭრელი მეთექვსმეტე საუკუნისა.

ამავე დროს ხელოვნებასთან ერთად ყოველმხრივ თავისუფლდება ადამიანის აზრიც. შუა საუკუნეების ჰერესიარქებმა (რელიგიური ერესის, მწვალებლური სექტების დამაარსებლებმა) დიდი ჰრილობა მიაყენეს კათოლიციზმს. მეთექვსმეტე საუკუნემ რელიგიის ერთიანობა დაამსხვრია. წიგნის ბექდვამდე რეფორმაცია მხოლოდ განხეთქილება იყო, ბექდვამ იგი რევოლუციად აქცია. მოაცილეთ საბექდი დაზგა და ერესი (მწვალებლობა) მოდუნდება, დაუძლურდება. ბედისწერისა თუ განგების გამო გუტენბერგი ლუთერის წინამორბედია.

მაგრამ როდესაც შუა საუკუნეების მზე სრულიად ჩაესვენა და გოტიკის გენია სამუდამოდ გაქრა ხელოვნების ტატნობზე, ხუროთმოძღვრებაც სულ უფრო და უფრო გამჭრქალდა. გახუნდა, დაქცნა, წაიშალა. დაბეჭდილი წიგნი, ეს შენობის მღრღნელი კია, სწოვს და შთანთქავს მას. იგი ხესავით ტიტვლდება, ფოთლები სცივია, ზეზეურად ქცნება და მქლევდება ჩვენს თვალწინ. იგი მწირია, საბრალოა, არარაობაა. ის აღარაფერს გამოხატავს, თვით მოგონებასაც კი სულ სხვა დროთა ხელოვნებაზე. საკუთარ თავსა და ძალას მინდობილი, სხვა ხელოვნებათაგან მიგდებული, რამეთუ იგი თვით აღამიანის აზრმაც მიატოვია, შვე მუშებსა და ხელოსნებს მოუხმობს საშველად ხელოვანთა ნაკლებობისა გამო. საჩქმლის ფერადი მინა უბრალო შუშამ შეცვალა. მოქანდაკის შემდეგ მოვიდა ქვისმთლელი. მშვიდობით სასიცოცხლო ძალავ, თავისებურებავ, ცხოველმყოფელობავ, ქუთა-გონებავ! იგი მათხოვარივით საცოდავად მიათარევს თავის სიცოცხლეს სახელოსნოებში და პირთა გადაღებას სჯერდება. მიქელ-ანჯელომ მეთექვსმეტე საუკუნეში უეჭველად იგრძნო მისი სიკვდილი, ამიტომ შეიპყრო ის უკანასკნელმა იდეამ, სასოწარკვეთილების იდეამ. ხელოვნების ამ ბუმბერაზმა პართენონზე პანთეონი აღმართა და წმინდა პეტრეს ტაძარი შექმნა რომში. იგი ხელოვნების უდიდესი ქმნილებაა, რომელიც ღირსია დარჩეს ერთადერთი და განუმეორებელი, ხუროთმოძღვრების უკანასკნელი თვითმყოფი ნიმუში, დევგმირი ხელოვანის უკანასკნელი ხელწერა ქვის გოლიათურ ნუსხაზე, რომელიც საბოლოოდ დაიხურა. მიქელ-ანჯელო მკვდარია. რას აკეთებს ეს უბადრუკი ხუროთმოძღვრება, რომელიც საკუთარ სიკვდილს მოესწრო, ვითარცა მოჩვენება, ანუ აჩრდილი? მან ხელი მიპყო წმინდა პეტრეს ტაძარს რომში და იქიდან პირს იღებს, სასაცილოდ ბაძავს. იგი უცნაურ გატაცებად იქცა. ეს უბადრუკობაა, საცოდაობაა. ყოველ საუკუნეს თავისი წმინდა პეტრეს ტაძარი აქვს, ისეთი როგორიც რომშია; მეჩვიდმეტე საუკუნეში—ვალ-დე-გრას-ის საყდარი. მეთვრამეტე საუკუნეში — წმინდა ენევიევის ეკლესია. ყველა ქვეყანას აქვს თავისი წმინდა პეტრეს რომაული ტაძარი: ლონდონს თავისი აქვს, პეტერბურგს—თავისი. პარიზს ორი თუ სამი აქვს. მაგრამ ყოველივე ეს უმნიშვნელო, ძალდაკარგული ანდერძია, სიკვდილის წინ ბალღურ უძღურებაში ჩავარდნილი მიხრწნილი დიადი ხელოვნების უკანასკნელი როტვა.

თუ ცალკეული დამახასიათებელი ძეგლების მაგიერ, რომლებზეც ჩვენ ეს-ეს იყო ვლაპარაკობდით, გამოვიკვლევთ ამ ხელოვნების საერთო სახეს მეთექვსმეტე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნემდე, მაშინ შევაძინებთ კლებისა და გამოფიტვის იმავე ნიშნებს. ფრანსუა

II-დან მოყოლებული შენობის ხუროთმოძღვრული ფორმა სულ უფრო და უფრო იშლება, ქრება და წინ წამოეჩრება გეომეტრიული ფორმა, როგორც ავადმყოფის დამკვლევებულ სხეულზე ჩონჩხის ძვლები. ხელოვნების ლამაზი სახეები ადგილს უთმობენ გეომეტრიის ცივსა და უღმობელ ხაზებს. შენობა შენობას აღარ ჰგავს; იგი უფრო მრავალწახნაგა სხეულია. ამავე დროს ხუროთმოძღვრება ამოღწვალბს დაფაროს ეს სიტიტველე. აგერ ბერძნული ფრონტონი რომაულში ჩართული და პირიქით. ეგ ისევ და ისევ პანთეონია პართენონში, იგივე წმინდა პეტრეს ტაძარი რომში. აი ჰენრი IV-ის აგურის სახლი, კუთხეებში ქვადატანებული; სამეფო მოედანი, ტანტის მემკვიდრის ფორი. აგერ ლუი XIII-ის ეკლესიები, მძიმე, ჯგუხი, დაბალთალიანი, ჩასხმული, კუზივით რომ ადგას გუმბათი. აი მანარინის დროინდელი ხუროთმოძღვრება, ოთხი ერის კოლეჯი¹, იტალიელთა უხვირო და ყალბი მიბაძვა. აგერ ლუი XIV სასახლეები, გრძელი, სუსხიანი, ზხეში, ცივი, მოსაწყენი ყაზარბები კარისკაცთათვის. აი, ბოლოს, ლუი XV-ის ხანა თავისი ვარდაკაქვებით, კიახვეულებით, მთელი თავიანთი მექვეებითა და სოკოსებური კორძებით, რომლებიც ამახინჯებენ ამ ძველ ხუროთმოძღვრებას, მიხრწილს, უკბილოს, კოჭია მოკეკლუცეს. ფრანსუა II-დან ლუი XV-მდე სწეულება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ხელოვნებისაგან ძვალი და ტყავიღა დარჩა. იგი საცოდავად დაფავს სულს.²

რა დაემართა ამასობაში წიგნის ბეჭდვის საქმეს? მთელი სასი-ცოცხლო ძალა, რაც ხუროთმოძღვრებას ამოუშრა, მას მიემატა. რამდენადაც ხუროთმოძღვრება იკლებს, წიგნის ბეჭდვა იმატებს, იბერება და იზრდება. ძალთა ის მარაგი, რასაც კაცობრიობის აზრი შენობების აგებაზე ხარჯავდა, ამიერიდან წიგნებზე იხარჯება. ასე, მეთექვსმეტე საუკუნიდან ბეჭდვა, რომელიც დაუძღვრებული ხუროთმოძღვრების დონეს უსწორდება, შეებრძოლება მას³ და მოპკლავს. მეჩვიდმეტე საუკუნეში ის უკვე საკმაოდ თვითმპყრობელია, საკმაოდ მოზეიმე, საკმაოდ გამარჯვებადამკვიდრებული, რომ ქვეყანას დიადი ლიტერატურული საუკუნის დღესასწაული გადაუხადოს. მეთვრამეტეში, ლუი XIV-ის კარზე დიდი ხნის მოსვენების შემდეგ, ხელახლა მისწვდება ლუთერის ძველ ხმალს, შეაიარაღებს მით ვოლტერს⁴ და ყიფინით შეუტევს იმ ძველ ევროპას, რომლის ხუროთმოძღვრული ფორმის გამოხატულება მან უკვე მოკლა. იმ მომენტისათვის, მეთვრამეტე საუკუნე რომ მიიწურა, ბეჭდვამ შემუსრა ყველაფერი. მეცხრამეტე საუკუნეში იგი ყველაფრის გარდაქმნას, ხელახლა აგებას შეუდგა.

მაშ, ახლა ვიკითხოთ, ამ ორი ხელოვნებიდან ეს სამი საუკუნეა

რომელი მათგანი არის კაცობრიობის აზრის ნამდვილი წარმომადგენელი? რომელი მათგანი გადმოსცემს მას? რომელი გამოხატავს მის არა მარტო ლიტერატურულ და სქოლასტიკურ გატაცებებს, არამედ მთელ მის ფართო, ღრმა და საყოველთაო მოძრაობას? რომელი მისდევს ფესდაფეს წინმ-მავალ კაცთა მოდგმას, ამ ათასფეხება ურჩხულს მუდმივად. შეუწყვეტლად, უხარვეზოდ? ხუროთმოძღვრება თუ წიგნ-ს ბეჭდვა?

წიგნის ბეჭდვა.

თავი არ უნდა მოვიტყუოთ: ხუროთმოძღვრება მოკვდა, მოკვდა და აღარ დაბრუნდება. იგი დაბეჭდილმა წიგნმა მოკლა, მოკლა, რადგან ნაკლებ მკვიდრია, მოკლა იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ჯდება. ყოველი კათედრალი მილიარდი ღირს. ახლა წარმოიდგინეთ, რა დიდი ხარჯები დასჭირდება, ხუროთმოძღვრების ეს წიგნი რომ ხელახლა დაეწეროთ, ხელახლა რომ აღიმართოს დედამიწაზე ათასობით შენობები, რომ დაბრუნდეს ის ეპოქა, როცა ძეგლების რაოდენობა იმდენი იქნებოდა, თვალთ მნახველს ეთქვა, „იტყოდით, ქვეყანა შეირხა, თავისი ძველი ტანსაცმელი გადაყარა, რათა ეკლესიების თეთრი სამოსელით დაფარულიყო“. *Erat enim ut si mundus, ipse excutiendo semet, rejecta vetustate, candidam ecclesiarum vestem indueret*“ (Glaber Radulphus).

წიგნი კი ასე სწრაფად იქმნება, ასე იაფი ღირს და ასე ადვილად. ასე შორს შეუძლია წავიდეს, გავრცელდეს! იმიტომ რა გასაკვირია, თუ ადამიანის ყოველი აზრი მისკენ ისწრაფვის? ეს რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ხუროთმოძღვრება ხან აქ, ხან იქ, აღარ შექმნის მშვენიერ ძეგლებს, ხელოვნების ობოლ მარგალიტებს. დროდადრო, თვით წიგნის ბეჭდვის ბატონობის ხანაშიც, რასაკვირველია, შეიძლება გადამდნარი ზარბაზნებისაგან მთელი არმიის გამოყენებით აღმართონ სვეტები, ისე როგორც ხუროთმოძღვრების მბრძანებლობის დროს მთელი ხალხი რაფსოდების¹ შეგროვებითა და შედუღებით ჰქმნიდა ილიადებს, რომანსეროებს, მაჰაბჰარატებს, ნიბელუნგებს². დიად შემთხვევას მეოცე საუკუნეშიც შეუძლია მოულოდნელად წარმოშვას გენიალური ხუროთმოძღვარი, ისე როგორც მეცამეტე საუკუნეში — დანტე³. მაგრამ ხუროთმოძღვრება ვეღარ იქნება საზოგადოებრივი, ერთობლივი, გაბატონებული ხელოვნება. დიადი პოემა, დიადი შენობა, კაცობრიობის დიადი ქმნილება აღარ აიგება, იგი დაიბეჭდება.

ამიერიდან, თუნდაც ხუროთმოძღვრება შემთხვევით აღსდგეს, იგი ვეღარასოდეს ვერ გახდება ბატონ-პატრონი. იგი დაემორჩილება ლიტერატურის კანონებს, რომელთაც ოდესღაც თვითონ უდგენდა

მას. ამ ორი ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა. უდავოა, რომ ხუროთმოძღვრების ეპოქაში პოემები მართალია იშვიათია, მაგრამ ისინი მის ძეგლებს ჰგვანან. ინდოეთში ვიახა¹ — რთული და დახლართულია, უცნაური, განუჭვრეტელი როგორც პაგოდი². ეგვიპტურ აღმოსავლეთში პოეზიას, ისე როგორც შენობებს, ხაზთა სიდიადე და სიწყნარე ახასიათებს; ანტიკურ საბერძნეთში — მშვენიერება, სიცხადე, სიმშვიდე; ქრისტიანულ ევროპაში — კათოლიკური სიდიადე, ხალხის გულუბრყვილობა, განახლების ეპოქის მდიდარი და ბარაქიანი გაფურჩქვნა. ბიბლია ჰგავს პირამიდებს, ილიადა — პართენონს³, ჰომეროსი — ფილიასს⁴. დანტე მეტაფიზიკურ საუკუნეში უკანასკნელი რომანული ეკლესიაა, შექსპირი⁵ მეთექვსმეტე საუკუნეში — უკანასკნელი გოტიკური კათედრალი.

ამგვარად, მოკლედ რომ შევაჯამოთ ის, რაც აქამდე აუცილებლობის გამო არასრულად და შეკვეცილად ვთქვით, უნდა ვაღიაროთ, რომ კაცთა მოდგმას ორი წიგნი, ორი ნუსხა, ორი ანდერძი, ორი აღთქმა გააჩნია — ქვითხუროთმოძღვრება და წიგნის ბექვდა, ბიბლია ქვისა და ბიბლია ქაღალდისა. უეჭველია, როდესაც უჭრეტ საუკუნეებში ფართოდ გაშლილ ამ ორ ბიბლიას, უნებურად დაგვანება გრანიტის დამწერლობის აშკარა სიდიადე, ეს გიგანტური ანბანი, სვეტების მწკრივის, კარიბჭეების, ობელისკების სახით გამოხატული, ადამიანის ხელით აღმართული მთების მაგვარნი, მთელი დედამიწის ზურგი რომ დაუფარავთ და წარსული შემოუნახავთ, პირამიდიდან სამრეკლომდე, ხეოპსიდან სტრასბურგამდე⁶. წარსული ამ მარმარილოს ფურცლებზე უნდა გადაიკითხო. შეუწყვეტილად უნდა ფურცლო ისევ და ისევ ხუროთმოძღვრების მიერ დაწერილი ეს წიგნი და თაყვანი სცე მას, მაგრამ არ უნდა უარყო თავის მხრივ წიგნის ბექვდის მიერ აღმართული შენობის სიდიადე.

ეს შენობა უზარმაზარია. ვიღაც სტატისტიკოსს გამოუთვლია, თუ გუტენბერგის დროიდან გამოსულ ყველა ტომს ერთმანეთზე დაეაწყობთ, დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილს გააყვებნო. მაგრამ ჩვენ არ გვსურს ამგვარ სიდიდეებზე ლაპარაკი და მინც, როდესაც ვცდილობთ თავი მოვუყაროთ ჩვენს აზრებს მთლიანი სურათის შესადგენად, თუ სულ ერთად რა ნაწარმი მოუცია წიგნის ბექვდას დღემდე. განა ჩვენს წინაშე მთელი მისი შემოქმედება არ წარმოგვება როგორც უსაზღვრო ნაგებობა, რომელზეც შეუსვენებელი მუშაობს კაცობრიობა და რომელიც თავისი საფუძვლით დამყარებულია მთელ დედამიწას, ხოლო თავისი საზარელი მწვერვლით მომავლის ღრმა ნისლში იკარგება? იგი ჰკუთვნებათა ბუდეა ქინკველებისა. იგი სკაა, სადაც წარმოსახვითი ოქროს ფურტკები

თაფლს მიეზიდებიან. ეს შენობა ათასსართულიანია. ხან აქ, ხან იქ დანახავთ. როგორ მოჩანან მათს მოაჯირებზე მეცნიერების ბნელი მღვიმენი, რომლებიც ერთმანეთს გადაჰკვეთენ მათს წიაღში. ყველგან შენობის ზედაპირზე ხელოვნება უხვად გადაგვიშლის თვალწინ თავის არაბესებებს, მრგვალ სარკმელებს, მაქმანებს. აქ თვითულ ნაწარმოებს, ცალკე აღებულს, რაც უნდა ახირებული და განმარტოებული გვეჩვენებოდეს, თავისი ადგილი და თავისი შვერილი აქვს. ყველგან და ყველადღერში ჰარმონია გამოსკვივის. შექსპირის კათედრალიდან ბაირონის¹ მეჩეთამდე ათასობით სამრეკლო დაზეინულა არეულ-დარეულად მსოფლიო აზრის ამ დედაქალაქში. შენობის საფუძველში აღდგენილია კაცობრიობის რამდენიმე ძველი საბუთი, რომელიც ხუროთმოძღვრებას არ აღუნუსხავს. შესაგვლის მარცხნივ დატანებულია თეთრი მარმარილოს ძველი, ანტიკური ბარელიეფი — ჰომეროსი; მარჯვნივ მრავალენოვანი ბიბლია, რომელსაც თავისი შვიდი თავი აღუმართავს. კიდევ უფრო მოშორებით აბურძგნულა რომანსეროს გველეშაპი, და ზოგიერთი სხვა შენაჯგარი ფორმები, ვედები და ნიბელუნგები. თუმცა, ეს საოცარი შენობა ჯერ მაინც დაუმთავრებელი რჩება. ბექდელითი სიტყვა, ეს გიგანტური მანქანა, რომელიც შეუსვენებლივ ამოტუმბავს საზოგადოების მთელ ინტელექტუალურ ძალას, შეუწყვეტლივ ამოაფრქვევს თავისი წიაღიდან ახალ საშენ მასალას თავისი შემოქმედებისათვის. კაცთა მოდგმა მთლად ხარაჩოებშია. თვითეული გონება კალატოზია. თვით ყველაზე თავმდაბალიც კი თავის ღრუს ავსებს ან თავის ქვას სდებს. რეტიფ დე ლა ბრეტონიც კი თავისი გუდაკალათით ბათქაშის ნამუსრევს მოათრევს. ყოველდღე ახალი ქვით ნაშენი აღიმართება. თვითეული მწერლის ორიგინალური და ინდივიდუალური წვლილის დამოუკიდებლად, არსებობს აგრეთვე კოლექტიური წილიც. მეთვრამეტე საუკუნემ მოგვცა ენციკლოპედია, რევოლუციამ მოგვცა მონიტორი². ბექდელითი სიტყვაც უთუოდ მზარდი და უსასრულო სპირალებით ზევით მიმავალი მშენებლობაა, მასშია ენათა ისეთივე აღრევა, შეუწყვეტელი საქმიანობა, დაუღალავი შრომა, მთელი კაცობრიობის გაშმაგებული შეჯიბრება; მასში გონების აღთქმული თავშესაფარია ახალი წარდგენის, ბარბაროსთა შემოსევის წინააღმდეგ. იგი კაცთა მოდგმის მეორე ბაბილონის გოდოლია.

ნ Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ

ქეეჩვე

I

მიუპარკოვებელი თვალის უფვლეზა კველ
მავისტრატურაზე



ალიან ბედნიერი პიროვნება გახლდათ კეთილშობილი რობერ დ'ესტუტეილი, რაინდი, სიორი დე ბეინი, ბარონი დ'იერი და სენტ-ანდრი ლა-მარშელი, მეფის მრჩეველი და დარბაზბატონი, იგივე პარიზის მართლმსაჯულების თანამღებობის პირთა უწყების უფროსი, 1482 წელს ქრისტეს დაბადებიდან. უკვე ჩვიდმეტი წელია, რაც მან 1465 წლის 7 ნოემბერს, კომეტის* გამოჩენის წელიწადს, მეფისაგან მიიღო პა-

* ეს სწორედ ის კომეტაა, რომლის გამოჩენას დროს პაპა კალიქსტმა, ბორჯიას ბიძამ ბრძანა საჯარო ლოცვანი აღესრულებინათ, და რომელიც ხელახლა გამოჩნდა 1835 წელს (ავტ. შენიშ.).

როზის პრეოს ეს მშვენიერი თანამდებობა. რომელიც სამემკვიდრო საბატონოდ უფრო ითვლებოდა, ვიდრე თანამდებობად. იოან ლემნეი ამბობს: *dignitas, quae cum non exigua potestate politiam concernente, atque praerogativis multis et iuribus conjuncta est**. საკვირველი რამ კი იყო 1482 წელს მეფის სამსახურში კეთილშობილი აზნაური, რომლის თანამდებობაზე დანიშვნის სიგელები ეკუთვნის ბურბონელ ბუშთან ლუი XI-ის უკანონო ასულის ქორწინების ეპოქას. იმავე დღეს, როცა რობერ დ'ესტუტვილმა ჟაკ დე ვილიეს ადგილი დაიკირა პარიზის მართლმსაჯულების უწყებაში, მეტრ ჟეან დოვემ შეცვალა მესირ ელი დე ტორეტა სასამართლო პალატის პირველი თავმჯდომარის თანამდებობაზე, ჟეან ჟუვენელ დეზ ურსენმა საფრანგეთის სასამართლო უწყების უმაღლესი თანამდებობიდან გააძევა პიერ დე მორვილიე. რენო დე დორმანმა იმედი გაუტრუა პიერ პიუის, რომელიც მეფის სასამართლოს მუდმივი მომხსენებლის თანამდებობაზე ოცნებობდა, მაგრამ მან თვითონ დაიკავა. აი რამდენი ადამიანი გამოიკვალა თავმჯდომარის, უზენაესი მოსამართლისა და მომხსენებლის თანამდებობაზე მას შემდეგ, რაც პარიზის მართლმსაჯულების უწყება ებარა რობერ დ'ესტუტვილს. ეს თანამდებობა მას „ებოძა დასაცავად“, ასე ამბობდა მეფის სიგელი; და მართლაც, მტკიცედ იცავდა მას. ჩააფრინდა, ჩაეკიდა, შეესისხლხორცა და იმდენად გაუთანაგვარდა მას, რომ თავიდან აიცილა ადამიანთა ის გაშმაგებული ცვლა, რომლითაც შეპყრობილი იყო ლუი XI, ეს უნდო, შარიანი და მოქმედი მეფე, რომელიც ხშირი დანიშვნებითა და დათხოვნებით ცდილობდა თავისი ხელისუფლების მოქნილობა შეენარჩუნებინა. ეგ კიდევ არაფერია. უფრო მეტიც, ყოჩაღმა რაინდმა იმას მიაღწია, რომ თავის შემდეგ მის ძეს დაეჭირა ეს თანამდებობა და აი უკვე ორი წელიწადია, რაც კეთილშობილი აზნაურის, საქურველთმტვირთველი რაინდის ჟაკ დ'ესტუტვილის სახელი ამშვენებდა მამის ტიტულს პარიზ ქალაქის მართლმსაჯულების მუდმივ წევრთა სიის თავში. იშვიათი და უმაღლესი წყალობაა! მართალია, რობერ დ'ესტუტვილი მამაცი მებრძოლი იყო, მან გულდაგულ აღმართა რაინდთა დროშა „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგის“ წინააღმდეგ და დედოფალს მისი პარიზში მისვლის დღეს 14... წელს მიართვა ფრიად საკვირველი შაქარიჩემი. გარდა ამისა, ძალიან კარგი მეგობრობა ჰქონდა მესირ ტრისტან განდევილთან¹, მეფის სასამართლოს თავმჯდომარესთან.

* წოდება, რომელიც დაკავშირებული იყო არა მარტო სახელმწიფო ძალაუფლებასთან, არამედ მრავალ უპირატესობასთან და უფლებასთანაც (ლათ.).

ამრიგად, ძალიან ტკბილად და სიამოვნებით ცხოვრობდა ბატონი რობერი. ჯერ ერთი, ძალიან კარგ ჯამაგირს იღებდა, რასაც ზედ ერთვოდა და ემატებოდა, როგორც ყურძნის მძიმე მტევნები მის ვენახში, მთელი მართლმსაჯულების საუწყებოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამდივნოს შემოსავალი, კიდევ შატლეს ქვემო დარბაზებში განხილული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებიდან შემოსავალი, ანგარიშში არ ჩავდივართ მანტისა და კორბეილის ხიდების მცირე საგზაო ბაეებს, ყურძნის მკრეფთა, შემის მიმზომთა და მარილის ამწონთა გადასახადებსა და სარგებელს. ამას ზედ დაუმატეთ სიამოვნება ქალაქში ცხენით სეირნობის დროს, თავმომწონედ რომ გამოიქიმებოდა ხოლმე თემის მამასახლისებისა და უბნის ზედამხედველების ნახევრად წითელი და ნახევრად შუქი მჩხაკისფერი წამოსასხამების ფონზე თავისი ლამაზი სამხედრო ტანსამოსით, რომლის ნახვით დღესაც შეგიძლიათ დასტკბეთ ნორმანდიის ვალმონტის სააბატოში, სადაც აკლდამაზება გამოქანდაკებული; მუზარადი მონღერის ბრძოლაში მთლად გამრუდებია. მერმე, განა არაფერს ნიშნავდა ის, რომ მის სრულ გამგებლობას ემორჩილებოდნენ ქალაქის მცველთა ათისთავები, შატლეს კარისმცველნი და გუშაგნი, შატლეს სასამართლოს ორი წევრი, ციხის მსაჯულები, თექვსმეტი უბნის თექვსმეტი კომისარი, შატლეს სატუსაღოს ზემდეგი, ოთხი სალენო ათისთავი, ასოცი ცხენოსანი სერჟანტი, ასოც კვერთხოსანი ათისთავი, ღამის მზირთა უფროსი თავისი გუშაგებითა და ხელქვეითებით? განა არაფერს ნიშნავდა ის, რომ იგი გააჩენდა სამართალს, სწყვეტდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დიდსა და პატარა საქმეებს, ჰქონდა მიყვანის, დატრიალების, სამარცხენო ბოძზე გაკერისა და ჩამოხრჩობის უფლება, არ ვანგარიშობთ მცირე საქმეების განხილვის უფლებას პირველ ინსტანციაში (in prima instanlia, როგორც ამბობენ სიგელ-გუჯრები), პარიზის ამ სავიკონტოში, რომელსაც ესოდენი ბრწყინვალეებით ებოძა კეთილშობილთა შეიდი სასამართლო ოლქი? შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო სასიამოვნო რამ, როგორიც არის სამართლისა და განჩინების ქმნა, რასაც ყოველდღე ასრულებდა მესირ რობერ დ'ესტურტილი გრან-შატლესში ფილიპ-ავგუსტის ეპოქის განიერ და დაბალ თალებს ქვეშე და მერე, რად ღირდა, ჩვეულებისამებრ ყოველ საღამო შინ რომ ბრუნდებოდა გალილეის ქუჩაზე სამეფო სასახლის გალავანში მდებარე თავის წარმტაც სახლში, რომელიც მან ცოლისაგან, ქალბატონ ამბრუაზ დე ლორისაგან მზითვეში მიიღო, და იქ ისვენებდა შრომისაგან მოღლილ-მოქანცული, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ რომელიმე საწყალ, ბედშავ ადამიანს ღამის გა-

სათევად გზავნიდა „ტყავსახდელის ქუჩაზე პატარა ქოხში, რომელსაც პარიზ-ს მოსამართლეები და ქალაქისთავეები საპყრობილედ იყენებდნენ; იგი სიგრძით თერთმეტი ტერფი იყო, სიგანით შვიდი ტერფი ოთხი გოჯი, და სიმაღლით თერთმეტი ტერფი!“^{*}

მესირ რობერ დ'ესტუტვილს მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული უფლებამოსილება ჰქონდა არა მარტო როგორც პრევეოს და პარიზელ ვიკონტს, მას წილი ედო აგრეთვე, თვალი ექპირა და კბილს ასობდა მეფის დიდ სასამართლოსაც. არ იყო არც ერთი ისეთი მაღალბი პიროვნება, სანამ ჯალათთან მოხვდებოდა, მის ხელში არ გაეარა. სწორედ ის გაემგზავრა სენტ-ანტუანს ბასტილიაში, რათა მოეყვანა პარიზის დიდი ბაზრის მოედანზე ჰერცოგი ნემური და გრევის მოედანზე ბატონი დე სენ-პოლი, რომელიც ჯიუტობდა, უძალიანდებოდა და ყვიროდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა, რითაც დიდ სიხარულს განაცდევინებდა ბატონ პრევეოს, რადგან ბატონი კონეტაბლი ათვალწუნებული ჰყავდა.

ოღონდაც, მეტი რაღა იყო საჭირო იმისათვის, რომ ადამიანის ცხოვრება ბედნიერი და ბრწყინვალე ყოფილიყო და ერთ დღეს დაემსახურებინა სახელოვანი ფურცელი პარიზის პრევეოების საინტერესო ისტორიაში, საიდანაც ვიგებთ, რომ უდარდ დე ვილნევეს ჰქონდა სახლი ყასბების ქუჩაზე, გილიომ დე ანგასტმა იყიდა დიდი და პატარა საფოია, გილიომ ტიბუმ წმინდა ენევიევის მონაზონებს უბოძა თავისი სახლები კლოპენის ქუჩაზე, ჰუგო ობრიო ბინადრობდა „მაჩუზარბის“ სასტუმროში, და სხვა შინაური ამბები.

თუმცა მესირ რობერ დ'ესტუტვილს ამდენი საბუთი ჰქონდა ცხოვრებისათვის მოთმინებითა და სიხარულით ეცქირა, 1482 წლის 7 იანვარს აღრენილ და აუტანელ გუნებაზე გაიღვიძა. საიდან წარმოდგებოდა ასეთი გუნება, თვითონაც ვერ გეტყვოდათ. იქნებ იმიტომ, რომ ცა მოღრუბლული იყო? ან იქნებ იმიტომ რომ მონღერის დროინდელი მისი ძველი სამხარბილივე ყაწიმის ბალთა ცუდად იყო შეკრული და სამხედრო წესზე მაგრად უქერდა პრევეოს მსუქან სხეულს? ან იქნებ იმიტომაც, რომ თავისი ფანჯრის წინ დინახა ქუჩაში ჩავლილი ურცხვი უქმად მოყიადენი, რომელთაც იგი არად ჩააგდეს? ისინი ოთხ გუნდად მიდიოდნენ, უპერანგო ქურთუკები ეცვათ, გახვრეტილი ქულები ეხურათ, ხურჯინები და მათარები ეკიდათ გვერდზე. ანდა იქნებ წინასწარ გრძნობდა ბუნდად, რომ მომავალი მეფე შარლ VIII მომავალ წელიწადს პრევეოს შემოსავალს სამასსამოცდაათი ლივრით, თექვსმეტი სუთი და რვა დინარით შეამ-

^{*} სახელმწიფო საკუთრებისა და მამულების სამმართველოს ანგარიშები, 1383 წ. (ავტ. შენიშვ.).

ცირებდა? მკითხველს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს; თუ გვკითხავთ, ჩვენ იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ იგი ცუდ გუნებაზე იყო სრულიად უბრალოდ, იმიტომ, რომ ცუდ გუნებაზე იყო.

თუმცა დღესასწაულის მეორე დღე ყველასთვის უსიამოვნო, მოწყენილი იყო, მეტადრე ისეთი თანამდებობის პირისათვის, ვისაც ევალებოდა, პარიზში ზემის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი ნაგვისა და ქუჭყის დაგვა-დასუფთაება, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი აზრით. გარდა ამისა, მას გრან-შატლესში სხდომა მოელოდა, ჩვენ კი შევნიშნეთ, რომ საერთოდ მოსამართლენი თავიანთ ავგუნებობას შეუფარდებენ სასამართლოს სხდომის დღეს, რათა მუდამ ხელთ ჰყავდეთ ვიღაც, ვისაც მარჯვედ თავს დაატყდებიან, ვისზეც ჯავრს ამოიყრიან მეფის, კანონისა და მართლმსაჯულების სახელით.

მაგრამ სასამართლოს სხდომა უმისოდ დაიწყო. ჩვეულების თანახმად მის საკეთებელს აკეთებდნენ მისი მოადგილეები სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და კერძო საქმეების დარგში. დილის რვა საათიდან რამდენიმე ათეული მოქალაქე, ქალი თუ კაცი, შატლეს სხდომათა ქვემო დარბაზის ბნელ კუთხეში, მუხის მაგარ ზღუდესა და კედელს შორის შეგროვილიყვნენ და შექუჭკულნი ნეტარებით თვალყურს ადევნებდნენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სხვადასხვანაირ და მზიარულ სანახაობას. სამართალს სჯიდა, ცოტა არ იყოს არეულ-დარეულად და ალაღებდზე, მეტრ ფლორიან ბარბედიენი, შატლეს უმცროსი მოსამართლე და ბატონ პრევოს მოადგილე.

დარბაზი პატარა, დაბალთანიანი იყო. სიღრმეში იდგა შრომანიანი სამეფო ღერბებით მორთული მაგიდა და მუხის დიდი ჩუქურთმებიანი საეარძელი, რომელზეც პრევო ჯდებოდა ხოლმე და რომელიც ამჟამად თავისუფალი იყო, მარცხნივ კი იყო სკამი უმცროსი მოსამართლის, მეტრ ფლორიანისათვის. ცოტა ქვემოთ იჯდა სასამართლოს მეოქმე მდივანი და რაღაცას ჯღაბნიდა. პირდაპირ იყო ხალხი. კარისა და მაგიდის წინ კი მართლმსაჯულების უწყების უამრავი მსაჯულები, რომელთაც იისფერი ქამლოთის სამოსელი ეცნათ და ყელზე თეთრი ჯვრები ეკიდათ. სიღრმეში, მაგიდის უკან, დახურული დაბალი კარების წინ შეამჩნევდით დარაჯად მდგომ თემთა მამასახლისების საქალაქო საბჭოს ორ სერჟანტს, რომლებიც ნახევრად წითელ, ნახევრად ცისფერ დალიანდაგებულ ქურთუცებში იყვნენ გამოწყობილნი. სქელ კედელში დატანებული ერთადერთი ვიწრო ისრული ფანჯარა იანვრის დღის მკრთალი სხივებით ანათებდა ორ სასაცილო ფიგურას: უცნაურ ქვის ბოროტ სულს, დემონს,

რომელიც თაღის ჩამოშვერილ საქვექ ქვასოლზე იყო ამოქანდაკებული, და დარბაზის სიღრმეში შროშანიანი სამეფო ღერბებით მორთულ მაგიდასთან მჯდომ მოსამართლეს.

მართლაც, წარმოიდგინეთ მოსამართლის მაგიდაზე, საჩივრის ქაღალდების ორ დასტას შორის იდაყვებზე დაყრდნობილი წითელი, ხორკლიანი სახე, ჩარგული თეთრი კრაველის საყელოში, რომლის ორი წვერი გეგონებოდათ წარბების მაგიერიობას ეწეოდა; მოხამხამე თვალები, დარბაისლურად დაკიდებული მსუქანი ლოყები, რომლებიც ნიკაპს ქვეშ ხელახლა უერთდებოდნენ ერთმანეთს დაბაბის სახით, და თქვენს წინაშე დადგება მეტრ ფლორიან ბარბედიენი, შატლეს უმცროსი მოსამართლე. რომელსაც ფეხი თავისი, გლუ მიახაისფერი მაუღის კაბის კუდზე დაედგა.

ამასთან უმცროსი მოსამართლე ყრუ ბრძანდებოდა. თუმცა უნდა ითქვას. ეს ნაკლი მოსამართლისათვის იოლი, და არც თუ ეგრერიგად არსებითი რამ არის; სიყრუე სულაც არ უშლიდა ხელს მეტრ ფლორიანს უაპელაციო, გაუსაჩივრებელი და ჯეროვანი განაჩენი გამოეტანა. ის ხომ უდავოა, რომ მოსამართლისათვის საკმარისია თავი ისე დაიჭიროს, ვითომც უსმენს; ჩვენი პატივცემული მოსამართლე კი სავსებით აკმაყოფილებდა ყოველი მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ამ მთავარ პირობას, რადგან მისი ყურადღება არავითარ ხმაურს არ შეეძლო წარეტაცა.

თუმცა სასამართლოს დარბაზში იმყოფებოდა ყოველი მისი საქმისა და საქციელის ერთი უღმობელი შემმოწმებელი ჩვენი მეგობრის ეჟან ფროლო მეწისქვილის სახით. გუშინდელი პატარა მოსწავლე, მოყიალე, სუნსულა, რომელსაც ყველგან და ყოველთვის უთუოდ შემოხვდებოდით პარიზში, ოღონდ პროფესორის კათედრის წინ — არასოდეს.

— ხედავ, — დაბალი ხმით უთხრა თავის თანამგზავრს რობენ პუსპენს, რომელიც მის გვერდით გამქირდავად იღრიჭებოდა, როდესაც იგი რამეს შენიშნავდა მათ თვალწინ მომხდარი ამბების გამო, — აი იქ ეანეტა დე ბიუისონს, ახალ ბაზრელ მკონარას კოხტა გოგოს! სულსა ვფიცავ, მაგ ბებერმა სასჯელი დასდო! ეგ კაცი მე მეგონა მხოლოდ ყრუ იყო, თვალებიც დაბრმავებია! თხუთმეტი სუ და ოთხი პარიზული დინარი მიუსჯია, ორ კრიალოსანს რატომ ატარებო! ცოტა არ იყოს, ძვირია. *Lex duri carminis**.

— ეს ვინდა არის? რობენ შეიფ დე ვილი, ჯაჭვკურთაკების ოსტატი. „იმისათვის, რომ მიიღო ოსტატის წოდება და ჩაირიცხა ზემო-

* მკაცრი შინაარსის კანონია.

აღნიშნული ხელობის ამქარში“, — შესასვლელ ფულს იხდის. პეი, ეს რა ამბავია! ორი აზნაური ამ თაღლითებში! ეგლე დე სუან, იუტენ დე მაიი! ორი კავალერი, ვფიცავ ქრისტეს სხეულს! აჰ, კამათელი უგორებიათ, ოთხო უთამაშიათ. როდის ვნახავ აქ ჩვენს რექტორსაც? ასი პარიზული ლიერი ჯარიმა მეფის სასარგებლოდ! ეს ბარბედიენი ყრუსავით დაუზოგავად ურტყამს, — ყრუც ხომ ამიტომ არის! — დე თუნდაც ჩემ ძმასავით არქიდიაკონად ვიქცე, თუ ამან თამაშში ხელი შემეშალოს; ვითამაშებ დღისით, ვითამაშებ ღამე, ვიეცხლებ თამაშისათვის, მოვეცდები თამაშისათვის; პერანგს წავაგებ, სულს ჩავალ! ყოვლად წმინდაო ქალწულო! ეს რა გოგონები არიან! ახ, ჩემო შიშაქებო, როგორ მოსდევენ ერთმანეთს! ამბრუაზა ლეი-უიერ! იზაბო ლა პეინეტ! ბერარდა ეირონენ! ღმერთმანი, ყველას ვიცნობ! დააჯარიმებლად. ჯარიმა! ჯარიმა! მოიცათ, ახლა თქვენ გასწავლიან მოოქროვილი სარტყელების ტარებას! ათი პარიზული სუ! კოპწიებო! კეკლუცებო! ოჰ, ბებერო მოსამართლის დინგო, ყრუო, ჩერჩეტო! ოჰ! ფლორიან, ტლანქო ბაიუშო! ო, ბარბედიენ, ბრიუვო, ოტროველავ! შეხე, როგორ გამოქიმულა მაგიდასთან! ის სანსლავს მოსარჩლეებს, მომჩივანთ, სანსლავს საქმეებს, ნთქავს, ლექავს, კუწავს, იტენება, ტყვრება, ივსება. ეს ჯარიმებიო, ირაოს შემოსავალიო, ხარკი და ბეგარო, საურავები, სასამართლო ხარჯები, ქირა, ჯილდოები, ზარალი და სარგებელი, წამება, ციხე და საპატიმრო, ბორკილები ხარჯების დაფარვით — ყოველივე ეს მისთვის საშობაო თაფლის კვერები და წმინდა იოანეს ნუშის ტკბილი ჯალანებია! ერთი შეხედე ამ ქოსმენს! — აგერ კიდევ ერთი სიყვარულის ასული! ტიბო-ლა-ტიბოდე, არც მეტი და არც ნაკლები! — ჩავარდა იმიტომ, რომ გლატინის ქუჩას გასცდა. — ეს ჯეილი ვინ არის? ეიფრუა მაბონ, მსროლელი რაზმის თოროსანი მხედარი. მან ავად მოიხსენია მამა-ღმერთი. ჯარიმა ტიბოდეს! ჯარიმა ეიფრუას! ორივეს ჯარიმა ბებერო ყრუჩუნა! როგორც ჩანს, ეს ორი საქმე ერთმანეთში აურია! ერთში ათს ჩამოვალ, თუ ქალს გინებისათვის არ გადაახდევინოს, თორიან მხედარს კი — სიყვარულისათვის! — ყურადღება, რომენ პუსპენ! ეს ვინ მოჰყავთ! შეხედე, რამდენი ათისთავია! ვფიცავ იუბიტერს! იქ მთელი ხროვაა მწვევრებისა. ჩანს, დიდი ნადირი დაიჭირეს, ტახი. მართლაც ტახი დაუჭერიათ, რომენ, ტახი! — თანაც რა ზორბა! — ვფიცავ ჰერკულესს! ეს ჩვენი გუშინდელი მბრძანებელია, ჩვენი ქილიკების პაპი, ჩვენი ზართა მრეკველი, ჩვენი ცალთვალა, ჩვენი ბრუციანი, ჩვენი კუზიანი, ჩვენი ღმეკია! ეს ხომ კვაზიმოდოა!

სწორედ ის იყო.

კვაზიმოდო, შეკრულ-შებოქილი. გათოკილ-გაბაწრული. ბორკილგაყრილი; ძლიერი ბადრაგი მოსდევდა. გარშემომდგარ რაზმს პირადად მეთაურობდა ღამის მზირთა უფროსი, რომელსაც მკერდზე საფრანგეთის ღერბი ჰქონდა ამოქარგული, ხოლო ზურგზე — ქალაქის ღერბი. თუმცა თვით კვაზიმოდოს საიმისო არა ეტყობოდა რა, გარდა სიმანინჯისა, რომ შუბნაჯახებისა და პატრუქიანი თოფების ეს ჯგრო გაემართლებინა. იგი მოღუშული, მდუმარე და დამშვიდებული იყო. დროდადრო ერთადერთი თვალით პირქუშ და მრისხანე მზერას ტყორცნიდა მის გამკოქავ ბორკილებს.

ირგვლივ თვალი მიმოავლო, მაგრამ ისე ზანტად, უსიცოცხლოდ და მთვლემარედ, რომ ქალები გასაცინებლად თითით აჩვენებდნენ ერთმანეთს.

ამასობაში მეტრ ფლორიანი, უმცროსი მოსამართლე, ყურადღებით ფურცლავდა კვაზიმოდოს წინააღმდეგ აღძრული საჩივრის ქაღალდებს, რომელიც სასამართლოს მდივანმა წარუდგინა. ახალ მოყვანილს ზერელედ თვალი შეავლო, მერმე ჩაფიქრდა, თითქოს აზრებს თავს უყრისო. ამ სიფრთხილის წყალობით, რასაც ის ყოველთვის მიმართავდა, როცა დაკითხვას იწყებდა, მან წინასწარ იცოდა ბრალდებულის სახელი, წოდება, დანაშაული. ამზადებდა მოსაზრებებს მოსალოდნელ პასუხებზე, და თავს ისე მოხერხებულად აღწევდა დაკითხვის ყველა ხვეულებს, რომ ადვილად არ გამოეცნოთ მისი სიყრუე. საქმეს დართული ქაღალდები მისთვის იგივე იყო, რაც ბრმისათვის გამძღოლი ძაღლი. თუ ხანდახან მოხდებოდა და შემთხვევით თავის ნაკლს გასცემდა რაიმე შეუსაბამო მიმართვით ან უაზრო კითხვით, ერთნი ამას ღრმამაზროვნებად უთვლიდნენ, მეორენი კი — სისულელედ. ორივე შემთხვევაში სასამართლოს ღირსება არამც და არამც არ ილახებოდა, რადგან უკეთესია მოსამართლე სულელად ან ღრმამაზროვნედ ითვლებოდეს, ვიდრე ყრუდ. ამიტომ ისე გულმოდგინედ ფარავდა ყველას წინაშე ამ თავის სიყრუეს და ამ მხრივ მეტ წილად ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ თვითონაც კი მცდარი წარმოდგენა შეიღვინა თავის თავზე; თუმცა ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე ფიქრობენ. ყველა კუზიანი თავაწეული დადის, ყველა ენაბლუ ბევრს ლაქლაქებს, ყველა ყრუ დაბალი ხმით ლაპარაკობს. რაც შეეხებოდა ბატონ მოსამართლეს, მას თავისი თავი ცოტა ყურმძიმედ მიაჩნდა. ეს ერთადერთი რამ იყო, რასაც უთმობდა საზოგადოებრივ აზრს და ისიც მხოლოდ გულახდილობისა და თავისი კეთილსინდისიერების განსჯის წუთებში.

ამრიგად. კვაზიმოდოს საქმე რომ გადალექა, თავი უკან გადას-

წია, თვალები ნახევრად დახუჭა, რათა უფრო მეტი დიდებული და მიუღღგომელი სახე მიედო; ასე რომ ერთსა და იმავე დროს იგი ყრუც იყო და ბრმაც. აი ის ორი პირობა, ურომლისოდაც არ არსებობს სრულქმნილი მოსამართლე. ეს უმთავრესი მდგომარეობა მიიღო და დაკითხვაც დაიწყო.

— თქვენი სახელი?

მაგრამ აქ თავი იჩინა ისეთმა შემთხვევამ, რომელიც „კანონით არ იყო გათვალისწინებული“, როცა ყრუს ყრუ უნდა დაეკითხა.

კვაზიმოდო, რომელიც არავის გაუფრთხილებია, რომ კითხვა მისი მოსამართლეს იყო ნათქვამი, ჩაშტერებით უმზერდა მოსამართლეს და დუმილს განაგრძობდა; მას პასუხი არ გაუცია. ყრუ მოსამართლეს არავის გაუფრთხილებია ბრალდებულის სიყრუის თაობაზე და ამიტომ მანაც იფიქრა უკვე მიპასუხაო, ისე როგორც საერთოდ ყველა ბრალდებული იძლევა პასუხებსო და განაგრძო მისთვის ჩვეული სულელური გულდაჯერებით.

— კეთილი. წლოვანება თქვენი?

კვაზიმოდომ არც ამ კითხვას უპასუხა. მოსამართლეს ეგონა პასუხი უკვე მივიღეო და განაგრძო.

— ახლა, თქვენი წოდება?

ისევ და ისევ დუმილი. ამასობაში მსმენელებმა უკვე დაიწყეს ჩურჩული და ერთმანეთის გადახედ-გადმოხედვა, თვალთ ნიშნება.

— კმარა, — ჩაილაპარაკა სამართლის აღუშფოთებელმა მსაჯულმა, როცა იფიქრა, ბრალდებულმა მესამე კითხვაზეც მომცა პასუხი.

— თქვენ ბრალად გედებათ primo*, ღამის სიწყნარის დარღვევა; secundo**, ძალადობა და უხამსი მოქმედება მსუბუქი ყოფაქცევის ქალის, in praejudicium meretricis***-ის მიმართ; tertio****, ჩვენი მბრძანებლის, მეფის სამსახურში მყოფი მსროლელების წინაშე ამბოხი და ვერაგობა. მიეცით სასამართლოს ახსნა-განმარტება ყველა ამ მუხლზე. — სასამართლოს მდივანო, ჩასწერეთ ბრალდებულის ყველა წინა პასუხი?

ამ ავბედით კითხვაზე მთელმა დარბაზმა, დაწყებული მდივანითა და გათავებული მსმენელებით, ისეთი მძვინვარე, ისეთი გიჟურა, ისეთი გადამღები, ისეთი საყოველთაო ხარხარი ატეხა, რომ ძალა-

* პირველი.
** მეორე.
*** „სავარაუდოა მეძვის“ მიმართ.
**** მესამე.

უნებურად ორივე ყრუმ შენიშნა. კვაზიმოდო მობრუნდა. ზიზლით ასწია თავისი კუხი; მაშინ მასავით გაკვირვებულმა მეტრ ფლორიანმა იფიქრა. მაყურებელთა სიცილი უთუოდ ბრალდებულის რაღაც უკადრისმა შეპასუხებამ გამოიწვიაო; ამის ნათელ დადასტურებად კუხიანის მხრების აჩეჩვა მიიჩნია, და აღმფოთებით მიმართა:

— ეს სულ შენი ბრალია, არამზადაე! ასეთი პასუხი სახარბოებლის ღირსია! იცით, ვის ელაპარაკებით?

ასეთმა თავდასხმამ ვერ შეაჩერა საერთო მხიარულების ტალღა. იგი იმდენად უცნაური, შეუსაბამო და სულელური ეჩვენა ყველას, რომ გიჟურმა ხარხარმა უწია თემთა მამასახლისების საქალაქო საბჭოს ათისთავებს. შუბოსანთა ამ ჯილაგს, რომელთა უგუნურება თითქოს მათი ფორმის ტანსაცმლის მოუცილებელი ნაწილი ყოფილიყოს. მხოლოდ კვაზიმოდო ინარჩუნებდა სერიოზულობას იმ უბრალო საბუთით, რომ მას არა გაეგებოდა რა იქიდან, რაც მის ირგვლივ ზდებოდა. მოსამართლე კი სულ უფრო და უფრო ბრაზობდა, გულფიცხობდა; მან გადაწყვიტა იმავე კილოთი განეგრძო, იმ იმედით, რომ ბრალდებულს დაამინებდა, ამით მსმენელებზე ზეგავლენას მოახდენდა და ამრიგად სასამართლოსადმი პატივისცემას აღადგენდა!

— რა სათქმელია, შე უხამსო, გარყვნილო და მტაცებლო ურჩხულო, როგორ ბედავ აბუჩად აიგდო შატლეს მოსამართლე, თანამდებობის პირი, ვისაც მინდობილი აქვს სამოქალაქო წესრიგის დამყარება პარიზში, დავალებული აქვს გამოიძიოს დანაშაულობანი, კანონის დარღვევანი და ცუდი საქციელი, შეამოწმოს ყველა სარეწაო და აკრძალოს მონოპოლია, წესიერად შეინახოს ქვაფენილი, აღკვეთოს შინაური ფრინველით, ზღვის, ტბისა და ჭაობის ფრინველით მეწვერილმანებობა, თვალი ადევნოს შეშისა და ხეტყის სხვადასხვა სახის მასალის სწორ მიზომვას, გაწმინდოს ქალაქი სიბინძურისაგან, ხოლო ჰაერი — გადამდებ სნეულებათაგან, ერთი სიტყვით, მუდმივ იღწვოდეს საზოგადო საქმეზე, და ეს ყოველივე მუქთად, არავითარი ხელფასისა თუ გასამრჯელოს იმედით! იცით თუ არა თქვენ, რომ მე ფლორიან ბარბელინი მქვია, დიახ, სწორედ მე განსჯავართ ბატონ პრევოს მოადგილე და, გარდა ამისა, კომისარი, გამომძიებელი, კონტროლიორი და ერთნაირი უფლებამოსილებით აღჭურვილი გამომკვლეველი მართლმსაჯულების საუწყებოში, საოლქო სასამართლოში. ზედამხედველობის საქმეებსა და პირველი ინსტანციის სასამართლოებში!..

არ არსებობდა ისეთი მიზეზი ან საბუთი, რომელიც შეაჩერებდა მეორე ყრუსთან მოლაპარაკე ყრუს. ღმერთმა უწყის, სად და რო-

დის მიაღწევდა ხმელეთს მეტრ ფლორიანი, რომელმაც მძლავრად მოუხსვა მალაღმარდოვანი მჭევრმეტყველების ნიჩბებს, თუ დარბაზის სიღრმეში დაბალი კარი ანაზღად არ გაიღებოდა და თვრთ ბატონ პრევოს არ გამოატარებდა.

მის შემოსვლაზე მეტრ ფლორიანს ენა არ დაბმია, მაგრამ ქუსლებზე ნახევრად შებრუნდა და თავისი საზეიმო სიტყვა, რომელიც ერთი წუთის წინ კვაზიმოდოს მეხვიით დაატეხა თავს, წამსვე პრევოსკენ მიმართა:

— მონსენიორ, ბატონო ჩემო! — თქვა მან, — მე მოვითხოვ ისეთ სასჯელს, როგორსაც თქვენ ინებებთ აქ მყოფ ბრალდებულის წინააღმდეგ მართლმსაჯულების მიმართ მის მიერ ჩადენილი მძიმე და საოცარი დანაშაულის გამო.

და აქოშინებული ისევ დაჯდა, მოიწმინდა ოფლის მსხვილი წვეთები, რომელიც შუბლიდან წურწურით სდიოდა და ცრემლივით ასველებდა მის წინ გაშლილ ეტრატებს. მესირ რობერ დ'ესტუტვილმა წარბი შეიკრა, ისეთი მედიდური და დიდმნიშვნელოვანი ნიშანი მისცა კვაზიმოდოს ყურადღების მისაპყრობად, რომ ყრუ რაღაცას მიხვდა.

პრევომ მკაცრი სიტყვით მიმართა მას:

— რა ჩაიღინე, გაიძვერავე, აქ რისთვის მოგიყვანეს?

საწყალ კაცს ასე ეგონა, პრევო სახელს მეკითხებაო, ჩვეულებრივი დუმილი დაარღვია და ხრინწიანი, ხორხისმიერი ხმით უპასუხა:

— კვაზიმოდო.

პასუხი იმდენად ნაკლებ შეესაბამებოდა კითხვას, რომ ირგვლივ კვლავ გიჟური ხარხარი ატყდა; რისხვისაგან გაწითლებულმა მესირ რობერმა კი იყვირა:

— შენ რაო, მეც დამცინი, პირწაყარდნილო არამზადავ?

— ღვთისმშობლის ტაძრის ზარების მრეკველი, — უპასუხა კვაზიმოდომ, რადგან იფიქრა, უთუოდ საჭიროა, მოსამართლეს ჩემი ვინაობა მოეახსენო.

— ზარების მრეკველი! — განაგრძო პრევომ, რომელმაც როგორც უკვე ვთქვით, დილას საკმაოდ ცუდ გუნებაზე გაიღვიძა, რომ ამგვარ უცნაურ პასუხებზე მთლად რისხვად ქცეულიყო. — ზარების მრეკველიო! მე გაჩვენებ მაგ შენს ზურგზე წკეპლებით ზარების გუგუნს პარიზის ყოველ გზაჯვარედინზე, გესმის, გაიძვერავე?

— თუ თქვენ გნებავთ ჩემი წლოვანება გაიგოთ, — თქვა კვაზიმოდომ, — მგონია, წმინდა მარტინობას ოცი წლისა გავხდები.

ეს უკვე მეტიმეტი იყო, ამჯერად პრევომ თავი ველარ შეიკაფა.

— აჰ! შენ პრევოსაც აბუჩად იგდებ, უბადრუკო! ბატონო სერ-

ქანტებო-კვერთხოსანო, მიიყვანეთ ეს არამზადა სამარცხვინო ბოძთან გრევის მოედანზე. გაწკეპლეთ და თვალზე ერთ საათს ატ-რიალეთ. ღმერთსა ვფიცავ, ძვირად დაეჭუსვამ! მე მოვითხოვ, ეს მსჯავრი ოთხმა შულტა-მაცნემ პარიზის საეიკონტოს შვიდივე ოლქს აუწყოს.

სასამართლოს მდივანი წამსვე შეუდგა განაჩენის შედგენას.

— ვფიცავ ღიბსა უფლისასა! სწორი გასამართლებაც ამას ჰქვია! — იყვირა თავისი კუთხიდან მოსწავლე ქეან ფროლო მეწის-ქვილემ.

პრევი შემობრუნდა და კვლავ კვაზიმოდოს ჩააშტერა ელვარე თვალები.

— მგონია, ამ არამზადამ ახსენა ღიბი უფლისა! მდივანო, დაუ-მატე თორმეტი პარიზული დინარი ჯარიმა ღვთისგმობისათვის; დაე ამ ჯარიმის ნახევარი შეეწიროს წმინდა ესტატეს ეკლესიას. განსაკუთრებულ მოწინებას ვგრძნობ ამ წმინდა ესტატეს მიმართ.

განაჩენი რამდენიმე წუთში შედგა. შინაარსი მოკლე და მარტივი იყო. მართლმსაჯულების საუწყებოს და პარიზის საეიკონტოს ძველი ჩვეულებრივი სამართალი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული სასამართლოს თავმჯდომარის ტიბო ბაიეს და სამეფო ვეჟილის როჟე ბარნის მიერ. იმ დროს იგი ჯერ კიდევ არ იყო ჩახერგილი შარიანი ხრიკებისა და სამართალწარმოების მაღალი ხე-ტყით, რომელიც ამ ორმა იურისკონსულტმა დანერგა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს. იქ ყველაფერი ნათელი, მომარჯვებული და ზუსტად აღსასრულებელი იყო. მიზნისაკენ პირდაპირ მიდიოდნენ, და ყოველი მიუკიბ-მოუკიბავი, უჯგანარო ბილიკის ბოლოს მაშინვე ამჩნევდნენ ურმის თვალზე გაკვრას, სახრჩობელას ან სამარცხვინო ბოძს. ყოველ შემთხვევაში, თვითეულმა ის მაინც იცოდა საით მიდიოდა, რა მოელოდა.

სასამართლოს მდივანმა განაჩენი პრევოს წარუდგინა. პრევომ ბეჭედი დაუსვა, დარბაზიდან გავიდა, რათა სასამართლო სხდომების შემოვლა განეგრძო; იგი ისეთ გუნებაზე ბრძანდებოდა, იმ დღეს პარიზის ყველა საპატიმრო გაივსებოდა. ქეან ფროლო და რობენ პუსპენი ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. კვაზიმოდო ყოველივე ამას გულგრილად და გაკვირვებული უყურებდა.

იმ დროს, როდესაც მეტრ ფლორიან ბარბენდინი სასამართლოს გადაწყვეტილებას კითხულობდა იმისათვის, რომ თვითონაც მოეწერა ხელი, საბრალო მსჯავრდადებულისადმი თანაგრძნობით გულაჩუყებული მდივანი მოსამართლის მოადგილეს მიუახლოვდა და იმ იმედით, იქნებ სასჯელის რაიმე შემსუბუქებას მივადწიოო, შიგ ყურში ჩასძახა, თან კვაზიმოდოზე უთითებდა:

— ეს კაცი ყრუ არის.

მას იმედი ჰქონდა, რომ ერთნაირი ფიზიკური ნაკლი მეტრ ფლორიანს თანაგრძნობას გაუღვიძებდა მსჯავრდადებულის მიმართ. მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ, მეტრ ფლორიანს არ სურდა, ვინმეს შეემჩნია მისი სიყრუე, გარდა ამისა, იმდენად მძიმე სმენა ჰქონდა, რომ არც ერთი სიტყვა არ გაუგონია იქიდან, რაც სასამართლოს მდივანმა უთხრა. მაგრამ მაინც უნდოდა ეჩვენებინა, ვითომ ყველაფერი გაიგო და ამიტომ ასე უპასუხა:

— აჰ! აჰ! ეს სხვა საქმეა; ეს არ ვიცოდი. ამ შემთხვევაში დაუმატეთ კიდევ ერთი საათი სამარცხვინო ბოძი.

და ამრიგად შეცვლილ განაჩენს ხელი მოაწერა.

— გვეც მაგას, ძალიან კარგად უყო, — თქვა რობენ პუსპენმა, რომელსაც კვაზიმოდოს ჯავრი სჭირდა, — ეს ჭკუას ასწავლის და უხეშად აღარ მოეპყრობა აღამიანებს.

II

თავის სორო

დაე ჩვენმა მკითხველმა ნება დაგვრთოს კვლავ მივიყვანოთ იგი გრევის მოედანზე, რომელიც გუშინ გრენგუართან ერთად დავტოვეთ, რათა ესმერალდას ავღვივებოდით.

დილის ათი საათია. იქ ყველაფერი გუშინდელ დღესასწაულს მოგვაგონებს, ყველგან წინაღობის ზეიმის კვალი იგრძნობა. ქვაფენილი დაფარულია ნამსხვრევებით, ბაფთებით, ძონძებით, ნაფხრეწებით, ჯილის ფრთებით, ჩირაღდანთა დაღვენთილი ცვილის წვეთებით, სახალხო ღრეობის ნამცეცებით. აქა-იქ უქმად მოყიალე მოქალაქეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდები ფეხით ქეჩავენ სადღესასწაულო კოცონთა ჩამქრალ მუგუზლებს, — „სვეტებიანი სახლის“ წინ აღტაცებით იგონებენ წინა დღით გაღმოფენილ ლამაზ ფარდაგებს, დღეს კი სიამოვნებით შეჰყურებენ უკანასკნელ გასართობს, ლურსმებს. ვაშლბურახისა და ლუდის გამყიდველები თავიანთ კასრებს ხალხის ჯგუფებს შორის მოაგორებენ. რამდენიმე გამვლელი წინ და უკან ფუსფუსებს. დუქნების ზღურბლზე მდგომი ვაჭრები ბაასობენ და ერთმანეთს ეხმიანებიან. ყველას პირზე აყვრია დღესასწაული, ელჩები, კოპენოლი, ქილიკების პაპი. ერთმანეთს არ აცლიან განმარტებას, გულიანად იცინიან.

ამასობაში ოთხმა ცხენოსანმა სერჟანტმა, რომლებიც სამარცხვინო ბოძს ოთხივე მხრიდან შემოსდგომოდნენ, უკვე მიიპყრეს ყუ-

ჩადღება და მოედანზე გაფანტული ხალხის კარგა დიდი ნაწილი ირგვლივ შემოიკრიფეს. ამ ხალხს გადაუწყვეტია იქ უძრავად მდგარიყო მოწყენილი იმ იმედით, რომ მცირე რამ სასჯელის აღსრულება მაინც ეხილა.

ახლა თუ მკითხველი მოედნის ყოველ წერტილში მომხდარი ამ გაცხოველებული და ხმაურა სანახაობის ცქერის შემდეგ თავის მზერას გადაიტანს ძველ სახლზე, ნახევრად გოტიკურ, ნახევრად რომანულ შენობაზე, როლანდის კოშკზე, რომელიც დასავლეთის მხარეს წყლის სანაპიროსთან კუთხეს ჰქმნის, მისი წინახედის კუნძულში შეუძლია შეამჩნიოს მდიდრულად შეფერადებული სქელი საზოგადო ლოცვანი, რომელიც წვიმისაგან დაცულია პატარა საჩიხით, ხოლო ქურდებისაგან — რკინის ბადით, რაც გადაფურცვლის, საშუალებას მაინც იძლეოდა. ამ ლოცვანის გვერდით არის ორი რკინის ძელაკით გადაჯვარდინებული ვიწრო ისრული სამერცხული; ეს სამერცხული ერთადერთი ხერელია, საიდანაც პაწია უკარო საკანში ცოტა რამ ჰაერი და დღის სინათლე აღწევს; საკანი გამოჭრილია ძველი სახლის სქელ კედელში ქუჩის პირს ქვედა სართულზე. და იქ გამეფებული სიწყნარე და მყუდროება კიდევ უფრო ღრმაა, ღუმილი — კიდევ უფრო პირქუში და დაღვრემილი იმიტომ, რომ ირგვლივ ფუთფუთებს, დულს და გუგუნებს პარიზის ყველაზე ხალხმრავალი და ხმაურიანი მოედანი.

ამ საკანმა სახელი გაითქვა დაახლოებით სამი საუკუნის წინ, მას შემდეგ, რაც როლანდის ციხის მფლობელმა ქალბატონმა როლანდმა იგი ჯვაროსანთა ლაშქრობაში დაღუპული მამის გამო გლოვის ნიშნად თავისი სახლის კედელში გამოაჭრევინა და სამუდამოდ შიგ ჩაიკეტა, და, თავისი სასახლიდან, გარდა ამ კარამოქოლილი ბუნაგისა, არაფერი დაიტოვა, ყოველივე დანარჩენი ღარიბებსა და ღმერთს შესწირა. ეს სამერცხული ზამთარ-ზაფხულ ღია იყო. მართლაც, დამწუხრებული ქალწული ოც წელიწადს ელოდა სიკვდილს ამ ნაადრევ სამარეში და დღე და ღამ მამის სულს შეავედრებდა, ნაცარში იძინებდა, თავქვეშ ბალიშად ქვასაც კი არ იღებდა, ტანთ შავი ძაძა ემოსა; იგი გულმონწყალე გამვლელთა მიერ სარკმლის ქიმზე დატოვებული პურითა და წყლით არსებობდა, ამგვარად მძილო მან სანაცვლო მოწყალება, რაც ადრე თვითონ ჰქონდა გაცემული. თავისი სრკვილის ეამს, სხვა, მარადიულ საძვლეში გადასვლის წამს, ეს თავისი ამქვეყნიური აკლამა სამუდამოდ უანდერძა დამწუხრებულ, მგლოვიარე ქალებს, დედებს, ქვრივებს თუ ქალიშვილებს, რომლებიც თავის თავისა თუ სხვების შესავედრებლად მოისურვებენ ცოცხლად დაიმარხოთ თავი დიდი მწუხარებისა თუ მონანიებისათვის. მის-

მა თანამედროვე ღარიბმა მოსახლეობამ იგი დიდი ზარით, ცრემლითა და ლოცვა-კურთხევით დაკრძალა. მაგრამ მათდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ღვთისმოსავი ქალწული წმინდანად არ შერაცხეს, რადგან სათანადო მფარველობა აკლდა. ცოტა ურწმუნონი კი იმედოვნებდნენ, რომ ეს საქმე სამოთხეში უფრო ადვილად გაკეთდებოდა, ვიდრე რომში, და სულ უბრალოდ შეავედრებდნენ უფალს განსვენებულსა, რომელსაც პაპმა სათანადო არ მიაგო. მორწმუნეთა უმეტესობა ქალბატონ როლანდის წმინდანად მოხსენიებას სჯერდებოდა და მის ძონძებს წმინდა ნაწილებივით ინახავდა. ქალაქმა კი თავის მხრივ ქალწულის პატივსაცემად მისი საკანის სამერცხულის ახლოს საზოგადოებრივი ლოცვანი აღმართა, რათა ხანდახან გამვლენი შეჩერებულ იყვნენ იქ და ელოცათ, რომ ლოცვას მოწყალების გაღების ფიქრი აღეძრა და საბრალო დაყუდებულნი, ქალბატონ როლანდის აკლდამის მემკვიდრენი, მიეწყებულ-მიტოვებულნი, შიმშილით არ ამომწყდარიყვნენ.

თუმცა ამგვარი აკლდამები შუა საუკუნეების ქალაქებში სულაც არ იყო იშვიათი. ხშირად ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაში, ყველაზე ჭრელ-ჭრელ და გამაყრუებელ ბაზარში, მის შუაგულს, პირდაპირ ცხენთა ფლოკეებსა და ფორანთა თვლებს ქვეშ შეხვდებოდით სარდაფს, ჰას, კედელში დატანებული და რკინის ბადიანი საკანისმაგვარ რამეს, რომლის სიღრმეში დღე და ღამე ლოცვას აღავლენდა, სამარადისო გოდებასა და დიდ მონანიებას ნებაყოფლობით თავშეწირული ადამიანური არსება. მაგრამ მაშინ ხალხს არა გაეგებოდა რა იმ აზრებისა, რომელსაც ეს უცნაური სანახაობა დღეს ჩვენ ალგვიძრავს, ეს საშინელი საკანი, რალაც შუამდებარე რგოლი სახლსა და სამარეს შორის, სასაფლაოსა და ქალაქს შორის, ეს ცოცხლად დამარხული არსება, მოწყვეტილი ადამიანთა საზოგადოებასა და ამიერიდან მკვდრებში ჩათვლილი, ეს სანათი ბაზმა, რომელიც თავის ზეთის უკანასკნელ ცვარს შთანთქავს ამ წყვილადში, სამარეში მოციმციმე სიცოცხლის ეს ნაშთი, ეს სუნთქვა, ეს ხმა, ეს საუკუნო ვედრება ქვის კოლოფისებური საპრობილედან, ეს სახე, სულ სხვა ქვეყნისკენ სამუდამოდ მიბრუნებული, ეს თვალი, უკვე სულ სხვა მზისაგან განათებული, ეს ყური, საფლავის კედელს მიღებული, სული, დამწყვდეული სხეულში, სხეული დამწყვდეული დილეგში, ხორცისა და გრანიტის ამ ორმაგ გარსში გახვეული, ტანჯული სულის ჩახშული დრტვინვა და გმინვა, — ყოველივე ეს ვერ აღწევდა ბრბოს გონებამდე. იმ ხანის მცირედ განმსჯელი და ნაკლებ ფაქიზი ღვთისმოსაობა რელიგიურ საგმირო საქციელს მარტივად უყურებდა. საქმეს მთლიანად იღებდნენ, პატივს სცემდნენ, ადი-

დგებდნენ. აკურთხებდნენ. თუ გაკირდებოდა. თაყვანსაც სცემდნენ, მაგრამ ღრმად ვერ უფიქრდებოდნენ მთელ იმ ტანჯვას და მცირედ თანაუგრძობდნენ. დროდადრო საბრალო მომნანიებელთან რაიმე საკვები მოჰქონდათ. სოროში შეიხედავდნენ, კიდევ ცოცხალი თუ არისო, სახელი მისი არ უწყოდნენ და ძლიეს თუ იცოდნენ, რამდენა წლიდან დაიწყო მისი კვდომა. ხოლო როდესაც უცხოელი იკითხავდა ამ სარდაფში ცოცხლად დამპალი ჩონჩხის ამბავს, მეზობლები უბრალოდ უპასუხებდნენ: — „იგი განდევილია“, თუ მამაკაცი იყო. ხოლო თუ დედაკაცი: — „იგი განდევილი ქალია“.

მაშინ ყველაფერს ამგვარად უყურებდნენ, უმეტაფიზიკოდ, გადაუქარბებლად. თვინიერ გამადიდებელი შუშისა, უსათვალებოდ, შეუთიარალებელი თვალით. მიკროსკოპი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი არც ნივთიერი საგნებისა და არც სულიერი მოვლენებისათვის.

თუმცა ამგვარი ნებაყოფლობითი დამწყვდევის მაგალითები შუაგულ ქალაქში აღარ იწყვედა გაკვირვებას და, როგორც ახლახან ვთქვით, ნამდვილად ხშირადაც შეხვდებოდი. პარიზში ამგვარი სენაკები საკმაოდ მრავალი იყო უფლის შესავედრებლად და მოსანაწიებლად. ისინი თითქმის ყველა დაეკავებინათ. მართალია, თვით სამღვდლოება ზრუნავდა, რომ ისინი ცარიელი არ დარჩენილიყო, თორემ ეს მორწმუნეთა გულგრილობის მაჩვენებელი იქნებოდა, და იქ კეთროვანს მაინც ჩასვამდნენ, თუ მომნანიებელი გამოიღეოდა. გარდა გრევის გალიაკისა, ერთი ასეთი საკანი მონფოკონში არსებობდა, მეორე — უმანკოთა სასაფლაოზე, ერთიც — აღარ ვიცი კიდევ სად, მგონია კლიშონის საცხოვრისში, სხვა კიდევ მრავალ ადგილას; მათი კვალი შეიძლება ვნახოთ გადმოცემებში, რადგან თვით ძეგლები აღარ დარჩენილა. უნივერსიტეტის უბანშიც იყო ასეთი სენაკი. წმინდა ენევიევის მთაზე ვილაც შუა საუკუნეების იობი ოცდაათი წლის განმავლობაში წყალსატევის სიღრმეში სკორაზე იჯდა და სინანულის შვიდ ფსალმუნს გალობდა; რომ დაამთავრებდა, თავიდან იწყებდა, ღამ-ღამობით ერთ კილოზე გალობას კიდევ უფრო უმატებდა და ხმას უმაღლებდა, magna voce per umbras*. და დღესაც სიძველეთა მოყვარულებს ჰგონიათ, მისი ხმა მოესმით, როდესაც მოლაპარაკე ჰის ქუჩაზე დადგამენ ფეხს.

რაც შეეხება როლანდის კოშკის სენაკს, მას არასოდეს არ აკლდა განდევილი. ქალბატონ როლანდის სიკვდილის შემდეგ იგი იშვითად თუ იყო ერთ ან ორ წელიწადს თავისუფალი. მრავალი ქალი

* დიდი ხმით წყვილიაღში (ლით).

მოსულა აქ და სიკვდილამდე დაყუდებულა, ვინ მშობელთა, ვინ მიჯნურთა და ვინ ცოდვათა დასატირებლად. ავენა პარიზელები, ყველგან რომ ეჩხირებიან, სადაც მათ არა ესაქმებათ რა, ამტკიცებდნენ, რომ ქვრივები იქ ცოტა უნახავთ.

იმ ეპოქის ჩვეულების თანახმად კედელზე ლათინური წარწერა განათლებულ გამეღელს აუწყებდა ამ სენაკის ღვთისმოსავ დანიშნულებაზე. მეთექვსმეტე საუკუნის შუაწლებამდე მოაღწია ჩვეულებამ, რომლის თანახმად კარების თავზე მოკლედ წააწერდნენ ხოლმე შენობის დანიშნულების გამომხატველ სიტყვებს. ასე, მაგალითად, საფრანგეთში, ტურეილის საბატონო ციხე-კოშკის ქიშკრის თავზე ახლაც შეიძლება წაიკითხოთ: „Silet et spera“*; ირლანდიაში იმ ღერბის ფარს ქვეშ, რომელიც ციხე-დარბაზ ფორტესკიუის დიდ კარს მაღლიდან დაჰყურებს, წარწერილია: „Forle scutum, salus ducum“**; ინგლისში გრაფ კოუპერების მამულში სტუმართმოყვარე სახლის მთავარ შესასვლელზე წერია: „Tuum est“***. ეს იმიტომ, რომ მაშინ ყოველ შენობას ჰქონდა რაღაც აზრი.

რადგანაც როლანდის კოშკის კედელში გამოჭრილ საკანს კარები არ ჰქონდა, იმიტომ მისი ფანჯრის თავზე მსხვილი რომანული ასოებით ასეთი ორი სიტყვა ამოკვეთეს:

„TU, ORA!“****.

ხალხმა, რომლის სალი აზრი საგანში ვერ ხედავს ამდენ გონება-მახვილ რამეებს და Ludovico Magno-ს***** თალს სიამოვნებით გადააკეთებს „სენ-დენის ქიშკრად“, ამ შავ, პირქუშ და ნესტიან ჯურღმულს სახელად Trou aux Rats***** დაარქვა. განმარტება შესაძლებელია ნაკლებ ამალლებულია, მაგრამ სამაგიეროდ ხატოვანია.

* „დაღუძლი და იმედი გქონდეს“ (ლათ.).

** „მტკიცე ფარი ბელადთა ხსნაა“ (ლათ.).

*** „ეს შენია“ (ლათ.).

**** „შენ, ილოცე!“

***** „ლუი დიდი“ (ე. ი. ლუი XIV). — წარწერაა გამარჯვების თაღზე, რომელიც პარიზში სენ-დენის მოედანზე აღმართული ფლანდრიასა და ფრანკონტზე ლუა XIV-ის გამარჯვების მოსაგონად.

***** ფრანგული „Trou aux Rats“ (თაგვის სორი) ლათინურ „Tu, ora“-სათვის ვლერს,

ამბავი სიმინდის კვირისა

იმ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა, როლანდის კოშკის სენაკი დაკავებული იყო. თუ მკითხველი მოისურვებს იცოდეს, ვის მიერ, მაშინ ყური მოუგდოს სამი პატიოსანი ქორიკანას ბაასს, რომლებიც სწორედ იმ წუთს, როცა მისი ყურადღება თავის სროზზე შევაჩერეთ. იმავე მხარეს მიემართებოდნენ, შატლედან გრევის მოედნისაკენ, წყლის ნაპირს ზევით მიუყვებოდნენ.

ორ მათგანს ეცვა ისე, როგორც პატიოსან პარიზელ მოქალაქე ქალებს შეეფერებოდა: მათი ნაზი და მოხდენილი, თეთრი ყელსახვევები, მუდის ლურჯ-წითელ ზოლებიანი კაბები, თეთრი ძაფით მოქსოვილი, კუთხეებში ფერადი ისრებით ამოქარგული, ფეხებზე კობტად მორგებული წინდები, წითური ტყავის ოთხკუთხა შავლანჩიანი ფეხსაცმელი. მეტადრე მათი თავსაბურავი — ზიზილ-პიპილე-ბით მორთული. ბაფთებითა და მაქმანებით უხვად-დახუნძლული ნაქარგი რქისებური რაღაც, რასაც ახლაც ატარებენ შამპანელი გლეხი ქალები, და რაშიაც რუსეთის იმპერატორის გვარდის გრენადერებს ეჯობებოდნენ, — მოწმობდა, რომ მდიდარ ვაჭართა კლასს ეკუთვნოდნენ და საშუალო ადგილი ეკირათ იმათ შორის, ვისაც ლაქიები ეძახიან უბრალოდ „ქალს“, და იმათ შორის, ვისაც „ქალბატონს“ უხმობენ. ისინი არ ატარებდნენ არც ბეჭდებს, არც ოქროს ჯვრებს, მაგრამ ადვილად მიხვდებოდით, რომ ამის მიზეზი იყო არა სიღარიბე, არამედ უბრალოდ ჯარიმის შიში. მათი თანამგზავრიც დაახლოებით ისევე იყო მორთულ-მოკაზმული, მაგრამ მის ჩაცმულობასა და ქცევაში ჩანდა ისეთი რამ, რაშიც იგრძნობოდა პროვინციელი ნოტარიუსის ცოლი. მართო იმითაც ეტყობოდა, პარიზში დიდი ხნის ჩამოსული არ იყო, რომ სარტყელი ზემოთ, თეძოებს მალა ჰქონდა შემოკერილი. ამას დაუმატეთ, ნაკეცებიანი ყელსახვევი, ნასკვიანი ბაფთები ფეხსაცმელზე, განგრძივი და არა სიგრძივი ზოლები კაბის ქვედა ტანზე და ათასი სხვა შეუსაბამობანი, რაც კარგ გემოვნებას ეწინააღმდეგებოდა.

პირველი ორი ვიდოდა პარიზელი ქალებისათვის დამახასიათებელი თავისებური ნაბიჯით, როცა პროვინციელებს პარიზს უჩვენებენ. პროვინციელ ქალს ხელი მოეკიდა ჩამკვრივებული ბიჭისათვის, რომელსაც თავის მხრივ მოზრდილი კვერი ეჭირა.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა დავუმატოთ, რომ წლის ამ დროს ცოვი სუსხი ბიჭს აიძულებდა ცხვირსახოცის მაგიერ ენა გამოეყენებინა.

ბავშვი ფეხებს არეული ნაბიჯებით — non passibus acquis, მიათრევდა, როგორც ვერგილიუსი ამბობს, და ამიტომ ყოველ წუთს ბორძიკობდა, რაც დედის ხმამალალ შეძახილებს იწვევდა. მართალია, ის უფრო მეტად კვერს უყურებდა და არა ქვაფენილს. უეჭველად რალაც ფრიალ საპატიო მიზეზი უშლიდა ხელს, რომ კვერი არ ჩაეკბინა, რადგან მარტო მოკრძალებულ ჭკერტას სჯერდებოდა. მაგრამ დედის თვითონ უნდა ეკისრა კვერზე ზრუნვა. გულქვაობა იყო ლოყებგაბერილ ბუთხუზას ჩადგება ტანტალუსის! წამებაში.

ამასთან ეს სამი „დამუაზელ“ ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდა (რადგან „დამების“ სახელს მაშინ მხოლოდ წარჩინებულ ქალებს უხმობდნენ).

— ფეხი ავაჩქაროთ, დამუაზელ მაიეტა, — უთხრა პროვინციელს ამ სამთავან ყველაზე ახალგაზრდამ და ყველაზე სქელმა.

— ძალიან შეშინია, მეტისმეტად არ დავიგვიანოთ. შატლესში გვიტხრეს სამარცხვინო ბოძთან ახლავე წაიყვანნო.

— თქვენც ერთი! რას ლაპარაკობთ დამუაზელ უდარდა მიუნე? — შეეპასუხა მეორე პარიზელი ქალი. — მთელ ორ საათს ეყოლებათ სამარცხვინო ბოძზე. დრო გვაქვს. ოდესმე გინახავთ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, ჩემო ძვირფასო მაიეტა?

— დიახ, მინახავს რეიმსში, — უთხრა პროვინციელმა ქალმა.

— ოჰო! წარმოდგენილი მაქვს, რა იქნება თქვენი სამარცხვინო ბოძი რეიმსში. ერთი უბადრუკი და ცუდმადი გალია, სადაც მხოლოდ გლეხუკებს ატრიალებენ. დიდი საქმეა!

— მხოლოდ გლეხუკებსაო! — შესძახა მაიეტამ, — და ისიც მაუდის ბაზარზე! რეიმსში! იქ შეგიძლიათ მართლაც ნამდვილი დამნაშავეები ნახოთ, თვით ისეთებიც კი, დედა და მამა რომ დაუხოცავთ! გლეხუკებიო! ვინა გგონივართ, ყერვეზა?

უეჭველია, პროვინციელი ქალი უკვე მზად იყო გაცხარებულიყო, რათა თავიანთი სამარცხვინო ბოძის ღირსებას გამოსარჩლებოდა. საბედნიეროდ მოკრძალებულმა დამუაზელ უდარდა მიუნემ დროზე შეაბრუნა საუბარი.

— ჰო, მართლა, დამუაზელ მაიეტა, რას იტყვით ჩვენს ფლამანდიელ ელჩებზე? გინახავთ ასეთი მშვენიერი რამ რეიმსში?

— უნდა გამოგიტყდეთ, — უპასუხა მაიეტამ, — რომ ამისთანა ფლამანდიელების ნახვა მხოლოდ პარიზში შეიძლება.

— თუ ნახეთ დესპანთა შორის ის დიდი ელჩი, მეწინდეს რომ უხმობდა თავის თავს? — ჰკითხა უდარდამ.

— დიახ, — თქვა მაიეტამ, — სატურნის იერი აქვს.

— ის სქელუა. სახე გატიტვლებულ ღიპს რომ მიუგავდა? — განაგრძო ჟერვეზამ.

— ანდა ის პატარა ტანის კაცი, წითელი ქუთუთოები, პაწია თვალები, გაპუტული და დაკბილულ-დაკუწული წარბ-წამწამი რომ ჰქონდა თავცეცხლას კენწეროსავით.

— ყველაზე ლამაზი სანახავეი მაინც მათი ცხენები იყო, მათი ჭვეყნის წესზე მორთულ-მოკაზმული, — თქვა უდარდამ.

— აჰ, ჩემო ძვირფასო! — გააწყვეტინა პროვინციელმა მიიეტამ, რომელიც ამჯერად თავისი უპირატესობის შეგნების გამო გაიბღინდა, — მაშინ რას იტყოდით, 61 წელს, ამ თვარამეტი წლის წინ, მეფედ კურთხევის დროს რეიმსში! რომ გენახათ უფლისწულთა და მეფის თანამგზავრთა ცხენები! ყოველნაირი ყაჯრები და საძაგრავეები: ზოგი — დამასკოს მაუდისა, ნაზი ოქროს ფარჩისა, კვერნისა და სიასამურის ბეწვმოკერებული, ზოგი — ხავერდისა, ყარყუმ-ქობაშემოვლებული, ზოგიც — ძვირფასი სამკაულები, ოქროს და ვერცხლის ფუნჯებით დამძიმებული. ვინ იცის, ყოველივე ეს რა ღირდა, რა თანხას შეადგენდა! და მერე რა იყვნენ მათზე ამხედრებული ლამაზ-ლამაზი ყმაწვილკაცები — ბაყები!

— შეიძლება, მაგრამ ფლამანდიელებს მაინც უმშვენიერესი ცხენები ჰყავთ, — ცივად შეეპასუხა დამუაზელ უდარდა, — და გუშინ მათ პატივსაცემად ბატონმა ვაჰართა უხუცესმა დიდებული ვახშამი გამართა ქალაქის თვითმმართველობის სახლში, სადაც სუფრაზე ტკბილეულობა, დარიჩინიანი ნაზავეი ღვინოები, სანელებელი და სხვა იშვიათი და არაჩვეულებრივი რამეები მიართვეს.

— მაგას რას ბრძანებთ, ჩემო მეზობელო? — შეესძახა ჟერვეზამ. — ეს ბატონი კარდინალი გახლდათ, ფლამანდიელებს რომ ვახშამი გაუმართა ბურბონის მცირე სასახლეში!

— არა. ქალაქის თვითმმართველობის სახლში!

— არა-მეთქი, — პირიქით! ბურბონის მცირე სასახლეში!

— ქალაქის თვითმმართველობის სახლში-მეთქი. — გაბოროტებით უპასუხა უდარდამ, — ჯერ ექიმმა სკურაბლმა მიმართა მათ საზეიმო სიტყვით ლათინურ ენაზე, რითაც ისინი ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. ეს ჩემმა ქმარმა მითხრა, ის ხომ ნაფიცი წიგნით მოვაქრეა.

— არა, ნამდვილად ბურბონის მცირე სასახლეში. — განაგრძო არანაკლები გაცხარებით ჟერვეზამ. — ჯერ კიდევ ბატონ კარდინალის მთავარმა მეურვემ მიართვა: თორმეტი ორჩარეჟიანი დარიჩინზე დაყენებული თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო, ლიონური ორმაგი მოოქროვილი ჯალანებით სწავსე ოცდაოთხი ზანდუკი,

ამდენივე კელაპტარი თითო ორ-ორი გირვანქა და ექვსი ნახევარ-კასრიანი ბონის თეთრი და წითელი ღვინო, ყველაზე უკეთესი, როგორც კი შეიძლება ნახოს კაცმა. ეს უკვე, იმედი მაქვს, უდავოა. მე ეს ვიცი ჩემი ქმრისაგან, რომელიც სათემო უნუცესთა საქალაქო საბჭოში ორმოცდაათი კაცის წინამძღოლია. მან ამ დილას კიდევ შეადარა ფლამანდიელი ელჩები მამა ჟანისა¹ და ტრაპიზონელი იმპერატორის ელჩებს, რომლებიც მესოპოტამიიდან პარიზში ჩამოვიდნენ ჯერ კიდევ უკანასკნელი მეფის დროს და რომლებსაც ყურებში რგოლები ჰქონდათ გაყრილი.

— მაგრამ ნამდვილი მაინც ის არის, რომ მათ ქალაქის თვითმმართველობის შენობაში ივახშმეს, — შენიშნა უდარდამ და ოდნავაც არ აუღელვებია ჟერვეზას ტრაბახა საბუთების გადმოშლას.

— იმდენი შემწვარი და მოხრაკული, იმდენი ტკბილეულობა მიართვეს იქ, რამდენიც ჯერ არ ნახულა.

— მე კი გეუბნებით, რომ მათ ემსახურებოდა ლე სეკი, ქალაქის გუშაგთა სერჟანტი, ბურბონის მცირე სასახლეში, და აი სწორედ ამან შეგაცდინათ.

— არა, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში-მეთქი!

— ბურბონის მცირე სასახლეში, ჩემო ძვირფასო!

— მე ისიც კი ვიცი, მთავარ კარს ზემოთ წარწერილი სიტყვა „იმედი“ როგორ იყო განათებული ფერად-ფერადი ჯადოსნური ლიფლიფებით.

— ქალაქის თვითმმართველობის შენობაში! ქალაქის თვითმმართველობის შენობაში! და თვით ჰიუსონ-ლე-გუარი იქ ფლეიტას უკრავდა.

— მე კი გეუბნებით, არა!

— მე კი გეუბნებით, ჰო!

— მე კი გეუბნებით, არა!

გულუბრყვილო სქელმა უდარდამ შეპასუხება დააპირა. მათი კინკლაობა შეიძლება ჩხუბში გადასულიყო და მალე ერთმანეთს თავსამკაულეზშიაც სძვევებოდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს მაიეტამ უეცრად შესძახა:

— ერთი შეხედეთ, რამდენი ხალხი შეგროვილა იქ, ხიდის ბოლოს! შუაში რაღაც არის და მას უყურებენ.

— მართლაც, — თქვა ჟერვეზამ, — დაირის ხმა მესმის. მე მგონია, პატარა სმერალდა თავისი თხით სასერიო ოინებს იდენს. აჩქარდით, მაიეტა! ნაბიჯს უმატეთ და თქვენი ბიჭიც გამოიყოლეთ. თქვენ ხომ აქ იმისათვის ჩამოხვედით, რომ პარიზის საკვირ-

ველებანი ნახოთ. გუმინ ფლამანდიელები ნახეთ. დღეს ბოშა ქალს გაჩვენებთ.

— ბოშა ქალიო! — თქვა მაიეტამ და უცხად უკან შემოტრიალდა, თავის ვაჟიშვილს მაგრად ჩასკიდა ხელი: — ღმერთო, შენ დამიფარე! ის ხომ ბავშვს მომტაცებს! წავიდეთ, ესტაშ!

და წყლის ნაპირზე გრევის მოედნისაკენ გაიქცა, ირბინა მანამდე, სანამ ხიდი კარგა შორს მოიტოვა. მაგრამ ბავშვი, რომელსაც ის მიათრევდა, მუხლებზე დაეცა; აქოშინებული ქალი შეჩერდა. უღარდა და ეერვება წამოეწივნენ.

— ბოშა ქალი ბავშვს მოგტაცებთ?! — თქვა ეერვებამ. — ეგ რა უცნაური ფანტაზიაა!

ჩაფიქრებულმა მაიეტამ თავი დაუქნია.

— მართლაც უცნაურია, — შენიშნა უღარდამ, — ძაძიანიც ხომ იმავე აზრისა არის ბოშა ქალებზე.

— ვინ არის ეგ ძაძიანი? — იკითხა მაიეტამ.

— ეი, — თქვა უღარდამ, — ეს დაჯ გუდულაა.

— ვინ არის ეგ დაჯ გუდულა?

— მართლაც გეტყობათ რეიმსელი ხართ, ეს რომ არ იცით! — უპასუხა უღარდამ. — თავის სოროს პატიმარია:

— როგორ! — იკითხა მაიეტამ, — ეგ ის საბრალო დედაკაცია, ვისთანაც ეს კვერი მიგვაქვს?

უღარდამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— სწორედ ის გახლავთ. ახლა დაინახავთ მას იმ სარკმლიდან, გრევის მოედანზე რომ გამოდის. მასაც იგივე შეხედულება აქვს, რაც თქვენ ამ მეგვიბტელ მაწანწალებზე, ხალხს რომ დაირის დაკვრითა და მკითხაობით ართობენ. არავინ იცის, საიდან გაუჩნდა მას ბოშათა და მეგვიბტელთა ასეთი შიში და ზიზღი. მაგრამ თქვენ, მაიეტა, ასე რატომ გეშინიათ მათი, რად გაურბინხართ, ხომ არა გინახავთ რა?

— ოო! — თქვა მაიეტამ და ორივე ხელი შემოჰხვია ქერა თავზე თავის ბავშვს. — არ მინდა, მეც იგივე დამემართოს, რაც პაკეტა შანტფლერის დაატყდა თავს.

— აჰ! აი ისტორია, რომელიც უნდა გვიამბოთ, ჩემო კარგო მაიეტა, — უთხრა ეერვებამ და თან ხელი მოჰკიდა მკლავზე.

— სიამოვნებით, — უპასუხა მაიეტამ, — მაგრამ გეტყობათ პარიზელები ხართ, რაკი ეს ამბავი არ იცით! მაშ გვიამბობთ! მაგრამ რატომ გაეჩერდით... ამ ამბის მოსაყოლად საჭირო არ არის გაჩერება, ვიაროთ... ჰოდა, პაკეტა შანტფლერი თერამეტი წლის ლამაზი ქალიშვილი იყო მაშინ, როდესაც მეც ამდენივე ხნის ვიყავი, ესე

იგი მას აქეთ თვრამეტი წელიწადია; და მისი ბრალია, თუ იგი დღეს ჩემსავეთ ოცდათექვსმეტი წლის ჯანდონით სავესე, მხნე დედა არ არის, არა ჰყავს ქმარ-შვილი. თუმცა თოთხმეტი წლის ასაკში მას უკვე აღარ შეეძლო ეფიქრა ქმარზე! ის იყო ქალიშვილი გიბერტოსი, მენესტრელისა, მოხეტიალე და მომღერალი მგონისა, რომელიც რეიმსის სამდინარო გემებს დაჰყვებოდა, სწორედ იმ კაცისა, მეფე შარლ VII-ს რომ ართობდა გვირგვინის კურთხევის დროს, როდესაც იგი ჩვენს მდინარე ველზე სეირნობდა სილიერიდან მიუიზონამდე ორღეანელ ქალწულთან ერთად. მოხუცი მამა რომ მოუკვდა, პაკეტა ჯერ კიდევ ბალლი იყო. დარჩა დედა, და ბატონ პრადონისა, სპილენძეულობისა და მექვაბეობის ოსტატისა პარიზში, პარენ-გარლენის ქუჩაზე, შარშან რომ გარდაიცვალა. ხედავთ, რა ოჯახი ჰქონდა! საუბედუროდ, დედამისი ერთი გულკეთილი ქალი იყო და არაფერი ასწავლა პაკეტას, გარდა ოქრომკედით სათამაშოების მორთვა-მოკაზმვისა, რასაც ნორჩისათვის ხელი არ შეუშლია დიდი გაზრდილიყო, მაგრამ ძალიან ლატაკი დარჩენილიყო. ორივე რეიმსში ცხოვრობდა, მდინარის გასწვრივ დიადი გოდების ქუჩაზე. დაიმასოვრეთ ეს სახელი; მე მგონია, სწორედ ამიტომ დაატყდა თავს უბედურება პაკეტას. 61 წელს, ჩვენი მეფის ლუი მეთერთმეტის კურთხევის წელს, ღმერთი იყოს მისი მფარველი, პაკეტა ისეთი მზიარული და ლამაზი იყო, რომ ყველგან „შანტფლერის“* ეძახოდნენ. — საბრალო გოგონა! მშვენიერი კბილები ჰქონდა, ამიტომ სიცილი უყვარდა, რომ დაენახათ. მაგრამ სიცილის მოყვარულ ქალიშვილს ტირილი მოელის. ლამაზი კბილები ქუქუნა თვალების დამღუპველია. აი როგორი იყო შანტფლერი. ისა და მისი დედა გაჭირვებით ცხოვრობდნენ და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ. მომღერალ-მუსიკოსის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო თავქვე დაეშვნენ. ოქრომკედით საქარგავი კვირაში ექვს დინარზე მეტ შემოსავალს არ იძლეოდა, რაც ორ არასრულ არწივიან ლიარდს შეადგენდა. სადღა იყო ის დრო, როდესაც მამა გიბერტო კურთხევის დროს ერთ სიმღერაში თორმეტ პარიზულ სუს შოულობდა. ერთ ზამთარს იმავე 61 წელს, ამ ჭრ ქალს ღერი შეშა და კონა ფინხიცი არ გააჩნდა. ძალიან ციოდა, სიცივისაგან შანტფლერის ისეთი მშვენიერი ფერი დასდებოდა, რომ მამაკაცები „პაკეტას“, ზოგნი კი „პაკერეტას“ ეძახოდნენ. სწორედ ამან დაღუპა! — ესტაშ, აღარ დავინახო, კვერს კბეჩდე! — ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ იგი დაიღუპა, როდესაც ერთ კვირა დღეს ეკლესიაში მოვიდა, ყელზე ოქროს ჯვარ-

* აყვავებული სიმღერა.

რი ეკიდა. — თოხმეტი წლის გოგო! წარმოიდგინეთ თოხმეტი წლისა! ჯერ ახალგაზრდა ვიკონტ კორმონტრებით დაიწყო, აი იმასთან, რეიმსიდან სამ მეოთხედ ლიეს მანძილზე რომ მამული აქვს; შემდეგ მესიხ ანრი დე ტრიანკურ, სამეფო კავალერი, შემდეგ უბრალოდ. შიარ დე ბოლიონ, არმიის სერჟანტი, შემდეგ, — სულ ქვევითა და ქვევით დაეშვა, — გერი ობერჟონი, მეფის ლაქია, შემდეგ. მასე დე ფრეპიუს. სამეფო ტანტის მეგევიდრის დალაქი, მეომე ტევენენ-ლე მუენ, მეფის მზარეული; შემდეგ ნაკლებ ახალგაზრდებსა და ნაკლებ წარჩინებულებზე გადადის და ბოლოს გლიომ რასინამდე, მოხეტიალე მუსიკოს-მეჩანგემდე და მეფარნე ტიერი-დე-მერიმდე დაეშვა. მერე კი, საბრალო შანტფლერი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველას და ყოველის ხელში ადვილ-ჩასადგებ ნივთად იქცა. მთელი მისი ქონებიდან, ოქროს ფულებიდან უქანასკნელი სუც გამოეღია. რაღა თქმა უნდა, ქალბატონებო! გორგეინის კურთხევის დროს, იმავე 61 წელს იგი ლოგინს უთბობდა ურცხვთა მეფეს! და ყოველივე ეს ერთი წლის მანძილზე მოხდა.

მაიეტამ ამოიოხრა და თვალეზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

— ეგ არც თუ ისეთი არაჩვეულებრივი ამბავია, — თქვა ეერგე-ზამ. — მაგრამ მე არ მესმის, რა შუაშია აქ გინდ ბოშები და გინდ ბავშვები?

— მოითმინეთ! — უთხრა მაიეტამ, — ბავშვის ამბავს ახლავე მოისმენთ. 66 წელს, ე. ი. ამ თვეს, წმინდა პავლეს დღეს თექვსმეტი წელი. შესრულდება მას შემდეგ, რაც პაკეტამ შვა გოგო. უბედურმა ქალმა დიდად გაიხარა. კარგა ხანია გულით სურდა ბავშვი შესძენოდა. დედამისი, კეთილა ქალი, რომელიც ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, უკვე მკვდარი იყო. პაკეტას ამ ქვეყნად აღარავინ ჰყავდა ისეთი, რომ მას ჰყვარებოდა, ირც ის უყვარდა ვინმეს. თავისი დაცემისა და გაპარტახების ამ ხუთი წლის მანძილზე შანტფლერი საბრალო ქმნილებად გადაიქცა. იგი მარტოდმარტო დარჩა, მარტოდმარტო ამ ცხოვრებაში, თითოთ საჩვენებელი, ქუჩის მეძავი, აბუჩად აგდებული, ნაცემ-ნაბეგვი ქალაქის გუშავთა მიერ, პატარა კონკიჟლარუნა ბიკების სამასხარაოდ გამხდარი. გარდა ამისა, მას ოცი წელი შეუსრულდა, ოცი წელი კი სიყვარულის მსახური ქალებისათვის უკვე სიბერეა. ეს გიჟური გატაცება თანდათან იმაზე მეტ შემოსავალს როდი იძლეოდა, რასაც წინათ ოქრომკედით უქმი სათამაშოების ქარგვა. ყოველი ახალი ნაოქვის გაჩენასთან ერთად მის საშოვარს თითო ეკიუ აკლდებოდა. მისთვის ზამთარი კვლავ სუსხიანი ღვებოდა, ხოლო კერაში შეშა და კიდობანში პური კიდევ უფრო იშვიათად გამოჩნდებოდა. მუშაობა აღარ შეეძლო, რადგან, რაც ავხორცობას

დაადგა, გაზარმაცდა, ხოლო რაც უფრო ზარმაცობდა, მით უფრო მეტად ავზორცობდა, მით უფრო მეტად იტანჯებოდა. თუმცა სენრემის ეკლესიის მღვდელი განგვიმარტავს, რომ ამგვარი ქალები სიბერის ემს უფრო მეტად განიცდიან სიცივესა და შიმშილს, ვიდრე სხვა მათხოვარი დედაკაცებიო.

— კი, მაგრამ ბოშა ქალები? — შენიშნა ეგრევეამ.

— აცალე ერთ წამს, ეგრევეა! — უთხრა უღარდამ, რომელიც ნაკლებ მოუთმენელი იყო მოსმენის ემს. — ბოლოს რაღა დარჩება, თუ თავიდანვე ყველაფერი გვეცოდინება? განაგრძე, მაიეტა, გუთაყვა. საბრალო შანტფლერი!

მაიეტამ განაგრძო.

— ის ძალიან დანადგლიანებული, მეტად უბედური იყო; ცრემლებმა ლოყები დაუღარა. მაგრამ მიუხედავად ამ შერცხვენისა, სიგიჟისა და მარტობისა, ასე ეგონა, ნაკლებ შერცხვენილი, ნაკლებად უგუნური და ნაკლებად შიტოვებული იქნებოდა, რომ ქვეყანად ვინმე ჰყოლოდა, ვისაც შეიყვარებდა და ვინც მის სიყვარულს გაიზიარებდა. მას ბავშვი უნდოდა, რადგან მხოლოდ უმანკო ბავშვს შეეძლო მისი შეყვარება. ის ამაში დარწმუნდა მას შემდეგ, რაც შეეცადა შეეყვარებინა ერთი ქურდი, ერთადერთი მამაკაცი, ვისაც კიდევ შეეძლო ჰქონოდა მისი ნდომი-სურვილი, მისი წადილი. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ქურდსაც კი სძულდა იგი. გულის სიცარიელის შესავსებად სიყვარულის მსახურ უწესო ქალებს ან საყვარელი სჭირდებოდათ ან ბავშვი. თორემ უამისოდ ისინი მეთისმეტად უბედურნი არიან. რაკი საყვარელი ვერ გაიჩინა, მთელი თავისი სურვილი და სასოება ბავშვისკენ მიმართა. რადგან მას ღვთისმოსაობა არასოდეს არ დაუგდია, ამის გამო მუდამ ევედრებოდა მოწყალე ღმერთს. მოწყალე ღმერთმაც შეიბრალა იგი და უძღვნა პატარა გოგონა. ვერ გეტყვით, რა სიხარული განიცადა. ეს იყო გაშმაგებული ნიაღვარი ცრემლებისა, ალერსისა და კოცნისა. ძუძუს თვითონ აწოვებდა თავის ბავშვს. თავისი ერთადერთი საბნოდან, ლოგინზე რომ ეხურა, არტახები შეუქერა და ამიერიდან აღარც სიცივეს გრძნობდა და აღარც შიმშილს. ისევ დაუბრუნდა სილამაზე. მობერებული ქალიშვილი ახალგაზრდა ყმაწვილ დედად იქცა. სამიჯნურო ურთიერთობანი განაზღვრა, კვლავ იწყეს შანტფლერისთან სიარული, ისევ გამოუჩნდა მუშტარი მის საქონელს. მთელი ამ საზიზღრობით ნაშოვნი ფულით ყიდულობდა ბავშვის თეთრეულს, სახვევებს, თავსაბურავებს, სადორბლებს, გულსაფარებს, მაქმანიან პერანგებს და ატლასის პაწია ჩაჩებს; არც კი უფიქრია თავისთვის ისევ ეყიდა საბანი. — ბატონო ესტაშ, მე უკვე გითხა-

რით, ნუ ვამთ კვერს! — დარწმუნებული ვარ, პატარა აგნესას, — ასეთი იყო ბავშვის სახელი, ნათლობის სახელი, რადგან გვარის სახელი შანტფლერის დიდი ხანია აღარ ჰქონდა, — უეჭველად იმ ჩვილ ბაბლს უფრო მეტი სახვევები. ბაფთები და ნაქარგი ჰქონდა, ვიდრე ტახტის მემკვიდრის საუფლისწულო მამულის მფლობელის ქალიშვილს ექნებოდა. სხვა ნივთთა შორის მას ჰქონდა წყვილი პაწია მაშია, რომელთა მსგავსი უთუოდ მეფე ლუი XI-საც არ ეცვა ბავშვობისას! — დედა თვითონ უყვარდა და უქარგავდა ოქრომკედლით მქარგავს მთელი სიფაქიზითა და უბიწო ქალწულის, ღვთისმშობლის კალთასავით მორთო. ის ორი პაწია ვარდისფერი მაშია მეტ-სწეტად ტურფა და ლამაზი იყო, როგორც კი შეიძლება ნახოს ადამიანმა. სიგრძით ისინი ჩემი ცერისოდენა იქნებოდა, და ვერ იფიქრებდით. რომ ფეხზე მოერგებოდა, ვიდრე არ ნახავდით, როგორ ხდიდნენ ბავშვს პაწია ფეხებიდან ამ მაშიებს. ჭეშმარიტად, ეს ფეხები ისეთი პაწია, ისეთი ლამაზი, ისეთი ვარდისფერი იყო, რომ მაშიების ატლასზე უფრო ვარდისფერი! — როდესაც თქვენ ბავშვები გეყოლებათ, უღარდა, გაიგებთ, რომ ამ პაწია ხელებსა და ფეხებზე უფრო ლამაზი ამ ქვეყნად არა არის რა!

— სიამოვნებით, უარს არ ვიტყოდი, — თქვა ამოხვრით უღარდამ. — მაგრამ უნდა ვიცადო მანამდე, სანამ ბატონი ანდრი მიუნიე იწებებდეს.

-- თუმცა, — განაახლა თხრობა მაიეტამ, — პაკეტას ბავშვს მარტო ფეხები როდი ჰქონდა ლამაზი. მე ვნახე იგი, როცა ოთხი თვისა იქნებოდა. ნამდვილი ამური იყო! დიდრონი თვალები ჰქონდა, უფრო დიდი, ვიდრე პირი; წარმტაცი შავი თმები, ნაზი და უკვე ხუჭუჭა. თექვსმეტი წლისათვის საამაყო სილამაზის შავგვრემანი გოგონა იქნებოდა! დედა ყოველ დღე სულ უფრო და უფრო გყვებოდა მისი სიყვარულით. ეალერსებოდა, კოცნიდა, ულიტინებდა, ბანდა, რთავდა, კაზმავდა, ეამბორებოდა! საბრალო დედამ თავი დაივიწყა. ღმერთს მადლობას სწირავდა. მეტადრე ეს ვარდისფერი ლამაზი ფეხუნები ხიბლავდა, აოცებდა უსაზღვროდ, სიხარულისაგან ბოდავდა! მუდამ ზედ ჰქონდა ბავშვი დაკონებული, ვერ სცილდებოდა პაწია ტერფებს, გონს ვეღარ მოდიოდა. აცმევდა და ისევ ხდიდა პატარა მაშიებს, ტკებოდა პაწაწიკინტელა ფეხების ცქერით, ეთაყვანებოდა და იხიბლებოდა, მთელი ცისმარე დღე უყურებდა მათ. გული უჩქროლავდა, როცა ხედავდა, როგორ ცდილობდნენ ისინი ლოგინზე გავლას და სიამოვნებით გაატარებდა მთელ თავის სიცოცხლეს მუხლებზე დამხობილი, ოღონდ კი ასე ეცმია და ეხადნა ამ ფეხებისათვის პაწია მაშიები, ვითარცა ფერხთათვის ყრმა იესოსი.

— მშენიერი მოთხრობაა, — თქვა დაბალი ხმით ეერვეზამ, — მაგრამ სად არის მთელ ამ ამბავში ბოშა?

— ახლავე მოგახსენებთ, — უპასუხა მაიეტამ. — ერთ დღეს რე-
იმსში მეტად უცნაური მხედრები მოვიდნენ. ისინი მათხოვრები
და მაწანწალები იყვნენ, მთელ ქვეყანას უვლიდნენ თავიანთი დუ-
კებისა და გრაფების ხელმძღვანელობით. ყველა შავი, ყარაჩი იყო,
ყველას უცლებლივ ხუჭუჭა თმა ჰქონდა და ყურებში ვერცხლის
რგოლები ჰქონდათ გაყრილი. ქალები კიდევ უფრო შეუხედავნი
იყვნენ, ვიდრე კაცები. სახე უფრო შავი და მუდამ ახილი ჰქონდათ.
ტანზე უშნო კვარტები შემოეცვათ, ძველი ჯვალოსგან ნახვლანჯი,
მხრებზე თოკებით გადაბმული, თმები ცხენის კუდივით ჩამოჰ-
კიდებოდათ. მათ ფეხებთან მოფუსფუსე ბავშვებს თვით მაიუმნე-
ბიც კი შეეძლოთ დაეფრთხოთ. უღვთოთა და ეკლესიიდან განკე-
თილთა ხროვა იყო. ყველა ისინი ქვემო ეგვიპტიდან, პირდაპირ პო-
ლონეთზე გამოვლით, რეიმს მოაწყდნენ. ამბობდნენ, მათ თვით პაპ-
მა ათქმევინა აღსარება და მოსანანიებლად შვიდი წელიწადი ზედ
მიყოლებით უნდა ეწანწალათ მთელ ქვეყანაზე ღია ცის ქვეშ და
ლოგინი არ უნდა დაეგოთო. ამიტომაც მათ მომნანიებლებსაც უწო-
დებდნენ და მყრალი სუნი უდიოდათ. ისინი მგონია, ოდესღაც სა-
რაციანები ყოფილან, ამიტომაც იუპიტერი ურწმუნიათ და ათ ტუ-
რის ლივრს მოითხოვდნენ ყველა კვერთხოსან და მიტროსან არქი-
ეპისკოპოსის, ეპისკოპოსისა და აბატისაგან. და ყოველივე ეს ვი-
თომც პაპის ბულის თანახმად ხდებოდა. რეიმსში იმიტომ მოვიდ-
ნენ, რომ ბედ-იღბალი ეწინასწარმეტყველათ ალყირის მეფისა და
გერმანიის იმპერატორის სახელით. თქვენ თვითონ იფიქრეთ, მათ
აკრძალული ჰქონდათ ქალაქში შესვლა. მაშინ მთელი ეს ხროვა
სიამოვნებით დაბანაკდა ბრენის კიშკრის ახლოს, იმ ბორცვზე,
სადაც წისქვილია, ცარცის ძველი ორმოების გვერდით. ცხადია,
მთელი რეიმსი მათ სანახავად გაეშურა. ისინი ადამიანებს ხელებს
უსინჯავდნენ და ყოველგვარ სასწაულებას უწინასწარმეტყველებ-
დნენ. მათ შეეძლოთ იუდასთვისაც კი ეწინასწარმეტყველებინათ პაპი
გახდებო. მაგრამ ამასთან ცუდი ხმა გავრცელდა, ბავშვებს იტაცე-
ბენ, კაცს ქისას აჭრიან და ადამიანის ხორცს სჭამენო. კუუადაძვდარი
ადამიანები უგუნურებს ურჩევდნენ: „იქ არ წახვიდეთო“, თვითონ
კი იღუმალ იპარებოდნენ. ყველა გულისთქმასა და ფეხის ხმას
აჰყვა. მართალია, ისინი ისეთ რამეებს უწინასწარმეტყველებდნენ,
რომ თვით კარდინალსაც კი გააკვირვებდნენ. დედებს ამაყად ეჭი-
რათ-თავი და ღილ ზეიმში იყვნენ თავიანთი ბავშვების გამო მას
შემდეგ, რაც ბოშა ქალებმა მათ ხელებზე ამოიკითხეს წარმართულ

და თურქულ ენებზე დაწერილი ყოველგვარი სასწაულებანი. ერთის ბავშვი მომავალი იმპერატორი იქნებაო, მეორისა — პაპი, მესამისა — მხედართმთავარიო. საწყალი შანტფლერიც ცნობისმოყვარეობამ აიტაცა. მასაც უნდოდა გაეგო თავისი შვილის მომავალი ბედ-იღბალი, ხომ არ ეწერა მის პაწია ლამაზ აგნესას ოდესმე სომხეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის დედოფალი გამხდარიყო. და აი ისიც გაემართა ბოშებისაკენ. ბოშა ქალები აღტაცებული იყვნენ ბავშვის გამო, ეალერსებოდნენ, კოცნიდნენ თავიანთი შავი ტუჩებით და მოხიბლული იყვნენ მისი პაწია ხელით. ვაი, რომ ყოველივე ეს დედის გულში დიდ სიხარულს ბადებდა. მეტადრე მისმა ლამაზმა ფეხებმა და მშვენიერმა მაწიებმა აღაფრთოვანა ისინი. ჯერ კიდევ ერთი წლისაც ვერ იყო ბავშვი, მაგრამ უკვე ტიტინებდა, დედის დანახვაზე გულიანად კისკისებდა, ფრფენდა; ფუნჩულა იყო, მთლად მრგვალი. თავისი პაწია, ათასნაირი მომხიბლავი ტანთმოძრაობით სამოთხის ანგელოზს ჰგავდა. ბოშა ქალები რომ დაინახა, შეეშინდა და ატირდა. მაგრამ დედამ მაგრად აკოცა და იქიდან აღტაცებული წამოვიდა იმ ბედნიერი მომავლის გამო, რომელიც გულთმისანმა მის აგნესას უმკითხავა. გოგონა სილამაზისა და სათნოების განსახიერება, დედოფალი გახდებოდა. დედა დაბრუნდა თავის ქოხში დიადი გოდების ქუჩაზე იმ სიამაყის გრძნობით, რომ შინ მომავალი დედოფალი მოჰყავდა. მეორე დღეს მან ერთი წუთით ისარგებლა, როცა ბავშვს მის ლოგინში ეძინა, — გოგონას მუდამ თავის გვერდით იწვენდა, — კარები ოდნავ გაღებული დატოვა და საშრობელას ქუჩაზე მეზობელთან გადაირბინა, რათა ეამბო, რომ დადგებოდა დღე, როდესაც მის ასულს აგნესას სუფრაზე მოემსახურებოდა ინგლისის მეფე და ეთიოპიის ერცჰერცოგი, და ასობით სხვა მოულოდნელი ამბავი! სახლში დაბრუნებულს კიბეზე ასვლისას ბავშვის ტირილი რომ არ მოესმა, თავის თავს უთხრა: — კარგია, ბავშვს ისევ ძინავს. მაგრამ კარი უფრო მეტად დაუხვდა გაღებული, ვიდრე თვითონ დატოვა. საბრალო დედა მაინც შევიდა შინ, საწოლთან მიირბინა... — ბავშვი იქ აღარ იყო, ლოგინი ცარიელი დაუხვდა. ბავშვისა იქ აღარა იყო რა, გარდა ცალი ლამაზი ფეხსაცმლისა. ოთახიდან გარეთ გავარდა, კიბეზე თავქვე დაეშვა, კედლებზე თავს ახლიდა და თან ყვიროდა: — ჩემო შვილო, ჩემო გოგონავ! სად არის ჩემი ბავშვი? ვინ მომტაცა ჩემი შვილი? ქუჩა უკაცრიელი იყო, სახლი განმარტოებული; არავის შეეძლო რამე ეთქვა მისთვის. ქალაქი შემოირბინა, ყველა ქუჩა გაჩხრიკა, მთელი დღე ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ. გაგუებული, გონებადაკარგული, გზააბნეული და საზარელი ყნოსავდა კარებსა და ფანჯრებს როგორც ლეკვებდა-

კარგული ველური მხეცი. აქაქანეზულს. გამშ-გებულს. თმაგაწეწ-
 სა და შესახედავად სამინელს თვალეზში ცრემლთა გამაშრობელი
 ცეცხლი უფიზგიზებდა. გამვლელეზს აჩერებდა და ყვიროდა: ჩემი
 გოგონა! ჩემი ასული! ჩემი პატარა ლამაზი ქალიშვილი! მონა-მოახ-
 ლე ვიქნები მისი, ვინც ჩემს შვილს დამიბრუნებს, მსახური მისი
 ძაღლისა, დაე, გულე მე შემოქამოს, თუ ისურვებს. როდესაც სენ-
 რემის საყდრის მღვდელს შემოხვდა და უთხრა: — მამაო, ჩემო,
 უფალო მღვდელო, ჩემი ფრჩხილებით მიწას გადაეხნავ, ოღონდ კი
 შვილი დამიბრუნეთ! გულის გამგმირავი სანახაობა იყო, უღარდა
 მე ვნახე. თვით ყველაზე გულქვა ადამიანიც კი, პროკურორი,
 მეტრ პონს ლაკაბრი ტიროდა. აჰ! საბრალო დედა სადამოს შინ
 დაბრუნდა. მისი შინ არ ყოფნის დროს, მეზობელ ქალს დაუნახავს,
 როგორ ავიდა ჩუჰად მის სახლში ორი ბოშა დედაკაცი, ხელში რა-
 ლაცა სკერიათ გახვეული. შემდეგ კარი ისევ მიუხურავთ, დაბლა
 ჩამოსულან და ერთ-სყოფით გაქცეულან. მათი წასვლის შემდეგ
 პაკეტას ბინიდან რაღაც ბავშვის ტირილი მოესმათ. გახარებულმა
 დედამ გაღიზარხარა. კიბე ფრთაშესხმულივით აირბინა, კარი გრუ-
 ხუნით გამოაღო და შევიდა. მაგრამ რა საშინელება დახვდა,
 უღარდა! მისი პატარა ლამაზი, ლოყაწითელი, ესოდენ დაეღაჟა და
 ესოდენ ქორფა აგნესას მაგიერ, ამ ღვთით ბოძებული მადლის მა-
 გიერ ფილაქანზე წკმუტუნითა და წრიპინით დაბობღავდა რაღაც
 საზარელი სიმახინჯე, რაღაც ურჩხული, კოკლი, ბრუციანი, უსახუ-
 რი. შეძრწუნებულმა თვალეზზე ხელი მიითარა. — „ოჰ, — თქვა მან, —
 ნუთუ ჯადოქრებმა ჩემი გოგონა ამ საშინელ ცხოველად აქციეს?“ —
 პატარა ფეხმოღრეცილი მაიმახი საჩქაროდ წაიყვანეს. ის გააგეებ-
 და, კეჟაზე შეშლიდა ქალს. ეს საზარელი ურჩხული ბავშვი რომე-
 ლიმე ბოშა ქალისა და ეშმაკის ნაშიერი თუ იქნებოდა. იგი ოთხი-
 დე წლის ჩანდა და რაღაც არაადამიანურ ენაზე გაუგონარ სიტყვებს
 ბურტყუნებდა. — შანტფლერი იატაკზე დაეცა, პაწია მაშია ჩაბლუ-
 ჯა. ესლა დარჩენოდა ყოველივე იქიდან, რაც მას უყვარდა. დიდ-
 ხანს ეგდო იგი ძირს უძრავად, დამუნჯებული, დადუმებული,
 სუნთქვაშეკრული. ისე რომ, ეგონათ, სული განუტევაო. უცბად
 მთელი სხეულით აძიგძიგდა, გიჟური კოცინით დაფარა თავისი უწ-
 მინდესი ნივთა. ისეთი ქვითინი აღმოხდა, გეგონებოდათ, გული გას-
 კდომას აპირებსო. გარწმუნებთ, ყველანი ვტიროდით, იგი მოთქვამ-
 და: — ოჰ, ჩემო პატარა გოგონავ! ჩემო ლამაზო, პატარა ქალიშვი-
 ლო! სადა ხარ?“ გულ-მუცელს დაგწვავდათ ეს საცოდაობა. მე ეხლაც
 ვტირი, როცა ვიგონებ მას. წარმოგიდგენიათ, ჩვენი ბავშვები? ესენი
 ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია. — ჩემო საბრალო ესტაშ! შენ ასეთი

მშვენიერი ხარ! თქვენ რომ იცოდეთ. რა კარგია იგი! გუშინ მოხრა: „მე აბჯროსანი მხედარი უნდა გამოვიდო“. ო, ჩემო ესტაშ! შენ რომ დამეკარგო! — უცბად წამოდგა შანტფლერი და რეიმსის ქუჩებში გავარდა, თან ყვიროდა: „ბოშების ბანაკში! ბოშების ბანაკში! გუშაგებს დაუქანეთ, რომ ცეცხლში დავწვათ ჯადოქრები!“ მაგრამ ბოშები აყრილიყვნენ. უკუენეთი დამე ჩამოწვა. გამოდევნება შეუძლებელი იყო. მეორე დღეს, რეიმსიდან ორ ლიეზე, მანანით დაფარულ ტიალ ადგილზე. გუესა და ტილუას შორის, ნახეს დიდი კოცონის კვალი, რამდენიმე ბაფთა, რომლებიც პაკეტას ბავშვს ეკუთვნოდა, სისხლის წვეთები და თხის სკორე. წინდლით სწორედ შაბათი იყო. ექვი აღარ იყო, რომ ბოშებმა ამ ტიალ მინდორზე მოაწყეს თავიანთი შაბათობა, კუდიანთა დამის ღრეობა და ბელზებელის საზოგადოებაში შესანსლეს ბავშვი, როგორც ეს სჩვევიათ მაჰმადიანებს. შანტფლერიმ ეს საშინელი ამბავი რომ გაიგო, აღარც უტირია, მხოლოდ ტუჩები აცემაცუნა, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ველარ ახერხებდა. მეორე დღეს თმა უკვე გაქლარავებოდა. მესამე დღეს სრულიად გაქრა.

— მართლაც საშინელი ისტორიაა, — თქვა უდარდამ, — ბურ-გუნდელსაც კი აატირებს!

— ახლა კი აღარ მიკვირს, — დაუროთ ეერვეზამ, — რატომ გაურბიხართ ასე შიშით შეპყრობილი ბოშებს.

— და თქვენ მით უფრო უკეთესად მოიქეცით, — განაგრძო უდარდამ, — რომ დროზე გაეცალეთ თქვენი ესტაშით ამ ბოშებს, იმიტომ რომ ესენიც პოლონეთიდან არიან.

— არა, — თქვა ეერვეზამ, — ამბობენ, ესენი ესპანეთიდან და კატალონიიდან მოვიდნენო.

— კატალონიიდან? შესაძლებელია, — უპასუხა უდარდამ, — პოლონია, კატალონია, ვალონია, — ეს სამი პროვინცია მუდამ ერთმანეთში მერევა. ერთი რამ უდავოა, ისინი ბოშები, მეგვიპტელნი არიან.

— უეკველია, — დაუმატა ეერვეზამ, — რომ მათ სკამოდ გრძელი კბილები აქვთ, რათა პატარა ბავშვები შეკამონ. და არც ის გამიკვირდება, ეს სმერალდა პატარებს სკამდეს და პირს იტკბარუნებდეს. მისმა თეთრმა თხამ ძალიან ვერაგული ოინები იცის, მანდ რაღაც უღვთობა თუ უწმინდურობა და წრეგადასულობა უნდა იფარებოდეს.

მაიეტა ჩუმად მიდიოდა. იგი შთანთქმული იყო იმ ფიქრებით, რომელიც თითქოს ერთგვარი გაგრძელება არის ხოლმე სამწუხარო მოთხრობისა, და არ წყდება მანამდე, სანამ მის მიერ გამოწვეული

ღელვა და ძრწოლა გულის უკანასკნელ ძარღვს არ აათრთოლებს. ამ დროს ეერვეზამ მიმართა:

— ასე რომ, ვერავინ შესძლო გავეგო, რა მოუვიდა შანტფლერის?

მაიეტამ არა უპასუხა რა. ეერვეზამ კითხვა გაუმეორა, ხელით შეანჯღღრია და სახელი შეუძახა. მაიეტა თითქოს ფიქრებიდან გამოეგნო.

— რა მოუვიდა შანტფლერის? — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა სიტყვები, რომლებიც ახლახან მის ყურში ეღერდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა, რათა ყურადღება მოეკრიფა ამ სიტყვების აზრის გასაგებად:

— აჰ! — უპასუხა სწრაფად, — არავინ იცის.

მცირე შეჩერების შემდეგ დაუმატა:

— ერთნი ამბობდნენ, ვითომც მწუხრზე ენახოთ ბინდისას რეიმსიდან ფლეშამბოს ჰიშკრით მიმავალი; მეორენი ამტკიცებდნენ, ეს ამბავი ცისკრისას მოხდა და იგი ბაზეს ძველი ჰიშკრიდან გავიდაო. ერთ გლახას მისი ოქროს ჯვარი უნახავს ქვის ჯვარზე დაკიდებულ მიწოდროში, სადაც ბაზრობა იმართება ხოლმე. ეს ის განძი იყო, რომელმაც იგი დალუბა 61 წელს, მისი პირველი საყვარლის ლამაზ ვიკონტ დე კორმონტრეის საჩუქარი. პაკეტა არასდროს არ იცილებდა მას, რაც უნდა გაკირება ჰქონოდა. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ამიტომ, როცა ესე ოხრად მიტოვებული ჯვარი ენახეთ, ვიფიქრეთ, მომკვდარაო. თუმცა კაბარე-ლე-ვოტელი აღამიანები ამბობენ, ვითომც პარიზის შარავზაზე ფეხშიშველი ქვებზე მიმავალი ენახოთ. მაგრამ მაშინ იგი ქალაქიდან ველის ჰიშკრით უნდა გასულიყო. ყოველივე ეს რაღაც ერთმანეთს არ ეთანხმება. მე კი მგონია, თუ უკეთ ვიტყვი, ის მართლაც ველის ჰიშკრიდან გავიდა, მაგრამ ამ გზით მან წუთისოფელიც მიატოვა.

— მე თქვენი არ მესმის, — უთხრა ეერვეზამ.

— ველ-ი, — უპასუხა მაიეტამ ნაღვლიანი ღიმილით, — მდინარეა.

— საბრალო შანტფლერი! — თქვა შეძრწუნებულმა უღარდამ და გააყრყოლა, — მაშ, თავი დაიხრჩო!

— თავი დაიხრჩო! — უპასუხა მაიეტამ. — განა ოდესმე იფიქრებდა გულკეთილი მამამისი გიბერტო, როდესაც მდინარე სიმღერით ჩაუვლია ტენკეს ხიდქვეშ თავისი ნავით, რომ ერთ დღეს მისი საყვარელი პატარა პაკეტაც ჩაივლიდა ამ ხიდქვეშ, მაგრამ უნავოდ და უსიმღეროდ, ენადამუნჯებული?

— რა იქნა პაწია მაშია? — ჰკითხა ეერვეზამ.

— დედასთან ერთად გაქრა, — უპასუხა მაიეტამ.

— საწყალი პატარა მაშია! — თქვა უღარდამ.

ჩათქვირებული და მგრძნობიარე ქალი უდარდა მზად იყო მაიეტა-ტასთან ერთად ოხვრასა და ეიშვიშს დასჯერებოდა, მაგრამ უფრო ცნობისმოყვარე ეერვეზა კითხვებს აღარ ათავებდა.

— ურჩხული? — უცბად ჰკითხა მან.

— რომელი ურჩხული? — კითხვა შეუბრუნა მაიეტამ.

— ბოშათა პატარა ურჩხული, ჯადოქრებმა შანტულერის რომ დაუტოვეს მისი ქალიშვილის მაგიერ? მას რალა უყავით? იმედი მაქვს, ისიც წყალში დაახრჩეთ.

— არა, — უპასუხა მაიეტამ.

— რაო! მამ დასწვით? ეს უფრო მართებულია ჯადოქრის ნაშეიერისათვის.

— არც ერთი და არც მეორე. ეერვეზა. ბატონი არქიეპისკოპოსი დანტერესდა ბოშათა ბავშვის გამო, შეულოცა, აკურთხა, მონათლა, სრულიად განდევნა მისი სხეულიდან ეშმა და პარიზს გაგზავნა ღვთისმშობლის ტაძრის ხის საწოლზე გამოსაფენად როგორც ნაპოვნი ბავშვი.

— ეს ეპისკოპოსებიც! — თქვა ეერვეზამ ბუზღუნით, — აქაოდა ნასწავლები ვართო, იმას როდი აკეთებენ, რასაც სხვები. ერთი მი-თხარით, უდარდა, გეთაყვა, განა შეიძლება ეშმაკის დაწვევა ნაპოვ-ნი ბავშვების ბაგაზე! დარწმუნებული ვარ თვით ეშმაკი იყო ეს პატარა ურჩხული. მერე და რა დაემართა მას პარიზში, მაიეტა? ცხადია, არც ერთი გულშემატივარი ქრისტიანი არ ინდომებდა მის აყვანას.

— არ ვიცი, — უპასუხა რეიმსელმა. — სწორედ ამ დროს ჩემმა ქმარმა შეისყიდა ბერიუს სოფლის ნოტარიუსის თანამდებობა, რეიმსიდან ორ ლიეზე, და ამ ისტორიისათვის ყური აღარ გვიგდია. მით უფრო, რომ ბერიუს წინ მდებარე ორი ბორცვი თვით რეიმსის კათედრალის სამრეკლოსაც კი გვიფარავს და გვიკარგავს თვალთავან.

ამ ლაპარაკში სამმა ღირსეულმა ქალაქელმა ქალმა გრევის მოე-დანს მიადწია. საუბარსა და ფიქრებში გართულებმა როლანდის კოშკის საჯარო ლოცვანს ისე ჩაუარეს, რომ არც კი შეჩერებულან და ანგარიშმიუცემლად გეზი აიღეს სამარცხვინო ბოძისაკენ, რომ-ლის ირგვლივ ბრბო ყოველ წუთს იზრდებოდა. შესაძლებელია, სა-ნახაობას, რომელიც ამჟამად ყველას მზერას იზიდავდა, სულაც დაევიწყებინა მათთვის თავის სორო და ის, რომ ისინი აქ უნდა შეჩერებულიყვნენ, თუ ექვსი წლის ბუთხუზა ესტაში, რომლისთვისაც მაიეტას, ხელი მოეკიდა, უცბად არ მოაგონებდა მათ:

— დედა, — უთხრა მან, თითქოს რაღაც აღლომ უქარნახა, რომ

თავის სორო უკან დარჩა, — დედა, ახლა შემიძლია შევექაშო ტკბილი ნამცხვარი?

ესტაში რომ უფრო მოხერხებული, ესე იგი, ნაკლებ მსუნაგი ყოფილიყო, დაიცდიდა უნივერსიტეტის უბანში მადამ-ლა-ვალანსის ქუჩაზე მეტრ ანრი მიუნიეს ბინაში დაბრუნებამდე და არ გაბედავდა მოკრძალებულ. კითხვას: — დედა, ახლა შემიძლია შევექაშო ტკბილი ნამცხვარიო, — მაშინ თავის სოროსა და კვერს შორის იქნებოდა სენის ორი ტოტი და სიტეს ხუთი ხიდი.

ესტაშის მიერ დასმულმა ამ წინდაუხედავმა და აჩქარებულმა კითხვამ იმავე წუთს მიიპყრო მაიეტას ყურადღება.

— მართლა, — შესძახა მან, — ჩვენ დაგვაიწყდა დაყუდებული განდგეგილი! მაჩვენეთ ეგ თქვენი თავის სორო, რომ გადავცე ნამცხვარი.

— ეხლავე, — თქვა უდარდამ — ეს საქველმოქმედო საქმეა.

მაგრამ ესტაშის ვარაუდი ასეთი როდი იყო.

— როგორ! ეს ჩემი კვერია! — თქვა მან, და ხან ერთი და ხან მეორე ყური რიგრიგობით მხრებზე გაიხახუნა, რაც ამ შემთხვევაში უკიდურესი უკმაყოფილების ნიშანია.

სამივე ქალი უკან მიბრუნდა. როდესაც როლანდის კოშკის სახლს მიადწიეს, უდარდამ ორივეს უთხრა:

— სამივემ ერთად არ უნდა შევიხედოთ სოროში, თორემ ძაძიანი შეშინდება. თქვენ ორივემ ისე დაიჭირეთ თავი, ვითომც ლოცვანში კითხულობთ Dominus*-ს, ამასობაში მე ცხვირს შევეყოფ საკმელში. ძაძიანი ცოტას მიცნობს. მე შეგატყობინებთ, როდის შეგიძლიათ მოსვლა.

იგი მარტო მივიდა საკმელთან. წამსვე, როგორც კი შიგნით შეიხედა, სახის ნაკვეთებზე ღრმა სიბრაღული აესახა, მხიარული და გაბადრული სახის გამომეტყველება და ფერი ისე უეცრივ შეეცვალა, თითქოს მზის სხივმა გადაუარა და მთვარის შუქი დაეცაო ზედ. თვალები მოუწყლიანდა, ბაგენი მოეკუმა, თითქოს ტირილს აპირებდნო. ერთი წუთის შემდეგ ტუჩებზე თითი მიიღო და მაიეტას ანაშნა სანახავად მისულიყო.

აღელვებული და გაჩუმებული მაიეტა ფეხის ფრჩხილებზე აწეული მივიდა, თითქოს მომაცვდავის სარეცელს უახლოვდებოდა.

მართლაც ორივე ქალს თვალწინ სამწუხარო სანახაობა წარმოუდგა, როდესაც უძრავებმა და სუნთქვაშეკრულებმა თავის სოროს ბაღურთან საკმელში შეიხედეს.

* უფალო.

სენაკი ვიწრო იყო. უფრო კი განიერი, ვიდრე ღრმა; ისრულთა-
ლიანი, და შავნიდან საემაოდ მოგაგონებდათ ეპისკოპოსის დიდი
მიტრის შინაშის. მოშიშველებულ ფილაზე, რომელიც იატაკს წარმო-
ადგენდა. ერთ-ერთ კუთხეში ქალი ჩაცუტქულიყო. ნიკაპი მუხლებ-
ზე დაებრჯინა, ორივე ხელი ჯვარედინად მკერდზე მაგრად მიეჭლო.
ამრიგად მოკრუნჩხულს, მთლად ფართო ნაოქებად დაკეცილ თაღს
ტომარისებურ ძაძაში გახვეულს გრძელი ქალარა თმები სასხეზე
ჩამოშვებოდა და ფეხების გასწვრივ თვით ტერფებამდე ჩამოშლო-
და. პირველი შეხედვით სენაკის ბნელ სიღრმეში ადამიანს უცნაუ-
რი ფორმის გამოსახულებად. რაღაც შავ სამკუთხედად წარმოუდგე-
ბოდა. რომელიც სარკმლიდან შესულ დღის სინათლეზე ორ ქუფრ
და ნათელ ელფერად მკაფიოდ იყოფოდა. იგი ნახევრად ჩრდილიან,
ნახევრად განათებულ მოჩვენებას ჰგავდა. როგორსაც სიზმარში ან
გოიას¹ არაჩვეულებრივ ნაწარმოებებში ვნახულობთ, ფერმკრთალს,
უძრავს, ავებდითს, ვინმეს საფლავეზე ჩამომჯდარს ან საპატიმროს
ბადესთან აკრულს. იგი არ ჰგავდა არც ქალს, არც კაცს, არც ცოც-
ხალ არსებას, არც რაიმე გარკვეულ ფორმას; იგი რაღაც ფიგურის
მოსახულობას წარმოადგენდა; რაღაც მოჩვენებას, რომელშიც რეა-
ლური და ფანტასტიკური ერთმანეთს ჰკვეთდნენ, როგორც სინათლე
და სიბნელე, მიწამდე ჩამოშლილ თმებს ქვეშ ძლივს გაიარჩეოდა
მოქანცული, მკლე და მკაცრი პროფილი; კაბის კალთის ქვეშ სულ
მცირედ მოჩანდა მაგარსა და გაყინულ-გათოშილ ფილაქანზე მოკ-
რუნჩხული შიშველი ფეხის წვერი. მნახველს ყრუანტელსა ჰგვირი-
და ძლივს შესამჩნევი ადამიანური სახე. რომელსაც ბუნდოვნად
გაარჩევდა ამ თაღსმოსილ სამგლოვიარო გარსში.

კაცი იფიქრებდა, თითქოს ეს, ქვის ფილაზე დაკრული ფიგურა,
არც მოძრაობდა, არც ფიქრობდა, არც სუნთქავდა. ტილოს თხელი
ტომარისებური პერანგით გრანიტის შიშველ ფილაქანზე იწვა,
ბნელ დილეგში ცეცხლი არ ენთო, ერთადერთი ირიბი სასულე
სარკმელი არასოდეს მზის სხივს არ უშვებდა და გარედან მხოლოდ
ჩრდილოეთის ქარს, თოშსა და ყინვას ატარებდა, მაგრამ იგი სიცი-
ვეს მაინც არ გრძნობდა, ტანჯვას არც კი იმჩნევდა. თითქოს ქვად
ქცეულიყოს დილეგის ქვის კედელთა შორის, თითქოს ყინულად
გარდაქმნილიყოს ზამთრის სუსხისაგან. ხელები ჯვარედინად გა-
დაეჭლო. თვალები გაშტერებოდა. პირველი შეხედვით მოჩვენება
გეგონებოდათ, მეორე შეხედვაზე — ძეგლი.

მაგრამ დროგამოშვებით გალურჯებული ბაგენი მაინც თრთოლ-
ვით გაიპობოდა და ოხერა აღმოხდებოდა. თუმცა ისეთი მკვდრუ-
ლი და ისეთი უნებლიე როგორც დამკვნარ ფოთოლთა რხევა ქარზე.

მის დაღვრემილ თვალთაგან მაინც გამოკრთოდა მზერა. მზერა გაურკვეველი და გამოუთქმელი, მზერა ღრმა, კუმტი. აღუშფოთებელი, მუდამ მიპყრობილი სენაკის გარედან შეუმჩნეველ კუთხეს, მზერა, რომელიც, ჩანს, კავშირს აბამდა ამ მწუხარე სულის შავ-ბნელ ფიქრებსა და რაღაც იღუმალ საგანს შორის.

ასეთი იყო ეს ქმნილება. რომელსაც თავისი სამყოფელის გამო დაყუდებული განდევნილი ერქვა, ხოლო ტანისამოსის გამო ძაძიანი.

სამივე ქალი იცქირებოდა სარკმელში, რადგან მაიეტასა და უდარდას ჟერვეზაც შეუერთდა. თუმცა მათი თავები დილეგის ისედაც სუსტ სინათლეს უფარავდნენ, ბედკრული ადამიანის ყურადღება მაინც ვერ მიიპყრეს.

— მყუდროებას ნუ დავურღვევთ, — თქვა დაბალი ხმით უდარდამ, — იგი აღტყინებულია, ლოცულობს.

ამავე დროს მაიეტა სულ უფრო და უფრო გრძნობამორეული აკვირდებოდა გამოფიტულ, დამკვნარ. თმაგაწეწილ თავს, და თან თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— რა უცნაურია! — ბუტბუტებდა იგი.

მან თავი სასულე სარკმლის ძელაკებს შორის შეყო და მოახერხა იმ კუთხისათვის შეეხედა. საითაც მოუცილებლად მიპყრობილი იყო უბედური ადამიანის მზერა.

როდესაც სარკმლიდან თავი გამოყო, სახე ცრემლებით ჰქონდა დასველებული.

— რას ეძახით ამ ქალს? — ჰკითხა უდარდას.

უდარდამ უპასუხა:

— ჩვენ დაგ გუდულას ვუხმობთ.

— მე კი, — უპასუხა მაიეტამ, — პაკეტა ლა შანტფლერის დავუძახებდი.

მაშინ თითი პირზე მიიღო, უდარდას ანიშნა თავი სარკმელში გაეყო და შეეხედა.

უდარდამ შეიხედა და იმ კუთხეში, სადაც მიშტერებული იყო განდევნილის პირქვეში აღტყინებით ანთებული თვალი. დაინახა ოქროსფერი ატლასის პატარა მაშია, ათასნაირი ოქროს და ვერცხლის კილიტებით მოქარგული.

უდარდას შემდეგ ჟერვეზამ შეიხედა და უბედური დედის ხილვის გამო სამივე ქალმა ტირილი მორთო.

მაგრამ ვერც მათმა კქერამ, ვერც მათმა ცრემლებმა ვერ მიიპყრეს განდევნილის ყურადღება. იგი იმავე მდგომარეობაში დარჩა: ხელებგადაქდობილი, ბაგედაღუმეებული, თვალებმიშტერებული,

კინც იცოდა მისი ამბავი. მას ეს პატარა მაშია, რომელსაც ასე მიშტერებოდა ის. გულს უპობდა.

სამივე ქალს ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს; მათ დაბალი ხმით ლაპარაკიც კი ვერ გაებედათ. ეს დიადი ღუმელი, ეს დიადი სევედა და მწუხარება, ეს დიადი თავდავიწყება, სადაც ყველაფერი გამჟღავნა, გარდა ერთადერთი ნივთისა, გარდა მაშისა, მათზე სააღდგომო ან საშობაო დიდსაკურთხეველის შთაბეჭდილებას ახდენდა. ისინი სდუმდნენ, ფიქრებში გაიტაცა, მოწიწებით განიმსქვალნენ და მზად იყვნენ მუხლი მოედრიკათ. მათ ეგონათ, ფეხი შედგეს ტაძარში, ვნების კვირას, მწუხრის ლოცვაზე.

ბოლოს, ეერვეზა, ამ სამში ყველაზე ცნობისმოყვარე და, მაშასადამე, ამიტომ ყველაზე ნაკლებ მგრძნობიარე, შეეცადა გამოლაპარაკებოდა თვით დამწყვედულ, დაუღებულ განდეგილს:

— დაო! დაო გუდულა!

მან სამჯერ გაიმეორა ეს ძახილი და ყოველ დამახებზე ხმას უმაღლებდა. განდეგილი არც შერხეულა. არც ერთი სიტყვა, არც ერთი მზერა, არც ერთი გმინვა, სიცოცხლის არც არავითარი ნიშანწყალი არ დასტყობია.

თავის მხრივ უდარდამ უფრო ტკბილი და ალერსიანი ხმით უთხრა:

— დაო! დაო წმინდა გუდულაო!

იგივე ღუმელი, იგივე უძრაობა.

— უცნაური ქალია! — შესძახა ეერვეზამ, — მაგას ვერ გამოაგნებ. ზარბაზნებიც რომ დაუცალო!

— იქნებ დაყრუვდა? — თქვა უდარდამ.

— იქნება დაბრმავდა? — დაურთო ეერვეზამ.

— შეიძლება მოკვდა? — განაგრძო მაიეტამ.

უეკველია, თუ სულს ჯერ კიდევ არ მიეტოვებინა ეს უძრავი, მიძინებული, გარინდებული სხეული, ის იმდენად განშორებოდა და ისეთ სიღრმეებში მიმალულიყო, სადაც ვერ აღწევს გარეგან ორგანოთა შეგრძნობანი.

— მაშ, სარკმლის რაფაზე მოგვიხდება კვირის დატოვება, — თქვა უდარდამ. — მაგრამ ვინმე ბიჭი შოიტაცებს. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გონს მოვიყვანოთ, მოვახედოთ?

ესტაშმა, რომელიც აქამდე გართული იყო ერთი, იმჟამად ჩველილი, დიდძალლებშებმული პატარა ეტლის ცქერით, უცბად შენიშნა, რომ მისი სამივე თანამგზავრი ქალი რალაცას უყურებდა სარკმელში, ის-ც თავის მხრივ შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ, სამანის

კუნძუზე შედგა, ცერებზე აიწია, ბუთხუზა, ღაყღაყა სახე სარკმელს მიაყრდნო და შესძახა:

— დედა, მეც შემახედე!

ბავშვის წკრიალა ხმაზე განდევილი ათრთოლდა. ფოლადის ზამბარისებური მკვეთრი და მძაფრი მოძრაობით მოაბრუნა თავი, გრძელი გამხმარი ხელებით შუბლიდან თმები გადაიწია და გაკვირვებული, სიმწრისაგან გატანჯული და სასოწარკვეთილებით სავსე თვალები ბავშვს მიაშტერა. ეს მზერა ელვისებური იყო.

— ო, ღმერთო ჩემო! — იყვირა მან უცბად და თავი მუხლებს შორის ჩარგო. გეგონებოდათ, ხრინწიანმა ხმამ მკერდი ჩაუხიაო. — სხვის ბავშვებს მაინც ნუ მაჩვენებთ!

— გამარჯობათ, ქალბატონო, — უთხრა ბავშვმა სერიოზულად.

ამ მოულოდნელმა შეძრწუნებამ, ასე ეთქვათ, გონს მოიყვანა განდევილა. ხანგრძლივმა ურუანტელმა მთელ სხეულს თავით ფერხთამდე დაურბინა, კბილები აუჯაწყაწდა. სანახევროდ ასწია თავი. იდაყვები ბარძაყებს მოუჭირა და ხელებით ტერფები შეიპყრო, თითქოს გათბობა სურდა:

— ოჰ! რა სიცივეა!

— საბრალო ქალი! — თქვა უდარდამ დიდი თანაგრძნობით. — გსურთ ცოტა რამ ცეცხლი მოგიტანოთ?

უარის ნიშნად თავი გააქნია.

— კარგი, — უპასუხა უდარდამ და თან რაღაც შუშა გაუწოდა, — აი, სურნელოვანი სასმელი, დალიე, ცოტა რამ შეგახურებს.

განდევილმა ისევ თავი გააქნია, უდარდას ჩაშტერებით შეხედა და უთხრა:

— წყალი!

— არა, დაო, წყალი რა სასმელია იანვარში. თქვენ ცოტა უნდა დალიოთ სანელებლიანი ღვინო და შექამოთ სიმინდის ეს კვერი, რომელიც თქვენთვის გამოვაცხეთ. — დაიყინა უდარდამ.

განდევილმა მათეტას მიერ მიწოდებული ტკბილი ნამცხვარი მოიშორა და უთხრა:

— შავი პური.

ყერვეზასაც გული მოუღბა, თავისი შალის წამოსასხამი შეიხსნა:

— აი, გამომართვით ეს განიერი წამოსასხამი. ეს უფრო თბილი უნდა იყოს თქვენს სამოსელზე. წამოისხით მხრებზე.

განდევილმა წამოსასხამიც ისევე უარპყო, როგორც სასმელი და ტკბილი ნამცხვარი, და უპასუხა:

— ტომარაც კიარა.

— მაგრამ რაღაცით ხომ უნდა აღნიშნოთ გუშინდელი დღესასწაული, — უთხრა გულკეთილმა უდარდამ.

— ისედაც მახსოვს და ჩემთვის აღვნიშნე, — თქვა განდევნილმა. — აი უკვე ორი დღეა, რაც ჩემს თუნგში წყალი აღარ არის.

ერთხანს გაჩუმდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

— დღესასწაულებში მივიწყებენ. კარგად შვრებიან. რატომ უნდა ზრუნავდეს ქვეყანა ჩემზე, როცა მე არ ვფიქრობ მასზე? ჩამქრალ ნაკვერჩხლებს ნაცარიც ცივი ახლავს.

და თითქოს დაიღალაო ასეთი გრძელი საუბრით, თავი კვლავ მუხლებზე ჩამოუვარდა.

გულუბრყვილო და გულშემატკივარმა უდარდამ იფიქრა, რომ მისა უკანასკნელი სიტყვები შეიცავდა ჩივილს სიცივის გამო, ამიტომ მიაშიტად მიპართა:

— მაშ, იქნებ მაინც გინდოდეთ ცეცხლი?

— ცეცხლი! — თქვა ძაძიანმა უცნაური კილოთი. — და განა მართლანთ თქვენ ემაგ ცეცხლს იმ საბრალო პაწიასაც, რომელიც თხუთმეტი წელია მიწაში წევს?

მთელი სხეული უძიგძიებდა, ყოველი ნაკვთი უკანკალებდა, ხმა უთრთოდა, თვალები უბრწყინავდა. მუხლებზე წამოიწია. უცბად თეთრი და გამხმარი ხელი გაიშვირა ბავშვისაყენ, რომელიც განცვიფრებული უცქერდა მას:

— წაიყვანეთ ეს ბავშვი! — იყვირა მან, — ბოშა ქალი ჩაივლის აქ.

ფილაქანზე პირქვე დაემხო და შუბლი ფილაზე ისეთი ხვით დაარტყა, თითქოს ქვა ქვაზე დაარაკუნაო. სამივე ქალმა იფიქრა, ვაითუ მოკვდაო. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ გონს მოვიდა და მუხლებსა და იდაყვებზე იმ კუთხემდე მიცოცდა, სადაც პაწია მამია იყო. მაშინ მათ ვერ გაბედეს იქ შეხედვა, მაგრამ ესმოდათ ათასი კოცნა და ათასი ოხვრა, არეული გულის გამგმირავ კივილსა და ყრუ დაჯახების ხმებში, თითქოს კედელს თავს ურტყამდაო. ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შემდეგ, რომელიც იმდენად გაშმაგებული იყო, რომ სამივე შეეკრთა, ჩქამიც აღარ ისმოდა იქიდან.

— ნუთუ თავი მოიკლა? — თქვა ევრევზამ და გაბედა თავი სარკმელში შეეყო:

— დაო, დაო გულულა!

— დაო გულულა, — გაიმეორა უდარდამ.

— აჰ, ღმერთო ჩემო! აღარც იძვრის! — განაგრძო ევრევზამ. — ნუთუ მოკვდა? გულულა! გულულა!

მაიეტამ, რომელსაც აქამდე ცრემლები ახრჩობდა, სული ეხუთებოდა და ხმას ვერ იღებდა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა:

— მოიცადეთ, — თქვა მან. შემდეგ სარკმლისკენ დაიხარა: — პაკეტა! — დაუძახა მას. — პაკეტა ლა შანტფლერი!

ბავშვი რომ მიამიტად პეტარდის მბუხუტავ პატრუქს შეუბერავს, აფეთქებას გამოიწვევს და თვალებს შეიტრუსავს, ისე არ შეშინდება, როგორც მაიეტა შეშინდა, როცა დაინახა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა დაჟ გუდუღლას სენაკში უეცრივ გადასროლილმა ამ სახელმა.

განდეგილი - მთელი სხეულით ათრთოლდა, ფეხშიშველი წამოიჭრა და სარკმელს მოაწყდა ისეთი ანთებული თვალებით, რომ მაიეტამ და უდარდამ, აგრეთვე მესამე ქალმა და ბავშვმა, უკან დაიხიეს სანაპიროს მოაჯირამდე.

განდეგილის აებედითი სახე ზედ მჟაღგა სარკმლის გისოსს:

— ოჰ, ეს ბოშა ქალი მეძახის! — იყვირა საშინელი ხარხარით.

იმ წუთს სამარცხვინო ბოძთან მომხდარ სანახაობაზე შეჩერდა მისი პირქუში მზერა, შუბლი საზარლად შეიკმუხნა, თავისი სამყოფელიდან ორი ჩონჩხისებური ხელი გარეთ გამოყო და მომაკვდავის ხიხინის მსგავსი ხმით დაიყვირა:

— ეს ისევ შენა ხარ, ბოშა გომბიო! ეს ისევ შენ მეძახი, ბავშვების ქურდო! წყეულომც იყავ! წყეული, წყეული! წყეული!

IV

ცრემლი ერთი წვეთი წყლის გამო

ეს სიტყვები თითქოს შემაერთებელი რგოლი ყოფილიყო იმ ორ სცენას შორის, ერთსა და იმავე დროს რომ ხდებოდა თვითიული თავ-თავის ბოგირბანზე, ერთი — თავის სოროში, რაც ახლახან წავიკითხეთ, მეორე სამარცხვინო ბოძის კიბეზე, რომლის კითხვასაც ახლა შევუდგებით. პირველის მოწმე ის სამი ქალი იყო, რომელთაც მკითხველი ეს-ეს არის გაეცნო: მეორის მაყურებელი კი მთელი ის ხალხი გახლდათ, ზემოთ რომ ვნახეთ თავმოყრილი გრევის მოედანზე სამარცხვინო ბოძისა და სახრჩობელას ირგვლივ.

ბრბომ რომ ნახა დილის ცხრა საათიდან სამარცხვინო ბოძის ოთხკუთხევი გუშაგად მდგომი ოთხი სერჯანტი, იმედი მიეცა, ერთ-ერთი სასჯელის აღსრულებას მაინც უეჭველად ვნახავთ, ჩამოხრჩობას თუ არა, გაწყობლვას ან ყურების დაჭრას, ერთი სიტყვით — სა-

ინტერესო რამესო. და ისე სწრაფად იწყო ზრდა, რომ ოთხ სერჯანტს, რომელთაც აქეთ-იქიდან ძალიან აწვებოდნენ, არაერთგზის მოუხდათ მისი მიჰყვება, როგორც მაშინ იტყოდნენ, გრძელი შოლტიან ცემითა და ცხენის წიხლებით.

საჯარო დასჯის ლოდინს მიჩვეული ბრბო სულ არ იჩენდა მოუთმენლობას. მას თვით სამარცხვინო ბოდის ცქერაც ართობდა. ეს სამარცხვინო ბოძი ერთი ფრიად მარტივი, ქვით ნაშენი, რაღაც ათი-ოდე ტერფი სიმაღლისა, შიგნიდან ღრუ, კუბის ფორმის ნაგებობა იყო. გაუთლელი ქვის მეტად ციცაბო, დამრეც საფეხურს, რომელსაც ნიშნად აღმატებულობისა, კიბეს უხმობდნენ, კაცი ზედა ბაქანზე აჰყავდა, სადაც მთლიანი მუხის ხის თარზულ ბორბალს შენიშნავდა. დამნაშავეს ამ ბორბალზე მიაბამდნენ, მუხლებზე დააყენებდნენ, ხელებს ზურგს უკან გაუკრავდნენ. ამ მკიერე ნაგებობის შიგნით დამალული ოწინარი ძელურას ამოძრავებდა, ძელურა კი აბრუნებდა. მუდმივად თარზულ სიბრტყეზე მიმაგრებულ თვალს და ამრიგად მსჯავრდადებულის სახე თანმიმდევრობით მოედნის ყველა წერტილიდან გამოჩნდებოდა. ამას დამნაშავის „დატრიალებას“ ეძახდნენ.

როგორც დავინახეთ, სამარცხვინო ბოძი გრევის მოედანზე სულაც არ წარმოადგენდა ისეთ თავშესაქცევს, როგორც სამარცხვინო ბოძი დიდ ბაზარზე; იქ არ იყო არც რთული ხუროთმოძღვრება, არც მკვიდრი და საფუძელიანი რამ. არ იყო არც რკინისჯგერიათი სახურავი, არც რვაწახნაგოვანი ლიფლიფა, არც მყიფე სვეტები, სახურავის კიდეზე აკანთოს ბუღაურებითა და ყვავილებით დაგვირგვინებული, არც ღარღანები ქიმერებისა და ურჩხულების სახით, არც ჩუქურთმებიანი ძელები, არც ქვაში ღრმად ამოჭრილი მოხდენილი ქანდაკება.

აქ მაყურებელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ამ ოთხი ყორული წყობის გვერდიკედლებით. ქვიშაქვის ორი უკანა საფარი კედლითა და გვერდით უხეირო. გამზმარი და შიშველი ქვის სახარჩობელათი.

გოტიკური ხუროთმოძღვრების მოყვარულთათვის ეს ღარიბული ტრაპეზი იყო. თუმცა ისიც მართალია, რომ შუა საუკუნეების პატივცემულ დოკლაპიებს თუ ბუზიყლაპიებს ნაკლებ აინტერესებდა ძეგლები და არც თუ ძალიან ზრუნავდნენ სამარცხვინო ბოდის სილამაზეზე.

ბოლოს, ფორნის უკან გამობმული მსჯავრდადებულები მოვიდა. როდესაც იგი ბაქანზე ასწიეს და თოკებითა და ღვედებით სამარცხვინო ბოდის თვალზე მიკრული დაინახეს ფორის ყველა წერტი-

ლიდან. მოედანზე საშინელი ყიყინა დასკეს, ხარხარსა და მხიარულ მისალმებაში არეული. მათ იცნეს კვაზიმოდო.

მართლაც იგი კვაზიმოდო იყო. ბედის საოცარი უკუღმართობაც ეს არის! ჯერ კიდევ გუშინ იმავე მოედანზე, სადაც ახლა იგი სამარცხვინო ბოძზეა გაკრული, სიხარულითა და ზეიმით ესალმებოდნენ, ტაშის ცემით ეგებებოდნენ და ერთხმად ქილიკების პაპად და თავად გამოაცხადეს, თუნის მეფისა და გალილეელთა იმპერატორის თანხლებით საზეიმო სვლით დაატარებდნენ! მაგრამ უდავოა, რომ მთელ ამ ბრბოში, თვით მისი, ჯერ როგორც მოზეიმისა და მერმე მსჯავრდადებულის ჩათვლით, კაცი არ იყო, რომელსაც აშკარად მოეხდინა აზრით ამგვარი შეპირისპირება. ამ სანახაობას აკლდა გრენგუარი და მისი ფილოსოფია.

მალე მიშელ ნუარემ, ჩვენი ხელმწიფე მეფის ნაფიცმა მებუჟე მაუწყებელმა გააჩუმა ეს ბრიყვი ბრბო, და ბატონ პრევოს ბრძანებისა და განკარგულების თანახმად, განაჩენი გამოაცხადა. შემდეგ ფორმიან სამოსელში გამოწყობილ თავის კაცებთან ერთად ფორნის უკან დაიხია.

კვაზიმოდო გულცივად უყურებდა ამას, წარბიც არ შეუხრია. ყოველგვარი წინააღმდეგობა მისთვის შეუძლებელი იყო, რადგან შებოქილი იყო, როგორც მაშინ ამბობდნენ სისხლის სამართლის კანცელარიის ენაზე „ბორკილთა სიმტკიცითა და სიმძლავრითა“, ესე იგი, მის ხორცში რაც შეიძლება ღრმად შეჭრილი ღვედებითა და ჯაჭვებით. თუმცა საპატიმროებისა და კატორღის ეს ტრადიცია დღესაც არ გამქრალა, და ახლაც საგულდაგულოდ ინახავენ ხუნდების სახით ჩვენ შორის, განათლებულ, წყნარ და სათნო ადამიანურ ხალხში (კატორღა და გილიოტინა ფრჩხილებში).

კვაზიმოდო ნებას აძლევდა ისე მოპყრობოდნენ, როგორც ნებავდათ, მოეყვანათ, ებიძგებინათ, მალლა აეთრიათ, დაესვათ, შეეკრათ, გაეკოკათ. მის სახეზე ვერაფერს წაიკითხავდით, გარდა ველურის ან ყუყუჩის გაკვირვებისა. ყრუ რომ იყო, ყველამ იცოდა, ახლა ბრმაც კი ეგონათ.

იგი წრიულ ფიცარზე მუხლებით დააყენეს, დაემორჩილა; პერანგი და ქურთუკი გახადეს, საქამრემდე გაატიტვლეს, ამის ნებაც დართო; ღვედებისა და ბალთების ახალი წყება დაახვიეს; საშუალება მისცა კიდევ უფრო მაგრად შეეკრათ და თოკები კიდევ უფრო საიმედოდ გაეკირათ. მხოლოდ დრო და დრო ხმაურით ქმინავდა, ყასბის ფორნის ქიმზე იქით-აქეთ მოქანავე თავისერდაკიდებულ ხბოსავით.

— აი ყუყუჩი, ნამდვილი ბრიყვი და ოტროველა, — უთხრა ყვან

ფროლო მეწისქვილემ თავის მეგობარს რობენ პუსპენს (რადგან ორივე მოსწავლე. როგორც საფიქრალიც იყო. მსჯავრდადებულს აედევნა), — მაგას კოლოფში დამწყვდეულ ცოფიკიაზე მეტი როდი გაეგება.

გაუქრო ხარხარი გაისმა ბრბოში, როდესაც კვაზიმოდოს გაშიშვლებული კუზი, აქლემის მკერდი, კორძებიანი და ბანჯგვლიანი მხრები დაინახეს. ამ საერთო მხიარულების დროს ბაქანზე ავიდა ჯემუხი, დაბალი ტანის ღონიერი მამაკაცი და მსჯავრდადებულის გვერდით დადგა. ამ კაცს ფორმიან სამოსზე ქალაქის ღერბი უჩანდა. მისი სახელი დამსწრეთა შორის ელვის სისწრაფით გავრცელდა. ის იყო მეტრ პიერა ტორტერიუ, შატლეს ნაფიცი ჯალათი.

ჯალათმა იმით დაიწყო, რომ სამარცხვინო ბოძის ერთ-ერთ კუთხეში დადგა ქვიშის შავი საათი. საათის ზემო ფილა სავსე იყო წითელი ქვიშით, რომელიც თანაბარზომიერად ქვემო თასში ჩადიოდა. შემდეგ ორფეროვანი წამოსასხამი მოიხსნა და ყველამ დაინახა მის მარჯვენა ხელზე გადაკიდებული თეთრი, გრძელღვედებიანი, ელვარე, კვანძებიანი, დაწნული და ლითონის კვანძებიანი წვრილი შოლტი. მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავზე პერანგის სახელო დაუდევრად აიკვალთა, იღლიამდე აიკაპიწა.

ამასობაში ყენ ფროლო რობენ პუსპენის მხრებზე ასულიყო. ქერა თავი ბრბოზე მალდა აეწია და ყვიროდა:

— მობრძანდით, ნახეთ, ბატონებო და ქალბატონებო! ახლა დაუყოვნებლივ გაწყებლავენ მეტრ კვაზიმოდოს, ჩემი ძმის ბატონ არქიდიაკონ ყოზასელის ზართა მრეკველს. აი აღმოსავლური ხუროთმოძღვრების სასაცილო ნიმუში, რომლის ზურგი გუმბათია, ხოლო ფეხები — ხვეული სვეტები.

ბრბო ხარხარებდა, მეტადრე ბავშვები და ახალგაზრდა ქალიშვილები.

ბოლოს, ჯალათმა ფეხით დააბაკუნა. ბორბალი დატრიალდა. ბორკილებგაყრილი კვაზიმოდო დატორტმანდა. მის მახინჯ სახეზე გამოყეყეჩებული განცვიფრება რომ დაინახეს, ერთიორად უმატეს ხარხარს.

იმ წუთს, როდესაც თვის ერთ-ერთი შემოტრიალებისას კვაზიმოდოს ამობურცული ზურგი მეტრ პიერას პირდაპირ აღმოჩნდა, ჯალათმა უცბად ხელი მალდა ასწია, წვრილმა ღვედებმა ანკარა გველების ხლართივით მკვეთრი სტვენით გაიზუზუნეს და უბედურის მხრებს გაშმაგებით დააცხრნენ.

კვაზიმოდო უეცრად გამოღვიძებულივით ადგილზე შეხტა. ახლა კი იწყო მიხვედრა. ბორკილებში დაიგრიხა. მოულოდნელობისა და

ტკივილის ძლიერმა კრუნჩხვამ მისი სახის კუნთები დაღმეკა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, გმინვა არ ამოხდენია. მხოლოდ თავი გადაიგდო უკან, მერე მარჯვნივ მიაბრუნა, შემდეგ მარცხნივ; თავს ისე აქანებდა აქეთ-იქით როგორც ხარი, რომელსაც ბუზნაკალი კბენს გვერდებში.

პირველ დარტყმას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე და ასე შემდეგ შეუჩერებლად.

ბორბალი არ წყვეტდა ბრუნვას, შოლტი ზუზუნს, მათრახების დარტყმა შხაუნა წვიმასავით უყაყუნებდა. მალე სისხლიც თქრიალით გადმოედინა და ათას ჰაელებად მოსჩქეფდა კუზიანის შავ-შავ მხრებზე; ბრუნავდა და ზუზუნებდა შოლტი, ჰაერს სტვენით ჰკვეთდა სეტყვასავით წამოსული გრძელი და წვრილი ღვედები და სისხლის წვეთებს ხალხს აშხეფებდა.

ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მაინც მოსჩვენებოდა, რომ კვაზიმოდო კელავ უგრძნობლობითა და გულცივობით გაიმსკვალო. ჯერ შეუმჩნევლად და დიდი ბიძგის გარეშე შეეცადა დაემსხვრია ბორკილები. ჩანდა, როგორ აენთო მისი თვალი, როგორ დაიძაგრა კუნთები, როგორ დაიძაბა სხეულის ნაწილები, როგორ მოიკრიფა ძალ-ღონე, როგორ დაიჭიმა ღვედები და ჯაკვები. ეს იყო ძლიერი, საოცარი, სასოწარკვეთილი ძალ-ღონის დამაბევა. მაგრამ მართლმსაჯულების საუწყებოს ნაცადმა ბორკილებმა გაუძღეს. ერთი კი გაიქრიალეს და მეტი არაფერი. მოღლილი კვაზიმოდო მოეშვა. გაკვირვება მისი გამოყუყუნებული სახის ნაკვთებზე მწარე შეგრძნებითა და ღრმა სასოწარკვეთილებით შეიცვალა. ერთადერთი თვალი დახუჭა, თავი მკერდზე დაჰკიდა და გაინაბა.

ამის შემდეგ აღარ განძრეულა. და არც აღარაფერს შეეძლო მისი ამოძრავება, გაშეშებული მდგომარეობიდან გამოყვანა, არც შეუწყვეტლად მოთქრიალე სისხლს, არც გაორმაგებულ და გამმაგებულ დარტყმებს, არც განრისხებას ჯალათისა, რომელსაც კიდევ უფრო აღაგზნებდა და ათრობდა საკუთარი ჯალათური საქმის აღსრულება, არც საშინელი ღვედების შხუილი, რაც შხამიანი მწერების ნესტარზე უფრო მწარე და უფრო მოზუზუნე იყო.

ბოლოს, შავ ცხენზე ამხედრებულმა შავით მოსილმა შატლეს სასამართლოს ბოქაულმა, რომელიც სასჯელის აღსრულების დაწყებიდან კიბის გვერდით იდგა, ებანოზის კვერთხი ქვიშის საათისა-კენ გაიწოდა. ჯალათი შეჩერდა, ბორბალმაც შეწყვიტა ტრიალი. კვაზიმოდომ ნელ-ნელა თვალი გაახილა.

გვემა დამთავრდა. ნაფიცი ჯალათის ორმა ლაქია-მსახურმა მსჯავრდადებულს სისხლიანი მხრები განბანა, რაღაც საცხი წაუესვა,

რის გამოც კრილობები მაშინვე შეიკრა და ზურგზე რაღაც. ომ-
ფორივით გამოქრილი. ყვირთელი ფეშტამალი მოახურეს. ამასობაში
პიერა ტორტერიუ წითელ და სისხლით გაყენთილ ღვედებს ქვა-
ფენილზე ბერტყავდა და წრეტავდა.

მაგრამ კვაზიმოდოს წამება ამით არ დამთავრებულა. იგი სა-
მარცხვინო ბოძზე უნდა დარჩენილიყო კიდევ ერთ საათს. რაც
მეტრ ფლორიან ბარბედინმა ასე ჭკვიანურად დაუმატა მესირ
რობერ დ'ესტუტვილის განაჩენს --- და ყოველივე ეს ფიზიოლო-
გიისა და ფსიქოლოგიის დამაკავშირებელი ჟან დე კიუმენის ძველ-
თაძველი ზმობის, სიტყვათა თამაშის სადიდებლად: *Surdus ab-
surdus**.

ასე რომ ქვიშის საათი ისეგ გადააბრუნეს, და კუზიანი ფიცარზე
მიკრული დატოვეს, რათა მართლმსაჯულება ბოლომდე აღსრულე-
ბულიყო.

ხალხი, მეტადრე შუა საუკუნეებში, იგივეა საზოგადოებაში, რაც
ბავშვი ოჯახში. მანამდე, სანამ იგი პირველყოფილი უვიცობის,
ზნებრივი და გონებრივი მცირეწლოვანობის მდგომარეობაში იმ-
ყოფება, მასზე, როგორც ბავშვზე შეიძლება ვთქვათ:

ეს ასაკი შეუბრალებელია**.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ კვაზიმოდო საერთოდ ყველას სძულ-
და. მართალია, არც თუ უსაფუძვლოდ. მთელ ამ ბრბოში ძლივს
ნახავდით მაცურებელს. რომელსაც არ ეფიქრა, რომ საბაბი ჰქონდა
ეჩივლა ღვთისძმობლის ტაძრის მავნე კუზიანისათვის. სამარცხვინო
ბოძზე კვაზიმოდოს გამოჩენას საყოველთაო მხიარულებით შეეგებ-
ნენ. მკაცრმა წამებამ, რაც მან განიცადა, და იმ საბრალო მდგომარე-
ობამ, რომელშიც ის დატოვეს, არამც თუ არ აღძრა ბრბოს თა-
ნაგრძობა. არამედ კიდევ უფრო გააბოროტა მათი სიძულვილი და
დაციენის ნესტარით შეაიარაღა.

როდესაც მართლმსაჯულების სახელით „დანაშაულის საზოგა-
დობრივი დევნა“ აღსრულდა, როგორც დღესაც გამოთქვამენ
ოთხკუთხა ჩაჩის მფლობელი მოსამართლენი, ჯერი მიდგა ათას პი-
რად შურისგებაზე. აქაც, ისე როგორც დიდ დარბაზში, ყველაზე
მეტს ქალები ხმაურობდნენ. ყველას მისი რაღაც ჯავრი სჭირდა,
ზოგს მისი ბოროტი საქციელის გამო, ზოგს მისი სიმახინჯის გამო.
უქანასკნელნი ყველაზე მეტად შმაგობდნენ.

— ოჰ, ანტიქრისტეს ნიღაბო! — ეიოდა ერთი ქალი.

* ყრუ უგუნურია (ლით.).

** ლაფონტენი.

— პეი. ცოცხის ტარის მხედარო! — უყვირ. მეოცემ.

— რა შემადრწუნებელი სახის ნაოკებია! — ღრიალებდა მესამე. — მაგას ქილიკების პაპად აირჩევდნენ, დღეს რომ გუშინდელი დღე იყოს.

— ეგ კიდევ რაა, — განაგრძო ერთმა ბებერმა ქალმა, — ასე რომ იმანქება სამარცხვინო ბოძზე, რა იქნებოდა სახრჩობელაზე!

— როდისღა დაგეცემა თავზე დიდი ზარი და ჩაგიტანს მიწაში ას ფუტზე, წყეულო ზართა მრეკველო?

— და ეს ეშმაკი მაინც ზარის რეკვით მოგვიხმობს მწუხრზე უბიწო ღვთისმშობლის სალოცავად!

— ოი, შე ყრუო! ცალთვალავ, ბრუციანო! ურჩხულო! კუზიანო!

— ეს სიფათი უფრო ადვილად წაუხდენს ორსულ ქალს მუცელს, ვიდრე ყველა წამალი და საშუალება!

ორი მოსწულე კი, ჟეან მეწისქვილე და რობენ პუსპენი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მღეროდნენ ძველებურ ხალხურ მისამღერს:

თოკი სათოკესაო

ცეცხლი მახინჯებსაო!

ათასი ლანძღვა-გინება, სტვენა-ყიყინა, წყევლა-კრულვა, სიცილ-ხარხარი, ქვა და გუნდა აქეთ-იქიდან სეტყვასავით დააყარეს.

კვაზიმოდო ყრუ იყო, მაგრამ ნათლად ხედავდა; ხალხის გაშმაგება არანაკლები ენერგიით აისახებოდა მათ სახეებზე, ვიდრე მათ სიტყვებში. თუმცა ქვების მოხვედრანი მათი სიცილ-ხარხარის მნიშვნელობას საკმაოდ საფუძვლიანად განმარტავდნენ.

ერთხანს მაგრობდა. მაგრამ ჯალათის შოლტის ქვეშ დაძაბული მოთმინება მოიდრიკა და უკან მიღგა ამ მწერთა ჩხვლეტის წინაშე. ასეა, ასტურისის ხარსაც, პიკადორის იერიშები ნაკლებად აღიზიანებს, ძაღლებისა და ბაფთებით მორთული შუბსაწერტელებისაგან კი შმაგდება.

ჯერ მუქარით ნელ-ნელა მოაელო თვალი ბრბოს. მაგრამ მაგრად ხელფენშეკრულს მარტო შეხედვით აბა როგორ შეეძლო გაერეკა ბუზები, რომლებიც მის იარებს ჩაფრენოდნენ და სწუწნიდნენ. მაშინ იგი აღბორცდა ბორკილებგაყრილი, მისი გაშმაგებული შეტოკებებისაგან სამარცხვინო ბოძის ძველმა ბორბალმა თავის ძელებზე ჰრიალი დაიწყო. მაგრამ ყოველივე ამან დაცინვები და სტვენა-ყიყინა კიდევ უფრო გაზარდა.

მაშინ ისევ დამშვიდდა იგი ჯაჭვით დაბმული მტაცებელი ნადი-

რავით, რომელმაც ვერ შესძლო უღლის დამსხვრევა: მხოლოდ დრო-გამოშვებით გაშმაგებული გმინვა შესძრავდა ხოლმე მთელ მის გულ-მკერდს. მისი სახე არ გამოხატავდა არც სირცხვილსა და არც სიწითლეს. იგი ძალიან დაშორებული იყო ადამიანთა საზოგადოებას და ძალიან ახლოს იდგა პირველყოფილ ბუნებრივ მდგომარეობასთან, რომ სცოდნოდა, რა არის სირცხვილი, თუმცა ეგეც არ იყოს, ამგვარი სიმახინჯის დროს განა შეიძლება ადამიანი სირცხვილს გრძნობდეს თავისი მდგომარეობის გამო? მაგრამ რისხვა, სიძულელი, სასოწარკვეთილება მის გონჯ სახეზე ნელ-ნელა შავ ღრუბლად მოიქრუშა, სულ უფრო და უფრო მოიღრუშა, ელექტრობით დაიმუხტა და ათას ელვის ნაპერწყლებად აენთო ამ ციკლოპის თვალში.

ერთი წუთით ეს ღრუბელი განათდა ჯორზე მჯდომი ხუცესის გამოჩენისას. მხედარი ბრბოს მოარღვევდა. როგორც კი შორს სახედარი და ხუცესი შეინიშნა, საბრალო მსჯავრდადებულს სახეზე მორბილება დაეტყო. მოღუშულ სახეზე რისხვა თანდათან სინაზით, ღმობიერებითა და გამოუთქმელი ალერსით სავსე უცნაური ღიმილით შეეცვალა. ხუცესის მოახლოებასთან ერთად ეს ღიმილი სულ უფრო მკაფიო, გარკვეული, სხივთამფრქვევი ხდებოდა. უბედური თითქოს თავის მხსნელს ეგებებოდა. მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც ჯორი იმდენად დაუახლოვდა სამარცხვინო ბოძს, რომ მის მხედარს ეცნო მსჯავრდადებული, ხუცესმა თვალები ძირს დახარა, უცბად უკან მიაბრუნა თავისი სახედარი და დეზი ჰკრა, თითქოს ეჩქარებოდა მის დამამცირებელ ვედრებასა და თხოვნას გასცლოდა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რომ ამგვარ მდგომარეობაში მყოფ საწყალ და უბედურ კაცს იგი ეცნო და მისალმებოდა.

ეს ხუცესი არქიდიაკონი, მამა კლოდ ფროლო იყო.

შავმა ღრუბელმა კვლავ დაფარა კვაზიმოდოს შუბლი! ერთ ხანს კიდევ გამოერეოდა ღიმილი, მაგრამ მწარე, მკვთუნვარე, სევდიანი. უაღრესად დამწუხრებული.

დრო გადიოდა. სულ ცოტა საათნახევარს მაინც იყო იგი აქ გაკრული, გვემული, დაქრილ-დასერილი, ნაწამები, უზომოდ გალანძლული, შეგინებული, აბუჩად აგდებული და თითქმის ჩაქვავებული.

უცბად კვლავ აღბორგდა ბორკილგაყრილი, სასოწარკვეთილი გარკმაგებული ძალით აწყდებოდა და წრიალებდა იქით-აქეთ, ისე რომ მთელმა ნაგებობამ, რომელზეც ის იყო მიკრული, ზანზარი დაიწყო. მან დუმილი დაარღვია, ასე ჯიუტად რომ იცავდა აქამდე

და იყვირა ხრინწიანი და მძვინვარე ხმით — რაც ძაღლის ყეფას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის შეძახილს. მისმა შეძახილმა დაფარა ბრბოს გუგუნი, სტვენა და ყუჩინა:

— წყალი!

ამ სასოწარკვეთილმა შეძახილმა თანაგრძნობა როდი გამოიწვია, პირიქით, კიბის ირგვლივ შემოგრავილ პარიზელ მდაბიო ხალხში მხიარულებამ იმატა. უნდა ითქვას, რომ მდაბიო ხალხის უმრავლესობა როდი გახლდათ უფრო ნაკლებ უღმობელი და ნაკლებ ბრყვი, ვიდრე მაწანწალების ის საშინელი ტომი, რომელიც ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველს და რომელიც, უბრალოდ რომ ვთქვათ, ამ მდაბიო ხალხის ნაძირალა ფენას შეადგენდა. თუ ვინმემ ამ უბედური მსჯავრდადებულის ირგვლივ ხმა აღიმადლა, მხოლოდ იმისთვის, რომ მისი წყურვილი სამასხროდ გაეხადათ. უეჭველად კვაზიმოდო ამ წუთებში უფრო სასაცილო და საზიზღარი იყო, ვიდრე შესაბრალისი, წითლად შეღებილი სახიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თვალს აქეთ-იქით დაბნეულად აცეცებდა და ატრიალებდა, პირზე ბრაზისა და ტანჯვისაგან დუქი მოსდგომოდა, ღობლი ჩამოსდიოდა, ენა სანახევროდ გამოეყო. ისიც უნდა ითქვას, კიდევ რომ გამოჩენილიყო ამ აჩოჩქოლებულ ბრბოში თუნდაც ერთი კეთილი სული, გულშემატკივარი და შემბრალებელი მოქალაქე, ქალი ან კაცი, რომელიც შეეცდებოდა ჭიქა წყალი მიეტანა ამ უბედური, ტანჯული ქმნილებისათვის, — ამ სამარცხვინო ბოძის ბინძური საფეხურების ირგვლივ სირცხვილისა და თავის. მოჭრის ისეთი ცრუმორწმუნეობა მეფობდა, რომ საკმარისი იყო, ხელი ეკრათ კეთილი სამართიანელისათვისაც.

რამდენიმე წუთის შემდეგ კვაზიმოდომ უიმედოდ თვალი მოავლო ბრბოს და კიდევ უფრო გულშემატკივარი ხმით გაიმეორა:

— წყალი!

კვლავ სიცილ-ხარხარი გაისმა!

— აჰა, დალიე! — უყვირა რობენ პუსპენმა და სახეში ესროლა რეში ამოვლებული ღრუბელი. — დაიჭირე საძაგელო ყრუ! მე შენი ვალი მმართვეს.

ერთმა დედაკაცმა თავში ჭვა ესროლა:

— ეს გადაგაჩვევს ღამდამობით ჩვენს გაღვიძებას შენი წყვეული ზართა რეკვით!

— ეგეც შენ, შეილოსა, — ღრიალებდა ერთი დამბლადაცემული და თან ცდილობდა თავისი ყავარჯენით მისწვდომოდა, — კიდევ გავგვთვალავ ღვთისმშობლის ტაძრის მაღალი კოშკებიდან?

— აი ეგეც შენ სასმისი თასი! — შეუძახა ვილაც კაცმა და

შვერდზე დამსხვრეული სურა მიაყარა. — ეს შენ არ იყავი, ჩემს ცოლს წინ რომ ჩაუარე და იმან ორთავიანი ბავშვა გააჩინა?

— ჩემმა კატამ კი ექვსფეხიანი კნუტი დამიგდო! — წირპინებდა ვიღაც დედაბერი და კრამიტი ესროლა.

— წყალი მწყურია! — მესამედ თქვა სულშეხუთულმა კვაზიმოდომ.

იმავე წუთს დაინახა, როგორ გაიწია განზე ბრბომ. უცნაურად ჩაცმული ყმაწვილი ქალი ხალხს გამოეყო. მას თან ახლდა მოოქროვილრქებიანი პატარა თეთრი თხა. გოგონას ხელში დაირა ექირა.

კვაზიმოდოს თვალი გაუბრწყინდა. ეს ხომ ის ბოშა ქალი იყო, რომლის მოტაცებას წარსულ დამეს შეეცადა. როგორც ახლა უკვე ბუნდოვნად გრძნობდა, ამ თავხედური საქციელის გამო უნდა იყოს, რომ ამჟამად ასე ისჯება. თუმცა ეს სრულიადაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან ის დაისაჯა მხოლოდ იმის გამო, რომ თვით ყრუ საუბედუროდ ყრუმ გაასამართლა. ექვი არ ეპარებოდა, ქალიშვილი ჯაგრის ამოსაყრელად მოდიოდა და ისიც ისევე დაარტყამდა, როგორც ყველა სხვა.

მართლაც მან დაინახა, რომ გოგონა სწრაფად ამოდიოდა კიბეზე. კვაზიმოდოს ბრავი ახრჩობდა. როგორ უნდოდა დაენგრია სამარცხეინო ბოძი, ან მის თვალს რომ მეხის დაცემა შესძლებოდა, ბოშა ქალს უმალ მტვრად აქცევდა, ვიდრე ბაქანს მიალწევდა.

ქალი უსიტყვოდ მიუახლოვდა მსჯავრდადებულს, რომელიც ამოდ იკლავებოდა, რათა მას გასცლოდა; გოგონამ ქამრიდან მათარა მოიხსნა და უბედურს გამშრალ ტუჩებთან ფრთხილად მიუტანა.

მაშინ კი დაინახეს, რომ მანამდე ესოდენ გამშრალი და ესოდენ ანთებული თვალი მოუწყლიანდა და დიდი ცრემლი მახინჯ, სასოწარკვეთილებისაგან დიდხანს დაღრეჯილ სახეზე გადმოუგორდა. იქნებ ეს ცრემლი ერთადერთი კურცხალი იყო, ამ ბედკრული ადამიანის მიერ ოდესმე დაღვრილი.

ამ ყოფაში წყლის დაღვევაც კი დაავიწყდა. ბოშა ქალმა მოუთმენლობისაგან ჩვეულებისამებრ ტუჩი აიბზუა, თითქოს გაიბუტაო, შემდეგ გაიღიმა და მათარა პირზე მიუყუდა ღოჯებიან კვაზიმოდოს.

იგი ყლუპ-ყლუპით სვამდა. წყურვილი სწვავდა.

როცა წყლის დაღვევა გაათავა, უბედურმა გამავებული ტუჩები გამოსწია, უთუოდ იმისთვის, რომ დაეკოცნა ლამაზი ხელი, რომელმაც დახმარება გაუწია. მაგრამ ყმაწვილმა ქალმა, რომელიც

შეიძლება არც ენდობოდა და, ჩანს, ასოვდა იმ დამის ძალით მოტაცების ცდა, ხელი უკან გასწია შეშინებული ბავშვივით, მხეცმა არ მიკბინოსო.

მაშინ საბრალო ყრუმ საყვედურითა და გამოუთქმელი სევდით საესე თვალი მიაპყრო გოგონას.

ამაღლეებელი სურათი იყო. ყველას გული მოუღობო ამ სანახაობამ. მშვენიერმა, ნორჩმა, ახალგაზრდა, სპეტაკმა, მომხიბლავმა და ამავე დროს ესოდენ სუბტმა ასულმა ღვთიური მოწიწებით მიიბრინა დასასმარებლად უბედურების, სიმანხინჯისა და ბოროტების განსახიერებასთან. მეტადრე სამარცხვინო ბოძზე ეს სანახაობა დიადი იყო.

თვით მთელი ბრბოც კი შეიპყრო და განაცვიფრა ამან, და ტაშის ცემასა და ყვირილს მოჰყვა: „დიდება! დიდება!“

სწორედ ამ წუთს განდევილმა თავისი სოროს სარკმლიდან შეამჩნია ბოშა ქალი სამარცხვინო ბოძზე, და ავბედითი წყევლა-კრულვა გაუგზავნა: — წყეულიმც იყავ, ბოშა გომბიო! წყეული! წყეული!

დასასრული კვირის ამბისა

ესმერალდა გაფითრდა და სამარცხვინო ბოძის კიბე ბარბაცით ჩაიარა. განდევილის ხმა მაინც უკან მისდევდა: — ჩამოდი, ჩამოეთრე მეგვიპტელო ქურდო! სულ ერთია, ისევ ახვალ მანდ!

— ძაძიანი პეიტრობს, — ჩურჩულთ ლაპარაკობდნენ ხალხში და მეტს აღარაფერს ამბობდნენ. ასეთი ქალები შიშს აღძრავდნენ, ამიტომ წმინდა და ხელშეუვალი ხდებოდნენ. იმ დროს ერიდებოდნენ მათზე თავდასხმას, ვინც დღე და ღამ ლოცულობდა.

კვაზიმოდოს წაყვანის საათიც დადგა. იგი ახსნეს და ბრბოც გაიფანტა.

მაიეტა, რომელიც თავის ორ თანამგზავერთან ერთად შინ ბრუნდებოდა, დიდ ხიდთან უცბად შეჩერდა:

— მართლა, ესტაშ, რა უყავი კვერი?

— დედიკო, — უთხრა ბავშვმა, — სანამ თქვენ ელაპარაკებოდით იმ დედაკაცს, სოროში რომ იყო. მოვიდა დიდი ძაღლი და მოკბიხა ჩემს კვერს. მაშინ მეც შევკვამე.

— როგორ, ვაუბატონო, — უთხრა დედამ, — თქვენ სულ შეკამეთ?

— დედიკო, ძალმა. შე ვუშლიდი, მაგრამ მან არ მისმინა. მაშინ მეც მოვკბიჩე, გაიგე?


— საშინელი ბავშვია, — თქვა დედამ ღიმილითა და ბუზღუნით ერთსა და იმავე დროს. — იცით, უდარდა, ეს ერთი ჩამოსკამს ხოლმე მთელ ალუბლის ხეს ჩვენს შარლერანჟის მოღობილში. ასეც ამბობს ამის პაპა, კაპიტანი გამოვარ. მაცალეთ, ბატონო ესტამ, კიდევ ჩამივარდებით ხელში. კარგი, აგრე იყოს, გადმოადგი ფეხი შე გაბერილო ლომო, ღორმუცელავ!

ნ ა ო ნ ა

ქ ჯ ი ე

I

რა სახიფათოა საიღუმლო ანლო თხას



ამდენიმე კვირამ გაიარა.

მარტის პირველი დღეები იყო. მზე, რომელსაც დი-
უბარტამ¹, პერიფრაზის² ამ კლასიკურმა წინაპარმა,
ჯერ კიდევ ვერ უწოდა „სანთელთა დიდი მთავარი“,
შაინც მხიარულად აფრქვევდა სხივებს. გაზაფხულის ისეთი მშვე-
ნიერი და სასიამოვნო დღე იყო, რომ მოედნებსა და სასეირნო ად-
გილებში გამოფენილი მთელი პარიზი კვირა დღესავით ზეიმობდა.
ასეთ ნათელ, თბილ და მშვიდ დღეებში ზოგჯერ არის საათი,
როცა კარგია ღეთისმშობლის ტაძრის მთავარკარის ნახვა, მის მზე-
რით დატკობა. იმ დროს, როდესაც უკვე ჩასასვლელად გადახრი-
ლი მზე თითქმის პირდაპირ კათედრალს უყურებს, სხივებს სულ
უფრო პორიზონტალურად ტყორცნის, ნელ-ნელა სტოვებს მოედ-

ნის ქვაფენილს. ზევითა და ზევით მიიწევეს შვეულად აღმართულ ფასადზე და ჩრდილს ზემოდან წინ წამოიწევენ ათასობით გამოზრდილი ხუროთმოძღვრული მორთულობანი, ჩუქურთმოვანი ქანდაკებანი, მაშინ როდესაც შუაგულს ციკლოპის თვალისებრი უზარმაზარი მრგვალი სარკმელი გიზგიზებდა და ქურაში დანთებული ალივით სხივებს უკუსტყორცნის.

სწორედ ეს დრო იყო.

ჩამავალი მზის სხივებით გაწითლებული კათედრალის პირდაპირ, მოედნისა და კარიბჭის ქუჩის კუთხეში. მდიდრულ გოტიკური სახლის შესავლის ზემოთ. ქვის აივანზე რამდენიმე ლამაზი ახალგაზრდა ქალიშვილი კეკლუცად და გიჟმაყად იცინოდა და საუბრობდა. თუ ვიმსჯელებთ მათი გრძელი რიდეების მიხედვით, რომლებიც მარგალიტით მოოქვილი მალაღი, წოწოლა თავსაბურავიდან ტერფამდე ეშვებოდა, ნატიფად ნაქარგი პერანგების მიხედვით, მხრებს რომ უფარავდათ, ხოლო, მაშინდელი მიშვიდველი შოდის თანახმად, ქალწულებრივი ლამაზი გულმკერდის ზედა ნაწილს შიშვლად უტოვებდა, თუ ვიმსჯელებთ კაბების მდიდრული ქვედატანის მიხედვით, რაც კიდევ უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მათი წამოსასხამები (მერე რა საოცრად უხდებოდათ!). მარამაშისა და აბრეშუმის, ხავერდით მორთულობისა და მეტადრე ხელების სითქორის მიხედვით, რაც მათს უსაქმურობასა და სიზარმაცეს მოწმობდა, ადვილად მიხვდებოდით, რომ ისინი კეთილშობილი და მდიდარი მემკვიდრეები ბრძანდებოდნენ. მართლაც, ესენი იყვნენ კეთილშობილი ოჯახის ასული ფლორ-დე-ლის დე გონდლორიე და მისი მეგობარი ქალები, დიანა დე კრისტეილი, ამლოტა დე მონშიშელი, კოლომბა დე გაილფონტენი და პატარა შანშეერიე. ყველა მათგანი კარგი ოჯახის შვილი იყო, იმეამად შეკრებილიყვნენ დაქვრივებულ ქალბატონ დე გონდლორიესთან იმის გამო, რომ აპრილის თვეში მონსენიორი დე ბოეიო და მისი მეუღლე პარიზს უნდა ჩამოსულიყვნენ და უფლისწულის სასძლოს მადამ მარგარიტასათვის საპატიო მზღებელი ქალები შეერჩიათ, რათა ფლამანდიელებს პიკარდიაში ჩაეყვანათ შესახვედრად. მაშინ ყველა აზნაური ირგვლივ ოცდაათ ლიეზე ეძიებდა ამ წყალობასა და პატივს თავისი ქალიშვილისათვის, ბევრმა მათგანმა კიდევ ჩამოიყვანა ანდა გამოგზავნა პარიზში. ეს ქალიშვილები მათმა მშობლებმა მიანდეს ქალბატონ ალოიზ დე გონდლორიეს, მეფის მეზობალდეთა ყოფილი უფროსის ქვრივის მოკრძალებულ და ღირსპატივსაცემ მფარველობას; თავისი ერთადერთი ასულით იგი განმარტოებით ცხოვრობდა პარიზის დევის-მშობლის კარიბჭის მოედანზე მდებარე თავის სახლში.

აივნიდან, სადაც ეს ახალგაზრდა ქალიშვილები იყვნენ, კარი შედიოდა მდიდრულად მორთულ ოთახში, რომლის კედლებზეც ოქროს ნაყვებით დატვიფრული მოქალაქე ფერის ფლამანდური ტყავი იყო აკრული. ჭერზე გასწვრივად გაწყობილი კოჭები თვალს ხიბლავდნენ ათასობით უცნაური, შეღებილი და ოქროფერილი ნაძერწ-ნაქანდაკებით. აქა-იქ მოქედნილ სკივრებზე ციმციმებდა ბრწყინვალე მინანქარი. ქაშანურის ტახისთავი აგვირგვინებდა დიდებულ ბუჯერს, რომლის ორი წალო მოწმობდა, რომ ამ საცხოვრებლის დიასახლისი ადგილმამულიანი დროშოსანი რაინდის მეუღლე ან ქვრივი უნდა ყოფილიყო. ოთახის სიღრმეში, ზემოდან ძირამდე ღერბებითა და ემბლემებით მორთული ბუხრის გვერდით, წითელ ხავერდგადაკრულ საუცხოო სავარძელში იჯდა ქალბატონი დე გონდლორიე, რომელსაც ორმოცდათხუთმეტი წელი ტანსაცმელზეც ეტყობოდა და სახეზეც.

მის გვერდით იდგა საკმაოდ ამპარტავანი სახის ყმაწვილი კაცი, თუმცა ცოტა მოფუქსავატო და თავმოწმონე. ერთ-ერთი იმ ლამაზ ჭაბუკთაგანი, ყველა ქალს რომ მოსწონს ერთთავად, უფრო დარბაისელი და სახითმკითხავი ადამიანები კი მათ დანახვაზე მხრებს იჩეჩავენ. ამ ახალგაზრდა მხედარს მეფის განრიგის მსროლელთა კაპიტნის ბრწყინვალე სამოსელი ეცვა, რომელიც ძალიან ჰგავდა იუპიტერის ტანისამოსს; ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვქონდა უკანასკნელის აღწერით დავმტკბარიყავით ამ მოთხრობის პირველ წიგნში, ამიტომ მკითხველს აღარ დავსჯით მისი მეორედ აღნუსხვით.

კეთილშობილი ასულნი ზოგნი ოთახში ისხდნენ, ზოგნი აივანზე, ერთნი უტრეხტის ხავერდგადაკრულ ოთხკუთხ ოქროსყუიან ბალიშებზე, მეორენი — ყვავილებითა და სახეებით მოჩუქურთმებულ მუხის სკამებზე. თვითველ მათგანს მუხლებზე ექირა კალთა დიდი ნემსნაქარგობისა, რომელზეც ყველა ერთად მუშაობდა და რომლის კარგა დიდი ნაწილი იატაკზე გაშლილ ქილობზე ეფინა.

ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ჩურჩულითა და შეკავებული სიცილით, რაც ახალგაზრდა ქალიშვილთა შეკრებულობას სჩვევია, როცა მათ შორის ყმაწვილი კაცი იმყოფება. მაგრამ ახალგაზრდა კაცი, რომლის მარტო იქ ყოფნა საკმარისი იყო, რომ ქალური თავმოყვარეობა აღეძრა, ასე ჩანდა, თვითონ არც თუ მაგდენად ზრუნავდა ამაზე და, მაშინ როდესაც ლამაზ ქალთა შორის იყვნენ ისეთნი, რომლებიც ცდილობდნენ მისი ყურადღება მიეპყროთ, ის უფრო იმით იყო გართული, რომ თავისი სამხარელოვე ყაწიმის აბზინდას აკრიალებდა ნატის ხელთათმანით.

ღრო და ღრო ხნიერი ქალბატონი დაბალი ხმით მიმართავდა

ქაბუკს. ისიც სიამოვნებით. მაგრამ ერთგვარი მოუხეშავი და იძულებული თავაზიანობით რაღაცას უპასუხებდა. კაპიტანთან დაბალეხნით საუბრის დროს ქალბატონ ალოიზას ღიმილზე, შეუმჩნეველ პირობით ნიშნებსა და თავისი ქალიშვილის ფლორ-დე-ლისისკენ მიპყრობილ მზერაზე ადვილად შეატყობდით, რომ საქმე ეხებოდა ყმაწვილი კაცისა და ფლორ-დე-ლისის შორის მომხდარ დაწინდვას ან უეჭველ ქორწინებას ახლო მომავალში. ხოლო ოფიცრის გულცივიობასა და მორიდებულობაზე ძნელი არ იყო მიხვედრილიყავით, რომ აქ სიყვარულზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვაჟის მხრივ მაინც. მთელი მისი გამომეტყველება გამოხატავდა უხერხულობისა და მოწყენილობის გრძნობას, რასაც ჩვენი გარნიზონის უმეტროსი ლეიტენანტები დღეს საუცხოოდ გადმოთარგმნიდნენ: „აი, ძალღუერი მოვალეობა!“

მაგრამ პატივცემული ქალბატონი ძალიან ამაყობდა თავისი ასულთ და ამიტომ, როგორც ასეთ დედას სჩვევია, ვერ ამჩნევდა ოფიცრის ნაკლებ გატაცებას, ყოველნაირად ცდილობდა ვაჟის ყურადღება მიექცია იმისათვის, თუ რა სრულყოფილი სიმარჯვით ხმარობდა ნემსს ანდა ახვევდა ძაფის შულოს ფლორ-დე-ლის.

— მისმინეთ, ჩემო სანუკვარო კუზენ, — უთხრა მან ქაბუკს და თან სახელთი მოსწია თავისკენ, რათა ყურში ეთქვა: — ერთი შეხედეთ! ავერ დაიხარა.

— ნამდვილად, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და კვლავ უგულსყურო და ცივი დუმილი დაეუფლა.

ერთი წუთის შემდეგ კიდევ მოუხდა დახრა, ქალბატონმა ალოიზამ წასჩურჩულა:

— განა გინახავთ ოდესმე თქვენს საცოლეზე უფრო მოხდენილი და ცოცხალი სახის ქალიშვილი? მერე სახის კანის სითეთრეს აღარ იტყვი ან ოქროსფერ თმას? განა მისი ხელები სრულქმნილი არ არის? მისი მომხიბლავი ყელი განა გედის ყელს არ მოგაგონებთ? ხანდახან შურსაც კი აღმიძრავთ! რა ბედნიერი ხართ, რომ მამაკაცად დაბადებულხართ. თქვე საძაგელო თავენბავ, თქვენა! განა სათაყვანო არ არის ჩემი ასულის სილამაზე, თქვენ ხომ თავდავიწყებით გიყვართ იგი?

— უეჭველად, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, თან სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

— მაგრამ... გამოელაპარაკეთ, — უთხრა უცბად ქალბატონმა ალოიზამ და ოდნავ მხარზე უბიძგა. — უთხარით რამე. რაღაც მორიდებულად გიპირავთ თავი.

ჩვენ შეგვიძლია დავემტკიცოთ ჩვენს მკითხველს, რომ მორიდე-

ბულობა კაპიტანის არც სათნოებას წარმოადგენდა და არც ნაკლს. ის მაინც შეეცადა თხოვნა აღესრულებინა.

— მშვენიერო კუზინა, — უთხრა მან და ფლორ-დე-ლისს მიუახლოვდა, — რას გამოხატავს თქვენი ნაქარგის სახე?

— ლამაზო კუზენ, — წყენით მიუგო ფლორ-დე-ლისმა, — უკვე სამჯერ მოგახსენეთ: ნებტუნის მღვიმეს.

ცხადია, ფლორ-დე-ლისი თავის დედაზე ბევრად უფრო ნათლად ხედავდა კაპიტანის გულცივ და უგულსყურო საქციელს. ვაჟმა იგრძნო, რომ საჭირო იყო საუბარი გაება.

— მერედა ვისთვის არის განკუთვნილი მთელი ეს ნებტუნერია? — ჰკითხა მან.

— სენტ-ანტუან-დე-შანის სააბატოსათვის, — თავაუღებლივ უპასუხა ფლორ-დე-ლისმა.

კაპიტანმა ნაქარგი ქსოვილის ერთი კუთხე ასწია.

— ვინ არის, ჩემო მშვენიერო კუზინა, ეს ახოვანი აბჯროსანი, რომელიც მთელი ძალ-ლონით უბერავს საყვირს?

— ეს ტრიტონია, — მიუგო ქალმა.

ფლორ-დე-ლისის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლე პასუხებში, ცოტა არ იყოს, ნაწყენი კილო იგრძნობოდა. ახალგაზრდა კაცი მიხვდა, რომ საჭირო იყო ქალისთვის ყურში რაღაც ეჩურჩულა, რაიმე სისულელე, მიქარვა, ან თავაზიანობა, სულ ერთია, რაც უნდა ყოფილიყო, იგი დაიხარა კიდეც, მაგრამ თავის წარმოსახვაში ამაზე უფრო ნაზი, მგრძნობიარე და გულითადი ვერა მოძებნა რა: — რატომ ატარებს დედათქვენი ღერბებით მორთულ ძველებურ კაბას, როგორიც ჯერ კიდევ ჩვენს ბებიებს ეცვათ შარლ VII-ის დროს? უთხარით, მშვენიერო კუზინა, რომ ახლა ეს აღარ არის მოხდენილი და კაბაზე ღერბის სახით ამოქარგული კოჭაკი და დაფნის ხე * მოსიარულე ბუნხრის ბანის მორთულობის იერს აძლევს. ქეშმარიტად, ახლა უკვე აღარავინ წამოიკიმება თავისი დროშა-ალმით, გეფიცებით.

ფლორ-დე-ლისმა საყვედურით სავსე, ლამაზი. თვალები მიაპყრო.

— სულ ეგ არის, რაზეც შეგიძლიათ დამეფიცოთ? — დაბალი ხმით უთხრა ქალმა.

მაგრამ როდესაც ღირსეულმა ქალბატონმა ალოიზამ დაინახა, როგორ გადახრილიყვნენ ისინი ერთმანეთისაკენ და ჩურჩულებდნენ, ჟამნთა საკინძის თამაშით წარმოთქვა:

* ზმობა: გვარი Gondelaurier (გონდლორიე) შედგება ორი სიტყვისაგან: gond — კოჭაკი და laurier — დაფნის ხე.

— რა ამაღლევბელი სურათია სიყვარულისა!

კიდევ უფრო შეწუხებული კაპიტანი ხელსაქმისაკენ დაიხზრა და წამოიძახა:

— მართლაც მშვენიერი ნამუშევარია!

სწორედ ამ დროს მეორე, თეთრსახიანმა, ცისფერ დამასკურ აბრეშუმში გამოწყობილმა, ქერა ლამაზმა ქალიშვილმა, კოლომბა დე გალფონტენმა, მოკრძალებით გაბედა და ფლორ-დე-ლისის მისამართით სიტყვა ჩაურთო იმ იმედით, რომ ლამაზი კაპიტანი უპასუვნებდა:

— ჩემო ძვირფასო გონდლორიე, გინახავთ ნაქარგაობა როშგიონის სასახლეში?

— ეგ ის სასახლე ხომ არ არის, რომლის გალავანს გადაღმაც ლევრის თეთრეულის ზედამხედველი ქალის ბაღია? — სიცილით იყითხა დიანა დე კრისტეილმა, ლამაზი კბილები რომ ჰქონდა და ამიტომ ყოველთვის იცინოდა, როცა კი საბაბი მიეცემოდა.

— იქ, სადაც პარიზის ძველი გალავნის დიდი ძველებური კოშკია? — დაუმატა ამლოტა დე მონმიშელმა, მშვენიერმა შავგვრემანმა. კულულებიანმა და ნორჩმა ქალიშვილმა, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ოხვრა, ისევე როგორც მის მეგობარს სიცილის ჩვეულება, თუმც თვითონაც არ იცოდა, რატომ.

— ჩემო ძვირფასო კოლომბა, — თქვა ქალბატონმა ალოიზამ, — თქვენ ალბათ ლაპარაკობთ ბატონ დე ბეკეილის სასახლეზე, შარლ VI-ის დროს რომ ცხოვრობდა? მართლაც იქ დიდებული ნაქარგი ხალებია.

— შარლ VI! მეფე შარლ VI! — წაიბუტბუტა ახალგაზრდა კაპიტანმა უღვაშების გრეხით. — დმერთო ჩემო, რა ძველთაძველი ამბები ახსოვს ამ პატივცემულ ქალბატონს!

ქალბატონმა გონდლორიემ განაგრძო:

— ქეშმარატად, მშვენიერი ხალებია. მასთან ისეთი ოსტატური ნახელავია. რომ იშვიათობად ითვლება.

ამ წუთს ტანწერწეტა შვიდი წლის პატარა გოგონამ, ბერანჟერა დე შანშევიემ, რომელიც აივნის სამყურასებურ ჩუქურთმათა შორის ფლორცისაკენ იმზირებოდა, შესძახა:

— ოჰ! შეხედეთ, მშვენიერო ნათლია ფლორ-დე-ლისს, რა ლამაზი მოცეკვავე ქალი როკავს ქვაფენილზე და დაირას უკრავს ხეპრე მოქალაქეთა შორის!

მართლაც მოისმოდა დაირის მოგუგუნე ხმები.

— ვინმე ბოშა ქალი იქნება ბოჰემიიდან, — თქვა ფლორ-დე-ლისმა და დაუდევრად შებრუნდა მოედნისაკენ.

— ვნახოთ! ვნახოთ!... შესძახეს. მისმა მკვირცხლმა მეგობრებმა, და ყველამ აიენის მოაჯირთან მიიბრინა, მაშინ როდესაც თავისი საქმროს გულცივობის გამო ჩაფიქრებული ფლორ-დე-ლის მათ დინჯად მიჰყვა. ამ შემთხვევის წყალობით სამძიმო საუბრისაგან განთავისუფლებული სასიძო კი თავის ადგილს დაუბრუნდა ოთახის სიღრმეში, თან ისეთი კმაყოფილი იყრი ქჷონდა, როგორც სამსახურში მორიგეობა მოხდილს. უნდა ითქვას, ფრიად წარმტაცი, მომხიბლავი და საამო იყო თუნდაც გუშაგად დგომა მშვენიერი ასულის ფლორ-დე-ლისის გვერდით, ასეც ფიქრობდა იგი წინათ. მაგრამ კაპიტანს თანდათან მობეზრდა ეს. რაც ახლოვდებოდა მათი მომავალი ქორწინება, მით უფრო დღითი დღე გულგრილი ხდებოდა იგი. ამასთან მტკიცე ზნისა არ გახლდათ და, თუ შეიძლება ითქვას, ცოტა მდაბიური გემოვნებაც ქჷონდა. თუმცა მეტად წარჩინებული წარმოშობისა იყო, სამხედრო სამსახურში ბევრი ბრიყვეული ჩვეულება შეითვისა. მას მოსწონდა სამიკიტრო და მისი ასავალ-დასავალი. იგი თამამად გრძნობდა თავს იქ, სადაც ისმოდა ბრიყვეული სიტყვები, მხედრული თავაზიანობანი, სადაც კეკლუც ლამაზმანებს ადვილად შოულობდნენ და გამარჯვებასაც ადვილად აღწევდნენ. თუმცა ოჯახში რაღაც აღზრდა მიიღო, თავდაქერა და ქცევაც ისწავლა, მაგრამ მეტად ახალგაზრდამ მიატოვა მშობლების სახლ-იარი, სრულიად ქაბუკი შევიდა გარნიზონის ჯარში და ყოველდღე ქრებოდა, იხეხებოდა მისი კეთილშობილური ბრწყინვალეობა აბჯროსანი მხედრის სამხარლდივე ყაწიმის ტლანქი ხახუნისაგან. თუმცა დრო და დრო კიდევ ეწვეოდა ხოლმე ფლორ-დე-ლისს საზოგადოებისადმი დარჩენილი პატივისცემის გრძნობით, მაგრამ მასთან ორმაგად შევიწროებულად გრძნობდა თავს: ჯერ-ერთი იმტომ, რომ მთელი თავისი სიყვარული უხვად გააბნია ყოველგვარ საზოგადოებრივ ადგილებში და საცოლესათვის ძალიან ცოტადა მოიტოვა. მეორეც, იმიტომ, რომ ამ გაკვიმულ, ქედმაღალ, მედიდურ, კეთილალზრდილ და ზრდილობიან ლამაზმანთა წრეში მუდამ შიშსა და ძრწოლში იყო, ვი თუ გინებას მიჩვეულმა ჩემმა პირმა უცბად თავი აიშვას, ლაგამი კბილებში მოიგდოს, აიწყვიტოს და სამიკიტროს უხამსი სიტყვები გადმოაფრქვიოსო. წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა!

თუმცა, ყოველივე ამას იგი მოხდენილ ჩაცმულობასა და ლამაზ იერს დიდი ყოყოჩობით უხამებდა. თვითონ განსაჯეთ ეს ამბავი, როგორც შესძლოთ. მე კი მხოლოდ ისტორიკოსი გახლავართ.

ამრიგად. ერთხანს ასე იყო გაჩერებული, რაღაცას ფიქრობდა თუ არცა ფიქრობდა, გაჩუმებულიყო. ბუხრის ჩუქურთმიან თამასას დაყრდნობოდა, როცა ფლორ-დე-ლისი ანაზღად მისკენ შებრუნდა

და სიტყვით მიმართა. ბოლოს. საბრალო ქალიშვილი მას საკუთარი გულის წინააღმდეგ ებუტებოდა.

— ძვირფასო კუზენ. განა თქვენ არ გვიამბებთ ერთ პაწია ბოშა გოგონაზე, ამ ორი თვის წინ როგორ გადაარჩინეთ, როცა ღამის მზორთა შემოვლისას მთელ ათეულ ქურდ-არამზადებს ხელიდან გამოგლიჯეთ?

— დიახ, მგონია, ვიამბებთ მშვენიერო კუზინა, — უთხრა კაპიტანმა.

— ჰოდა. შეიძლება ის ბოშა გოგონაა. კარიბქის წინ ფორზე რომ ცეკვავს. მობრძანდით, შეხედეთ, იქნებ იცნოთ, ღამაზო კუზენ ფებუს.

შერკების ფარული სურვილი გამოსჭვიოდა ქალის მხრივ ვაჟის ამ თავაზიან მიწვევაში, რათა მასთან მისულიყო. აგრეთვე იმაშიც. რომ საკიროდ მიიჩნია, სახელით მიემართნა. კაპიტანი ფებუს დე შატოპერი (რადგან ამ თავის დასაწყისიდანვე მკითხველის წინაშე სწორედ იგია წარმოდგენილი) ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა აივანს.

— მობრძანდით, — უთხრა ფლორ-დე-ლისმა და თან ფებუსს მკლავზე ნაზად ხელი შეახო, — შეხედეთ იმ პატარას, წრეში რომ ცეკვავს. თქვენი ბოშა გოგონა ხომ არ არის?

ფებუსმა შეხედა და უპასუხა:

— დიახ. ის არის, მე ვიცანი მისი თხა.

— ოჰ, მართლაც. რა ღამაზია მისი პაწია თიკანი! — შესძახა ამლოტამ და აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა.

— ნუთუ რქები მართლა ოქროსი აქვს? — იკითხა ბერანჟერამ.

ქალბატონი ალოიზა თავისი საეარძლიდან არ დაძრულა, ისე იკითხა:

— ეგ იმ ბოშათაგანი ხომ არ არის, შარშან ჟიბარის კიშკრით რომ შემოვიდნენ პარიზში?

— დედავ ბატონო, — ტკბილად უთხრა ფლორ-დე-ლისმა, — მაგ კიშკარს დღეს ჯოჯოხეთის კიშკარს უხმობენ.

გონდლორიეს ასულმა იცოდა, რაოდენ ეჩოთირებოდა კაპიტანს მისი დედის ძველებურ ყაიდაზე ლაპარაკი.

მართლაც ყმაწვილი უკვე შეუდგა მის ქირდავას, გამოსაჯავრებლად იმეორებდა: — ..ჟიბარის კიშკარი! ჟიბარის კიშკარი! მალე ისევ მეფე შარლ VI-ს მიადგება!“

— ნათლია! — წამოიძახა ბერანჟერამ, რომლის მოუსვენრად მოძრავი თვალები უეცრავ დეთისმშობლის კოშკის თხემზე შეჩერდა.

— ვინ არის ის შავი კაცი ზემოთ?

უკვლა ახალგაზრდა ქალიშვილმა ზევით აიხედა.

მართლაც ეილაც კაცი დაყრდნობოდა ჩრდილოეთის კოშკის ზემო მოაჯირს, რომელიც გრევის მოედანს გადმოჰყურებდა. ხუცესი იყო. ნათლად გაირჩეოდა მისი ტანსაცმელი და ორივე ხელზე დაყრდნობილი სახე. მაგრამ იგი ქანდაკებასავით უძრავად იდგა. მისი თვალები ჩაშტერებით დასტკეროდნენ მოედანს.

ეგრე უძრავად გაყინული ძერასა ჰგავდა, თითქოს ბელურის ბუდე შეემჩნიოს და მისთვის თვალი დაედგას.

— იგი ბატონი არქიდიაკონია ეოზასელი, — თქვა, ფლორ-დე-ლისმა.

— თქვენ ძალიან გამჭირახი თვალები გქონიათ, თუ აქედან იქ შეიციანით! — შენიშნა გაილფონტენმა.

— როგორ უტკერის პაწია მოცეკვავეს! — თქვა დიანა დე კრისტეილმა.

— ვაი ბოშა ქალს! — წარმოთქვა ფლორ-დე-ლისმა, — იგი ვერ იტანს ბოშათა მოდგმას.

— ფრიად სამწუხაროა, რომ ეგ კაცი ასე უყურებს, — დაუმატა ამლოტა დე მონმიშელმა, — გოგონა მომხიბლავად ცეკვავეს.

— ძვირფასო კუზენ ფებუს, — უთხრა ანაზლად ფლორ-დე-ლისმა, — რაკი თქვენ იცნობთ იმ პატარა ბოშა გოგოს, ანიშნეთ აქ ამოვიდეს. გავერთობით.

— ჰო, ჰო, გთხოვთ! — შესძახეს ახალგაზრდა ქალებმა ტაშის ცემით.

— მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა, — უპასუხა ფებუსმა, — მან უთუოდ დამივიწყა. მისი სახელიც კი არ ვიცი. თუმცა რაკი თქვენ გნებავთ, ქალბატონებო, მაინც შევეცდები.

აიენის მოაჯირზე გადაიხარა და დაუძახა:

— ჰეი, პატარავ!

მოცეკვავე ქალი სწორედ ამ დროს აღარ უკრავდა დაიქრას. მან თავი იქით მიაბრუნა, საიდანაც ძახილი მოესმა. გაბრწყინებული თვალები ფებუსს მიაპყრო და უცბად ადგილზე გაშეშდა.

— ჰეი, პატარავ! — გაიმეორა კაპიტანმა და თითოთ ანიშნა ამოდო.

ახალგაზრდა ქალმა კიდევ შეხედა, შემდეგ გაწითლდა, სახე აეტკრიცა, თითქოს ლოყებზე აღმა ამოუარაო; დაირა ილლიაში ამოიჩარა, გაოცებული მაყურებლების წრე გაარღვია და ნელი ნაბიჯით, ბარბაციტ, შემკრთალი, თვალებდაბინდული, გველის მიერ მონუსხული ჩიტვივით გაემართა იმ სახლის კარებისაკენ, საითაც ფებუსი მოუხმობდა.

ერთი წუთის შემდეგ სარაფარდამ აიწია და ოთახის ზღურბლზე

გამოჩნდა ბოშა ქალი. გაწითლებული, დარცხვნილი, სუნთქვაგახ-
შირებული; დიდრონი თვალები დაეხარა, და ნაბიჯის გადმოდგმა-
საც ველარ ბედავდა.

ბერანყერამ ტაში შემოჰკრა.

მოცეკვავე გოგონა უძრავად იდგა კარის ზღურბლზე. მისმა გამო-
ჩენამ ახალგაზრდა ქალების ჯგუფზე იშვიათი გავლენა მოახდინა.
უდავოა, რომ ყველა მათგანს აღაგზნებდა ბუნდოვანი და გაურკვე-
ველი სურვილი მოსწონებოდა ოფიცერს, მათი კეკლუცობის სამიზნე
წერტილი მისი ბრწყინვალე ფორმის ტანსაცმელი იყო და მას აქეთ,
რაც ის მათთან იმყოფებოდა, მათ შორის ერთგვარი იღუმალი. ყრუ
ქიშპობა დაიწყო, მართალია, ეგებ ეს თვითონაც არ ჰქონდათ ეგრე-
რიგად შეგნებულნი, მაგრამ იგი ყოველ წუთს მინც თავს იჩენდა მათ
ქცევასა და ბაასში. მიუხედავად ამისა, რაკი ყველანი თითქმის
ერთნაირად ლამაზნი იყვნენ და ამიტომ თანაბარი იარაღით იბრძოდ-
ნენ, თვითეულ მათგანს შეეძლო გამარჯვების იმედი ჰქონოდა. ბოშა
ქალიშვილის მოსვლამ უცბად დაარღვია ეს წონასწორობა. იგი იძღე-
ნად იშვიათი სილამაზისა იყო, რომ იმ წუთს, როდესაც ის ოთახის
შესასვლელში გამოჩნდა, გეგონებოდათ, იქაურობას საკუთარი შუქი
მიჰოაფრქვიაო. ამ ვიწრო ოთახში ფარდების, შპალერისა და პანელის
ქუფრ ჩარჩოში შეუღარებლად უფრო ლამაზი და სხივთამფრქვევი
ჩანდა, ვიდრე საქვეყნო მოედანზე. იგი ქათქათა დღის სინათლიდან
წყველიადში შეტანილ ჩირადანს ჰგავდა. კეთილშობილი ქალიშვილ-
ნი უნებურად მოიხიბლნენ. თვითეულმა მათგანმა გულში ჩხვლეტა
იგრძნო ამ სილამაზის გამო. მათი ბრძოლის ფრონტი, — დაე მოგვი-
ტევონ ასეთი გამოთქმა, — წამსვე შეიცვალა ისე, რომ ერთმანეთი-
სათვის ერთი სიტყვაც არ გადაულაპარაკნიათ. მაგრამ საუცხოოდ კი
გაუგეს ერთიმეორეს. ქალები ალლოთი უფრო სწრაფად უგებენ და
უპასუხებენ ერთმანეთს, ვიდრე მამაკაცები ჰკუა-გონებით. მათ წი-
ნაზე მტერი გამოჩნდა. ეს ყველამ იგრძნო, ყველა დაირაზმა. ერთი
წვეთი ღვინო კმარა იმისათვის, რომ მთელი კიბა წყალი გააწითლოს.
იმრსათვის, რომ ლამაზ ქალთა შეკრებილობას გუნება წაუხდეს, საკ-
მარისია მათ შორის უფრო ლამაზი ქალი გამოჩნდეს, მეტადრე მა-
შინ. როდესაც მათ შორის მხოლოდ ერთადერთი მამაკაცია.

ამიტომ ბოშა ქალი საოცრად ცივად მიიღეს. თავით ფეხთამდე
ათვალიერ-ჩაათვალიერეს, მერე ერთმანეთს შეხედეს და ამით ყვე-
ლაფერი უკვე ნათქვამი, ყველაფერი გასაგები იყო. ახალგაზრდა
ქალიშვილი კი იდგა და ელოდა. როდის გამოელაპარაკებოდნენ; ის
იმდენად აღელვებული იყო, რომ ქუთუთოების აწევასაც კი ვერ ბე-
დავდა.

პირველად კაპიტანმა დაარღვია ღუმელი.

— პატროსან სიტყვას მოგახსენებთ, — თქვა მან თამამი და ქარაფშუტა კილოთი, — აი მომნიბლავი ქმნილება! თქვენ რას ფიქრობთ, მშვენიერო კუზინა?

ამ შენიშვნას, რომელსაც უფრო თავაზიანი თაყვანისმცემელი დაბალი ხმით მანაც იტყოდა, არ შეეძლო გაეფანტა ის ქალური იკვიანობა, რაც ბოშა ქალის დათვალეირებამ აღძრა.

ფლორ-დე-ლისმა თვალთმაქცური უგულვებელყოფითა და მოთაფლული ზიზღის კილოთი უპასუხა კაპიტანს:

— არაუშავს.

სხვები კი ჩურჩულებდნენ.

ბოლოს, ქალბატონმა ალოიზამ, რომელიც არა ნაკლებ ყო იკვირებოდა შეპყრობილი თავისი ქალიშვილის გამო, მოცეკვავეს მიმართა სიტყვით:

— მომიხსლოვდი, პატარაე!

— მიუახლოვდი, პაწიავ! — კომიკური სიდარბაისლითა და ღირსებით გაიმეორა ბერანეერამ, რომელიც ბოშა ქალს ბარძაყად დღეივს სწვდებოდა.

ბოშა ქალი კეთილშობილი ქალბატონისაკენ გაემართა.

— მშვენიერო ბავშვო, — უთხრა ფეხებსა შედიდურად და თავის მხრივ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა მისკენ, — არ ვიცი, მაქვს თუ არა ის უმადლესი ბედნიერება, რომ თქვენ მიცნოთ მე...

გოგონამ ღიმილით შეაწყვეტინა სიტყვა და უსაზღვრო აღერსით სავსე თვალები მიაპყრო:

— ო, დიახ! — უპასუხა ქალმა.

— კარგი მეხსიერება ჰქონია, — შენიშნა ფლორ-დე-ლისმა.

— მაგრამ, — განაგრძო ფეხებსა, — იმ საღამოს რა სწრაფად გამეკეცი. ნუთუ შეგაშინეთ?

— ოჰ, არა! — თქვა ბოშა გოგონამ.

ეს „ოჰ, არა!“ „ო, დიახ!“-ის შემდეგ ისეთი გამოუთქმელი კილოთი წარმოითქვა, რომ ფლორ-დე-ლისს შიგ გულში მოხვდა.

— თქვენს მაგიერ, ჩემო მშვენიერო, — განაგრძო კაპიტანმა, რომელსაც ქუჩის გოგოსთან ლაპარაკში ენა გაეხსნა, — შემატოვეთ ვილაც კუშტი, პირქუში არამზადა, ბრუციანი და კუზიანი, მგონია, ეპისკოპოსის ზართა მრეკველი. მე მითხრეს, რომ იგი რომელიღაც არქიდიაკონის ნაბიჭვარია და ეშმაკისაგან არისო შექმნილი. სასაცილო სახელი აქვს, არ ვიცი, რაღა არა ჰქვია „დიდ მარზვის ღდი“, „ბზობის კვირა“ თუ „ყველიერი“. ერთი სიტყვით, ბოლოს, რაღაც დიდი ზარზეიმის სახელი ჰქვია! მან თავის თავს ნება მისცა მოეტა-

ცეთ, თითქოს თქვენ მნათეებისთვის იყოთ შექმნილი. ეს უკვე მეტრისმეტია! ეშმაკმა დალახვროს, რა უნდოდა თქვენგან ამ ბუჟიოტს? რაო? მითხარით, გეთაყვა!

— არ ვიცი. — უპასუხა მან.

— რა თავხედობაა! ვილაც ზარების მრეკველი იტაცებს ქალიშვილს. თითქოს ვიკონტი ბრძანდებოდეს! ვილაც ხეპრე ქურდმონადირე კეთილშობილთა ნადირს ასდევნებია. ეს იშვიათია! თუმცა ძვირად დაუჯდა. მეტრ პიერა ტორტერიუ ყველაზე ღონიერი მეჯინიბეა, რომელიც ყალთაბანდებს სამურველით ფხეკს, და მე შემიძღვია მოგახსენოთ, თუ კი ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, რომ მან მარჯვედ დაამუშავა თქვენი ზართა მრეკველის ტყავი.

— საბრალო ადამიანი — თქვა ბოშა გოგონამ, რომლის მეხსიერებაში ამ სიტყვებმა გააცოცხლეს სცენა სამარცხვინო ბოძთან.

კაპიტანმა გადაიხარხარა.

— ხარის რქებიც გამობმია! ეს თანაგრძნობა აქ ისევე უადგილოა, როგორც ფრთა ღორის უკანაღზე! დე თუნდაც პაპის ღიბი გამოუმებას, თუ...

მაგრამ აქ უეცრად შეჩერდა, გაახსენდა, სად იმყოფებოდა.

— მაპატიეთ, ქალბატონებო! მგონია, რაღაც სისულელე წამოვეროშე.

— ფუ! ბატონო! — თქვა გაილფონტენმა.

— ეგ ამ ქმნილების ერთ ლაპარაკობს! — დაუმატა დაბალი ხმით ფლორ-დე-ლისმა, რომლის გულში ჯავრი წუთით-წუთამდე მატულობდა. ეს ჯავრი სრულიადაც არ შემციირებულა, როდესაც მან შენიშნა, თუ ბოშა ქალიშვილით, უფრო კი საკუთარი არსებით აღტაცებული კაპიტანი როგორ შემოტრიალდა ქუსლზე და ერთობ მიაშიტური და ბრიყვეული თავაზიანობით გაიმეორა:

— მშვენიერი გოგონაა, სულსა ვფიცავ!

— მაგრამ საკმაოდ ველურად აცვია, — თქვა დიანა დე კრისტელიმა და თან გაიღიმა. რათა თავისი ლამაზი კბილები გამოეჩინა.

ეს მოსაზრება სხვებისათვის სინათლის სხივი შეიქნა. ამით დაინახეს ის მხარე, საიდანაც შეიძლებოდა იერიშის მიტანა ბოშა ქალზე. რაკი მის სილამაზეში ვერაფერი ნახეს საკბენი და საკბილო, ამიტომ მის ტანისამოსს დაეძგერნენ.

— მართლაც, პატარავ, — თქვა მონმიშელმა, — საიდან მოგივიდა თავში აზრად, რომ უგულისპირო პერანგითა და უყელსახვევოდ, უთავსაფროდ დარბიხარ ქუჩა-ქუჩა?

— კაბის ქვედატანი კი იმდენად მოკლე გაცვია, რომ პირდაპირ შემადრწუნებელია! — დაუმატა გაილფონტენმა.

— ჩემო ძვირფასო! — საკმაოდ შვევედ განაგრძო ფლორ-დელისმა, თქვენი თავს შეაპყრობინებთ ქალაქის გუშაგებს თქვენნი ოქროს სარტყელის გამო.

— პაწიავე, პაწიავე, — წამოიწყო ისევ დაუნდობელი ღიმილით კრისტეილმა, — შენ რომ ეგ მკლავები პატიოსნად სახელოებით დაგეფარა, ასე არ დაგეწვებოდა მზეზე.

ქვეშაბრტყლად, ეს სანახაობა უფრო გონებაგამჭრიახი მაცურებლის ღირსი იყო, ვიდრე გახლდათ ფებუსი, რომელიც შეჰყურებდა იმას, თუ როგორ გველებივით იკლავებოდნენ, სრიალებდნენ, მოუსვენრობდნენ, ფუსფუსებდნენ და სისინებდნენ ქუჩის მოცეკვავის ირგვლივ თავიანთი მოშხამული და გამაღიზიანებელი ენებით ეს ლამაზი ქალიშვილები. ისინი გულქვა კეკლუცები იყვნენ. ღვარძლით ჩხრეკდნენ და ქექავდნენ მის კილიტებიან და ზიზილ-პიპილებიან ღარიბულ და უცნაურ მორთულობას. გაკილვას, ქირდვასა და დამცირებას ბოლო აღარ უჩანდა. სეტყვასავით დააყარეს ბოშა გოგონას გესლიანი დაცინვები, თან კეთილმოსურნე და თანაც შედიდური; გაავებული თვალით უცქერდნენ. შეიძლება კაცს ეფიქრა, ახალგაზრდა რომელ ქალბატონებს თუ ვუცქერ, რომლებიც გასართობად ოქროს ქინძისთავეებს ურკობდნენ მკერდში ლამაზ მონა ქალსაო, ისინი კოხტა მწვეარ ძალღებს ჰგაყდნენ, ნადირობის ჟამს ნესტობდაბერილი, თვალებანთებულნი რომ უვლიან გარს ტყის საბრალო ფურირემს, რომლის გაგლეჯვასა და შესანსევლას ბატონის მკაცრი გამოხედვა უკრძალავთ.

ბოლოს, რას წარმოადგენდა ამ დიდგვარიანი ქალიშვილების წინაშე საჯარო მოედნებზე მოცეკვავე საცოდავი გოგო? მის იქ ყოფნას არავინ არაფრად აგდებდა და მის წინაშე თვით მასზე ხმა-მალლა ლაპარაკობდნენ როგორც უსუფთაო, არასაკადრის, ბილწ, თუმცა საკმაოდ ლამაზ ვინმეზე.

ბოშა გოგონა კარგად გრძნობდა ამ ნემსების ჩხვლეტას. დროდა-დრო სირცხვილის აღმური მოედებოდა მის ღაწვებსა და რისხვა უელვებდა თვალებში. გეგონებოდათ, სადაცაა სიძულვილით საცეს სიტყვა დასცდებოდა ბაგეთაგან. ხშირად ტუჩებს ზიზილით აიბზუებდა ხოლმე, მკითხველმა უკვე იცის, როგორ აკეთებდა ამას. მაგრამ სდუმდა. უძრავად იდგა და მორჩილების გრძნობით საცეს, ნაღვლიანი და მშვიდი თვალები ფებუსისათვის მიეპყრო. მზერა მისი გამოხატავდა ბედნიერებასა და სინაზეს. გეგონებოდათ, თავს იკავებდა იმის შიშით, აქედან არ გამაძეოსო.

ფებუსი კი იცინოდა და ბოშა ქალის მხარე ეჭირა უტიფრობა-ნარევი თანაგრძნობით.

— დაე ილაპარაკონ. ჩემო პატარა! -- იმეორებდა იგი, ოქროს დეზების წყარუნით; — თქვენი ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, ცოტა უცნაური და ველურია, მაგრამ ისეთი წარმტაცი ქალიშვილისათვის, როგორიც თქვენა ხართ, რას ნიშნავს ეგ?

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ქერა გაილფონტენმა და მწარე ღიმილით გედის ყელი მოიღერა, — მე ვხედავ, მეფის განრიგის ბატონ მსროლელთაც ადვილად ეკიდებათ ცეცხლი ბოშა ქალის ლამაზ თვალთაგან.

— რატომაც არა? — თქვა ფებუსმა.

ამ პასუხზე, რომელიც კაპიტანმა დაუდევრად გადმოისროლა ვითარცა ალაღბედზე გადაგდებული ქვა და თვალის კი არ გაადევნა, სად დაეცემოდა, კოლომბამ სიცილი დაიწყო, იცინოდნენ აგრეთვე დიანა, ამლოტა და ფლორ-დე-ლისიცი კი, მაგრამ ამ უქანასკნელს იმავე დროს თვალეზე ცრემლი მოადგა.

ბოშა გოგონამ, რომელმაც კოლომბა დე გაილფონტენის სიტყვებზე თვალეები ძირს დახარა, სიხარულითა და სიამაყით გაბრწყინებული თვალეები კვლავ ფებუსს მიაპყრო. ამ წუთს იგი მართლაც მშვენიერი იყო.

მონუცი ქალბატონი თვალს ადევნებდა ამ სანახაობას და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა; მას არაფერი გაეგებოდა.

— წმინდაო ქალწულო მარიამ! — შეჰკვივლა მან უტბად, — ეს რა მებლანდება ფეხებში? აჰ! საძაგელი ცხოველი!

ეს იყო თხა, რომელიც პატრონს დაეძებდა, აქ მოირბინა და როცა მისკენ გაეშურა, სავარძელში მჯდომი კეთილშობილი ქალბატონის ფეხებთან გაშლილ კაბის კალთებში რქებით გაიხლართა.

ამან ყველას ყურადღება მიიპყრო. ბოშა გოგონამ უსიტყვოდ გაათავისუფლა თავისი თხა.

— ოჰ! აგერა ოქროსჩლიქებიანი პაწაწა თიკანიც! — შესძახა ბერანკერემ და სიხარულისაგან შეხტა.

ბოშა ქალმა მუხლთ მოიდრია და მოალერსე თხის თავს ლოყა მიაღო. თითქოს პატიებას სთხოვდა იმის გამო, რომ ასე დიდხანს მიატოვა.

ამ დროს დიანა კოლომბას ყურისაკენ დაიხარა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო! რატომ ამაზე ადრე არ დაეფიქრდი? ეს ხომ ის ბოშა ქალია თავისი თხით. ამბობენ, ჯადოქარია და მისმა თხამ ყოველგვარი სასწაულებრივი რამეების მოხდენა იცისო.

— ძალიან კარგი, — თქვა კოლომბამ, — თუ ასეა, მაშინ ჩვენც გაგვართოს მაგ თხამ თავის მხრივ და გვაჩვენოს რამე სასწაული.

დიანამ და კოლომბამ მკვირცხლად მიმართეს ბოშა ქალს:

- გოგონა, გააკეთებინე რამე სასწაული შენს თხას.
- არ მესმის, რა გინდათ მითხრათ, — უპასუხა მოცეკვავემ.
- რამე სასწაული, თნლისმა, ბოლოს, რამე ჯადოსნობა.
- არ ვიცი.

და ისევ ლამაზ ცხოველს დაუწყო ალერსი, თან იმეორებდა: „ჯალი! ჯალი!“

იმ წუთსავე ფლორ-დე-ლისმა შენიშნა თხის კისერზე ჩამოკიდებული მოქარგული ტყავის ქისა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა ბოშა ქალს.

ბოშა ქალმა თავისი დიდრონი თვალები მიაპყრო მას და მნიშვნელოვნად უპასუხა:

— ეს ჩემი საიდუმლოა.

„ნეტა ვიცოდე რა საიდუმლო გაქვს“, — გაიფქრა ფლორ-დე-ლისმა.

ამ დროს პატივცემული დიდი ქალბატონი გაბრაზებული წამოდგა და თქვა:

— ბოშის გოგოვ, თუ არც შენ და არც შენი თხა არაფერს გვიჩვენებთ საცეკვაოს, მაშინ რა გინდათ, რაღას აკეთებთ აქ?

ბოშა ქალი პასუხგაუცემლად დინჯად გაემართა კარისაკენ. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა გასასვლელს, მით უფრო ნელა ადგამდა ნაბიჯებს. თითქოს რაღაც უძლეველი მაგნიტი ეწყოდა უკან. უცბად შემობრუნდა, თავისი ცრემლიანი თვალები ფეხებს მიაპყრო და გაჩერდა.

— ნამდვილად, უფალსა ვფიცავ, — შესძახა კაპიტანმა, — ასე წასვლა არ ეგების. დაბრუნდით და რამე გვიცეკვეთ. მართლა, რა გქვიათ სახელი, სანუყვარო?

— ესმერალდა, — თქვა თვალმოუშორებლად მოცეკვავე ქალმა.

ამ უცნაური სახელის გაგონებაზე ახალგაზრდა ქალებს სიცილა წასკდათ.

— ოი, რა საშინელი სახელია ქალიშვილისათვის! — თქვა დიანამ.

— ახლა, თქვენც კარგად ხედავთ, რომ იგი მჩხიბავია, — დაუმატა ამლოტამ.

— ჩემო ძვირფასო, — წამოიძახა ზემით ქალბატონმა ალოიზამ, — ასეთ სახელს თქვენი მშობლები ნათლობის ემბაზში ვერ დაიჭერდნენ.

ამასობაში, რამდენიმე წუთის შემდეგ, სხვისთვის შეუშინევლად, ბერანეერამ ნუშის ტკბილი გავალოთი თხა ოთახის ერთ კუთხეში გაიტყუა. ერთ წუთში ისინი უკვე დამეგობრდნენ. ცნობისმოყვარე

გოგონამ თხას კისერზე ჩამოკიდებული ქისა შეხსნა, პირი მოუხსნა და ქილობზე წამოყარა, რაც კი შიგ ეწყო. ანბანი იყო, რომლის თვითეული ასო ცალ-ცალკე ეწერა ბზის პატარა ფილაზე. როგორც კი ეს სათამაშოები ქილობზე გაიშალა, განცვიფრებულმა გოგონამ დაინახა, თუ როგორ შეუდგა თხა ერთ-ერთი თავისი „სასწაულის“ შესრულებას: ოქროს ჩლიქით გარკვეული ასოები მისწი-მოსწია და ნელი წაბიძგებით განსაკუთრებული წესრიგით განალაგა. ერთი წამის შემდეგ გამოიყვანა სიტყვა, რომლის დაწერაც ჩანს კარგად ჰქონდა გავარჯიშებული, ისე სწრაფად და უწყყმანოდ შეადგინა იგი. ალტაცებულმა ბერანეერამ უცბად ტაში შემოჰკრა და წამოიყვირა:

— ნათლია ფლორ-დე-ლის, ერთი შეხედეთ, რა ჰქნა თხამ!

ფლორ-დე-ლისმა მიიღბინა და შეკრთა. იატაკზე გაშლილი ასოები შეადგენდნენ სიტყვას:

ფ ე ბ უ ს

— ეს ამ თხამ დაწერა? — ჰკითხა ათრთოლებული ხმით.

— დიახ, ნათლია, — უპასუხა ბერანეერამ.

შეექცევა შეუძლებელი იყო; ბავშვმა წერა არ იცოდა.

„აი რა ყოფილა მისი საიდუმლო!“ — გაიფიქრა ფლორ-დე-ლისმა.

ბავშვის შეძახილზე ყველამ მოიღბინა: დედამ, ახალგაზრდა ქალებმა, ბოშა გოგონამ და ოფიცერმა.

ბოშა ქალმა დაინახა, რა სისულელე ჩაიდინა მისმა თხამ. ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა და კანკალი დაიწყო, თითქოს დანაშაულში ამხილესო კაპიტნის წინაშე, რომელიც გაკვირვებული და კმაყოფილი ღიმილით უცქერდა.

— ფებუს! — ჩურჩულებდნენ განცვიფრებული ახალგაზრდა ქალიშვილები. — მაგრამ ეს ხომ კაპიტნის სახელია!

— თქვენ საკვირველი მესხიერება გქონიათ! — უთხრა ფლორ-დე-ლისმა გაქვავებულ ბოშა გოგონას. შემდეგ ქვითინი აუვარდა: — „ოჰ, მართლაც ჯადოქარი ყოფილა! — მწუხარებით წაიბუტბუტა და ორი ლამაზი ზელი სახეზე მიიფარა. ხოლო გულის სიღრმიდან მოესმა კიდევ უფრო დამაღონებელი ხმა, რომელიც ეუბნებოდა: „ის მეტოქეა!“.

იგი გულწასული დაეცა.

— ჩემო გოგონა, ჩემო ასულო! — იყვირა შეშინებულმა დედამ. — გაეთრიე, ჯოჯოხეთის მოცუქულო, ბოშის გომბიოვ!

ესმერალდამ თვალის დახამხამების უმაღლეს წამოკრიფა ავბედითი

ასოები, ჯალის ანიშნა და ერთ-ერთი კარებიდან გავიდა, მეორე კარით კი ფლორ-დე-ლისი გაიყვანეს.

მარტო დარჩენილი კაპიტანი ფებუსი ერთი წუთით მერყეობდა, რომელ კარებში გასულიყო; ბოლოს ბოშა ქალს დაედევნა.

II

ხუცესი სხვაბ, ფილოსოფოსი სხვა

ახალგაზრდა ქალიშვილებმა რომ შეამჩნიეს ჩრდილოეთის კოშკის წვერზე მოედნისაკენ გადახრილი ხუცესი, რომელიც ასე უურადლებით ადევნებდა თვალს ბოშა გოგონას ცეკვას, მართლაც არქიდიაკონი კლოდ ფროლო იყო.

ჩვენს მკითხველებს ალბათ არ დაეწევიან ის საიდუმლო სენაკი, რომელიც არქიდიაკონს თავისთვის მოეწყო ამ კოშკზე. (არ ვიცი, მართალს ვამბობ თუ არა, ხომ არ არის ეს სწორედ ის სენაკი, რომლის შიგნით ახლაც შეიძლება შევიხედოთ ადამიანის სიმაღლეზე გაკრილი პატარა ოთხკუთხი სამერცხულით აღმოსავლეთის მხრიდან იმ ბაქანზე, საიდანაც აღმართულია კოშკები; ამჟამად იგი ერთი დაცარიელებული, დაზიანებული საკუქნაა. რომლის უშნოდ შეღესილი კედლები აქა-იქ „მორთულია“ ახლა სხვადასხვა კათედრალების წინხედთა გამომსახველი საძაგელი და გაყვითლებული ამონატვიფრებით. ვფიქრობ, ამ სოროში ერთად ბინადრობენ ღამურები და ობობები და, მაშასადამე, იქ ორმაგი ომია გაჩაღებული ბუხების გასანადგურებლად).

უოველდღე მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე არქიდიაკონი კოშკის კიბით აღიოდა, ჩაიკეტებოდა ამ საყანში, სადაც ხანდახან მთელ ღამეებს ატარებდა. იმ დღეს, სწორედ იმ წუთს, როცა თავისი თავშესაფარის დაბალ კარს მიადწია და კლიტეში უყრიდა პატარა რთულკბილებიან გასაღებს, რომელსაც მუდამ თან ატარებდა გვერდზე ჩამოკიდებული ქისით, მის ყურამდე მოადწია დაირისა და ჯიმი-ჯიმების ხმაურმა. ეს ხმები კარიბჭის ფორიდან მოდიოდა. სენაკს, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ სამერცხული ჰქონდა, რომელიც ტაძრის თხემს გაჰყურებდა. კლოდ ფროლომ სწრაფად გამოიღო გასაღები და თვალის დახამხამების უმალ უკვე კოშკის წვერზე აღმოჩნდა იმ მოღუშულ და ჩაფიქრებულ მდგომარეობაში, რომელშიც კეთილშობილმა ქალიშვილებმა შეინიშნეს.

ის იდგა იქ, სერფოზული, უძრავი, ერთი ფიქრითა და ერთი სა-

ნახაობით შთანთქმული. მთელი პარიზი მის ფერხით იყო გაშლილი თავისი შენობების ათასობით ისარივით წერწყეტა წვეროებით, მსუბუქად მოხაზული პორცეების რკალით პორაზონტზე. დაკლანძვილი მდინარითა და ხიდებით, ქუჩებში ტალღებად მობიზინე ხალხით, კვამლის ღრუბლებით, უსწორ-მასწორო ჯაჭვივით გაბმული სახურავებით, რომელიც თავისი გაორმაგებული რგოლებით შემორკალიდა და ავიწროებდა ღვთისმშობლის ტაძარს. მაგრამ მთელ ამ ქალაქში არქიდიაკონი მისი ქვაფენილის მხოლოდ ერთ კუთხეს ხედავდა — ტაძრის კარიბჭისწინა ფორს; ხოლო იქ მყოფ ხალხში — მხოლოდ ერთ არსებას, ერთ სახეს, ბოშა გოგონას.

ძნელი სათქმელი იყო, რას გამოხატავდა ეს მზერა და საიდან გასჩენოდა ის ცეცხლი, რომელიც მის თვალებში ენთო. მზერა ჩაშტერებული, და იმავე დროს აღელვებული, აფორიაქებული ჰქონდა. და ვინც ნახავდა უძრავად გაქვავებულ მის სხეულს. დროგამოშვებით რომ შეარყევდა უნებური ქრეოლა, როგორც ხეს ქარი, ვინც კი შეველებდა თვალს მის იდაყვებს, იმ მოაჯირის მარმარილოზე უფრო ქვადქცეულს, რომელსაც ის დაყრდნობოდა, ვინც შენიშნავდა მის ბაგეებზე შეყინულ ღიმილს, რის გამო სახეც კი დაღმეკოდა, ყველა იტყოდა, რომ კლოდ ფროლოში ცოცხალი მხოლოდ თვალები და რჩენილიაო.

ბოშა ქალი ცეკვავდა. თითის წვერებზე ატრიალებდა და ჰაერში ათამაშებდა დაირას; პროვანსალურ სარაბანდას როკავდა; მკვირცხლი, მსუბუქი, მხიარული, ვერ გრძნობდა იმ საზარელი მზერის სიმძიმეს, ტყვიასავით შვეულად რომ ეცემოდა თავზე.

მის არგვლივ ხალხი ფუთფუთებდა. დროდადრო ვიღაც წითელყვითელ ქურთუქში გამოპრანკული კაცი წრეს აფართოებდა, განსაძლევდა, შემდეგ ისევ, მოცეკვავე ქალისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, სკამზე ჯდებოდა და მუხლებზე თხის თავს იხუტებდა. ეს კაცი, როგორც ჩანდა, ბოშა ქალის თანამგზავრი იყო. კლოდ ფროლო იმ სიმაღლიდან მისი სახის ნაკეთებს ვერ არჩევდა.

იმ წუთიდან, როგორც კი არქიდიაკონმა ის უცნობი მამაკაცი შეამჩნია, მისი ყურადღება თითქოს გაიყო მოცეკვავესა და იმ კაცს შორის, და სახე თანდათან ეღუშებოდა. უცბად წელში გასწორდა, ტანში ერთნაირად დაურბინა:

— ეს რა კაცი? — წაიბუტბუტა მან, — მუდამ მარტო ვხედავდი.

მაშინ იგი გაქრა ხვეული კიბის დაკლანძვილ თაღებს ქვეშ და ძირს დაეშვა. როცა სამრეკლოს გამოღებულ კარებს ჩაუარა, ისეთი რამ შეამჩნია, რამაც ძალიან გააკვირვა: მან დაინახა კვაზიმოდო, რომელიც უშველებელი დარაბის მსგავსი ქვადაფის ერთ-ერთი ფარ-

დულის ხერელის წინ დახრილიყო და ასევე მოედინისკენ იქვრატებოდა. ის იმდენად იყო გატაცებული ცქერით, რომ ვერც კი გაიგო მამობილის ჩავლა. მის ველურ თვალს უცნაური გამომეტყველებაჰქონდა. მზერა მისი აღტაცებული და ნაზი იყო.

— რა უცნაურია! — ჩაიდუღუნა კლოდმა. — ნუთუ ეგვეც ბოშა გოგოს უცქერს ასე? — და განაგრძო თავქვე სვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ შეწუხებული არქიდიაკონი კოშკის ძირს დატანებული კარიდან მოედანზე გამოვიდა.

— სად გაქრა ბოშა გოგო? — იკითხა მან, როცა დაირის ხმაზე შეგროვილი მკურებლების ჯგუფს შეერია.

— არ ვიცი. — უპასუხა ერთ-ერთმა მეზობლად მდგომმა, — საიღაც გაქრა. მგონია, ფანდანგოს! საცეკვაოდ ავიდა აი იმ მოპირდაპირე სახლში, საიდანაც დაუძახეს.

ბოშა გოგონას მაგიერ იმ ხალიჩაზე, რომლის არაბესკები ამ ერთი წუთის წინ ქრებოდნენ მოცეკვავე ქალის მოძრავე ფერხთა ქვეშ, არქიდიაკონმა დაინახა მხოლოდ წითელ-ყვითელ საცმელში გამოპრანჭული კაცი, რომელიც წრეს უვლიდა, რათა თავის მხრივ რამდენიმე ვერცხლის ფული ეშონა; იდაყვები გვერდებზე მიებრჯინა, თავი უკან გადაეწია, სახე დასწითლებოდა, კისერი დაეძაბა, კბილებით სკამი ეჭირა. ამ სკამზე მეზობლისაგან ნათხოვარი კატა დაება. შეშინებული ციციი ჩხაოდა.

— ღვთისმშობელო! — შესძახა არქიდიაკონმა იმ დროს, როდესაც გაოფლილმა ქუჩის ჯამბაზმა წინ ჩაუარა სკამისა და კატისაგან აღშართული პირამილით. — აქ რას აკეთებს მეტრ პიერ გრენგუარი?

არქიდიაკონის მკაცრმა ხმამ საწყალი კაცი ისე შეაძრწუნა, რომ მთელი თავისი ნაგებობით წონასწორობა დაკარგა და თავშეუქცავებელ ყიყინასა და ჟრიაშულში არეულ-დარეულ სკამი და კატა დამსწრეებს თავზე დაეცა.

მოსალოდნელი იყო, მეტრ პიერ გრენგუარს (რადგან იგი სწორედ პიერ გრენგუარი ბრძანდებოდა) არასასიამოვნო ანგარიშის ჩაბარება დასჭირდებოდა მეზობელთან კატის გამო, აგრეთვე ირველივ მყოფ მკურებელთა დაუეყილი და დაფხაჭნილი სახეების გამო, რომ სასწრაფოდ არ ესარგებლა არეულობით და თავი არ შეეფარებინა ეკლესიისათვის, საითაც კლოდ ფროლომ გაყოლვა ანიშნა.

ტაძარში ბნელოდა და სიცარიელე იყო. კონტრ-ნეტებში წყვდიადი სუფევდა, ხოლო ეკედერთა კანდელები ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ, ესოდენ დანთქმულიყვინ თაღები სიბნელეში. მხოლოდ წინხედის დიდი მრგვალი სარკმელი, რომლის ათასფერი მინები ჩამავალი მზის თარხულ სხივებში ბანაობდა, სიბნელეში აღმასის

თვლებით ბრჭყეიალებდა და ნეფის მეორე ბოლოს თვალისმომკრელ სპექტრს არეკლავდა.

როდესაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, მამა კლოდი ერთ სვეტს მიეყრდნო და გრენგუარს მიაშტერდა. ეს არ იყო ისეთი მზერა, რომლისაც გრენგუარს ეშინოდა, დარცხვენილ იმის გამო, რომ ასეთმა გამოჩენილმა და სწავლულმა კაცმა მასხარას ტანსაცმელში წაასწრო. მღვდლის გამოხედვაში არ იყო არც დაცინვა და არც ირონია: იგი სერიოზული, მშვიდი და გამპკრიახი იყო. დუმილი პირველად არქიდიაკონმა დაარღვია:

— მოლით აქ, მეტრ პიერ. თქვენ ბევრი რამ უნდა ამიხსნათ. ჯერ ერთი, რატომ არ ჩანდით, თითქმის ეს ორი თვეა, და ახლა უცებ განახლობთ გზაჯვარედინებზე, ქეშმარიტად, უმშვენიერესი აღჭურვილობით, კოდუბეის¹ ვაშლივით ნახევრად ყვითელი, ნახევრად წითელი ტანსაცმლით?

— მესირ, — თქვა საცოდავი ხმით გრენგუარმა, — ეს მართლაც სასაცილო და საყვირველი მორთულობაა, და თქვენ მხედავთ, რომ თავზე გოგრაჩამოცმულ შემკრთალ კატასავით ვგრძნობ მასში თავს. ვაღიარებ, რომ ცულად ვიქცევი და ქალაქის გუშაგთა ბატონ სერჟანტებს საფრთხეში ვაგდებ, ვაი თუ მოუხდეთ ამ ქურთუქის ქვეშ დაფარული ფილოსოფოს-პითაგორელის მხრების გაჯოხვა. მაგრამ მიბრძანეთ, რა ექნა, ჩემო ღირსეულო მასწავლებლო? ამაში ბრალი მიუძღვის ჩემს ძველ კამზოლს, სერთუქს, რომელმაც ზამთარი დადგა თუ არა, სულმდაბლურად მიმატოვა, იმ საბაბით, ნაგლეჯებად ვიფლითები და აუცილებლად მჭირდება მოსვენება მეძონძის გულაკალათაშიო. რას იზამ? ცივილიზაციას ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარების იმ საფეხურისათვის, რომ ტიტველი სიარული შეიძლებოდეს, როგორც ეს სურდა ძველ ფილოსოფოს დიოგენესს². ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძალიან ცივი ქარი ჰქროდა და იანვარი არ არის ისეთი თვე, როცა შეიძლება კაცმა წარმატებით მოახდინოს ცდა და კაცობრიობა ამ ახალი გზით ერთი ნაბიჯით წინ წასწიოს. და აი ამ დროს ხელში ჩამივარდა ეს ქურთუქი. მეც ავიღე და იქვე მივატოვე ჩემი ძველი, გაშავებული ტილოს ხალათი, რომელიც სულაც ვერ ჰფარავდა ჰერმეტულად ჩემისთანა ჰერმეტიკოსს. და აი მეც ვითარცა წმინდა გენესია³ შევიმოსე სამოსითა ქილიკისათა. რა ექნა, მიბრძანეთ, გეთაყვა? აბა რას ვიზამ ეს ჩემი ვარსკვლავის დროებითი დაბნელება. აპოლონიც ხომ მწყემსავდა ადმეტეს ღორებს⁴.

— კარგი ხელობა კი აგირჩევია! — შენიშნა არქიდიაკონმა.

— გეთანხმებით, ჩემო მასწავლებლო, რომ ბევრად უკეთესია

ფილოსოფოსობა და პოეტობა, ბრძმედში ცეცხლის ალის გაჩაღება ან ციდან ჩამოტანა, ვიდრე ციციას ფარზე აღმართვა. ამიტომ როდესაც თქვენ ანაზღად მომმართეთ, მე უფრო გამოყეყეჩებული ვიყავი, ვიდრე ვირი შამფურსატრიალებლის წინაშე. მაგრამ რას ვიზამ, მოძღვარო? ყოველდღიურად თავი ხომ უნდა ვირჩინო? ყველაზე ლამაზი ალექსანდრიული ლექსები! ბრის ყველის ნაჭრის მაგიერობასაც ვერ გაუწევს კბილებს. ამასწინათ დავწერე ქალბატონ მარგარიტა ფლანდრიელის პატივსაცემად ცნობილი საქორწინო ლექსი, რომელსაც თქვენ იცნობთ; ქალაქმა მასში არაფერი გადამიხადა იმ საბაბით, რომ სრულყოფილი არ არისო, თითქოს ოთხ ეკიულ სოფოკლეს² ტრაგედიის დაწერა შეიძლებოდეს. მე შიშვლით სიკვდილი მელოდა. საბედნიეროდ, საკმარის ძლიერი ყბა აღმომაჩნდა და მე ვუთხარი მას: — მიჩვენე შენი ძალა და ეკვილიბრისტიკა და შენ თვითონ არჩინე თავი შენი. *Ale te ipsam**. კონკიუღლარუნების ხროვამ, რომლებიც ჩემი საუყუთესო მეგობრები გახდნენ, მასწავლა ოცნაირი საბუმბერაზო ხერხი და ოინი, და ახლა ყოველ საღამო ჩემს კბილებს ვაწვდი იმ პურს, რომელსაც ისინი დღისით შოულობენ ოფლითა შუბლისა ჩემისათა. თუმცა, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, *concedo*, რომ ეს ჩემ გონებრივ უნარიანობათა მეტად უბადრუკი გამოყენებაა, და რომ აღამიანი იმისათვის როდია შექმნილი, თავისი სიცოცხლე დაირის დაკვრასა და სკამის ღრღნაში გაატაროს. მაგრამ, ღირსეულო მასწავლებლო, მარტო ის როდი კმარა, სიცოცხლე გავათრიოთ, ის უნდა შევიწარჩინოთ და დავიცვათ კიდევ.

მამა კლოდი წყნარად უსმენდა. უცბად მისმა ღრმად ჩავარდნილმა თვალებმა ისეთი შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი, სულში ჩამწვდომი გამომეტყველება მიიღეს, რომ გრენგუარმა იგრძნო თითქოს მისმა შეხედვამ ძირამდე გამოუჩხჩიკა სული.

— ძალიან კარგი, მეტრ პიერ, მაგრამ საიდან, როგორ მოხვდით ბოშა მოცეკვავე ქალის საზოგადოებაში?

— უნდა გამოგიტყდეთ, — უთხრა გრენგუარმა, — საიდან, და იქიდან, რომ ის ჩემი ცოლია და მე მისი ქმარი ვარ.

ხუცესის ბნელი თვალი ცეცხლივით აენთო.

— მერე და შენ ეგ ჩაიდინე, უბედურო? — უყვირა მან და თან გამძვინვარებულმა ხელი დაუჭირა გრენგუარს. — ნუთუ ეგრე დაგთმო ღმერთმა, რომ ხელი შეახე მაგ ქალიშვილს?

— ვფიცავ სამოთხის იმ ჩემს ნაწილს, მონსენიორ, — უპასუხა

* შენ თვითონ ასაზრდოვე თავი შენი (ლათ.).

მთელი თავისი სხეულის ყოველი ნაწილს კანკალით, — გეფიცებით, არასოდეს ხელი არ მიხლია მისთვის, თუ კი თქვენ ეგ გაწუხებთ.

— მაშინ რაღა ცოლ-ქმრობაზე ლაპარაკობ? — უთხრა მღვდელმა.

გრენგუარი დაეშურა მოკლედ ეამბო ყველაფერი, რაც მკითხველმა უკვე იცის მის თავგადასავალზე სასწაულებათა ეზოში, ქორწინებასა და დამსხვრეულ სურაზე, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ქორწინებას დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ბოშა ქალი ყოველ საღამო, ისე როგორც ქორწინების პირველ დამეს, მარჯვედ ატყუებდა, შეუმჩნევლად ეპარებოდა.

— სამწუხაროა და დასანანი, — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ საუბედუროდ ქალწულ ქალზე ვიქორწინე.

— რა გინდათ ამით თქვით? — შეეკითხა არქიდიაკონი, რომელიც თანდათან მშვიდდებოდა, სანამ გრენგუარი მოუთხრობდა.

— საკმაოდ ძნელი ასახსნელია, — უპასუხა პოეტმა. — ეს ერთგვარი ცრუმორწმუნეობაა. ჩემი ცოლი, — როგორც ამიხსნა ერთმა ბებერმა გაიძვერა ქურდმა, რომელსაც ჩვენთან ეგვიპტელ ღუქას, ჰერცოგს უხმობენ, — ნაპოვნი თუ დაკარგული ბავშვია, რაც ბოლოს ერთი და იგივეა. მას ყელზე ჰკიდია ავგაროზი, რომელიც, როგორც ირწმუნებიან, ერთ დღეს აპოენინებს თავის მშობლებს, მაგრამ რომელიც თავის ძალას დაკარგავს, როგორც კი ყმაწვილი ქალი თავის უმანკობას დაკარგავს. აქედან წარმოსდგება ისიც, რომ ჩვენ ორივე ასე უმანკოდ და უბიწოდ ვცხოვრობთ.

— ამრიგად, — ჰკითხა კლოდმა, რომელსაც შუბლი თანდათან გაეხსნა და სახე გაუწათდა, — თქვენ ფიქრობთ, მეტრ პიერ, რომ ამ ქმნილებას ჯერ არც ერთი მამაკაცი არ მიჰკარებია?

— რა ბრძანებაა, მამაო კლოდ, რას გააწყობს მამაკაცი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. ეს ცრუმორწმუნეობა მას თავში აქვს ჩაქედილი. მე მგონია, ასეთი გადაქარბებული მონაზონური სათნოება, გააფრთხილებს რომ იცავს თავს, ძალიან იშვიათია ბოშა გოგონებს შორის, რომელთა მიჩვევა საერთოდ აღვილია. მაგრამ მას სამი დამცველი ჰყავს: ბოშათა ჰერცოგი, ღუქა, რომელიც მას მფარველობს იმ იმედით, რომ შეიძლება ვინმე წყევულ აბატს მიჰყიდოს; შემდეგ მას მფარველობს მთელი მისი ტომი, რომელიც მას თავყანსა და პატივსა სცემს როგორც ღვთისმშობელს; და ბოლოს, მას უფიქველ მფარველობას უწევს კონტა ხანჯალი, რომელსაც ყოჩადი გოგონა მუდამ თან ატარებს, საღდაც უბუში გადამალულს,

მუხედავად პრეოს ბრძანებისა, და რომელიც მაშინვე იელვებს მის ხელში, როგორც კი წელზე ხელს მოხვევ. გარწმუნებთ, ნამდვილი ამაყი კრახანაა!

არქიდიაკონმა კითხვა კითხვაზე დააყარა.

გრენგუარის აზრით, ესმერალდა უწყინარი და მომხიბლავი ქმნილება იყო; ლამაზი, მეტადრე როცა ამრეზილი არ არის, გულუბრყვილო და ვნებიანი ქალიშვილია, არაფერი გაეგება ცხოვრებისა და ყველაფერი იტაცებს; ჯერ კიდევ არ იცის, რა განსხვავებაა დედაკაცსა და მამაკაცს შორის, სიზმარშია ცი; აი როგორია! უყვარს ცეკვა, ხმაური, ცხოვრება ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე; ქალიფუტკარი, ფეხებზე უხილავი ფრთები აქვს, რაღაც მუღმივ გრიგალში ცხოვრობს. მისი ბუნებაც იმ მოხეტიალე ცხოვრების კვალად ჩამოიქნა, რომელსაც იგი მუდამ ეწეოდა. გრენგუარმა მოახერხა გავეგო, რომ მას ჯერ კიდევ ბავშვობაში შემოუვლია ესპანეთი და კატალონია სიცილიამდე. ის ფიქრობდა, რომ ბოშათა იმ ქარავანმა, რომელსაც გოგონა ეკუთვნოდა, იგი ალყირის სამეფოში ჩაიყვანა, იმ ქვეყნად, აქაიაში რომ მდებარეობს, ხოლო ეს აქაია ერთი მხრივ ესაზღვრება პატარა ალბანეთს და საბერძნეთს, მეორე მხრივ კი სიცილიის ზღვას, აქედან კი გზა კონსტანტინოპოლში მიდის. ბოშები, გრენგუარის თქმით, ალყირის მეფის, მთელი თეთრი მავრების ტომის მეთაურის ვასალები იყვნენ. მაგრამ უტყუარი მხოლოდ ის იყო, რომ საფრანგეთში ესმერალდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა ჰუნგრეთზე გამოვლით. ყველა ამ ქვეყნიდან ყმაწვილმა ქალმა თან მოიყოლა უცნაურ, ველურ კილოკავთა ნაფლეთები, უცხოური სიმღერები და აზრები, რამაც მისი ენაც ისევე ააქრელა. როგორც მისი ნახევრად პარიზული, ნახევრად აფრიკული ტანსაცმელი. თუმცა იმ უბნების მცხოვრებლებს, რომელთაც ის ხშირად ესტუმრება, იგი უყვართ სწორედ მისი მხიარულების, მისი თავაზიანობის, მისი სიმკვირცხლის, მისი ცეკვებისა და სიმღერების გამო. გოგონა ფიქრობს, რომ მთელ ქალაქში იგი მხოლოდ ორ პიროვნებას სძულს, რომლებზეც ხშირად შიშით ლაპარაკობს: როლანდის კოშკის ძაძიანს, საზიზღარ განდეგილს, რომელიც რატომღაც ღვარძლს ანთხევს ბოშა ქალებს და საბრალო მოცეკვავე გოგონას ყოველთვის სწყევლის, როცა კი მისი სარკმლის წინ გავლა უხდება. და ვიღაც მღვდელს, რომელიც არასდროს ისე არ შემოხვდება, რომ თვალები არ ჩააშტეროს და სიტყვები არ დაადევნოს, რაც შიშსა მგვრისო. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ფრიად ააღელვა არქიდიაკონი, მაგრამ გრენგუარს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ აღელვებისათვის, იმდენად წაეშალა ორ თვეს უზრუნველი პოეტის მესხიერე-

ბაში ის უცნაური წკრილმანებ- იმ საღამოსი. როდესაც პირველად შეხვდა ბოშა გოკონას, ისიც დაეწყებოდა, რომ მაშინ არქიდიაკონიც იქ იმყოფებოდა. თუმცა პატარა მოცეკვავეს არაფრისაც არ ეშინოდა: ის ხომ არ მკითხაობს. არ მარჩიელობს, ამიტომ საშიშიც არაფერი აქვს. ბრალს ვერ დასდებენ ჯადოსნობაში, რასაც ხშირად უჩივიან ბოშა ქალებს. მერე რა, ქმრობას თუ არა, ძმობას მაინც ხომ უწევდა გრენგუარი. ბოლოს, ფილოსოფოსი მოთმინებით იტანდა პლატონური ქორწინების ამ სახეს. რაც არ უნდა იყოს, ბინა და ლუკმა პური მაინც გააჩნდა. ყოველ დილა სტოვებდა მაწანწალების თავშესაფარს, უფრო ხშირად ბოშა ქალთან ერთად, გზაჯვარედინებზე შეელოდა მას ფარიანი ფულისა და წვრილი ვერცხლის ფულის მოგროვებას. ყოველ საღამოს ბრუნდებოდა ყმაწვილ ქალთან ერთად ერთ ქერქვეშ, საშუალებას აძლევდა მას ურდულით გადაეცეტა თავისი საკანი, და უშწიკვლო წმინდანის ძილით განისვენებდა. თუ ყველაფერს კარგად განვსჯით, ასეთი არსებობა, — ამბობდა იგი, — სასიამოვნოც კია და ფრიად ხელს უწყობს ოცნებას. გარდა ამისა, სულსა და სინდისსაც კი ფიცავდა, რომ ფილოსოფოსი არც იყო ღრმად დარწმუნებული, გაგიჟებით უყვარდა თუ არა ბოშა ქალი. თითქმის ასევე უყვარდა მისი თხაც. ეს თხა მშვენიერი ცხოველია, სასიამოვნო, ჰკვიანი, გამგები, ერთი სიტყვით, განსწავლული თხაა. შუა საუკუნეებში იშვიათი როდი იყო ასეთი განსწავლული ცხოველები, რომელთაც ალტაცებაში მოჰყავდათ მახურებლები და თავიანთი მწვრთნელები ხშირად კოცონზე აპყავდათ. მაგრამ ოქროსჩლიქებიანი თხის ჯადოქრობა ფრიად უმანკო ეშმაკობას წარმოადგენს. გრენგუარმა ისინი აუხსნა არქიდიაკონს, რომელიც, როგორც ჩანდა, ცხოველი ინტერესით უსმენდა ამ წვრილმანებს. ხშირ შემთხვევაში საკმარისია თხას დაირა გაუწოდოთ ამა თუ იმ წესით, რათა გააქეთებიოთ ის იღეთი, რომელიც თქვენ გსურთ. ასე გაწვრთნა იგი ბოშა ქალმა, რომელსაც ამ მახვილგონიერულ საქმეში იმდენად იშვიათი ნიჭი აქვს, რომ ორი თვე საკმარისი იყო, რათა თხისთვის მოძრავი ასოებით ესწავლებინა სიტყვა „ფეხის“ დაწერა.

— ფეხუს! — თქვა ხუცესმა, — რატომ ფეხუს?

— არ ვიცი, — უპასუხა გრენგუარმა. — შესაძლებელია მას ჰგონია, რომ ამ სიტყვას რაღაც ჯადოსნური და იღუმალი თვისება გააჩნია. იგი ხშირად იმეორებს მას დაბალი ხმით, როცა ჰგონია, რომ მარტოდმარტოა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, — უთხრა კლოდმა და თვალი თვალში გაუყარა, — რომ ეგ სიტყვაა და არა სახელი?

— ვისი სახელი? — ჰკითხა პოეტმა.

— აბა რა ვიცი! — უთხრა ხუცესმა.

— აი რას ვფიქრობ, მესირ! ბოშები, ცოტა არ იყოს, ცეცხლ-თაყვანისმცემლები არიან და მზეს აღმერთებენ. აქედან წარმოსდგა სიტყვა „ფებუს“.

— არა მგონია იგი ისეთი ცხადი, როგორც თქვენ გეჩვენებთ, მეტრ პიერ.

— თუმცა ეგ არც მანადვლებს. დაე იღუდუნოს, რამდენიც ნებავს, ეგ თავისი „ფებუს“. უდავოა, რომ ჯალის თითქმის ისევე ვუყვარვარ, როგორც ის ქალი.

— ეგ ჯალი ვინლა არის?

— თხა.

არქიდიაკონმა ხელი ნიკაპზე მიიყრდნო და ერთი წუთით ჩაფიქრდა. უტბად გრენგუარისკენ მოსხლეთით შემობრუნდა:

— მაშ, შენ მეფიციები, რომ მას არ შეხებინხარ?

— ვისა? — ჰკითხა გრენგუარმა, — თხასა?

— თხას კი არა, ქალს.

— ჩემ ცოლს? გეფიციებით, რომ არა!

— ხშირად ხარ მასთან მარტო?

— ყოველ საღამო, მთელ საათს მაინც.

მამა კლოდმა წარბები შეიკრა.

— ოჰ! ოჰ! Solus cum sola non cogitabuntur orare „Pater noster“*.

— სულს გეფიციებით მასთან შემოძლია წაფიციებო „მამაო ჩვენოც“, „Ave Maria“-ც და „Credo in Deum patrem omnipotentem“**, მაგრამ იგი იმდენივე ყურადღებას მომაპყრობდა, რამდენსაც ქათამი ეკლესიას.

— შემომფიციე წიაღი დედისა შენისა, რომ შენ თითიც არ დაგიკარებია ამ ქმნილებისათვის, — მძლავრად გაუშეორა არქიდიაკონმა.

— გეფიციებით აგრეთვე თავსა მამაჩემისასა, რადგან მათ ორ შორის გარკვეული ურთიერთობაა. მაგრამ, ჩემო ღირსეულო მასწავლებლო, ნება მომეცით მეც დაგხავათ ერთი კითხვა.

— მითხარით ბატონო.

— რა საქმე გაქვთ თქვენ ყოველივე ამასთან?

ფერმკრთალი სახე არქიდიაკონს ყმაწვილი ქალის დაწევივით

* კაცი ქალთან, როცა მარტონი არიან, „მამაო ჩვენოს“ წაფიციებაზე არ იფიქრებს (ლათ.).

** კათოლიკურ ლოცვათა საწყისი სიტყვებია: „განხიარე ღვთისმშობელო მარიამი“ და „მშაშს ღმერთი, ყოვლადძლიერი მამა ჩვენი“.

შეუფაცლდა. ერთხანს პასუხი არ გაუცია. შემდეგ კი აშკარა დაბნეულობით უპასუხა:

— მისმინეთ, მეტრ პიერ გრენგუარ. რამდენადაც ვიცი, თქვენს ჯერ კიდევ სული არ წარგიწყმედიათ. მე შინტერესებს თქვენნი ბედი და კეთილს გისურვებთ. სულ მცირე მიკარებაც კი ამ დემონურ ბოშა ქალთან სატანას მსახურად, ეშმაკის კერძად გაქცევთ. თქვენ ხომ იცით, რომ ხორცი მუდამ წარწყმედს სულსა. და ვაი თქვენ, თუ ახლოს მიეკარეთ ამ ქალს! სულ ეს არის, რაც მინდოდა მე თქვა.

— ერთხელ კინალამ ვცადე, — თქვა გრენგუარმა ყურის ფხანით. — ეს იყო პირველ დღეს; მაგრამ დამსუსხა.

— გეყოთ თავხედობა, მეტრ პიერ?

და ხუცესს შუბლი მოედრებლა.

— მეორედ, — განაგრძო პოეტმა ღიმილით, — სანამ დაეწვებოდი, კლიტის ქუპრუტანიდან შევიკვირითე, და ვიხილე პერანგისამარა უმშვენიერესი ქალი ქალთა შორის, ვის შიშველ ფეხქვეშაც ოდესმე აპრიალებულა სარეცელი.

— ეშმაკსაც წაუღიხარ, გასწი აქედან! — უყვირა ხუცესმა, საზარელი თვალები ჩააშტერა, მხარზე ხელი ჰკრა გაშტერებულ გრენგუარს, და გრძელი ნაბიჯებით კათედრალის ყველაზე ბნელი თალის ქვეშ გაუჩინარდა.

III

ზ ა რ ე ბ ი

იმ დილიდან, რაც კვაზიმოდო სამარცხვინო ბოძზე დასაჯეს, ღვთისმშობლის ტაძრის მეზობლად მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ მას ზარების რეკვის ცეცხლი ძალიან გაუნელდა. უწინ ზარები ყოველი საბაბით ირეკებოდა: გაქიანურებული ზარის რეკვა წირვის დროს, რაც ცისკრის ლოცვიდან მწუხრის სერობამდე გრძელდებოდა, დიდი ზარის გუგუნე ლიტურგიის დროს, მდიდარი გამები გადაურბენდა წვრილ-წვრილ ზარებს ქორწინებისას ან ნათლობისას, და ჰაერში ერთმანეთს ჩაეწვნოდნენ როგორც მრავალგვარ მომაჯადოებელ ბგერათა წარმტაცი ქარგა. ძველი ტაძარი, მთლად ათროლოებული და მოგუგუნე, ზართა მარად მხიარული ხმებით იყო სავსე. მასში მუდამ იგრძნობოდა აწმყოფობა ხმაურა და თავნება სულისა, რომელიც ყველა თავისი სპილენძის პირით მღეროდა. მაგრამ ამჟამად თითქოს ეს სული გაქრა. ტაძარი დაღვრემილი ჩანდა

და სიამოვნებით იცავდა დუმელს. დღესასწაულებში და დასაფლავების დროს ისმოდა შშრალი, სადაგი, უბრალო რეკვა, როგორც ამას საეკლესიო წესი მოითხოვდა, მეტი არაფერი. იმ ორმაგი გუგუნინდან, რომელიც ეკლესიიდან ისმის, ორლანოს ხმები შიგნით, ზარებისა — გარეთ, დარჩა მხოლოდ ორლანოს ჰანგები. იტყოდით, სამრეკლოს მუსიკოსები მოპკლებიაო. მაშინ როდესაც კვაზიმოდო მუდამ მაინც იქ იყო. რა მოუვიდა, რა დაემართა? ნუთუ გულის სიღრმეში ისევ ბუდობდა სამარცხვინო ბოძზე განცდილი სირცხვილი და სასოწარკვეთილება, ნუთუ ისევ გამოსცემდა მის სულში ხმას ჯალათის მათრახის ცემა და ამ აუგად მოპყრობის ნაღველმა ყველაფერი ჩაუხშო, თვით ზარებით გატაცებაც კი? ან იქნებ დვთისმშობლის ზარების მრეკველის გულში „მარიას“ მეტოქე გამოუჩნდა და დიდი ზარი თავისი თოთხმეტი დით დაუდევრად მიატოვა რალაც უფრო მშვენიერის გამო.

ისე მოხდა, რომ იმ წყალობაზე 1482 წლის 25 მარტს ხარებობა სამშაბათს თანხვდა. ამ დღეს ჰაერი ისეთი სუფთა და განკვირვალე იყო, რომ კვაზიმოდომ თავის გულში კვლავ იგრძნო სიყვარული ზარებისადმი. ის ჩრდილოეთის კოშკზე ავიდა მანამ, სანამ ეკლესიის მსახური ძირს ფართოდ აღებდა ტაძრის შესასვლელს, რაც მაშინ წარმოადგენდა მაგარი ხის ტყავგადაკრულ, კიდებზე მოქროვილი რკინის ლურსმებდაკრულ და „დიდი ხელოვნებით შესრულებულ“ ჩუქურთმოვან ჩარჩოში ჩასმულ უშველებელ ორფთიან კარებს.

მიადწია თუ არა სამრეკლოს ზედა გალიაკს, კვაზიმოდომ ერთხანს უყურა იქ დაკიდებულ ექვს ზარს და ნაღვლიანად თავი გააქნია, თითქოს სწუხვდა, რომ მის გულში მათ შორის უცხო ვიდაც ჩამდგარიყო. მაგრამ როდესაც ისინი გააქან-გამოაქანა, როდესაც იგრძნო, როგორ ამოძრავდა მის ხელში მთელი ეს ზართა მტევანი, როდესაც დაინახა, რადგან სმენით მას არ ესმოდა, როგორ ავიდა და დაეშვა ამ მოგუგუნე კიბეზე მთრთოლვარე ოქტავა, ვითარცა ტოტიდან ტოტზე მოფრთხილვით ჩიტი, როდესაც მუსიკის ეშმამ, დემონმა შეარხია და გადმოაფრქვია სტრეტოს, ტრელისა და არბეჯიოს ბრწყინვალე ასხმულა და დაეუფლა საბრალო ყრუს, მაშინ ბედნიერება კვლავ დაუბრუნდა, მან ყველაფერი დაივიწყა და შვება, რომელიც მისმა გულმა იგრძნო, სახეზეც აესახა.

ის მიდი-მოდიოდა წინ და უკან, ხელებს ატყაპუნებდა, ერთი თოკიდან მეორესთან მიზბოდა, ხმითა და ხელთაყოლებით ისევე ამხნევებდა თავის ექვს მომღერალს, როგორც ორკესტრის ლოტბარი ახალისებს დახელოვნებულ მუსიკოსებს.

— აბა, მიდი, მიდი, გაბრიელ! — მიმართავდა იგი. — დასჭექე შოედანს შენი მქუხარე ხმით. დღესასწაულია. ტიბო, ნუ გეზარება! უკან რჩები. მიდი, მიდი! ნუთუ ჟანგო მოგეკიდა, მცონარავ? — ჰო, ასე კარგია! სწრაფად, მკვირცხლად! ისე რომ ენას თვალი ვერაზინ მოჰკრას. დასცხე, დასჭექე, რომ ისინიც ჩემსავით დააყრუო ასე ტიბო, ყოჩაღ! გილიომ! გილიომ! შენ ხომ ბევრად დიდი ხარ, პასკიე კი პაწაწინაა, მაგრამ ის გისწრებს. დავნაძლევდეთ, რომ იმათ, ვისაც მოსმენა შეუძლიათ, მისი ხმა უფრო უკეთესად ესმით, ვიდრე შენი. — კარგია! კარგი! ჩემო გაბრიელ, ღონივრად! ეგრე, უფრო ღონივრად! ჰეი, თქვენ, ბელურებო! რას აკეთებთ მანდ მალა ორივენი? არ გეტყობათ, რომ თქვენ ხმას იღებდეთ. ეს რა არის. სპილენძის ნისკარტები დაგილიათ და ამთქნარებთ, იმის მაგიერ, რომ იმღეროთ? აბა, ამუშავდით! დღეს ხარებობაა. ასეთი მშვენიერი მზიანი დღეა. ზართა გუგუნიც დიდებული უნდა იყოს. საბრალო გილიომ! ძლივსა ქშინავ, ჩემო გაბერილო!

იგი გართული იყო თავისი ზარების წაქეზებით და ისინიც ექვესივე იქით-აქეთ მიმოქროდნენ, ვინ-ვის გაასწრებდა, ელვარე გავას მიმოარხევდნენ როგორც ესპანური ჯორების ხმაურა აკაზმულობა, რომელთაც ხან აქა და ხან იქ წამწვეტებული ჯოხით წამდაუწუმ ერეკება მეჯორე.

ანაზად გაიხედა ფიქალის იმ ფართო ფარებს შორის, რითაც გადახურული იყო გარკვეულ სიმაღლეზე ღიობები სამრეკლოს შვეულ კედელში, და მოედანზე დაინახა უცნაურად გამოპრანჭული ანაღაზრდა ქალი, რომელიც შეჩერდა, მიწაზე ხალიჩა გაშალა, და ზედ პატარა თხა დაწვა. მათ ირგვლივ მაყურებელთა ჯგუფმა თავი მოიყარა. ამ სანახაობამ უცბად შეცვალა მის ფიქრთა დენა და მუსიკალური აღტყინება გაუნელა, ისე როგორც ქარის ქროლა გაანელებს და შეადედებს გამდნარ გუმფისს. კვაზიმოდო შედგა, ზარებს ზურგი შეაქცია, ქვადაფის საჩეხს უკან ჩაცუტქდა და მოცეკვავე ქალს ჩაფიქრებული, ნაზი და ალერსიანი მზერა მიაპყრო, რამაც ერთხელ უკვე ესოდენ გააკვირვა არქიდიაკონი. ამასობაში მივიწყებული ზარები უცბად ყველა ერთად დადუმდა, რამაც იმედი გაუტრუა ზართა რეკვის მოყვარულებს, რომლებიც სულითა და გულით უსმენდნენ ზარების გუგუნს ზარაფთა ხიდიდან და გაცბუნებული გაშორდნენ იქაურობას ისე, როგორც ძალი გაშორდება ხოლმე, როდესაც ძვალს უჩვენებენ და ქვას მიუგდებენ.

' A N Á Γ K H

იმავე მარტის თვის ერთ მშვენიერ დილას, მგონია, ისევ შაბათს, 29 რიცხვში, წმინდა ესტატობის დღეს, ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა, მოსწავლე უნან ფროლო მეწისქვილემ შარვლის ჩაცმის დროს შეამჩნია, რომ ქისაში ლითონის არავითარი წკრიალი აღარ ისმოდა.

— საცოდაო, ჩემო ქისავ! — თქვა და ჯიბიდან ამოაცურა, — როგორ! არც ერთი პარიზულიც აღარ გდია! რა უღმობლად გამოფატრეს მუცელი კამათლებმა, ლუდის ტოლჩებმა და ვენერამ! რა დაცარიელებული, დაღმეპილი და დამჰქნარი ხარ! კუდიანი ბებრუხუნას გულ-მკერდს ჰგავხარ. გეკითხებით ბატონო ციცერონ და ბატონო სენეკა, რომელთა ყდაბრეცილი თხზულებანი აგერ ფილქანზე მიმოფანტულა, გეკითხებით ბატონებო, რა ხეირია, თუ ზარაფხანის უფროსზე ან მეკერმეთა ხიდის რომელიმე ებრაელზე უკეთესად ვიცი, რომ გვირგვინიანი ოქროს ეკიუ¹ ღირს ოცდათხუთმეტი უნცია,² ოცდახუთ-ოცდახუთი სუ³ და რვა პარიზული დინარი⁴ თვითეული; რომ ნახევარმთვარიანი ეკიუ ღირს ოცდაექვსმეტე უნცია, ოცდაექვს-ოცდაექვსი სუ და ექვსი ტურის დინარი ცალი, რა ხეირია ჩემთვის, თუ ერთი საცოდავი შავი ლიარიც⁵ არ მბადია, რომ ორექვსიან კამათელში გამერისკა! ჰო, კონსულო ციცერონო! აი გაქირვებაც ეს არის, რომელსაც თავს ვერ დააღწევ გრძელგრძელი გამოთქმებით და ვერავითარი „quemadmodum“ და „verum enim vero“*-თი!

იგი ნაღვლიანად განანგრძობდა ჩაცმას. სწორედ იმ დროს, როცა ფეხსაცმელს ზონარით იკრავდა, თავში რალაც აზრი მოუვიდა, რომელიც ჯერ მოიგერია, მაგრამ მერე ისევ დაუბრუნდა, ყილგეტი უკულმა ჩაიცვა, რაც მძაფრი შინაგანი ბრძოლის აშკარა ნიშანი იყო, ბოლოს, ქუდი მაგრად დაახალა ძირს და შეჰყვირა:

— მით უარესი! დე, რაც იქნება, იქნეს. წავალ ჩემს ძმასთან. მართალია ქადაგებას გადავეყრები, საშავიეროდ ერთ ეკიუს მაინც შევეყრები.

სწრაფად გადაიკვა ფართოსახელოებიანი და ბეწვშემოვლებული მოკლე ზედასაცმელი, ხელი დასტაცა თავის ქუდსა და იმედდაკარგული გარეთ გავარდა.

ასაწვევი ხიდის ქუჩას თავქვე დაუყვა სიტეს მიმართულებით.

* „როგორ“ და „მაგრამ ნამდვილად“ (ლათ.).

როდესაც ნაღარის ქუჩაზე ჩაიარა. მუდამ მბრუნავ შამფურებზე წამოცმულმა მწვადის საუცხოო სუნმა მის საყნოსავ ორგანოს შეუღლიტინა. სიყვარულით შეავლო თვალი უშველებელ ცალთვალა სასაუზმეს, რომლის დანახვაზე ერთ დღეს ფრანცისკანელ ბერს კალატატირონს შემდეგი პათეტიკური წეძახილი აღმოხდა: *Veramente, queste rotisserie sono cosa stupenda* *. მაგრამ ეჟანს საუზმის გადასახდელი არა გააჩნდა რა, ღრმად ამოიხრა და სიტეს შესასვლელში დარაჯად მდგარ პტი-შატლეს მასიურ კოშკთა ქვეშ უზარმაზარი ორმაგი სამყუროვანი ფარული კარი გაიარა.

ის ერთი წუთითაც კი არ შეჩერდა, რომ დადგენილი ჩვეულებას თანახმად დახრილიყო და ქვა მიეგდო იმ უბადრუკ პერინე ლეკლერკის¹ ქანდაკებისათვის, რომელმაც შარლ VI-ის ღროს პარიზი ინგლისელებს ჩააბარა; ამ დანაშაულის გამო ავერ სამი საუკუნეა, როგორც სამარადისო სამარცხვინო ბოძს მიკრული, დგას მოსანანიებლად მისი სახე ქვებით დაკეცილი და ტალახით შესვრილი ლაპარპის, ასაწევი ხიდისა და ბიუსის ქუჩების კუთხეში.

ეჟან დე მოლენდინო პატარა ხიდზე გავიდა, ახალი სენტ-ჟენევიევის ქუჩა გაიარა და ღვთისმშობლის ტაძრის წინ აღმოჩნდა. აქ კვლავ გაუბედაობა დაეუფლა. რამდენიმე წამს „ბატონ ლეგრის“ ქანდაკების ირგვლივ გაიარ-გამოიარა და დამწუხრებულმა გაიმეორა:

— ქადაგება უდავოა, ეკიუ — საეკო.

ტაძრიდან გამომავალი ერთ-ერთი მსახური შეაჩერა:

— საღ არის ბატონი არქიდიაკონი ჟოზასელი?

— მე მგონია, კოშკის სამალავშია, — უთხრა ეკლესიის მსახურმა, — გირჩევთ არ შეაწუხოთ, თუ, რა თქმა უნდა, პაპის ან ბატონ მეფის წარმოგზავნილი არა ბრძანდებით.

ეჟანმა ტაში შემოჰკრა.

— ყოჩაღ ბიჭო, კარგ ფეხზე მოვსულეარ! აი დიდებული შემთხვევა, ჯადოქარის ყბადაღებულ საკანსაც ვნახავ!

ამ მოსახრებამ საბოლოოდ გადააწყვეტინა, გაბედულად მიაშურა პატარა შავ კარსა და კოშკის სულ ზემო სართულში მიმავალ სენ-ჟილის ხვეულ კიბეზე იწყო ასვლა.

— ბოლოს, ვნახავ მას, — ეუბნებოდა გზად თავის თავს, — ვფიცავ წმინდა ქალწულის წიაღს, ფრიად ღირსშესანიშნავი რამ უნდა იყოს ეს საკანი, რომელსაც ჩემი ღირსეული ძმა ისე მალავს, როგორც საკუთარ სირცხვილს! ამბობენ, შიგ ჯოჯოხეთის სამზარეულო უგიზგიზებს და დიდ ცეცხლზე ფილოსოფიურ ქვას ხარშავ-

* ქემარტად, ეს სასაუზმეები განსაცვიფრებელია (ლათ.).

სო. ღმერთო კეთილო! მე ისევე მაწუხებს ფილოსოფიური ქვა, როგორც რიყის ქვა. ის მერჩია, მის ფილაქურაზე მენახა საადღგომო ერბოკვერცხი ღორის ქონით, ვიდრე ამ ქვეყნად ყველაზე უფრო დიდი ფილოსოფიური ქვა!

სვეტებიან ტალანს რომ მიაღწია, ერთი წუთით სული მოითქვა, დაუსრულებელი კიბე შეაგინა, არ ვიცი, რამდენი მილიონი ეშმაკი გაუგზავნა. შემდეგ გაიარა ჩრდილოეთის კოშკის ვიწრო კარი, რომელიც დღეს ხალხისათვის დაკეტილია, და ასვლა განაგრძო. რამდენიმე წუთის შემდეგ, ზართახულას რომ გასცდა, გვერდით ჩაღრმავებულ ადგილში გაკეთებულ პატარა ბაქანსა და თაღს ქვეშ დაბალ ისრულ კარს წააწყდა. მის პირდაპირ კიბის უჯრედის მრგვალ შიდაკედელში გაჭრილი სათოფურიდან შემოსული შუქი საშუალებას აძლევდა გაეჩია ვეებერთელა კლიტე და რკინის მაგარი შექედლობა. ვინც დღეს დაინტერესდება ინახულოს ეს კარი, მას მიაგნებს შავ კედელზე თეთრი ასოებით ამოკვეთილი წარწერით: თაყვანსა ვცემ კორალის. 1829. ხელს აწერს ევენ. „ხელს აწერს“ აღნიშნულია თვით ტექსტში.

— უჰ! — თქვა მოსწავლემ. — უეჭველად აქ არის.

გასაღები კლიტეში იყო. იგი კარის პირდაპირ იდგა. ნელა შეაღო და თავი შეყო.

მკითხველს უთუოდ უნახავს რემბრანდტის¹, ფერწერის ამ შექსპირის, საუცხოო ნაწარმოებები. მის ესოდენ საოცარ გრავიურათა შორის განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი ოფორტი, რომელიც გამოხატავს, როგორც ფიქრობენ. დოქტორ ფაუსტს და რომელსა? შეუძლებელია თვალაუქრებლად უცქირო. თქვენს წინაშე ბრელი სენაკია. შუაში დგას მაგიდა, რომელზეც საძაველი ნივთები აწყვია: თავისქალა, გლობუსები, გამოსახდელი ამბუხები, კომპასები, ფარგალი. პიეროგლიფებით დაფარული პერგამენტები. დოქტორი მაგიდის წინ ზის, ტანთ ფართო წამოსასხამი აცვია და ბეწვის ქული წარბებამდე ჩამოუფხატავს. ჩანს სხეულის მხოლოდ ზედანახეური. ოდნავ წამომდგარა თავისი უზარმაზარი სავარძლიდან, შეკუმშული მუშტები მაგიდაზე დაუბრჯენია. ცნობისმოყვარეობითა და შიშით აკვირდება ჯადოსნური ასოებისაგან შემდგარ ანთებულ დიდ წრეს, რომელიც ოთახის უკანა კედელზე ელვარებს, როგორც მზის სპექტრი ჩაბნელებულ ოთახში. თითქოს ეს კაბალისტიკური მზე ციმციმებს თვალებში და თავისი იღუმალი სხივებით ანათებს ჩამუქებულ საკანს. იგი ლამაზიც არის და საზარელიც.

ფაუსტის საკანის მსგავსი რამ დაუდგა თვალწინ ეენს, როდესაც ნახევრად შედებულ კარში თავის შეყოფა გაბედა. აქაც მეტად

ჩაბნელებული და მცირედ განათებული ოთახი იყო. მასაც ასევე სავარძელი და დიდი მაგიდა ედგა, ჰქონდა აგრეთვე ფარგლები, კომპანები, ამბუხები, ჰერზე დაკიდებული ჩონჩხები ცხოველებისა; იატაკზე გლობუსი გორავდა, ცხენის თავისქალები არეული იყო ქილებსა და კოქობებში, რომლებშიც ოქროს ფირფიტები ციმციმებდა. სახეებითა და ასოებით აქრელებულ პერგამენტებზე მკვდრების თავები ეწყო, გაშლილი სქელი ხელნაწერი ეტრატები, მყიდვე კუთხეების დაუნდობლად. ერთმანეთზე იყო დაზვიანული. ერთი სიტყვით, აქ მოეხვეტა მთელი ნაგავი მეცნიერებისა და ყველგან მთელ ამ ხარახურას მტვერი და აბლაბუდა მოსდებოდა. მაგრამ აქ არ იყო არც ანთებულ ასოთა წრე და არც დოქტორი, რომელიც ალტყინებული უქვრეტს ავიზიზებულ მოჩვენებას, ვითარცა არწივი უმზერს მზეს.

სენაკი ცარიელი არ იყო. სავარძელში ზურგშეკეცივით იჯდა მაგიდისაკენ გადახრილი მამაკაცი. ამიტომ ჟენს მხოლოდ მისი მხრები და კეფა შეეძლო დაენახა. მან ადვილად იცნო მელოტი თავი, რომელზეც თვით ბუნებამ აღბეჭდა სამარადისო ტონზური, თითქოს ამ გარეგანი ნიშნით არქიდიაკონის სასულიერო მოწოდების გარდუვალობა სურდა აღენიშნა.

ამრიგად, ჟენმა იცნო თავისი ძმა. მაგრამ კარი ისე წელა გაიღო, რომ მამა კლოდმა ვერ გაიგო მისი შემოსვლა. ცნობისმოყვარე მოსწავლემ ამით ისარგებლა, რათა რამდენიმე წუთში აუჩქარებლად დაეთვლიერებინა სენაკი. ფართო ფილაქურა, რომელიც პირველად მისულმა ვერ შეამჩნია, სავარძლის მარცხნივ, სასმენი სარკმლის დაბლა იდგა. სამერცხულიდან შემოქრილი დღის შუქი ჰკვეთდა მრგვალ აბლაბუდას, რომელსაც გემოვნებით გამოეხატა ფაქიზი როზეტი მრგვალი სარკმლის თაღის ისარზე, ხოლო შუაში უძრავად გაყინულიყო ხუროთმოძღვარი ბაბაქუა როგორც მაქმანებიანი თვლის მორგვი. ფილაქურაზე უწესრიგოდ ეყარა ყოველგვარი ლარნაკები, სურები, თიხის ბუშტები, შუშები, მინის ამბუხები, ნახშირიანი კულები. ჟენმა ოხვრით შენიშნა, რომ იქ ტათა არ იყო. — „აი სამზარეულოს მოწყობილობაც ასეთი უნდა!“ — გაიფიქრა მან.

თუმცა ამ ფილაქურაში ცეცხლი არ ენთო და ეტყობოდა დიდი ხანია არც აუნთიათ. ალქიმოკოსის სხვა ხელსაწყოთა შორის ჟენმა შეამჩნია კუთხეში მიგდებული და მივიწყებული, მტვერდადებული შუშის ნიღაბი, რომლითაც არქიდიაკონი უთუოდ სახეს იცავდა, როცა რომელიმე საფრთხილო ნივთიერებას ამუშავებდა. გვერდით ეგდო არა ნაკლებ მტვერიანი საბურველი. რომლის ზემო ფრთაზე სპილენძის ასოებით ამოყვანილი იყო ასეთი გამოთქმა:

SPIRA, SPERA*.

ჰერმეტიკოსთა ჩვეულების თანახმად სხვა უამრავი გამოთქმებიც იყო კედლებზე წარწერილი: ზოგი მელნით, ზოგიც ლითონის საწერტელით ამოკვეთილი. მაგრამ ერთმანეთში იყო არეული გოთური, ებრაული, ბერძნული და რომაული ასოები, ნიაღვარივით მოვარდნილი წარწერები უწესრიგოდ, ალაღბედზე, ერთიმეორეზე მიწერილი, ზოგი აქ, ზოგი იქ, უფრო ახალს უფრო ძველი დაეფარა, ყოველივე ეს ჯაგნარის ტოტებივით ერთმანეთში გადახლართულიყო, გადაჯვარედინებულიყო, როგორც შუბები ხელჩართულ ბრძოლაში. მართლაც ყოველგვარი ფილოსოფიის, ყოველგვარ ოცნებათა და სასოებათა, ყოველგვარი ადამიანური სიბრძნის საკმაოდ არეულ-დარეული შეტაკება მომხდარა აქ. ამ წარწერებიდან ხან აქ, ხან იქ აელვარდებოდა ერთი რომელიმე, ვითარცა დროშა შუბების ტვერში. უფრო ხშირად ესენი ლათინური ან ბერძნული მოკლე გამოთქმები იყო, რომელთაც ესოდენ მარჯვედ გამოხატავდნენ შუასაუკუნეებში: „Unde? Inde? — Homo homini moustrum. — Astra, castra, nomen, numen. — Μήγα βίβλη, μήγα ζαζέυ. — Sapere aude. — Flat ubi vult“** და სხვა. ხანდახან გამოერეოდა ცხად აზრს მოკლებული სიტყვაც: 'Αναρχοπαγία***, რაც შეიძლება სამონასტრო წესების მწარე მინიშნებას შეიცავდეს, ზოგჯერ კი ჰეგზამეტრიტ გამოთქმული რომელიმე უბრალო სასულიერო სავალდებულო წესდებულება: Caelestem dominum, terrestrem dico datum****. ალაგ-ალაგ ხვდებოდა აბდაუბდა ძველებრავლ ენაზე, რაშიც უნანს, რომელიც არც ბერძნულში გახლდათ მაინცდამაინც ძლიერი, არაფერი გაეგებოდა; ყოველივე ეს აქრელებული იყო ყოველგვარი საბაბით ვარსკვლავებით, ადამიანთა და ცხოველთა ფიგურებით, და სამკუთხედებით გადაკვეთილი, რის გამოც სენაკის დასვრილ-დაჯღაბნილი კედელი ჰგავდა ქალაქის ისეთ ფურცელს, რომელზეც თითქოს მაიმუნს მელნიანი კალამი მოეტარებინოს.

საერთოდ საკანი მიტოვებულისა და მოძველებულის სანახაობას წარმოადგენდა, ხოლო ხელსაწყოების ასე ცუდად გდება კაცს აფიქრებინებდა, რომ მათ პატრონს უკვე დიდი ხანია ხელი აუღია თავის სამუშაოზე და სულ სხვა საზრუნავს შეუპყრიაო.

* ისუნთქე, იმედი გქონდეს (ლათ.).

** საიდან? იქიდან? (ლათ.). კაცი კაცისათვის მხეცია (ლათ.). ვარსკვლავი, ბანაი, სახელი, დეთაება (ლათ.). დიდი წიგნი, დიდა ბორიბება (ბერძ.). გაბედე ცოხნა (ლათ.). უბერავს, სადაც ნებაეს (ლათ.).

*** მარხულობა, მარხვა (ბერძნ.).

**** ზეკაურს უხმე უფალი, ხოლო მიწიერს დამამბობელი (ლათ.).

ხოლო ამასობაში მათი პატრონი უცნაური ნახატებით მორთულ ფართო ხელნაწერზე დახრილიყო და, როგორც ჩანდა, რაღაც აზრი სტანჯავდა, რომელიც წამდაუწუმ მის ფიქრებს ერეოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ეენს, როცა გაიგონა, რომ ფიქრებში გართული მისი ძმა ფუჟ მეთოცნებესავით, თითქოს თვალდიას სიზმარი ცხადღოვ ეზმანებო, შიგადაშიგ წამოიძახებდა ხოლმე:

— „ღიახ, ამას ამბობს მანუ! და ამასვე გვასწავლის ზორასტრიც? მზე იშვა ცეცხლისაგან, მთვარე—მზისაგან. ცეცხლი სულია მთელი სამყაროსი. მისი ელემენტარული ატომები უსაზღვრო ნაკადებად განუწყვეტლივ იღვრება და მოსჩქეფს სამყაროში. იმ წერტილებში, სადაც ეს ნაკადები ცაზე ერთმანეთს გადაჰკვეთავენ, სინათლეს წარმოშობენ; დედამიწაზე თავიანთი გადაკვეთის წერტილებში ოქროს ჰქმნიან. — სინათლე და ოქრო ერთი და იგივეა. ოქრო ცეცხლია შემკვრივებულ მდგომარეობაში. — განსხვავება ხილულსა და ხელშესახებს შორის, თხევადსა და მკვრივს! შორის ერთი და იმავე სუბსტანციისათვის იგივეა, რაც წყლის ორთქლსა და ყინულს შორის. მეტი არაფერი. ეს სრულიადაც არ არის ოცნება, ზმანება, — ეს ბუნების ზოგადი კანონია. — მაგრამ როგორ გამოსტაცოს მეცნიერებამ ბუნებას ამ ზოგადი კანონის საიდუმლოება? როგორ! ჩემს ხელზე დაღვრილი შუქი ხომ ოქროა! ეს იგივე ატომებია, ოღონდ გაუზომებული გარკვეული კანონის თანახმად. ისინი უნდა შევკუმშოთ მხოლოდ სხვა რომელიღაც კანონის საფუძველზე! მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს? ზოგიერთმა მზის სხივის დამარხვაც კი მოიგონა. ავეროესმა, — ღიახ, ავეროესმა დამარხა მზის სხივი პირველი სვეტის ქვეშ ყურანის საკურთხეველის მარცხნივ, კორდოვას დიდ მეჩეთში. მაგრამ ამ აკლამის გახსნა და ნახვა, წარმატება ხედა თუ არა ამ ცდას, შეიძლება მხოლოდ რვა ათასი წლის შემდეგ.

„ეშმაკსაც წაულია! — თქვა თავისთვის ეენამა, — დიდხანს მომიხდება ერთი ეკიუს ლოდინი“.

„სხვები ფიქრობენ, — განაგრძო ოცნებით გატაცებულმა არქიდიაკონმა, — უკეთესია ეს ცდა სირიუსის სხივზე ჩავატაროთ. მაგრამ ამ სხივის მიღება წმინდა სახით ძალიან ძნელია, რადგან სხვა ვარსკვლავების ერთდროული ნათების გამო გზად სხივები ერთმანეთში ირევა. ფლამელს მიაჩნია, რომ ყველაზე მარტივად ეს ცდა შეიძლება ჩატარდეს მიწიერ ცეცხლზე. — ფლამელ! რა წინასწარმეტყველური სახელია. Flamma!“ — ღიახ, ცეცხლი. სულ ეს

* ალი, ცეცხლის ალი (ლათ.).

არის. — აღმასი ნახშირშია, ოქრო — ცეცხლში. — მაგრამ როგორ მივიღოთ? მაჟისტრები ამტკიცებენ, რომ არსებობს ქალთა გარკვეული სახელები, რომელთაც ესოდენ ნაზი და იღვწალი მომხიბვლელობა გააჩნიათ, საკმარისია ცდის დროს ისინი წარმოთქვათ, რომ წარმატებით დამთავრდეს. წაეკითხოთ რას ამბობს ამაზე მანუ: — „სადაც ქალები პატივშია, იქ ღმერთებს უხარიათ; სადაც ქალები სძულთ, იქ ღმერთის მიმართ ვედრება უსარგებლოა. — ბაგე ქალსა მუდამ წმინდაა; იგი წყაროა მოჩუხჩუხე, იგი სხივია მზისა. — ქალის სახელი სასიამოვნო, ტკბილი, სათუთი, საოცნებო უნდა იყოს; გრძელი ხმოვანით ბოლოვდებოდეს და ლოცვა-კურთხევის სიტყვებს მოგავდეს“. — დიახ, ბრძენი მართალია; მართლაც, ლა მარია, ლა სოფია, ლა ესმერალ... წყველა და კრულვა! ისევ ის აზრი!“

და წიგნი ღონივრად დახურა.

ხელი შუბლზე გადაისვა, თითქოს აბეზარ აზრს იგერიებდსო. შემდეგ მაგიდიდან აიღო ლურსმანი და პატარა ჩაქუჩი, რომლის ტარი უცნაურად იყო მოხატული კაბალისტიკური ასონიშნებით.

— „რამდენივე ხანია, — თქვა მან მწარე ღიმილით, — ყველა ჩემი ცდა მარცხით მთავრდება. რაღაც აკვიატებულ აზრს შეუპყრვივარ და თითქოს გავარჯარებული შანთით მიდღაღვს ტვინს. კასიოდორის საიდუმლოებასაც კი ვერ მივაგენი, რომელსაც ლამა უპატრუქოდ და უზეთოდ ენთო. სულ უბრალო რამე კი არის!“

— აი უბედურება! — წაიდუღუნა თავისთვის ევანმა.

— „...საკმარისია, — განაგრძო ხუცესმა, — ერთი რაღაც უბედური აზრი, რომ ადამიანი დააუძლუროს და გააგიჟოს! ო, როგორ დამცინებდა კლოდ პერნელი, რომელმაც ერთი წუთითაც ვერ ჩამოაცილა ნიკოლა ფლამელი თავის დიად საქმეს! მერე რა, თუ ხელთ მაქვს ზეხიელის ჯადოსნური ჩაქუჩი! ყოველთვის, როცა კი ეს საშინელი რაბინი თავისი სენაკის სიღრმეში ამ ჩაქუჩს დაარტყამდა აი ამ ლურსმანს, მისგან შეჩვენებული ყოველი მტერი, თუნდაც ორიათასი მილით ყოფილიყო დაშორებული, ერთ წყრთაზე მიწაში ჩაეფლობოდა და მიწაც საბოლოოდ შთანთქამდა. თვით საფრანგეთის მეფეც კი, იმის გამო, რომ ერთ საღამოს ამ სასწაულმოქმედის კარზე დაუდევრად დააბრაზუნა, მუხლებამდე პარიზის ქვაფენილში ჩაეფლო. სამი საუკუნე ძლივს იქნება, რაც ეს ამბავი მოხდა.“

— ჰო და მერე რა! ახლა მე მაქვს ეს ჩაქუჩიცა და ლურსმანიც, მაგრამ ეს იარაღი ჩემს ხელში იმაზე უფრო საშინელი როდია, ვიდრე ციბრუტი ზეინკლის ხელში. — საქმე ის არის, ვიპოვეო ჯადოსნური სიტყვა, რომელსაც წარმოსთქვამდა ზეხიელ, როცა ლურსმანს ურტყამდა“.

„რა სისულელეა?“ — გაიფიქრა ქეანმა.

— „ვენახოთ, ვცადოთ,—განაგრძო მკვირცხლად არქიდიაკონმა. — თუ წარმატება მხვდა, მაშინ, უნდა დაეინახო ლურსმნის თავზე დაფრქვეული ცისფერი ნაპერწკლები. — ემენ-ჰეტან! ემენ-ჰეტან! — არა, ეს არ არის. სიყვანი! სიყვანი! — დაე ამ ლურსმანმა საფლავი გაუთხაროს, ვისაც კი სახელი ფებუს ჰქვია!.. წყევლა და კრულვა! ისევ ის! მუდამ და მარად ერთი და იგივე აზრი!“

გაჯავრებულმა ჩაქუჩი გადააგდო. შემდეგ სავარძელში ჩაეშვა, მაგიდაზე დაემხო ისე, რომ ქეანის თვალითაგან მიეფარა სავარძლის ზურგს უკან. რამდენიმე წუთის განმავლობაში ქეანი ვერაფერს ხედავდა, გარდა რომელიღაც წიგნზე მისი კრუნჩხვით შეპყრობილი შეკუმშული მუშტისა. უცბად მამა კლოდი წამოდგა, ფარგალს ხელი დაავლო და მდუმარემ კედელზე ასომთავრულით შემდეგი ბერძნული სიტყვა ამოკვეთა:

ἌΝΑΓΚΗ.

— „გაგეებულა ჩემი ძმა“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ქეანმა. — უფრო ადვილია Fatum*-ის დაწერა. მთელი ქვეყანა ვალდებული ხომ არ არის ბერძნული იცოდეს.

არქიდიაკონი ისევ სავარძელში ჩაჯდა და ავადმყოფივით დამძიმებული და გახურებული შუბლი ხელებში ჩარგო.

მოსწავლე განცვიფრებით ადევნებდა თვალს თავის ძმას. ქეანს არაფერი გაეგებოდა; თვითონ ის თავის გულს სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, ამ ქვეყნად ბუნების მხოლოდ ერთ კანონს მისდევდა — გულისწადილს, თავის ვნებებს თავის მიდრეკილებათა კალაპოტში წარმართავდა, დიდი გრძნობათა ტბა მუდამ ამომშრალი ჰქონდა, მაგრამ მით უფრო უხეად უჩნდებოდა ყოველ დილას ახალი ნაკადულები, ამიტომ მან არ იცოდა, რა გაშმაგებით მძინევარებს, დუღს და ბობოქრობს ადამიანურ ვნებათა ზღვა, როდესაც გამოსავალს ვერ პოულობს; მან არ იცოდა, როგორ გროვდება, ივსება. იგი, როგორ იზრდება, ზვირთდება, როგორ მოზღვავედება, როგორ აწყდება ნაპირებს, როგორ წალეკავს გულს, როგორ აუტყდება შინაგანი ყრუ ქვითინი და უხმო კრუნჩხვა, სანამ ჯებირებს არ გაარღვევს და საკუთარ კალაპოტს არ გასჭრის. კლოდ ფროლოს მკაცრსა და სუსხიან გარეგნობას, მისი მაღალი, მიუყარებელი და მიუღწეველი სათნოების ამ ცივ გამომეტყველებას ქეანი ყოველთვის შეე-

* ბედი, იღბალი, ბედისწერა (ლათ.).

დომში შეჰყავდა. მხიარული მოსწავლე ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, რომ ეტნას თოვლით დაფარულ მწვერვალს ქვეშ სიღრმეში მდლუღარე, მძვინვარე და აბობოქრებული წიაღღარი იმალებოდა.

არ ვიცით, გაერკვა თუ არა მაშინვე ამ აზრში, მიუხედავად მთელი მისი თავქარიანობისა, მაგრამ იმას მაინც მიხვდა, ისეთი რამ მოიხილა, რაც არ უნდა ენახა, თავისი უფროსი ძმის სულს ყველაზე საიდუმლო ვითარებაში წაასწრო; კლოდს ეს არ უნდა შეემჩნია. როგორც კი დაინახა, არქიდიაკონი კვლავ უძრავად გაშტერდა და გაიყინა, თავი წუნარად გასწია და კარს უკან ფეხების ფრატუნს მოჰყავდა, ვითომ ახლახან მოვედი და ამ ჩემს მოსვლას ამით გატყობინებო.

— შემობრძანდით! — დაიძახა არქიდიაკონმა სენაკის შიგნიდან. — გელით. განზრახ დავტოვე გასაღები კარებში. შემობრძანდით, მეტრ ჟაკ!

მოსწავლე თამამად შევიდა. არქიდიაკონი, რომელიც ასეთმა სტუმრობამ ამგვარ ვითარებაში ძალიან შეაწუხა, შეერთა, თავის სავარძელში შეიშმუშნა.

— როგორ! თქვენ ბრძანდებით, ჟეან?

— დიახ, იგივე „ჟ“ გახლავართ, — უბასუხა მოურიდებლად სახელადა და მხიარულმა მოსწავლემ.

მამა კლოდის სახემ მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

— რატომ მობრძანდით აქ?

— ჩემო ძმაო, — მიუგო მოსწავლემ, რომელიც ცდილობდა მართებული, საბრალო და მორიდებული სახე მიეღო, თანაც უცოდველი და უდანაშაულო გამომეტყველებით ხელში ქუდს ატრიალებდა, — მოვედი გთხოვოთ...

— რა?

— მცირე რამ დარიგება, რაც ძალიან მჭირდება. — ჟეანმა ვერ გაბედა ხმამალა დაემატებინა: „და ცოტა რამ ფული, რაც კიდევ უფრო მეტად მჭირდება“. წინადადების უკანასკნელი წევრი სრულიად წარმოუთქმელი დარჩა.

— ბატონო, — უთხრა არქიდიაკონმა ცივი კილოთი, — მე ძალიან გემღურით.

— ვაი ჩემო თავო! — ამოიოხრა მოსწავლემ.

მამა კლოდმა თავისი სავარძელი წრის მეოთხედზე შემოაბრუნა და ჟეანს ჩაშტერებით დაუწყო ცქერა.

— მოხარული ვარ, რომ გნახეთ.

დასაწყისი საშინელი იყო, კარგს არას მოასწავებდა. ჟეანი მოემზადა მაგარი დარტყმების მისაღებად.

— ეჲან, ყოველდღე მომდის თქვენზე საჩივარი. .ის რა ცემა-ტყეპა იყო. თქვენ რომ ახალგაზრდა ვიკონტი აღბერ დე ჩამონშანი ჯოხით მიგიბეგვიათ?

— ოჰ! დიდი საქმეა! — თქვა ეჲანმა. — ვილაც წამხდარი ჯეილია, იმით ერთობოდა, ცხენს ტლაპოში დააქენებდა და მოსწავლეებს ტალახით სვრიდა.

— მაიე ფარქელი ვინლა არის, ტანსაცმელი რომ ჩამოახიე? — განაგრძო არქიდიაკონმა. — *Tunicam dechiraverunt* *, — ნათქვამია საჩივარში.

— ერიპა! მონტეგიუს ერთ-ერთი მოსწავლის უხეირო ლაბადა! ეგ არის და ეგა, მეტი არაფერი!

— საჩივარში ნათქვამია *tunicam* და არა *cappettam* **. ლათინური ხომ იცით?

ეჲანმა პასუხი არ გასცა.

— დიახ! — განაგრძო ხუცესმა თავის ქნევით. — აი როგორ სწავლობენ ახლა მეცნიერებასა და ლიტერატურას. ლათინური ძლივს გაეგებათ, სირიული სულ არ იციან, ხოლო ბერძნულ ენას იაე უგულებელყოფენ, რომ თვით მეცნიერებასაც კი უვიცობად როდი უთვლიან, როცა კითხვის დროს ბერძნულ სიტყვას გადაახტებიან. გამოსტოვებენ და ამბობენ: *Graecum est, non legitur* ***.

მოსწავლემ გაბედულად მიაპყრო თვალები.

— ძმაო, ბატონო ჩემო! გნებავთ წმინდა ფრანგულ ენაზე განვიმარტოთ ის ბერძნული სიტყვა, აი იქ კედელზე რომ სწერია?

— რომელი სიტყვა?

— 'ΑΝΑΓΚΗ.

ოდნაემა სიწითლემ დაჰკრა არქიდიაკონის ყვითელ დაწვებს ისე, როგორც კვამლის ბოლქვები გვამცნობენ ვულკანის წიაღში მიმდინარე ფარულ რყევას. მაგრამ მოსწავლემ ეს ძლივს შენიშნა.

— კეთილი, ეჲან, — ძლივს წაილულლულა უფროსმა ძმამ, — რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— ბ ე დ ის წ ე რ ა ს.

ძმა კლოდი ისევ გაფითრდა, და მოსწავლემაც უზრუნველად განაგრძო:

— ხოლო ცოტა ქვემოთ იმავე ხელით ამოკვეთილი სიტყვა 'Αναγκηჲ კი ნიშნავს „უწმინდურებას“. თქვენ ხედავთ, რომ მე ვიცი ბერძნული.

* პერანგი დაუხიეს (ლათ.).

** პერანგი და არა ლაბადა (ლათ.).

*** ბერძნულია, წაკითხვა შეუძლებელია (ლათ.).

არქიდიაკონი სდუმდა. ბერძნული ენის ამ გაკვეთილმა ჩააფიქრა. პატარა ქეანმა, რომელსაც განებივრებული ბავშვის ეშმაკობა ახასიათებდა, მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია იმისათვის, რომ თავისი თხოვნა გაეხდინა. ამიტომ უაღრესად ტკბილი ხმით დაიწყო.

— ჩემო კეთილო ძმავ, ნუთუ იმდენად გძულვარ, რომ ასე მკაცრად შემხედო, აქაოდა რაღაც ორიოდ სილა გავაწანი ანდა ხანჯლით გავეკნწლე პატიოსან ბრძოლაში ვიღაც ბიჭები და ქონდრისკაცები, *quibusdam marmosetis?* — ხომ ხედავთ, ჩემო კარგო ძამიკო, მეც ვიცი ლათინური.

მაგრამ ამ აღერსიანმა პირმოთნეობამ სულ ვერ მოახდინა ჩვეული შთაბეჭდილება მკაცრ დიდ ძმაზე. კერბერი თაფლის ფიქვამ ვერ მიიტყუა. ერთი ნაოქციც ვერ შეარხია და ვერ წაშალა არქიდიაკონის შუბლზე.

— მაგით რა გინდა მითხრა, რა გაქვს მიზნად? — ჰკითხა მან უკმეხად.

— კარგი, გეტყვი, რაც მინდა, — უპასუხა გულადად ქეანმა, — ფული მჭირდება.

ამ თავხედურ განცხადებაზე არქიდიაკონმა დამრიგებლური და მამობრივი გამომეტყველება მიიღო.

— თქვენ იცით, ბატონო ქეან, რომ ჩვენი ლენური სამფლობელო ტირშაპი, ღალისა და ოცდაერთი სახლის ყოველწლიური შემოსავლის ჩათვლით, ერთიანად იძლევა სულ ოცდაცხრამეტ ლივრს, თერთმეტ სუსა და ექვს პარიზულ დინარს. მართალია, ეს ნახევარჯერ მეტია, ვიდრე ძმების პაკლეების დროს იყო, მაგრამ მაინც ბევრი არ არის.

— მე ფული მჭირდება, — მტკიცედ უთხრა ქეანმა.

— თქვენ იცით სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ოცდაერთი სახლი მთლიანად, როგორც ვასალური სამფლობელო, დამოკიდებულია ეპარქიაზე, და ამ პატივისცემას ვერ გამოვისყიდით, თუ მის ყოველად ღირსებას ეპისკოპოსს არ გადაუხედით ორ ვერცხლის მარს! თვითოეულს ექვსი პარიზული ლივრის ფასად. მე კი ეს ორი მარი ჯერ არ დამიგროვებია. თქვენ ეს იცით.

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ფული მჭირდება, — მესამედ გაიმეორა ქეანმა.

— მერე-და, რა უნდა უყოთ. რისთვის გნებაეთ?

ამ კითხვამ ქეანის თვალეზში იმედის შუქი აანთო. კატასავით მანკვა დაიწყო და მოთაფლული ხმით მიმართა.

— აი მომისმინეთ, ჩემო ძვირფასო ძმავო კლოდ, ცუდი განზრახვით არ მოგმართავდით. თქვენი უნციებით არ ვაპირებ თავი მოვი-

წონო სამიკიტნოებში და ოქრომკედლიანი ფარჩით პარიზის ქუჩებში ვისეირნო ჩემი ლაქით, cum meo laquasio. არა, ჩემო ძმაო, იგი სასიკეთო საქმეზე მინდა.

— რა სასიკეთო საქმეზე? — ჰკითხა ცოტა განცვიფრებულმა კლოდმა.

— ჩემს ორ მეგობარს სურს ოდრის სამრევლოს ერთი სათნოების დის ქვრივ-ოხერის ბავშვისათვის სახვევ-საგები არტახების ყიდვა. ეს საქველმოქმედო საქმეა. სულ სამი ფლორინი დაჯდება და მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო.

— რა ჰქვია მაგ შენს ორ მეგობარს?

— პიერ ყასაბი და ბატისტ ჩიტიჰამია.

— კმ! — თქვა არქიდიაკონმა, — აი სახელებიც ამას ჰქვია, ეგენი ისევე შეეფერება კეთილ საქმეს, როგორც ყუმბარმშენი საქურთხვევლს.

ყეანმა უდავოდ ძალიან ცუდად შეარჩია მეგობართა ეს ორი სახელი. მაგრამ ძალიან გვიან იგრძნო.

— მერმე, — განაგრძო გამპკრიახმა კლოდმა, — ეგ რა საფენ-სახვევი არტახებია, რომ სამი ფლორინი ღირს? და ისიც ვილაც ღეთისმოსავი ქვრივის ბავშვისათვის. რა ხანია, რაც მაგ სამრევლოს ქვრივ ქალებს ძუძუთა ბავშვები გაუჩნდათ?

ყეანმა ერთხელ კიდევ სცადა ყინულის გარღვევა.

— კეთილი, დე აგრე იყოს, მე ფული მჭირდება იმისათვის, რომ დღეს საღამოს ვალ-დ'ამურში წავიდე იზაბო-ლა-ტიერის სანაბავად!

— ბილწო, უწმიხდურო! — უყვირა ხუცესმა.

— 'Αναγχε:α — თქვა ყეანმა.

სენაკის კედელზე წარწერილი სიტყვის დამოწმებამ, რაც ყეანმა შესაძლებელია განზრახ ვერაგულადაც მოიშველია, იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა ხუცესზე. ტუჩზე იკბინა და სიბრაზისაგან გაწითლდა.

— გასწი აქედან, — უთხრა მაშინ ყეანს, — ერთ კაცს ვუტდი.

მოსწავლემ ერთხელ კიდევ სცადა.

— ძმაო კლოდ, წვრილი პარიზული მაინც მომეცი, რომ შეეკვა-მო რამე.

— რა ადგილას ხართ ახლა გრაციანის დეკრეტალებში? — ჰკითხა მამა კლოდმა.

— ჩემი რვეულები დაკარგე.

— რას სწავლობთ ახლა ლათინურ სიტყვიერებაში?

— ჩემი ეგზემპლარი ჰორაციუსისა მომპარეს.

— არისტოტელესი რა გაგივლიათ?

— მართლა, ძამიკო, ვიღაც ეკლესიის მამა ხომ ამბობს. რომ ყველა დროის მწვალებლური შეცდომების მასაზროდებელი წყარო არისტოტელეს მეტაფიზიკის ჯაგნარი იყო? ფუი არისტოტელეს! არ მსურს მისმა მეტაფიზიკამ რწმენა შემირყიოს.

— ჭაბუკო, — განაახლა არქიდიაკონმა, — მეფის უკანასკნელი შემოსვლის დროს ერთ კეთილშობილს სახელად ფილიპ დე კომინს ცხენის ყაჯარზე ამოქარგული ჰქონდა დევიზი, რასაც გირჩევთ კარგად ჩაუფიქრდეთ: Qui non laborat, non manducet*.

ერთი წუთით მოსწავლე დადუმდა, თითი ყურთან მიიტანა, თვალი მიწას ჩააშტერა და ასე დაპყო ერთ ხანს გაჯავრებული სახით. უცბად კლოდისკენ მზეწვიას სიმკვირცხლით მიბრუნდა:

— ასე რომ, ჩემო კარგო ძამია, თქვენ ერთ პარიზულ სუზეც კი უარს ბეუბნებით, რომ მეფუნთუშესთან ერთი ნატეხი პური მეყიდა?

— Qui non laborat, non manducet.

შეუბრალებელი არქიდიაკონის ამ პასუხზე ევანმა აქეთინებული ქალივით სახე ხელებში ჩამალა და სასოწარკვეთილი ხმით იკვილა:

— 'Οχι τοσοτοσοι!

— ეს რაღას ნიშნავს, ბატონო? — ჰკითხა ამ მოულოდნელი, უცნაური საქციელითა და გამოთქმით განცვიფრებულმა კლოდმა.

— კეთილი, მოგახსენებთ! — თქვა მოსწავლემ და კლოდს მიაპყრო თავისი ურცხვი თვალები, რომლებიც ეს-ეს იყო მუშტებით დაისრისა, რათა, ვითომ ნამტირალევი, ცრემლებისაგან დაწითლებული გამოჩენილიყო, — ეს ბერძნულია, ესქილეს ანაპესტია, რომელიც მშვენივრად გამოხატავს მწუხარებას.

და მან ისე უდარდელად, მთელი ძალით, გულიანად გადაიხარხარა, რომ თვით არქიდიაკონმაც გაიღიმა. კლოდმა ახლა კი დაინახა თავისი დანაშაული, ეს მისი ბრალია, ასე რად ანებვირებდა ამ ბავშვს?

— ო, ჩემო კეთილო ძამიკო კლოდ, — წამოიწყო კვლავ ამ ღიმილით წათამამებულმა ევანმა, — შეხედეთ ჩემს ძირგახვრეტილ წალებს! განა ქვეყნად ძველი ბერძნული ფეხსაცმელი — კოთურნები უფრო ტრაგიკულია, ვიდრე წალები, რომელთაც ლანჩა ენასავით გადმოუგდიათ?

არქიდიაკონს მალე დაუბრუნდა მისი თავდაპირველი სერიოზულობა.

* ვინც არა შრომობს, არცა სჭამს (ლათ.).

— მე გამოგიგზავნით ახალ წაღებს, მაგრამ ფულს არ მოგცემთ.

— თუნდაც ერთი საცოდავი პარიზული, ჩემო ძამიკო. — ვედრებით განავრძო ყეანმა. — ზეპირად შევისწავლი გრაციანს. ვიწამებ ლმერთს. კეშმარიტ პითაგორად გარდავიქმნები მეცნიერებისა და სათნოების მხრივ. ოღონდ ერთი პარიზული გაიღეთ სამოწყალოდ. ნუთუ თქვენ გინდათ. შიმშილმა დამღრღნას, მშთანთქას თავისი დაღრენილი ხახით, რომელიც უფრო შავი, მყრალი და ღრმაა, ვიდრე ქვესკნელი. ვიდრე ბერ-მონაზვნის ცხვირი?

მამა კლოდმა შუბლი შექმუხნა, თავი გააქნია:

— Qui non laborat...*

ყეანმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— მაშ კარგი, ახლა მე ვიცი, — შესძახა მან, — ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! გაუმარჯოს მხიარულებას! სულ დუქანში ვეგდები, ვიჩხუბებ, კურკულს დავამტკრევ, გოგოებში ვიყიადებ!

ამასთან ქული კედელს მიანარცხა და თითები ჯიმჯიმებივით აატაკუნა.

პრქიდიაკონმა პირქუშად შეხედა.

— ყეან, თქვენ სული არ გაგაჩნიათ.

— მაშინ, ეპიკურეს თანახმად, მე არ გამაჩნია ისეთი რამ, რაც შემდგარია რალაციისაგან, რასაც სახელი არა აქვს.

— ყეან, სერიოზულად უნდა იფიქროთ თქვენს გამოსწორებაზე.

— აჰ, რა ბრძანებაა! — შესძახა მოსწავლემ და ჯერ ძმას შეხედა. მერე ფილაქურაზე მდგომ ამბუხებს, — აქ ყველაფერი ცარიელია, აზრიცა და ქილებიც!

— ყეან, თქვენ მოლიპულ დაღმართზე მიექანებით. იცით, საით მიდინართ?

— დუქნისაკენ, — უთხრა ყეანმა.

— დუქანი სამარცხვინო ბოძთან მიგიყვანთ.

— სამარცხვინო ბოძი ისეთივე სანათურის ბოძია, როგორც ყველა სხვა, და იქნებ მისი საშუალებით მაინც ეპოვა დოგენს თავისი საძებარი ადამიანი.

— სამარცხვინო ბოძი სახრჩობელაზე აგიყვანთ.

— სახრჩობელა სასწორია, ერთ მხარეს ადამიანი ჰკიდია; მეორე მხარეს — დედამიწა. სასახლოც კია ასეთი ადამიანი იყო.

— სახრჩობელა ჯოჯოხეთში შეგიყვანთ.

— ჯოჯოხეთი ერთი დიდი ცეცხლია და მეტი არაფერი.

— ყეან. ყეან. ცუდი აღსასრული მოგელით.

* ვინც არ მუშაობს...

— სამაგიეროდ დასაწყისი იყო კარგი!

ამ დროს კიბეზე ვილაცის ფეხის ხმა მოისმა.

— სიჩუმე! — თქვა არქიდიაკონმა და ტუჩებზე თითი მიიღო, — აი მეტრ ჟაკიე მოდის. ჟეან, მისმინე, — დაუმატა დაბალი ხმით, — ფრთხილად იყავით, არასოდეს არ წაგცდეთ, რასაც აქ დაინახავთ და მოისმენთ. დაიმაღეთ ფილაქურის ქვეშ, და ხმა, კრინტი არ დასძრათ.

მოსწავლე ფილაქურის ქვეშ შეძვრა. იქ უცბად თავში მადლიანი აზრი დაებადა.

— მართლა, ძმაო კლოდ, დუმილისათვის ერთი ფლორინი.

— ჩუმად! გპირდებით.

— ახლავე მომეცით.

— აჰა, აიღე! — უთხრა და გაბრაზებით მიუგდო არქიდიაკონმა ქისა!

ჟეანი კიდევ უფრო ღრმად შეძვრა ფილაქურის ქვეშ, და კარიც გაიღო.

▼

შავითმოხსილი ორი პატი

სენაკში შავწამოსასხამიანი პირქუში სახის კაცი შემოვიდა. პირველი შეხედვით ახალმოსულის თალხმა ტანსაცმელმა და ნაღვლიანმა სახემ გააკვირვა ჩვენი მეგობარი ჟეანი (რომელმაც, ცხადია, თავის კუთხეში ისე მოიკალათა, რომ შესძლებოდა ეცქირა და ესმინა რამდენსაც ინებებდა). მაგრამ მთელ მის გამომეტყველებაში გამოსჭვიოდა რაღაც შემპარავი თვისება, შემპარაობა კატისა ან მოსამართლისა — მოტყობი შემპარაობა. ძალიან გაჭაღარავებული, ნაოკებიანი, სამოც წელს იყო მიღწეული, თვალებს ახამხამებდა, წარბები თეთრი ჰქონდა, ქვედა ტუჩი დაშვებული, დიდი ხელები. როდესაც ჟეანი მიხვდა, რომ ის კაცი უეჭველად ან ექიმი ანდა მოსამართლე უნდა ყოფილიყო, და დაინახა, რომ ცხვირი პირიდან ძალიან დაშორებით ჰქონდა, რაც სისულელის ნიშანი იყო, თავის სოროში ღრმად მიიკუჭკა, სასო წარეკვეთა და გული გაუტყდა, რადგან დიდხანს მოუხდებოდა ასეთ შევიწროებულ მდგომარეობასა და უხეირო საზოგადოებაში ყოფნა.

არქიდიაკონი არც კი წამომდგარა ამ პიროვნების შესაგებებლად. მან ახალმოსულს ანიშნა კარის გვერდით მდგომ-სკამზე დამჯდარიყო, და, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, თითქოს წინანდელ აზრს აგრძელებსო, ერთგვარი მფარველი კილოთი უთხრა:

— გამარჯობათ, მეტრ ჟაკ.

— სალამი, მეტრ! — მიუგო შავითმოსილმა კაცმა.

იმ ორ კილოს შორის, რომლითაც წარმოითქვა ერთი მხრივ „მეტრ ჟაკ“, ხოლო მეორე მხრივ „მეტრ“ უპირატესად იგივე განსხვავება იყო, რაც „თქვენო მაღალუწმინდესობავ“ და „ბატონოს“ შორის, „domine“-სა და „monsieur“-ს შორის არსებობს. ცხადია, ეს იყო სწავლულისა და მოსწავლის შეხვედრა.

— აბა, როგორ არის საქმე? — წამოიწყო ისევ არქიდიაკონმა ხელახლა ჩამოვარდნილი დუმბილის შემდეგ, რის დარღვევასაც მეტრ ჟაკი მოერიდა, — გაქვთ წარმატების იმედი?

— ვაგლახ! უფალო ჩემო, — უპასუხა მან ნაღვლიანი ღიმილით, — მაინც სულ ვუბერავ და ვუბერავ. ფერფლი და ნაცარი თავზე გადამდის, მაგრამ ოქრო? — არც ერთი ნაპერწკალი!

მამა კლოდი მოუთმენლად შეიშმუშნა.

— მაგაზე არ გელაპარაკებით, მეტრ ჟაკ შარმოლიუ, მე გეკითხებით თქვენი ჯადოქრის პროცესზე. განა მარკ სენენი არ არის ის, თქვენ რომ დაასახელებთ, უმაღლესი საანგარიშო ბალატის ხაზინადარი? გამოტყდა ჯადოქრობაში? დაკითხვამ მოგცათ რამე?

— ვაი, რომ არა! — უპასუხა მეტრ ჟაკმა და ისევ ნაღვლიანად გაიღიმა. — არაფერი სანუგეშო არა გვაქვს. ის კაცი კი არა, ქვა არის. იგი ღორების ბაზარზე მდულარეში უნდა გავფუფქოთ, სანამ რამეს იტყოდეს, თუმცა არაფერს არ ვერიდებით, არაფერს არ ვზოგავთ, რომ სიმართლეს მივადწიოთ. ყველა სახსარი უკვე ამოგდებული აქვს. ყოველგვარ საშუალებას ვხმარობთ, როგორც ძველ კომიკი პლავტუსი ამბობს:

*Advorsum stimulos, laminas, crucesque, compedesque,
Nervos, catenas, carceres, numellas, pedicas, boias*.*

არაფერი შველის, არაფერი გადის. საშინელი კაცია. მასთან ვერაფერს გავხდნი, ილაჯი გამიწყდა, არაქათი გამომელია.

— ახალი ვერაფერი ნახეთ მის სახლში?

— როგორ არა! — მიუგო მეტრ ჟაკმა და თავის ქისას ჩხრეკა დაეწყო, — ეს პერგამენტი. აქ არის სიტყვები, რომლებიც ჩვენ არ გვესმის. მაგრამ ბატონმა პროკურორმა სისხლის სამართლის დარგში ფილიპ ლელიემ ცოტა იცის ებრაული, რომელიც მან ისწავლა ბრიუსელის კანტერსტენის ქუჩის ებრაელთა პროცესის დროს.

* მიუხედავად ჯოხებისა, გავარჯარებული რკინის ფირფიტებისა, წამებისა, ძელზე გასმისა, თოკებისა, კანდალებისა, ბორკილებისა, ციხეებისა, ჯინჯილებისა, საყელურებისა და ხუნდებისა (ლათ.).

ასე რომ ლაპარაკობდა, მეტრ ჟაკი თან დახვეულ პერგამენტს შლიდა.

— მომეცით, — უთხრა არქიდიაკონმა, და თვალი ეტრატს მიაპყრო:

— მტკნარი ჯადოსნობაა, მეტრ ჟაკ! — წამოიძახა მან. — „ემენ-ჰეტან“! ეს მაქციების კივილია, როდესაც ქაჯთა და კუდიანთა ღამის ყრილობაზე მიფრინავენ. Per ipsum, et cum ipso, et in ipso*.— ეს არის შელოცვა, რომელიც ეშმას ქაჯთა ღრეობიდან ისევ ჯოჯობებში ჰკეტავს. Hax, pax, max**.—ეს ეხება მკურნალობას: ცოფიანი ძაღლის ნაკბენის შელოცვაა. მეტრ ჟაკ! თქვენ საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორი ხართ! ეს პერგამენტი სისაძაგლეა!

— კიდევ ვაწამებთ ამ კაცს, — დაუმატა მეტრ ჟაკმა და ხელახლა ჩხრეკა დაუწყო თავის ჩანთას, — აი კიდევ რა ვიპოვეთ მარკ სენენთან.

იგი აღმოჩნდა იმგვარივე ლარნაკი, როგორიც ბლომად ეყარა მამა კლოდის ფილაქურაზე.

— აჰ, — თქვა არქიდიაკონმა, — ეს ხომ ალქიმიური ბრძმედქოთანია.

— ვაღიარებ, — უთხრა მორიდებული და ნაძალადევი ღიმილით მეტრ ჟაკმა, — მე ვცადე ჩემს ფილაქურაზე, მაგრამ იმაზე უკეთესი წარმატება როდი მხვდა, ვიდრე ჩემს ბრძმედში.

არქიდიაკონი ლარნაკის დათვალიერებას შეუდგა.

— ეს რა ამოუკვეთია ბრძმედქოთანზე? oeh! oeh! რწყილების დასაფრთხობი სიტყვა? ეს მარკ სენენი უმეცარიია მჯერა, თქვენ ამით ოქროს ვერასოდეს ვერ მიიღებთ! ზაფხულობით წალოში საწოლქვეშ დასადგმელად თუ გამოგადგებათ, მეტი არაფერი.

— რაკი შეცდომებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, — თქვა სამეფო პროკურორმა, — სანამ თქვენთან ამოვიდოდი, მე შევისწავლე ქვემოთ მთავარკარი. ღრმად არის დარწმუნებული თქვენი მაღალღირსება, რომ ოტელ-დიეს მხრიდან გამოსახულია ფიზიკის სამუშაოთა დასაწყისი და ღვთისმშობლის ფერხთით მყოფ შვიდ ტიტველ ქანდაკებათაგან ერთი, ქუსლებზე რომ ფრთები აქვს, მერკურია?

— დიახ, — უპასუხა ხუცესმა, — ამას წერს ავგუსტინ ნიფო, იტალიელი სწავლული, რომელსაც მფარველობდა და ყველაფერს

* თავისი მეოხებით, და თავისით, და თავისში! (ლათ.).

** ჰაქს, პაქს, მაქს! (სიტყვების უაზრო გროვა).

ასწავლიდა წვერიანი ღემონი. თუმცა ახლა დაბლა ჩავალთ და ყველაფერს ამას განვიმარტავთ თვით გამოსახულებასზე.

— გმადლობთ, მეტრ, — უთხრა შარმოლიუმ და თან მიწამდე დახარა თავი. — მართლა, კინალამ დამაეიწყა! როდის ინებებთ, შევაპყრობინო პატარა ჯადოსანი გოგონა?

— რომელი ჯადოსანი?

— აი. ის ბოშა ქალი, თქვენ რომ იცნობთ, ყოველდღე რომ მოდის ტაძრის კარიბჭის ფორზე საცეკვაოდ, მიუხედავად სასულიერო სასამართლოს აკრძალვისა! მას ჰყავს ერთი ეშმაკის რქებიანი ჭინკა თხა; ეს თხა კითხულობს, წერს და მათემატიკა პიკატრიქსით იცის; ესეც საკმარისია, ყველა ბოშა ქალი რომ სახრჩობელაზე ჩამოგვიდოთ. ბრალდება მზად არის. სასამართლო სწრაფად მოთავსდება, ფიქრი ნუ გაქვთ! სულსა ვფიცავ, ლამაზი ქმნილება კი არის ის მოცეკვავე გოგონა! რა მშვენიერი შავი თვალები აქვს, ორ გვეგებურ ლალს მიუგავს! როდის შევეუდგეთ!

არქიდიაკონი მეტისმეტად გაფითრებული იყო.

— მე გეტყვით მაგას, — ძლივს გასაგონი ხმით წაიდუღუნა მან. შემდეგ თავს ძალა დაატანა და როგორც იქნა, განაგრძო: — მანამდე მარკ სენენს მოჰკიდეთ ხელი.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — ღიმილით მიუგო შარმოლიუმ. — შინ რომ დავბრუნდები, ტყავის სარეცელზე კვლავ დავაკრევივინებ. მაგრამ კაცი კი არა, ქაჯია. იგი ქანცავს თვით პიერა ტორტერიუსაც კი, რომელსაც ჩემზე ბევრად დიდი და ღონიერი ხელები აქვს. როგორც ამბობს კეთილი პლატუსი:

Nudus vincetus, centum pondo, es quando pedes per pedes.*

ძელზე გასმით დავკითხავთ. ყველაზე უკეთესი საშუალება ესა გვაქვს. ესეც გამოსცადოს.

როგორც ჩანდა, მამა კლოდი შავ ფიქრებში იყო ჩანთქმული. იგი შარმოლიუსკენ მიბრუნდა.

— მეტრ პიერა... მეტრ ჟაკ, მინდოდა მეტქვა, მარკ სენენს მოჰკიდეთ ხელი.

— დიახ, დიახ, მამაო კლოდ. საბრალო ადამიანი! მუმოლივით¹ ვაწამებთ. რა უცნაური აზრია ქაჯთა ღრეობაზე სიარული! უმადლესი საანგარიშო პალატის ხაზინადარს უნდა სცოდნოდა კარლოს დიდის კანონი: *Stryga vel masca!*** რაც შეეხება პატარას, — სმე-

* ტიტველი იწონი შენ ას გრავანქას, როცა გაადებენ თავქვე ფეხებით (ლათ).

** მაქცია ანუ გრძნეული.

რალდას, როგორც ეძახიან იმ გოგოს. — თქვენს განკარგულებას დავეუდო. — აჰ, როცა მთავარკარს ჩავუვლით, ამიხსენით, გეთაყვა, რას ნიშნავს ეკლესიის შესასვლელთან კედელზე დახატული მებაღე. მთესველი არ არის იგი — ჰე! მეტრ, რაზე ჩაფიქრდით?

თავის ფიქრებში შთანთქმული მამა კლოდი აღარ უსმენდა. შარ-მოლიუმ თვალი გააყოლა მის მზერას და დაინახა, რომ ხუცესი ჩაშტერებით უცქერდა სამერცხულზე გაბმულ ვეებერთელა აბლაბუდას. ამ დროს ერთი თავქარიანი ბუზი მარტის მზის ძებნაში ამ ბადეს დაეძგერა და გაიხლართა. როგორც კი ბადე შეირხა, აბლაბუდის შუაგულს მიყუჩებული უზარმაზარი ობობა უეცრად ბუზთან გაჩნდა, ნახტომით დააცხრა, თავისი წინა საცეცებით ორად გადალუნა, ხოლო ბილწი ხორთუმი თავზე მოუცაყუნა.

— საბრალო ბუზი! — თქვა საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორმა და გადასარჩენად ხელი გასწია. არქიდიაკონმა, უეცრად გამოღვიძებულივით, მკლავზე ხელი მაგრად მოუჭირა და ძალით შეაჩერა.

— მეტრ ჟაკ! — უყვირა მან, — დაე აღსრულდეს ბედისწერა!

პროკურორი შეშინებული შემობრუნდა. ასე ეგონა, მკლავზე რკინის მარწუხები მოუჭირეს. ხუცესის გაშტერებული, მკაცრი და ანთებული თვალები საზარელ პაწია ჯგუფზე — ბუზსა და ობობაზე იყო მიპყრობილი.

— ოჰ! დიახ, — განაგრძო ხუცესმა გულის სიღრმიდან აღმომხდარი ხმით, — აი სიმბოლო ყოველივესი. იგი ფრინავს, იგი ხარობს, ზემობს, ეს-ეს არის დაიბადა; მას სწყურია გაზაფხული, ფართო არე, სუფთა ჰაერი, თავისუფლება; ოჰ! დიახ, მაგრამ საკმარისია საბედისწერო სარკმელს წააწყდეს, რომ იქიდან ობობა, ბილწი ობობა გამოძერეს! საბრალო მოცეკვავე! საბრალო განწირული ბუზო! მეტრ ჟაკ, ხელს ნუ შეუშლი, დაე მოხდეს, რაც მოსახდენია! იგი თვით ბედისწერაა! — ვაგლახ! კლოდ. ვაი რომ შენც ობობა ხარ. მაგრამ იმავე დროს შენ ბუზიც ხარ, კლოდ! შენც ფრინავდი, შენც ესწრაფოდი მეცნიერებას, სინათლეს, მზეს, შენც ფიქრობდი მიღწევადი ფართო ასპარეზს, სამარადისო კვშმარტების კაშკაშა ნათელს, დიად დღეს. მაგრამ როგორც კი მიაწყდი თვალისმომკრელ სარკმელს. სულ სხვა სამყაროში, სინათლის, გონებისა და მეცნიერების სამყაროში გამავალ სარკმელს, შენ ბრმა ბუზო, უგუნურო, შეშლილო მეცნიერო, ვერ შეამჩნიე სინათლესა და შენს შორის ბედის მიერ გაბმული სიფრიფანა აბლაბუდა. შენ თავდავიწყებით ეკვეთე მას, ბედკრულო გიჟო, და აი ახლა თავგატეხილი, ფრთებ-

დალწალი ბედსწერის რკინის ბრწყალებში ფართხალობ და აქეთ-იქით აწყდები! — მეტრ ყაკ! მეტრ ყაკ! ხელს ნუ შეუშლი ობობას!

— გარწმუნებთ. — უთხრა შარმოლიუმ, რომელიც გაოგნებულნი უცქერდა მას. — ხელს არ ვახლებ. ოღონდ მოიღეთ მოწყალე-ბა და ხელი გამიშვით. თორემ თქვენ ხელი კი არა, მარწუხნი გქონ-ნათ.

მაგრამ არქიდიაკონი არ უსმენდა.

— ოჰ უგუნურო! — განაგრძო ისევ ხუცესმა და თან თვალს არ აცილებდა სარკმელს. — და თუნდაც შესძლო შენი ბუზისებური ფრთებით ამ საშინელი აბლაბუდის გარღვევა, ნუთუ ფიქრობ მიაღწიო სინათლეს! ვაგლახ! როგორ უნდა, გადალახო შემდეგ ეს მინა, ეს გამკვირვალე დაბრკოლება, ეს ბროლის კედელი, რეალზე უმაგრესი, რომელიც ყველა ფილოსოფიას ჭეშმარიტებისაგან სთიშავს, გამოჰყოფს? ო. მეცნიერების ამოებავ! რამდენი ბრძენი მოისწრაფოდა შორიდან და შუბლი შეაღწა მას! რამდენი სისტემა ეჯახება ბზუილითა და არევ-დარევით ამ სამარადისო მინას!

იგი დადუმდა. ამ უკანასკნელმა აზრებმა შეუმჩნევლად მოსწვიტეს თავის თავს. მეცნიერებას დაუბრუნეს და ეტყობოდა დაამშვიდეს. ყაკ შარმოლიუმ სრულიად დაუბრუნა მას სინამდვილის გრძნობა, როცა შემდეგი კითხვით მიმართა:

— ამრიგად, ჩემო მასწავლებლო, როდისღა დამეხმარებით, ოქრო გავკეთო? ველარ ვითმენ, ვიდრე წარმატებას მივალწევდე. არქიდიაკონმა მწარე ღიმილით თავი გააქნია.

— მეტრ ყაკ, წააკითხეთ მიქაელ ჰსელუსის „Dialogus de energia et operatione daemnonum“. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მთლად უცოდველი და უდანაშაულო როდინა.

— ხმას დაუწრეთ, მეტრ! მეც ვეპვობ, — თქვა შარმოლიუმ. — მაგრამ რას ვუხამ, თუ ცოტა ჰერმეტიკასაც არ მიეყავი ხელი, მაშინ როდესაც მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორი ვარ და წელიწადში სულ ოცდაათ ტურის ეკიუს ვიღებ. ოღონდ დაბალი ხმით ვილაპარაკებ.

ამ დროს შარმოლიუს შემკრთალ და გამახვილებულ ყურს მისწვდა ყბების ღრუბუნისა და ღეჭვის ხმა ფილაქურის ქვეშიდან.

— ეს რა არის? — იკითხა მან.

ეს მოსწავლე ბრძანდებოდა, რომელიც ძალიან შეწუხებულყო თავის სამალავში და მეტად მოეწყინა, უცბად ხელთ დაო-

* „დალოგი დემონთა ენერჯიასა და მოქმედებაზე“ (ლათ.).

ბებული პურის ქერქი და დამყაყებული ყველის ნაჭერი მოხვედროდა, მოურიდებლად ჭამას შესდგომოდა, საუზმისა და ნუგეშის სა-
ნაცელოდ. რადგან ძალიან დამშეული იყო, ყოველ ლუქმას ისე მა-
დიანად ღრღნდა და შეეჭეცოდა, პირს ისე ღონიერად აწკლაპუნებ-
და, ისეთ დიდ ხმაურს ჰქმნიდა, რომ პროკურორის სიფრთხილედ და
განგაში გამოიწვია.

— ალბათ ჩემმა კატამ თავი დაიჭირა და ახლა პირს იტყბარუ-
ნებს, — სასწრაფოდ უთხრა არქიდიაკონმა.

შარპოლიუ ამ განმარტებას დასჯერდა.

— მართლა, მეტრ, — მორიდებული ღიმილით უპასუხა მან. —
ყველა დიდ ფილოსოფოსს თავისი შინაური ცხოველი ჰყავს. თქვენ
იცით, რას ამბობს სერგიუსი: Nullus enim locus sine genio est*.

მაგრამ მამა კლოდს ყენანის ახალი უსაქციელობის ეშინოდა, ამი-
ტომ თავის ღირსეულ მიმდევარს მოაგონა, რომ მათ მთავარკაცრის
რამდენიმე გამოსახულება ჰქონდათ კიდევ ერთად შესასწავლი, და
ორივენი სენაკიდან გავიდნენ.

— უჰ! — შვევით ამოისუნთქა მოსწავლემ, რომელიც სერიო-
ზულად შეაშინა იმან, ვაითუ ჩემი ნიკაპის ანაბექდი სამუდამოდ და-
მრჩეს მუხლზეო.

VI

შედები, რომელიც შეიძლება მოჰყვას სუფთა ჰაერში ნათქვამ შვიდ უშვირ სიტყვას

— Te Deum laudamus! ** — შესძახა მეტრ ყენამა, როდესაც თა-
ვისი სოროდან გამოძვრა. — როგორც იქნა, ორი ბუ წავიდა. ოხ!
ოხ! პაქს! პაქს! მაქს! რწყილებიო! ცოფიანი ძაღლებიო! ეშმაკიო!
მეყოფა მათი ბაასი! თავი სამრეკლოსავით მიგუგუნებს. აყროლე-
ბული ყველიც რომ ზედ დაერთო! აბა, დავეშვათ ქვევით! ხელი
ვტაცოთ უფროსი ძმის ქისას და ყველა ეს ფული ბოთლებად ვა-
ქციოთ!

მან ნაზი ალერსითა და ალტაცებით ჩაიხედა ძვირფას ქისაში,
ტანსაცმელი გაისწორა, ფეხსაცმელი გადაიწმინდა, ნაცრისაგან
მთლად გასვრილი საბრალო სახელოები დაიბერტყა, გაისუფთაფა,

* ყოველ ადგილს თავისი სული (გენია) ჰყავსო (ლათ.).

** უფალო, გადიდებთ შენ! (ლათ.).

რალაც სიმღერა დაუსტვინა. ცალ ფეხზე შემოტრიალდა. შეხტა. სენაკი დაათვალიერა. წასაღები ხომ არა დარჩა რაო, ფილაქურაზე მიყრილ-მოყრილი ქიქის ავგაროზები წამოკრიფა, გამომადგება, იზაბო-ლა-ტიერის სამკაულების მაგიერ ვაჩუქებო; ბოლოს ფეხი ჰკრა კარს, რომელიც მისმა ძმამ ასევე ღია დატოვა უკანასკნელი შეწყალების ნიშნად, მანაც ასევე ღია დაავდო უკანასკნელი ოინბაზობის გამო და ჩიტვით ხტუნვა-ხტუნვით ხვეულ კიბეზე დაეშვა.

ხვეული კიბის წყვილიაღში ვილაცას იდაყვი გაჰკრა, ის ვილაც ღრენითა და ბუზღუნით ჩამოეცალა, ვარაუდით იფიქრა, კვაზიმოდო იქნებოდაო; ეს აზრი იმდენად სასაცილო ეჩვენა, რომ კიბის დანარჩენი ნაწილი ისე ჩაირბინა, სიცილის გამო ფერდები ხელით ეჭირა. მოედანზე რომ გამოეყარა, ისევე იცინოდა.

ხელახლა ქვაფენილზე რომ აღმოჩნდა, ფეხი დააბაკუნა.

— ოჰ, პარიზის კეთილო და პატივცემულო ქვაფენილო! — თქვა მან. — წყეული კიბე! თვით იაკობის კიბეზე ამავალ ანგელოზებსაც ქოშინი აუფარდებოდათ ამ საფეხურებზე. რა აზრად მომივიდა ავმძვარალიყავი ამ ქვის ბურღზე, თვით ცასაც რომ ხვრეტს, განა იმისათვის, რომ მძალე ყველი მექამა და პარიზის სამრეკლოები დამენახა სამერცხულიდან!

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, ორი კოტი, ე. ი. მამა კლოდი და მეტრ ჟაკ შარმოლიუ შენიშნა; მთავარკარის რომელიღაც ქანდაკებას უჭერეტდნენ. ცერებზე შემდგარი ფეხაკრფით მიუახლოვდა მათ და გაიგონა, თუ დაბალი ხმით როგორ ეუბნებოდა არქიდიაკონი შარმოლიუს:

— გილიომ პარიზელმა ამოაძერწინა იობი ამ ოქროსარშიებიან ლილაქვაზე. იობი ფილოსოფიურ ქვას გამოხატავს. ისიც უნდა გამოიცადოს და ეწამოს, რათა სრულქმნილი გახდეს, როგორც რაიმონდ ლიული ამბობს: *Sub conservatione formae specificae salva anima**.

— ეს ჩემთვის სულ ერთია, — თქვა ევანმა, — ქისა ხომ მე მაქვს.

ამ დროს მას უკანდან შემოესმა ვილაცის ძლიერი და ომანია-ნი ხმა, რომელიც საზარელი ლანძღვა-გინების ნაკადს აფრქვევდა:

— ეშმაკის მოდგმავ! ქაჯთა ბუდევ! ეშმაკებსაც წაულიხარ! ბელნებელის კიპო! პაპის სახელსა ვფიცავ! ელდა და მეხი, ქეჟა და ქუხილიც დაგცემიათ!

* ფორმის შენარჩუნებისას სული უვნებელი რჩება (ლათ.).

— სულსა ვფიცავ, — წამოიძახა ევანმა, — ეს სხვა ვინ იქნება, თუ არა ჩემი მეგობარი, კაპიტანი ფებუსი!

ფებუსის სახელის ხსენებამ არქიდიაკონის ყურამდე მიაღწია სწორედ იმ წუთს, როდესაც იგი სამეფო პროკურორის უხსნიდა გველშაპის გამოსახულებას, რომელსაც კუდი დაუმალა აბაზანაში, საიდანაც კვამლის ბოლქვებს შორის მეფის თავი ამოდის. მამა კლოდი შეკრთა, ლაპარაკი შეწყვიტა, რამაც შარბოლიუ დიდად განაცვიფრა; ხუცესი შემობრუნდა და დაინახა თავისი ძმა ევანი, რომელიც გონდლორიების სახლის კარებთან მდგომ მაღალ ოფიცერს მიუახლოვდა.

ის მართლაც ბატონი კაპიტანი ფებუს დე შატოპერი გახლდათ. თავისი საცოლის სახლის კუთხეს მიჰყუდებოდა და უღვთოდ იგიზნებოდა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, კაპიტან ფებუს, ნამდვილად საკვირველი და მახვილგონივრული გინება იცით, — უთხრა ევანმა და ხელი მოჰკიდა.

— წადი შე რქიანო, მეხიცი დაგცემია! — უპასუხა კაპიტანმა.

— შენ თვითონ ხარ რქიანი! შენ თვითონ დაგეცა მეხიცა და თავზარიცა! — მიუგო მოსწავლემ. — მაგრამ, ერთი მითხარი, სანუკვარო კაპიტანო, რამ გაიძულათ გადმოგეფრქვიათ ეგზომ ლამაზ სიტყვათა ნიაღვარი?

— უკაცრავად, მაპატიეთ ძვირფასო მეგობარო ევან, — შეუძახა ფებუსმა და ხელი ჩამოართვა. — გაქნებულ ცხენს უცბად ვერ შეაჩერებ. მე ხომ ნავარდით ვიგინებოდი. ეს-ეს არის გამოვექეცი იმ პრანკიებს. ყოველთვის, როცა კი მათგან გამოვდივარ, ყელამდე სავსე ვარ წყევლა-კრულვით. აუცილებლად უნდა გადმოვანთხო, თორემ სული შემეხუთება. მეხიცი დასცემიათ, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი!

— არ გნებავთ წავიდეთ. დავლიოთ? — ჰკითხა მოსწავლემ.

ამ წინადადებას კაპიტანი დაამშვიდა.

— სიამოვნებით, მაგრამ ფული არა მაქვს.

— მე მაქვს!

— მართლა? აბა მაჩვენე!

ევანმა მედიდურად და ამასთან გულუბრყვილოდ გადაუშალა კაპიტანს ქისა. ამასობაში არქიდიაკონი, რომელმაც შარბოლიუ გაცელებული მიატოვა, მათ მიუახლოვდა, რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და თვალყურს ადევნებდა; მათ კი მისულისათვის სულაც არ მიუქცევიათ ყურადღება, იმდენად იყვნენ გართულნი ქისის ჰერეტი.

ფებუსმა წამოიძახა:

— ეჲან. ქისა თქვენს ჯიბეში იგივეა, რაც მთვარე წყლის სათლ-
ში. ის იქ მოჩანს, მაგრამ არ კი არის. ის აჩრდილია, ანარეკლი
და მეთი არაფერი. ეშმაკსაც წაუღია დაენაძლევედეთ, რომ მაგამი
მხოლოდ კენჭებია!

ეჲანმა ცივად უპასუხა:

— აი ის კენჭები, რომლითაც მოკირწყულულია ჩემი ჯიბე.

და, სიტყვაც აღარ უთქვამს, ისე წამოცალა ქისა ერთ-ერთ იქვე
ახლოს ჩარკობილ ქვის კუნძზე, თანაც ისეთი გამომეტყველება
ჰქონდა, თითქოს რომაელივით სამშობლო გადაერჩინოს.

— ღმერთო ჰეშმარიტო! — წაიდუღუნა ფებუსმა, — მართლაც
აი ფარიანი ფული, მსხვილი თეთრი ფული, წვრილი თეთრი ფული,
ორი ნახევარიანი ტურისა, პარიზული დინარები, ნამდვილი არწივი-
ანი ლიარები! თვალები ამიჭრელდა! გასაოცარია!

ეჲანს ღირსეულად და აუღელვებლად ეჭირა თავი. რამდენიმე
ლიარი ტალახში ჩაგორდა. აღფრთოვანებული კაპიტანი ასაკრეფად
დაიხარა. ეჲანმა არ გაუშვა.

— ფუი, კაპიტან ფებუს დე შატოპერ!

ფებუსმა ფული დაითვალა და ეჲანს ზეიმით მიუბრუნდა:

— თქვენ იცით, რომ აქ ოცდასამი პარიზული სუ არის? ვინ
გამარცვთ წუხელ ყელგამოჭრილთა ქუჩაზე?

ეჲანმა უკან გადასწია თავისი ოქროსფერი, ხუტუტომიანი თავი,
მედიდურად მოჰუტა თვალები და განაცხადა:

— იმიტომაც მყავს არქიდიაკონი ძმა, ჩერჩეტი, ნახევრად სუ-
ლელი.

— ეშმაკსაც წაუღიხართ! — წამოიძახა ფებუსმა, — ღირსეული
ადამიანია!

— წავიდეთ, დავლიოთ! — უთხრა ეჲანმა.

— საით წავიდეთ? — ჰკითხა ფებუსმა, „ეჲას ვაშლისკენ“?

— არა, კაპიტანო. წავიდეთ „ძველი მეცნიერებისაკენ“, ძველი
მე-ცრუ-ენები-საკენ. რებუსივით არის. მიყვარს ასეთი სახელები.

— მიმრფურთხებია მაგ რებუსებისთვის, ეჲან! ღვინო უკეთესია
„ეჲას ვაშლში“. გარდა ამისა, კარის გვერდით, მზეზე გახარებუ-
ლია ვაზი, რომლის შეხედვა მსიამოვნებს, როდესაც ვსვამ.

— კეთილი! — გავწიოთ ეჲასკენ და მისი ვაშლისაკენ, — თქვა
მოსწავლემ და ხელი მოჰკიდა ფებუსს: — ოჰ, სიტყვამ მოიტანა.
და ღროზე უნდა მოგახსენოთ. ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ახლახან
ახსენეთ ყელგამოჭრილთა ქუჩა. თქვენ კარგად ვერ გამოთქვით.

ახლა ასე ბარბაროსულად აღარ იტყვიან. ამჟამად ამბობენ კრსერ-
მოჭრილთა ქუჩაო.

ორივე მეგობარი „ვეს ვაშლისკენ“ გაემართა. ზედმეტია იმაზე
ლაპარაკი, რომ მათ ჯერ ტალახში ჩაცენილი ფული აკრიფეს, და
რომ არქიდიაკონიც მათ აედევნა.

არქიდიაკონი მოღუშული მისდევდა. მან არ იცოდა, იყო თუ
არა ეს ის ფეხუსი, რომლის წყეული სახელი გრენგუართან შეხვედ-
რის შემდეგ ყველა მის ფიქრს ერეოდა, მაგრამ ბოლოს სულ ერთია,
მასაც ხომ ფეხუსი ერქვა. ეს ჯადოსნური სახელიც საკმარისი იყო,
რომ არქიდიაკონი მგლის ნაბიჯით ასდევნებოდა ორ უზრუნველ
ამხანაგს, ყური ეგდო მათი სიტყვებისათვის და დაძაბული ყურად-
ღებით ედევნებინა თვალი სულ მცირე მოძრაობისათვისაც კი. თუმ-
ცა ძნელი არ იყო მეგობართა საუბრის მოსმენა, ისე ხმამაღლა ლა-
პარაკობდნენ, სულაც არ წუხდნენ და არ ერიდებოდნენ იმას, რომ
გამველ-გამომველნი მათი აღსარების მოზიარენი ხდებოდნენ.
ისინი ლაპარაკობდნენ ორთაბრძოლებზე, ქალებზე, ღოჭებზე, ხელა-
ღებზე, გოყურ გატაცებებზე.

ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევში დაირის ხმა შემოესმათ მეზობელ
გზაჯვარედინიდან. მამა კლოდმა გაიგონა, როგორ უთხრა ოფიცერ-
მა მოსწავლეს:

— შეხი და თავხარის დაცემა! ნაბიჯს ვუმატოთ!

— რატომ ფეხუს?

— მეშინია, ბოშა გოგომ არ დამინახოს.

— რომელმა ბოშა გოგომ?

— აი ის პატარა ქალიშვილი, თხა რომ ჰყავს.

— სმერალდა?

— სწორედ ისა, ეჟან. ყოველთვის მავიწყდება მისი ქაჯური
სახელი. აუჩქაროთ, თორემ მიცნობს. არ მინდა, ეს გოგო ქუჩაში
მომადგეს.

— განა იცნობთ, ფეხუს?

არქიდიაკონმა დაინახა, როგორ ჩაიქირქილა ფეხუსმა, ეჟანის
ყურისკენ გადაიხარა და დაბალი ხმით რამდენიმე სიტყვა წასჩურ-
ჩულა, შემდეგ გადაიხარხარა და ზემით თავი გააქნია.

— ნამდვილად? — ჰკითხა ეჟანმა.

— სულსა ვფიცავ! — უპასუხა ფეხუსმა.

— ამ საღამოს?

— ამ საღამოს.

— დარწმუნებული ხართ, რომ მოვა?

— ხომ არ შეიშალებოდა? ეჰ, ანა ასეთ რამეებში დაეჭვება შეიძლება?

— კაპიტან ფებუს, ბედნიერი კაცი ხარ!

არქიდიაკონმა მთელი ეს საუბარი მოისმინა. კბილები აუკაწკაწადა, აშკარა ყრუოლად დაურბინა მთელ სხეულში. ერთი წუთით შეჩერდა, მთვრალი კაცივით რომელიღაც ქვის ბოძს მიეყრდნო, შემდეგ ისევ გაჰყვა მხიარული ავარების კვალს.

იმ წამს, როდესაც წამოეწია, საუბარი შეეცვალანათ. მას მოესმა, როგორ გაჰკვირდნენ ძველ მისამღერს:

პტი-კაროელი ბიჭები
ჩამოჰკიდეს ხბოებივით.

VII

ბერი-მოჩვენება

ცნობილი სამიკიტნო „ევას ვაშლი“ უნივერსიტეტის უბანში, მრგვალი დარაკისა და არგანიანის ქუჩის კუთხეში მდებარეობდა. პირველ სართულზე მას ეჭირა საკმაოდ ვრცელი და დაბალქერიანი დარბაზი, რომლის თალი შუაში ერთ სქელ, ყვითლად შეღებულ ხის დედაბოძზე იყო დამყარებული. ყველგან იდგა მაგიდები. კედლებზე კალის მბზინავი თუნგები ეკიდა. მუდამ უამრავი ლოთი თუ მოქვიფე ირეოდა. ბლომად იყვნენ ქალები. სარკმელი ქუჩაში გადიოდა, კარებთან ვაზი იყო, ხოლო კარების თავზე — ჭრიალა რკინის დაფა, რომელზეც ფერადი საღებავით ვაშლი და დედაკაცი ეხატა, დაფას წვიმისაგან უანგი მოჰკიდებოდა და ქარის ყოველ შემობერვისას რკინის ლურსმანზე ტრიალებდა. ეს ქვაფენილისაგან მიმართული აფქიოს მსგავსი რაღაც ფირნიშის მაგიერობას ეწეოდა.

ღამე ჩამოწვა. გზაჯვარედინზე ბნელოდა. სანთლებით გაჩირადლებული სამიკიტნო შორიდან სამჭედლოსავით გიზგიზებდა სიბნელეში. მინებჩამსხვრეული სარკმელებიდან ჭიქების წყარუნი, ქეიფის, ლხინის, ღრეობის, გინებისა და ჩხუბის ხმები ისმოდა. დარბაზის სიციხისაგან დაორთქლილ დიდი სარკმლის მინებში მოჩანდა გაურკვეველი მოფუთფუთე სახეები, დრო და დრო სიცილ-ხარხარი გუგუნით გამოვარდებოდა ხოლმე გარეთ. თავის საქმეებზე მიმავალი მგზავრები ისე ჩაუვლიდნენ ამ აჩოჩქოლებულ სარკმელს, იქით არ ნიიხედავდნენ. მხოლოდ სანდახან რომელიმე ძონძებიანი პატარა

ბიკი შედგებოდა ფეხის ცერებზე. სარკმლის რაფას მისწვდებოდა და სამიკიტნოში ყოყინით შეაგდებდა დამცინავ მისამღერს, რომლითაც მაშინ ლოთებს ალიზიანებდნენ:

ლოთი. შოთო. ბარბაცაო!

მაგრამ ამ დროს ვილაც კაცი მაინც განუწყვეტელი მიდი-მოდიოდა ხმაურიან სამიკიტნოს წინ, სულ იქით იცქირებოდა, თვალს არ აცილებდა და იმაზე მეტად არ შორდებოდა, რამდენსაც დარაჯი ანუ დეტი თავის სადარაჯო ჯიხურს. წამოსასხამი თვალებამდე ფარავდა. ეს საბურველი ის იყო იყიდა „ევას ვაშლის“ მეზობლად მყოფი მეძველმანისაგან, ალბათ, იმისათვის, რომ მარტის საღამოების სიცივისაგან თავი დაეცვა, ან იქნებ იმისათვისაც, რომ თავისი ტანსაცმელი არ გამოეჩინა, თვალში არავის მოხვედროდა. დროდადრო იგი ტყვიის რგოლებში ჩასმული მქრქალი შუშების წინ შეჩერდებოდა, შეიხედავდა, ყურს მიუგდებდა და ფეხებს დააბაკუნებდა.

ბოლოს სამიკიტნოს კარი გაიღო. თითქოს ისიც ამას ელოდა. იქიდან ორი მოქეიფე გამოვიდა. კარებიდან გამოვარდნილმა სინათლის სხივებმა ერთი წუთით გაანათა მათი მხიარული სახეები! წამოსასხამიანი კაცი ქურჩის მეორე მხარეს გადავიდა, ერთი ფარული კარის კამარის ქვეშ დადგა და იქიდან განაგრძო თვალთვალი.

— მეხი და თავს ზარი! — წამოიძახა ერთ-ერთმა მოქეიფემ.

— სადაც არის შეიღს მიუკაკუნებს. ამ დროისათვის პაემანი მაქვს დანიშნული.

— მე თქვენ გეუბნებით, — ამოილულულულა ენადაბმულმა მისმა თანამესუფრემ, — ყიამყრალობის ქუჩაზე არ ვცხოვრობ-მეთქი, *indignus qui inter mala verba habitat**. ჩემი ბინა არის ეანპენ-მოლეს ქუჩაზე, *in vico Johannis-Pain-Mollet*. თქვენ უფრო რქიანი ყოფილხართ, ვიდრე მარტორქა, თუ საწინააღმდეგოს ამბობთ. ყველამ იცის, ვინც ერთხელ დათვზე შემჯდარა, აღარაფრის ეშინია. მაგრამ ვხედავ, სასუსნავის მოტრფიალე და პირწუწკი ბრძანებულხართ, როგორც წმინდა ეაკ უცხოთაშემწყყნარებელი.

— ეჲან, ჩემო მეგობარო, თქვენ მთვრალი ხართ, — უთხრა მეორემ.

მაგრამ მან ბარბაციო უპასუხა:

— ილაპარაკეთ, რაც გნებავთ, ფეხუს, მაგრამ დამტყციებუღია, რომ პლატონს შეძებარი ძაღლის პროფილი ჰქონდა.

* არასაკადრისია, უწმაწური სიტყვების მოყვარულთა, ყიამყრალთა შორის ცხოვრობდე (ლოთ.).

მკითხველმა უეჭველად უკვე იცნო ჩვენი ორი ყოჩაღა მეგობარი. კაპიტანი და მოსწავლე. როგორც ჩანდა, იმ კაცმაც, ვინც მათ ბნელი კუნძულიდან უთვალთვალეზდა, იცნო ისინი, რადგან ნელი ნაბიჯით აედევნა მათ და ყველა იმ მიხვეულ-მოხვეულ, კლაკ-ნილ გზას ფეხდაფეხ მისდევდა, რომელსაც მოსწავლე აიძულებდა სმამში უფრო გამოწრობილსა და უფრო ფხიზლად თავშენახულ კაპიტანს. ლაბადაწამოსხმული კაცი უურადღებით უსმენდა მათ და შესძლო დაეჭირა ყოველი სიტყვა მათ შორის გამართულ ამ საინტერესო საუბრიდან:

— ვფიცავ ბახუსის ტანს! ეცადეთ სწორედ გაიაროთ, ბატონო ბაკალავრო. თქვენ ხომ იცით, რომ უნდა დაგტოვოთ. აი უკვე შვიდი საათია. მე პაემანი მაქვს ერთ ქალთან.

— დამანებეთ თავი! მე ვხედავ ვარსკვლავებსა და ცეცხლოვან შუბებს. თქვენ კი ჰგავხართ დამპმარტენის ციხე-კოშკს, რომელიც სიცილით სკდება.

— ვფიცავ ბებიაჩემის მეჭეჭებს. ეჟან, უგუნურებაა ამგვარი სისულელეების როტვა. მართლა, ეჟან, თუ კიდევ დაგრჩათ ცოტა რამ ფული?

— ბატონო რექტორო, აქ არავითარი შეცდომა არ არის. პატარა საყასბო, *parva boucheria*.

— ეჟან, ჩემო მეგობარო, ეჟან! თქვენ ხომ იცით, რომ პაემანი დაუნიშნე იმ გოგონას წმინდა მიშელის ხიდის ბოლოს; ხომ იცით, რომ იგი შემიძლია წაიყვანო მხოლოდ ფალურდელთან, ხიდზე რომ როსკიპია, ოთახის ქირა ხომ უნდა გადაუხადო, თეთრულვაშებიანი გარყვნილი ბებერი ნისიად არ შენდობა. ეჟან, გვედრები, მოიღვე მოწყალება! ნუთუ მღვდლის ქისა სულ ამოვცალეთ? ნუთუ ერთი პარიზულიც აღარ დაგრჩათ?

— შეგნება იმისა, რომ კარგად გაატარე რამდენიმე საათი, იგივეა, რაც სუფრაზე გემრიელი საკაზმი და საწებელი.

— მსუნაგო, ღორმუცელავ! შეაჩერეთ როშვა! მითხარით, ეჟან, ეშმაკის ფეხო, დაგრჩათ რამე ფული? მომეცით, თორემ, ღმერთმანი, გაგჩხრეკავთ, თუნდაც იობივით კეთროვანი, ან კეისარივით ქეციანი იყოთ!

— ბატონო, გალიაშის ქუჩა ეს ის არის, რომლის ერთი ბოლო უერთდება მეშუშეთა ქუჩას, მეორე ბოლო კი — ფეიქართა ქუჩას.

— ჰოდა, მერე რა? ჩემო კარგო მეგობარო, ეჟან, ჩემო საბრალო ამხანაგო. კი, დიახ, გალიაშის ქუჩა, ძალიან კარგი, სწორეა. მაგრამ, ზეციერის გულისათვის, გონს მოდი. მე მჭირდება მხოლოდ ერთი პარიზული სუ შვიდი საათისათვის.

— სრული სიჩუმე! სმენა იყოს. გაგონება! ყური უგდღე მისამ-
ღერს:

როცა თავგები შეკამენ კატებს
და მეფე არასის მფლობელი გახდება;
როცა ზღვა დიდი, ფართო და ვრცელი,
ივანობა დღეს გაიყინება,
მაშინ ნახავენ, მოლიპულ ყინულზე
არასელები დაიძვრებიან.

— ეპ, შე, ანტიქრისტეს შეგიროდო, დედაშენის ნაწლავებსაც
დაუხრჩეიხარ! — უყვირა ფებუსმა და მაგრად უბიძგა მთვრალ
მოსწავლეს, რომელიც კედლის ჩაყოლებით ჩატურდა და მოშვებუ-
ლი დაეცა ფილიპ-ავგუსტის ქვაფენილზე. კიდევ შერჩენილი მცი-
რეოდენი ძმური თანაგვრძობით, რომელიც არასოდეს არ სტოვებს
ლოთის გულს, ფებუსმა ფეხით მიაგორა ერთ-ერთ „ლატაკთა ბალიშ-
თან“, რომელიც განგებას მუდამ მზადა აქვს პარიზის ყველა სამანის
ბოძის კუთხეში, და რომელსაც მდიდრები ზიზლით, ქედმაღლურად
„ნაგვის გროვის“ სახელით სდალავენ. კაპიტანმა ჟეანს თავი დაუდო
კომბოსტოს მურკების დახრილ-დატკეპნილ ზვინზე და სკოლიარმა
იმ წამსვე ხვრინვა ამოუშვა დიდებული ბანით. მაგრამ კაპიტანის
გულში ჯავრი მაინც არ ცხრებოდა.

— მით უარესი, თუ გავლით ეშმაკის ფორანი ავიყვანს! — უთხ-
რა მაგრად ჩაძინებულ საბრალო შეგიროდს და განშორდა.

წამოსასხამიანი კაცი, რომელიც შეუწყვეტლივ დასდევდა და არ
სცილდებოდა მას, ერთ წამს შეჩერდა ძირს დაგდებული მოსწავლის
წინაშე, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა ეღონა; შემდეგ ღრმად ამოი-
ოხრა, ისიც განშორდა და კაპიტანს დაედევნა.

ჩვენც მათსავით მივატოვოთ ჟეანი, დაე ეძინოს კეთილმოსურნე
ვარსკვლავიანი ღია ცის ქვეშ, და, თუ მკითხველიც ინებებს, ჩვენც
ავედევნოთ მათ.

როდესაც სენტ-ანდრე-დეზარის ქუჩაზე გავიდა, კაპიტანმა ფე-
ბუსმა შეამჩნია, რომ ვიღაც მისდევდა. შემთხვევით უკან მიიხედა
და დაინახა, რომ ეს ვიღაცა ლანდივით კედელ-კედელ მოძვრებოდა.
შეჩერდა, ისიც შეჩერდა; გზა განაგრძო, ლანდმაც განაგრძო გზა.
თუმცა არც თუ ძალიან აწუხებდა ეს. — „მერე რა, უთხრა თავის
თავს, — მე ხომ ერთი სუც არ მაბადია!“

იგი ოტენის კოლეჯის ფასადის წინ გაჩერდა. ეს ის კოლეჯი იყო,
სადაც მკირეოდენი ცოდნის ჩანასახი მიიღო, რასაც იგი სწავლა-გა-
ნათლებას უწოდებდა, და სადაც შარიან მოსწავლეთა შორის დარჩე-
ნილი ჩვეულების თანახმად, ისე ვერასოდეს ვერ ჩაუვლიდა ამ შე-

ნობას. რომ მოღვაწეობის მარჯვნივ აღმართული კარდინალ პიერ ბერტრანის ძეგლისათვის არ მიეყენებინა იმგვარი შეურაცხყოფა, რის გამოც პრიაცი სჩივის პორაციუსის სატირაში: „Olim truncus eram ficulnus“*. კაპიტან ფებუსის ასეთი გულმოდგინების წყალობით წარწერა Eduensis episcopus** თითქმის გადაირეცხა, წაიშალა. ამრიგად, ძეგლის წინ გაჩერდა ჩვეულებისამებრ. ქუჩა სრულიად უკაცრიელი იყო. იმ დროს, როდესაც იგი ცხვირაწეული დაუდევრად იკრავდა თავის ზონარებს, შეამჩნია, რომ ლანდი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა; იმდენად ნელა, რომ ამ ხნის განმავლობაში მოასწრო მისი დათვალიერება: ლანდის წამოსასხამი და ქუდი გააჩნია. მიახლოვებისთანავე ლანდი შეჩერდა და კარდინალ ბერტრანის ძეგლზე უფრო უძრავად გაიყინა. ფებუსს მიაშტერდა გაურკვეველი ცეცხლით ანთებული თვალებით, რომლებიც ისე კიაფობდნენ, როგორც კატის გუგები ღამის სიბნელეში.

კაპიტანი გულადი კაცი იყო და თვით ხმალამოდებული ყაჩაღიც ვერ შეაშინებდა ადვილად. მაგრამ ეს მოძრავი ქანდაკება, ეს გაქვავებული კაცი ძარღვებში სისხლს უყინაედა. ბუნდოვნად გაახსენდა, რომ იმჟამად მთელ მხარეს დადიოდა ხმები პარიზის ქუჩებში ღამ-ღამობით მოწანწალე ბუაზე, ბერ-მოჩვენებაზე. რამდენიმე წამს გაოცებული დარჩა, ბოლოს, სიჩუმე დაარღვია და გაცინება სცადა.

— ბატონო, თუ თქვენ ქურდი ბრძანდებით, როგორც მე კიმედოვნებ, მაშინ ჩემზე იმ ყანჩის შთაბეჭდილებას ახდენთ, კაკლის ხაპუქს რომ ეძგერა. მე ერთი გაპარტახებული ოჯახის შვილი ვარ, ჩემო ძვირფასო. გვერდით მიმართეთ. ამ კოლეჯის სამლოცველოში ვერცხლეულთა შორის არის ხის ჯვარი ქეშმარიტი.

ლანდმა წამოსასხამიდან ხელი გამოყო და არწივის კლანჭებით ღონივრად ჩააფრინდა მკლავში. იმავე დროს ლანდი ალაპარაკდა.

— კაპიტან ფებუს ღე შატოპერ!

— როგორ ეშმაკ! — თქვა ფებუსმა, — თქვენ იცით ჩემი სახელი!

— მე ვიცი არა მარტო თქვენი სახელი, — უთხრა წამოსასხამიანმა კაცმა სამარიდან ამოძახილი ხმით, — თქვენ ამ საღამოს პაემანი გაქვთ დანიშნული.

— დიახ, — უპასუხა გაოცებულმა ფებუსმა.

* „ოდესღაც ლეღვის ღერო ვიყავი“ (ლათ.).

** „ეპისკოპოსის ედუენელი“ (ლათ.), ე. ი. ოტენელი.

- შვიდ საათზე.
- დიახ, თხუთმეტ წუთში.
- ფალურდელთან.
- სრულიად მართალია.
- სენ-მიშელის ხიდის როსკიპთან.
- წმინდა მიქელ მთავარანგელოზთან, როგორც მამაო ჩვენო ამბობს.

— ურწმუნო, უღვთო! — წაიდუღუნა მოჩვენებაჲ. — ქალთან?
 — *Coufiteur**.

— რომელსაც ჰქვია...

— სმერალდა, — თქვა ფებუსმა მკვირცხლად. მას თანდათანობით უბრუნდებოდა მთელი თავისი უზრუნველობა.

ამ სახელის ხსენებაზე ლანდმა კიდევ უფრო გაშმაგებით ჩაასო თავისი ბრჭყალები ფებუსის მკლავს.

— კაპიტან ფებუს დე შატოპერ, შენ ცრუობ!

უთუოდ შიშისგან შეძრწუნდებოდა ის, ვინც ამ წუთს კაპიტანის ანთებულ და ამაყ სახეს შეხედავდა; ფებუსი მკვირცხლად უკან გადახტა, მაგრად ჩაჭერილი მარწუხებისაგან თავი გაითავისუფლა, და ხელი ხმლის ვადაზე იტაცა, მაგრამ პირგამეხებული და განრისხებული ჰაბუკის წინაშე შევწამოსასხამიანი კაცი უძრავად იდგა. ეს სცენა ერთგვარად ჰგავდა ღონ-ქუანის შებრძოლებას კომანდორის ძეგლთან.

— ვფიცავ ქრისტესა და სათაელს! — შეუძახა კაპიტანმა, — ამგვარი სიტყვების მოსმენა იშვიათად უხდებათ შატოპერებს! შენ ველარ გაბედავ მათ გამეორებას.

— შენ ცრუობ! — ცივად მიუგო ლანდმა.

კაპიტანმა კბილები გააქრაქუნა. ბერი-მოჩვენება. ბუა, ლანდი, კრუმორწმუნეობა, იმ წუთს ყველაფერი დაავიწყდა. ის მეტს ვერაფერს ხედავდა, გარდა ადამიანისა და შეურაცხყოფისა.

— აჰ! ასე? ძალიან კარგი! — წაილულულა გაშმაგებისაგან სულშეხუთული და გაგუდული ხმით. იძრო ხმალი და ენის ბორძიკით შეუძახა, რადგან რისხვაც, ისე როგორც შიში, ადამიანს კანკალს აწყებინებს:

— აქეთ! ახლავე! აბა, მოდი! ხმალდახმალი! იძრე დაშნა! სისხლი უნდა ვიხილო ამ ქვაფენილზე!

მაგრამ ლანდი არ დაძრულა. როდესაც დაინახა მეტოქე საბრძოლო მდგომარეობაში ჩადგა და მის ასაჩხხად მზად იყუ, მან მიმართა:

* ვალიარებ (ღიჲთ).

— კაპიტან ფებუს, — და სიმწრისაგან ხმა აუთროლდა, — თქვენ დაგავიწყდათ თქვენი პაემანი.

ფებუსის მსგავსი ადამიანების სიფიცხე რძის შეკვამადს ჰგავს, საკმარისია ერთი წვეთი ცივი წყალი, რომ დუღილი შეწყვიტოს. ამ უბრალო სიტყვებმა კაპიტანს ხელში აელვარებული ხმალი ძირს დააშვებინა.

— კაპიტანო, — განაგრძო კაცმა, — ხვალ, ზეგ, ერთ თვეში, ათ წელიწადში მზად დაგიხვდები გამოგქრათ ყელი. მაგრამ ჯერ პაემანზე წადით.

— მართლაც, — თქვა ფებუსმა, თითქოს ცდილობდა თავის თავი დაერწმუნებინა.

— წარბაცია პაემანზე ამ ორი მომხიბლავი რამის შეხვედრა, დაშნისა და ქალიშვილისა, მაგრამ რატომ უნდა მოვიკლო ერთი სიამოვნება მეორის გამო, როდესაც შემიძლია ორივე მივიღო.

თქვა და ხმალი ქარქაშში ჩაავო.

— გასწიეთ პაემანზე, — გაუმეორა უცნობმა.

— ბატონო, — უპასუხა ცოტა გაცბუნებულმა ფებუსმა, — დიდი მადლობელი ვარ თავაზიანობისათვის. მართლაც, ჩვენ თქვენთან ერთად ხვალაც მოვასწრებთ ჩანახევებისა და კილოების გაჭრას წინაპარ ადამის სამოსელში. მანამდე კი უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, რომ ნება მომეცით და კიდევ მეოთხედი საათი სიამოვნებით გამატარებინეთ. თუმცა იმედი მქონდა, მოვასწრებდი თქვენს სარუე თხრილში დაწვენასაც და თავის დროზე ლამაზ ქალიშვილთან მისვლასაც, მით უმეტეს ამგვარ შემთხვევაში ცოტა რომ აცდევინოთ ქალს, კარგ საქციელადაც კი ითვლება. მაგრამ თქვენ ჩემზე გულადი კაცის შთაბეჭდილება მოახდინეთ, და უფრო მართებული იქნება საქმის სახვალიოდ გადადება. ამრიგად, მე მივდივარ ჩემს პაემანზე. როგორც თქვენც იცით, იგი შვიდი საათისათვის არის დანიშნული.

აქ ფებუსმა ყური მოიფხანა, — აჰ, ეშმაკსაც წაუღია! დამავიწყდა! ერთი სუც არ მაბადია, უბადრუკი სხვენის ქირა გადავიხადო, ბებერი მაქანკალი კი წინასწარ მომთხოვს გადახდას. არ მენდობა.

— აი ამით გადაუხადეთ.

ფებუსმა იგრძნო უცნობის ცივმა ხელმა როგორ ჩაუღო ხელში მსხვილი ფული. მას არ შეეძლო არ აეღო ეს ფული და ხელი არ მოეჭირა ხელზე.

— ღმერთმანი! — შესძახა მან, — თქვენ კარგი ბიჭი ხართ!

— ერთი პირობით, — თქვა იმ კაცმა. — დამიმტკიცეთ, რომ მე

ვცდებოდი და თქვენ მართალს ამბობდით. დამმალეთ რომელიმე კუთხეში, საიდანაც შემძლება დავინახო, ნამდვილად ის ქალია თუ არა, რომლის სახელიც თქვენ ასხენეთ.

— ოჰ, სიამოვნებით! — უპასუხა ფებუსმა. — ეს ჩემთვის სულ ერთია. ჩვენ დავიპიროთ წმინდა მართას ოთახი. თქვენ შესძლებთ გვერდით მდებარე საძაღლე ხუხულიდან უცქიროთ, რამდენიც გნებავთ.

— მაშ წავიდეთ, — უთხრა აჩრდილმა.

— მზად ვარ გემსახუროთ, — მიუგო კაპიტანმა. — მე არ ვიცი, იქნებ თქვენ თვით ბატონი ეშმაკ ბრძანდებით, მაგრამ ამ საღმრთოს ჩვენ მეგობრები ვართ. ხვალ კი თქვენ ვალს, ქისისას და ხმლისას, სულ ერთად გადაგიხდით.

სწრაფი ნაბიჯით გაეშურნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მდინარის ხმაურმა მათ აუწყა, რომ ისინი უკვე იყვნენ სენ-მიშელის ხილზე, რომელიც მაშინ სახლებით იყო დამძიმებული.

— ჯერ თქვენ მიგიყვანთ, — უთხრა ფებუსმა თავის თანაგზავრს. — შემდეგ წავალ ჩემი ლამაზის შესახვედრად, რომელმაც პტი-შატლესთან უნდა დამიციადოს.

თანამგზავრმა არაფერი უპასუხა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიდიოდნენ, სიტყვა არ დასცდენია. ფებუსი დაბალი კარის წინ გაჩერდა და მაგრად დააბრაზუნა. კარის ჭუჭრუტანებში სინათლე გამოჩნდა.

— ვინ არის მანდ? — დაიძახა ვილაცამ ჩიფჩიფით.

— ვფიცავ ღვთის ტანს, ღვთის თავს, ღვთის მუცელს! — უპასუხა კაპიტანმა.

კარი წამსვე გაიღო და ახალმოსულთ თვალწინ წარმოუდგათ ბებერი დედაკაცი და ძველთაძველი სანათი, ამასთან ორივე — ბებერიცა და სანათიც, ცახცახებდა. ბებერი ორად იყო მოხრილი, ძონძები ეცვა, თავი უცანცარებდა, და რალაც ჩვარი წაეკრა ზედ, წვრილი ჭუჭრუტანა თვალები ჰქონდა, სახე. ხელები და კისერი დანაოკებული, ტუჩები ღრძილებს ქვეშ ჩასცივებოდა. პირს ირგვლივ თეთრი ბალანი შემოვლებოდა, სახე კატასავით შექმუხნოდა.

მისი ხულის შინამო მის პატრონზე ნაკლებ როდი იყო წამხდარი და დაზიანებული: ცარციტ შეთხიბნილი კედლები, ჰერში — ჰერატლისაგან გაშავებული კოჭები, დანგრეული ბუხარი, ყველა კუთხეში გაბმული აბლაბუდა; ოთახის შუაგულს ტოკმარიკა მაგიდებისა და კოჭლი სკამების გროვა, ნაცარში მოფუთფუთე ჭუჭყიანი ბავშვი, ხოლო სიღრმეში კიბე, უკეთ რომ ვთქვათ, სხვენზე მიყუდებული ხის ხარისა.

ამ ბუნაგში ფეხის შედგმისთანავე ფეხუსის საიდუმლო თანამგზავრმა წამოსასხამი თვალებამდე აიფარა. ამასობაში კაპიტანმა, რომელიც სარკინოზივით იგინებოდა, „ელვარე ეკიუ შუქზე შეათამაშა“. როგორც ამბობს ჩვენი საკვირველი რენიე.

— წმინდა მართას ოთახი! — უთხრა მან.

დედაბერი მას „ჩემო ბატონოთი“ მიმართავდა. ეკიუ უჯრაში დამალა. ეს ის ფული იყო, შავლაბადაწამოსხმულმა კაცმა ფეხუსს რომ მისცა. როდესაც ბებერი შებრუნდა, თმაგაბურძგნული და ძონძებიანი პატარა ბიჭი, ნაცარში რომ თამაშობდა, სწრაფად და მოხერხებულად მიუახლოვდა უჯრას, ამოიღო იქიდან ეკიუ და მის ადგილას ფიჩხის კონიდან აგლეჯილი ხმელი ფოთოლი დადო.

ბებერმა ორივე ჯენტლმენს, როგორც ის უწოდებდა, ანიშნა გაჰყოლოდნენ, და კიბეზე აუძღვია. ზედა სართულს რომ მიაღწიეს, დედაკაცმა სანათი სკივრზე დადგა. ფეხუსმა, როგორც აქაურობას მიჩვეულმა, და ამ სახლის ხშირმა სტუმარმა, ერთი ბნელი საკუქნაოს კარი გააღო.

— იქ შებრძანდით, ჩემო ძვირფასო! — უთხრა მან თავის თანამგზავრს.

ლაბადაწამოსხმული კაცი უსიტყვოდ დაემორჩილა. კარი მიუხუროეს. მან გაიგონა, როგორ დაკეტა ურდულით ფეხუსმა კარი და როგორ ჩადიოდა კიბეზე დედაბერთან ერთად. სინათლე გაქრა.

VIII

რაოდენ სასარგებლოა, როდესაც სარკმელები გდინარეს გადაჭურვან

კლოდ ფროლო (რადგან ვგულისხმობთ, მკითხველი ფეხუსზე უფრო გონიერია და დიდი ხანია უკვე მიხვდა, რომ მთელ ამ ამბავში ბერი-მოჩვენება არქიდიაკონი იყო), დიახ, ამგვარად, კლოდ ფროლო რამდენიმე წუთს ხელის ცეცებით გაეგნო იმ ბნელ ხულაში, სადაც კაპიტანმა ჩაკეტა. იგი ერთი იმ კუნძულთაგანი იყო, როგორსაც ხუროთმოძღვარნი ზოგჯერ დაატანენ ხოლმე სახურავისა და საყრდენი კედლის შეერთების წერტილში. შვეულჭრილში ეს საძაღლე ხუხულა, როგორც ფეხუსმა მარჯვედ უწოდა, წარმოადგენდა სამკუთხედს. მაგრამ მას არ გააჩნდა არც სარკმელი და არც სამრეცხელი. ხოლო ბურჟლის დახრილი სიბრტყე ხელს უშლიდა წელში გამართულიყო. კლოდი ფეხქვეშ მოხრაშუნე მტვერსა და ნამსხვრევთა შორის ჩაცუცქდა. თავი უხურდა. ირგვლივ ხელები

მოაფათურა, ბანზე მინის ნატეხი იპოვა, შუბლზე მიიღო; მისმა სიგრილემ ცოტა რამ შვება მისცა.

რა ხდებოდა ამ წუთს არქიდიაკონის ბნელ სულში? მხოლოდ მან და ღმერთმა იცოდა.

როგორი საბედისწერო წესით თავსდებოდა მის გონებაში ეს-მერალდა. ფებუსი, უკ შარმოლიუ, საყვარელი ჭაბუკი ძმა, რომელიც ასე უპატრონოდ მიაგდო ტალახში, მისი საარქიდიაკონო ანაფორა, და იქნებ მისი სახელიც კი, ვილაც ფალურდელთან მითრეული, საერთოდ ამ დღის ყველა სურათი, ყველა თავგადასავალი? ვერ გეტყვით, მაგრამ ყველა ეს სახე მის სულში უეჭველად საზარელ ჯგუფად შეერთდა.

მეოთხედ საათს უცადა. ეგონა მთელი საუკუნით დაბერდა. უცბად ხის კიბის საფეხურების კრაქუნთი მოესმა. ვილაც ამოდო-და. სხვენის კარი გაიღო, სინათლე გამოჩნდა. მისი საუკუნაოს კიებისაგან გამოქმულ კარში საკმაოდ ფართო ნაპრალი იყო; სახით ზედ მიეკრა. ამრეგად, მას შეეძლო დაენახა ყველაფერი, რაც მეზობელ ოთახში ხდებოდა. პირველად სხვენზე თავი ამოყო კატისებური სახის დედაბერმა, ხელში სანათი ეჭირა. მას უღვაშე-ბის გრესით ფებუსი მოსდევდა; შემდეგ გამოჩნდა მესამე პირი; ქვემოდან ამომავალი მშვენიერი და მოხდენილი აღნაგობის ესმე-რალდა თვალისმოშპრულ მოჩვენებასავით ხუცესს თვალწინ დაუდგა. კლოდი ათრთოლდა, თვალეზზე ნისლი გადაეფარა. სისხლი აუდუღ-და, ძარღვები მთელი ძალით უფეთქავდა, მის ირგვლივ ყველაფერი გუგუნიბდა და ტრიალებდა. ველარაფერს ხედავდა, აღარაფერი ეს-მოდა.

როცა გონს მოვიდა. ფებუსი და ესმერალდა უკვე მარტონი იყვნენ. ისინი ხის სკივრზე ისხდნენ სანათის გვერდით, რომელსაც შუქი მოეფინა და არქიდიაკონის თვალთა წინაშე წინ წამოეწია მათი ახალგაზრდა ნორჩი სახეები და უბადრუკი საწოლი სხვენის სიღრმეში.

საწოლის გვერდით იყო სარკმელი, რომლის ჩამსხვრეულ მინაში, როგორც წვიმის მიერ გახვრეტილ აბლაბუდაში მოჩანდა ცის ნაგლეჯი და შორს რბილ ფუმფულა ღრუბლებზე დაწოლილი მთვარე.

ახალგაზრდა ქალი გაწითლებული. დარცხვენილი და გატბუნე-ბული ჩანდა. იგი თრთოდა და კანკალებდა. გრძელ დახრილ წამწა-მებს დაეჩრდილა ალისფერი ღაწვები. ოფიცერი, რომლისთვისაც ქალს შეხედვაც კი ვერ შეეებდა, სიხარულით გაბადრულიყო. კოხტა, უხერხული მოძრაობით ქალი სკამზე თითის წვერით გაუ-

გებარ ხაზებს უნებურად ატარებდა. და თან თავის თითზე იყურებოდა. ფეხები არ უჩანდა, პატარა თხა მის ფერხთით დაწოლილიყო.

კაპიტანი კოხტად მორთულიყო. საყელო და სამაჯური ოქრომკედლითა და მაქმანებით ჰქონდა მოქარგული, რაც მაშინ დიდ შნოთა და ლაზათად ითვლებოდა.

მამა კლოდი ძლივს ახერხებდა იმის გაგებას. რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ. იმდენად უბზუოდა ყურები და მძლავრად უფეთქავდა სისხლი საფეთქლებში.

(მიჯნურთა ბაასი საკმაოდ უხამსია. გაუთავებელი „მე თქვენ მიყვარხართ“ გულგრილი მსმენელისათვის ფრიალ მწირი, შიშველი და მეტად უეგმური მუსიკალური ფრაზაა, როცა „კრიმინალუბით“ არ არის შემკული. მაგრამ კლოდი სრულიადაც არ უსმენდა გულგრილად).

— ოჰ! — თქვა თვალბეზარითა ყმაწვილმა ქალმა, — ნუ ამითვალწუნებთ, ჩემო ბატონო ფებუს! ვგრძნობ, რომ ძალიან ცუდად ვიქცევი.

— თქვენ აგითვალწუნოთ, ბავშვო ლამაზო! — უპასუხა ოფიცერმა ქედმაღალი თავაზიანობით და ზრდილობით. — თქვენ აგი-თვალწუნოთ! ღმერთო ჩემო! რაზე? რატომ?

— იმ-ტომ, რომ გამოგყევით.

— ამ საკითხზე. ჩემო მშვენიერო, სხვადასხვა აზრისა ვართ. მე მმართებს თქვენი სიძულვილი და არა ათვალწუნება.

ახალგაზრდა ქალმა შიშით შეხედა.

— ჩემი სიძულვილი? განა რა ჩავიდიხე ისეთი?

— ამდენი რომ მახვეწინეთ.

— ვაი. ჩემო თავო! — თქვა გოგონამ, — მე დავარღვიე აღთქმა. მე ჩემს მშობლებს ვეღარ ვიპოვი. ავგაროზი დაჰკარგავს თავის უმანკობას. — მაგრამ რა ბედენაა? რაში მჭირდება ახლა დედ-მამა?

ამას რომ ამბობდა, გოგონამ თავისი დიდრონი, სიხარულით მოწყლანებულ და ალერსიანი შავი თვალები კაპიტანს მიაპყრო.

— ეშმაკმა წამიღოს, თუ რამე მესმოდეს თქვენი! — წამოიძახა ფებუსმა.

ესმერალდა ერთ წუთს დადუმდა, შემდეგ მის თვალებს ცრემლი მოსწყდა, ბაგეს ოხვრა აღმოხდა და წარმოთქვა:

— ოჰ! ბატონო ჩემო, მე მიყვარხართ!

ახალგაზრდა ქალის ირველივ უმანკობის. სათნოებისა და ღმწიკვლობის ისეთი ეშხი და სურნელება მოეფინა, რომ ფებუსმა

მის გვერდით მთლად ლაღად ვერ იგრძნო თავი. მაგრამ ამ სიტყვებზე გული მოეცა, გათამამდა.

— თქვენ მე გიყვარვართ! — ალტაცებით წარმოთქვა მან და ბოშა გოგონას წელზე ხელი მოჰხვია. ისიც ამ შემთხვევას ელოდა.

მღვდელმა რომ ამას შეხედა, თითის წვერით მკერდში ჩამალული ხანჯლის წვერი მოისინჯა.

— ფებუს, — განაგრძო ბოშა ქალმა და კაპიტნის მაგარი ხელი ქაშირიდან ნელ-ნელა მოიშორა, — თქვენ კარგი ხართ, კეთილი, დიდსულოვანი, ლამაზი. თქვენ გადამარჩინეთ, საბრალო მაწანწალა, დაკარგული ბოშა ქალი. დიდი ხანია ვოცნებობ ოფიცერზე, რომელიც ჩემს სიცოცხლეს იხსნიდა. თქვენზე ვოცნებობდი მანამდისაც, სანამ გაგიცნობდით, ჩემო ფებუს. ჩემს საოცნებოსაც თქვენსავით ასეთი ლამაზი ტანსაცმელი, ასეთივე დიდებული გამომეტყველება, ასეთივე ხმალი აქვს. თქვენ ფებუსი გქვიათ. რა მშვენიერი სახელია! მიყვარს თქვენი სახელი, თქვენი ხმალი, ამოიღეთ ქარქაშიდან თქვენი ხმალი, ფებუს, მინდა შეგხედო.

— ბავშვი ყოფილხართ! — თქვა კაპიტანმა და დაშნა ქარქაშიდან ღიმილით ამოიღო.

ბოშა ქალმა ხმლის კოტასა და პირს შეხედა, მომხიბლავი ცნობისმოყვარეობით გასინჯა ასოხლართული ვადაზე, აკოცა და თქვა:

— შენ ხმლო მამაციასო. მიყვარს ჩემი კაპიტანი.

ფებუსმა ისარგებლა შემთხვევით, რომ მის დაბლა დახრილ მშვენიერ კისერზე კოცნა აღებეჭდა, რამაც ალუბლისფრად გაწითლებული ახალგაზრდა ქალი აიძულა გამართულიყო. მღვდელმა სიბნელეში კბილები გააკრაქუნა.

— ფებუს, — მიმართა ქალმა, — მათქმევეინეთ, რაც სათქმელი მაქვს თქვენთან. ცოტა გაიარ-გამოიარეთ, რომ შეგხედოთ გამართულს მთელი სიმაღლით და თქვენი ღეზების წყარუნი მოვისმინო. რა ლამაზი ხართ!

კაპიტანი მისი გულის მოსაგებად წამოდგა და თვითკმაყოფილი ღიმილით დატუქსა:

— რა ბავშვი კი ხართ! მართლა. მშვენიერო, გინახვართ საზეიმო სამოსელში?

— ვაი რომ არა! — უპასუხა გოგონამ.

— აი ის მართლაც ლამაზია!

ფებუსი ისევ ჩამოჯდა მის გვერდით, მაგრამ ახლა ბეკრად უფრო ახლოს, ვიდრე მანამდე.

— მისმინეთ, ჩემო ძვირფასო...

ბოშა გოგონამ ბავშვური გატაცებით, სიკეკლუციტა და მხიარულებით რამდენჯერმე ნელა დაჰკრა თავისი კოხტა ხელი, ფეხებს ტუჩებზე.

— არა, არა, არ მოვისმენთ. გიყვარვართ? მე მინდა მითხრათ, გიყვარვართ თუ არა.

— მიყვარხარ თუ არა, ჩემი ცხოვრების ანგელოზო?! — წამოიძახა ნახევრად მუხლმოყრილმა კაპიტანმა. — ჩემი სხეული, ჩემი სისხლი, ჩემი სული, — ყველაფერი შენია, ყოველივე შენთვის არის. მე მიყვარხარ და შენს მეტი არასოდეს არავინ მყვარებია.

კაპიტანს ესოდენ ხშირად გაუმეორებია ეს წინადადება მრავალ მსგავს ვითარებაში, რომ სულმოუთქმელად წამოისროლა, ერთი სიტყვაც არ შეცდენია, არაფერი გამორჩენია, არაფერი დაეწყებია. ბოშა ქალმა ეს მხურვალე აღიარება რომ მოისმინა, ანგელოზური ბედნიერებითა და ნეტარებით სავსე მზერა ცის მაგიერ ჭუჭყიან ჰერს მიაპყრო.

— ოჰ, — ჩურჩულით თქვა ქალმა, — აი წუთი, როცა სიკვდილი მმართვეს.

ფეხებსმა კი სწორედ მარჯვე „წუთი“ იბოვა იმისათვის, რომ ხელახლა კოცნა მოეტაცა, რითაც კვლავ ახალი ტანჯვა განაცდენინა თავის კუნძულში საბრალო არქიდაიკონს.

— სიკვდილიო! — წამოიძახა გამიჯნურებულმა კაპიტანმა. — ეს რა თქვით. მშვენიერო ანგელოზო? სწორედ ესლა უნდა ვიცოცხლოთ, ანდა იუპიტერი ერთი ლაზღანდარა ვინმე ყოფილა. სიკვდილი იმ დროს. როცა ასეთი სასიამოვნო ამბავი იწყება! ტარტაროზის რქებსა ვფიცავ; ეს რა ხუმრობაა! — საქმე ეს არ არის! მისმინეთ. ჩემო ძვირფასო სიმილარ... ესმენარდა... უკაცრავად, მაგრამ ისეთი საოცარი სარკინოზული სახელი გაქვთ, რომ ვერაფერი მოვეუხერხე. იგი ხშირ ბუჩქნარსა ჰგავს, რომელშიც მუდამ ვიბნევი და ვბორძიკობ.

— ღმერთო ჩემო, — თქვა საბრალო გოგონამ, — მე კი ლამაზი მეგონა მისი იშვიათობის გამო. მაგრამ თუ არ მოგწონთ, მე მინდა, რომ „გოტონ“* მიწოდოთ.

— აჰ! ნუ ვაწყენინებთ ერთმანეთს ასეთი წვრილმანის გამო. ჩემო კეკლუცო! ეგ სახელია, რომელსაც მიჩვევა უნდა, სულ ეს არის. ზეპირად დავისწავლი და ყველაფერი კარგად იქნება. მაშ, მისმინე. ძვირფასო სიმილარ; მე გაღმერთებთ, თაყვანს გცემთ მთელი განხლებით. მართლაც, საკვირველია, როგორ მიყვარხართ.

* „მარგარიტას“ კნინებითი ფორმა, ხალხში გავრცელებული.

მე ვიცნობ ერთ ქალოშვალს, რომელიც ამის გამო სიშმაგისაგან სკდება...

ექვიანმა გოგონამ შეაწყვეტინა:

— ვინ არის იგი?

— რა ხელი გვაქვს ჩვენ მასთან? — თქვა ფებუსმა. — თქვენ ხომ გიყვარვართ?

— ოჰ!.. — წარმოთქვა ქალიშვილმა.

— პოდა ძალიან კარგი! ეს ყველაფერია. თქვენ დაინახავთ, როგორ მიყვარხართ. დაე იმ აყლაყულა ეშმაკმა ნებტუნმა თავის ფიწალზე ამაგოს, თუ ყველაზე ბედნიერ ქალად არ გაქციო ქვეყნად. სადმე ერთი პატარა ლამაზი ოთახი გვექნება. ჩემს მსროლელებს ზეიმით გავატარებ თქვენი სარკმელების წინ. ყველა ცნენოსანია და კაპიტან მინიონის მსროლელებს ჯიბეში ჩაისვავენ, არად ჩააგდებენ. მათ შორის არიან ოროლიანი შუბოსნები, ბოძალდოსანნი, სიათოსნები. მე თქვენ წაგყვანთ პარიზელთა დიდ დათვლიერებაზე რიულის კალოებთან. იგი მეტად დიადი სანახაობაა. ოთხმოცი ათასი ადამიანი მწყობრში. ოცდაათი ათასი თეთრი თორნი, აბჯარი, ჯავშანი თუ საქურველი; სამოცდაშვიდი ამქრის დროშა; პარლამენტის, საანგარიშო პალატის, ხაზინის, ზარაფხანის ალმები; ერთი სიტყვით, მთელი ეშმაკის ამალა! წაგიყვანთ მეფის კარის ლომების, ამ მტაცებელი ნადირების სანახავდ. ყველა ქალს უყვარს ეს სანახაობანი.

რამდენიმე წუთს ახალგაზრდა ქალი თავის წარმტაც ფიქრებში იყო შთანთქმული, მის ხმას დაებნიდა, დაეთრო; დაებანგა, ამიტომ სიტყვების აზრი არ ესმოდა.

— ოჰ! რა ბედნიერი იქნებით! — განაგრძო კაპიტანმა და იმავე დროს ნელ-ნელა შეხსნა ბოშა ქალს სარტყელი.

— რას შერებით? — სწრაფად წამოიძახა ქალმა. ამ ძალმომრეობითმა მოქმედებამ გოგონა ოცნებიდან გამოარკვია.

— არაფერს, — მიუგო ფებუსმა. — მე მხოლოდ იმას გეუბნებით, რომ უნდა მიატოვოთ ეს გოყურა და ქუჩური მორთულობა, როდესაც ჩემთან იქნებით.

— როდესაც შენთან ვიქნები, ჩემო ფებუს! — თქვა ნაზად ახალგაზრდა ქალმა.

და ისევ დადუმდა, ფიქრებს მისცა თავი.

ქალის თვინიერებამ კაპიტანი წაათამაშა, წელზე ხელი მიჰყო. იგი წინააღმდეგობას არ უწევდა. მაშინ ფებუსმა საცოდავ გოგონას ზედატანის ზონრები ჩუმ-ჩუმად შეუხსნა. ყელსახვევი ისე აურდურია, რომ სულშეხუთულმა მღვდელმა დაინახა, როგორ ამოანათა

მარმაშ-დან ბოშა ქალის მშვენიერმა, მრგვალმა და მოშავგვრემანო მხარმა, ვითარცა ცის ტატნობზე ნისლიდან ამოსულმა მთვარემ.

ახალგაზრდა ქალმა ფებუსი ნებაზე მიუშვა, გვგონებოდათ, ვერაფერს ამჩნევსო. თავხედ კაპიტანს თვალი უბრწყინავდა.

უცბად ქალი მისკენ შებრუნდა.

— ფებუს, — უთხრა მან განუსაზღვრელი სიყვარულის კილოთი, — მასწავლე შენი სარწმუნოება.

— ჩემი სარწმუნოება! — შესძახა კაპიტანმა სიცილ-ხარხარით. — მე გასწავლოთ ჩემი სარწმუნოება! ელვა და მეხიცი დასცემია რად გინდა ჩემი სარწმუნოება?

— რომ ვიქორწინოთ, — მიუგო მან.

კაპიტნის სახეზე განცვიფრების, ზიზღის, უკადრისობის, უზრუნველობისა და ვნებიანი გარყვნილების ნარევი გამოიხატა.

— ერიპა! — თქვა მან, — განა ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ?

ბოშა ქალი გაფითრდა და თავი ნალელიანად დაჰკიდა მკერდზე.

— ჩემო მშვენიერო, — ნაზად განაგრძო ფებუსმა, — ეს რა სიგიჟეა? დიდი რამ კი არის ქორწინება! განა ადამიანებს უფრო ნაკლებ ეყვარებათ ერთმანეთი, თუ ლათინური არ გადმონათხივს თავზე ხუცესის ღუქანში?

ასეთი ტკბილი ხმით რომ ესაუბრებოდა, თან სულ უფრო ახლოს მიიწევდა ბოშა გოგონასაკენ; ნაზსა და მოქნილ წელზე ხელი კვლავ ალერსით მოხვია. თვალები უფრო და უფრო ენთებოდა, ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ ბატონი ფებუსისათვის ამჟამად დადგა ისეთი წუთი, როდესაც თვით იუბიტერიც კი იმდენ სისულელეებს იდენს, რომ კეთილი ჰომეროსი იძულებული ხდება თავის დასახმარებლად ღრუბელს მოუხმოს.

ამ დროს მამა კლოდი ყველაფერს ხედავდა. კარი დამპალი კასრის ტყეჩებისაგან ძლივს ვაი-ვაგლახით იყო შეკოწიწებული. ფართო ღრიჭობსა და ქუჭრუტანებში იგი მტაცებელი ფრინველივით იმზირებოდა. ეს შავგვრემანი და ფართო მხარბეჭიანი მღვდელი, მანამდე მკაცრი მონასტრული უბიწობის აღთქმით დასჯილი, ამ სიყვარულის, ღამისა და ავხორცობის სანახაობის წინაშე კანკალებდა და შფოთავდა. ახალგაზრდა ფიცხი მამაკაცის ხელში ჩაქარდნილი სანახევროდ გახდილი ნორჩი და ღამაზი ქალიშვილი ძარღვებში გამდნარ ტყვიას უსხამდა. იგი უჩვეულო მღელვარებას განიცდიდა. მისი თვალი ავხორცი შურითა და ეჭვიანობით ჩააფრინდებოდა ხოლმე ყველაფერს, რაც კი გამოჩნდებოდა ყოველი ქაჩისთავის ამოღების შემდეგ. ვინც იმ წუთს შეხედავდა

ჭიანჭამ ფიცრებზე მიკრულ უბედურის სახეს, იფიქრებდა, მის წინაშე იყო სახე ჭეფხვისა, რომელიც გალიის სიღრმიდან უცქერს, თუ როგორ სჯიჯგნის ტურა ქურციკს. მისი თვალის გუბები კარის ნაპრალებში სანთლებივით ანათებდა.

ფეხებსმა სწრაფი მოძრაობით უცხად მოაძრო ბოშა ქალს ყელსახვევი. საბრალო გოგონა, რომელიც აქამდე გაფითრებული და ჩაფიქრებული იჯდა, თითქოს უეცრად გაიღვიძაო, მძაფრი მოძრაობით მოშორდა ხელმარჯვე კაპიტანს, მოშივლებულ გულმკერდსა და მხრებზე დაიხედა. სირცხვილისაგან გაწითლებულმა, შემკრთალმა და დამუნჯებულმა, თავისი ლამაზი მკლავები გადააჯვარედინა, რომ ძუძუ-მკერდი დაეფარა. თუ არა მის ლოყებზე აღვზნებული ალი, ასე მდუმარესა და უძრავს რომ შეხედავდით, იტყოდით უბიწოების ქანდაკება არისო. თვალები ძირს ჰქონდა დახრილი.

კაპიტანმა ყელსახვევი რომ მოაძრო, კისერზე დაკიდებული საიდუმლო ავეაროზა შენიშნა.

— რა არის ეს? — ჰკითხა მან და ხელდახელ ისარგებლა ამ საბაბით, რომ კვლავ მიახლოვებოდა შეშინებულ მშვენიერ ქმნილებას.

— ხელი არ ახლოთ! — სწრაფად შეუძახა გოგონამ. — იგი მცველია ჩემი. ის მაპოვნინებს ჩემს ოჯახს, ჩემს მშობლებს, თუკი მე ამის ღირსი დავრჩები. ოჰ! თავი დამანებეთ, ბატონო კაპიტანო! ჩემო დედავ! საბრალო ჩემო დედავ! დედიკო! სადა ხარ? მიმველე! შემიბრალოთ, ბატონო ფეხუს! დამიბრუნეთ ჩემი ყელსახვევი!

ფეხუსმა უკან დაიხია და ცივად უპასუხა:

— ოჰ! ქალიშვილო! ახლა კი კარგად ვხედავ, რომ არ გიყვარვართ!

— მე არ მიყვარხართ?! — შესძახა უბედურმა გოგონამ, იმავე დროს კაპიტანს კისერზე ჩამოეკიდა და გვერდით მოისვა. — მე არ მიყვარხარ, ჩემო ფეხუს?! რას ამბობ ამას? ავო, ბოროტო, ჩემი გულის გასახეთქად! ოჰ! კარგი, აგრე იყოს! შენ ხელთა ვარ, მიიღე ყველაფერი! მიყავი, რაც გინდა! მე შენი ვარ! რას ვაქნევ ავეაროზსა და თილისმას! ვინ არის ჩემთვის დედა! შენ ხარ დედაჩემი, იმიტომ რომ მიყვარხარ! ფეხუს, ჩემო საყვარელო ფეხუს, მიყურებ? შემომხედე, მე ვარ. მე ვარ ის პატარა, რომლის ხელისკვრას, მოცილებას შენ არ ისურვებ, რომელიც თვითონ მოვიდა, თვითონ დაგეძებს. ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სხეული, ჩემი პიროვნება. ყველაფერი თქვენი, თქვენ გეკუთვნით, ჩემო კაპიტანო. ჰო, ასე იყოს, ნუ, ნუ ვიქორწინებთ, თუკი შენ არ გეხიამოვნება.

ბოლოს. ვინა ვარ მე? ერთი საბრალო ქუჩის მწანწალა გოგო, შენ კი ჩემო ფებუსი. კეოლშობილი. ქეშმარიტად, კარგი რამ კი არის! ქუჩაში მოცეკვავე ქალი ოფიცერზე იწერდეს ჯვარს! გავგიყდი, ჭკუაზე შევიწაღე! არა, ფებუს, არა, მე ვიქნები შენი საყვარელი, შენი ხასა. შენი სათამაშო, შენი გასართობი, მამებელი, როცა კი ამას ისურვებ; ქალი. რომელიც მთლიანად შენი იქნება. სხვა რის მქენისი ვარ, რისთვის გავჩენილვარ ქვეყნად. დე წავიბილწო, მომეცხოს ჩირქი, თავი მომეჭრას, დაე ვიყო შერცხვენილი, დამდაბლებული. აბუჩად აგდებულა, რას ვნაღვლობ ამას, ოღონდ გიყვარდე! ყველაზე ამაყი. თავმოშონე და მხიარული ქალი ვიქნები. ხოლო როდესაც დავებრდები, დავუშნოვდები, ფებუს, როდესაც თქვენი სიყვარულის ღირსი აღარ ვიქნები, ჩემო უფალო, ნება მომეცით, გემსახუროთ. დაე სხვებმა ბანდი მოგიქარგონ, მე კი თქვენი მონამოახლე ვიზრუნებ მათზე. ნება მომეცით ვაპრიალო თქვენი დეზეზი. ჯაგრისით ვწმინდო თქვენი ტანსაცმელი, მტვერი მოვაცილო თქვენს მხედრულ წაღებს. არა? ასე არ არის, ჩემო ფებუს, განა ასეთ თანაგრძობაზე უარს მეტყვით? მანამდე კი წამიყვანე! ავერა. ფებუს შენს ხელთა ვარ, მთლიანად შენ გეკუთვნი, ოღონდ გიყვარდე. ჩვენ, ბოშა ქალებს მხოლოდ ორი რამ გვინდა: პაერი და სიყვარული.

ამას რომ ამბობდა, თან ოფიცერს კისერზე ხელებს ხვევდა, ქვემოდან ვედრებით შეჰყურებდა და თვალცრემლიანი მომხიბლავად უღიმოდა; მისი ნაზი და სათუთი მკერდი მაუდის ქურთუკსა და მაგარ ნაქარგობას ეხახუნებოდა. მისი ნახევრად გაშიშვლებული ლამაზი სხეული ვაჟის მუხლებზე იგრიხებოდა. დამთვრალგაბრუებულმა კაპიტანმა მხურვალე ტუჩები ქალის ლამაზ მოშავვგრემანო მხრებს დააწება. უკან გადაწოლილი ახალგაზრდა ქალი თვალებს ქერში აცეცებდა და ამ გახელებულ კოცნათა გამო თრთოდა და კანკალებდა.

უცბად ფებუსის თავს მაღლა დაინახა მეორე თავი, მკედრისფერი, მწვანე და კრუნჩხვიანი სახე, შეჩვენებული ჯოჯოხეთური თვალეები, ამ სახის გვერდით ხანჯალმოდერებული ხელი. ეს მღვდლის სახე და ხელი იყო. მას კარი გამოემტვრია და თავს დასდგომოდა. ფებუსს არ შეეძლო დაენახა. ახალგაზრდა ქალი უძრავად გაიყინა, გაშეშდა, და დამუნჯდა საზარელი მოჩვენების წინაშე, ვითარცა მტრედი. რომელმაც თავი სწორედ იმ წუთს წამოსწია, როდესაც მის ბუდეში თავისი მრგვალი თვალეებით ყურბმა ჩაიხედა.

კვილის თავიკ აღარ ჰქონდა. დაინახა მხოლოდ, როგორ დაეშვა ხანჯალი ფებუსის თავზე და კვლავ აღიმართა ომხიერიანი.

— წყევლა და კრულვა! — თქვა კაპიტანმა და დაეცა.

ქალს გული წაუვიდა.

იმ წუთს, როდესაც თვალები დახუჭა და ყოველგვარ გრძნობას ჰკარგავდა, მან ბუნდოვნად იგრძნო, რომ მის ტუჩებზე აღიბეჭდა ცეცხლოვანი შეხება, ჯალათის გავარეარებულ რკინაზე უფრო მწველი კოცნა.

როცა გონს მოვიდა, გარს ღამის მზვერაფი ჯარისკაცები ეხვია. თავისავე სისხლში განბანილი კაპიტანი საითღაც მიჰყავდათ, მღვდელი გამჭრალიყო, ოთახის სიღრმეში სარკმელი, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა, მთლიანად გადაებული იყო. იატაკიდან წამოსასხამი აიღეს, იფიქრეს ოფიცრისა იქნებოდაო. ქალმა გაიგონა, როგორ თქვეს მის ირგვლივ:

— ამ ჯადოქარმა განგმირა კაპიტანი.

ნ Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ

კერვე



I
სხელ ფოთლად ჰცეული ვაიუ

რენგუარი და მთელი სასწაულებათა ეზო მომაკვდინებელ მოუსვენრობასა და განგაშს განიცდიდა. უკვე მთელი თვეა არავინ იცოდა, რა მოუვიდა ესმერალდას, რამაც ძალიან დააღონა ჰერცოგი მეგვიბტელი და მისი მანანწალა მეგობრები. არც ის იცოდნენ თხა მაინც სად გაჰქრა. ამან უფრო გაუორმაგა სევდა და მწუხარება გრენგუარს. ერთ საღამოს გაქრა ბოშა გოგონა და მას მერე ნიშან-კვალიც აღარ ჩანდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ყოველი ძებნა ამაო და უსარგებლო გამოდგა. რამდენიმე შარიანმა პნელიანმა გრენგუარს უთხრა, რომ იმ საღამოს სენ-მიშელის ზიდის ახლოს შემოხვდათ ერთ ოფიცერთან მიმავალი. მაგრამ ეს ბოშათა წესით დაქორწინებული ქმა-

რ: ურწმუნო ფილოსოფოსი იყო. და ამასთან ყველაზე უკეთესად იცოდა, თუ რაოდენ უმანყო იყო მისი ცოლი. საკუთარი გამოცდილებით შეეძლო ემსჯელა იმ დაუძლეველ უბიწოებასა და მორცხვობაზე, რაც თაღისმისა და ბოშაქალის ამ ორმაგი სათნოების შეხამებიდან წარმოდგებოდა. მან მათემატიკურად გამოიანგარიშა ამ მეორე ხარისხში აყვანილი ზნეობრივი სიწმინდის წინააღმდეგობის ძალა. ასე რომ ამ მხრივ ის დამშვიდებული იყო.

ამრიგად, ვერაფრით აეხსნა ესმერალდას გაქრობა. ეს გარემოება ძალიან აღონებდა მას. კიდევაც გახდებოდა, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო. მან ყველაფერი მიატოვა, მიივიწყა, ლიტერატურული სახალისონიც კი, თვით თავისი დიდი ნაშრომი: „De figuris regularibus et irregularibus“, რომლის დაბეჭდვასაც იმედოვნებდა, როგორც კი ფულს ჩაიგდებდა ხელში (რადგან იგი სულ წიგნის ბეჭდვაზე ბოდავდა მას მერე, რაც ჰუგო და სენ-ვიქტორის ვინდელენ სპირელის სახელგანთქმული შრიფტით დაბეჭდილი „Didascalon“ ** ნახა).

ერთ დღეს დაღონებულმა სისხლის სამართლის კოშკის წინ ჩაიარა. მართლმსაჯულების სასახლის ერთ-ერთ კართან მოგროვილი ხალხი შენიშნა.

— რა მოხდა? — ჰკითხა იქიდან გამოსულ ერთ ყმაწვილ კაცს.

— არ ვიცი, ბატონო, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა. — ლაპარაკობენ, ვიღაც ქალს ასამართლებენ, რომელსაც ერთი სამხედრო პირი მოუკლავსო. როგორც ჩანს, ამ საქმეში ჯადოქრობაც ურევია, ამის გამო ეპისკოპოსი და სასულიერო სასამართლოა ჩარეული, ჩემი ძმაც, არქიდიაკონი ჟოზასელი, მთელ თავის დღეებს იქ ატარებს. მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ მანამდე ვერ მივალწივ, იმდენი ხალხია. ძალიან მწყინს, რადგან ფული მჭირდება.

— ვაგლახ! — თქვა გრენგუარმა, — სიამოვნებით გასესხებდით, ბატონო, მაგრამ ჩემი შარვლის ჯიბეები თუ გახვრეტილია, სულაც არა იმის გამო, რომ ეკიუ ამძიმებს.

გრენგუარმა ვერ გაუბედა ახალგაზრდა კაცისათვის ეთქვა, რომ იცნობდა მის ძმას არქიდიაკონს. რომელთანაც ეკლესიაში შეხვედრის შემდეგ აღარ მისულა და ამიტომ ამ დაუდევრობის გამო ვერადებოდა.

მოსწავლე თავისი გზით წავიდა, გრენგუარი კი გაჰყვა ხალხს, რომელიც კიბით დიდ ოთახში აღიოდა. ის ფიქრობდა, ნაღველს

* „წესიერი და არაწესიერი ფიგურების შესახებ“ (ლათ.).

** მოძღვრება.

ისე არაფერი აქარავებს, როგორც სისხლის სასამართლოს პროცესი, იმდენად სასაცილოა ჩვეულებრივად მოსამართლეთა სირევგენე და სისულელეო. ხალხი, რომელსაც იგი შეერია, მიუხედავად მხლამოხლისა, წყნარად მიიწევდა წინ გაჩუმებული. ამ გრძელი და ბნელი ტალანის წელი და მოსაბეზრებელი ტყეანის შემდეგ, ტალანისა, რომელიც ისე იყო დაკლავნილი და დახვეული როგორც ამ ძველი შენობის საკმლის მომწელებელი არხი, როგორც ნაწლავების ღრუ, მან მიაღწია დარბაზში შემავალ ერთ დაბალ კარს, რაც მას შეეძლო შეემჩნია აჩოჩქოლებული ბრბოს თავებს აცილებული თავისი სიმაღლის წყალობით.

დარბაზი განიერი და ბნელი იყო, რის გამოც კიდევ უფრო ფართო ჩანდა. დღე უკვე იწურებოდა. მაღალი ისრული სარკმელები მხოლოდ მკრთალ სხივებს უშვებდნენ, დღის შუქი მანამდე ქრებოდა, სანამ თაღს მიაღწევდა. თალი ათასნაირი სახეებით მოჩუქურთმებული კოჭების ცხაურისაგან შედგებოდა. კაცს ეგონებოდა ეს სახეები სიბნელეში ბუნდოვნად ირხეოდნენ. მაგიდეებზე აქა-იქ უკვე აენთოთ რამდენიმე სანთელი, რომლებიც მდივანთა ქაღალდებისაკენ დახრილ თავებს ანათებდნენ. დარბაზის წინა მხარე ხალხს ეკირა. მარჯვნივ და მარცხნივ მაგიდებს მსაჯულები, სასამართლოს მოხელეები უსხდნენ; სიღრმეში, შემადლებულ ადგილზე უამრავი მოსამართლენი. მათი უკანასკნელი მწკრივები სიბნელეში იკარგებოდა. უძრავი და ავებდითი პირქუში სახეები ჰქონდათ. კედლებზე შროშანას ურიცხვი ყვავილი იყო დახატული. მოსამართლეთა თავებს მაღლა ბუნდოვნად გაირჩეოდა დიდი ჯვარცმა, ხოლო მთელ დარბაზში ყველგან შუბები, აფთები, შუბნაჯანები, რომელთა წვერებზე სანთლების შუქი ცეცხლის წერტილებივით კიაფობდა.

— ბატონო, — ჰკითხა ერთ-ერთ თავის მეზობლად მდგომს გრენგუარმა, — ვინ არიან ის ვაჟბატონები, იქ რომ ჩამწკრივებულან საეკლესიო კრებაზე გამოქვიშულ პრელატებივით?

— ბატონო, — უპასუხა მეზობელმა, — მარჯვნივ არიან სასამართლო პალატის. დიდი პალატის მრჩეველნი, მარცხნივ — საგამომძიებლო ნაწილის მრჩეველნი. დაბალი მოხელენი შავ კაბებში არიან გამოწყობილნი, დიდმოხელეებს წითელი კაბები აცვიათ.

— ის ვინლა არის, — განაგრძო კითხვა გრენგუარმა, — სულ ზემოთ, წითელი სქელი კაცი, ოფლში რომ იწურება?

— იგი თვით ბატონი თავმჯდომარეა.

— მის უკან რომ ცხვრები არიან? — განაგრძო გრენგუარმა, რომელსაც როგორც უკვე ვთქვით. მოსამართლეთა წოდება არ უყვარდა. შესაძლებელია იმ გაბოროტების გამო, რომელიც გულ-

ში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი მართლმსაჯულების სასახლის მონათ მას შემდეგ, რაც დრამატურგიულ ასპარეზზე მარცხი განიცადა.

— ესენი კი მეფის პალატის მომხსენებლები არიან.

— მის წინ, აი ის ტახტი?

— იგი სამეფო სასამართლოს ბატონი მეოქმეა.

— მარჯვნივ, აი ის ნიანგი?

— მეტრ ფილიპ ლელიე, მეფის საგანგებო ადვოკატია.

— მარცხნივ, აი ის მსუქანი შავი კატა?

— მეტრ ჟაკ შარმოლიუ, საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორი, და ამ სასამართლოს ბატონი წევრები.

— და კიდევ ერთი საკითხი, ბატონო, — უთხრა გრენგუარმა. რას აკეთებს აქ ყველა ეს პატივცემული ადამიანი?

— ასამართლებენ.

— ვის ასამართლებენ? ბრალდებულს ვერ ვხედავ.

— ქალია, ბატონო, ვერც დაინახავთ. ზურგშექცეული ზის და ხალხი ფარავს. შეხედეთ, იგი იქ არის, სადაც შუბნაჯახანთა ჯგუფს ხედავთ.

— ვინ არის ის ქალი? — ჰკითხა გრენგუარმა. — იცით მისი სახელი?

— არა ბატონო. ახლახან მოვედი. ოღონდ ვარაუდით ვფიქრობ საქმე ჯადოქრობას უნდა ეხებოდეს, რადგან პროცესს ესწრებიან სასულიერო სასამართლოს წევრები.

— ამრიგად, — თქვა ჩვენმა ფილოსოფოსმა, — ახლა ვნახავთ, ყველა ეს მანტიებში გამოწყობილი ხალხი როგორ მიირთმევს ადამიანის ხორცს. ეს სხვაზე ნაკლები სანახაობა როდია.

— ბატონო, — შენიშნა მეზობელმა, — როგორ გგონიათ, განა მეტრ ჟაკ შარმოლიუს ფრიად თვინიერი გამომეტყველება არა აქვს?

— ჰმ! — მიუგო გრენგუარმა. — მე არ ვენდობი ისეთ თვინიერებას, ნესტოები რომ ჩაზნექილი აქვს და ტუჩები თხელი.

აქ მეზობლებმა გააჩუმეს ეს ჩვენი ორი მოსაუბრე. საყურადღებო ჩვენებას ისმენდნენ.

— ჩემო უფალნო, — ლაპარაკობდა დარბაზის შუაში მდგომი დედაბერი, რომელსაც სახე ისე ჰქონდა ჩამალული ტანსაცმელში, რომ ძონძების მოსიარულე გროვა გეგონებოდათ, — ჩემო უფალნო, ეს ამბავი, რასაც მე მოგახსენებთ, ისევე მართალია, როგორც მართალია ის, რომ მე ფალურდელი ვარ და ორმოცი წელიწადია ვცხოვრობ სენ-მიშელის ხილზე, მღებავ ტანსენ-კაიარის სახლის პირდაპირ, რომელიც მდინარის აღმა მიმართულებით დგას.

ზუ:ტად ვიხდი რენტას. ბაჟს, ხარკსა და ღაღას. ახლა ერთი საცო-
 დავი ბებრუნუნა ვარ, ოდესღაც ლამაზი ქალი ვიყავი. ჩემო ბატონ-
 ნებო! — კარგა ხანია მეუბნებოდნენ: „ფალურდელ, საღამოობით
 ასე გვიანობაზე ნუ ართავთ მაგ თქვენს ჯარაზე. თორემ ეშმაკს
 უყვარს თავისი რქებით ბებერი დედაკაცების ფთილებიან ჩეჩვარო.
 დარწმუნებით ამბობენ, რომ ბუა, ბერი-მოჩვენება, რომელიც
 შარშან ტამბლის მხარეს გამოჩნდა, ახლა ძველ ქალაქში, სიტეში
 დარწმინა. უფროზილდი, ფალურდელ, კარებზე არ მოგიკაქუნოსო. —
 და აი ერთ საღამოს ჯარაზე ვართავდი, კარზე დააკაქუნეს. ვე-
 კ-ოთხება: ვინ ხარ? იგ-ნებიან. კარი გავაღე. ორი ადამიანი
 წამოვიდა: ერთი შავი კაცი, მეორე ლამაზი ოფიცერი. შავ კაცს
 მჩლიდ თვალები, ორი გავარვარებული ნაკვერჩხალი უჩანდა.
 თავიდან ფეხებამდე წამოსასხამი ფარავდა. ქუდი ჩამოუფხატა.
 მოხარეს: წმინდა მართას ოთახიო. ეს ჩემი ზემო ოთახია, ბატონ-
 ნებო. ყველაზე სუფთა. ეკიუ მომცეს. ეკიუ უჯრაში დავმაღე და
 გუნებაში ვიფიქრე: ხვალ ამით შიგნეულობას, კუჭ-მაჭს ვიყიდი
 გლორიეტის სასაკლაოზე-მეთქი. — მაღლა ავედი. როცა ზემო
 ოთახს მივადწიეთ, შევბრუნდი თუ არა ზურგით, შავი კაცი გაქრა.
 ანა ცოტა არ იყოს გამაოცა. ლამაზი ოფიცერი კი, რომელიც
 წარჩინებული ბატონი ჩანდა, ჩემთან ერთად ისევ ქვემოთ ჩამო-
 ვიდა. გავიდა. სანამ მეოთხედ შულოს დავართავდი, ვხედავ
 უკანვე მობრუნდა, თან ახალგაზრდა ლამაზი გოგო მოიყოლა,
 დედოფალასავით ლამაზი, მზესავით იელვარებდა, დედაცხნილ-
 დახურული რომ ყოფილიყო. ქალს თხა ჰყავდა თან, ვეებერთელა
 ვაცი, არ ვიცი, შავი თუ თეთრი. ამან კი შემაფიქრინა. ქალი?
 ქალს რას დავეძებ. რა ჩემი საქმეა, თხა კი სულ სხვაა! არ მიყვარს
 ეს ცხოველი წვერებისა და რქების გამო. მამაკაცსა ჰგავს. გარდა
 ამისა, რაღაც კუდიანობის სუნი უდის. მაგრამ კრინტი არ დამიძ-
 რავს. ეკიუ ხომ მივიღე. ხომ სწორეს ვამბობ, ბატონო მოსა-
 მართლე? ქალიშვილი და კაპიტანი ზემო ოთახში ავიყვანე და
 მარტონი, ესე იგი, თხასთან ერთად დაეტოვე. ძირს ჩამოვედი და
 ისევ რთვა განვაგრძე. — უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს სახლს
 ზეძირკველი და პირველი სართული აქვს, უკანა მხრიდან მდინა-
 რეს გადაჰყურებს, როგორც ხიდზე აშენებული ყველა სახლი,
 როგორც ზეძირკველის ისე პირველი სართულის სარკმელები
 წყლისკენ იღება. პოდა, ვზივარ და ჩემთვის ვართავ. არ ვიცი
 რატომ, ვფიქრობ ბერ-მოჩვენებაზე, ვინ იცის, იქნებ თხამაც კი
 გამახსენა, გარდა ამისა, ლამაზი ასულიც, ცოტა არ იყოს, უცნა-
 ურად იყო მორთული. უცბად ზემოდან ყვირილი მომესმა, სხვენზე

რალაცა დავარდა, ბრავგვანი მოადინა, და სარკმელიც გაიღო. ქვემო სართულში ჩემს ფანჯარასთან მივირბინე, შევხედე, ჩემს თვალწინ შავმა რალაცამ ჩაიქროლა და წყალში ტყუპანი მოადინა. ანაფორიანი მღვდლის ლანდი შევნიშნე. მთვარე ანათებდა და კარგად დავინახე. სიტეს მხარეს გასცურა. მაშინ, მთლად აკანკალებულმა, გუშაგებს მოვუხმე. ბატონი მზირნი შემოვიდნენ. პირველ ხანებში რომ ვერ გაიგეს რა მოხდა, ქეიფად იყვნენ, ჯერ მე მითაქეს. მე აეუხსენი მათ. მაღლა ავედიტ და რა ენახეთ? საბრალო ჩემი ოთახი მთლად სისხლით იყო მორწყული, კაპიტანი ძირს გაშხლართულიყო, კისერში ხანჯალი ჰქონდა გაყრილი, ქალს თავი მოემკვდარუნებინა. დამფრთხალი თხა აქეთ-იქით აწყდებოდა. — კარგი რამ კი არის, — ვუთხარი ჩემს თავს, — ერთი ორი კვირა მაინც დამპირდება იატაკის წმენდა და ფხეკა, აი საშინელებაც ეს არის! — ოფიცერი წაიყვანეს, საბრალო ჭაბუკი! ქალიც ზედ მიაყოლეს, ტანსაცმელი არეულ-დარეული ჰქონდა. მომითმინეთ, უარესი ჯერ კიდევ არ მითქვამს. მეორე დღეს შიგნეულობის საყიდლად მიწოდდა ეკიუ ამომელო, მაგრამ რას ვხედავ. მის მაგიერ ხმელი ფოთოლი დამიხვდა.

ბებერი გაჩუმდა. შიშის ძრწოლამა და ჩურჩულმა დაუარა მსმენელებს.

— ეს მოჩვენებაო, ეს თხაო, ყოველივე ამას ჯადოსნობის სუნი უდის. — თქვა გრენგუარის ერთ-ერთმა მეზობელმა.

— ეს ხმელი ფოთოლიო! — დაურთო მეორემ.

— ექვი არ არის, — თქვა მესამემ, — ამ ჯადოქალმა პირი შეკრა ბერ-მოჩვენებასთან, რათა ოფიცრები გაძარცვონ.

თვით გრენგუარიც მზად იყო მთელი ეს საშინელი ამბავი სი-მართლისმაგვარად მიეჩნია.

— ქალო ფალურდელო, — მედიდურად მიმართა თავმჯდომარემ, — აღარაფერი გაქვთ მართლმსაჯულებისათვის მოსახსენებელი?

— არა, უფალო ჩემო, — უპასუხა ბებერმა ქალმა, — გარდა იმისა, რომ მოხსენებაში ჩემი სახლი მოღრეცილ მყრალ ქონხად არის მოხსენებული, ეს მეტისმეტად შეურაცხყოფელია. რაც კი ხილზე სახლებია, არც ერთი არ გახლავთ მაინცდამაინც დიდი შესახედლობისა, რადგან ხალხით არის გაქედილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ ცხოვრობენ ყასბები, რომლებიც მდიდარი ხალხია; მათი ცოლები ლამაზი და სისუფთავის მოყვარული ქალები არიან.

სასამართლოს მოხელე, რომელმაც გრენგუარზე ნიანგის შთაბეჭდილება მოახდინა, წამოდგა.

— სიწყნარე! — თქვა მან. — ბატონ მოსამართლეებს ვთხოვთ,

მხედველობიდან არ გამოტოვონ ის გარემოება, რომ ბრალდებულს აღმოაჩნდა ხანჯალი. — ქალო ფალურდელი, მოიტანეთ ის ხმელი ფოთოლი, რადაც ეშმაკის მიერ მოცემული ეკიუ იქცა?

— დიახ, ჩემო ბატონო, — თქა მან, — მოვნახე, აი ისიც.

სასამართლოს ბოქაულმა გამხმარი ფოთოლი მიაწოდა ნიანგს, რომელმაც კუშტად გააქნია თავი და თავმჯდომარეს გადასცა; ამან თავის მხრივ საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორს გადაუგზავნა. ამრიგად ფოთოლმა მთელი დარბაზი შემოიარა.

— ეს არყის ხის ფოთოლია, — თქვა მეტრ ეაკ შარპოლიუმ. ესეც ახალი საბუთი ჯადოქრობისა.

ერთ-ერთმა მრჩეველმა სიტყვა აიღო.

— მოწმევ, ორი მამაკაცი ამოვიდა თქვენთან ერთსა და იმავე დროს: შავი კაცი, რომელიც ჯერ გაქრა თქვენ ტვალწინ და მერე მღვდლის ტანსაცმლით სენა გადაცურა, და ოფიცერი. ამ ორიდან რომელმა მოგცათ ეკიუ?

დედაბერი ერთი წამით ჩაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ოფიცერმა.

ხალხი აჩოჩქოლდა, აგუგუნდა.

— აჰ! — გაიფიქრა გრენგუარმა, — ეს გარემოება სრულიად არყევს ჩემს შეხედულებასა და რწმენას ამ საქმეზე.

მაგრამ აქ საქმეში ხელახლა ჩაერია მეტრ ფილიპ ლელიე, მეფის საგანგებო ადვოკატი.

— ბატონ მოსამართლეებს მოვგაგონებ, სასიკვდილოდ დაჭრილი ოფიცრის სასთუმალთან ჩაწერილ ჩვენებაში განცხადებულია: იმ წუთს, როდესაც მასთან შავითმოსილი კაცი მივიდა, თავში ბუნდოვანმა აზრმა გაუელვა, ხომ არ იყო იგი ბერი-მოჩვენება. ამასთან დასძინა, რომ ლანდი თავგამოდებით აქეზებდა კავშირი დაეჭირა ბრალდებულთან, და მის, კაპიტნის შენიშვნაზე, რომ ფული არ ჰქონდა, მან, მოჩვენებამ მისცა ეკიუ, რომელიც შემოხსენებულმა ოფიცერმა ფალურდელს გადაუხადა. მაშასადამე, ეგ ეკიუ ჯოჯოხეთის ფულია.

ამ დასაბუთებულმა შენიშვნამ, როგორც ჩანს, გაფანტა გრენგუარისა და სხვა მსმენელ სკეპტიკოსთა ყოველგვარი ეჭვი.

— ბატონებო, თქვენ ხელთ არის თავმოყრილი ყველა საბუთი, — დასძინა მეფის ადვოკატმა და დაჯდა, — შეგიძლიათ განსაჯოთ ფეხუს დე შატოპერის ნათქვამი.

ამ სახელის გაგონებაზე ბრალდებული წამოდგა. თავი მისი ხალხს ასცდა და გამოჩნდა. შეშინებულმა გრენგუარმა იცნო ესმერალდა.

იგი ფერმკრთალი იყო. ოდესღაც კოხტად დაწნული და ოქროსფრად მოლივლივე თმები უწესრიგოდ ჩამოშლოდა. ტუჩები გალურჯებოდა. ჩაყარდნილი თვალები შიშს აღძრავდა. ვაგლახ!

— ფებუს! — დაბნეულად წარმოთქვა ქალმა. — სად არის იგი? ო, ბატონებო! სანამ მომკლავდეთ, მოიღეთ მოწყალება, მითხარით, თუ არის ისევ ცოცხალი?

— გაჩუმი, ქალო! — უთხრა თავმჯდომარემ. — ეს ჩვენი საქმე არ არის.

— ოჰ, შემობრალეთ, მიპასუხეთ, ცოცხალი არის თუ არა? — კვლავ დაიწყო ლაპარაკი ქალმა და ლამაზი, გამბდარი ხელები გადააჯვარედინა. გაისმა კაბაზე ჩატურებული ხელობრიკილების ჩხრიალი.

— აბა, კარგი! — მიუგო ცივად მეფის ადვოკატმა, — იგი კვდება. დაკმაყოფილდით?

უბედური საბრალმდებლო სკამზე უხმოდ, უცრემლოდ დაეცა. თეთრი ცვილის ქანდაკებას ჰგავდა.

თავმჯდომარე მის ფეხებთან მჯდომ კაცი საკენ დაიხარა. ამ კაცს ოქროქარგული ქუდი ეხურა, შავი კაბა ეცვა, ყელზე ჯაჭვი ეკიდა და ხელში კვერთხი ეჭირა.

— ბოქაულო, შემოიყვანეთ მეორე ბრალდებული.

ყველამ თვალები მიაპყრო პატარა კარს, რომელიც გაიღო და შემოუშვეს ოქროთი რქებ-და ფეხებდაფერილი ლამაზი თხა. გრენგუარს ძლიერი გულისცემა აუვარდა. მოხდენილი ცხოველი ერთ წუთს ზღურბლზე შეჩერდა, კისერი წასწია, თითქოს კლდის პირას დგას და თვალთა წინაშე გადაშლილ უსახდგრო ჰორიზონტს გაჰყურებსო. უცბად ბოშა ქალი შეამჩნია, მაგიდასა და მდივანს თავზე გადაახტა და ორი ნავარდით მის მუხლებთან გაჩნდა. მერე თავისი ქალბატონის ფერხთით კოხტად მოიკეცა, თითქოს სიტყვასა და ალერსს სთხოვდა. მაგრამ ბრალდებული უძრავად დაშთა და საბრალო ჯალის შეხედვაც კი არ აღირსა.

— ეს ხომ ის საზიზღარი ცხოველია, — თქვა ბებერმა ფალურდელმა, — ორივეს მშვენივრად ვიცნობ!

ჟაკ შარმოლიუ ჩაერია.

— თუ ბატონ მოსამართლეებს ნებავთ, ჩვენ შევუდგებით თხის დაკითხვას.

მართლაც თხა მეორე ბრალდებულად იყო წარმოდგენილი.

იმ დროს იშვიათი როდი იყო ცხოველთა ჯადოსნობის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრა. 1466 წლის სასამართლო ანგარიშებში სხვა საქმეებთან ერთად გვხვდება „ბოროტმოქმედებათა გამო

სიკვდილით დასჯილ“ კორბეიელი ყილე-სულარისა და მისი ღორის სასამართლო პროცესის ხარჯთა საინტერესო წერილმანები. იქ ჩამოთვლილია ყველაფერი: ნეზვის, დედალი ღორის დასამარხად ორმოს გათხრაზე გაწეული დანახარჯი, მორსანის ნავსადგურში აღებული ფიჩხის ხუთასი გუდურა, სამი ტოლჩა ღვინო და პური, მსჯავრდადებულის უკანასკნელი ვახშამი, რომელიც ჯალათმა ძმურად გაუყო. თვით ღორის შენახვისა და კვების საღირალიც კი თერთმეტი დღის განმავლობაში დღეში რვა პარიზული დინარა. ზოგჯერ მართლმსაჯულება კიდევ უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ცხოველთა გასამართლებაში. ასე, მაგალითად, კარლოს დიდისა და ლუი ღვთისნიერის კაპიტულარიებით მძიმე სასჯელი ედებოდათ, თუ ჰაერში ანთებული მოჩვენება გამოჩნდებოდა.

ამასობაში საეკლესიო სასამართლოს პროკურორმა წამოიძახა:

— თუ ეშმა, რომელიც ამ თხას დაუფლებია და ყოველგვარ შელოცვას ეურჩება, კვლავაც აიხირებს თავის ჯადოსნობასა და წახდენას, სასამართლოს დაშინებას, მაშინ ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ იძულებული გავხდებით მოვითხოვოთ მისი ჩამოხრჩობა ან კოცონზე დაწვა.

გრენგუარს ცივმა ოფლმა დაასხა. შარმოლიუმ მაგიდიდან ბოშა ქალის დაირა აიღო, გარკვეული ხერხით თხას გაუწოდა და ჰკითხა:

— რომელი საათია?

თხამ ჰკვიანი თვლებით შეხედა, ოქროფერილი ფეხი ასწია და შვიდჯერ დააკაუნა. მართლაც შვიდი საათი იყო. ხალხს შიშისაგან გააყრყოლა.

გრენგუარმა თავი ველარ შეიკავა.

— თავს ილუპავს! — ხმამალა დაიყვირა. — ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას არ ესმის, რას აკეთებს.

— სიჩუმე, შენ ეი, ვილაც ხეპრე ხარ მანდ, დარბაზის ბოლოს! — მკვახედ უყვირა ბოქაულმა.

უაკ შარმოლიუმ იმავე ხერხებით უამრავი სხვა ოინები გაამეორებინა თხას დაირაზე, წლისა, თვისა და დღის თარიღები, და სხვა, რომელთა მოწმეც უკვე იყო ჩვენი მკითხველი. და იმ ოპტიკური მოჩვენების წყალობით, რომელიც სასამართლოს სჩვევია, ახლა მართლმსაჯულების სასახლის თაღებს ქვეშ შიშისაგან ძრწოდნენ იგივე მაყურებელნი, რომელნიც შესაძლებელია, არაერთხელ ტაშს უკრავდნენ გზაჯვარედინებზე ჯალის უდანაშაულო ეშმაკობას. თხა უთუოდ თავად იყო ეშმა.

საქმე კიდევ უფრო ცუდად შებრუნდა, როდესაც სამეფო პროკურორმა მოძრავი ასოებით სავსე ტყავის პაწია ტომარა ჯალის

კისრიდან მოხსნა და ფილაქანზე წამოყარა. ყველამ დაინახა, როგორ ამოარჩია ფეხით თხამ გაფანტული ასოები და შეადგინა საბედისწერო სახელი: „ფებუს“. ჯადოსნობა, რომლის მსხვერპლიც კაპიტანი გახდა, ურყევად დასაბუთებული აღმოჩნდა ყველას თვალწინ. ბოშა ქალი, ეს მომხიბლავი მოცეკვავე, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ მოუჯადოებია გამვლელები თავისი სიკეკლუცითა და სინარნარით, ახლა საშინელ სისხლისმსმელ მაქციად იქცა. თუმცა თვითონ მას სიცოცხლის არავითარი ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. არც ჯალის კეკლუცი მოძრაობანი, არც პროკურორის მუქარა, არც მსმენელთა ყრუ წყევლა, არაფერი არ აღწევდა მის გონებამდე.

იმისათვის რომ ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა, ათისთავს დასჭირდა შეუბრალებლად შეენჯღრია იგი, ხოლო თავმჯდომარეს საზეიმოდ ხმა აეწია:

— ქალიშვილო, თქვენ ეკუთვნით ბოშათა იმ ტომს, რომელიც ჯადოსნობით არის გატაცებული. თქვენ, ჯადოშეკრული თხის მონაწილეობით, რომელიც სასამართლო საქმეს თან ერთვის, გასული თვის 29 მარტის ღამეს ბნელეთის ძალთა თანხმობითა და თანადგომით, ჯადოთი და საიდუმლო ფანდებით ხანჯლის ჩაცემით მოკვალით მეფის განრიგის მსროლელთა კაპიტანი, ფებუს დე შატოპერი. კვლავ უარპყოფთ?

— ო, საშინელია! — წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა და სახე ხელებით დაიფარა. — ჩემო ფებუს! ოჰ! ეს ჯოჯოხეთია!

— განაგრძობთ უარყოფას? — ცივად ჰკითხა თავმჯდომარემ.

— დიახ, უარყოფ! — თქვა მან მრისხანე კილოთი და წამოდგა, თვალეზი უბრწყინავდა.

თავმჯდომარემ პირდაპირ, მიუხევე-მოუხეველად განაგრძო:

— მაშინ როგორ ახსნით თქვენს მამხილებელ ფაქტებს?

ბოშა ქალმა ნაწყევტ-ნაწყევტად უპასუხა.

— უკვე გითხარით. მე არ ვიცი. ვილაც მღვდელმა, მღვდელმა, რომელსაც ვერ ვიცნობ; ჯოჯოხეთის ხუცესმა, რომელიც მე მღვენის...

— მართალია, ეს ასეა, — თქვა მოსამართლემ. — ბერი-მოჩვენება.

— ბატონებო, შემობრალეთ! მე ერთი უბრალო გოგო ვარ...

— ბოშა გოგო. — დასძინა მოსამართლემ.

აქ ტკბილი, მოთაფლული სმით სიტყვა აიღო მეტრეაქ შარმოლიუმ:

— იმის გამო, რომ ბრალდებული სამქეხაროდ ეკრპობს, მე მოვიტხოვ დაკითხვისას გამოყენებულ იქნეს წამება.

— თანხმობა მითქვამს, — თქვა თავმჯდომარემ.

უბედურს მთელი ტანი აუკანკალდა.

გუშაგების ბრძანებაზე მაინც წამოდგა და საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გაემართა მომცრო კარისაკენ აფთიანთა და შუბნაჯახიანთა ორ მწკრივს შორის. წინ შარმოლიუ და სასულიერო სასამართლოს წევრბუეცესები მიუძლოდნენ. ჯუჯა კარა უეცრად გაიღო და უეცრადვე მიიხურა, რამაც დამწუხრებულ გრენგუარზე ბოშა ქალის მშთანთქმელი საზარელი ხახის შთაბეჭდილება მოახდინა.

როდესაც ქალი გაქრა, დარბაზში საცოდავი კიკინი გაისმა. პატარა თიკანი ტიროდა.

სასამართლოს სხდომა დროებით შეჩერდა. ერთმა მრჩეველმა შენიშნა, რომ ბატონი მოსამართლენი დაილაღნენ და დიდხანს მოუხდებათ ლოდინი სანამ წამება გათავებდოდეს, ამაზე თავმჯდომარემ მიუგო, რომ მართლმსაჯულების წარმომადგენელმა უნდა იცოდეს თავის განწირვა ვალდებულების გულისათვის.

— აუტანელი, აბეზარი და არასასიამოვნო ავარა გოგოა! — თქვა ვიღაც მოხუცებულმა მოსამართლემ. — თავს გვწაშებინებს მაშინ, როცა ჩვენ არც კი გვივახშმია!

II

ზაგრძელება ხველ ფოთლად ქცეული ეკიუს აზბავისა

რამდენიმე საფეხურით ზევით ასვლისა და მერე ისევ ქვევით ჩასვლის შემდეგ კუშტი თანმხლებლებით გარშემორტყმული ესმერალდა ტალანებში გაატარეს, სადაც ისე ბნელოდა, რომ მთელი დღე მუღმივად სანათები ენთო. სასახლის ათისთავებმა ერთ პირქუმ ოთახში შეაგდეს. ეს მრგვალი ფორმის ოთახი მოთავსებული იყო ერთ-ერთ დიდი კოშკის ზეძირკველში. ამგვარი კოშკები დღესაც, ჩვენს საუქუნეშიც გამოჩნდება ხოლმე ახალი პარიზის თანამედროვე შენობათა ფენიდან, რომელიც ფარავს ძველს. ამ სარდაფსა თუ აკლდამას არც საჩემელი ჰქონდა და არც არავითარი სხვა ქუქრუტანა, გარდა შესასვლელისა, გარდა რკინის დაბალი, მაგრამ უშველებელი ნაქედი კარისა. თუმცა შუქის ნაკლებობა სულაც არ იმჩნეოდა. სქელ კედელში დატანებული იყო ღუმელი. შიგ დიდი ცეცხლი ენთო, რომელიც აკლდამას თავისი წითელი

ანარეკლით ავსებდა და სრულიად ამქრქალეზდა კუთხეში დადგმული საცოდავი სანთლის შუქს. ღუმელსაკეტი რკინის ცხაური იმეამად აწეული იყო. ბნელ კედელში ანთებული სასულე ხვრელის ზემოდან მოჩანდა ამ ცხაურის რკინის ძელაკების მხოლოდ ქვემო ბოლოები როგორც შავი, მეჩხერი და მახვილწვეტიანი კბილების მწკრივი; რის გამოც ღუმელი ზღაპრული გველეშაპის ცეცხლისმფრქვევე ხახას ჰგავდა. ღუმელიდან გამოტყორცნილ შუქზე პატიმარმა ოთახში ირგვლივ დაინახა უამრავი ხელსაწყოები, რომელთა ხმარება-გამოყენებისა მას არა გაეგებოდა რა. ოთახის შუაში თითქმის მიწამდე დაგებული იყო ტყავის ლეიბი; ზედ ეკიდა ბალიანი ღვედი, მიბმული სპილენძის რგოლზე, რომელიც კბილებით ეჭირა თადის შუაგულს საქექში გამოქერწილ პაჭუა, ნოღა ურჩხულს. არეულ-დარეულად შეყრილი და ჩახერგილი მარწუხები, გაზები, მაშები, გუთნის განიერი რკინები ანთებულ ნაყვარჩხლებზე წითლად ვარვარებდა, ღუმელის სისხლისფერი შუქი მთელ ოთახში მხოლოდ საშინელი საგნების გროვას ანათებდა.

ამ ქვესკნელს უბრალოდ „წ ა მ ე ბ ი ს ო თ ა ხ ს“ უწოდებდნენ.

სარეცელზე გულგრილად და დაუდევრად იჯდა პიერა ტორტერიუ, ნაფიცი ჯალათი. მისი ლაქიები, ტყავისწინსაფრიალი, ტილოს შარვლიანი ოთხკუთხა სახის ორი ჯუჯა ნახშირებზე გავარვარებულ რკინეულობას აბრუნებდა.

საბრალო ქალიშვილი თუმცა ძალიან მაგრობდა და თავს იმხნევებდა, როგორც კი ფეხი შედგა ამ ოთახში, შიშმა შეიპყრო.

სასახლის მოსამართლის ათისთავები ერთ მხარეს ჩამწკრივდნენ, სასულიერო სასამართლოს მღვდლები — მეორე მხარეს. მეოქმე, საწერ-კალამი და მაგიდა კუთხეში იყო.

მეტრ ეაკ შარმულიუ დათაფლული ღიმილით მიუახლოვდა ბოშა ქალს.

— ჩემო ძვირფასო ბალო, — მიმართა მან, — თქვენ ისევ განაგრძობთ უარყოფას?

— დიახ, — უპასუხა ქალმა უკვე მიმქრალი ხმით.

— მაშინ, — განაგრძო შარმულიუმ, — სამწუხაროდ იძულებული ვართ დაგკითხოთ უფრო დაყინებით, ვიდრე ჩვენ ამას ვისურვებდით. — კეთილი, ინებეთ გაისარჯოთ, და აი ამ სარეცელზე დაბრძანდეთ. ბატონო პიერა, დაუთმეთ ადგილი ქალიშვილს, და კარი დახურეთ.

პიერა ბუზღუნით წამოდგა.

— კარი რომ დაეხურო, ცეცხლი ჩამიქრება, — ჩაიბუტბუტა ტორტერიუმ.

— კეთილი, ჩემო კარგო, — სწრაფად გასცა პასუხი შარმოლიუმ. — დატოვეთ ღია.

მაგრამ ესმერალდა დსევ ფეხზე იდგა, ეს ტყავის საწოლი, რომელზეც, ვინ იცის, რამდენი ბედკრული ადამიანი დაკრუნჩხულა ტკივილებისაგან, აზინებდა. შიში ძარღვებში სისხლს უყინავდა, ძვლის ტვინამდე აღწევდა. იგი თავზარდაცემული და გაოგნებული იდგა. შარმოლიუმს ნიშანზე ჯალათის ორმა ლაქიამ ხელი მოჰკიდა ესმერალდას და საწოლზე დასვეს. მათ არავითარი ტკივილი არ მიუყენებიათ, მაგრამ როგორც კი ამ კაცებმა ხელი მოჰკიდეს, როგორც კი ტყავს შეეხო, იგრძნო მთელი სისხლი მაშინვე გულს მიაწვა. დაბნეული მზერა ოთახს ირგვლივ მოავლო. მას მოეჩვენა, რომ უცბად ყველა მხრიდან დაიძრნენ და მისკენ წამოვიდნენ ტანზე ასაცოცებლად, საკბენად და საჩქმეტად წამების ყველა ეს მახინჯი იარაღი, რომლებიც მის მიერ დღემდე ნახულ ყოველგვარ ხელსაწყოთა შორის იგივე იყვნენ, რაც ღამურები, ათასფეხიანები და ობობები მწერთა და ფრინველთა შორის.

— სად არის ექიმი? — იკითხა შარმოლიუმ.

— აქ არის, — უპასუხა შავსამოსიანმა კაცმა, რომელიც ესმერალდას აქამდე არ შეუძინებია.

ქალს გააუჩქოლა.

— ქალიშვილო, — კვლავ გაისმა საეკლესიო სას მართლოს პროკურორის ალერსიანი ხმა, — შესამედ გეკითხებით, კვლავ განაგრძობთ იმის უარყოფას, რაშიც ბრალი გედებათ?

ამჯერად მან მხოლოდ თავის დაქნევა შესძლო. ხმა ჩაუვარდა.

— კერპობთ კიდევ? — უთხრა ეაკ შარმოლიუმ. — მაშინ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა აღვასრულო ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა.

— ბატონო სამეფო პროკურორო, — უცბად მიმართა პიერამ, — რითი დავიწყოთ?

შარმოლიუმ ერთი წუთით შეუყოყმანდა, ჩაფიქრდა, ვითარცა პოეტი, რომელიც კარგ რითმას ეძებს.

— ესპანური ჩექმით, — თქვა მან ბოლოს.

ბედკრულმა ქალმა იგრძნო, რომ მთლად მიტოვებული და განწირული იყო ღვთისა და ადამიანის მიერ, თავი უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა მკერდზე, როგორც ყოველგვარ ძალას მოკლებული უძრავი რამ საგანი.

ჯალათი და ექიმი ერთდროულად მიუახლოვდნენ. იმავე წუთს ორმა ლაქიამ თავიანთ ბილწ არსენალში ჩხრეკა და ქექვა დაიწყო. ამ საშინელი რკინეულობის ჩხარუნზე უბედური ბავშვი ისე

აძიგძიგდა, როგორც მკვდარი ბაყაყი აძიგძიგდება ხოლმე გალვანურ-
რი ღენის შეხებისაგან.

— ოპ! — ისეთი ხმით წაიბუტბუტა, რომ ვერავინ გაიგო, — ო,
ჩემო ფებუს! — მერე ისევ მარმარილოს ქანდაკებასავით დადუმდა
და უძრავად გაიყინა.

ამის დანახვაზე სხვას ყველას გული გაუსკდებოდა, გარდა
მოსამართლისა. თითქოს თვით ტარტაროზი უწყობდა დაკითხვას
საბრალო ცოდვილ სულს ჯოჯოხეთის მეწამული სარკმლის ქვეშ.
ამ საბრალო, უწყინარი, წმინდა, სათუთი ქმნილების ნაზ სხეულში
ჩასაფრენად ეღირებოდა ხერხთა, ბორბლთა და დაზგათა ეს საზა-
რელი ბუდე ქიანკველებისა. ამ არსების შესაპყრობად ემზადებოდ-
ნენ ჯალათებისა და მარწუხების ტლანქი თათები. იგი საბრალო
ფეტვის მარცვალი იყო, რომელიც ადამიანთა მართლმსაჯულებამ
წამების საზარელ დოლაბებს ქვეშ დასაფეჭელად გასწირა!

ამასობაში პიერა ტორტერიუს ლაქიების კოყრიანმა ხელებმა
უხეშად გააშიშვლეს მშვენიერი ფეხი, პაწია ტერფი, რომელიც ასე
ხშირად ხიბლავდა გამელელ-გამომვლელთ პარიზის გზაჯვარედინ-
ებზე თავისი მოხდენილობითა და სინატიფით.

— აფსუს, დასანანი კია! — ჩაიბუზღუნა ჯალათმა, როდესაც
დახედა ესოდენ მოხდენილ და ნაზ მოყვანილობას.

არქიდიაკონი რომ ამეამად აქ ყოფილიყო, უსათუოდ გაიხსე-
ნებდა თავის ობობისა და ბუზის სიმბოლოს.

მალე უბედურმა გოგონამ, თითქოს თვალები ნისლით დაებუ-
რაო, ბუნდოვნად დაინახა, როგორ მიუახლოვდა „ესპანური ჩექმა“
და რკინით შეჭედვილ ძელაკებს შორის ჩადებული მისი ფეხი
როგორ ჩქარა გაქრა ამ საშინელ აპარატში. მაშინ შიშმა ძალა
დაუბრუნა.

— მომხსენით ეს! — ფიცხლავ იყვირა მან. თმაგაწეწილი
წამოდგა, წელში გასწორდა და მიმართა: — მოიღეთ მოწყალეობა,
შემიბრალებთ!

ლეიბიდან წამოიქრა, რათა სამეფო პროკურორის ფეხებში
ჩავარდნოდა, მაგრამ რკინით შეჭედვილმა მუხის ტლანქმა კალაპოტმა
ფეხი დაუჭირა, დაუბეჯა და მოცელილმა, ფრთებზე ტყვია მიმაგ-
რებული ფუტყარივით, „ესპანურ ჩექმაზე“ ჩაიკეცა.

შარმოლიუმ ნიშანი მისცა და იგი ისევ სარეცელზე მოათავსეს.
რომ ტლანქმა ხელმა მის ნაზსა და წვრილ წელს თაღზე ჩამოკიდე-
ბული ღვედი შემოახვია.

— უკანასკნელად, აღიარებთ თუ არა თქვენს მიერ ჩადენილ

დანაშაულს? — ჰკითხა შარმოლიუმ აღუშფოთებელი გულდამშვიდებით.

— მე უდანაშაულო ვარ.

— მაშინ, ქალიშვილო, როგორ ახსნით თქვენს მამხილებელ გარემოებებს?

— ვაი, რომ არ ვიცი, ბატონო!

— მაშ უარყოფთ?

— მთლიანად!

— იმოქმედეთ! — უთხრა შარმოლიუმ პიერას.

პიერამ შემობრუნა ჯალამბარის სახელური, „ესპანურმა ჩექმამ“ მოუჭირა და უბედურმა გოგონამ ისე საშინლად იკივლა, რომ ადამიანის ენა ვერ გადმოსცემს.

— შეაჩერეთ, — უთხრა შარმოლიუმ პიერას. — აღიარებთ? — მიმართა ბოშა ქალს.

— ყველაფერს! — შესაძახა საბრალო ასულმა. — ვაღიარებ, ვაღიარებ, ოღონდ შემიბრალეთ! მოწყალება მოიღეთ!

მან ვერ გაითვალისწინა თავისი ძალები, როცა საწამებლად წამოიყვანეს. საბრალო ბავშვი! მისი ცხოვრება აქამდე ისეთი მხიარული, უზრუნველი, ტკბილი და საამური იყო, რომ პირველმავე ტკივილმა გატეხა.

— კაცთმოყვარეობა მაიძულებს მოგახსენოთ, — შენიშნა სამეფო პროკურორმა, — რომ ამ თქვენი აღიარებით სიკვდილი მოგელოთ.

— სრული იმედით მოველი! — უპასუხა ქალმა და ისევ ტყავის სარეცელზე დაეცა ცოცხალ-მკვდარი, ორად მოკეცილი, ჩამოკიდებული აბზინდიან ღვედზე, რომელიც მკერდზე ჰქონდა შემოჭერილი.

— თავი მაღლა ასწიეთ, ჩემო ლამაზო, ცოტა გამაგრდით, — უთხრა მეტრ პიერამ და თან წამოაყენა — თორემ ჰერცოგ ბურგუნდიელის კისერზე დაკიდებული ოქროს ვერძის იერი გაქვთ.

ეკ შარმოლიუმ ხმას აუწია:

— მეოქმე, წერე! — ბოშა ქალიშვილო, თქვენ აღიარებთ, რომ მონაწილეობდით სერობაში, კუდიანთა შაბათობასა და თემობაში, ჯოჯოხეთურ ჯადოსნობაში ავ სულებთან, მახინჯებთან, მაქციებთან და ვამპირებთან ერთად? მიპასუხეთ!

— ჰო, — ისეთი დაბალი ხმით თქვა, რომ სიტყვა მის ამოსუნთქვაშივე გაქრა.

— თქვენ აღიარებთ, რომ დაინახეთ ბელზებელის ერკემალი,

რომელსაც იგი ღრუბლებში გამოაჩენს. რათა შაბათის თემობა შეკრიბოს, და რომელსაც მხოლოდ ჯადოქრები ხედავენ?

— დიახ.

— თქვენ აღიარებთ, რომ თაყვანს სცემდით ბოფომეტის¹ თავებს, ტამპლიერთა ანუ ბომონელთა ღვთისგარეგან კერპებს?²

— დიახ.

— რომ ჩვეულებრივად დამოკიდებულება გქონდათ ეშმაკთან შინაური თხის სახით, რაც სასამართლო საქმეს თან ერთვის?

— დიახ.

— ბოლოს, თქვენ აღიარებთ, რომ დახმარებითა ეშმაკისა და მაქციისათა, რომელ ლანდსაც მდაბიოთა ენაზე „ბუას“ ანუ „ბერ-მოჩვენებას“ უხმობენ, გასული თვის ოცდაცხრა მარტის ღამეს, ხანჯალი დაეცოთ და მოაკვდინეთ ვინმე კაპიტანი სახელად ფებუს დე შატოპერი?

ქალმა თავისი დიდრონი გაშტერებული თვალები მოსამართლეს მიაპყრო და ანგარიშმიუცემლად, უნებურად, დაუკრუნჩხავად და წაუბოროძიებლად უპასუხა:

— დიახ.

ცხადია, რომ არსება მისი უკვე მთლიანად მოტეხილი იყო.

— ჩაწერე, მეოქმე! — უთხრა შარმოლიუმ, და შემდეგ ტანჯვა-წამების ოსტატ ჯალათებს მიმართა:

— ჩამოხსენით პატიმარი და ისევ სასამართლო სხდომების დარბაზში წაიყვანეთ.

როდესაც პატიმარ ქალს „ესპანური ჩექმა“ „გახადეს“, საეკლესიო სასამართლოს პროკურორმა ჯერ კიდევ ტკივილისაგან გაშეშებული ფეხი დაუთვალიერა.

— არაფერია! — თქვა მან, — დიდი უბედურება არ არის. დროზე იყვირეთ. კიდევ შესძლებდით ცეკვას, ლამაზო!

შემდეგ მიუბრუნდა თავის სასულიერო სასამართლოს დამქაშებს:

— ბოლოს, როგორც იქნა, მართლმსაჯულება გაერკვა! ეს სანუგეშოა, ბატონებო! ქალიშვილმა სამართლიანობა უნდა მოგვაგოს: რაც კი შეგვეძლო ღმობიერად მოვეპყარით.

დასასრული ხველ ფოთლად ქცეული ეკიუს ამბავისა

როდესაც იგი გაფოთრებული, კოკლობით სხდომის დარბაზში დაბრუნდა, საერთო კმაყოფილების ჩურჩულით შეხედნენ. რაც შეეხება მსმენელებს, ისინიც კმაყოფილი იყვნენ, რადგან მანამდე იმ მოთმენლობის გრძნობას განიცდიდნენ, რასაც თეატრში განიცდიან ხოლმე, უკანასკნელი შესვენება რომ მიიწურება, ფარდა აიხდება და წარმოდგენის კვანძის გახსნა დაიწყება. რაც შეეხება მოსამართლეებს, მათ იმედი აღეძრათ, რომ მალე ივახშმებდნენ. პატარა თხაც სიხარულით აკიკინდა. მან პატრონისაკენ გაიწია, მაგრამ სკამზე მიებათ.

სრულიად ჩამოღამდა. სანთლების რიცხვი არ მოუმატებიათ და ისეთი მკრთალი შუქი იყო, რომ დარბაზის კედლები არ ჩანდა. სიბნელემ ნისლივით დაფარა საგნები. აქა-იქ ძლივს გაირჩეოდა მოსამართლეების გულგრილი სახეები. მათ პირდაპირ, გრძელი დარბაზის ბოლოს, ჩაბნელებულ სიღრმეში შეიმჩნეოდა თეთრი ბუნდოვანი წერტილი. იგი ბრალდებული იყო. ის თავის ადგილზე ძლივს მილასლასდა.

როდესაც შარმოლიუ მედიდურად დაბრუნდა თავის ადგილზე, დაჯდა, მერე ისევ წამოდგა; თავს ძლივს იკავებდა არ გამოეჩინა ამო თვითკმაყოფილება მიღწეული გამარჯვების გამო. მან თავმო-მწონედ განაცხადა:

— ბრალდებულმა ყველაფერი აღიარა.

— ბოშა ქალო, — გაუმეორა კითხვა თავმჯდომარემ, — თქვენ აღიარეთ ყველა თქვენს მიერ ჩადენილი საქციელი: ჯადოსნობა, მეძაობა და ფებუს დე შატოპერის მკვლელობა?

ბოშა გოგონას გული შეეკუმშა. სიბნელეში გაისმა მისი ქვითინი.

— ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ მალე მომკალით, — ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა მან.

— ბატონო სამეფო პროკურორო საეკლესიო სასამართლოსი, — თქვა თავმჯდომარემ, — სასამართლო პალატა მზად არის მოისმინოს თქვენი დასკვნა.

მეტრ შარმოლიუმ უშველებელი რვეული ამოიღო და ძლიერი ხელთაყოლებითა და გადაჭარბებული გამომსახველობით, რაც მოსამართლეთა წოდებას საერთოდ მოსდგამს, დაიწყო სიტყვის კითხვა ლათინურ ენაზე, სადაც ყოველი მოსაზრების დასაბუთება

ბრალდებულის წინააღმდეგ აღძრული საჩივრისა დამყარებულ იყო ციკერონის¹ პერიფრაზებზე და გამაგრებული იყო პლატის, მისი საყვარელი კომიკის ციტატებით. ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია ეს შესანიშნავი ნაწარმოები მკითხველს შევთავაზოთ. ორატორი საკვირველი თავგამოდებით ლაპარაკობდა. ჯერ შესავალი არ დაემთავრებინა, შუბლზე ოფლი დაასხა, თვალები გადმოეყარკლა.

უცბად, ამ ლაპარაკში რომ იყო, რომელიღაც პერიოდი შუაზე გაწყვიტა; ჩვეულებრივად საკმაოდ არხეინი და საკმაოდ სულელური გამომეტყველების თვლებიდან ცეცხლის ფრქვევა დაიწყო.

— ბატონებო! — წამოიყვირა მან (ამჯერად ფრანგულად, რადგან ეს ადგილი რეუელში არ იყო), — სათელი, ტარტაროზი იმდენად არის გარეული ამ საქმეში, რომ ამჟამად ჩვენს პაექრობას ესწრება და სასამართლოს სიღიადეს მასხარად იგდებს, მაიმუნურად ბაძავს. შეხედეთ!

ეს რომ თქვა, თან ხელით პატარა თხაზე მიუთითა. მართლაც, თხას რომ დაუნახავს შარმოლიუს მოძრაობა და ხელთაყოლებანი, სრულიად მართებულად მიუჩნევია წაებაძა მისთვის. უკანა ფეხებზე დამჯდარა და საუკეთესოდ მიუბაძია წინა ფეხების მოძრაობითა და წვერიანი თავის ცანცარით საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორის პათეტიკური პანტომიმისათვის. როგორც მკითხველს ეხსომება, ეს საქციელი ამ თხის ერთ-ერთი ყველაზე მიწიდიველი ნიჭთაგანი იყო. ამ შემთხვევამ, ამ უკანასკნელმა „საბუთმა“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თხას ფეხები შეუტრეს, და სამეფო პროკურორმა კვლავ აღადგინა თავისი მქვერმეტყველების ძაფი.

ეს ამბავი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ სიტყვის დასკვნითი ნაწილი იყო საუცხოო. აი მისი უკანასკნელი წინადადება; ამას დაურთეთ ხრინწიანი ხმა და აქოშინებული მეტრ შარმოლიუს ხელთაქნევანი:

„— Ideo, Domni, coram stryga demonstrata, crimine patente, intentione criminis existente, in nomine sanctæ ecclesiæ Nostræ-Dominæ Parisiensis, quæ est in saisina habendi omnimodam altam et bassam justitiam in illa hac intemerata Civitatis insula, tonore præsentium declaramus nos requirere, primo, aliquandam pecuniariam indemnitatem; secundo, aîneudationem honorabilem ante portaliu maximum Nostræ-Dominæ, ecclesiæ cathedralis; tertio, sententiam in virtute cujus ista stryga cum sua capella, seu in trivio vulgariter dicto la Grève, seu in insu-

la exeunte in fluvio Sequanæ, juxta pointam jardini regalis, executatae sint!* *

დაამთავრა თუ არა, ქუდი დაიხურა და დაჯდა.

— Eheu! bassa latinitas ** — ამოიოხრა დამწუხრებულმა გრენგუარმა.

ბრალდებულის ახლოს წამოდგა მეორე შავითმოსილი კაცი. ეს მისი დამცველი იყო. დამწუხრულმა მოსამართლეებმა ბუზღუნით დაიწყეს.

— ვეკილო, მოკლედ მოსჭერით, — უთხრა თავმჯდომარემ.

— ბატონო თავმჯდომარეე, — უპასუხა ვეკილმა, — რაკი მოპასუხებე აღიარა დანაშაული, ერთი სიტყვალა დამრჩა სათქმელი ბატონ მოსამართლეთა მიმართ. აი რას ამბობს სალიკური კანონის*** ტექსტი: „თუ მაქციამ აღამიანი შექამა და ამაში მხილებულია, იხდის ჯარიმას რვაათას დინარს, რაც შეადგენს ორას ოქროს სუს“. ხომ არ ენებებს სასამართლო პალატა ჩემს მოპასუხეს მიუ-საჯოს ჯარიმა.

— ხმარებიდან გამოსული გაუქმებული ტექსტია, — თქვა მეფის საგანგებო ადვოკატმა.

— Negro **** — უპასუხა დამცველმა.

— დაეწყით ხმის მიცემა! — თქვა ერთ-ერთმა მრჩეველმა. დანაშაული ცხადია, ხოლო ახლა უკვე გვიანია.

ხმის მიცემა დაიწყო დარბაზის მიუტოვებლად. მოსამართლეები „ქუდის მოხდით“ აძლევდნენ ხმასა და დასტურს; მათ ეჩქარებოდათ. სიბნელეში მაინც ჩანდა როგორ შიშვლდებოდა თავები ერთი მეორეზე მიყოლებით კუშტ კითხვაზე, რომლითაც თავმჯდომარე სრულიად დაბალი ხმით მიმართავდა მათ. საცოდავ ბრალდებულს

* ვინაიდან, მოწყალეო ხელმწიფენო, ეს ქალი მხილებულია ჩადონსობაში და მისი დანაშაულებრივი ზრახვა დამტკიცებულია, სახელითა პარიზის ღვთისმშობლის წმინდა ეკლესიისათა, ვისაც აქვს უფლება უმაღლესი იურისდიქციისა სიტეს კუნძულის ფარგლებში, აქ დამსწრეთ ვუცხადებ და მოვითხოვ: პირველი, ფულადი ჭარბის მისქას, მეორე, საჯარო მონანიებას ღვთისმშობლის ტაძრის, კათედრალური ეკლესიის მთავარკარის წინ, და მესამე. განაჩენს, რომლის ძალითაც ეს ჩადოქარი თავის თხასთან ერთად სიკვდილით დაისჯება იმ ადგილას, რომელსაც მდამიურ ენაზე ჰქვია „გრეე“, ან მდინარე სენის კუნძულზე. სამეფო ბალების მახლობლად (ლათ.).

** ეი, რა ბარბაროსული ლათინურია (ლათ.).

*** „სალიკური კანონი“, ანუ „სალიკური სამართალი“ — ფრანკ ტომთა კანონების კრებულია (V ს.).

**** უარეყოფ (ლათ.).

ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს უყურებდა მათ, მაგრამ მისი დაბინდული თვალები ველარაფერს ხედავდნენ.

მერმე მეოქმე წერას შეუდგა; შემდეგ თავმჯდომარეს გრძელი ეტრათი გადასცა.

მაშინ უბედურმა ქალმა გაიგონა, როგორ ამოძრავდა ხალხი, როგორ შეეჯახა შუბები ერთმანეთს. ვილაციის გამყინავმა ხმამ გამოაცხადა:

— ბოშა ქალიშვილო, იმ დღეს, როდესაც ინებებს ჩვენი ხელმწიფე უფალი, შუადღისას თქვენ ფორნით მიგიყვანენ პერანგიანს, ფეხშიშველასა და ყელზე თოკობმულს ღვთისმშობლის ტაძრის მთავარკართან და იქ საჯარო მონანიებას აღასრულებთ, ხელთ უნდა გეპყრათ წონით ორგირვანქიანი ცვილის კელატარი. იქიდან წაგიყვანენ გრევის მოედანზე, სადაც ჩამოგვიდებენ და მოგაშთობენ ქალაქის სახრჩობელაზე. თქვენი თხაც აგრეთვე თქვენთან ერთად დაისჯება. გარდა ამისა, სასულიერო სასამართლოს გადაუხდით სამ ლიონდორს¹ თქვენს მიერ ჩადენილ და აღიარებულ დანაშაულებათა, ჯადოქრობის, თილისმის, ავბორცობისა და ვინმე ფებუს დე შატოპერის მკვლელობის სანაზღაუროდ. უფალმა შეინდოს სული თქვენი!

— ოჰ, ეს სიზმარია! — ჩაიბუტბუტა ბედშევა ქალმა, და იგრძნო, რომ ვილაციის მაგარმა ხელმა წაიყვანა იგი.

IV

LASCIATE OGNI SPERANZA *

შუა საუკუნეებში ყოველი დამთავრებული შენობა რამდენიც მიწის ზემოთ, თითქმის იმდენივე მიწაში იყო. თუ ღვთისმშობლის ტაძარივით ხიმინჯებიან საყრდენებზე არ იყო აგებული, ყოველ სასახლეს, ყოველ ციხე-სიმაგრეს, ყოველ ეკლესიას მუდამ ორმაგი საძირკველი ჰქონდა. ტაძრებში თითქოს კიდევ სხვა, მიწისქვეშა ტაძარი იყო, დაბალი, ჩაბნელებული, იღუმალი, უსინათლო და დამუნჯებული, საყდრის ზემო ნაეჭვეშ მოთავსებული; დღე და ღამ სანთლებით განათებული ქვესკნელი, რომელიც ორგანოს და ზარების ეღერას გამოსცემდა. ზოგჯერ ამ მიწისქვეშეთში

* *Lasciate ogni speranza* (*voi ch'entrate*) (იტალ.)—(„აქ შემოსვლელნი) იმედები დასტოვეთ ყველა“ (იხ. დანტე, ჯოჯოხეთი, სიმღ. III. თარგ. კ. გამსახურდიასი).

აქლამები იყო, სასახლეებსა და ციხეებში კი — საპყრობილეები, ხან საივალეები, ხან კი ორივე ერთად. ამ მძლავრ ნაგებობებს, რომელთა წარმოშობისა და „ზრდის“ წესი სხვაგან უკვე განვმარტეთ, მარტო საძირკველი როდი ჰქონდათ, მათ ასე ვთქვათ, ფესვები მიწაში ბორჯღლებად გაედგათ ისეთივე ოთახების, ტალანებისა და კაბეების სახით, რაც მიწის ზემო შენობაში. ამრიგად, ეკლესიები, სასახლეები, ციხეები წელამდე მიწაში იყვნენ ჩასული. შენობის სარდაფები მეორე შენობას წარმოადგენდა, სადაც ჩადიოდნენ, იმის მაგიერ, რომ ამოსულიყვნენ. ეს მიწისქვეშა სართულები ძეგლის ზედა სართულებს ისევე ჰქონდა ქვეშ შედგმული, როგორც ტყეებისა და მთების ანარეკლი ტბის წყალში გადააბრუნებს ნაპირზე აღმართულ ტყეებსა და მთებს.

სენტ-ანტუანის ციხეში, პარიზის მართლმსაჯულების სასახლეში, ლუვრში ეს მიწისქვეშა შენობები საპატიმროებად იყო გამოყენებული. რაც უფრო ღრმად მიდიოდა ამ საპყრობილეების სართულები მიწაში, მით უფრო ვიწრო და ბნელი ხდებოდა. ამდენად ისინი ისეთ ზოლებს, სარტყელებს, წარმოადგენდნენ, სადაც საშინელებათა ელფერები თანდათანობით ძლიერდებოდა. დანტე თავისი ჯოჯოხეთისათვის ამაზე უფრო ზედ გამოკრილს ვერაფერს ნახავდა! ჩვეულებრივად ამ ძაბრისებური მიწისქვეშა საპატიმროების ძირი მთავრდებოდა ქვის ღრმა კასრისებური ფსკერით, სადაც დანტემ სათავლი, ტარტაროზი დასეა, ხოლო საზოგადოება სიკვდილმისჯილებს ათავსებდა. თუ ერთხელაც არის ვინმე ზედკრულ არსებას იქ დამარხავდნენ, სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა დღის სინათლეს, ჰაერს, სიცოცხლეს, ცხოვრებას, ogni speranza, ყოველგვარ იმედს. აქედან სხვა გასასვლელი გზა, გარდა სახრჩობელისა ან კოცონისა, არ არსებობდა. ბევრჯერ ადამიანები აქ ცოცხლად ლებოდნენ. ადამიანთა მართლმსაჯულება ამას „დავიწყებას“ უწოდებდა. მსჯავრდადებული, სასიკვდილოდ განწყობილი გრძნობდა, რომ მასა და ადამიანებს შორის თავზე ჩამოსწოლოდა ქვებისა და მეციხოვნეების მთელი გროვა. მთელი ეს ციხე, მთელი ეს მასიური სიმაგრე პატიმრისათვის წარმოადგენდა მხოლოდ უშველებელ რთულ ცხრაკლიტულს, რომელმაც იგი ცოცხალთა სამყაროს მოსწყვიტა.

აი ამგვარ ქვის კასრისებურ ღრმა ჯურღმულში, ტურნელის მიწისქვეშა ციხეში, წმინდა ლუის ბრძანებით გათხრილ საუკუნო სიწყნარისა და განსვენების დასაფიქარში ჩაამწყვდიეს სახრჩობელამისჯილი ესმერალდა, უეჭველად იმის შიშით, არ გაგვექცესო. მართლმსაჯულების ბუმბერაზი სასახლე მთელი თავისი სიმძიმით

დააწვა-თავზე საბრალო გოგონას, საცოდავ ბუზს, რომელსაც მისი სულ პატარა კენჭის დაძვრაც კი არ ძალუძდა ადგილიდან!

ცხადია, განგებაცა და საზოგადოებაც ერთნაირად უსამართლო იყო მის მიმართ, ეგოდენი უბედურება და ტანჯვა-წამება არ იყო საჭირო იმისათვის, რომ ასეთი ნაზი ქმნილება გაეტეხათ.

და აი იგი ახლა აქ იყო, წყვილიდში ჩანთქმული და დაკარგული, ცოცხლად დამარბული, მიწაში დაფლული. კედლებში დატანებული და ამოქოლილი. ვისაც ადრე უნახავს იგი მზის სხივებზე მოცინარი და მოცეკვავე, და ახლა ამ მდგომარეობაში იხილავდა, აუცილებლად შეძრწუნდებოდა. ცივი როგორც დამე, ცივი როგორც სიკვდილი; ნიავე აღარ ურხევდა თმებს, ადამიანთა ხმაური აღარ აღწევდა მის ყურამდე, დღის სინათლე აღარ გამოუერთოდა თვალებში, ორად მოტეხილი, ბორკილებისაგან გასრესილი, ერთი ტოლჩა წყლისა და პურის ნატეხის ახლოს ჩაცუქული ერთ ბლუჯა ჩალაზე და საპატიმროს ნესტიანი კედლებიდან გამოყოფილი წყლის გუბეში უძრავი, თითქმის სუნთქვაშეკრული თვით ტანჯვასაც კი ვეღარა გრძნობდა. ფეხუსი, მზე, შუადღე, სუფთა, გამლილი ჰაერი, პარიზის ქუჩები, ცეკვა და ტაში, ტკბილი სამიჯნურო ტიტინი ოფიცერთან, მერე მღვდელი, მაქანკალი, ხანჯალი, სისხლი, წამება, სახრჩობელა! — ყოველივე ეს ხელახლა გაივლიდა ხოლმე მისი გონების თვალწინ, ხან როგორც მხიარული, ოქროსფერა ხილევა, ხან როგორც მახინჯი მაჯლაჯუნა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ საზარელი და ბუნდოვანი ბრძოლა, წყვილიდში დანთქმული და დაკარგული, ანდა შორეული მუსიკა, რომელიც იქ, მაღლა, მიწაზე ეღერდა, და აღარ ისმოდა იქ, იმ სიღრმეში, სადაც უბედური ქალი იყო ჩამწყვედული.

მას შემდეგ, რაც აქ იყო, არც ეღვიძა და არც ეძინა. გაუბედურებულს ამ საპყრობილეში აღარ შეეძლო გაერჩია სიცხადე სიზმრისაგან, ზმანება სინამდვილისაგან, დღე ღამისაგან. ყველაფერი ერთმანეთში აირია, დაიმსხვრა. შეტორტმანდა, ბუნდოვანად გაიზნა მის აზრებში. აღარც არაფერს გრძნობდა, არც არაფერი ესმოდა, ვეღარც ფიქრობდა. მხოლოდ ზმანებაში იყო გართული. ჯერ არც ერთი ცოცხალი ქმნილება ასე ღრმად არ შექრილა არაარობაში.

ასე გათოშილ-გაყინული და გაქვავებული ძლივს იგებდა, როგორ იღებოდა ორჯერ თუ სამჯერ სადღაც ხმაურით მის თავს მაღლა საქვრენის სარქველი, რომელიც სულ მცირე შუქსაც არ უშვებდა შიგნით, და საიდანაც ვიღაცის ხელი შავი პურის ქერქს უყრიდა. ციხის დარაჯის ეს დროდადრო მონახულება ერთადერთი კავშირი იყო ადამიანებთან.

მხოლოდ ერთი რამ კიდევ იპყრობდა უნებურად მის ყურადღებას. მის თავს მალა, თალის ხავსმოკიდებული ქვებიდან ეონავდა ტენი და თანაბარ შუალედებში სწყდებოდა წყლის წვეთები. გაშტერებული ყურს უგდებდა თავის გვერდით გუბეში წყლის წვეთების წკაპუნს.

ამ გუბეში ჩავარდნილი წყლის წვეთების წკაპუნი ერთადერთი მოძრაობა იყო, რაც ჯერ კიდევ იძვროდა მის ირგვლივ, ერთადერთი დროის აღმნიშვნელი ქანქარა. ერთადერთი ხმაური დედამიწის ზურგზე არსებულ ბეგრათაგან, რომელიც მის ყურამდე აღწევდა.

რათა ყველაფერი ვთქვათ, ისიც უნდა დაეძინოთ, რომ დრო და დრო ამ წუმბიან და ბნელ ორმოში იგი გრძნობდა, როგორ გადაუვლიდა ხოლმე ხელ-ფეხზე ცივი რაღაც, ხან აქა და ხან იქ. ამ დროს. იგი თრთოდა და კანკალებდა.

მან არ იცოდა, რამდენი ხანია, რაც აქ არის. ახსოვდა მხოლოდ, რომ საღაც ვიღაცის მიმართ სასიკვდილო განაჩენი გამოაცხადეს, შემდეგ იგი წაიყვანეს, და სიცივისაგან გათოშილს ამ ღამის წყვილადსა და მღუმარებაში გამოელვინა. როგორღაც უნდოდა ხელებით გადაცოცებულიყო, მაგრამ რკინის რგოლმა ფეხის კოჭზე მოუჭირა და ბორკილებმაც გაიჩხრიალეს. ხელების ცეცებით გაიგო, რომ მის ირგვლივ ქვიტირის კედლები იყო, ფერხითი წყლით დაფარული ფილა და ერთი ბლუჯა ჩალა ეგო. არც სანათი, არც სასულე. მაშინ ამ ჩალაზე დაჯდა. იმისათვის, რომ ხანდახან მდგომარეობა შეეცვალა. რამდენჯერმე იმ ქვის კიბის უკანასკნელ საფეხურზე გადავიდა, რომელიც მის დილეგში იყო.

ერთ ხანს სცადა დაეთვალა შავბნელი წუთები, რომელთაც წყლის წვეთები უზომავდნენ, მაგრამ ჩქარა ავადმყოფი ტვინის ეს სავალალო სამუშაო თავისთავად შეწყდა მის თავში და ისევე სრულ გაოგნებას მიეცა.

და აი ერთ დღეს თუ ღამეს (რადგან ამ აკლამაში შუალამეც და შუადღეც ერთი ფერისა იყო) თავს მალა უფრო ძლიერი ხმაური გაიგონა, ვიდრე ჩვეულებრივ დარაჯი ჰქმნიდა, როცა მისთვის პური და ტოლჩით წყალი მოჰქონდა. ქალმა თავი ასწია და სამარის თაღში დატანებული კარისა თუ საძვრენის სარქველის, ქუპრუტანიდან შემოსული მოწითალო შუქი დაინახა.

იმავე წუთს რკინის ტლანქმა ურდულმა გაიჩხრიალა, სარქველმა თავის დაქანგულ კოჭაკებზე გაიჭრიალა და გადაბრუნდა. დაინახა სანათური, ხელი და ორი მამაკაცის ქვედა ტანი. კარი მეტად დაბალი იყო, რომ მათი თავების დანახვა შესძლებოდა. სინათლემ თვალები მოსჭრა და ამიტომ ხელი მიიფარა.

თვალეები რომ გაახილა, კარები უკვე დახურული იყო, კრაქი კიბის საფეხურზე იდგა, ხოლო მის წინ მარტო ერთი კაცი იდგა. შავი ბერული ანაფორა ფეხებამდე სწვდებოდა, სახეზე იმავე ფერის თავწამოსახური ბარტყული ჩამოეთარა. ვერ გაარჩია ვერც პიროვნება, ვერც სახე, ვერც ხელები. მის წინაშე იდგა გრძელი შავი სუდარა, რომლის ქვეშაც მოძრავი რაღაც შეიმჩნეოდა. რამდენიმე წუთს ჩაშტერებით უცქერდა ამ მოჩვენების მაგვარ რაღაცას. ამასთან არც ერთსა და არც მეორეს ხმა არ გაუღია. იტყოდით, ერთმანეთის პირისპირ ორი ძეგლი დგასო. ამ აკლდამაში ორ რამეს ეტყობოდა სიცოცხლე; სანთურის პატრუქს, კრაქს, რომელიც ნესტიან ჰაერზე ტკაცუნობდა, და თალიდან მეორავ წყლის წვეთებს, რომლებიც ამ არათანაბარ ტკაცატკუქს არღვევდნენ თავიანთი ერთკილოვანი, ერთფეროვანი წყაპუნით და სანათის შუქს წრიულ ტალღებად ათრთოლებდნენ ჩამდგარი გუბის ზეთიანი წყლის ზედაპირზე.

ბოლოს პატიმარმა ქალმა დაარღვია დუმილი:

— ვინა ხართ?

— მღვდელი.

ამ სიტყვის, გამოთქმისა და ხმის გაგონებაზე ქალი შეკრთა.

მღვდელმა კი დინჯად და ყრუდ განაგრძო:

— შზად ხართ?

— რისთვის?

— სიკვდილისათვის.

— ოჰ! — თქვა ქალმა, — მალე იქნება?

— ხეალ.

სიხარულით მალლა აწეული თავი ისევ მკერდზე ჩამოუვარდა.

— ო, კიდევ რა. დიდ ხანს უნდა ვუცადო! — წაიბუტბუტა ქალმა, — ნუთუ არ შეიძლებაოდა დღეს ყოფილიყო?

— მაშ, თქვენ მეტად უბედური ხართ? — ჰკითხა ხუცესმა დუმილის შემდეგ.

— ძალიან მცივა, — უპასუხა ქალმა.

ხელები ტერფებზე წაივლო, როგორც სჩვევიათ ეს უბედურ ადამიანებს, როცა სცივათ, რაც უკვე ენახეთ როლანდის კოშკის განდევნილზე, კბილები უკაწკაწებდა.

ასე ჩანდა, თითქოს მღვდელმა თავწამოსახურს ქვეშიდან დილეგს თვალი მოავლო.

— უსინათლოდ! უცეცხლოდ! წყალში! საშინელებაა!

— დიახ, — უპასუხა განცვიფრებული და უბედურებაგანცდილი გამომეტყველებით. — დღის შუქი ყველასათვის არის. რატომ მხვდა მე წილად მხოლოდ ღამე?

— იცით, — ჰკითხა კვლავ დუმისის შემდეგ მღვდელმა. — რატომ ხართ აქა?

— მგონია, ვიცოდი, — უპასუხა ქალმა და გამხდარი თითო წარბზე გადაისვა, თითქოს მეხსიერებას უნდა მიეშველოსო, — მაგრამ აღარ ვიცი.

უცბად ბავშვივით ატირდა.

— მინდა აქედან გავიდე, ბატონო. მცივა, მეშინია. რაღაც მხეცები მაცოცდებიან სხეულზე.

— კეთილი, გამომყევით.

უთხრა მღვდელმა და მკლავზე ხელი მოჰკიდა. უბედური ქალი მთლად გათოშილი იყო, გულმუცელიც კი გაყინული ჰქონდა, მაგრამ მღვდლის ხელი კიდევ უფრო ცივი ეჩვენა.

— ოჰ — წაიბუტბუტა ქალმა, — ეს სიკვდილის გამოთშავი ხელია. ვინა ხართ თქვენ?

მღვდელმა თავწამოსახური ბარტყული გადაიხადა. ქალმა შეხედა. მის წინაშე იყო ის პირქუში ავბედითი სახე, ვინც ასე დიდხანს სდევნიდა მას, დემონის თავი, მისი სათაყვანებელი ფეხუსის თავზე რომ აღიმართა ფალურდელთან, ის თვალები, რომლებიც უკანასკნელად იხილა ხანჯალთან ერთად აელვარებულნი.

ამ კაცის გამოჩენამ, რაც მისთვის მუდამ საბედისწერო იყო და ერთი უბედურებიდან მეორე უბედურებისაკენ უბიძგებდა, თვით წამებამდე და სიკვდილით დასჯამდეც კი მიიყვანა, ქალი გაშტერებული მდგომარეობიდან გამოიყვანა. ერთგვარი სქელი ფარდა, რომელიც მის მეხსიერებაზე იყო ჩამოფარებული, თითქოს ჩამოიხა. მისი შავხელი თავგადასავლის ყოველი წერილმანი ფალურდელის სხეულზე ღამით მომხდარი ამბიდან ტურნელში გამოტანილ განაჩენამდე ერთბაშად ამოტივტივდნენ გონებაში, არა ბუნდოვნად და არეუდარევივით, როგორც მანამდე, არამედ გარკვევით, მკვეთრად, მკაფიოდ, მთრთოლვარედ, საშინლად. სანახევროდ გამქრალი და უკიდურესი ტანჯვის გამო თითქმის წაშლილი ეს მოგონებები ამ კუშტმა სახემ კვლავ გააცოცხლა, ისე როგორც ცეცხლთან მიახლოებასას თეთრ ქალღვრზე გარკვევით გამოჩნდება ხოლმე სიმპათიკური მელნით მოხაზული უხილავი ასოები. ასე ეგონა ქალს, რომ მისი გულის ყველა ქრილობა კვლავ გაიხსნა და უცბად სისხლით იცლებოდა.

— აა! — იყვირა მან, ხელები თვალებზე მიიფარა და კრუნჩხვიანი კანკალი აუვარდა, — ისევ ის მღვდელი!

ლონემინდელი ხელები ჩამოუვარდა, ადგილზე დარჩა ისევე, რო-

გორც იჯდა, თავი დაჰკადა და დამენჯებულმა თვალი მიწას გაუშტრა. ისევე კანკალებდა.

მღვდელმა ძერასავით დაადგა თვალი გოგონას. ძერაც ხომ ასე დიდხანს დასტრიალებს ცაში ლიეღივით თავს პურის ყანაში მინაბულ საბრალო ტოროლას, მერე ღუმილით თანდათან ავიწროებს ფრენისას უზარმაზარ წრეებს, უცბად ელვა-მეხივით ატყდება თავს თავის ნადავლს და ათრთოლებულს კლანჭებით აიტაცებს.

ქალმა დაბალი ხმით ჩაიდუღუნა:

— ბარემლა გამათავე, მომიღე ბოლო! უქანასკნელი ლახვარი ჩამეც! — და შიშისაგან თავი მხრებს შორის ჩასწია, ვითარცა კრავმა ყასბის ნაჯახის დარტყმის მოლოდინში.

— მაშ, თქვენ ჩემი გეშინიათ? — უთხრა მან ბოლოს.

ქალმა არაფერი უპასუბა.

— ნუთუ მე შიშს აღვიძრავთ?

ბოშა ქალმა ტუჩები მოკუმბა, თითქოს ღიმილს აპირებდა.

— დიახ, — უთხრა მან, — ჯალათი მუდამ აბუჩად იგდება მსჯავრდადებულს. რამდენი თვეა მდევნის. მემუქრება, მაშინებს. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვიყავი უმისოდ! მან ჩამაგლო ამ უფსკრულში! ჰოი, ზეცაო! ეს ის არის, ვინც მოკლა იგი, ჩემი ფეხებს!

ამ სიტყვებზე გულამოსკვნით ატირდა, შემდეგ თვალები მღვდელს მიაპყრო:

— ოჰ! საზიზღარო ადამიანო! ვინა ხართ? რა გინდათ, რა დავიშავეთ? რაზე ამომიძულეთ! ვაგლახ! მითხარით, რა გინდათ ჩემგან?

— მიყვარხარ! — შესძახა მღვდელმა.

ქალს უცბად ცრემლი გაუშრა. გაშტერებული თვალებით უცქერდა. მამაკაცი მუხლებზე დაემხო და ანთებულ თვალს არ აშორებდა.

— გესმის? მიყვარხარ! — კიდევ შესძახა მღვდელმა.

— ეს რა სიყვარულია! — თრთოლვით უპასუბა უბედურმა ქალმა.

მღვდელმა მიუგო:

— სიყვარული შეჩვენებულისა.

რამდენიმე წუთს ორივე სდუმდა, თავიანთი მძიმე განცდებით შემუხსრილნი. კაცი — გახელებული, ქალი — გაოგნებული.

— მაშ, მისმინე, — თქვა ბოლოს მღვდელმა და იშვიათი სიმშვიდე დაუბრუნდა. — შენ ახლა ყველაფერს გაიგებ. გეტყვი იმას, რის თქმას აქამდე ჩემს თავსაც კი ძნელად გავუბედავდი, როცა ფარულად ვეკითხებოდი საკუთარ სინდისს ღამის მიყუჩებულ სა-

თებში. როცა ირგვლივ წყვილია და ისე ბნელა, რომ გვეგონია, თვით ღმერთიც კი ველარ გვხედავს. მისმინე. შენს შეხვედრამდე, ბედნიერი ვიყავი, ყმაწვილო ქალო...

— მეც! — ძლივს ამოიოხრა ქალმა.

— ნუ მაწყვეტინებ. — დიახ, ბედნიერი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი. მე უმწიკვლო, წმინდა ვიყავი, სული ჩემი ბროლივით ნათელი და გამქვირვალე იყო. ქვეყნად არავინ მეგულეობდა, ჩემზე უფრო ამაყად და ბრწყინვალედ სქეროდა თავი. მღვდელ-მსახურნი ჩემგან ზნეობრივი სიწმინდის რჩევას იღებდნენ, სწავლულნი მეცნიერებასა და მოძღვრებაზე მეთათბირებოდნენ. დიახ, მეცნიერება ჩემთვის ყველაფერი იყო. იგი დაა იყო და ეს დაც კმაროდა ჩემთვის. წლებთან ერთად სხვაგვარი აზრებიც მებადებოდა. არა ერთხელ აღბორცებულა ხორცი ჩემი, როცა ჩემს წინ ქალს გაუვლია. ადამიანური სქესისა და სისხლის მძლავრება, რაც მე, გიჟ ჰაბუკს, სამარადეამოდ ჩახშული მეგონა, კრუნჩხვა-აყვანილი არაერთხელ აღშფოთებულა რკინისებური აღთქმის ბორკილების წინააღმდეგ. რამაც მე უბედური საკურთხევლის ციე ქვევს მიმაჯაჭვა. მაგრამ მარხულობამ, ლოცვამ, სწავლამ, მეცადინეობამ, ხორცის გვემამ, მკაცრმა მონასტრულმა ცხოვრებამ სულს დაუბრუნა სხეულზე ბატონობა. ამის შემდეგ ქალებს ვერიდებოდი. ამასთან საკმარისი იყო წიგნი გადამეშალა, რომ ჩემი ტვინის არაწმინდა ბურანი მეცნიერების ბრწყინვალეების წინაშე გამქრალიყო. რამდენიმე წუთი გაივლიდა და მე ვგრძნობდი, როგორ შორს რჩებოდა ყოველგვარი ხორციელი და მიწიერი, მაშინ კვლავ ეპოვებდი სიმშვიდეს, თვალის მომჭრელ სინათლესა და მოსვენებას სამარადისო ქვემარჩებების აუზღვრეველი ბრწყინვალეებისა და შარავანდელის წინაშე. სანამ დემონი ჩემს საიერიშოდ მიგზავნიდა ქალთა გაურკვეველ სახეებს, რომლებიც ჩემს თვალწინ გაივლიდნენ ხან ეკლესიაში, ხან ქუჩებში, ხან ველმინდორში, და სიზმარში მხოლოდ ძლივს ბუნდოვანად მეცხადებოდნენ, მანამდე ადვილად ვთრგუნავდი მათ. ვაგლახ! თუ ახლა ვერ გავიმარჯვე, დამნაშავე თვითონ ღმერთია, რადგან კაცი და დემონი თანაბარი ძალის არ შექმნა. მისმინე. ერთ დღეს...

აქ მღვდელი შეჩერდა. პატიმარმა ქალმა გაიგონა, როგორ აღმოხდა ხუცესს მკერდიდან ხრიალით ოხვრა.

მან განაგრძო:

— ...ერთ დღეს ჩემი სენაკის სარკმლის რაფაზე ვიყავი დაყრდნობილი. რა წიგნს ვკითხულობდი მაშინ? ოჰ! ყოველივე ეს ჩემს თავში გრიგალივით დატრიალდა. — მე ვკითხულობდი. სარკმელი

მოედანს გადაჰყურებდა. უცბად დაირისა და მუსიკის ხმა მომესმა. გაჯაერებულმა იმის გამო, რომ ფიქრები ამირიეს, მოედანს გადავ-
ხედე. ის, რაც მე იქ ვიხილე, სხვადაც ნახა, იგი მარტო მე არ მი-
ნახავს, მაგრამ ის სანახაობა ადამიანის თვალთა სახილველად როდი
იყო გაჩენილი. იქ, ქვაფენილის შუაგულს შუა დღე იყო, მზე მალ-
ლა იდგა, ერთი არსება ცეკვავდა. იმდენად მშვენიერი ქმნილება
იყო, რომ ღმერთი მას ამჯობინებდა უბიწო ღვთისმშობელს, მას
აირჩევდა დედად თვისად, რათა მისგან შობილიყო, ეს ქალი მაშინ
რომ არსებულებოდა, ოდეს ღმერთმა განკაცება ინება! შავი, ელვარე
თვალები ჰქონდა; მუქი თმები, როცა მზე გამსქვალავდა, ოქროს
ბაფებივით ბრწყინავდნენ. მისი ფეხები უჩინარდებოდნენ, ისე
სწრაფად მოძრაობდნენ და ტრიალებდნენ როგორც თვის სოლე-
ბი. შავ ნაწნავეებში თავს ირგვლივ მზეზე უელვარებდა ლითონის
ბალთები, რომლებიც მის შუბლს ვარსკვლავებით მოქედელი გვირ-
გვინივით ამშვენებდნენ.

კაშკაშა კილიტებით მორთული ცისფერი კაბა ნაპერწკლებს აფრ-
ქვევდა როგორც ათასი ოქროს წინწკლებით მოქედელი ზაფხულის
ღამე. მოქნილი და შავგრემანი მკლავები ორი შარფივით წელის
ირგვლივ ერთმანეთს ხან ჩაეწვნოდნენ, ხან გაიშლებოდნენ. სხეუ-
ლის ნაკეთები საოცარი სილამაზის ჰქონდა. ჰოი, ბრწყინვალე ხა-
ტებავ, თვით მზის სხივებიც კი ვერ უკარგავდნენ ელვარებას შენს
ნათელ სახეს! ვაი შენ ჩემო თავო! ეს ქმნილება შენ იყავი, ყმაწვი-
ლო ქალო! — განცვიფრებულმა, დამთვრალმა და მოხიბლულმა ნება
მივეცი ჩემს თავს მეცქირა შენთვის. გიმზირე მანამ, სანამ შიშისა-
გან უცბად არ შეეკრთი: ვიგრძენი, რომ ბედი ჩემი უკვე გადაწყ-
ვეტილი იყო, გრძნეულ ბადეში ვიყავი გახვეული.

ერთი წუთით მღვდელი კიდევ შეჩერდა, სული ეხუთებოდა. შემ-
დეგ ისევ განაგრძო:

— უკვე სანახევროდ მოხიბლული, ვცდილობდი რამეს ჩაეკვიდე-
ბოდი, რომ დაცემის ეპოს თავი შემეკავებინა. მე მოვიგონე ყველა
ის მზაკვრობა, რომელთაც სათაელი უკვე მიწყობდა. ქმნილება,
რომელიც ჩემს თვალებს წარმოუდგა, იმდენად ზეადამიანური სილა-
მაზის იყო, რომ იგი შეიძლებოდა მხოლოდ ზეცის ან ჯოჯოხეთის
წარმოგზავნილი ყოფილიყო. იგი არ იყო ჩვეულებრივი უბრალო
ქალწული, შექმნილი ჩვენი მიწის მტერისა და ქალის სულის გაუ-
ბედავად მოციმციმე სხივით სუსტად განათებული შინაგანი არსები-
ნაგან. იგი ანგელოზი იყო! მაგრამ სიბნელის ანგელოზი, შექმნილი
ცეცხლის აღისაგან და არა სინათლისაგან.

იმ წუთს, როდესაც ამას ვფიქრობდი, შენს გვერდით თხა დავი-

ნახე, კუდიანთა შაბათობიდან მოვლენილი ცხოველი, რომელიც დატრინვით მიმზერდა. შუადღის მზე მის რქებზე ცეცხლს ანთებდა. მაშინ კი მივხვდი, რომ ეშმაკი მახეს მიგებდა და ექვიც აღარ შემპარვია, რომ შენ ჯოჯობეთის მიერ იყავი წარმოგზავნილი ჩემს წარსაწყემედად. ასე მეგონა.

ამ მღვდელმა პატიმარ ქალს სახეში შეხედა და ცივად დასძინა:

— ახლაც ასე ვფიქრობ. — ამასობაში გრძნეულება ნელა-ნელა მოქმედებდა. შენი ცეკვა თავბრუს მხვევდა. ვგრძნობდი, რომ იღუმალი ჯაღო ჩემს არსებაში იჭრებოდა. ყველაფერმა, რასაც უნდა ეფხიზლა, ჩემს სულში ჩასთვლიმა და თოვლში გაყინული ადამიანივით სიამოვნებას მგვრიდა ის, რომ ძილი მეუფლებოდა. უცბად სიმღერა წამოიწყე. რა უნდა მექნა უბედურს? შენი სიმღერა კიდევ უფრო დამატყვევებელი, მომჯადოებელი იყო, ვიდრე შენი ცეკვა. გაქცევა მინდოდა. ძალა არ შემწევდა. მილურსმულივით ერთ ადგილზე ვიყავი გაყინული, ჩაყრული. მეგონა, ფილაქანის მარმარილო მუხლებამდე მწვდებოდა. ბოლომდე უნდა დავრჩენილიყავი. ფეხები გამეყინა, თავი მიხურდა. ბოლოს, იქნებ შეგებრალე კიდევ, სიმღერა შესწყვიტე და გაუჩინარდი. თვალისმომკრელი ხილვის გამო-ნაშუქი თანდათან ჩაქრა ჩემს თვალეებში, მომხიბლავი მუსიკის ბგერები ჩემს ყურებში ნელ-ნელა მიყურდა. მაშინ მე დავემხე სარკმელთან კუთხეში და ეგრე დავრჩი კვარცხლბეკიდან გადმოგდებულ ძეგლზე უფრო გაშეშებული, უფრო უმწეო. მწუხრის ზარმა გამოძაღვიძა. გამოვფხიზლდი, წამოვიტერი, გავიქეცი, მაგრამ ვაგლახ! რაღაც დაემხო ჩემში, რის აღდგენასაც ველარ შევძლებდი, რაღაც მომეველინა, რასაც ვერსაით გავექცეოდი.

მან კვლავ შეისვენა და ისევ განაგრძო:

— დიახ, ამ დღიდან, ჩემს არსებაში დასახლდა ადამიანი, რომელსაც ადრე ვერ ვიცნობდი. მე განვიზრახე გამომეყენებინა ყველა ჩემს ხელთ არსებული საშუალება: მონასტერა; საკურთხეველი, შრომა, წიგნები. მაგრამ ყოველივე ეს სიგიჟე აღმოჩნდა! ოჰ! რაოდენ ფუტია მეცნიერება, როდესაც ვნებით შეპყრობილი სასოწარკვეთილებით მიმართავ მას. იცი კი, ყმაწვილო ქალო, ამიერიდან ვინ ჩადგა ჩემსა და წიგნს შორის? შენ, შენი აჩრდილი, ნათელსხივოსანი სახე ხილვისა, რომელიც ერთ დღეს ჩემს წინაშე სიერცეში აღიმართა. მაგრამ ეს სახე იმავე ფერის აღარ იყო. იგი ჩამუქდა, დაიბინდა, როგორც შავი წრე. რომელიც დიდხანს არ შორდება იმ გაუფრთხილებელი ადამიანის თვალებს, ვინც მზეს გაშტერებით უტყირა.

შენს სახეს თვალთაგან ვერ ვიცილებდი, შენი სიმღერა მუდამ ეღერდა ჩემს გულში, ჩემს ლოცვანზე ყოველთვის შენს მროკავ

ფეხებს ვხედავდი, ლამლამობით სიზმარში მუდამ ვგრძნობდი, შენი ნაკეთები როგორ ეხებოდა ჩემს სხეულს, ამიტომ მინდოდა ერთბაშად კიდე მენახე, ხელით შეგხებოდი, გამეგო, ვინ იყავი, დავრწმუნებულყავი, შეესაბამებოდი თუ არა იმ იდეალურ სახეს, რომელიც ჩემს მენსიერებაში აღბეჭდუ ან იქნებ იმითავე, რომ სინამდვილეს ჩემი ოცნება დაემსხვრია. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებდი, რომ ახალი შთაბეჭდილება გააქარწყლებდა პირველს, პირველი შთაბეჭდილება კი ჩემთვის გაუძლისი გახდა. მე გეძებდი, და კვლავ გიხილე. მაგრამ ვაი უბედურებავ! ორჯერ რომ გნახე, ათასჯერ ნახვა მომინდა, მარად შენი ცქერა მეწადა. და განა კაცი თავს შეიკავებს ამ ჯოჯოხეთურ დამართზე? — ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. იმ ძაფის მეორე ბოლო, რომელიც დემონმა ერთი წვერით ჩემს ფრთებს მიამაგრა, შენს ფეხებს მიაბა. შენსავით ქუჩებში ხეტიალსა და წაწალს მოვყევი. ფარულ კარებში გელოდებოდი, ქუჩების კუთხიდან გხვერავდი, ჩემი მაღალი კოშკიდან გითვალთვალებდი. ყოველ საღამო კიდე უფრო მოხიბლული, კიდე უფრო სასოწარკვეთილი, მოჯადოებული და დამარცხებული ვბრუნდებოდი.

ვიცოდი, ვინც იყავი, მეგვიპტელი, ბოშა ქალი, გიტანა, ცინგარა, განა შეიძლებოდა დაეჭვება ჯადოსნობაში? მისმინე. მე იმედი მქონდა, სასამართლო პროცესი მომხსნიდა ჯადოს, გრძნეულებას მომამოშორებდა. ერთმა ჯადოქალმა ბრუნო დასტი მოხიბლა. მან ქალი დააწვევინა და განიკურნა. ეს ვიცოდი. მინდოდა ეს საშუალებაც მესინჯა. ჯერ ვცადე, ამეკრძალა შენი გამოჩენა ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭესთან, იმ იმედით, რომ დაგივიწყებდი, თუ აღარ მოხვიდოდი. მაგრამ შენ არად ჩაადე. მაინც მოხვედი. შემდეგ, აზრად დამებადა შენი მოტაცება, ერთ ღამეს ესეც ვცადე. ჩვენ ორნი ვიყავით, კიდევაც შეგიპყარი, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდა ის ბილწი ოფიცერი და გაგათავისუფლა. იქიდან დაიწყო ჩვენი უბედურება, შენიც, ჩემიც და მისიც. ბოლოს, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მეღონა. სასულიერო სასამართლოში გამხილე.

ასე მეგონა ბრუნო დასტივით მეც განვიკურნებოდი. ბუნდოვნად იმასაც ვფიქრობდი, რომ სასამართლო პროცესი შენს თავს მე ჩამაბარებდა, საპატიმროში ჩემს ხელთ იქნებოდი, ჩემი გახდებოდი, იქიდან ველარ გამექცეოდი; საკმაოდ დიდხანს ფლობდი ჩემს გულსა და გონებას, ახლა ჩემი ჯერია, რომ დაგეუფლო. როდესაც ბოროტებას იდენ, იგი ბოლომდე უნდა მიიყვანო. უგუნურებაა საზარელ საქმეში შუა გზაზე შეჩერება. უკიდურეს დანაშაულში შმაგი სიხარულია. მღვდელსა და ჯადოქალს შეუძლიათ სიამით დასტკბენ საპატიმროში ჩალის კონახე.

ამრიგად. მე დაგასმინე. სწორედ მაშინ იყო, რომ გაშინებდი, სადაც მხედებოდი. შეთქმულება, რომელსაც შენს წინააღმდეგ ვაწყობდი, გრიგალი, რომელსაც თავზე დასატეხად გიმზადებდი, მექარასა და შემოხედვაში იხატებოდა. მაგრამ მაინც ვყოყმანობდი. ჩემს გეგმას საშინელი მხარეები ჰქონდა და ამიტომ უკან ვიხვევდი.

იქნებ ხელიც ამელო ამ გეგმაზე, იქნებ ჩემი საზიზღარი აზრი ჩემსავე ტვინში ჩამეკვდარიყო, დაშრეტილიყო ისე, რომ ნაყოფი არ გამოეღო. მეგონა, მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული ამ სასამართლო პროცესის გაგრძელება თუ შეწყვეტა. მაგრამ ყოველი ცუდი აზრი შეუწყნარებელია და განხორციელებას მოითხოვს. მაგრამ იქაც. სადაც თავი ყოვლის შემძლე მეგონა, ბედისწერა ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. ვაი, რომ ამ ბედისწერამ შეგაიპყრო შენ და იმ საზარელი მანქანის ბორბლებში ჩაგაგდო, რომელიც მზაკვრულად მე განგიმზადე! — მისმინე. დასასრულს ეუახლოვდები.

ერთ დღეს — ისეთსავე მშვენიერ მზიან დღეს — დავინახე, ჩემს წინ ერთმა კაცმა ჩაიარა, შენი სახელი წარმოთქვა, თან იცინოდა და თვალეში ავხორცი ყინი უთამაშებდა. წყველა და კრულვა! მას ავედევნე. დანარჩენი, რაც შემდეგ მოხდა, შენც იცი.

იგი დადუმდა.

ახალგაზრდა ქალმა სხვა სიტყვა ვერა ნახა, მხოლოდ ესლა წარმოთქვა:

— ო, ჩემო ფეხუს!

— ნუ ამბობ მაგ სახელს! — თქვა მღვდელმა და ხელი მკლავზე ღონივრად მოუჭირა. — მაგ სახელს ნუ წარმოთქვამ. ჰოი, რა უბედურები ვართ! ამ სახელმა დაგვლუბა ყველა! ანუ, უფრო სწორად, ჩვენ ყველამ ერთმანეთი დაეღუპეთ ბედისწერის აუხსნელი თამაშის გამო! — შენ იტანჯები, ხომ ასეა? შენ გცივა, ღამემ თვალეში გამოგიღამა, ირგვლივ ციხის კედლები წამოგდგომია, მაგრამ იქნებ შენი სულის სიღრმეში კიდევ კიაფობს ნათელი რამე; დე თუნდაც შენი ბავშვური სიყვარული იმ ფუქსავატი კაცის მიმართ, რომელმაც სათამაშოდ გაიხადა შენი გული! მე კი, ჩემს გულში ვატარებ ციხეს! თვით ჩემში სუფევს ზამთარი, ყინვა, უიმედობა! ჩემს სულში ღამემ დაისადგურა!

იცი კი, რა ტანჯვა გამოვიარე? მე ვესწრებოდი სასამართლო პროცესს. მე ვიჯექი სკამზე სასულიერო მოსამართლეებთან ერთად. დიახ, მღვდელთა ერთ-ერთი თავწამოსახურის ქვეშ ცოდვილი სული იგრჩებოდა. როდესაც მოგიყვანეს, მე იქ ვიყავი. როდესაც დაგკითხეს, მაშინაც იქ ვიყავი. — მკლის ბუნავია! — იგი ჩემი დანაშაული იყო, ჩემი საბრჩობელა; ვხედავდი, როგორ ისახებოდა

იგი შენს თავზე. თვითეული მოწმის. თვითეული საბუთის გამოჩენას, დამცველის თვითეულ სიტყვას თვალყურს ვადევნებდი. მე შემეძლო დამეთვალა ყოველი შენი ნაბიჯი ამ სევდიან გზაზე. მე ვიყავი იქ აგრეთვე მაშინაც, როცა ის მძვინვარე მხეცი... ოჰ! მე წამებას არ მოველოდი! მისმინე. მე გამოგყევი წამების ოთახშიც. ვნახე ტანთ როგორ გაგხადეს, როგორ გკიდებდა სანახევროდ გახდილს ჯალათი თავის უწმინდურ ხელებს. მე ვიხილე შენი ფეხი; მთელ სახელმწიფოს მიცემელი მართო ამ ფეხის კოცნაში და მერე თუნდაც მოგმკვდარიყავი. ეს ფეხი თავზე რომ დაგედგა და გაგესრისე, უდიდეს სიამეს მომანიჭებდი, მე კი ვნახე როგორ მოამწყვდიეს იგი საშინელ „ესპანურ ჩექმაში“, რომელიც ცოცხალი არსების კიდურებს სისხლიან ტალახად აქცევს. ოჰ! უბედურო! ამას რომ ვუყურებდი, სუდარის ქვეშ ხანჯლით მკერდს ვიფატრავდი. შენს პირველ შეკვივლებაზე, ხანჯალი სხეულში დავირტყი, მეორე შეკვივლებაზე გულს ვავიპობდი! შემხედე, მგონია, ახლაც მდის სისხლი.

ანაფორა გადაიხსნა, მკერდი მართლაც დასერილი ჰქონდა, თითქოს ვეფხვს ქვანგებით დაუტორნიაო, ხოლო გვერდით საკმაოდ განიერ ჭრილობას ჯერ კიდევ ხეირიანად არ ჰქონდა პირი შეკრული.

შეძრწუნებულმა პატიმარმა ქალმა უკან დაიხია.

— ოჰ! ქალიშვილო, შემიბრალებ, — უთხრა მღვდელმა. — შენ უბედურად მიგაჩნია შენი თავი! ვაი მე! ვაი მე! შენ არ იცი, რა არის უბედურება. ოჰ! ქალი გიყვარდეს! მღვდელი იყო! საძულველი იყო! გიყვარდეს გამზაგებით, მთელი შენი არსებით, გრძნობდე, რომ მის სულ მცირე ღიმილში მისცემდი საკუთარ სისხლს, სულსა და გულს, სახელს, დიდებას, კეთილდღეობას, უკვდავებას, მარადისობას, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას. სწუხდე, ნანობდე, რომ არ ხარ მეფე, გენიოსი. იმპერატორი, მთავარანგელოზი, ღმერთი, რომ მის ფერხით დაამხო ყველაზე დიდი მთნა; დღე და ღამ თავს ევლებოდე მას სიზმარსა თუ ფიქრებში, და ხედავდე, რომ ის ჯარისკაცის ტანსაცმელს ეტრფის! შენ კი სამაგიეროდ არაფერი შეგეძლოს შესთავაზო, გარდა მღვდლის ბინძური ანაფორისა, რაც მასში მხოლოდ შიშსა და ზიზღს იწვევს! შური და სიშმაგე გახრჩობდეს და მოწმე იყო იმისა, თუ როგორ ფლანგავს იგი თავისი სიყვარულისა და სილამაზის საუნჯეს ვიღაც ბილწ, ბაქია და სულელ არამზადაზე! ხედავდე იმას, თუ ეს სხეული. რომლის ფორმები ასე გწვავს და გბუგავს, ეს მკერდი, ესოდენ ტკბილი, ეს ტანი, როგორ თრთის და წითლდება სხვის კოცნაზე. ჰოი, ზეცაო! გიყვარდეს მისი ფეხი, მისი მკლავი, მისი მხრები, ფიქრობდე, ოცნებობდე მის ცისფერ ძარღვებზე; მის შავგრემან კანზე, მთელი ღამე სენაკის

ქვის ფილაქანზე ტკივილებისაგან იკლავებოდე, იწურებოდე. — და ხედავდე, რომ მთელი შენი ალერსი, მისთვის რომ ფიქრობდი მიგეძღვნა, ბოლოს წამებად გადაუქციე! მხოლოდ ის მოახერხე, ტყავის სარეცელზე დააწვინე! ოჰ! ჭეშმარიტად ეს ჯოჯოხეთის ცეცხლზე გავარვარებული მარწუხებია! ბედნიერია, ვისაც ორად ხერხავენ ანდა ცხენებით ოთხად გლეჯენ! — იცი შენ ტანჯვა, რომელსაც ღამეების განმავლობაში განიცდის კაცი, როცა ძარღვებში სისხლი დუღს. გული გახეთქვაზე, თავი გისკდება, კბილებით ხელებს ღრღნი, როცა ეს შმაგი ჯალათები, ვითარცა გავარვარებულ რიკულზე, შეუჩერებლივ შამფურივით 'გატრიალებენ, სიყვარულის ფიქრით. ეკვითა და სასაწარკვეთილებით გადაავენ! ქალიშვილო, შემობრალე! ერთი წუთით სული მაინც მომათქმევიანე! ცოტაოდენი ნაცარი მაინც დააყარე ამ გავარვარებულ ნაკვერჩხალს! გვედრები, ოფლი მაინც შემიმშრალე შუბლზე, წურწურით რომ ჩამომდის მსხვილ წვეთებად! ბავშვო, მაწამე ერთი ხელით, ოღონდ მეორით მომიალერსე! შემობრალე, შემიცოდე, ყმაწვილო ქალო! მოიღე ჩემზე მოწყალება!

მღვდელი გუბეჩამდგარ ფილაქანზე გორაობდა და თავს ქვის საფეხურების კუთხეებს ურტყამდა. ქალიშვილი კი უსმენდა და უყურებდა.

როდესაც მოქანცული და აქაქანებული მამაკაცი გაჩუმდა, ქალმა დაბალი ხმით გაიმეორა:

— ო, ჩემო ფებუს!

მღვდელი მუხლებით მიცოცდა ქალთან.

— გვედრები, — შესძახა მან, — თუ გული გაქვს, ხელს ნუ მკრავ! ოჰ, მე მიყვარხარ! განწირული ვარ! როდესაც ამ სახელს ამბობ, უბედურო, ასე მგონია, შენი კბილებით ჩემი გულის ყოველ ძარღვს ფლეთავ! მოიღე მოწყალება! ჯოჯოხეთში რომ შეხვიდე, იქ შემოგყვები. საამისოდ ყველაფერი ჩავიდინე. ის ჯოჯოხეთი, სადაც შენ იქნები, ჩემთვის სამოთხეა. შენი სახე ღეთის ხატებაზე უფრო წარბტაცია! ოჰ, თქვი, არ გინდივარ? იმ დღეს, როდესაც ქალი ხელს ჰკრავს ამგვარ სიყვარულს, ასე მგონია, მთები შეიძვრებიან. ოჰ! შენ რომ გსურდეს! ოჰ! რა ბედნიერი ვიქნებოდით! გავიქცეთ! მე გაგაქცევ. წავიდეთ რომელიმე მხარეს, დედამიწაზე ისეთ ადგილს მოვძებნით, სადაც მზე მეტია, ხე უფრო ბევრია, ცა უფრო ლურჯია. ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი, სულს სულში ჩავაქსოვთ, და ერთმანეთის ჩაუქრობელ წყურვილს დავიცხრობთ ერთად და უსვენებლივ სიყვარულის ამოუშრეტელი ფიალიდან.

ქალმა საზარელი და მკვეთრი სიცილით შეაწყვეტინა.

— დახედეთ, მამაო ჩემო! ფრჩხილებს ქვეშ სისხლი გაქვთ.

მღვდელი რამდენიმე წამს გაქვავებულივით შეჩერდა, თვალი თავის ხელებს დააშტერა.

— შერე რა, დე ასე იყოს! — უცნაური ტკბილი კილოთი უპასუხა მან ბოლოს, — მომაყენე შეურაცხყოფა, დამცინე, მამხილე, მაგრამ წამოდი, წავიდეთ, ავჩქარდეთ! გეუბნები, ხვალ სახარხობელა მოგელის გრევის მოედანზე, იცი შენ ეს? იგი ყოველთვის გამზადებულია. საშინელია! დაგინახო, როგორ წავიყვანენ ფორნით! ოჰ! შემობრალე, შემოწყალე! — არასოდეს ასე არ მიგრძენია შენდამი სიყვარული. ახლა ვხედავ, თუ რაოდენ მყვარებიხარ. ოჰ, გამომყევი! შენ შემდეგ შემოიყვარებ, როცა გადაგარჩენ. დე თუნდაც გძულდე, რამდენ ხანსაც გნებაეს. ოღონდ გამომყევი. ხვალ! ხვალ! სახარხობელა! შენი სიკვდილით დასჯაა! ოჰ, იხსენი თავი! მეც შემინდე!

მკლავზე ხელი შოპკიდა, თავი აღარ ახსოვდა, ძალით წაყვანა სურდა.

ქალმა გაშტერებული თვალი მამაკაცს მიაპყრო.

— რა დაემართა ჩემს ფეხუსს?

— აჰ! — თქვა მღვდელმა და მკლავზე ხელი შეუშვა, — თქვენ შეუბრალებელი ხართ!

— რა დაემართა ფეხუსს? — ცივად გაუმეორა ქალმა.

— მოკვდა! — იყვირა მღვდელმა.

— მოკვდა? — თქვა ქალმა ისევ ცივად და უსიცოცხლოდ. — მაშინ სიცოცხლეზე რაღად მელაპარაკებით!

კაცი აღარ უსმენდა.

— ჰო! დიას! — თქვა მან ჩურჩულით, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, — ის უნდა მომკვდარიყო. ხანჯლის წვერი ღრმად წავიდა. ვფიქრობ, გულს შეეხო. ოჰ! მე თვითონ ამ ხანჯლის წვერზე ვცოცხლობდი!

ახალგაზრდა ქალი გამძვინვარებული ძუ ვეფხვივით ეძგერა კაცსა და ზებუნებრივი ძალით კიბის საფეხურებზე მიაგდო.

— გამშორდი. ურჩხულო! გამეცალე კაცისმკვლელო! სიკვდილი მინც დამანებე! დაე ჩვენ ორივეს სისხლი საუკუნო ლაქად დააჩნდეს მაგ შენ შუბლს! შენი გავხდე, ხუცესო? არასოდეს! არასოდეს! არაფერი ჩვენ არ შეგვაერთებს, თვით ჯოჯოხეთიც კი! წადი, წყეულო, გამშორდი! არასოდეს!

მღვდელმა კიბეზე წაიბოროძიკა. ჩუმად გაითავისუფლა ფეხები თავისი კიბის ნაკეცებისაგან, ხელი დაავლო ლიფლიფას და დინჯად

იწყო კარისკენ მიმავალ საფეხურებზე ასვლა. კარი გააღო და გავიდა.

ახალგაზრდა ქალმა უცბად დაინახა, რომ მღვდლის თავი ისევე გამოჩნდა. საშინელი გამომეტყველება ჰქონდა. გაცოფებისა და სასოწარკვეთილებისაგან ხმაგახრინწულმა ჩამოსძახა:

— გეუბნები, მოკვდა!

ქალი პირქვე დაემხო მიწაზე; და აღარავითარი ხმა აღარ ისმოდა საპყრობილეში, გარდა ღამის წყვდიადში გუბებზე წკაპაწყკუპით დაცემული წყლის წვეთების გმინვა-ოხვრისა.

V

დ ე დ ა

არა მგონია ქვეყნად იმაზე უფრო საამო და სასიხარულო იყოს რამე, ვიდრე ბავშვის პაწია მაშის დანახვაზე დედის გულში აღძრული გრძნობა. მეტადრე თუ იგი სადღესასწაულო, საკვირაო, ნათლობის მაშიაა, ლანჩამდე მოქარგული მაშია, რომლითაც ბავშვს ჯერ კიდევ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ეს მაშია იმდენად პაწიაა, იმდენად კოხტა, სასიარულოდ იმდენად გამოუსადეგი, დედას ასე ჰგონია, როცა მას ხედავს, თვით ბავშვს უცქერს. უღიმის, კოცნის, ესაუბრება. იგი თავის თავს ეკითხება, ნუთუ მართლა შეიძლება არსებობდეს ასეთი პატარა ფეხი. და, საკმარისია, როცა მასთან ბავშვი არ არის, შეხედოს ამ ლამაზ მაშას, თვალწინ დაუდგეს პაწაწინა, ნაზი ქმნილება. დედას ეჩვენება, რომ იგი ცოცხლად უყურებს მას, მხიარულს, მოცინარს, უცქერს მის სათუთ ხელებს, მრგვალ თავს, მის უმანკო ბავს, მოცისფერო გარსიან ნათელ თვალებს. თუ ზამთარია, იგი სახლშია, ხალიჩაზე. დაცოცავს, ბეჯითად აბობლდება ტაბურეტზე, დედას შიშით აკანკალებს, ცეცხლს არ მიუხანლოვდეს. თუ ზაფხულია, ეზოში ან ბაღში დაფორთხავს, გლეჯს ქვაფენილებს შორის ამოსულ ბალახებს, გულუბრყვილოდ შეჰყურებს უშიშრად დიდ ძაღლებს, დიდ ცხენებს. თამაშობს ნიჟარებით, ყვავილებით და აჯავრებს მებღელს, რადგან ყვავილთა კვლებში ქვიშას ნახულობს, ხოლო ხეივანსა და ბილიკებში მიწას. მის ირგვლივ ყველაფერი იცინის, ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი თამაშობს, როგორც თვითონ ის. თვით სიო და მზის სხივები გასწრებაზე გეუმჯეურად ცელქობენ მისი თმის კულულებში. ყოველივე ეს თვალწინ უდგება დედას მაშის დანახვაზე და როგორც ცვილი ცეცხლზე, ისე უდნება გული.

მაგრამ როდესაც დედას ბავშვი ეკარგება, მაშინ ეს ათასობით მხიარული, მომხიბლავი ნაზი სურათი, ამ პაწია მაშინას რომ გარს ახტევია, საშინელი ტანჯვის წყაროდ იქცევა. ლამაზი მოქარგული მაშინ გახდება წამების იარაღი, რომელიც სამუდამოდ ამსხვრევს დედის გულს. ამ გულში მუდამ ერთი ძარღვი თრთის, ყველაზე ღრმად ჩამარხული, ყველაზე მგრძობობიარე. მაგრამ ამ ძარღვს, ამ გულის სიმს ანგელოზი კი არ არხევს ნაზად, მას დემონი წიწკნის.

ერთ დღიას, როდესაც მაისის მზე მუქ ლურჯ ცაზე ამოცურდა,—ასეთ ფონზე უყვარდა გაროფალოს! თავისი „ჯვარცმოდან ჩამოხსნის“ ხატვა,—როლანდის კოშკის განდეგილმა გრევის მოედანზე თვლების ხმაური, ცხენის ფლოქვების თქარა-თქური და რკინის ქლარუნე გაიგონა. ამან არც თუ ძალიან გააკვირვა იგი, თმები ყურებში დაიკო, რათა ხმაური არ გაეგონა, და მუხლებზე დაჩოქილმა იმ უსულო საგანს დაუწყვო ცქერა, რომელსაც აგერ თხუთშეტი წელია თაყვანს სცემს. ეს პატარა მაშინა, როგორც უკვე ვთქვით, მისთვის მთელი სამყარო იყო. მისი ფიქრი ამ მაშინაში იყო ჩაეტილი და სიკვდილის მეტი ვერაფერი გამოიხსნიდა. მხოლოდ როლანდის კოშკის მოლუშულმა საკანმა იცოდა რამდენი მწარე წყევლა-კრულვა, ამაღლეებელი ოხვრა-ჩივილი, ქეთინი და ლოცვა-ვედრება აღუვლენია ზეცის მიმართ ამ უქმი, მაგრამ მომხიბლავი ვარდისფერი ატლასის პაწია ნივთის გამო. არასოდეს ესოდენი სასოწარკვეთილება არ გადმოფრქვეულა ეგზომ ლამაზ და კეკლუც საგანზე.

იმ დღიას მისი მწუხარება კიდევ უფრო მძაფრი ჩანდა; ვიდრე ჩვეულებრივ. ხმამაღალი და ერთ კილოზე გაბმული მოთქმა გარეთ ადამიანს გულს უგმირავდა.

—ო ჩემო გოგონა!—მოთქვამდა იგი,—ჩემო ქალიშვილო! ჩემო საბრალო ძვირფასო, პაწია ბავშვო! ვეღარ გიხილავ. ყველაფერი გათავდა! ასე მგონია, გულში მოხდა! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! უკეთესი იყო არ მოგედღვნა იგი ჩემთვის, თუ ისევ ასე მალე წამართმევდი. განა არ უწყი, რომ ბავშვი ჩვენს გულ-ღვიძლს ეკიდება, და ბავშვის დამკარგავ დედას ღმერთი აღარ ეწამება? —აჰ, მე უბედური, რატომ გამოვედი იმ დღეს შინიდან! — უფალო! უფალო! შვილი წამართვი და ნუთუ არასოდეს არ გინახივარ მასთან ერთად, როდესაც ჩემს მხიარულ გოგონას ვითბობდი კერაზე; როდესაც ძუძუს წოვდა და თან მიციროდა, როდესაც გულზე დაგიწყობდი მის პაწაწინა ფეხებს და ტუჩებთან მითამაშებდა? ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს რომ გენახა, შემობრალეზბდი, დაინდობდი ჩემს სიხარულს, ჩემს ბედნიერებას, არ წამართმევდი ჩემს გულში დარჩენილ ერთად-

ერთ სიყვარულს! ნუთუ ეგრე მოძულეებული ქმნილება ვიყავი, უფალო, ისე დამსაჯე. ერთხელ არ ინებე შემოხედვა? — ვაი! ვაი! აი მაშია, ფეხი სადღაა? სად არის დანარჩენი, სად არის ბავშვი? ჩემო გოგონა, ჩემო ქალიშვილო! რა გიქნეს? უფალო, დამიბრუნე! თხუთმეტი წელია მუხლები გადამიტყავდა, დამეფუფხა შენს ვედრებაში, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს საკმარისი არ არის? დამიბრუნე, უფალო, იგი, ერთი დღით, ერთი საათით, ერთი წუთით, ერთი წუთით! უფალო! და მერე თუნდაც სამარადისოდ მიმეცი დემონსი ოპ, რომ ვიცოდე სად სუფევს შენი კვართის კალთა, ორივე ხელს შემოვხვევდი და შეგვედრებოდი, დაგებრუნებინა ჩემი შვილი! აი მისი პაწაწა მაშია, ნუთუ იგი არ გებრალება? უფალო! როგორ შეგეძლო თხუთმეტი წელს სატანჯველად განგეწირე საბრალოდეა? გულმოწყალო ღვთისმშობელო, უბიწო დედაო ღვთისა, ზეციერო მფარველო, დამიბრუნე ასული ჩემი. ბავშვი ჩემი — იესო, იგი მომტაცეს, მომპარეს, მანანით მოფენილ მინდორზე შექამეს, მისი სისხლი დალიეს, ძვლები გამოხრეს, ქალწულო მარიამ, შემობრალე! ჩემი ასული! მე მინდა ვნახო ჩემი გოგონა! მე რას მშველის, თუ ის სამოთხეშია! არ მინდა თქვენი ანგელოზი, მე მინდა ჩემი შვილი! მე ძუ ლომი ვარ და ჩემი ლომის ბოკვერი მინდა! — ოპ! მიწაზე ვიგორავებ, შუბლით ქვას გავხეთქავ. ჩემს თავს შევაჩვენებ, და შენც დაგწყევლი, უფალო, თუ ჩემს შვილს არ დამიბრუნებ! კარგად ხედავ, მკლავები დაკბენილი მაქვს, უფალო! განა კეთილი ღმერთი შეუბრალებელია? მარილისა და შავი პურის მეტს ნურათფერს მომაწვდით, ოღონდ კი ჩემთან იყოს ჩემი გოგონა, ოღონდ მზესავით მათობოდეს! ვაი! ღმერთო, უფალო ჩემო, მე ერთი სულმდაბლი ცოდვილი ვინმე ვარ; მაგრამ ჩემმა ასულმა დამიბრუნა ღვთისნიერება. მისი სიყვარულის გამო რწმენით აღვივსე. მის სიცილეში შენ გპერეტდი, თითქოს ცა იხსნებოდა ჩემს წინაშე. — ოპ, ერთხელ მაინც, მხოლოდ ერთხელ რომ შევძლებდე მის პაწაწა ლამაზ ვარდისფერ ფეხს ჩავაცუვა ეს მაშია, მაშინ შენს ლოცვა-პურთხევაში დავლევდი სულს, უბიწო ქალწულო მარიამ! — აჰ, თხუთმეტი წელი გავიდა, ეხლა ის დიდი იქნებოდა! — უბედური ბავშვი! როგორ, ნუთუ მართლა ვერასოდეს ველარ ვნახავ მას. თვით ზეცაშიც კი! მე ხომ იქ ვერასოდეს ვერ ავაღ. ოპ! რა უბედურებაა! მხოლოდ ამ მაშობას უყურებდე და მეტს ვერათფერს!

უბედური ქალი მაშობას ეცა, მისი ნუგეშისა და სასოწარკვეთილების წყაროს ამდენი წლების მანძილზე, და ქვითინმა შესძრა თელი მისი არსება ისე. როგორც პირველ დღეს. რადგან შვილიშ დამკარგავი დედისათვის მუდამ პირველი დაკარგვის დღეა. ასეთი

სევდა არ ბერდება. გლოვის თაღნი სამოსელი ცვდება და ხუნდება.
გული კი ისევ თაღებშია.

ამ დროს საკანის წინ გავლილი ბავშვების წკრიალა და მხიარული ხმები გაისმა. ყოველთვის, როცა კი ბავშვებს თვალს ან მათ ხმას ყურს მოჰკრავდა, საბრალო დედა თავისი აკლდამის ყველაზე ბნელ კუთხეს მიაშურებდა, თითქოს ცდილობდა ქვეშეში ღრმად ჩაემალა თავი, რათა მათი ხმა არ გაეგონა. ამჯერად, პირიქით, უეცრად წამოიჭრა და გაფაციცებით დაუგდო ყური. ერთ-ერთმა პატარა ბიჭმა თქვა:

— იმიტომ, რომ დღეს ბოშა ქალს ჩამოახრჩობენ.

სწორედ ისეთივე მოულოდნელი ნახტომით, ჩვენ რომ ვნახეთ, ობობა როგორ ეცემა ხოლმე აბლაბუდაში გაბმულ ბუზს, განდევნილი ქალი საჩემელთან მიიჭრა. როგორც ვიცით, საჩემელი გრევის მოედანს გაჰყურებდა. მართლაც მუდმივ სახრჩობელაზე კიბე იყო მიყუდებული, და ჯალათი წვიმისაგან დაეანგულ ჯაჭვებს ასწორებდა. ირგვლივ რამდენიმე უსაქმური კაცი იდგა.

მოციხნარე ბავშვების ჯგუფი უკვე შორს იყო. ძაძიანი თვალით ეძებდა ვინმე გამვლელს, რომ ეკითხა. თავისი საკანის გვერდით შენიშნა ძღვედელი, რომელსაც თავი ისე ეჭირა, ვითომც საჯარო ლოცვანს კითხულობდა, მაგრამ იგი იმდენად რკინის გისოსს შიგნით საწიგნეზე მდებარე „ქურთხევანს“ როდი უყურებდა, რამდენადაც სახრჩობელას, რომელსაც დროდადრო გახედავდა მოღუშული და მკაცრი თვალით. განდევნილმა ქალმა იცნო არქიდიაკონი ჟოზასელი, წმინდა კაცი.

— მამაო ჩემო, — ჰკითხა მან, — ვინ უნდა ჩამოახრჩონ?

მღვდელმა შეხედა და არა უპასუხა რა, ქალმა კითხვა გაუმეორა. მაშინ ხუცესმა უპასუხა:

— არ ვიცი.

— აქ ბავშვებმა გაიარეს და თქვეს, ბოშა ქალიო, — განაგრძო დაყუდებულმა ქალმა.

— მგონია, კი, — უთხრა მღვდელმა.

მაშინ პაექტა ლა შანტფლერიმ აფთარივით გადაიხარხარა.

— დაო ჩემო, — უთხრა არქიდიაკონმა, — როგორც ჩანს, თქვენ ძალიან გძულთ ბოშა ქალები?

— და მერე როგორ მძულს! — შესძახა დაყუდებულმა. — ისინი მაქციები არიან, ბავშვთა ქურდები. მათ შესანსლეს ჩემი პატარა გოგონა. ჩემი შვილი, ჩემი ერთადერთი ბავშვი! მე გული აღარ მაქვს. მათ შეჭამეს იგი!

ის სახარელი შესახელი იყო. მღვდელი ცივად შეჰყურებდა.

— მეტადრე ერთი მძულს მათ შორის ყველაზე უფრო მეტად, ის მე დავეწყველე, — განაგრძო განდევნილმა ქალმა. — იგი ახალგაზრდაა, სწორედ იმ ხნისა, რაც ჩემი ქალიშვილი იქნებოდა. მის დედას რომ არ შეეკამა ჩემი გოგონა. ყოველთვის. როცა კი ის ახალგაზრდა ქრელი გველი ჩემი საკანის წინ გაივლის, სისხლს მიფორიაქებს.

— ჰოდა, რაღა გინდა, დაო ჩემო, გაიხარეთ! — უთხრა აკლამის ძეგლივით გაყინულმა მღვდელმა, — სწორედ მას ნახავთ ჩამოხრჩობილს.

მღვდელს თავი მკერდზე ჩამოუვარდა, და ნელი ნაბიჯით იქაურობას განშორდა.

დაყუდებული ქალი სიხარულით ხელებს იმტვრევდა.

— სწორედ მას ვუწინასწარმეტყველებდი, რომ სახრჩობელაზე ავიდოდა! გმადლობთ, მღვდლო! — მიამახა მან.

და დიდი ნაბიჯებით იწყო სეირნობა თავისი სასმენი საკმლის ცხაურის წინ; გშმაგებული და თვალანთებული კედლებს მხრებით აწყდებოდა. ისეთი იერი ჰქონდა, როგორც გალიაში დამწყვდეულ მტაცებელ ნადირს, დიდი ხნის დამშეულ ძუ შგელს, რომელსაც კვების საათის მოახლოება უგრძენია.

VI

სამი სხვადასხვაგვარად შექმნილი გული მამაპაცისა

მაგრამ ფებუსი არ მომკვდარა. ამგვარი ადამიანები გაიძლენი არიან. როდესაც ფილიპ ლელიემ, მეფის საგანგებო პროკურორმა საბრალო ესმერალდას უთხრა: „იგი კვდებაო“, ან შეცდომით იყო ნათქვამი ან იხუმრა. როდესაც არქიდიაკონმა მსჯავრდადებულს გაუმეორა: „მოკვდაო“, ნამდვილად მან არაფერი იცოდა, ფიქრობდა, ვარაუდობდა, არ ეჭვობდა, იმედი ჰქონდა, რომ მოკვდებოდა. მისთვის ძალიან ძნელი იყო თავის მეტოქეზე კარგი ამბავი შეეტყობინებინა იმ ქალისათვის, ვინც მას უყვარდა. ყოველი მამაკაცი მის ადგილზე ასე მოიქცეოდა.

თუმცა ფებუსს მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მაგრამ არც იმდენად, რამდენსაც არქიდიაკონი იმედოვნებდა. სამეფო დოსტაქარი, ვისაც დამის შზირებმა პირველ წუთებშივე მიუყვანეს კაპიტანი, რვა დღეს შიშობდა მისი სიცოცხლის გამო და ეს გარე-

2
მოება ლათინურადაც კი მოახსენა ფებუსს. მაგრამ ახალგაზრდობამ მაინც თავისი გაიტანა. როგორც ხშირად ხდება. მიუხედავად დიანოსტიკისა და წინასწარმეტყველებისა, ბუნებამ გართობა ინება, და ავადმყოფი გადარჩა ექიმის გასაბიაბრებლად. ფილიპ ლელიემ და სასულიერო სასამართლოს გამოძიებელმა პირველი დაკითხვა სწორედ მაშინ მოუწყეს, როდესაც ბატონ დოსტაქარის სარეცელზე იწვა, და ძალიან მოაბეზრეს თავი. ამიტომ ერთ მშვენიერ დილას, ცოტა უკეთ რომ იგრძნო თავი, წამლების საფასურში მეაფთიაქეს თავისი ოქროს დეზები დაუტოვა და გაიპარა. თუმცა ამ გარემოებას არავითარი არეუ-ღარევა არ შეუტანია საქმის გამოძიებაში. მაშინდელი მართლმსაჯულება ძალიან ნაკლებ ზრუნავდა სისხლის სამართლის დავაში სიცხადესა და გარკვეულობაზე. ოღონდ კი ბრალდებული ჩამოეხრჩოთ, — აი რა იყო მათი საზრუნავი. გარდა ამისა, მოსამართლეებს საკმაო მამხილებელი საბუთები ჰქონდათ ხელთ ესმერალდას წინააღმდეგ. მათ იფიქრეს, ფებუსი მოკვდაო, მორჩა და გათავდა.

თავის მხრივ ფებუსი არც თუ ისე შორს გაქცეულა. ის პირდაპირ შეუერთდა თავის ასეულს, კე-ან-ბრიში, ილ-დე-ფრანსში მდგომ გარნიზონს პარიზიდან რამდენიმე საფოსტო სადგურის მანძილზე.

ბოლოს და ბოლოს მას სულაც არ ნებავედა სასამართლოს წინაშე პირადად წამდგარიყო და მისი პიროვნება ამ დავაში გარეულიყო. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. არსებითად თვითონაც არ იცოდა, რა ეფიქრა მთელ ამ საქმეზე. არამორწმუნე, მაგრამ ცრუმორწმუნე როგორც ყოველი ჯარისკაცი, ის მხოლოდ ჯარისკაცი იყო. ამიტომ როდესაც სცადა ამ თავგადასავალში გარკვევა, ეჭვი აღუძრა თხამ, ესმერალდასთან უცნაურმა შეხვედრამ, არა ნაკლებ უცნაურმა ხერხმა, რითაც ქალმა თავის სიყვარულს მიახვედრა იგი, აგრეთვე იმანაც, რომ ის ბოშა ქალი იყო, ბოლოს, ბერმა-მოჩენებამ. ამ ამბავში მან ჯადოსნობა უფრო მეტი დაინახა, ვიდრე სიყვარული. შესაძლებელია ის ქალი ჯადოქარი და თვით ეშმაკიც ბრძანდებოდა. ბოლოს, იქნებ ყოველივე ეს კომედია, ან მაშინდელი ენით თუ ვილაპარაკებთ, ფრიად უსიამოვნო მისტერია იყო, სადაც ძალიან მარცხიანი, ნაცემ-ნაბეგვი და სირცხვილნაჭამი გმირის როლი ითამაშა. კაპიტანი ძალიან დარცხვენილი იყო. იგი იმ სირცხვილს განიცდიდა, რომელიც ასე საუცხოოდ განსაზღვრა ჩვენმა ლაფონტენმა:

დარცხენილი როგორც მელა, დედალმა რომ დაატყვევა¹.

თუმცა იმედი ჰქონდა. ეს საქმე არ გახმაურდებოდა, მისი სახელი, რაკი თვითონ არ ეწერებოდა, მხოლოდ გაკვირით იქნებოდა ნახსენები, ყოველ შემთხვევაში ტურნელის სასამართლო დარბაზის კედლებს არ გასცდებოდა. ამაში არცა სცდებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა გაზეთი „სასამართლო უწყებანი“, და რადგან ისე ძნელად გავიდოდა კვირა, ყალბი ფულის მქრელი არ დაემდულრათ, ჯადოქარი არ ჩამოეხჩროთ. მწვალებელი არ დაეწვათ პარიზის რომელიმე ურიცხვ „თხემ-ადგილზე“, ხალხი ისე მიეჩვია ყოველ გზაჯვარედინზე შიშველ მკლავებიანსა და ხელებდაკაპიწებულ, მიხრწნილ, ფეოდალურ თემიდას¹, რომელიც თავის საქმეს აეთებდა საჯალათო კუნძებზე, სახრჩობელებსა და სამარცხვინო ბოძებზე, რომ თითქმის ყურადღებას აღარ აქცევდა. მალაღმა საზოგადოებამ იმ დროს ძლივს თუ იცოდა ქუჩის კუთხეში გატარებულ მსჯავრდადებულთა სახელები, ხოლო მდაბიო ხალხი ამ ტლანქი ტრაპეზით ტკებებოდა. სიკვდილით დასჯა ქუჩის ცხოვრების ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც მელღეზელეს ტაფა ან ტყავისმზდელის სასაკლაო. ჯალათი, ქონდაქარი იგივე ყასაბაა, ოღონდ უფრო დახელოვნებული.

ამრიგად, ფებუსმა საქმოდ მალე დაანება თავი ფიქრს გრძნეულ ქალ ესმერალდაზე, თუ სიმილარზე, როგორც ის ეძახოდა; სულ არ აინტერესებდა, ვინ დაარტყა ხანჯალი, ბოშა ქალმა თუ ბერ-მოჩენებამ, არც იმას ნაღვლობდა, რითი დამთავრდა სასამართლო პროცესი. მაგრამ როგორც კი ამ მხრივ გული მისი განათვისუფლდა, კვლავ გაჩნდა იქ ფლორ-დე-ლისის სახე. კაპიტან ფებუსის გულს ისე როგორც მაშინდელ ფიზიკას. სიცარიელისა ეშინოდა.

ამასთან კე-ან-ბრიში ყოფნა მქტისმეტად მოსაწყენი, უფერული და უგემური იყო. მკედლებითა და ხელდახეთქილი მენახირეებით დასახლებული ეს სოფელი ქოხებისა და ხუხულების გრძელ მწკრივს წარმოადგენდა და დიდი გზის ორივე მხარეს ნახევარლიეზე გაკიმულიყო; ერთი სიტყვით, იგი ნამდვილ „კულს“ მოგაგონებდათ.

ფლორ-დე-ლისი, მისი წინარეუკანასკნელი გატაცება, ლამაზი ქალიშვილი გახლდათ და თანაც მეტად სულისწამძლევი მზითევი ჰქონდა. ამრიგად, ერთ მშვენიერ დილას, სრულიად განკურნებული და დარწმუნებული, რომ ამ ორ თვეში ბოშა ქალის საქმე დამთავრებული და დავრწყებული იქნებოდა. გამიჯნურებული კავალერი, ცხენის ნავარდითა და თამაშ-თამაშით გონდლორიეს სახლის კარს მიაღდა.

მან ყურადღება არ მიაქცია პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის

მთავარკარის წინ მოედანზე მოგროვილ საკმაოდ მრავალრიცხოვან და აჩოჩოლებულ ბრბოს. მოაგონდა, რომ მაისის თვე იყო და იფიქრა, ალბათ, პროცესიაა, სამებობა ან სხვა რომელიმე დღესასწაულიო. ცხენი ფარულკარის რგოლს მიაბა და მხიარულად აირბინა თავის მშვენიერ საცოლესთან.

ქალიშვილი თავის დედასთან ერთად მარტო ბრძანდებოდა.

ფლორ-დე-ლისს გულზე მუდამ ლოდივით ედო ჯადოქარის, მისი თხისა და წყეული ანბანის სცენა, ასევე ის, რომ ფებუსი ამდენ ხანს არ გამოჩენილა. მაგრამ როდესაც თავისი კაპიტანი შეშლისული დაინახა, მისი სახე, გამომეტყველება ისეთი ლამაზი ეჩვენა, მისი დალიანდაგებული საგულე იმდენად ახალი, სამხარბლოე ყაწიმი იმდენად ელვარე და იერი იმდენად ვნებიანი, რომ სიამოვნებისაგან გაწითლდა. კეთილშობილი ქალიშვილი თვითონაც კიდევ უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ოდესმე. დიდებული ოქროსფერი თმები მომხიბლავად დაეწნა. ტანთ ცისფერი კაბა ეცვა, რაც ასე ძალიან უხდებოდა თეთრ ქალებს, — ეს სიკეკლუტე კოლომბამ ასწავლა, — ხოლო თვალები სიყვარულის ნეტარებისაგან მიბნედილი ჰქონდა, რაც კიდევ უფრო აღამაზებს ქალებს.

ფებუსი, რომელსაც უკვე კარგა ხანია ლამაზი ქალები აღარ ენახა, გარდა კე-ან-ბრის სოფლელი გოგოებისა, ფლორ-დე-ლისის მშვენიერებამ დაათრო, გააბრუა; ამან კი ისეთი თავზიანობა და ზრდილობიანობა მიანიჭა ჩვენი ოფიცრის ქცევასა და თავდაქერას, რომ ზავი მათ შორის წამსვე ჩამოვარდა. თვით ქალბატონ გონდლორისაც კი, რომელიც თავის დიდ სავარძელში ჩამჯდარი იმავე დედური სიყვარულით შესცქეროდა მათ, ძალა არ ეყო ბუზღუნისათვის. რაც შეეხება ფლორ-დე-ლისს, მისი საყვედურები ნაზ ლუღუნში ჩაინაცლა.

ახალგაზრდა ქალი ფანჯარასთან იჯდა და ისევ თავის ნეპტუნის მღვიმეს ქარგავდა. კაპიტანი მისი სკამის ზურგს დაეყრდნო. ქალიშვილი დაბალი ხმით ალერსით ტუქსავდა:

— რა დაგემართათ, სად იყავით მთელ ამ ორ თვეს, ბოროტო?

— გეფიცებით, — უპასუქა ცოტა არ იყოს ამ კითხვით შეწუხებულმა ფებუსმა, — თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, არქივისკოპოსს თავბრუს დაახვევთ.

ქალმა ღიმილი ველარ შეიკავა.

— კარგი, კარგი, ბატონო, ჩემს სილამაზეს თავი დაანებეთ, მართალია, ლამაზი ვარ! ჩემს კითხვაზე მიპასუხეთ!

— კეთილი! ძვირფასო კუზინა! გარნიზონმა გამომიძახა.

— საით, გეთაყვა. თუ შეიძლება გვითხრათ? ანდა რატომ არ მობრძანდით გამოსამშვიდობებლად?

— კე-ან-ბრიში.

ფებუსი ალტაცებული იყო, რომ პირველი კითხვა საშუალებას აძლევდა თავი დაეღწია მეორე კითხვისათვის.

-- მაგრამ ის ხომ სულ ახლოს არის, ბატონო. ერთხელ მაინც როგორ არ მობრძანდით ჩემს სანახავად?

აქ ფებუსს მართლა გაუძნელდა პასუხის გაცემა.

— საქმე ის არის... მოგეხსენებათ, სამსახური რა არის... გარდა ამისა, ჩემო მშვენიერო კუზინა, ავად ვიყავი.

— ავად? — გაიმეორა შეშინებულმა ქალმა.

— დიახ... დაჭრილი ვიყავი.

— დაჭრილიო?

საბრალო ქალიშვილი შეძრწუნდა.

— ოჰ! ნუ შეშფოთდებით, — თქვა დაუდევრად ფებუსმა. -- მაკლენი არაფერია! ჩხუბი, კინკლაობა, დაშნის ჩაცემა. თქვენ რას გეხებათ ეს?

— რას მეხებაო? — შესძახა ფლორ-დე-ლისმა და ცრემლით საესე თვალები მიაპყრო. — ოჰ, თქვენ იმას არ ამბობთ, რასაც ფიქრობთ. რა დაშნის ჩაცემაზე ლაპარაკობთ? ყველაფერი მინდა ვიკოდე.

— იცით რა, ჩემო მშვენიერო, მე წავეჩხუბე მე ფედის. იცნობო? სენ-ეერმენ-ან-ლეიელ ლეიტენანტს, ერთმანეთს ცოტა რამ კანი გაკვეწლეთ. სულ ეს არის.

მატყუარა კაპიტანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ღირსების საქმე მამაკაცს ყოველთვის ამალგებს ქალის თვალში. მართლაც, ფლორ-დე-ლისი შიშის, სიამოვნებისა და ალტაცებისაგან აღლევებული სახეში შეჰყურებდა მას. მაგრამ ქალი მაინც მთლად ვერ დამშვიდდა.

— ოღონდ თქვენ სრულიად ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, ჩემო ფებუს! — უთხრა მან. — მე ვერ ვიცნობ მაგ თქვენს მე ფედის, მაგრამ იგი საძაგელი კაცი ყოფილა. რაზე იჩხუბეთ?

ფებუსი არ გამოირჩეოდა მაინცდამაინც დიდი წარმოსახვის უნარით, ამიტომ აქ აღარ იცოდა თავი როგორ დაეძვრინა თავისივე საგმირო საქმისათვის.

— ოჰ! განა მე კი ვიცი?.. არაფერზე, ცხენზე, სიტყვის გამო. მშვენიერო კუზინა, — შესძახა მან იმისათვის, რომ საუბრის თემა შეეცვალა. — ეს რა ხმაურია კარიბჭის ფორზე?

და სარკმელთან მივიდა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, რამდენი ხალხია მოედანზე, მშვენიერო კუზინა!

— არ ვიცი, — თქვა ფლორ-დე-ლისმა, — მგონია. ვილაც ჯადოქალმა ამ დილას საქვეყნოდ უნდა მოინანიოს ტაძრის წინ. რის შემდეგაც ჩამოახრჩობენ.

კაპიტანი იმდენად დარწმუნებული იყო, ესმერალდას საქმე უკვე დამთავრებული იქნებოდა, ფლორ-დე-ლისის სიტყვებს არ აუღელვებია. მაგრამ ერთი-ორი კითხვა მაინც დაუსვა:

— რა ჰქვია იმ ჯადოქალს?

— არ ვიცი, — უპასუხა ქალმა.

— მერე და რას ამბობენ, რა ჩაუდენიაო?

ქალმა თეთრი მხრები კელავ აიჩიჩა.

— არც ეგ ვიცი.

— ოჰ! უფალო იესო! — თქვა დედამ, — ახლა იმდენად გახშირდნენ ჯადოქრები, მგონია, მათი სახელებიც არ იციან, ისე სწვავენ. ეგ იგივე იქნებოდა, კაცმა რომ ცაში ყოველი ღრუბლის სახელის გაგება მოისურვოს. მაგრამ შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ყოვლად კეთილი ღმერთი მათ აღნუსხავს.

აქ პატივცემული ქალბატონი წამოდგა და სარკმელთან მივიდა.

— უფალო! — თქვა მან, — თქვენ მართალი ბრძანდებით. ფეხებს. — შეხედეთ, რა ბევრი ხალხია, ბრბო აჩოჩქოლებული. ღმერთო აკურთხე! ზოგი სახურავებზე ასულა. — იცით, ფეხებს, ეს მაგონებს ჩემი ახალგაზრდობის ხანას, შარლ მეშვიდის მობრძანებას, როცა ასევე მთელმა ქვეყანამ მოიყარა თავი. — აღარ მახსოვს, რომელ წელიწადს იყო. — როდესაც ამას გიაშობთ, — ხომ მართალია? — თქვენ იგი ძველთაძველ ამბავად გეჩვენებათ, ჩემთვის კი ჩემი ახალგაზრდობაა. — ოჰ! მაშინ ხალხი უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ახლა. ხალხი სენ-ანტუანის ჭიშკრის კოშკის ქონგურებზეც კი იყვნენ. მეფის უკან ცხენის გავაზე დედოფალი იჯდა, ხოლო მათ აღმატებულებას მოსდევდა ყველა სეფექალი, რომლებიც ცხენის გავაზე თავთავიანთი სენიორების უკან ისხდნენ. მახსოვს, რა სიცილხარხარი იყო იმის გამო, რომ ამანიონ დე გარლანდის, ძალიან მოკლე, დაბალი ტანის კაცის გვერდით მოდიოდა ბატონი მატფელონი, ბუმბერაზი რაინდი, რომელმაც ინგლისელები ხროვა-ხროვა ქლიტა. დიდებული სანახაობა იყო. მთელი საფრანგეთის კეთილშობილთა პროცესია თავიანთი თვალისმომჭრელი ალისფერი დროშებით. ზოგს რაინდის ალაში ჰქონდა, ზოგს კი ბაირალები. განა ყველა მახსოვს? სირ დე კალანს რაინდის ალაში ეჭირა, უან დე შატომორანს — ბაირადი; სირ დე კუსის — დროშა, ისეთი მდიდრულად მოქარგული ქსოვილი სხვას არავის ჰქონდა, ჰერცოგ ბურბონელის გარდა. — ვაგლახ! რა სევდის აღმძვრელი ფიქრი იმაზე,

რომ ყოველივე ეს ოდესღაც იყო, არსებობდა და ახლა მისგან აღარაფერი დარჩა.

შეყვარებულთა წყვილი პატივცემულ ქვრივს ყურს არ უგდებდა. ფებუსი კვლავ საცოლის სკამის ზურგს დაეყრდნო, ეს მომხიბლავი ადგილი იყო, აქედან მისი გარყვნილი თვალი ფლორ-დე-ლისის საყელოს ქვეშ ყველა ქუქრუტანაში იჭვრიტებოდა. ქალის ყელსახვევიც ისე დროზე გადაიხსნა, ისეთი მშვენიერი სანახაობა გადაიფურჩქნა მის თვალთა წინაშე და გულისხმაში ჩააგდო, რომ მისი ატლასისებური კანის გამონაშუქისაგან თვალაპრელებულმა ფებუსმა თავის თავს უთხრა: — როგორ შეიძლება თეთრი ქალის გარდასხვა ქალი შეიყვარო?

ორივე სდუმდა. დროდადრო ახალგაზრდა ქალი აღტაცებულ და ალერსიან თვალებს მიაპყრობდა ვაჟს, თავს ასწევდა და მაშინ მათი თმები ერთმანეთში აირეოდა გაზაფხულის მზის სხივებზე.

— ფებუს, — მიმართა უცბად ფლორ-დე-ლისმა დაბალი ხმით, — ჩვენ სამ თვეში ჯვარს დავიწერთ, შემომფიცეთ, რომ ჩემს მეტი არასოდეს სხვა ქალი არ გყვარებიან.

— გეფიცებით, მშვენიერო ანგელოზო! — უპასუხა ფებუსმა, — მისი თვალების ვნებიანობა აძლიერებდა ფლორ-დე-ლისის რწმენას მისი სიტყვების გულწრფელობაში. შესაძლებელია, იმ წუთს ვაჟი თვითონაც ასე ფიქრობდა.

ამასობაში დანიშნულთა სრული თანხმობით მოხიბლული კეთილი დედა ოთახიდან გავიდა საოჯახო წვრილმანების მოსაგვარებლად. ფებუსმა ეს შეამჩნია და ქალთან მარტო დარჩენამ ისე გააგულისა ყოჩალი კაპიტანი, რომ თავში მეტად უცნაური აზრები შეუჟდა. ფლორ-დე-ლისის იგი უყვარდა. ის მისი დანიშნული იყო. ისინი მარტო იყვნენ. უწინდელი ნდომა ქალისა მას კვლავ გაეღვიძა, თუ მთელი თავისი სიახლით არა, მთელი თავისი სიფიცხითა და ვნებიანობით. ბოლოს, დიდი დანაშაული როდია, საკუთარ ყანაში ჯერ კიდევ შემოუსვლელი პური იგემო ცოტა. არ ვიცი, ასეთი აზრები მოუვიდა თავში თუ არა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ფლორ-დე-ლისს უცბად შეეშინდა მისი თვალების გამომეტყველებაზე. ქალმა მიიხედ-მოიხედა, დედამისი აღარ ჩანდა.

— ღმერთო ჩემო! — თქვა გაწითლებულმა და შეწუხებულმა ქალმა, — ძალიან მცხელა!

— ვფიქრობ, მართლაც შორს არ არის შუადღე. — უპასუხა ფებუსმა. — მზე შემაწუხებელია. ფარდები ჩამოეღუშვათ.

— არა, არა, — შესძახა საბრალო ქალმა, — პირიქით, სუფთა ჰაერი მჭირდება.

და იმ ფურირემის მსგავსად, რომელმაც ძაღლების ხროვის მოახლოება იგრძნო, წამოხტა, სარკმლიან კართან მიიბრინა, გააღო და აივანზე გავარდა.

საკმაოდ განაწყენებული ფეხუსი მას მიჰყვა.

ღვთისმშობლის კარიბჭის ფორი, რომელსაც, როგორც ვიცით, გადმოჰყურებდა აივანი, ამ წუთს ავბედით და იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა, რამაც უკვე მძაფრად და სხვა მხრივ შეაშინა მოკრძალებული ფლორ-დე-ლისი.

მართალი რომ ვთქვათ, მთელი მოედანი უამრავი ხალხით იყო გაქედლილი, ყველა მოსაზღვრე ქუჩა გადავსებული იყო. კარიბჭის ირგვლივ შემოვლებული პატარა გადასაყრდნობი კედელი ბრბოს ვერ შეაჯავებდა, მის წინ რომ არ მდგარიყვნენ მიჯრით ორად ჩამწყრივებული, ქალაქის გუშაგთა სერჟანტები და სიათებით შეიარაღებული მსროლელები. ამ შუბებისა და პატრუქიანი თოფების მესერის წყალობით კარიბჭე ცარიელი იყო. შესავალს იცავდნენ ეპისკოპოსის აფთით შეიარაღებული უამრავი ჯარისკაცები. ეკლესიის ფართო კარები დაკეტილი იყო, რაც სრულ კონტრასტს წარმოადგენდა თვით თავხემდემთლიანად გაღებული ურიცხვი სარკმელებისა, რომლებიც მოედანს გადმოჰყურებდნენ. ამ სარკმელებში ათასობით გამოყოფილი თავები ისე მოჩანდნენ როგორც ყუმბარების გროვა საარტილერიო პარკში.

ამ აჩოჩქოლებული ბრბოს ზედაპირი რუხი, ქუჩყიანი და მიწისფერი იყო. ცხადია, მოსალოდნელი სანახაობა მოწონებას ჰპოვებდა მხოლოდ მოსახლეობის ნაძირალებში. საზიზღრად ხმაურობდნენ ყვითელ თავსახვევიანი და ტურტლიანი, ხშირთმიანი ადამიანები. ამ ბრბოში ყვირილზე უფრო მეტად სიცილი ისმოდა და მამაკაცებზე უფრო მეტი ქალები იყვნენ.

დრო და დრო ვინმეს მკვეთრი და მთრთოლვარე ხმა გაჰკვეთდა საერთო ხმაურს.

— ჰეი, ოჰე! მაიე ბალიფრო! აქვე ჩამოჰკიდებენ?

— ჩერჩეტო! აქ პერანგისამარა საქვეყნოდ მოინანიებს! გულმონწყალე ღმერთი ლათინურს სახეში შეახველებს. ეს ყოველთვის აქა სრულდება შუადღისას. სახრჩობელაც თუ გნებავს, გრევის მოედანზე მიბრძანდი.

— მერე წავალ.

— მითხარით, დეიდა ბუჟამბრი, მართალია მაგ გოგომ აღმსარებელზე უარი თქვაო?

— მგონია ეგრეა, დეიდა ბეშენ.

— შეხედეთ ერთი მაგ წარმართსა!

— ასეთია ადათი, ბატონო. მართლმსაჯულების სასახლის მოსამართლემ. მსჯავრდადებული ბოროტმოქმედი სიკვდილით დასაჯელად. თუ ერისაგანია, უნდა ჩააბაროს პარიზის პრევესს; თუ სასულიერო წოდებისაა — საეპისკოპოსო სასულიერო სასამართლოს უხუცესს.

— მაღლობას მოვახსენებთ, ბატონო!

— ოჰ! ღმერთო ჩემო! — თქვა ფლორ-დე-ლისმა. — საბრალო ქმნილება!

ამ ფიქრით შეპყრობილმა მწუხარებით საკვებ თვალები ბრბოს მიმოავლო. კაპიტანი, რომელიც ბევრად უფრო მეტად თავის საცოლეს ალერსით იყო გართული, ვიდრე ამ მდაბიო ხალხის ხროვის ცქერით, სიყვარულით სრესდა უკანიდან ქალის კაბის სარტყელს.

— გთხოვთ, ნუ მომეკარებით, ფებუს. დედა რომ შემოვიდეს, თქვენს ხელს შეამჩნევს.

ამ დროს ღვთისმშობლის ტაძრის კოშკზე საათმა შუადღის თორმეტი დარეკა, კმაყოფილების ჩურჩული გაისმა ხალხში. ის იყო მეთორმეტე რეკვის უკანასკნელი ხმა ძლივს მიყუჩდა, ყველას თავი ისე შეიარხა, როგორც ქარისაგან მონაბერი ტალღები. მოედანზე, ფანჯარებსა და სახურავეებზე უსაზღვრო ყვირილი ატეხეს:

— „აგერ ისიც!“

ფლორ-დე-ლისმა თვალებზე ხელები მიიფარა, რომ არ დაენახა.

— ჩემო მშვენიერო, გნებავთ ოთახში დავბრუნდეთ? — ჰკითხა ფებუსმა.

— არა, — უპასუხა ქალმა და შიშით დახუჭული თვალები ცნობისმოყვარეობის გამო ისევ გაახილა.

ორთვლიანი ფორანი, რომელშიც ღონიერი ნორმანდული შუაცხენი ება და რომელიც იისფერსამოსიანი და მკერდზე თეთრჯვრიანი ცხენოსნებით იყო გარშემორტყმული, სენ-პიერ-ო-ბეფის ქუჩით მოედანზე გამოვიდა. ღამის გუშაგთა ათისთავეები მაგარი წკეპლების ცემით ხალხში გზას იკვლევდნენ. ფორნის გვერდით ცხენზე ამხედრებულნი მოსდევდნენ სასულიერო სასამართლოს რამდენიმე თანამდებობის პირი და პოლიციის მოხელენი, რომელთაც ადვილად იცნობდით შავი ტანსაცმლითა და იმით, რომ უნაგირებზე უხერხულად ისხდნენ. წინ მიუძღოდათ მეტრ ჟაკ შარმოლიუ.

საბედისწერო ეტლში. ზურგზე ხელებგაქრული ახალგაზრდა ქალიშვილი იჯდა. გვერდით მოძღვარი არ ახლდა. პერანგის ამარა იყო, გრძელი შავი თმები უწესრიგოდ ჩამოშლიდა ნახევრად შიშველ მხრებსა და გულ-მკერდზე (მაშინდელი წესით თმები მხოლოდ სახრჩობელის ძირში უნდა შეექრათ).

ყორნის ფრთასავით ელვარე ხშირ ტალღოვან თმაში მოჩანდა მაგრად გაჭერილი სქელი და ხორკლიანი რუხი თოკი, რომელიც ხეხავდა, კანს უყვლევდა ნაზ ლავიწებს. და საბრალო გოგონას მომხიბლავ ყელს ისე შემოხვეოდა ირგვლივ როგორც ჭიაყელა ყვა-ვილს. ამ თოკს ქვეშ ბრწყინავდა მწვანე შუშის მძივებით შემკული ავგაროზი, რომელიც უთუოდ იმიტომ დაუტოვეს, რომ სასიკვდილოდ განწირულს ამისთანა რამეში უარს აღარ ეუბნებიათ. ფანჯრებიდან მაყურებლებს შეეძლოთ შეემჩნიათ ფორნის სიღრმეში, როგორ ცდილობდა საბრალო, შიშველი ფეხები შეეკეცა და დაემალნა ქალური ინსტინქტის კარნახით. მის ფეხებთან ფეხგაქრული ეგდო მისი პატარა თხა. მსჯავრდადებულს პერანგი კბილებით ეჭირა, რომ მხრებიდან არ ჩამოვარდნოდა. იტყოდით, ამ უბედურ ყოფაში საწყალს ისიც სტანჯავდა, რომ ასეთი ტანსაცმლით თითქმის სანახევროდ შიშველს მთელი ქვეყანა მიშტერებოდა ცნობისმოყვარე თვალებით. ვაი რომ ამგვარი ძრწოლისთვის არ არის გაჩენილი უმანკოება!

— უფალო იესო! — უთხრა უეცრად ფლორ-დე-ლისმა კაპიტანს, — ერთი შეხედვით, ძვირფასო კუზენ, ეგ ის საძაგელი ბოშა ქალია თავისი თხით!

• ეს რომ თქვა, ფებუსს მიუბრუნდა. კაპიტანს თვალები ფორნისთვის მიეშტერებინა. მთლად გაფითრებულყო.

— რომელი ბოშა ქალი, რომელი თხა? — წაილულღულა მან.

— როგორ, — მიუგო ფლორ-დე-ლისმა, — განა არ გახსოვთ? ფებუსმა შეაწყვეტინა.

— არ ვიცი, რას ლაპარაკობთ.

ვაეს ოთახში დაბრუნება ეწადა. მაგრამ ფლორ-დე-ლისმა, რომელსაც კვლავ გაეღვიძა ამავე ბოშა გოგონას მიერ ამასწინათ ეგრე ცოცხლად აღძრული ექვი. გამჭრიახი თვალი უნდობლად დაადგა მას. ამ წუთს ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ამ ჯადოქალის პროცესის დროს ვილაც კაპიტანს ახსენებდნენ.

— რა დაგემართათ? — უთხრა ქალმა ფებუსს, — შეიძლება ადამიანმა იფიქროს, ამ ქალის დანახვამ შეგაქრთოთ.

ფებუსი შეეცადა ხუმრობაში გაეტარებინა:

— მე? სრულიადაც არა! აჰ! რატომ? საიდან-სადაო!

— მაშინ დარჩით, — უთხრა ქალმა მბრძანებლური კილოთი, — და ბოლომდე ვუყუროთ.

მეტი რა ძალა ჰქონდა მარცხგანცდილ კაპიტანს, უნდა დარჩენილიყო. თუმცა ცოტა ის მაინც ამშვიდებდა, რომ მსჯავრდადებულნი თვალს არ აცილებდა ფორნის ფსკერს. რა თქმა უნდა, ეს ნამდვილად ესმერალდა იყო. შერცხვენისა და უბედურების ამ უკანასკნელ მიჯნაზეც კი, ისევ ლამაზი იყო; დიდრონი შავი თვალები კიდევ უფრო მსხვილი მოუჩანდა იმის გამო, რომ სიგამხდრისაგან ლაწვები ჩასცივებოდა, მისი ფერმერთალი პროფილი წმინდა და დიადი იყო. იგი თავის თავს, ადრინდელ ესმერალდას ისე ჰგავდა, როგორც მაზაჩოს ღვთისმშობელი რაფაელის ღვთისმშობელს ჰგავს! — ოღონდ უფრო სუსტი, უფრო ნაზი, უფრო გამხდარა.

გარდა მორცხვობისა მის არსებაში ყველაფერი როგორღაც ქანაობდა, მერყეობდა; მხოლოდ ის არ სტოვებდა, ყველა სხვა გრძობა მიჩლუნგებულიყო, იმდენად გატეხილიყო გაოგნებისა და სასოწარკვეთილებისაგან. ფორნის ჯაყჯაყზე მისი სხეული ისე ინჯდრეოდა, თითქოს მკედარი, უსიცოცხლო ან გატეხილი ნივთი დებულიყოს. გამოხედვა მოღუშული და გიჟური ჰქონდა. თვალში კიდევ შენიშნავდით უძრავ, თითქოს, გაყინულ ცრემლს.

ამასობაში პირქუშმა ცხენოსანთა ჯგუფმა ხალხში გაიარა. ბრბო მხიარული შეძახილებითა და ცნობისმოყვარეობით ხედებოდა. მაგრამ, როგორც ერთგულმა ისტორიკოსმა, უნდა ვთქვათ: რა ნახეს იგი, ეგზომ ლამაზი და ესოდენ დაჩაგრული, მწუხარებისაგან გათანგული, ბევრს თანაგრძნობითა და სიბრალულით გული აუჩუყდა, მათ შორის გულქვა ადამიანებსაც კი.

ფორანი კარიბჭის ფორზე გამოვიდა.

შუა მთავარკარის წინ გაჩერდა. ბადრაგი ორივე მხარეს საბრძოლო წესით ჩამწკრივდა. ბრბო მიჩუმდა, ამ საზეიმო და მწუხარე მღუმარების ქაშს დიდი კარების ორივე ფთა თითქოს თავისთავად შემოტრიალდა სტვირივით აჭრიალებულ კოჭაკებზე. მაშინ ყველამ დაინახა მთელი თავისი სიღრმით ბნელი ეკლესიის შინამო, თალხგადაკრული, ძლივს განათებული რამდენიმე წმინდა სანთლით, რომლებიც შორს, მთავარ საკურთხეველზე ციმციმებდნენ; გაღებულ მღვიმის ხახას ჰგავდა მოედანზე დაღვრილ თვალისმოშვებულ შუქში. სიღრმეში, თაღედის სიბნელეში ბუნდად მოჩანდა ვერცხლის უზარმაზარი ჯვარი თალიდან ფილაქანამდე ჩამოშვებული შავი მალედის ფონზე. მთელი ნეფი ცარიელი იყო. მხოლოდ ბუნდოვნად იძვროდა რამდენიმე მღვდლის თავი ხორის შორეულ სკამებზე. იმ წუთს, როდესაც დიდი კარები გაიღო, ეკლესიიდან იგრილა მძი-

მე, საზეიმო, მკექარე და მონიტორუმა სიმღერამ, რომელიც მსჯავრდადებულს თავზე ატეხდა ვითარცა ქარის ქროლვა პირქუში ფსალმუნის ნაწყვეტებს:

„...Non timebo millia populi circumdantis me. Exsurge, Domine; salvum me fac, Deus!

„...Salvum me fac, Deus, quoniam intraverunt aquæ usque ad animum meam.

„...Infixus sum in limo profundi; et non est substantia“ *.

ამავე დროს მეორე ხმა, გუნდისაგან განცალკევებით, მთავარი საკურთხეველის საფეხურზე მღეროდა სევდიან საბოძვართაშეწირვას:

— „Qui verbum meum audit, et creditei qui misit me, habet vitam æternam et in iudicium non venit; sed transit a morte in vitam“ **.

ეს თავიანთ წყვდიადში ჩანთქმული რამდენიმე მოხუცის შორეული სიმღერა იყო პანაშვიდი, სიკვდილის წირვა ახალგაზრდული ენერჯითა და სიცოცხლით სავსე მშვენიერი ქმნილების მიმართ, რომელსაც გაზაფხულის თბილი ჰაერი უაღერსებდა და მზე თავის სხივებში ახევედა.

ხალხი მოწიწებით უსმენდა.

შიშით შეპყრობილ უბედურ ქალიშვილს ასე ეგონა ცქერიტა და ფიქრებით ეკლესიის შიგნით ბნელ სიღრმეებში ჩაიკარგა. მისი გაფითრებული ტუჩები ნელა იძვროდნენ, თითქოს ლოცულობდა.

როდესაც ჯალათის ლაქია მიუახლოვდა, რათა ფორნიდან ჩამოსვლას დახმარებოდა, მან გაიგონა, როგორ გაიმეორა ქალმა დაბალი ხმით სიტყვა: „ფებუს“.

ხელები გაუხსნეს, დაბლა ჩამოიყვანეს; თხაც თან ახლდა. ისიც აუშვეს. განთავისუფლებული თხა მხიარული კიკინით მისდევდა პატრონს. ფეხშიშველი ქალი მქისე ქვაფენილზე გაატარეს, მთავარ-

* „...არა შეემშინოს მე ბუერეულისაგან ერისა, რომელთა ივა გარე-მომიცევეს მე. აღჰსდევ უფალო. მაცხოვნე მე, ღმერთო ჩემო! (ფსალმუნი 3, 6. 7).

„...მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი სულად ჩემდამდე... (ფსალმუნი 68, 1).

„...ღვინთქ მე უყსა უფსკრულისასა, და არა არს დათმენა“ (ფსალმუნი, 68, 2) [დასაყრდენი].

** რომელმან შეისმინოს სიტყვა ჩემი და ირწმუნოს იგი, ვინც წარმომგზავნა მე, საუკუნო ცხოვრება დაიძვიდროს და არა განასჯოს, არამედ სიკვდილიდან ცხოვრებაში შევიდეს (ლ ა თ).

კარის ქვემო საფეხურებამდე მიიყვანეს. კისერზე მობმული თოკი უკან მოსთრევედა, თითქოს გველი მისდევსო.

მაშინ ეკლესიაში სიმღერა შეწყდა. სიბნელეში დიდი ოქროს ჯვარი და სანთლების მწკრივი შეირხა. გაისმა ეკლესიის კრელ-კრელ ტანსაცმლიან მცველთა და მეკარეთა შუბნაჯახების წყარუნი, და რამდენიმე წუთის შემდეგ მსჯავრდადებულისა და ბრბოს თვალწინ გაიშალა ომფორიან მღვდელთა და კვართიან დიაკვანთა გრძელი პროცესია. რომელიც დინჯად, საზეიმო ნაბოჯითა და ფსალმუნთა გალობით მიემართებოდა სიკვდილმისჯილისაკენ. მაგრამ მხერა მისი შეჩერდა პროცესიის თავში მომავალ კაცზე, რომელიც უშუალოდ ზედ მოსდევდა ჯვრისმტვირთველს.

— ოჰ! — სრულიად დაბალი ხმით წარმოთქვა ქალმა და აკანკალდა, — ისევ ის არის, მღვდელი!

მართლაც ის არქიდიაკონი იყო. მარცხნივ მოსდევდა ტაძრის რეგენტის, ლოტბარის თანაშემწე, მარჯვნივ თვით რეგენტი-ლოტბარი, კვერთხით აღქურვილი. ხუცესი დაწინაურდა, თავი უკან ჰქონდა გადაწეული, თვალები ფართოდ გახელილი და მიშტერებულ; ძლიერი ხმით მღეროდა:

— „De ventre inferi clamavi, et exaudisti vocem meam,

„Et projecisti me in profundum in corde maris, et flumen circumdedit me*.

იმ წუთს, როდესაც იგი, შავჯვრიანი ვერცხლის სტავრით შემოსილი, შუა ცისმარე დღეს მაღალი ისრული მთავარკარის ქვეშ გამოჩნდა, ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ ხალხში ბევრმა გაიფიქრა პატრონიკეს აკლდამის ქვიდან ხომ არ წამოდგა მარმარილოსაგან გამოქანდაკებული რომელიმე მუხლთმოყრილი ეპისკოპოსი და აქეთ გამოეშურა, რათა სამარის ზღურბლთან შეხვედროდა იმას, ვინც უნდა მომკვდარიყო.

არა ნაკლებ ფერმკრთალმა და არა ნაკლებ ქანდაკებად ქცეულმა ბოშა ქალმა თითქმის ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაუდგეს ხელში ყვირთელი ცვილის ანთებული მძიმე სანთელი. იგი ყურს არ უგდებდა მეოქმის წყავწყავა ხმას, რომელიც საჯარო მონანიების საბედისწერო შინაარსს კითხულობდა. როდესაც უბრძანეს ეპასუხა „ამინ“, მანაც გაიმეორა „ამინ“. ერთგვარი სიცოცხლისა და ძალის დაბრუნება იგრძნო, როგორც კი დაინახა, რომ მღვდელმა გულშეგებს ანიშნა განზე გამდგარიყვნენ და მარტო გამოეშურა მისკენ.

* „წიალიდან ჯოჯოხეთისათა მოვისმე და ყურად-იღე ხმა ჩემი, და შთამაგ-ღე მე საღრმესა ზღვისასა, და მოქცევაჲ გარეშემომადგეს მე“.

მაშინ კი იგრძნო. რომ სისხლი თავში აუვარდა, და ამ უკვე გათოშილსა და გაციებულ სულში აღშფოთების უკანასკნელმა ნაპერწკალმა იფეთქა.

არქიდიაკონი დინჯად უახლოვდებოდა. ამ უკიდურეს მდგომარეობაშიც კი ქალმა დაინახა, როგორ მოავლო მღვდელმა თვალი მის ტიტველ სხეულს და როგორ ეღვარებდა მის გამოხედვაში ავხორცობა, შური, ეპევი და სურვილი. შემდეგ ხმამაღლა უთხრა:

— ქალიშვილო, შეევედრე თუ არა ღმერთს გააპტიოს შეცდომები და მანკიერებანი?

მერე ქალის ყურისაკენ გადაიხარა და დაუმატა (მაყურებლებს კი ეგონათ, უკანასკნელ აღსარებას იღებსო):

— გინდა ჩემი გახდე? კიდევ შემიძლია გადაგარჩინო ქალმა თვალი გაუშტერა:

— გამშორდი, დემონო! თორემ გაგამხელ!

მღვდელმა მწარედ გაიღიმა.

— არ დაგიჯერებენ. — დანაშაულს ახლა სირცხვილსაც ზედ დაუმატებ. — სწრაფად მიპასუხე! გინდა ჩემი გახდე?

— რა უყავი ჩემს ფეხებს?

— ის მკვდარია, — უთხრა მღვდელმა.

წამით უბედურმა არქიდიაკონმა თავი უნებურად მაღლა ასწია და მოედნის მეორე მხარეს, გონდლორიეს სახლის აივანზე ფლორდე-ლისის გვერდით მდგომი კაპიტანი დაინახა. შეტორტმანდა, ხელი თვალეზზე გადაისვა, კიდევ შეხედა, მერმე წყევლა-კრულვა და შეჩვენება ბუზღუნით ჩაიღუღუნა. სახის ნაკვთები მძაფრად დაეღმიჭა.

— მაშ მოკვდი! — თქვა მან კბილთა ღრქენით. — ნურავისი იქნები!

მაშინ ხელი აღმართა ბოშა ქალის თავზე და სამგლოვიარო ხმით შესძახა:

— *I nunc, anima anceps, et sit tibi Deus misericors!* *

ეს საზარელი ფორმულა იყო, რითაც ჩვეულებისამებრ მთავრდებოდა შავბნელი ცერემონიები. იგი მღვდლის პირობითი ნიშანი იყო ჯალათისადმი.

ხალხმა დაიჩოქა.

— *Kyrie, eleison!* ** — გალობით წარმოთქვეს მთავარკარის ისრულ თაღის ქვეშ დარჩენილმა მღვდლებმა.

* განვედ სულო ცოდვილო და ღმერთი იყოს შენი შემწყალე!

** უფალო შეიწყალე! (ბერძ).

— Kyrie, eleison! — გაიმეორა ხალხმა ყრუ დუდუნით, რამაც მათს თავებზე აღელვებული ზღვის ტალღების დგაფუნისვით გადა-
იარა.

— Amen!* — თქვა არქიდიაკონმა.

იგი მსჯავრდადებულისაკენ ზურგით შებრუნდა, თავი მკერდ-
ზე დაჰკიდა, ხელები გადაიჯვარედინა და მღვდელთა ამაღას ხელ-
ანლა შეუერთდა. ერთი წუთის შემდეგ დაინახეს, როგორ გაქრა
თავისი ჯვრით, სანთლებითა და სამოსელით კათედრალის მოღუშულ
თაღებს ქვეშ. მისი მოგუგუნე ხმა გუნდთან ერთად თანდათან მი-
უჩნდა მკმუნვარე ლექსის მიმღერებით:

— „Omnes gurgites tui et fluctus tui super me transierunt“**

ამავე დროს ტაძრის მცველთა აფთების რკინის ტარების ცვალებადი რაკუნის ნეფის სასვეტთაშორისო სივრცეებში ნელ-ნელა კვდებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს კოშკის საათის რეკვა უქანასკნელ ჟამს აუწყებდა სიკვდილმისჯილს.

ამასთან ღვთისმშობლის ტაძრის კარები ღია დარჩა და ამით გაყურებელს საშუალება ჰქონდა შეეხედა ღია, დაღვრემილ, თაღ-
ხიან და მწუხარე, უსინათლო და ხმაჩაკმენდილ მღუმარე ტაძარში.

მსჯავრდადებული უძრავად იდგა თავის ადგილზე და ელოდებოდა განკარგულებას. ერთმა არგანიანმა ქალზე ყურადღება მიაქცევინა მეტრ შარმოლიუსს, რომელიც მთელი ამ სცენის დროს მთავარკარის იმ ბარელიეფის შესწავლას შესდგომოდა, ერთთა აზრით აბრაამის მსხვერპლშეწირვას რომ გამოხატავდა, მეორეთა აზრით კი, აღქიმიკოსთა ოპერაციას ფილოსოფიურ ქვაზე, მზე წარმოსახულია ანგელოზის მიერ, ცეცხლი — ფიჩხის კონით, ხელოსანი — აბრაამის მიერ.

საკმაოდ ძნელი იყო ჩამოგეცილებინათ იგი ამ ჰერეტას, მაგრამ ბოლოს შემობრუნდა, და მის მიერ მიცემულ ნიშნის თანახმად ორი ყვითელტანსაცმლიანი კაცი, ჯალათის ლაქია, ბოშა ქალთან მივიდა, რომ ხელები კვლავ შეეკრათ.

შესაძლებლია, იმ წუთს, სანამ საბედისწერო ფორანზე ავიდოდა და თავის უქანასკნელ გზას დაადგებოდა, უბედური ქალიშვილი სიცოცხლის გამო სულის მტანჯველმა სინანულმა შეიპყრო. დაწითლებული და გამშრალი თვალებით შეხედა ცას, მზეს, აქა-იქ ცის ლურჯი ტრაპეციებითა და სამკუთხედებით დაფლეთილ ვერცხლის-

* ამინ!

** ყოველნი საქანელნი ცათანი შენნი განეხენეს და ზვირთნი შენნი გარდავ-
ლენ თავსა ჩემსა.

ფერ ღრუბლებს. შემდეგ ძირს დაიხედა თავის ირგვლივ, მიწაზე, ხალხსა და სახლებს შეხედა. — უცბად, როდესაც ყვითელტანსაკმლიანი კაცი იდაყვებს უგრეხდა, რომ ზურგზე ხელები გაეკრა, მას საშინელი კივილი, სიხარულის კივილი აღმოხდა. იქ, მოედნის კუთხეში, აივანზე, მან შეამჩნია იგი, თავისი მეგობარი, თავისი მბრძანებელი, ფებუსი, თავისი ცხოვრების მეორე ხილვა.

მოსამართლემ იცრუა! მღვდელმა იცრუა! სწორედ ის არის, ექვი არ ეპარება. ის იქ იდგა, მშვენიერი, ცოცხალი, ტანთ ბრწყინვალე სამოსელი ეცეა, თავზე ფრთა ჰქონდა, გვერდზე დაშნა ეკიდა.

— ფებუს! — იყვირა ქალმა, — ჩემო ფებუს!

სიყვარულისა და აღტაცებისაგან აკანკალებული მკლავები უნდოდა მისკენ გაეწოდა, მაგრამ უკვე შებოროტი იყო.

მაშინ კი დაინახა ბოშა გოგონამ, რომ კაპიტანმა წარბები შეიკრა, მის მკლავზე დაყრდნობილმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა ზიზლით ტუჩები ამრიზა და მრისხანე თვალებით შეხედა, მერე ფებუსმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რომლებმაც მის ყურამდე ვერ მიაღწია, შემდეგ კი ორივე აივნის შუშთან კარს იქით გაუჩინარდა. კარი მიიხურა.

— ფებუს, — იყვირა გონებადაკარგულმა, — უთუ შენც გჯერა?

საზარელმა აზრმა გაუელვა თავში. გაახსენდა, რომ ფებუს დე შატოპერის მკვლელობის გამო მიუსაჯეს სიკვდილი.

აქამდე ყველაფერს იტანდა. მაგრამ ეს უკანასკნელი ლახვარი მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა. იგი უგრძობლად დაეცა ქვაფენილზე და უძრავად ეგდო.

— აბა, ცოცხლად, — ბრძანა შარმოლიუმ, — აიყვანეთ ფორანზე და გავათაოთ!

აქამდე არაეის შეუმჩნეველ მთავარკარის ისრული კამარის ზედ თავზე გამოქანდაკებულ მეფეთა ძეგლების ტალანში უცნაური მაყურებელი, რომელიც მანამდე გულცივად აკვირდებოდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა, იმდენად უგრძობლად და უმოძრაოდ იყო გაჩერებული, ისე ჰქონდა კისერი წინ წაწვდილი და ისეთი მახინჯი სახის იყო, ნახევრად წითელი და ნახევრად იისფერი სასაცილო მორთულობა რომ არ სცმოდა, ყველა მიიჩნევდა ერთ-ერთ ქვის ურჩხულად, რომლის დაღებულ ხახიდან აგერ უკვე ექვსასი წელიწადია წყალს გადმომანთხევენ კათედრალის გრძელი დარბაზები. ამ მაყურებელს მხედველობიდან არ გამოორჩენია არაფერი, რაც კი ღეთისმშობლის ტაძრის წინ მოხდა შუადღის მერე. პირველი წამებიდანვე, ტალანის ერთ-ერთ სვეტს მაგრად გამოაბა სქელი კვანძო-

ღანი თოკი ისე, რომ მისი შენიშვნა თუ თვალყურის დევნება არავ-
საღიქრია; თოკის ერთი ბოლო კარიბჭის ბაქანზე მოსთრევედა.
ეს რომ გააკეთა, მშვიდად დაიწყო ცქერა და დროდადრო უსტვენ-
და, როდესაც შაში გაიფრენდა მის წინ.

სწორედ იმ წუთს, როდესაც ქონდაქარის ლაქიებმა დააპირეს
შარმოლიუს მიერ გულგრილად გაცემული ბრძანების შესრულება,
ეს კაცი უეცრად გადმოიჭრა ტალანის მოაჯირზე, ფეხებით, მუხ-
ლებითა და ხელებით თოკს ჩაეჭიდა, და მინაზე ჩამოცურებული
წვიმის წვეთივით ჩამოსრილდა ტაძრის ფასადზე. სახურავიდან
ჩამოვარდნილი კატის სისწრაფით მიიბრინა ორ ჯალათთან, თავი-
სი უშველებელი მუშტების დარტყმით ორივე მიწაზე დასცა, ცალი
ხელით, როგორც ბავშვი დედოფალას, ბოშა გოგონას დასწვდა,
თავს მალა აიტაცა, ტაძრისაკენ გააქანა და ერთი ნახტომით ეკლ-
სიაში გაჩნდა, თან საზარელი ხმით ღრიალებდა:

— თავშესაფარი!

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, დამე რომ ყოფილიყო, ერ-
თი გაეღვებაც საკმარისი იქნებოდა მის დასანახად.

— თავშესაფარი, თავშესაფარი! — გაიმეორა ხალხმა, და ათი
ათასი ხელის ტაშისცემამ სიხარულითა და სიამაყით აანთო კვაზი-
მოდოს ერთადერთი თვალი.

ამ მოულოდნელმა მოტაცებამ მსჯავრდადებული გონს მოიყვა-
ნა. ქუთუთოები ასწია, თვალები გაახილა, კვაზიმოდოს შეხედა,
შემდეგ ისევ უცბად დახუჭა, თითქოს თავისი მხსნელისა შეეშინ-
დაო.

შარმოლიუს, ჯალათებიც და მთელი ბადრაგიც განცვიფრები-
საგან ადგილზევე გაშეშდნენ, სახტად დარჩნენ. მართლაც ღვთის-
მშობლის ტაძრის კედლებში სიკვდილმისჯილი ხელშეუხებლად
ითვლებოდა. კათედრალი საიმედო თავშესაფარი იყო. მის ზღურბლ-
თან ყოველგვარი ადამიანური მართლმსაჯულება თავდებოდა.

კვაზიმოდო მთავარკარის კამარის ქვეშ შეჩერდა. მისი განიერი
ფეხები ეკლესიის ფილაქანზე მძიმე რომანული სვეტებივით მაგა-
რი და მკვრივი ჩანდა. დიდი, თმააბურძგნული, ბანჯგვლიანი თავი ისე
ღრმად ჩამძვრალიყო მხრებში, კისერი არ უჩანდა, როგორც ლომს
ფაფარის ქვეშ. კოყრიან ხელებში ათრთოლებული და მოლეღვი-
ლი ქალი, თეთრი ქსოვილივით ეჭირა; მაგრამ იმდენად ფრთხი-
ლად ეპყრობოდა, კაცს ეგონებოდა, ეშინოდა არ გამიტყდეს ან არ
დამეჭმუქნოსო. ეტყობოდა, გრძნობდა, რომ შეტად ნაზი, სათუთი,
მშვენიერი, ძვირფასი რაღაც ეპყრა, რაც მისი ხელებისათვის არ
იყო გაჩენილი. იყო წუთები, როცა არათუ უხეშ შეხებას, სუნთ-

ქვასაც ვერ უბედავდა. მერე, უცბად ხელები მოხვია, თავის კუთხოვან მკერდზე მიიკრა, როგორც თავისი საკუთრება. როგორც თავისი საუნჯე, განძი, როგორც დედამ—თავისი შვილი. გამოუთქმელი სინაზით, ალერსით, სევდითა და თანაგრძნობით სავსე თვალს ხან ქალისკენ ხრიდა, ხან ელვაჩამდგარს მალდა სწევდა. და მაშინ ქალები იცინოდნენ, ტიროდნენ, აღფრთოვანებული ბრბო ფეხებს აბრაზუნებდა. რადგან კვაზიმოდოს ამ წუთს ჭეშმარიტად თავისებური სილამაზე ჰქონდა. დიახ, ლამაზი იყო იგი, თბოლი, მიგდებული, ნაპოვნი ბავშვი, ათვალწუნებული. იგი თავს დიდებულად და ღონიერად გრძნობდა, სახეში უცქერდა საზოგადოებას, რომელმაც იგი გააძევა, მაგრამ რომლის საქმეში ასე ძალუმიად ჩაერია ის; სახეში უცქერდა ამ ადამიანურ მართლმსაჯულებას, რომელსაც ხელიდან გამოგლიჯა ნადავლი, ყველა ამ სისხლისმსმელ ვეფხვს, რომელთაც სხვა აღარა დარჩენოდათ რა, გარდა ფუჭი კბილთა ღრქენისა, ამ სარანგებს, ბოჭაულებს, მოსამართლეებს, ჯალათებს, მეფის მთელ ამ ძლიერებას, რომელიც მან, უმნიშვნელო კაცმა, არარაობამ ღვთის ძალით გატეხა.


ამასთან მეტად ამაღლევებული იყო ეგზომ მაზინჯი არსების, კვაზიმოდოს მხრივ მფარველობის აღმოჩენა ესოდენ უბედური არსების, სასიკვდილოდ განწირული ადამიანის გადასარჩენად. აქ ერთმანეთს შეხვდა ორი უაღრესად უბედური ადამიანი, ბუნებისა და საზოგადოებისაგან განწირული, და ურთიერთს დახმარების ხელი გაუწოდეს.

ამასობაში, რამდენიმე წუთის შემდეგ, გამარჯვებული და მოზეიმე კვაზიმოდო თავისი ტვირთით უეცრად ეკლესიაში გაუჩინარდა. ყოველგვარი შემართებისა და სიმამაცის მოყვარული ხალხი თვალით ეძებდა მას ბნელ ნეფში, ნანობდა, რომ ასე სწრაფად მიეფარა მათი ალტაცებისა და სიხარულის საგანი. უცბად კვლავ დაინახეს იგი, როცა საფრანგეთის მეფეთა გალერეის ბოლოში გამოჩნდა. გიჟივით სირბილით გადაჰრა ტალანი, ხელში აწეული მიაქანებდა თავის ნაალაფარს და თან ყვიროდა: — „თავშესაფარი!“ ხალხი კვლავ ტაშისცემით შეხვდა. ტალანი გაირბინა და ისევ ეკლესიის სიღრმეში ჩაინთქა. ერთი წუთის შემდეგ იგი ზემო ბაქანზე გამოჩნდა, ისევ გიჟივით გარბოდა, ხელში ბოშა ქალი ეჭირა და მაინც გაჰკიოდა: „თავშესაფარი!“ ხალხი კი ტაშს უკრავდა. ბოლოს, მესამედ დიდი ზარის კოშკის წვერზე გამოჩნდა. ეტყობოდა, იქიდან ის მთელ ქალაქს მდლიდურად უჩვენებდა იმას, ვინც იხსნა და გადაარჩინა. მგრგვინავი ხმით, რომელიც ასე იშვიათად ისმოდა და

რომელიც თვით მას არასოდეს გაეგონა, სამჯერ ისე გაშმაგებით იღრიალა. ღრუბლებსაც კი მისწვდებოდა:

— თავშესაფარი! თავშესაფარი! თავშესაფარი!

— დიდება! დიდება! — გაჰყვიროდა ხალხი თავის მხრივ, და ეს მძლავრი შეძახილი, სიხარულის ყიყინა და მისალმება მდინარის მეორე ნაპირს მისწვდა, გრევის მოედანზე შეკრებილი ბრბო და თვით დაყუდებული ქალიც კი განაცვიფრა, ის, ვისაც მარადღე, თვალი სახრჩობელასთვის მიეშტერებინა.



ქეცხრე

I

ციხე-ცხელვა



ლოდ ფროლო ლეთისმშობლის ტაძარში აღარ იყო, როდესაც მისმა შვილობილმა ასე უეცრად გაკვეთა საბედისწერო კვანძი, რომელიც უბედურმა არქილიაკონმა ბოშა ქალის ირგვლივ გასკვნა და რომელშიც თვითონაც მოპყვა. სამოსელსაცავეში რომ შევიდა,

თეთრი კვართი, ხირღა და ოლარი გაიძრო, განცვიფრებულ მსახურს ხელეში მიაყარა, ტაძრის ფარული კარიდან გაიპარა, მარჯვენა ნაპირის მენავეს უბრძანა სენის მარცხენა ნაპირზე გადაეყვანა. და უნივერსიტეტის უბნის ბორცვიან ქუჩებს გაუდგა, თავადაც არ უწყოდა, საით მიდიოდა. ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა მამაკაცთა და დედაკაცთა ჯგუფებს, რომლებიც მხიარულად მიეშურებოდნენ სენ-

მიშელის ხიდისაკენ, იმ იმედით, რომ „კიდევ დროზე მიუსწრებდნენ“ ჯადოქალის ჩამოხრჩობას. გაფითრებულს, გზადაკარგულს, ცთომილს, მეტისმეტად ამღვრეულსა და აღელვებულს, დაბრმავებულს, ველურსა და მიუყარებელს, ვითარცა შუადღისას ბავშვთა გუნდის მიერ დამფრთხალ და დევნილ ღამის ფრინველს, თვითონაც არ გაეგებოდა, სად იძყოფებოდა. ცხადში იყო თუ სიზმარში; ხან მიდიოდა, ხან მიბრბოდა, ხან შემთხვევით იცვლიდა გეზს, მიმართულებას არ ირჩევდა, ხან ერთ ქუჩაზე შეუხვევდა და ხან მეორეზე. მხოლოდ ერთი აზრი, ერთი ფიქრი უბიძგებდა წინ, ფიქრი გრევზე, საზარელ გრევის მოედანზე, რომელსაც მუდამ ბუნდად გრძნობდა თავის ზურგს უკან.

ასე ჩაუარა წმინდა ენევიევის ბორცვს და ბოლოს ქალაქიდან გავიდა სენ-ვიქტორის კიშკრით. მანამდე ირბინა, სანამ მობრუნებული კიდევ შესძლებდა დაენახა უნივერსიტეტის გალავნის კოშკები და გარეუბნის მიმოფანტული სახლები. მაგრამ როდესაც ნიადაგის ერთ უსწორმასწორო ადგილს მთლიანად ამოეფარა საძულველი პარიზი, როცა შეეძლო ეფიქრა, ქალაქიდან ას ლიეზე მაინც ვიმყოფებო, მინდვრებსა და უდაბურ ტრამალებში ჩანთქმული, მაშინ შეჩერდა, ეგონა, აქ მაინც მოითქვამდა სულს.

მაგრამ მისი გონება საზარელმა აზრებმა მოიცვა. თავის სულში ჩაიხედა და აკანკალდა. მისი ფიქრი დასტრიალებდა იმ უბედურ ქალწულს, ვინც ის დაღუპა და ვინც მან დაღუპა. თვალი მოავლო ორ დაკლავნილ გზას, რომელთა გავლა ბედისწერამ მათ ორს წილად არგუნა გადაკვეთის იმ წერტილამდე, სადაც ისინი ერთმანეთს ულმობლად შეაჯახა და დაამსხვრია. ის ფიქრობდა სამარადისო აღთქმათა უგუნურებაზე, უმანკოების, მეცნიერების, სარწმუნოების, სათნოების ამაოებაზე, ღვთის უსარგებლობაზე. გულითა და გატაცებით შეიქრა ამ საზარელ ფიქრებში და რაც უფრო ღრმად იძირებოდა, მით უფრო მეტად გრძნობდა, რომ მის სულში ჯოჯოხეთური ხარხარი ატყდა.

ამრიგად რომ გადაქექა და გადაჩხრიკა თავისი სული და დაინახა. თუ რა ფართო ასპარეზი განემზადებინა ბუნებას მასში ვნებებისათვის, კიდევ უფრო მწარედ და მჭირდავი სიცილით გაეცინა. გულის სიღრმიდან დასძრა მთელი მძულვარება, მთელი თავისი ბრაზი და გაბოროტება, და როგორც ექიმმა, რომელიც ავადმყოფს სინჯავს, მიუყვარძებელი თვალთ შეიცნო და გაიგო. რომ ეს სიძულვილი, ეს გაბოროტება, გააყება სხვა არა იყო რა, თუ არ წამხდარი, დამახინჯებული სიყვარული, რომ სიყვარული, ყველა ადამიანურ სათნოებათა და სიკეთეთა ეს წყარო, მღვდლის გულში საშინელე-

ბად იქცევა. ხოლო მისი ბუნების კაცი თუ მღვდელი გახდა, დემონად იქცევა. მაშინ საზარლად გაეცინა და უცბად გაფითრდა. რა განიხილა თავისი საბედისწერო ვენების ეს უაღრესად პირქუში მხარე, ეს ამომკმელო, შხამიანი, მძულვარე, უღმობელი და დაუნდობელი სიყვარული, რომელმაც ქალი სახრჩობელაზე აიყვანა, კაცი ჯოჯოხეთში ჩააგდო, ქალი სიკვდილით დასაჯა, კაცი შეაჩვენა.

მერე ისევ სიცილი აუტყდა, როდესაც გაიფიქრა, რომ ფებუსი ცოცხალია. მიუხედავად ყოველივესი, კაპიტანი მაინც ცოცხალია, მხიარული და კმაყოფილი, კიდევ უფრო ლამაზი სამოსელი აცვია, ვიდრე ოდესმე, ახალი საყვარელი გაუჩენია და მოუყვანია, რათა დაანახვოს როგორ ჩამოახრჩობენ წინანდელ სატრფოს. თავისი თავის ქირღვა და დაცინვა მით უფრო გაიორმაგა, როდესაც გაიფიქრა, რომ ყველა ცოცხალ არსებათაგან, ვისთვისაც კი მას სიკვდილი სურდა, სიკვდილი არ ასცდა მხოლოდ ბოშა ქალიშვილს, ერთადერთ ქმნილებას, ვინც მას არ სძულდა.

მაშინ ფიქრი კაპიტნიდან ხალხზე გადაიტანა და გაუგონარმა ექვიანობამ, შურმა შეიპყრო. იმაზე ფიქრობდა, რომ მთელმა ხალხმა მისი სათაყვანებელი და საყვარელი ქალი მარტო პერანგის ამბარა, თითქმის გაშიშვლებული იხილა. ხელებს იმტვრევდა, როცა ფიქრობდა, რომ ეს ქალი, — რომლის ნაკეთობიც, ერთხელაც რომ მარტოკას მოეკრა თვალი სიბნელეში. უმაღლეს ბედნიერებას მიანიჭებდა, — ნათელ მზიან დღეს, შუადღისას ყველას დასანახად მოიყვანეს და ისე მოერთოთ როგორც ავხორცობის ღამეს. იგი გაშმაგებული დასტიროდა ამ შებღალული, შებიღწული, მტვერში ამოსვრილი, გაშიშვლებული, სამუდამოდ შერცხვენილი სიყვარულის ყველა იღუმალებას. ბრაზისაგან ქვითინებდა, როცა წარმოიდგინა, რამდენმა ბილწი თვალითა და ზრახვით შეხედა ცუდად შეკრულ პერანგს. ეს მშვენიერი ქალწული, უბიწო შროშანა, მორცხვობისა და სიამოვნების ფილა, რომელსაც ის ვერ გაუბედავდა ბაგეებით სხვანაირად შეხებოდა, თუ არა მოწიწებით ათრთოლებული, საჯარო კარდალად გადაქცეულიყო, და პარიზის მთელი სულმდაბალი ბრბო, ნაძირალები, ქურდები, მათხოვრები, მაწანწალები, ლაქიები, ქვემძრომები იქ იმისათვის მოსულიყვნენ, რომ ამ კარდალიდან ერთად ეგემათ თავიანთი ურცხვი, უწმინდური და გაჩყვნილი სიამოვნება.

და როდესაც შეეცადა წარმოედგინა ბედნიერება, რომელიც შეეძლო დედამიწაზე ეპოვა, ის ბოშა ქალი რომ არ ყოფილიყო, ხოლო თვითონ—მღვდელი; ამ ქალს რომ ის ჰყვარებოდა, ფებუსი კი სულ არ არსებულებოდა; გული დაუდნა სინაზისა და სასოწარკვე-

თილებსაგან. როდესაც წარმოიდგინა, რომ მისთვისაც შეიძლებოდა დაწყვებულიყო მშვიდი, ბედნიერებითა და სიყვარულით სახვე ცხოვრება; რომ თვით ამ წუთსაც დედამიწაზე არიან ბედნიერი წყვილები, რომლებიც გაუთავებელ ბაასში გართულნი ფორთოხლის ხეების ქვეშ, ნაკადულის პირს, ჩამავალი მზის სხივებით განათებულნი. ან ვარსკვლავიან ღამეს ტკბილად ჭუჭყუეებენ; რომ მასაც შეეძლო იმ ქალთან ერთად კურთხეული წყვილი შეედგინა, ღმერთს რომ ენება.

ოჰ! ყველგან იმ ქალის სახე ედგა თვალწინ! აკვიატებული ფიქრი მასზე განუწყვეტლივ, უბრუნდებოდა, აწვალებდა, ტვინს უღალავდა, გულ-მუცელს უსერავდა. იგი არ სწუხდა, არ ნანობდა; ყველაფერი, რაც ჩაიდინა, მზად იყო ჩაედინა კვლავაც. ერჩია, ჯალათის ხელში ეხილა ის, ვიდრე კაპიტნის მკლავებში. მაგრამ იტანჯებოდა, იტანჯებოდა ისე, რომ ღროღადრო ბლუჯა-ბლუჯა თმას იგლეჯდა, რათა ენახა, გავქაღარავდი თუ არაო.

იყო წამი, როდესაც წარმოიდგინა, შესაძლებელია, აი ამ წუთს საზიზღარმა ჯაკვმა, რომელიც ამ დილას მან ნახა, თავისი რკინის კვანძი გაუჭირა მის ნაზსა და ნატიფ ყელს. ამის ფიქრმა მთელ ტანზე ცივი ოფლი დაასხა.

იყო ისეთი წამიც, როდესაც თავის თავზე ჯოჯოხეთური სიცილით ეცინებოდა და თან თვალწინ ესახებოდა ესმერალდა ისეთი, როგორიც პირველ დღეს ნახა, ცოცხალი, უზრუნველი, მხიარული, მორთულ-მოკაზმული, მროკავი, ფრთაშესხმული, ჰარმონიული, და ესმერალდა უქანასკნელ დღეს, პერანგის ამარა, ყელზე თოქმებმული, ფეხშიშველი სახრჩობელის კუთხოვან საფეხურებზე ნელა მიმავალი. ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ ეს ორი სურათი, რომ საზარელი ყვირილი აღმოხდა.

როდესაც სასოწარკვეთილების გრივალმა მის სულში ყველაფერი ააფორიაქა, დაამხო, დაამსხვრია, ამოგლიჯა, მოღუნა, ძირფესვიანად ამოავდო, თავის ირგვლივ ბუნებას თვალი მიმოავლო. მის ფეხებთან ბუჩქნარში რამდენიმე ქათამი ქექავდა და რაღაცას ენკავდა. მინანქარივით ლაპლაპა ხოჭოები მზეზე გამოსულიყვნენ. მის თავს მალლა ლურჯ ცაზე რუხი ღრუბლის ქულები მიცურავდნენ; ცის ტატნობზე, სენ-ვიქტორის სააბატოს გუმბათის წვეტი თავისი ქვადაფის ობელისკით ბორცვის მრუდს ჰკვეთდა. მეწისქვილე კოპონ ბორცვზე უსტვენდა და თავისი წისქვილის გამრჯე-ფრთების ბრუნვას უტკერდა. მთელი ეს მოქმედი, აწყობილი, მშვიდი და ათასი ფორმით ხორცშესხმული ცხოვრება მის ირგვლივ, მასზე ცუდ გავლენას ახდენდა. კვლავ ველად გაიჭრა.

ასე ირბინა მინდვრებში საღამომდე. მთელ დღეს გაგრძელდა ეს გაქცევა ბუნებიდან, ცხოვრებიდან, თავისი თავიდან, ადამიანიდან, ღმერთიდან, ყველაფრიდან. ხან სახით პირქვე ემხოზოდა მიწაზე და ახალმოსულ პურის ყანას ფრჩხილებით გლეჯდა. ხან კი რომელიმე სოფლის უკაცრიელ ქუჩაში გაჩერდებოდა. ისეთი აუტანელი, მძიმე და გაუძლისი ფიქრები ირეოდა მის თავში, რომ ხელებს თავზე იკიდებდა, თითქოს მის მხრებიდან აგლეჯასა და ქვაფენილზე დანარცხებას ლამობსო.

როდესაც შუე გადაიხარა, კვლავ საკუთარი სულის ჩხრეკასა და შემოწმებას შეუდგა, მიხვდა, რომ თითქმის კკუაზე იყო შეშლილი. გრივალმა, რომელიც მის სულში ბობოქრობდა იმ წამიდან, რაც ბოშა გოგონას გადაჩენის იმელი და ნებისყოფა დაკარგა, მის შეგნებაში არ დატოვა არც ერთი ჯანსაღი აზრი, არც ერთი დაუმზობელი ცნება. გონება მისი თითქოს დაირღვა და დასამარდა. მხოლოდ ორი რამ გამოსახულიყო გარკვევით მის სულში, ესმერალდა და სახარბოებლა: დანარჩენი წყვილად ღამეს ჩაენთქა. როდესაც ეს ორი სახე ერთმანეთს უახლოვდებოდა, საზარელი დაპირისპირება იქმნებოდა; და რაც უფრო უშტერებდა თავისი ყურადღებისა და ფიქრის დანაშთს ამ შეჯგუფებას, მით უფრო რალაც ფანტასტიკური პროგრესით იზრდებოდა: ერთი — მთელი თავისი სიკეკლუციით, მომხიბვლელობით, მშვენიერებით, ნათელი შარავანდელით, მეორე — თავისი შესაზარობით. ბოლოს ესმერალდა ვარსკვლავად მოეჩვენა, ხოლო სახარბოებლა უზარმაზარ ჩამომხმარ, ძვლადქცეულ მკლავად.

ერთი რამ შეიმჩნეოდა. მთელი ამ ტანჯვა-წამების მანძილზე, ერთხელაც არ მოსვლია სერიოზულად თვითმკვლელობის აზრი. ასე იყო შექმნილი ეს უბედური. სიცოცხლეს ებღაუჭებოდა. იქნებ მის უკან მართლაც ჯოჯოხეთს ხედავდა.

ამასობაში დღეც მიიწურა. იმ ცოცხალმა არსებამ, რომელიც მასში კიდევ სულდგმულობდა, ბუნდოვნად უკან დაბრუნება შეაგონა. მას ეგონა პარიზიდან შორს იმყოფებოდა, მაგრამ როგორც კი მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის გალავნისათვის შემოევლო. მის მარჯვნივ ცის ტატნობზე აღმართულიყო სენსიულპისის გუმბათის წვერი და სენ-ჟერმენ-დე-პრეს სამი მაღალი ისარი. იგი ამ მხარეს გაემართა. როდესაც სენ-ჟერმენის ირგვლივ შემოვლებულ ქონგურებიან სანგართან სააბატოს ებგურის ხმა „ვინ არის მანდ“ გაიგონა, სააბატო წისქვილისა და კეთროვანთა სადაბო სასნეულოს შორის გამავალ ბილიკზე გადაუხვია, და რამდენიმე წუთის შემდეგ პრე-ო-კლერის განაპირა მხარეს აღმოჩნდა. ეს პატარა

მინდორი განთქმული იყო თავისი ალიაქოთით, რომელიც იქ დღე და ღამე ხდებოდა. იგი სენ-ჟერმენის საბრალო ბერებისათვის საშინელი „ჰიდრა“, „გველშაპი“ იყო: *quod monachis Sancti-Germani pratensis hydra fuit, clericis nova semper dissidiorum capita suscitautibus**. არქიდიაკონი ერიდებოდა ვინმეს შეხვედრას; ადამიანის სახის დანახვა შიშსა ჰგვრიდა. უნივერსიტეტსა და სენ-ჟერმენის დაბას გვერდი აუარა. მას უნდოდა, ქალაქის ქუჩებში რაც შეიძლება გვიან შეედგა ფეხი. პრე-ო-კლერს გაუყვა, მერე უღაბურ ბილიქს დაადგა, რომელიც პრე-ო-კლერს დიე-ნეფისაგან ჰყოფდა, და საბოლოოდ წყლის პირას გავიდა. იქ, მამა კლოდმა მენავე ნახა. მან რამდენიმე პარიზული დინარი გამოართვა, სენის შეღმა შეყოლებით სიტეს ბოლომდე აიყვანა და იმ მიტოვებულ კონცხზე გადმოსვა, რომელიც სამეფო ბაღების იქით, ძროხის ბორნის კუნძულის გასწვრივ გრძელდებოდა, სადაც მკითხველმა ერთხელ უკვე იხილა მეოცნებე გრენჯუარი.

ნავის მონოტონურმა რწყევამ და წყლის ტლაშუნმა უბედურად კლოდი როგორღაც გამოაშტერა; როდესაც მენავე განშორდა, გამოთაყვანებული ერთ ადგილზე დარჩა ქვიშიან ნაპირზე, იდგა და წინ უაზროდ იყურებოდა, ყოველ საგანს თითქოს რაღაც ტალღებში გავლით გადიდებულად შეიგრძნობდა და ყველაფერს ფანტასმაგორიად აქცევდა. იშვიათი არ არის, როცა დიდი მწუხარებით გამოწვეული დაღლილობა ამგვარ მოქმედებას ახდენს გონებაზე.

მზე ნელის მაღალი კოშკის უკან ჩაესვენა. ბინდი ჩამოწვა. ცა და მდინარე გაუფერულდა. ამ ორ მოთეთრო ზოლს შორის სენის მარცხენა ნაპირი, საითაც მიშტერებული იყო მისი თვალი, შავბნელ გროვასავით მოჩანდა, სიღრმეში ვიწროვდებოდა და ცის ტატნობზე გაკრულ ღრუბელში შავი ისარივით იჭრებოდა. იგი მთლიანად სახლებით იყო დაფარული, მაგრამ არაფერი გაირჩეოდა, გარდა მათი მორღუმული მოხაზულობისა, მკვეთრად ამართული ბინდბუნდში ცისა და წყლის ნათელ ფონზე. აქა-იქ აკაშკაშდა საარკმელები, როგორც გვეარვარებული ნაკვერჩხლები ნახშირის შავ ზეინში. უზარმაზარმა შავმა ობელისკმა, რომელიც ასე განმარტოებით ამართულიყო ცისა და მდინარის ორ თეთრ სიბრტყეს შორის და რომელიც ამ ადგილას ძალიან განივრდებოდა, იშვიათი და უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა მამა კლოდზე, ისეთი, როგორსაც მოახდენდა სტრასბურგის ტაძარი მის ძირში გულადმა მწოლარე

* რამეთუ ველის წმინდა გერმანის ბერებისათვის იგი ერთგვარი გველშაპი იყო, რადგან ერისაგანნი თავიანთი ჩხუბითა და უხამსობით თავბრუს ახვევდნენ მათ (ლათ.).

ადამიანზე, როცა შეპყურებს მის თავს ზევით საღამოს ბინდბუნდში აპირლ უზარმაზარ ისარს. ოღონდ აქ კლოდი ფეხზე იდგა, ობელისკი კი იწვა. მაგრამ რადგან მდინარე ცას არეკლავდა და მის ქვეშ უფსკრულს აღრმავებდა, ამიტომ ვეებერთელა მალალი კონცხი ისევე თამამად იპრებოდა სიცარიელეში, როგორც კათედრალის გუმბათის ისრული წვერი. შთაბეჭდილება იგივე რჩებოდა. ეს შთაბეჭდილება მით უფრო უცნაური და ღრმა იყო, რომ კონცხი მართლაც სტრასბურგის ტაძრის სამრეკლოს ჰგავდა, მაგრამ გუმბათის წვერი ორი ლიეს სიმაღლეს აღწევდა, გაუგონარ, არნახულ, ბუმბერაზულ; განუზომელ რაღაცას წარმოადგენდა. ასეთი შენობა ჯერ არ ენახა ადამიანის თვალს, — ბაბილონის გოდოლი იყო. სახლთა საკვამურები, ვალავანთა ქონგურები, სახურავთა ჩუქურთმიანი თავბანდები, ავგუსტინელთა მონასტრის სამრეკლოს ისრული წვეტი, ნელის კოშკი — ამ კოლოსალური ობელისკის ყველა შვერილი, რომლებითაც დაკბილული იყო მისი პროფილი, კიდევ უფრო ზრდიდა ილუზიას, თვალს უცნაური თარგის რთულ და ფანტასტიკურ ქანდაკებას წარმოუდგენდა.

გრძნობათა ამ ცთუნებაში ჩაეარდნილ კლოდს ეგონა, თავისი თვლით ცოცხლად ხედავდა ჯოჯოხეთის სამრეკლოს. საზარელი გოდოლის ყოველნაირ სიმაღლეზე გაფანტული ათასობით სინათლეები მას მოეჩვენა უზარმაზარი ღუმელის შიგნით ავოზგიზებულ ამღვნივე ხერელებად; ხოლო იქიდან აღმომხდარი ხმები და გუგუნნი — ოხვრად და ხიხინად. იგი შეძრწუნდა, ყურებში თითები დაიცო, რომ არაფერი გაეგონა. ზურგი შეაქცია, რომ აღარაფერი დაენახა და დიდი ნაბიჯებით განშორდა საშინელ მოჩვენებას.

მაგრამ მოჩვენება თვით მასში იყო.

როდესაც კლოდ ფროლომ ისევ ქალაქის ქუჩებში შედგა ფეხი, მალაზიების ვიტრინებიდან გამონაშუქ სუსტ სინათლეზე მოფუთფუთე გამვლელ-გამომვლელნი მის ირგვლივ წინ და უკან განუწყვეტლად მოხეტიალე ლანდებად მოეჩვენა. ყურებში უცნაური გუგუნნი ესმოდა. უჩვეულო ზმანებები აშფოთებდნენ და მოსვენებას უკარგავდნენ მის გონებას. იგი ვერ ხედავდა ვერც სახლებს, ვერც ქვაფენილს, ვერც ფორნებს, ვერც მამაკაცებს და ვერც დედაკაცებს, მის წინაშე მხოლოდ ერთმანეთთან კიდევებით შეწყებებული გაურკვეველ საგანთა ქაოსი სუფევდა. მეკასრეების ქუჩის კუთხეში საბაყლო ღუქანი იდგა, რომლის საჩეხი, უხსოვარი დროიდან არსებული ჩვეულების თანახმად, გარშემო თუნუქის სალტეებითა და რგოლებით იყო მორთული. ზედ ხის სანთლები ეკიდა და ქარის ყოველ შემობერვაზე ჯიბჯიმბივით რაკუნებდნენ. მას კი ეგონა, სი-

ბნელეში მონფოკონის სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ჩონჩხების ერთმანეთზე დაჯახების ხმები მესმისო.

— ოჰ! — ჩაიბუტბუტა, — ღამის ქარი ერომანეთზე აწყვეტს მათ. ჯაკვეების. ბორკილებისა და ძვლების ჩხრიალი ერთად არეულა. ვინ იცას, იქნებ. ისიც მათ შორის არის!

თავგზადანეულმა არ იცოდა. საით მიდიოდა. კიდეც რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და სენ-მიშელის ზიდზე აღმოჩნდა. ერთ-ერთი სახლის ქვედა სართულის სარკმელში სინათლე ენთო. იგი ახლოს მივიდა.

გაბზარულ მინაში დაინახა საზიზღარი, ტურტლიანი ოთახი, რომელმაც მის გონებაში ბუნდოვანი მოგონება გააღვიძა. ოღნავ მბეუტავი სანათით ცუდად განათებულ ოთახში ქერა სახემხიარული ყმაწვილი კაცი იჯდა. ერთ ურცხვად მორთულ ახალგაზრდა ქალიშვილს ეხვეოდა, კოცნიდა და თან ხმაშლლა იცინოდა. სანათის ახლოს იჯდა დედაბერი, რომელიც ართავდა და აკანკალებული ხმით რაღაცას მღეროდა. როცა ყმაწვილი კაცი აღარ იცინოდა, მაშინ ბებრის სიმღერა ნაწყვეტ-ნაწყვეტებად აღწევდა მღვდლის ყუ. რამდე. რაღაც გაუგებარი და საშინელი სიმღერა იყო:

გრეე, იყეფე, გრეე იღრინე!
ჩემო ჯარავ იტრიალე,
ღამიგრიხე თოკი მალე;
იქ ჯალათი უსტვენს უკვე.
ვრეე, იყიფე, გრეე, იღრინე!

კარგი თოკი ქერელისა
ისით კანვრის მინდვრებამდე
თესლი თესე კანაფისა,
არა ხორბლას. მთლად სელისა.
თოკი გრიხე ქურდებისთვის,
კარგი თოკი ქერელისა!

გრეე იყეფე. გრეე იღრინე! /
სახრჩობელავ მოილხინე,
კობტა გოგოს დაკვიდებენ.
სარკმელები თვალებს ქუეტენ,
გრეე იყეფე, გრეე იღრინე!

ყმაწვილი კაცი იცინოდა და ქალიშვილს ეხვეოდა. ბებერი ფაღურდელი იყო, ახალგაზრდა ქალი — მეძავი, კვაბუკი — მისი ძმა ყენანი.

კლოდმა ცქერა განავრძო. მისთვის სულ ერთი იყო, რას უყურობდა.

მან დაინახა, როგორ მივიდა ქვანი ოთახის სიღრმეში მეორე სარკმელთან. გამოაღო, სანაპიროს გახედა, სადაც ათასობით სინათლე ბრწყინავდა, ფანჯრის ჩარჩოთი მოფარგლული. ფანჯარა ისევ მიხურა და თქვა:

— სულსა ვფიცავ, უკვე დაღამდა! მოქალაქენი სანთლებს ანთებენ, კეთილი ღმერთი — ვარსკვლავებს.

შემდეგ ქვანი ისევ თავის როსკიპს დაუბრუნდა, მაგიდაზე დადგმული ბოთლი გატეხა და შესძახა:

— დაცარიელდა! ეშმაკმა დალაზვროს! ფულიც აღარა მაქვს! იზაბო! ჩემო ტურფავ! მხოლოდ მაშინ დავეშვიდები, როდესაც იუპიტერი შენს ორ თეთრ ცურს ორ შავ ბოთლად გადამიქცევს, საიდანაც დღე და ღამე ბონურ ღვინოს მოვწოვდი.

ამ მარჯვე ხუმრობამ ქარაფშუტა ქალი გააცინა. ქვანი გარეთ გამოვიდა.

მამა კლოდმა მხოლოდ პირქვე დამხობა მოასწრო მიწაზე, რათა ძმას პირისპირ არ შეხვედროდა და არ ეცნო. მაგრამ საბედნიეროდ ქუჩაში ბნელოდა და მოსწავლევ მთვრალი იყო. მაგრამ მაინც შეამჩნია ქვაფენილზე ტალახში ჩაწოლილი არქიდიაკონი.

— ოპო! — თქვა მან, — აი ვის გაუტარებია მხიარული დღე.

მამა კლოდს ფეხი წაჰკრა, ის კი სუნთქვაშეკრული ეგდო.

— უგრძობლად დამთვალა! — განაგრძო ქვანმა. — განეთქილა. გაღეშილა. ნამდვილი ღვინის კასრიდან მოწყვეტილ წურბელასა ჰგავს. მელოტია, — თქვა დახრილმა. — ბერიკაცი ყოფილა.

Fortunate senex! *

შემდეგ, მამა კლოდმა გაიგონა მიმავლის სიტყვები:

— თუმცა სულ ერთია, მაინც კარგი რამ არის კეთილგონიერება. ჩემი ძმა არქიდიაკონი ძალიან ბედნიერი კაცია, ბრძენია და ფულიც აქვს.

არქიდიაკონი მანინვე წამოიჭრა და სულმოუთქმელად გაექანა ღვთისმშობლის ტაძრისაკენ, რომლის ბუმბერაზი კოშკები სიბნელეში წინ წამოწეულიყვნენ სახლების თავზე.

იმ წუთს, როდესაც აქაქანებულმა კარიბჭის ფორს მიღწია, უკან დაიხია, ვერ გაბედა თავი მალა აეწია და ავბედითი შენობისათვის შეეხედა.

— ოპ! — თქვა მან დაბალი ხმით, — ნუთუ ამგვარი რამ ნამდვილად მოხდა აქ დღეს, ამ დილას?

* ბედნიერი მოხუცია (ლათ.).

მაგრამ მაინც გაბედა შეეხედა ეკლესიისათვის. ფასადი მოღუშული იყო.

უკან ვარსკვლავიანი ღამე ციმციმებდა. ნამგალა მთვარეს უკვე ცის ტატნობზე მალლა აეწია, იმ წუთს მარჯვენა კოშკის წვერზე შეჩერებულიყო და შავი სამყურა ჩუქურთმით მორთული მოაჯირის კიდეზე შემომჯდარ სხივთამფრქვევ ნათელ ფრინველსა ჰკავდა.

მონასტრის კარები უკვე დაკეტილი იყო. მაგრამ არქიდიაკონი მუდამ თან ატარებდა იმ კოშკის გასაღებს. სადაც თავისი ლაბორატორია ჰქონდა. ახლა გამოადგა იგი ეკლესიაში შესასვლელად.

ეკლესიაში მღვიმისებრი სიბნელე და ღუმილი სუფევდა. ყოველი მხრიდან ფართო ზოლებად ჩამოშვებული დიდი ჩრდილების მიხედვით ის მიხვდა, რომ დილის ცერემონიის სამგლოვიარო სარაფარდები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოხსნილი. წყვდიადის სიღრმეში ბრწყინვალე წერტილებით მოქედილი დიდი ვერცხლის ჯვარი ციმციმებდა, როგორც ირმის ნახტომი აკლდამის ბნელ ღამეში. ხორის მალალი ფანჯრები შავი მაუდის მოფარდულობათა მალლა აგრძელებდნენ ისრულ თაღქვეშ თავიანთ ზემო კიდეებს, რომელთა მიწები მთვარის სხივებზე ღამის გაურკვეველი ფერებით, მოიისფერო, მოთეთრო და მოლურჯო ელფერით იყო შეღებილი. ასეთი ფერი მხოლოდ მიცვალებულის სახეზე შეიმჩნევა. ხორის ირგვლივ სარკმელთა მკვდრისფრად განათებული ისრული თავწვეტიანი კამარები რომ შენიშნა, არქიდიაკონს შეჩვენებულ ეპისკოპოსთა მიტრებად მოეჩვენა. თვალები დახუჭა, და როცა ისევ გაახილა, ეგონა, ფერმკრთალი ჩამტერებული სახეები წრედ გარშემორტყმოდა.

შიგ ეკლესიაში გაიქცა, მაშინ მოეჩვენა, რომ ტაძარიც ირყეოდა, იძვროდა, ირხეოდა, მასაც სული ჩაედგა, ვაცოცხლებულიყო. თვითეული სქელი სვეტი უზარმაზარ თათად, ტორად იქცა, და თავისი განიერი ქვის ტერფით იატაკზე აბაკუნებდა. მთელი ბუმბერაზული კათედრალი საკვირველ სპილოდ გარდაიქმნა, რომელიც ხვნეშით ადგამდა სვეტებს ფეხების მაგიერ, ორი კოშკი ხორთუმით აემართა და უშველებელი შავი მაუდი ჯეჯიმად ჩამოეფარებინა.

ამგვარად, მისმა ციებ-ცხელებამ თუ სიგიჟემ სიმძაფრის ისეთ ზომას მიაღწია, როდესაც გარესამყარო რაღაც ხილულ, ხელშესახებ და საშინელ აპოკალიპსად იქცევა.

ერთი წუთით შემსუბუქება იგრძნო. გვერდით ეკვდერში გავიდა, სვეტების ტევრს უკან მოწითალო სუსტი სინათლე შენიშნა. მას მიაშურა ვითარცა გზისმაჩვენებელ ვარსკვლავს. ერთი საცოდავი ბაზმა ანათებდა ღღე და ღამე ღეთისმშობლის ტაძრის საზოგადო

ლოცვანს რკინის მავთულბადის ქვეშ. იგი ხარბად დაეწაფა სამ-
ღვთო წიგნს იმ იმედით, რომ მასში ჰპოვებდა ნუგეშსა და გამხნე-
ვებას. ლოცვანი გახსნილი იყო იობის წიგნზე. გვერდს გაშტერებუ-
ლი თვალი გადაავლო და შემდეგი სიტყვები შეამჩნია:

„და სული პირსა ზედა ჩემსა მოვიდა, <და ვიგრძენი ნელი სუნ-
თქვა>, ხოლო შემაშინებდეს მე თმანი და ხორცნი“ *.

ეს პირქუში აღგილი რომ წაიკითხა, იგივე გამოსცადა, რასაც
გრძნობს ხოლმე ბრმა, როცა თავის მიერ აღებულ ჯოხს იჩხვლტს.
მუხლები მოეკვეთა, ფილაქანზე დაეცა და ფიქრობდა მასზე, ვინც
დღეს მოკვდა. იგი იმდენად გრძნობდა, როგორ გადიოდა და იფრ-
ქვეოდა მის ტვინში საზიზღარი კვამლი, რომ მოეჩვენა, თითქოს თა-
ვი ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ბუხრად ექცა.

როგორც ჩანს, ამ მდგომარეობაში დიდხანს დარჩა, ძირს და-
ნარცხებული და უმოქმედო, აღარც არაფერზე ფიქრობდა დემონის
ბრძყალებში ჩაყარდნით. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა ისევ დაუ-
ბრუნდა. იფიქრა, ისევ კოშკისთვის შეეთარებინა თავი, თავისი ერთ-
გული კვაზიმოდოს გვერდით. წამოდგა. რადგან ეშინოდა, ლოცვა-
ნიდან ლამპარი აიღო გზის გასანათებლად. ეს შებღალავსა და მკრე-
ხელობას წარმოადგენდა. მაგრამ ახლა იგი ისეთ მდგომარეობაში
იყო, რომ ამისთანა წერილმან რამეს ყურადღებას აღარ აქცევდა.

კოშკის კიბეზე ნელ-ნელა მიფოფხავდა იღუმალი შიშით გამ-
სქვალული. რაც უთუოდ ვრცელდებოდა აგრეთვე ტაძრის კარიბჭის
ფორზე იშვიათად მიმავალ მგზავრებზეც, ვინც კი შეამჩნევდა მი-
სი ბაზმის იმ საიდუმლო შუქს, რომელიც ასე გვიან აღიოდა მალა-
ლი სამრეკლოს სათოფურიდან სათოფურამდე.

უცბად სახეზე გრილი სიო იგრძნო. ის უკვე სულ ზედა გალე-
რეის კარებთან აღმოჩნდა. გრილოდა. ცაზე ღრუბლები მიცურავდ-
ნენ. მათი თეთრი, ფართო და თხელი ფენები ერთმანეთზე იყო აჩ-
ხორილი, კუთხოვანი კიდურები სცილდებოდა და ზამთრობით მდი-
ნარის ყინულთასვლას მოგაგონებდათ. ღრუბელთა შორის ნახევარ-
მთვარე ჰაერის ყინულებში ჩაქედელ მარცხანციდელ ციურ გემს
ჰგავდა.

ძირს ჩაიხედა, და ერთ წუთს ცქერა დაუწყო ორივე კოშკის შე-
მაერთებელი სვეტების გისოსიდან, შორს, ნისლსა და კვამლში გა-
ხვეულ პარიზის სახურავების მღუმარე ბრბოს. მახვილბურულს,
ურიცხვს, შექუჩებულს თუ მცირეთა, როგორც დაწყნარებული
ზღვის ტალღებს ზაფხულის დამეს.

* წიგნი იობისა, 4, 15.

მთვარე მკრთალ სხივებს აფრქვევდა, მთელ ცასა და დედამიწას ნაცრისფერს ჰფენდა.

ამ დროს კოშკის საათმა თავისი წვრილი და მყიფე ხმით დარეკა. შუალაშე იყო. მღვდელს შუაღლე გაახსენდა. მაშინაც ხომ თორმეტჯერ დარეკა საათმა.

— ოჰ! — დაბალი ხმით უთხრა თავის თავს, — ალბათ უკვე გაცივებულიც იქნება.

უცხად ნიაგმა შემოუბერა ლამპარს და თითქმის იმავე წუთს კოშკის მოპირდაპირე კუთხეში დაინახა, რომ გამოჩნდა რალაც აჩრდილი, თეთრი ლანდი, რალაც ფორმა, სახე, ქალი. ხუცესი შეერთა, აკანკალდა. ქალის გვერდით პატარა თხა იყო, რომელიც თავის კიკინს უერთებდა კოშკის საათის უკანასკნელ რეკვას.

მღვდელს ეყო ძალა, რომ მისთვის შეეხედა. ის იყო.

იგი გაფითრებული და დაღვრემილი ჩანდა. თმები მხრებზე ჩამოშლოდა როგორც დილით. მაგრამ აღარც თოკი ჰქონდა ყელზე შებმული და აღარც ხუნდები ედო ხელებზე: იგი თავისუფალი, მკვდარი იყო.

თეთრი ეცვა და თავზეც თეთრი რიდე ებურა.

ქალი დინჯად მოდიოდა მისკენ, ცას შეჰყურებდა. არაჩვეულებრივი თხა უკან მოსდევდა. მღვდელს გასაქცევად ფეხი არ ემორჩილებოდა, ადგილზე გაქვავდა: ფეხები ქვად ექცა, ქვასავეით დაუმძიმდა. ქალი რომ წინ ერთ ნაბიჯს გადადგამდა, ისიც მხოლოდ ერთ ნაბიჯს დგამდა, ოღონდ უკან. ეს იყო და ეს, მეტს ვერ ახერხებდა. ამრიგად კიბის ბნელ თალს ქვეშ დაიხია. მარტო იმის ფიქრიც კი, რომ შეიძლებოდა ისიც მისკენ წამოსულიყო, ძარღვებში სისხლს უყინავდა. ქალის აჩრდილი რომ ასე მოქცეულიყო, ხუცესი შიშით მოკვდებოდა.

ქალი მართლაც კიბის კართან მივიდა, რამდენიმე წამს შეჩერდა, სიბნელეს მიაშტერდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მღვდელი ვერ შეამჩნია, ისე გაიარა. ხუცესს ქალი უფრო დიდი, მაღალი ეჩვენა, ვიდრე ცხოვრებაში იყო. მის თეთრ კაბაში მთვარის სხივები გამოსკვიროდა. მისი სუნთქვაც კი იგრძნო.

როდესაც ქალმა გაიარა, კაცი ისევ კიბეს დაუყვია, მაგრამ ისევე აუჩქარებლად, როგორც მოლანდება, თავისი თავიც მოჩვენება ეგონა, თვალებს აცეცებდა, თმები აბურძგნოდა, ჩამქრალი ლამპარი ისევ ხელში ეკირა. ხვიასებურ საფხეხურებზე რომ ჩადიოდა, გარკვევით ჩაესმა ყურში ხმა, რომელიც იცინოდა და იმეორებდა:

— „...და სული პირსა ზედა ჩემსა მოვიდა, <და ვიგრძენი ნელი სუნთქვა>, ხოლო შემაშინებლეს მე თმანი და ხორცნი“.

კუზინანი, ბრუცინანი, კოპლი

შუა საუკუნეების ყველა ქალაქს, და ლუი XII-მდე, საფრანგეთის ყოველ ქალაქს ჰქონდა თავისი ხელშეუვალი ადგილი, თავისი თავშესაფარი. ეს თავშესაფარი ადგილები, სისხლის სამართლის კანონებისა და ბარბაროსული სამართალწარმოების წარღვნის ვითარებაში, როცა მისგან წალეკილი იყო მთელი ქალაქები, წარმოადგენდნენ ერთგვარ კუნძულებს, რომლებიც ადამიანური მართლმსაჯულების დონეზე მაღლა იდგნენ. ყოველი დამნაშავე, რომელიც ამ ადგილებს თავს შეაფარებდა, გადარჩენილი იყო. ზოგიერთ გარეუბანში თითქმის იმდენივე თავშესაფარი ადგილი დაითვლებოდა, რამდენიც სახრჩობელა. ეს წარმოადგენდა დაუსჯელობის ბოროტად გამოყენებას სასჯელთა ბოროტად გამოყენების გვერდით, — ბოროტების ორი სახე, რომლებიც ცდილობდნენ ერთმანეთის შესწორებას, უცნებელყოფას. მეფის სასახლეებს, თავადთა სახლებს, მეტადრე ეკლესიებს ჰქონდათ თავშესაფარის უფლება. ზოგჯერ მთელ ქალაქს ხელახლა დასასახლებლად დროებით თავშესაფარ ადგილად აქცევდნენ. ლუი XI-მ პარიზი თავშესაფრად გამოაცხადა 1467 წელს.

რაკი თავშესაფარში ფეხს შედგამდა, დამნაშავე კურთხეული, ხელშეუვალი იყო. მაგრამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და ფეხი არ უნდა გაედგა იქიდან. ერთი ნაბიჯი წმინდა ადგილის გარეთ და, იგი ისევ მორევში დაინთქმებოდა. ბორბალზე მიკვრა, სახრჩობელა, ძელზე გასმა ფხიზლად დარაჯობდნენ ირგვლივ თავშესაფარ ადგილს, როგორც ზვიგენები გემის გარშემო და მუდმივად უთვალთვალებენ თავიანთ ნადავლს. ისიც ყოფილა, რომ მსჯავრდადებული გაქაღარავებულა რომელიმე მონასტერში, ამა თუ იმ სასახლის კიბეზე, სააბატოს მეურნეობაში, ეკლესიის კარიბჭის ქვეშ; ამრიგად, თავშესაფარი იგივე საპყრობილე იყო.

ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ უმადლესი სასამართლო პალატის საგანგებო დადგენილებით თავშესაფარის ხელშეუვალობას შელახავდნენ და მსჯავრდადებულს ჯალათს გადასცემდნენ. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. მოსამართლეებს ეპისკოპოსებისა ეშინოდათ. როცა კი ამ ორ წოდებას ერთმანეთისთვის უწყენინებია, მოსამართლეთა გრძელ წამოსასხამს კარგი დღე არ დანდგომია ანაფორასთან ბრძოლაში. მაგრამ მაინც ხანდახან მართლმსაჯულება თავს გადაახტებოდა ეკლესიას და თავის განაჩენს სისრულეში მოიყვანდა, როგორც, მაგალითად, პატარა ქანის, პარიზელი ჯალათის მკვლელობა

საქმეში ან ემერი რუსოს, ჟან ვალერის მკვლელის მიმართ. მაგრამ თუ ხელთ არ ჰქონდა უმაღლესი სასამართლო პალატის დადგენილება, ვაი მას, ვინც შებღალავდა იარაღით თავშესაფარ ადგილს! ყველამ იცის, როგორი სიკვდილი უწია რობერ კლერმონელს — საფრანგეთის მარშალს და ჟან დე შალონს, შამპანიის მარშალს. საქმე კი ეხებოდა ვილაც პერენ მარკს, ზარათის — მეკერმის ბიჭს, არამზადა მკვლელს. მაგრამ ამ ორმა მარშალმა გატეხა სენ-მერის ეკლესიის კარები. აი ეს იყო სულ მათი უკიდურესი დანაშაული.

თავშესაფარი ისეთი პატივისცემით იყო გარშემორტყმული, რომ იგი გადმოცემის თანახმად, ზოგჯერ ცხოველებზეც კი ვრცელდებოდა. ემუანი 'მოგვიტხრობს, როდესაც დაგობერის მიერ დევნილმა ირემმა წმინდა დენის აკლამას შეაფარა თავი, ძაღლების ხროვა წამსვე ყეფით შეჩერდა.

ეკლესიებში ჩვეულებრივად მოწყობილი იყო საკანი თავშესაფარის მავედრებელთათვის. 1407 წელს ნიკოლა ფლამელმა მათთვის სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის თაღებზე ააგო ერთი ოთახი, რომელიც მას ოთხი ლიერი, ექვსი სუ და თექვსმეტი პარიზული დინარი დაუჯდა.

ღვთისმშობლის ტაძარში ამგვარი საკანი გვერდითი ეკედერის ბანზე, გარეთა ნახევარკონქის ქვეშ იყო მოწყობილი, სანგლდობრიმ ადგილას, სადაც კოშკის ახლანდელი მეკარის ცოლმა ააშენა ბადი, რომელიც ისევე ჰგავს ბაბილონის ჩამოკიდებულ ბაღებს, როგორც სალათა პალმას, როგორც მეკარის ცოლი სემირამიდას!

სწორედ აქ მოიყვანა გამარჯვებულმა კვაზიმოდომ ესმერალდა კოშკებსა და გალერეებზე თავაწყვეტილი რბენის შემდეგ. სანამ ამრიგად მიარბენინებდა, ახალგაზრდა ქალი გონს ვერ მოვიდა. ნახევრად ეძინა, ნახევრად ეღვიძა, ძილ-ღვიძილში იყო, ვერაფერს გრძნობდა, გარდა იმისა, რომ ჰაერში ზევითა და ზევით მიიწვედა, ლავლივით მიჰქროდა, მიფრინავდა, რაღაცა ძალა მიწიდან ამორებდა, მაღლა მიჰყავდა. დროდადრო ყურში ესმოდა კვაზიმოდოს ხარხარი და მქუხარე ხმა. როცა თვალს ოდნავ გაახელდა, მაშინ დაბლა სიღრმეში ბუნდოვნად არჩევდა ფიქალისა და კრამიტის ათასი სახურავებით წითელ და ლურჯ მოზაიკასავით აჭრელებულ პარიზს, ხოლო თავს მაღლა კვაზიმოდოს საზარელ და გახარებულ მოზიემე სახეს. მაშინ ქალის ქუთუთოები ისევ ეშვებოდა, ეხუჭებოდა. მას ეგონა, ყველაფერი დამთავრდა, უკვე სიკვდილით დასაჯეს, როცა გულწასული იყო; ახლა, მისი ბედის განმგებელი მახინჯი სული მას დაუფლებია და საითღაც მიაქროლებს. შეხედვასაც ვერ უბედავდა, მის ნებას ემორჩილებოდა.

მაგრამ, როდესაც გაშმაგებულმა და აქაქანებულმა ზართა მრეკ-

ველმა თავშესაფარის საკანში აიყვანა. როდესაც ქალმა იგრძნო, როგორ ფრთხილად ხსნიდა იგი თავისი უშველებელი თათებით თოკს, რომელსაც მისთვის მკლავები დაესერა. ისეთი რკევა განიცადა, როგორსაც გამოსცდის გემზე მყოფი მგზავრი, ბნელ ღამეში უეცრად ნაპირზე მიმდგარი გემის დაჯახება რომ გამოაღვიძებს ხოლმე. ასე გაიღვიძა მასში მისმა მოგონებებმაც, და თანდათანობით ისევ დაუბრუნდნენ, ამოტივტივდნენ. მიხვდა, რომ ღვთისმშობლის ტაძარში იმყოფებოდა; მოიგონა, რომ იგი ხელიდან გამოგლიჯეს ჯალათს, რომ ფეხები ცოცხალია, რომ ფეხებს აღარ უყვარს. როდესაც ეს ორი აზრი, რომელთაგან ერთი მეორეს მწარე ნაღველს ურევდა, უბედურ მსჯავრდადებულს ერთად წარმოუდგა, თავის წინაშე მდგომ, შიშისმომგვრელ კვაზიმოდოს მიუბრუნდა და უთხრა:

— რატომ გადაპარჩინეთ?

დაღონებულმა ყრუმ დაძაბული ყურადღებით შეხედა ქალს, თითქოს უნდოდა გამოეცნო მისი სიტყვების აზრი. ქალმა კითხვა გაუმეორა. მაშინ კვაზიმოდომ ღრმა სევდიანი თვალი მიაპყრო და უცბად გაქრა.

ესმერალდა გაკვირვებული დარჩა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა, რაღაც ბოხჩა მოუტანა და ფეხებთან დაუგდო. ეს შეფარებულისათვის ვულმოწყალე ქალების მიერ ეკლესიის ზღურბლზე დადებული ტანსაცმელი იყო.

მაშინ ქალმა თავის თავს დახედა, დაინახა, რომ თითქმის ტიტველი იყო, და გაწითლდა. სიცოცხლის ხალისი კვლავ დაუბრუნდა.

როგორც ჩანს, ეს სირცხვილი კვაზიმოდომაც იგრძნო, ფართო თათი ერთადერთ თვალზე მიიფარა და ერთხელ კიდევ გამოირდა, მაგრამ უკვე ნელი ნაბიჯით.

ესმერალდამ სასწრაფოდ ჩაიკვა. თეთრი კაბა და თეთრი რიდე მოეტანათ, ოტელ-დიეს მორჩილთა ტანსაცმელი.

ძლივს მოასწრო ჩაცმა, კვაზიმოდო ისევ დაბრუნდა. ცალ ხელში კალათი ეჭირა, მეორეში --- ლეიბი. კალათში ბოთლი, პური და რაღაც სანოვავე ეწყო. კალათი ძირს დადგა, და მიმართა:

— ჭამეთ.

შემდეგ ფილაქანზე ლეიბი გაშალა, და უთხრა:

— დაიძინეთ.

ზარების მრეკველმა საკუთარი სადილი და ლოგინი მოუტანა.

ბოშა ქალმა თვალეზი მიაპყრო, მადლობა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ წარმოთქვა. საწყალი კაცი მართლაც საზარელი იყო. ქალი შიშისაგან შეკრთა და თავი ძირს დახარა.

მაშინ კვაზიმოდომ უთხრა:

— მე შიშს გგვრით? ძალიან უშნო ვარ, არა? ნუ შემხედავთ, მხოლოდ მისმინეთ. დღისით აქ დარჩით. ღამდამობით მთელს ეკლესიაში შეგიძლიათ ისეირნოთ. მაგრამ არც დღისით, არც ღამით ეკლესიიდან არ გახვიდეთ. მაშინ დაღუპული ხართ. თქვენ მოგვლავენ და მეც მოვკვდები.

გულაჩუყებულმა ქალმა თავი მალლა ასწია, რომ ეპასუხა. მაგრამ ის გაქრა. ქალი მარტო დარჩა. ამ საზარელი, თითქმის ურჩხულისებური არსების სიტყვებმა ჩააფიქრა, მისმა ესოდენ ხრინწიანმა, მაგრამ მაინც ალერსიანმა ხმამ გააკვირვა.

შემდეგ საკანი დაათვალიერა. დაახლოებით ექვსი კვადრატული ტერფი ოთახი იყო, პატარა სამერცხული და კარი ჰქონდა. კარი ოდნავ დახრილ, ბრტყელი კრამიტით დახურულ ბურულზე გადიოდა. რამდენიმე წყალსადინარი ღარღანა, ცხოველთა დრუნჩის მაგვარი, მის ირგვლივ ყოველი მხრიდან დახრილიყო, კისერი წაეგრძელებინათ, რომ სარკმელში შემოეხედათ. სახურავის კიდის იქით ათასობით საკვამური მილი შეამჩნია, საიდანაც პარიზის ყველა ღუმელის ბოლი ამოდიოდა. სევდიანი სანახაობა იყო საწყალი ბოშა ქალისათვის, ნაპოვარა ბავშვისათვის, სიკვდილმისჯილი, უბედური ქმნილებისათვის, უსამშობლო, უოჯახო, უსახლკარო, უყერიო გონანსათვის.

სწორედ იმ დროს, როდესაც თავისი მარტოობის აზრი ასე მწვავედ დაუდგა თვალწინ, მან იგრძნო, რომ ვიღაცის მატყლიანი და წვერიანი თავი გაეხახუნა მის ხელებსა და მუხლებს. ის შეკრთა, რადგან ახლა ყველაფერი აშინებდა, და დაბლა დაიხედა. მისი საბრალო თხა იყო, ცქვიტი და მკვირცხლი ჯალი, რომელიც მას გამოეკიდა, როცა კვაზიმოდომ შარბოლიუს გუშაგების გუნდი გაფანტა, და აი უკვე მთელი საათია, ელაქუცებოდა თავის პატრონს, მაგრამ მის შეხედვასაც კი ვერ ეღირსა. ახლა კი ბოშა ქალმა გადააკონა თავისი თხა.

— ოჰ! ჯალი, — თქვა მან, — როგორ დაგივიწყე! შენ კი მუდამ ჩემზე ფიქრობ! ოჰ! შენ არასოდეს არა ხარ უმადური!

იმ წუთს თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა ახსნა მძიმე ტვირთი, რომელიც მის გულს ასე დიდხანს ლოდად აწვა და ცრემლს გზას უხშობდა. ტირილი დაიწყო. რამდენადაც მეტად სდიოდა ცრემლები, მით უფრო მეტად გრძნობდა, როგორ მიდიოდა მათთან. ერთად მისი მწუხარების ყველაზე მწვავე და ყველაზე მწარე ნაღველი.

როცა მწუხარი ჩამოწვა, ღამე ისეთი ღამაში ეჩვენა, მთვარე ისეთი ალერსიანი, რომ ეკლესიას გარს შემოვლებულ ზედა ტალანში გაისეირნა. ერთგვარი შვება იგრძნო მან, ესოდენ მშვიდი მოჩანდა ამ სიმაღლიდან დანახული დედამიწა.

მეორე დილას რომ გამოიღვიძა, მიხვდა, კარგად მძინებიაო. ამ, მისთვის უკვე იშვიათმა მოვლენამ იგი გააკვირვა. დიდი ხანია ძილს გადაეჩვია. ამომავალი მზის მხიარული სხივი სარკმელში შემოიჭრა და სახე გაუნათა. მზესთან ერთად, იმავე წუთს, იმავე სარკმელში მან დაინახა შიშის აღმძვრელი საგანი, კვაზიმოდოს უბედური სახე. ქალმა უნებურად დახუჭა თვალები. მაგრამ ამაოდ! მას ეგონა, რომ ვარდისფერ ქუთუთოებს ქვეშ მაინც ხედავდა ჯუჯას ნიღაბს, ცალთვალას, ბრუციანს, წინაქბილებჩაცვივნულს. მაშინ, თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა, რომ შემოესმა ტლანქი, მაგრამ მეტრისმეტად აღერსიანი ხმა:

— ნუ გეშინიათ. მე თქვენი მეგობარი ვარ. მოვედი მენახა, როგორ გძინავთ. მართლაც, თქვენ ხომ არაფერს გავნებთ, რომ მოვიდეთ, გნახოთ როგორა გძინავთ, განა ასე არ არის? თქვენ რა, თუ მე აქ ვიქნები მაშინ, როდესაც თქვენ თვალები დახუჭული გაქვთ? ახლა წავალ. აი, შეხედეთ, კედელს ამოვეფარე. შეგიძლიათ თვალები გაახილოთ.

სიტყვებზე უფრო საბრალო და საცოდავი იყო კილო, რომლითაც წარმოთქვა ისინი. აღლევებულმა ბოშა ქალმა თვალები გაახილა. სარკმელში მართლაც აღარავინ ჩანდა. სამერცხულთან მივიდა და დაინახა კედლის კუთხეში დამწუხრებული, მორჩილი და მოკუნტული კუზიანი. ქალმა თავს ძალა დაატანა, რომ გადაეღახა ზიზლი, რომელსაც მახინჯი აღუძრავდა.

— მოდით აქ! — უთხრა ქალმა წყნარად.

ბოშა ქალის ტუჩების მოძრაობაზე კვაზიმოდომ იფიქრა, მაგდებსო. წამოდგა და კოკლობით ნელა განშორდა თავდახრილ ისე, რომ არც კი გაუბეღია სასოწარკვეთილებით სავსე თვალით ყმაწვილი ქალისთვის შეეხედა.

— მოდით-მეთქი აქ! — შესძახა ქალმა.

მაგრამ ის თანდათან შორდებოდა. მაშინ ესმერალდა საკანიდან გარეთ გამოვარდა, წამოეწია და მკლავზე ხელი მოჰკიდა, კვაზიმოდომ ქალის შეხება რომ იგრძნო, მთელი სხეული აუქანკალდა. ვედრებით შეავლო ერთადერთი თვალი და რა დაინახა, თავისთან მიხმობსო, მთელი სახე სიხარულითა და სინანლით გაებადრა. ქალს სურდა თავის საკანში შეეყვანა, მაგრამ კვაზიმოდო გაჯიუტდა და კარის ზღურბლზე გაჩერდა.

— არა, არა, — თქვა მან — ბუს რა უნდა ტოროლას ბუღეში.

მაშინ ესმერალდა თავის საწოლზე ჩამოჯდა, მის ფეხებთან თხა თვლემდა. ქალიცა და კაციც ერთხანს სდუმდნენ, უძრავად იყვნენ, ჩუმად აკვირდებოდნენ ერთმანეთს: ვაჟი — ქალის სილამაზესა და სიკეკლუტეს, ქალი — ვაჟის სიმახინჯეს. ყოველ წუთს ქალი ახალ და ახალ სიმახინჯეს, უსახურობას პოულობდა ვაჟის გარეგნობაში. დაგრეხილი ფეხებიდან, გამრუდებული მუხლებიდან მზერა ხან კუზიან ზურგზე გადაჰქონდა, ხან ერთადერთ თვალზე. ქალს ვერ გაეგო, როგორ არსებობს ეგრე მარცხით, უშნოდ შეთითხნილი ქმნილება. მაგრამ მთელ ამ სიმახინჯეს ესოდენი სევდა და სინაზე, ალერსი მოჰტენფოდა. რომ ქალმა თახდათან თვალი მიაჩვია.

სიჩქვე პირველად კვაზიმოდომ დაარღვია.

— დაბრუნება მიბრძანეთ?

თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დაუქნია:

— დიახ.

ვაჟი მიხვდა თავის დაქნევაზე.

— ვაგლახ! — თქვა ბოლოს გაუბედავად, — მე ხომ... ყრუ ვარ...

— საციოდავო ადამიანო! — შესძახა ბოშა ქალმა კეთილმოსურნე სიბრალულის გამომეტყველებით.

ვაჟმა სევდიანი ღიმილით განაგრძო:

— თქვენ ალბათ ფიქრობთ, ესლა გაკლდაო, ხომ ასეა? დიახ, მე ყრუც ვარ. რას ვიზამ, ასეთი ვარ, ასე ვაგჩენილვარ. მართლაც საზარელი ვარ, ხომ? თქვენ კი, თქვენ, რა ლამაზი ხართ!

საბრალოს ხმაში პირადი უბედურების ისეთი ღრმა შეგნების კილო იყო, რომ ქალს ძალა არ ეყო, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც რამე ეთქვა. თუმცა რას გაიგებდა, კიდევ რომ ეთქვა. ყრუმ განაგრძო:

— არასოდეს ასე არ მიგრძენია ჩემი სიმახინჯე, უსახურობა, როგორც ახლა. როდესაც თავს თქვენ გადარებთ, მებრალევა ჩემი თავი, უბედური, გონჯი, ურჩხული რომ ვარ! თქვენზე ალბათ მხეცის შთაბეჭდილებას ვახდენ, განა არა? ხომ ასეა, მითხარით. — თქვენ, თქვენ მზის სხივი ხართ, ნამი ვარდისა, სიმღერა ჩიტისა! მე კი, მე რაღაც საზარელი, არც ადამიანი, არც ცხოველი, მე არც კი ვიცი, რა ვარ; მე უფრო ტლანქი, მძიმე, გათელილი, ფეხით გასრესილი, მახინჯი და უსახური ვარ, ვიდრე რიყის ქვა!

მაშინ მან გაიცინა, და ამ სიცილზე უფრო გულის გამგმირავი ამ ქვეყნად აღარა იყო რა. შემდეგ განაგრძო:

— დიახ, მე ყრუ ვარ. მაგრამ თქვენ ხელებით, ნიშნებით მელა-

პარაკეთ. მე მყავს ბატონი, რომელიც მუდამ ამრიგად შელაპარაკებდა. გარდა ამისა, მალე მივეჩვევი თქვენი ნება-სურვილის გამოცნობას თქვენი ტუჩების მოძრაობით, თქვენი შემოხედვით.

— კეთილი, მაგრამ ერთი მოთხარით, — მიმართა ქალმა ღიმილით, — რატომ გადამარჩინეთ?

კვაზიმოდო ყურადღებით უცქერდა, სანამ ის ლაპარაკობდა.

— გავიგე: — უპასუხა მან, — თქვენ მეკითხებით, რატომ გადამარჩინეთ. თქვენ დაივიწყეთ ის უბედური, რომელმაც ერთ ღამეს თქვენი მოტაცება სცადა, ის საცოდავი ადამიანი, რომელსაც თქვენ მეორე დღესვე დახმარების ხელი გაუწოდეთ, როდესაც იგი ბილწ სამარცხვინო ბოძზე იტანჯებოდა. წყლის იმ ერთი წვეთისათვის, იმ მცირეოდენი შებრალებისათვის, შემძღვია მხოლოდ მთელი ჩემი სიცოცხლით გადაგიხადოთ. თქვენ დაივიწყეთ ის ბედკრული ადამიანი. მაგრამ მას ახსოვხართ!

გულაჩუყებული ქალი ღრმა თანაგრძნობით უსმენდა. ზართა-მრეკველის ერთადერთ თვალს ერთადერთი ცრემლი მოადგა, მაგრამ არ ჩამოვარდა. ზედ გაიყინა. ჩანს, ერთგვარ თავმოყვარეობის საკითხად, პატროსნების გრძნობად მიაჩნდა ცრემლის შეკაეება, დამლვა; არგამოჩენა.

— მისმინეთ, — განაგრძო მან, როდესაც უკვე აღარ ეშინოდა, რომ ცრემლი მოსწყდებოდა, — ამ ტაძარს ძალიან მალალი კოშკები აქვს. აქედან გადავარდნილი კაცი მანამდე მოკვდება, სანამ ქვაფენილს შეეხება. როცა თქვენ ინებებთ, აქედან გადავევარდე, ერთად სიტყვის თქმაც არ დაგჭირდებათ, თვალის გადაკვრაც კმარა.

იგი აღგა. რაოდენ უბედური იყო ბოშა ქალი, მაგრამ მაინც ეს უცნაური ველური არსება თანაგრძნობას აღუძრავდა. ქალმა დარჩენა ანიშნა.

— არა, არა, — უთხრა მან, — არ შეიძლება აქ დიდხანს დავრჩე. ჩემს გუნებაზე არა ვარ, ცუდად ვხდები. სიბრაღულის გამო არ მარიდებთ თვალს. ისეთ ადგილას წავალ, საიდანაც მე თქვენ გიყურებთ, მაგრამ თქვენ იქ ვერ დამინახავთ. ასე უკეთესი იქნება.

ჯიბიდან ლითონის პატარა სასტვენს ამოიღო.

— დაიჭირეთ ეს, — უთხრა მან, — როდესაც დაგჭირდეთ, როცა ჩემი მოსვლა ინებოთ, როდესაც ჩემი დანახვა ძალიან არ შეგზარავთ, ზიზღს არ აღგიძრავთ, ამით დაუსტვინეთ. ამ ხმას მე გავიგონებ.

სასტვენი ძირს დადო და გაიქცა.

ქვიშაძვა და ბროლი

დღე დღეს მისდევდა.

სიმშვიდე ნელ-ნელა უბრუნდებოდა ესმერალდას სულს. ზედმეტი მწუხარება, ისე როგორც ზედმეტი სიხარული, მძაფრი გრძნობებია, რომლებიც ხანგრძლივი არ არიან. ადამიანის გულს არ შეუძლია დიდხანს გაუძლოს მათს უკიდურეს სიმძაფრეს. ბოშა ქალმა იმდენი ტანჯვა გამოიარა, რომ გარდა განცვიფრებისა, აღარაფერი დარჩა მასში. უშიშროებასთან ერთად იმედიც დაუბრუნდა. ის საზოგადოების, ცხოვრების გარეთ იდგა, მაგრამ ბუნდოვნად გრძნობდა, იქნებ შეუძლებელი არც იყოს იქ დაბრუნებარ. იგი ისეთ მკვდარსა ჰგავდა, რომელსაც ხელთ თავისი აკლდამის გასაღები უპყრია მარაგად.

ის გრძნობდა, როგორ თანდათან შორდებოდნენ თავიდან საზარელი სახეები, რომლებიც ასე დიდხანს აკვიატებოდნენ, არ სცილდებოდნენ მას. ყველა ეს ბილწი მოჩვენებანი, პიერა ტორტერიუ, ეაკ შარმოლიუ, გაქრნენ მის სულში, ყველა, თვით მღვდელიც კი.

მერე, ფეხუსი ხომ ცოცხალია! მას სჯეროდა ეს, მან ხომ თავისი თვლით ნახა. ფეხუსის სიცოცხლე კი მისთვის ყველაფერი იყო. მთელ რიგ საბედისწერო ძრწოლათა შემდეგ, რომელთაც ყველაფერი დაამხეს მასში, ერთადერთი რამ, რაც კიდეც გადარჩა მის სულში, ეს იყო სიყვარულის გრძნობა კაპიტნის მიმართ. სიყვარული ხეს ჰგავს: იგი თავისთავად იზრდება, ღრმად იდგამს ფესვებს მთელ ჩვენს არსებაში და ხშირად განადგურებულ გულშიც კი განაგრძობს მწვანედ ხასხასს.

და რაც აუხსნელია, რაც უფრო ბრმა არის ვნება, მით უფრო ახირებულია, გაეკრპებულია. ყველაზე ძლიერი იგი მაშინ არის, როცა ყველაზე განუსჯელია, უგუნურია.

როცა კაპიტანზე ფიქრობდა, ესმერალდას უეჭველად მწარე მოგონებაც გაახსენდებოდა. უთუოდ საზარელი იყო მისთვის აზრი, რომ ფეხუსიც მოტყუვდა და დაიჯერა შეუძლებელი რამ, თითქოს ხანჯალი დაერტყას იმას, ვინც მას ათას სიცოცხლესაც კი მისცემდა. მაგრამ, ბოლოს, არც ამდენი საყვედური მართებს: განა თვითონ არ აღიარა „თავისი დანაშაული?“ მან, სუსტმა ქალმა, ხომ ვერ გაუძლო წამებასა და შედრკა? ყველაფერი მისი ბრალია. უწინ ფრჩხილები უნდა აეგლეჯინებინა, ვიდრე ასეთ სიტყვას ათქმევინებდნენ. ბოლოს, ერთბაშად მანაც რომ ნახავდეს ფეხუსს, თუნდაც ერთი წუ-

თით, ერთი სიტყვა, ერთი შეხედვაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ გადაეჯერებინა, დაბნეულობიდან გამოეყვანა, დაებრუნებინა. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. იგი ცდილობდა აგრეთვე დაევიწყებინა ბევრი უცნაური რამ, ფებუსის შემთხვევითი დასწრება საჯარო მონაწილების დღეს; ყმაწვილი ქალი, რომელთანაც კაპიტანი იღვა, უეჭველად მისი და იყო. განუსჯელ და წინდაუხედავ განმარტებას წარმოადგენდა, მაგრამ ასეთი ვარაუდი კმაყოფილებას ანიჭებდა, რადგან აუცილებლად ესაჭიროებოდა ეფექტა, რომ ფებუსს მაინც მარადღე უყვარდა, და უყვარდა მხოლოდ ის. განა ფებუსმა არ შეჰფიცა სიყვარული? რალა უნდოდა მეტი ამ გულუბრყვილო და მინდობილ, ადვილდამჯერ გოგონას? და მერე, ამ საქმეში ყველა მამხილებელი ვარაუდი მის წინააღმდეგ უფრო იყო, ვიდრე ვაჟისა. ამრიგად, ის ელოდა, იმედოვნებდა.

ამას ისიც დაეუმატოთ, რომ თვით ეკლესია, ეს ვრცელი ტაძარი, რომელიც მას ყველა მხრიდან ფარავდა, იცავდა და იხსნიდა, მასზე უდიდეს დამამშვიდებელ გავლენას ახდენდა. მისი არქიტექტურის დიადი ხაზები, ახალგაზრდა ქალის ირგვლივ მყოფი ყველა საგნის რელიგიური ხასიათი, ღვთისმოსავი და ნათელი აზრები, რაც თითოთქოს ამ ქვის ყოველი სვრეტრიდან გამოსჰქვიოდა, მისდა უნებურად კეთილად მოქმედებდა. ტაძარში ისეთი კურთხეული, ნეტარი და დიდებული ხმები ისმოდა, რომ მის ავადმყოფ სულს ტკივილს უყუჩებდა. კულტის მსახურთა ერთ კილოზე სიმღერა, მლოცველთა პასუხები მღვდლის მიმართ, ზოგჯერ ძლივს გასაგონი, ზოგჯერ კი მქუხარე, მინების პარმონიული თრთოლა, ორგანის გუგუნე ასი ბუკის ხმით, სამი სამრეკლო, რომლებიც უზარმაზარი ფუტკრების სკეზივით ზუზუნებდნენ, — მთელი ეს ორკესტრი, რომელსაც განუწყვეტლივ გადაუქროლებდა ხოლმე ბრბოსა და სამრეკლოს შორის აღმაჯალი და დაღმაჯალი გიგანტური გამმა, აუჩუბებდა მის მოგონებებს, წარმოსახვას, სევდასა და მწუხარებას. მეტადრე ზარები ურწყევდნენ ნანას. როგორც მძლავრი მაგნეტიზმი გამლილ ტალღებად იფრქვეოდა მის თავზე ამ უშველებელი ხეიმირებიდან.

ისე რომ მზის ყოველ ამოსვლას უფრო დამშვიდებული ხედებოდა, უფრო თავისუფლად სუნთქავდა, უფრო ნაკლებ იყო ფერდაკარგული. რაც უფრო პირს აკრავდა მისი შინაგანი, სულიერი კრილობები, მით უფრო იფურჩქნებოდა მის სახეზე კვლავინდებური სიკეკლუცე და სილამაზე, მაგრამ ახლა უფრო ჩაფიქრებული და მშვიდი. ისევ დაუბრუნდა უწინდელი ხასიათი, ზოგიერთი რამ აღრინდელი მხიარულებისა, ტუჩის კეკლუცი აბზუება, თხის სიყვარული, სიმღერის ხალისი, მორცხვობა. დილდილობით ცდილობდა

ტანსაცმელი თავისი საკანის რომელიმე კუთხეში ჩაეცვა იმის შიშით, რომ მეზობლად მდებარე შენობის სხვენიდან რომელიმე მცხოვრებს საშერაცხულში არ დაენახა.

ღროგამოშვებით, როცა ფეხუსზე არ ოცნებობდა, ხანდახან კვაზიმოდოზეც დაფიქრდებოდა. ადამიანებთან, ყოველივე ცოცხალთან ერთადერთ კავშირად, ერთადერთ ურთიერთობის საშუალებად ის და დარჩენოდა. საბრალო ქალი! ის უფრო მეტად იყო ქვეყანას მოწვეტილი, ვიდრე კვაზიმოდო. მას არა გაეგებოდა რა უცნაური მეგობრისა, რომელიც ბედმა და შემთხვევამ უძღვნა. ხშირად თავის თავს უსაყვედურებდა, იმდენი მადლიერების გრძნობაც კი არ გამოაჩინა, რომ თვალები არ დაეხუჭო და სახეში პირდაპირ შეეხედო, მაგრამ ვერა და ვერ მიეჩვია საბრალო ზართამრეკველს. მეტისმეტად მახინჯი იყო.

მან არ აიღო იატაკიდან კვაზიმოდოს მიერ მოტანილი სასტკეენი. მაგრამ კვაზიმოდოს ამან ხელი ვერ შეუშალა, ღროდაღრო გამოჩენილიყო პირველ დღეებში. ქალი, რაც კი შეეძლო, ცდილობდა, მეტისმეტი ზიზღით არ აერიდებინა თვალი, როდესაც კალათით სანოვაგე ან სურით წყალი მოჰქონდა, მაგრამ კვაზიმოდო სულ მცირე მოძრაობითაც ატყობდა, რად უჯდებოდა ქალს მისი შეხედვა, და ამიტომ დაღონებული მაშინვე განშორდებოდა ხოლმე.

ერთხელ მოულოდნელად გამოჩნდა იგი იმ წუთს, როცა ქალი ჯალის ეალერსებოდა. რამდენიმე წამს ეგრე დარჩა ჩაფიქრებული ბოშა ქალისა და თიკანის კეკლუცი წყვილის წინაშე; ბოლოს მძიმე და უშნო თავი გააქნია და თქვა:

— ჩემი უბედურება ის არის, რომ მე მაინც ვგავარ ადამიანს: ვისურვებდი კი ამ თხასავით ცხოველი ვყოფილიყავი.

ქალმა განცვიფრებული თვალთ შეხედა.

ამ შეხედვაზე მან უპასუხა:

— ეჰ! მე ძალიან კარგად ვიცი, რატომ. — და წავიდა.

მეორედ საკანის კარებთან გამოჩნდა (შიგნით არასოდეს შედიოდა) სწორედ იმ წამს, როდესაც ესმერალდა მღეროდა ძველ ესპანურ ბალადას, რომლის სიტყვები თვითონაც არ ესმოდა, მაგრამ მესხიერებაში ჩარჩენოდა, რადგან ბოშა ქალები ამ სიმღერით ნანას ეუბნებოდნენ ბალღობისას. საზიზღარი ფიგურის დანახვაზე, ასე მოულოდნელად რომ თავს წაადგა, ახალგაზრდა ქალმა-სიმღერა შეწყვიტა და უნებურად შეშინებული გამომეტყველება მიიღო. უბედურმა ზართამრეკველმა კარის ზღურბლზე მუხლთ მოიყარა და თავისი უშველებელი ტლანქი ხელები მავედრებელის იერით გადააჯვარედინა:

— ოჰ, გევედრებით. — უთხრა მან სევდიანი ხმით, — განაგრძოთ და არ გამძევოთ!

ესმერალდას არ უნდოდა მისთვის ეწეწინებინა, თუმცა მთლად ცახცახებდა, მაინც განაგრძო თავისი რომანსი. თანდათან შიშმაც გაუარა და მთლად ნაღვლიანი და გაქიანურებული ჰანგის შთაბეჭდილებამ შეიპყრო. კვაზიმოდო ისევ მუხლებზე იყო დაჩოქილი, ხელბეჭდადკობილი, ვითარცა ლოცვის ქამს, ყურადღებით უსმენდა, ძლივს სუნთქავდა, მზერა ბოშა ქალის მოელვარე თვალის გუგუბისათვის მიეშტერებინა. კაცს ეგონებოდა ქალის თვალეში მისი სიმღერის აზრს იჭერსო.

ერთხელ კიდევ, დარცხენითა და მორიდებით მივიდა ქალთან.

— მისმინეთ, — უთხრა მან მთელი ძალ-ღონის დაძაბვით; — რაღაც მაქვს თქვენთან სათქმელი.

ქალმა ანიშნა, რომ უსმენს. მან ამოიოხრა, პირიც გააღო, თითქოს მოემზადა კიდევ სათქმელად; მაგრამ სახეში შეხედა თუ არა, უარის ნიშნად თავი გააქნია, ხელეები შუბლზე მიიფარა და ნელა გაშორდა, ბოშა ქალი გაკვირებული დატოვა.

ტაძრის კედელზე გამოკვეთილ უცნაურ სახეთა შორის იყო ერთი ქანდაკება, რომლის მიმართ იგი განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული და რომელსაც ხშირად გადახედავდა ხოლმე ძმური თვალით. ერთხელ ბოშა ქალმა გაიგონა, როგორ უთხრა კუზიანმა კვაზიმოდომ ქანდაკებას:

— ოჰ, რატომ არა ვარ შენსავით ქვისგან!

ბოლოს, ერთ დღეს, ერთ დილას ესმერალდა სახურავის კიდემდე მივიდა და სენ-ჟან-ლე-რონის მახვილწვერიანი ბურულის ზემოდან მოედანს დახედა. კვაზიმოდოც იქ იყო, მის უკან. იგი ცდილობდა ისე დამდგარიყო, რომ ახალგაზრდა ქალს ვერ შეეხედა, რათა თავისი სიმახინჯით უსიამოვნო გრძნობა არ აღეძრა. უცბად ბოშა ქალი შეერთა, ცრემლმა და სიხარულის ნაპერწკალმა ერთდროულად იელვა მის თვალეში; ზედ სახურავის ნაპირს მუხლებზე დაეშვა, მწუხარებით გაიშვირა მკლავები მოედნისაკენ და იყვირა:

— ფებუს! მოდი მოდი! ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა, ზეცის სახელით ფებუს! ფებუს!

მისი ხმა, მისი სახე, მისი ზელთაყოლება თუ ტანთმოდრაობა, მთელი მისი არსება გამოხატავდა იმ ადამიანის გულშემშარავ ტანჯვას, რომელსაც გემის დაღუპვა განუტღია და ახლა საშველად მოუხმობს შორს ჰორიზონტზე მიმავალ მზის სხივებით გაციისკოვნებულ ხომალდს.

კვაზიმოდო მოედნისაკენ გადაიხარა და დაინახა, რომ ამ ნაზი და

შპავი ვედრების საგანი ერთი ყმაწვილი კაცი იყო, კაპიტანი, ბრწყინვალედ მორთული და აღკუთრვილი ლამაზი კავალერი, რომელმაც ცხენის ნავარდით მოედნის სიღრმეში გადაიარა და ჯიღიანი ჩაჩქანით სალაში უძღვნა აივანზე გადმომდგარ მოლიმარე ლამაზ ქალს. ოფიცერს არ გაუგონია უბედური ქალის ძახილი. ის ძალიან შორს იყო.

სამაგიეროდ საბრალო ყრუმ გაიგონა. ღრმა ოხვრა აღმოხდა მკერდიდან. იგი შებრუნდა. გული ნალელით გაუსივდა, ცრემლი ახრჩობდა. დაკრუნჩხული მუშტები თავზე შემოიკრა. როცა ხელები დაუშვა, ორივე მუჭაში ბლუჯა-ბლუჯა მწითული თმები შერჩენოდა.

ბოშა გოგონას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. კვაზიმოდომ კბილები გააღრაქუნა და ბოხი ხმით წაიბურტყუნა:

— დასწყევლოს ღმერთმა! აი თურმე როგორი უნდა იყო! გარეგნულად ლამაზი!

ქალი კი ისევ მუხლებზე იყო დაჩოქილი და უჩვეულო აღტაცებით გაიძახოდა:

— ოჰ, აგერ ცხენიდან ჩამოხტა, ახლა იმ სახლში შევა! ფებუს! ჩემი არ ესმის! ფებუს! — რა ბოროტი ქალია. მაინცა და მაინც მაშინ ელაპარაკება, როცა მე ვეძახი! ფებუს! ფებუს!

ყრუ კი მას შეკუყურებდა. ეს პანტომიმა მისთვის სრულიად გასაგები იყო. საბრალო ზართამრეკველს თვალი ცრემლით ავესო, მაგრამ არც ერთი კურცხალი არ გადმოვარდნია. უცბად ფრთხილად მოსწია ქალის სახელს. იგი შემობრუნდა. კვაზიმოდო უკვე დამშვიდებულიყო და ასე მიმართა ქალს:

— გნებავთ, წავალ, დაეუძახებ?

ქალს სიხარულის ყივილი აღმოხდა:

— ოჰ! წადი! წადი! გაიქეცი! ჩქარა! ის კაპიტანი! ის კაპიტანი მომიყვანე! შეგიყვარებ!

ქალი მუხლებზე მოეხვია. კუზიანმა მწუხარებით გააქნია თავი.

— წავალ, მოგიყვანთ, — უთხრა მან სუსტი ხმით. შემდეგ თავი იბრუნა და დიდ კიბეზე სწრაფად დაეშვა, ქვითინი სულს უხუთავდა.

როდესაც მოედანზე ჩამოვიდა, გონდლორიების სახლის კარებთან მიბმული ლამაზი ცხენის გარდა ველარაფერი ნახა. თვით კაპიტანი უკვე სახლში შესულიყო.

კვაზიმოდომ ეკლესიის სახურავისაკენ აიხედა. ესმერალდა ისევ იმ ადგილას იდგა, იმავე მდგომარეობაში. დაღონებულმა თავის დაქნევით ანიშნა, შემდეგ გონდლორიების ფარულკართან ქვის ბოძს მიეყრდნო; გადაწყვიტა, კაპიტნის გამოსვლას დავუტედიო.

გონდლორიების ოჯახში ერთ-ერთი წინასაქორწინო საზეიმო

დღე იყო. კვაზიმოდო ხედავდა, როგორ შედიოდა მათ სახლში უამრავი ხალხი, მაგრამ იქიდან გამოსული არავინ უნახავს, დროდადრო მალლა ტაძრის სახურავისაკენ აიხედავდა ხოლმე. ბოშა ქალი მასავით ადგილიდან არ იძვროდა. მეჯინიბემ ცხენი აუშვა და იმ სახლის თავლაში შეიყვანა.

მთელი დღე ასე გაატარეს, კვაზიმოდომ ქვის ბოძთან. ესმერალდამ — სახურავზე; ხოლო ფებუსმა უეჭველად ფლორ-დე-ლისის ფეხებთან.

ბოლოს, კიდევ დადამდა. უმთვარო, ბნელი ღამე იყო. ამოდ მიაპყრობდა კვაზიმოდო თავის მწერას ესმერალდას. საღამოს ბინდბუნდში იქ უკვე ველარაფერს არჩევდა, გარდა თეთრი წერტილისა. მერე ისიც გაქრა. ყველაფერი წაიშალა, ყველაფერი სიბნელემ შთანთქა.

კვაზიმოდომ დაინახა, როგორ აენტო ზევიდან ძირამდე გონდლორიების სახლის წინხედის ყველა სარკმელი. მან ნახა აგრეთვე, როგორ განათდა ერთი მეორეზე სხვა სარკმელებიც მოედნის ირგვლივ. ისიც ნახა, როგორ ჩაბნელდა თანდათანობით ყველა უკანასკნელ სარკმელამდე, რადგან მთელ საღამოს იღვა თავის სადარაჯოზე. ოფიცერი არ გამოდიოდა. უკანასკნელი გამვლელები დაბრუნდა შინ, ყველა სხვა სახლის ფანჯარაც ჩაბნელდა. კვაზიმოდო მაინც დარჩა იქ მარტოდმარტო, სიბნელეში. იმ დროს ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭე განათებული არ იყო.

მაგრამ გონდლორიების ფანჯრები მაინც გაჩირალდნებულა იყო, თვით ნაშუალამევესაც. კვაზიმოდო უძრავად იღვა და ყურადღებით შეჰყურებდა ათასფერ მინებში გავლილ ცოცხალ და მოცეკვავე ლანდებს. ის რომ ყრუ არ ყოფილიყო, იმდენად, რამდენადაც მიძინებულ პარიზში ხმაური კლებულობდა, თანდათან გარკვევით უნდა გაეგო გონდლორიების სახლიდან გამოსული ზეიმის, სიცილისა და მუსიკის ხმები.

ნაშუალამევის პირველ საათზე იწყეს სტუმრებმა წასვლა. სიბნელეში მიმალულმა კვაზიმოდომ ყველა დაინახა, ვინც კი გამოვიდა ჩირალდნებით განათებულ სადარბაზო კარებში. მაგრამ მათ შორის კაპიტანი არ იყო.

იგი ნალვლიანმა ფიქრებმა შეიპყრო. ზოგჯერ მოწყენილი პაერში აიხედავდა. შავი, მძიმე, ნაპრალოვანი ღრუბლის ნაგლეჯები ღამის ვარსკვლავიან ცის კამარაზე სამგლოვიარო კრების ჰამაკებით ეკიდა. ისინი ცის თაღზე გაბმულ აბლაბუდას ჰგავდნენ.

ამ დროს მან დაინახა, როგორ იდუმალ გაიღო სარკმლიანი კარი აივნისა, რომლის ქვის მოაჯირი მის თავს მალლა გადმოდიოდა.

მყოფე შუშთან კარში ორი პირივნება გამოვიდა. მათ უკან კარი ისევ უხმაუროდ მიიხურა. ერთი მამაკაცი იყო, მეორე ქალი. კვაზიმოდომ ძლივს შეიცნო იმ მამაკაცში ლამაზი კაპიტანი, ხოლო ქალში — ის ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ამ დილას ნახა, ამავე აივნიდან ოფიცერს მშვიდობით დაბრუნებას რომ ულოცავდა. მოედანი სრულიად ჩაბნელებული იყო, ხოლო ორმაგი მეწამული კრეტსაბმელი, რომელიც მათ უკან მაშინვე ჩამოეშვა, როგორც კი კარი მიიხურა, ბინიდან აივანზე სინათლეს სულ არ უშვებდა.

ქაბუჯი და ყმაწვილი ქალი, რამდენადაც შეეძლო გაეგო და განესაჯა ჩვენს ყრუს, რომელსაც მათი სიტყვები არ ესმოდა, როგორც ჩანდა, ძალიან გატაცებული იყვნენ მეტად ნაზი საუბრით ერთმანეთთან. ეტყობოდა, ახალგაზრდა ქალმა ნება დართო ოფიცერს წელზე მკლავი მოეხვია, კოცნაზე კი ნელა უწევდა წინააღმდეგობას.

კვაზიმოდოს ქვემოდან შეეძლო ეყურა ამ სცენისათვის, რაც მით უფრო ლამაზი იყო საცქერლად, რამდენადაც იგი სხვის დასანახად არ იყო ნაყარაუდგევი. სიმწრის გრძობით უჭკრეტდა ამ ბედნიერებას, ამ სილამაზეს. მიუხედავად ყოველივესი, ამ უბადრუკ არსებაში, საცოდავ ადამიანში ბუნების ხმა როდი იყო დამუხრეხებული, და მისი ხერხემალი, თუმცა მეტად ვაგლახად იყო გამრუდებული, სხვაზე ნაკლებ არ იყო მგრძობიარე. ის ფიქრობდა იმ უბედურ ხვედრზე, რომელიც განგებამ განუშზადა; ქალმა, სიყვარულმა, ვნებამ, ავხორცობამ მუდამ მის თვალწინ უნდა ჩაიაროს და თვითონ კი მხოლოდ იმიტომ გაჩენილა, სხვის ნეტარებას უყუროს. მაგრამ ყველაზე მეტად ის აწუხებდა და მის წყენას აღშფოთებდაც ზედ უმატებდა ფიქრი იმის გამო, თუ რაოდენ დაიტანჯებოდა ბოშა ქალი, ეს სანახაობა რომ ეხილა. მართალია, ძალიან ბნელი ღამე იყო, ესმერალდა, თუ ისევ იმ ადგილზე დარჩა (რაშიც მას ეჭვი არ ეპარებოდა) ძალიან შორს იყო და ვერაფერს დაინახავდა; ის კი არა, თვითონაც ძლივს არჩევდა შეყვარებულებს აივანზე, ეს ცოტა ნუგეშს აძლევდა.

ამასობაში წყვილის საუბარი აივანზე თანდათან გაცხოველებული ხდებოდა. როგორც ჩანდა, ახალგაზრდა ქალბატონი ოფიცერს ევედრებოდა მისგან მეტი არაფერი მოეთხოვა. კვაზიმოდო ქალიშვილის მხოლოდ ვედრებით გადაჭდობილ ლამაზ ხელებს, ცრემლნარევ ღიმბილს, ვარსკვლავებისაკენ აღმართულ თვალებსა და კაპიტანის ვნებიან მზერას არჩევდა.

საბედნიეროდ, რადგანაც ქალიშვილის წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა და ველარ ებრძოდა, აივნის კარები უეცრად გაიღო და მოხუცი ქალი გამოჩნდა; ლამაზი ქალიშვილი დარცხენილი

და შემკრთალი ჩანდა, ოფიცერმა ნაწყენი სახე მიიღო. საშვივე ოთახში დაბრუნდა.

ერთი წუთის შემდეგ ფარულკართან ცხენის ტორების ცემა მოისმა, და ღამის წამოსასხამში გახვეულმა ბრწყინვალე ოფიცერმა კვაზიმოდოს თვალწინ ჩაუქროლა.

ზართამრეკველმა აცალა ქუჩის კუთხეში შეხვევია, შემდეგ მაიმუნის სიმკვირცხლით გამოეყიდა და მიაძახა:

— ჰეი, კაპიტანო!

კაპიტანი შეჩერდა.

— რა უნდა ჩემგან ამ არამზადას? — თქვა მან, რა განჭვრიტა სიბნელეში მისკენ ბაჯბაჯით მორბენალი, აქეთ-იქით მოქანავე უცნაური ფიგურა.

კვაზიმოდო დაეწია ოფიცერს და ცხენს გაბედულად უტაცა ხელი ლაგამზე:

— გამომყევით კაპიტანო; აქ ახლოს ერთ ვინმეს თქვენთან ლაპარაკი სურს.

— ვფიცავ ეშმაკის რქებს! — წაიბუზღუნა ფებუსმა, ეს საზიზღარი აბურძმნული ფრინველი, მგონია, სადღაც მინახავს. — ეი, კმარა ვაყბატონო, ხელი უშვი ლაგამს!

— კაპიტანო, — განაგრძო ყრუმ, — არ გნებავთ გაიგოთ ვის სურს თქვენი ნახვა?

— მე შენ გეუბნები, გაუშვი ჩემი ცხენი-მეთქი! — მოუთმენლად გაუმეორა ფებუსმა: — ეს ვინ ოხერი ჩამოეყიდა ჩემი საბრძოლო ცხენის დრუნჩს? ჩემი ცხენი სახრჩობელა ხომ არა გგონია?

მაგრამ კვაზიმოდო არათუ აპირებდა სადავის შეშვებას, არამედ იმასაც კი ცდილობდა ცხენი უკან მიებრუნებინა. მას ვერ გაეგო რითი აიხსნებოდა კაპიტნის წინააღმდეგობა, ამიტომ სასწრაფოდ უთხრა:

— წამოდით, კაპიტანო, ქალი გელოდებათ. — და დასძინა ძალდატანებით: — ქალი, რომელსაც თქვენ უყვარხართ.

— აი იშვიათი და ურცხვი ლაზღანდარა! — თქვა კაპიტანმა, — მაგას ჰგონია, ვალდებული ვარ ყველა ქალს ავედევნო. ვისაც კი ვუყვარვარ ან ამბობს, რომ ვუყვარვარ! ერთიე ვნახოთ, ეგ შენი ქალი შენა გგავს, ბუქნაოქის სიფათო? უთხარი იმას, ვინც შენ გამოგგზავნა, რომ მე ცოლს ვირთავ და შენ ეშმაკსაც წაუღიხართქო.

— მისმინეთ, — შეუძახა კვაზიმოდომ იმ რწმენით, რომ ერთი სიტყვით დაამარცხებდა მის ყოყმანს, — წამოდით, ბატონო! გიხმობთ ის ბოშა ქალი, რომელსაც თქვენ იცნობთ!

ამ სიტყვამ ფებუსზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა,

მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ყრუ მოელოდა. მოვიგონოთ, რომ ჩვენი თავაზიანი ოფიცერი ფლორ-დე-ლისთან ერთად რამდენიმე წუთით ადრე განშორდა აივანს მანამდე, სანამ კვაზიმოდო შარბოლიუს ხელიდან გამოგლეჯდა მსჯავრდადებულს. ამის შემდეგ კაპიტანი, როცა კი ეწვეოდა გონდლორიების ოჯახს, საგულისგულოდ ერიდებოდა ლაპარაკს ბოშა ქალზე, რომლის მოგონება მისთვის, ბოლოს, სატანჯველი გახდა; ხოლო ფლორ-დე-ლისსაც წინდაუხედაობად მიაჩნდა ეთქვა ბოშა ქალი ცოცხალიაო. ფებუსი დარწმუნებული იყო, რომ საბრალო „სიმილარი“ უკვე მოკვდა, და მისი დასჯიდან ერთი ან ორი თვეც გავიდა. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ რამდენიმე წამის შემდეგ კაპიტანი დაფიქრდა ღამის უკუნეთ საბნელზე, არაბუნებრივ სიმახინჯეზე, უცნაური შიკრიკის სამარისებურ ხმაზე, იმაზე, რომ შუალამე უკვე გადავიდა და ქუჩა ისევე დაცარიელდა, როგორც იმ საღამოს, ბერი-მოჩვენება რომ მივიდა მასთან, და რომ მისი ცხენი უკვე ფრთხვინავდა, ფრუტუნებდა, აღმაცერად უყურებდა კვაზიმოდოს.

— ბოშა ქალი! — შეჰყვირა მან თითქმის შეშინებულმა. — მაშ, შენ საიქიოდან ხარ გამოგზავნილი?

და ხანჯლის ტარზე წაივლო ხელი.

— ჩქარაა ჩქარა! — გაიძახოდა ყრუ და ცდილობდა ცხენი თან გაეყოლებინა; — აი, აქეთ!

ფებუსმა ჩექმა მაგრად ჩაარტყა მკერდში.

კვაზიმოდოს თვალმა იელვა. ერთი შეივხა, რომ კაპიტანს სძგებოდა. მაგრამ შემდეგ თავი შეიკავა და უთხრა:

— ოჰ! ბედი თქვენი, რომ ერთ ვინმეს უყვარხართ!

სიტყვა „ერთ ვინმეს“ ხაზგასმით წარმოთქვა, და ცხენის საღვეს ხელი გაუშვა:

— წადი, გასწი აქედან!

ფებუსმა ცხენს ორივე დეზი ჰკრა და თან გინება დააყოლა. კვაზიმოდომ თვალი გააყოლა მანამდე, სანამ იგი ღამის წყვედიადში არ ჩაინთქა.

— ოჰ! — თქვა სრულიად დაბალი ხმით საბრალო ყრუ, — ასეთ ღამეზე უარის თქმა!

იგი ღვთისმშობლის ტაძარში დაბრუნდა, თავისი სანათი ანთო და კოშკზე ავიდა. როგორც ფიქრობდა, ბოშა ქალი ისევ იმ ადგილზე იყო.

როგორც კი შორიდან შეამჩნია, წამსვე მიივრბინა მასთან.

— მარტო! — შესძახა მან და ღამაზი ხელეები მწუხარებით ერთმანეთს გადააქლო.

— ვერ ვიპოვე, — ცივად უთხრა კვაზიმოდომ.

— მთელ ღამეს უნდა გელოდნა, — ცხარედ მიმართა ქალმა.

ვაჟმა იხილა მისი მრისხანე გამომეტყველება და საყვედურს მიუხვდა.

— სხვა დროს უკეთ დავუდარაჯებ, — თქვა მან თავჩაქინდრულმა.

— წადი აქედან! — უთხრა ქალმა.

და ვაჟმაც დატოვა იგი. თუმცა მოიმდურა, მაგრამ ერჩია ქალის მხრივ ავი, უდიერი მოპყრობა, ვიდრე მისი გულისტყენა და დანაღვლიანება. მთელი ტკივილი, სევდა და მწუხარება თავისთავზე გადაიტანა.

ამ დღიდან ბოშა ქალს ის აღარ უნახავს. მის საკანთან მოსვლა შეწყვიტა. ხანდახან თუ მოჰკრავდა თვალს ერთ-ერთი კოშკის მწვერვალზე ზართამრეკველის ფიგურას, მისკენ მიპყრობილ მის გასტერებულ სევდიან მზერას. მაგრამ როგორც კი ქალი შენიშნავდა მას, მაშინვე უჩინარდებოდა.

უნდა ითქვას, ესმერალდას ნაკლებ აწუხებდა ის, რომ საწყალმა კუზიანმა თავისი ნებით აიღო ხელი მასთან მისვლაზე. გულის სიღრმეში ამის გამო მადლობელიც კი იყო მისი. თუმცა ამ მხრივ არც კვაზიმოდოს შეუდგენია მცდარი ილუზიები.

ქალს აღარ უნახავს იგი, მაგრამ მაინც გრძნობდა თავის ირგვლივ კეთილი გენიის იქ ყოფნას. უხილავ ხელს, როცა მას ეძინა. მოჰქონდა მუდამ ახალ-ახალი სანოვავე, საკუმელ-სასმელი. ერთ დილას, თავის ფანჯარაზე ნახა გალია ჩიტებით. მისი საკანის ზემოთ იყო ქანდაკება, რომელიც მას აშინებდა. არაერთხელ შეშინებია ამ ქანდაკებისა კვაზიმოდოს წინაშეც. ერთ დილას (რადგან მთელი ეს საქმე ღამე კეთდებოდა) ის ქანდაკება ვეღარ ნახა. ჩამოსხვრეული იყო. ამ ქანდაკებამდე ამძრომს საკუთარი სიცოცხლე ხიფათში უნდა ჩაეგღო.

ხანდახან საღამოობით ბოშა ქალს სამრეკლოს ჩარდახიდან ესმოდა სიმღერა, თითქოს დასაძინებლად ნანას ეუბნებო. სევდიანი და უცნაური სიმღერა. ესენი ურითმო ლექსები იყო, როგორც კი შეუძლია ყრუმ შეთხზას:

სახეს ნუ უყურებ,
ყმაწვილო ქალო
გულში ჩაიხედე.

გული ღამაში ქაბუქისა ხშირად გონჯია.
ბევრია გული, სიყვარული შიგ ვერ ბოვინობს,

ყნაწვილო ქალო,
ნაძვი არ არის ალვის ხეზე
უფრო ლამაზი.
მაგრამ ზამთარშიც მწვანეა მუდამ.

ვაკლახ! რად უნდა ამას თქმა?
რაც მახინჯია, დე დაიღუპოს.
მშვენიერებას მუდამ უყვარს მშვენიერება,
აპრილი მუდამ ზურგს
უბრუნებს ცივ თვეს იანვარს.

სილამაზეა მხოლოდ სრულქმნილი,
სილამაზეა ყოვლისა შემქმნე.
მხოლოდ სილამაზე არსებობს სრული არსებით.

ყორანი მარტო დღისითა ფრინავს,
ბუ მხოლოდ ღამე დაფრინავს,
გედი კი დღისით და ღამითაც ფრინავს.

ერთ დილას რომ გაიღვიძა, ქალმა თავის ფანჯარაზე ყვავილე-
ბით სავსე ორი ლარნაკი დაინახა. ერთი ბროლისა იყო, ძალიან ლა-
მაზი და ძალიან ელვარე, მაგრამ გაბზარული, შიგ ჩასხმული წყალი
გასდენოდა და ყვავილები დამჟკნარიყო. მეორე — ქვიშაქვისა იყო,
უშნო, ტლანქი და ჩვეულებრივი, მაგრამ წყლით სავსე. ქორთა ყვა-
ვილები ალისფრად დაღანებდნენ.

არ ვიცი, განზრახ ქმნა ეს თუ არა, ესმერაღლდამ დამჟკნარი თაი-
გული ამოიღო და მთელი დღე მკერდზე ატარა.

იმ დღეს კოშკიდან სიმღერა აღარ სმენია.

მაგრამ ეს ნაკლებ აწუხებდა ესმერაღლდას. მთელ დღეებს ჯალის
აღერსში ატარებდა და გონდლორიეს სახლის სადარბაზო კარს
ზვერაავდა, დაბალი ხმით თავის თავს ფებუსზე ებაასებოდა და მერ-
ცხლებს პურს უფხვნიდა.

კვაზიმოდოს ზედაც აღარ უყუჩებდა, აღარ უსმენდა. კაცს ეგო-
ნებოდა, საბრალო ზართამრეკველი ეკლესიიდან გამქრალაო. მაგრამ
ერთ ღამეს, როდესაც ქალს არ ეძინა და თავის ლამაზ კაპიტანზე
ოცნებობდა, თავის საკანთან ვილაცის ოხვრა მოესმა. შეშინებული
წამოდგა და მთვარის შუქზე კარის გარეგარდმო გაწოლილი
უფორპო მასა დაინახა. ეს კვაზიმოდო იყო, ცივ ქვაზე მძინარე.

წითელი ზიზარის გასაღები

ამასობაში ბოშა ქალის სასწაულებრივი გადარჩენის ამბავმა არქილიაკონის ყურამდეც მიაღწია. როცა ეს გაიგო, თვითონაც არ იცოდა, რას გრძნობდა. ის შეურიგდა ესმერალდას სიკვდილს. ამრიგად, დამშვიდდა კიდევ, რადგან ღრმა მწუხარების უკიდურეს მიჯნას მიაღწია. ადამიანის გულს (კლოდ ფროლოს ამ საგანზეც უფიქრია) შეუძლია სასოწარკვეთილების გარკვეული ოდენობა დაიტოს. როდესაც ღრუბელი გაქვინთილია, თუნდაც მთელმა ზღვამ გადაუაროს თავზე, ერთი წვეთიც ვეღარ შეაღწევს შიგნით.

მაშინ, როცა ესმერალდა მისთვის მოკვდა და ეს ღრუბელი გაიქვინთა, ამ ქვეყნად კლოდ ფროლოსთვის ყველაფერი გათავდა. მაგრამ იმის შეგნება, რომ ესმერალდა ცოცხლობდა, ცოცხლობდა აგრეთვე ფებუსი, ეს ტანჯვა-წამების, ძრწოლის, ქოჭმანის, ექვების, სიცოცხლის თავიდან დაწყებას ნიშნავდა. კლოდი კი ყოველივე ამან უკვე დაღალა.

როდესაც ეს ახალი ამბავი გაიგო, თავის სამონასტრო სენაკში ჩაიკეტა. აღარ გამოჩენილა არც კაპიტულის თათბირებზე, არც ღვთისმსახურების ემს. ყველას გამოუკეტა თავისი კარები, თვით ეპისკოპოსსაც კი. ამგვარ პატიმრობაში რამდენიმე კვირა გაატარა. ფიქრობდნენ, ავად თუ არისო. მართლაც რომ ავად იყო.

მაგრამ რას აკეთებდა იგი ასე კარჩაკეტილი? რა ფიქრებს ებრძოდა ეს უბედური ადამიანი? იქნებ უკანასკნელად შეებრძოლა თავის საშინელ ვნებას? ან იქნებ უკანასკნელ გეგმას ხლართავდა იმ გოგოს სასიკვდილოდ და საყუთარი თავის დასაღუპად?

მისი ქვანი, მისი საყვარელი ძმა, მისი განებივრებული ბავშვი, ერთხელ მის კარებს მიადგა, უკაცუნა, ეხვეწა, ეფიცა, ევედრა, ათჯერ უთხრა თავისი სახელი. კლოდმა მაინც არ გაუღო კარი.

მთელი დღეები თავისი ფანჯრის მიწებს. სახით აკვეროდა. მონასტრის ამ საკმედიდან ესმერალდას საკანი მოჩანდა. მას ხშირად თხასთან, ან ზოგჯერ კვაზიმოდოსთან ერთად ზედავდა. იგი ამჩნევდა საზიზარარი ყრუს წვრილმან ზრუნვას. მის მორჩილებას, მის თავისებურ გულისხმიერებას. ერთგულებას ბოშა ქალის მიმართ. მან გაიხსენა, რადგან კარგი მეხსიერება ჰქონდა, მეხსიერება კი ექვიანებისათვის ჯალათია, როგორ უცნაური თვალით უქვერდა ერთ საღამოს ზართამრეკველი მოცეკვავე ქალს. თავის თავს ეკითხებოდა, რა მიზეზის კარნახით შეეძლო გადაერჩინა კვაზიმოდოს ესმერალდა. იგი მოწმე იყო ათასი პატარა სცენებისა ბოშა ქალსა და ყრუს შო-

რის, ზოლო შორიდან დანახული და მისი ვნებებით განმარტებული მათი პანტომიმა მეტისმეტად ნაზი ეჩვენებოდა. ის არ ენდობოდა ქალების უცნაურ ხასიათს. მაშინ ბუნდოვნად იგრძნო, როგორ გაიღვიძა მის გულში ექვმა, რისთვისაც არასოდეს მიუქცევია ყურადღება, და რამაც გააწითლა სირცხვილისა და აღშფოთების გამო. — „დაე თუნდაც კაპიტანი ყოფილიყო, მაგრამ ეს!..“ ამ აზრმა მთლად ააფორიაქა, ტვინი შეუწყვია.

ეს ღამეები საშინელი იყო მისთვის. მას შემდეგ, რაც გაიგო, ბოშა ქალი ცოცხალიაო, გამყინავი აზრები მოჩვენებისა და საფლავისა, პირველ დღეს რომ აეკვიტა, გაუქრა, გაუქარწყულდა, და კვლავ ავხორცმა ვნებამ დაუწყო ჩხვლეტა. ლოგინში შამფურივით ტრიალებდა და იგრინებოდა, მას შემდეგ, რაც შევეგრემან გოგონას ასეთი სიახლოვე იგრძნო.

ყოველ ღამე მისი შმაგი წარმოსახვა ესმერალდას ისეთ მდგომარეობაში წარმოუდგენდა, რომ ძარღვებში სისხლს უდღუღებდა. აი ხედავს ესმერალდას განგმირული კაპიტანის მუხლებზე გაწოლილს, თვალდახუჭულს, მკერდგაღელილს, ფეხუხის სისხლით მოსვრილ მშვენიერ ძუძუმკერდს, იმ ნეტარ წუთს, როდესაც არქიდიაკონმა მის გაფითრებულ ბაგეებზე აღბეჭდა კოცნა, რომლის მხურვალეობა ცოცხალმკვდარმა და უბედურმა ქალმა მაინც იგრძნო. და აი კვლავ ხედავს მას სანახევროდ ტანსაცმელგახდილს წამების ოსტატთა და ქონდაქართა უხეშ ხელებში, რომლებიც აშიშვლებენ და რკინის ხრახნიან „ესპანურ ჩექმაში“ ათავსებენ მის პატარა ტერფს, მის ნაზსა და მრგვალ ფეხს, მის თეთრსა და მოქნილ მუხლს. მან კვლავ იხილა ეს სპილოს ძელისაგან ნაქანდაკარი მუხლი, ტორტერიუს საშინელი იარაღის ზემოთ დარჩენილი. ბოლოს, ახალგაზრდა ქალი წარმოუდგა პერანგის ამარა, კისერზე თოკშებმული, მხრებმოტიტვლებული, ფეხშიშველი, თითქმის ტანსაცმელგანძარცვული, ისე, როგორც იხილა იგი უკანასკნელ დღეს. ამ ავხორცი სურათების წარმოდგენაზე თითები ეკრუნჩხებოდა, მუშტებად ეკუმშებოდა, და მთელი ხერხემლის სიგრძეზე ყრყოლა-კანკალი ჩაუბრუნდა.

ერთ ღამეს ამ სურათებმა ისე ულმობლად აღაგზნეს უბიწომლვდლის ძარღვებში სისხლი, რომ კბილებით ბალიშს სწვდა, ლოგინიდან წამოვარდა, პერანგზე კვართი გადაიკეცა, ლამპარს ხელი სტაცა და სენაკიდან გარეთ გამოვარდა, სანახევროდ ტიტველი, დამფრთხალი, გონებადაფანტული, გიჟივით თვალებანთებული.

იცოდა, სად ენახა გასაღები წითელი ჭიშკრისა, რომელიც მონასტერს ეკლესიასთან აჯავშორებდა, კოშკთა კიბის გასაღები კი, როგორც ვიცით, მუდამ თან ჰქონდა.

გაბრძელება ამავევისა
წითელი ჰიზარის გასაღების თაობაზე

იმ ღამეს ესმერალდას თავის საკანში იმედებსა და ტკბილ ფიქრებში თავდავიწყებულს ჩაეძინა. უკვე კარგა ხანი ეძინა და, როგორც ყოველთვის, ფეხუსი ესიზმრებოდა, როცა თავის მახლობლად რაღაც ხმაური შემოესმა. ფხიზელი და მოუსვენარი, ფრინველვით ძილი იცოდა. სულ მცირე ფაჩუნიც კი აღვიძებდა. თვალები გაახილა. მეტად ბნელი ღამე იყო. მაგრამ მაინც დაინახა, რომ სასმენი სარკმელიდან ვიღაც უყურებდა. ლამპარი ანათებდა ამ მოჩვენებას. იმ წუთს, როგორც კი შეამჩნია — ესმერალდამ დაინახაო, იმ ვილაცამ სანათი ჩააქრო. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ქალმა მოასწრო თვალის მოკვრა. შიშისაგან თვალები დახუჭა.

— ოჰ! — თქვა მან მიმქრალი ხმით, — მღვდელი!

მთელმა განელიძმა უბედურებამ კვლავ გაიღვრა მის წინაშე. შიშისაგან გაყინული ისევ ლოგინზე დაეცა.

ერთი წუთის შემდეგ მთელ სხეულზე ვილაცის შეხება იგრძნო, რამაც იმდენად აათრთოლა, რომ სრულიად გამოეგნო და გამძვინვარებული ლოგინზე წამოჯდა.

მღვდელი ლოგინში შეუძვრა და ორივე ხელი მოჰხვია. ქალს უნდოდა ეყვირა, მაგრამ ვერ შესძლო.

— გასწი, ურჩხულო! გაეთრე, კაცის მკვლელი! — ეუბნებოდა იგი განრისხებისა და შიშისაგან ათრთოლებული დაბალი ხმით.

— შემობრალე! შემიწყალე! — ჩურჩულებდა მღვდელი და თან ტუჩებით მხრებზე ეკონებოდა.

ქალი ორივე ხელით მის მელოტ თავზე დარჩენილ თმებში სწვდა და მოშორებას ცდილობდა. თითქოს მღვდლის ხვევნა-კოცნა გველის ნაკებნი ყოფილიყოს.

— შემობრალე, მოიღე მოწყალება! — იმეორებდა ბედკრული. — შენ რომ იცოდე, როგორია ჩემი სიყვარული შენდამი! იგი ცეცხლია, გამდნარი ტყვია, ჩემს გულში გაყრილი ათასი დანა.

და ზეადამიანური ძალით დაუჭირა მკლავეები.

მოთმინებადაკარგულმა ქალმა უყვირა:

— გამიშვი, — უთხრა მან, — გამიშვი, თორემ სახეში შეგაფურთხებ!

გაუშვა.

— დამამცირე. შემარცხინე, მცემე. იყავი ჩემდამი ავი და ბოროტი! მიყავი, რაც გინდა! ოღონდ შემიბრალე! შემიყვარე!
მაშინ გოგონამ ბავშვური გაშმაგებით დაუწყო ცემა. მთელი თავისი ლამაზი ხელების ძალა მოიკრიფა, რომ მისთვის სახე ჩაეჩეჩქვა.

— გასწი, დემონო!

— შემიყვარე, შემიყვარე! შემიბრალე! — ყვიროდა საბრალო მღვდელი, ფეხებში უვარდებოდა, ზედ ეკვროდა და ცემაზე ალერსით უპასუხებდა.

უცბად ქალმა იგრძნო, რომ მამაკაცი მასზე ღონიერი იყო.

— დროა ბოლო მოუღოთ! — თქვა კაცმა კბილთა ღრქენით.

დამარცხებული, დამორჩილებული, აკანკალებული და გატეხილი გოგონა მის მკლავებში იყო მომწყვდეული. ის გრძნობდა, როგორ უფათურებდა მამაკაცი ავხორც ხელს მის სხეულს. უკანასკნელად მოიკრიფა ძალ-ღონე და ყვირილი მორთო:

— მიშველეთ! ჩემთან! გამპირი! გამპირი!

არაფინ გამოჩენილა. მარტო ჯალიმ გაიღვიძა და საცოდავად მოკყვა კიკინს.

— გაჩუმდი! — უთხრა აქოშინებულმა მღვდელმა.

ამ მოგერიების დროს იატაკზე ცოცვაში ბოშა ქალი უცბად ღონის რაღაც ცივ ნივთს წააწყდა. ეს კვაზიმოდოს სასტვენნი იყო. ქალის გულში იმედის ნაპერწკალმა კვლავ გაიელვა. დასწვდა სასტვენს, ტუჩებთან მიიტანა და, რაც უკანასკნელი ძალა დარჩენოდა, მაგრად ჩაბერა. სასტვენმა წკრიალა, მკვეთრი და ყურთა სმენის წამლები ხმა გამოსცა.

— რა არის ეს? — თქვა მღვდელმა.

თითქმის იმავე წამს კლოდმა იგრძნო, რომ ვიღაცის ღონიერმა ხელმა მალა ასწია. საკანში ბნელოდა; მან მკაფიოდ ვერ გაარჩია, ვინ სტაცა ხელი, მაგრამ კბილების გაშმაგებული ღრქენა შემოესმა. ამასთან ამ სიბნელეში სინათლის საკმაო ქაელები მიმოფანტულიყო, რომ მას თავის თავს მალა ალაპლაპებული დანის ფართო პირი დაენახა.

მღვდელს კვაზიმოდოს ფორმა მოეჩვენა. მისი ვარაუდით, მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო. გაახსენდა, რომ შემოსვლისას კართან გარედან გარდიგარდმო გაწოლილ რაღაცას წამოჰკრა ფეხი და წაიბოროტოდა. მაგრამ ახალმოსულს ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს, ამიტომ არ იცოდა, რა ეფიქრა. დანაალმართულს ხელზე ხელი უტაცა და უყვირა:

— კვაზიმოდო!

ამ გაუქმების წამს გადავიწყდა, რომ კვაზიმოდო ყრუ იყო.

თვალის დახამხამებაში მღვდელი ძირს დაენარცხა და იგრძნო, რომ ტყვიასავით მძიმე მუხლი დაებრჯინა მკერდზე. ამ კუთხოვანი მუხლის დაბრჯენაზე იცნო კვაზიმოდო. მაგრამ რა უნდა ექნა, რომ მასაც ეცნო იგი? ღამეს ყრუ ბრმადაც ექცია.

იღუპებოდა. ძუ ვეფხვივით განრისხებული და შეუბრალებელი ახალგაზრდა ქალი სულაც არ განძრეულა და არ ჩარეულა მის გადასარჩენად. მის თავზე დანა შეიმართა და უკვე დასაბრტყმელად უახლოვდებოდა. სახიფათო მომენტი იყო. უცბად მისი მეტოქე რაღაც შეყოყმანდა.

— სისხლმა არ უნდა შებიწფოს ის! — თქვა მან ყრუ ხმით.

მართლაც კვაზიმოდოს ხმა იყო.

მაშინ მღვდელმა იგრძნო, რომ ღონიერი ხელი ფეხში დასწვდა და საკანიდან გარეთ გაათრია. აი თურმე სად ელის სიკვდილი! მისდა საბედნიეროდ, რამდენიმე წამის წინ მთვარე ამოვიდა.

როდესაც ისინი საკანის კარს იქით აღმოჩნდნენ, მთვარის მკრთალი სხივი მღვდლის სახეს მოხვდა. კვაზიმოდომ პირდაპირ შეხვდა და აცახცახდა, მღვდელს ხელი უშვა და უკან დაიხია.

ბოშა ქალი საკანის ზღურბლზე გამოვიდა და განცვიფრებულმა დაინახა, რომ როლები უცბად შეიცვალა. ახლა მღვდელი ემუქრებოდა, კვაზიმოდო კი ევედრებოდა.

მღვდელმა მრისხანებისა და საყვედურის ნიშნები დააყარა თავს ყრუს, და ხელის მძაფრი მოძრაობით ანიშნა გასცლოდა.

ყრუმ თავი დახარა და შემდეგ ბოშა ქალის საკანის კარის წინ მუხლებზე დაემხო:

— ჩემო ბატონო! — თქვა მან მძიმე და მორჩილი ხმით, — ჯერ მე მომკალით, მერე რაც გნებავთ, ის ქმენით.

ეს თქვა და თავისი დანაც მღვდელს გაუწოდა. გონებადაკარგულ მღვდელს სურდა დანისათვის ხელი ეტაცა. მაგრამ ახალგაზრდა ქალი მასზე მკვირცხლი გამოდგა. კვაზიმოდოს ხელიდან გამოგლიჯა დანა და აეად გადაიხარხარა:

— ერთი მომიახლოვდი! — შეუძახა მღვდელს. ესმერალდამ დანა შემართა. მღვდელი გაუბედავად შეჩერდა. ეკვი არ ეპარებოდა, რომ ქალი არ დაინდობდა და ნამდვილად დაბრტყამდა.

— ფეხის გადმოდგმასაც ვერ გაბედავ, ლაჩარო! — უყვირა ქალმა. შემდეგ შეუბრალებელი, დაუნდობელი კილოთი მიადახა:

— აჰ! მე ვიცო, რომ ფეხუსი მკვდარი არ არის! — ესმერალდამ კარგად იცოდა, რომ ეს სიტყვები მღვდელს ათასი გავარჯირებული ხანჯლით გულს გაუფმირავდა.

მღვდელმა ფეხი ჰკრა კვაზიმოდოს და გადააბრუნა. გაცოფებული და აცახცახებული ისევ კიბის თაღქვეშ გაუჩინარდა.

როდესაც ის წავიდა, კვაზიმოდომ ხელში აიღო ბოშა ქალის მხსნელი სასტვენნი.

— კინლამ დაჟანგდა, — თქვა მან და სასტვენნი დაუბრუნა; მერე, ისევ მარტო დატოვა.

ამ მძაფრი სცენით აფორიაქებული ახალგაზრდა ქალი ღონემიხდილი დაემხო თავის ლოგინზე და ქვეთინი აუვარდა. მისი ცა ისევ მოიღრუბლა, მოიქრუშა და ჩამობნელდა.

მღვდელი ხელის ცეცებით დაბრუნდა თავის სენაკში.

საქმე გათავებული იყო. მამა კლოდი კვაზიმოდოზე ეჭვიანობდა!


და ჩაფიქრებული იერით თავისი საბედისწერო სიტყვები გაიმეორა: „მამ ნურავისი იქნება!“

ქ ე ა ო ე

ქ ე ა ო ე

†

გრენგუარს რამდენიმე კარგი აზრი უჩნდება
ბერნარდინელთა ქუჩაზე



ას შემდეგ, რაც პიერ გრენგუარმა დაინახა როგორ
შებრუნდა მთელი ეს საქმე, და დარწმუნდა, რომ ამ
კომედიის მთავარი მოქმედი პირებისათვის ეს ამბავი
უთუოდ თოკით, ჩამოხრჩობითა და სხვა უსიამოვნე-
ბით დამთავრდებოდა, გადაწყვიტა არაფერში ჩარეულიყო. მაწან-
წალებს, რომელთა შორისაც ის დარჩა და იფიქრა, რომ საბოლოო
ანგარიშით ისინი ყველაზე უკეთეს საზოგადოებას წარმოადგენდნენ
პარიზში, — ამ მაწანწალებს აინტერესებდათ ბოშა ქალის ამბავი.
მას სრულიად უბრალო და ბუნებრივ საქმედ მიაჩნდა ეს იმ ხალხის
მხრივ, ვისი მოსალოდნელი მომავალი, ისე როგორც იმ ქალისა,

მხოლოდ შარშობლიუ და ტორტერიუ იყო, და ვინც მასავით მერნის ფრთებზე წარმოსახვით არეებში არ დაჰქროდა. მათი საუბრიდან გაიგო, რომ დამსხვრეული სურით დაქორწინებულმა მისმა მეუღლემ ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი, და ფრიად გაიხარა. მაგრამ მისი იქ ნახვის ცთუნებაც კი არ ჰქონია. რამდენჯერმე პატარა თხა გაახსენდა, ეგ იყო და ეგ. თუმცა საზრდოს საშოვნელად დღისით ძალის მიერ ოინებს ასრულებდა, ხოლო დამლამობით პარიზის ეპისკოპოსის წინააღმდეგ მიმართულ მოგონებაზე ცოდვილობდა, რადგან ახსოვდა როგორ გაწუწეს იგი ოდესღაც მისი წისკვილების ბორბლებმა, და ამიტომ მასზე გულნაკლული იყო. ის მუშაობდა აგრეთვე ბოდრი-ლე-რუჟის, ნოიონისა და ტურნეის ეპისკოპოსის მშვენიერი ნაწარმოების „De cupa petrarum“*-ის განმარტებაზე, რამაც მძაფრი სურვილი აღუძრა ხუროთმოძღვრებისადმი, მიდრეკილება, რომელმაც მის გულში დაიჭირა ჰერმეტიზმით გატაცების ადგილი; მაშინ ხომ ჰერმეტიზმის ბუნებრივი დაბოლოება ხუროთმოძღვრება იყო, რადგან ჰერმეტიკასა და ქვითხურობას შორის უშინაგანესი კავშირია. გრენგუარი იდეის სიყვარულიდან ამ იდეის ფორმის სიყვარულზე გადავიდა.

ერთ დღეს ის სენ-ჟერმენ-ლ'ოქსერუას ახლოს გაჩერდა, იმ სახლის კუთხეში, რომელსაც „ეპისკოპოსის სამსჯავროს“ ეძახდნენ და მეორე შენობის, სახელად „მეფის სამსჯავროს“ პირდაპირ იდგა. ამ ეპისკოპოსის სამსჯავროში იყო მეთოთხმეტე საუკუნის მშვენიერი ეკვდერი, რომლის საკურთხეველისიქითა ნაწილი ქუჩაში გამოდიოდა. გრენგუარი მოწიწებით იკვლევდა გარეთა ქანდაკებას. იმ წუთს იგი იმყოფებოდა განსაკუთრებულ, უმაღლეს, ეგოისტურ ტკბობასა და განცხრომაში, როდესაც ხელოვანი მთელ ქვეყანაზე ვერაფერს ხედავს, გარდა ხელოვნებისა და ქვეყანას მხოლოდ ხელოვნებაში ჰკრეტს. უცბად იგრძნო, რომ ვიღაცამ მძიმედ დაადო ხელი მხარზე. შემობრუნდა. მის წინაშე ძველი მეგობარი, ძველი მასწავლებელი, ბატონი არქიდიაკონი იდგა.

განცვიფრებული გრენგუარი ადგილზე გაიყინა. დიდი ხანია არქიდიაკონი აღარ ენახა; მამა კლოდი ისეთი მედიდური და აღზნებული ბუნების ადამიანი იყო, რომელთან შეხვედრაც სკეპტიკოს ფილოსოფოსს მუდამ სულიერ წონასწორობას ურღვევდა.

არქიდიაკონი რამდენიმე წუთს სდუმდა, ამ ხნის განმავლობაში გრენგუარს საშუალება ჰქონდა თავისუფლად დაეთვალიერებინა

* „ქვების ოლისათვის“ (ლ:თ.).

იგი. მან შეამჩნია, რომ მამა კლოდი ძალიან გამოცვლილიყო: ზამთრის დილასავით ფერმკრთალს თვალები ჩაეარდნოდა, თმები თითქმის გასქადარავენოდა. ბოლოს, დუმილი მღვდელმა დაარღვია. მან მშვიდი, მაგრამ გამყინავე კილოთი ჰკითხა:

— როგორ ბრძანდებით, მეტრ პიერ?

— როგორა ვარ? ჩემი ჯანმრთელობა? — მიუგო გრენგუარმა.— ეჰ! ეჰ! როგორც იტყვიან, არც ასე და არც ისე. თუმცა საერთოდ კარგად ვარ. მე გადაქარბება არაფერში მიყვარს, ყველაფერში ზომიერების დაცვა ვიცი. თქვენ მოგეხსენებათ, მასწავლებლო, ჯანმრთელობის საიდუმლოება, ჰიპოკრატეს თანახმად: „id est: cibi, potus, somni, venus, omnia moderata. sint“*.

— მაშ არაფერი გაწუხებთ, მეტრ პიერ? — კვლავ მიმართა არქიდიაკონმა და თან გრენგუარს თვალებში ჩააშტერდა.

— ნამდვილად, არა!

— რას აკეთებთ ახლა?

— თქვენ ხედავთ, ჩემო მასწავლებლო. ვიკვლევ ამ ქვის ნათალობას და ბარელიეფის ამოჭრის წესს.

მღვდელმა მწარედ გაიღიმა ტუჩის მხოლოდ ერთი კუთხის ამრეზით.

— და ეს გართობთ?

— ეს სამოთხეა! — წამოიძახა გრენგუარმა და ქანდაკებისაკენ დაიხარა იმ ადამიანის ალტაცებული გამომეტყველებით, რომელიც ცოცხალ ფენომენებს უჩვენებს, — მაშ თქვენ არ მიგაჩნიათ. რომ მაგალითად აი ამ ბარელიეფის მეტამორფოზები დიდი ოსტატობით, მოხდენილობითა და მოთმინებით არის შესრულებული? შეხედეთ ამ სვეტს. რომელი სვეტის თავის ირგვლივ გინახავთ საჭრეთლით ამაზე უფრო ნაზად, სათუთად და სიყვარულით ამოძერწილი ქვის ფოთლები? აგერ ჟან მაილვენის სამი რელიეფი. ესენი ჯერ კიდევ როდი გახლავთ ამ დიდი გენიოსის ყველაზე უკეთესი ნაწარმოებები. მიუხედავად ამისა, გულუბრყვილობა, სახეთა სინაზე, მხიარული, ბუნებრივი პოზები, მოხდენილი მოფარდგა, ენით აუწერელი და აუხსნელი მშვენიერება, რაც თვით მის შეცდომებსა და ნაკლოვანებებშიც კი ჩანს, ამ პატარა ქანდაკებებს. შესაძლებელია, ზედმეტ მხიარულებას, სიცოცხლესა და სინატიფეს ანიჭებს. განა არ ფიქრობთ, რომ იგი ფრიალ თავშესაქცევია?

* სახელდობრ: „კამაში, სმაში, ძილში, სიყვარულში, ყველაფერში საჭიროა თავშეკავება“ (ლათ.).

— ჰო. რა თქმა უნდა! — თქვა მღვდელმა.

— მერე. თქვენ რომ ნახოთ ამ ეკლერიის შინამო! — აღფრთოვანებით განაგრძო ყბედმა პოეტმა. — ყველგან ვხვდებით კომბოსტოს ფოთლებივით ხშირად და ხვეულად ნაძერწ ქანდაკებას. ხოლო თაღედი, აბსიდა იმისთანა ლეთისმოსავ მოკრძალებას აღძრავს და ისეთი თავისებურია, რომ სხვაგან ამისთანა არასოდეს არა მინახავს რა!

მამა კლოდმა გააწყვეტინა.

— მაშ, თქვენ ბედნიერი ხართ?

გრენგუარმა გაცხარებით უპასუხა:

— ვფიცავ პატიოსნებას, ბედნიერი ვარ. ჯერ ქალები მიყვარდა, მერე ცხოველები; ახლა ქვეები მიყვარს. ესენი ისევე თავშესაქცევი, როგორც ცხოველები და ქალები, ოღონდ ნაკლებ მუხანათი.

მღვდელმა შუბლზე ხელი მიიღო. ეს მისი ჩვეულებრივი მოძრაობა იყო.

— მართლა?

— ოღონდაც! — თქვა გრენგუარმა, — ფრიად სასიამოვნოა! — მღვდელს მკლავზე ხელი მოჰკიდა და „ეპისკოპოსის სამსჯავროს“ კიბის კოშკურს ქვეშ შეიყვანა. კლოდიც გაჰყვა.

— აი კიბე! — განაგრძო პოეტმა, — ყოველთვის, როცა კი ამას ვუყურებ, ბედნიერი ვარ. ეს პარიზში ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და იშვიათი კიბეა. ყველა მისი საფეხური ქვემოდან არის ცერად თლილი. მისი სილამაზე და სიმარტივე ამ საფეხურების ერთი მეორეზე უკეთეს ფილებშია. თვითელ მათგანს ერთი ტერფი სიგანე აქვს, ერთმანეთშია ჩაწნული, ჩაჭედილი, ჩაწყობილი, შეკრულ-შეკავშირებული, მისადაგებული, ჩარჩოში ჩასმული და ჩამჯდარი, თითქოს ერთმანეთს კბილებით ჩაფრენიანო, ისეთ ყაიდაზეა მართლაც ლამაზად და მაგრად ჩაკეტილი.

— და თქვენ მეტი არაფერი გსურთ?

— არა.

— არაფერზე ნანობთ?

— არცა მსურს და არცა ვნანობ. მე მოვაგვარე ჩემი ცხოვრება.

— რასაც ადამიანები აგვარებენ, იმას გარემოებანი შლიან და ფუშავენ. — თქვა კლოდმა.

— მე პირონელი! ფილოსოფოსი ვარ, — უპასუხა გრენგუარმა, — და ყველგან წონასწორობას ვიცავ.

— თავს რითი ირჩენ, სარჩოს როგორ შოულობ?

— დროდადრო ეპოპეებსა და ტრაგედიებს ვწერ. მაგრამ უფრო მეტ შემოსავალს მაძლევს ჩემი ხელობა, რომელსაც თქვენ იც

ნობთ, ჩემო მასწავლებლო: კბილებით სკამების პირამიდას დავატარებ.

— ტლანქი ხელობაა ფილოსოფოსისათვის.

— აქაც კვლავ წონასწორობას ვიცავ, — თქვა გრენგუარმა. — როცა ადამიანს ერთი აზრი აქვს, მერე იმას ყველაფერში ნახულობს.

— ეს მე კარგად ვიცი, — უპასუხა არქიდიაკონმა.

მცირე რამ დუმილის შემდეგ მღვდელმა განაგრძო:

— მაგრამ მაინც საკმაოდ საბრალო შესახედაობა გაქვთ.

— საბრალო, დიახ, მაგრამ არა უბედური!

ამ დროს გაისმა ცხენების ფლოქვების თქარათქური, და ჩვენმა ორმა თანამოსაუბრემ ქუჩის ბოლოს დაინახეს, როგორ ჩაიარა მწყობრად შუბშემართულმა მეფის განრიგის მოისართა ასეულმა. წინ ოფიცერი მიუძღოდა. ცხენოსანთა რაზმი ბრწყინვალე იყო. ქაფენილზე ცხენების თქარათქური მძაფრად გაისმოდა.

— როგორ მიაკტერდით იმ ოფიცერს! — უთხრა გრენგუარმა არქიდიაკონს.

— მგონია, ვიცნობ.

— რა ჰქვია სახელი?

— მგონია, — მიუგო კლოდმა, — ფებუს დე შატოპერი უნდა ერქვას.

— ფებუსს იშვიათი სახელია! არსებობს კიდევ ერთი ფებუსი, გრაფი დე ფუა. მახსოვს, ერთ გოგოს ვიცნობდი, ის სულ ფებუსის სახელს ფიცულობდა.

— წავიდეთ, — უთხრა მღვდელმა, — რაღაცა მაქვს სათქმელი.

მას შემდეგ, რაც რაზმმა ჩაიარა, არქიდიაკონის ნილაბივით გაყინულ სახეზე ერთგვარი მღელვარება შეიმჩნეოდა. იგი წინ გაემართა. გრენგუარიც გაჰყვა, რადგან მიჩვეული იყო მისადმი მორჩილებას, ისე როგორც ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც ახლო ურთიერთობა ჰქონია ამ გავლენიან ადამიანთან. მათ ჩუმად მიადრწიეს საკმაოდ დაცარიელებულ, უკაცრიელ ბერნარდინელთა ქუჩას. აქ მამა კლოდი შეჩერდა.

— რა გნებავდათ გეთქვათ, ჩემო მასწავლებლო? — ჰკითხა გრენგუარმა.

— როგორ გგონიათ, — ღრმად ჩაფიქრებული იერით დაიწყო ლაპარაკი არქიდიაკონმა, — განა იმ ცხენოსანთა ტანისამოსი, ახლა რომ ვნახეთ, თქვენსა და ჩემს ტანსაცმელზე უფრო ლამაზი არ არის?

გრენგუარმა თავი გააქნია.

— სიმართლე გითხრათ, სინდისს ვფიცავ, ჩემი ყვითელ-წითელი

ქურთუკი მირჩენია მთელ მაგ რკინისა და ფოლადის ქიცვსა თუ ბაკანსა. დიდი სიამოვნება კია სიარულის დროს კაცი ისეთ ელარუნსა და ხმაურსა ტეხდეს, როგორც რკინა-კავეულობის ქულბაქები მიწისძვრის დროს.

— მაშ, გრენგუარ, არასოდეს არ აღგძვრიათ შური ამ აბჯარას-ხმული ვაყვაცების მიმართ?

— როგორ თუ შური, ბატონო არქიდიაკონო! რაზე, რისთვის? მათი ძალის, მათი აბჯრის, საჭურველის, თუ მათი დისციპლინის გამო? მაგას სჯობია ფილოსოფია და დამოუკიდებლობა, თუნდაც კაცს ძონძები ეცვას. მირჩენია ბუზის თავი ვიყო, ვიდრე ღომის კული.

— უცნაურია, — თქვა ჩაფიქრებით მღვდელმა. — ლამაზი სამოსი მაინც კარგია.

რა დაინახა გრენგუარმა, მისი თანამოსაუბრე ფიქრებში იყო გართული, მიატოვა, რომ მეზობლად მდებარე ერთ-ერთი სახლის წინკარის ცქერით დამტკბარიყო. მერე დაბრუნდა, ხელი ხელს შემოჰკრა და თქვა:

— თქვენ რომ ნაკლებად გიტაცებდეთ სამხედრო პირთა სამოსელი, ბატონო არქიდიაკონო, მე გთხოვდით წამოსულიყავით და იმ კარებისათვის შეგეხედათ. მე ყოველთვის მითქვამს, რომ ბატონობრის სახლის შესასვლელი ქვეყნად ყველაზე დიდებულა.

— პიერ გრენგუარ, — მიმართა არქიდიაკონმა, — რა უყავით ის პატარა ბოშა მოცეკვავე გოგონა?

— ესმერალდა? რა მძაფრად სცვლით საუბრის თემას?

— განა ის თქვენი მეუღლე არ იყო?

— დიახ, დამსხვრეული სურის წესით ოთხი წლის ვადით გვაქორწინეს. — მართლა, რაკი სიტყვამ მოიტანა, — დაურთო გრენგუარმა და თან ცოტა არ იყოს ეშმაკურად შეხედა არქიდიაკონს, — თქვენ-კიდევ ფიქრობთ მასზე?

— განა თქვენ კი აღარ ფიქრობთ მის გამო?

— მცირედ. იმდენი საქმე მაქვს!... ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო ის პატარა თხა!

— განა იმ ბოშა გოგონამ არ იხსნა თქვენი სიცოცხლე?

— ღმერთმანი, მართალია.

— მერე და. თვითონ მას რა დაემართა? რა უყავით?

— არ ვიცი, რა გითხრათ. მგონია ჩამოახრჩეს.

— ასე გგონიათ?

— დარწმუნებული არა ვარ. როდესაც დავინახე საქმე სახრჩობელამდე მიდიოდა, მაშინვე განზე გავდექი.

— სულ ეს არის, რაც თქვენ იცით?

— მოიცათ! მითხრეს, ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი და იქ უშიშრად არისო. ეს ძალიან მახარებს, მაგრამ აქამდე ვერ გავარკვეე, თხაც გადარჩა თუ არა მასთან ერთად. სულ ეს არის, რაც ვიცი.

— აბა, მე უფრო მეტს მოგახსენებთ, — შესძახა მამა კლოდმა, და ხმა, მანამდე დაბალი, ნელი, აუჩქარებელი და თითქმის ყრუ, უცბად მგრვეინავი გაუხდა. — მან მართლაც ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი. მაგრამ სამი დღის შემდეგ მართლმსაჯულება იქიდან წაიყვანს და გრევის მოედანზე ჩამოახრჩობენ. უკვე არსებობს უმალღესი სასამართლო პალატის დადგენილება.

— ეს საწყენია, — თქვა გრენგუარმა.

თვალის დახამხამებაში მღვდელს გულგრილი და მშვიდი გამომეტყველება დაუბრუნდა.

— რომელ ქაჯსა და ეშმაკს მოუვიდა თავში აზრად, — დაიწყო პოეტმა, — შუამდგომლობა აღეძრა, რათა მისი ხელახლა შეპყრობის დადგენილება გამოეტანათ? ვანა არ შეიძლებოდა სასამართლო პალატა მოესვენებინათ, არ შეეწუხებინათ? ვის რა ზიანი მიადგა იმით, რომ საბრალე გოგონამ თავი შეაფარა ღვთისმშობლის ტაძრის თაღებს, მერცხლების ბუდეების გვერდით?

— ასეთი ტარტაროზებიც არიან ამქვეყნად, — მიუგო არქიდიაკონმა.

— ყოველივე ეს ჯოჯოხეთური სიცივეთ არის მოწყობილი, — შენიშნა გრენგუარმა.

არქიდიაკონმა ცოტა ხნის დუმის შემდეგ წამოიწყო:

— მაშ, მან იხსნა თქვენი სიცოცხლე?

— დიახ, ჩემ კარგ მეგობარ მაწანწალებთან. სულ ცოტაც და ჩამომახრჩობდნენ. ახლა კი ინანებდნენ.

— ნუთუ არაფერი გსურთ მისთვის გააკეთოთ?

— დიდი სიამოვნებით, მამა კლოდ. მაგრამ ვთქვათ ანაზღად უხვირო საქმეში გავები?

— რა დიდი რამ არის!

— ერიპა! რა დიდი რამ არისო? ადვილია ეგრე ლაპარაკი, ჩემო მასწავლებლო! მე ორი დიდი თხზულება დავიწყე.

მღვდელმა უბღლზე ხელი იტკიცა. მიუხედავად მოჩვენებითი სიმშვიდისა, დროდადრო შინაგან კრუნჩხვებს მისი მძაფრი მოძრაობა ამჟღავნებდა.

— როგორ უნდა გადავარჩინოთ?

გრენგუარმა მიუგო:

— ჩემო მასწავლებლო, მე გიპასუხებთ: „Il padelf“, რაც თურქულად ნიშნავს: „ღმერთია ჩვენი იმედი“.

— როგორ გადავარჩინოთ? — გაიმეორა ჩაფიქრებულმა კლოდმა. გრენგუარმაც თავის მხრივ შუბლზე მიირტყა ხელი.

— მისმინეთ, ჩემო მასწავლებლო. მე დიდი წარმოსახვის უნარი მაქვს. მე გიპოვნით გამოსავალს. მეფეს შეწყალება რომ ვთხოვოთ?

— ლუი XI და შეწყალება!

— რატომაც არა?

— აბა მიდი და ვეფხვს ძვალი აართვი!

გრენგუარი ახალი ხერხების ძებნას შეუდგა.

— კეთილი! ინებეთ! — გნებავთ ბებია ქალებს მივმართავ განცხადებით, რომ ქალი ფეხმძიმედ არის?

ამან მღვდელს ჩაცვივებული თვალები აუნთო.

— ფეხმძიმეო! არამზადავ! განა შენ იცი ამის მსგავსი რამე?

მისი სახის გამომეტყველებამ გრენგუარი შეაშინა, ამიტომ ჩქარა გასცა პასუხი:

— ოჰ! არა, მე არაფერი ვიცი! ჩვენი ქორწინება ნამდვილი *foris-maritagium** იყო. მე აქ არაფერ შუაში ვარ, განზე ვდგევარ, მაგრამ ამრიგად ვადის გადაღებას მივალწევდით.

— ეგ სიგიჟეა! ურცხვობაა! გაჩუმდი!

— ტყუილად ჯავრობთ, — ჩაიბუზღუნა გრენგუარმა; — ვადის გადაღებას მივალწევდით; ეს არავის ზიანს არ მიაყენებდა, ხოლო საცოდავი ბებია ქალები ორმოც პარიზულ დინარს იშოვნიდნენ.

მღვდელი არ უსმენდა.

— ამასთან საჭიროა, რომ იგი იქიდან გამოვიდეს! — ბუტბუტებდა ხუცესი. — დადგენილება სამ დღეში უნდა შესრულდეს. ეგეც არ იყოს, თუნდ დადგენილებაც არ არსებობდეს, რას უზამ კვაზიმოდოს! ქალებს ისეთი წამხდარი გემოვნება აქვთ! — მან ხმას აუწია: — მეტრ პიერ, მე ყველაფერი კარგად მოვისაზრე. მის გაღასარჩენად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს.

— რომელი? მეტს ვერ ვხედავ.

— მისმინეთ, მეტრ პიერ, გახსოვდეთ, რომ თქვენ დავალებული ხართ მის წინაშე თქვენი სიცოცხლით. გულწრფელად გეტყვით ჩემს აზრს. ეკლესიას დღე და ღამე სდარაჯობენ. იქიდან მხოლოდ იმას უშვებენ, ვინც გარედან შესული ნახეს. მაშასადამე, თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ. თქვენ მოხვალთ. მე მასთან შეგიყვანთ. ტანსაც-

* ფიქტიური ქორწინება.

მელს გაუცვლით. ის თქვენს ქურთუქს ჩაიცმევს, თქვენ მის კაბას.

— აქამდე ყველაფერი კარგად მიდის, — შენიშნა ფილოსოფოსმა, — მერე?

— მერე? ის გამოვა თქვენი ტანსაცმლით, თქვენ იქ დარჩებით მისი ტანსაცმლით. შესაძლებელია თქვენ ჩამოგახრჩონ, მაგრამ ის გადარჩება.

გრენგუარმა ფრიალ სერიოზული სახით უფრო მოიფხანა.

— ხედავ! — თქვა მან, — აი აზრი, რომელიც მე არასოდეს მომივიდოდა თავში.

მამა კლოდის მოულოდნელი წინადადების გამო პოეტს ღია და კეთილი სახე უცბად ისე მოედუნა, როგორც მხიარულ იტალიურ პეიზაჟს, როდესაც ანაზღად ამოეარდება აუბელითი ქარი და ღრუბლებით დაფარავს მზეს.

— ჰოდა რას იტყვი ჩემს ღონისძიებაზე, გრენგუარ?

— იმას ვიტყვი, ჩემო მოძღვარო, რომ მე ჩამომახრჩობენ არა „შესაძლებელია“, არამედ დანამდვილებით.

— ეს ჩვენ არ გვეხება.

— აი ჭირი და ვარამი! — თქვა გრენგუარმა.

— მან იხსნა თქვენი სიცოცხლე. თქვენ ვალს მოიხდით.

— სხვაც ბევრი მაქვს ვალი, მაგრამ არ ვიხდი!

— მეტრ პიერ, ეს აუცილებელია.

არქიდიაკონი მბრძანებლური კილოთი ლაპარაკობდა.

— მისმინეთ, მამაო კლოდ! — უპასუხა სრულიად გაოგნებულმა პოეტმა. — თქვენ თავს მახვევთ მაგ აზრს, მაგრამ არა ხართ მართალი. — მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა ჩამოგახრჩობინო თავი სხვის მაგიერ.

— რა არის, ასე რომ ებლაუქებით სიცოცხლეს, რა გაკავშირებთ ამ ცხოვრებასთან?

— აჰ! ათასი მიზეზი!

— რომელი? ხომ არ ინებებდით მოგვასენონთ?

— რომელიო? ჰაერი, ცა, დილა, საღამო, მთვარის შუქი, ჩემი კეთილი მეგობრები — მაწანწალები, გოგოებთან ხუმრობა, პარიზის მშვენიერი ხუროთმოძღვრების შესწავლა, ჯერ კიდევ დასაწერი სამი სქელტანიანი წიგნი, ერთი მათგანი ეპისკოპოსისა და მისი წიქვილების წინააღმდეგ არის მიმართული. რა ვიცი, განა ცოტა რამ არის? ანაქსაგორა! ამბობდა: ქვეყნად იმითომ ვცხოვრობ, შუის ცქერით დავტკბეო. მერე, მე ბედნიერება მაქვს მთელი დღეები, დილიდან საღამომდე გვატარო გენიოს ადამიანთან, ესე იგი ჩემს თავთან, ეს კი ფრიალ სასიამოვნოა!

— ამ თავისაგან ეღარუნა ეუვანი თუ გაკეთდებოდა! -- ზაიბუზ-
ღუნა არქიდიაკონმა. — ეჰ! ერთი მითხარი, ეგრე მოხიბლული რომ
ხარ სიცოცხლით, ვინ შეგინარჩუნა ეგ სიცოცხლე? ვის წინაშე ხარ
ვალდებული ჩმით, რომ სუნთქავ ამ ჰაერს, უტკეპრ ამ ცას, რომ
ჯერ კიდევ გაქვს შესაძლებლობა შენი ტოროლასებური ჭკუა სისუ-
ლელეების როშვითა და სიგიჟით გაართო. უმიხოდ, უესმერალდოდ
სად იქნებოდი? გინდა, ის მოკვდეს, ის, რომლის წყალობითაც ცოც-
ხალი ხარ? მოკვდეს ის მშვენიერი, ნაზი, სათუთი, სათაყვანებელი
ქნინილება, აუცილებელი, გარდაუვალი სინათლე ქვეყნიერებისა,
თვით ღმერთზეც უფრო ღვთაებრივი! შენ კი, სანახევროდ ბრძენო
და სანახევროდ შეშლილო, რაღაც ნივთის ამოა მონასახო, მცენა-
რის მაგვარო რაღაცავე, რომ გგონია დაღინარ და ფიქრობ, შენ უნდა
იცოცხლო იმ სიცოცხლით, რომელიც მას მოჰპარე, შუადღისას ან-
თებუელი სანთელივით უსარგებლოვ! გამოიჩინე მცირეოდენი სიბრა-
ლული, გრენგუარ! იყავი შენც დიდსულოვანი. მან პირველმა გიჩ-
ვენა საამისო მაგალითი.

მღვდელი ცხარობდა. გრენგუარი ჯერ გულგრილად უსმენდა,
შემდეგ გული მოუღება, და ბოლოს ტრაგიკული გამომეტყველება
მიიღო, სახეზე მკვდრისფერი დაედო, როგორც ახალდაბადებულს,
მუცლის გვრემა რომ აუვარდება.

— თქვენ პათოსით ლაპარაკობთ! — უთხრა პოეტმა და ცრემლი
მოიწურა. — კეთილი მოვიფიქრებ. — უცნაური აზრი კი მღვდი-
დათ თავში. — ბოლოს, — განაგრძო მან ღუმლის შემდეგ, — ვინ
იცის? იქნებ არც ჩამომახრჩონ. ყოველთვის ის როდი ირთავს ცოლს,
ვინც ინიშნება. როდესაც იმ თავშესაფარში მნახვენ ისე სასაცი-
ლოდ მორთულს, კაბითა და ქალის თავსახვევით, შეიძლება სიცი-
ლიც წასკდეთ. — და მერე რა, კიდევ რომ ჩამომკიდონ, თოკით სიკ-
ვდილი ისეთივე სიკვდილია, როგორც სხვა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ,
იგი არ არის ისეთი სიკვდილი, როგორც სხვა. ის იმ ბრძენის ღირსი
სიკვდილია, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს მერყეობდა, ისეთი სიკ-
ვდილი, რომელიც არც წყალია და არც ღვინო, არც ხორცია და არც
თევზი, როგორც ნამდვილი სკეპტიკოსის სულსიკვეთება, სიკვდილი,
რომელსაც პირონიზმის, ყოყმანისა და გაუბედაობის დაღი აზის, რა-
მელსაც საშუალო ადგილი უჭირავს ცასა და დედამიწას შორის,
რომელიც გამოურყვეველ მდგომარეობაში გტოვებთ თქვენ. იგი
ფილოსოფოსის სიკვდილია, რაც შესაძლებელია, განგებით წინას-
წარ მიწერია. დიდებულია მოკვდე ისე, როგორც გიცხოვრია!

მღვდელმა შეაწყვეტინა:

— ამრიგად, შევთანხმდით?

— ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, რა არის სიკვდილი? — აღტაცებით განაგრძო გრენგუარმა. — უსიამოვნო წამი, საგზაო ბაჟი, გადასვლა უმნიშვნელო მცირე რაობიდან არარაობაში. ვილაცამ ჰკითხა მეგალოპოლელ კერკიდასს, „სიამოვნებით კვდებიო?“ „რატომაც არა? — უპასუხა მან; — ჩემი სიკვდილის შემდეგ დიდ ადამიანებს ვნახავო: პითაგორას! ფილოსოფოსთა შორის, ჰეკატეუსს² ისტორიკოსთა შორის, ჰომეროსს პოეტთა შორის, ოლიმპს მუსიკოსთა შორის“.

არქიდიაკონმა ხელი გაუწოდა.

— მაშ გადაწყვეტილია? ხვალ მოხვალთ.

ამ ხელის გაწოდებამ გრენგუარი სინამდვილეს დაუბრუნა.

— აჰ, არა, ნამდვილად არა! — ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ძილიდან გამოერეკავო, — რაო? ჩამომახრჩონ! ეს დიდი უაზრობაა! არ მინდა.

— მაშ, მშვიდობით! — უთხრა არქიდიაკონმა დუღუნით: — გნახავ!

„არ მინდა ამ წყეულმა კაცმა მომნახოს“, — გაიფიქრა გრენგუარმა და კლოდს გამოეკიდა.

— მისმინეთ, ბატონო არქიდიაკონო! ძველ მეგობართა შორის ჩხუბი არ იქნება! თქვენ ჩაერიეთ ამ ქალის, ესე იგი, მე მინდოდა მეთქვა, ჩემი ცოლის საქმეში, კეთილი! სამხედრო ეშმაკობა მოიგონეთ იმისათვის, რომ ღვთისმშობლის ტაძრიდან უვნებლად გამოვიყვანოთ, მაგრამ თქვენი საშუალება უაღრესად არასასიამოვნოა ჩემთვის, გრენგუარისათვის. მე თუ ჩემი ზერხი მაქვს? გაფრთხილებთ, ამ წუთს ფრიად ნათელი ზეშთაგონება გამიჩნდა. რას იტყვიოთ, თუ შემოგთავაზებთ იმ ქალის განსაცდელიდან გამოხსნის ისეთ საშუალებას, ისეთ აზრს, რომ არც ჩემი კისერი ჩავარდეს საფრთხეში და მარყუჟში არ გამაყოფინონ? რას იტყვიოთ ამაზე? ნუთუ ამას არ დასჯერდებით? ნუთუ ეგრე აუცილებელია ჩემი ჩამოხრჩობა, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩეთ?

მღვდელი მოუთმენლობისაგან ანაფორაზე ღილებს იგლეჯდა.

— ენაქართალო, სიტყვათა დარო! აბა, რა საშუალება გამოძებნე?

— დიახ, — განაგრძო გრენგუარმა თავის თავთან საუბარი და თან საჩვენებელი თითი ღრმა ჩაფიქრებულობის ნიშნად ცხვირზე მიიღო, — დიახ, სწორედ ასეა! — მაწანწალები ვაუქაცები არიან. — ბოშათა ტომს იგი უყვარს. — ისინი პირველ დაძახებაზევე წამოიშ-

ლებიან, ამაზე უფრო ადვილი არაფერია! — მოულოდნელი თავდასხმა. არეულობის დროს ადვილი იქნება მოტაცება! თუნდაც ხვალ საღამოს... ისინი ბევრს არ მახვეწნიებენ, გაუხარდებათ კიდეც.

— ხერხი, საშუალება! თქვი! — უთხრა მღვდელმა და თან შეანჯღრია.

გრენგუარი მედიდურად მიუბრუნდა:

— მატალეთ-მეთქი. თქვენ კარგად ხედავთ, რომ მე ვთხზავ, ვაზროვნებ.

კიდეც რამდენიმე წუთს იფიქრა, შემდეგ თვითონვე დაუკრა ტაში თავის ფიქრს და წამოიძახა:

— საუცხოოა! უთუოდ წარმატება გვექნება!

— ხერხი, საშუალება! — გაბრაზებით შეუძახა მღვდელმა.

გრენგუარს სახე უბრწყინავდა.

— მომიახლოვდით, რომ სრულიად დაბალი ხმით გითხრათ. ეს მართლაც გაბედული საპასუხო ხრიკია, რომელიც ყველას გვიხსნის გაკირვებიდან. ღმერთმანი! უნდა დამეთანხმოთ, სულელი არა ვარ. უცბად შეჩერდა, რაღაც გაახსენდა.

— ერთი მითხარით, პატარა თხაც იმ ქალთან არის?

— დიახ. ეშმაკსაც წაუღიხარ!

— ალბათ, მასაც ჩამოახრჩობდნენ, არა?

— მერე, მე რა შენაღვლება?

— დიახ, იმასაც ჩამოახრჩობდნენ. გასულ თვეს ნეზვი ჩამოახრჩიეს. ქონდაქარსაც ეს უნდა. შემდეგ ხორცს მიირთმევს. ჩემი კოხტა ჯალი ჩამოახრჩონ! საბრალო პაწია თიკანი!

— შეჩვენებულო! — შესძახა მამა კლოდმა. — ჯალათი შენ თვითონ ხარ. მითხარი, გაიძვერავე, გამოხსნის რა საშუალება, რა ხერხი მოიგონე? რაო, მაშეებით ხომ არ უნდა ამოგგლიჯოს კაცმა ეგ შენი იდეა?

— კმარა, დამშვიდდით, მოძღვარო! აი ეს იდეაც.

გრენგუარი არქიდიაკონის ყურისაკენ გადაიხარა და მეტისმეტად დაბალი ხმით რაღაცას ეუბნებოდა, თანაც მოუსვენრად ქუჩას თავიდან ბოლომდე ათვალეირებდა, თუმცა კაცის ჭაჭანება არ იყო. როდესაც დაამთავრა, კლოდმა ხელი ჩამოართვა და ცივად უთხრა:

— კარგი. ხვალამდე.

— ხვალამდე, — გაიმეორა გრენგუარმა. მაშინ როდესაც არქიდიაკონი ერთ მხარეს წავიდა, ის მეორე მხარეს გაემართა და თან დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ეს თამამი შემართებაა, ბატონო პიერ გრენგუარ. მაგრამ არა უშავს, სულ ერთია. რაკი პატარა ადამიანები ვართ, ეგ კიდეც იმას

არ ნიშნავს, რომ დიდ საქმეს შეეუშინდებით. ბიტონმა! ხომ მხრებით უზარმაზარი ხარი მოათრია! ხოლო მზეწვიები, კიოტები და იადონები ოკეანეს სერავენ.

II

გახდით გაწანწალა!

მონასტერში რომ დაბრუნდა, არქიდიაკონმა თავისი სენაის კარებთან ნახა თავისი ძმა ევან მეწისქვილე, რომელიც მას უცდიდა. ლოდინისაგან დაღლილს ნახშირი აეღო და კედელზე თავისი ძმის პროფილს ხატავდა. უზომოდ დიდი ცხვირით გამოეხატა.

მამა კლოდმა ძლივს შეამჩნია ძმა. სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა. უსაქმო ქარაფშუტას მხიარული სახე, რომლის ღიმილს ესოდენ ხშირად გაუხსნია მღვდლის პირქუში გამომეტყველება, ახლა უღონო იყო გაეფანტა ხშირი ნისლი, ყოველდღე რომ თანდათან ეშეებოდა ამ წამხდარ, მყრალ და დაგუბებულ სულში.

— ჩემო ძმაო, — მიმართა მოკრძალებით ევანმა, — თქვენს სანახავად მოვედი.

არქიდიაკონს არც კი შეუხებდნია.

— მერე?

— ჩემო ძმაო, — განაგრძო პირმოთნემ, — თქვენ ასეთი კეთილი ხართ ჩემთან, თქვენ ისეთ კარგ რჩევას მაძლევთ ხოლმე, რომ ყოველთვის თქვენთან მოვდივარ.

— შემდეგ?

— ვაგლახს! თქვენ მართალი ბრძანდებოდით, ძმაო ჩემო, როდესაც მეუბნებოდით: — ევან! ევან! *Cessat doctorum doctrina, discipulorum disciplina**. ევან, იყავი გონიერი, ევან ისწავლე, ევან, ნუ გაათევ ღამეს კოლეჯის გარეთ არასაპატიო საბაბითა და დამრიგებლის უნებართვოდ. ნუ სცემ პიკარდიულბს: *noli, Joannes, verberare Picardos*. ნუ წახდები სკოლის ჩალის საგებელზე წოლით უწიგნური ვირივით, *quasi asinus illiteratus*. ევან, დაემორჩილე დამრიგებლის მიერ დადებულ სასჯელს. ევან, ყოველ სადამო მიდი სამლოცველოში და იმდერე საგალობელნი და ლოცვანი ყოველად წმინდა ქალწულ მარიამის მიმართ. — ვაი, რა ჩინებული რჩევა-დარიგება იყო იგი!

— მერე?

* ქრება განსწავლულობა სწავლულთა, სწავლა მოსწავლეთა (ლათ.).

— ძმაო ჩემო, თქვენ უყურებთ დამნაშავეს, შემცოდეს, ბილწს. გარყვნილს. თავგასულს! ჩემო ძვირფასო ძმაო, ეჟანმა ყველა თქვენი რჩევა-დარიგება ჩალად და ნეხვად აქცია, ფეხით გათელა. ამიტომაც მკაცრად დავისაჯე, და მოწყალე ღმერთი არაჩვეულებრივად მართალი არის. სანამ ფული მქონდა, ვკეიფობდი, ვგაიობდი, მხიარულ ცხოვრებას ვეწეოდი. ოპ! რა მიმზიდველია გარეგნულად გარყვნილება, მაგრამ რაოდენ გონჯია და ულაზათო მეორე მხრივ! ახლა ერთი თეთრიც აღარა მაქვს. ჩემი სუფრა, პერანგი და პირსახოცი გავყიდე. გათავდა მხიარული ცხოვრება! მშვენიერი სანთელი ჩაქრა და ხელთ შემრჩა საზიზღარი ქონის პატრუქი, ცხვირში რომ მიხრჩოლავს. გოგოები დამცინიან. მარტო წყალსლა ვსვამ. სინდისი და მოვალეები მაწუხებენ.

— დასკენა? — ჰკითხა არქიდიაკონმა.

— ვაგლახ! ფრიალ ძვირფასო ძმაო, მინდა დავდინჯდე, უკეთეს ცხოვრებას მივყო ხელი. მოვედი თქვენთან სინანულითა და კმუნვა-მწუხარებით სავსე გულით. მე ვნანობ, ვალიარებ. გულმკერდში ვიცემ მუშტებს. თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებოდით, როცა გასურდათ ერთ ღღეს ლიცენციატის ხარისხი მიმეღო და ტორშის კოლეჯის დამრიგებლის თანაშემწე გავმხდარიყავი. აი ახლა მე თვითონ ვგრძნობ, რომ ეს არის ჩემი ნამდვილი მოწოდება. მაგრამ მელანი ჩემი დაშრა, საჭიროა ყიდვა. კალმები არა მაქვს, საჭიროა მათი შეძენა. არა მაქვს ქაღალდი, არა მაქვს წიგნები, უნდა ვიყიდო. ამისათვის ძალიან მჭირდება მცირეოდენი თანხა და თქვენთან მოვედი, ძმაო ჩემო, სინანულით სავსე გულით.

— სულ ეგ არის?

— ღიახ, — მიუგო მოსწავლემ. — მცირეოდენი ფული.

— არა მაქვს.

მაშინ მოსწავლემ მნიშვნელოვანი და იმავე დროს გაბედული იერით უთხრა:

— მაშ, კარგი! ასე იყოს, ჩემო ძმაო! თუმცა შალიან მწყინს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სხვები უფრო ხელსაყრელ წინადადებებს მთავაზობენ. თქვენ არ გასურთ, ფული მომცეთ? — არა? მაშინ მაწანწალა გავხდები.

ამ საზარელ სიტყვას რომ ამბობდა, აიაქსის გამომეტყველება მიიღო, თითქოს თავზე მეხის დაცემას ელოდა.

არქიდიაკონმა ცივად დაუბრუნა სიტყვა:

— გახდით მაწანწალა!

ეჟანმა მდაბლად დაუქრა თავი და სტვენით დაეშვა მონასტრის კიბეზე.

იმ წუთს, როდესაც მონასტრის ეზოში გაიარა თავისი ძმის სენაის სარკმლის ქვეშ, გაიგო როგორ გაიღო ეს ფანჯარა, მალე აიხედა და დაინახა, რომ ღია სარკმელში არქიდიაკონის სასტიკი სახე გამოჩნდა.

— ეშმაკთანაც წაეთრე! — მიაძახა მამა კლოდმა, — უკანასკნელად იღებ ჩემგან ფულს.

იმავე წუთს მღვდელმა შეანს ქისა ჩამოუგდო, ქისა შუბლზე დაეცა და დიდი კოპი გაუჩინა. ჭაბუკმა ქისას ხელი დასტაცა და იქაურობას გაეცალა, ერთსა და იმავე დროს ნაწყენიცა და კმაყოფილიც, როგორც ძაღლი, რომელსაც ტვინით სავსე ძვლები დააყარეს თავზე.

III

გაუმარჯოს მხიარულებას!

შკითხველს შესაძლებელია არ დავიწყებია, რომ სასწაულებათა ეზოს ნაწილი შემოზღუდული იყო ძველი გალანით, რომელიც გარს ერტყა ქალაქს და რომლის კოშკების კარგა დიდი ნაწილი იმ დროს უკვე ნგრევას იწყებდა. ერთ-ერთი ამ კოშკთაგანი მაწანწალებს დროის გასატარებელ ალაგად ექცეოდა. ქვემო დარბაზში მოთავსებული იყო დუქანი, ყველა დანარჩენი კი — ზემო სართულებში. ეს კოშკი ყველაზე გაცხოველებული, მხიარული და, მაშასადამე, მაწანწალათა სამეფოს ყველაზე ბილწი კუთხე იყო. იგი დღე და ღამ მოზუზუნე საზარელ რაღაც გეგას წარმოადგენდა. ღამ-ღამობით, როდესაც დანარჩენ მათხოვრებს ეძინათ, როდესაც მოედნის გარშემო მიწისფერ ფასადებზე აღარც ერთ ფანჯარაში სინათლე არ ენთო, როდესაც კრინტიც აღარ ისმოდა უამრავი ქობ-მახებიდან, ქურდების, როსკიპების, მოპარული ბავშვებისა თუ ნაბიჭვრების ამ ბუდეებიდან, — ადვილად იცნობდით ამ მუდამ მხიარულ კოშკს იმ ხმაურზე, აღისფერ მეწამულ შუქზე, რომელიც ერთდროულად გამოკრთოდა სასულებიდან, ფანჯარებიდან, დაბზარული კედლების ნაპრალებიდან, ასე ვთქვათ, ყველა ღრიჭოდან.

ამრიგად, სარდაფში დუქანი იყო. იქ ჩადიოდნენ დაბალი კართა და კლასიკური ალექსანდრიული ლექსივით¹ ციცაბო კიბით. კარს ზემოთ ვითომ ფარნიშის მაგიერ მიკრული იყო საოცარი ნათხუპნი რაღაც, რაც გამოხატავდა ახალ ფულებსა და დახოცილ ვარიებს; ქვეშ ზმობა იყო წარწერილი: „მიცვალებულთა ზართამრეკველების სამიკიტნო“.

ერთ სადამოს, როდესაც პარიზის ყველა საზვერი კოშკიდან გა-
ისმა სინათლის ჩაქრობის ზარნიშანი, ღამის გუშავნი, მათ რომ შე-
საძლებლობა ჰქონოდათ საზარელ სასწაულებათა ეზოში შესულიყ-
ვნენ, შეამჩნევდნენ, რომ მაწანწალების სამიკიტნოში ჩვეულებრივ-
ზე უფრო მეტი ჩოჩქოლი და ალიაქოთი იყო, უფრო მეტს სვამდნენ
და უარესად იგინებოდნენ. გარეთ, კარში თუ მოედანზე ჯგუფ-
ჯგუფად შეკრებილი ხალხი დაბალი ხმით ერთმანეთში რაღაცას
ბაასობდა, როგორც ხდება ხოლმე ყოველთვის, როცა კი დიდ რა-
მეს განიზრახავენ. აქა-იქ კონკიჟღარუნა ავარები ჩაცუცქულიყვნენ
და, ქვაფენილზე უვარგის რკინის დანებს ლესავდნენ.

ამ დროს თვით სამიკიტნოში ღვინოსა და თამაშს ისე ძლიერ
ჩაეთრია მაწანწალები და მათი ყურადღება ჩამოეცილებინა იმ აზ-
რისაგან, რომელსაც ამ სადამოს ისინი შეეპყრო, რომ ძნელი იყო
მსმელთა საუბრიდან გაგეგო, რაზე იყო ლაპარაკი. ოღონდ შეიმ-
ჩნეოდა, რომ მათ ჩვეულებრივზე უფრო მხიარული სახეები ჰქონ-
დათ და თვითეულ მათგანის მუხლებს შორის რომელიმე იარაღი
ელვარებდა: სასხლავი, ცული, ფართო ორპირი მახვილი ან ძველი
სიათის დუგლუგი.

მრგვალი ფორმის დარბაზი ძალიან ვრცელი იყო, მაგრამ მაგი-
დები ისე მკვიდროდ და მიჯრით მიეწყოთ, მსმელნიც ისე მრავალ-
რიცხოვანი იყვნენ, რომ სამიკიტნოში მყოფნი, ყველანი, მამაკაცე-
ბი, დედაკაცები, სკამები, ლუდის ტოლჩები, ყველა და ყველაფერი,
მსმელი თუ მძინარე, მოთამაშე თუ დამკვრელი, ხეიბარი თუ ჯან-
მრთელი ერთმანეთში არეულ-დარეული და ახორავებული ჩანდა
იმავე წესითა და ჰარმონიით როგორც ხამანწყების ნიჟარების გროვა.
მაგიდებზე რამდენიმე ქონის სანთელი ენთო, მაგრამ სამიკიტნოში
სინათლის ნამდვილი წყარო, რომელიც ამ დუქანში იმავე როლს
ასრულებდა, რასაც ქალი ოპერის დარბაზში, ბუხარში დანთებული
დიდი ცეცხლი იყო. სარდაფი იმდენად ნესტიანი ჩანდა, რომ ბუ-
ხარში ცეცხლს არასოდეს აქრობდნენ, თვით შუა ზაფხულშიც კი.
ამ, ჩუქურთმებით დაფარულ, ვეებერთელა ბუხარში, სადაც რკინის
მწიმე ზედადგარები აშვერილიყო და სამზარეულოს ხელსაწყოები
იღვა, დიდი ცეცხლი ენთო, შუა და ტორფი ჰქონდა შეკეთებული
და მოგაგონებდათ სოფლის გზებზე დამღამობით სამჭედლოს ფან-
ჯრებიდან გამოტყორცნილ წითელ ანარეკლს მოპირისპირე სახლ-
თა კედლებზე. ნაყარში მედიდურად ჩამჯდარი დიდი ძალი გა-
ვარვარებული ნაკვერჩხლების წინ ხორცაცმულ შამფურს ატრია-
ლებდა.

მიუხედავად არეულობისა, თვალის პირველი მოვლების შემდეგ,

ამ უამრავ ხალხში მაინც შეიძლება იმ სამი მთავარი ჯგუფის გარჩევა, რომლებიც ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილი სამი პიროვნების ირგვლივ შემოკრებილიყვნენ. ერთი ამ პიროვნებათაგანი, რომელიც აღმოსავლური კრულ-კრელი ძონძებით გამოპრანქულიყო, მათიას ჰუნგადი სპიკალი იყო, მეგვიპტელთა და ბოშათა ჰერცოგი. ეს არამზადა მაგიდაზე იჯდა, ფეხები გადაეჯვარედინებინა, თითი ჰაერში აეწია და მაღალი ხმით თეთრი და შავი მაგიის მეცნიერებას უზიარებდა გარშემოკრებილ მრავალრიცხოვან პირდაღებულ მსმენელებს.

მეორე ჯგუფი ჩვენი ძველი მეგობრის, კბილებამდე შეიარაღებული თუნის მამაცი მეფის ირგვლივ შექუჩებულიყო. კლოპენ ტრულიფუ მეტად სერიოზული სახითა და დაბალი ხმით ხელმძღვანელობდა მის წინ ფართოდ პირდაღებული, ძირგავარდნილი და იარაღით სავსე უზარმაზარი კასრის აკლებას; იქიდან გროვა-გროვა ცვიოდა ცულები, ხმლები, დაშნები, ჩაფხუტები, ჯავშნები, ჯაჭვის პერანგები, ფოლადის ბალთებიანი აბჯრები, შუბისა და ბოძალდის ბუნიკები, უბრალო და კუთხვილი ისრები, როგორც სიუხვის წყაროდან ვაშლი და ყურძენი. თვითეული ამ გროვიდან იღებდა იმას, რაც მას სურდა, ვინ ზუჩსა თუ მუზარადს, ვინ ხმალს, ვინ ჯვარტიანი ხანჯალს. თვით ბავშვებიც კი შეიარაღდნენ, თორსა და ჯავშანში ჩამჯდარი კუტნი და ხეიბარნი მსმელთა ფეხებს შორის უზარმაზარი ხოცოებივით დაბობლავდნენ.

ბოლოს, მსმენელების მესამე ჯგუფს, ყველაზე უფრო ხმაურას, ყველაზე უფრო მზიარულსა და მრავალრიცხოვანს სკამები და მაგიდები დაეკავებინა, სადაც მძიმე აბჯარში ჩამჯდარი, მუზარადიდან დეზებამდე საქურველასხმული ვილაცა გამკვივანი ხმით ლაქლაქებდა, ილანძვებოდა. კაცი, რომელიც რაინდულ საქურველში ამრიგად იყო ჩამჯდარი, ისე ჩამალულიყო ამ სამხედრო საცემელში, რომ მხოლოდ დაწითლებული და თავხედურად მაღლა აბზეცილი ცხვირი, ქერა ქოჩორი, ვარდისფერი ტუჩები და ურცხვი თვალები უჩანდა. ქამარში დანები და ხანჯლები ჰქონდა გარკმული, გვერდზე ვეებერთელა დაშნა ეყიდა, მარცხნივ დაყანგებული ბოძალდი ჰქონდა, წინ ღვინით სავსე უშველებელი დოქი ედგა, მარჯვნივ ვილაც სქელი, დაუდევრად ჩაცმული გოგო ეჯდა. მის ირგვლივ ყველა იცინოდა, სვამდა და ივინებოდა.

ამას დაუმატეთ კიდევ ოცი მეორეხარისხოვანი ჯგუფი, მომსახურე გოგოები და ბიჭები, თავზე დოქმედგმული რომ გარბოდნენ და გამორბოდნენ; ბურთებისკენ, ასკინკილას რგოლებისკენ, კამათლებსა, შაშის კოჭებსა, ზარსა და სხვა აზარტულ გასართობზე დახ-

რილი თუ ჩაცუქული მოთამაშეები; ჩხუბი, კინკლაობა, ძიძგილი ერთ კუთხეში, ხვევანა-კოცნა — მეორეში, — მაშინ მიიღებთ ერთგვარ წარმოდგენას მთედ ამ სურათზე, რომელსაც ანათებდა ბუხარში დანთებული დიდი ცეცხლის მოციმციმე ალი, რის გამოც სამიკიტნოს კედლებზე უზარმაზარი უცნაური და სასაცილო ჩრდილები როკავდნენ.

ირგვლივ ისეთი გუგუნი იდგა, როგორც ზარის შიგნით დიდი რეკვის ქამს.

შამფურს ქვეშ მოთაესებული ტაფა, რაშიც მოშიშხინე ქონი წვიმასავით შხაპუნით ჩადიოდა, თავისი შეუწყვეტელი ტკაცატკაცით ავსებდა შუალედებს ათასობით დიალოგებს შორის, რომლებიც დარბაზის ყველა მხრიდან გაისმოდა და ერთმანეთში ირეოდა.

ამ საერთო აურზაურში, სახამროს სიღრმეში ბუხრისპირა სკამზე იჯდა ფიქრებში გართული ფილოსოფოსი; ფეხები ნაცარში გაეშობტა და თვალი მუგუზლებისათვის გაეშტერებინა. იგი პიერ გრენგუარი გახლდათ.

— აბა ჩქარა! სწრაფად დატრიალდით, შეიარაღდით! ერთ საათში უნდა გავილაშქროთ! — ეუბნებოდა კლოპენ ტრუილფუ თავის არგოელებს.

— ვილაც გოგო ღიღინებდა:

სალამო მშვიდობისა, დედაც და მამაც.
უკანასკნელი ლამპარიც ჩაქრა.

ბანქოს ორი მოთამაშე ჩხუბობდა.

— სალანანაე! — იყვირა მთლად გაწითლებულმა ერთ-ერთმა მათგანმა, და მეორეს მუშტი მოუღერა. — მე შენ იმისთანა ჯვარს დაგაჩნევ, ხელმწიფე მეფის ბანქოს დასტაში ჯვრის ვალეტის შეცვლა შესძლო.

— უპ, აქ ხალხი ისეა ჩაქედილი, როგორც ქვაფენილში რიყის ქვა! — იღრიალა ვილაც ნორმანდელმა, რომელსაც დუღდუნა კილოზე იცნობდით.

— ჩემო ძენო, — მიმართავდა თავის მსმენელებს მეგვიპტელთა ჰერკოგი გამყიფანი ხმით, — ფრანგი ჯადოქრები კუდიანთა შაბათობაზე უტოცხოდ, გაუბოხავად, უეცოდ, მხოლოდ რამდენიმე ჯადოსნური სიტყვით მიფრინავენ. იტალიელ ჯადოქრებს კართან მუდამ ბოტი ელოდებათ. მაგრამ ყველა ისინი აუცილებლად ბუხრის საკვამურებიდან გადიან.

თავით ფეხებამდე შეიარაღებული ახალგაზრდა ავარას ხმა მთელ ღრიანცელს ფარავდა.

— დიდება! დიდება! — ყვიროდა იგი. — დღეს მე პირველად ავიხსი იარაღი! მაწანწალა! მე მაწანწალა ვარ. ვფიცავ ქრისტეს მუცელს! დამისხით სასმელი, დამალეინეთ! ჩემო მეგობრებო! ექვან ფროლო მეწისქვილეს მეძახიან. კეთილშობილი გახლავართ. მე იმ აზრისა ვარ, ღმერთი რომ ყოჩალი ბიჭი ყოფილიყო, ყაჩალი იქნებოდა. ძმებო, ჩვენ სახელოვან ლაშქრობას ვაწყობთ. ჩვენ მამაცი ვართ. ეკლესიის გარემოცვას, კარის შელევას, ლამაზი ასულის გამოყვანას, მის დახსნას მოსამართლეებისა და ხუცეებისაგან, მონასტრის დანგრევას, ეპისკოპოსის დაწვას მისსავე ეპარქიაში, ყოველივე ამას ჩვენ უფრო ადრე გავაკეთებთ, სანამ ბურგომისტრი ერთ კოვზ წვნიანს გადაყლაპვას მოასწრებდეს. ჩვენი საქმე სამართლიანია! ჩვენ გავძარცვავთ, ავიკლებთ ღეთისმშობლის ტაძარს, მორჩა და გათავდა! კვაზიმოდოს ჩამოვახრჩობთ. იცნობთ, ქალბატონებო, კვაზიმოდოს? არ გინახავთ იგი აქოშინებული, დიდ ზარზე შემომჯდარი სამებობის დღეს? ტარტაროზის რქებია! დიდებულია! იტყვიოთ ეშმაკი შემომჯდარა სპილენძის ხახაზეო! — ჩემო მეგობრებო, მისმინეთ, ჩემი ბუნებით, გულის სირღმეში მაწანწალა ვარ, სულით არვოელი, ქურდბაცაცად დაბადებული. ძალიან მდიდარი ვიყავი, მაგრამ შევეცლავე, რაც კი მებადა. დედაჩემს უნდოდა ოფიცერი გამოვსულიყავი, მამაჩემს დიაკვანი, მამიდაჩემს — სასამართლოს მრჩეველი, ბებიას — მეფის პროტონოტარიუსი, პაპიდას — სამხედრო უწყების ხაზინადარი. მე კი მაწანწალა გამოვედი. ეს ამბავი მამაჩემს ვუთხარი. მან წყევლა-კრულვა დამატება თავს, დედაჩემმა, დარბაისელმა მოხუცმა ქალმა, ტირილი დაიწყო, ისე აწუწუნდა და აცრემლდა როგორც აი ეს ნედლი შეშის ღერი ბუხრის ზედადგარზე. გაუმარჯოს მხიარულებას! ლამის გავგოედე, ჭკუაზე შევიშალო! ქალო მიკიტანო, ჩემო ტურფავ, სანუკვარო, სხვა ღვინო მომიტანე! კიდევ მაოხრია რაღაც გროშები იმისათვის, რომ გადაგიხადო. სიურენის ღვინო აღარ მინდა. ხორხი დამწვა, ჩამიგლიჯა. ეშმაკსაც წაუღია! ამას ის მერჩია, დაწული კალათა გამომეველო ყელში!

აჩოჩქოლებული ბრბო ტაშს უყრავდა და თან ხარხარებდა. რა დაინახა ხმაური გაორმავდაო, მოსწავლემ იყვირა:

— ოჰ! რა დიდებული ყიჟინა და გნიასია! *Populi de bacchantis populosa debacchatio!** — აღტაცებულმა თვალეზი დამხრჩვალისვით გადმოკარკლა და კანონიკივით მწუხრის ლოცვის კილოზე სიმღერა წამოიწყო: — *Quæ cantica! Quæ organa! Quæ cantileuæ! Quæ melodix hic sine fine decantantur! Sonant melliflua*

* გაშმაგებულს ხალხის ხალხმრავალი შმაგობა (ლათ.).

hymnorum organa. suavissima angelorum melodia, cantica canticorum mira!..*

უცბად სიმღერა შეწყვიტა:

— ქალო, ეშმაკის მეფუნდუკევე, ვახშამი მომიტანე!

ერთი წუთით თითქმის სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს თავის მხრივ მკვეთრ ხმას აუმაღლა მეგვიპტელთა ჰერცოგმა, იგი ბოშებს ასწავლიდა:

— სინდოფალას ადუინე ჰქვია, მელას — ლურჯფეხა ან ტყის მაწანწალა, მგელს — რუხფეხა ან ოქროფეხა, დათვს — ბებერი ან პაპა. — გნომის ანუ ქონდრისკაცის ქული ადამიანს უჩინარს ხდის, და უხილავ საგნებს დაანახვებს. — ყოველ გომბეშოს, როდესაც ნათლავენ, წითელი ან შავი ხავერდი უნდა ჩააცვან, ერთ ეფვანს კისერზე შეაბამენ, მეორეს — ფეხებზე. ნათლიმამას თავი უჭირავს, ნათლიდელას — გავა. მარტო დემონ სიდრაგაზუმს შეუძლია ტიტველი ქალები აცეკვოს.

— წირვის მადლმა! — გააწყვეტინა ჟენმა, — მე ვისურვებდი დემონი სიდრაგაზუმი ვყოფილიყავი.

ამსობაში მაწანწალები შეიარაღებას განაგრძობდნენ და თან დუქნის მეორე მხარეს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

— საბრალო ესმერალდა! — თქვა ერთმა ბოშამ, — ის ხომ ჩვენი და არის. — იქიდან უნდა გამოვიყვანოთ.

— ნუთუ ისევ ღვთისმშობლის ტაძარშია? — იკითხა ებრაული სახის ვიღაც ცრუკოტრმა.

— დიახ, ეშმაკმა დალაზვროს!

— მერე და რაღას ვუყურებთ, ამხანაგებო! — შესძახა ცრუკოტრმა, — გავილაშქროთ ღვთისმშობლის ტაძარზე! მით უკეთესი, რომ იქ წმინდა ფერეოლისა და ფერიუსიონის სამლოცველოებში ორი ქანდაკებაა, ერთი წმინდა იოანე ნათლისმცემელისა და მეორე წმინდა ანტონისა, ორივე ბაჯადლო ოქროსი, წონით ორივე ერთად შვიდ ოქროს მარკას და თხუთმეტ ესტერლინს უდრის, კვარცხლბეკი მოოქროვილი ვერცხლია და შვიდ მარკასა და ხუთ უნციას იწონის. მე ვიცი, ოქრომჭედელი ვარ.

აქ ეფანს ვახშამი მოართევს, მეზობლად მჯდომი ქალის მკერდს მიეყრდნო და შესძახა:

* რა საგალობელია! რა ბუკი და საყვირი! რა სიმღერები! რა მელოდოები გაისმის დაუსრულებლად! მღერაან თაფლმწითლოვარე საყვირები, გაისმის საამურო ანგელოზ-სებური მელოდია, საკვირველი ქებათა ქება (ლათ.).

— ვფიცავ წმინდა ვულტ ლიუკელს, ვისაც ხალხი წმინდა კუდაბზიკას ეძახის, რომ მე სრულიად ბედნიერი ვარ. აგერ იქ ჩემს წინ ზის ვიღაც ჩერჩეტი, აბუეტი და ერცკერცოგივით მოტვლეპილი სახით მიყურებს. აგერ ჩემს მარცხნივ იმას ისეთი გრძელი კბილები აქვს, რომ ნიკაბი დაუფარია. მე კი არც მეტი და არც ნაკლები, ნამდვილი მარშალი ყიე ვარ პონტუაზის გარემოცვის დროს, ჩემი მარჯვენა ფრთა ბორცვს, ძუძუსთავს ებრჯინება. — მაჰმადის ღიპო! ამხანაგო! შენ ბურთებით მოვაპრის სიფათი გაქვს, ჩემს გვერდით კი წამოსკუპდი. მე კეთილშობილი გახლავართ, მეგობარო. ვაქრობა და კეთილშობილება შეუთავსებელია. აქედან წაეთრიე!—თქვენ ჰეი, ნუ ჩხუბობთ! როგორ, ბაპტისტ ჩიტიხრამუნას, ასეთი დიდებული ცხვირი გაბია, როგორ გაბედე და ამ ბრიყვის ზორბა მუშტებს დაუხვედრე! აი სულელი! *Non cuiquam dolum est habere nasum**. შენ ქეშმარიტად ღვთაებრივი ხარ, ყაკელინა ყურიმღრღნელო! ოღონდ სამწუხაროა, თმები არა გაქვს. — ჰეი, მე ეჟან ფროლოს მეძახიან, და ჩემი ძმა არქიდიაკონია. ეშმაქსაც წაულია! ყველაფერი, რასაც გეუბნებით, სრული სიმართლეა. მაწანწალა რომ გავხდი, გულმხიარულმა სიამოვნებით ავიღე ხელი სახლის იმ ნახევარზე, სამოთხეში. რომ მოუთავსებიათ და ჩემი ძმა აღმიოქვამდა. *Dimidiam domum in paradiso*. ნამდილ ტექსტს ვიმოწმებ. ტირშაპის ქუჩაზე სალენო მამული მაქვს, და ყველა ქალს მე ვუყვარავარ. ეს ისევე მართალია, როგორც მართალია ის ამბავი, რომ წმინდა ელუა ჩინებული ოქრომჭედელი იყო და ჩვენს დიდებულ ქალაქ პარიზში ხუთი ხელობის ამქარია: მეთრიმლეებისა, დაბაღებისა, მეტყავეებისა, ქიხის ოსტატებისა და მეაბანოეებისა, ხოლო წმინდა ლავრენტი კვერცხის ნაქუქის კოცონზე დაწვეს. გეფიცებით ამხანაგებო, თუნდა „მთელ წელიწადს არ დავლევ წიწაკის ნაყენს, თუ მე ახლა თქვენთან ვტყუოდე!“ ჩემო მშვენიერო, მთვარის შუქია, სასულედან გაიხედე, როგორ კმუქნის ქარი ღრუბლებს, სწორედ ისე, როგორც მე შენს ყელსახვევს. — გოგოებო, ცხვირი ზოხოცეთ ბიჭებს და სანთლებს! ქრისტე და მაჰმადო! ამას რას ვკამ, იუბიტერო? ეჰეი, მაჰანკალო! შენს როსკიპებს იმიტომ არ შერჩენიათ თავზე თმა, რომ შენს ერბოკვერცხში ყრია იგი. ჰეი, ბებრუხუნავ! მე მიუყარს მელოტი ერბოკვერცხი. ეშმაქსაც მიუბია შენთვის პაჭუა ცხვირი! ბელზებელის დიდებული სამიკიტნოა, სადაც მეძავები თმას ჩანგლებით ივარცხნიან.

* ყველას როდი ღირსებია ჰქონდეს ცხვირი (ლათ).

ეს რომ თქვა. თავისი თეფში ფილაქანზე მიამსხვრია და ღრიალი
ზორთო, ვითომ ვმღერია:

უფლის სახლს ვფიცავ.
ალარ მაქვს რწმენა,
სახლარი, კერა.
ალარც კანონი
ალარა მჯერა,
ვფიცავ, არც ერთი.
ალარ მყავს მეფე,
არა მწამს ღმერთი.

ამასობაში კლოპენ ტრულილფუმ იარაღის დარიგება დაამთავრა,
გრენგუარს მიუახლოვდა. პოეტი ღრმა ფიქრებსა და ოცნებაში ჩან-
და ჩაფლული, ფეხები ზედადგარზე შეეწყყო.

— პიერ, მეგობარო, — მიმართა თუნის მეფემ, — რა ეშმაკს
ჩაუფიქრებინარ ასე?

გრენგუარი ნაღვლიანი ღიმილით შემობრუნდა მისკენ.

— ცეცხლი მიყვარს, ჩემო ძვირფასო მბრძანებელო. არა იმ
უხამსი მიზეზისა გამო, რომ ცეცხლი ფეხებს გეითბობს ან წვნიანს
გვიხარშავს, არამედ ნაპერწკლებისა გამო. ზოგჯერ მთელ საათებს
ვატარებ მათ ცქერაში. ათას რამეს აღმოვაჩენ ამ ვარსკვლავებში,
რომლებითაც მოფენილია კერის ბნელი სიღრმე. ეს ვარსკვლავებიც
მთელი სამყაროებია.

— მეხი დამეცეს, თუ რამე გამეგებოდეს! — უთხრა მაწანწა-
ლამ. — ხომ არ იცი, რომელი საათია?

— არ ვიცი, — უპასუხა გრენგუარმა.

მაშინ კლოპენი მეგვიპტელთა ჰერცოგს მიუახლოვდა.

— ამხანაგო მათიას, ჩვენ მარჯვე დრო ვერ შევარჩიეთ. ამბო-
ბენ. მეფე ლუი მეთერთმეტე პარიზშიაო.

— ეგ კიდევ ერთი საბაბია იმისა, რომ ჩვენი დაე მის ბრკყა-
ლებს გამოვგლიჯოთ, — უპასუხა მოხუცმა ბოშამ.

— შენ ვაჟაკურად ამბობ, მათიას. — უთხრა თუნის მეფემ. —
ამასთან ჩვენ ადვილად გავართმევთ თავს. ეკლესიის მხრივ წინააღ-
მდეგობის გაწევა არ უნდა გვაფიქრებდეს. კანონიკები ხომ კურდ-
ღლები არიან, გარდა მაგისა, ძალაც ჩვენს მხარეზეა! სასამართლო
პალატის მოხელენი ხვალ ძალიან იმედგაცრუებული დარჩებიან,
როცა ქალის წასაყვანად მოვლენ. ვფიცავ პაპის ნაწლავებს, არ მინ-
და, ის ლამაზი გოგონა ჩამოახრჩონ!

კლოპენი ღუქნიდან გავიდა.

ამ დროს ეენა ხრინწიანი ხმით ყვაროდა:

— მე ვსვამ, მე ვვამ, მე მთვრალი ვარ. მე იუპიტერი ვარ! — ჰეი, პიერ სულთამხუთავო, თუ კიდევ შემომხედლე ასეთი თვალებით, მაგ ცხვირს სულ წკიპურტებით გადაგიბერტყავ!

რაკი ფიქრი დაურღვიეს, გრენგუარმა თავის მხრივ, ირგვლივ მყოფ შფოთიან და მყვირალა ბრბოს დაუწყო თვალღერება, შემდეგ ჩაბუტბუტა: — *Luxuriosa res vinum et tumultuosa ebrietas**. რა კარგია, რომ მე არ ვსვამ და რა დიდებულად თქვა წმინდა ბენედიქტემ: *Vinum apostatare facit etiam sapientes!***

სწორედ ამ დროს კლოპენი დაბრუნდა და მქუხარე ხმით დაიძახა:

— შუალამეა!

ამ სიტყვამ ისეთივე გავლენა მოახდინა, როგორსაც ახდენს ხოლმე მცირე შესვენების შემდეგ რაზმის მიმართ გაცემული განკარგულება „ცხენებზე“: ყველა მაწანწალა, კაცი, ქალი, ბავშვი დუქნიდან ჯგროდ გამოცვივდნენ იარაღისა და რკინეულობის ეღარუნითა და ზათქით.

მთვარე ღრუბლებს მიეფარა.

სასწაულებათა ეზო სრულმა სიბნელემ მოიცვა. არსად სინათლე არ ენთო. მაგრამ ფორი სრულიადაც არ იყო დაცარიელებული. იქ შეიძლებოდა გაგერჩიათ დაბალი ხმით მოლაპარაკე კაცთა და ქალთა ბრბოები. მათი გუგუნი ისმოდა და ყოველგვარი იარაღის ციმციმი სიბნელეშიც შეიმჩნეოდა. კლოპენი დიდ ქვაზე შედგა.

— მწკრივად დაეწყე, არგო! — იყვარა მან. — დაეწყე ეგვიპტე! დაეწყე გალილეა!

სიბნელეში დაიწყო მოძრაობა. კაცს ეგონებოდა, უსაზღვრო სიმრავლე ეწყობოდა მწკრივებად. რამდენიმე წუთის შემდეგ თუნის მეფემ კვლავ აუმაღლა ხმას:

— ახლა, სრული სიჩუმე დაიცავით პარიზში გავლის დროს! დათქმული სიტყვა ასეთია: „პატარა სატყერები ლაღობენ!“ ჩირაღდნები მხოლოდ ღვთისმშობლის ტაძართან აენთება! ნაბიჯით იარ!

ათი წუთის შემდეგ ღამის ცხენოსანი მზირები შეშინებული გაურბოდნენ ზარაფთა ხიდისაკენ მიმავალ პირქუშ და მდუმარე კაცთა პროცესიას იმ დაკლაკნილი ქუჩების გასწვრივ. რომლებიც დახურული ბაზრის უზარმაზარ უბანს ყოველმხრივ სერავენ.

* ღვინისაგან წარმოდგება გარყენილება და შწავი მხიარულება (ლათ.).

** ღვინო ბრძენთაც კი შეაქვდნენ (ლათ.).

მოუქმნელი მემოზარი

(დათური სამსახური)

იმ ღამეს კვაზიმოდოს არ ეძინა. ის იყო უკანასკნელად შემოუარა ეკლესიას. იმ წამს, როცა კარებს ჰკეტავდა, ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაუარა ახლოს არქიდიაკონმა და როგორ გამოხატა მან თავისი უკმაყოფილება, როდესაც დაინახა, რა გულმოდგინედ ჰკეტავდა კუზიანი ურდულებითა და ბოქლომებით რკინის უშველებელ მოწყობილობას, რაც ფართო საგდულებს ქვიტკირის სიმკვიდრეს აძლევდა. მამა კლოდს ჩვეულებრივზე უფრო შეფიქრიანებული სახე ჰქონდა. თუმცა იმ ღამეს საკანში მომხდარი ამბის შემდეგ იგი ყოველთვის ავად ეპყრობოდა კვაზიმოდოს; მეტისმეტად უკმეხად ექცეოდა და ხანდახან სცემდა კიდევ, მაგრამ ზართამრეკველის მორჩილებას, მოთმინებასა და უდრტვინველ ერთგულებას ვერაფერი არ ყვებდა. ისე იტანდა ყოველგვარ ტანჯვას, შეურაცხყოფას, ლანძღვას, მუქარას, ცემას არქიდიაკონისაგან, რომ ერთს არ წაიბუზღუნებდა, საყვედურს არ იტყოდა, ჩივილი არ წასცდებოდა. მხოლოდ მოუსვენარ თვალს გააყოლებდა კოშკის კიბეზე ზევით მიმავალ კლოდს. მაგრამ თვით არქიდიაკონიც ერიდებოდა, რომ ბოშა ქალს თვალში არ მოხვედროდა.

ამრიგად, იმ ღამეს, — მას შემდეგ, რაც თვალი მოავლო თავის საბრალო მიტოვებულ ზარებს, ჟაკელინას, მარიას, ტიბოს, — ჩრდილოეთის კოშკის წვერზე ავიდა, სახურავზე ყრუდ დახურული სანათი დადგა და იქიდან პარიზს ცქერა დაუწყო. ღამე, როგორც უკვე ვთქვივით, ძალიან ბნელი იყო. იმ დროს პარიზი, ასე რომ ვთქვათ, განათებული არც იყო და თვალს წარმოუდგებოდა შავი მასივების ბუნდოვან გროვებად, რომელსაც აქა-იქ სენის მისხვეულ-მოხვეული მოთეთრო რკალები ჰკვეთდა. კვაზიმოდომ ვერსად ვერ შენიშნა სინათლე, გარდა ერთი იმ შორეული შენობის სარკმელისა, რომლის ბუნდოვანი და მოღუშული გვერდხედი სახურავების მაღლა სენტ-ანტუანის ჰიშკრის მხარეს ამართულიყო. იქაც, როგორც ჩანდა, ვიღაც ფხიზლობდა.

ზართამრეკველი თავის ცალ თვალს ავლებდა ღამის ღრუბლიან ტატნობს და გულის სიღრმეში რაღაც გამოუთქმელ შეშფოთებას გრძნობდა. უკვე რამდენიმე დღეა ასე ფრთხილობს. მან შენიშნა, რომ ეკლესიის ირგვლივ ავბედითი სახის ადამიანები განუწყ-

ვეტილვ დაყილობდნენ და თვალს არ ამორუბდნენ —ახალგაზრდა ქალის თავშესათარს. ფიქრობდა, შეიძლება რამე ვერაგული შეთქმულება იწყობა უბედური შემოხიზნულის წინააღმდეგო. მან წარმოიდგინა, რომ ხალხს იმ ქალისადმი ისეთივე სიძულვილი ჰქონდა, როგორც თვით მისდამი, და მოსალოდნელია მალე რაღაც მოხდესო. სწორედ ამიტომ დაარჯობდა იგი სამრეკლოზე თავის საფარში, „ოცნებობდა თავის საოცნებოში“, როგორც ამბობს რაბლე, ერთგული ძაღლივით საიმედოდ იდგა თავის საგუშაგოზე და ჯერჯერით ხან საკანს დაადგამდა ცალ თვალს და ხან პარიზს, სულში კი ათასი ექვი და უნდობლობა უტრიალებდა.

როდესაც ასე ყურადღებით ჩხრეკდა უზარმაზარ ქალაქს თავისი ერთადერთი თვალთ, რომელიც ბუნებას სამგაგიროდ ისეთი გამჭრიახი მხედველობით დაეჯილდოებინა, რომ კვაზიმოდოს თითქმის უნაზღაურებდა სხვა ორგანოების ნაკლოვანებას, უცბად შეამჩნია, რომ ძველი ჭონების სანაპიროს რაღაც უცნაური მოხაზულობა ჰქონდა, რაღაც მოძრაობა იგრძნობოდა იქ, მოაჯირის ხაზი, რომელიც შავად გამოირჩეოდა წყლის თეთრ ზედაპირზე, არ იყო სწორი და უძრავი, სხვა სანაპიროების მსგავსად, არამედ მდინარის ტალღებივით ან მოძრავი ბრბოს თავებივით ლელავდა, ბიბინებდა.

ეს უცნაურად ეჩვენა. ყურადღება გაიორმაგა. როგორც ჩანდა, ეს მოძრაობა სიტესკენ მოემართებოდა. არსად სინათლის ნატამალი არ იყო. მოძრაობა ერთხანს სანაპიროზე ხდებოდა, შემდეგ ნელ-ნელა გადაიარა, თითქოს კუნძულის შიგნით შევიდა, მერე სულ შეწყდა, სანაპიროს ხაზი ისევ გასწორდა და უძრავი გახდა.

იმ წუთს, როდესაც კვაზიმოდო თავს ძალას ატანდა როგორმე მიხვედრილიყო, მოეჩვენა, რომ ის მოძრაობა კვლავ გამოჩნდა კარიბჭის ქუჩაზე, რომელიც სიტეში ღვთისმშობლის ტაძრის წინხედის მართობრივ იყო გადაკიმული. ბოლოს, უკუნი სიბნელის მიუხედავად, მან დაინახა, რომ ამ ქუჩიდან თავი გამოყო რაზმმა, ერთ წამში მოედანზე ხალხი გაიშალა, სადაც სიბნელის გამო არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, გარდა იმისა, რომ იქ ბრბო იყო.

ამ სანახაობაში რაღაც საშინელება იფარებოდა. შესაძლებელია, რომ ეს უცნაური პროცესია, რომელიც ასე ცდილობდა წყვილად სიბნელეში დამალულიყო, არა ნაკლებ ღრმა ღუმლის იცავდა, თუმცა რაღაც ჩქამი, თუნდაც ფეხის ხმა მაინც ხომ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ხმა ვერ აღწევდა ჩვენს ყრუმდე. ეს დიდი სიმრავლე, რომელსაც ძლივს არჩევდა და რომლისაც არაფერი ესმოდა, თუმცა ასე ახლოს ლელავდა და ვიდოდა. მიცვალებულთა მდუმარე, შეუხებლად, კვამლში ჩანთქმული აჩოჩქოლებული ბრბოს შთაბეჭ-

დილებს ახდენდა. ასე ეგონა მისკენ ადამიანებით სავსე ღრუბელი მოიწვედა და ამ ბნელ ჩრდილში აჩრდილები ირხეოდნენ.

მაშინ ყველა შიში თუ ეჭვი კვლავ დაუბრუნდა და ბოშა ქალზე თავდასხმის მოსალოდნელობა კვლავ წარმოუდგა გონების თვალწინ. ბუნდოვნად იგრძნო, რომ ხიფათი ძალმომრეობისა ახლოვდებოდა. ასეთ გადამწყვეტ წუთებში ყველაფრის გონივრულად, უკეთესად და უფრო სწრაფად მოსაზრება, სწორი რჩევის გამოტანა არც იყო მოსალოდნელი ეგზომ ცუდად მოწყობილი ტვინისაგან. რა უნდა ექნა? იქნებ გაეღვიძებინა ბოშა ქალი და გაეპარებინა? მაგრამ რა გზით? საით? როგორ? ქუჩები ალყაში იყო მომწყვედელი, დარჩენილ მხარეს მდინარე ჩამოუდიოდა. იქ კი არც ნავი იყო და არც გასასვლელი. ერთი გზა დარჩენოდა: ღვთისმშობლის ტაძრის ზღურბლზე განგმირული დაცემულიყო, იქამდე მაინც გაეწია წინააღმდეგობა, სანამ დახმარება მოუსწრებდა, თუკი საერთოდ საიდანმე გაჩნდებოდა ეს დახმარება. მანამდე კი ძილს ნუ დაუტრევეს ესმერალდას. უბედური ქალი ყოველთვის მოასწრებს გაღვიძებას იმისათვის, რომ მოკვდეს. რაკი ამ გადაწყვეტილებაზე შეჩერდა, უფრო გულდამშვიდებით შეუდგა „მტრის“ შესწავლას.

ბრბო, როგორც ჩანდა, კარიბჭის ფორზე ყოველ წამს იზრდებოდა. ოღონდ კვაზიმოდო ფიქრობდა, ალბათ, ძალიან მცირე ხმაურს ქმნის ეს ბრბო, რაკი ქუჩებსა და მოედანზე სახლების ფანჯრები არ იღებო. უცბად სინათლემ იელვა და იმ წამს შეიღი თუ რვა ანთებული ჩირალდანი აბრიალდა ბრბოს თავზე, ცეცხლის ალები კონებად ირხეოდა და იფრქვეოდა სიბნელეში. მაშინ კი კვაზიმოდომ გარკვევით დაინახა კარიბჭის მოედანზე საშინელი და ბობოქარი ღუნდგო ძონქებიანი ქალებისა და კაცებისა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ცელებით, შუბებით, სასხლავებით, შუბნაჯახებით; მათი წვეტები ათას ნაპერწკლებივით ეღვარებდნენ. აქა-იქ ამ საზიზღარი სახეების მალლა შავი ორკაპები რქებივით აშვერილიყო. ბუნდად გაახსენდა, რომ ეს ბრბო საიდაც უნახავს. ასე ეგონა, ამ სახეებში ეცნობოდა ის პირები, რომლებიც ამ რამდენიმე თვის წინ ესალმებოდნენ მას, როგორც ქილიკების პაპს. ვიდაც მამაკაცი, ვისაც ცალ ხელში ჩირალდანი ეპირა, ხოლო მეორეში კეტი, ქვის ბოძკინტზე შეხტა და, როგორც ჩანდა, სიტყვას ამბობდა. იმავე წუთს ამ უცნაურმა არმიამ წყობა შეიცვალა, თითქოს ეკლესიას ალყას არტყამდა. კვაზიმოდო დასწვდა სანათს და ჩამოვიდა ბაქანზე ორ კოშკს შორის, რათა უფრო ახლოდან დაეხედა და თავდაცვის ღონისძიებანი ეღონა.

მართლაც, კლოპენ ტრუილფუ ღვთისმშობლის ტაძრის მთა-

ვარკართან მივიდა, თავისი ლაშქარი საბრძოლო წესზე დააწყო. თუმცა არავითარ წინააღმდეგობას არ მოელოდა, მაგრამ როგორც ფრთხილ მხედარმათავარს, წესრიგი უნდოდა დაეცვა, რაც მას საშუალებას მისცემდა საჭირო შემთხვევაში პასუხი გაეცა ღამის მზირთა ან ბადრაგათა იერიშისათვის. და აი თავისი რაზმები ისე დააწყო ეშელონებად, რომ მაღლიდან და შორიდან თუ დახედავდით, მიიჩნევდით რომაულ სამკუთხედად ენკომის ბრძოლაში ან ალექსადრეს „ღორისთავად“ ან გუსტავ-ადოლფის განთქმულ სოლად¹. ამ სამკუთხედის ფუძე მიბრჯენილი იყო მოედნის სიღრმეში და ამრიგად ხერგავდა კარიბჭის ქუჩას, ერთი მხარე უყურებდა ოტელდიეს, ხოლო მეორე სენ-პიერ-ო-ბეფის ქუჩას. კლოპენ ტრუილფუ სათავეში ჩაუდგა, გვერდში ამოიყენა მეგვიპტელთა ჰერცოგი, ჩვენი მეგობარი ყეანი და სხვა თავზე ხელაღებული ბიჭები.

იშვიათი როდი იყო შუა საუკუნეების ქალაქებში იმგვარი თავდასხმეები, როგორსაც მაწანწალები ამჟამად უპირებდნენ ღვთისმშობლის ტაძარს. რასაც დღეს პოლიციას ვუწოდებთ, მაშინ სულ არ არსებობდა. ხალხმრავალ ქალაქებში, მეტადრე დედაქალაქებში არ არსებობდა წესრიგის დამამყარებელი ცენტრალური ხელისუფლება. ფეოდალური წყობილება ამ დიდ თემქალაქებს უცნაური წესით ქმნიდა. ქალაქი წარმოადგენდა ათასობით მებატონეთა მამულების კრებადობას, რომელსაც ისინი ჰყოფდნენ ყოველგვარი ფორმისა და სიდიდის ნაწილებად. აქედან წარმოდგებოდა ათასნაირი ურთიერთსაწინააღმდეგო განაწესი, ანუ უკეთ რომ ეთქვათ, უწესრიგობა. მაგალითად, პარიზში, დამოუკიდებლად ასორმოცდაერთი სალენო მფლობელისა, რომელთაც ღალის აკრეფის უფლება ჰქონდათ. კიდევ ოცდახუთი მფლობელი იყო, რომლებიც სარგებლობდნენ სასამართლო ხელისუფლებითა და ხარკის აკრეფის უფლებით, დაწყებული პარიზის ეპისკოპოსითა, რომელსაც ასხუთი ქუჩა ექვემდებარებოდა, და გათავებული ნოტრ-დამ-დე-შანის წინამძღვარით, რომელსაც ოთხი ქუჩა ჰქონდა. ყველა ეს სასამართლო ხელისუფლების მფლობელი ფეოდალი მხოლოდ ნომინალურად სცნობდა სიუზერენის — მეფის ავტორიტეტს. ყველას ჰქონდა გზების მეთვალყურეობის უფლება. ყველას თავისი თავი ბატონ-პატრონად მიაჩნდა. ლუი XI-მ, ამ დაუღალავემა მაშვრალმა, რომელმაც ასე ფართო მასშტაბით დაიწყო ფეოდალიზმის შენობის დანგრევა, რაც რიშელიემ² და ლუი XIV-მ განაგრძეს მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ, და მირაბომ³ დაამთავრა ხალხის სასარგებლოდ, — აი ამ ლუი XI-მ სცადა გაერღვია სალენო მფლობელობათა ქსელი, რითაც დაფარული იყო პარიზი, როდესაც, მიუხედავად ყველასი და ყოველივესი,

ორი თუ სამი მკაცრი ბრძანება გამოსცა საყოველთაო წესრიგის დაცვის თაობაზე. ამგვარად, 1465 წელს მცხოვრებლებს ებრძანათ დაღამებ-სთანავე თავიანთ ფანჯრებზე აენთოთ სანთლები, დაემწყვდიათ თავიანთი ძაღლები, თორემ ურჩობის შემთხვევაში სანჩობელაზე ჩამოაკიდებდნენ. იმავე წელს გამოვიდა ბრძანება, რომლის თანახმად საღამომობით ქუჩები რკინის ჯაჭვებით უნდა დაკეტილიყო, და ღამდამობით ქუჩაში ხანჯლის ან სხვა იარაღის ტარება მოქალაქეებს ეკრძალებოდათ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ყველა ეს ცდა საყოველთაო კანონმდებლობის დამყარებისა მიივიწყეს, ხმარებიდან გადაეარდა. მოქალაქეებმა ნება დართეს ქარს ჩაეჭრო მათი სანთლები ფანჯრებზე, ხოლო ძაღლებს — ეყიალათ. ჯაჭვებს ქუჩებში მხოლოდ სააღყო წესების შემოღებისას აბამდნენ, იარაღის ტარების აკრძალვამ კი მხოლოდ ის გამოიწვია, რომ სახელი „ყელგამოჭრილთა“ ქუჩა შეცვალეს „კისერგამოჭრილთა“ სახელით, რაც აშკარა პროგრესია. ფეოდალური მართლმსაჯულების ძველი ხარაჩოები ისევე ფეხზე დარჩა. უამრავი საოლქო და საადგილმამულო სასამართლო უწყებანი ქალაქში იმდენი დაგროვილიყო, ერთმანეთში ირეოდნენ, ერთმანეთს ეჯვარებოდნენ, ეჯახებოდნენ, ავიწროებდნენ, ეხლართებოდნენ, უსწორმასწორო შრეებად ედებოდნენ, და ერთმანეთში იჭრებოდნენ. უსარგებლო იყო ხშირი ბარდივით გაბმული ამონაყარი დარაჯებისა, ღამის გუშაგებისა, ებგურებისა, მწვერაგებისა და კონტრ-მწვერაგებისა, მზირებისა და დეტებისა, რადგანაც მის შიგნით მაინც იჭრებოდა ყაჩაღისა და ავაზაკის შეიარაღებული ხელი, ძარცვა-გლეჯა, ჯანყი თუ ამბოხი. ამიტომაც ამ უწესრიგობასა და არეულ-დარეულობაში გაუგონარ შემთხვევად როდი ითვლებოდა მდაბიო ხალხის თავდასხმა სასახლეზე, ცალკე მდგომ სახლზე ან უბრალო საცხოვრებელზე, ხშირად დასახლებულ უბნებზეც კი. უმეტეს შემთხვევაში მეზობლები მანამდე არ ერეოდნენ საქმეში, სანამ მათაც არ დაუწყებდნენ ძარცვა-გლეჯასა და აკლებას. გაიგონებდნენ თუ არა ჯაზაირის (მუშკეტის) ხმას, ყურებს დაიცობდნენ, დარაბებს დახურავდნენ, კარებს ჩარაზავდნენ, ურდულებს გაუყრიდნენ, ჩახერგავდნენ და ბედის ანაბარად მიაგდებდნენ, დე ჩხუბი ჩათავდეს ღამის გუშაგთა დახმარებით ან უმათოდო, მეორე დღეს კი პარიზს მოსდებდნენ: — „წუხელ ეტიენ ბარბეტს გაუტეხეს სახლი!“ — „თავს დაესხნენ მარშალ კლერმონელს“, და სხვა. ამიტომ არა მარტო მეფეთა ადგილსამყოფელი, ლუვრი, სასახლე, ბასტილია, ტურნელი, არამედ დიდებულთა საცხოვრებელიც კი, ბურბონის მცირე სასახლე, ოტელ სანს, ოტელ ანგულემ და სხვა შემოვლებული იყო ქონგურებიანი კედლე-

ბოთ და კიშკრის თავზე სათოფურები ჰქონდათ. ეკლესიებს მათი სიწმინდე იცავდა. მაგრამ ზოგიერთი მათგანიც გამაგრებული იყო, მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი. სენ-ეგრემენ-დე-პრეს სააბატო ქონგურებიანი კედლით ისე იყო შემოვლებული, როგორც ბარონის ციხე-სიმაგრე და ზარბაზნებზე უფრო მეტი სპილენძი დახარჯა, ვიდრე ზარებზე. მისი ციხე-სიმაგრის კვალი 1610 წელსაც ჩანდა. დღეს იქიდან ეკლესიადა გადაარჩა.

დავუბრუნდეთ ისევ ლეთისმშობლის ტაძარს.

როდესაც პირველი განკარგულებები დამთავრდა (ამ მაწანწალათა დისციპლინის სასახლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კლოპენის ყველა ბრძანება სრული სიჩუმიტა და საგანგებო სიზუსტით სრულდებოდა), ბანდის ღირსეული წინამძღოლი კარიბქის მოაჯირზე ავიდა, ლეთისმშობლის ტაძრისაკენ შებრუნდა და ხრინწიან, ბუზღუნა ხმას აუწია, თან ჩირაღდანს იქნევდა. ქარი აწეალებდა და არხევდა ჩირაღდნის ალს, რომელიც ხან გაანათებდა და გამოაჩენდა ეკლესიის მოწითალო წინახედს, ხან კი საკუთარი ბოლისაგან დაიბურებოდა და ტაძარიც სიბნელეში ინთქმებოდა.

— ლუი დე ბომონ, პარიზელო ეპისკოპოსო, სამეფო სასამართლო პალატის მრჩეველო, შენ მოგმართავ მე, კლოპენ ტრუილფუ, მეფე თუნისა, დიდი კეისარი, არგოელთა თავადი, ქილიკთა ეპისკოპოსი, და გეუბნები: — ჩვენი და, ჯადოქრობისათვის ტყუილად დასჯილი, თავს აფარებს შენს ეკლესიას. შენ ვალდებული ხარ მისცე თავშესაფარი და მფარველობა გაუწიო. მაგრამ სასამართლო პალატას სურს იქიდან გამოიყვანოს იგი და შენ დაეთანხმე. ხვალ ჩამოახრჩობდნენ მას გრევის მოედანზე. ლეთის წყალობა და მაწანწალები რომ არ ეყოფილიყავით აქ. აი რატომ მოვედით შენთან, ეპისკოპოსო! თუ შენი ეკლესია კურთხეულია და ხელშეუვალი, მაშინ ჩვენი დაცე ხელშეუვალია, მაგრამ თუ ჩვენი და არ არის ხელშეუვალი, მაშინ აღარც შენი ეკლესია არის ხელშეუვალი. ამიტომ მოვიტხოვთ, დაგვიბრუნო ჩვენი და, თუ გსურს შენი ეკლესია გადაარჩინო, არა და ჩვენ წაგართმევთ ასულს და გავძარცვათ ეკლესიას. სწორიც იქნება. ამის დასტურად აქ აღვმართავ ჩემს ალამს, და ღმერთი იყოს შენი ღმარველი. პარიზელო ეპისკოპოსო!

სამწუხაროდ, კვაზიმოდოს არ შეეძლო მოესმინა ერთგვარი პირქუში და ველური მედიდურობით წარმოთქმული ეს სიტყვები. ერთმა მაწანწალამ კლოპენს ალაში წარუდგინა, მან კი ზეიმით ორ ფილას შორის ჩაარქო. იგი წარმოადგენდა ორკაპ ფიწალს, რომლის წვერებზე ჩამოცმული იყო სისხლიანი ლეშის ნაჭკრი.

როგორც კი ეს გააკეთა, თუნის მეფე შემობრუნდა, თვალი მო-

ავლო თავის არმის, მძვინვარე სიმრავლეს, რომელთა თვალები თითქმის ისევე ელვარებდნენ, როგორც შუბები. წუთით შეჩერდა, შემდეგ შეუძახა:

— წინ, ბიჭებო! აბა საქმეს შეუდექით, ჩხუბისთავებო! ბოქლომმტეხელებო!

მწკრივებიდან წინ წამოდგა ოცდაათი ლონიერი, მხარბეჭიანი, ზეინკლის სახის კაცი. ხელში ჩაქუჩები და მარწუხები ეჭირათ, მხრებზე რკინის ძალაყინები გაედოთ. ისინი ეკლესიის მთავარი კარისაკენ გაემართნენ, საფეხურები აიარეს და მალე ისრული თალის ქვეშ გაჩნდნენ. ჩანდა, როგორ შეუდგნენ ისინი მარწუხებით, გაზებითა და აზარმაცებით კარის მტვრევას. მაწანწალების ბრბო მათ აედევნა, რომ დახმარებოდნენ ან ეცქირათ. კარიბჭის მთელი თერთმეტი საფეხური ხალხით იყო გაქედლილი.

მაგრამ კარი მდგრად დაუხვდათ.

— ეშმაკსაც წაულია, ძალიან მაგარი და კერპი რამ არის! — თქვა ერთმა.

— სიძველისაგან ხრტილები გაქვეავებია, — თქვა მეორემ.

— მამაცად, ამხანაგებო! — ამხნეებდა კლოპენი, — სანაძლეოზე თავს ჩამოვდივარ ძველი ფლოსტის სამაგიეროდ, რომ თქვენ უმალ გააღებთ კარს, მოიტაცებთ ქალს, გაძარცვავთ მთავარ საკურთხეველს. სანამ თუნდ ერთი მნათეც კი გაიღვიძებს. უყურეთ! მგონია, კლიტე ჭრიალებს!

კლოპენს სიტყვა შეაწყვეტინა საშინელმა გრუხუნმა, რომელიც მის ზურგს უკან გაისმა. იგი შებრუნდა. უზარმაზარმა თავხემ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ერთი ათი მაწანწალა მაინც გასრისა ეკლესიის კარიბჭის საფეხურზე, ზარბაზნის ქუხილით ახტა და ქვაფენილზე გადავარდა, გზად კიდევ აქა-იქ მათხოვრების ბრბოს ფეხები შემოალეწა. შეშინებული მაწანწალები ყვირილით გაეცალნენ. თვალის დახამხამებაში კარიბჭის ირგვლივ ადგილი დაცარიელდა. მთავარკარის ღრმა თალებით დაფარულმა ბოქლომმტეხელებმა კარი მიატოვეს. კლოპენმაც ეკლესიიდან კარგა დიდ მანძილზე დაიხია.

— კარგად კი გადავურჩი! — შესძახა ეენამა, — ზუზუნნი დროზე გავიგონე, ვფიცავ ხარის თავს! მაგრამ პიერ სულთამხუთავმა სული დალია!

შეუძლებელია ავწეროთ, რა განცვიფრება და შიში გამოიწვია ამ მორის ჩამოვარდნამ ავაზაკებში. რამდენიმე წუთს ეგრე გამოყეყეჩებული დარჩნენ, გაშტერებულნი ცას შეჰყურებდნენ. ამ ხის ნაქერმა უფრო მეტად დააბნია ისინი, ვიდრე მეფის ოციათასი მსროლელი დააბნევდა.

— ტარტაროზია! — დაიბუხუნა მეგვიპტელმა ჰერცოგმა, — ამას ჯადოქრობის სუნი უდის!

— მთვარემ ხომ არა გვტყორცნა ეს შეშის ღერი, — თქვა ანდრი წითურამ.

— იმასაც ამბობენ, მთვარე უბიწო ღვთისმშობლის მეგობარი იყო! — თქვა ფრანსუა შანტეპრიუნმა.

— ათასი პაპი! — შეჰყვირა კლოპენმა, — თქვენ ყველა სულელები ხართ! — თუმცა თვითონაც არ იცოდა, როგორ აეხსნა ძელის ჩამოვარდნა.

მაგრამ ტაძრის მალალ ფასადზე, რომლის წვერამდეც ჩირაღდნების სინათლე ვერ აღწევდა, არაფერი გაირჩეოდა. მძიმე ძელი კარიბჭის ქვაფენილზე ეგდო. ისმოდა იმ უბედურთა კვნესა, რომელთაც პირველად დაეცა თავზარი და ქვის საფეხურთა წვეტიან კუთხეებზე მუცლები დაექრათ.

ბოლოს, პირველმა განცვიფრებამ რომ გაიარა, თუნის მეფემ მაინც მონახა ახსნა, რაც მისმა თანამებრძოლებმა შესაძლებლად მიიჩნიეს.

— ეშმაკის ხახვე, ნუთუ ხუცესები დაცვას აპირებენ? მაშინ გაძარცვეთ! აიკელით!

— გაძარცვეთ! — გაშმაგებული ყიფინითა და ვაშას ძახილით იმეორებდა ურდო, და ეკლესიის ფასადს ბოძალდი და ჯახიარი დააყარა.

ბათქის ხმაზე ირგვლივ მეზობლად მდებარე სახლებში მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა გაიღვიძეს. რამდენიმე სარკმელი გაიღო, ღამის თალფაქები, ხელები და ანთებული სანთლები გამოჩნდა.

— ესროლეთ ფანჯრებს, — იყვირა კლოპენმა.

ფანჯრები იმწამსვე მიიხურა. საბრალო მოქალაქეებმა ძლივს მოასწრეს თვალდაფეთებით ამ სუსტად განათებული და აჩოჩქოლებული სცენის შეხედვა, შიშით ოფლში გაიწურნენ, ისევ თავიანთ ცოლებს მიაშურეს, თან თავს ეკითხებოდნენ, ხომ არ აწყობდნენ ახლა კუდიანები ღვთისმშობლის კარიბჭის ფორზე თავიანთ თემობა-შაბათობას ან ბურჯუნდიელთა იერიში ღომ არ იყო ეს, როგორც 64 წელს. ქმრები უკვე ძარცვა-გლეჯაზე ფიქრობდნენ, ცოლებს კი გაუპატიურება ეზმანებოდათ. ყველა კანკალებდა.

— გაძარცვეთ! — იმეორებდნენ არგოელნი, მაგრამ მიახლოვებას ვერ ბედავდნენ. ხან ეკლესიას შესცქეროდნენ, ხან მორს დაჰყურებდნენ. მორი არ იძვროდა. შენობა მშვიდი და უდაბური სახით იდგა. მაგრამ რაღაც ძალა ჰყინავდა მაწანწალებს ერთ ადგილზე.

— აბა, შეუდექით საქმეს, ბოქლომბტეხელებო! — ყვიროდა ტრუილფუ. — გატეხეთ კარი!

ადგილიდან არავინ დაძრულა.

— ეშმაკის წვერო და ღიპო! — შესძახა კლოპენმა, — ვაჟკაცებს დამიხედეთ, ძელს შეუშინდნენ!

ერთმა მოხუცმა ბოქლომბტეხელმა სიტყვით მიმართა:

— უფროსო, ჩვენ ძელი კი არ გვადონებს, არამედ კარი, რომელიც მთლად რკინის სალტეებითა და ძელებით არის შექცედილი. მარჯულებით ვერაფერს უზამ.

— მაშ, რა დაგვირდებათ მის შესალეწად? — ჰკითხა კლოპენმა.

— რა და, ურნალი დაგვირდება.

თუნის მეფემ გულდაგულ მიიხრბინა უშველებელ მორთან და ფეხი დაადგა.

— აგერა, ესეც თქვენი ურნალი! — შესძახა მან, — თვითონ ხუცესებმა გამოგვიგზავნეს. — და დამცინავი სალაში გაგზავნა ეკლესიისაკენ: — გმადლობთ ხუცესებო!

ამ ყოყოჩა გამოწვევამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ძელის ჯადო გაქრა. მაწანწალები ისევ გამამაცდნენ. მალე მძიმე თავზე ორასმა ღონიერმა ხელმა ფრთის კალამივით აიტაცა და გაშმაგებით დააჯახა დიდ კარებს, რომლის შერყევაც უკვე სცადეს. მაწანწალათა მცირერიცხოვანი ჩირაღდნების მკრთალ შუქზე ის გრძელი ძელი, მამაკაცთა მთელი გუნდი ეკლესიისაკენ სწრაფად რომ მიაქანებდა, ჰგავდა ათასფეხება საზარელ მხეცს, ურჩხულს, რომელიც თავდახრილი ქვის ბუმბერაზს უტევდა.

ძელის დარტყმაზე ნახევრად ლითონისაგან გაკეთებული კარები უშველებელი დოლის ხმას გამოსცემდა. მაგრამ იგი სულაც არ დაძრულა, არც გაბზარულა, თუმცა მთელი ტაძარი ზანზარებდა, და შენობის შიდა სიღრმეებში გუგუნე ისმოდა.

იმავე წუთს ფასადის ზემოდან დიდრონი ქვები წვიმასავით დაატყდა თავს თავდამსხმელებს.

— ეშმაკმა წაიღოს! — იყვირა ქეანმა, — ნუთუ კოშკებს განუზრახავთ მთელი თავიანთი მოაჯირები თავს დაგვაბერტყონ?

მაგრამ თუნის მეფემ თვითონ მისცა მაგალითი, პირველი თვითონ ეკვეთა, ახლა სამაგიეროს იმკიდა. უდავო იყო. ეპისკოპოსი თავს იცავდა. ამიტომ კარებს კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით ურტყამდნენ, მიუხედავად ზემოდან წამოსული ქვებისა, რის გამოც თავისქალებს ხათქა-ხუთქი გაუდიოდა მარჯვნივ და მარცხნივ.

შესანიშნავი ის იყო, რომ ეს ქვები თითო-თითო ცვიოდა, მაგრამ ერთმანეთს ზედიზედ მოსდევდნენ. არგოელები ერთხელად ორს

გრძნობდნენ: ერთს — თავზე, მეორეს — ფეხებზე. თითქმის ყველა ქვა მიზანში ხვდებოდა, უამრავი მოკლული და დაჭრილი უკვე სისხლისაგან იცლებოდა, თავდამსხმელთა ფეხებთან იკლავებოდა, იკრუნჩხებოდა. მაგრამ გარემომცველნი მაინც გაათრებით უტევდნენ და განუწყვეტლივ ავსებდნენ შეთხელებულ მწყრივებს. გრძელი ძელი ზარის ენასავით კარზე მწყობრ თანაბარზომიერ ჯახუნს განაგრძობდა. ქვები წვიმასავით ცვიოდა, კარი ჭრიალებდა.

მკითხველი უეჭველად მიხვდა, რომ ეს მოულოდნელი წინააღმდეგობა, რამაც ასე გააშმაგა მაწანწალები, კვაზიმოდოს საქმე იყო.

საუბედუროდ, შემთხვევა დაეხმარა გულად ყრუს.

როდესაც იგი კოშკთა შორის ბაქანზე ჩამოვიდა, თავში აზრები ერეოდა. ზემოდან რომ დახედა მაწანწალების ერთიან შეკუმშულ მასას, რომელიც მზად იყო ჰკვეთებოდა ეკლესიას, რამდენიმე წუთს ტალანის გასწვრივ გიჟივით იქით-აქეთ გარბოდა და გამორბოდა, ეშმაკს თუ ღმერთს ევედრებოდა. ბოშა ქალი გადაერჩინა. ერთხანს აზრად მოუვიდა სამხრეთის კოშკზე ასულიყო და საგანგაშო ზარების რეკვა აეტეხა. მაგრამ სანამ იგი ზარის გაქანებას შესძლებდა და მარია თავის ომანიან ხმას დააგუგუნებდა, ეკლესიის კარი ათჯერ მოასწრებდა დაღეწვას. ეს წორედ მაშინ იყო, როდესაც ბოქლომ-მტეხელებმა ეკლესიის კარებს მიაშურეს თავიანთი საზეინკლო იარაღებით. რა ექნა?

უცბად მოაგონდა, რომ მთელ დღეს კალატოზები მუშაობდნენ სამხრეთის კოშკის კედლის, ნივნივებისა და ბურჯლის შეკეთებაზე. თითქოს სინათლის სხივმა გააშუქა მისი გონება. კედელი ხომ ქვისა იყო, ბურჯული — ტყვიისა, ნივნივები — ხისა (ამ საკვირველ ნივნივებს „ხე-ტყეს“ უწოდებდნენ, ისე ხშირი იყო).

კვაზიმოდომ ამ კოშკს მიაშურა. მართლაც მისი ქვემო ოთახები საესე იყო მასალით. იქ ეყარა ქვიშნარის გროვა, ტყვიის დახვეული ფურცლები, ყავარისა და თამასების კონები, უკვე ნარიმანდამოღებული დიდრონი კოჭები, ღორღი, ერთი სიტყვით, მთელი არსენალი.

ღრო არ იცდიდა, წამითაც არ შეიძლებოდა დაყოვნება. ქვემოთ მარწუხები, გაზები და ჩაქუჩები გამალებით მუშაობდნენ. საფრთხის შეგნების გამო გაათყეცებული ძალით ყველაზე მძიმე, ყველაზე გრძელი კოჭი ასწია, ერთ-ერთ სარკმელში გაჰყო, შემდეგ, კოშკის გარედან ხელი მოუნაცვლა, ბაქანს შემოგარული მოაჯირის კუთხეზე დაატურა და უფსკრულში ჩაუშვა. ასსამოცი ტერფის სიმაღლიდან დაშვებულმა უშველებელმა კოჭმა კედლები ჩამოფხიკა, ქანდაკებები ჩამოღეწა, ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა ქარის

წისქვილიდან მოწყვეტილ და სივრცეში ირაოდ გაფრენილ ფრთა-
ხავთ. ბოლოს მიწას შეეხო. საშინელი ყვირილი ატყდა. ქვაფენილ-
ზე გრუხუნით დანარცხებული შავი მორი ჰაერში ამართული გველი-
ვით ახტა და განზე გადავარდა.

კვაზიმოდომ დაინახა ძელის დაცემისთანავე როგორ გაიფანტნენ
მაწანწალები. ვითარცა ნაცარი, ბავშვი რომ შეუბერავს. კვაზიმოდომ
იმით ისარგებლა, რომ მაწანწალები დაფრთხნენ; სანამ ისინი ცრუ-
მორწმუნეობრივი შიშით შეპყრობილნი გაშტერებული დაჰყურებ-
დნენ ციდან ჩამოვარდნილ, თავზარდამცემ უზარმაზარ კეტს და
მთავარკარზე წმინდათა ქვის გამოსახულებებს თვალებს თხრიდნენ
ისრებისა და მსხვილი საფანტის დაშენით, კვაზიმოდომ ჩუმად დააგ-
როვა ღორღი, ქვები, ქვიშნარი, კენჭები და თვით კალატოზთა ხელ-
საწყობებით სავსე ტომრებიც კი მოაჯირის იმ ნაპირზე, საიდანაც
უკვე მორი დაუშვა.

ისე რომ, როგორც კი ქვემოთ ხელი მიჰყვეს დიდ კარებზე ძე-
ლის ძგერებას, ქვა და ღორღი სეტყვასავით დააყარა, გარემომც-
ველთ ასე ეგონათ, ეკლესია თავზე გვენგრევაო.

ვინც ამ ღროს კვაზიმოდოს შეხედავდა, უთუოდ შეძრწუნდებო-
და. გარდა მოაჯირზე დაგროვებული სატყორცნი ჭურვებისა,
თვით ბაქანზე მან ქვების ყორე დააზვინა. როგორც კი მოაჯირის
გარეკიდებზე მიქუჩებული ქვიშნარი და ღორღი გამოელია, ამ ქვის
გროვას მიჰყო ხელი. წარმოუდგენელი სისწრაფით იხრებოდა და
იშლებოდა, იხრებოდა და იშლებოდა ისევ. გადმოიხრებოდა თუ
არა მოაჯირზე მისი ქონდრისკაცისებური დიდი თავი, უზარმაზარი
ქვა წამოვიდოდა ძირს, შემდეგ მეორე, მესამე. დროდადრო თვალს
ჩაადევნებდა რომელიმე მძიმე ქვას, და როცა იგი მიზანში მოხვლე-
ბოდა, ვიდაცას გასრესდა, ღმუილი აღმოხდებოდა: უჰ!

მაგრამ კონკიავლარუნები გულს არ იტეხდნენ, მხნეობას არ
ჰკარგავდნენ. უკვე ოცზე მეტჯერ ეკვეთნენ ისინი სქელ კარებს, რო-
მელიც მუხის ურნალის სიმძიმისაგან ირყეოდა, რასაც ასი კაცის ღო-
ნე კიდევ უფრო აძლიერებდა. კარის საგდულები ჭრიალებდა, ნაქე-
ლობანი და ჩუქურთმები აქეთ-იქით ნამსხვრევებად იფანტებოდა,
თვითთულ დარტყმაზე კოჭაკები და ანჯამები ქანჭიკებზე ხტოდა,
ძელები ნარიმანდიდან ვარდებოდა, რკინის ნაწიბურებს შორის დაფ-
შენილი ხე მტვერივით იბნეოდა. კვაზიმოდოს საბედნიეროდ, კა-
რებში ხეზე მეტი რკინა იყო.

მაგრამ ის გრძნობდა, რომ დიდი კარები ირყეოდა. თუმცა ურ-
ნალის ჯახუნის ხმა მას არ ესმოდა, მაგრამ ყოველი დარტყმა გამო-
ძახილს ჰპოვებდა როგორც ეკლესიის შინამოში, ისე ყრუს გულ-მუ-

ცელში. ზემოდან ხედავდა, თუ როგორ უღერებდნენ მაწანწალები მუშტებს ტაძრის ჩაბნელებულ წინახედს ზემიითა და გაშმაგებით. ბოშა ქალზე და თავის თავზე ფიქრით შეპყრობილი შურიტ შეპყურებდა თავს მაღლა გუნდგუნდად აფრენილ ბუების ფრთებს.

ქვისა და ღორღის სეტყევა საკმარისი არ იყო მომხდურთა მოსაგერიებლად.

ამ დროს დაღონებულმა შენიშნა, რომ იმ მოაჯირის ცოტა ქვემოთ, საიდანაც არგოელებს სრესდა და მუსრს ავლებდა, იწყებოდა ორი გრძელი ქვის ღარღანა, რომლებიც უშუალოდ დიდი კარების მაღლა აძლევდნენ წვიმის წყალს საღინარს. ამ ღარღანების ზემო შიდა ღრუ კი სწორედ ბაქანის ფილაქახს ეკვროდა. თავში რაღაც აზრმა გაუეღვა. თავის, ზართამრეკველის ხუხულაში ფიჩხის კონისთვის გაიქცა, ამ ფიჩხის კონას რამდენიც შეეძლო დასტა-დასტა ყავარი და ტყვიის გრაგნილი დააყარა — ეს საომარი საჭურველი მას ჯერ კიდევ არ მოეხმარნა; ამ ორი ღარღანის ღრუს წინ დააზვიინა და სანათის ალით კოცონი გააჩალა.

ამ დროის განმავლობაში ქვები აღარ ცვიოდა და მაწანწალებმაც შეწყვიტეს ჰაერში ცქერა. ავაზაკები, აქაქანებულნი, როგორც ძაღლების ხროვა, რომელსაც ტახი თავის ბუნაგში მიუშვსვედვია, ხმაურითა და ჩოჩქოლით აწვებოდნენ ურნალისაგან მთლად ფორმამ შეცვლილ, დასახიჩრებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მინც ფეხზე მდგარ დიდ კარებს. თრთოლვით ელოდნენ ისინი იმ გადამწყვეტ ღარტყმას, რომელიც კარებს შელეწავდა. თვითეული იმას ცდილობდა, როგორმე ახლოს ყოფილიყო, რათა, როგორც კი გაიღებოდა, პირველი შევარდნილიყო ამ უხვ ტაძარში, უზარმაზარ განძთსაცავში, სადაც სამი საუკუნის სიმდიდრე იყო დაგროვილი. სიხარულისა და სიხარბისაგან საღერღელაშლილი ღმუოდნენ, ერთმანეთს შეახსენებდნენ მშვენიერ ვერცხლის ჯვარს, ფარჩის საუცხოო შესამოსელს, ღიდებულ მოოქროულ ვერცხლის ფილებს საფლავებზე, ხორის უხვ მორთულობას. თვლისმომპრელ დღესასწაულებს, ჩირაღდნებით გაბრწყინებულ შობას, მზის სხივებით გაკაშკაშებულ აღდგომას, ყველა იმ ბრწყინვალე ზეიმებს, როდესაც წმინდანთა ნაწილების ტაგრუცით, შანდლებით, სანაწილე ღარნაყებით, სამარტვილეებით ოქროს და აღმასის ჯავშნებით იყო საკურთხეველები მოქვედილი. ცხადია, ამ მშვენიერ წუთებში ყველა ამ ქურდბაცაცას, ჰირკოდილას, ჯანდაგსა თუ კაფანდარას, გაიძვერასა თუ მატყუარას, ცრუსახლკარდამწვარს ბოშა ქალის განთავისუფლება უფრო ნაკლებ აწუხებდა, ვიდრე ღვთისმშობლის ტაძრის გაძარცვა და აკლება. ჩვენ სიამოვნებით დავიჯერებთ თვით იმასაც, რომ მრავალი შათ-

განისათვის ესმერალდა მხოლოდ საბაბი იყო, თუ კი ქურდებს საერთოდ რაიმე საბაბი სჭირდებათ.

სწორედ იმ წუთს, როდესაც ისინი ურნალის ირგვლივ შეჯგუფდნენ უკანასკნელად მთელი ძალონის დასაძაბად, სუნთქვა შეიკრეს და კუნთები დაძაგრეს, რათა საბოლოოდ მთელი ძალით დაერთყათ. უცბად კიდევ უფრო საზარელი ღმუილი გაისმა, ვიდრე მაშინ, როდესაც ძელის ჩამოვარდნის დროს ატყდა და მის დაცემისთანავე ჩაკვდა. ვინც არ ღრიალებდა, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მან მალე აიხედა. გამდნარი ტყვიის ორი ნაკადი შენობის ზემო ნაწილიდან შიგ შუაგულ ბრბოში იფრქვეოდა. ადამიანთა ზღვამ თითქოს ძირს ჩაიწია, ჩაწვა მდულარე ლითონის ქვეშ, რომელმაც იმ ადგილს, სადაც იგი ჩამოიღვარა, ხალხში შექმნა ორი შავი მხრჩოლავი ღრმული, როგორსაც ჰქმნის ხოლმე ცხელი წყალი თოვლში. ხალხში ჩანდა, როგორ იკრუნჩხებოდნენ მომაკვდავნი და სანახევროდ დამწვარ-დანახშირებულნი, როგორ ღმუოდნენ ტკივილებისაგან. ამ ორი მთავარი ნაკადის ირგვლივ საშინელი წვიმის წვეთები იფანტებოდა, მომხდურთ თავზე ეფრქვეოდა და თავის ქალებში ცეცხლის ბურღებივით იჭრებოდა. უბედურნი ათასობით მძიმე ცეცხლოვანი სეტყვით იყვნენ დაცხრილული.

ისმოდა გულშემზარავი ყვირილი. როგორც გულადებმა, ისე ლაჩრებმა ძელი გვამებზე მიაგდეს და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, კარიბჭის ფორი მეორედ დაცარიელდა.

ყველამ ეკლესიის წვერს მიაპყრო თვალი. იქ არაჩვეულებრივი რამ დაინახეს. სულ ზემო ტალანში ცენტრალური მრგვალი სარკმლის თავზე, ორ სამრეკლოს შორის, დიდი ცეცხლი გიზგიზებდა, ნაპერწყლების კორიანტელი ტრიალებდა და ზევითა და ზევით მიიწევდა უშველებელი, უწესრიგო და გამძვინვარებული ცეცხლის ალი. რომელიც დროდადრო ნაფლეთ-ნაფლეთ მიჰქონდა ქარს ბოლთან ერთად. ამ ალის ქვეშ, ჩაბნელებული მოაჯირის ქვეშ, რომლის სამყუროვანი ჩუქურთმები ნაკვერჩხლებივით ვარვარებდნენ, ორი დარღანა, როგორც ურჩხულის ორი ხახა, შეუწყვეტლივ ანთხევდა ამ მწველ, მხურვალე წვიმას! წინახედის ბნელ ქვედა ნაწილზე მკვეთრად გამოირჩეოდა ვერცხლისფრად მოკაშკაშე მისი ქავლები. რაც უფრო უახლოვდებოდა მიწას, თხევადი ტყვიის ორი ნაკადი ძნებივით ფართოვდებოდა და იშლებოდა, როგორც სარწყულის ათასი ნასვრეტებიდან გამომფრქვეული წყლის შხეფები. ცეცხლის ალს მალეა უზარმაზარი კოშკები, რომელთა გვერდები, — ერთი სრულიად შავი, მეორე სრულიად წითელი, — ერთმანეთისგან მკვეთრად გამოირჩეოდა, კიდევ უფრო გაზრდილიყო მათი ცაძდე

ატყორცნილი ჩრდილების მთელი უსაზღვროებით. დემონებისა და გველეშაპების უამრავ ქანდაკებებს პირქუში სახე მიეღო. ცეცხლის ალის მოციმციმე შუქზე ისინი თვალს ამოძრავებელი, გაცოცხლებული წარმოდგებოდა, გველები თითქოს იცინოდნენ, ღარღანები, ეგონათ. წკაეწკაეებდნენ, სალამანდრები ცეცხლს უბერავდნენ. გველეშაპები ბოლში ცხვირს აცემინებდნენ. ამ ცეცხლისა და ხმაურის გამო თავიანთი ქვისებური ძილისაგან გამოღვიძებულ ურჩხულთა შორის დროდადრო ვიღაც მიმოქროდა კოცონის ცეცხლოვან ფონზე, როგორც ღამურა სანთლის წინ.

ეს უცნაური შუქურა უეჭველად გამოაღვიძებდა შეშისმკრელებს ბისერტის შორეულ ბორცვებზე და შეაშინებდა, როცა დაინახავდნენ, როგორ ირხეოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გოლიათი კოშკების ჩრდილები მანანით მოფენილ ფერდობებზე.

შიშით შეპყრობილ მაწანწალებს შორის სიჩუმე ჩამოვარდა, ისმობდა მხოლოდ თავიანთ მონასტერში ჩაკეტილი და, ცეცხლმოკიდებულ თავლაში დამწყვდეულ ცხენებზე უფრო მეტად დამფრთხალი ხუცეს-კანონიკების ყვირილი და განგაში, სწრაფად გაღებულ და ისევ საჩქაროდ მიხურული ფანჯრების იღუმალი ხმაური, ჩოჩქოლი და ალიაქოთი აგრეთვე ოტელ-დიეს საცხოვრებლებს შიგნითაც, ცეცხლის ალის ბობოქრობა ქარში, მომაკვდავთა უკანასკნელი ხრიალი და ტყვიის წვიმის განუწყვეტელი ტაკუნის ქვაფენილზე.

ამ დროს მაწანწალების მეთაურებმა გონდლორიეს სახლის ფარულკარს მიაშურეს და მის ქვეშ ბჭობას შეუდგნენ. ქვის ბოძს მიყრდნობილი მეგვიპტელთა ჰერცოგი რაღაც ცრუმორწმუნოებრივი შიშით უქვერტდა ფანტასმაგორულ კოცონს, რომელიც ორასი ტერფის სიმაღლეზე გიზგიზებდა. კლოპენ ტრუილფუ თავის დიდ მუშტებს გაშმაგებული კბენდა.

— შესვლა შეუძლებელია! — ბუზღუნებდა იგი კრიჭაშეკრული.

— ძველი გრძნეული ეკლესიაა! — ბურტყუნებდა ბებერი ბოშა მათიას ჰუნგადი სპიკალი.

— ვფიცავ პაპის ულვაშებს! — თქვა სამხედრო სამსახურში ნამყოფმა ჰალარა გაიძვერამ, — ამ ეკლესიის ღარღანები გამდნარ ტყვიას ლექტურის სათოფურებზე უარესად როდი გვაფუტრთხებენ.

— ხედავთ იმ ეშმას, ცეცხლის წინ რომ გარბის და გამოორბის! — შესძახა მეგვიპტელთა ჰერცოგმა.

— ეშმაკმა დალახვროს, ეგ ხომ წყეული ზართამრეკველი კვაზიმოდოა, — თქვა კლოპენმა.

ბოშამ თავი გააქნია.

— მე თქვენ გეუბნებით, რომ ეგ სული საბნაკია, დიდი მარკიზი,

სიმაგრეთა დემონი. მას ლომისთავიანი შეიარაღებული ჯარისკაცის ფორმა აქვს. ხანდახან მახინჯ ცხენზე შეჯდება. ადამიანებს ჯერ ქვებად აქცევს, მერე მათგან ციხეებს აგებს. ორმოცდაათ ლეგიონს სარდლობს. ეგ, რა თქმა უნდა. ის არის; მე ვიცნობ. ზოგჯერ თურქთა ყაიდაზე ოქროს ლამაზი სამოსელი აცვია.

— სად არის ბელვინ ეტულა? — იკითხა კლოპენმა.

— მოკვდა, — უპასუხა ერთმა მაწანწალა ქალმა.

ანდრი წითურამ იდიოტივით გადაიხარხარა:

— ლეთისმშობლის ტაძარმა სამუშაო გაუჩინა ოტელ-დიეს ჰოსპიტალს! — თქვა მან.

— ნუთუ არ არის ამ კარის შემტვრევის არავითარი საშუალება? — შესძახა თუნის მეფემ და ფეხი დააბაკუნა.

მეგვიტელთა პერცოგმა ნაღვლიანად უჩვენა მდულარე ტყვიის ორი ნაკადული, რომელიც ფოსფორის ორი გრძელი თითისტარით შეუწყვეტლივ ღარავდა შავ ფასადს.

— იმის მაგალითებიც ყოფილა, ეკლესიებს თვითონ დაუცავთ თავი, — შენიშნა მან ამოხვრით. — ორმოცი წლის წინ კონსტანტინოპოლში წმინდა სოფიას ტაძარმა სამჯერ ზედიზედ მიწაზე დაანარცხა მაჰმადის ნახევარმთვარე, ამ დროს გუმბათებს თავებივით არხევდა. მისი ამშენებელი გილიომ პარიზელი ჯადოქარი იყო.

— ნუთუ ეგრე ვაგლახად უნდა წავიდეთ უკან ხელცარიელნი როგორც შარაგზის მუდრეგები? — თქვა კლოპენმა. ნუთუ ეგრე უნდა დავტოვოთ იქ ჩვენი და, რომელსაც ეს ბარტყულიანი მგლები ზვალ ჩამოახრჩობენ?

— და სამოსელსაცავი სალარო, სადაც მთელი ფორნები ოქრო აწყვია! — დაუბრუნა ვილაც მაწანწალამ, რომლის სახელი, ვწუხვართ, არ ვიცით.

— მაჰმადის წვერო! — იყვირა ტრუილფუმ.

— ერთხელ კიდევ ვცადოთ, — მიმართა მაწანწალამ.

მათიას ჰუნგადიმ თავი გააქნია.

— კარიდან ვერ შევალთ. რამე ზიანი უნდა მოვუძებნოთ ბებერი კუდიანის აბჯარს: ნახვრეტი, მიწისქვეშა საიდუმლო შესასვლელი, რამე სახსარი.

— ვინ არის მომხრე? — თქვა კლოპენმა. — მე ვბრუნდები იქ.

— მართლა, სად არის პატარა მოსწავლე ქეანი, მთლად ჯავშან-საქურველში რომ იყო ჩამჯდარი.

— უეჭველად მოკლულია, — უპასუხა ვილაცამ: — აღარ ისმის მისი სიცილი.

თუნის მეფემ წარბები შეიკრა.

— მით უარესი. ამ რკინის ხარახურის ქვეშ მას ვაეკაცური გული უძგერდა. ის სადღა არის, მეტრ პიერ გრენგუარი?

— კაპიტანო კლოპენ, — თქვა ანდრი წითურამ, — გაიპარა, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ზარაფების ხილზე ვიყავით.

კლოპენმა ფეხი დააბაკუნა.

— ხახაო ღეთისაე! თვითონ წაგვაქეზა ამ საქმეზე, და ახლა გასაქირში მიგვატოვა! მშიშარა ყბედი, გახვრეტილი ფლოსტი!

— კაპიტანო კლოპენ, — უთხრა ანდრი წითურამ, რომელიც კარიბჭის ქუჩისაიენ იცქირებოდა, — აგერ პატარა მოსწავლე.

— ქება და დიდება პლუტონს! — შესძახა კლოპენმა. — მაგრამ ეს რა ეშმაკს მოათრევს?

მართლაც ეყანი იყო; იგი იმდენად სწრაფად მორბოდა, რამდენადაც ამის ნებას აძლევდა რაინდის მძიმე საქურველი, აბჯარ-აბგარი და გრძელი კიბე, რომელსაც აქოშინებული ყოჩაღად მოათრევდა მოკირწყლულ ქვაფენილზე, როგორც ჭიანჭველა, თავისთავზე ოცჯერ უფრო გრძელ ღეროს შებმული.

— გამარჯვება! Te Deum!* — ღრიალებდა მოსწავლე. — აი მტეირთაეების კიბე სენ-ლანდრის ნავსადგურიდან მომაქვს.

კლოპენი მიუახლოვდა.

— ბალო, რას აპირებ, რა ეშმაკისათვის გინდა ეგ კიბე?

— მაინც ხელთ ვიგდე, — უპასუხა აქაქანებულმა ეყანმა. — ვიცოდი, სადაც იყო. უზენაესი მოსამართლის ნაცვლის სახლის ფარდულის ქვეშ. იქ ცხოვრობს ერთი გოგო, რომელსაც მე ვიცნობ და რომელსაც ჰგონია, მე კუპიდონივით ლამაზი ვარ. ამით ვისარგებლე, რომ კიბე მეშოვა და აი ვიშოვე კიდევ. ვფიცავ მასხარა მაჰმალს! საწყალი გოგონა, პერანგისამარა გამოვიდა კარების გასაღებად!

— ჰო, მაგრამ რად გინდა ეგ კიბე? — ჰკითხა კლოპენმა.

ეყანმა ცბიერი და ყოჩაღი ბიჭის იერით შეხედა, თითები ჯიმ-ჯიმებოვით გაატკაცუნა. ამ წუთს იგი დიდებული იყო. თავს უმშვენებდა მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთი მძიმე მუზარადი, რომლის ფანტასტიკური თხემი მტერს აშინებდა. მის მუზარადს ათი რკინის ნისკარტი ჰქონდა აწვერილი, ასე რომ ეყანს შეეძლო შეპაექრებოდა ნესტორის გემს საშინელი ეპითეტის ძეჯჰჰიიიიი** გამო, რომელიც ჰომეროსმა შეარქვა.

— რად მინდა იგი, უავგუსტესო მეფევე თუნისა? ხედავთ იმ გა-

* დიდება უფალს (ლათ.).

** ათცბიროსანი.

მოყუყუჩებული სახის ქანდაკებათა მწკრივს . აი იქ, სამი კარიბჭის მალა?

— დიახ. მერე რა?

— ეგ საფრანგეთის მეფეების გალერეიაა.

— მერე, მე რა მესაქმება? — უთხრა კლოპენმა.

— მაცალეთ! ამ გალერეის ბოლოს არის კარი, რომელიც მუდამ მხოლოდ რაზით არის დაკეტილი. ამ კიბით ავალ და უკვე ეკლესიაში ვიქნები.

— ბალო, მაცალე, პირველად მე ავალ.

— არა, ამხანაგო, ეს ჩემი კიბეა. მოდი, თქვენ მეორე იქნებით.

— ბელზებელსაც წაუხრჩვიხარ! — ბუზღუნით უთხრა კლოპენმა: — არ მინდა, ვინმეს კუდში მიეჩანჩალებდე.

— მაშინ, კლოპენ, მოძებნე კიბე შენთვის!

ყვანმა დაითრია კიბე და მოედანზე გადაირბინა, თან ყვიროდა: — მომყევით, ბიჭებო!

ერთ წამში კიბე ასწიეს და ქვედა გალერეის შოაჯირს მიायუდეს, გვერდითი კარიბჭის მალა. მაწანწალების ბრბო ყოყინით მიანყდა მის ძირს, რათა ასულიყო. მაგრამ/ყვანმა თავისი უფლება დაიცვა და პირველმა შედგა ფეხი კიბეზე. ასასვლელი მანძილი საკმაოდ გრძელი გამოდგა. საფრანგეთის მეფეთა გალერეა ამჟამად ქვაფენილიდან დაახლოებით სამოცი ტერფის სიმაღლეზეა. იმ დროს კარიბჭის ბაქნის თერთმეტი საფეხური კიდევ უფრო ამაღლებდა მას. ყვანი დინჯად აღიოდა, მძიმე აბჯარ-აბგარი და საჭურველი ხელს უშლიდა, ერთი ხელი რომ კიბის საფეხურზე ეკიდა, მეორეში ბოძალდი ეჭირა. როდესაც კიბის შუა ნაწილს მიაღწია, ერთი წუთით სევდიანი თვალი გადაავლო საბრალო დახოცილ არგოელებს, რომლებიც კარიბჭის საფეხურებზე ეყარნენ.

— ვაგლახ! — თქვა მან, — აი გვამების გროვა, რომელიც „ილიადის“ მეხუთე სიმღერის ღირსია!

შემდეგ ასვლა განაგრძო. მაწანწალებიც მისდევდნენ. თვითულ საფეხურზე თითო კაცი იყო. სიბნელეში ზევით მიმავალი ჯავშნიანი ზურგების ეს მობიბინე ხაზი მყოფრებელს ეკლესიის კედელზე მტოცავი ფოლადის ქიცვებიანი გველი ეგონებოდა. ყვანი, რომელიც თავში მიუძღოდათ, სტვენით ავსებდა ამ ილუზიას.

მოსწავლემ ბოლოს მიაღწია გალერეის აივანს და საკმაოდ მარჯვედ შედგა ზედ ფეხი. მთელი მაწანწალების ბრბომ ტაშით დააჯილდოვა. ამრიგად, როგორც კი ციტადელს დაეუფლა, ის იყო სიხარულით უნდა ეყვილა, მაგრამ უცბად აღგელზე გაქვავდა. ერთ-

ერთი მეფის ქანდაკების უკან სიბნელეში დამალული კვაზიმოდო შენიშნა. თვალი მისი ელვარებდა.

სანამ მეორე მომხდური გალერეიაზე ფეხის დადგმას მოასწრებდა, საზარელი კუზიანი ერთი ნახტომით კიბის თავთან გაჩნდა, თავისი ღონიერი ხელები კიბეს ბოლოებში უსიტყვოდ სტაცა, ასწია, კედელს მოაშორა, ერთ წუთს გააქან-გამოაქანა გრძელი, ძირიდან თავამდე მაწანწალებით დახუნძლული და დაღუნული კიბე, და ამ ადამიანებისაგან შემდგარ მტევანს, რომლებიც თავზარდამცემად კიოდნენ, ზეკაცური ძალით ხელი ჰკრა და მოედნისაკენ გარდააქცია. დადგა ისეთი წუთი, როდესაც ყველაზე გამბედავნიც აჟანკალდნენ. უკან გატყორცნილი კიბე ერთ წამს ფეხზე სწორად გაჩერდა, შემდეგ შეირჩა, შეტორტმანდა, იქით გადაქანდა, ოთხმოცი ტერფი რადიუსის საშინელი რკალი მოსწერა და ბანდიტებით დატვირთული, ჯაკვებდაწვეტილ აწეულ ხიდზე უსწრაფესად ქვაფენილზე დაენარცხა. უსაზღვრო წყველა-კრულვა გაისმა, შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა და რამდენიმე უბედური დასახიჩრებული ხოხვით გამოძვრა მოკლულთა გროვიდან.

მომხდურთა პირველი საზეიმო შეძახილები წუხილისა და რისხვის ხმებმა შეცვალა. კვაზიმოდო იდაყვებით დაყრდნობოდა მოაჯირს და გულცივად დაჰყურებდა ზევიდან. ფანჯრიდან მომზირალი ძველი დროის თმებმოშვებული მეფის იერი ჰქონდა.

ყენა, ფროლო კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. გალერეიაში მართოდმართო აღმოჩნდა საზარელ ზართამრეკველის პირისპირ, თავის მეგობრებს ოთხმოცი ტერფის შვეული კედლით მოწყვეტილი. სანამ კვაზიმოდო კიბესთან ჭიდილში იყო გართული, მოსწავლემ ფარულ კართან მიიბრინა, იფიქრა, ღია იქნებო. მაგრამ ამაოდ. ტალანში რომ გამოსულა, ყრუს დაუკეტია. მაშინ ყენი მეფეთა ერთ-ერთი ქანდაკების უკან დაიმალა, სუნთქვასაც ვერა ბედავდა, ურჩხულისებურ კუზიანს შეშფოთებული სახით მიშტერებოდა, როგორც ის კაცი, რომელიც სამხეცის დარაჯის ცოლს ეარშიყებოდა, ერთ საღამოს სატრფოსთან პაემანზე მისულს გადაძრომის დროს კედელი აერია და მოულოდნელად თეთრი დათვის პირისპირ გაჩნდა.

პირველ წუთებში ყრუმ ყურადღება არ მიაქცია მას, მაგრამ ბოლოს თავი მიაბრუნა და უცებ წელში გასწორდა. მოსწავლე შენიშნა.

ყენი მედგარი შეტყებებისათვის მოემზადა. მაგრამ ყრუ უძრავად იდგა; მხოლოდ შებრუნდა მოსწავლისაკენ და ასე უცქერდა.

— ჰო! ჰო! — მიმართა ყენმა, — რა დაღონებული მიყურებ მაგ ბრუციანი თვალით?

ამას რომ ამბობდა, ახალგაზრდა ავარა თან ჩემჩემად ბოძალდს ამზადებდა.

— კვაზიმოდო! — შეუძახა მან, — მაგ შერქმეულ სახელს შეგიცვლი: ამიერიდან ბრმას დაგიძახებენ.

ხელთოფი გავარდა. ფრთიანმა ისარმა გაიზუზუნა და კუზიანს მარცხენა მკლავში შეერკო. კვაზიმოდომ აინუნშიაც არ ჩააგდო. ვითომც ფარამონდ მეფის ქანდაკება გაეფხაჭნოს. ხელი ისრისაკენ წაიღო, მკლავიდან ამოგლიჯა და თავის სქელ მუხლზე მშვიდად გადაამტვრია. შემდეგ ორად გადამტვრეული ძირს დაყარა, უფრო კი დაუცვივდა. მაგრამ ეენამა ვერ მოასწრო მეორედ სროლა. ისარი რომ გადაამტვრია, კვაზიმოდომ მძაფრად ამოიქმინა, კალიასავით ახტა და თავს დაატყდა მოსწავლეს, რომელსაც დაცემისაგან აბჯარი კედელზე მიეკვლიტა.

მაშინ, ამ ჩაბნელებულ ადგილას, ჩირაღდნების მოციმციმე შუქზე, საზარელი ამბავი დატრიალდა.

კვაზიმოდომ მარცხენა ხელით ორივე მკლავი დაუჭირა ეენას, რომელიც აღარ ებრძოდა, იმდენად დაღუპულად იგრძნო თავი. გაჩუმებულმა და პირკუშტმა ყრუმ მარჯვენა ხელით აუჩქარებლად შემოხსნა ერთი მეორეზე მიყოლებით აბჯარ-აბგარი, დაშნა, ხანჯლები, მუზარადი, ჯავშანი, სამკლავურნი, გეგონებოდათ მაიჩუნი კაკალს ფტქენდა. კვაზიმოდო თავის ფეხებთან ნაჭერ-ნაჭერ ყრიდა მოსწავლის რკინის ნაჭუჭს.

როდესაც მოსწავლემ დაინახა, რომ განიარაღებული, განძარცვული, სუსტი, უმწეო და გატიტვლებული იყო ამ საშინელი არსების ხელში, ყრუსთან დალაპარაკებაც კი არ უცდია, სახეში უტიფრად შეხარხარებდა და თექვსმეტი წლის ბიჭის უშიშარი უზრუნველობით იმ დროს ხალხში გავრცელებული სიმღერა წამოიწყო:

კობტად მორთული
ჭალაქი კამბრე
მარაფენმა განძარცვა
თავით ფერხთამდე...

მაგრამ ველარ დაამთავრა. კვაზიმოდო გალერეის მოაჯირზე გამოჩნდა, ფეხზე აღიმართა, ცალი ხელი მოსწავლისათვის ფეხებში ჩაეგლო და უფსკრულის თავზე შურდულივით ატრიალებდა. შემდეგ კედელზე შენარცხებული ძელის კოლოფის სკდომის მაგვარი ხმა გაისმა და ყველამ დაინახა, როგორ წამოვიდა ზევიდან რაღაც, ვარდნის მესამედ მანძილზე რომელიღაც არქიტექტურულ შევრილს წამოედო და შეჩერდა.

ასე დარჩა იქ, ჩამოკიდებული, მაგრამ იგი უკვე უსულო გვაძს

წარმოადგენდა. ორად მოკეცილს. ხერხემაღლადამსხვერუელს, თირკმელებჩაწყვეტილსა და თავგაპეკეცილს.

შიშისა და ძრწოლის ღრიანცელი ატყდა მაწანწალათა შორის.
— შურისძიება! — იყვირა კლოპენმა.

— ავიკლოთ, გავძარცვოთ! — შეაგება სიტყვა ბრბომ.— იერიში იერიში!

მაშინ არაჩვეულებრივი ღმუილი ატყდა; ყველა ენა, ყველა კილო, ყველა გამოთქმა ერთმანეთში აირია. საბრალო მოსწავლის სიკვდილმა ამ ბრბოში მძვინვარე ცეცხლის ალი ჩააგდო. იგი იმის სირცხვილმა და ბრაზმა შეიპყრო, რომ ერთმა კუზიანმა ამღენხანს შესძლო მათი შეჩერება ეკლესიის წინ. გაცოფებამ აპოვნინა მათ კიბეებიც, უამრავი ჩირაღდნებიც, და რამდენიმე წუთის შემდეგ თავგზააბნეულმა კვაზიმოდომ დაინახა, როგორ გადმოვიდა იერიშზე და როგორ შემოესია ყოველმხრივ ეს საშინელი ქიანჭველეთი ღვთისმშობლის ტაძარს. ვისაც კიბეები არ ჰქონდა, კვანძიანი თოკები იშოვეს, ხოლო ვისაც თოკები არ გააჩნდა, ისინი ქანდაკებათა შეერილებზე მიცოცავდნენ. ერთი მეორეს ძონძებზე ეკიდებოდნენ. წინააღმდეგობის არავითარი საშუალება არ არსებობდა ამ საშინელ სახეთა მოზღვავებული ზვირთების პირისპირ. ეს ველური სახეები რისხვით იყო ანთებული; მიწისფერი შუბლებიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, თვალები უელვარებდათ. კვაზიმოდოს გარს შემოერთყუნენ ყველა ეს გონჯები, მახინჯები, დაღმეკილი სიფათება. კაცს ეგონებოდა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საიერიშოდ სხვა ეკლესიას გამოუგზავნია თავისი გორგონები, ქოფაკები, ნიღბები, დემონები, ფანტასტიკური ქანდაკებანიო. ისინი ფასადის ქვის ურჩხულებზე შემომსხდარ ცოცხალი ურჩხულების ფენას ჰგავდნენ.

ამასობაში მოედანი ათასობით ჩირაღდნებით მოიფინა. ბრძოლის უწესრიგო ასპარეზი, რომელიც აქამდე წყვილიაღში იყო შთანთქმული, უეცრად განათდა. კარიბჭე ბრწყინავდა და ცაში სხივებს სტყორცნიდა. ზემო ბაქანზე დანთებული კოცონი ისევ გიზგიზებდა და შორს ანათებდა ქალაქს. ორი კოშკის უზარმაზარი სილუეტი შორს გაშლილიყო პარიზის სახურავებზე და ამ ნათელ ფონზე ფართო შავ მღვიმეს ჰქმნიდა. ქალაქი თითქოს შეიჩხა, ამოძრავდა. შორს გაისმოდა საგანგაშო ზარების ღრტვინვა. მაწანწალები ყვიროდნენ, ღმუოდნენ, ქშინავდნენ, ილანძღებოდნენ, ებლოტებოდნენ. კვაზიმოდო ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ მის გალერეას გამძვინვარებული სახეები; იგი გრძნობდა, რომ ამდენი მტრის წინააღმდეგ უღონო იყო; ყრუოლამ აიტანა, სასოწარკვეთილი ხელებს იმტრეკვდა და ზეცას სასწაულს ევედრებოდა ბოშა ქალის გადასარჩენად.

სენაკი. საღაც საზრანგეთის მეფე ლუი
ჰაპანონს წარმოთქვამს

შესაძლებელია მკითხველს არ დავიწყებია, რომ ერთი წუთით აღრე. მანამდე, სანამ ღამის სიბნელეში მაწანწალების ბრბოს შენიშნავდა, კვაზიმოდომ, პარიზს რომ ათვლიერებდა თავისი მაღალი სამრეკლოდან. დაინახა, ერთადერთი მოკაიფე სინათლე, რომელიც სენტ-ანტუანის კიშკრის გვერდით ერთი მაღალი და მოღუშული შენობის სულ ზემო სართულის სარკმელში კაშკაშებდა. ეს შენობა ბასტილია იყო, ხოლო ეს მოკაიფე ვარსკვლავი ლუი XI-ის სანთელი.

მეფე ლუი XI მართლაც უკვე ორი დღეა პარიზში იყო. მაზეგ ისევ თავის მონტილ-ლე-ტურის ციხე-სიმაგრეში გამგზავრებას აპირებდა. ის საერთოდ იშვიათად და მოკლე ხნით გამოჩნდებოდა ხოლმე თავის კეთილ ქალაქ პარიზში, ფიქრობდა, რომ იქ არ იყო საკმარისი საიდუმლო ჩასასვლელ-გასასვლელები, სახრჩობელები და შოტლანდიელი მოისარნი.

ამ დღეს გადაწყვიტა ღამე ბასტილიაში გაეთია. მას ნაკლებად მოსწონდა თავისი დიდი, ხუთი კვადრატული ტუაზი¹ ოთახი ლუერში, მისი დიდი ბუხარი, შემკული თორმეტი ვეებერთელა ცხოველისა და ცამეტი დიდი წინასწარმეტყველის გამოსახულებით, აგრეთვე თავისი დიდი, თერთმეტი ტერფი სიგანისა და თორმეტი ტერფი სიგრძის სარეკელი. მთელ ამ სიდიადეში იკარგებოდა. ამ მეფეს, რომელსაც თავმდაბალი მოქალაქის გემოვნება ჰქონდა, ბასტილია ერჩია თავისი საკანთა და ვიწრო საწოლით. გარდა ამისა, ბასტილია უფრო უკეთესად იყო გამაგრებული, ვიდრე ლუერი.

ეს „პატარა ოთახი“, რომელიც მეფემ ცნობილ სახელმწიფო ციხეში თავისთვის გამოყო, მაინც საკმაოდ ფართო იყო და სიმაგრის მთავარ კოშკზე სულ ზემო სართული ეჭირა. იგი მრგვალი ფორმის განცალკევებულ ოთახს წარმოადგენდა, ბრწყინვალე ჩალის ჰილობი ჰქონდა აკრული, ჰერი მოხატული, კოჭები მოოქროვილი კალის შროშანებით დახეული; ნათელი ფერებით შეღებილი ფიცარფენი ძელთა შორის, ძვირფასი ხით გარშემოფიცრული პანელი შემკული იყო თეთრი კალის მარყუებებითა და დახატული მშვენიერი მხიარული მწვანე საღებავით, რომელიც რეალგარისა და ინდიგოსაგან შედგებოდა.

ამ ოთახს მხოლოდ ერთი მაღალი ისრული სარკმელი ჰქონდა. რომელშიც სპილენძის წვრილი გაჭიმული მავთულებისა და რკინის

ქლაკების გისოსი დაეტანებინათ, გარდა ამისა, ლამაზი ფერადი მინები მეფისა და დედოფლის ღერბთა გამოსახულებას ჩაებნელე-ბინა. თვითეული პანო ოცდაორი სუ ღირდა.

მხოლოდ ერთი შესასვლელი, ერთი თანამედროვე, დაბალ თა-ლიანი საუცხოო კარი ჰქონდა, რომელზეც შიგნიდან აკრული იყო მოქარგული ფარდაგი, გარედან ფაქიზად და ოსტატურად დამუშა-ვებული ირლანდიური ხე. ასეთ ნახელავს კიდევ ხშირად ნახავდით ძველებურ სახლებში ასორმოცდაათი წლის წინათ. „თუმცა ისინი საცხოვრებლებს ამახინჯებენ და ხერგავენ, — ამბობს სასოწარკვე-თილი სოვალი, — ჩვენს მოხუცებულთ შიგნე არ სურთ ხელი აიღონ და მიუხედავად ყოველივესი შიგნე იცავენ მათ“.

მაგრამ ამ ოთახში ვერ ნახავდით იმდროინდელი ბინებისათვის ჩვეულ ავეჯეულობას, ვერც სკამებს, ვერც გრძელს რბილი საჯ-ლომებით. ვერც ზანდუკის ფორმისას. ვერც სამფეხას, ვერც მოჩუ-ქურთმებულ, თითო ოთხ სულ ღირებულ მაღალფეხებიან ტაბურე-ტებს. იქ შეამჩნევდით მხოლოდ ერთ ღიღებულ საკეც სავარძელს; მისი ხის ნაწილები წითელ ფონზე ვარდებით იყო მოხატული, ხოლო კორდოვური ალისფერი ტყავის საჯდომი — შემკული აბრეშუმის გრძელი ფოჩებით და დაბნეული ოქროს ათასი ქინძისთავეებით. ეს ერთადერთი სავარძელი იმას მოწმობდა, რომ ამ ოთახში მხოლოდ ერთადერთ პიროვნებას ჰქონდა ჯდომის უფლება. სავარძლის გვერდ-ზე, სარკმელთან სულ ახლოს იდგა მაგიდა, რომელსაც ეფარა ფრინველებით ნაქარგ-ნაქსოვი ხალიჩა. მაგიდაზე ეწყო მელნით დასვრილი საწერი მოწყობილობა, რამდენიმე ეტრატე, კალამი და ვერცხლის ნაქედი სასმისი კათხა. ცოტა მოშორებით გადასატან-გადმოსატანი ღუმელი, მეწამულისფერი ხავერდით გადაკრული და ოქროს გირჩებით დამშვენებული საწიგნე სალოცავი. ბოლოს, სიღრ-მეში უბრალო საწოლი იდგა; ზედ ეფარა წითელ-ყვითელი აბრეშუ-მის ქსოვილი, რომელსაც არც ზიზილპიილები გააჩნდა, არც სირამები და უფასონო ფოჩები ჰქონდა შემოვლებული. ეს საწოლი, რომელიც იმით იყო განთქმული, რომ ლუი XI-ს ძილს ჰგვრიდა ან ძილს უკრ-თობდა, შეიძლებოდა კიდევ ეხილნოთ ორასი წლის შემდეგ ერთი სახელმწიფო მრჩეველის სახლში, სადაც იგი ნახა მოხუცმა ქალ-ბატონმა პილუმ, ვინც „კირუს“-ში¹ „არრიცილის“ ანუ „განსახიე-რებული ზნეობრიობის“ სახელით გახდა ცნობილი.

ასეთი იყო ოთახი, რომელსაც უხმობდნენ „სენაკს, სადაც საფ-რანგეთის მეფე ლუი ეამკანონს წარმოთქვამს“.

იმ წუთს, როდესაც მკითხველი შევიყვანეთ სენაკში, ძა-ლიან ბნელოდა. სინათლს ჩაქრობის ზარნიშანი ერთი საათის წინ

უკვე დარეკეს. დაღამდა. მაგიდაზე გაუბედავად ციმციმებდა ერთადერთი სანთელი. რომელიც ოთახში ცალ-ცალკე ჯგუფებად მყოფ ხუთ კაცს ანათებდა.

პირველი, რომელსაც შუქი ეცემოდა, დიდკაცურად ჩაცმული ბატონი ბრძანდებოდა. მოკლე შარვალი, ვერცხლის ზოლებიანი ალისფერი მოკლე ხიფთანი ეცვა. ლაბადას ოქროს სტაერის შავნაყ-შინი ფართო სახელოები უმშვენებდა. ბრწყინვალე ტანსაცმელზე შუქი დასთამაშებდა, თითქოს მის ყოველ ნაოჭზე, ყოველ ნაკეცზე ცეცხლის ალი კრთოდა, ამ ადამიანს მკერდზე ჰქონდა ღია ფერებით ამოქარგული ღერბი — ორი მასვილი კუთხით შეერთებული ზოლი, წვერით ზემოთ ამართული, ქვეშ მორბენალი ფურირემი. ღერბის ფარის მარჯვნივ — ზეთისხილის ტოტი, მარცხნივ ფურირემის რქა. ამ კაცს ქამარზე ეკიდა მდიდრული ხანჯალი, რომლის ოქროფერილი ვერცხლის ტარი მუზარადის თხემივით ზემოდან მოჭედილი იყო გრაფის გვირგვინით. ავი გამომეტყველება და ამაყი იერი ჰქონდა. თავი მალა აეწია. სახეზე რომ შეხედავდით, თვალში. გეცემოდათ ჯერ ქედმალლობა, გულზვიადობა, შემდეგ კი — ვერაგობა.

თავზე ქული არ ეხურა, ხელში გრძელი არზა ეჭირა, იდგა სავარძლის უკან, რომელშიც ორად მოხრილი კაცი უშნოდ ჩამჯდარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო, იდაყვი მაგიდაზე დაეყრდნო. ამ პიროვნებას მეტისმეტად ცუდად ეცვა. წარმოიდგინეთ, მართლაც, დიდებულ, კორდოვას ტყავით გადაკრულ საჯდომზე ორი დაგრებილი ფეხი, წვეტიანი კვირისტავები, შავი მატყლისგან მოქსოვილი ღარიბული სათბუნით შემოსილი ორი მჟლე ბარძაყი, ზედატანი შეფუთული ჰქონდა ბამბაზისის განიერი სერთუკით, რომელიც ბეწვგაქუცული ტყავით შემოეჭობათ. ბოლოს, ყოველივე ამას შავი, უხვირო მაუდის გაქონილი ქული აგვირგვინებდა. ქულს გარს შემოვლებულ ზონარზე ტყვიის პაწია ქანდაკებანი ჰქონდა ირგვლივ მიმაგრებული. ამას დაუმატეთ ბინძური არახინი, საიდანაც ძლივს მოუჩანდა თმა. აი რას შენიშნავდით სავარძელში მჯდომ პიროვნებას. თავი ისე დაედუნა მკერდისაკენ, რომ დაჩრდილულ სახეზე არაფერი მოუჩანდა, გარდა ცხვირის წვეტისა, რომელსაც სინათლის სხივი ეცემოდა; როგორც ჩანდა, ცხვირი გრძელი უნდა ჰქონოდა. დამკვნარ, დანაოქვებულ ხელებზე ეტყობოდა, მოხუცი იყო. იგი ლუი XI გახლდათ.

მათ უკან ცოტა მოშორებით დაბალი ხმით საუბრობდა ფლამანდურ ყაიდაზე ჩაცმული ორი მამაკაცი. ორივეს სინათლე ხედებოდა და ამიტომ, ვინც გრენგუარის მისტერიის წარმოდგენას ესწრებოდა, მაშინვე გამოიძნობდა ფლანდრიის ორ მთავარ წარგზავნილს, გილდომ რიმს, გენტის შორსმჭვრეტელ წარჩინებულ პირსა

დახალხის საყვარელ მეწინდეს ეაკ კოპენოლს. მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ეს ორი ადამიანი ლუი XI-ის საიდუმლო პოლიტიკაში იყო გარეული.

ბოლოს, სულ სიღრმეში, კარების ახლოს სიბნელეში ქანდაკებასავით უძრავად იდგა ღონიერი ჯმუხი მამაკაცი, რომელსაც ღერბამოქარგული გრძელსახელოებიანი ლაბადა ეცვა და სამხედრო აბჯარ-აბგარში იყო ჩამჯდარი. მისი ოთხკუთხა, უშუბლო სახე, ქროლა, გადმოკარკლული თვალები, ვეებერთელა გადახეული პირი, გადატკეცილი თმის ორი, საჩეხივით გადმოშვერილი კულულის ქვეშ დამალული ყურები, ერთსა და იმავე დროს ქოფაკსაც მოგაგონებდათ და ვეფხვსაც.

მეფის გარდა ყველა ქუდმონდილი იდგა.

მეფის ახლოს მდგომი დიდკაცი მას უკითხავდა რაღაც გრძელ ნუსხას, მოხსენებით ბარათს, რასაც მისი უდიდებულესობა, როგორც ჩანდა, ყურადღებით უსმენდა. ორივე ფლამანდელი ჩურჩულებდა.

— ჯვარო უფლისაო! — ბუზღუნებდა კოპენოლი, — ფეხზე დგომით დავიღალე; ნუთუ აქ ერთი სკამიც არ არის?

რიმმა მოკრძალებული ღიმილით უარი ანიშნა.

— ჯვარო უფლისაო! — დაიწყო ისევ კოპენოლმა; თავს უბედურად გრძნობდა, რომ ვალდებული იყო ხმა ასე დაეწია. — ერთი სული მაქვს, იატაკზე დაეჯდე. ფეხები გადავაჯვარედინო და მოვიკეცო, მეწინდის ყაიდაზე, როგორც ამას ჩემს ღუქანში ვაკეთებ.

— არავითარ შემთხვევაში არ ჰქნათ ეგ. მეტრ უაკ!

— ნუთუ?! მეტრ გილიომ! მაშ, აქ მხოლოდ ფეხზე დგომაა ნებადართული?

— ან მუხლებზე დგომა, — მიუგო რიმმა.

ამ დროს მეფემ ხმას აუწია. ისინი გაჩუმდნენ.

— ორმოცდაათი სუ ჩვენი მსახურების ტანსაცმელზე და თორმეტი ლივრი ჩვენი სამეფო კარის ამაღლის მოხელეთა წამოსასხამებზე! ასეა მართლაც ეს რა ამბავია! ოქროს ბზესავით აბნევთ კასრებით! ხომ არ გაგიყდი, ოლივიე!

ამ სიტყვებზე მოხუცმა თავი მალა ასწია. ყელზე წმინდა მიქაელის ფარლულის ოქროს ნიყარები აუელვარდა. სანთელმა მთლიანად გაუნათა გამხდარი და მოღუშული პროფილი. ქაღალდები ხელიდან გამოგლიჯა მეორეს.

— თქვენ გვაჩანაგებთ! — შეჰყვირა მან, როცა თავისი ჩავარდნილი თვალები რვეულს მოავლო. — რა ამბავია? რაში გვჭირდება ეს საოცარი სამეფო კარის შტატი? ორი კარისმოდგარი თვითეუ-

ლი ათ-ათი ლივრი თვეში და სამლოცველოს მსახური ასი სუ! ხელმწიფის ფარეში ოთხმოცდაათი ლივრი წელიწადში! ოთხი მეტაბლე სუფრაჯი თითოს ასოცი ლივრი წელიწადში! მუშების ზედამხედველი. მეზობტნე. მზარეულის თანაშემწე, მზარეულთუხუცესი, საქურველთმცველი, ორი ანგარიშმწარმოებელი მსახური თვითეული ათ-ათი ლივრი თვეში! ორი მზარეული ბიჭი, შეგირდი რვა-რვა ლივრი! მეჯინიბე და მისი ორი დამხმარე ოცდაოთხი ლივრი თვეში! მეზარეულე-დამტარებელი, მეღვეზელე, მეფუნთუშე, ხაბაზი, ორი მზიდავი თვითოეული სამოცი ლივრი წელიწადში! მერე, მკედელი ასოცი ლივრი! ხაზინადარი ათასორასი ლივრი, ხოლო შემმოწმებელი — ხუთასი ლივრი! — ვინ იცის კიდევ რა? ეს სიგიჟეა! ჩვენი მსახურების რჩენა და ჯამაგირები საფრანგეთს ძარცვავს, აპარტახებს! ლუერის მთელი განძეულობა დნება ამ უთავბოლო მფლანგეულობის ცეცხლზე! მალე ჩვენი სუფრის ქურქლის გაყიდვა მოგვიხდება! და მომავალ წელს, თუ ღმერთი და ღვთისმშობელი (აქ მან ქუდი აიწია) მანამდე სიცოცხლეს კიდევ გვიბოძებენ, წამალი კალის სურით უნდა ვსვათ!

ამას რომ ამბობდა, თან მზერა გადაიტანა ვერცხლის კათხაზე, რომელიც მაგიდაზე ბზინავდა. ჩაახველა, მერე ისევ განაგრძო:

— მეტრ ოლივიე, მმართველებმა, რომლებიც დიდ სამფლობელოებს განაგებენ, როგორც მეფეები და ხელმწიფენი, არ უხდა მისცენ ნება მათს კარზე ფუფუნება ჩაისახოს, რადგან აქედან ეს ცეცხლი პროვინციასაც მოედება. — ამრიგად, ბატონო ოლივიე, დამხსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენი ხარჯები ყოველწლიურად მატულობს! ეს ამბავი ჩვენ არ მოგვწონს. ღმერთმანი, როგორ იქნება ეს! ვფიცავ უფლის აღდგომის მადლსა. 79 წლამდე იგი ოცდათექვსმეტიათას ლივრს არ აღემატებოდა. 80 წელს — ორმოცდასამიათასექვსასცხრამეტ ლივრს მიაღწია. ეს რიცხვები კარგად მახსოვს; — 81 წელს — სამოცდაექვსიათასექვსასოთხმოც ლივრს, წელს კი ნამდვილად, სულსა ვფიცავ, ოთხმოციათას ლივრს მიაღწევს! ოთხ წელიწადში გაორმაგდა! საშინელება!

შეჩერდა, ძლივს ქმინავდა, მერე ისევ გულფიცხად განაგრძო:

— ჩემს ირგვლივ მხოლოდ ისეთ ადამიანებს ვხედავ, რომლებიც ჩემი სიგამბდრის ხარჯზე სუქდებიან! ყველა უჯრედიდან ეკიუს მწოვთ!

ყველა სდუმდა. მეფეს ბრაზი მოერია და გაძლება მართებდათ, სანამ გაუვლიდა. მოხუცმა კვლავ განაგრძო:

— ეს საფრანგეთის თავადაზნაურთა იმ თხოვნას მაგონებს, რომელიც ლათინურ ენაზე შეედგინათ და რომლითაც მოხოვდნენ კვლავ აღვედგინა ეგრეთწოდებული სასახლის კარზე საპატიო

სამსახურის დიდი ტვირთი! მართლაც რომ ტვირთია იგი! წელში გამწყვეტი ტვირთი! აჰ! ბატონებო! თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ ნამდვილი მეფე არ ვახლავართ, რადგან ისე განვაგებთ *dapifero nullo, buticulario nullo!** ვფიცავ ღვთისა და აღდგომის ძალსა, გაჩვენებთ როგორ არა ვართ მეფე!

აქ მან თავისი ძლიერების შეგნებით გაილიმა. ცუდმა გუნებამ გაუარა, და ფლამანდელებს მიუბრუნდა:

— ხედავთ, ნათლია გილიომ, ყველა ეს მთავარი პურის დამრიგებელნი, მეღვინეთუხუცესნი, მერიქიფენი, დიდ-დიდნი დარბაზ-ბატონნი, სასახლის მსახურთუფროსნი ერთ უბრალო ლაქიანდაც არა ღირან. — დაიმახსოვრეთ ეს, ნათლია კოპენოლ; ისინი არაფრად არ ვარგანან. უსარგებლოდ აყუდებულან მეფის ირგვლივ ოთხი მახარობლის ქანდაკებასავით, სასახლის კოშკის დიდი საათის ციფერბლატს რომ შემოჯარვიან და ფილიპ ბრილმა რომ განაახლა. თუშკა მოოქროვილია, მაგრამ საათებს ისინი არ აღნიშნავენ, ასე რომ ისარი უიმათოდაც იოლად წავიდოდა.

ერთი წუთით შეჩერდა, ჩაფიქრდა, ქალარა თავი გააცანცარა და დაუმატა:

— ჰო! ჰო! ვფიცავ ღვთისმშობელს! მე ფილიპ ბრილი არ ვახლავართ, და დიდ ვასალებს ოქროთი ვერ შევაფერადებ! განაგრძე, ოლივიე!

იმ პიროვნებამ, რომელსაც ამ სახელს უწოდებდა, ისევ გამოართვა რვეული და ხმამაღლა კითხვა განაახლა:

— „...ადამ ტენონს, პარიზის პრევის ბეჭდის მცველთან მოსამსახურედ მყოფს, ვერცხლის, იმ ბეჭედთა გამოყვანისა და გამოტვიფრისათვის, რომელნი საქირობდნენ ხელახლა გაკეთებას, რამეთუ წინანდელნი, სიძველისა და გაცვეთილობისა გამო სახმარად აღარ ვარგოდნენ, — თორმეტი პარიზული ლივრი.

— „გილიომ ფერეს — სულ ოთხი ლივრი და ოთხი პარიზული სუ, მის მიერ ოტელ ტურნელის ორ სამტრედეში ამა წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეების განმავლობაში მტრედების გამოკვებასა და შენახვაზე გაწეულ შრომასა და ჯამაგირში, ამავე მიზნით მიეცა შვიდი საწყაო ქერი“.

„ფრანცისკანელ ბერს — დამნაშავეის აღსარებაში — ოთხი პარიზული სუ“.

მეფე ჩუმად უსმენდა. დროდადრო ახველებდა. მაშინ ტუჩებთან ფიალა მიჰქონდა და პირის მანქვით თითოდ-თითოდ ყლუქს ყლაპავდა.

* არა გყავს არც მერიქიფე და არც მწღე (ღაო).

— „ამ წელს სასამართლოს განკარგულებით პარიზის ვზაჯვარედინებზე ბუკით გამოცხადდა ორმოცდათექვსმეტი უწყება. — ანგარიში გასასწორებელია.

„გათხრებსა და ძიებაში, რომლებიც ჩატარდა, როგორც პარიზში, ისე სხვაგან იმ ადგილებში, სადაც ამბობდნენ, რომ დაძალუდი იყო განძი, თუმცა ვერაფერი ვერ იპოვნეს — ორმოცდახუთი პარიზული ლივრი“.

— ეგ იგივეა, ეკიუ დაფლო, რომ სუ ამოიღო! — თქვა მეფემ.

— „...ოტელ ტურნელში თეთრი მინის ექვსი პანოს დასამთავრებლად იმ ადგილს, სადაც რკინის გალია არის, — ცამეტი სუ. — მეფის. ბრძანებით, მახინჯთა ზეიმის დღეს, ვარდების ყვავილწნულით შემოვლებული ხელმწიფის ღერბის ოთხი ფარის დასამზადებლად და მისატანად — ექვსი ლივრი. მეფის ძველი კამზოლის ორ ახალ სახელოზე — ოცი სუ. მეფის წაღების წასასმელი ქონის კოლოფი — თხუთმეტი დინარი. — მეფის შავი ღორების ახალი იშელის ასაგებად — ოცდაათი პარიზული ლივრი. — რამდენიმე ტიხარი, ფიცარნაგი და ასაწევი კარი, გაკეთებული სენპოლის სასახლესთან არსებულ სადგომში ღომთა დასამწყვედევად ოცდაორი ლივრი“.

— ძვირი გვიჯდება ეს მხეცები, — თქვა ლუი XI, — მაგრამ არა უშავს რა! იგი მეფის საკადრისი დიდებული გასართობია. იქ ერთი დიდი უღალი ღომია, მისი მოხდენილობა მიყვარს. გინახავთ, მეტრ გილიომ? მეფეებს უნდა ჰყავდეთ ამგვარი საკვირველი ცხოველები. ჩვენ მეფეებს ძაღლების მაგიერ ღომები უნდა გვყავდეს, კატების მაგიერ კი ვეფხვები. დიდებულება გვირგვინოსანთა საკადრისია. წარმართობის დროს, როდესაც იუპიტერს თავყანს სცემდნენ და ხალხი თავიანთ ტაძრებს ას ხარსა და ას ცხვარს სწირავდა, ხელმწიფენი ას ღომსა და ას არწივს უძღვნიდნენ. ამაში მძინვარებაც იყო და დიდი სილამაზეც. საფრანგეთის მეფეებს თავიანთი ტახტის ირგვლივ მუდამ ესმოდათ ღომების ბრდღენვა. მაგრამ სამართლიანად თუ განვსჯით, მე მაინც ამაზე ნაკლებ ფულს ვხარჯავ, ვიდრე ჩემი წინაპრები ხარჯავდნენ, და ბევრად უფრო მცირე რაოდენობის ღომები, დათვები, სპილოები და ავაზები მყავს. განაგრძეთ, მეტრ ოლივიე. ჩვენ მხოლოდ ეს გვინდოდა გვეთქვა ჩვენი ფლამანდიელი მეგობრებისათვის.

გილიომ რიმმა თავაზიანად თავი დახარა, მაშინ როდესაც კოპენოლი მოღუშული და წარბშეკმუხნილი სწორედ იმ ერთ-ერთი დათვივით დაუუდებულოყო, რომელზეც მისი უდიდებულესობა ლაპარაკობდა. მეფეს მისთვის ყურადღება არც მიუქცევია. მან ეს-ეს

იყო ფილა პირთან მიიტანა, ტუჩები დაისველა, შემდეგ გამოაფურთხა და ჩაილაპარაკა:

— ფუ! რა უსიამოვნო ნახარშია!

ვინც კითხულობდა, მან განაგრძო:

— მძარცველთა საკანში ჩამწყვდეული მაწანწალა არამზადან საქმელი საზრდო ექვს თვეს განკარგულების მოლოდინში, — ექვსი ლივრი და ოთხი სუ.

— ეს რა არის? — გააწყვეტინა მეფემ. — იმის კვება, ვინც უნდა ჩამოახრჩონ! ვფიცავ ღვთისა და აღდგომის ძალსა, ერთ სუსაც აღარ გავიღებ ამისთანა საკვებზე. — ოლივიე, მოელაპარაკეთ ბატონ დ'ესტუტიელს ამ საქმის თაობაზე და ამ საღამოსვე ყველაფერი მოამზადეთ, რომ მაგ გაიძვერას სახრჩობელაზე ჯვარი დასწეროთ. — განაგრძეთ!

ოლივიემ ფრჩხილით ჩანიშნა ის მუხლი, სადაც მაწანწალა არამზადაზე ეწერა, და შემდეგზე გადავიდა:

— „ანრი კუზენს — პარიზის მართლმსაჯულების ქონდაქარს, მთავარ ჯალათს — მონსენიორ პრევეოს მიერ დაწესებული და ნაბრძანები თანხა სამოცი პარიზული სუ, რათა ეყიდა ზემოხსენებული სიორ პრევეოს ბრძანებით ღიდი და ფართო მახვილი იმ პირთა სიკვდილით დასასჯელად და თავმოსაკვეთად, ვისაც მართლმსაჯულებამ სათანადო მსჯავრი დასდო მათი უღირსი საქციელისა და დანაშაულის გამო, აგრეთვე ქარქაშისა და ყველა სხვა საჭირო მოწყობილობათა შესაძენად; ასევე იმ ძველი მახვილის შესაყეთებლად, გასაახლებლად და აღსადგენად, რომელიც მესირ ლუი ლუქსემბურგელის სიკვდილით დასჯის დროს გაიბზარა და დაჩლუნგდა; როგორც აქედან მთელი სიცხადით ჩანს...“

მეფემ გააწყვეტინა:

— კმარა. ამ თანხას სიამოვნებით ვამტკიცებ. ამგვარ ხარჯებს მე არ ვუყურებ. ამაზე ფული არასოდეს დამნანებია. განაგრძეთ!

— „ახალი ღიდი გალიის გაკეთებაში...“

— აჰ! — თქვა მეფემ და ორივე ხელი სავარძლის მკლავსაყრდენებს ჩასჭიდა, — მე კარგად ვიცოდი, რომ ამ ბასტილიაში ტყუილად არ მოვედი. მოიცადეთ, მეტრ ოლივიე. მე თვითონ მინდა ვნახო გალია. თქვენ წამიკითხეთ დანახარჯები, ამასობაში მე დავათვალიერებ. — ფლამანდიელ ბატონებო, წამოდით. ვნახოთ. საინტერესოა. მაშინ იგი წამოდგა. თანამოსაუბრის მკლავს დაეყრდნო, იმ ვიდაც მდუმარე კაცს, კარებთან რომ იყო გაჭიმული, ნიშანი მისცა, წინ გასძღოლოდა, ხოლო ორ ფლამანდიელს — უკან გაპყოლოდნენ, და ოთახიდან გავიდა.

სენაკის კარს უკან მეფის ამაღას შეუერთდნენ რკინის პოლო-

ტიკია შეჯავშნული ჯარისკაცები და პატარა პაეები. რომელთაც ხელში ჩირაღდნები ეჭირათ. რამდენიმე ხანს პირქუში კოშკის შიგნითა ტალანებში მიდიოდნენ. გზად კიბეები და დერეფნები ხვდებოდათ, ხან თვით სქელ კედლებში შეპრილიც კი. ბასტილიის ციხისთავი წინ მიუძღოდნენ და ბრძანებას იძლეოდა გაეღოთ პატარა და დაბალი კარები ავადმყოფი, ორადმოხრილი და ხველებით მიმავალი მოხუცებული მეფის წინაშე.

ყოველ პაწია კარებში ყველა იძულებული იყო თავი დაეხარა, გარდა წლებისაგან წელში ისედაც მოხრილი მოხუცებული მეფისა.

— ჰმ! — ჩაიჩიფჩიფა მან, რადგან კბილები აღარ ჰქონდა, — ჩვენ უკვე სავსებით მზად ვართ გადავაბიჯოთ აკლდამის კარის ზღურბლს, დაბალ კარს, რომელსაც წელში მოხრილი მგზავრი გაივლის.

ბოლოს, გაიარეს უკანასკნელი პატარა კარი, რომელსაც იმდენი კლიტები ედო, რომ მის გაღებას მეოთხედი საათი დასჭირდა. ისინი შევიდნენ ისრულთაღიან მაღალ და ფართო დარბაზში, რომლის შუაგულს ჩირაღდნების შუქზე გაარჩევდით ქვისა, რკინისა და ხისაგან შეკრულ მკვრივ მასიურ კუბს. შიგნით ღრუ იყო. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ ყბადაღებულ გალიათაგანს, რომლებიც სახელმწიფო დამნაშავეებისათვის იყო განუთენილი და რომელთაც „მეფის გოგონებს“ უწოდებდნენ. კედლებში ორი თუ სამი სარკმელი ჰქონდა დატანებული, მაგრამ ისეთი ხშირი და მიჯრილი რკინის ძეღაკებით იყო დაქვედილი, რომ მინები არ ჩანდა. კარი სამარესავით დიდი და ბრტყელი ქვის ლოდისა ჰქონდა. ეს კარი არასოდეს იღებოდა და თუ იღებოდა, მხოლოდ შესასვლელად. ოღონდ მიცვალებულს აქ წარმოადგენდა ცოცხალი ადამიანი, ცოცხლად დამარხული.

მეფემ ამ პატარა შენობას ირგვლივ დინჯად შემოუარა, გულმოდგინედ დაათვალიერა. ამ დროს მეტრ ოლივეი ფეხდაფეხ უკან მისდევდა და ხმამაღლა უკითხავდა მოხსენებით ბარათს.

— „სქელი ძელებისაგან შეკრულ ხის ახალ ჩარჩოებიან და წოლანებიან დიდ გალიაზე, რომელიც სიგრძით ცხრა ტერფია, სიგანით რვა, სიმაღლით იატაკიდან ჰერამდე — შვიდი, გაკრიალებულია და შექვედილია რკინის სქელი სალტეებით, გაკეთდა სენტ-ანტუანის ციხე-სიმაგრის ერთ-ერთი კოშკის ოთახში, და რომელშიც ჩვენი ხელმწიფე მეფის ბრძანებით დამწყვედებულია პატიმარი, მანამდე ძველსა და მონგრეულ გალიაში მყოფი, — ამ ზემოაღნიშნულ ახალ გალიაზე დაიხარჯა ოთხმოცდათექვსმეტი ძელი სიგანეში, ორმოცდათორმეტი ძელი — სიმაღლეზე, ათი წოლანა - სიგრძით თვითეული სამი ტუაზი, ხოლო ზემოაღნიშნული ზე-ტყის გათლასა,

გამოქრასა და მორგებაზე ცხრამეტი ხურო მუშაობდა ბასტილიის ეზოში ოცი დღის განმავლობაში...“

— კარგი მაგარი ჯიშის მუხაა, — თქვა მეფემ და თან მუშტით ძელურზე დააკაუნა.

—...ამ გალიაზე დაიხარჯა — განავრძო მეორემ, — ორასოცი სქელი რკინის ძელი, სიგრძით რვა-ცხრა ტერფი, გარდა ამისა საშუალო სიგრძის რკინეები, გვერგვებით, გისოსებით, სახსრებითა და სამაგრებით ზემოაღნიშნული ძელებისათვის. მთელი ზემოხსენებული რკინეულობის წონა სამიათასშვიდასოცდათხუთმეტი გირვანქა, გარდა რვა სქელი რკინის რგოლისა ხსენებული გალიის დასამაგრებლად, კავებითა და ლურსმებით, სულ წონით ორასთვრამეტი გირვანქა რკინა, თუ არ ვიანგარიშებთ სარკმელთა რკინის გისოსების წონას იმ ოთახში, სადაც გალია არის დადგმული, ოთახის კარის რკინისავე ურდულეებს და სხვა...“

— აი, რამდენი რკინა დასჭირდა ერთი მსუბუქი თავქარიანი გონების დაოკებას! — თქვა მეფემ.

— „...ყოველივე ეს დაჯდა სამასჩვიდმეტი ლივრი ხუთი სუ და შვიდი დინარი“.

— ჰოი, უფლის აღდგომის მადლო და ძალო! — წამოიძახა მეფემ.

ლუი XI-ის ამ საყვარელი ფიცის წარმოთქმაზე გალიის შიგნით თითქოს რაღაცა შეირხა, იატაკზე ბორკილების ქლარუნი გაისმა და მისუსტებული ხმით ვილაცამ ამოიხრიალა; გეგონებოდათ, სამარიდან მოდიოდა ეს ხმა:

— ხელმწიფე! ხელმწიფე! მოწყალეა მოიღეთ! — შეუძლებელი იყო იმ ადამიანის დანახვა, ვინც ამას ამბობდა.

— სამასჩვიდმეტი ლივრი ხუთი სუ და შვიდი დინარი! — გაიმეორა ლუი XI-მ.

ამ საბრალო ხმაზე, რომელიც გალიიდან მოისმა, ყველა იქ მყოფს, თვით მეტრ ოლივიესაც კი ძარღვებში სისხლი გაეყინა. მხოლოდ მეფეს ჰქონდა ისეთი სახე, ვითომ არც გაუგონია. მისი ბრძანებით მეტრ ოლივიემ კითხვა განაახლა, ხოლო მისმა უდიდებულესობამ გულცივად განავრძო გალიის შემოწმება.

— „...გარდა ამისა, გადავუხადეთ კალატოზს, რომელმაც სარკმლის გისოსების დასაყენებლად გააკეთა ხვრელები და ხელახლა დააგო იატაკი იმ ოთახში, სადაც გალია დგას, რადგან იატაკი ვერ გაუძლებდა მის სიმძიმეს, — ოცდაშვიდი ლივრი და თოთხმეტი პარიზული სუ...“

კვლავ გაისმა მკენესარე ხმა:

— შემიწყალეთ, უფალო ხელმწიფევე! გეფიცებით, რომ ბატონმა კარდინალ ანკერელმა მოგიწყოთ ღალატი და არა მე!

— ეგ კალატონი საშინლად ძვირი დამჯდარა! — თქვა მეფემ. — განაგრძე, ოლივიე.

ოლივიემაც განაგრძო.

— „...ღურგალს სარკმლის თამასებსა, ტახტსა და საჯდომ ფიცარში — ოცი ლივრი და ორი პარიზული სუ.

ხმამაც ასევე განაგრძო:

— ვაი მე! უფალო ხელმწიფევე! ნუთუ არ მომისმენთ? გარწმუნებთ, რომ მე არ მიმიწერია მონსენიორ გიენელისათვის, ბატონმა კარდინალმა ბალიუმ მისწერა.

— ღურგალიც ძვირი დამჯდარა, — შენიშნა მეფემ. — სულ ეგ არის?

— არა, ხელმწიფევე! კიდევ არის. „...მეშუშეს ზემოხსენებულ ოთახის სარკმელებისათვის — ორმოცდაექვსი სუ და რვა პარიზული ღინარი“.

— მოიღეთ მოწყალება, ხელმწიფევე! ნუთუ საკმარისი არ არის, რომ მთელი ჩემი ქონება მიეცით ჩემს მოსამართლეებს, ჩემი ჭურჭლეულობა — ბატონ ტორსის, ჩემი წიგნთსაცავი — მეტრ პიერ დორიოლს, ჩემი ხალიჩები — რუსილონის ნაცვალს. მე უდანაშაულო ვარ. აი უკვე თოთხმეტი წელია, რაც ამ რკინის გალიაში ვითოშები, სიცივისაგან ვკანკალებ. მოიღეთ მოწყალება, ხელმწიფევე! ზეცა მოგიძღვნით სანაცვლოს.

— მეტრ ოლივიე, — ჰკითხა მეფემ, — სულ მთლიანად რა დაჯდა?

— სამასსამოცდაშვიდი ლივრი, რვა სუ და სამი პარიზული ღინარი.

— მარიამ ღვთისმშობელო! — შესძახა მეფემ, — ამ გალიამ გაგვაპარტახა!

მეტრ ოლივიეს ხელიდან გამოგლიჯა რვეული და თვითონ შეუდგა თითებზე გამოანგარიშებას, ხან ქალაღდს ამოწმებდა, ხან გალიას. ამ დროს გაისმა პატიმრის ქვითინი. წყვილიადიდან იგი ისეთი მწუხარებით მოისმოდა, რომ ყველა იქ მყოფნი ერთმანეთს გაფითრებული სახეებით მიაჩერდნენ.

— თოთხმეტი წელია, ხელმწიფევე! აი უკვე თოთხმეტი წელია 1469 წლის აპრილიდან. უბიწო ღვთისმშობლის სახელს გაფიცებთ, ხელმწიფეო, მომისმინეთ! თქვენ მუდამ სტკბებოდით მზის სითბოთი. ნუთუ ბედშავი, ვერასოდეს ვერ ვიხილავ დღის სინათლეს? შემიწყალეთ ხელმწიფეო! იყავით ღმობიერი! შეწყალება მეფეთა დიადი სათნებებაა, რომელიც სძლევს მის მრისხანებას. ნუთუ თქვენნი

დიდებულება ფიქრობს. სიკვდილის ეამს დიდი სიამოვნება იქნება მეფისათვის. თუ არც ერთი შეურაცხყოფა, არც ერთი წყენა არ დატოვა დაუსჯელად? ამასთან, ხელმწიფეო, მე არ მიღალატნია თქვენი უდიდებულესობისათვის. ბატონმა ანეერელმა ჩაიდინა იგი. მიუხედავად ამისა, ფეხზე მადევს მძიმე ბორკილი, რომლის ბოლოზე მიბმულია უშველებელი რკინის ბირთვი, ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მე დამიმსახურებია. ჰოი, ხელმწიფეო. შემობრალეთ!

— ოლივიე, — მიმართა მეფემ თავის ცანცარით, — მე ვამჩნევ, რომ კასრი თაბაშირი ოცი სუ მიანგარიშეს, მაშინ როდესაც იგი თორმეტი სუ ღირს. გადაასწორეთ ანგარიში.

გალიას ზურგი შეაქცია და გასასვლელისაკენ გაემართა. საბრალო პატიმარმა, რა იგრძნო ჩირალდნების შუქი და ფეხის ხმა თანდათან შორდებოდა, დაასვენა, რომ მეფე მიდისო.

— ხელმწიფევ! ხელმწიფევ! — სასოწარკვეთილი ყვიროდა იგი. კარი მიიხურა. ველარავის ხედავდა. ისმოდა მხოლოდ ხრინწიანი ხმა გუშავისა, რომელიც ყურში ჩასჩხაოდა შემდეგ სიმღერას:

ბატონმა ეან ბალომა
ეპარკიები დაკარგა,
დაკარგა, თავი დაუკრა.
ვერდენელ ეპისკოპოსსა
არც ერთი აღარ დაურჩა,
ყველა პირწმინდად გაუქრა.

მეფე მღუმარედ აღიოდა ისევ თავის სენაკში, უკან მისდევდა ამაღლა, რომელიც მსჯავრდადებულის კენესა-ქვითინის გამო შეძრწუნებული იყო. უცბად მისი უდიდებულესობა ბასტილიის უფროსს მიუბრუნდა:

— ჰო, მართლა! — მიმართა მან, — განა იმ გალიაში ვიღაც არ იყო?

— დიახ, ხელმწიფევ! — უპასუხა ამ კითხვით განცვიფრებულმა გუბერნატორმა.

— მერე და ვინ იყო?

— ბატონი ეპისკოპოსი ვერდენელი.

მეფემ ეს ყველაზე უკეთ იცოდა, მაგრამ ასეთი იყო მისი უცნაური ახირებულობა.

— აჰ! — ისეთი გულუბრყვილო სახით თქვა ეს, თითქოს პირველად ეხლა გაახსენდა. — გილიომ დე არანკურ, ბატონ კარდინალ ბალიუს მეგობარი. კარგი ყოჩალი ბიჭი იყო ეპისკოპოსი.

რამდენიმე წამის შემდეგ სენაკის კარი კვლავ გაიღო და მიიხურა. ოთახში შემოვიდა ის ხუთი პიროვნება, რომლებიც მკითხველმა

ამ თავის დასაწყისში ნახა. თავიანთი აღრინდელი ადგილები დაიკავეს. დაბალი ხმით ისევ განაგრძეს საუბარი.

მეფის იქ არყოფნის დროს მაგიდაზე რამდენიმე დეპეშა დაეწყით; მეფემ თვითონ გახსნა ტვიფრი. შემდეგ სასწრაფოდ შეუდგა კითხვას ერთიმეორეზე მიყოლებით და ნიშანი მისცა მეტრ ოლივიეს, რომელიც, როგორც ჩანდა, მასთან მინისტრის თანამდებობას ასრულებდა, ხელში აეღო კალამი. წერილების შინაარსის შეუტყობინებლად მეფემ დაბალი ხმით დაუწყა პასუხების კარნახი, რომელთაც ოლივიე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში, მაგიდასთან მუხლებზე დაჩოქილი წერდა.

ბატონი რიმი ყურადღებით ადევნებდა თვალს.

მაგრამ მეფე ისე დაბალი ხმით ლაპარაკობდა, რომ ფლამანდიელებს მისი ნაკარნახევისა არა ესმოდათ რა, ხანდახან ნაკლებგასაგები ცალკეული ნაწყვეტები აღწევდა მათ ყურამდე, როგორც მაგალითად:

„...ხელი შეეწყოს ნაყოფიერ ადგილებს ვაჭრობით, ხოლო უნაყოფო-მოსავლიანს მანუფაქტურით... აჩვენეთ ბატონ ინგლისელებს ჩვენი ოთხი ბომბარდი: „ლონდონი“, „ბრაბანტი“, „ბურჟენ-ბრეს“ და „სენტ-ომერი“... — არტილერიის ბრალია, რომ ომი ეხლა მეტად წინდახედულად ტარდება... — ბატონ ბრესიურს, ჩვენს მეგობარს... — ჯარის შენახვა შეუძლებელია ხარკის აუკრეფლად...“
და ა. შ.

ერთხელ მაინც აუწია ხმას:

— ჰოი, უფლის აღდგომის მადლო და ძალო! ბატონი მეფე სიცილიისა თავის წერილებს საფრანგეთის მეფესავით ყვითელი ცვილით ლუქავს. ჩვენ შესაძლებელია, ტყუილად დავრთეთ ამის ნება. ჩემი საყვარელი ბიძაშვილი, ბურგუნდელი არავის აძლევდა მეწამულ ფონიან ღერბს. მეფეთა სასახლეების სიდიადე უპირატეს უფლებათა ხელშეუვალობით არის უზრუნველყოფილი. ჩაინიშნე ეს, ნათლია ოლივიე.

მეორედ უკვე წამოიძახა:

— ოჰ! ოჰ! — თქვა მან, — ეს რა დიდი უსტარია! რას მოითხოვს ჩვენი ძმა იმპერატორი? — და საჩქაროდ თვალი გადაავლო წერილს; კითხვის დროს შიგადაშიგ წამოიძახებდა: — უთუოდ! გერმანელები ისე ბევრი და ძლიერნი არიან, რომ ძნელად დასაჯერებელია. — მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ ძველ ანდაზას: არ არსებობს ფლანდრიაზე უფრო ლამაზი საგრაფო; არ არსებობს უფრო კარგი საპერცოგო, ვიდრე მილანოა; — საფრანგეთზე უფრო ლამაზი სამეფო. ასე არ არის, ბატონო ფლამანდიელებო?

ამჯერად. კოპენოლმა გილიომ რიმთან ერთად დახარა თავი. მეწინდის პატრიოტულ გრძნობას ეამა.

უკანასკნელ დეპეშაზე ლუი XI-მ წარბი შეეკრა.

— ეს რა არის? — წამოიძახა მან. — არზა და საჩივარი ჩვენი პიკარდიის გარნიზონების მიმართ? ოლივიე, დაუყოვნებლივ მისწერე ბატონ მარშალ რუოს. — მისწერე, რომ დისციპლინა მოდუნდა, — რომ სამხედრო უწყების შიკრიკები, სამხედრო სამსახურში გაწვეული თავად-აზნაურები, თავისუფალი მშვილდოსნები, შვეიცარიელები სოფლის მოსახლეობას უთვალავ წყენასა და შეურაცხყოფას აყენებენ. სამხედრო პირები, მებრძოლები არა ჯერდებიან იმ სიკეთეს, რომელსაც ისინი მიწისმუშათა, მხენელ-მთესველთა სახლში ნახულობენ, ჯოხის ცემითა თუ ოროლით აიძულებენ წაეიდნენ ქალაქში ღვინის, თევზის, სანელებელისა თუ სხვა რამის საშოვნელად, რაც მეტისმეტია. მისწერეთ, რომ ბატონმა მეფემ ყოველივე ეს იცის. ჩვენ გვწაღია, ჩვენი ხალხი დაცული იყოს უსიამოვნებისა, ქურდბაცაუცობისა, გამოძალვისა და ძარცვა-გლეჯისაგან. — ასეთია ჩვენი ნება-სურვილი, ვფიცავ ღმერთსმშობელს! — გარდა ამისა, არ მოგვწონს და არა გვნებავს, რომ ყოველი მეფანდურე, დალაქი თუ სამხედრო ლაქია თავადივით ხავერდით, აბრეშუმის მაუღ-ატლასითა და ოქროს ბეჭდებით იყოს მოპრანქული. ამგვარი ამაო და ფუჭი მედიდურება ღმერთს სძულს. თუმცა ჩვენ კეთილშობილი და წარჩინებულნი ვართ, ვჯერდებით მაუღის ქურთუქს, კამზოლს, ერთი პარიზული წყრთა თექვსმეტი სუ რომ ღირს... მაშასადამე, ბატონმა შეალაღებმაც ინებონ აქამდე დამდაბლება. — აცნობეთ და უბრძანეთ... ბატონ რუოს, ჩვენს მეგობარს... — კარგი!

ეს უსტარი ხმამალა, მტკიცედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ უყარნახა. იმ წუთს, როცა მან კარნახი მოათავა, კარი გაიღო და ოთახში ყვირილით შემოვარდა ვიღაც პიროვნება, რომელიც მთლად დამფრთხალი და შეშინებული იყო.

— ხელმწიფევ! ხელმწიფევ! პარიზში ხალხის ამბოხებია!

ლუი XI-ეს მკაცრი სახე მოელუშა. მაგრამ მღელეარებამ ელვასავით გადაუარა. თავი შეიკავა და მშვიდი სიმკაცრით წარმოთქვა:

— ნათლია ჟაკ, თქვენ მოულოდნელად შემოვარდით!

— ხელმწიფევ! ხელმწიფევ! აჯანყებია! — ქაქანით გაიმეორა ნათლია ჟაკმა.

სავარძლიდან წამომდგარმა მეფემ მაგრად მოხვია მკლავი მხარზე, აღმატერად გახედა ფლამანდელებს და თავშეკავებული მრისხანებით ყურში ჩასჩურჩულა ისე, რომ მხოლოდ მისთვის ყოფილიყო გასაგები:

— გაჩუმდი, ან დაბალი ხმით ილაპარაკე!

ახალმოსული მიხვდა და სრულიად დაბალი ხმით მეტად დაბნეულად იწყო თბრობა. მეფე დამშვიდებით უსმენდა. ამ დროს გილიომ რიმმა კოპენოლის ყურადღება მიაქცია ახალმოსულის სახესა და ჩაცმულობას, მის ბეწვის ქელს *caputia forrata*, მოკლე მოსასხამ ტოლომას — *epilogia curta*, შავი ხავერდის კაბას, რაც ამჟღავნებდა იმას, რომ იგი საანგარიშო პალატის თავმჯდომარე ბრძანდებოდა.

ის იყო ამ პიროვნებამ ახსნა-განმარტება. დაიწყო, რომ ლუი XI-ემ ხარხარით წამოიძახა:

— მართლა? ხმამალა ილაპარაკეთ. ნათლია კუაქტიე! ასე დაბალი ხმით რატომ ლაპარაკობთ? ღვთისმშობელმა უწყის, რომ არაფერი გვაქვს დასამალი ჩვენ კეთილ ფლამანდიელ მეგობრებთან.

— მაგრამ ხელმწიფევ...

— ილაპარაკეთ ხმამალა! — „ნათლია კუაქტიე“ განცვიფრებისაგან დამუნჯდა.

— ამრიგად, — განაახლა მეფემ, — ილაპარაკეთ, ბატონო! მაშ, ჩვენს კეთილ ქალაქ პარიზში მდაბიოთა მღელვარებაა?

— დიახ, ხელმწიფევ!

— რომელიც მიმართულია, როგორც თქვენ ამბობთ, მართლმსაჯულების სასახლის ბატონ მთავარი მოსამართლის წინააღმდეგ?

— როგორც ჩანს, — უპასუხა „ნათლიამ“, რომელიც ისევ ბუტ-ბუტებდა და გონს ვერ მოსულიყო, ვერ აეხსნა, რამ შეცვალა ასე მკვეთრად მეფის აზრთა დინება.

ლუი XI-მ ჰკითხა:

— სად შემოხვდნენ ღამის გუშაგები ბრბოს?

— მეკერმეთა ხიდისაკენ მიმავალ დიდ მაწანწალათა გზაზე. მეც შემოხვდები. როდესაც აქეთ გამოვეშურე თქვენი უდიდებულესობის ბრძანებათა აღსასრულებლად. მე გავიგონე, როგორ იყვირა ზოგიერთმა: „ძირს მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლე“.

— რას უჩივიან მთავარ მოსამართლეს?

— აჰ! — თქვა ნათლია ქაკმა, — ის ხომ მათი ლენური ბატონია.

— მართლა!

— დიახ, ხელმწიფევ. ისინი სასწაულებათა ეზოს არამზადები არიან. უკვე დიდი ხანია უჩივიან მთავარ მოსამართლეს, რომლის ვასალებიც ისინი არიან. არ სურთ სცნონ იგი, არც მოსამართლედ და არც გზის ბაჟის ამკრეფად.

— ოჰო! — წარმოთქვა მეფემ და თან ამაოდ ცდილობდა კმაყოფილების დიმილი დაემალა.

... მთელ თავიანთ საჩივრებში უმაღლესი სასამართლოს მი-

მართ, — დაიწყო ისევ ნათლია ქაქმა, — ისინი ამტკიცებენ, რომ ორი ბატონი ჰყავთ: თქვენი უდიდებულესობა და თავიანთი ღმერთი, რომელიც, როგორც ვფიქრობ, თვით ეშმაკია.

— ჰე! ჰე! — თქვა მეფემ.

იგი ხელებს ისრესდა, გულში ეცინებოდა, კმაყოფილებისაგან სახე უბრწყინავდა, სიხარულს ვერ ფარავდა, თუმცა დროდადრო თავს ძალას ატანდა შესაფერი გამომეტყველება მიეღო. არავის არაფერი გაეგებოდა, თვით მეტრ ოლივიესაც კი. ერთ ხანს მეფე სდუმდა, ჩაფიქრებული, მაგრამ კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— ბევრნი არიან? — იკითხა მეფემ მოულოდნელად.

— უთუოდ, ხელმწიფევ! — უპასუხა ნათლია ქაქმა.

— მაინც რამდენი იქნებიან?

— სულ ცოტა, ექვსი ათასი.

მეფემ თავი ვერ შეიკავა და წარმოთქვა: „კარგია!“ მერე გა-
ნაგრძო:

— შეიარაღებულნი არიან?

— ცელებით, შუბებით, სიათებით, თოხებით. ყოველგვარი ფრიად საზარელი იარაღი აქვთ.

მაგრამ მეფე სრულიად არ ჩანდა შეწუხებული ამ ჩამოთვლის გამო. ნათლია ქაქმა საჭიროდ მიიჩნია დაემატებინა:

— თუ თქვენი უდიდებულესობა სასწრაფოდ არ გაუგზავნის მოსამართლეს დახმარებას, ის დაღუპულია.

— ჩვენ გავგზავნით, — უპასუხა მეფემ ყალბი სერიოზულობით. — ეს კარგია! რა თქმა უნდა, გავგზავნით. ბატონი მოსამართლე ჩვენი მეგობარია. ექვსი ათასი თავზეხელაღებული ავარა! მათი თავზელობა საოცარია. ძალიან გაჯავრებული ვართ მათზე. მაგრამ ამ ღამეს ირგვლივ მცირეოდენი ხალხი გვყავს. ხვალ დილითაც მოვასწრებთ.

ნათლია ქაქმა წამოიძახა:

— ახლავე, ხელმწიფევ, თორემ მართლმსაჯულების სასახლეს მანამდე ოცჯერ გაძარცვავენ, აიკლებენ, მებატონის უფლებას შეზღავნენ და მთავარ მოსამართლეს ჩამოახრჩობენ. ღვთის გულისათვის, ხელმწიფევ! გავგზავნეთ ხვალ დილაშუალოდ.

მეფემ პირდაპირ სახეში შეხედა.

— მე გითხარით, ხვალ დილას-მეთქი!

ეს ისეთი შეხედვა იყო, რომელიც შეპასუხებას ვერ ითმენს. ერთ ხანს დუმილის შემდეგ, ლუი XI-მ ისევ აუწია ხმას.

— ჩემო ნათლია ქაქ, თქვენ უნდა იცოდეთ ეს. როგორი იყო... მაგრამ მაშინვე გაასწორა, — როგორია მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლის უფლებები.

— ხელმწიფე. მართლმსაჯულების სასახლის მთავარ მოსამართლეს ეკუთვნის სატყეის ქუჩა მწვანილეულობის ქუჩამდე, სენიშელის მოედანი და ის ადგილები, რომელსაც მდაბიურ ენაზე საქშინს ეძახიან და ნოტრ-დამ-დე-შანის ახლოს მდებარეობს (აქ ლუი XI-მ თავისი ქუდის ფარული ასწია), რომელი სასახლენიც რიცხვით ცამეტს ითვლიან, გარდა ამისა, სასწაულებათა ეზო, შემდეგ, კეთროვანთა სასნეულო, რომელსაც გარეუბანს უხმობენ, მთელი გზატკეცილი, რომელიც ამ სასნეულოსთან იწყება და სენ-ჟაკის კიშკართან თავდება. ყველა ამ ადგილში იგი არის გზათა ზედამხედველი, უმაღლეს, საშუალო და უდაბლეს საქმეთა მსაჯული, სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი და მბრძანებელი.

— ნუთუ? — თქვა მეფემ და მარჯვენა ხელით მარცხენა ყური მოიფხანა. — ეს ჩემი ქალაქის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს! აჰ! ბატონი მთავარმოსამართლე ყველა ამათი მეფე-მბრძანებელი იყო!

ამჯერად მეფემ ნათქვამი აღარ გაასწორა, და ჩაფიქრებულმა განაგრძო, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა:

— შესანიშნავია, ბატონო მოსამართლევ! ჩვენი პარიზის კარგა გემრიელი ნაჭერი გჭერია კბილებით!

უცბად იფეთქა მან:

— უფლის აღდგომის მადლო და ძალო! ეს რა ხალხია, ვინა ბრძანდებიან, გზის ზედამხედველობა, მოსამართლეობა, სენიორობა და ბატონ-პატრონობა რომ მიუჩემებიათ ჩვენთან? ყოველი მინდვრის ბოლოს თავიანთი საბაჟოები დაუწესებიათ, ყოველ გზაჯვარედინზე თავიანთი სასამართლო და თავიანთი ჯალათები დაუყენებიათ ჩვენს ხალხში? ისევე, როგორც ბერძენს სჯეროდა, რომ იმდენი ღმერთი ჰყავდა, რამდენიც წყარო იყო მის ქვეყანაში, როგორც სპარსელი ფიქრობდა, რომ იმდენი ღმერთი არსებობდა, რამდენიც ცაში ვარსკვლავია, ფრანგიც იმდენ მეფეს ითვლის, რამდენსაც სახრჩობელას დაინახავს! ღმერთმანი! ეს ცუდი საქმეა, და ამგვარი არევ-დარევა მე არ მომწონს. მინდა კარგად ვიცოდე, თუ არის ღვთის ნება და წყალობა, რომ პარიზში სხვა ზედამხედველი იყოს, გარდა მეფისა, სხვა სასამართლო, გარდა ჩვენი მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო პალატისა, სხვა ხელმწიფე, გარდა ჩვენი ხელმწიფეებისა! სულსა ვფიცავ! საჭიროა და უკვე დროა დადგეს ის დღე, როდესაც საფრანგეთში მხოლოდ ერთი მეფე, ერთი მბრძანებელი, ერთი მოსამართლე, ერთი თავთამკვეთელი ჯალათი იქნება, ისე როგორც სამოთხეში ერთი ღმერთია!

მან ერთხელ კიდევ ასწია თავისი ქუდი, და შემდეგ ისევ თავის ფიქრებში გართულმა ისეთი იერიითა და კილოთი განაგრძო, თითქოს მონადირე თავისი ძაღლების ზროვას უსისინებდა და უსევდა:

— ძალიან კარგია! ჩემო ხალხო! ყოჩაღად! მიღო, დაჰკარი ვაჟ-კატურად! შემუსრე ეგ ცრუ მეზატონენი! -გააკეთე შენი საქმე, აბა, არიქა, მიდი! გაძარცვე, ჩამოახრჩე, ააფორიაქე! აჰ, თქვენ მეფობა მომინდომეთ, ბატონებო? მიდი, ხალხო, მიდი, დაჰკარი!

აჰ მან უეცრად შეწყვიტა ლაპარაკი, ტუჩზე იკბინა, თითქოს სურდა ნახევრად წარმოთქმული აზრი უკან დაებრუნებინა, თავისი გამჭრიახი თვალი სათითაოდ ჯერჯერით დაადგა ირგვლივ მყოფ ხუთ პიროვნებას. უცბად ორივე ხელით ქუდი მოიძრო, დააშტერდა და უთხრა:

— ოჰ! დაგწვავდი, რომ იცოდე, რა ხდება ჩემს თავში!

შემდეგ, იქ მყოფთ ხელახლა გაფაციცებით მოაგლო თავისი ყურადღებიანი და მოუსვენარი თვალი, ისე თვალთმაქცურად, როგორც ამას მელია სჩადის, როცა თავის სოროში მიძვრება:

— როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ ჩავეშველებით ბატონ უფროს მოსამართლეს! საუბედუროდ, ამჟამად, ხელთ ძალიან ცოტა ჯარი გვეყავს, რომ ამოდენა ბრბოს გაუმკლავდეს. ხვალამდე მოცდა მოგვიხდება. სიტეში წესრიგს ადადგენენ და ყველას სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებენ დაუყოვნებლივ, ვისაც კი ხელს სტაცებენ.

— მართლა, სიტყვამ მოიტანა, ხელმწიფევე! — მიმართა ნათლია კუაკტიემ, — პირველი მღელვარების გამო დამავიწყდა შეთქვა, რომ ღამის გუშაგებმა დაიჭირეს იმ ხროვას ჩამორჩენილი ორი კაცი. თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს ამ ადამიანების ნახვას, ისინი აჰ არიან.

— როგორ თუ მნებავეს მათი ნახვა! — წამოიძახა მეფემ. — უფლის აღდგომის მადლმა! როგორ იეიწყებთ ამისთანა რამეს! — სწრაფად გაიქეცი, ოლივიე, მოძებნე და მომგვარე ისინი.

მეტრ ოლივიე გავიდა და ერთი წუთის შემდეგ ისევ შემოვიდა ორი ტყვის თანხლებით, რომელნიც გარშემორტყმული იყვნენ მეფის ებგურთა მშვილდოსნებით. პირველ მათგანს იდიოტის დასიებული, ნამთვრალევი და გაშტერებული სახე ჰქონდა. ძონძები ეცვა, სიარულის დროს მუხლი ეკეცებოდა და ფეხს მიათრევდა. მეორეს მკვდრისფერი, მოლიძარე სახე ჰქონდა, რომელსაც მკითხველი უპევი იცნობს.

მეფე ერთ წამს უსიტყვოდ ათვალეურებდა მათ, შემდეგ უცბად პირველს მიმართა:

— რა გქვია შენ?

— ჟიეფრუა კრუპენტელა.

— შენი ხელობა!

— მაწანწალა.

— რატომ ჩაერიე ამ წყეულ აჯანყებაში?

მაწანწალამ მეფეს გამოყეყეჩებული შეხედა, ხელებს აქეთ-იქით აქნევდა. იგი ერთ-ერთი იმ უხეიროდ შეკოწიწებული თავთავანი იყო, რომელშიც ჰკუა ისევე მხიარულად თამაშობს, როგორც სანთლის ალი საქობელას ქვეშ.

— არ ვიცო, — თქვა მან, — სხვები მიდიოდნენ, მეც წავედი.

— თქვენ განზრახული გქონდათ თავხედურად თავს დასხმოდით და გაგეძარცვათ თქვენი ბატონი, მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლე?

— მე მხოლოდ ის ვიცო, რომ ვილაცასთან მივდიოდით რადაცის წასართმევად. სულ ეს არის.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მეფეს აჩვენა სასხლავი, რომელიც მაწანწალას ჩამოართვეს.

— იცნობ ამ იარაღს? — ჰკითხა მეფემ.

— დიახ, ეგ ჩემი სასხლავია. მევენახე ვარ.

— იცნობ ამ კაცს როგორც შენს თანამებრძოლს? — დაუმატა ლუი XI და მეორე ტყვეზე მიუთითა.

— არა, სულ არ ვიცნობ.

კმარა, — თქვა მეფემ და თითით ანიშნა მღუმარე კაცს, რომელიც უძრავად იდგა კართან და რომელზეც ჩვენი მკითხველის ყურადღება უკვე მიექცეოდა.

— ნათლია ტრისტან. აგერ, წაიყვანე ეს კაცი, სწორედ საშენოა.

ტრისტან-განდგილიმა თავი დაუკრა. მან ჩურჩულით მისცა ბრძანება ორ მშვილდოსანს, რომელთაც საბრალო მაწანწალა წაიყვანეს.

ამასობაში მეფე მიუახლოვდა მეორე ტყვეს, რომელსაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— შენი სახელი?

— პიერ გრენგუარი, ხელმწიფე.

— ხელობა შენი?

— ფილოსოფოსი, ხელმწიფე.

— როგორ გაბედე, ავარავ, გაგელაშქრა ჩვენი მეგობრის, მართლმსაჯულების სასახლის ბატონ მთავარმოსამართლის წინააღმდეგ, და რას იტყვი ხალხის ამ მღელვარებაზე?

— ხელმწიფე, მე იქ არ ვყოფილვარ.

— როგორ გარყვნილო განა. ღამის გუშაგებმა ამ უხეირო საზოგადოებაში არ შეგიპყრეს?

— არა, ხელმწიფე, გაუგებრობა მოხდა. ბედისწერაა. მე ტრადიციებს ვთხზავ. ხელმწიფე, მე ვემუდარები თქვენს უდიდებუ-

ლესობას მომამინოთ. მე პოეტი ვარ. ჩემი პროფესიის ხალხს სევდა დამდამობით ქუჩებისაკენ გვერეკება. ამ საღამოს მით შეპყრობილი გარეთ გამოვედი. სრულიად შემთხვევით დამაპატიმრეს ტყუილუბრალოდ. მე უდანაშაულო ვარ ამ სამოქალაქო ქარიშხალში. თქვენმა უდიდებულესობამ დაინახა, რომ მაწანწალამ ვერც კი მიცნო. მე ვევედრები თქვენს უდიდებულესობას...

— გაჩუმდი! — უთხრა მეფემ სანამ თავისი წამლის მეორე ყლუპს შესვამდა, — შენი ყბედობით თავი გაგვისკდა.

ტრისტან-განდეგილი წინ წამოდგა და გრენგუარისაკენ გაიშვირა თითი:

— ხელმწიფევ, ესეც შეიძლება ჩამოვკიდოთ სახრჩობელაზე? მან პირველად წარმოთქვა ეს სიტყვები.

— ჰა! დიდი ამბავია! — დაუდევრად უპასუხა მეფემ. — მაგაში უხერხულობასა და დაბრკოლებას მე ვერ ვხედავ.

— სამაგიეროდ მე ვხედავ! — მიუგო გრენგუარმა.

ამ წუთს ჩვენი ფილოსოფოსი ზეთისხილზე უფრო მწვანე იყო. მეფის ცივი და გულგრილი სახის დანახვაზე იგი მიხედა, რომ მისი ხსნა მხოლოდ რაიმე მეტად პათეტიკურ საქციელს შეეძლო. ფეხებში ჩაუვარდა ლუი XI-ის და სასოწარკვეთილმა ხელების მტკრევით შესძახა:

— ხელმწიფევ! თქვენი უდიდებულესობავ! ღირსმყავით თქვენი ყურადღებისა. დიდო ხელმწიფევ! ნუ დაატყდებით თავს ქექა-ქუხილით ჩემისთანა არარობას. ღეთის რისხვა დიდი, მეზი თუ ცეცხლი, როდი ეფრქვევა ღორიქადას. ხელმწიფევ. თქვენ უავგუსტესი, გვირგვინოსანი და უძლიერესი მონარქი ბრძანდებით! შეიბრალებთ საწყალი, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც ისევე არ შეუძლია აჯანყების გამოწვევა, როგორც ყინულს ნაპერწკლის გაჩაღება. ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, გულკეთილობა ღომისა და მეფის სათნოებაა: ვაგლახ! სიმკაცრე მხოლოდ აშინებს გონებას. ჩრდილოეთის ქარის მძაფრი ქროლა ვერ გახდის მგზავრს წამოსასხამს, მაგრამ მზის სხივები თანდათანობით ისე გაათბობს მას, რომ პერანგის ამარა ატარებს. ხელმწიფევ, თქვენ მზე ხართ. გარწმუნებთ, ჩემო უფალო, ჩემო მბრძანებელო, ჩემო ხელმწიფე ბატონო, რომ მე მაწანწალების, ქურდებისა და თავებდების ამხანაგი არ ვახლავართ. აჯანყება და ავაზაკობა აპოლონის მსახურთ არ ეკადრება. მე არ ვარ ისეთი კაცი, რომ გადავეშვა ამ საავდრო ღრუბლებში, რომლებიც აჯანყებად მოედება ქვეყანას გრვეინვით. მე თქვენი უდიდებულესობის ერთგული ყმა ვარ. ისე როგორც ქმარი უფრთხილდება ცოლის პატიოსნებას, როგორც შვილი განიცდის მამის სიყვარულს, ასევე

კარგ ყმას მართებს თავი დასდოს თავისი მეფის სახელისა და დიდ-
 ბასათვის, მან მთელი თავისი სიცოცხლე მეფის კარისადმი გულ-
 მოდგინებაში უნდა განლიოს და სამსახური მისდამი გაზარდოს.
 ყველა სხვა ვნებანი თუ გატაცებანი მხოლოდ სიშმაგეა. ასეთია,
 ზელმწიფევე. ჩემი სახელმწიფოებრივი მრწამსი. ამიტომ 'ნუ ჩამ-
 თვლით მეამბოხედ და მძარცველად იმის გამო, რომ ტანსაცმელი
 იდაყვებში გაცვეთილი მაქვს. თუ მოწყალებას მოიღებთ ჩემზე, ხელ-
 მწიფევე. მაშინ დილას და საღამოს მუხლებსაც გადაეიტყავებ ღეთის
 მიმართ თქვენთვის ლოცვა-ვედრების აღვლენაში! ვაი, რომ მე არ
 ვარ უკიდურესად მდიდარი! ეს მართალია. პირიქით, მე ღარიბიც
 კი ვარ. მაგრამ ამის გამო არ წავმხდარვარ. ჩემი ბრალი როდია, რომ
 ღარიბი ვარ. ყველამ უწყის, რომ დიდი სიმდიდრე კაზმული სიტყ-
 ვით არ გროვდება, თვით იმათაც კი, ვინც კარგი წიგნების თხზვაში
 დახელოვნებულან, ყოველთვის როდი უვიზვირვებთ ზამთრობით
 ბუხარში ცეცხლი. მარტო ვეჭილეები იღებენ მთელ ხორბალს, და-
 ნარჩენ მეცნიერულ პროფესიებს კი მხოლოდ ნამჯა და ჩალა ხვდე-
 ბათ. ორმოცი დიდებული ანდაზა არსებობს ფილოსოფოსთა დახეუ-
 ლი, ნახვრეტებიანი წამოსასხამის თაობაზე. ოჰ, ხელმწიფევე! მოწყა-
 ლება ერთადერთი ლამპარია, რომელსაც შეუძლია გააცისკროვნოს
 დიადი სულის შინაგანი სამყარო! მოწყალება ყველა ქველმოქმედე-
 ბათა ჩირადანია. უმისოდ ისინი ბრმები, უსინათლონი არიან და
 ღმერთს ხელების ცეცებით ეძებენ. ლმობიერება, რომელიც იგივე
 მოწყალებაა, იგივე დიდსულოვნებაა, ქვეშევრდომებში სიყვარულს
 ბადებს, რაც მეფის საიმედო დაცვას შეადგენს. რა ენაღვლება
 თქვენს უდიდებულესობას, რომლის სახის ბრწყინვალეობა, შარავან-
 დედი თვალისმომკრელია, თუ ამქვეყნად ერთით მეტი საბ-
 რალო ადამიანი იარსებებს, ერთი საწყალი უდანაშაულო ფილოსო-
 ფოსი, რომელიც სიდუხჭირის წყვილიადში ჯიბეგამოცარიელებული
 დალასლასებს და რომელსაც შიმშილისაგან ცარიელი მუცელი უჭ-
 ყრუის? ამასთან ერთად, ხელმწიფევე, მე სწავლული ვარ. დიდი მე-
 ფენი, რომლებიც მეცნიერებას მფარველობდნენ, ერთ ზედმეტ მარ-
 გალიტს ჩაურთავდნენ თავიანთ გვირგვინს. ჰერკულესი არ თავი-
 ლობდა მუზათა მფარველის ტიტულს. მათიას კორვინი მფარვე-
 ლობდა ჟან მონრუაიას, მათემატიკოსთა სამკაულს. ცუდია მეც-
 ნიერების ისეთი მფარველობა, როდესაც სწავლულებს სახრჩობე-
 ლაზე ჰკიდებენ. როგორი ლაქა იქნებოდა ალექსანდრესათვის, არის-
 ტოტელეს¹ ჩამოხრჩობა რომ ებრძანებინა! ეს ნიშანი მის სახეზე
 პატარა ხალი კი არ იქნებოდა, რომელიც დაამშვენებდა კიდევ მის
 სახელს, არამედ ავთვისებიანი, დაწყლულებული და დამასახიჩრე-

ბელი იარა. ხელმწიფე! მე შევქმენ ფრიად სასარგებლო საქორწინო სიმღერა ქალბატონ მარგარიტა ფლანდრიელისა და სამეფო ტანტის მემკვიდრის უავგუსტესი უფლისწულის სადიდებლად. ამას ვერა იქმს ამბოხების გამჩალებელი. თქვენს უდიდებულესობას შეუძლია დარწმუნდეს, რომ მე არა ვარ ჯღაბნია მწერალუკა, წარჩინებით ვსწავლობდი და ბუნებრივი მკვერმეტყველებით ვარ დაჯილდოებული. მოიღეთ ჩემზე მოწყალება, ხელმწიფე! ამით ღვთისმშობლის საამებელ საქმეს ჩაიდენთ. გეფიცებით, შიშსა მგვრის ფიქრიც კი იმაზე. რომ უნდა ჩამომახრჩონ.

ასე რომ ლაპარაკობდა, თან მეფის ქომებს კოცნიდა სასოწარკვეთილი გრენგუარი. გილიომ რიმმა დაბალი ხმით წასჩურჩულა კოპენოლს:

— კარგს შერება, მის ფერხთით მიწაზე რომ ფორთხავს. მეფეები კრეტელ იუპიტერს ჰგვანან, ყურები ფეხებში აქვთ.

მეწინდე კი სულაც არ ფიქრობდა კრეტელ იუპიტერზე, გრენგუარისათვის მიეპყრო თვალი; მან ტლანქი ღიმილით გასცა პასუხი:

— ოჰ! ეს ძალიან კარგი რამ არის. ასე მგონია კვლავ კანცლერ ჰუგონეს ვუსმენ, შეწყალებას რომ მეხვეწებოდა.

როცა სრულიად აქოშინებული გრენგუარი ბოლოს გაჩერდა, აჯანკალებულმა შეხედა მეფეს, რომელიც ფრჩხილით მუხლთან შარვალზე ლაქას იფხეკდა. შემდეგ მისი უდიდებულესობა თავისი კახით წამლის სმას შეუდგა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს; ეს ღუმილი სტანჯავდა გრენგუარს. ბოლოს, როგორც იქნა, მეფემ შეხედა.

— ეს რა საშინელი ღრიალა და ყბედი ვინმეა! — თქვა მან. შემდეგ ტრისტან-განდეგის მიუბრუნდა:

— ჰეი, გაუშვი!

საშინლად გახარებული გრენგუარი უკან გადავარდა და ჩაჯდა.

— გავათავისუფლოთ?! — ჩაიბუზღუნა ტრისტანმა, — ხომ არ ინებებს თქვენი უდიდებულესობა ცოტა ხანს გალიაში ჩაესვათ?

— ნათლია, — მიუგო ლუი XI-მ, — ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ამგვარი ფრინველებისათვის ვაგებთ სამასსამოცდაშვიდ ლივრად, რვა სუდ და სამ დინარად ღირებულ გალიებს? დაუყოვნებლივ გაუშვი, მომაცილე ეგ გარყვნილი (ლუი XI-ს ძალიან უყვარდა ეს სიტყვა. რომელიც „უფლის აღდგომის მადლის“ ფიცილთან ერთად მისი მხიარულებისა თუ ხუმრობის საფუძველს შეადგენდა), კინწისკვრით გააგდე გარეთ!

— უჰ! — შესძახა გრენგუარმა. — აი დიდებული მეფე!

რადგან ეშინოდა, მეფემ არ გადაიფიქროს და განკარგულება არ გააუქმოსო, მაშინვე კარს ეცა. ტრისტანმა საკმაოდ კუშტად გაულო

იგი. მასთან ერთად ჯარისკაცებიც გამოვიდნენ და უკანდან მაგარ მუჯღუგუნებს სთავაზობდნენ, რაც გრენგუარმა მოთმინებით გადაიტანა, როგორც შეპფერის ეს ქეშმარიტ სტოიკოს ფილოსოფოსს.

ყველაფერში მელანდებოდა მეფის კარგ გუნებაზე ყოფნა მას შემდეგ, რაც მოახსენეს, რომ აჯანყება სასახლის მოსამართლის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს უჩვეულო შეწყალება ამის დადასტურებელი მცირე რამ ნიშანი როდი იყო. ტრისტან-განდევგელი წარბშეკმუხნილი პირქუშად იბღვირებოდა თავისი კუთხიდან ქოთავი ძაღლივით, რომელსაც ძვალი უჩვენეს და არკი მიუგდეს.

ამ დროს მეფე თითებით მხიარულად უკაცუნებდა სავარძლის სახელურზე პონტოდემერის მარშს. თუმცა მან ოსტატურად იცოდა თავისი აზრების დაფარვა, მაგრამ თავის საზრუნავს ბევრად უკეთესად მალავდა, ვიდრე სიხარულს. ზოგჯერ კარგი ამბით გამოწვეული სიხარულის ეს გარეგანი გამოვლენანი ძალიან შორს მიდიოდა: ასე, მაგალითად. შარლ გულადის სიკვდილი რომ გაიგო, წმინდა მარტინ ტურელის ტაძარს აღუთქვა ვერცხლის მოაჯირის შეწირვა, ხოლო ტანტზე რომ აღიოდა, დაავიწყდა ბრძანება გაეცა მამის დასაფლავებაზე.

— ჰოი, ხელმწიფევ! — შესძახა უცბად ჟაკ კუაქტიემ, — რა მწვავე სატკივარი გაწუხებთ, რის გამოც თქვენმა უდიდებულესობამ მე დამიბარა?

— ოი! — თქვა მეფემ, — მე მართლაც ძალიან ვიტანჯები, ჩემო ნათლია. ყურები მიწივის, მკერდს თითქოს გავარეარებული ფოცხით მიკაწრავენ.

კუაქტიემ მეფის ხელი ხელში აიღო და მცოდნე კაცის გამომეტყველებით მაჯა გაუსინჯა.

— ერთი შეხედეთ, კოპენოლ! — უთხრა დაბალი ხმით რიმმა. — აგერ ზის იგი კუაქტიესა და ტრისტანს შორის. ეს არის მთელი მისი სამეფო კარი. ექიმი — მისთვის, ჯალათი — სხვისთვის.

მეფეს მაჯას რომ უსინჯავდა, კუაქტიე სულ უფრო და უფრო საგანგაშო გამომეტყველებას იღებდა. ლუი XI ერთგვარი შეშფოთებით უცქერდა მას. კუაქტიე ყოველ თვალის დახამხამებაზე იღუშებოდა. ამ მარიფათიან ვაჟკაცს სხვა წყარო შემოსავლისა, გარდა მეფის ცუდი ჯანმრთელობისა, არ გააჩნდა. ისიც საუკეთესოდ იყენებდა მას.

— ოჰო! ჰო! — ჩაიბუტბუტა მან ბოლოს, — მართლაც მძიმე მდგომარეობაა.

— მართლა? — ჰკითხა შეშფოთებულმა მეფემ.

— Pulsus creber, anhelans, crepitans, irregularis * — განაგრძობდა ექიმი.

— უფლის აღდგომის მაღლო!

— ამ სახით აღამიანი შეიძლება სამ დღეში გათავდეს.

— ღვთისმშობელო! — შესძახა მეფემ. — მერე, წამალი, ნათლიავ!

— სწორედ მაგაზე ვფიქრობ, ხელმწიფევ.

ლუი XI-ეს ენა გამოაყოფინა, თავი გააქნია, დაიბანჭა და ყველა ამ პრანქვა-გრეხის ვითარებაში უეცრად თქვა:

— ღმერთმანი, ხელმწიფევ, უნდა მოგახსენოთ, რომ განთავისუფლდა სამეფო გადასახადთა ამკრეფის თანამდებობა, და მე მყავს ძმისწული.

— შენი ძმისწულისათვის მიმიცია სამეფო გადასახადთა ამკრეფის ადგილი, ნათლია ეაკ, — უპასუხა მეფემ, — ოღონდ კი მოძაცილე ეს ცეცხლი, მკერდს რომ მწვაეს.

— რადგან თქვენი უდიდებულესობა ასეთი მოწყალეა, — კვლავ წამოიწყო ექიმმა, — იგი უარს არ მეტყვის მცირე დახმარებაზე, რომ დავამთავრო ჩემი სახლის მშენებლობა სენტ-ადრე-დეზ-არკის ქუჩაზე.

— ოჰო! — თქვა მეფემ.

— ფული მითავდება, — განაგრძო ექიმმა, — არა და, მართლაც სამწუხარო იქნება, ამ სახლს ჰერი ვერ გადაეხურო. თვით სახლი მაგდენი არაფერია, იგი უბრალო სახლია მოქალაქისა, მაგრამ შე მალონებს ეჟან ფურბოს მხატვრობა, რომელიც კედლებს ამკობს. იქ არის დახატული დიანა, რომელიც ჰაერში ფრინავს; მაგრამ ისეთი დიდებულია, ისეთი ნაზი, კოხტა, სათუთი, ისეთი გულუბრყვილო, ხალისიანი, ცოცხალი, თავზე ისე ლამაზად აქვს თმა გადავარცხნილი და ნახევარმთვარით დაგვირგვინებული, კანი ისეთი თეთრი აქვს, რომ ყველა ცთუნებაში შეჰყავს, ვინც მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით აკვირდება. იქ ცერერაც არის. ისიც მეტად მშვენიერი ქალღმერთია. იგი ხორბლის ძნაზე ზის და ფაფარულას და სხვა ყვავილებისაგან დაწნული თაიგული ამკობს. ჩის თვალებზე, მის მრგვალ ფეხებზე უფრო მომხიბლავს, მის შესახედაობაზე უფრო კეთილშობილს, მისი კაბის ნაკეცებზე უფრო უკეთესს ვერაფერს ნახავს აღამიანი. იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმანკო, უმწიკვლო და სრულქმნილი მშვენიერებაა, როგორც კი ოდესმე მხატვრის ფუნჯს შეუქმნია.

* მაჯისცემა ხშირი, მძიმედ მფეთქავი, წყვეტილი, სუსტი, არათანაბარი (ლათ.).

— ჯალათო! — ჩაიბუზღუნა ლუი XI-მ. — თქვი, რა გინდა, სა-
ით უმიზნებ?

— მთელ ამ მხატვრობას, ხელმწიფევ. სახურავი სკირდება. თუმ-
ცა ეს წერილმანი რამ არის, მაგრამ ფული აღარა მაქვს.

— რამდენი უნდა შენს სახურავს?

— მე ვფიქრობ... სპილენძის სახურავი მთელი თავისი შორთუ-
ლობითა და ვარაუდით, ოქროქანდით ორი ათას ლივრზე მეტი არ
დაჯდება.

— აჰ! ავაზაკო! კაცისმკვლელი! — შესძახა მეფემ... — ისე არ
ამომადრობს კბილს, თუ სამაგიეროდ აღმასი არ ამადლიტა.

— მექნება თუ არა სახურავი? — ჰკითხა კუაქტიემ.

— ჰო! ეშმაკსაც წაუღიხარ, ოღონდ განმკურნე.

ჟაკ კუაქტიემ მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— ხელმწიფევ! თქვენ გადაგარჩენთ შემწოვი და დასაცხრობი
საშუალება. წელზე დაგადებთ ცვილის მალამოსაგან, სომხური
ცხიმოვანი თიხისა, კვერცხის ცილისა, ზეთუნის ზეთისა და ძმრი-
საგან შეზავებულ საღებუნს. განაგრძობთ მაგ წამლის მიღებას, და
თქვენი უღიდებულესობის ჯანმრთელობის თავმდეები ჩვენ ვიქნე-
ბით.

ანთებული სანთელი მარტო ქინქლას როდი იზიდავს. მეტრ ოლი-
ვიემ რომ დაინახა მეფის ესოდენი გულუხეობა, იფიქრა ხელსაყრე-
ლი წუთი ვიპოვეო, და ისიც მიუახლოვდა:

— ხელმწიფევ...

— რაო, რა არის კიდევ? — იკითხა ლუი XI-მ.

— ხელმწიფევ. თქვენმა უღიდებულესობამ იცის, რომ მეტრ
სიმონ რადენი მოკვდა?

— მერე რა?

— იგი მეფის მრჩეველი იყო ხაზინის სასამართლო საქმეებში.

— ჰო და რა?

— ხელმწიფევ, მისი ადგილი ეხლა თავისუფალია.

ასე რომ ლაპარაკობდა, მეტრ ოლივიეს მედიდურ სახეზე
ამპარტავანი გამომეტყველება პირმოთნე მლიქნელობით შეეცვალა.
მხოლოდ ეს ერთადერთი ცვლილება იცოდა კარისკაცის სახემ. მეფემ
პირდაპირ სახეში შეხედა და უკმეხად უთხრა:

— მესმის.

შემდეგ ისევ განაგრძო:

— მეტრ ოლივიე, მარშალი ბუსიკო¹ იტყოდა ხოლმე: „საჩუქარი
მესმის მეფური, თევზპერა უხვი, ზღვაური“. მე ვხედავ, თქვენ
ბატონ ბუსიკოს აზრისა ბრძანდებით. ახლა მისმინეთ. ჩვენ მესნი-

ერება კარგი გვაქვს. 68 წელს დაგნიშნეთ ჩვენი ოთახის მსახურად; 69-ში ციხე-დარბაზის მცველად სენ-კლუს ხილთან და ტურის ას ლივრს გიხდიდით (თქვენ მოისურვეთ პარიზული ლივრი). 73 წლის ნოემბერში ჟერჟოლში გაცემული სიგელით ჩვენ გაგამწესეთ ვენსენის ტყის მეთვალყურედ მესაქურველ ეილბერ აკლეს მაგიერ; 75-ში მეტყველდ რუვრე-ლე-სენ-კლუში ეაკ ლე-მერის ადგილზე; 78 წელს ყოვლადმოწყალე მეფის სიგელით, რომელიც მწვანე ცვილის ორმაგი ბეჭდით იყო დალუქული, გეზოძათ თქვენ და თქვენს ცოლს ყოველწლიური რენტა ათი პარიზული ლივრის რაოდენობით, სენ-ჟერმენის სკოლის მახლობლად მდებარე ბაზარზე ვაჭართაგან ასაკრფევი. 79-ში დაგნიშნეთ სენარის ტყის უფროსად იმ საწყალ ჟეან დეზის მაგიერ. შემდეგ ლოშის ციხე-დარბაზის თავად, შემდეგ სენ-კენტენის მმართველად; მერე მიოლანის ხიდის თავად და იმ დღიდან გრაფი მიოლანის სახელს ატარებთ. იმ ხუთი სუ ჯარიმიდან, რომელსაც ყოველი დალაქი იხდის დღესასწაულ-ლებში გაპარსვაზე, სამი სუ თქვენ წილად მოდის, ხოლო ჩვენ თქვენი ნაშთი გვხვდება. სიამოვნებით ნება დაგრთეთ შეგეცვალოთ თქვენი წინანდელი გვარი ლე მოვე *, რაც თქვენ სახეს ძალიან შეეფერება და ზედგამოჭრილია. 74-ში ჩვენი თავადაზნაურობის დიდი უკმაყოფილების მიუხედავად გიბოძეთ ათასფროვანი ლერბი, რამაც თქვენი მკერდი ფარშევანგის მკერდს დაამსგავსა. ვფიცავ უფლის აღდგომის მაღლსა! თქვენ მაინც ვერ გაძებით. ნუთუ საოცრად ბევრი თვეში არ დაიჭირეთ? ნუთუ არ გეშინიათ, რომ ერთმა ზედმეტმა ორაგულმა შეიძლება გადააბრუნოს თქვენი ნავი? ამპარტავნობა დაგლუპავთ, ჩემო ნათლია. ამპარტავნობას მოსდევს აოხრება და სირცხვილი. კარგად განსაჯეთ ეს და გაჩუმდით.

ამ მკაცრად წარმოთქმულმა სიტყვებმა მეტრ ოლივიე აიძულა ისევ ურცხვი და თავხედი გამომეტყველება მიეღო.

— კარგი, — ჩაიბუზღუნა მან თითქმის ხმაშალა, — მართლაც, ნათლად ჩანს, რომ დღეს მეფე ავად ბრძანდება. ყველაფერს ექიმს აძლევს.

ლუი XI ამ კადნიერებამ არათუ არ გააბრაზა, არამედ ერთგვარი სიმშვიდითაც კი მიმართა:

— მომითმინეთ, მე დამავიწყდა კიდევ, რომ ჩემს ელჩად დაგნიშნეთ გენტში ქალბატონ მარიასთან. — დიახ, ბატონებო, — ძიუბრუნდა მეფე ფლამანდიელებს, — იგი ელჩი იყო. — აბა, ჩემო ნათლია, — მიმართა ისევ მეტრ ოლივიეს, — ნუ ვიჩხუბებთ, ჩვენ ხომ

* უდო, ავი, უვარგისი, ბინძური, უშვინდური, ბოროტი (ფრანგ.).

ძველი მეგობრები ვართ. ახლა უკვე ძალიან გვიან არის. ჩვენი სამუშაო დავამთავრეთ. მოდიტ, მომპარსეთ.

ჩვენმა მკითხველებმა, აქამდე უეჭველად უკვე იცნეს „მეტრ ოლივიეს“ სახით ის საზარელი ფიგარო, რომელიც განგებამ, დრამების ამ დიდმა შემოქმედმა, ესოდენ ოსტატურად გარია ლუი XI-ის გრძელსა და სისხლიან კომედიაში. ჩვენ აქ არ ვაპირებთ ამ თავისებური პიროვნების დახასიათებას. მეფის დალაქს სამი სახელი ჰქონდა. სასახლის კარზე მას თავაზიანად ოლივიე ლე დენს უხმობდნენ, ხალხში კი ოლივიე ეშმაკს ეძახდნენ. მისი ნამდვილი სახელი ოლივიე ლე მოვე, ავი ოლივიე იყო.

ამრიგად, ოლივიე ლე მოვე უძრავად იდგა, მეფეს ებუტებოდა და ჟაკ კუაკტიეს აღმაცერად უყურებდა.

— დიახ! დიახ! ყველაფერი ექიმს! — თქვა კრიჭაშვიკრულმა.

— დიახ! ექიმს! — მიუგო იშვიათი გულკეთილობით ლუი XI-მ, დიახ, ექიმს თქვენზე მეტი ნდობა აქვს. და ეს სულ მარტივი რამ არის. მის ხელთ არის მთელი ჩვენი სხეული, შენს ხელთ კი მხოლოდ ნიკაპი. კარგი, ჩემო საბრალო დალაქო, შენც შეგხვდება რაღაც. მაშინ რას იტყობი ანდა რას იზამდი, მე რომ ისეთი მეფე ვიყო, როგორც მეფე ხილპერიკი, რომელსაც წვერზე ხელის მოკიდების ჩვეულება ჰქონდა? — აბა, ჩემო ნათლია, შეუდექი შენი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას, წვერი მომპარსე. მიდი, მოიტანე ყველაფერი, რაც კი გჭირდება.

რა დანახა ოლივიემ მეფე ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა და მის გაბრაზებასაც კი ვერ ახერხებდა, ბუზღუნით გავიდა მისი ბრძანების შესასრულებლად.

მეფე წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა, უცბად გააღო იგი და არაჩვეულებრივი აღტყინებით წამოიძახა:

— ოჰ! დიახ! — და ტაში შემოჰკრა, — შეხედეთ, ცა გაწითლებულა სიტეს თავზე. მოსამართლის სახლი იწვის. ექვი შეუძლებელია. აჰ! ჩემო კარგო ხალხო! ბოლოს, როგორც იქნა შენც მოხვედი მოსაშველებლად, რათა დავამხოთ ბატონები!

შემდეგ ფლამანდიელებისაკენ მიბრუნდა:

— ბატონებო, მობრძანდით, შეხედეთ. ეს ხომ ხანძრის ანაშუქია?

ორივე გენტელი მიუახლოვდა.

— დიდი ხანძარია, — თქვა გილიომ რიმმა.

— ოჰ! — ჩაურთო კოპენოლმა და უცბად თვალები აენტო, — ეს მე მაგონებს სენიორ ემბერკურის სახლის დაწვას. როგორც ჩანს, დიდ აჯანყებას უფეთქნია.

— თქვენ ასე ფიქრობთ, მეტრ კოპენოლ?

ლუი XI-ის გამოხედვა თითქმის ისეთივე მხიარული იყო, როგორც მეწინდისა. — ძნელი იქნება წინააღმდეგობის გაწევა?

— ვფიცავ ჯვარსა უფლისასა, ხელმწიფევ, რომ თქვენს უდიდებულესობას მებრძოლთა არა ერთი ასეული დაუზარალებდა იქ!

— აჰ! მე! ეს სხვა საქმეა, — მიუგო სწრაფად მეფემ, — თუ მე მოვინდომე!...

მეწინდე გაბედულად შეეპასუხა:

— თუ ეს აჯანყება ისეთია, როგორსაც მე ვვარაუდობ, მაშინ მარტო თქვენი მონდომება და სურვილი არ იკმარებს, ხელმწიფევ!

— ნათლიავ, — უთხრა ლუი XI-მ, ჩემი დაცვის ორი ასეული და ზარბაზნის ბათქი კმარა, რომ ამ ხეპრეების ბრბოს ლაზათიანად გაუსწორდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გილიომ რიმი ანიშნებდა. მეწინდეს, როგორც ჩანდა, გადაეწყვიტა მაგრად დახვედროდა მეფეს.

— ხელმწიფევ, შვეიცარიელებიც ერთი სოფლელი ტეტებიც იყვნენ. ბატონი ბურგუნდიელი ჰერცოგი დიდი კეთილშობილი აზნაური ბრძანდებოდა და ამ ბრიყუების ბრბოს არაფრად აგდებდა. გრანსონის ბრძოლის¹ დროს, ხელმწიფევ, ის უვიროდა: „მეზარბაზნებო! ცეცხლი ამ წუპაკებსო“ და წმინდა გიორგის ფიცულობდა. მაგრამ ქალაქის თავი შარნახტალი ფიცხლავ ეკვეთა თავისი კვერთხითა და ხალხით დიდებულ ჰერცოგს, და ამ კამეჩის ტყაპუკებიან გლეხებთან შეტაკებით ბურგუნდელთა ბრწყინვალე არმია ქვამოხვედრილ ფანჯრის მინასავით ნამსხვრევებად იქცა. იქ ცოტა როდი იყო ამ არამზადების მიერ მოკლული რაინდი. ჰანჰრობში თავის დიდ სისვ, ნატრისფერ ცხენთან ერთად ნახეს მოკლული ბურგუნდიის ყველაზე დიდი სენიორი ბატონი შატო-გიონ.

— მეგობარო, — ჩამოართვა სიტყვა მეფემ, — თქვენ უბნობთ ბრძოლაზე, აქ კი უბრალოდ შფოთზეა ლაპარაკი. საკმარისია წარბი შევიკრა, რომ ბოლო მოვუღო მაგ ამბავს.

მეორემ გულცივად მიუგო:

— შეიძლება, ხელმწიფევ! მაგრამ ეს იმას ამბობს, რომ ხალხის საათმა ჯერ კიდევ არ დაჰკრა.

გილიომ რიმმა საჭიროდ ჩათვალა ჩარეულიყო:

— მეტრ კოპენოლ, თქვენ უძლიერეს მეფეს ელაპარაკებით.

— ვიცი, — მღვდელურად მიუგო მეწინდემ.

— დაე, ილაპარაკოს, ბატონო რიმ, ჩემო მეგობარო, — უთხრა მეფემ. მიყვარს თავისუფალი, გულახდილი ლაპარაკი. მამაჩემი შარლ მეშვიდე ამბობდა, ჰემმარიტება დასნეულდაო. მე კი მეგონა.

მას ისე ამოხდა სული, აღმსარებელიც ვერა ნახა. მეტრ კოპენოლი კი მარწმუნებს, რომ ვცდებოდი.

და მოურიდებლად მხარზე ხელი დაადო კოპენოლს.

— მაშ, თქვენ ამბობთ, მეტრ უაკ...

— შე ვამბობ, ხელმწიფევე, რომ შესაძლებელია თქვენ მართალიც ბრძანდებით, მაგრამ თქვენში ჯერ კიდევ არ დამდგარა ხალხის საათი.

ლუი XI-მ გამპკრიახი თვალით შეხედა.

— მაშ როდისღა დაჰკრავს ეგ საათი, მეტრ?

— თქვენ გაიგონებთ რეკვას.

— რომელი კოშკის საათიდან, თუ შეიძლება თქვით?

კოპენოლმა აუღელევებელი გამომეტყველებით და ხეპრულად მიიყვანა მეფე ფანჯარასთან.

— მისმინეთ, ხელმწიფევე! აგერ ციხე-კოშკი, სათვალთვალო ჯიხური, ზარბაზნები, მოქალაქენი, ჯარისკაცები. როდესაც ამ საზევრი კოშკიდან გაისმის განგაშის ხმები, როდესაც ზარბაზნები იგრიანდებიან, როდესაც ციხე-კოშკი გრუხუნით დაემხოება, როდესაც მოქალაქენი და ჯარისკაცები ღმუილით ერთმანეთს ეკვეთებიან საქლეტად, აი მაშინ დარეკავს ეს საათი.

ლუი მეთერთმეტე ჩაფიქრდა, სახე მოედღუშა, ერთ ხანს მღუშობად იდგა, შემდეგ ციხის სქელ კედელს ალერსით დაჰკრა ხელი, თითქოს ხელი ბედაურის გავას გადაუსვაო.

— ოჰ! არა! — თქვა მან. — შენ ხომ ასე ადვილად არ დაემხოები, ჩემო კარგო ბასტილია?

და მერე უცბად მიტრიალდა მამაცი ფლამანდიელისაკენ.

— გინახავთ ოდესმე აჯანყება, მეტრ უაკ?

— შე თვითონ გამომიწვევია აჯანყება. — უპასუხა მეწინდემ.

— რას აკეთებდით იმისათვის, რომ აჯანყება გამოგეწვიათ?

— აჰ! — უპასუხა კოპენოლმა, — ეს არც ისე ძნელია. ასწავრი ხერხი არსებობს. ჯერ ერთი საჭიროა, რომ ქალაქში უკმაყოფილება იყოს. ასეთი რამ იშვიათი როდია, შემდეგ მცხოვრებთა ხასიათი. გენტელებს აჯანყების მიდრეკილება აქვთ. მათ ყოველთვის უყვართ უფლისწული, მაგრამ თვით მეფე არასოდეს. ჰო და, კეთილი! ეთქვათ, ერთ დილას ჩემთან დუქანში შემოვიდა ვინმე და მითხრა: მამა კოპენოლ, სდება ესა და ეს, ფლანდრიელ ქალბატონს სურს გადაარჩინოს თავისი მინისტრები, მთავარმა მოსამართლემ მაქალოს და პანტიკს გადასახადი გააორმაგა, და სხვა მისთანა. რაც გნებავთ. მაშინვე ვტოვებ სამუშაოს, გამოვდივარ საწინდელან, ქუჩაში გავდი-

ვარ და ვყვირი: „ძარცვა-გლეჯა!“ ყოველთვის მოიძებნება სადმე ძირგავარდნილი კასრი. ავდივარ ზედ და ხმამალა გავიძახი ყველაფერს, რაც ენაზე მომადგება და რაც გულში მაქვს. როცა კაცი ხალხიდან არის გამოსული, იმას გულში მუდამ რალაცა აქვს, ხელმწიფე. მაშინ ირგვლივ ხალხი მოგროვდება, ყვირიან, განგაშს სტეხენ, ჯარისკაცებს იარაღს აპყრიან და სოფლელებს დაუბრუნებენ, ბაზრის ხალხიც შემოგვიერთდება, და აჯანყებაც მზად არის. ყოველთვის ასე იქნება, სანამ მამულებში ბატონები სხედან, ქალაქებში მოქალაქეები არიან, ხოლო სოფლად გლეხები ცხოვრობენ.

— მერე და ვის წინააღმდეგ ჯანყობთ? — ჰკითხა მეფემ. — თქვენი მოსამართლეებისა თუ თქვენი ბატონების წინააღმდეგ?

— ხან ისე, ხან ასე, როგორც მოგეიხლება, გარემოებათა მიხედვით. ზოგჯერ ჩვენი ჰერცოგის წინააღმდეგაც.

ლუი XI ისევ დაჯდა და ღიმილით თქვა:

— აჰა! ჩვენში კი ჯერჯერობით მხოლოდ მოსამართლეებს შიდადგენ.

იმ წუთს ოლივიე ლე დენი შემოვიდა. მას ორი მსახური მოსდევდა, რომელთაც მეფის საპარსი მოწყობილობა მოჰქონდათ. მაგრამ მეფე იმან გააკვირვა, რომ ოლივიეს თან ახლდნენ კიდევ, პარიზის პრეგო და ღამის გუშაგთა უფროსი, რომლებიც თავზარდაცემულივით ჩანდნენ. ავგული დალაქიც გაოცებული იყო, მაგრამ შინაგანი კმაყოფილება მაინც ეტყობოდა.

პირველად მან თქვა სიტყვა.

— ხელმწიფე, თქვენს უდიდებულესობას ვთხოვ მაპატიოს იმ არასასიამოვნო ცნობისათვის, რომელიც მე მომაქვს.

მეფე მკვირცხლად შებრუნდა მისკენ და თავისი სავარძლის ფეხით იატაკზე დაგებული ქილობი დახია.

— რას ნიშნავს ეს?

— ხელმწიფე, — განაგრძო ოლივიე ლე დენმა იმ კაცის ბოროტი გამომეტყველებით, რომელსაც უხარია, როცა შესაძლებლობა აქვს ვინმეს მწარე დარტყმა მიაყენოს.

— ხალხის აჯანყება სულაც არ არის მიმართული მართლმსაჯულების სასახლის მოსამართლის წინააღმდეგ.

— მაშ, ვის წინააღმდეგ არის?

— თქვენს წინააღმდეგ, ხელმწიფე.

მოხუცი მეფე ფეხზე წამოდგა და ახალგაზრდა კაცივით წელში გასწორდა.

— ამიხსენი, ოლივიე! განმიმარტე! თავს გაუფრთხილდი, ჩემო ნათლია, თორემ წმინდა ლოს ჯვარსა ვფიცავ, თუ გვატყუებ, ის

მახვილი. რომელმაც პერცოვ ლუქსმბურგელს თავი მოჰკვეთა. იმდენად ზრ დაჩლუნგებულა. რომ შენც ვერ გაგაგდებინოს ეგ თავი.

ეს ფიცი საშინელი იყო. მთელ თავის სიცოცხლეში ლუი XI-მ მხოლოდ ორჯერ დაიფიცა წმინდა ლოს ჯვარს.

ოლივიემ პასუხისათვის პირი დაალო:

— ხელმწიფევ...

— დაიჩოქე! — შეაწყვეტინა გამძვინვარებულმა მეფემ, — ტრისტან, თვალყური ადევნე ამ კაცს.

ოლივიე მუხლებზე დაემხო და ცივად წარმოთქვა:

— ხელმწიფევ, თქვენმა სამეფო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ვილაც ჯადოქალს. მან თავი შეაფარა ღვთისმშობლის ტაძარს. ხალხს უნდა, რომ იგი იქიდან ცოცხალი გამოიყვანოს ძალით. ბატონი პრევე და ღამის გუშაგთა ბატონი უფროსი იქიდან მოვიდნენ, აჯანყება უნახავთ, ახლა თქვენს წინაშე არიან და შეუძლიათ მამხილონ, თუ ეს მართალი არ არის. ხალხი ღვთისმშობლის ტაძარს შემოსდგომია გარს.

— ერთი უყურეთ! — ჩაილაპარაკა დაბალი ხმით მთლად გაფითრებულმა და რისხვისაგან აკანკალებულმა მეფემ. — ღვთისმშობლის ტაძარი. მათ ალყა შემოარტყეს ღვთისმშობელს, ქალწულ მარიამს, ჩემს მოწყალე მბრძანებელს მის კათედრალში. წამოდექ, ოლივიე. შენ მართალი ხარ. მიბოძებია სიმონ რადენის თანამდებობა. შენ მართალი ხარ. — მე მიტევენ. ჯადოქალი ეკლესიის მფარველობაშია, ეკლესიას კი მე ვმფარველობ. მე მეგონა მოსამართლის წინააღმდეგ ჯანყობდნენ, თურმე ჩემზე მოდიან.

თითქოს სიშმაგემ ჭააახალგაზრდავა, დიდი ნაბიჯებით იწყო იქით-აქეთ სიარული. აღარ იცინოდა. საზარელი სანახავი იყო. მიდიოდა და მოდიოდა. მელია აფთრად იქცა. ეტყობოდა, სული ენუთებოდა, ვეღარ ლაპარაკობდა, ტუჩებს აცმატუნებდა, გამხმარ მუშტებს კრუნჩხავდა. უცბად თავი ასწია, ჩაცვივრულ თვალეში ცეცხლი გამოკრთა, და ბუკივით დაიგრგვინა მისმა ხმამ.

— სტაცე ხელი, ტრისტან! გასრისე ის გაიძვერა არამზადები! გაეშურე, ტრისტან, ჩემო მეგობარო! გაულიტე! ამოხოცე!

ამ აფეთქების შემდეგ იგი ისევ დაჯდა და გაშმაგებულმა, ყურადღებდაძაბულმა ცივად წარმოთქვა:

— აქეთ, ტრისტან! — ბასტილიაში ჩვენ გვეყავს ორმოცდაათი შუბოსანი ვიკონტ ჟიფასი, რაც საჭურველმტვირთველებთან ერთად სამას მხედარს შეადგენს, — წაიყვანეთ ისინი. აქ არის აგრეთვე ჩვენი დაცვის მსროლელ მშვილდოსანთა ასეული ბატონ ღე შა-

ტოპერის მეთაურობით, — ისინი წაიყვანეთ. მკედელთა ამქრის უფროსი ხართ, თქვენ გემორჩილებათ საამქროს ხალხი, — წაიყვანეთ ისინი. სენ-პოლის სასახლეში ნახავთ ტახტის მემკვიდრის ახალი გვარდის ორმოც მსროლელ მშვილდოსანს, — ისინი წაიყვანეთ. მთელი ამ ჯარით გაეშურეთ ღვთისმშობლის ტაძრისაკენ. აჰ! პარიზელო ხეპრეებო, კონკიაცლარუნებო, საფრანგეთის გვირგვინის, ტახტის წინააღმდეგ, ღვთისმშობლის ტაძრის წმიდათაწმიდისა და ჩვენი სახელმწიფოს სიმშვიდის წინააღმდეგ ილაშქრებთ! ამოწყვიტე, ტრისტან! ამოულიტე! ვინც სიკვდილს გადაურჩება, მონფოკონზე ჩამოახრჩე!

ტრისტანმა თავი დაუკრა.

— კარგი, კეთილი, ხელმწიფე! — ცოტახნის დუმილის შემდეგ დაურთო:

— რა ვუყო ჯადოქალს?

ამ კითხვამ მეფე ჩააფიქრა.

— აჰ! — თქვა მან, — ჯადოქალი? — ბატონო დ'ესტუტელი, რას უპირებდა მას ხალხი?

— ხელმწიფე, — უპასუხა პარიზის პრევი, — მე ვფიქრობ, რაკი ხალხი ცდილობს ღვთისმშობლის თავშესაფარიდან მის ძალით გამოთრევას, ამიტომ მისი დაუსჯელობა შეურაცხყოფს ხალხს და სურს მისი ჩამოხრჩობა.

მეფე, როგორც ჩანდა, ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ტრისტან-განდევგის მიუბრუნდა:

— კეთილი! ჩემო ნათლია, ხალხი ამოწყვიტე და ჯადოქალი ჩამოახრჩე!

— კარგი რამე კია, — დაბალი ხმით წასჩურჩულა რიმმა კოპენოლს, — ხალხი დასაჯეო მისი სურვილის გამო, შემდეგ კი ეს გააკეთე, რაც ხალხს სურსო.

— მესმის, ხელმწიფე, — უპასუხა ტრისტანმა — თუ ჯადოქალი ისევე ღვთისმშობლის ტაძარშია, შემძლია თუ არა გამოვიყვანო იქიდან, მიუხედავად თავშესაფარის უფლებისა?

— უფლის აღდგომის მადლო, თავშესაფარი! — თქვა მეფემ და ყური მოიფხანა. — მაგრამ ის ქალი მაინც უნდა ჩამოახრჩო.

აჰ, თითქოს უეცარმა აზრმა გაუელვა თავში, თავისი სავარძლის წინ მუხლებზე დაემხო. ქული მოიხანდა, საჯდომ სკამზე დადო, მოწიწებით მიიპყრო მზერა ტყვიის ერთ-ერთ ავგაროზს, რომელიც მას ამკობდა:

— ოჰ! — თქვა მან და ხელები ერთმანეთზე გადააქლო, — პარი-

ზის ღვთისმშობელი! ჩემო მოწყალე მფარველო, მომიტევეთ! მხოლოდ ერთხელ ჩავიდენ ამას! ის დამნაშავე ქალი უნდა დაისაჯოს. გარწმუნებთ, უბიწო ქალწულო, ჩემო კეთილო ქალბატონო, რომ ის ჯადოქარი არ არის ღირსი თქვენი თავაზიანი, გულითადი მფარველობისა. თქვენ უწყით. ქალბატონო. რომ ბევრ ფრიად ღვთისმოსავ ხელმწიფეს დაურღვევია ეკლესიის პრივილეგიები ღვთის სადიდებლად და სახელმწიფოებრივი აუცილებლობის გამო. წმინდა ჰიუგმა, ინგლისელმა ეპისკოპოსმა ედუარდ მეფეს ნება დართო თავის ეკლესიაში ჯადოსანი შეეპყრო. წმინდა ლუი ფრანგმა, ჩემმა მფარველმა იმავე მიზნით წმინდა პავლეს ეკლესიის ხელშეუხებლობის კანონი დაარღვია, ხოლო ბატონმა ალფონსმა, იერუსალიმელა მეფის ძემ — თვით უფლის აკლდამის ეკლესიის ხელშეუხებლობა ეკი. მაშ, მომიტევე ამჯერად, პარიზის ღვთისმშობელი! მეტს აღარ ვიზამ და ვერცხლის ლამაზ ქანდაკებას გიძღვნი, იმის მსგავსს, შარშან რომ შეეწირე ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთმი. ქეშმარიტად, იყოს ასე, ამინ!

პირველი გადაიწერა, წამოდგა, ქუდი დაიხურა და ტრისტანს უთხრა:

— მკვირცხლად მოიქეცი, ჩემო ნათლია. თან წაიყვანეთ ბატონი დე შატოპერი. უბრძანეთ განგაში ატეხონ. გასრისეთ მდაბიო ბრბო. ჩამოახრჩეთ ჯადოსანი ქალი. მე მითქვამს. მე მსურს, რომ სიკვდილით დასჯა თქვენ აღასრულოთ. ანგარიშს მე ჩამაბარებთ. — წავიდეთ, ოლივიე. ამ ღამეს მე არ დავწვები, არ დავიძინებ, მომპარსე წვერი.

ტრისტან-განდევგელმა თავი დაუკრა და გავიდა. შემდეგ მეფემ ხელის მოძრაობით დაითხოვა რიმი და კოპენოლი:

— ღმერთი, გფარავდეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო, ბატონო ფლამანდიელებო. მიბრძანდით, ცოტა მოისვენეთ. ღამე ილუვა. დილა გვიახლოვდება.

ორივე ფლამანდიელი გაშორდა იქაურობას. როდესაც თავიანთ ოთახებს მიუახლოვდნენ ბასტილიის ციხისთავის თანხლებით, კოპენოლმა უთხრა გილიომ რიმს:

— ჰმ! მეყოფა, კმარა, ყელში ამომივიდა ეს ხაშალი მეფე, სულ რომ ასველებს. მე მინახავს მთვრალი შარლ ბურგუნდელი, მაგრამ ის არ იყო ასეთი ავი და ბოროტი, როგორც ეს სნეული ლუი X1.

— მეტრ ფაკ, — უპასუხა რიმმა, — ეს იმიტომ, რომ მეფეთა ღვინო უფრო ნაკლებად მწარეა, ვიდრე წამალი.

პატარა სატყვეობი ლალოგენ

ბასტილიდან გამოსული გრენგუარი სენტ-ანტუანის ქუჩაზე თავაწყვეტილი ცხენის სისწრაფით დაეშვა. ბოდუაიეს კიშკარს რომ მიადგინა, პირდაპირ მოედანზე აღმართულ ქვის ჯვარცმისაკენ გაემართა, თითქოს სიბნელეში შესძლო გაერჩია შავით მოსილი, თავზე ბარტყულაწამოხურული კაცი, რომელიც ჯვარცმის საფეხურებზე იყო ჩამომჯდარი.

— თქვენ ხართ, მასწავლებლო? — ჰკითხა გრენგუარმა.

შავით მოსილი პიროვნება წამოდგა.

— ვნებანო უფლისანო! მოუთმენლობისაგან ვშფოთავ, გრენგუარ. სენ-ეერვეს კოშკზე გუშაგმა ნამუღალმეის ორის ნახევარი უკვე იყივლა.

— ოჰ! — უპასუხა გრენგუარმა. — ჩემი ბრალი არ არის, ღამის გუშაგებისა და მეფის ბრალია. კიდევ კარგად დავადგინე თავი. მე ყოველთვის ხელიდან ვუშვებ ჩემი ჩამოხრჩობის შემთხვევას. ასეთია ჩემი ბედისწერა.

— შენ მუდამ ხელიდან უშვებ ყველაფერს, — უთხრა მეორემ. — მაგრამ ჩქარა გაეწიოთ. იცი დათქმული სიტყვა, რომ გაგვიშვან?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მასწავლებლო, მე ვნახე მეფე. იქიდან მოვდივარ. ბაგბაზის მოკლე შარვალ აცვია. მთელი ამბავი გადამხდა თავს.

— ეჰ! ნეტა, რა გატარტარებს! რა მესაქმება შენს თავგადასავალთან? იცი თუ არა მაწანწალების დათქმული სიტყვა გასაშვებად?

— ვიცი. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. „პატარა სატყვეობი ლალოგენ“.

— კეთილი. სხვაფრივ ეკლესიამდე ვერ მივადგინებ. მაწანწალებს ქუჩები გადაუღობავთ, ჩაუხერგავთ. საბედნიეროდ, როგორც ჩანს, ისინი წინააღმდეგობას წააწყდნენ. შეიძლება კიდევ დროზე მივიდეთ.

— რასაკვირველია. მასწავლებლო. მაგრამ როგორ უნდა შევიდეთ ღვთისმშობლის ტაძარში?

— მე თანა მაქვს კოშკების გასაღები.

— როგორღა გამოვალთ იქიდან?

— მონასტერს უკან აქვს პატარა საიდუმლო კარი რომელიც ტერენზე გადის, იქიდან კი მდინარეზე. მისი გასაღებიც წამოვიღე და დილიდანვე ბაგირით მივაბი იქ ნავი.

— ლამაზად კი ავცდი სახრჩობელას! — წამოიწყო ისევ გრენ-გუარმა.

— ჰო, ჩქარა! გავწიოთ! — უთხრა მეორემ.

და ორივე ფართო ნაბიჯით თავქვე დაეშვა სიტესავენ.

VII

შატოპერ, დაიხსენი!

შესაძლებელია, მეითხველმა გაიხსენოს, რა სახითათო ვითარებაში დაეტოვეთ კვაზიმოდო. ყოველმხრივ გარემოცულმა მამაცმა ყრუმ დაკარგა, მხნეობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ხსნის იმედი მაინც, რა თქმა უნდა, ბოშა ქალის ხსნის იმედი, თორემ თავის თავზე არცა ფიქრობდა. თავგზააბნეული დარბოდა ტალანში. ცოტაც და, ღვთისმშობლის ტაძარს მაწანწალები აიღებდნენ. უცბად მეზობელ ქუჩებში ცხენების თქარათქური გაისმა, გამოჩნდა ჩირალდნების გრძელი მწკრივი და ცხენოსანთა მიჯრილი რაზმები მიშვებული სადავეებითა და წინდახრილი შუბებით, საშინელი ხმაურითა და ყიჟინით გრივალავით შემოიჭრნენ მოედანზე: — საფრანგეთისათვის! საფრანგეთისათვის! აჩეხე ხეპარები! შატოპერ, დაიხსენი! პრევეოსათვის! პრევეოსათვის!

შეშფოთებული მაწანწალები შემობრუნდნენ.

კვაზიმოდომ, რომელსაც არაფერი ესმოდა, დაინახა გაშიშვლებული ხმლები, ჩირალდნები, შუბების წვეტები, მთელი ეს ცხენოსანი ჯარი, რომლის მეთაურშიც მან კაპიტანი ფებუსი შეიცნო. ნახა, როგორ აირივნენ მაწანწალები, როგორ შეშინდნენ ერთნი, ხოლო როგორ შეცბნენ უკეთესნი, და ამ მოულოდნელ დახმარებაში მან ისეთი ძალთამოკრეფა იგრძნო, რომ ეკლესიიდან უკუაგდო გალერეიაზე უკვე ამოსული პირველი მომხვედურნი.

მართლაც ესენი მეფის რაზმები იყო, რომლებიც მოულოდნელად გამოჩნდნენ.

მაგრამ მაწანწალები ვაჟკაცურად იქცეოდნენ. ისინი მედგრად იცავდნენ თავს. სენ-პიერ-ო-ბეფის ქუჩის მხრით ფრთიდან რომ დაარტყეს, ხოლო კარიბჭის ქუჩით ზურგიდან, ღვთისმშობლის ტაძარს მიაწყდნენ, რომლის ალყას კიდევ განაგრძობდნენ და რომელსაც კვაზიმოდო იცავდა, ერთსადაიმავე დროს გარემომცველნიც იყვნენ და გარემოცულნიც, ისინი იმავე უცნაურ მდგომარეობაში ჩაუარდნენ, რომელშიც გვიან 1640 წელს, ტურიინის ყბადაღებულში

გარემოცვის დროს გრაფი ანრი დ'არკური აღმოჩნდა. მან ალყა შე-
მოარტყა პრინც თომას სავოიელს, ხოლო თვითონ დარჩა გარშემორ-
ტყმული მარკიზ ლეგანეზის ჯარების მიერ, *Taurinum obsessor
idem et obsessus**, როგორც ამბობს მისი საფლავის ქვის წარწერა.

საშინელი ხელჩართული შეტაკება იყო. „ძაღლის კბილს მგლის
რბილი დახვდა“ („მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა“), როგორც ამ-
ბობს პიერ მატეი. მეფის ცხენოსნები, რომელთა შორის ვაჟაკურად
იქცეოდა ფებუს დე შატოპერი, არავის არ ინდობდნენ, ვინც ხმაღს
გადაურჩებოდა, იმას მახვილის წვერით მისწვდებოდნენ. ცუდად
შეიარაღებული მაწანწალები შმაგობდნენ და იკბინებოდნენ. კაცი,
ქალი, ბავშვი ცხენების გავას და მკერდს ახტებოდნენ და კატებივით
კბილებსა და ოთხივე კიდურის ბრკეალებს ასობდნენ. სხეები მსრო-
ლელ მშვილდოსნებს სახეში ჩირაღდნებს ატაკებდნენ, რკინის კა-
ვეებსა და სამკვალებს უყრიდნენ მხედრებს კისერში და ძირს ჰყრიდ-
ნენ. ჩამოყრილებს ასო-ასო ფლუჯდნენ.

ვიდაცას ფართო ელვარე ცელი აღმართა და დიდი ხანია ცხე-
ნებს ფეხებს სცელავდა. იგი საშინელი იყო. რაღაც სიმღერას დუ-
დღუნით მღეროდა და შეუწყვეტლივ გაჰქონდა და გამოჰქონდა თა-
ვისი ცელი, ხან შემართავდა და ხან დაუშვებდა. ყოველ მოქნევავზე
მის ირგვლივ დაჩხილი სხეულის ნაწილთა დიდი წრე ჩნდებოდა. ასე
აუჩქარებლად და მშვიდად მიიწვედა წინ ცხენოსანთა ხშირი
რიგებისაკენ, თავს იქით-აქეთ არხევდა, თანაბარზომიერად ქმინავდა
როგორც მომკელი, რომელიც პურს ცელით მკის. ის კლოპენ ტრუ-
ილფუ აყო. სიათის ტყვიამ დასცა იგი ძირს.

ამასობაში ფანჯრები ისევ გაიღო. მეზობლებმა მეფის მხედრო-
ბის ყიჟინა რომ გაიგონეს, საქმეში ჩაერივნენ, და ყველა საოთუ-
ლიდან მაწანწალებს ტყვიები სეტყვასავით დააყარეს. კარიბჭის წი-
ნა მოედანი დაიფარა სქელი კვამლით, რასაც თოფჯაზაირის ცეცხ-
ლის ალი ზოლებით ხაზავდა. ამ ბოლში ბუნდოვნად მოჩანდა ღვთის-
მშობლის ტაძარი და მიხრწნილი ოტელ-დიე, რომლის ქერცლოვან
სახურავზე დატანებული მაღალი სამერცხულებიდან დაუძღურე-
ბული ავადმყოფები იცქირებოდნენ.

ბოლოს მაწანწალები შედრკნენ. დაღლილობამ, კარგი იარაღის
ნაკლებობამ, მოულოდნელი თავდასხმისაგან გამოწვეულმა შიშმა,
ფანჯრებიდან თოფჯაზაირებით სროლამ, მეფის მხედრების მდგარ-
მა დარტყმამ — ყოველივე ამან ისინი გატეხა. თავდამსხმელთა ხაზი

* ტურინის გარემომცველი, იგივე გარემოცული (ლათ.).

გაარღვიეს და ყველა მიმართულებით მიმოიფანტნენ. კარიბჭის მოედანზე გროვა-გროვა მოკლულნი დატოვეს.

კვაზიმოდოს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა, როდესაც დაინახა მაწანწალების ლტოლვა, მუხლებზე დაეცა და ზეცისაკენ ხელები ალაპყრო. შემდეგ, სიხარულისაგან დამთვრალი ჩიტივით აფრინდა იმ საკანში, რომლის მისადგომებს ესოდენ გულადად იცავედა. ახლა მას ერთადერთი აზრი ასულდგმულებდა, დაეჩოქა იმის წინაშე. ვინც ეს-ეს იყო მან მეორედ გადაარჩინა.

როდესაც საკანში შევიდა, იგი ცარიელი დაუხვდა.

ნ ა ო ნ ა

პეერაქე

I

პატარა მარია



მ წუთს, როდესაც მაწანწალებმა ეკლესიის გარემოცვა დაიწყეს, ესმერალდას ეძინა.

სულ უფრო მზარდმა ხმაურმა შენობის ირგვლივ და მასზე უფრო ადრე გაღვიძებული თხის მოუსვენარმა კიკინმა მალე ძილი დაუარღვია. თავის ლოგინში წამოჯდა, ყური მიუგდო, მიმოიხედა, მერე სუსტი სინათლის ამონაშუქისა და ხმაურისაგან შეშინებული საკანიდან გარეთ გავარდა და, რა დაინახა! თვით მოედნის სახემ, იქ მოძრავმა აჩრდილებმა, ღამის იერიშის უწესრიგობამ, არეულობამ, ბილწმა ბრბომ, რომელსაც წყვედიადში ბუნდოვნად არჩევდა და უამრავ ბაყაყებივით დახტოდნენ, ამ სიმრავლის ხრინწიანმა ყიყინმა, რამდენიმე წითელმა ჩირალდანმა, რომლებიც აქეთ-იქით მიმოჰქროდნენ და ერთმა-

ნეთს ეჯვარედინებოდნენ საბნელეში როგორც დამის მოხეტიალე ცეცხლები ქაობის ნისლიან ზედაპირზე, — მთელმა ამ სანახაობამ მასზე მოახდინა კედლიანთა დამის სერობის მოჩვენებებსა და ეკლესიის ქვის ურჩხულთა შორის გამართული იღუმალი ბრძოლის შთაბეჭდილება. ბავშვობიდანვე ბოშათა ტომის ცრუმორწმუნეობით გაუღენთილმა პირველად იფიქრა, რომ შემთხვევით წაესწრო ჯადოსანთა რაღაც უცნაურ დამის წეს-ჩვეულებას. თავზარდაცემული თავის საკანში შევარდა ისევ და გაინაბა. თავის უბადრუკ საწოლს ევედრებოდა არ მოეცლინა მისთვის ასეთი საშინელი, უემური მაჯლაჯუნები.

მაგრამ შიშის პირველი ბურანი ნელ-ნელა გაიფანტა. შეუწყვეტილ ეშვარდმა ხმაურმა და სინამდვილის მრავალმა ნიშანმა აგრძობინა, რომ მას შემოსჯარვიან არა მოჩვენებანი, არამედ ადამიანური არსებანი. მაშინ იგი შეიპყრო შიშმა. მართალია ეს შიში აღარ გაზრდილა, მაგრამ ახლა უკვე სხვა ფორმა მიიღო. მან იფიქრა, შესაძლებელია ხალხი აჯანყდა, რათა იგი თავშესაფრიდან ძალით გამოათრიონ. ის აზრი, რომ შეიძლება კიდევ დაკარგოს სიცოცხლე, იმედი, ფებუსი, რომელიც მუდამ თან ახლდა მის მომავალზე ოცნებას, უღრმესი უსასოობა და უმწეობა, უძლურება, გაქცევის შეუძლებლობა, არავითარი დანხარება, არავითარი თანადგომა, ბედის ანაბარად მიგდება, განმარტოებულობა, — ათასი ამგვარი ფიქრები. სტანჯავდნენ მას. მწუხარებისაგან შეპყრობილი და ათრთოლებული მუხლებზე დაეცა. სახით ლოგინზე დაემხო და ხელები თავზე იტაცა. თუმცა ბოშა ქალი კერპთაყვანისმცემელი და წარმართი იყო, მაინც მოწყალეობას სთხოვდა ქრისტიანულ კეთილ ღმერთს, ქვითინებდა და გულმხურვალედ ევედრებოდა ღვთისმშობელს, თავის შემფარებელს. რადგან ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც თვით ურწმუნოც კი გაიმსჭვალება იმ ტაძრის სარწმუნოებით, რომელიც მის ახლოს იმყოფება.

ასე მუხლმოყრილი ძალიან დიდხანს დარჩა იგი, აკანკალებული, სიშართლეს თუ ვიტყვით, არა იმდენად ლოცვა-ვედრების გამო. რამდენადაც იმის გამო, რომ მას ძარღვებში სისხლს უყინავდა სულ უფროდაუფრო მოახლოებული, გარშემომდგარი და გამძვინვარებული უამრავი ბრბოს სუნთქვა. თუმცა არაფერი არ გაეგებოდა ამ გაშმაგებისა, არ იცოდა, რა იხლართებოდა, რა მზადდებოდა, რას აკეთებდნენ, რა სურდათ, რა ეწადათ, მაგრამ წინასწარ ბუნდად გრძობდა საშინელ დასასრულს.

აი ამ მწუხარებით რომ იყო მოცული, თავის ახლოს ფეხის ხმა შეესმა. მიბრუნდა. საკანში შემოვიდა ორი ადამიანი, რომელთაგან ერთს სანათი ეჭირა. ქალმა სუსტად შეჰკივლა.

— ნურათურის გეშინიათ. — უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა ისეთი ხმით, რომელიც მისთვის უცნობა არ ჩანდა, — მე ვარ.

— ვინ თქვენ? — ჰკითხა ქალმა.

— პიერ გრენგუარი.

ამ სახელის გაგონებამ დაამშვიდა. თვალები მიაპყრო მას და მართლაც იცნო პოეტი. მაგრამ მის გვერდით იდგა თავით ფეხთამდე შავით შებურული ვიღაც კაცი. მისმა დუმილმა გააოცა.

— აჰ! — წარმოთქვა გრენგუარმა საყვედურის კილოთი, — ჯალიმ თქვენზე აღრე მიცნო!

მართლაც პატარა თხას არ დაუცდია, სანამ გრენგუარი გაეხშიანებოდა. როგორც კი შემოვიდა, მუხლებზე ნახად გაცხახუნა. პოეტი ალერსითა და თეთრი ბეწვით დაფარა, რადგან იმჟამად ბალანი სცივოდა. გრენგუარმაც ალერსით უპასუხა.

— ეს ვინ არის თქვენთან? — დაბალი ხმით ჰკითხა ბოშა ქალმა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა გრენგუარმა. — იგი ერთ-ერთი ჩემი მეგობარი გახლავთ.

მერმე ფილოსოფოსმა სანათი ძირს დადგა, ფილაქანზე ჩაცუქქდა, ჯალი მკლავებში გაწურა და ალტაცებით წამოიძახა:

— ოჰ! რა მშვენიერი ცხოველია! უთუოდ თავისი მეტი სიფაქიზით უფრო გამოირჩევა იგი, ვიდრე სიდიდით, მაგრამ გონიერია, მოხეობებული და სწავლული, როგორც რომელიმე გრამატიკოსი აბა, ერთი ვნახოთ, ჩემო ჯალი, ხომ არ დაგავიწყდა შენი ლაზათიანი ოინები? როგორ იქცევა მეტრ ჟაე შარმოლიუ?

შავით მოსილმა კაცმა არ დაამთავრებინა. იგი გრენგუარს მიუანსლოვდა და მაგრად დაჰკრა ხელი მხარზე. გრენგუარი წამოდგა.

— მართლა, — თქვა მან, — სულ დამაეიწყდა, რომ უნდა ავჩქარდეთ. მაგრამ ეს მაინც საბუთი არ არის იმისა, ჩემო მასწავლებლო, რომ ასე უხეშად მოეპყროთ ადამიანებს.

— ჩემო მშვენიერო ბავშვო, თქვენი სიცოცხლე, ასევე ჯალის სიცოცხლეც განსაცდელშია. კვლავ შეპყრობას გიპირებენ, ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ და გადასარჩენად მოვედით. გამოგვეყვიეთ.

— ნუთუ მართალია? — წამოიძახა აფორიაქებულმა ქალმა.

— დიახ, სრულიად მართალი გახლავთ. ჩქარა წავიდეთ!

— მე კი სიამოვნებით წამოვალ, — ჩაიბუტბუტა ქალმა, — მაგრამ რატომ არაფერს ამბობს თქვენი მეგობარი?

— ეჰ! — თქვა გრენგუარმა, — იმიტომ, რომ მისი დედ-მამა ახირებული იყვნენ და მაგასაც ჩუმი ხასიათი დაჰყვა.

ქალი იძულებული იყო ამ ახსნას დასჯერებოდა. გრენგუარმა

ხელი მოჰკიდა. მისმა თანამგზავრმა ლიფლიფა აიღო და წინ გაუძღვა. შიშისაგან ყმაწვილი ქალი გაშტერებული იყო. ნება დართო მათ, რომ წაეყვანათ. თხა კუნტრუშით აედევნა. იმდენად გაუხარდა გრენგუარის ხელახლა ნახვა, რომ ფეხებში ურქენდა და რამდენჯერმე პოეტმა წაიბორძიკა კიდევაც ამის გამო.

— აი ასეთია ცხოვრება, — იტყოდა ხოლმე პოეტი ყოველთვის, როცა კი წაიბორძიკებდა, — ხშირად საუკეთესო მეგობრებიც კი ფეხს გვიდებენ.

ისინი სწრაფად დაეშენენ კოშკთა კიბეზე. გადაჭრეს ეკლესია. რომელიც ჩაბნელებული და უკაცური იყო, მაგრამ რომელიც გამოსცემდა ბრძოლის ხმაურსა და ყვირილს, რაც საშინელ დაპირისპირებას ჰქმნიდა ტაძრის მღვმარებასთან შედარებით. წითელი კიშკრით მონასტრის ეზოში გავიდნენ. მონასტერი მიტოვებულ-მიგდებული იყო. ბერები მიმალულ იყვნენ საეპისკოპოსოში და საერთო ლოცვა-ვედრებას აღავლენდნენ. ეზოც ცარიელი იყო, მხოლოდ რანდენიმე დამფრთხალი მსახური მიკუნჭულიყო ბნელ კუთხეებში. ლტოლვილნი ტერენზე გამავალი კარისაკენ გაემართნენ. შავით მოსიღმა კაცმა გასაღებით კარი გააღო. ჩვენმა მკითხველებმა იცინა, რომ ტერენი წაგრძელებული კონცხი იყო, სიტეს მხრიდან გაღვენით შემოზღუდული და ღვთისმშობლის ტაძრის ბერთა ორდენის სამსჯავრო კაპიტულს ეკუთვნოდა. მონასტრის უკან იგი კუნძულს აღმოსავლეთიდან ამთავრებდა. გაღავანი სრულიად უკაცრიელი იყო. იქ უკვე ნაკლებად ისმოდა ჰაერში ჩოჩქოლის ხმა. მაწანწალათა იერიშის ხმები აქ ერთმანეთში არეულ შორეულ გუგუნევით აღწევდა და ისეთი გამაყრუებელი აღარ იყო. მდინარიდან მონაბერი გრილი ნიავი არხევდა ტერენის სულ ბოლო კიდურზე დარგული ერთადერთი ხის ფოთლებს, რომელთა შრიალი გარკვევით ისმოდა. მაგრამ ხიფათი ჯერ კიდევ ძალიან ახლოს იყო. მათ ახლო მდებარე შენობები საეპისკოპოსო სასახლე და ეკლესია იყო. ცხადია, ეპისკოპოსის სასახლეში დიდი არევ-დარევა სუფევდა. მის ბნელ ფასადზე კვალს ავლებდა ერთი ფანჯრიდან მეორისაკენ გაელვებული ცეცხლები, იმის მსგავსად, როგორც დამწვარი ქაღალდის ფერფლზე დიდხანს მიმოქრიან ცინცხალი ნაპერწკლები ათასნაირი და უცნაური სვლებით. გვერდით, ღვთისმშობლის შენობის მთავარ მოვრძო ნავზე აღმართული ორი უზარმაზარი კოშკი შავად იყო გამოკვეთილი მკრთალი მოწითალო სინათლის უშველებელ გამონაშუქზე, რომელიც დაღვრილი იყო კარიბჭის მოედანზე. ეს კოშკები ციკლოპების კერაში დადგმულ ორ უზარმაზარ ზელადგარს ჰგავდა.

ყველაფერი. რაც კი ჩანდა ყოველ მხრივ გაშლილ პარიზში, თვალს ჩრდილისა და სინათლის ნარეველ წარმოუდგებოდა. რემ-ბრანდტის სურათებს აქეთ ასეთი ფონი.

სანათურიანი კაცი პირდაპირ ტერენის კონცხის წვეროსაკენ გაემართა. იქ, წყლის ნაპირის გასწვრივ მისდევდა ყავარით აკრული ნახევრად დამპალი და ქიანაქამი მესერი, რომელსაც გარეული დაბალი ვაზის რამდენიმე დამკვნიარი შტო გაშლილი ხელის თითებივით ჩასქიდებოდა. უკან, ამ ლობის ძირს სიბნელეში, მიმაღულა იყო პატარა ნაეი, ორჩხომელი. შევწამოსასხამიანმა კაცმა გრენგუარსა და მის თანამგზავრს ანიშნა ჩამსხდარიყენენ. თხაც მათ მიჰყვა. ის კაცი უკანასკნელი ჩაჯდა. ბაგირი, რომლითაც მიბმული იყო ნაეი, გადაჭრა, გრძელი ბარჯის კვრით ნაეი ნაპირს მოსწყვიტა, ორი ხოფი მოიმარჯვა, წინ დაჯდა და მთელი ძალ-ღონით ნიჩბებს შუა მდინარისაკენ მოუსვა. ამ ადგილას სენა ძალიან ჩქარია და საკმაო ჯაფა დასჭირდა, რომ კუნძულის კონცხი დაეტოვებინა.

გრენგუარის პირველი საზრუნავი, როცა ნაეიში ჩაჯდა, ის იყო, რომ თხა მუხლებზე დაესვა. მან უკან, კჩოზე დაიკავა ადგილი. ყმაწვილი ქალი კი, რომელსაც უცნობი მამაკაცი გაურკვეველ შიშს აღუძრავდა, პოეტის გვერდით დაჯდა და მას მიეყრდნო.

როდესაც ჩვენმა ფილოსოფოსმა იგრძნო, ნაეი ტალღებში შეცურდა, ხელი ხელს შემოჰკრა და ჯალის რქებს შუა აკოცა.

— ოჰ! — თქვა მან, — აი, ჩვენ ოთხივე გადარჩენილი ვართ. და შემდეგ ღრმაზროვანი გამომეტყველებით დასძინა:

— დიდი წამოწყების ბედნიერად დაბოლოებას ხან შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ, ხან კი ეშმაკობას.

ნაეი ნელა მიცურავდა მარჯვენა ნაპირისაკენ. ყმაწვილი ქალი იღუმალი შიშით აღევნებდა თვალს უცნობ მამაკაცს. მას გულმოდგინედ ჩამოეთარებინა და დაეჩრდილა თავისი საიდუმლო ლიფლიფის შუქი და ნავის წინა ნაწილზე ლანდივით მოჩანდა. მისი მუდამ ჩამოეთარებული ბარტყულა ნიღაბს ჰგავდა. ყოველთვის, როცა კი ხოფის მოსასმელად მკლავებს გაშლიდა, ფართო შავი სახელოები ჩამოეკიდებოდა, მაშინ ისინი დამურის ორ დიდ ფრთას ჰგავდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვა არ უთქვამს, კრინტი არ დაუძრავს. ნაეი ისმოდა მხოლოდ ხოფების აწევ-დაწვევის თანაბარ-ზომიერი თქაფუნეი და წყლის ათასობით ჰველების ჩქარი-ალი ნავორჩხომელის გასწვრივ.

— სულსა ვფიცავ! — წამოიძახა უეცრად გრენგუარმა, — ჩვენ ყველა მხნე და მხიარული ვართ, როგორც კიოტები! გავჩუმებულ-ვართ კი როგორც პითაგორელები! ან თევზები. უფლის აღდგომის

მადლმა. ჩემო პეგობრებო, მე ძალიან მინდა, რომელიმე თქვენგანი დამელაპარაკო. — ადამიანის ხმა მუსიკაა ადამიანის ყურისათვის! ეს სიტყვები ჩემი არ არის, ისინი დიდიმ ალექსანდრიელს ეკუთვნის, შესანიშნავი გამოთქმა! — ცხადია, დიდიმ ალექსანდრიელი სულაც არ გახლავთ საშუალო ფილოსოფოსი. — მითხარით თუნდაც ერთი სიტყვა, მშვენიერო ბავშვო! მითხარით, გვედრებით, ერთი სიტყვა. — მართლა, სიტყვამ მოიტანა, თქვენ ოდესღაც მომზიბლავდ არეზდით ხოლმე ბავეს. ახლაც აკეთებთ მას? იცით თქვენ, ჩემო სანუკვარო, რომ ყველა თავშესაფარი ადგილი უმაღლესი სასამართლო პალატის გამგებლობაში შედის და ამიტომ ღვთისმშობლის ტაძრის საკანში ჯდომით დიდ განსაცდელში იგდებდით თავს? ვაი რომ პაწია ჩიტი კოლიბრი ნიანგის ხახაში იკეთებს ბუდეს. — მასწავლებლო. აგერ მთვარეც გამოჩნდა. ოლონდ არკი შეგვაძინონ! ჩვენ სანაქებო საქმეს ვიდენტ ამ ქალიშვილის გადარჩენით, მაგრამ თუ ხელი გეტაცეს, მაინც ჩამოგვახრჩობენ მეფის სახელით. ვაი რომ ყოველ ადამიანურ მოქმედებას თუ საქციელს ორგვარად შეიძლება მოეპყრან: რისთვისაც მე მდლავენ, შენ გვირგვინს გადაგაშენ. ვინც კეისარს თაყვანს სცემს, ის კატილინას¹ ჰგობს. ასე არ არის, ჩემო მასწავლებლო? რას იტყვიან ამგვარ ფილოსოფიაზე? მე ფილოსოფია აღლოთი, ბუნებით ვიცი, როგორც ფუტკრებმა გეომეტრია, ut apes geometriam. — რაო, ხმას არ მცემთ? როგორც ვხედავ, ორივე ცუდ გუნებაზე ხართ! გამოდის, რომ მარტო მე უნდა ვილაპარაკო. ეს ის არის, რასაც ჩვენ ტრაგედიაში მონოლოგს ვუწოდებთ. უფლის აღდგომის მადლმა!.. მოგახსენებთ, რომ ახლახან ვნახე მეფე ლუი მეთერთმეტე და მისგან გადმოვიღე ეს ფიცილი. — მაშ, უფლის აღდგომის მადლმა! ისინი ისევ განაგრძობენ ღმუილის სიტეში. ავი და საძაგელია ეს ბებერი მეფე. მთლად ბეწვეულებშია შეფუთული. ჩემი ეპითალამის ფული ისევ მართებს, მან კი ამ საღამოს კინალამ უბრძანა ჩემი ჩამოხრჩობა, რაც ფრიალ შემეშლიდა ხელს. ღირსეული ადამიანების დაჯილდოებაში ძუნწია, საღვიან კელნელის ოთხი წიგნი Adversus avaritiam * უნდა წაიკითხოს. კემმარტად! სიტყვაკაზმული მწერლობის წარმომადგენლებზე, ლიტერატორებზე ძალიან ვიწრო შეხედულება აქვს. და მეტისმეტ ბარბაროსულ სიმკაცრეს იჩენს. იგი ხალხიდან ფულის ამომწოვ ღრუბელსა ჰგავს. მისი ხაზინა ის ელენტაა, რომელიც ყველა სხვა ნაწილების სიმკლევის ხარჯზე სივდება. ამიტომაც ჩივილი დუხქირ ღროებაზე მეფის წინააღმდეგ დრტვინვად იქცევა. ამ ჩუმჩუმმა ფა-

* სიხარბის წინააღმდეგ (ლათ.),

რისეველი ხელმწიფის ხელში სახრჩობელები ვრიალებენ ჩამოხრჩობილთა სიმძიმისაგან, საჯალათო კუნძები სისხლისაგან ღებება, ციხეები მეტისმეტად სავსე მუცლებივით ტყვრება და სკდება. მეფე ერთი ხელით ძარცვავს, მეორით ახრჩობს. იგი ქალბატონი გადასახადისა და ბატონი სახრჩობელის რწმუნებულთა. დიდებულთ ღირსებას ართმევს, პატარებს ახალი გაუთავებელი გადასახადების ტვირთქვეშ სრესავს. იგი ზომას გადაცდენილი მეფეა. არ მიყვარს მე ეს მონარქი. თქვენ, ჩემო მასწავლებლო?

შავსამოსელიანი კაცი ყბედ პოეტს ხელს არ უშლიდა. იგი განაგრძობდა მდინარის ვიწრო ტოტის მძაფრ დინებასთან ბრძოლას. ეს ტოტი სიტეს წინამხარს ჰყოფს ღვთისმშობლის კუნძულის კიჩოსაგან, რომელსაც დღეს წმინდა ლუის კუნძულს ეძახიან.

— მართლა, მასწავლებლო! — უცბად გაიხსენა გრენგუარმა. — იმ წუთს, როდესაც კარიბის მოედანზე გაცოფებული მაწანწალების ბრბოში გზას მივიარდევდით, შენიშნა თუ არა თქვენმა მალალ ღირსებამ საწყალი ბიჭი, რომელსაც თქვენი ყრუ მეფეთა გაღერების მოაჯირზე უპირებდა თავით მინარცხებას, ტვინის მიქცულტას. მე ბეცი ვარ და ვერ ვიცანი, ხომ არ იცით, ვინ შეიძლებადა ყოფილიყო?

უცნობს ერთი სიტყვითაც არ უპასუხნია. მაგრამ უცბად ხოფვა შეწყვიტა, მკლავები დაუდუნდა, თითქოს დაემტვრაო; თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ესმერალდამ გულამოსცენილი გმინვა გაიგონა. თავის მხრივ ისიც აკანკალდა. სადღაც უკვე გაეგონა ეს ოხვრა და გმინვა.

მიტოვებული ორჩხომელი რამდენიმე წუთს წყლის დინებას თავისით მისდევდა. მაგრამ შავსამოსელიანი კაცი ბოლოს წელში გასწორდა, ხოფები კვლავ ჩაბღუჯა ხელში და მდინარის შეღმა იწყო მოსმა. ღვთისმშობლის კუნძულის კონცხს შემოუარა და გეზი თივის ნავმისადგომისაკენ აიღო.

— აჰ, — თქვა გრენგუარმა, — აგერ ბარბოს საცხოვრებელიც. ერთი შეხედეთ, მასწავლებლო, იმ შავი სახურავების ჯგუფს, რომლებიც ასეთ უცნაურ კუთხეებს ჰქმნიან, აი იქ, დაბლა ჩამოწოლილი, ზოლებიანი და მღვრიე ჭუჭყიანი ღრუბლების ქვეშ, რომელთა შორის გაქცულტილი და გადღლაბნილი მთვარე გართხმულა, თითქოს გატეხილი კვერცხის ნაქუჭიდან ყვითელი გული გადმოღვრილაო. — ლამაზი სასახლეა. შიგნით აქვს სამლოცველო, დაგვირგვინებული მშვენიერი ჩუქურთმებით მორთული თალით. მის მალა. შეგიძლიათ დაინახოთ ფრიად ფაქიზად დაქვრეთილი სპირაკლო. იქ არის აგრე-

თვე სასიამოვნო ბალი, სადაც მოიპოვება გუბუკრა, საფრინველე, „ეხო“, ბურთის სათამაშო ადგილი, ლაბირინთი. გარეული მხეცების სახლი, მრავალი ხშირი ხეივანი, ქალღმერთ ვენერას საამებლად. იქ არის აგრეთვე ერთი ფლიდი ხე. რომელსაც „ავხორცი“ ჰქვია, რადგან ის თავისი ხშირი ფოთლებით იფარავდა ერთი წარჩინებული სეფექალისა და საფრანგეთის ერთი ლამაზი და გონებამახვილი კონტაბლის სასიყვარულო დროისტარებას.— ვაგლახ! რა ფასი გვაქვს ჩვენ, საბრალო ფილოსოფოსებს რომელიმე კონტაბლთან შედარებით, იგივე, რაც კომბოსტოს და ბოლოკის კვალს ლუვრის ბაღებთან შედარებით. თუმცა ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს! ადამიანის ცხოვრება, როგორც დიდისა, ისე ჩვენი, კარგისა და ავის, კეთილისა და ბოროტის ხელჩართული ბრძოლაა. მწუხარება მუდამ თან ახლავს სიხარულს, როგორც სპონდე დაქტილს. ჩემო მასწავლებლო, მე უნდა მოგიყვეთ ბარბოს სასახლის ისტორია. იგი ტრაგიკულად მთავრდება. ეს იყო 1319 წელს, ფილიპ V-ის, საფრანგეთის ყველაზე აყლაყულა მეფის დროს. მთელი ამ ამბის მორალი ის არის, რომ ხორცის ცთუნება სასიფათო და ვერაგია. ნუ უქვრეტ და ნუ დაადგამ თვალს ცოლსა მეზობლისასა, როგორც უნდა აღიზიანებდეს მისი სილამაზე გრძნობებს. მრუშობა გარყვნილი გრძნობაა. ცოლ-ქმრული ერთგულების დალატი სხვისი ავხორციობის ცნობისმოყვარეობაა... — ერიპა! იქ ხმაური კიდევ უფრო ძლიერდება.

მართლაც ჩოჩქოლი ღვთისმშობლის ტაძრის ირგვლივ იზრდებოდა. მათ ყური მიუგდეს. საკმაოდ გარკვევით ესმოდათ გამარჯვების კიჟინა. უცბად ასობით ჩირაღდნები, რომელთა შუქზე ჯარისკაცთა მუზარადები ელვარებდა, მთელ ეკლესიაში, ყველა სიმაღლეზე, კოშკებზე, ტალანებსა და საყრდენ თაღებს ქვეშ აციმციმდა. როგორც ჩანდა, ჩირაღდნიანები ვილაცას ეძებდნენ. და მალე ლტოლვილთა ყურამდე გარკვევით მოაღწია ყვირილის ხმებმა:

— ბოშა ქალი, ჯადოსანი, კუდიანი, სიკვდილი ბოშა ქალს!

უბედურმა ქალმა თავი ხელებში ჩარგო, უცნობმა კი უფრო გაშმაგებით მოუსვა ხოფებს ნაპირისაკენ. ამ დროს ჩვენი ფილოსოფოსი ფიქრობდა. თხას მკლავებს ხვევდა, მკერდზე იხუტებდა და ჩუმჩუმად შორდებოდა ბოშა ქალს, რომელიც სულ უფრო და უფრო ეკვროდა მას როგორც უკანასკნელ თავშესაფარს.

გრენგუარი უეპველად უღმობელ ძრწოლას განიცდიდა. იგი იმას ფიქრობდა, რომ „არსებული კანონმდებლობის თანახმად“ თხასაც ჩამოახრჩობენ, თუ კი შეიპყრობენ, რაც დიდად სანმუხბარო იქნება. საბრალო ჯალი! ამასთან ორი მსჯავრდადებულის აკიდება

მისთვის მეტისმეტი იქნება, ბოლოს, მისი თანამგზავრი უკეთესს არაფერს ისურვებს და სიამოვნებით იკისრებს ბოშა ქალის აყვანას. ამ ფიქრებს მინდობილი მძაფრ სულიერ ბრძოლას განიცდიდა, რომელშიც, ვითარცა იუპიტერი „ილიადაში“¹, ჯერჯერით წონიდა ხან ბოშა ქალს და ხან თხას, და რიგრიგობით ხან ერთს უყურებდა ცრემლისაგან დასველებული თვალებით, ხან მეორეს, კრიკაშეკრული ბუბუბუბებდა თავისთვის: „მაგრამ მე ხომ არ შემძლია ორივე გადაგარჩინოთ“.

ბოლოს, მკვეთრმა დაჯახებამ აგრძნობინა მათ, რომ ნაეი ნაპირს მიადგა. ავბედითი ღრიანცელი. ისევე ეფინებოდა სიტეს. უცნობი წამოდგა, ბოშა გოგონასთან მივიდა, უნდოდა ხელი გაეწოდა და ნავიდან გადმოსვლაში ეშველა. ქალმა ხელი ჰკრა მას და გრენგუარის სახელოს ჩამოეყიდა, მაგრამ ის თავის მხრივ თხაზე ზრუნვაში იყო გართული და თითქმის ხელიც კი ჰკრა მას. მაშინ გოგონა თვითონ გადმოხტა ნავიდან ძირს. იმდენად აღელვებული იყო ესმერალდა, რომ არ იცოდა არც ის, რას აკეთებდა და არც ის, საით მიდიოდა. ერთ წუთს გაოცებული შეჩერდა, წყლის დენას დააკვირდა. როდესაც ცოტა გონს მოვიდა, დაინახა, რომ მარტოდმარტო იყო ნავმისადგომზე უცნობ მამაკაცთან. როგორც ჩანდა, გრენგუარმა ნავიდან ნაპირზე გადმოსვლის ეჟის ისარგებლა და თხასთან ერთად გაიპარა ერთმანეთზე მიკრულ სახლებს შორის წყლისპირა ბელღის ქუჩაზე.

საწყალ ბოშა გოგონას გააქრეოლა, როცა დაინახა, რომ მარტოდმარტო იყო ამ მამაკაცთან. უნდოდა რამე ეთქვა, ეყვირა, გრენგუარისთვის დაეძახა, მაგრამ ენა პირში უძრავად ეღო და მის ბაგეებს კრინტიც არ დასცდენია. უცბად იგრძნო უცნობის გაყინული და ღონიერი ხელის შეხება თავის ხელზე. კბილები აუკაწკაწდა; სახე იმ მთვარის სხივზე უფრო მეტად გაუფითრდა, მას რომ ანათებდა. მამაკაცს ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მაგრად ჩასჭიდა ქალს ხელი და გრევის მოედნისაკენ გასწია დიდი ნაბიჯებით. ამ წამს გოგონამ ბუნდოვნად იგრძნო, რომ ბედისწერა უძლეველი ძალაა. ყოველგვარი მამოძრავებელი ზამბარა გამოეცალა, წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა და სწრაფად მიმავალ უცნობ მამაკაცს სირბილით მისდევდა. ამ ადგილას სანაპირო ზევით მიიწევს. გოგონას კი ეგონა დაღმართზე თავქვე ეშვებოდა.

ქალმა ყველა მხარეს მიმოიხედა. ქუჩაში ჰაჰანება არ იყო, არც ერთი გამკლელი არ ჩანდა. სანაპირო სრულიად უკაცრიელი იყო. მას ესმოდა ხმაური და გრძნობდა ადამიანთა მოძრაობას მხოლოდ აჩოჩქოლებულ სიტეში, სადაც ცა გაწითლებულიყო და, რომლის-

განაც მას მხოლდ სენის ტოტი ჰყოფდა. იქიდან არევედარევეით ისმო-
და მისი სახელის ძახილი და მოკვლის მუქარა. მის ირგვლივ დიდ
შავ ლოდებად პარიზი გაშლილიყო.

ამასობაში უცნობი კაცი ისევ სწრაფად და მღუმარედ მიათრევდა
მას. ქალმა ვერ იცნო ვერც ერთი ის ადგილი, სადაც გაიარა. ერთი
განათებული ფანჯრის წინ რომ გაიარეს, მან ძალა მოიკრიფა, უეც-
რად განზე გაიწია და დაიძახა:

— მიშველეთ!

ვილაც მოქალაქემ ფანჯარა გააღო, მარტო პერანგისამარა გამო-
ჩნდა. ხელში ლამა ეჭირა; გამოუყეყეჩებული სახით სანაპიროს გახე-
და, რაღაც სიტყვები წარმოთქვა, რომლებიც მან ვერ გაიგონა, და
ისევ მიხურა დარაბა. იმედის უკანასკნელი სუსტი მუქიც ჩაუქრა.

შავსამოსიან კაცს კრინტი არ დაუძრავს. მაგრად ჩასქიდა ხელი
და კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს. გატანჯულ-გაწამებული ქალი
წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მორჩილად მისდევდა.

ღროდაღრო უკანასკნელ მცირე ძალებს მოიკრეფდა და შესძა-
ხებდა:

— ვინ ხართ თქვენ? ვინა ხართ-მეთქი? — და თან ხმა უწყდე-
ბოდა აქაქანებულს ქვაკარწყულულზე რბენისა და ნჯღრევისაგან.

უცნობი არაფერს უპასუხებდა.

ასე მიდიოდნენ ისინი დიდხანს სანაპირო ქუჩის გასწვრივ და
ამრიგად ერთ საკმაოდ დიდ მოედანს მიაღწიეს. მთვარე მკრთალად
ანათებდა. გრევის მოედანზე იყვნენ. შუაში შავი ჯვარივით ამართუ-
ლი რაღაც გაირჩეოდა. ის სახრჩობელა იყო. ქალმა ირგვლივ ყველა-
ფერი იცნო და მიხვდა, სადაც იმყოფებოდა.

კაცი შეჩერდა. მისკენ მიბრუნდა და ბარტყულა გადაიხადა.

— ოჰ! — წაილულულა ადგილზე გაქვავებულმა გოგონამ, —
ვიცოდი, რომ ისევ ის კაცი იქნებოდა.

მართლაც, მის წინ მღვდელი იდგა. საკუთარ ჩრდილს ჰგავდა.
მთვარის მუქის ბრალი იყო. მთვარის მუქზე ყოველი ნივთი ხომ მო-
ჩვენებასავით გამოიყურება.

— მისმინე, — თქვა კაცმა და ამ საბედისწერო ხმაზე ქალი აკან-
კალდა. დიდი ხანია აღარ გაეგონა ეს ხმა. ხუცესმა განაგრძო. ის
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა და სულს ძლივს ითქვამდა, რაც
მის ღრმა შინაგან მღელვარებას ამქლავებდა.

— მისმინე. ჩვენ მოვედით აქ. მე მინდა გელაპარაკო. ეს გრევიან.
აქ უკიდურესი წერტილია, ამის იქით გზა არ არის. ბედისწერამ ჩვენ
ერთმანეთს გადაგვკიდა. ჩემს ხელთ არის შენი სიცოცხლე, შენს
ხელთ არის ჩემი სული. აგერ მოედანი და აგერ ღამე, მათს იქით

არარაობაა. მაშ. მისმინე. მე მინდა გითხრა... მაგრამ არაფერი მითხრა შენს ფეხებსზე. (ასე რომ ლაპარაკობდა, თან წინ და უკან მიდიოდა და მოდიოდა. ქალიც მიჰყავდა და მოჰყავდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა). ნურაფერს მეტყვი მასზე. ხედავ? თუ წამოგცდა მისი სახელი, არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ საშინელება იქნება.

ეს თქვა და თითქოს სხეულმა სიმძიმის ცენტრი იბოუაო, ისევე უძრავად გაჩერდა, მაგრამ მისი სიტყვები ამქალაქებდნენ მის მღელვარებას. ხმა თანდათან უბოხდებოდა.

— თავს ასე ნუ იბრუნებ იქით. მისმინე. ეს სერიოზული საქმეა. ჯერ-ერთი, აი რა მოხდა... გეფიცები, ეს სულაც არ არის სახუმარო... — ჰო, რას გეუბნებოდი? გამაბსენე! აჰ! არსებობს უმაღლესი სასამართლო პალატის დადგენილება, რომლის ძალითაც შენ კვლავ მოგისაჯეს სახრჩობელა. მე გამოვგლიჯე მათ შენი თავი ხელიდან. მაგრამ ისინი მაინც მოგდევნენ, შეხედე!

მან ხელი სიტესაკენ გაიშვირა. მართლაც. როგორც ჩანდა, იქ ძებნა გრძელდებოდა. ხმაური ახლოვდებოდა. უმაღლესი მოსამართლის ნაცულის სახლის კოშკი, რომელიც გრევის მოედნის პირდაპირ მდებარეობდა, სინათლით იყო გაჩაღებული და ერთი ღრიანცული იდგა იქ. მოპირდაპირე ნაპირზე ჩანდა, როგორ დარბოდნენ ჩირაღდნიანი ჯარისკაცები და ყვიროდნენ: „ბოშა ქალი! სად არის ბოშა ქალი! სიკვდილი მას! სიკვდილი!“

— შენ თვითონ კარგად ხედავ. რომ ისინი მოგდევნენ, და არ გატყუებ. მე მიყვარხარ. ნუ, ნუ გააღებ პირს, ნუ მეტყვი, თუ გინდა მითხრა, რომ გძულვარ. აღარ მინდა მაგის მოსმენა. — ახლახან გადაგარჩინე... — მაცალე ჯერ, ბოლომდე მათქმევი. მე შემძლია სულ გადაგარჩინო. ყველაფერი მოვამზადე. ახლა შენზეა დამოკიდებული. თუ შენ ისურვებ, მე შემძლია...

მან მკვეთრად შეწყვიტა თავისი სიტყვა.

— არა, არა, ეს არ უნდა შეთქვა.

იგი პირდაპირ სახრჩობელისაკენ გაექანა და ქალიც იქით გააქცია, ხელს არ უშვებდა, თითი მალლა ასწია:

— აირჩიე ჩვენ ორ შორის, — უთხრა მან ცივად.

ქალმა ხელი გამოგლიჯა მის ხელს, სახრჩობელის ძირას დაეცა და ხელები შემოხვია ამ უკანასკნელ პირქუშ დასაყრდენს. შემდეგ ნახევრად შემოაბრუნა თავისი მშვენიერი, კოხტა თავი და მხარზევიდან ახედა მღვდელს. იგი უბიწო ღვთისმშობელს ჰკავდა, ჯვარცმის ქვეშ დამხობილს. მღვდელი უძრავად იდგა, თითი ისევე სახრჩობელისაკენ ჰქონდა გაშვებული და ამ მდგომარეობაში ქანდაკებასავით გაქცევებულებოდა.

ბოლოს ბოშა გოგონამ უთხრა:

— ის უფრო ნაკლებ შიშსა მგვრის. ვიდრე თქვენ.

მაშინ ხუცესმა ნელა დაუშვა მკლავი ძირს. ქვაფენილს ღრმა მწუხარებით დახედა და ჩაიღუღუნა:

— ამ ქვეებს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ჩემზე იტყოდნენ: აი ჭეშმარიტად უბედური კაციო.

და კვლავ განაგრძო. სახრჩობელის ძირას მუხლმოყრილი და თავისი გრძელი თმებით დაფარული ყმაწვილი ქალი ლაპარაკს არ უშლიდა, არ აწყვეტილებდა. ახლა მის ხმაში ჩივილისა და სამღერავის საბრალო კილო გაისმოდა, რაც სავალალოდ მისი სახის მედიდურ სიმკაცრეს მკვეთრად უპირისპირდებოდა.

— მე მიყვარხართ. ოჰ! ეს უღაგო ჭეშმარიტებაა. ნუთუ გარედან სულ არ ჩანს, თუ რა ცეცხლი მიბუგავს გულს? ვაი მე! ყმაწვილო ქალო, დღე და ღამე, დიახ, დღე და ღამე გიზგიზებს ეს ცეცხლი. ნუთუ იგი არავითარი სიბრალულის ღირსი არ არის? დღე და ღამე გიზგიზებს ჩემს გულში სიყვარულის ცეცხლი, გეუბნებით, ეს წამებაა. ოჰ, მე ძალიან ვიტანჯები, ჩემო საბრალო ბავშვო! გარწმუნებ. ეს სიყვარული ღირსია თანაგრძნობისა. თქვენ ხედავთ, რომ ტკბილად გელაპარაკებით. ძალიან მინდა, ჩემი აღარ გეშინოდეთ. — ბოლოს, კაცს რომ ქალი უყვარდეს, განა ეს დანაშაულია! ოჰ! მღერო ჩემო! როგორ! ნუთუ არასდროს არ მაპატიებთ? ნუთუ მუდამ გეძულებით? მაშ, ყველაფერი გათავებულა? აი სწორედ ეს მამოროტებს და თვით ჩემი თავისთვისაც საზარელსა მხდის! თქვენ ზედ არც კი მიყურებთ! შესაძლებელია, თქვენ სხვა რაღაცაზე ფიქრობთ იმ დროს, როდესაც მე ათრთოლებული გელაპარაკებით და ვდგევარ მარადისობის ზღურბლზე, რომელიც ორივეს შთანთქმას ლამობს! — ოღონდაც ნუ ილაპარაკებთ ჩემთან ოფიცერზე! — რაა მერე! მე დავემხობი თქვენს მუხლებთან, ვეამბორები... არა თქვენს ტერფებს, არა. თქვენ ამის ნებას არ მომცემთ, არამედ მიწას თქვენ ფერხთ ქვეშ. რაო! მე ვქვითინებ როგორც ბაღი, მე ამოვიგლეჯ ჩემი მკერდიდან არა სიტყვებს, არამედ ჩემს გულს, ჩემს სულს, რათა თქვენ თქვათ, რომ მე მიყვარხართ — მაგრამ ყველაფერი ამოა. უსარგებლოა ყველაფერი! ამავე დროს რა ნაზი და ღმობიერი სულისა ხართ, თქვენ უწყინარობისა და სათნოების სხივს აფრქვევთ, თქვენ ასეთი მომხიბლავი, კეთილი, შემბრალებელი და მშვენიერი ხართ. ვაგლახ! მხოლოდ ჩემს მიმართ დაუსადგურებია ბრახს თქვენს გულში. ოჰ! რა ბედისწერაა ეს!

მან სახეზე ხელები აიფარა. ყმაწვილ ქალს ტირილი შემოესმა. პირველად ხდებოდა ეს. ამგვარად მის წინაშე მდგომი და ქვითინისაგან აძაგძაგებული ბევრად უფრო საცოდავი და შესაერდომი იყო,

ვიდრე მუხლმოდრეკით მავედრებელი. ასე ტიროდა იგი ერთ ხანს.

— კმარა!— განაგრძო ისევ მან. როგორც კი პირველმა ცრემლებმა გადაუარა, — სიტყვებს ვერ ვპოულობ. თუმცა ყველაფერი კარგად მოვიფიქრე, თუ რა უნდა მეთქვა. მაგრამ აი ახლა ვთრთი, ვკანკალებ, ვსუსტდები, ვუძღურდები გადამწყვეტ წუთებში, მე ვგრძნობ რაღაც უზენაეს ძალას, რომელიც ჩვენ გვბორკავს და ამიტომ რაღაცას ვლულულულებ, ენა მებმება. ოჰ! ახლავე პირქვე დავემზობი ქვაფენილზე. თუ მოწყალებას არ მოიღებთ, არ შემობრალებთ, არ შეიბრალებთ თქვენს თავს. ნუ იღუპავ თავს და ნუ მღუპავ მე! რომ იცოდე, რაოდენ მიყვარხარ! როგორ გულს გიძღვნი! ოჰ! როგორ ეთქვი უარი ყოველგვარ სიყვითელს, სათნოებაზე. მე სასოწარკვეთილმა უგულვებელყავ თვით ჩემი თავი! მეცნიერმა აბუჩად ავიგდე მეცნიერება, კეთილშობილმა აზნაურმა შევბღალე სახელი ჩემი, ღვთისმსახურმა ქურუმმა ლოცვანი ავხორცი ზმანებების ყურთბალიშად ვაქციე, მე სახეში შევაფურთხე ჩემს ღმერთს! ყოველივე ეს შენი გულისათვის, გრძნეულო ქალო! რათა ღირსი ვიყო შენი ჯოჯოხეთისა! შენ არ გინდევარ მე შეჩვენებული! ოჰ! ყველაფერი უნდა გითხრა! კიდევ უფრო საშინელი რამ! დიახ, კიდევ უფრო საზარელი!..

ამ უკანასკნელი სიტყვების თქმაზე სახე შეშლილივით გაუხდა. ის ერთი წამით დადუმდა და შემდეგ ისევ ალაპარაკდა ძლიერი ხმით, თითქოს საკუთარ თავს მიმართავდა:

— კაინ, სადა არს ძმა შენი?*

იგი ისევ დადუმდა, შემდეგ კვლავ განაგრძო:

— სადა არს, უფალო, ძმა ჩემი, რა ვუყავ მე მას? მე შევივრდომე, აღვზარდე იგი, ვასაზრდოვე. შევიყვარე, გავაღმერთე. თაყვანი ვეცი და მე მოვკალი ის! დიახ, უფალო, ჩემს თვალწინ ახლახან გაუქუქყეს თავი შენი სახლის ქვებზე, და ეს ჩემი მიზეზით. ამ ქალის გამო... ამის გამო.

გამოხედვა მკაცრი და პირქუში ჰქონდა, ხმა უქრებოდა, უწყდებოდა. მან კიდევ რამდენჯერმე უნებურად გაიმეორა, საკმაოდ ხანგრძლივი შუაღედებით, როგორც ზარმა, თავის უკანასკნელ ქლერას რომ ახანგრძლივებს ხოლმე.

— მისი მიზეზით... — მის გამო....

შემდეგ ხმა ჩაუწყდა. ენა აღარ ემორჩილებოდა, ვერც ერთი გარკვეული სიტყვა ვეღარ თქვა. თუმცა ტუჩებს აცმაკუნებდა. უც-

* წიგნი პირველი. შექმნათა, 1, 4, 9.

ზად ფეხები მოიკვეთა, ნიეთივით მოსწყდა, მიწაზე ბრაგვანი მოადინა და უძრავად გაიყინა, თავი მუხლებზე დაუფარდა.

ასალგაზრდა ქალის შეხებამ. რომელმაც ფეხი გაითავისუფლა მისი. ზედ დაცემული სხეულისაგან. იგი კვლავ გონს მოიყვანა. მან დინჯად მოისვა ხელი ჩავარდნილ ლაწებებზე და რამდენიმე წამს განცვიფრებული უცქერდა თავის სველ თითებს.

— რაო. — ჩაიბუტბუტა მან, — მე ვტიროდი!

და უეცრად ბოშა ქალისაკენ მიბრუნებულმა გამოუთქმელი მწუხარებით წარმოთქვა.

— ვაგლახ! თქვენ, გულგრილად უყურებდით ჩემს ტირილს! იცი, ბავშვო, რომ ეს ცრემლები მდულარე წიაღვარია? მაშ, მართალი ყოფილა! ადამიანს თუ ადამიანი სძულს, მისი არა ენაღვლება რა. შენს თვალწინაც რომ ვკვდებოდე, შენ იცინებდი. ოჰ! მე კი არ მინდა მომაკვდავს შეგხედო! ერთი სიტყვა! მხოლოდ პატიების სიტყვა! ნუ მეტყვი, რომ გიყვარვარ. მითხარი მხოლოდ, რომ თანახმა ხარ, ესეც კმარა. მე გადაგარჩენ: თუ არა და... ოჰ! დრო გადის. ყველა წმინდა სავედრებელს გავედრებ, ნუ ელოდები, რომ ისევე ქვად ვიქცე, როგორც ეს სახრჩობელა, რომელიც ასევე მოგიხმობს, გეძახის! დაფიქრდი, ჩვენ ორივეს ბედი ჩემს ხელთ არის და მე კი გონს არა ვარ, გიყი ვარ, შეშლილი. ეს საშინელება! მე შემიძლია ყველაფერი დავლუპო. ჩვენს ფერხთით უძირო უფსკრულია, უბედურო, გადავიჩეხები, რათა მარადისობაშიც მუდამ თან გდიო. ერთადერთი კეთილი სიტყვა! მითხარი რამე, სიტყვა მაინც, მხოლოდ ერთადერთი სიტყვა!

ქალმა გახსნა ბაგე. რომ ეპასუხა. კაცი მუხლებზე დაემხო მის წინაშე. რათა მოწიწებითა და თაყვანისცემით მოესმინა მისგან ნათქვამი სიტყვა. ვინ იცის, იქნებ თანაგრძნობის სიტყვაც დასცდენოდა მის ბაგეებს. მაგრამ ქალმა პირში მიახალა:

— თქვენ მკვლელი ხართ!

ხუცესმა გაშმაგებით მოხვია მკლავები და საზიზღარ ხარხარს მოჰყვა.

— ეჰ, კარგი! დე, ვიყო მკვლელი! — უთხრა კაცმა, — მაგრამ შენ ჩემი იქნები. შენ არ ისურვე, რომ მე შენი მონა ვყოფილიყავი, მაშ, შენი ბატონი ვიქნები. ჩემი გახდები. მე მაქვს ბუნაგი, სადაც წაგატარე. შენ გამომყვები! შენ უნდა გამომყვე, თორემ გადაგცემ! ან უნდა მოკვდე, ლამაზო, ანდა ჩემი უნდა იყო, ჩემი, ხუცესისა, რჯულიდან განდგომილისა. მკვლელისა! ამ ლამესვე, გესმის? წავიდეთ! სამხიარულოდ! წავიდეთ-მეთქი! მაკოცე, სულელო! სამარე ან ჩემი საწოლი!

თვალეები ბინძური გულისთქმისა და სიშმაგისაგან უელვარებდა. ავზორცი ტუჩებით ახალგაზრდა ქალის კისერს ჩააფრინდა. გოგონა მის მკლავებში ფართხალებდა, იბრძოდა. კაცი გაშმაგებით ლოწინდა.

— ნუ მკებენ, ურჩხულო! — უყვიროდა ქალი. — ოჰ! ბილწო; საზიზღარო, მყარო ბერო! დამანებე თავი! მე დაგაგლეჯ მაგ ბინძურ ქალარა თმებს და ბლუჯა-ბლუჯა მოგაყრი სახეში!

კაცი ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა, ბოლოს გაუშვა და პირქუშად შეხედა. ქალს ეგონა გავიმარჯვეო, კვლავ განაგრძო:

— გეუბნები, რომ მე ჩემს ფებუსს ვეკუთვნი, ფებუსი მიყვარს, ფებუსი ლამაზია! შენ კი, ხუცესო, ბებერი ხარ! შენ გონჯი ხარ! გამეცალე!

მღვდელს ისეთი მძაფრი ღრიალი აღმოხდა, თითქოს ბედკრული გავარვარებული შანთით დაედალოთ.

— მაშ მოკვდი! — თქვა მან კბილების კრაქუნით. ქალმა დაინახა ხუცესის საშინელი მზერა და გაქცევა დააპირა. მაგრამ კაცმა დაიპირა იგი, შეანჯღრია, ძირს დასცა და ჩქარი ნაბიჯით როლანდის კოშკის კუთხისაკენ გაემართა, თან მისი ლამაზი ხელები მაგრად ჩაებლუჯა და ქვაფენილზე მიათრევდა საბრალოს.

როცა კოშკს მიაღწია, მისკენ შემობრუნდა:

— უქანასკნელად გეკითხები: გინდა თუ არა ჩემი იყო?

ქალმა მტკიცედ უპასუხა:

— არა.

მაშინ მან ხმამაღლა იყვირა:

— გუდულა! გუდულა! აჰა, ბოშა ქალი! იძიე შური!

ყმაწვილმა ქალმა იგრძნო, რომ იდაყვზე ვილაცა სწვდა. შეხედა. კედელში გამოქრილი სარკმლიდან ვილაცას გამხდარი ხელი გადმოეყო და რკინის მარწუხივით ჩასჭიდებოდა.

— კარგად დაიპირე! — უთხრა მღვდელმა. — ეს გამოქცეული ბოშა გოგოა. არ გაუშვა. წაველ ბოქაულებს მოვძებნი. შენ ნახავ, როგორ ჩამოახრჩობენ.

— ჰა! ჰა! ჰა! — მოსისხარის ამ სიტყვებზე შიგნიდან ხორხისმიერი სიცილი გაისმა. ბოშა ქალმა დაინახა, რომ მღვდელი სირბილით გაექანა ღვთისმშობლის ხიდის მიმართულებით. სწორედ ამ მხრიდან ისმოდა ცხენების თქარათქური.

ყმაწვილმა ქალმა იცნო ავი განდევილი, რომელიც სამარტვილოში იყო დაყუდებული. შიშისაგან სულშეხუთული განთავისუფლებას შეეცადა. იკლაკნებოდა, იწურებოდა, რამდენჯერმე მოულოდნელად შეხტა და გაიწია სიკვდილის შიშითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილმა, რათა როგორმე თავი დაედწია, მაგრამ იმ გამხმარ ხელს

გაუგონარი ძალით ექირა. ძვლადქცეული და გამხდარი თითები ისე მტკივნეულად ჩაფრენოდა რბილში და მკლავი მისი ისე ჩაებლუჯა/ თითქოს ეს ხელი ზედ შესდუღებოდა. ბორკილზე, საყელურზე და რკინის ჯინჯილზეც კი უარესი იყო. იგი ქვითკირის კედლიდან გამოყოფილ განსულიერებულ და ცოცხალ მარწუხს ჰგავდა.

ძალღონეგამოცლილი გოგონა კედელს მიეყრდნო. მაშინ კი სიკვდილის შიში მთლად დაეუფლა. ის ფიქრობდა სიცოცხლის სილამაზეზე, ახალგაზრდობაზე, ლურჯი ცის სიკამყამეზე, ბუნების სურათებზე, ფეხების სიყვარულზე, ყველაფერზე, რაც ხელიდან უსხლტებოდა, და ყველაფერზე, რაც უახლოვდებოდა — მღვდელზე, ვინც იგი გასცა და ამხილა, ჯალათზე, ვინც მოვა, სახრჩობელაზე, რომელიც იქვე აღმართულიყო. მაშინ მან იგრძნო, რომ შიშისაგან თმები აებურძგნა. განდევნილის აყვია სიცილი და დაბალი ხმით ლაპარაკი შემოესმა:

— ჰა! ჰა, ჰა! შენ ჩამოგახრჩობენ!

ცოცხალ-მკვდარი, გაფითრებული სარკმლისაკენ სახით მიბრუნდა და რკინის ძვლაკებს შიგნით ძაძიანის გააფთრებული სახე დაინახა.

— რა დაგიშვეთ? — ჰკითხა თითქმის სიცოცხლედაკარგულმა ყმაწვილმა ქალმა.

დაყულებულმა განდევნილმა კი არ უპასუხა, არამედ წამლერებით დუღუნის მოპყვა გაბრაზებული და დამცინავი კილოთი: „ბოშის გოგო! ბოშა ქალო! ბოშის ქალიშვილო!“

უბედურ ესმერალდას თავი მკერდზე ჩამოუვარდა და საკუთარმა თმებმა დაფარა. მიხვდა, რომ საქმე არაადამიანურ არსებებსან ჰქონდა.

უცხად დაყულებულმა განდევნილმა წამოიძახა, თითქოს ბოშა გოგონას კითხვამ ახალა მიაღწია მის გონებამდგომ:

— შენ ამბობ, რა მიყავი, რა დამიშვე? — აჰ! გინდა იცოდე, რა დამიშვე, ბოშის გოგო! კეთილი! მაშ მიგდე ყური! მე მყავდა ბავშვი! გესმის? ბავშვი-მეთქი! ბავშვი! პატარა ლამაზი გოგონა! ჩემი აგნესა, — განაგრძობდა იგი დაბნეულად ლაპარაკს და თან სიბნელეში რალაც საგანს კოცნიდა. — ეჰ! მერე რა! აი ხედავ, ბოშის ქალო? წამართვეს, მომპარეს, შეჭამეს ჩემი ბავშვი. აი რა მიყავი, რა დამიშვე.

კრავივით შემკრთალმა ახალგაზრდა ქალმა მოკრძალებით უპასუხა:

— უიმე! იქნებ მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი!

— ოჰ! როგორ არა! — სწრაფად მიუგო განდევნილმა, — შენ დაბადებული იქნებოდდი. ის ეხლა შენი ხნის უნდა ყოფილიყო. ამ-

გვარად, აი უკვე თხუთმეტი წელია, აქა ვარ, თხუთმეტი წელია ვიტანჯები, თხუთმეტი წელია, ვლოცულობ, თხუთმეტი წელია თავს ვახლი ქვეტყირის ამ ოთხ კედელს. — მე შენ გეუბნები, რომ ბოშებმა მომპარეს შვილი, გესმის? მათ კბილებით გაგლიჯეს იგი. გაქვს შენ გული? წარმოიდგინე, რა არის ბავშვი, რომელიც თამაშობს, ძუძუს სწოვს, ბავშვი, რომელსაც სძინავს. ის თვით უმანკოება იყო! — მერე რა! იგი მომტაცეს და მომიკლეს! კეთილმა დმერთმა კარგად უწყის ეს! დღეს უკვე ჩემი ჯერია, ახლა მე შეევეამ ბოშა ქალს. ოჰ! რა მაგრად დაგკბენდი, ეს რკინის ძელაკები რომ არ მიშლიდეს. თავი ჩემი მეტად დიდია, ვერ გაეტევა! — საბრალო ბაღლი! მაშინ მომპარეს, როცა ეძინა! და თუ გააღვიძეს, როცა ხელი სტაცეს, ბევრიც რომ ეყვირა, ამოდ, მე იქ არ ვიყავი! — აჰ, ბოშა დედებო, თქვენ შეჭამეთ ჩემი ბავშვი! ახლა შოდით, ნახეთ, როგორ მოკვდება თქვენი შვილი!

მაშინ ძაძიანი სიცილსა და კბილების კრაქუნს მოჰყვა, ამ ორ რამეს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდით მის გამძვინვარებულ სახეზე, ისე წააგავდა ერთი მეორეს. უკვე თენდებოდა. მთელ ამ სანახაობას ბუნდოვნად ანათებდა ნაცრისფერი ანაშუქი, და სულ უფრო და უფრო გარკვევით ისახებოდა მოედანზე სახარჩობელა. გაღმა მხრიდან, ღვთისმშობლის ხიდისაკენ, საბრალო მსჯავრდადებულს ესმოდა, როგორ ახლოვდებოდა ცხენოსანთა თქარათქურა.

— ქალბატონო! — შესძახა ხელაპყრობილმა გოგონამ და თმაგაწეწილი, დაბნეული, შიშისაგან გაგიჟებული მუხლებზე დაეშვა, — ქალბატონო, შემიბრალებთ! ისინი შოდიან. მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია. ნუთუ გინდათ დამინახოთ, როგორ მომკლავენ ამ საშინელი წესით თქვენს თვალწინ? დარწმუნებული ვარ, სიბრაულეს გრძნობა მაინც გაქვთ! ეს თავზარდამცემია! გამიშვით, თავს ეუშველო, გვეედრებით! არ მინდა ასე მოკვდე!

— დამიბრუნე ჩემი ბავშვი! — მიმართა დაყუდებულმა.

— შემიბრალებთ, შემიწყალებთ!

— დამიბრუნე ჩემი შვილი!

— გამიშვით, ღვთის გულისათვის!

— დამიბრუნე ჩემი ბავშვი!

ახალგაზრდა ქალი კიდევ დაეცა, დაუძლურებული, მოწყვეტილი, თვალები მომაკვდავივით თითქმის შუშისებური გაუხდა.

— ვაგლახ! — ჩაიდუღუნა ყმაწვილმა ქალმა, — თქვენ ეძებთ თქვენს ბავშვს, მე კი ჩემს მშობლებს.

— დამიბრუნე ჩემი პაწია აგნესა, — განაგრძობდა გუდულა. — განა არ იცი, სად არის იგი? მაშ, მოკვდი! მე გიამბობ... თავისუფალი ყოფაქცევის ქალი ვიყავი, მყავდა ბავშვი და იგი მომტა-

ცეს. ბოშები იყვნენ. ახლა ხედავ, თუ რატომ უნდა მოკვდე შენ. როდესაც შენი ბოშა დედა მოვა და მოგიკითხავს, ვეტყვი: „დედავ, შეხედე იმ სახარბობელას!“ — ან იქნებ დამიბრუნო ჩემი ბავშვი? — იცი, სად არის იგი, ჩემი პატარა გოგონა? მოდი, გაჩვენო. აი მისი მაშია. სულ ეს არის, რაც დამრჩა. იცი, სად არის მეორე ასეთი, ამის მსგავსი? თუ იცი, შითხარი, და თუნდაც ქვეყნის მეორე ბოლოს იყო. მუხლებზე ხოხვით წაველ მის საძებნელად.

ეს რომ თქვა, მეორე ხელი სარკმლიდან გადმოყო და ბოშა ქალს პატარა მოქარგული მაშია აჩვენა. უკვე საკმაოდ გათენებულიყო, რომ გაერჩიათ მისი ფორმა და ფერი.

— მაჩვენეთ მაშია! — უთხრა ათრთოლებულმა ბოშა ქალმა: — ღმერთო! ღმერთო!

და იმავე დროს თავისუფალი ხელით სწრაფად გახსნა მწვანე შუშის მძივებით მორთული ავეაროზი, რომელიც ყელზე ეკიდა.

— კარგი! კარგი! — ბუზღუნებდა გუდულა, — ჩხრიკე რამდენიც გინდა შენი ჯოჯოხეთური ავეაროზი!

უცბად ხმა ჩაუწყდა, მთელი სხეული აუძიგძიგდა და გულის სირღმიდან ამომავალი ხმით იკვილა:

— ჩემო ქალიშვილო!

ბოშა ქალმა ავეაროზიდან ამოიღო პატარა მაშია, რომელიც საესებით ჰგავდა მეორეს. ამ პატარა მაშიაზე მიმაგრებული იყო პერგამენტის პაწაწინა ნაჭერი, რომელზედაც ეწერა ჯადოსიტყვა:

იპოვე ამის სადარი შენ და
გულში ჩაგიკრავს მშობელი დედა.

განდევილმა ელვის უსწრაფესად შეადარა ეს ორი მაშია, პერგამენტის ნაჭერზე წარწერა წაიკითხა, ზეციური სიხარულით გაბრწყინებული სახით სარკმლის ძელაკებს ზედ მიეკრო და იკვილა:

— ჩემო ქალიშვილო! ჩემო გოგონა!

— ჩემო დედა! — მიუგო ბოშა ქალმა.

კალამი ვერ ასწერს ამ სურათს, ჩვენ არ ძალგვიძს მისი დახატვა. მათ შორის ქვითკირის კედელი და რკინის რიკულები იყო ჩამდგარი.

— ოჰ! ეს კედელი! — შესძახა განდევილმა. — ოჰ! გიყურო ასე და გულში ვერ ჩაგიხუტო! ხელი მომაწოდე! შენი ხელი!

ახალგაზრდა ქალმა თავისი მკლავი სარკმელში გაყო, განდევილი ამ ხელს ეცა და ტუჩები ზედ დააკონა, ასე გაიყინა ამ კოცნით შთანთქმული, სიცოცხლის სხვა არავითარი ნიშანწყალი არ

ეტყობოდა. გარდა იმისა, რომ დროდადრო ქეთინი არხევდა მის მხრებს. დადუმებულს ცრემლები ღვარივით სდიოდა, სიბნელეში, როგორც ღამის წვიმა. საბრალო დედა ამ სათაყვანებელ ხელს ზედ აფრქვევდა თავის არსებაში დაგუბებულ ცრემლთა შავსა და ღრმა წყაროს, სადაც თხუთმეტი წლის განმავლობაში წვეთწვეთობით ეონავდა მისი მწუხარება.

უცბად ზე წამოიჭრა, თავისი გრძელი ჰაღარა თმები შებლიდან გადაიწია და სიტყვის უთქმელად ორივე ხელით ძუ ლომზე უფრო მეტი გამძვინვარებით იწყო თავისი ბუნავის ძელაკების ნჯღრევა. მაგრამ რიკულები მაგრად დაუხვდა. მაშინ თავის საკანში ძებნა დაუწყო დიდ ქვას, რომელიც მას თავით ბალიშად ედო, აიღო იგი და ისეთი ძალით დააჯახა რიკულებს, რომ ერთ-ერთ ძელაკს ათასობით ნაპერწყალები გასცვივდა და გატყდა. მეორე დარტყმამ სულ დამსხვრია ძველი ჯვრისებური კადონი, რომელიც ხერგავდა სარკმელს. მერე ორივე ხელით მოათავა ძელაკების დაჯანგული ნამსხვრევების მომტვრევა და მიღუნ-მოღუნვა. არის წუთები, როდესაც ქალის ხელებს ზეკაცური ღონე აღმოაჩნდება.

ამრიგად გზა გაწმინდა, რისთვისაც მას წუთზე ნაკლები დასკირდა, თავის ქალიშვილს წელზე ხელი მოჰკიდა და საკანში გადაათრია.

— მოდი! მე გიხსნი გაკირვებიდან, ამოგიყვან უფსკრულიდან! — ბუტბუტებდა იგი.

როდესაც თავისი ქალიშვილი საკანში გადაიყვანა, ძირს ნელა დაუშვა. მერე ისევ ხელში აიყვანა და ასე ატატებულო დაჰყავდა, თითქოს ისევ პაწაწინა აგნესა ყოფილიყოს. ასე წინ და უკან მიდიოდა და მოდიოდა ვიწრო ბუნავში. ბედნიერებისაგან მთვრალი. გაშმაგებული და გახარებული. იგი ყვიროდა, მღეროდა, კოცნიდა თავის ქალიშვილს, რაღაცას ეუბნებოდა, ხარხარებდა და ცრემლებად იღვრებოდა ერთსა და იმავე ღროს, გულისთქმას აყოლილი.

— ჩემი გოგონა! ჩემი ქალიშვილი! — გაიძახოდა იგი. — ჩემი ქალიშვილი ჩემთან არის! აგერა ის! კეთილმა ღმერთმა დამიბრუნა იგი. პეი, ვინა ხართ მანდ! ყველა მოდით აქ! არის მანდ ვინმე? შეხედეთ, ჩემი გოგონა ჩემთან არის, აქა მყავს იგი! უფალო იესო ქრისტე, რა ლამაზია! თხუთმეტი წელი მაცდევინე, ღმერთო კეთილო, რათა დაგებრუნებინა იგი ჩემთვის მშვენიერი. მაშასადამე, ბოშა ქალებმა არ შეჭამეს! ვინ თქვა ეს? ჩემო პატარა გოგონა, ჩემო პაწია ქალიშვილო! მაკოცე! კეთილი ყოფილან ბოშა ქალები! მიყვარს ბოშა ქალები... — დიახ, ეს შენა ხარ. აი თურმე რატომ

მიხტოდა გული ყოველთვის. როცა შენ ჩამივლიდი. მე კი მეგონა, სიძულვილისაგან იყო! მაპატ-ე, ჩემო აგნესა, მაპატიე! ძალიან ავი გეგონე. არა? მიყვარხარ... — სად არის შენი პაწაწინა ხალი კისერზე, ისევ გაქვს? მაჩვენე. აი ისევ გაქვს აქა. ოჰ! რა ლამაზი ხარ, რა მშვენიერი! ეს მე გაჩქეთ, ქალბატონო, ეს დიდი თვალები. მაკოცე, მაკოცე! მე მიყვარხარ! ეხლა ჩემთვის სულ ერთია, რომ სხვა დედებსაც ჰყავთ ბავშვები, ეხლა მაგას მე არ დავეძებ. დაე მოვიდნენ ისინიც აქ. აი ჩემი ქალიშვილი. აი მისი კისერი, მისი თვალები, მისი თმები, მისი ხელი. თუ გინახავთ ვინმე მისებრ ლამაზი! ოჰ თავს ვდებ, რომ ამას ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება. თხუთმეტი წელიწადი ვტიროდი. მთელი ჩემი სილამაზე გაპქრა, წავიდა, მაგრამ აი ახლა კვლავ დამიბრუნდა, მაკოცე, ჩემო!

ათას უცნაურ სიტყვებს ეჩურჩულებოდა, ამ სიტყვების მთელი სილამაზე და თილისმა მხოლოდ გამოთქმის კილოში იხატებოდა. საბრალო გოგონას ტანსაცმელი ისე აურ-დაურია, რომ იგი წითლდებოდა, აბრეშუმოვან თმაზე ხელს უსვამდა, უკოცნიდა ფეხებს, მუხლებს, შუბლს, თვალებს, და ყველაფერს ალტაცებაში მოჰყავდა. გოგონამ ყველაფრის ნება მისცა დედას, მხოლოდ დროგამოშვებით მეტისმეტად დაბალი ხმითა და განუსაზღვრელი სინაზით იმეორებდა:

— ჩემო დედიკო!

— ხედავ, ჩემო პატარა გოგონა! — ეუბნებოდა განდეგილი და თან კოცნით წყვეტდა ყოველ თავის სიტყვას, — ხედავ, მე ძალიან მეყვარები. ჩვენ წავალთ აქედან. ჩვენ ბედნიერი ვიქნებით. შემკვიდრეობით ზოგიერთი რამ მივიღე რეიმსში, ჩვენს მხარეში. გახსოვს რეიმსი? აჰ! არა, შენ არ გეხსომება, ძალიან პატარა იყავი! რომ იცოდე, რა ლამაზი იყავი ოთხი თვისა! ისეთი პაწაწინა ფეხები გქონდა, რომ სანახავად ცნობისმოყვარენი ეპერნედან მოდიოდნენ, ის ხომ შეიდ ლიეზეა რეიმსიდან! ჩვენ გვექნება მინდორი, სახლი. ჩემს ლოგინში დაგაწვენ. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ვინ იფიქრებდა ამას? ჩემი ქალიშვილი ჩემთან არის!

— ო, ჩემო დედიკო! — თქვა ყმაწვილმა ქალმა, როდესაც ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიფა სალაპარაკოდ და თავისი მღელვარება დასძლია, — ბოშა ქალი ამას მიწინასწარმეტყველებდა. ჩვენებს შორის იყო ერთი კეთილი ბოშა ქალი, რომელიც ისე ზრუნავდა ჩემზე. როგორც ძიძა. შარშან გარდაიცვალა. მან ჩამომკიდა ეს ავგაროზი კისერზე. ის მუდამ მეუბნებოდა: — პატარავ, გაუფრთხილდი ამ ძვირფას ნივთს. იგი საუნჯეა. ის გაპოვნივებს დედას. შენს

დედას შენს კისერზე ატარებო. ამას მიწინასწარმეტყველებდა ბოშა ქალი!

ძაძიანმა კვლავ ჩაიხუტა თავისი ქალიშვილი.

— მოდი გაეცო! რა საამოდ ლაპარაკობ. როდესაც ჩვენს მხარეში დავბრუნდებით, ეკლესიაში წავალთ და ყრმა იესოს ჩავაცმევთ ამ მაშიებს. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ მოწყალე უბიწო ღვთისმშობლის სადიდებლად. ღმერთო ჩემო! რა ლამაზი ხმა გაქვს. ახლა რომ მელაპარაკებოდი, მუსიკას ჰგავდა შენი ხმა! აჰ! ჩემო უფალო ღმერთო! მე ვიპოვე ჩემი ბავშვი! განა დასაჯერებელია ეს ამბავი? რაკი სიხარულისაგან გული არ გამისკდა, ახლა რაღა მომკლავს!

და კვლავ იწყო მან ტაშის ცემა, სიცილი და ყვირილი: — ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით!

ამ დროს სენაკში მოისმა მოახლოებული იარაღის ეღარუნი და ცხენების თქარათქური, რომლის ხმაც ღვთისმშობლის ხიდასა და სანაპიროს მხრიდან მოდიოდა. სასოწარკვეთილი ბოშა გოგონა მკერდზე მიეხუტა ძაძებთან.

— მიშველეთ! გადამარჩინეთ! ჩემო დედა! ისინი მოდიან!

განდგეილი გაფითრდა.

— ჰოი ზეცო! რას ამბობ! დამავიწყდა! შენ მოგდევნე! განა რა ჩაიღინე?

— არ ვიცი, — უპასუხა უბედურმა ბავშვმა, — მაგრამ სიკვდილი მომისაჯეს.

— სიკვდილიო! — თქვა გუდულამ და დატორტმანდა, თითქოს მესი დაეცაო.

— სიკვდილი! — დინჯად გაიმეორა მან და თვალი ქალიშვილს მიაშტერა.

— დიახ, ჩემო დედა, — განაგრძო გონებადაბნეულმა ქალიშვილმა, — მათ ჩემი მოკვლა სწადიათ. აი მოდიან ჩემს შესაპყრობად. ის სახარობელა ჩემთვის არის გამზადებული. მიშველეთ! გადამარჩინეთ! სადაც არის. მოკლენ! მიშველეთ!

განდგეილი რამდენიმე წამით ერთ ადგილას გაქვავდა ქანდაკებასავით, შემდეგ ეჭვის ნიშნად თავი გააქნია და ხარხარი აუტყდა, მაგრამ საშინელი, მისი წინანდებური ხარხარი.

— ო! ო! არა! ეს სიზმარია, ბოდვა, რასაც შენ მეუბნები. აჰ, არა! ეს როგორ იქნება! როგორ! დაკარგო იმისათვის, რომ თხუთმეტი წელი უცადო, კვლავ იპოვო მხოლოდ იმისათვის, რომ ერთ წუთს უყურო! როგორ! ისევ უნდა წამართვან იგი! ახლა, როდესაც იგი ასეთი ლამაზია, როდესაც იგი უკვე გაზრდილია, როცა მე-

ლაპარაკება. როცა ვუყვარვარ, ახლა უნდა მოვიდნენ და შემიქამონ ჩემს თვალწინ, დედის თვალწინ! ოჰ, არა! ეს შეუძლებელია. კეთილი ღმერთი ამის ნებას არ მისცემს.

როგორც ჩანდა, ცხენოსანი რაზმი შეჩერდა და შორიდან მოისმა ვილაციის ხმა:

— აქეთ, ბატონო ტრისტან! მღვდელმა თქვა, თავის სოროსთან ნახავთო.

კვლავ მოისმა ცხენების თქარათქური.

განდევნილი სასოწარკვეთილი კვილით წამოიჭრა.

— გაიქეცი. თავს უშველე, ჩემო შვილო! ყველაფერი მომაგონდა! შენ მართალი ხარ! სიკვდილი მოდის, შენი სიკვდილი! ჰოი საშინელებზე! წყევლა და კრულვა! თავს უშველე, გაიქეცი!

თავი სარკმელში გაპყო და სწრაფად უკანვე დაიხია.

— შეჩერდი, — უთხრა დაბალი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად და პირქუშად; შიშისაგან ფერდაკარგულ ცოცხალ-მკვდარ ბოშა ქალს კრუნჩხვით დაუჭირა ხელი. — შეჩერდი, დარჩი! ნუ სუნთქავ! ყველგან ჯარისკაცები არიან. ვერ გახვალ. უკვე გათენდა.

გამშრალი თვალები უბრწყინავდა. ერთი წუთით გაჩუმდა, ოღონდ დიდი ნაბიჯებით მიდი-მოდიოდა საკანში, დროდადრო შეჩერდებოდა, რომ ჭადარა თმა ბლუჯა-ბლუჯა გამოეგლიჯა და შემდეგ კბილებით დაეწყვიტა.

უეცრად უთხრა:

— ისინი გვიახლოვდებიან. მე მოველაპარაკები. ამ კუთხეში დაიმალე. აქ ვერ დაგიჩაბებენ. ვეტყვი, რომ ვერ დაგაჭირებ, გამექეცი, ნამდვილად, ღმერთმანი!

თავისი ქალიშვილი, რომელიც სულ ხელში ატატებული დაპყავდა. საკანის იმ კუთხეში დაუშვა, სადაც გარედან არაფერი ჩანდა. იქ დასვა და გულმოდგინედ ისე მოათავსა ბნელ კუნძულში, რომ ფეხები და ხელები არ გამოსჩენოდა, შავი თმები ჩამოუშალა და ნიღაბით თეთრ კაბაზე ჩამოაფარა. წინ თავისი სურა და ლოდი დაუდგა, თავისი ერთადერთი ავეჯი. უძრავ-მოძრავი ქონება, რაც კი იქ გააჩნდა; წარმოიდგინა, რომ ეს სურა და ეს ლოდი დაფარავდა. ყველაფერი რომ დაამთავრა, უფრო დამშვიდებული მუხლებზე დაემხრა და ლოცვა დაიწყო. ის იყო თენდებოდა და ამიტომ თავის სოროში ჯერ კიდევ ბნელოდა.

იმვე წუთს საკანთან ძალიან ახლოს ყვირილით გაისმა მღვდლის ჯოჯოხეთური ხმა:

— აქეთ, კაპიტანო ფებუს დე შატოპერ!

ამ სახელისა და ხმის გაგონებაზე თავის კუთხეში განაბული ეს-
მერალდა შეირხა, ამოძრავდა.

— არ გაინძრე! — უთხრა გუდულამ.

ძლივს მოასწრო ამის თქმა, იმავე წამს საკანის ირგვლივ გაისმა
კაცების ყაყანი, ჩოჩქოლი, ხმლების უღარუნი და ცხენების შეჩე-
რების ხმა. დედა სწრაფად წამოდგა, საკმლის წინ ადგილი დაიჭი-
რა, რომ ჩამოფარებოდა. მან დაინახა შეიარაღებულ კაცთა, რო-
გორც ქვეითის, ისე მხედრების დიდი რაზმი, რომელიც გრევის
მოედანზე დაეწყო, მათი უფროსი ცხენიდან ჩამოხტა და მასთან მი-
ვიდა:

— დედაბერო! — მიმართა საზარელი მკაცრი სახის კაცმა, —
ჩვენ ვეძებთ ჯადოსან ქალს, რომ ჩამოვახრჩოთ. ასე გვიტხრეს,
რომ შენთან არის.

საბრალო დედა, რაც კი შეეძლო, შეეცადა, რომ გულგრილი სა-
ხე ეჩვენებინა. მან უპასუხა:

— არ მესმის, რას მეუბნებით.

კაცმა განაგრძო:

— ეშმაკმა წაიღოს! ეს რა დაამღერა იმ ქკუადიმფრთხალმა არ-
ქიდიაკონმა? სად არის? რა იქნა?

— გაქრა, ბატონო, — უპასუხა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

— აბა, ბებერო გიჟო! — განაგრძო მეთაურმა, — ნუ ცრუობ.
შენ მოგანდეს ჯადოქალის დარაჯობა. რა უყავი?

განდევილმა არ მოისურვა მთლად უარზე დამდგარიყო, რათა
ეჭვი არ აღედრა და გულწრფელი ბუზღუნა კილოთი უპასუხა:

— თუ თქვენ იმ დიდ ქალიშვილზე ლაპარაკობთ, ამ ერთი
საათის წინ რომ მომაჩუჩეს, გეტყვით. რომ ხელზე მიკბინა და მეც
გავუშვი. ეს არის და ეს. ახლა თავი დამანებეთ.

მეთაურს იმედგაცრუება გამოეხატა სახეზე და უკმაყოფილოდ
დაიმანჭა.

— არ მომატყუო, ბებერო მოჩვენებავ! — გაიმეორა მან, — მე
ტრისტან-განდევილს მეძახიან, მეფის ნათლია ვარ. ტრისტან-გან-
დევილი-მეთქი, გესმის? — გრევის მოედანს თვალი მოავლო და
დასძინა: — ეს ის სახელია, აქ რომ ეხოს იწვევს და ხმას იძლევა.

— თუნდაც ტარტაროზ-განდევილი ბრძანდებოდეთ, — მიუგო
გუდულამ, რომელსაც იმედი დაუბრუნდა, — იმაზე მეტს ვერ გე-
ტყვით, რაც გითხარით და თქვენი სულაც არ მეშინია.

— ეშმაკის თავო! — შესძახა ტრისტანმა, — აი ყბედი დედაკა-
ცი! აჰ! მამ ჯადოქალმა თავს უშველა! საით გაიქცა?

გუდულამ უზრუნველი კილოთი უპასუხა:

— მგონია, ცხერის ქუჩისაკენ.

ტრისტანმა პირი იბრუნა და თავის რაზმს ნიშანი მისცა დაძრულაყო. განდევნილმა სული მოითქვა.

— ჩემო ბატონო, — მიმართა უცბად ერთმა მშვილდოსანმა, — ერთი ჰკითხეთ კუდიან ბებერს, რატომ არის მისი სარკმლის ძელაკები ამრიგად დამტვრეული?

ამ კითხვამ უბედური დედის გულს მწუხარება კვლავ დაუბრუნა, მაგრამ სულიერი მხნეობა მაინც არ დაუკარგავს.

— ყოველთვის ასე იყო, — თქვა ენის ბორძიკით მოხუცმა ქალმა.

— ერიპა! — შეეპასუხა მშვილდოსანი, — ჯერ კიდევ გუშინ მშვენიერი შავი ჯვარივით იყო ჩადგმული და კაცის გულში მოწიწებას აღძრავდა.

ტრისტანმა ცერად შეხედა დაყუდებულ ქალს.

— მე მგონია, ჰორიკანა ნათლიდელა ურევს!

უბედურმა ქალმა იგრძნო, რომ ახლა ყველაფერი მის გამძლეობასა და თავდაპირაზე იყო დამოკიდებული, და თუმცა სულში საშინელ ძრწოლას განიცდიდა, მაინც გამჭირდავად გაიცინა. მხოლოდ დედებს შეუძლიათ თავს ძალა ასე დაატანონ და აიძულონ.

— აჰ! ეს კაცი მთვრალია! — თქვა ძაძიანმა. — წელიწადზე მეტია ქვით დატვირთული ფორანი დაეჯახა ჩემს სარკმელს და გისოსი შემომინგრია. რამდენი ვლანძღე მეფორნე.

— მართალია, — თქვა მეორე მშვილდოსანმა, — მე თვითონ ვნახე.

ყველგან და ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უნახავს. მშვილდოსანს მოულოდნელმა დამოწმებამ გაამხნევა დაყუდებული ქალი, რომელსაც ამ დაკითხვამ ისეთი გრძნობა განაცდევინა, თითქოს უფსკრულის თავს დანის გამახულ პირზე გადადიოდა.

მაგრამ მას ბედად ეწერა მუდმივად ექანავა იმედსა და სასოწარკვეთილებას შორის.

— ეს რომ ფორანს ექნა, — უპასუხა ისევ პირველმა მშვილდოსანმა, — მაშინ გისოსის ძელაკები შიგნით შეიღუნებოდა და გარეთ არ გადმოიხრებოდა.

— ჰე! ჰე! — უპასუხა ტრისტანმა ჯარისკაცს, — შენ შატლეს გამომძიებლის ყნოსვა გაქვს. აბა პასუხი გაეცი, ბებერო!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა გუდულამ ცრემლებისაგან ათრთოლებული ხმით, — გეფიცებით, ჩემო ბატონო, რომ ფორანმა შემომიმტვრია

ეს ძელაქები. თქვენ ხომ გაიგონეთ, რომ თვით ემაგ კაცმა ნახა. ეგეც არ იყოს, რა ხელი აქვს ყოველივე ამას თქვენს ბოშა ქალთან?

— კმ! — ჩაიბუზღუნა ტრისტანმა.

— ეშმაკმა დალახვროს! — წამოიწყო ისევ უფროსის ქებით ნასიამოვნებმა ჯარისკაცმა, — რკინის ტეხილი კი ახალთახალია და!

ტრისტანმა თავი გაიქნია. გუდუნა გაფითრდა.

— როგორ თქვით, რამდენი ხანია, რაც იმ ფორანმა გაიარაო?

— ერთი თვე თუ ორი კვირა, ჩემო ბატონო. კარგად ვერ დავი-
მხსოვრე.

— ჯერ თქვა ერთი წელიწადიო, — შენიშნა ჯარისკაცმა.

— ეს კი საეჭვოა! — თქვა უფროსმა.

— ბატონო! — შესძახა ქალმა, თან სარკმელს კანკალით ეკერო-
და, რა არის, დაეჭვებულს თავი არ შეეყო სარკმელში და საკანში
არ შეეხედა, — ბატონო, გეფიცებით. რომ ფორანმა გატეხა ეს გი-
სოსი. გეფიცებით სამოთხის ყველა წმინდა ანგელოზს. თუ ეს
ფორანისაგან არ არის, დე საუყუნოდ ვიყო შეჩვენებული და ღვთი-
საგან განდგომილი.

— რალაც ძალიან გაცხარებით კი იფიცები! — უთხრა ტრისტანმა და თავისი ინკვიზიტორული თვალი შეავლო.

საბრალო ქალი გრძნობდა, რომ თავდაპირა უქრებოდა, უხეში
შეცდომები მოსდიოდა, შიშით შეპყრობილი ხედებოდა, რომ იმას
არ ამბობდა, რაც საჭირო იყო.

სწორედ ამ დროს მოვარდა მეორე ჯარისკაცი და იყვირა:

— ბატონო, კუდიანი ბებერი ცრუობს. ჯადოსანი ქალი ვერ
გაიქცეოდა ცხერის ქუჩისაკენ. მთელ ღამეს ქუჩაში გადამლობი
ჯაჭვი იყო გაჭიმული და დარაჯსაც გავლილი არავინ უნახავს.

ტრისტანმა, რომელსაც ყოველ წამს სახე თანდათან ელუშებო-
და, ჰკითხა დაყუდებულ განდევნილს:

— ამაზე რალას იტყვი?

ქალი შეეცადა ამ ახალ სიძნელესაც მაგრად დახვედროდა:

— მე რა ვიცი, ბატონო. შეიძლება შევეციდი. მე ვფიქრობ, წყალ-
ში გავიდა, ნამდვილად.

— ეს ხომ საწინააღმდეგო მიმართულებით არის, — თქვა უფ-
როსმა. — არც არის საფიქრალი, რომ მას მოესურვებინა სიტეში
დაბრუნება, სადაც მღვდარი დაეძებს. შენ სტყუი, ბებერო!

— გარდა ამისა, — ჩაუბრუნა პირველმა ჯარისკაცმა, — წყლის
არც ამ მხარეს და არც იმ მხარეს აქ არავითარი ნავი არ არის.

— იქნებ გაცურა. — შეეპასუხა განდევილი. რომელიც ყოველ გოჯს თავგამოდებით იცავდა.

— განა ქალები ცურავენ? — იკითხა ჯარისკაცმა.

— ეშმაკმა დაგლახვროს! დედაბერო! . შენ ცრუობ! სტყუი! — მრისხანედ უყვირა ტრისტანმა. — ერთი გული მეუბნება, თავი მივანებო ამ ჯადოსან ქალს და შენ წაგათრიო. წამების მეოთხედ საათში სიმართლეს ამოგგლეჯავდნენ მაგ ყანყარტოდან. წამოდი, წამოგვეყვი!

ქალი ამ სიტყვებს ხარბად ჩაეჭიდა.

— როგორც გნებავთ, ბატონო. ასეც ჰქენით. შეასრულეთ. წამება? მზად ვარ. წამიყვანეთ. ჩქარა! ჩქარა! წავედეთ ეხლავე! „ამასობაში, — ფიქრობდა იგი, — ჩემი ქალიშვილი თავს უშველის“.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა უფროსმა, — ეს ქალი ძელზე საწამებლად ხალისით მიიწვეს, ამ გიჟისა არა მესმის რა.

მწკრივიდან გამოვიდა ღამის გუშაგთა ქალარა ათისთავი და უფროსს მიმართა:

— მართლაც გიჟია, ჩემო ბატონო. თუ ბოშა ქალი გაუშვა, მაგის ბრალი არც არის, რადგან ბოშები სძულს. თხუთმეტი წელია ღამის გუშაგი ვარ და ყოველ საღამო მესმის, როგორ ლანძღავს დაუსრულებლივ ბოშა ქალებს უშვერი სიტყვებით. თუ ვისაც ჩვენ ვეჭებთ, ის პატარა მოცეკვავე ქალია, თხა რომ ჰყავს, იგი ყველაზე მეტად სძულს.

გულდულამ თავს ძალა დაატანა და თქვა: — მეტადრე ის.

ღანარჩენმა გუშაგებმა ერთხმად დაუმოწმეს უფროსს მოხუცი ათისთავის სიტყვები. მანაც დაიჯერა. რაკი იმედი აღარ ჰქონდა იმისა, რომ დაყუდებულ განდევილ ქალს რაიმეს ათქმევინებდა, ტრისტან-განდევილმა ზურგი აქცია. ქალი გამოუთქმელი მღელვარებით ადევნებდა თვალს, როგორ გაემართა იგი დინჯად თავისი ცხენისაკენ.

— აბა, გავუდგეთ გზას, — წაიბუზღუნა კრიპაშეკრულმა მეტაურმა, — განვავარძოთ ძებნა. არ დავიძინებ, სანამ ბოშა ქალს არ ჩამოვახრჩობთ.

მაგრამ იგი ერთ ხანს კიდევ შეყოყმანდა, სანამ ცხენზე შეჯდებოდა. ცოცხალმკვდარი გულდულა ათრთოლებული ადევნებდა თვალს ტრისტან-განდევილს, რომელიც მოუსვენრად ათვალთქმებდა და მოედანს მონადირე ძაღლივით, როდესაც თავის ახლოს ნადირის ბუნაგის სუნს გრძნობს და იჭაურობას ვერ გაშორებია. ბოლოს თავი გაიქნია და უნაგირზე შეხტა. საშინელებისაგან შეკუმშული

გული გულულას ისევ აუძგერდა. თავის ქალიშვილს გადახედა, რომლისკენაც აჭამდე მიხედვა ვერ გაეზღნა და დაბალი ხმით უთხრა:

— გადარჩი!

საბრალო გოგონა მთელი ამ ხნის განმავლობაში სუნთქვაშეკრული უძრავად იჯდა თავის კუთხეში და მხოლოდ მის წინაშე მდგომ სიკვდილზე ფიქრს შეეპყრო. გულულასა და ტრისტანს შორის გამართული საუბრიდან არაფერი გამორჩენია და დედის ყოველი ტკივილი თუ მწუხარება გამოძახილს ჰპოვებდა მის გულში. იგი გრძნობდა, როგორ გაუდიოდა თანდათან ტკაცანი იმ ძაფს, რომლითაც ის უფსკრულის თავზე ეკიდა. ოცჯერ მაინც იფიქრა, რომ ეს ძაფი სადაც არის გაწყდებოდა. მხოლოდ ახლად მოითქვა სული და ბოლოს ფეხქვეშ იგრძნო მყარი ნიადაგი. ამ დროს მას მოესმა ხმა, რომელიც ტრისტანს ეუბნებოდა:

— აი ტარტაროზის რქა! ბატონო უფროსო, მე სამხედრო კაცი ვარ და ჩემი საქმე არ არის ჯადოქალების ჩამოხრჩობა. ბრბო შევმუსრეთ. დანარჩენებზე თქვენ გაისარჯეთ. თუ ნებას დამრთავთ, უკაპიტანოდ დარჩენილ ჩემს ასეულს შევეურთდები.

ეს ფეხებს დე შატოპერის ხმა იყო. ენა ვერ იტყვის, რა მოხდა ყმაწვილი ქალის გულში. მაშ, ის აქ არის, მისი მეგობარი, მისი მფარველი, მისი ბურჯი, მისი საფარი, მისი ფეხუსი! ზეზე წამოიჭრა, სანამ დედა მოასწრებდა მის შეჩერებას, სარკმელს ეცა და იყვირა:

— ფეხუს! ჩემთან, ჩემო ფეხუს!

მაგრამ ფეხუსი იქ აღარ იყო. ეს ცხენის ჰენებით უკვე მდინეების ქუჩის კუთხეში უხვევდა. სამაგიეროდ ტრისტანი ჯერ არ წასულიყო.

განდგილი ქალი ღმუილით ეცა თავის ქალიშვილს. უკანვე მიათრია ძალით, ფრჩხილები კისერში ჩაუყარა. დედა ვეფხვი ხომ ამ დროს აღარაფერს დაგიდევს. მაგრამ უკვე გვიან იყო. ტრისტანმა დაინახა.

— ჰე! ჰე! — იყვირა მან ხარხარით ისე, რომ ყველა კბილი გამოუჩნდა და მისი სახე მგლის ღრუნჩის დაემსგავსა, — ხატანგში ორი თავგი დამწყვედეულა!

— მეც მაგას ვეჭვობდი, — თქვა ჯარისკაცმა.

ტრისტანმა მხარზე ხელი დაჰკრა:

— შენ კატის ალლო გაქვს. აბა, — დასძინა მან, — სად არის ანრიე კუზენ?

მწყობრიდან გამოვიდა ერთი კაცი, რომელიც არც ჩაცმულობით, არც შესახედაობით, არ ჰგავდა ჯარისკაცს. ტანსაცმელი ნახევ-

რად რუხი, ნახევრად მიხაკისფერი ეცვა, სახელოები ტყავისა ჰქონდა, თმა გადატყეცილი. მსხვილ და ღონიერ ხელში თოკების მთელი კონა ეჭირა. ეს კაცი მუდამ თან ახლდა ტრისტანს, ისე როგორც ტრისტანი მუდამ თან ახლდა ლუი XI-ს.

— მეგობარო! — უთხრა ტრისტან-განდეგილმა, — მე ვფიქრობ, რომ ეგ სწორედ ის ჯადოქალია, რომელსაც ჩვენ ვეძებთ. მიდი ჩამოჰკიდე სახრჩობელაზე. თან გაქვს კიბე?

— კიბე იქ არის, სვეტებიანი სახლის ფარდულის ქვეშ, — უპასუხა იმ კაცმა. — რომელ სახრჩობელაზე ჩამოვკიდოთ, იმაზე? — ჰკითხა და ქვის სახრჩობელაზე მიუთითა.

— დიახ.

— ჰო! ჰე! — კიდევ უფრო მხეტურად გადაიხარხარა იმ კაცმა, ვიდრე მისმა უფროსმა. — შორს წასვლა არ მოგვიხდება.

— ჩქარა! — უთხრა ტრისტანმა, — მერე იხარხარე, რამდენიც გენებოს!

იმ წუთიდან. რაც ტრისტანმა ქალიშვილი დაინახა და განდეგილმა ქალმა ყოველგვარი იმედი დაკარგა, სიტყვაც აღარ უთქვამს. ნახევრად ცოცხალმკვდარი საბრალო ბოშა ქალი თავისი აკლდამის კუთხეში მიაგრო, ხელახლა სარკმელთან დადგა და ორივე ხელი ბრჭყალებივით ჩაჩრის კუთხეს ჩასკიდა. ამ მდგომარეობაში ყველა ჯარისკაცს გაბედულად მოავლო თვალი. ისევ დაუბრუნდა მხეტური და მასთან გიჟური გამოხედვა. იმ წუთს, როდესაც ანრიე კუზენი საკანს მიუახლოვდა, გულუღას ისეთი კუშტი და ველური სახე გაუხდა, რომ კაცმა უკან დაიხია.

— ბატონო ჩემო, — ჰკითხა მან, უფროსთან მისულმა, — რომელი წამოვიყვანო?

— ახალგაზრდა.

— მით უკეთესი, თორემ ბებერი ძნელად დასაქერი ჩანს.

— საბრალო პაწია მოცეკვავე გოგო, თხა რომ დაჰყავდა მუდამ! — თქვა ღამის გუშაგთა რაზმში მოხუცმა ათისთავმა.

ანრიე კუზენი ისევ მიუახლოვდა სარკმელს. დედის შეხედვამ თვალი ძირს დაახრევინა და საკმაოდ მოკრძალებით მიმართა:

— ქალბატონო...

ქალმა დაბალი, მაგრამ მრისხანე ხმით გააწყვეტინა:

— რა გინდა?

— თქვენ არა, მეორე, — უპასუხა კაცმა.

— რომელი მეორე?

— ახალგაზრდა.

თავის ქნევით ქალმა ყვირილი მორთო:

— აქ არავინ არის! აქ არავინ არის-მეთქი, არავინ!

— არა! არის! — მიმართა ჯალათმა. — თქვენ ეს კარგად იცით. მომეცით წავიყვანო ახალგაზრდა ქალი. არ მინდა თქვენ რამე დაგიშაოთ.

მოხუცმა ქალმა უცნაური დაცინვით უთხრა:

— აჰ! შენ არ გინდა რამე დამიშაო!

— მომეცით მხოლოდ ის, მეორე, ქალბატონო! ასე მიბრძანა ბატონმა უფროსმა.

სახეშეშლილმა ქალმა გაიმეორა:

— აქ არავინ არის.

— მე თქვენ გეუბნებით, რომ არის! — შეეპასუხა ჯალათი. — ჩვენ ყველამ დავინახეთ, თქვენ ორნი იყავით.

— შენ თვითონ შემოიხედე! — უთხრა განდევილმა ქალმა დაცინვით, — ერთი შემოყავი ეგ თავი სარკმელში!

ჯალათმა დედის ფრჩხილები შეათვალღიერა და ველარ გაბედა.

— აჩქარდი! — უყვირა ტრისტანმა, რომელმაც მოასწრო თავისი რაზმის წრიულად დაწყობა თავის სოროს ირგვლივ და ცხენით სახრჩობელისაკენ გასწია.

მთლად გაწბილებული ანრიე კუზენი ერთხელ კიდევ მივიდა უფროსთან. თავისი თოკები მიწაზე დადო, და უხერხულად დაუწყო ქუდს ხელში ტრიალი.

— ჩემო ბატონო, — ჰკითხა მან, — საიდან შევიდე შიგ?

— კარიდან.

— კარი არა აქვს.

— ფანჯრიდან.

— ძალიან ვიწროა.

— გააგანიერე, — გაბრაზებით უპასუხა ტრისტანმა. — განა არა გაქვს წერაქვი?

თავისი მღვიმის სიღრმეში მდგომი დედა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალს. აღარაფრის იმედი არ ჰქონდა, არ იცოდა რა ექნა, რა ეღონა, მხოლოდ ერთი რამ არ სურდა, არ სურდა ქალიშვილი წაერთმიათ მისთვის!

ანრიე კუზენი წავიდა თავისი იარაღების მოსატანად, რომლებიც სვეტებიანი სახლის ფარდულს ქვეშ ყუთში ეწყო. მან იქიდან გამოიტანა აგრეთვე ორმაგი მისადგმელი კიბე, რომელიც იქვე სახრჩობელის ბაქანზე დადგა. პრევოს რაზმიდან ხუთი თუ ექვსი კაცი

წერაქვევბით. ბერკეტებითა და აზარმაკებით შეიარაღდა. მათთან ერთად ტრისტანი სარკმლისაკენ გაემართა.

-- დედაბერო, — უთხრა მეთაურმა მკაცრი კილოთი, — ნებით ჩაგვაბარე ეგ გოგო.

მოხუცმა ქალმა ისე შეხედა. თითქოს არა გაეგებოდა რა.

— ეშმაკმა დალახვროს შენი თავი! — განაგრძო ტრისტანმა, — რატომ არ გინდა და ხელს რად გვიშლი. რომ ეგ კუდიანი გოგო ჩამოვახრჩოთ, როგორც ეს შეფეს ნებავს.

უბედური მოხუცი ქალი ველურ ხარხარს მოჰყვა.

— რატომ არ მინდა? იმიტომ რომ ჩემი ქალიშვილია!

ეს სიტყვები ქალმა ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ თვით ანრე კუხენსაც კი გააყრყოლა.

— ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა ტრისტანმა, — მაგრამ ასეთია ნება მეფისა.

ქალმა საშინელი გარკვევებული ხარხარით იკივლა:

— რა მესაქმება შენს მეფესთან? გეუბნები, ჩემი ქალიშვილია-მეთქი!

— გახვრიტეთ კედელი! — ბრძანა ტრისტანმა.

იმისათვის, რომ ღრუ გაეფართოებინათ, საკმარისი იყო სარკმლის ქვეშ ქვების ერთი ფენა გამოეღოთ. როდესაც დედამ გაიგონა წერაქვევებისა და ბერკეტების ცემა თავის სიმაგრეზე, საზარელი ღრიალი აღმოხდა და საშინელი სისწრაფით იწყო ტრიალი თავის ბუნაგში, — ველური ცხოველის ეს ჩვეულება საკანში ჯდომის დროს შეითვისა. აღარაფერს ამბობდა, მაგრამ თვალები ანთებული ჰქონდა. ჯარისკაცებს გული გაუჩერდათ, სისხლი გაეყინათ ძარღვებში.

უეცრად ეცა თავის ლოდს, ორი ხელით ასწია და ხარხარით სტეკორცნა მომუშავე ჯარისკაცებს. ხელები უკანკალებდა და ამიტომ უხერხულად ნატყორცნი ქვა არავის მოსვედრია, ტრისტანის ცხენის ფეხებთან დაეცა. ძაძიანმა კბილები გააკრაქუნა.

ამასობაში უკვე კარგა გათენდა, თუმცა მზე ჯერ კიდევ მთლად არ ამოსულიყო. მშვენიერი ვარდისფერი შუქი მოეფინა სვეტებისა და სახლის კიანაქამ ძველ ბუხრებს. ეს ის დრო იყო, როდესაც სხვენზე მცხოვრებნი დილაადრიან მხიარულად აღებენ სახურავზე თავიანთ ფანჯრებს. ბაზრებისაკენ მიმავალი რამდენიმე სოფლელი და რამდენიმე შემწვანილე, თავიანთ სახედრებზე ამხედრებულნი, გრევის მოედანზე გაიჭიმნენ. ისინი ერთი წუთით თავის სიროს

გარშემო შემოკრებილ ჯარისკაცთა ჯგუფის წინ შეჩერდნენ, გაკვირვებული მიაშტერდნენ და ისევ განაგრძეს თავიანთი გზა.

განდგეილი თავისი ქალიშვილის გვერდით დაჯდა. სხეულით გადაეფარა, თვალეზგაშტერებული ყურს უგდებდა უძრავად დადებულ საბრალო ბავშვის ჩურჩულს; იგი ერთსა და იმავე სიტყვას ბუტბუტებდა დაბალი ხმით: ფებუს! ფებუს! რამდენადაც კედლის მნგრეველთა საქმე წინ მიიწევედა, დედა უნებურად უკან იხევდა და თავის ქალიშვილს სულ უფრო და უფრო კედლისაკენ სწევდა. პატიმარმა ქალმა უცბად შენიშნა (რადგან თვალს არ ამორებდა და მუდმივად სდარაჯობდა), რომ ქვა დაიძრა. ამ დროს ტრისტანის გამამხნევებელი ხმაც გაისმა, მომუშავეთა მიმართ თქმული. მაშინ იგი გამოერკვა თავისი ხანმოკლე გაოგნებისაგან და იკივლა. როდესაც ის ლაპარაკობდა, მისი ხმა ხან ყურს ხერხავდა, ხან კი ლულულღებდა, ბუტბუტებდა და იგუდებოდა, თითქოს მთელი ქვეყნის წყევლა და კრულვა მის ბაგეებს მოსწოლოდა, რომ ერთხელად გადმოეხეთქა.

— ფ-ო-ო! მაგრამ ეს ხომ საშინელია! თქვენ ყაჩაღები ხართ! ნუთუ მართლა იმისათვის მოხვედით, რომ ქალიშვილი წამართვათ? გეუბნებით, იგი ჩემი ქალიშვილია! ოჰ! სულმდაბლებო! ოჰ, ლაქია ჯალათებო! ოჰ, ბილწო, ჭუჭყიანო კაცის მკვლელებო, სულთამხუთავებო! მიშველეთ, მიშველეთ! ცეცხლი! ხანძარი! ნუთუ უნდა ამგლიჯონ მკერდიდან ჩემი შვილი? მამ ვინდა არის და რაღა არის იგი, ვისაც კეთილ ღმერთს ეძახიან?

მაშინ ტრისტანს მიმართა მან. პირზე დუეი ჰქონდა მომდგარი, გამოხედვა მკაცრი, პირქუში. ჯიქივით ოთხზე დამდგარიყო და მთლად აბურძგნულიყო.

— აბა ერთი ახლოს მოდი, ერთი სცადე ჩემი ქალიშვილის წართმევა! რაო, არ გესმის, რომ დედაკაცი გეუბნება, ჩემი ქალიშვილიაო? იცი კი, რას ნიშნავს, შვილი? ჰეი, შენ მგელო! აფთარო! არასოდეს გაგიტარებია ღამე ძუ-მგელთან? ნუთუ არასოდეს არ გყოლია მგლის ლეკვი, არასოდეს გყოლია პატარები და თუ გყოლია, როდესაც ისინი ყმუიან, ნუთუ გულმუცელი არ გადმოგტრიალებია?

— გამოიღეთ ქვა, — ბრძანა ტრისტანმა, — გადმოვარდნაზე!

ბერკეტებმა ასწიეს მძიმე ლოდი. როგორც ვთქვით, იგი დედის უკანასკნელი სიმაგრე, უკანასკნელი სანგარი იყო. იმ ქვას ეცა, უნდოდა დაეჭირა, შეეჩერებინა. ფრჩხილებით ფხაქნა დაუწყყო, მაგრამ ექვსი მამაკაცის მიერ ადგილიდან დაძრული მძიმე ლოდი ხელიდან

დაუსხლტა. რკინის აზარმაცებზე ნელ-ნელა ჩამოცურდა და მიწაზე დაეცა.

დედამ რომ დაინახა შესასვლელი უკვე გაკეთებული იყო, ღრუს გარდიგარდმო გაწვა და გამონგრეული ნაპრალი საკუთარი სხეულით ჩახერგა. მკლავებს იმტვრევდა და თავს ფილებზე ურახუნებდა, დაღლილობისაგან გახრინწიანებული და ძლივს გასაგონი ხმით კიოდა: — გვიშველეთ! ცეცხლი, ხანძარი, ვიწვით!

— ახლა გოგო გამოიყვანეთ! — უბრძანა ისევ გულცივად ტრისტანმა.

დედამ ისე საზარლად შეხედა ჯარისკაცებს, რომ ისინი უმალ უკან დაიხვედნენ, ვიდრე წინ ნაბიჯს გადადგამდნენ.

— აბა, მიდი! — განაგრძო უფროსმა, — ანრიე კუზენ, შენ გეუბნები!

ადგილიდან ფეხი არავინ მოიცვალა.

— ქრისტეს მადლმა, — შეუკურობხა უფროსმა — რა ჯარისკაცები ხართ, დედაკაცს შეუშინდით.

— ბატონო ჩემო, — უთხრა ანრიემ, — თქვენ ამას დედაკაცს ეძახით?

— ვერ უყურებთ, ლომის ფაფარი აქვს! — თქვა მეორემ.

— მილით-მეთქი! — ბრძანა კვლავ მეთაურმა, — ხვრელი უკვე საკმარის ფართოა. შეძვერით სამი ერთად ერთ მწკრივში როგორც კედლის შენანგრევში პონტუაზის გარემოცვის დროს. დავამთავროთ, მაჰმადის დალახვრამ, თორემ ვინც პირველად უკან დაიხვეს, ორად გავკვეთავ!

ორ საფრთხეს შორის მოქცეული ჯარისკაცები, ერთი მხრივ გააფრთხულ დედასა და მეორე მხრივ მრისხანე მეთაურს შორის, — ერთი წუთით შეეყოყმანდნენ, შემდეგ თავის სიბრძნეშია-შურეს.

როდესაც განდგეილმა ეს დაინახა, მუხლებზე წამოიწია, თმები სახიდან გადაიყარა, შემდეგ გამხდარი და დაკაწრული ხელები ბარძაყებზე ჩამოუყარდა. თვალებზე მსხვილი ცრემლები მოადგა და ერთი მეორეზე მიყოლებით გადმოუგორდა დანაოჭებულ ღრუბლებზე როგორც ნაკადული მის მიერვე გაკვალულ კალაპოტში. ამ დროს მან ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ისეთი ვედრებით, ისეთი ტკბილი, ნაზი, მორჩილი და ტანჯული ხმით, რომ ტრისტანის ირგვლივ არა ერთმა ძველმა მეომარმა, ადამიანის ხორცსაც რომ შეჰქამდა, თვალები მოიწმინდა.

— ყოვლად მოწყალენო ხელმწიფენო, ბატონო ათისთავებო, ერთი სიტყვა! ზოგი რამ მინდა ვიამბოთ. ეს ჩემი ქალიშვილია, ხე-

დავთ? ჩემი საყვარელი პატარა ქალიშვილი, რომელიც მე დაკარგული მყავდა! მისმინეთ! მთელი ამბავია. თქვენ წარმოიდგინეთ, მე კარგად ვიცნობ ბატონ ათისთავეებს. ისინი ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პატარა ბიჭები ქვებს მესროდნენ, რადგან გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდი. მიყურებთ? თქვენ დამითოვებთ ჩემს ბავშვს, როდესაც ყველაფერს გაიგებთ! მე ერთი საცოდავი ქუჩის ქალი ვარ. ბოშა ქალებმა მომპარეს იგი. მართალს მოგახსენებთ, ისევე მართალს, როგორც მართალია ის, რომ თხუთმეტი წელია ვინახავ მის მაშინას. აგერ ისიც, აი მებხედეთ. აი როგორი პაწია ფეხი ჰქონდა. რეიმსში! შანტფლერი! დიადი გოდების ქუჩა. იქნებ რომელიმე თქვენგანი კიდევ იცნობდა მას. ეს მე ვიყავი, თქვენი სიჭაბუკის ჟამს, მაშინ კარგი ხანა იყო, სიამოვნებით შეიძლებოდა დროს გატარება. თქვენ ხომ შემეძრალე, ბატონებო, ასე არ არის? ბოშა ქალებმა მომპარეს; თხუთმეტ წელიწადს მიმაღავდნენ. მე მკვდარი მეგონა. აბა წარმოიდგინეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო, მე ვფიქრობდი მკვდარი იყო. თხუთმეტი წელი გავატარე აქ, ამ სარდაფში; ზამთრობით ცეცხლი არ მქონდა. ძალიან ძნელი იყო. საცოდავი, ძვირფასი პაწია მაშინა. მე იმდენს ვკვნესოდი და ვგოდებდი, რომ მოწყალე ღმერთმა შეისმინა. წუხელ დამიბრუნა ჩემი ქალიშვილი. ეს სასწაულია ღვთისა! ის არ მომკვდარა. თქვენ მას არ წამართმევთ, დარწმუნებული ვარ. მე რომ ვიყო, კიდევ ჰრ, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ის ხომ ჯერ ისევ ბავშვია, თექვსმეტი წლისა. გაუშვით, მიეცით დრო და ჟამი, უყუროს მზეს, დატკბეს მისი ცქერით! რა დაგიშავათ? სულ არაფერი. ან მე რა დაგიშავებ? თქვენ რომ იცოდეთ, მის მეტი არავინა მყავს ამქვეყნად მოხუც ქალს. წმინდა ღვთისმშობელმა გამომიგზავნა თავისი კურთხევა! და მერე ყველა რაოდენ კეთილი ბრძანდებით! თქვენ ხომ არ იცოდით, რომ ის ჩემი ქალიშვილია, ახლა კი იცით. ოჰ! როგორ მიყვარს მე იგი! ბატონო დიდო უფროსო, ის მირჩვენია მუცელი გამოვიფატრო, ვიდრე მის თითზე უბრალო ნაფხაქნი დავინახო! თქვენ ასეთი კეთილი სახე გაქვთ, ბატონო უფროსო! ახლა ხომ ყველაფერი ცხადია, რაც მე გიამბებთ, საქმე განგიმართეთ, განა მართალი არ არის? ოჰ, თქვენც ხომ გყოლიათ დედა, უფალო ჩემო! თქვენ კაპიტანი ბრძანდებით, დამითმეთ ჩემი ბავშვი! მიყურებთ, მუხლმოდრეკილი გვედრებით ისე, როგორც იესო ქრისტეს ევედრებიან! მე სხვას არავის არაფერს ვთხოვ. მე რეიმსელი ვარ, მოწყალეო ხელმწიფენო. იქ ერთი პატარა მინდორი მაქვს, რომელიც ჩემმა ბიძამ მაიე პრადონმა მიანდერძა. მათხოვარი არა ვარ. არაფერი მსურს, მხოლოდ ჩემი შვილი მინდა! ოჰ! მე მინდა დავიფარო ჩემი

ბავშვი. კეთილმა უფალმა ტყუილუბრალოდ როდი დამიბრუნა იგი! მეფეო! თქვენ ამბობთ — მეფეო! ნუთუ მეფეს ასე ძალიან ესიამოვნება, რომ ჩემი პატარა ქალიშვილი მომიკლათ! მერე, მეფე ხომ კეთილია! ის ჩემი ქალიშვილია, ჩემი, ჩემი და არა მეფისა! და არა თქვენი! მე მინდა წავიდე აქედან, ჩვენ გვინდა გავშორდეთ აქაურობას! ბოლოს, აგერ მიდის ორი ქალი, ერთი დედაა, მეორე ქალიშვილი, გაუშვი იარონ! გაგვიშვით ჩვენც წავიდეთ! ჩვენ რეიმსელები ვართ, ოჰ, თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, ბატონო ათისთავებო, ყველანი მიყვარხართ... თქვენ არ წამართმევთ ჩემს ძვირფას პაწიას, ეს შეუძლებელია! განა ეს შეუძლებელი არ არის? ჩემი შვილი! ჩემი ბაია!

ჩვენ არ ძალგვიძს აღწეროთ მისი მოძრაობანი, მისი ხმის კილო, მისი ცრემლები, ლაპარაკის დროს რომ ახრჩობდა, მისი ხელები, რომელთაც ხან ვედრებით აღაპყრობდა, მკერდზე იჭდობდა, ხან იმტვრევდა, მისი გულგამგმირავი ღიმილი, მუდარით სავსე თვალები, კვნესა, ოხვრა-გმინვა, განწირული კივილი და გულამოსკვნილი ქვითინი, რომელიც არეული იყო მის უწესრიგო, გიჟურ და უთავბოლო სიტყვებში. როდესაც იგი დადუმდა, ტრისტან-განდევილმა წარბი შეიკრა, რათა ვეფხვისებურ თვალებზე მზმღგარი ცრემლი დაემალა. მაგრამ მან სძლია ამ თავის სისუსტეს და უკმეხად უპასუხა:

— მეფეს ასე ნებაეს!

შემდეგ ანრიე კუზენისაკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა: „მალე გაათავე!“ შესაძლებელია საზარელმა უფროსმა იგრძნო, რომ ველარტ მისი გული გაუძლებდა.

ჯალათი და ათისთავები საკანში შევიდნენ. დედა აღარავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, მხოლოდ ქალიშვილთან მიცოცდა და გონებადაკარგული თავისი სხეულით ზედ გადაეფარა.

ბოშა გოგონამ დაინახა, რომ ჯარისკაცები მიუახლოვდნენ, სიკვდილის შიშმა და ძრწოლამ კვლავ გამოაცოცხლა იგი.

— დედაჩემო! — იყვირა მან ენით გამოუთქმელი მწუხარების კილოთი, — დედაჩემო! მოდიან! დამიფარე!

— ჰო, ჩემო საყვარელო, მე შენ გიფარავ! უპასუხა დედამ მიმქრალი ხმით, და, მკლავები შემოხვია, მკერდში მაგრად ჩაიკრა და კოცნით დაფარა. ორივენი, ქალიშვილი და მასზე გადაფოფრილი დედა, ასე გართხმულნი მიწაზე, მართლაც საბრალო სანახავი იყვნენ.

ანრიე კუზენმა ყმაწვილ ქალს ლამაზ მხრებს ქვეშ სხეულზე ხელი მოხვია. როდესაც ქალმა ამ ხელწეს მიკარება იგრძნო, ოდნავ

შეჰკივლა: „ოიპ“, და გული წაუვიდა. ჯალათს, რომელსაც მსხვილი ცრემლები სდიოდა და გოგონას ზედ ეცემოდა. უნდოდა ხელში აეყვანა, მკლავებზე გადაეწვინა. ის შეეცადა ქალიშვილისათვის მოეცილებინა დედა, რომელსაც ორივე ხელი წელზე კვანძით მაგრად შემოეჭდო და ისე მაგრად შემორკალოდა თავის შვილს. რომ შეუძლებელი იყო მოშორება. მაშინ ანრიე კუზენმა ყმაწვილი ქალი საკანდან თრევით გაიყვანა გარეთ, ხოლო დედა ქალიშვილს ჩაბლაუჭებოდა. დედასაც თვალები დახუჭული ჰქონდა.

ამ დროს მზეც ამოვიდა. მოედანზე უკვე საკმაოდ დიდძალი ხალხი შეყრილიყო, რომელიც შორიდან უყურებდა, როგორ მიათრევენ რალაცას ქვაფენილზე სახრჩობელისაკენ. ტრისტანს სასჯელის აღსრულების ეამს ჩვეულებად ჰქონდა ცნობისმოყვარენი ახლოს არ მიეშვა.

ირგვლივ ფანჯრებში არავინ ჩანდა. მხოლოდ შორს, ღვთისმშობლის ტაძრის იმ კოშკის წვერზე, რომელიც გრევის მოედანს გადმოჰყურებს, დილის ნათელ ცაზე შავად ისახებოდა ორი მამაკაცის ფიგურა, რომლებიც, როგორც ეტყობოდა, ფორს დაჰყურებდნენ.

ანრიე კუზენი თავისი ტვირთით საბედისწერო კიბესთან გაჩერდა, სულს ძლივს ითქვამდა, იმდენად აჩვილებოდა გული. ახალგაზრდა ქალის მომხიბლავ ყელს თოკი ჩამოაცვა. უბედურმა ბავშვმა იგრძნო კანაფის თოკის საზარელი შეხება. ქუთუთოები ასწია და დაინახა თავს მალა ქვის სახრჩობელის გაშლილი ხმელი მკლავი. მაშინ კი შეკრთა, შეირბა და მალაღი, გულის გამგმირავი ხმით შესძახა:

— არა! არა! არ მინდა!

დედას, რომელსაც თავი ქალიშვილის ტანსაცმელში ჩაემალა, სიტყვა არ უთქვამს; ოღონდ ჩანდა, როგორ უკანკალებდა მთელი სხეული და ისმოდა, როგორ გაშმაგებით კოცნიდა თავის შვილს. ქონდაქარმა წუთით ისარგებლა, რომ სწრაფად მოეხსნა სიკვდილმისჯილის სხეულს შემორკალული დედის ხელები. იგი დაჰყვა ჯალათის ნებას იმის გამო, რომ ქანცი გაუწყდა, თუ სასო და იმედი წარეკვეთა. მაშინ ჯალათმა ყმაწვილი ქალი მსრებზე შეიგდო, მომხიბლავი ქმნილება წელში კოხტად გადაიღუნა მის ვეებერთელა თავს უკან. შემდეგ ფეხი შედგა კიბეზე და ასვლას აპირებდა.

ამ დროს ქვაფენილზე ჩაცუტქულმა დედამ ფართოდ გაახილა თვალები. არც უკივლია, არც ხმა გაუღია, ზეზე წამოიჭრა საზარელი სახით, წელში გასწორდა და, როგორც მხეცი თავის ნადავლს, ისე ეცა ჯალათის ხელსა და კბილებით ჩააფრინდა. ელვის სისწრა-

ფით მოხდა ეს. ქონდაქარმა ტკივილისაგან შეღმუვლა. მასთან მი-
ირბინეს. ძლივს გამოგლიჯეს დედის კბილებს მისი გასისხლიანე-
ბული ხელი. დედა ღრმა ღუმელს მოეცვა. მას საკმაოდ უხეშად
ჰკრეს ხელი. დაინახეს, როგორ მძიმედ დაჰკრა თავი მოხუცმა ქალ-
მა ქვაფენილზე. წამოაყენეს, მაგრამ ხელახლა დაეცა. ის უკვე
მკვდარი იყო.

ჯალათმა, რომელსაც ხელი არ გაუშვია ყმაწვილი ქალისათვის,
კვლავ იწყო კიბეზე ასვლა.

II

LA CREATURA BELLA BIANCO VESTITA * (DANTE)

როდესაც კვაზიმოდომ დაინახა, რომ სენაკი ცარიელი იყო და
ბოშა ქალი იქ აღარ იმყოფებოდა, იგა სწორედ მაშინ მოეტაცათ,
როდესაც მას იცავდა, ორივე ხელი თმებზე იტაცა და მოულოდნე-
ლობისა და მწუხარებისაგან ფეხები დააბაკუნა; შემდეგ კი აქეთ-
იქით ეცა და მთელს ეკლესიაში ძებნა დაუწყო თავის ქოშა ქალს.
მისი უცნაური ბლავილი კედლებს აყრუებდა; წითურ თმებს ტაძ-
რის ფილაქანზე აბნევდა, ეს სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც
მეფის მშვილდოსნები გამარჯვებული შევიდნენ ღვთისმშობ-
ლის ტაძარში და ისინიც ბოშა ქალის ძებნას შეუდგნენ. კვაზიმოდ-
ომ, ეს საბრალო ყრუ, მათ ეხმარებოდა ისე, რომ ეპკვი არ შეჰპარ-
ვია მათს ვერაგულ განზრახვაში. ბოშა ქალის მტრებად მას მაწანწა-
ლები მიაჩნდა. თვითონ შან აჩვენა ტრისტან-განდევგილს ტაძრის
ყველა კუნჭული, გაუღო საიდუმლო კარები, საკურთხევლის ორმა-
გი ნიშები და საეკლესიო საღაროები. უბედური ქალი რომ ისევ
იქ ყოფილიყო, თვითონვე გასცემდა მას. როდესაც ტრისტანმა
ვერაფერი ნახა და ამაოდ მოიქანცა, ძებნაზე ხელი აიღო, მან კი
ასე ადვილად როდი იცოდა უკანდახევა. მაშინ კვაზიმოდომ სრუ-
ლიად მარტო განაგრძო ძებნა. ოცჯერ, თუ ასჯერ შემოირბინა
ეკლესია სიგრძე-სიგანეზე, ზევიდან ქვევით, ხან აღიოდა და ხან
ჩადიოდა კიბეებზე; დარბოდა, ეძახდა, ყვიროდა, ყნოსავდა, ჩხრეკ-
და, ხელებს იფათურებდა, თვალს აცეცებდა და თავს ჰყოფდა ყვე-

* თეთრით მოსილი მშვენიერი ქმნილება (დანტე, სალხინებელი. XXX), იგუ-
ლისხმება ბეატრიჩე, სიმბოლო სილამაზისა და უბიწო სიყვარულისა.

ლა ხერელში. იმედდაკარგული და გაგიყვებული ჩირაღდნით ანათებდა ყოველ თაღს. ასე გამძვინვარებით ვერ იღმუვლებდა თვით ხვადიც კი, ძუს დამკარგავი.

ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, და დარწმუნდა საბოლოოდ, რომ ესმერალდა იქ აღარ იყო, რომ ყველაფერი გათავდა, რომ იგი მოსტაცეს, კოშკის კიბეზე ნელა ავიდა, სწორედ იმ კიბეზე, რომელზეც მან ესოდენი ზეიმითა და აღტაცებით აირბინა იმ დღეს, როდესაც იგი გადაარჩინა. მან სწორედ იგივე ადგილები გაიარა, თავდახრილმა, უხმოდ, უტრემლოდ, თითქმის სუნთქვაშეკრულმა. ეკლესია კვლავ დაცარიელდა და დუმილმა მოიცვა. მშვილდოსნებმა დატოვეს იგი, რათა ჯადოქარს სიტეში დასდევნებოდნენ. კვაზიმოდო, მარტოდმარტო დარჩენილი ღვთისმშობლის ამ უზარმაზარ ტაძარში, რომელიც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წუთის წინ ესოდენ ახმაურებული იყო გარემომცველთა მიერ, იმ სენაკისაკენ გაემართა, სადაც ბოზა ქალს რამდენიმე კვირა ეძინა მისი მფარველობით.

სენაკს რომ მიუახლოვდა, წარმოიდგინა, იქნებ ისევ იქ ენახო ბოზა ქალიო. როდესაც იმ ტალანს შემოუარა, რომელიც გვერდითი ეკვდერების სახურავზე გადიოდა, შეამჩნია ვიწრო სენაკი პატარა სარკმლით და პატარა კართ; იგი ტოტის ძირზე მიკრულ ჩიტის ბუდესავით მიმალულიყო საყრდენი თაღის ქვეშ. საბრალოს გული გაუჩერდა, სვეტს მიეყრდნო, რომ არ დაეცმულიყო. მან წარმოიდგინა, იქნებ დაბრუნდა ესმერალდა, იქნებ რომელიმე კეთილმა სულმა უკან მოიყვანაო; ეს სენაკი მეტისმეტად მშვიდი, საიმედო, უხიფათო, მყუდრო და მშვენიერი იყო იმისათვის, რომ არ მიეტოვებინა. ვერ გაბედა ადგილიდან დაძრულიყო, ნაბიჯი გადაედგა, ეშინოდა, ეს თავისი ილუზია არ დაემსხვრია. „ღიახ, — ეუბნებოდა ის თავის თავს, — იქნებ სძინავს ან ლოცულობს. ნუ დაეურღვევთ სიმშვიდეს“.

ბოლოს, მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, როგორც იქნა გაბედა, ცერებზე შედგა; ნაბიჯი წინ წადგა, შეიხედა, შევიდა. არავინ ჩანდა სენაკი ისევ და ისევ ცარიელი იყო. უბედურმა ყრუმ ირგვლივ ნელი ნაბიჯით შემოუარა, ლოგინი გადასწია და ქვეშ შეიხედა, თითქოს ესმერალდას შეეძლო ქვის ფილასა და ლეიბს შორის დამალულიყო, შემდეგ თავი გააქნ-გამოაქნია და გაოგნებული ერთ ადგილზე გაირინდა. გაშმაგებულმა უცბად ფეხით გაქელა თავისი ჩირაღდანი და, სიტყვა არ უთქვამს, ოხვრა არ ამოხდენია, ისე გაქანდა მთელი სისწრაფით, კედელს თავი მიახალა და გულშეწუხებული ფილაქანზე დაეცა.

როცა გონს მოვიდა, ლოგინზე დაემხო, გორაობდა და თან გაშ-

მაგებით კოცნიდა ჯერ კიდევ თბილ ადგილს, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა ქალიშვილს ეძინა; რამდენიმე წუთს უძრავად ეგდო, თითქოს, ეგ არის, სული უნდა ამოხდესო, შემდეგ წამოდგა, ოფლში იწურებოდა, სული ეხუთებოდა. თავისი ზარის ენასავით აქეთ-იქით თანაბარზომიერად ქანაობდა და გონებადაკარგული თავს კედლებზე ახლიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სასიკვდილოდ გაეხეთქა თავი. ბოლოს, არაქათგამოლეული მეორედ დაეცა ძირს. შემდეგ მუხლებზე ხოხვით სენაკიდან გამოცოცდა და განცვიფრებული კარის პირდაპირ ჩაუტყდა.

ასეთ მდგომარეობაში ერთ საათზე მეტ ხანს დაჰყო უძრავად, თვალგაშტერებული შეჰყურებდა დაცარიელებულ სენაკს, უფრო დამწუხრებული და უფრო დაფიქრებული, ვიდრე დედა, გლოვად დამჯდარი დაცარიელებულ აკვანსა და თავისი ბავშვინ პაწია კუბოს შორის. ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს; ზაფხულის უხმოდ ელვის მსგავსად ხანგამოშვებით მძაფრი და უცრემლო ქვითინი შეჩანჯღრევდა ხორმე მთელ მის სხეულს.

როგორც ჩანს, სწორედ მაშინ, როცა მწუხარე ფიქრებში გართული კვაზიმოდო ცდილობდა მიეგნო, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ბოშა ქალის მოულოდნელი მომტაცებელი, მისი გონება არქიდიაკონზე შეჩერდა. გაახსენდა, რომ მხოლოდ მამა კლოდს ჰქონდა იმ კიბის გასაღები, რომელიც სენაკისაკენ მიდიოდა; მოაგონდა ახალგაზრდა ქალიშვილზე ლამით თავდასხმის ცდები: პირველად, როცა კვაზიმოდო მას ეხმარებოდა, მეორედ, როდესაც ხელი შეუშალა. მოიგონა ათასობით წვრილმანი და მალე აღარც კი ეკვივობდა, რომ სწორედ არქიდიაკონმა წაართვა ბოშა ქალი. მაგრამ ისეთი დიდი იყო მისი პატივისცემა ხუცესისადმი, მის გულში ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მადლიერების გრძნობას, ერთგულებასა და სიყვარულს ამ ადამიანისადმი, რომ ამ წუთშიც კი ეს გრძნობები წინააღმდეგობას უწევდნენ ექვიანობისა და გულაცრუების ჰვანგებს.

ის ფიქრობდა, რომ ეს საქმე არქიდიაკონმა ჩაიდინა. მაგრამ სისხლიანი და სამკვდრო-სასიცოცხლო რისხვა, რომლითაც ღვი განიშპვალებოდა ყოველი სხვა ადამიანის მიმართ, ამჟამად, როდესაც საქმე ეხებოდა კლოდ ფროლოს, საბრალო ყრუს კიდევ უფრო მწვავე ტკივილითა და ღრმა მწუხარებით შეეცვალა.

იმ წუთს, როდესაც მისი ფიქრი ხუცესზე შეჩერდა, განთიადის სხივებმა გააშუქა საბრჯენი თაღები, კვაზიმოდომ უცბად შენიშნა, რომ ღვთისმშობლის ტაძრის ზემო სართულზე, გარეთა მოაჯირის მოსახვევთან ვიღაც მოდიოდა. მოაჯირი აბსიდს გარს ქამარით

ჰქონდა შემოვლებული. ის ვიღაც მისკენ მოემართებოდა. იცნო, არქიდიაკონი იყო.

კლოდი მძიმედ და ნელა მოაბიჯებდა, წინ არ იყურებოდა; მას ჩრდილოეთ კოშკისაკენ აედო გეზი, მაგრამ სახე სენის მარჯვენა ნაპირისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. თავი მალლა ეჭირა, თითქოს ცდილობდა რაღაც დაენახა სახურავს ზემოთ. ასეთი აღმაცერი გამოხედვა ხშირად ბუსა აქვს; ბუ ერთი მიმართულებით მიფრინავს, ხოლო სხვა მხარეს იყურება. ხუცესმა კვაზიმოდოს სწორედ თავს მალლა გადაუარა, მაგრამ იგი არ შეუმჩნევია.

ამ მოულოდნელმა გამოჩენამ ყრუ ერთ ადგილზე გააქევა. მან თვალი გააყოლა მიმავალს, ვიდრე იგი ჩრდილოეთ კოშკის კიბის კარს არ მიეთარა. მკითხველმა იცის, რომ სწორედ ამ კოშკიდან მოჩანს ქალაქის თვითმმართველობა. კვაზიმოდო ადგა და არქიდიაკონის კვალს გაჰყვა.

კვაზიმოდო კოშკის კიბეზე ავიდა, რათა გაეგო, რატომ მიდიოდა ზევით ხუცესი. თუმცა კვაზიმოდომ, საბრალო ზართა მრეკველმა არ იცოდა, რას იზამდა, რას ეტყოდა, რა სურდა. ის გულისწყრომითა და შიშით იყო შეპყრობილი. მის გულში ერთმანეთს შეეჯახნენ არქიდიაკონი და ბოზა ქალი.

როდესაც კოშკის მწვერვალს მიღწია, ვიდრე კიბის სიბნელიდან გამოვიდოდა და ფეხს ბაქანზე შედგამდა, ფრთხილად მოათვალიერა იქაურობა, თვალთ ეძებდა, სად იყო ხუცესი. ხუცესი ზურგშექცევით იდგა. სამრეკლოს ბაქანს გარს ერტყა ფაქიზი ხელოვნებით შესრულებული მოაჯირი. ხუცესი, რომელსაც თვალეზო დაბლა, ქალაქისათვის მიეპყრო, მკერდით დაყრდნობოდა მოაჯირის იმ ერთ-ერთ ოთხ მხარეთაგანს, რომელიც ღვთისმშობლის ხიდს გადაჰყურებს.

კვაზიმოდო. მგლის ნაბიჯით მიეპარა უკანიდან, უნდოდა გაეგო, რას უყურებდა ასე ხუცესი.

მღვდლის ყურადღება იმდენად მიეპყრო რომელიღაც ადგილს, რომ ვერც კი გაიგონა ახლოს მისული ყრუს ფეხის ხმა.

დიდებულ და-მომხიბვლელ სანახაობას წარმოადგენს პარიზი, — მეტადრე იმ დროის პარიზი, — როდესაც ღვთისმშობლის ტაძრის კოშკის მწვერვალიდან დახედავთ ზაფხულის განთიადის მოციმციმე სხივებით გაცისკროვნებულს. ივლისის თვე იდგა. ცა სრულიად მოწმენდილი იყო. გვიანობამდე შერჩენილი რამდენიმე ვარსკვლავი აქა-იქ უკვე ქრებოდა. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ბრწყინავდა მეტისმეტად აღმოსავლეთით, სადაც ცა ყველაზე უფრო განათებული იყო. მზე ამოსვლას აპირებდა. პარიზი იღვიძებდა ამ უაღრესად

თეთრსა და კამკამა შუქზე მკაფიოდ ისახებოდა ათასობით სახლების აღმოსავლეთის მხრის კედლები. სამრეკლოების გიგანტური ჩრდილი სახურავიდან სახურავზე, დიდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იშლებოდა. ზოგიერთ უბანში უკვე ლაპარაკი და ხმაური ისმოდა, აქ ზარების რეკვა, იქ ჩაქუჩის ცემა, ქვემოთ კი მიმავალი ფორნის გრუხუნი. აქა-იქ სახურავების ზედაპირზე, როგორც უზარმაზარი ცეცხლოვანი მთის ნაპრალიდან ამოსეთქილი, უკვე ჩნდებოდა კვამლის სვეტები. ვერცხლისფრად ციმციმებდა მოლივლივე მდინარე, რომლის ტალღები ამდენი ხიდის კამარებს ქვეშ ბურჯებსა და ამდენ კუნძულთა კონცხებს ეხეთქებოდა. ქალაქის ირგვლივ, ქვის გალავანს გადაღმა, თვალთახედვა იკარგებოდა ნისლის ქულების ვეებერთელა რკალში, რომლის იქით ბუნდად გაარჩევდით ვაკე-მინდორთა განუსაზღვრელ ხაზს და ბორცვების მოხდენილ აზიდულობას. ყოველნაირი ხმები გუგუნით ირხეოდა და იფანტებოდა ამ ნახევრად გლვიძებული ქალაქის თავზე. აღმოსავლეთით დილის ნიავი ცაზე მიერეკებოდა ბორცვებზე გაწოლილი ფაფარაშლილი სქელი ღრუბლებიდან მოწყვეტილ ბამბასავით თეთრ ქულებს.

ტაძრის კარიბჭესთან რამდენიმე ქორიკანა დედაკაცი, რომლებსაც რძის ქურჭლები ეჭირათ ხელში. ერთმანეთს გაკვირვებით უჩვენებდნენ ღვთისმშობლის ტაძრის არაჩვეულებრივად მინგრეულ-მონგრეულ მთავარ შესასვლელ კარებს და სილაქვის ნაპრალებში გაყინულ ტყვიის ორ ნაკადულს. სულ ეს იყო, რაც კი ღამის არეულობიდან დარჩენილიყო. კვაზიმოდოს მიერ ორ კოშკს შორის დანთებული კოცონი ჩამჭრალიყო. ტრისტანმა უკვე გაწმინდა მოედანი და დახოცილთა გვამები სენაში გადააყრევინა. ისეთი მეფეები, როგორც არის ლუი XI, იმაზე ზრუნავენ, რომ ხოცვა-ყლეტის შემდეგ სწრაფად გარეცხონ ქვაფენილი.

კოშკის მოაჯირის გარე მხრიდან, სწორედ იმ ადგილს ქვეშ, სადაც შეჩერდა ხუცესი, ერთ-ერთი. უცნაურად გათლილი ქვის წყალჩასადენი ღარღანა იყო; ამ ქვის ღარღანებით აბურძგნილია გოტიკური შენობები. აი ამ ღარღანის ერთ-ერთ ბზარში მათიოლას ორ მშვენიერ ყვავილს ნიავი არხედა და ისინიც, თითქოს ცოცხლები არიანო, ერთმანეთს გიჟმაყურად უქნევდნენ თავს. კოშკს ზევით, მაღლა, შორს, ცის სიღრმეში ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა.

მაგრამ ხუცესს ყოველივე ეს არ ესმოდა, იგი არაფერს არ უყურებდა. ის იმ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებსათვისაც არ არსებობს არც დილა, არც ფრინველები, არც ყვავილები. ამ უსაზღვრო ჰორიზონტზე, რომელიც თვალს ამდენ მრავალფეროვან

სანახაობას გადაუშლიდა, მისი მზერა მიპყრობილი იყო მხოლოდ ერთადერთი წერტილისაკენ.

კვაზიმოდოს სურვილი სწევდა, ეკითხა მისთვის, რა უყო ბოშა ქალს! მაგრამ არქიდიაკონი, როგორც ჩანდა, იმ წუთს ამქვეყნად აღარ იყო. ეტყობოდა იგი ცხოვრების იმ ერთ-ერთ მძაფრ წუთებს განიცდიდა, როდესაც ადამიანი ფერხთ ქვეშ მიწის გარღვევასაც კი ვერა გრძნობს. ის თვალმოუშორებელი მიმტერებოდა ერთ გარკვეულ ადგილს, იღვა უძრავად და მღუმარედ! ამ მღუმარებასა და უძრავებაში იყო რაღაც საშინელი, იმდენად საშინელი, რომ თვით ველურ ზართა მრეკველსაც კი ერთნატივად დაუარა და ვერ გაბედა ეს მღუმარება დაერღვია. მაგრამ მას სხვა ხერხიც გააჩნდა იმისათვის, რომ არქიდიაკონს შეჰკითხებოდა; თვალი მისი თვალთა სხივის მიმართულებას გააყოლა და, ამრიგად, უბედური ყრუს მზერა გრევის მოედანზე შეჩერდა.

მანაც დაინახა ის, რასაც მღვდელი უცქერდა. მუდმივ სახრჩობელასთან დადგმული იყო კიბე. მოედანზე მოჩანდა ხალხის გროვა და მრავალი ჯარისკაცი. ვიღაც მამაკაცი ქვაფენილზე მიათრევდა თეთრ რაღაცას, რომელსაც შავი რამ ჩასკიდებოდა. ეს კაცი სახრჩობელის ძირას შეჩერდა.

ამ დროს იქ რაღაც მოხდა, რაც კვაზიმოდომ კარგად ვერ დაინახა. იმიტომ კი არა, რომ მისმა ერთადერთმა თვალმა დაკარგა გამჭრიახობა, არამედ იმიტომ, რომ ჯარისკაცთა გროვა უშლიდა დაენახა და გაერჩია ყოველივე ის, რაც იქ ხდებოდა. თუმცა ამ წუთს მზეც ამოვიდა, და ჰორიზონტიდან თვალისმომჭრელი სინათლის ისეთი ნაკადი გადმოიღვარა ტალღებად, რომ პარიზის ყველა მაღალი წვერო, გუმბათებისა და კოშკების წვეტები, საკვამურები, წვეტურები ერთბაშად აელვარდნენ, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო.

ამასობაში იმ კაცმა კიბეზე იწყო ასვლა. მაშინ კი კვაზიმოდომ ნათლად გაარჩია იგი. მას მოჰყავდა მხარზე გადაწვენილი ქალი, თეთრით შემოსილი ახალგაზრდა ქალიშვილი. ქალიშვილს ყელზე მარყუჟი ჰქონდა ჩამოცმული. კვაზიმოდომ იცნო იგი.

ის იყო!

იმ კაცმა კიბის თავს მიადწია. იქ მან მარყუჟი შეუსწორა. აქ ხუცესი, იმისათვის, რომ კარგად დაენახა, მუხლებით მოაჯირზე შედგა.

უცბად იმ კაცმა სწრაფად ჰკრა ქუსლი კიბეს, და კვაზიმოდომ, რომელსაც უკვე რამდენიმე წამს სუნთქვა შეჰკევროდა, დაინახა, თუ როგორ გაქანდა ქვაფენილიდან ორი საყენის სიმაღლეზე, თოკის ბოლოზე ჩამოკიდებული უბედური ბავშვის სხეული, კაცთან ერთად.

თად. რომელიც მას ფეხებით მხრებზე მოახტა. თოკი რამდენჯერმე დადგრიხა, კვაზიმოდომ დაინახა, როგორ დაუარა საშინელმა კრუნჩხვამ ბოშა ქალის მთელ სხეულს. ხუცესიც, თავის მხრივ, კისერწაწეული და თვალებგადმოკარკლული ამ გულშემზარავ ჯგუფს, კაცსა და ახალგაზრდა ქალს, ობობასა და ბუხს მიაშტერდა.

ამ შემადრწუნებელ წუთს ჯოჯოხეთურმა ხარხარმა, რომელშიც ადამიანური არა იყო რა, დადრეჯა ხუცესის მკვდრისებური სახე. კვაზიმოდოს ეს ხარხარი არ გაუგონია, მაგრამ დაინახა.

ზართა მრეკველმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია არქიდიაკონის ზურგს უკან, უცბად გააფთრებული ეძგერა მას, თავისი ორი მძლავრი ხელი ზურგში ჰკრა და გადაჩეხა უფსკრულში, რომლის პირასაც გადახრილი იყო მამა კლოდი.

ხუცესმა იყვირა: — წყევლა და კრულვა! — და ძირს ჩავარდა.

წყალჩასადენმა ლარლანამ, რომლის ზემოთაც ის იმყოფებოდა, მისი ვარდნა შეაჩერა. მღვდელი ორივე ხელით ქვის ლარლანას თავგანწირვით ჩაებლაუქა და სწორედ იმ წუთს, როდესაც პირი დააღო იმისათვის, რომ ხელმეორედ ეყვირა, მოაჯირის ნაპირზე, თავს მალა კვაზიმოდოს მრისხანე და შურისძიებით აღსაყვს სახე დაინახა.

მაშინ კი დადუმდა.

ქვევით უფსკრულს პირი დაეღო. ქვაფენილამდე ორას ფუტზე მეტი მანძილი კიდევ დარჩენილიყო.

ამ საშინელ მდგომარეობაში არქიდიაკონს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, ერთი კვნესაც არ ამოხდენია. ის მხოლოდ ებლაუქებოდა და ეხვეოდა ღარს და გაუგონარ ძალ-ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ როგორმე მალა აცოცებულიყო. მაგრამ მისი ხელები გრანიტს არ ეკიდებოდა, უსხლტებოდა, ფეხებით ამაოდ ფხოქნიდა გაშავებულ კედელს, ამაოდ ეძებდა დასაყრდენს. ვინც ღვთისმშობლის ტაძრის კოშკზე ასულა, მან იცის, რომ უშუალოდ მოაჯირს ქვეშ ქვის გამობურცული შვერილია! აი სწორედ ამ გამოწეულ კუთხეზე ფართხალობდა და არაქათი ეცლებოდა უბედურ არქიდიაკონს. მის ქვეშ იყო არა შვეული, არამედ დახრილი სრიალა კედელი.

იმისათვის, რომ კვაზიმოდოს იგი უფსკრულიდან ამოეყვანა, მხოლოდ ხელის გაწოდება დასკირდებოდა, მაგრამ ზედაც არ უყურებდა. იგი გრევის მოედანს, სახარხობელასა და ბოშა ქალს გასცქეროდა.

ყრუ იდაყვით დაეყრდნო მოაჯირს სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ერთი წუთის წინ არქიდიაკონი იდგა, და თვალს არ ამო-

რებდა იმ ერთადერთ საგანს, რომელიც ამჟამად მისთვის ამ ქვეყანაზე არსებობდა. მეხდაცემულივით უძრავად და მღუმარედ იდგა და ცრემლთა შეუწყვეტელი ნაკადული უხმოდ სდიოდა ერთადერთი თვალიდან, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთადერთი ცრემლი გადმოვარდნოდა.

ამ დროს არქიდიაკონს სული ეხუთებოდა. მელოტი შუბლიდან სიმწრის ოფლი ჩამოსდიოდა. ფრჩხილებიდან ქვაზე სისხლი წვეთავდა. კედელზე ხახუნისაგან მუხლები გადაუტყავდა.

ხუცესს ესმოდა, თუ როგორ სკდებოდა და ირღვეოდა ყოველ მის განძრევაზე ღარღანაზე წამოდებული ანაფორა. მისდა საუბედუროდ, ეს ღარი თავდებოდა ტყვიის მილით, რომელიც მისი სხეულის სიმძიმისაგან იღუნებოდა. არქიდიაკონი გრძნობდა, რომ ეს მილი ნელ-ნელა იზნიქებოდა. ის უბედური ფიქრობდა, როგორც კი დაღლილობისაგან ღონეგამოცლილი მისი ხელები მოეშვებოდა, როდესაც ანაფორა დაეხეოდა და ტყვიის მილიც დაიღუნებოდა, აუცილებლად მოსწყდებოდა და ჩავარდებოდა, ამიტომაც შიშის ქრუანტელი უვლიდა გულ-მუცელში. ხანდახან თავგზააბნეული მზერას მიაპყრობდა ვიწრო ბაქანისმაგვარ ალაგს, რომელიც ათიოდე ტერფით დაბლა შეექმნა რომელიდაც არქიტექტურულ მორთულობას, და თავისი განწირული სულის სიღრმეში ზეცას ევედრებოდა მისი სიცოცხლე ამ ორი კვადრატული ტერფისოდენა ადგილზე გაეთავებინა, თუნდაც რომ ას წელიწადს დაეყო მასზე. ერთხელ ჩახედა დაბლა უფსკრულში დანთქმულ მოედანს; როდესაც თავი მაღლა ასწია, თვალები დაეხუჭა და თმები ყალყზე დაუდგა.

საშინელი იყო ამ ორი ადამიანის ღუმელი. იმ დროს, როდესაც არქიდიაკონი რამდენიმე ნაბიჯზე ასე უღმობლად დაფავდა სულს, კვაზიმოდო ცრემლად იღვრებოდა და გრევის მოედანს გაჰყურებდა.

არქიდიაკონი ხედავდა, რომ ყოველი შეტოკება მხოლოდ არყევდა უკანასკნელ სუსტ დასაყრდენს, ამიტომ გადაწყვიტა, აღარ განძრეულიყო. ასე ეკიდა იქ. ღარს ჩახვეოდა. სულს ძლივს ითქვამდა, აღარ იძვროდა, არ მოძრაობდა, გარდა იმისა, რომ უნებურად ეკრუნჩხებოდა მუცლის კუნთები, რასაც ადამიანი სიზმარში განიცდის ხოლმე, როდესაც ჰგონია, რომ ძირს ვარდება. თვალები ავადმყოფივით გაშტერებოდა და გაკვირვების გამო გაფართოებოდა. თანდათანობით ნიადაგი ეკარგებოდა, თითები ღარზე უცურავდა. გრძნობდა, რომ მკლავები თანდათან უსუსტდებოდა და სხეული სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. ტყვიის მილის

ლუნი, რომელსაც იგი ეჭირა, ქვევით და ქვევით იხრებოდა უფსკრულისაკენ.

ძირს ჩაიხედა და საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ: სენ-ჟან-ლე-რონის სახურავი, პაწია, ორად გაღუნულ რუკას ჰგავდა. ხანდახან კოშკის უგრძობებელ ქანდაკებებს შეხედავდა, რომლებიც უფსკრულის თავს მისებრ დაკიდებულიყვნენ, მაგრამ, რომლებიც არც შიშსა გრძობდნენ და არც სიბრალულს მისდამი. ირგვლივ ყოველივე ქვისაგან იყო ნაგები: მის თვალწინ პირდაღებული ურჩხულები, მის ქვემოთ სულ დაბლა, მოედნის სიღრმეში, ქვაფენილი; მის თავს ზემოთ კი — ატირებული კვაზიმოდო.

ტადრის კარიბჭის წინ მოედანზე შეგროვილყო ცნობისმოყვარეთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც გულდამშვიდებით მსჯელობდნენ და ცდილობდნენ გამოეცნოთ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს გიყი, რომელიც ასე უცნაურად ირთობდა თავს. ხუცესს ესმოდა მათი ლაპარაკი, რადგან მათი ხმა იქამდე ნათლად და მკაფიოდ აღწევდა: — „მაგრამ ის ხომ კისერს მოიტეხს!“

კვაზიმოდო ტირიდა.

ბოლოს. ცოფმორეულმა და შიშით შეპყრობილმა არქიდაკონმა შვიგნო, რომ ყოველივე ამას იყო. თუმცა მან მაინც მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე, რაც კი შერჩენოდა, რათა უკანასკნელად კიდევ ეცადა. დარღანაზე გაიჭიმა, მუხლები კედელს ჰკრა, ორივე ხელით ქვების ნაპრალებს მოეჭიდა და დაახლოებით ერთი ფუტით მოახერხა აფოფხება; მაგრამ ამ მკვეთრმა მოძრაობამ ტყვიის მილის ღუნი, ნისკარტი, რომელსაც ის ეყრდნობოდა, უტბად დახარა; მყისვე ანაფორაც გაიფატრა; მაშინ კი იგრძნო არქიდაკონმა, რომ ყოველგვარი დასაყრდენი მოესპო, რომ მხოლოდ მისი დაბუყებული და ღონეგამოცლილი ხელებიდა ებლაუჭებოდნენ რალაცას, უბედურმა თვალები დახუჭა და ღარს ხელი უშვა. ჩავარდა.

კვაზიმოდო უყურებდა როგორ ვარდებოდა იგი.

ასეთი სიმაღლიდან შვეულად ჩავარდნა იშვიათია. სივრცეში გადავარდნილი არქიდაკონი ჯერ თავითა და გაშლილი ხელებით ჩაეშვა ქვევით; შემდეგ ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა; ჭარმა იგი ერთ-ერთი სახლის სახურავისაკენ გააქანა და უბედური ზედ დაენარცხა. მაგრამ როდესაც ამ სახურავს მიაღწია, ჯერ კიდევ მკვდარი არ იყო. ზართა მრეკველმა დაინახა, როგორ ცდილობდა იგი თავბანდს ფრჩხილებით ჩაბლაუჭებოდა, თავი შეეკავებინა; მაგრამ სახურავის სიბრტყე მეტისმეტად დაქანებული იყო და ძალა აღარ ეყო. ბურულზე მოსხლეტილი კრამიტით სწრა-

ფად ჩამოსრიალდა და ქვაფენილზე ზღართან მოადინა. აქ იგი აღარც განძრეულა.

მაშინ კვაზიმოდომ თვალი მიაპყრო ბოჟა ქალს, რომლის სახ-რჩობელაზე ჩამოკიდებული სულთმობრძავე სხეული თეთრ სამოსელს ქვეშ უკანასკნელად ჯერ კიდევ თრთოდა და იკრუნჩხებოდა. შემდეგ დაბლა დახედა არქიდიაკონს, რომელიც კოშკის ძირას გაშხლართულიყო და ადამიანის სახე დაჰკარგოდა. გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ქვითინით წარმოთქვა:

— ოჰ, გათავდა, გაქრა ის, რაც მიყვარდა!

III

შეგზისნის ქორწინება

იმევე დღეს, საღამო ჟამს, როდესაც ეპისკოპოსის სასამართლო ბოქაულებმა ტაძრის კარიბჭიდან არქიდიაკონის დაფლეთილი გვამი აიღეს, კვაზიმოდო ღვთისმშობლის ტაძრიდან გაქრა.

ამ შემთხვევის გამო მრავალი მითქმა-მოთქმა დადიოდა. არავის ექვი არ ეპარებოდა, რომ დადგა დღე, როდესაც ხელშეკრულების თანახმად კვაზიმოდოს, იგივე ეშმაკს, უნდა წაეყვანა კლოდ ფროლო, ესე იგი ჯადოქარი. ფიქრობდნენ, რომ კვაზიმოდომ ხუცესის სულის წასაყვანად მისი სხეული დაამსხვრია ისე, როგორც მაიმუნი სტეხს კაკლის ნაჭუჭს, რათა ნიგოზი შექამოს.

აი რატომ არ დაკრძალეს არქიდიაკონი წმინდა მიწაში.

ლუი XI მოკვდა ერთი წლის შემდეგ, 1483 წლის მარიაშობის თვის.

რაც შეეხება პიერ გრენგუარს. მან მოახერხა თხის გადარჩენა და წარმატებას მიაღწია ტრაგედიის დარგში. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც გემო გაუღო ასტროლოგიას, ფილოსოფიას, არქიტექტურას, პერმეტიკას. ყოველგვარ გიჟურ გატაცებას. ისევე ტრაგედიას, ყველაზე გიჟურ გატაცებას დაუბრუნდა. ამას ის თავის „ტრაგიკულ დასასრულს“ უწოდებდა. აი რა შეიძლება ამოვიკითხოთ მისი, როგორც დრამატურგის გამარჯვებათა თაობაზე 1483 წლის ჩვეულებრივ ანგარიშებში:

„ჟეან მარშანსა და პიერ გრენგუარს, ხუროსა და მთხველს, რომელთაც დადგეს და შეთხზეს მისტერია პარიზის შატლელში, ბატონ ლეგატის მობრძანების დღეს, დაწესებული იმ მოქმედ პირთათვის, რომელნიც ჩაცმული და მორთულ-მოკაზმული იყვნენ

ისე. როგორც ეს საჭირო იყო ზემოხსენებული მისტერიისათვის, ასევე ბოგირბანის ასაგებად, რაც აუცილებელი იყო მისთვის; ყოველივე ამაში — ასი ლივრი“.

ფებუს დე შატოპერმაც ტრაგიკულად დაამთავრა — მან ცოლი შეირთო.

IV

კვაზიმოდოს ქორწინება

ჩვენ ეს-ეს არის ვთქვით, რომ კვაზიმოდო გაქრა ღვთისმშობლის ტაძრიდან ბოშა ქალისა და არქიდიაკონის სიკვდილის დღეს. მართლაც, იგი აღარავის უნახავს; აღარავინ იცოდა, რა დაემართა მას.

ლამით, ესმერალდას დასჯის შემდეგ. ჯალათის თანაშემწეებმა მისი გვამი სახრჩობელიდან ჩამოხსნეს და, ჩვეულების თანახმად, მონფოკონის აკლდამაში წაიღეს.

მონფოკონი, როგორც სოვალი ამბობს, „იყო სამეფოს ყველაზე ძველი და ყველაზე დიდებული სახრჩობელა“. ტამპლისა და სენ-მარტენის გარეუბანთა შორის, პარიზის გალავნიდან დაახლოებით ასსამოც საეენზე, კურტილიდან ბოძალდის რამდენიმე სასროლ მანძილზე, ერთ დამრეც, შეუმჩნეველ, მაგრამ მაინც იმდენად მაღალი ბორცვის მწვერვალზე, რომ რამდენიმე ლივზე დაენახათ იმ არემარეში, აღმართული იყო უცნაური ფორმის ნაგებობა, რომელიც რამდენადმე კელტურ კრომლესს ჰგავდა და სადაც აგრეთვე აღამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად.

წარმოიდგინეთ ცარცოვანი ბორცვის მწვერვალზე დიდი ქვითნა-შენი პარალელეპიპედი, სიმალლით თხუთმეტი, სიგანით ოცდაათი და სიგრძით ორმოცი ტერფი, კარებით, გარეთა მოაჯირითა და ბაქანით. ამ ბაქანზე აღმართული იყო გაუთლელი ქვისაგან ნაგები თექვსმეტი უზარმაზარი სვეტი, სიმალლით ოცდაათი ტერფი, მკვიდრ საფუძველზე სამი მხრივ კოლონადის სახით ირგვლივ განლაგებული და ერთმანეთთან მაგარი კოჭებით თავშეკრული, რომლებზეც გარკვეული შუალედებით ეკიდა ჯაჭვები, ხოლო ყოველ ჯაჭვზე ჩამოკიდებული იყო ჩონჩხები; ირგვლივ იმ არემარეში ვაკეზე — ქვის ჯვარცმა და ორი მეორე რიგის სახრჩობელა, რომლებიც თითქოს ცენტრალური სახრჩობელას ორ განშტოებას წარმოადგენდა. ყოველივე ამის ზემოთ ცაში, მუდამ ტრიალებდა ყვავ-ყორანთა გუნდი. აი, როგორია მონფოკონი.

მეთხოვეთე საუჯუნის დამლევის უშველებელი სახრჩობელა, რომელიც 1328 წლით თარიღდება, უკვე მეტისმეტად დაძველებულიყო. კოჭები ქიებს გამოეხრათ, ჯაჭვებს ეანგი მოჰკიდებოდა, ბოძები ობისაგან გამწვანებულიყო. გათლილი ქვებით ნაგები ნაფენი ნაწიბურებთან გაწეულ-გამოწეულიყო და დახეთქილიყო; ბაქანი, რომელსაც კაცის ფეხი აღარ შეხებია, ბალახით დაფარულიყო. ეს ნაგებობა ცაზე შემზარავ სილუეტად აღმართულიყო, ნამეტნავად ღამლამობით, როდესაც მთვარის მკრთალი შუქი ციმციმებდა თეთრ თავის ქალებზე, ანდა როდესაც ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და აქეთ-იქით არხევდა ღამის წყვიდიადში ჯაჭვებსა და ჩონჩხებს. მარტო ეს სახრჩობელაც კმაროდა, რომ მთელი იმ არემარისათვის პირქუში ელფერი მიეცა.

ქვის ეს მკვიდრი წყობა, რომელიც ამ საზიზლარი ნაგებობის საფუძველს წარმოადგენდა, შიგნით ღრუ. იყო. იქ გაუქეთებიანთ ძველი, დაზიანებული რკინის ცხაურით დაკეტილი ფართო აკლდამა, სადაც ჰყრიდნენ არა მარტო მონფოკონის ჯაჭვებიდან ჩამოვარდნილ ადამიანთა სხეულების ნაშთებს, არამედ ყველა იმ უბედურთა გვამებს, რომლებიც ჩამოეხრჩოთ პარიზის სხვა მუდმივ მოქმედ სახრჩობელებზე. ამ ღრმა საძვალეში, სადაც მტვრად ქცეულა ამდენ ადამიანთა ნეშტი და ამდენი დანაშაულობანი, ერთად გაიხრწნა მრავალი დიდებული ამა ქვეყნისა და მრავალი უდანაშაულო, რომელნიც აქ მოსულან თანმიმდევრობით, მოუტანიანთ და სამუდამოდ დაუტოვებიანთ ძვალნი თვისნი, დაწყებული ანგერანდე მარინით, ვინც განაახლა მონფოკონი, და ვინც ალაღმართალი იყო, გათავებული ადმირალ კოლინით¹, ვინც მონფოკონის წრე დაამთავრა, და ვინც ასევე მართალი იყო.

რაც შეეხება კვაზიმოდოს იდუმალ გაქრობას, აი ყოველივე ის, რის აღმოჩენაც ჩვენ შევძელით.

დაახლოებით ორმა წელიწადმა თუ თვრამეტმა თვემ გაიარა იმ ამბების შემდეგ, რითაც ეს ისტორია დამთავრდა. როდესაც მონფოკონის აკლდამაში მივიდნენ, რათა მოეძებნათ ოლივიე ლედენის გვამი, რომელიც მანამდე ორი დღით ადრე ჩამოეხრჩოთ და რომელსაც შარლ VIII წყალობა უბოძა, დაეკრძალათ უფრო უკეთეს საზოგადოებაში, სენ-ლორანის სასაფლაოზე, — გულშემზარავ ჩონჩხთა შორის ნახეს ორი ჩონჩხი, რომელთაგან ერთი უცნაურად გადაკლდობოდა მეორეს. ამ ორ ჩონჩხთაგან ერთი ქალისა იყო, მას ჯერ კიდევ შერჩენოდა კაბის, ოდესღაც თეთრი ქსოვილის, ნაფლეთებად ქცეული ძონძები, ყელზე ეკიდა დაფნის მარცვლებისაგან ასხმული გულქანდა, რომელიც მწვანე შუშის მძივებით შემკული,

გახსნილი და ცარიელი აბრეშუმის პაწია ავგაროზით მთავრდებოდა. ეს საგნები იმდენად მცირე ღირებულების იყო, რომ უეჭველია, თვით ჯალათმაც კი არ მოისურვა მათი წაღება. მეორე ჩონჩხი, რომელსაც მკიდროდ ჩაეკრა გულში პირველი, მამაკაცის ჩონჩხი იყო. შენიშნეს, რომ მას ხერხემალი გამრუდებული ჰქონდა, თავი ბეჭებს შორის ღრმად ჩამძვრალიყო და ერთი ფეხი უფრო მოკლე იყო, ვიდრე მეორე. მაგრამ მას კისრის ძალების არავითარი დაზიანება, არავითარი გაწყვეტა კეფასთან არ ეტყობოდა. აქედან ცხადი იყო, რომ იგი არ ჩამოუხრჩვიათ. მაშასადამე, ადამიანი, რომელსაც ეს ჩონჩხი ეკუთვნოდა, თვითონ მოსულა და აქ მომკვდარა. როდესაც მოიწადინეს მისი მოცილება იმ ჩონჩხისაგან, რომელსაც ის გადახვეოდა, იგი მყისვე მტვრად იქცა.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (Notre-Dame de Paris). ეს უზარმაზარი ქვის სიმფონია, რომელსაც ეიქტორ პიუგომ უძღვნა თავისი უკვდავი რომანი, ფრანგული ადრეული გოტიკის ბრწყინვალე ნიმუშია. პიუგოს რომანის მთავარი გმირი, მისი სული და გული — ხალხი და ეს ტაძარია, სადაც გაშლილია მთელი მოქმედება. იგი ფრანგი ხალხის მარჯვენათ აგებული, მისი შემოქმედებითი ნიჭის, გენიის, მისი სულიერი და მატერიალური ცხოვრების სამარადისო ძეგლია.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი კათედრალური ეკლესიაა და აღმართულია კუნძულ სიტეზე, რომელსაც პარიზის შუაგულში ჰქმნის მდინარე სენის ორი ტოტი. ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. მშენებლობა დაიწყო პატრონიკეთი, რომელიც დამთავრდა 1182 წელს, მთავარი კორპუსი კი — 1196 წელს. დასაველეთის პორტალებიანი ფასადი ძირითადად დამთავრდა 1208 წელს, ცალკეული ნაწილების მშენებლობა კი მე-13 საუკუნის შუაწლებამდე გაგრძელდა. ძეგლმა მრავალნაირი გადაკეთება განიცადა, განახლდა მე-19 ს. შუაწლებშიც კი. ძირითადად იგი იგებოდა ლანის კათედრალის (12 ს.) ნიმუშით, რომელსაც ადრეული გოტიკის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არა აქვს მისი სიმსუბუქე და სინარჩარე, ვერც შემდეგი დროის (13 ს. შუაწლებში) არქიტექტორებმა შესძლეს დაეძლიათ მისი მასიუური სიმძიმე. როდესაც მის წინახედს ამთავრებდნენ, როგორც იქნა ეან დე შელმა და პიერ დე მონტრეილმა შესძლეს მე-13 ს. მეორე ნახევარში თავიანთი დროის შესაფერისად მიეღწიათ განივი ნაეის ფასადის გოტიკური სიმსუბუქისათვის.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს აქვს 130 მეტრი სიგრძე, 50 მ. სიგანე და 34 მეტრი სიმაღლე. იგი ხუთნაეიანი კათედრალური ტაძარია; მთავარი ნაეის კვადრატული უჯრედებით, მასიუური სვეტებით და მძიმე კედლებით ჯერ კიდევ რომანულ სტილზეა ჩაფიქრებული; აქვს 37 კაპელა-ეკვდრა და მდიდრულად მოჩუქურთმებული პატრონიკე. დადებულ ფასადს ამშვენებს სამი შიგნით შედრმაეებული ისრულკამარანი მთავარკარი, ზემოთ — ოცდარევა სამეფო წალოს — ნიშის მოქარგული და დაკბილული ამია; მის ზემოთ შუაში დატანებულია უზარმაზარი მრგვალი საკრმელი — ვარდული; მარცხნივ და მარჯვნივ ორი საკრმელია; კიდევ უფრო მაღლა საკრმელების თავზე არის მაღალი და ნარჩარი, სამუერთას ფორმის ჩუქურ-

აშეობით მორთული კამაროვანი გალერეია, რომლის წვრილ და ფაქიზ სვეტებზე დაწყობილია მძიმე ბაქანი; ბოლოს, ამ ბაქანზე აღმართულია და მთელ ფსაადს აგვირგვინებს ორი დაუმთავრებელი, მაღალი, მასიური კოშკი (68 მ). ამ ორ კოშკს შორის დატოვებული სივრცე კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ხოლო მათ შორის უკან შუაჯვარედზე აღმართული მოჩანს წვრილა შპილი (წვეტი). პატრონივე და სიგრძივი ნაეი ერთ მთლიანობად არის შეკრული და განივი ნაეიც კი ეკლესიის შინამოშო არის შეტანილი. ამით ტაძრის შიგნით სივრცე ერთიანი ხდება. ეკვდრები კედლის ბურჯ გოდლედებს (კონტრაფორსებს) შორის ხუთნაეიან სიგრძივ ნაეთან და პატრონივესთან ერთად ერთ მთლიან მონუმენტს ჰქმნის. თაღის სიგრძის სიმაღლე აღწევს 32,5 მ.

გარდა ამისა, ეს დიადი ქმნილება თვალს აჯადოებს თავისი ურიტხეი ქანდაკებებით, ნაძერწი და ქედური ჩუქურთმითანი დეტალებით. ყოველვე ერთად შეერთებული კი ჰქმნის მშვენიერ ანსამბლს.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს წინ უსწრებდა სენ-დენის სააბატოს ბაზილიკური სვეტის ეკლესია პარიზის მახლობლად (1137 — 1150) და ლანის ტაძარი (1160 — 1215). სენ-დენის სააბატოს ეკლესიაში ახალი სტილის ყველა ძირითადი პრინციპი პირველად გამოიყენეს, სახელობრ ნერვიურები როგორც კარკასული კონსტრუქციის საფუძველი. ამ ეკლესიაში აბატ სუეგერის ხელმძღვანელობით ჯერ ფსადი გადაკეთდა, ხუროსტატები და ქვისმთლელები საფრანგეთის სხვადასხვა მხრიდან ჩამოიყვანეს. თითქმის ამავე პერიოდში წარმოიშვა კათედრალი ნოიონში, რომლის პატრონივე 1157 წელს დაშთავრა.

ამრიგად, გოტიკური ხელოვნება, კერძოდ გოტიკური სტილი ხუროთმოძღვრებაში პირველად ჩისისა საფრანგეთში მეთორმეტე საუკუნის შუაწლებში, სახელობრ, ილ-დე-ფრანსში და პარიზში. გოტიკური ხუროთმოძღვრების საწყისებს შეხვდებით მეთერთმეტე საუკუნის ნორმანდასა (ეკლესია სენტ-ეტენი 1077 წ.) და ბურგუნდიაშიც. მაგრამ პირველ გოტიკურ ძეგლად მიიხ შეიძლება ჩაითვალოს სენ-დენის სააბატო ეკლესია პარიზთან (1140/3).

გოტიკური ხუროთმოძღვრება ნაწარმოები ხუროთმოძღვრებაა და წარმოადგენს საფეხურს ბაზილიკის ტიპის განვითარებაში: შინაგანი სივრცე უკვე წარმოადგენს არა სივრცის ნაწილების ჯამს (როგორც ეს რომანულ სტილშია), არამედ ერთან სივრცეს. გოტიკური არქიტექტურა ცდილობს მიღწეოს ბაზილიკის სივრცის ერთიანობას ერთი მთლიანი შენობის ორგანიზმში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ბაზილიკის ძირითადი ფორმა. განივი ნაეი უფრო მოკლე ხდება და თითქმის სიგრძივ ნავს შეუერთდება. მრგვალი კამარის ადგალს იქერს ისრული კამარა. სივრცე გოტიკაში აღწევს მანამდე ჯერ არნახულ სიმაღლეს, თავისი ფორმებით და კომპოზიციის რიტმით იცავს ვერტიკალიზმის პრინციპს და ჰქმნის დინამიური მშენებლობის ორგანიზმს, რათა ადამიანის სული ზეგრძნობად სფეროებში, ზეცის თაღებამდე აამალოს. კედლები განიტვირთება, თხელი და მსუბუქი ხდება, ფანჯრები — სულ უფრო. მაღალი და განიერი. გოტიკური ტაძრები წვერწამახული შპილებით, მდიდარი პორტალებით, ცაში ატყორცნილი კოშკებითა და გუმბათებით აოცებს და ხიბლავს ადამიანის თვალს, მაგრამ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას იგი შიგნით ახდენს თავისი უმაღლესი თაღებით, უსხეულო, უმატერიო სივრცით, მაღალი სარკმელე-

ბიდან ჩამოშვებული სინათლის ნარნარა შქერებით. ბინდებულში ჩანაქმული სვეტებოთა და იატაკით, სადაც ხორციელი ადამიანები აჩრდილებოთ დამხობილან და შუქმოსილი თალებისაყენ ლოცვას ალავეუნენ, ზეცას შელაღაღებენ.

შუა საუკუნეების ხელოვნებაში წამყვან როლს ხეროთმოდკრება ასრულებდა. ყელ-ყელა გეგმათებით ზეცისაყენ აღმართული დიდი ტაძრები, ფეოდალზმინას და სასულიერო არისტოკრატის ტყვეობაში მყოფი ადამიანი, თეოლოგიის, ქრისტიანული დოგმატიზმის არტახებით შებოქილი ადამიანის სული, ამქვეყნიურ ბედნიერებას მოკლებული, სასოებას თითქოს ზეცის თაღებში ეძიებდა და ვერ ჰპოვებდა, და რაც უფრო ვერ ჰპოვებდა, მით უფრო ზევითა და ზევით მიისწრაფოდა; ხორციელ, ამქვეყნიურ ცხოვრებას, სიმძიმეს, სხეულებრიობას სტოვებდა და ჰაეროვნებას, შუქნარანარა მწვერვალებს ელტვოდა.

შუა საუკუნეებში ღვთის ტაძრები ერთადერთი ასპარეზი იყო, სადაც მხატვრულ გენიას შექმლო ფრთები გაეშალა. ეკლესიის სამსახურში მყოფი ხეროთმოდკრება იმორჩილებდა მაშინ პოეზიასაც, მუსიკასაც და ფერწერასაც. ჰიუგოს მარჯვე გამოთქმით, ვინც იმ დროს პოეტად იბადებოდა, ხეროთმოდკრება ხდებოდა. არქიტექტორი, ქვისმთელი და მოქანდაკე განსახიერებელი იყო ერთ პიროვნებაში, რომელიც მშენებლობას იწყებდა, ხელმძღვანელობდა და პასუხისმგებელი ხელოვანი იყო. ისინი მთელ ქვეყანაში იყვნენ გაბნეული, თავიანთი სტილი, ახალი ხერხები, აღმოჩენები ერთი მშენებლობიდან მეორე მშენებლობაში, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაჰქონდათ.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი გეტორ პიუგოს სამართლიანად მიანია არა მთლად გოტიკურ ძეგლად, თუმცა იგი არც რომანული სტილის ეკლესიაა. იგი არ არის ერთი გარკვეული ტიპისა. ის გარდამავალი ხანის შენობაა; დილხანს შენდებოდა და მრავალჯერ განიცადა ცვლილება გადაკეთება. თავისი სვეტებით რომანულია, კამარები კი ისრული, ე. ი. გოტიკური აქვს. იგი რთული და მაინც ერთიანი ძეგლია. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტს შენდებოდა, მაინც გვაჯადოებს თავისი არქიტექტურული სახის ორგანული მთლიანობით. იგი „ქვის გიგანტური წიგნია, ენციკლოპედიაა“. მასში ასახულია მთელი ეპოქის სულიერი ცხოვრება. იგი მთელი ეპოქის ყველა ძალთა შეერთების ნაყოფია, სადაც, როგორც პიუგო ამბობს, „ყოველი ქვიდან ასეული ფორმით გამოსქვივის ხელოვნის გენიით წარმართული მუშის ფანტაზია“.

პიუგოს მარჯვე გამოთქმით, „ეს მთავარი და წინაპარი ტაძარი პარიზის ძეღ ეკლესიებს შორის ქიშერის მავარი რამ არის; მას თავი ერთი ეკლესიისა აქვს, კიდურები — მეორისა, გავა — მესამისა და მაინც რალაც საერთო აქვს ყველასთან“, მაინც ერთიანია, მაინც პარმონიული და დიდი შთაბეჭდილების მომხდენი; მეტადრე დასავლეთის მთავარი ფსადი გამოირჩევა დიადი თანაზომიერებით.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი მნახველს აჯადოებს არა მარტო თავისი მშენიერებით. ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით, არამედ შუა საუკუნეების ეს ბრწყინვალე ფეღლი აოცებს აგრეთვე თავისი სიდიადით, ახოვანებით, ზეცისაყენ სწრაფვით. პიუგო დიდ ტაძრებს დიდ მთებს აღარებს. „დიდი შენობები. ისე როგორც დიდი მთები საუკუნეების ქმნილებებია“. მართლაც, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი საუკუნისა თუ საუკუნე ნახვე-

რის მანძილზე (1163—1315) შენდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ხელოვნება, ხუროთმოძღვრება ფორმასა და სტილს იცვლიდა და ეს შენობაც, ისე როგორც სხვა მისი მსგავსი შენობები შენების პროცესში ეპოქის შესაფერის ფორმას იღებდა. ახალი ხელოვნება ძველ ძეგლს ხელს ჰკიდებდა იმ სახით, როგორც ნახულობდა, შიგ ჩაეკიდებოდა, გაუთანაგავარდებოდა, დამსგავსებდა, გაშლიდა, განავითარებდა თავისი ფანტაზიის თანახმად. მასზე საუკუნის ყველა სტილს თავისი კვალი აღუბეჭდია. ეპითაბურენის ყოველ ზვირთს ზედ თავისი ნალექი და ნარიყი დაუტოვებია, ყოველ ადამიანს თავისი ქეა მიუტანია. როგორც კი საქსონელმა ხუროთმოძღვარმა ნაის პირველი სვეტების ამოყვანა დაამთავრა, რომანულ სვეტისთავეებს სრული მრგვალი თალის მაგიერ ისრული კამარა დაედგა. ამის შემდეგ ისრული კამარა ბატონდება, ფართოვდება, ვრცელდება, მაგრამ მაინც თავშეკავებულია და ჯერ კიდევ ვერ ბედავს თავისი ისრების წვეროებით, მაღალი კამარებით, ტანწერწეტი გუმბათებით ცას მიაშუროს, როგორც ეს მოგვიანებით სხვა ტაძრებში ხდება. ის ჯერ კიდევ არ ეკუთვნის მაღალ, ჰაეროვან, ფერადმინიანი სარკმელებითა და ქანდაკებებით მდიდარ ეკლესიათა ოჯახს, რომლებიც ფორმით წერწეტია, წვერწამახული და პოზით თამაში. მრგვალი და ფართოთალიანი, სრულრკალიანი რომანული ეკლესიებით იგი არ არის მძიმე, მკაცრი უბრალოების მასიუური ტაძარი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის არც გოტიკის უკვე დასრულებული ფორმებით აგებული ტანწერწეტი, მსუბუქი, მრავალსახოვანი, წერილმანებით უხვად დატვირთული, ისრების წვეტებით აქონრილი, შექნარნარა გუმბათების მქონე ძეგლი:

პიუგოს ღრმა რწმენით, „ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებანი იმდენად ცალკე პიროვნებათა ნაწარმოები როდია, რამდენადაც მთელი საზოგადოების ნამოღაწარი. ისინი უფრო მეტად ხალხის შრომითა და ოფლით არის შექმნილი, ვინემ გენიოსი ადამიანის ზეშთაგონებით. ეს ერის მიერ კულტურის საგანძურში დატოვებული ანაბარია, დაგროვებული, დაზინებული საუკუნეობით, ნაშთი, ნალექი ადამიანთა საზოგადოების თანმიმდევრული ორთქლებისა; ერთი სიტყვით, იგი ყრავგვარი ფორმაა. ეს ძეგლები დიადი წიგნია კაცობრიობის საყოველთაო ისტორიისა, ასახული სხვადასხვა ხელოვნების ამ თანმიმდევრულ შედუღება-შეერთებაში ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა სიმაღლეზე. ადამიანი, ხელოვანი, ინდივიდუმი წაშლილია ამ უშველებელი მასის ზედაპირზე და შემოქმედის გვარი და სახელიც კი არ დარჩენილა. მასში ზოგადად აისახა და შეჯამდა ადამიანის გონება. აქ დროა ხუროთმოძღვარი, ხალხი კი — კალატოზი“.

პიუგოს ეს სიტყვები განმარტებას არც საჭიროებს. იგი, მეტყველებს მის ღრმა ჰუმანიზმზე, მის პროგრესულ შეხედულებაზე ხალხის შემოქმედების, მისი ღვაწლისა და შრომის შესახებ. ცალკეული ზეშთაგონებული გენიოსები კი არ ჰქმნიან ხელოვნების დიად ძეგლებს, არამედ ხალხი, მუშის მარჯვენა და ფანტაზია.

33. 16.

1. კ ვ ი ნ ტ უ ს პ ო რ ა ც ი უ ს ფ ლ ა კ ე ს (Quintus Horatius Flaccus, Horace) 65—8 წ. ჩვენს ერამდე, გამოჩენილი რომაელი პოეტი, ლირიკოსი; განათავისუფლებული მონის შვილი. ბრუტოსის რესპუბლიკური არმიის ტრიბუნი. რესპუბლიკელთა დამარცხების შემდეგ რომში დაბრუნდა და

გახდა იმპერატორ ავგუსტუსის კარის პოეტი. წერდა ოდებს (4 წიგნი), სატირებს (2 წიგნი), ეპისტოლეებს (2 წიგნი). იმპერატორ ავგუსტუსის სადიდებელ სიძღვრებს. ვერგილიუსთან ერთად პორაციუსი ავგუსტუსის პერიოდის გამოჩენილ პოეტად ითვლება. დიდი გავლენა ჰქონდა აღორძინების პერიოდში, ხოლო მისი წიგნი „პოეზიის მეცნიერება“ ფრანგული კლასიციზმის თეორეტიკოსს ნ. ბუალოს სანაშობოდ მიაჩნდა.

გვ. 17.

1. ვენსენის სამლოცველო (Chapelle de Vincennes). ვენსენი — ქალაქი და პარიზის აღმოსავლეთ გარეუბანი სენის დეპარტამენტში, ცნობილია სასახლით (12 ს.), რომელიც ხშირად იყო ფრანგ მფეთთავ რეზიდენცია, აქვს ლამაზი გოტიკური კაპელა (14 — 16 ს.) და კოშკი (14 ს.).
2. დომენიო, პიერ (Daumesnil), ფრანგი გენერალი (1777 — 1832), ხისფეხა; ცნობილია ვენსენის დაცვით 1814 წ.
3. სენ-შაპელი (Sainte-Chapelle) — სენ-შაპელის სამლოცველო მართლმადიკულების სასახლის ეზოში, აიგო 1242/3—1248 წლებში. 1837 წელს მოხდა რესტავრაცია. იგი გოტიკური ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლად ითვლება. აქვს მინის ლამაზი მხატვრობა და დაგვირგვინებულია მოოქროვილი კოშკით.
4. სენ-ჟაკ-დ-ელ-ბუშრი (Saint-Jacques-de-la-Boucherie) ეკლესია და კოშკი პარიზში, აგებულია მე-12 ს-ში. მრავალი გადაკეთება განიცადა გოტიკურ სტილზე მე-13 და მე-14 საუკუნეებში.
5. სენ-ჟერმენ-დ-პრე (Saint-Germain-des-Prés) — ერთადერთი წმინდა რომანული ეკლესია, ეკუთვნის 11 და 12 საუკუნეებს. ის ჯერ კიდევ შეექმსე საუკუნეში აუგიათ, შემდეგ ნორმანებს (9 ს.) დაუნგრევიათ, 11—12 ს. აღუდგენიათ. ცნობილია მისი კედლის მხატვრობა.
6. სენ-ჟერმენ-დ-ლოქსერუა (Saint-Germain-l'Auxerrois) გოტიკური ეკლესია 12—16 ს. ცნობილია თავისი ლამაზი ფასადითა და მინის მოხატულობით.

გვ. 18.

1. ტიუილრი (Les Tuileries), საფრანგეთის მეფეთა ყოფილი სასახლე პარიზში, მდ. სენის მარჯვენა ნაპირზე. მისი მშენებლობის დაწყება კატარინა მედიჩის უბრძანებია ხუროთმოძღვარ ფილიბრ დელორმისათვის 1564 წელს იმ ადგილზე, სადაც ადრე ყოფილა კრამიტის ქარხნები (Tuileries). ბევრჯერ გადაკეთდა. 1792 წ. 10 აგვისტოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს აჯანყებულმა ხალხმა დაიკავა იგი, დაამხო მონარქია. 1792—95 წლებში იქ კონვენტს ჰქონდა სხდომები, 1795—99 წლებში — ხუთასთა საბჭოს. 1848 წ. რევოლუციის დროს ხალხმა იერიშით აიღო. 1871 წ. 24 მაისს კომუნართა ბრძოლების დროს მისი უდიდესი ნაწილი დაიწვა. ამჟამად იქ პარიზის ერთ-ერთი საუცხოო პარკია.
2. ფილიბრ დელორმ (Philibert Delorme), ფრანგული რენესანსის გამოჩენილი ხუროთმოძღვარი (1512/15 — 1570); რომში შეისწავლა ანტიკური ხუროთმოძღვრება და იტალიური რენესანსი. იგი ავტორია ევრეთწოდებული „დელორმის კამარებისა“. მან დაწერა ტრაქტატები „ახალი გამოგონებანი, რათა მცირე დანახარჯებით კარვად ავაშენოთ“ (1561) და „ხუროთმოძღვრების პირველი ტომი“ (1567). მის მიერ შექმნილი მთავარა

ქველბო: სენ-მორ-დე-ფოსე (15:0; ჩენამდე ვერ მოაღწია), ტიელირი პარიზში (1564 წ.; დაიწვა 1871 წ.). სასახლე ანე (1543/4).

გვ. 19.

1. ს ი ტ ე. უნივერსიტეტი და ქალაქი—ძველი პარიზის სამი ნაწილი (la Cité, l'Université, la Ville).
2. პიკარდიელი — საფრანგეთის ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის პიკარდიის მცხოვრებნი ჩრდილოეთ საფრანგეთში ბა-დე-კალეს სრუტესთან. პიკარდიის მთავარი ქალაქია ამიენი. 1358 წ. პიკარდია მოიცვა გლეხთა ანტიფეოდალურმა ომმა — ეკერიამ 14 ს. ასწლიანმა ომმა (1337—1453) ძალიან დააზიანა. პიკარდია იყო ხშირი სახალხო აჯანყებების ცენტრი (16—17 ს.; ამიენის აჯანყება — 1628).

ბურგუნდიელი — წარსულში საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის ბურგუნდიის მცხოვრებნი. ბურგუნდიის საპერციოგო მდინარე სენისა და რონის ზემო ბასეინებში იმყოფებოდა და მათე საუკუნიდან საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდა. ბურგუნდიის მთავარი ქალაქია — დიონი. 14 — 15 საუკუნეებში ბურგუნდია ძალიან გაძლიერდა, შემოიერთა ბურგუნდიის საერაფო (ფრანშ-კონტე), ნიდერლანდები, შექმნა წოდებრივი წარმომადგენლობითი დაწესებულება — ბურგუნდიის შტატები (შედიოდნენ აზნაურები და მოქალაქენი). ბურგუნდია იმ დროს თეალსაჩინო როლს თამაშობდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში. 1467 — 77 წლებში შარლ გულადი ელზას-ლოტარინგიის დაპყრობით გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება საფრანგეთის მეფის ლუი XI-ის წინააღმდეგ. ლოტარინგიელებთან და შვეიცარიელებთან ბრძოლაში ნანსისთან (1477) იგი დაიღუპა და ბურგუნდიის საპერციოგო დაიშალა.

[ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური ერთეული: პირველი — ზემოაღნიშნული ბურგუნდიის საპერციოგო და მეორე — ბურგუნდიის სამეფო: რაინის სათავეებიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ეს უკანასკნელი 11 ს. შეუერთდა გერმანიის იმპერიას].

ლაასის მიწები სენის ნაპირზე უნივერსიტეტს ეკუთვნოდა.

გვ. 20.

1. მარგარიტა ფლანდრიელი (1482 — 1530) — მაქსიმილიან ავსტრიელის ასული, საფრანგეთის უფლისწულის, მომავალი მეფის შარლ VIII-ის საცოლე.

კარდინალი შარლ ბურბონელი (1437 — 1488), დიპლომატი და სამხედრო პირი, ლიონის არქიეპისკოპოსი და გრაფი. ორივე გალეთის პრინსი. ავინიონის ლეგატი 1465 და კარდინალი 1477 წლიდან.

2. ეჟან დე ტრუა (Jehan de Troyes) — მე-15 ს. პარიზის სასამართლოს მდივანი. ვ. პიუგომ წინამდებარე რომანის წერის დროს გამოიყენა ლუი XI-ის დროინდელი ქრონიკები, რომლებიც ეჟან დე ტრუას მაწვერებოდა.
3. პრევე (le Prévôt) — უმაღლესი მოსამართლე ძველ საფრანგეთში; პრევეოტე (la Prévôté) უმაღლესი მოსამართლის წოდება, თანამდებობა, რეზიდენცია.

(სამოქალაქო და სამხედრო, აგრეთვე სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა ტიტული ძველ საფრანგეთში. პარიზის პრევე მეფის წარმომადგენელი იყო დედაქალაქში და აღქურელი სამოქალაქო, სასამართლო და პოლიტიკური ძალაუფლებით).

გვ. 21.

1. ანრი სოვალი (Sauval) — პარიზელი ადვოკატი. მის კალამს ეკუთვნის ფაქტიური მასალით მდიდარი ნაშრომი „ძველი და ახალი პარიზი“ (1654).

გვ. 22.

1. ფარამონდი (Pharamond) — ფრანკთა ერთ-ერთი ტომის ბელადი (V ს.).

გვ. 23.

1. დიუბრელი (Du Breuil), ბერტრან, დიპლომატი (1509—1565).
2. რავაიაკ ფრანსუა (Ravaillac) (1578 — 1610), იეზუიტი, კათოლიკი, ფანტიკოსი, საფრანგეთის მეფის ჰენრიხ IV-ის მკვლელი.
3. თეოფილე ვიო — მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგი პოეტი; უმღეროდა მიწიერ ცხოვრებასა და პირად თავისუფლებას.

გვ. 24.

1. ლუვრი (Louvre), სასახლე პარიზში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხე-როთმოდერული ძეგლი, უდიდესი მუზეუმი მსოფლიოში, უჭირავს დაახლოებით 200.000 კვ. მ. ფართობი. წარმოსდგა მეფე ფილიპ ავეუსტის მიერ 1200 წ. აღმართული ციხე-კოშკიდან, კარლ V-ის დროს გაფართოვდა და ფრანც I-ის დროს აიღეს, რომ ადგილი გაეთავისუფლებინათ ახალი შშენებლობისათვის 1546 წლიდან. ხეროთმოდერარი იყო პიერ ლესკო, გვერდში ედგა ეან გუენი. გაფართოვდა და მრავალი ცვლილება-განახლება განიცადა 1600 წლიდან მოცილებული 1868 წლამდე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სამეფო ხელოვნების საგანძურო ნაციონალურ საკუთრებად გამოცხადდა. თავმოყრილია ფრანგული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, ეგვიპტური, ბერძნული და რომაული სურათები, ნაწარმოებები, შუასაუკუნეებისა და ახალი დროის ქმნილებანი, პირველი ხარისხის სამხატვრო გალერეა.

ფილიპე ლამაზი — საფრანგეთის მეფე (1285 წლიდან 1314 წლამდე).

2. რობერ დეთისმონსაკი — საფრანგეთის მეფე (996 წლიდან 1031 წლამდე).

ჰელგალდუს — მეფის მრჩეველი ისტორიკოსი.

3. „წმინდა ლუიშ დაამთავრა თავისი ქორწინება“. ლუი მეცხრე — საფრანგეთის მეფე (1226 — 1270). მონაწილეობდა ჯვაროსანთა ლაშქრობაში. ცოლად შეირთო პროვანსელი გრაფის ასული მარგარეტა 1234 წელს, მაგრამ ქორწინება ქალის მცირეწლოვანების გამო იურიდიულად გაათორმა მრავალი წლის შემდეგ.

4. ეუანვილ — ლუი IX-ის დაახლოებული პირი, თან ახლდა ჯვაროსანთა ლაშქრობაში. მონაწილეობას იღებდა მის რეფორმებში.

სიგიზმუნდ, იმპერატორი (1361, 1410/37).

კარლ IV, მეფე (1346/78, 1316).

კარლ VI, მეფე (1685 — 1740).

იოანე უმიწაწყლო (1167 — 1216), 1199 ინგლისის მეფე. საფრანგეთთან ომში დაკარგა თავისი სამეგვიდრეო მიწაწყალი.

5. ეტიენ მარსელ — პარიზის ვაჭართუხუცესი (პრევე), პარიზელ ვაჭართა და ხელოსანთა აჯანყების (1356/8) მეთაური. აჯანყების დროს მოკლეს

უფლისწულ შარლის ეახლოესი მრჩეველები — რობერ კლემონელი და მარშალი შამპანელი.

5. ანტიპაპი ბენედიქტ XIII (1394—1417) — კათოლიკური ეკლესიის განხეთქილების დროს რომის პაპის მოწინააღმდეგეების მიერ არჩეული ანტიპაპი, რომლის რეზიდენცია ქ. ავინიონში იყო. ორივე პაპი თავიანთ ბაძოლასა და ინტრიგებში ითრევენდნენ ევროპის სახელმწიფოებს.

გვ. 25.

1. დე ბროსი (de Brosse), ფაქ. ფრანგი არქიტექტორი, რომელმაც ააგო ლუქსემბურგის სასახლე და სენ-ეერვეს ეკლესიის მთავარკაპრი. 1618 წლის ხანძრის შემდეგ გადააყეთა მართლმსაჯულების სასახლის ერთ-ერთი მთავარი დარბაზი.
2. პატრიუ ოლივიე (1604 — 1681) — პარიზელი იურისტი, მწერალი, ვექილი და ორატორი, კლასიციზმის თეორეტიკოსის ბუალოს მეგობარი. პიუგოს იგი XVII საუკუნის სასახლის ლიტერატურული სტილის წარმომადგენლად მიიჩნია.
3. ლუი XI (1423—1483) — საფრანგეთის მეფე 1461—83. ებრძოდა ფეოდალებს და აშზადებდა ფრანგული აბსოლუტიზმის გამარჯვებას. ფეოდალებმა მის წინააღმდეგ შექმნეს „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლაგა“; მოხერხებული დიპლომატიით დაამარცხა ფეოდალები, მათ შორის ბურგუნდიელი ჰერცოგი კარლ გულადი, რომელიც დაიღუპა 1477 წ. ნანსისთან ბრძოლაში. ლუი მეფერთმეტემ დაამთავრა ძირითადად საფრანგეთის გაერთიანება. ხელს უწყობდა მანუფაქტურისა და ეპრობის განვითარებას. მისმა საგადასახადო პოლიტიკამ გამოიწვია ხალხის მღვლეარებანი, რომელთაც იგი დაუნდობლად ახშობდა. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ ვ. პიუგომ დაგვიხატა ლუი მეფერთმეტე როგორც დაუნდობელი, ეპვიანი, ქირეული, ავადმყოფი, ძუნწი და მრისხანე მეფე, რომელიც მკაცრად უსწორდებოდა ყოველგვარ სახალხო მოძრაობას.
4. კარლოს დიდი (742 — 814), 768 წლიდან ფრანკთა მეფე, 800 წლიდან რომის იმპერატორი. კაროლინგთა დინასტიის გამოჩენილი წარმომადგენელი. მრავალი ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი იმპერია. ხელი შეუწყო ფეოდალიზმის საბოლოო ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას დასავლეთ ევროპაში.

გვ. 29.

„ამ დუქანში ყველაფერი ოთხ-ოთხია“. შუა საუკუნეებში პარიზის უნივერსიტეტში ოთხი ფაკულტეტი იყო: ღვთისმეტყველების, იურისპრუდენციის, მედიცინისა და ხელოვნების ფაკულტეტები. უკანასკნელი ოთხი ეროვნული ჯგუფისაგან შედგებოდა: ფრანგული, პიკარდიული, ნორმანდული და ინგლისური (ინგლისთან ომის შემდეგ, გერმანული ჯგუფისაგან).

გვ. 32.

1. VIII — XVIII საუკუნეებში ვენეციის რესპუბლიკის მმართველს — დოჯს მთელი სიცილიის მანძილზე ირჩევდნენ. ამალეების დღეს დოჯი. დიდვაქართა, სეარო და სამღვდლო წარჩინებულ პირთა დასწრებით ბეკედს

აგდებდა ღია ზღვაში. ეს ცრემონია მეათე საუკუნის დამლევიდან დაწესდა ვენეციაში იმის ნაშნად, რომ მთელი რესპუბლიკის ცხოვრება ზღვასთან აყო დაკავშირებული.

გვ. 36.

1. პიერ გრენგუარი (დაახლ. 1475—1539) — ფრანგი დრამატურგი, პამფლეტისტი და პოეტი. იგი იყო წვერი სცენისმოყვარეთა თეატრალურა გაერთიანების — „უბრუნეული ყმაწვილები“. პამფლეტებს წერდა რომის პაპისა და რეფორმაციის წინააღმდეგ. სახელი მოუხვეჭა კომედიებმა. შემდეგში ლუი XII-ის კარის პოეტი გახდა, შერე კაქციის ბანაკში გადაბარგდა, ამართლებდა ინკვიზიციას. ე. ჰუგომ თავის რომანში ლუი XI-ის ეპოქაში გადაიყვანა და იდეალიზებული სახით დაგვიხატა სახალხო პოეტად.

გვ. 37 და 40.

1. კორნელი, პიერ (1606—84) — დიდი ფრანგი პოეტი, დრამატურგი, ფრანგული კლასიკური დრამის, კლასიციზმის ფუძემდებელი ფრანგულ ლიტერატურაში ეან რასინთან (1639 — 1699) ერთად. პიერ კორნელის კალამს ეყუთენის „სიდი“ (1636), „პორატი“ (1640), „ცინა“ (1640), „პოლიექტი“ (1643) და სხვ.

გვ. 46.

1. ბატონი კარდინალი, იხ. შენიშვნებში გვ. 20.

გვ. 47.

1. რაბლე (Rabelais) ფრანსუა (1483/94 — 1553) — დიდი ფრანგი მწერალი, ჰუმანისტი, მეცნიერი, აღორძინების ეპოქის გამოჩენილი წარმომადგენელი, რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი.

2. ლაფონტენი, ეან (1621—1695) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი, მოიგავე, პოეტი.

გვ. 48.

1. ლუი XI — იხ. გვ. 25 (შენიშვნა).

2. შარლ გულადი — ბურგუნდიელი ჰერცოგი, საფრანგეთის მეფის, ლუი XI-ის (1461 — 1483) პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ფლობდა ბურგუნდიასა და ნიდერლანდებს; დაიპყრო რაინისპირა მიწები და 1464 წ. ომი გამოუცხადა ლუი XI-ს. 1465 წ. 9/X მოხდა ლუი XI-ისა და ბურგუნდიის ჰერცოგ შარლ გულადის შორის ბრძოლა. შარლ გულადი მოკლეს 1477 წ. ნანსისთან ბრძოლაში.

3. სცილა და ქარიბდა — ძველბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ორი უჩრხული (მორევი), რომლებიც ვითომც ბინადრობდნენ მესინის ვიწრო სრუტის ორივე მხარეს და ლუპადნენ მეზღვაურებს. „სტალასა და ქარიბდას შორის“ მოვეყვიო, ნიშნავს ერთდროულად ორ სამიწელ ხიფათში ჩავეარდით.

4. ჰერცოგი დენემური და კონეტაბლი დესენაპოლი — მეთხუთმეტე საუკუნის ფეოდალური შინაომების დროს გადაუდგნენ საფრანგეთის მეფეს ლუი XI-ის და ორლანელი ჰერცოგების („არმანიაკების“ პარტიის) მიერ დაარსებულ „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგას“ მიემხრნენ. ლუი XI-მ ორივეს თავი მოჰკვეთა.

1. „ამ პაპმა ტიარას მესამე გვირგვინი მიუმატა“:
ტიარა — რომის პაპის საზეიმო თავსაბურავი სამი გვირგვინით, რაც სიმბო-
ლოურად გამოხატავდა პაპის სასამართლო, საკანონმდებლო და საეკლტო
უფლებებს.

გვ. 51.

1. ედუარდ მეოთხე — ინგლისის მეფე 1461 წ-დან 1483 წ-მდე.
2. მაქსიმილიან ავსტრიელი, მაქსიმილიან I (1459 —
1519) — ავსტრიელი ერცჰერცოგი, შემდეგში 1493—1519 წ. ე. წ. „წმინდა
რომაული იმპერიის“ იმპერატორი (ჰაბსბურგების დინასტია).

გვ. 52.

რემბრანტი (1606 — 1669) — გამოჩენილი ჰოლანდიელი მხატვარი და გრა-
ფიორი.

1. ერცოგი სენ-სიმონ ლუი (1675 — 1755) — ფრანგი. მემუარისტი
და პოლიტიკური მოღვაწე. თავის „მემუარებში“ აღწერს ლუი XIV-ის
დროინდელი ფეოდალური მონარქიის მამხილებელ სურათს.

გვ. 53.

1. ფილიპ დე კომინ — მეთხუთმეტე საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ავ-
ტორი მემუარებისა ლუი XI-ისა და შარლ VIII-ის მეფობის შესახებ.

გვ. 62.

1. ძველი ბერძენი მხატვრის ტიმანტეს (IV ს. ჩვ. ერამდე) სურათზე იფი-
გენიას მსხვერპლად შეწირვა“ თავზარდაცემულ აგამემნონს, იფიგენიას მა-
მას, სახეზე წამოსასხამი აქვს აფარებული.

გვ. 63.

1. პომეროსი — ძველი საბერძნეთის ლეგენდარული ეპიური პოეტი, ავტორი
გენიალური პოემებისა „ილიადასი“ და „ოდისეასი“, რომლებიც დიდხანს
იფლებოდა უძველესი საგმრო სიმღერების კრებულად, მაგრამ უახლოეს
ხანებში ისინი კვლავ პოეტურ შემოქმედებად მიიჩნიეს.

გვ. 64.

1. ერმენ პილონი — (1535 — 1590) — XVI საუკუნის ფრანგი მოქანა-
დაქი.
2. დავით ტენიერს (შვილი) (1610—1690) — ფლამანდიელი ფერმწერი.
3. სალვატორ როზა (1615 — 1673) — იტალიელი ფერმწერი, მთელი
რიგი ბატალური სურათების ავტორი; გრაფიორი, პოეტი და მუსიკოსი.

გვ. 65.

1. სოვერ ეოზეფ (1653 — 1716) ფრანგი ფიზიკოსი. — ბიო ეან-ბა-
ტისტ (1774 — 1862) — ფრანგი მეცნიერი, ფიზიკოსი და ასტრონომი.

გვ. 72.

1. ლეგენდის თანახმად, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი, ძველი ბერძენი ეპი-
კოსი პოეტი, ბრმა პომეროსი ლუკმაპურს თავისი სიმღერების შეს-
რულებით შოულობდა.

რომაელი პოეტი (I ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) პუბლიუს ოვადიუს

ნაზონი სიბერის ემს იმპერატორმა ოქტაიანუს ავგუსტუსმა შავი ზღვის ნაპირზე გადასახლა.

83. 78.

„სენ-ვალეის ციებ-ცხელებათა“. ასე ეწოდებოდა იმ თავზარდამცემ შიმსს, რომელიც გამოიწვია ფრანც I-ის წინააღმდეგ შეთქმულების მომწყობ სენ-ვალეის თავის მოკვებამ ეშაფოტზე.

83. 83.

1. მატე ბიტერნი — მეთხუთმეტე საუკუნის ფრანგი მხატვარი.

83. 86.

1. კონკლავი — კარდინალებს საბჭო, რომელიც ირჩევს პაპს. აქ იგულისხმება კრებული.

2. პირიკული ცეკვა — სამხედრო (მხედრული) ცეკვა ძველ საბერძნეთში.

3. ბალაფო — ზანგთა მუსიკალური ინსტრუმენტი.

4. რიუბი — შუა საუკუნეების სამსიმიანი, ეოლინოს მსგავსი ინსტრუმენტი.

83. 87.

1. ჰერმეტიკა — გამოგონილი ავტორის ჰერმეს ტრისმეგისტოს თეოფილოსოფიური მოძღვრება, — ალქიმიის ერთ-ერთი განყოფილებაა. მითიური პიროვნება ჰერმეს ტრისმეგისტოსი უძველეს ეპოქაში ითვლებოდა მეცნიერებათა, სახელობრ საიდუმლო მეცნიერებათა (ალქიმიის, ოქროს მონღების) გამომგონებლად.

83. 94.

1. ნიკოლა ფლამელი (დაახლ. 1330 — 1418) — ალქიმიკოსი, მრავალი თხზულების ავტორი. შუა საუკუნეებში მასზე ლეგენდები იყო შეთხზულნი.

83. 97.

1. ვულკანი — ცეცხლის ღმერთი, რომელსაც ძველი რომაელები სწიხაფდნენ სისხლიან მსხვერპლს, რასაც ზედადგარზე სწვავდნენ.

83. 100.

1. P a n d e m o n i u m — ანდემონიუმი — დემონთა საკრებულო ადგილი ჯოჯოხეთში, იხ. ინგლისელი მწერლის ჯონ მილტონის პოემა „დაკარგული სამოთხე“ (ქართ თარგ. ვ. კელიძისა).

83. 102.

1. სტიქსი (ბერძნულ-რომულ მითოლოგიაში) ჯოჯოხეთის, ქვესკნელის, ერთ-ერთი მეხუთე მდინარე. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ქვესკნელის სამეფოში მიცალგებულთა სულები ბინადრობდნენ.

2. მიქელანჯელო ბუონაროტი (1475—1564) — აღორძინების ხანის გენიალური იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი და პოეტი.

3. ეაკ კალო (1592 — 1635) — ფრანგი გროტესკების მხატვარი და გრაფიკოსი.

83. 103.

1. ბენსერადი (1612 — 1691) — ფრანგი პოეტი.

83. 104.

1. ანტონიო სტრადივარიუსი (1664 — 1737) — ცნობილი იტალიელი, ვიოლინოების მკეთებელი.

გვ. 106.

1. ეზოპი — ძველი ბერძენი პოეტი, მეიგაეე (550 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), მონა.
2. მერკურუსი — რომაელთა ღმერთი ვაქრობასა, სიცრუისა და წერილ-მანი ქურდობისა.

გვ. 110.

1. მარციალი მარკუს ვალერიუსი, 40 — 102 წ. ჩვ. წ., რომელი პოეტი. სატირული ეპიგრამების ასტატი.
2. ჰეზამეტრი — ძველბერძნული ლექსთწყობა ექვსი უმეტესად დაქტილუ-რი ტაქსისაგან შემდგარი; ჰომეროსისა და ვერგილიუსის პოემები ჰეზამეტრით არის დაწერილი.
3. ენტამეტრი — ხუთტაქსიანი დაქტილური ლექსი, დისტიქონის მეორე სტრიქონი.

გვ. 113.

1. ჯოზეფ ბერინგტონი (დაახლ. 1743 — 1827) — ინგლისელი მეცნიერი, მრავალ თხზულებათა ავტორი შუა საუკუნეების ისტორიაზე.

გვ. 118.

1. ბუალო-დეპრეო (ნიკოლას) (1636 — 1711) — ფრანგი კრიტიკოსი და პოეტი, კლასიკური ხელოვნების დოქტრინის თეორეტიკოსი.

გვ. 120.

1. რაფაელო სანტი (1483 — 1520) — გენიალური იტალიელი მხატვარი.

გვ. 124.

1. ციცირონი, მარკუს ტულიუსი (106 — 43 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — გამოჩენილი რომელი ორატორი, მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე, რესპუბლიკელი.

გვ. 125.

1. მიკრომეგასი — ვოლტერის ამავე სახელწოდების ფილოსოფიურ-სატირული მოთხრობის მთავარი გმირი, გოლიათი.

გვ. 127.

1. „ლიადა“ — ჰომეროსის გმირული ეპოსი, სადაც მოთხრობილია ანტიკურ-რი ქალაქის ტროას, ილიონის შემუსვრა ბერძენთა მიერ.
2. „რომანსერო“ — მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში შედგენილი ესპანური ხალხური სიმღერებისა და პოემების კრებული, გამოცემული მე-16 ს-ში.

გვ. 128.

1. პილდებერტი I — ფრანკთა მეფე მეროვინგების დინასტიიდან, პილდებერტი ხლოდვიგის ძე, 511 — 558 იყო პარიზის მეფე.
2. ფილიპე ვესტი (ფილიპ II ავეუსტი) (1165 — 1223) — საფრანგეთის მეფე 1180 — 1223 კაპეტინგების დინასტიიდან. წერილ და საშუალო ფეოდალებზე დაყრდნობით მოახდინა საფრანგეთის ტერიტორიული შეკავშირება.

გვ. 128.

1. ლუი XV — საფრანგეთის მეფე (1715 — 1774). მის დროს ხდება აბსოლუტიზმის რღვევა საფრანგეთში. დატოვა 4000 მილიონი ლირი სახელმწიფო ვალი.

გვ. 128 -- 129.

სტრასბურგის ტაძარი (ჟ. სტრასბურგში). საფუძველი ჩაეყარა 1015 წ. სიმაღლე აქვს 142 მ. კრიბტა, პატრონიკე და განივი ნაფი რომანულია. ხოლო დასავლეთის ფასადი (1276—1399, ხუროთმოძღვარი ერეან შტაინბახელი) და სამხრეთის მთავარკარი (1230), აგრეთვე ჩრდილოეთის კოშკი (1399—1439, ხუროთმოძღ. ულრიხ ენსინგენელი. იოჰან კოლონელი) ევროპული გოტიკის ბრწყინვალე ნიმუშია.

გვ. 129.

ვალ-დე-გრასის ეკლესია (Val-de-Grâce) პარიზში 1645 წელს დაარსდა როგორც სააბატო ეკლესია, რომის წმ. პეტრეს წაბაძეთ აქვს მშენებელი გუმბათი და მინიარს ფრესკები.

კარლოვინგები. იგივეა. რაც კაროლინგები, ფრანკ მეფეთა დინასტია, რომელმაც შეეცალა მეროვინგების დინასტია 751 წელს. სახელი კაროვინგები ანუ კაროლინგები წარმოდგება კარლ დიდის სახელიდან.

ლუი X III — საფრანგეთის მეფე (1610—1643), მის დროს საგარეო დამპყტიცდა ფრანგული აბსოლუტიზმი. ფაქტურად სახელმწიფოს მართა-და კარდინალი რიშელიე.

ლუი XIV — საფრანგეთის მეფე (1643—1715). მის დროს აბსოლუტიზმმა უმაღლეს განვითარებას მიაღწია. (მან თქვა: „სახელმწიფო — ეს მე ვარო“). ომებითა და მფლანგველობით საფრანგეთი გამოფიტა.

1. პოტელ პტი ბურბონი — ბურბონთა დინასტიის ფრანკ მეფეთა რეზიდენცია 1527 წლამდე.

გვ. 130.

1. „ეკატერინე მედიჩის სამლოცველოში“. აქ ჰუგო. გულისხმობს ფრანგული არისტოკრატიული ზელოვნების გადაგვარებას, რაც, მისი აზრით, დაიწყო მე-16 ს. მეორე ნახევარში დედოფალ ეკატერინე მედიჩის რეგენტობის დროს და სრულიად ცხადი გახდა მე-18 ს-ში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ. დიუბარი — მეფე ლუი XV-ის საყვარელი იყო.

გვ. 131.

1. მარტინ ლუთერი (1483—1546) — პროტესტანტიზმის დამაარსებელი გერმანიაში, რელიგიური რეფორმაციის მოღვაწე გერმანიის გლეხთა ომის დროს.

2. მირაზო ონორე-გაბრიელ რიკეტი (1749—1791) — საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყებითი ეტაპის თვალსაჩინო მოღვაწე, მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი.

3. ვიტრუვი (I ს. ჩვ. ერამდე) — რომაელი არქიტექტორი, ავტორი ტრაქტატისა „არქიტექტურის შესახებ“.

ვინოლი (ეკ ბაროკო) — მე-16 ს. იტალიელი არქიტექტორი.

პართენონი (ბერძ. პართენონი, სიტყვისაგან პართენოს — უბოწო), ქალღმერთ ათინა პართენონის (ქალწულის) ტაძარი ათენში, ძველბერძნული ხელოვნების დიადი ძეგლი. აშენებულია ათენის აკროპოლისზე დორიული სტილით 447—438 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე იტინისა და ალექრატეს მიერ. არქიტექტურული გაფორმება, რასაც ფიდაისი ხელმძღვანელობდა, დამთავრდა 432 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

რობერ სენალისი (დაიბ. მე-15 ს. დამღვეს. გარდ. 1560), ფრანგი ეპისკოპოსი.

პეროსტრატე ეფესელი. რომელმაც 356 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაწვა არტემიდა ეფესელის ტაძარი, რათა უქცევდეს თავისი სახელი.

გვ. 132.

1. ეილქელმ დამპყრობელამდე, ესე იგი მეთერთმეტე საუკუნემდე.

გვ. 133.

1. კაროლინგები — იხ. წინ, გვ. 129 (შენიშვნა).
2. გრეგორ VII (პილდებრანდ) დააბად. სოაბში (ტოსკანა) 1013, პაპი 1073—1085 წლებში.

გვ. 138.

წარლ V — საფრანგეთის მეფე 1364—1380 (ვალუას დინასტ.).

გვ. 138.

იულიანე განდგომილი, რომის იმპერატორი 361 — 363.

გვ. 139.

იულიანემ ააგო თავისი თერმები.

1. იულიანე — რომელი იმპერატორი, ტახტზე ასვლამდე იყო რომელი ნაცალი გალეთში, სადაც დანგრეულ ნაგებობასა და ქალაქებს აღადგენდა. მეოთხე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა პარიზში. მანვე ააგო იქ თერმები — ძველი რომაული საბანაოები; შემდგომში მათ იყენებდნენ დისპუტების, სატანთვარჯიშო თამაშობათა გასამართავად და სხვა.

გვ. 143.

1. ფავენ ანდრე (მე-16 ს. მეორე ნახევარი) — ავტორი მრავალი ნაშრომისა პარიზის შუა საუკუნეების ისტორიაზე.

პასკიე ეტიენ (1529 — 1615) — ფრანგი სამართლისმცოდნე. „პასკიეს წერილები“ უამრავ მასალას იძლევა მე-16 ს. საფრანგეთის ისტორიაზე.

გვ. 147.

ლუი სქელი (ლუი VI, 1081—1137) — საფრანგეთის მეფე 1108—37 (კაპეტინგების დინასტია).

გვ. 148.

1. კამიულოენ — პარიზელთა ტომის ბელადი, I ს-ში ჩვენს ერამდე მეთერთმეტე მდ. სენის ნაპირზე მცხოვრებ გალთა ტომებს იულიუს კეისრის ჯარების წინააღმდეგ. ქალაქ პარიზის (შაშინდელი ლიუტეციის) დაცვის დროს ბრძოლაში დაიღუპა 52 წ. ჩვენს ერამდე.

გვ. 151.

1. შამბორას ციხე-დარბაზი — მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგული აღორძინების სტილის ნაგებობა.
ალკამბრა — შუა საუკუნეების მავრიტანული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი, ძველი სასახლე და ხუროთმოძღვრული ანსამბლი გრენადაში, ესპანეთში (მე-13 — 14 ს. ძეგლი).

გვ. 156.

ვოლტერე (ფრანსუა მარი არუე, 1694 — 1778), გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ფრანგული ბურჟუაზიის განმანათლებლობის მოღვაწე, ფილოსოფოსი-დეისტი.

მ ო ლ ი ე რ ი (პოკლენ) ე ა ნ ბ ა ტ ი ს ტ (1622—1673)—დიდი ფრანგი დრამატურგი, ფრანგული ეროვნული კომედიის თეატრის შემქმნელი, ავტორი მრავალი რეალისტური კომედიისა („ტარტიფი“, „დონ-ჟუანი“, „მიზანტროპი“, „ჟუნწი“, „ძალად ექიმი“, „გაზნაურებული მდაბიო“, „სკაპენის ოინები“ და სხვა).

მ ი ნ ი ა რ პ ი ე რ (XVII ს.) — ფრანგი სამეფო კარის მხატვარი, უმთავრესად პორტრეტისტი, ხატავდა პრანკია მანერით.

გვ. 157.

ა ნ რ ი II (1519 — 1559) — 1547 წლიდან საფრანგეთის მეფე.

ა ნ რ ი IV (1553, მოკლულ იქნა 1610 წელს) — მეფე ნაეარისა. პუგენოტების ბელადი, თავს უშველა ბართოლომეს ღამეს კათოლიციზმის მხარეზე გადასვლით (პირველად); 1589 წლიდან საფრანგეთის მეფე (პირველი ბურბონი); მისი მეორე გადასვლა კათოლიციზმის მხარეზე დამთავრდა ნანტის ედიქტით.

ლ უ ი XVI (1754 — 1793) — საფრანგეთის მეფე (1774 — 1792), ტახტიდან ჩამოაგდეს 1792 წ. რევოლუციის დროს და გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.

1. წ მ ი ნ დ ა პ ე ტ რ ე ს ტ ა ძ ა რ ი რ ო მ შ ი (San Pietro in Valicano) ალორძინების ეპოქის იტალიური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია. მის აგებასა და დამშენებაში მონაწილეობას იღებდნენ ბრამანტე (1506 — 14), რაფაელი (1515 — 20), ბატისტი ალბერტ, ჯიულიანო და სან გალო, ფრა ჯიოკონდო, ანტონიო და სან გალო (1520—46) და პერუცი (1520—1536), მიქელანჯელო (1547 — 64) და სხვ.

2. კ ო ლ ი ზ ე უ მ ი — კოლოსალური ზომის ამფითეატრი — ცირკი (80 წ.) ძველ რომში.

3. „I I I . წ ლ ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა“ — 1795 წ. 22 აგვისტოს (რევოლუციის მესამე წელს) საფრანგეთში გამოცხადებული კონსტიტუცია. იგი განამტკიცებდა ბურჟუაზიის გამარჯვებას ხალხზე.

4. „მ ი ნ ო ს ი ს კ ა ნ ე ბ ი“. ვითომც კუნძულ კრეტას მეფემ მინოსმა თვით ზევის დახმარებით შექმნა ბრძნული კანონმდებლობა.

გვ. 158.

1. „მ ე ს ი დ ო რ ი ს ტ ი ლ ი“ (le goût messidor) — იგულისხმება იაკობინელთა დიქტატურის დროინდელი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც უმთავრესად ძველი რომაული ძეგლების მიბაძვით იქმნებოდა.

2. ს უ ფ ლ ო (Soufflot), ეაკ — მე-18 ს. ფრანგი არქიტექტორი, რომელმაც ააგო პანთეონის ძირითადი ნაწილი.

გვ. 166.

ფ ლ ე გ ე ტ ო — ქეესენელის ერთ-ერთი მდინარის სახელი ბერძნულ მითოლოგიაში.

გვ. 176.

1. პ ო ბ ს ი თ ო მ ა ს (1588 — 1679) — ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი და სახელმწიფო მოღვაწე.

გვ. 179.

1. ა ს ტ ო ლ ფ ი — ალორძინების ეპოქის იტალიელი პოეტის ლუდოვიკო არისტოს რაინდული პოემის „მძინვარე როლანდის“ პერსონაჟი. ფრთოსანი მერნით რაინდი ასტოლფი მიფრინდება მთვარეზე, სამოთხეში, ჯოჯოხეთში და ა. შ.

გვ. 185.

1. ავეროესი, არაბ. იბნ როშდ (1126 — 1198) — გამოჩენილი არაბი ფილოსოფოსი (ესპანეთში).
2. სოლომონ — ისრაელ-იუდეველთა მეფე (დაახლ. 970/30 წ. ჩვ. ერამდე).
ზოროასტრ — ძველი სპარსული რელიგიის დამაარსებელი (1000 და 500 წლებს შორის ჩვ. ერამდე). შექმნა სინათლის სამყაროს (აქურა მახდა) და სიბნელის ბატონობის (აპრიმან) დუალისტური მოძღვრება.

გვ. 189.

1. რენიე მბატიურენ (1573 — 1613), — ფრანგი პოეტი; ზნეობრივი ხასიათის სატირებს წერდა.

გვ. 192.

1. ფრანსუა კონტე — საფრანგეთის პროვინცია, მეჩვიდმეტე საუკუნემდე გერმანიის იმპერიაში შედიოდა.

გვ. 193.

1. საკასტელიანო — სენიორს დაქვემდებარებული ოლქი.

გვ. 195.

1. ესკუელაპი ანუ ასკლეპიოს: სამკურნალო ხელოვნების ანტიკური ღმერთი ძველ მითოლოგიაში ჯოხზე შემოხვეული გველის, აზრნიშნით.

გვ. 195.

2. იამბლიხი (გარდ. დაახლ. 330) მისტიკოსი ფილოსოფოსი, სირიის ნეო-პლატონური სკოლის დამაარსებელი.

გვ. 196.

1. ჰიპოკრატე — ანტიკური ქვეყნის გამოჩენილი ექიმი (მე-5 ს. ჩვ. ერამდე).

გვ. 198.

1. ეპიდავრი — მითოლოგიური ასკლეპიოსის სამყოფელი, წმინდა სამკურნალო და სამლოცველო ადგილი.
2. ქალდეა — ქალდეელი ვარსკვლავთმრიცხველი და მისანი.
3. ბუსტროფედონი — წერილი, რომელშიც პირველი სტრიქონი მარცხნიდან მარჯვნივ იკითხებოდა, მეორე — მარჯვნიდან მარცხნივ და ა. შ.
4. კლაეიკული — გრძნეულებათა წიგნი, რომელსაც სოლომონ მეფეს მიაწერენ.

გვ. 200.

1. ჰეროდოტი (484 — 425 ჩვ. ერამდე) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი („ისტორიის მამა“).
2. სიკრა — საფეხურებიანი ტაძარი ძველ ქალდეაში.

გვ. 203.

1. გუტენბერგ იოჰან (1394/9 — 1468) — წიგნის ბეჭდვის აღმომჩენი.

გვ. 204.

1. დოლმენე ბი — ქვის ნაგებობის უძველესი კელტური ფორმა, ორი შეეულად დასმული მოგრძო ქვა და ზედ თარზულად გადებული მესამე ქვა. — საკულტო წესების შესასრულებელი ადგილი იყო.
2. კრომლეხები — ბრინჯაოს ხანის ნაგებობა ქვის ლოდების ირგვლივ წყობით, დრუიდების კელტური ტაძარი.

მტრესკული ყორღანები, ტიუმიულეს — ეტრუსკებს სამარო-
ვანი ბორცვები.

3. კარნაკი — ძველი ეგვიპტური ტაძრების ნანგრევები ნილოსის მარჯვენა
ნაპირზე. კარნაკი სოფელია ეგვიპტეში ძველი თებეს ადგილას.

გვ. 205.

1. დედალოსი (ბერძ. Daidalos) — ძველბერძნულ მითოლოგიაში — დღ-
ოსტატი, ხუროთმოძღვარი, მძერწავი; მეფე მინოსს აუგო ცნობილი ლა-
ბირინთი.

2. ორფეუს (Orpheus) — ძველბერძნულ მითოლოგიაში ლეგენდარული მომ-
ღერალი.

გვ. 206.

თეოკრატია (ბერძ. ლეთისმეუფება) — მმართველობის ისეთი ფორმა, რო-
დესაც ქურუმებს ან სამღვდლოებას უპყრია სასულიერო და საერო ხე-
ლისუფლება; ისეთი სახელმწიფო ფორმა, სადაც სამღვდლოება, სასუ-
ლიერო პირთა კასტა ბატონობს (ეკლესიის ბატონობა სახელმწიფოზე)
(ძველ იუდეაში, ნაწილობრივ ძველ ეგვიპტეში, ასურეთში, რომის პაპი
შუა საუკუნეებში, ვატიკანი და სხვ.).

ვატიკანი — კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, რომის პაპის რეზიდენცია
1378 წლიდან, უზარმაზარი სასახლე (ვატიკანის ბორცვზე), რომლის აგე-
ბაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი იტალიელი ხუროთმოძღვრები (ბრაამან-
ტი, ბერნინი) და მხატვრები (რაფაელი), კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი
დაწესებულებანი. გარდა პაპის სასახლისა, აქ არის მოედანი და წმ. პეტ-
რეს ტაძარი. ვატიკანი საერთაშორისო რეაქციისა და ბნელეთის მოციქუ-
ლობის ერთ-ერთი ცენტრია.

კაპიტოლი — ერთ-ერთი ბორცვი, რომელზეც მდებარეობდა ძველი რომი.
იგი რომის ციტადელს და რელიგიური კულტის ცენტრსაც წარმოადგენდა.
კაპიტოლზე მდებარეობდა იუპიტერის, იუნონისა და მინერვას ცნობილი
ტაძარი, შემდეგში ე. წ. კაპიტოლის იუპიტერის ტაძარი ან უბრალოდ კა-
პიტოლი. მისი მშენებლობა ტრადიციის თანახმად დათავრდა 509 წელს
ჩვენს ერამდე. იქ ხანდახან სენატის სხდომები ან მის წინ სახალხო კრე-
ბები იმართებოდა.

გვ. 207.

1. უაკერია — გლეხთა აჯანყება საფრანგეთში (1358). პრაგერია — საფ-
რანგეთის რეაქციულ ფეოდალთა ამბოხება მეფის ხელისუფლების წინა-
აღმდეგ (1440). ლიგა — კათოლიკ აზნაურთა სამხედრო კავშირი საფრან-
გეთში რელიგიური ომების დროს (მე-16 ს.).

გვ. 209.

1. ტესტუდო (lesludo) — ფარებისაგან შედგენილი ჩარდახი, რომელსაც
რომაელები „კუს“ უწოდებდნენ და ხმარობდნენ ციხე-გალაყებზე იერი-
შის დროს ჯარისკაცთა თავსაფრად.

გვ. 211.

ფიდიასი — კლასიკური ხანის ძველი ბერძენი მოქანდაკე (475—430 ჩვენს
ერამდე), აკროპოლისის მშენებლობის ხელმძღვანელი ძველ ათენში, ათა-
ნა პართენონისა და ზეუსის ქანდაკებათა ავტორი.

27. ვ. პიუგო.

გვ. 213.

ვან-გუეონი — მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგი მოქანდაკე-არქიტექტორი

1. ჯოვანი პალესტრინა — მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი კომპოზიტორი.

გვ. 215.

1. ლუი XIV-ის მეფობის დროს, 1643 წ-დან 1661 წ-მდე საფრანგეთის ნამდვილი მმართველი იყო კარდინალი ჯულიო მახარინი. 1661 წელს მახარინიმ პარიზში დააარსა „ოთხი ერის კოლეჯი“ (15 იტალიელი, 15 ელზასელი, 20 ფლამანდიელი და 10 იუსილიონი).

გვ. 216.

1. რაფსოდები — ხალხური ეპიკური სიმღერები; მათი შემსრულებელი რაფსოდები ძველ საბერძნეთში მოხეტიალე მომღერლები იყვნენ, ლირაზე დამღეროდნენ ეპიკურ სიმღერებს.

„რომანსერო“ — ესპანური ხალხური სიმღერების (ლირ.-ეპ.) კრებული (იხ. გვ. 127, შენიშვნა).

„ილიადა“ — ძველი ბერძნული გმირული ეპოსი ჰომეროსისა (იხ. გვ. 127, შენიშვნა).

2. ნიბელუნგების სიმღერა — საშუალო ზემოგერმანული გმირული ეპოსი უცნობი ავტორისა.

მაპაბჰარატა — ძველი ჰინდური პოემა.

3. დანტე ალიგვიერი (1265 — 1321) — გენიალური იტალიელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი.

გვ. 217.

1. ვიზა — ინდოელი განდევილი; გადმოცემის თანახმად, შეადგინა ბრამინების საღვთო წიგნი — ვედები.

2. პაგოდა — ინდური, იაპონური და ჩინური ტაძრების სახელია.

3. პართენონი — დორიული სტილის მარმარილოს ტაძარი ათინა პართენონისა (ბერძ. „ქალწული ათინა“) ქ. ათენის აკროპოლისში.

4. ფიდიასი — კლასიკური ეპოქის დიდი ბერძენი მოქანდაკე (დაახლ. 475 — 430 წ. ჩვ. ერამდე) (იხ. წინ, შენიშვნებში გვ. 211).

5. შექსპირი უილიამ (1564 — 1616) — გენიალური ინგლისელი მწერალი-დრამატურგი.

6. „ხეოპსიდან სტრასბურგამდე“ — იგულისხმება ეგვიპტის ფარონის ხეოპსის (2600 წ. ჩვ. ერამდე) მიერ აგებული პირამიდა (146 მ. სიმაღლის).

სტრასბურგის კათედრალი — შუა საუკუნეების ერთ-ერთი შესანიშნავი გოტიკური ძეგლი (იხ. შენიშვნებში, გვ. 128).

გვ. 218.

1. ბაირონი, ჯორჯ გორდონ (1788 — 1824) — დიდი ინგლისელი პოეტი.

ვედები — ლექსად და პროზად დაწერილი ძველი ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლები 6 საუკუნემდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

2. „ენციკლოპედია“ — ანუ მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონის გრანდიოზული გამოცემა, რომელიც დაიწყო

მეთრამეტე საუკუნეში ფრანგმა მატერიალისტმა ფილოსოფოსმა და მწერალმა დენი დიდრომ მათემატიკოს დალამბერთან ერთად.
„მონოტიზმი“ — საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პირველ წელს, 1789 წელს დაარსებული გაზეთი.

გვ. 220.

1. ტრისტან განდეგილი — Tristan l'Hermite — ლუი XI-ის დიდი პრევი (grand prévôt) უზენაესი შოსაპართლე, დაიბადა ფლანდრიაში მე-15 ს. პირველ წლებში, გარდაიცვალა ღრმად შოხუცებული. მედამ თან ახლდა ლუი XI-ს და იყო მისი მკაცრი ბრძანებების ურყევი და პირქუში, დაუნდობელი შემსრულებელი.

გვ. 237.

1. ტანტალუს — ბერძნული თქმულების მიხედვით ფრიგიის მეფე, რომელიც ღვთაებრივი საიდუმლოების გაცემის გამო დაისაჯა; ქვესკნელში ჩამწყვდეული იყო მშვიერ-მწყურვალი, მაშინ როდესაც წყალა და ნაყოფი ირგვლივ უხვად იყო, მაგრამ როგორც კი წაეტანებოდა ასაღებად, სასმელ-საჭმელი უკან იხვედა. აქედან წარმოსდგა გამოთქმა — „ტანტალუსის წამება“. ღმერთების წყევლა მის შთამომავლობაზე — ტანტალიდებზე (აგამემონი, იფიგენია, ორესტი და სხვ.) ვრცელდებოდა.

გვ. 238.

1. 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე ფრანგ მეფეთა კურთხევა რეიმის ტაძარში ხდებოდა.

გვ. 239.

1. მამა ქვანი — ლეგენდარული მღვდელმთავარი და XII ს. ფანტასტიკური ქრისტიანული სახელმწიფოს მეფე საღლაჲ აღმოსავლეთში.

გვ. 269.

1. დიუბარტა გილიომ — ფრანგი პოეტი (XVI ს.), წერდა მაღალფარდოვანი ენით.
2. პერიფრაზი (აღწერა, მინიშნება) — საგნის პირდაპირი დასახელების შეცვლა აღწერითი გამოთქმებით. კლასიციზმის მწერლები ამ ხერხით ხშირად სარგებლობდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ „მდაბიური“ სიტყვების ხმარება.

გვ. 286.

სარაბანდა — ძველებური ესპანური ცეკვა (მავრიტანული წარმოშობის).

გვ. 287.

1. ფანდანგო — ერთგვარი ესპანური ცეკვა.

გვ. 288.

1. ასე იწოდებოდა ქალაქი კოლდებეკი ნორმანდიაში.
2. დიოგენე სინოპელი (412 — 323 წ. ჩვენს ერამდე), ბერძენი ფილოსოფოსი, კინიკოსი; ამტიკებდა, რომ სიბრძნე და კეთილგონიერება ბუნებრივ ცხოვრებაშია; უგულვებელყოფდა კულტურას, საზოგადოებრივ წესებსა და პირობითობას. გაღმოცემის თანხმად კასრში ცხოვრობდა.
3. გენესი — რომელი მსახიობი — მასხარა. სიკვდილთ დაისაჯა იმპერატორ ადრიანის დროს, კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

4. „აპოლონიც ხომ მწყემსს აედა“ — ზევისს მიერ დასჯილ ახალგაზრდა აპოლონი თრაქიის მეფის აღმეტეს ჯოგს მწყემსს აედა.

გვ. 289.

1. ალექსანდრიული ლექსი — თორმეტმარცვლიანი ტაეპი, ექვსტერფიანი იამბით, მრჩობლად რითმით (ორი ვაჟური, ორი ქალური), იხმარებოდა ფრანგულ კლასიკურ ტრაგედიაში.
2. სოფოკლე (დაახლ 497—გარდ. 406 წ. წელთაღრიცხვამდე) — დიდი ბერძენი დრამატურგი, ავტორი ტრაგედიებისა: „ოიდიპოს მეფე“, „ოიდიპოს კოლონში“, „ანტიგონე“, „ფილოკტეტი“ და სხვ.

გვ. 297.

ვენერა — ძველი იტალიური ღმერთება გაზაფხულისა, ბალ-ბოსტნების მფარველი. თავყანს სტემენენ ძველ რომში. შემდეგ ბერძენთა გავლენით გააგიჟეს აფროდიტესთან, რომელიც სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთად ითვლებოდა.

ციცერონი, მარკუს ტულიუს (106—43 წ. წელთაღრიცხვამდე) ძველი რომელი ორატორი, ადვოკატი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. რომის რესპუბლიკის უკანასკნელი დიდი იდეოლოგი.

სენეკა, ლუციუს ანეი (დაიბადა 6/3 წ. წ. წელთაღრიცხვამდე — გარდაიცვალა 65 წ. წ. წ.) — რომელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, რომელი სტოიციზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი.

1. ეკიუ — ძველებური სამფრანკიანი ფრანგული ფული.
2. უნცია — ძველი წონის ერთეული = 30 გრ., ძვ. ფულის ერთეული; ინგლის. გირვანქის 1/12.
3. სუ — 5 სანტიმი = 1,25 კაპ., ძველებური ხურდა ფულია და = 12 დენიეს.
4. დენარე-დინარი (denarius), ძველებური ფრანგული ხურდა ფულია.
5. ლიარი — სპილენძის ძველებური წერილი ფული.

გვ. 298.

1. პერინე ლეკერკ — 1418 წელს მოქალაქე პერინე ლეკერკმა პარიზის კიშკარი გაუღო „არმანიაკების“ (ბურგუნდიელ ფეოდალთა პარტიის) ჯარებს, რომლებიც ინგლისელებთან იყვნენ დაკავშირებული. მათ დაიპყრეს ქალაქი და ტყვედ ჩაიგდეს მეფე შარლ VI.

გვ. 299.

1. რემბრანდტი (1606—1669), გამოჩენილი პოლანდიელი მხატვარი და გრაფიკოსი.

გვ. 302.

1. მანუ — ინდოელთა სამღვთო წიგნი.
2. ზორთასტრი — სპარ. ზარდუშტ — სპარსთა რელიგიის დამაარსებელი. ავეროესი, იხ. წინ. გვ. 185 (შენიშვნებში).

გვ. 303.

კასიოდორუსი — რომელი ისტორიკოსი (570 წ.).

გვ. 307.

1. m a r c (m a r — მარ) — ძველებური წონა, რვა უნცია.

გვ. 312.

1. პ ლ ა ე ტ უ ს ი — რომაელი პოეტი (III — II ს. ჩვ. ერამდე).

გვ. 314.

1. ე ნ ი უ ს მ უ მ ო ლ — მეექვსე საუკუნის ბერგენდიელი მხედართმთავარი, ფეოდალთა შორის შინაომის მომწყობი; დასაჯა მეფე გონტრანმა.

გვ. 316.

1. მ ი ქ ა ე ლ პ ს ე ლ უ ს (ან პსელოს) — მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.

გვ. 317.

ს ე რ ვ ე უ ს ი — 4 ს; რომაელი მეცნიერი გრამატიკოსი.

გვ. 323.

პ ლ ა ტ ო ნ ი (427 — 347 ჩვ. წელთაღრიცხვამდე), ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი, მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი, სოკრატის მოწაფე, თბიქტური იდეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თავისი ფილოსოფიური მოძღვრება პლატონმა დიאלოგებით გადმოსცა. მისი აზრით, მარადი და უცვლელი იდეების ქვეყანა ჰეშმარტი მყოფობის მქონეა, რეალური გრძნობადი ნივთების ქვეყანა კი იდეათა სამყაროს აჩრდილია.

გვ. 324.

ი ო ბ ი — ძველი აღტქმის ერთ-ერთი წიგნის მთავარი მოქმედი პირი, რომლის სახელიც ჰქვია წიგნს. ეს წიგნი რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებია იმის შესახებ, თუ რატომ იხარებენ ცოდვილნი და ეწამებიან ალაღმართალნი. „მრავალწამებული“ იობის სახესა და წიგნს ეკლესიის მსახურნი იყენებდნენ მასების მოსატყუებლად.

კ ე ი ს ა რ ი, გ ა ი უ ს ი ე ლ ი უ ს (100—44 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი და ორატორი, პატრიციების გვარისა. ხანგრძლივი ომების შემდეგ რომს დაუმორჩილა გალეთი. 49 წელს დაიწყო ბრძოლა ერთხელისუფლებიანობისათვის. პომპეას ჯარებზე გამარჯვების შემდეგ 46—45 წ. გამოცხადდა დიქტატორად. გაატარა რეფორმები ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით. კეისრის იმპერია მონათმფლობელური დიქტატურა იყო. მოკლეს შეთქმულებმა.

გვ. 334.

ი უ პ ი ტ ე რ ი — უმაღლესი ლეთაება ძველ რომულ რელიგიაში. გაიგივებული იყო ძველებრძნულ ღმერთთან — ზევსთან.

გვ. 335.

ნ ე პ ტ უ ნ ი — ძველ რომულ რელიგიაში ზღვის ღმერთი. აიგივებდნენ ძველებრძნულ პოსეიდონთან.

გვ. 355.

1. ბ ო ფ ო მ ე ტ ი — მაპომეტის (მაჰმადის) დამახინჯებული სახელი.

2. ტამპლის (ტაძროსანთა) ორდენის რაინდები. ორდენი დაარსებული იყო ჯვაროსანთა მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილი მიწების დასაცავად. იმ მიწების დაკარგვით ორდენმა დაკარგა მნიშვნელობა. პაპმა კლიმენტი V-მ

იგი ეკრტიკულ, მწვალებლურ ორდენად გამოაცხადა. საფრანგეთის მეფემ ფილიპე ლამაზმა მე-14 ს. დამდეგს ამ რაინდთა დიდი ჯგუფი შათი სიმღიდრის ხელში ჩასაგდებად კოცონზე დაწვა კერპთთაყვანისმცემლობის საბაბით.

გვ. 357.

1. ციციერონი მარკუს ტულიუს (106—43 წ. ჩვ. ერამდე)—გამოჩენილი რომელი ორატორი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, რესპუბლიკელი. (იხ. წინ, 297 გვ. შენიშვნებში).

გვ. 359.

1. ლიონდორი — ლომასსახიანი ოქროს ფული.

გვ. 360.

1. დიდი იტალიელი პოეტის დანტეს (1265—1321) პოემაში „ღვთაებრივი კომედია“ ჯოჯოხეთი გამოხატულია ძაბრის სახით, რომელიც დედამიწის ცენტრისკენ ეიწროვდება და ცხრა წრედ იყოფა, ამასთან რაც უფრო მეტია ცოდვა, მით უფრო ღრმად არის მოთავსებული ძაბრში ცოდვილი და მით უფრო ძლიერია მისი ტანჯვა.

გვ. 375.

1. გაროფალო — 16 ს. იტალიელი ფერმწერი ბენვენუტო ტიზი. სურათებს ხატავდა რელიგიურ თემაზე.

გვ. 379.

1. ლაფონტენ ეან დე (1621—1695)—ფრანგი პოეტი მოიგავე. აქ მოტანილი სიტყვები არის იგაიდან „მელა და ყარაყატი“ (იხ. შენიშვნებში გვ. 47).

გვ. 380.

1. თემის, თემიდოს — ძველბერძნულ ჰითოლოგიაში მართლმსაჯულების ქალღმერთი, თვალახვეული (მიუქერძოებლობის ნიშნად), ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში — მახვილი.

გვ. 388.

1. მაზაჩო (ტომაზო დი გვიდი, 1401—1428) — იტალიელი მხატვარი, რელიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი აღორძინების ეპოქის ფერწერაში. მაზაჩოს თავშეკავებული, სუსხიანი მკაცრი სახეები მკვეთრად განსწავლდებიან დიდი იტალიელი მხატვრის რაფაელს (1483—1520) მსუბუქი და ლამაზი სახეებისაგან.

გვ. 410.

1. სემირამიდა — ლეგენდარული დედოფალი ასირიისა, დაახლ. 800 წ. ჩვენს ერამდე. ტრასებზე გაშენებული მისი „დაცობული ბაღბა“ ანტიკური ქვეყნის შვიდ სასწაულებათაგან ერთ-ერთ სასწაულად ითვლებოდა.

გვ. 411.

ოტელ-დიე — ქალაქ პარიზის დიდი საავადმყოფო.

იველსხმება ჯარების ისეთი საბრძოლო წყობა, რომლის საფუძველია სამკუთხედი და რომელიც გამოიყენეს ენკომის ბრძოლაში (რომაელთა და კართაგენელთა შორის 256 წ. ჩვ. ერამდე); ალექსანდრე მაკედონელის „ლოარის თავი“ და შვეციის მეფის გუსტავ-ადოლფუს (მე-16 ს.) „სოლიც“ იმავე წყობას ნიშნავს.

2. რიშელიე არმან — ეან დიუ პლესი (1585 — 1642) — ჰერცოგი და კარდინალი, ფრანგული აბსოლუტიზმის დიდი მოღვაწე ლეი XIII-ის დროს, ქვეყნის ფაქტიური განმგებელი.
3. მირაბო (1749 — 1791) — ფრანგი პოლიტიკოსი, 1789 წ. მესამე წოდების დემუტატი, საფრ. რევოლუციის დიდი ორატორი და დესპოტიზმის მოწინააღმდეგე, მაგრამ ხალხის მასების მძლავრი გამოსვლის შემდეგ კონსტიტუციური მონარქიის მომხრე (იხ. შენიშვნები, გვ. 131, 2).

გვ. 471.

ნესტორი — ჰომეროსის პოემის „ილიადის“ პერსონაჟი, პილოსის მეფე, რომელიც ბერძენთა ფლოტს მეთაურობდა ტროას წინააღმდეგ.

გვ. 476.

1. ტუაზი (loise) — სიგარძის საზოგადოებრივი ერთეული სხვადასხვა ქვეყანაში მანამდე, სანამ მებრუნ სისტემას შემოიღებდნენ. საფრანგეთში ერთი ტუაზი უდრიდა 864 პარიზულ ხაზს, ე. ო. 1, 9490 მ.

გვ. 477.

1. „ქალბატონი პილუ. ვინც „კირუსში“ „არრიციდის“ ანუ „განსახიერებელი ზნეობრიობის სახელით ცნობილი გახდა“...
„კირუს“ — „Le grand Cyrus“ — მე-17 ს. არისტოკრატი მწერალი ქალის მადლენ დე სკიუდერის ფსევდონიმით გალანტური რომანი, რომელშიც გამოგონილი სახელებით მისი სალონის მუდმივი სტუმრები იყვნენ გამოყვანილი.

გვ. 494.

1. ტრისტან განდელი — იხ. წინ, გვ. 220 (შენიშვნებში).

გვ. 495.

„აპოლონის მსახურთ არ ეკადრება“

აპოლონი — ძველბერძნულ რელიგიაში მზისა და სინათლის ღმერთი. აპოლონის სახე როგორც ერთ-ერთი მთავარი ღმერთების სახე ბერძენთა ცხოვრების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. აპოლონის კულტი რელიგიურ წარმოდგენათა ფართო არეს მოიცავდა. იგი ჯერ მიწის საწარმოო ძალთა კულტთან იყო დაკავშირებული, მერე სინათლის (ფეხუს-„მბრწყინავი“), ზევსის ნების გამნდობი მისანთა საშუალებით, გადასახლებისა და საზღვაო ურთიერთობის მფარველის კულტთან. კლასიკურ ეპოქაში აპოლონი ითვლებოდა მუსიკის, სიმღერისა და პოეზიის მფარველად, მუზეების გუნდის ხელმძღვანელად, ხელოვნების განსახიერებელად. აპოლონის კულტის ცენტრები იყო დელფი, დელოსი და დიდიში. აპოლონის მთავარი ტაძარი იყო დელფში. აპოლონს თავყვანს სცემდნენ აგრეთვე ძველ რომში. აპოლონი ბერძენთა მითოლოგიის თანახმად იყო ძე ზევსისა და ლეტოსი, და განსახიერებდა მამაკაცი სილამაზის იდეალს.

გვ. 496.

პერკელესი — ძველბერძნულ მითოლოგიაში ზევსისა და მიწიერი მოკვდავი ქალის ძე, რომელიც დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივ ფიზიკური ღონით და თორმეტი საგმირო საქმე ჩაიდინა.

„მათიას კორკინი მფარველობდა ეან მონრუიას, მათმატიკოსთა სამკაულს“.

მათიას კორკინი (1443 — 90) — ჰენგრეთის მეფე 1458—90. იტარებდა ქვეყნის ცენტრალიზაციის პოლიტიკას, შექმნა მუდმივი არმია და თურქებს დაუპირისპირა. 1485 წელს აიღო ვენა. ხელი შეუწყო აღორძინების ხანის ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკის შექმნას, სტამბის დაარსებას, ხელოვნების გაფურჩქვნას.

1. „ლაკა იქნებოდა ალექსანდრესათვის, არისტოტელეს ჩამოხრჩობა რომ ებრძა-ნებინა“.

ალექსანდრე მაკედონელი (356 — 323 ჩვ. ერამდე) — მეფე მაკედონისა 336 წლიდან, 335 წ. დაანგრია თება, დაიპყრა სპარსეთი და ეგვიპტე, და ინდოეთამდე მიადწია; სურდა მაკედონელთა და სპარსელთა გაერთიანება, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაგან მსოფლიო მონარქიის შექმნა. მისი მასწავლებელი იყო დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (384 — 322).

გვ. 499.

დიანა — ქალღმერთი ძველ რომულ რელიგიაში, აიგივებდნენ ბერძ. არტემიდასთან, ნადირობის მფარველი ქალღმერთი.

ცერერა (Ceres) — ძველი რომის რელიგიაში ნაყოფთა აღმოცენების ქალღმერთი, მიწათმოქმედების ღვთაება ძველ იტალიურ რელიგიაში, თაყუანს სცემდნენ, უმთავრესად პლებეები, მიწის დედასთან ერთად.

გვ. 500.

1. შარშალი ბუსიკო — ფრანგი მხედართმთავარი, მე-15 ს-ში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხალხში გავრცელებული იყო მისი ფრთიანი სიტყვები და ბევრს ლაპარაკობდნენ მის სიმამაცზე.

გვ. 503.

1. „გრანსონის ბრძოლის დროს“.

კარლ გულადის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ლუი XI შეეცარიელთა კავშირის ემყარებოდა. 1476 წ. კარლ გულადმა ხელთ იგდო ქ. გრანსონი და ბრძანა 800-მდე შეეცარიელის სიკვდილით დასჯა. ამ მკაცრი ბრძანებით აღშფოთებულმა შეეცარიელმა მოქალაქეებმა და მთიელებმა პირველი დარტყმისთანავე შემუსრეს ბურგუნდეულ ფეოდალთა ჯარი.

გვ. 507.

მონფოკონი (Monfaucon) — ადგილი ძველი პარიზის ვალენის გარეთ, სადაც ანგერან დე მარინმა, ფილიპე ლამაზის მინისტრმა, ააგო სახრჩობელა და თვითონ ისიც ამ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს.

გვ. 511.

გრანფიანრი დ'არკურე (Henri d'Harcourt) — ცნობილი ფრანგი სარდალი (1601 — 1666).

მარკიზ ლეგანეზ (Marquis de Leganez) — ესპანელი სამხედრო პირი (დაიბ. 1590).

პიერ მათიუ (P. Mathieu) — ავტორი Qualtrains-ისა, ისტორიკოსი, პოეტი და ადვოკატი (დაიბადა 1563 წ.).

გვ. 517.

1. პითაგორელები.

ავტორი გულისხმობს „ნეოპითაგორელთა“ (ი. ხ. წელთაღრიცხვამდე) მისტიკურ სექტას, რომელმაც ეს სახელი გადმოიღო ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პითაგორის მიმდევართა წრის სახელწოდებიდან.

გვ. 518.

დიდიმ ალექსანდრიელი (Didyme d'Alexandrie) — ცნობილი ალექსანდრიელი გრამატიკოსი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში.

კეისარი — იხ. წინ. გვ. 324.

1. ლუციუს სერგიუს კატილინა (108—62 წ. ერამდე) — რომელი პატრიცი. გალატაეზულ დიდგვაროვანთა და ვეტერანთა ფენებზე დაყრდნობით ცდილობდა დაემყარებინა რომში პოლიტიკური დიქტატურა. კატილინას შეთქმულებას თანაუგრძნობდა იულიუს კეისარი, რომელსაც სურდა მისი გამოყენება თავისი ინტერესებისათვის. კატილინას შეთქმულება ამხილა რესპუბლიკელმა ციცრონმა.

გვ. 521.

1. იუპიტერი „ილიადაში“ — პომპროსის პომპის „ილიადან“ მჩხეძვით, ტროას ქალაქის გარემოცვის დროს ზეესი (იუპიტერი) ყოყმანობდა, რომელი მხარისათვის ერგუნებინა გამარჯვება.

გვ. 559.

1. ანგერან დე შარინი, ფრანგთა მეფის, ფილიპე ლამაზის მინისტრი, რომელიც მის მიერვე აგებულ საბრძოლელაზე ჩამოახრჩეს მონფოკონზე.

იდმირალი კოლინი გასპარ დე (1519—1572) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. ჰუმანობების ერთ-ერთი ბელადი, ორგანიზატორი. სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. მოკლეს კათოლიკური თავადაზნაურობის მიერ ბართოლომეს დამეს მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის დროს და მისი გვამი მონფოკონზე ჩამოვიდეს.

ოლივიე დე დენი (Olivier le Daim) — ლუი მეთერთმეტის დალაქი და მახლობელი კარისკაცი, ჩამოახრჩეს 1484 წელს, ლუი XI-ის სიკედილის მეორე წელს.

შარლ VIII (1470—98) — საფრანგეთის მეფე (1483—98) ვალუას დინასტიისა, ლუი XI-ის შვილი. სანამ იგი მცირეწლოვანი იყო და მისი და ანა ბოვერეგენტობდა, ფეოდალებმა ამოიღო სცადეს ლუი XI-ის მიერ წართმეული პრივილეგიების აღდგენა აჯანყებების გზით („უგუნური ომი“ 1485 წ.). ფეოდალური ჯანყი 1486—88). ბრეტანის საჰერცოგოს შემოუერთებთ დამთავრდა მის დროს საფრანგეთის ტერიტორიული გაერთიანება.

* * *

ვიქტორ ჰიუგოს რომანი „პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი“ ითარგმნა შემდეგი ფრანგული გამოცემიდან:

1. Œuvres complètes de Victor Hugo
Notre-Dame de Paris

I

Paris

თარგმნის პროცესში შესამოწმებლად და შესადარებლად ვხელმძღვანელობდი აგრეთვე შემდეგი ფრანგული გამოცემებით:

2. Œuvres complètes de Victor Hugo

Roman II

Notre-Dame de Paris, 1482, Paris.

Imprimé par l'imprimerie nationale.

Édité par la librairie Ollendorff. MDCCCCIV.

3. Victor Hugo, Notre-Dame de Paris, (Texte abrégé), Série littéraire
Éditions en langues étrangères Moscou, 1949.

კომენტარები და შენიშვნები შეადგინა მთარგმნელმა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ექტორ ჰიუგო და მისი რომანი. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ლოც. დ. ფანჯულიძე	5
პროლოგი	13
შენიშვნა, დანართი 1832 წლის გამოცემისა	15

წიგნი პირველი

I. დიდი დარბაზი	19
II. პიერ გრენგუარი	36
III. ბატონი კარდინალი	46
IV. მეტრ ჟაკ კოჟნოლი	53
V. კვაზიმოდო	62
VI. ესპერალდა	70

წიგნი მეორე

I. ქარიბდიდან სცილაში	73
Ik. გრევის მოედანი	76
III. Besos para golpes (კოცნა დარტყმისა წილ).	77
IV. უსიამოვნებანი, რომელთაც გადაეყრები, როცა ქუჩაში საღამოს ლა- მას ჰქალს აედევნები	89
V. უსიამოვნებანი გრძელდება	93
VI. დამსხვრეული სურა	95
VII. ქორწინების ღამე	115

წიგნი მესამე

I. ღვთისმშობლის ტაძარი	126
II. პარიზი ჩიტის საფრენი სიმაღლიდან	136

წიგნი მეოთხე

I. კეთილი სჯულები	163
II. კლოდ ფროლო	167
III. Immanis pecoris custos, immanior ipse (მწყემსი სახარელი მრო- წლესი სამწყსოზე უფრო საზრელია)	173
IV. ძალი და მისი პატრონი	181

V. გაგრძელება კლოდ ფროლოს ამბავისა	182
VI. ხალხისგან ათვალწუნებულნი	189

წიგნი მესამე

I. Abbas beati Martini (ნეტარი მარტინის მოძღვარი)	191
II. ეს მოჰკლავს იმას	203

წიგნი მეოთხე

I. მიუცერძობელი თვალის შევლება ძველ მაგისტრატურაზე	219
II. თავის სორო	231
III. ამბავი სიმინდის კვერისა	236
IV. ცრემლი ერთი წვეთი წყლის გამო	257
V. დასასრული კვერის ამბისა	267

წიგნი მეხუთე

I. რა სახიფათოა საიდუმლო ანდო თხას	259
II. ხუცესი სხვაა, ფილოსოფოსი სხვა	285
III. ზარები	294
IV. 'ΑΝΑΓΚΗ	297
V. შავითმოსილი ორი კაცი	311
VI. შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სუფთა ჰაერზე ნათქვამ შვიდ უშვერ სიტყვას	317
VII. ბერი-მოჩვენება	322
VIII. რაოდენ სასარგებლოა, როდესაც საჩემლები მდინარეს გადაჰყურებენ	330

წიგნი მერვე

I. ხმელ ფოთლად ქცეული ეკიუ	340
II. გაგრძელება ხმელ ფოთლად ქცეული ეკიუს ამბავისა	350
III. დასასრული ხმელ ფოთლად ქცეული ეკიუს ამბავისა	356
IV. Lasciate ogni speranza (იმედები დასტოვეთ ყველა)	359
V. დედა	374
VI. სამი სხედასხვაგვარად შექმნილი გული მამაკაცისა	378

წიგნი მეთხუთე

I. ციებ-ციხლება	397
II. კუზიანი, ბრუციანი, კოკლი	409
III. ყრუ	413
IV. ქვიშაქვა და ბროლი	416
V. წითელი კიშკრის გასაღები	427
VI. გაგრძელება ამბავისა წითელი კიშკრის გასაღების თაობაზე	429

წიგნი მათე

I. გრენგუარს რამდენიმე კარგა აზრი უჩნდება ბერნარდინელთა ქუჩაზე .	433
II. გახდით მაწანწალა!	445
III. გაუმარჯოს მხიარულებას!	447
IV. მოუქნელი მეგობარი (დათვური სამსახური).	456
V. სენაკი, სადაც საფრანგეთის მეფე ლუი ეშკანონს წარმოთქვამს .	476
VI. პატარა სატევრები ლალობენ	509
VII. შატოპერ, დაიხსენი!	510

წიგნი მეთერთმეტე

I. პატარა მაშია	513
II. <i>La creatura bella bianco vestita</i> (Dante) (თეთრით მოსილი მშვენიერი ქმნილება)	548
III. ფეხუსის ქორწინება	557
IV. კვაზიმოდოს ქორწინება	558
შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი	561

რედაქტორი ე. გოგოლაშვილბ
მხატვარი ნ. იანჭოშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ა. არბელიძე

ხელმოწერილია დასაბუქდად 20/II-63 წ. ქა-
ლადლის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 37.
საალრ.-საგამომც. თაბახი 33,48. სააეტორო თა-
ბახი 32,5.

ტირაჟი 30.000. შეკვ. № 495.

ფახი 1 მ. 15 კ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის-
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.